² უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია ტერმინი – არა „სახელმწიფოს“, არამედ „შთაერთების“ ეკონომიკური ფუნქციები, ეკონომიკური მიზნები და ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკა ჩვენი აზრით, ალბათ მიზანშეწონილი იქნება მთავრობის ეკონომიკური ფუნქციების ზოგადად სახელმწიფოზე განვიცობა, რადგან ხელისუფლების დანაწილების კლასიკური პრინციპის თანახმად, ძალიან ბევრ სახელმწიფოში (მათ შორის, ცხადია საქართველოშიც) მთავრობა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებაა და მთლიანად ვერ განსაზღვრავს ეკონომიკურ პოლიტიკას. შეიძლება გვეხმარა ტერმინი „ხელისუფლება“, რომელიც თავის თვალს აერთიანებს როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, როგორც ცენტრალურ (ზოგიერთ ქვეყანაში ფედერალურ). ისე ადგილობრივ დონეებზე, მაგრამ ტრადიციისადმი პატივისცემის ნიშნად და იმის ხაზგასახმებლად, რომ ხელისუფლება მხოლოდ სახელმწიფოს ნაწილია, რომელმაც სახელმწიფოს უფრო დიდი ნაწილის, მოსახლეობის წინაშე უფლებამოსილებიდან და მსახურისგებლობა გააჩინა და რომ მხოლოდის სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში არამედამთავრო გზით (არჩევნები, რეფერენდუმი და ა.შ.) მოსახლეობაც მონაწილეობს პოლიტიკის, მ.შ. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში, ჩვენ, სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე, ეკონომიკურ მიზნებზე და შესაბამისად, ეკონომიკურ პოლიტიკაზე ვისაუბრებთ.

სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მიზნები და ფუნქციები

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია და მიზნების შერჩევას, მიზნების მიღწევის შესაძლო ვარიანტების შემუშავებას და შეფასებას მოიცავს. მაკროეკონომიკური პოლიტიკა მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევის სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობაა.

სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება სწორედ *მაკროეკონომიკური მიზნების*, მათ შორის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და ფორმირებას უნდა დაეთმოს.

ღია ეკონომიკაში (სწორედ ასეთი ტიპის ეკონომიკურ სისტემებზე ჩამოყალიბდა ან ყალიბდება მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის და მათ შორის, საქართველოს ეკონომიკური სისტემა) უმთავრეს მაკროეკონომიკურ მიზნებად *შიდა და საგარეო წონასწორობათა მიღწევა* შეგვიძლია დავასახელოთ.

შიდა წონასწორობა რესურსების სრულად გამოყენებასა და შიდა ფასების სტაბილურ დონეზე გულისხმობს, ხოლო საგარეო წონასწორობა კი მიიღწევა, როცა სახელმწიფოს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი არ არის იდენტურად დეფიციტური, რომ იგი აღმოჩნდეს უძლევი გადაიხადოს საგარეო ვალეები, ან ბალანსში არ არის ისეთი გარდამტეხი, რომელიც ანალოგიურ მდგომარეობაში ნიადაგებს სხვა სახელმწიფოებს. აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ შიდა ბაზარზე არსებული მდგომარეობა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს (ოუმცა, არა გადაამწყვეტ) როლს ასრულებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდა წონასწორობა მიიღწევა, როდესაც რესურსები (მათ შორის, შრომითი) გამოიყენება სრულად, ხოლო ფასები შიდა ბაზარზე სტაბილურია.

პ. სამუელსონისა და უ. ნორდჰაუსის მიხედვით არსებობს 3 უმთავრესი მაკროეკონომიკური მიზანი, ესენია:

- პროდუქციის გამოშვების მაღალი დონე და სწრაფი ზრდა;
- დასაქმების მაღალი დონე (ყირვე იშულებით უმუშევრობასთან ერთად);
- ფასების სტაბილურობა.

შესაძლებელია ეს მიზნებიც „გაიშალოს“, რაც პრობლემის სიდრემში ჩაწვდომის უკეთეს საშუალებას მოგვცემს.

ამ მიზნით, შესაძლოა კ. მაკონელისა და ს. ბრიუს ფორმულირებით ეისარგებლოთ, რომელთა აზრით უმთავრეს ეკონომიკურ მიზნებად უნდა მივიჩნიოთ:

- ეკონომიკური ზრდა;
- სრული დასაქმება;
- ეკონომიკური ეფექტიანობა;
- ფასების სტაბილური დონე;
- ეკონომიკური თავისუფლება;
- შემოსავლების სამართლიანი განაწილება;
- ეკონომიკური უზრუნველყოფა;
- საეკონომიკური ბალანსი.

აღნიშნული მიზნებიდან ერთი შეხედვით, მხოლოდ ბოლო (საეკონომიკური ბალანსი) განეკუთვნება უშუალოდ საგარეო მიზნებს, დანარჩენი შეიძლება კი შიდა წონასწორობის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. თუმცა, დღეს, როცა მთელი მსოფლიო მისწრაფის გლობალიზაციისაკენ, რთულია რომელიმე კონკრეტულ მიზანს ეწიროს შიდა ან საგარეო (ან საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი) და მისი მიღწევაც მხოლოდ შესაბამისად შიდა ან საგარეო ფაქტორებით იყოს შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური მიზნების პრიორიტეტულობის განსაზღვრისას ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთიანი შეხედულება არ ჩამოყალიბებულა და სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს სხვადასხვა მიზნები მიაჩნიათ პრიორიტეტულად, მაგრამ ზემოთ-მოთვლილი მიზნების არსებობა თითქოსდა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

იმის გამო, რომ კრუგმან-ბოსფელდის და სამუელსონ-ნორდჰაუსის მიერ ფორმულირებულ მიზნებს მაკონელისა და ბრიუსის მიერ ფორმულირებული მიზნები მოიცავს, და თანაც, იგი უფრო დეტალურად აღწერს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის აუცილებელ მიზნებს, ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური მიზანი *ეკონომიკური ზრდა*აა. იგი უფრო მეტი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოებას – ანუ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. თავისთავად, ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენების გზით. აღსანიშნავია ისიც, რომ ზნორ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდა *გამორიცხვლია უცხოური კაპიტალის მონაწილეობის გარეშე*.

ეკონომიკური ზრდის მისაღწევად გასათვალისწინებელია საგარეო ვაჭრობა (ექსპორტი და იმპორტი), რადგან ქვეყანაში შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ცვლილება გამოიწვევოს იყოს სხვა ქვეყნებში ამა თუ იმ პროდუქციასზე მოთხოვნის ცვლილებით და შესაბამისად, ექსპორტის წახალისებით ან შეზღუდვით და მისი მოცულობების შესაბამისი ცვლილებით. საპრობლემო პროცესში შეიძლება გამოიწვიოს სამამულო ბაზარზე გარკვეული სამამულო პროდუქციის უცხოური დანაცვლების დონის ცვლილებაც. ამდენად, მხოლოდ პირობითად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდა სახელმწიფოს შიდა ეკონომიკური მიზანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები საკმაოდ გერმინობარეა პარტიზონ (და არა მხოლოდ პარტიზონ) ქვეყნებში მიმდინარე პროცესების მიმართ, რაც ასევე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ამ თეზის საუკეთესო დადასტურებაა რუსეთში 1998 წლის 18 აგვისტოს განვითარებული მოვლენები, რასაც მოჰყვა რუსული რუბლის მკვეთრი დევალუაცია და რამაც უდიდესი კვალი დააშინა საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს.

სრული დასაქმება – სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს ყველას, რათა მათ ჰქონდეთ თავისი სურვილისა და შესაძლებლობების შესაბამისი სამსახური. ერთი შეხედვით, აღნიშნული მიზანიც თითქოს მხოლოდ საშინაო მიზნების კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა დასაქმება ვაცისდა შიდა სახელმწიფოებრივ პრობლემას და გლობალური მასშტაბის მიიღო. ძალიან ბევრი ადამიანი საკუთარ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს სამსახურს და ბევრიც სხვა ქვეყნიდან სამუშაოს საძებნელად ჩამოდის. ამდენად, რთულია რაიმე მკვეთრი საზღვრის გაღება ამ მიზნის მიღწევის საშინაო და საგარეო ასპექტებს შორის.

ეკონომიკური ეფექტიანობა – შეზღუდული საწარმოო რესურსების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური უაუგების მიღება. ამ შემთხვევაშიც საგარეო და საშინაო ფაქტორების სინთეზთან გვაქვს საქმე, რადგან მხოლოდ კონკურენციის პირობებში მიიღწევა რესურსების ეფექტიანი გამოყენება. როცა საუბარი მაკროდონეზე გვაქვს, ხასი უნდა გავცვაო ქვეყნებს შორის კონკურენციას, ფარდობითი და აბსოლუტური უპირატესობის გამოყენებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, რაც ეფექტიანობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად მიგვაჩნია.

ფასების სტაბილურობა – ფასების საერთო დონის მკვეთრი ზრდისა და შემცირებისგან, ანუ ინფლაციისა და დეფლაციისგან თავის არიდება. აღსანიშნავია, რომ ფასების დონე ყველაზე უფრო მეტადაა დამოკიდებული ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ვითარებაზე და ამდენად მისი განაწილვაც აუცილებლად საგარეო ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. განათვალისწინებელია, რომ ფასების დონე ექსპორტ-იმპორტის განასაზღვრელია და ამდენად, მას განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც პირველი (ეკონომიკური ზრდა), ასევე მეორე (საეჭარო ბალანსი) მიზნის მისაღწევად.

ეკონომიკური თავისუფლება – მწარმოებლები და მომხმარებლები თავის საქმიანობაში აღჭურვილი უნდა იყვნენ მაქსიმალური თავისუფლებით, რაც უნდა გამოირატებოდეს ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის აბსოლუტური თავისუფლებით. ცხადია, სიტყვა „აბსოლუტური“ ამ შემთხვევაში სულაც არ იმნიშავს მართლაც აბსოლუტურს, მაგრამ თავისუფლების ხარისხი მაღალი უნდა იყოს. ეს კი გამორიცხებულია მხოლოდ შიდა ბაზარზე არსებული შესაძლებლობებით, ან პირიქით, შიდა ბაზრის სხეულისთვის ნაკლებით და პროტექციონისტული საბაჟო პოლიტიკის გატარებით. ეკონომიკურ სუბიექტებს უნდა შეეძლებინათ თავისი შესაძლებლობების გამოყენება იც, სადაც მათთვის ყველაზე კარგი პირობებია, რაც მომთბებთან იქნება როგორც მათთვის, ასევე სახელმწიფოსთვისაც.

შეზღავლებების სამართლიანი განაწილება – მოქალაქეთა არც ერთი ჯგუფი არ უნდა იმყოფებოდეს სიღატაკის მდგომარეობაში, მაშინ, როცა სხვა ჯგუფები იმყოფებიან განცხრომში. თუმცა, თავისთავად ტერმინი „სამართლიანი“ ვერ ასახავს პრობლემის არსს. რა შეიძლება პრობლემოდეს „შემოსავლის სამართლიანი განაწილება“? ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს შეიძლება იყოს „კომუნისტური“ დოკტრინის – ყველას მთოხოვნილების მიხედვით“ ინტერპრეტაცია, სხვების აზრით კი ეწ. „სოციალიზმის პრინციპის – ყველას შრომის მიხედვით“ განხორციელება. სინამდვილეში ეს არც ერთია და არც მეორე. როგორც წესი, საუბარი ესება „შედეგების თანაწირობას“. ვფიქრობთ, ამ მიზნის ქვეშ თანამდებრე ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სოციალური და სხვა ტიპის გართულებების თავიდან აცილებაზე უნდა იყოს საუბარი და არა შემოსავლების მართლაც სამართლიანი განაწილებაზე, რადგან თვით „სამართლიანობის“ დადგენის არანაირი ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მოვლენების ზეგავლენით ადამიანთა ნაწილი, როგორც დევნილები, ტოკევენ თაყიან ძირითად საცხოვრებელ ადგილებს. ისინი ეძებენ პოლიტიკურ თუ სხვა სახის თავშესაფარს სხვა ქვეყნებში, რაც პრაქტიკულად კიდევ უფრო გაუარესებს ხდის მათ მიმართ „შემოსავლების სამართლიანი განაწილების“ პრინციპის განხორციელებას და სახელმწიფოს ამ მიზნის არსს.

ეკონომიკური უზრუნველყოფა – სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ავადმყოფთა, შრომისუნაროთა, მოხუცებულთა და იმ პირთა ღირსეული არსებობა, რომლებსაც სხვადასხვა მო-

ზეზების გამო არ აქვთ მინიმალური შემოსავალიც კი. განსაკუთრებით აქტუალური ხდება აღნიშნული მიზანი ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც მოსახლეობის ნაწილი იქცა დევნილად. მათ თავის ძირითად სახეობურებელ ადგილას დატოვეს მათი არსებობისათვის აუცილებელი ყველა ნივთი და ღვთის ანაბარად არიან დარჩენილები. ამდენად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მათი არსებობისათვის საჭირო პრობლების შექმნა. ხშირად ადამიანთა ნაწილი პოლიტიკური და სხვა მონაწილეების გამო ტოვებს სამშობლოს და სხვა ქვეყნებში ეძებს თავშესაფარს. მიმდებარე ქვეყანა ვალდებულია მათ მიმართაც გახანოციყოლოს ანალოგიური საკმარისობა და უზრუნველყოს ისინი საარსებო საშუალებებით, მანამდე მანც, ვიდრე ისინი არ შეძლებენ საკუთარი არსებობისათვის საჭირო სახსრების თავად მოპოვებას.

საეჭრო ბალანსი – სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს საერთაშორისო ეაჭრობისა და საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების დროს დაიცვას გონივრული ბალანსი. იმის მტკიცება, რომ საეჭრო ბალანსის დაცემა მხოლოდ და მხოლოდ საგარეო მიზანია, საკმაოდ რთულია, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ბევრდაა დამოკიდებული ეკონომიკურ ზრდაზე, ფასების საერთო დონეზე; როგორც ცნობილია, საეჭრო ბალანსი სხვა არაფერია, თუ არა ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა; მათი მოცულობები დამოკიდებულია როგორც წარმოების მოცულობასა და დარგობრივ სტრუქტურაზე, ასევე მოხმარების მოცულობასა და სტრუქტურაზე. ამდენად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად არ ემართა სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება და ხელშეწყობი ბარიერებით იმპორტის შეზღუდვა, საუბარი ალბათ უფრო მეტად ექსპორტის ხელშეწყობით პოლიტიკის განხორციელებასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას უნდა შეეხებოდეს, რადგან თავთა იმპორტი, თავისუფალი ბაზრის პირობებში, ძირითადად მაინც ადგილობრივ ბაზარზე დევიციტის დაფარვის საუკეთესო წყაროა. ამდენად, იმპორტის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს რაღაც ბაზარს მიაწოდოს ანალოგიური პროდუქცია, რომლის ხარისხობრივი მანქნებლები არ ჩამოვარდება იმპორტულ ანალოგების და ფასიც არ აღემატება იმპორტული ანალოგების ფასს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღნიშნული მიზნების ინტეგრირეტიაცია კი საკმაოდ რთული და ხარისკო საქმეა, რადგან თავთა ამ მიზნების ამგვარი რედაქციის ავტორიცი კი არ განმარტავს, თუ რა შეიძლება ჩათვალოს „მკვეთრ ზრდად“, „სამართლიან განაწილებად“, „გონივრულ ბალანსად“ და ა.შ., რაც იწვევს საკმაოდ დიდ დისკუსიას და ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობასაც კი არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ მსჯელობებშიც³.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მიზნები შეიძლება იყოს როგორც ურთიერთშეპასუხებელი, ასევე ურთიერთგამომრიცხავი.

შავალიადა, ეკონომიკური ზრდა წარმოდგენილია ეფექტიანობისა და სრული დასაქმების გაერეზე. თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდა ფასების სტაბილურ დონესა და ეკონომიკურ უზრუნველყოფას განაპირობებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფლაციის ტემპების ზრდას, როგორც წესი, უშუშეურობის შემცირება (დასაქმების ზრდა) მოყვება და პირიქით, ხოლო დასაქმების ზრდა ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარებების (ეკონომიკური უზრუნველყოფის) აუცილებლობას და მის ოდენობას.

სახელმწიფოს უშთაერესი ეკონომიკური მიზანი – ეკონომიკური ზრდა, რომელიც ზემოთ უკვე გეკონდა საუბარი, ხშირ შემთხვევაში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფასად მოსდევს. ამდენად, უკანსკნელ ხანს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება ეკლოგოურ პრობლემებს ეთმობა.

აღნიშნული ეკონომიკური მიზნების განხორციელებაში ელინდება სახელმწიფოს *ეკონომიკური ფუნქციები*, რომლებიც შეეძლება ჩამოეყალიბოთ, როგორც ზემოთაღნიშნული მიზნების განხორციელების პრაქტიკული წარმოება.

მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებთან დაკავშირებითაც განსხვავდება, თუმცა გარკვეული კომპრომისების შემდეგ შესაძლოა აქაც მაკროლისა და ბრუნის კლასიფიკაციით ეხებლმდენაწილოთ და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები შემდგენარად ჩამოეყალიბოთ:

- ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნა;
- კონკურენციის დაცემა;

³ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ საუბარია „საეჭრო ბალანსზე“ და არა „საგადამდებლო ბალანსზე“.

⁴ აქ არ შეიძლება არ გაეისხნოთ ბერნარდ შოუს ცნობილი გამოთქვამი, რომელიც თავის წიგნში „ეკონომიკის პრინციპები“, მოყვანილი აქვს თანამდებრობების ერთ-ერთ ცნობილ ეკონომისტს გრეგორი ნ. მენკინს - „ეკონომისტებს თუნდაც ერთი საკმის ბოლოზე მიყვანაც რომ დავალონ, ისინი ევროსოფის შეთანხმდებიან“. სწორედ აღნიშნული თეზა უღვეს საფუძვლად ჩვენს მსჯელობასაც, რადგან საკმაოდ რთული აღმოჩნდა ეკონომისტთა შორის, თუნდაც საკმაოდ ტრივიალურ და მარტივ საითხებზეც კი ერთიანი პოზიციის მოპოება.

შემოსაღებლებსა და სიმდიდრის გადაწაწილებას;

ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით რესურსების განაწილების კორექტირება;

- ეკონომიკის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის წახალისება.

შევეცადეთ მოკლედ განვიხილოთ სახელმწიფოს კონომიკური ფუნქციები, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ფუნქცია (მაგალითად, ეკონომიკის სტაბილიზაცია, ეკონომიკური ზრდის წახალისება, შემოსაღებლისა და სიმდიდრის გადაწაწილება) პრაქტიკულად კონკრეტული ეკონომიკური მიზნებიდან (ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, სოფელი დასაქმება, ფასების სტაბილური დონე, ეკონომიკური უზრუნველყოფა და შემოსაღებლის სამართლიანი გადაწაწილება) უშუალოდ გამომდინარეობს. ამდენად, მიზნები ასახავს ფუნქციების არსს. ამასთან, ფუნქციების თანმიმდევრობას შეეცდებით და მაკონკრეტოვებთ მათ რაღაც მიერ დასახელებულ პირველ ფუნქციას ფუნქციების ბოლოს განვიხილავთ, რადგან აღნიშნული ფუნქცია, ჩვენი აზრით ერთგვარად აჯამებს დანარჩენ ფუნქციებს და ქმნის მათი შესრულების ბაზას.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები „ბაზრის ფისკოს“ დაძლევის საშუალებაა თუ განვიხილავთ მაკონკრეტოვებთ და ბროუს რედაქციით ჩამოყალიბებულ ფუნქციებს (გარდა პირველისა), დავინახავთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები „ბაზრის ფისკოს“ სამი შემადგენელი ნაწილის – საზოგადოებრივი საქონლის (მ.შ. კაპისაზოგადოებრივი საქონლის) წარმოებას, გარე (ექსტერნული) ფუნქციების და არასაკმარისი კონკურენციის დაძლევას „ემსახურებთან“.

კონკურენციის დაცვა - იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენცია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დროს განვითარების უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორია და მწარმოებლების ინტერესების მომხმარებლების ინტერესებისადმი დამორჩილება სწორედ კონკურენციის წყალობით ხდება და ბაზარი მომხმარებლის ინტერესების დაცვის ფუნქციას იძენს, როდესაც მას (მომხმარებელს) საშუალება აქვს მისთვის სასურველი ფასისა და თვისებების პროდუქტია შეიძინოს, გასაგებ ხდება, თუ რატომბა მისი შენარჩუნება აუცილებელი. მაგრამ ბაზარი, რომელიც არ არის თვითრეგულირებადი სისტემა, კონკურენციის მეშვეობით ებრძვის კონკურენციას, ანუ ძლიერისა და სუსტის ბრძოლა, რომელიც განვითარების სტიმულია, შესაძლოა ბაზარზე მხოლოდ ერთი მთვანის, ძლიერის დარჩენის საფუძველი გახდეს. „ჯუნგლების კანონი“, რომელიც შესაძლებელია ეკონომიკურ ურთიერთობებში გადმოვიდეს, საბოლოო ჯამში მომხმარებლის ინტერესებს შელახავს, რადგან შეზღუდული კონკურენციის პირობებში მონოპოლისტს შესაძლებელია ძილვეა ბაზარზე მომხმარებელს საუკეთესო ფასი და სხვა პირობები უკარნახოს. თუ გაითვალისწინებთ აქსიომატურ გამოთქვებს, რომ ყველა მწარმოებელი მომხმარებელია, მაგრამ ყველა მომხმარებელი მწარმოებელი არაა, ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცავს უმრავლესობის ინტერესს და შეზღუდოს მონოპოლისტური გაერთიანებების წარმოქმნა, ხოლო თუ გარკვეული პირობების გამო, შეზღუდვა შეუძლებელია, მაშინ პირობები (მ.შ. ფასი, ხარისხი და ა.შ.) უკარნახოს მეწარმე სუბიექტებს, ან თავად სახელმწიფო იყოს მონოპოლისტი და ამით აღმოუჩნდეს განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი და „ბაზრის ფისკო“.

რესურსების გადაწაწილება - ხშირ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმი ზოგიერთი სახის საქონლისა და მომსახურების საჭირო რაოდენობით წარმოებას ვერ უზრუნველყოფს, ან საერთოდ არ გამოყოფს რესურსებს იმ საქონლის საწარმოებლად, რომლის წარმოებაც ეკონომიკურად მეწარმისათვის გაუმართლებელია, მაგრამ საზოგადოებისათვის აუცილებელია. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება „გარე ეფექტებს“, ხოლო მეორე შემთხვევაში - ე.წ. „საზოგადოებრივ საქონელს“.

„გარე ეფექტებდ“ უნდა მივიჩნიოთ ის ეფექტები, რომელსაც წარმოება ახდენს სხვა პირზე (მ.შ. ბუნებაზე) ან საზოგადოებაზე და ამ ეფექტების დაძლევისათვის ხარჯები უნდა გაიღოს მესახე პირმა, ანუ მან, ვისაც არც წარმოების და არც მოხმარების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო „საზოგადოებრივ საქონელს“ განეკუთვნება ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის გამოირიცხვადი (დამატებითი მომხმარებელს შეუძლია მისი უსასყიდოდ მიღება და შეუძლებელია რაიმე ბარიერის დაწესება, რათა მომხმარებლისათვის მისი გამოყენება მიუწვდომელი გახდეს და შეუძლებელია მომხმარებლის გამორიცხვა ან საქონლის მოხმარების პროცესიდან) და კონკურენტული (წარმოების ნებისმიერი მოცემული დონისას ზღვრული დანახარჯები დამატებითი მომხმარებლისათვის ნულის ტოლია), ხოლო კაპისაზოგადოებრივია საქონელი, რომელიც შეიძლება იყოს ან კონკურენტული, ან გამორიცხვადი, ან ორივე ერთად. ამავე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაშიც მასშტაბის ეფექტი აქვს მნიშვნელობა.

გარე ეფექტების წყალობით, იმის გამო, რომ კონკურენტული ეკონომიკური სუბიექტი ახდენს მის მიერ გასაწევი ხარჯების მესამე პირზე გადასახდელს, მისადები მოვლის ოდენობა იზრდება და ფირმა რესურსების გადმოიხივებს წყალობით წარმოების გაფართოვებას ახდენს.

სახელმწიფო ვალდებულია დააწესოს გარკვეული ნორმები და/ან გადასახადები, რომლებიც შეზღუდავს ასეთი ტიპის საწარმოთა გაფართოვებას ან მიღებულ სახსრებს მიყენებული ზარალის ასანახადურებლად მიმართავს.

გარე ფეფქტები შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ უარყოფითი, არამედ დადებითიც. მაგალითად, განათლება, ვაქცინაცია და სხვა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო შეიძლება წაახალისოს ან მოთხოვნა (ტრანსფერტების სახით), ან მიწოდება (სუბსიდირების სახით), ან თავად გამოედეს მწარმის როლში.

სრულიად საწინააღმდეგო მიდევანსთან გვაქვს საქმე „საზოგადოებრივი საქონლის“ შემთხვევაში. საზოგადოებრივი საქონლის კლასიკური მაგალითია შეუქურა, რომლის მომსახურების მიზნად და შესაბამისად დირექტულების გადახდაც ე.წ. „გამორიცხვის მთიფილი“ შეუძლებელია. ამდენად, ბაზარზე პრაქტიკულად შეუძლებელია მოიძებნოს კერძო კომპანია, რომელიც დაფინანსებს მის წარმოებას, არადა ბევრ ადგილას ნაიგაცია შეუქურას ბარზე შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად, სახელმწიფო თავად იღებს ვალდებულებას დააფინანსოს ანალოგური დოკლათის წარმოება.

საბაზრო სისტემის ნაკლებანგებების („ბაზრის ფიასკოს“ შემადგენელი ნაწილების) დაძლევის მიზნით სახელმწიფო თავად იწყებს გარკვეული სახის პროდუქტის წარმოებას.

იქვე ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც აუცილებლად უნდა შესასრულოს სახელმწიფომ, არის *შეზღუდვების და სტიმულის გადართობა*, რათა მიღებული იქნას სოციალურად დაუჭიკელი ფუნქციის დაიცვა ე.წ. „შეზღუდვების სამართლიანი გადაწაწილება“, მაგრამ რეალურად აღნიშნული ფუნქციის უშთაერესი დანიშნულება საზოგადოების სოციალური სიმშვიდის უზრუნველყოფაა და არა სიმდიდრის თანაბარი განაწილება.

აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო ხადასახადო სისტემას იყენებს და ბეტრავს რა მაღალ შემოსავლიან ფუნქებს, მიღებული თანხებით ცდილობს ნაკლებად უზრუნველყოფილი ფუნქციის „გული მოიღოს“.

ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის წახალისების ფუნქცია სახელმწიფოს ერთ ერთ უშთაერეს მართკონომიკურ ფუნქციად შეიძლება მიიჩნიოთ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მაკროეკონომიკურ მიკროეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების წახალისებასთან, რაც შესაბამისი მაკროეკონომიკური ინდიკატორების წყალობით მიიღწევა, კერძოდ, ფასების სტაბილური ღირსის, დასაქმების მაღალი ღირსის უზრუნველყოფით სახელმწიფო ცდილობს შესაბამის გარემო შექმნას, რომელშიც მწარმებელს ხოლოდ წარმოებაზე იფიქრებს და არა იმ რისკზე, რომელიც შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან „სიერპრიზად“ მოევიდნოს.

ამგვარად, ჩვენ მივადგით სახელმწიფოს უშთაერეს ეკონომიკურ (და არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ზოგადსახელმწიფოებრივი) ფუნქციას, *საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნის* აღნიშნული ფუნქცია გარკვეულად აერთიანებს ყველა დანარჩენ ფუნქციას, რადგანაც ზემოთაღნიშნული ფუნქციების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, „თამაშის წესები“ და სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტებია. გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია საზოგადოებრივ აზრზე და სოციალურ ფაქტორებზე. არაქისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ რუსეთში 1917 წლის თებერვალში და ოქტომბერში განხორციელებული გადატრიალებები, რომელსაც ჩვენ „თებერვლის რევოლუციისა“ და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ სახელებით ვიცნობთ, სოციალური უკმაყოფილებების ბაზაზე მოხდა. ამდენად, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ფუნქციების შესრულება, ზოგადად საბაზრო სისტემის ფუნქციონირებისათვის საფუძვლს ქმნის, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური რისკი მაღალია.

იქვე ერთ ასპექტს გავუცხებთ ხაზს, რომელიც ეფიქრობთ, აღნიშნული ფუნქციის „შემაღვენილი ნაწილია“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარმოების 4 ფაქტორია მიწა, შრომა, კაპიტალი და სამეწარმეო უნარი, რომლებზეც ნაწილდება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლება.

აქ აღსანიშნავია ერთი ფაქტორი – ჩრდილოვანი ეკონომიკა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა სარგებლობს ყველა იმ ფაქტორით, რომლითაც ლეგალური ეკონომიკა და შესაბამისად, შემოსავლებიც ისეთივე პრინციპებით ნაწილდება, როგორც ლეგალურ ეკონომიკაში, არსებითი განსხვავება ლეგალურ და ჩრდილოვან ეკონომიკას შორის, ჩვენი აზრით, სწორედ წარმოების მეხუთე ფაქტორი – სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი და შესაბამისად, მისგან მიღებული შემოსავალია, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის შემთხვევაში სახელმწიფოს ხელში არ ხვდება.

ლეგალურ ეკონომიკაში, *სადაც მხოლოდ სახელმწიფო ასრულებს სახელმწიფოს ფუნქციებს*, ირიბი გადასახადების სახით შემოსავლები ბიუჯეტში მიიმართება, ხოლო სხვა შემთხვევაში, როცა თუნდაც მცირე სტაბილური სახელმწიფო თუნდაც იოტის ოდენადაც ეერ ასრულებს საკუთარ ფუნქციებს და მის ფუნქციებს „ასრულებენ“ სხვები, შემოსავლების რიდი ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გამოყენებით იქმნება და ამის გამო ბიუჯეტში უნდა შედიოდეს, ე.წ. „ჩრდილოვანი ბიუჯეტის“ მეშვეობით ნაწილდება.

წარმოების სხვა დანარჩენი ოთხი ფაქტორიდან (მიწა, შრომა, კაპიტალი და სამეწარმეო უნარი) მიღებული შემოსავლები, მიუხედავად იმისა, ჩრდილოვან ეკონომიკაშია იგი გამოყენებული თუ

დღეგალურში, ძირითადად, ერთნაირად ნაწილდება რენტის, ხელფასის, პროცენტის ან მოგების სახით. გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როდესაც წარმოების ზემოდასახელებული ოთხი ფაქტორიდან შემოსავლები მიიღება დღეგალურ ეკონომიკაში, მათი ნაწილი პირდაპირი გადასახადების სახით ისევ ბიუჯეტში აკუმულირდება, მაშინ, როცა ჩრდილოეთი ეკონომიკაში გაუმყვებელი ფაქტორებიდან მიღებული შემოსავალი პრაქტიკულად მხოლოდ ამ ფაქტორთა მფლობელებს რჩება, ანუ შემოსავლის მიმღებნი (მაგალითად, დაქირავებული მუშები მიღებული ხელფასიდან, ან მეწარმეები მოგებიდან) არ იხდიან საშემოსავლო ან პროცენტ გადასახადს.

ჩრდილოვანი ეკონომიკა სხვადასხვა ზომით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს და „ჩრდილოში“ მოღვაწე კომპანიები სახელმწიფოს მის კუთვნილ შემოსავლებს (გადასახადებს) არ ხდიან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შემოსავლის ამ გადასახდელი ნაწილით მთლიანად მეწარმე სუბიექტთა შემოსავალი და მათ შორის, მოგება იზრდება.

ხშირად, სახელმწიფოსათვის გადასახდელი თანხები სხვადასხვა ფურის ადამიანებს შორის ნაწილდება, კერძოდ, ბიუროკრატის წარმომადგენლებთან, ე.წ. *ქრთამის* და სხვადასხვა არაფორმალურ გაერთიანებებთან ე.წ. „წილის“ სახით.

რეკეტი, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური, სახელმწიფო მანქანის მიერ საკუთარი ფუნქციების არასრულფასოვნად შესრულების ხარჯზე მისი (სახელმწიფოს კუთვნილი) *შემოსავლების ნაწილის მითვისების გზით, თავისთავზე იღებს სახელმწიფოს ფუნქციის შესრულების მოვალეობას, მათ შორის, ეკონომიკური გარემოს ფორმირების* და მეწარმე სუბიექტთა „დაცვის“ ფუნქციის შესრულებას.

ქრთამი და „წილი“ შესაძლებელია ჩვეთვლილ ასევე *არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადების ნაწილად*, რომელიც სახელმწიფოსათვის გადასახდელ არაპირდაპირ გადასახადებთან ერთად ჯაშში შეადგენს შემოსავალს ბიზნესიდან, რომელიც ნაწილდება უშუალოდ სახელმწიფოსა და „რეკეტიორებს“ შორის.

სახელმწიფოს ინტერესებშია მისი გავლენის ზრდა და ბიუროკრატისა და რეკეტის გაელენის შემცირება, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციების უკეთ განხორციელებას გუშვავს ხელს და ასევე მკუთვრად გააჯანსაღებს ბიზნესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ შემცობს.

სახელმწიფოს მხრიდან სწორედ აღნიშნულ ეკონომიკურ მიზნებსა და ეკონომიკურ ფუნქციებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრაში და მათ ჯეროვნად შესრულების პროცესში, თანმიმდევრული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და აღსრულებას გამოიხატება პოლიტიკის და, უპირველეს ყოვლისა, მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი.

შერეული ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკაზე ზემოქმედების ბერეკტების თვალსაზრისით სახელმწიფო საქმადო შეზღუდულია. ამდენად, ეკონომიკური მიზნების სწორად შერეევის, მათი მიღწევის შესაძლო ვარიანტების გათვალის და შედეგების წინასწარ განჭვრეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

იმისდა მიხედვით, თუ რომელი მიზნების პრიორიტეტულობას ირჩევს სახელმწიფო, შესაძლებელია მისი (აღბათ, უფრო სწორი იქნება – ხელისუფლების) „სახისათის“, კერძოდ კი - მისი სოციალური ორიენტაციის დადგენა.

თუ სახელმწიფო ძირითად პრიორიტეტად აღიარებს ეკონომიკურ ზრდას, იგი ვერ მიიღწევა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის გარეშე, რაც ისევედ ეუმერულ „შემოსავლების სამართლიან განაწილებას“ კითხვის იწინის ქვე აყენებს და პირველ ტაპზე სოციალური პროგრამების დაფინანსებასაც ამცირებს. შემდგომში, როცა ეკონომიკურ ზრდას უკვე ხელშეშახები შედეგები ექნება, სოციალური უზრუნველყოფის საკითხების მნიშვნელოვნად წამოწევა ცახდება შესაძლებელი.

1-6. მიკროეკონომიკური თეორიის როლი მაკროეკონომიკაში

მიკროეკონომიკა – მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ცალკეული სამეურნეო ერთეულების საქმიანობას. მიკროეკონომისტები სწავლობენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს და ურთიერთქმედებას ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების ბაზარზე. მიკროეკონომიკის ფუნქციონირება წინაპირობა – ეს არის ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ მათი თვალსაზრისით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება, მათ მიერ დასახული მიზნებიდან და მათ მისაღწევად არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე. მიკროეკონომიკურ მოდელებში საოჯახო მეურნეობა ყიდვების განხორციელებისას გამოიღიან სარგებლიანობის მაქსიმიზაციიდან, ხოლო ფირმები, რომლებიც ღებულობენ გადაწყვეტილებას წარმოებაზე – მოგების მაქსიმიზაციიდან.

რამდენადღე მაკროეკონომისტების მიერ შესასწავლი მოვლენები და პროცესები, რომლებიც ეკონომიკაში მოვლიანობა ხდება, საბოლოო ჯამში ყალიბდება მრავალი სარჯახო მეურნეობისა და მრავალი ფირმის ურთიერთქმედების შედეგად, მაკრო და მიკროეკონომიკა განუყოფელი არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ეკონომიკის მთლიანობაში შესწავლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ცალკეული ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები. მაგალითად, ერთობლივი მოთხოვნის

ფაქტორების გამოსავლენად უნდა გაეანალიზოთ ოჯახის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენს მოიხმარს დღეს და რამდენს გადადებს სამომავლოდ. ინვესტიციების საერთო მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოსავლენად აუცილებელია წარმოდგენა ექონლით ფორმების გადაწყვეტილების თაობაზე ახალი საწარმოების მშენებლობის შესახებ. რამდენადაც მაკროეკონომიკური მანევრები იმ ცვლადების უბრალო ჯამია, რომლებიც ყალიბდება ცალკეული პირებისა და საწარმოების გადაწყვეტილებათა შედეგად, მაკროეკონომიკის საფუძვლები ყალიბდება მიკროდონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მაკროეკონომიკური მოდელები მიღმა ყოველთვის იმყოფება გადაწყვეტილებით, რომლებიც მიიღება მიკროეკონომიკურ დონეზე, მრავალ მოდელში ფორმებისა და საოჯახო მეურნეობების ოპტიმალური გადაწყვეტილების თვალსაზრისიდან გამომდინარე, რაც განსაზღვრავს მათ ქცევას, აშკარა უორმით კი არ არსებობს, არამედ იგულისხმება. პურის ბაზრის ჩვეულებრივ მოდელი ამის მაგალითია. პურზე მოთხოვნის საფუძვლად დევს საოჯახო მეურნეობების გადაწყვეტილება საყიდელი პურის რაოდენობაზე, ხოლო პურის მიწოდება კი განისაზღვრება პურის საცხოვრო გადაწყვეტილებებით მისი წარმოების მოცულობის თაობაზე. იგულისხმება, რომ საოჯახო მეურნეობა გადაწყვეტილებას ღებულობს სარგებლობის მაქსიმისაციოდ, ხოლო საცხოვრები - მოგების მაქსიმისაციოდან გამომდინარე. ამასთან, თავისთავად აღნიშნული მაკროეკონომიკური გადაწყვეტილებები მოდელზე არ არსებობს: ისინი ერთგვარად მის „ფონს“ ასახავს. ზუსტად ასევე, ფორმებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ მათი თვალსაზრისით ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ ბუნდობიანად არსებობენ მთელს მაკროეკონომიკაში.

ეკლექტიური მაკროეკონომიკა

მაკროეკონომისტები მიმართავენ სხვადასხვა საკითხებს. მაგალითად, ისინი იკვლევენ საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკის ხელშეწყობას ეროვნულ დანოვანებზე, უმუშევრობაზე და სხვადასხვაზე. გავლენას უმუშევრობის დონეზე ან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლს ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაში. მაკროეკონომიკა ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით ეკონომიკა.

რამდენადაც არ არსებობს ერთადერთი მოდელი, რომელიც უნარიანა მაშინათვე პასუხი გასცეს ყველა ამ კითხვას, მაკროეკონომისტებს უწევთ გამოიყენონ სხვადასხვა მოდელი. ყველაზე მთავარი და ყველაზე რთული კონფლიქტისათვის, რომელიც სწავლობს მაკროეკონომიკას - ეს არის მოდელირება მიუკვლეობაში იმის ქნა, რომ არ არსებობს ერთადერთი „ზუსტი“ მოდელი. მის მაგივრად გამოიყენება მრავალი მოდელი, რომელთაგანაც თითოეული განსაზღვრულ ამოცანას ხსნის.

ამიტომ, მოცემულ წიგნში შემოთავაზებულია მოდლების დიდი რაოდენობა, რომელთა დანიშნულებაა სხვადასხვა პრობლემების გადაჭრა და რომლებიც აგებულია სხვადასხვა ამოსავალ წინაპირობებზე. გეგმისთვის, რომ მოდელის ხარისხი დამოკიდებულია მისი ამოსავალი დებულების ხარისხზე და რომ ერთსა და იმავე დაშვებას შეუძლია ხელი შეუწყო ამოცანის გადაჭრას ერთ შემთხვევაში და მიგვიყვანოს არამართებულ დასკვნამდე სხვა შემთხვევაში. გარკვეული პრობლემების გადასაჭრელად ამა თუ იმ მოდელის გამოყენებისას მაკროეკონომიკაში ყოველთვის უნდა იფიქროს იმაზე, კორექტულია თუ არა განსახილველი მოდელი დაშვებები ცოცხლი კონკრეტული შემთხვევისათვის.

ფასები: მოქნილი და მოუქნელი

მაკროეკონომიკური მოდელების ერთ-ერთი ფუნქციონალური დაშვებაა ფასებისა და ხელფასის ცვლილებები ბაზარზე ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად. ეს ყველაზე მწვავე სადისკუსიო საკითხია მაკროეკონომიკაში.

ეკონომისტები ჩვეულებრივ გამოდიან იმ მსჯელობიდან, რომ საქონელსა და მომსახურებაზე ფასები იცვლება მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორების ამოცანასთან შესაბამისად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ვარაუდობენ, რომ მოცემული ფასის პირობებში მყიდველებმა ოყიდეს ყველაფერი რაც მათ სურდათ, ხოლო გამყიდველებმა გაყიდეს ყველაფერი, რაც გაიზარახეს. ამ ვარაუდმა მიიღო *ბაზრის გაწონასწორების* სახელწოდება და ის საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ განხილულ პურის ბაზარს. უმრავლეს კითხვებზე პასუხების ძიებისას ეკონომისტები სარგებლობენ ბაზრის გაწონასწორების მოდელით.

მაგრამ საბაზრო წონასწორობის მდგრადობაზე ვარაუდი ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს. იმისათვის, რომ ბაზრებზე მუდმივად შენარჩუნდეს წონასწორობა, ფასები მუდმივად უნდა იცვლებოდეს მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებებზე რეაგირებით. უფრო მეტიც, სინამდვილეში, ფასებისა და ხელფასების შესაბამისი ცვლილებები ხშირად ნელა მიმდინარეობს. შრომითი კონტრაქტები ხშირად ხელფასს განსაზღვრავენ სამი წლით. მრავალი ფირმა საკუთარ საქონელზე ფა-

სებს უცვლელი ტოუებს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში: ეურნალების გამომცემლები, მავალითად, ფასებს ცვლიან მხოლოდ სამჯერ ან ოთხჯერ წელიწადში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის გაწონასწორების მოდელებში ივარაუდება ფასებისა და ხელფასის მოქნილობა, სინამდვილეში ზოგიერთი სახის ფასი და ხელფასი ხისტია.

პრაქტიკაში დაკვირვებადი ფასების სისხისტე ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გაწონასწორების მოდელი მიუღებელი იყოს. ფასები აბსოლუტურად უცვლელი როდია და საბოლოო ჯამში ისინი მაინც იცვლება მოხსოვნისა და მიწოდების ცვლილებებთან ერთად. წონასწორული ბაზრის მოდელი არ გულისხმობს იმას, რომ დროის ნებისმიერი მომენტისათვის მყისიერად მყარდებოდა საბაზრო წონასწორობა, მაგრამ ეს მოდელი აღწერს იმ მდგომარეობას, რომლისკენაც მიისწრაფვის ეკონომიკა საბოლოო ჯამში. ამგვარად, მაკროეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ ფასების მოქნილობაზე ვარაუდი სრულიად გამართლებულია გრძელვადიანი მოვლენების გამოსაკვლევად, ისეთების, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა ერთმანეთის მონაცვლე ათწლეულების განმავლობაში.

ამასთან, მოკლევადიანი მოვლენების კვლევების დროს, როგორცაა ყოველწლიური ეკონომიკური რყევები, ფასების მოქნილობაზე დებულება ნაკლებად კორექტულია. მოკლევადიანი პერიოდების განმავლობაში ფასების მრავალი სახე ნარჩუნდება ერთსა და იმავე დონეზე. ამიტომ, მაკროეკონომისტების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ მოკლევადიან ასპექტში ეკონომიკის კვლევისათვის უფრო გამოსადეგია დებულება ფასების სისხისტეზე.

ძირითადი მასკმენაი

1. მაკროეკონომიკა იკვლევს ეკონომიკას მთლიანობაში, რომელიც მოიცავს შემოსაყვლების ზრდას, ფასების სტაბილიზრობას და უმუშევრობის დონეს. მაკროეკონომისტები ისწრაფვიან არა მხოლოდ ახსნან მიმდინარე მოვლენები, არამედ შეიმუშაონ ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ეკონომიკის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად.

2. ეკონომისტები სარგებლობენ მოვლევით – ეკსოგენური ცვლადების ენდოგენურზე გაყვენის გამარტივებული თეორიული სქემებით – იმისათვის, რათა გაეიგოთ ეკონომიკური რეალობა. ეკონომიკური თეორიის მთელი ხელყოლება იმაშია, რათა განისაზღვროს, მოხვრხდა თუ არა მოვლელში ეკონომიკის უმნიშვნელოყენესი ურთიერთყვეშირების „დაჭყრა“.

3. მიკროეკონომიკა – მეცნიერებაა იმაზე, თუ როგორ დებულობენ გადაწყვეტილებას საოყახხო მურნებობები და ფირმები და როგორ ურთიერთყმედებენ ერთმანეთში ეს ეკონომიკური აგენტები. რამდენადაც მაკროეკონომიკური მოვლენების საფუყმლად დევს ურთიერთყვეშირები, რომლებიც წარმოიშევიან მიკროდონეზე, მაკროეკონომისტები ხშირად სარგებლობენ მიკროეკონომიკის ინსტრუმენტებით.

4. არ არსებობს ერთადერთი მოვლელი, რომელიც უნარიანი იყოს პასუხი გასცეს ყველა კითხყას. ამიტომ, მაკროეკონომისტები სარგებლობენ მრავალი მოვლევით, რომელთაგან თითოეული წყეოტებს გარკყეულ ამოცანას.

5. ეკონომიკური მოვლელების ძირითადი წინაპირობაა ფასების მოქნილობა ან მოუყნელობა. მაკროეკონომისტთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ბაზრის გაწონასწორების მრავალი მოვლელი აღწყრს ეკონომიკის განვითარებას გრძელვადიან პერიოდში, მაშინ, როდესაც მოკლევადიან პერიოდში ფასები მოუყნელი რჩება.

ძირითადი ცნებები

მაკროეკონომიკა

მოვლეები

ენდოგენური და ენდოგენური ცვლადები

მიკროეკონომიკა

ბაზრების გაწონასწორება

მოქნილი და ხისტი ფასები

სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მიზნები

სახელმწიფოს მაკროეკონომიკური ფუნქციები

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, გვ. 39-54
2. Сакс Дж.Д., Ларсен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, გვ. 20-37
3. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, გვ. 25-49
4. Т.А. Агапова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДиС. 2002. გვ. 14-22
5. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002. გვ. 16-52
6. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999. გვ. 7-23
7. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, გვ. 2-15
8. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, გვ. 3-21
9. Burda M., Wyplosz C. Macroeconomics: A European Text, 3rd ed., Oxford University Press, 2001, გვ. 3-22
10. Turner P. Modern Macroeconomic Analysis, McGraw-Hill, 1993, გვ. 2-12

თავი 2. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

თეორიების აგება მონაცემების გარეშე საშინელი შეცდომაა. ადამიანები არაცნობიერად ფაქტებს უსადაგებენ თეორიას იმის მაგივრად, რომ თეორიები ააგონ არსებული ფაქტების საფუძველზე.

შერლოკ პოლმისი

მაკროეკონომიკა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერება, ეფუძნება თეორიებისა და დაკვირვებების ურთიერთქმედებას. ვინაიდან მაკროეკონომიკური შესწავლის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის გაგება, ეკონომიკური დაკვირვებები თეორიების ჩამოყალიბების საფუძველია. ამა თუ იმ თეორიის შემუშავებისას ჩვენ ყველა მიემართაეთ დაკვირვებებს მათი შემოწმების მიზნით.

შემთხვევითი დაკვირვებები წარმოადგენს მონაცემთა ერთ-ერთ წყაროს ეკონომიკის შესახებ. როდესაც დადინართ მაღალიბში, ხედავთ, თუ როგორ სწრაფად იზრდება ფასები. როდესაც ეცხობ სამსახურს, გეზულობთ ფირმები ქირაობენ თუ არა მომუშავეებს. ჩვენ ყველანი ეკონომიკური პროცესების მონაწილე ვხდებით და დროთა განმავლობაში ვიძინთ ეკონომიკურ აღლოს.

ეკონომიკური სტატისტიკა უფრო სისტემატიზებული და ობიექტური ინფორმაციის წყაროა. მთავრობა რეგულარულად ატარებს გამოკვლევებს ეკონომიკური მონაცემების მიღების მიზნით ცალკეული შოკლაკეებისა და ფირმების ეკონომიკური საქმიანობის, მათი შემოსავლების, მოთხოვნის სტრუქტურის, მათ მიერ დაწესებული ფასებისა შესახებ და ა.შ. მიღებული მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშება სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებელი, რომლებიც მთლიანობაში ეკონომიკის მდგომარეობას გვიხასიათებს. მაკროეკონომისტები სარგებლობენ აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლებით ეკონომიკური პროცესების გასაანალიზებლად. სტატისტიკური მაჩვენებლები ეხმარება ეკონომიკური პოლიტიკის ავტორებს ეკონომიკური მოვლენების შეფასებასა და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებაში.

ეს თავი ეძღვნება სამი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის შესწავლას, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ეკონომიკური ანალიზისა და ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის შეფასების დროს. ეს მაჩვენებლებია: მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP), რომელიც გვიხასიათებს მოცემულ ქვეყანაში მიღებულ ყველა შემოსავალს და საქონლისა და მომსახურების შექმნაზე გაწეულ მთლიან დანახარჯებს; სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI), რომელიც გვიხასიათებს ფასების დონის და უმუშევრობის დონე, რომელიც გვიჩვენებს სამუშაო ძალის ნაკლებობას ეკონომიკაში უმუშევართა წილს. ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ გამოიყენება ეს მაჩვენებლები და რა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობებს იძლევიან ეკონომიკის შესახებ.

2-1. ეკონომიკური საქმიანობის შედეგების გაზომვა, მთლიანი შიდა პროდუქტი და სხვა ინდიკატორები

მთლიანი შიდა პროდუქტი¹ ეკონომიკის მდგომარეობის საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება. სტატისტიკური მონაცემები მოწოდებულია ეკონომიკური საქმიანობის შედეგები ერთიან ლირებულბით მაჩვენებელში გამოხატოს. უფრო დეტალურად იგი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

- ყველა ეკონომიკური აგენტის ერთობლივი შემოსავალი;
 - საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე გაწეული დანახარჯების საერთო მოცულობა.
- მშპ-ს შეუძლია დაახასიათოს ეკონომიკის მდგომარეობა იმიტომ, რომ ადამიანები მტ შემოსავალს ამჯობინებენ ნაკლებს. ეკონომიკის მდგომარეობა იმიტომ, რომ ადამიანები მტ მომსახურების მოცულობა, მით მეტია პირადი, საწარმოო და სახელმწიფო მოხმარების დაკმაყოფილების ხარისხი.


მშპ ერთდროულად ზომავს როგორც შემოსავალს ეკონომიკაში, ასევე წარმოებაზე გაწეული დანახარჯების მოცულობას, რადგანაც საბოლოო ჯამში ეს სიდიდეები ერთნაირია: მთლიანობაში,

¹ შენიშვნა: გარდა მთლიანი შიდა პროდუქტისა, ცნობილია აგრეთვე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში და სხვა კომუნისტურ ქვეყნებში. მასში აღწერსებოდა მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროს მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებები.

ეკონომიკისათვის შემოსავლების მოცულობა უნდა უტოლდებოდეს დანახარჯების მოცულობას. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ამას, უნდა შევისწავლოთ *ერთეულ ანგარიშთა წარმოება*, მშპ-სა და სხვა მასთან დაკავშირებული მაჩვენებლების გაზომვის სტატისტიკური სისტემა.

შემოსავალი, დანახარჯები და მათი წრებრუნვა

წარმოედგინოთ ისეთი ეკონომიკა, რომელშიც იწარმოება მხოლოდ საქონლის ერთი სახეობა პური, ერთი ტიპის დანახარჯის შრომის საშუალებით. ნახ. 2-1-ზე ნაჩვენებია ყველა ეკონომიკური გარიგება საოჯახო მეურნეობასა და ფირმებს შორის.



ნახ. 2-1. წრებრუნვა. ნახაზზე ნაჩვენებია შემოსავლებისა და რესურსების ნაკადები ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის ეკონომიკაში. სადაც იწარმოება ერთი სახის საქონელი - პური, ერთი სახის დანახარჯის - შრომის საშუალებით. შიდა წრე უჩვენებს შრომისა და პურის ნაკადებს: საოჯახო მეურნეობები ფირმებზე ყიდნიან შრომას, ხოლო ფირმები მათ მიერ წარმოებულ პურს საოჯახო მეურნეობებზე. გარე წრე უჩვენებს ფულის ნაკადს: საოჯახო მეურნეობები ფირმებს უხდიან პურზე, ხოლო ფირმები საოჯახო მეურნეობებს ხელფასსა და მოგებას აძლევენ. ასეთი ტიპის ეკონომიკაში მშპ - ესაა ერთდროულად პურზე დანახარჯების საერთო მოცულობა და ასევე, პურის წარმოებიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალიც.

ნახ. 2-1-ზე შიდა წრე უჩვენებს პურისა და შრომის ნაკადებს. საოჯახო მეურნეობები თავის შრომას ყიდნიან ფირმებზე, ფირმები პურის წარმოებისათვის იყენებენ მუშების შრომას, თავის მხრივ ამ პურს ფირმები ყიდნიან საოჯახო მეურნეობებზე. ამრიგად, შრომა საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებისაკენ მოძრაობს, ხოლო პური ფირმებიდან საოჯახო მეურნეობებისაკენ.

ნახ. 2-1-ზე გარე წრე უჩვენებს შესაბამისად ღირებულების ნაკადებს. საოჯახო მეურნეობები შეიძენენ ფირმებისაგან პურს. ფირმები პურის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს გამოიყენებენ მიმუშავებთა ხელფასის ასანახაზად და, ხოლო დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს მოგებას, რომელიც ფირმის მფლობელებს ეკუთვნის (რომლებიც თავად წარმოადგენენ საოჯახო მეურნეობების სექტორის ნაწილს). ამდენად, დანახარჯები პურზე საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებში მიეხარებოდა, ხოლო შემოსავლები ხელფასისა და მოგების სახით - ფირმებიდან საოჯახო მეურნეობებში.

მშპ გეისასათვის ფულის ნაკადებს ეკონომიკაში. ჩვენ შეგვიძლია იგი ორი საშუალებით გამოეთვალეთ. მშპ - ეს არის ერთობლივი შემოსავალი პურის წარმოებიდან, რომელიც ხელფასისა და მოგების ჯამის ტოლია - ფულის წრებრუნვის ზედა ნაწილი სქემაზე. იმავედროულად, მშპ - ეს არის პურის ყიდვაზე დანახარჯების საერთო მოცულობა - ფულის წრებრუნვის სქემის ქვემოთა ნაწილი. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ ფულის ნაკადი ფირმებიდან საოჯახო მეურნეობებისაკენ, ან ნაკადი საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებისაკენ.


შემოსავლებისა და დანახარჯების ტოლობა აღრიცხვის წესიდან გამომდინარეობს: პროდუქტების შესაბამედ გაწეული ყველა დანახარჯი აუცილებლად წარმოადგენს ამ პროდუქტის წარმოებულთა შემოსავალს. ამ წესის შესაბამისად, ნებისმიერი გარიგების შედეგად, რომლის დროსაც ხდება დანახარჯების მოცულობის ცვლილება, ასევე ადგილი აქვს შემოსავლის ცვლილებასაც, და ყოველი გარიგების შედეგად, რომელსაც შემოსავლის ცვლილებისაკენ მიყვავართ, ხდება დანახარჯების მოცულობის ცვლილება.

დაეუშუა, რომ ფირმები აწარმოებენ და საოჯახო შეურწმობებს მიჰყიდიან ერთი პურით მეტს. ცხადია, რომ ამ ოპერაციის დროს იზრდება საერთო დანახარჯები პურზე, მაგრამ ამფეროულად იცვლება შემოსავლების საერთო მოცულობაც. თუკი ფირმას დამატებითი პურის საწარმოებლად მოუწია დამატებითი მომუშავეების აყენა, მაშინ ხელფასის მოცულობა გაიზრდება. თუკი ფირმა დამატებითი პურს მომუშავეთა ზედმეტი მოხალისე გარეშე აწარმოებს (წარმოების პროცესის ეფექტიანობის გაზრდით), ასეთ შემთხვევაში გაიზრდება მოგება. ორივე სიტუაციაში დანახარჯები და შემოსავლებიც იზრდება ერთი და იგივე სიდიდით.

მარაგები და ნაკადები

ეკონომისტების მიერ შესწავლილი ბევრი ცვლადი გეიხასიათებს რაიმეს რაოდენობას ფულის, საქონლის და ა.შ. ეკონომისტები განასხეავენ ორი ტიპის რაოდენობრივ ცვლადს - მარაგებსა და ნაკადებს. მარაგი ესაა რაოდენობა, რომელიც დროის მოცემულ მომენტში გაიზომება, ნაკადი კი არის რაოდენობა დროის რაღაც პერიოდში.

ნახ. 2-2 მარაგი და ნაკადი აბაზანაში არსებული წყალი ეს არის მარაგი; იგი ჩვეულებრივ, დროის რაღაც მომენტში იზომება. ონკანიდან მოწოდებული წყლის რაოდენობა - ესაა ნაკადი; იგი გაიზომება დროის ერთეულში გარკვეული რაოდენობით.



აბაზანა, რომელიც 2-2 ნახასზეა ნაჩვენები, წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს მარაგებისა და ნაკადების საილუსტრაციოდ. წყლის რაოდენობა ავსში მარაგია - ესაა წყლის რაოდენობა დროის მოცემულ მომენტში. წყალი რომელიც მოედინება ონკანიდან ნაკადი - ესაა წყლის რაოდენობა, რომელიც ჩაედინება ავსში დროის რაღაც პერიოდის განმავლობაში. ამრიგად, მარაგებისა და ნაკადების გასასომად გამოიყენება სხვადასხვა ერთეული. ჩვენ ვამბობთ, რომ ავსში არის 50 ლიტრი წყალი, მაგრამ ამასთან ვამბობთ, რომ მასში ჩაედინება 5 ლიტრი წყალი წუთში.

როდესაც შევიშუავეთ ხოლმე რომელიმე ცვლადის თეორიულ საფუძვლებს, ხშირად ეაწვდებით ისეთივე დამოკიდებულებას, როგორც მარაგებისა და ნაკადების შემთხვევაში გააკეს. ავსის შემთხვევაში ეს დამოკიდებულება ნათელია. წყლის მარაგში წარმოდგენილია ნაკადის დატოვების შედეგები, რომელიც ონკანიდან ჩამოედინება. ანალოგიურად, ნაკადში წარმოდგენილია მარაგების ცვლილების პროცესი. ეკონომიკური მაჩვენებლების შესწავლის პროცესში ხშირად აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელ კატეგორიას მიეუბნება ისინი - მარაგებსა თუ ნაკადებს, და არის თუ არა მათ შორის დამოკიდებულება.

ქვემოთ მოყვანილია რამოდენიმე მაგალითი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მარაგებსა და ნაკადებს და რომელსაც შემდეგ თავებში შევისწავლით:

- მომხმარებლის ქონება - მარაგია, მისი შემოსავლი და გასაყვანი - ნაკადი;
- უმუშევართა რაოდენობა - მარაგია, სამუშაოდაკარგულთა რაოდენობა - ნაკადი;
- ეკონომიკაში დატოვებული კაპიტალი - მარაგია, ინვესტიციების მოცულობა - ნაკადი;
- სახელმწიფო ვალი - მარაგია, ბიუჯეტის დეფიციტი - ნაკადი.

მშპ-ს გამოთვლის ზოგიერთი პრინციპი

პიოთეტურ ეკონომიკაში, სადაც იწარმოება მხოლოდ პური, შეგვიძლია მშპ მარტივად გამოვიანგარიშოთ - პურის ყიდვაზე გაწეული ყველა დანახარჯის დაჯამებით. რეალურ ეკონომიკაში მშპ-ს გაანგარიშება უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს. რთული და მსხვილი ეკონომიკის მშპ-ს გაანგარიშებისას არ შეიძლება ასე სწორხაზოვნად ეთაროვნოდ და დაეჯამოთ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში ჩვენ მშპ-ს გაანგარიშების დეტალურ შესწავლას არ ეპირებთ, მაგრამ მაინც აუცილებელია ეიცოდეთ მშპ-ს ფორმირების ძირითადი პრინციპები მასზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად.

მარაგების აღრიცხვა. დაეუშვათ, რომ ეკონომიკაში არსებული ფორმა, სადაც იწარმოება ერთი სახის საქონელი, ქირაობს დამატებით მუშებს პურის წარმოების გაზრდის მიზნით, უხდის მათ ხელფასს და შემდეგ ვერ ახერხებს დამატებით წარმოებული პურის გაყიდვას. საინტერესოა, როგორ აისახება ეს მშპ-ს სიდიდესზე?

პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ემართება არარეალიზებულ პურს. ერთის მხრივ, თუკი პური გადაგდებულია, მაშინ ფირმის მოგება შემცირდება დამატებით გადახდილი ხელფასის ოდენობით - ფირმამ გასცა დიდი თანხა ხელფასის სახით და სანაცვლოდ არანაირი სარგებელი არ მიიღო. რამდენადაც ამ ოპერაციამ არ იმოქმედა არც დანახარჯების მოცულობაზე და არც შემოსავლების დონეზე, მშპ-ს სიდიდე უცვლელი რჩება (თუმცა მისი ნაწილი, რომელიც ხელფასზე მოდიოდა, უკვე შეტანა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც მოდიოდა მოგებაზე - ნაკლები). სხვა მხრივ, თუკი პური მარაგის სახით იქნება მიღებული, რათა გაიყიდოს მოგვიანებით, მაშინ ერთგულ ანგარიშთა წარმოების პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული ოპერაცია გაითვალისწინება სხვანაირად. ამ შემთხვევაში მოგება არ მცირდება, იმდენად, რამდენადაც ეს იმის ტოლფასია, რომ მფლობელებმა „შეიძინეს“ პური ფირმის მარაგებისათვის. ამდენად, მშპ-ს სიდიდე იზრდება: უფრო მაღალი ხელფასის გამო იზრდება შემოსავალი და მარაგების ზრდის ეფექტობაზე იზრდება დანახარჯების სიდიდეც.

საერთო წესი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ფირმები ზრდიან საქონლის მარაგებს, ინვესტიციების მოცულობა მარაგებში ჩაირთება როგორც დანახარჯების, ისე შემოსავლების შემადგენლობაშიც. ამრიგად, თუკი წარმოების შედეგად აღივლი აქვს მარაგების ზრდას, მშპ იზრდება ამ დროს ისევე, როგორც ეს მოხდებოდა უშუალოდ გასაყიდად წარმოებული საქონლის პირობებში.

როგორ შეეჯავათ ვაშლები და ფორთოხლები. ჩვენ დაივიწყეთ მშპ-ს ანალიზი იმ დაშვებით, რომ პური წარმოადგენდა ეკონომიკაში ერთადერთ წარმოებად საქონელს. სინამდვილეში ეკონომიკაში იწარმოება სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების მნიშვნელოვანი რაოდენობა: პური, ლეკველი, ავტომობილი, საპარკმახრო მომსახურება და ა.შ. მშპ-ში ამ სხვადასხვა საქონლის ფასი გამოიხატება ერთ ჯამურ მაჩვენებელში. ეკონომიკაში წარმოებული საქონლის სხვადასხვაობა ართმელებს მშპ-ს გამოთვლას, ეინაიდან ყველა ამ საქონელს გააჩნია განსხვავებული ღირებულება.

დაეუშვათ, რომ ეკონომიკაში იწარმოება სამი ფორთოხალი და ოთხი ვაშლი. როგორ გამოეთ-ვალით მშპ? ჩვენ შეგვიძლია უბრალოდ შევირიბოთ ვაშლის და ფორთოხლის რაოდენობა და ვთქვათ, რომ მშპ უდრის შვიდ ერთეულ ხილს. მაგრამ, ამას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვაშლა და ფორთოხალს ერთნაირი ღირებულება აქვს, რაც, როგორც წესი, არასწორია.

სხვადასხვა საქონლის საერთო ღირებულების გამოთვლის მიზნით ჩვენ გამოვიყენებთ მათ საბაზრო ფასს, როგორც მათი ღირებულების გამოხატულებას. საბაზრო ფასი გამოიყენება იმტომ, რომ ის წარმოადგენს იმ თანხას, რომლის გადახდაზეც თანახმა არიან ადამიანები გარკვეული საქონლისა და მომსახურებისათვის. ასე მაგალითად, თუკი ვაშლის ფასი ცალკეობაში 50 თეთრია, ხოლო ფორთოხლისა - 1 ლარი, მაშინ მშპ ტოლი იქნება:

$$\text{მშპ}=(\text{ვაშლის ფასი}\times\text{ვაშლის რაოდენობა})+(\text{ფორთოხლის ფასი}\times\text{ფორთოხლის რაოდენობა})= \\ = (0,5\times 4)+(1\times 3)=5$$

მშპ ტოლია 5 ლარისა, ანუ ყველა ვაშლის ღირებულება (2 ლარი) + ყველა ფორთოხლის ღირებულება (3 ლარი)

შუალედური პროდუქცია და დამატებული ღირებულება

მრავალი საქონლის წარმოება გადის რამოდენიმე ეტაპს: ერთი სახის ფირმაში ნედლეული გარდაიქმნება შუალედურ საქონლად და შემდეგ მიეყიდება მეორე სახის ფირმას მზა პროდუქციის საწარმოებლად. როგორ უნდა გაითვალისწინოთ ასეთი საქონელი მშპ-ს გამოთვლისას? დაეუშვათ, რომ ფერდერი რესტორანში 100 გრამ ხორცს ყიდის 0,5 ლარად. ხოლო რესტორანი შემდეგ თქვენზე ყიდის ლეკველს 15 ლარად. ისმის კითხვა: მშპ-ში ხორცისა და ლეკველის ღირებულება (ჯამაში 2 ლარი) უნდა იქნას გათვალისწინებული თუ მხოლოდ ლეკველის (1,5 ლარი)?

ამ კითხვაზე არსებობს შემდეგი პასუხი: მშპ-ში შეიძლება მხოლოდ საბოლოო პროდუქციის ღირებულება. ამდენად, ლეკველის ღირებულება წარმოადგენს მშპ-ს ნაწილს, ხოლო ხორცის ღირებულება - არა: მშპ იზრდება მხოლოდ 15 და არა 2 ლარით. ამის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ შუალედური პროდუქციის ღირებულება უკვე შეტანილია საბოლოო პროდუქციის ღირებულე-

ბაში. შუალედური საქონლის ღირებულების დამატებას საბოლოო პროდუქციის ღირებულებაზე მიყვართ ორმაგ აღრიცხვამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ხორცი ორჯერ იქნება აღრიცხული. ამდენად, მშპ წარმოადგენს საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას.

მთელი საბოლოო პროდუქციის ღირებულების გამოთვლის ერთ-ერთი მეთოდია წარმოების ყოველ სტადიაზე დამატებულ ღირებულებათა დაჯამება. ფირმის დამატებული ღირებულება უდრის წარმოებულ პროდუქციის ღირებულებას მინუს ფირმის მიერ შექანილი შუალედური პროდუქციის ღირებულება. ღირებულების შემთხვევაში ფერმერის მიერ დამატებული ღირებულება უდრის 50 თეთრს (იგულისხმება, რომ ფერმერი არ ყიდულობს არანაირ შუალედურ საქონელს, ხოლო ღირებულება, რომელსაც რესტორანი ამატებს (1.5-0.5 ლარი), უდრის 1 ლარს. საერთო დამატებული ღირებულება, ამდენად, უდრის 0.5+1, ე.ი. 1.5 ლარს. მთლიანობაში, ეკონომიკისათვის დამატებული ღირებულების საერთო ჯამი ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულების ტოლი უნდა იყოს. ამდენად, მშპ შეიძლება წარმოვადგინოთ აგრეთვე, როგორც ყველა ფირმის დამატებული ღირებულებების ჯამი.

მაშასადამე, ეროვნული ანგარიშები ვეუძენება იდეას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურ საქმიანობათა შედეგები დროის გარკვეული პერიოდისათვის შეიძლება გაისოროს შემდგენარად:

1. წარმოებული პროდუქციის როდენობით, იმ პროდუქციითა გამოკლებით, რომლებიც გამოყენებულია წარმოების შუალედურ სტადიებზე (საწარმოო მეთოდი);
2. შემოსავლების სიდიდით, რომლებიც მიღებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებების მიერ (შემოსავლების მეთოდი);
3. დანახარჯების სიდიდით, რომლებიც გაწეულია საქონლისა და მომსახურების საბოლოო მომხმარებლების მიერ (დანახარჯების მეთოდი).

ამ მეთოდთაგან თითოეული წარმოდგენს გეიქმის ეკონომიკის სხვადასხვა მხარეზე. მაგრამ, ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ეროვნული ანგარიშების სისტემას, არის ის, რომ (მონაცემთა არასრულყოფილების ან გაანაზრებაში შეცდომების პრობლემათა გამოკლებით) სამივე მეთოდი ეკონომიკურ საქმიანობათა შედეგების გასაზრების იდენტური საშუალებაა.

ჩვენ შევიძლია სამივე მეთოდის ეკვივალენტობის ილუსტრირება შემდეგი მაგალითით: წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკაში ფუნქციონირებს მხოლოდ ორი კომპანია: ციტრუსების მწარმოებელი კომპანია OrangeInc და წვენების მწარმოებელი კომპანია JuiceInc. OrangeInc წარმოადგენს ფორთოხლის პლანტაციების მფლობელ კომპანიას და ამ ციტრუსის გაყიდვითა დაკავებულია. ფორთოხლის ნაწილს ფირმა პირდაპირ ყიდის მოსახლეობაზე, ნაწილს კი - კომპანია JuiceInc-ზე, რომელიც აწარმოებს და ყიდის ფორთოხლის წვენს. ამ ორ ფირმას შორის წლის განმავლობაში განხორციელებული ტრანსაქციები (ლარებში) ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:

OrangeInc ტრანსაქციები

ფირმის მომუშაებებზე გაცემული ხელფასი	15 000
გადასახადები, გადახდილი მთავრობის მიმართ	5 000
ფორთოხლის გაყიდვით მიღებული შემოსავლები	35 000
გაყიდვების მოსახლეობაზე	10 000
გაყიდვები JuiceInc-ზე	25 000

JuiceInc ტრანსაქციები

ფირმის მომუშაებებზე გაცემული ხელფასი	10 000
გადასახადები, გადახდილი მთავრობის მიმართ	2 000
OrangeInc-სგან ფორთოხლის ყიდვაზე დანახარჯები	25 000
წვენების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	40 000

კომპანიამ OrangeInc წლის განმავლობაში გადაუხადა 15000 ლარის ხელფასი თავის მომუშაებებს ფორთოხლის მოყვანისა და მოკრეფისათვის, ხოლო მოსავალი გაყიდა 35000 ლარად (ამ თანხიდან 10000 ლარი მიღებულია საოჯახო მეურნეობიდან, ხოლო 25000 ლარი - კომპანია JuiceInc-სგან). ამგვარად, OrangeInc-ის მოგებამ გადასახადების გადახდაზე შეადგინა 35000-15000=20000 ლარი. ეინაიდან ამ კომპანიამ გადაიხადა გადასახადის 5000 ლარის ოდენობით, მისმა მოგებამ გადასახადებით დაბეჭერის შემდგომ შეადგინა 15000 ლარი.

კომპანიამ JuiceInc შეიყვარა 25000 ლარის ღირებულების ფორთოხალი OrangeInc-ისგან და გადაუხადა თავის მომუშაებებს 10000 ლარის ხელფასი ფორთოხლის წვენის წარმოებისათვის. მან

გაიყიდა აღნიშნული პროდუქცია 40000 ლარად და შესაბამისად, მისმა მიგებამ შეადგინა 5000 ლარი (40000-25000-10000). 2000 ლარის ოდენობის გადასახადების გადახდის შემდგომ კომპანიის მიგებას შეადგენს 3000 ლარი.

როგორ უნდა ვაწარმოოთ ამ ორი კომპანიის ეკონომიკური საქმიანობათა შედეგების ღირებულებითი შეფასება? ამ კითხვასეუ კასუხის გაცემის სამი სხვადასხვა ხერხი არსებობს: საწარმოო, დანახარჯებისა და შემოსავლების მეთოდი. აღნიშნული მეთოდებით მივებული პასუხები აუცილებლად ერთნაირი იქნება.

1. საწარმოო მეთოდი საშუალებას გაძძლევს გაეზომოთ ეკონომიკური საქმიანობის შედეგები ეროვნულ ეკონომიკაში წარმოებული ყველა საქონლისა და მიმსახურების საბაზრო ღირებულებათა დაჯამების გზით, იმ საქონლისა და მიმსახურების გამოკლებით, რომლებიც გამოყენებულია წარმოების შეუდგურ სტადიებზე. აღნიშნული მიდგომა აუცილებლად მოითხოვს დამატებულ ღირებულების კონცეფციის შემოღებას. დამატებული ღირებულება თითოეული მწარმოებლისათვის გაიანგარიშება წარმოებულ პროდუქციის საბაზრო ღირებულებიდან იმ რესურსების ღირებულებათა გამოკლების გზით, რომლებიც შეეხებოდა სხვა მწარმოებლებისგან. საწარმოო მეთოდი გულისხმობს ერთუნულ ეკონომიკაში ეკონომიკური საქმიანობათა შედეგების განსაზღვრას ყველა მწარმოებლის დამატებული ღირებულების დაჯამების გზით.

ჩვენს მაგალითში კომპანია Orangeline-ის წარმოების მოცულობა ღირებულებით გამოხატულე ბაში შეადგენს 35000 ლარს, ხოლო კომპანია Juiceline-სთვის – 40000 ლარს. მაგარამ, ეკონომიკური საქმიანობის საერთო შედეგების გახზობა მარტივი დაჯამების გზით (35000+40000) მივყევნას „ორმავე აღრიცხვასთან“ იმისათვის, რათა ამისგან თავი დავიხზოთ, აუცილებლათა არა წარმოების მოცულობათა ღირებულებითი მარეებულების, არამედ ამ კომპანიათა დამატებული ღირებულებების შეკრებარდგანაც Juiceline-მა გადაამუშავა 25000 ლარის ღირებულების ფორთოხალი 40000 ლარის ღირებულების პროდუქციად, ამ კომპანიისათვის დამატებული ღირებულება შეადგენს 15000 ლარს (40000-25000). Orangeline-ს არ გამოუყენებია რომელიმე ფორმის რესურსი, ამიტომ მისი დამატებული ღირებულება მისივე შემოსავლის ტოლი იქნება, რაც 35000 ლარის ტოლია. ამგვარად, მწარმოებელთა დამატებული ღირებულებების ჯგამი შეადგენს: 35000+15000=50000 ლარს.

2. შშპ-ს გაანგარიშება შემოსავლების მიხედვით საშუალებას გაძძლევს გავზოთ ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობების შედეგები ყველა შემოსავლის შეკრებით, რომელიც მიღებულია საქონლისა და მიმსახურების მწარმოებლების მიერ და მოიცავს მომუშავეთა ხელფასებს და მეწარმეთა მოგებას. როგორც ენახეთ, კომპანია Orangeline-ის მიგება გადასახადების გადახდამდე განისაზღვრება, როგორც სხეობა მის შემოსავლას (35000 ლარი) და გადახდილ ხელფასს (15000 ლარი) შორის, რომელიც შეადგენს 20000 ლარს. კომპანია Juiceline-ის მიგება ტოლია შემოსავლას (40000 ლარი) გამოკლებული კომპანიის მიერ შესყიდული ფორთოხლის ღირებულება (25000 ლარი) და თავის მომუშავეებზე გადახდილი ხელფასი (10000 ლარი), რაც შეადგენს 5000 ლარს. თუკი შევკრებთ Orangeline-ის მიგებას (20000), Juiceline-ის მიგებას (5000) და 25000 ლარის ოდენობის ხელფასს, რომელიც მიღებულია ორივე კომპანიის მომუშავეების მიერ, მივიღებთ 50000 ლარს, ე.ი. ისეთსავე სიდიდეს, რომელიც მივიღებთ საწარმოო მეთოდით გამოთვლის შემთხვევაში.

ამ გაანგარიშების დროს ჩვენ შეეკრებთ მომუშავეებისა და მწარმოებელთა შემოსავლები მათ მიერ გადასახადების გადახდამდე. იგივე სიდიდე შეეძლია მივიღოთ, თუკი შეეკრებთ მათ შემოსავლებს გადასახადების გადახდის შემდეგ და მათეობის მიერ მიღებულ გადასახადებს. გაიხსნებოთ, რომ კომპანია Orangeline-ის მიგება გადასახადის გადახდის შემდეგ შეადგინა 15000, ხოლო Orangeline-ის მიგება – 3000 ლარი. გადასახადების გადახდის შემდეგ ორივე კომპანიის მიგების (18000), გადახდილი ხელფასების (25000) (იგულისხმება, რომ მომუშავეები არ იხდინა გადასახადს) და მათეობის საგადასახადო შემოსავლების (7000) დაჯამებით კვლავ ეღებულობთ 50000 ლარს, ე.ი. ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის ღირებულებით შედეგებს.

3. და ბოლოს, შშპ-ს გაანგარიშება დანახარჯების მიხედვით საშუალებას გაძძლევს ეკონომიკური საქმიანობის შედეგები გაეზომოთ საქონლისა და მიმსახურების ყველა საბოლოო მომხმარებელთა დანახარჯების შეკრებით. ჩვენს მაგალითში ფორთოხლის საბოლოო მომხმარებელთა საოჯახო მეურნეობა. კომპანია Juiceline არ წარმოადგენს ფორთოხლის საბოლოო მომხმარებელს, რადგანაც მას წვენად გადაამუშავეების შემდგომ ყიდის მოსახლეობაზე. ამგვარად, საბოლოო მომხმარებლები ყიდულობენ კომპანია Orangeline-ისგან ფორთოხალს 10000 ლარად და კომპანია Juiceline-ისგან ფორთოხლის წვეს 40000 ლარად, რაც ერთობლიობაში შეადგენს 50000 ლარს, ე.ი. იგივე სიდიდეს, რომელიც მივიღებთ საწარმოო და შემოსავლების მეთოდების გამოყენების დროს.

რატომ იძლევა სამივე მეთოდი ერთსა და იმავე შედეგს? ეს სულაც არ არის შემთხვევითი. ამ მეთოდების ლოგიკა ისეთია, რომ მათ ერთი და იგივე შედეგი უნდა მოგვცეს.

იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რატომ არის ასე, ჯერ-ერთი, მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ დროის რომელიღაც პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება განსაზღვრების თანახმად ტოლია იმ თანხის, რომელიც მომხმარებლებმა უნდა დახარჯონ მათ შესაძენად. კომპანია *Jaicell-ის* ფოტოთხილს წყენს გაანინა საბაზრო ღირებულება 40000 ლარის ოდენობით. მხოლოდ იმით, რომ ადამიანებს სურთ და მზად არიან დახარჯონ ეს თანხა წყენის საფლად. რადგანაც საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება და ამ საქონლისა და მომსახურების შექმნაზე დანახარჯები ყოველთვის ერთნაირია, საწარმოო მეთოდი (რომელიც უზომავს საქონლის საბაზრო ღირებულებას) და დანახარჯების მეთოდი (რომელიც უზომავს საქონლის ყიდვაზე დანახარჯებს) უნდა იწვევდეს ეკონომიკურ საქმიანობათა შედეგების ერთნაირ სიდიდის მიღებას.

მეორე, ცხადია, რომ ის თანხა, რომელსაც დეზულობენ გამყიდველები, ტოლი უნდა იყოს თანხისა, რომელსაც ხარჯავენ მყიდველები. გამყიდველთა შემოსულობები ტოლია შემოსაყვლების საერთო თანხისა, რომლებიც მიღებულია ეკონომიკური საქმიანობების შედეგად და რომელიც მოიცავს მომუშავეთა შემოსაყვლებს, მთავრობის მიერ მიღებულ გადასახადებს და მოგებას, რომელიც რჩება ყველა ამ გადახდის შემდგომ. ამიტომ, დანახარჯების საერთო თანხა ტოლი უნდა იყოს შემოსაყვლების საერთო თანხის იმის გათვალისწინებით, რომ დანახარჯებისა და შემოსაყვლის მეთოდებიც უნდა იძლეოდნენ აგრეთვე ერთნაირ შედეგს. და ბოლოს, პროდუქციის ღირებულებაზე და შემოსაყვლების სიდიდეზე ტოლია დანახარჯების სიდიდის, მაშინ წარმოებული პროდუქციის ღირებულებაც ტოლია მის შექმნაზე გაწეული დანახარჯების.

ამგებრად, დროის ნებისმიერი გარკვეული პერიოდისათვის სამივე მეთოდი უნდა იძლეოდეს ერთნაირ შედეგს:

წარმოების ერთობლივი მოცულობა	ერთობლივი შემოსავალი	ერთობლივი დანახარჯები
---------------------------------	-------------------------	--------------------------

სადაც წარმოება, შემოსაყვლები და დანახარჯები გაზომილია ერთი და იგივე ერთეულით (მაგალითად, ლარებით).

აღნიშნულ იგივეობას ეწოდება *ეროვნული შემოსავლის ანგარიშების ძირითადი იგივეობა* და ანგარიშების ეროვნული სისტემის საფუძველია. ქვემოთ ვნახავთ, თუ როგორ გამოიყენება აღნიშნული ფუნდამენტური იგივეობა მთლიანობაში ეროვნული ეკონომიკის მიმდინარე ეკონომიკურ საქმიანობათა შედეგების გასაზომად.

საბინაო სფეროს მომსახურების შეფასება და პირობითად ღირებულებების სხვა სახეები.

იმ დროს, როდესაც საქონლისა და მომსახურების უმეტესი ნაწილი მშპ-ში საბაზრო ფასით გაითვალისწინება, ზოგიერთი საქონელი და მომსახურება არ იყიდება ბაზარზე და შესაბამისად, მათ არ აქვთ საბაზრო ფასი. რადგანაც ამ მომსახურების ღირებულება უნდა ჩაერთოთ მშპ-ში, ჩვენ უნდა შევიქმნათ მისი გაზომვა. ასეთმა შეფასებამ მიიღო შემდეგი სახელწოდება – *პირობითად ღირებულებები*.

პირობითად ღირებულებები ღირებულება გამოიყენება, მაგალითად, საბინაო სფეროში მომსახურების შესაფასებლად. ადამიანი, რომელიც საცხოვრებელს ქირაობს, იხდის მომსახურების საფასურს და უზრუნველყოფს სახლის მესაკუთრეს შემოსავლით; საიჯარო თანხა შედის მშპ-ს ანგარიშში, როგორც სახლის მეპატრონის შემოსავალი და როგორც დანახარჯები იმ პიროვნებისათვის, ვინც ქირაობს საცხოვრებელ ფართს. ამასთან, ბუიერი ადამიანი ცხოვრობს საკუთარ სახლში. თუმცა ისინი არ უხდიან იჯარას ბინის მესაკუთრეს, ისინი მაინც სარგებლობენ იგივე მომსახურებით, რომლითაც საცხოვრებელი ბინის დამქირებლები. ამდენად, მომსახურების აღრიცხვის მიზნით, რომლითაც სარგებლობენ საკუთარი სახლების მფლობელები, მშპ-ს უნდა დგენილობაში შედის „საიჯარო გადასახდელი“, რომელთაც ისინი „უხდიან“ საკუთარ თავს. რა თქმა უნდა, არანაირ საიჯარო გადასახდელს ისინი თავისთვის არ იხდიან. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი ახდენს საიჯარო გადასახადის ზომის შეფასებას, რომელიც იქნებოდა პირების მიერ გადახდილი იმ შემთხვევაში, თუკი ისინი იქირაებდნენ საცხოვრებელს და ეს პირობითად ღირებულებები შეყავს

მშპ-ში. ეს საიჯარო გადასახადი გაითვალისწინება როგორც სახლის მფლობელთა დანახარჯები, ისე მათი შემოსავლები.

იგივე მეთოდით ფასდება მომსახურებაც, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის წარმოებული. მაგალითად, მოსახლეობას მომსახურებას უწევს პოლიცია, მეხანძრეები, მარლამეტის წვერები. მსგავსი მომსახურების ღირებულებებით შეფასების ჩამოყალიბება რთულია, რადგანაც ის არ იყოფება ბაზარზე და არ გააჩნია საბაზრო ფასი. მშპ-ში ასეთი მომსახურება გაითვალისწინება მის გაწევასზე დანახარჯების შემსაბამისად. ეს ამ სახელმწიფო მოსახლესთან არაორდუქციის ღირებულების მანქანებზე გვევლინება მათი ხელფასი.

ხშირ შემთხვევაში მსგავსი აღრიცხვა აუცილებელია, მაგრამ არ ხორციელდება პრაქტიკაში. უნაიდან მშპ-ში გაითვალისწინება საკუთარი სახლების იჯარის პირობითად დარიცხული ღირებულება, ლოკუტური იქნებოდა მასში შეტევიანა ასევე პირად საკუთრებაში არსებული ავტომობილების, საიუველირო ნაყოფათა და სხვა საქონლის (ხანგრძლივი მოხმარების) პირობითად დარიცხული ღირებულება, მაგრამ პრაქტიკაში ეს არ ხდება. გარდა ამისა, ზოგიერთი საქონელი იწარმოება და მოიხმარება სახლში და არასოდეს ხდება ბაზარზე. მაგალითად, საცეცხე, რომელიც სახლში მზადდება, დიდად არ განსხვავდება იმ კერძებისაგან, რომლებიც მზადდება რესტორანში, მაგრამ ღირებულება, რომელიც დამატებულია სახლში საცეცხის მომზადების პროცესში, არ შეიტანება მშპ-ში. და ბოლოს, მშპ-ში არ შედის არალეგალურად დამზადებული და გაყიდული საქონლის ღირებულება (მაგალითად, ნარკოტიკების).

რადგანაც პირობითად დარიცხული ღირებულების გაანგარიშების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი და ბევრი საქონლისა და მომსახურების ღირებულება საერთოდ არ შეიტანება მშპ-ში, ის არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების იდეალურ მანქანებულს. მოუხდავად ამისა, ამ ცდომილებათა არსებობა სულაც არ ამცირებს მშპ-ს შინაშენლობას. თუკი ცდომილებათა სიდიდე მცირედ იცვლება დროთა განმავლობაში, მშპ შეიძლება წარმატებით გამოიყენებოდეს სხვადასხვა წლებისა და ათწლეულების მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შესადარებლად.

რეალური და ნომინალური მშპ

მას შემდეგ, რაც შევისწავლეთ მშპ-ს გაანგარიშების ზოგიერთი პრინციპი, ისევე თავიდან განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ზუსტად ასახავს მშპ ეკონომიკის მდგომარეობას. დაეუბრუნეთ კვლავ იმ ეკონომიკის, სადაც იწარმოება მხოლოდ ორი პროდუქტი: ფორთოხლები და ვაშლები. მშპ წარმოებული ფორთოხლებისა და ვაშლების ღირებულების ჯამის ტოლია, ანუ

მშპ=(ვაშლის ფასი×ვაშლის რაოდენობა)+(ფორთოხლის ფასი×ფორთოხლის რაოდენობა).

მშპ-ს სიდიდე შეიძლება გაიზარდოს ან ფასების, ან ვაშლისა და ფორთოხლის რაოდენობის ზრდის გამო. მშპ, რომელიც გამოთვლილია ამგვარად, არ წარმოადგენს ეკონომიკის მდგომარეობის საკმარისად ზუსტ მაჩვენებელს. ის არც ისე ზუსტად გვიხანძრავს მომხმარებლების, ფორმებისა და სახელმწიფოს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობებს. ფასების ორჯერ გაზრდის შემთხვევაში, როდესაც წარმოებული პროდუქციის რაოდენობა უცვლელია, მშპ-ს სიდიდეც აგრეთვე ორჯერ გაიზარდება. ამასთან, შეცდომა იქნებოდა გუფიქობა, რომ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ორჯერ გაიზარდა, იმდენად რამდენადაც წარმოებული პროდუქციის რაოდენობა იგივე დარჩა. მშპ, რომლის შემადგენლობაშიც საქონლისა და მომსახურების ღირებულება მიმდინარე ფასებით არის გამოთვლილი, *ნომინალური მშპ*-ა.

იმისათვის, რათა ზუსტად შეეძლოთ ეკონომიკის მდგომარეობის ასახვა, ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის მაჩვენებელი არ უნდა იმყოფებოდეს ფასების ცვლილების გავლენის ქვეშ. ამ მიზანს ემსახურება *რეალური მშპ*-ს მაჩვენებელი, რომელშიც საქონლისა და მომსახურების ღირებულება გაიზომება მუდმივ ფასებში. მშპ-ს რეალური მოცულობის გამოთვლის მიზნით ირჩევენ საბაზისო წელს, მაგალითად, 1996 წელს. შემდგომ, ყველა საქონლის ღირებულება გამოითვლება 1996 წლის ფასებში და ხდება დეფლაცია. ამდენად, ჩვენს მიერ განხილული „ვაშლისა და ფორთოხლის“ ეკონომიკისათვის, რეალური მშპ 2005 წლისათვის იქნება:

რეალური მშპ=(ვაშლის ფასი 1996 წ. × ვაშლის რაოდენობა 2005 წ.)+
+(ფორთოხლის ფასი 1996 წ. × ფორთოხლის რაოდენობა 2005 წ.).

ანალოგიურად, 2006 წლის რეალური მშპ ტოლი იქნება:


რეალური მშპ=(ვაშლის ფასი 1996 წ. x ვაშლის რაოდენობა 2006 წ.)
 *(ფორთოხლის ფასი 1996 წ. x ფორთოხლის რაოდენობა 2006 წ.).

რადგანაც ფასები მიღებულია, როგორც მუდმივი, მშპ-ს რეალური მოცულობის სიდიდე განიცდის ცვლილებას მხოლოდ ვაშლისა და ფორთოხლის წარმოების მოცულობის ცვლილებისას. ამდენად, რეალური მშპ - ესაა წარმოებული პროდუქციის ღირებულებათა ჯამით საბაზისო წლის ფასებში (მოცემულ შემთხვევაში, 1996 წლისა). რადგანაც, საზოგადოების წევრთა მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხი დამოკიდებულია წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაზე, რეალური მშპ წარმოადგენს ეკონომიკის მდგომარეობის უფრო ზუსტ მაჩვენებელს, ვიდრე ნომინალური მშპ.

მაბაღიტი 2-1

რეალური მშპ აშშ-ში

რა დასკვნები შეგიძლია გააკეთოთ ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ რეალური მშპ-ს შესწავლის საფუძველზე? ნახ. 2-3-ზე ნაჩვენებია რეალური მშპ-ს მოცულობა აშშ-ში 1970-დან 2000 წლის ჩათვლით. ამ სურათზე ორი მომენტი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. პირველი, დროთა განმავლობაში მშპ-ს რეალური მოცულობა იზრდება. ჩვენს დროში წარმოების მოცულობა ორჯერ მეტია, ვიდრე 1970 წელს. მეორე, რეალური მშპ-ს მოცულობის ტემპები არამდგრადია. პერიოდულად განმეორებადი დროითი შუალედის შემდგომ შეიძინევა რეალური მშპ-ს შემცირება, როგორც, მაგალითად, 1975 და 1982 წლებში იყო. ასეთმა პერიოდებმა მიიღეს ეკონომიკის ვარდნის (რეცესიის) სახელწოდება. შემდგომ თავებში განვიხილავთ მოდლებს, რომლებიც აქვთ ეკონომიკური ზრდის გრძელვადიან ასპექტებს, ისე მშპ-ს რეალური მოცულობის მოკლევადიანი რყევების ფაქტორებს.



ნახ. 2-3 მშპ-ს რეალური მოცულობა აშშ-ში. აშშ-ში მშპ-ს რეალური მოცულობის გრაფიკი უჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში წარმოების მოცულობა იზრდება. მაგრამ ეს ტენდენცია პერიოდულად წყდება წარმოების ვარდნის პერიოდებით, რომელმაც მიიღო რეცესიის სახელწოდება. მიუხედავად იმისა, რომ აქ მშპ-ს რეალური მოცულობის გრაფიკი აგებულია ლოგარითმულ შკალაზე, ასეთ შკალაზე ევრტიკულურ ღერძზე აღნიშნული თანაბარი მონაკვეთებით აღინიშნავენ ერთნაირ ცვლილებებს, რომელიც გამოხატულია პროცენტებში. ამიტომ, დაშორება 3 და 2 მლრდ. დოლარის აღნიშვნას შორის იმდენივეა რაც 7-სა და 8 მლრდ. დოლარის აღნიშვნას შორის.

მშპ დეფლატორი

მშპ-ს ნომინალური და რეალური მოცულობის საფუძველზე შეგიძლია გამოეთვალათ მესამე მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებელი: *მშპ დეფლატორი*. მშპ დეფლატორი, რომელსაც მშპ-ს ფასების დეფლატორსაც უწოდებენ, განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\text{მშპ დეფლატორი} = \frac{\text{ნომინალური მშპ}}{\text{რეალური მშპ}} \times 100$$

ამდენად, მშპ დეფლატორი არის ნომინალური მშპ-ს თანაფარდობა რეალურთან.

ინისათვის, რომ ნათელი მოვხინოთ, თუ რა არის მშპ-ს ნომინალური და რეალური მოცულობები და მშპ-ს დეფლატორი, დავებურუნდეთ იმ ეკონომიკის განხილვას, სადაც იწარმოება მხოლოდ ერთი საქონელი - პური. ნებისმიერი წლისათვის ნომინალური მშპ გამოითვლება, როგორც ფულის საერთო ჯამი, რისმეფიც დაიხარჯა პურზე მოცემულ წელს. რეალური მშპ - ეს არის მოცემულ წელს წარმოებული პურის რაოდენობა, გამრავლებული პურის ფასზე რომელიც საბაზისო წელს. მშპ-ს დეფლატორი - ეს არის მიმდინარე წელს პურის ფასის შეფარდება პურის ფასთან საბაზისო წლისათვის.

ამასთან, რეალურად არსებულ ეკონომიკაში იწარმოება ბევრად უფრო მრავალგვარი პროდუქცია. ამდენად, ნომინალურ და რეალურ მშპ-ში და ასევე მშპ დეფლატორში წარმოდგენილია წარმოებული პროდუქციის მრავალი განსხვავებული ფასი და რაოდენობრივი მაჩვენებელი. განვიხილოთ ეაშულებისა და ფორთოხლების ეკონომიკა. დაეუფეთ, რომ P-თი აღინიშნება საქონლის ფასი, Q-თი რაოდენობა, ხოლო ინდექსი 96 კი აღნიშნავს საბაზისო 1996 წელს. მაშინ, მშპ-ს დეფლატორი ტოლი იქნება:

$$\text{მშპ დეფლატორი} = \frac{\left(P_{\text{ვამლი}} \times Q_{\text{ვამლი}} \right) + \left(P_{\text{ფორთოხალი}} \times Q_{\text{ფორთოხალი}} \right)}{\left(P_{\text{ვამლი}}^{\%} \times Q_{\text{ვამლი}} \right) + \left(P_{\text{ფორთოხალი}}^{\%} \times Q_{\text{ფორთოხალი}} \right)} \times 100$$

ამ გამოსახელების მრიცხველი ნომინალური მშპ-ია, ხოლო მნიშვნელი - რეალური. მშპ-ს როგორც ნომინალური, ასევე რეალური მოცულობები შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქონლის გარკვეული ნაკრების ფასი; ჩვენს შემთხვევაში ეს ნაკრები შედგება წარმოებული ეაშულისა და ფორთოხლის რაოდენობისაგან. მშპ-ს დეფლატორის დახმარებით ნაკრების მიმდინარე ფასის შედარება ხდება მის საბაზისო ფასთან.

მშპ დეფლატორი საშუალებას იძლევა ნომინალური მშპ-ს შემადგენლობაში გამოვყოთ ორი ნაწილი: ერთი გეიხასიათებს წარმოებული პროდუქციის რაოდენობას, ხოლო მეორე - ფასს.

$$\text{მშპ-ს ნომინალური მოცულობა} = (\text{მშპ-ს რეალური მოცულობა} \times \text{მშპ დეფლატორი}) / 100$$

ნომინალური მშპ იძლევა წარმოებული პროდუქციის ფულად შეფასებას. რეალური მშპ გეიხასიათებს წარმოებული პროდუქციის რაოდენობას, ე.ი. წარმოების მოცულობას, რომელიც იზომება მუდმივ ფასებში (საბაზისო წლის ფასებში). მშპ დეფლატორი გვიჩვენებს პროდუქციის ერთეულის ფასის ცვლილებას საანგარიშო წელს საბაზისო წელთან შედარებით.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემების სხვა მაჩვენებლები

ჩვენ დაერწმუნდით, რომ მშპ ასახავს როგორც დანახარჯების, ასევე შემოსავლების საერთო მოცულობას ეკონომიკაში, რაც წარმოდგენილია წრებრუნვის სქეშის ორი ნაწილით. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სხვა მაჩვენებელია დიდი ნაწილი წარმოადგენს უფრო დეტალურ ინფორმაციას შესაბამის ნაკადებზე. ეს მონაცემები შეიძლება დაეყოთ ორ ჯგუფად: დანახარჯების კომპონენტები და შემოსავლების მაჩვენებლები.

დანახარჯების კომპონენტები. ეკონომისტებისა და ეკონომიკური პოლიტიკის აქტორთა მხედველობის არეში იმყოფება არა მარტო საქონლისა და მომსახურების წარმოების საერთო მოცულობა, არამედ წარმოებული პროდუქციის განაწილება მისი დანიშნულების მიხედვით. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მშპ-ს შემადგენლობაში დანახარჯები იყოფა ოთხ დიდ ჯგუფად:

- მოხმარება (C);
- ინვესტიციები (I);
- სახელმწიფო შესყიდვები (G);
- წმინდა ექსპორტი (NX).

თუკი მშპ-ს აღვნიშნავთ Y-ით, მივიღებთ:

$$Y = C + I + G + NX.$$

მშპ ესაა მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო შესყიდვების და წმინდა ექსპორტის მოცულობათა ჯამი. მშპ-ს შემადგენლობაში დანახარჯების თითოეული კომპონენტი ამ ჯგუფებიდან ერთ-ერთს მიეკუთვნება. ეს განტოლება წარმოადგენს იგივეობას - ტოლობა სრულდება მასში შემაჯავლი ცვლადების განმარტებით გამომდინარე. მან მიიღო *ეროვნულ ანგარიშთა იგივეობის სახელწოდება*.

მოხმარება ეს არის საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა, რომელსაც საოჯახო მეურნეობა ყიდულობს. ისინი სამ ქვეჯგუფად იყოფა: მიკეცვადიანი მოხმარების საგნები, გრძელვადიანი მოხმარების საგნები და მომსახურება. მიკეცვადიანი მოხმარების საგნებს განეკუთვნება საქონელი, რომლებიც გემოსახურება არახანგრძლივი ვადით, ასეთებია მაგალითად: კეკის პროდუქტები და ტანსაცმელი. გრძელვადიანი მოხმარების საქონელს მიეკუთვნება ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენებადი საქონელი, მაგალითად: ავტომობილები, სარეცხი მანქანები და სხვა. მომსახურების ქვეჯგუფი მოიცავს მოსახლეობის ისეთ მომსახურებას, როგორცაა საპარიკმახერო, სამედიცინო და ა.შ.

ინვესტიციებში შედის ისეთი საქონლის ღირებულება, რომლებიც შეიძინება მომავალი გამოყენებისათვის. ინვესტიციები ასევე იყოფა სამ ჯგუფად, ესენია: *საწარმოო კაპიტალდაბანდობა* (ინვესტიციები ძირითად საწარმოო ფონდებში, ანუ ძირითად კაპიტალში), *ინვესტიციები ბინათმშენებლობაში* და *ინვესტიციები მარაგებში*. ინვესტიციებს ძირითად კაპიტალში მიეკუთვნება ფირმის დანახარჯები ახალი საწარმოებისა და დანადგარების შექმნაში. ინვესტიციები ბინათმშენებლობაში - ესაა დანახარჯები, გაწეული ახალი საცხოვრებელი სახლების შექმნაში როგორც საკუთარი მოხმარების, ასევე არენდით გაქირავებისათვის. ინვესტიციები მარაგებში - ესაა ფირმის სასაქონლო მარაგების ღირებულების ნაწილი (თუკი მარაგები მცირდება, მაშინ ინვესტიციები მარაგებში უარყოფითია).

სახელმწიფო შესყიდვები - ესაა საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულება, რომელიც შეიძინება ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი მართვის ორგანოების მიერ. ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნება სამხეობრო აღჭურვილობა, გზატკეცილების მშენებლობა, სახელმწიფო მოხელეების ხელფასი. ამ ქვეჯგუფში არ შედის ტრანსფერტული გადასახდებები, ისეთები, როგორცაა სოციალურ დაზღვევაზე ანაზღაურებები და სხვა დახმარებაზე გაწეული შემწევობები. რამდენადაც ეს ანაზღაურებები იწარმოება უნაცვალგებოდ, ისინი არ გაითავალისწინება მშპ-ს შემადგენლობაში.

ბოლო ქვეჯგუფია *წმინდა ექსპორტი*, რომელიც გამოხატავს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის შედეგებს. წმინდა ექსპორტი ტოლია საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი მოცულობების სხვაობისა. საგარეო ვაჭრობის სფეროში წონასწორობის დროს ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი მოცულობები ტოლია, ხოლო წმინდა ექსპორტის სიდიდე ნულია ტოლია; ამ შემთხვევაში მშპ უდრის შიდა დანახარჯების ჯამს: $C+I+G$. მაგრამ, თუკი ჩვენ ვახდენთ მეტის ექსპორტირებას, ვიდრე იმპორტირებას, მაშინ მსოფლიო ბაზარზე ჩვენ გამოვიდეთ „წმინდა-ექსპორტიორის“ როლში და მშპ აჭარბებს შიდა დანახარჯების მოცულობას. ანალოგიურად, თუკი ჩვენ მეტის იმპორტირებას ვახდენთ, მაშინ მსოფლიო ბაზარზე გამოვიდეთ „წმინდა-იმპორტიორის“ როლში და წმინდა ექსპორტის სიდიდე უარყოფითია, ხოლო დანახარჯების მოცულობა აღემატება წარმოების მოცულობას.

მაბალატი 2-2

მშპ და მისი შემადგენელი კომპონენტები აშშ-ში

2004 წელს აშშ-ის მშპ 11,7 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. ციფრი იმდენად დიდია, რომ მისი გააზრება რთულია. იმის გასაგებად თუ რამდენია იგი, უფრო ადეოლია გაეცნოთ მშპ-ის მოცულობა აშშ-ის მოსახლეობაზე, როგორც იმ პერიოდისათვის შეადგენდა 294 მილიონს. ამდენად, მივიღებთ მშპ-ს მოსახლეობის ერთ სულზე - ამერიკელის საშუალო დანახარჯების მოცულობას, რომელმაც 2004 წელს შეადგინა 39904 აშშ დოლარი. როგორი იყო მშპ-ს გამოყენების მიმართულებები? 2-1 ცხრილში ნაჩვენებია, რომ მშპ-ს 70% ანუ 28009 დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე დახარჯულ იქნა მოხმარებაზე. ინვესტიციებმა შეადგინა 6539 დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე. სახელმწიფო შესყიდვებმა შეადგინა 7431 დოლარი ერთ ადამიანზე, ხოლო წმინდა ექსპორტი - 2072 დოლარი.

მშპ და დანახარჯების კომპონენტები 2004 წელს აშპ-ში

	სულ, (მლრდ დოლ.)	ერთ სულ მოსახლეზე (დოლარებში)	მთლიანი მშპ-ს პროცენტში წილი
მთლიანი შიდა პროდუქტი	11728	39904	100%
მოსმარება	8232	28009	70%
ინვესტიციები	1922	6539	16
სახელმწიფო შესყიდვები	2184	7431	19
წმინდა ექსპორტი	-609	-2072	-5%

შემოსავლების სხვა მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ ერთობლივი შემოსავლის მაჩვენებლად ყველაზე ხშირად გამოიყენება მშპ, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოიყენება შემოსავლის სხვა მაჩვენებლებიც, რომელიც მშპ-სთან რამდენიმე კომპონენტით განსხვავდება. პრაქტიკული თვალსაზრისით შემოსავლის მაჩვენებლებს შორის განსხვავებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც მათი დინამიკა თითქმის ერთნაირია. მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა ეციოდეთ სხვადასხვა მაჩვენებლებიც, ვინაიდან ეკონომისტები ხშირად მიმართავენ მათ.

როგორც ხემათ აღენიშნეთ, მშპ შესაძლებელია გაეიანგარიშოს აგრეთვე შემოსავლების შეკრების გზით, რომელიც მიღებულია მწარმოებლების მიერ, მოგებისა და სახელმწიფოსათვის გადახდილი გადასახადების ჩათვლით. შემოსავლების მიხედვით მშპ-ს გაანგარიშების საკენამო მნიშვნელობის შემაღლებულია ეროვნული შემოსავლის კონცეფცია. ეროვნული შემოსავლი 2-2-ში არის ხუთი სახის შემოსავლების ჯამი (იხ. ცხრილი 2-2 აშპ-ს მაგალითზე 2002 წლისათვის).

1. *მომუშავეთათვის საკომპენსაციო ანაზღაურებები* ეს არის მომუშავეთა (გარდა თეთიდასაქმებულთა) შემოსავლები, რომლებიც მოიცავენ ხელფასს, ჯამაგირს, მომუშავეთათვის სხვადასხვა პრემიებს (მათ შორის, ანაბრები საუნესკო გეგმების მიხედვით), ანაბრები სოციალური დაზღვევის სისტემაში. როგორც ცხრილი 2-2-ში შეგებოდა ენახოთ, მომუშავეთათვის საკომპენსაციო ანაზღაურებები წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელმაც 2002 წელს აშპ-ში მშპ-ს 37% შეადგინა².
2. *თეთიდასაქმებულ მესაკუთრეთა შემოსავლები* ეს არის არაკორპორაციულ თეთიდასაქმებულთა მესაკუთრეთა (ინდივიდუალურ მეწარმეთა) შემოსავლები რადგანაც მზაველ თეთიდასაქმებულ ადამიანს გააჩნია საკუთარი კაპიტალი (მაგალითად, ფერმერს ტრაქტორი ან სტომატოლოგს რენტგენის აპარატი), თეთიდასაქმებულ მესაკუთრეთა შემოსავლები მოიცავს როგორც შრომით, ისე საკუთრებიდან შემოსავლებს. მაგალითად, აშპ-ში 2002 წელს ასეთი შემოსავლების წილმა შეადგინა მშპ-ს დაახლოებით 7%.
3. *ფიზიკური პირების რენტული შემოსავალი* ეს არის ფიზიკური პირების მიერ მიღებული შემოსავლები, რომლებიც არიან მიწის დაწან უძრავი ქონების მესაკუთრეები და შემოსავლებს დებულობენ ამ საკუთრების სხვა პირებისადმი სარგებლობაში გადაცემით. ამ კატეგორიაში შედის აგრეთვე სხვადასხვა სახის წერილი შემოსავლები რენტის ტიპის, რომლებსაც უხდიან ავტორებს და არტისტებს ფიზიკური პირების თვალსაზრისით შემოსავალმა 2002 წლისათვის შეადგინა მშპ-ს დაახლოებით 1,4%³.
4. *კორპორაციული შემოსავლები* ეს მოგებაა, რომლებიც მიიღება კორპორაციების მიერ, ე.ი. მათი შემოსავლების ნაშთი ხელფასის, პროცენტების, რენტის და სხვა დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ. კორპორაციული მოგებიდან ხდება გადასახადების გადახდა, ისეთის, როგორცაა შემოსავალზე კორპორაციული გადასახადი, ხოლო აქციონერებისთვის ხორციელდება დივიდენდების გადახდა. გადასახადების გადახდისა და

² მომუშავეთათვის საკომპენსაციო ანაზღაურებები აჯარბებს მათ მიერ შინ მიტანილ თანხას როგორც ამ ჩანონათვალში სხვა ნებისმიერი სახის შემოსავლებისთვის, შემოსავლის ნაწილი, რომელიც მიღებულია მომუშავეების მიერ, უნდა გადაეცეს სახელმწიფოს გადასახადების სახით.

³ ფიზიკური პირების რენტული შემოსავალი შეადგენს მშპ-ს უმნიშვნელო ნაწილს იმასთან დაკავშირებით, რომ ის წარმოადგენს წმინდა რენტულ შემოსავლებს, ე.ი. მფლობელების მიერ საკუთრების ობიექტების შენახვაზე ან შექმნაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით. ფიზიკური პირების რენტული შემოსავლები აგრეთვე არ მოიცავს ეკონომიკაში ყველა რენტულ გადასახადებს, რადგანაც არ ითვალისწინებს რენტას, რომლებიც მიიღება კორპორაციების მიერ.

დღიედნდების გაცემის შემდგომ დარსინილი მოგება, რომელსაც ეწოდება გაუნაწილებელი მოგება, რჩება კორპორაციას. კორპორაციის მოგება მშპ-ს არც ისე დიდი ნაწილია (2002 წელს მან აშშ-ში მშპ-ს 7,5% შეადგინა), მაგრამ მისი აბსოლუტური სიდიდე შეიძლება მეკეთრად შეიცვალოს წლიდან წლამდე და თვით კვარტლიდან კვარტლამდე.

5. წმინდა პროცენტი ეს არის პროცენტები, რომლებიც მიღებულია ფიზიკური პირების მიერ ბიზნესის სფეროდან და უცხოური წყაროებიდან იმ პროცენტების გამოკლებით, რომლებიც გადახდილია ფიზიკური პირების მიერ. ამ შემადგენლის სიდიდე აშშ-ში, ბოლო 25 წლის განმავლობაში მერყეობდა მშპ-ს 5%-დან 8%-მდე.

ცხრილი 2-2¹

მშპ-ს სტრუქტურა აშშ-ში შემოსავლების მიხედვით 2002 წელს

	მლრდ დოლარი	პროცენტები მშპ-ს მიმართ
მომუშავეთათვის საკომპენსაციო ანაზღაურებები	5977	57,2
თვითდასაქმებულ მესაკუთრეთა შემოსავლები	757	7,2
ფიზიკური პირების რენტული შემოსავლები	142	1,4
კორპორაციული მოგება	787	7,5
წმინდა პროცენტი	684	6,5
ჯამში: ეროვნული შემოსავალი (NI)	8348	79,9
პლიუს ბიზნესზე ირიბი გადასახადები (და სხვა უმნიშვნელო შემოსულობები)	695	6,7
ტოლია: წმინდა ეროვნული პროდუქტი (NNP)	9043	86,6
პლიუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება	1394	13,3
ტოლია: მთლიანი ეროვნული პროდუქტი (GNP)	10437	99,9
გამოკლებული ფაქტორული შემოსავალი, რომელიც მიღებულია საზღვარგარეთიდან	278	2,7
დამატებული საზღვარგარეთისთვის გადახდილი ფაქტორული შემოსავალი	288	2,8
ტოლია: მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP)	10445	100,0
შენიშვნა: წარმოდგენილი ციფრების შეკრების შედეგები შეიძლება არ დაემთხვეს საბოლოო შედეგებს დამრგვალების გამო		

ეროვნული შემოსავლის უკვე აღწერილი ხუთი შემადგენელი ნაწილის გარდა, მშპ-ს სიდიდის მისაღებად აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ შემდეგი სამი პოზიცია:

- ბიზნესზე ირიბი გადასახადები;
- ამორტიზაცია;
- წმინდა ფაქტორული გადასახადები.

ბიზნესზე ირიბ გადასახადებს, ისეთებს, როგორცაა გადასახადები გაყიდვებიდან და აქციზები, იხდის ბიზნესი ფედერალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში. ირიბი გადასახადები არ განიხილება ერთეული შემოსავლის ხუთი ძირითადი შემადგენლის განხილვის დროს, მაგრამ რადგანაც ისინი წარმოადგენს მოაქრობის შემოსავალს, აუცილებლად უნდა დაეუმატოთ ეროვნულ შემოსავალს, რათა გაეთვალისწინოთ ქვეყანაში მიღებული ყველა შემოსავალი. ეროვნული შემოსავალი ბიზნესზე ირიბ გადასახადებთან ერთად შეადგენს წმინდა ეროვნულ პროდუქტს, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილი 2-2-ში².

ამორტიზაცია (სხვანაირად მას უწოდებენ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას) – ეს არის კაპიტალის ღირებულება, გადატანილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებაზე, რომლებიც წარმოებულია პერიოდში, რომლის განმავლობაშიც იფარალება ეკონომიკური საქმიანობის

⁴ წყარო: აშშ-ს ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ვებ-გვერდი www.bea.doc.gov, ცხრილი 1.9, 2003 წლის 28 მარტი

⁵ წმინდა ეროვნული პროდუქტი მიიცავს აგრეთვე ზოგიერთ სხვა უმნიშვნელო შემადგენელ კომპონენტებს, კერძოდ ისეთს, როგორცაა საწარმოებისადმი მთავრობის სუბსიდიები. აქ მას აღარ განვიხილავთ.

შედგებიან, ეროვნული შემოსავლის ცალკეული შემადგენლის გამოთვლის დროს (განსაკუთრებით, თეთრდასაქმებულ მესაკუთრეთა შემოსავლების, კორპორატიულ მოგებათა და რენტული შემოსავლების) ამორტიზაცია გამოითვლება საერთო (მთლიანი) შემოსავლიდან. ამიტომ, ეკონომიკაში შემოსავლების საერთო სიდიდის გამოსათვლელად აუცილებელია ამორტიზაციის თანხის კელაუ დაბატება. წმინდა ეროვნული პროდუქტისა და ამორტიზაციის ჯამი შეადგენს მთლიან ეროვნულ პროდუქტს. ეროვნული და შიდა პროდუქტები იწოდება მთლიან პროდუქტებად, რადგანაც ეს მანევრებლები ასახავენ ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების წარმოების საერთო მოცულობას ამორტიზაციის გამოკლების გარეშე.

იმისათვის, რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტიდან გადავიდეთ მთლიან შიდა პროდუქტზე, საჭიროა პირველიდან გამოვიციხეთ *საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორული გადასახდელები (NFP)*:

$$GDP = GNP - NFP$$

წმინდა ფაქტორული გადასახდელები არის შემოსავლები, რომელიც მიიღება მოცემული ქვეყნის მესაკუთრეთა კუთხილ, მაგრამ მის ფარგლებს გარეთ არსებული წარმოების ფაქტორების გამოყენების შედეგად მიღებულ შემოსავლებს გამოკლებული შემოსავლები, რომლებსაც ვეძებოთ მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული უცხოური წარმოების ფაქტორების მესაკუთრეები. როგორც ცხრილი 2-2-დან ჩანს, აშშ-სთვის წმინდა ფაქტორული გადასახდელებს ოდენობა შედარებით მცირეა და ამიტომ, მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის სიდიდეები თითქმის ერთნაირია.

ეკრო და სახელმწიფო სექტორის შემოსავლები

მოცემულ პარაგრაფში ეკონომიკური საქმიანობის შედეგები გავზომოთ, როგორც ყველა შემოსავლის ჯამი, რომლებიც მიღებულია ეკონომიკაში. მაგრამ ზოგჯერ, ეკონომისტებისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რამდენი შემოსავალი მიიღო კერძო სექტორმა (საოჯახო მეურნეობებმა და ბიზნესმა) და რამდენი – სახელმწიფო სექტორმა, რომელიც წარმოდგენილია ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების მიერ. მაგალითად, როდესაც ვაპირებთ სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის პროგნოზირებას, უფრო სასარგებლოა ეჭრადლება გავამახვილოთ კერძო სექტორის შემოსავლების შესწავლაზე, ვიდრე მთლიანად ეკონომიკაში არსებული შემოსავლების.

ეკრო სექტორის შემოსავლები, რომელიც ცნობილია, როგორც *ეკრო განკარგავდი შემოსავალი*, განსაზღვრავს ეკრო სექტორის შემოსავლების სიდიდეს, რომელიც ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად. საერთოდ, როგორც ცალკეული ოჯახისთვის, ეკრო სექტორმა განკარგავდი შემოსავალი, როგორც ერთიანი მთლიანი სუბიექტისა, ტოლია შემოსავლების ერთობლიობის, რომლებიც მიღებულია მის მიერ საკუთარი ეკონომიკური საქმიანობიდან, აგრეთვე ანაზღაურებების, რომლებიც მიღებულია ეკრო სექტორის მიერ მთავრობისგან, გამოკლებული მთავრობისადმი გადახდილი გადასახდელები. აღნიშნული განსაზღვრება შეიძლება ჩაეწეროს შემდეგნაირად:

$$\text{ეკრო განკარგავდი შემოსავალი} = Y + NFP + TR + INT - T$$

სადაც Y – მთლიანი შიდა პროდუქტია (შემოსავალი), ე.ი. ეკრო სექტორის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიღებულია ქვეყნის შიგნით ეკონომიკური საქმიანობიდან; NFP – საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორული გადასახდელები; TR – მთავრობისგან მიღებული ტრანსფერტები; INT – სახელმწიფო ვალზე პროცენტული გადასახდელები; T – გადასახდები.

როგორც ზემოთმოცემული ტოლობიდან ჩანს, ეკრო განკარგავდი შემოსავალი ტოლია ეკრო სექტორის შემოსავლების, რომლებიც მიღებულია ქვეყნის შიგნით (შშშ) და საზღვარგარეთ (საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორული გადასახდელები),⁶ პლუს სახელმწიფო სექტორისგან

⁶ ამორტიზაცია (ძირითადი კაპიტალის მოხმარება) თვალისწინებს კაპიტალის ფიზიკურ ცვეთასაც და მის გასვლას ექსპლოატაციიდან შემდგომი ფუნქციონირების ეკონომიკურად მიზანშეუწონლობის გამო. მაგალითად, ესაა მოძველებული კომპიუტერები, რომლებიც ჩამოწრილია უფრო უკეთესი მახასიათებლების მქონე ახალი მოდელების სწრაფად გამოჩენის გამო.

⁷ შევამოთ ვერაღებია იმას, რომ შემოსავლების ჯამი, რომლებიც მიღებულია ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, მიიღება შემდეგნაირად: $(GDP + NFP) = GNP$

ეკრო სექტორისადმი ანახლავრებები (ტრანსფერტები და სახელმწიფო ვალზე პროცენტები), მიწის მთავრობისადმი გადახდილი გადასახადები.

შპს-ს ის ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს ეკრო სექტორის განკარგავლელ შემოსავალს, სახელმწიფო სექტორის შემოსავლებს წმინდა სახელმწიფო სექტორული ტოლისა ეკრო სექტორის მიერ გადახდილი გადასახადების ჯამს გამოკლებული ეკრო სექტორისადმი მთავრობის მიერ გადახდილი პროცენტული გადასახადები (ტრანსფერტები და სახელმწიფო ვალზე პროცენტები):

$$\text{წმინდა სახელმწიფო შემოსავალი} = T - TR - INT.$$

თუ ბოლო ორ გამოსახულებას შევკრებთ, ე.ი. ეკრო განკარგავლი შემოსავლისა და წმინდა სახელმწიფო შემოსავლის ჯამს, მივიღებთ $Y + NFP$, ანუ მთლიანი ეროვნული პროდუქტის სიდიდეს.

ეკრო განკარგავლი შემოსავალი+წმინდა სახელმწიფო შემოსავალი=

$$= Y + NFP + TR + INT - T + (T - TR - INT) = Y + NFP = GNP.$$

მაბალაიტი 2-3

სეზონური რყევები და სეზონური კორექტირებები

შპს-სა და შემოსავლების სხვა მაჩვენებელთა დინამიკის განხილვისას წლის განმავლობაში ყურადღება ექცევა რეგულარულ სეზონურ რყევებს. წარმოების მოცულობა იზრდება მთელი წლის განმავლობაში და თავის მაქსიმუმს აღწევს მეთხუთხე კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) და შემდეგ მცირდება მომდევნო წლის პირველი კვარტალის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი). ეს მუდმივი სეზონური (ველიტები ყოველთვის საკმაოდ შესამჩნევია. მეოთხე კვარტალიდან მომდევნო წლის პირველ კვარტალამდე პერიოდის განმავლობაში შპს-ს შემცირება აშშ-ში აღწევს 8%-ს.

არ არის გასაკვირი, რომ შპს-ს რეალური მოცულობის დინამიკა ციკლურ სეზონურ ცვლილებებს მოსდევს. ზოგიერთი მათგანი დაკავშირებულია საქარმო პროცესის თავისებურებებთან: მაგალითად, სახლების შენეხვება წლის ციკ პერიოდში დაკავშირებულია დიდ სიჩქარეებთან. ამის გარდა, ადამიანების უპირატესობებიც იცვლება წლის პერიოდების მიხედვით. მაგალითად, არსებობს მასობრივი შეხვედრების ან მასობრივი საშობო საზეურების უდიდესი პერიოდი.

რეალური შპს-ს მოცულობისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებების შესწავლისას სასურველია მათი დინამიკა „აგეწმინდოთ“ სეზონური ფაქტორებისაგან. გაზეთებში გამოქვეყნებული სტატისტიკური ანგარიშების დიდი ნაწილი კორექტირებულია სეზონური ცვლილებების გათვალისწინებით, ანუ მათში ამ ფაქტორის ზეგავლენა აღმოფხვრულია. ამდენად, თუკი ესედათ, რომ მიმდინარეობს შპს-ს რეალური მოცულობის ცვლილება, ამის ახსნა უნდა ეძებებთ სეზონური ცვლილებების მიღმა.

დანაზოგები და სიმდიდრე

თუკი გვსურს შევაფასოდ საოჯახო მეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობა, მაშინ მათი შემოსავლების მიმდინარე სიდიდეზე ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მაგრამ, აუცილებელი არ არის ის გარემოება, რომ მათ, რომელთაც გააჩნიათ უფრო მაღალი მიმდინარე შემოსავლები, ცხადია იქნება უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაშიც, ვიდრე ნაკლებად მაღალი მიმდინარე შემოსავლების მქონე საოჯახო მეურნეობებს. არამომუშავე მავანტს, რომელსაც არ გააჩნია მიმდინარე შემოსავლები, მაგრამ ფლობს 10 მლნ დოლარის ღირებულების საკუთრებას, ცხადია, ექნება უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა, ახლახანს სწავლადასრულებულ, მაღალანაზღაურებად ექიმს, რომელმაც სამედიცინო ხასწავლებელში სწავლის განმავლობაში დატოვოა დიდი ვალი. იმისათვის, რომ განესაზღვროთ საოჯახო მეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობა, გარდა მიმდინარე შემოსავლებისა, ჩვენ უნდა გაითვალისწინებთ მათი კუთვნილი საკუთრება (აქტივები), აგრეთვე ვალიც (ვალდებულებები). აქტივების სიდიდეს ვალდებულებათა გამოკლებით ვწოდებთ *სირდიდრე* (კეთილდღეობა).

როგორც ცალკეული საოჯახო მეურნეობისათვის, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო მათ ერთობლივ შემოსავლებზე, არამედ დატოვებული სიმდიდრის სიდიდეზე. ერთი დატოვებული სიმდიდრის სიდიდეს მთლიანობაში ვწოდებთ *ეროვნული სიმდიდრე*. სიმდიდრის სიდიდის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დაზოგების დონე: ოჯახები, რომლებიც ყოველთვიურად თავიანთი შემოსავლების მეოთხედს აბანდებენ რაიმე

⁸ Barys R.A. and Miron J.A. The Seasonal Cycle and the Business Cycle //Journal of Political Economy 97 (June 1989), pp. 503-534.

აქტივებში, სიმდიდრეს ავროელებს უფრო სწრაფად, ვიდრე ის ოჯახები, რომლებიც თავიანთი შემოსავლების მხოლოდ 2%-ს ზოგავენ. ამის მსგავსად, ეროვნული სიმდიდრის ზრდის ტემპები დამოკიდებულია ერთად აღებული ინდივიდების, ბიზნესისა და მთავრობის დაზოგვის დონეზე-ამიტომ, დაზოგვის დონე და სიმდიდრის ავროელების ტემპები ურთიერთდაკავშირებული სიდიდეებია.

მოცემულ პარაგრაფში წარმოადგენთ ერთობლივ დანაზოგებისა და სიმდიდრის ზოგიერთ კონცეფციას, აგრეთვე განვიხილავთ მათ შორის ურთიერთკავშირებს. ყველაზე მეტად ჩვენ გეანტიტრესებს დანაზოგების გაზომვის საშუალება და ხერხები. ისეთი საკითხები, როგორცაა როგორ და რითი განისაზღვრება ქვეყანაში დაზოგვის დონე, განიხილება მომდევნო თავებში.

ერთობლივი დანაზოგების გაზომვა

საერთოდ, ნებისმიერი ეკონომიკური აგენტის დანაზოგები წარმოადგენს მის მიმდინარე სემოსავლებსა და მიმდინარე საჭიროებისათვის გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობას. ეკონომიკური აგენტის დაზოგვის დონე (ნორმა) განისაზღვრება მისი დანაზოგების თანაფარდობით მისსავე შემოსავლების სიდიდესთან. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით გამოყოფენ დანაზოგების სამ მნიშვნელოვან მაჩვენებელს: კერძო დანაზოგებს, სახელმწიფო დანაზოგებს და ეროვნულ დანაზოგებს. ნაერთ ცხრილში 2-3 მოცემულია თითოეული ამ მაჩვენებლების განსაზღვრება და გაანგარიშების ფორმულები.

კერძო დანაზოგები. კერძო სექტორის დანაზოგები, რომელიც ცნობილია, როგორც კერძო დანაზოგები, განისაზღვრება კერძო განკარგავად შემოსავალსა და მოხმარებას შორის სხვაობით. ის გამოითვლება შემდეგნაირად:

$$S_{pvt} = \text{კერძო განკარგავადი შემოსავალი} - \text{მოხმარება} = (Y + NFP - T + TR + INT) - C$$

ცხრილი 2-3

მაჩვენებლები	განსაზღვრება და გაანგარიშების ფორმულა
კერძო დანაზოგები	კერძო განკარგავადი შემოსავალი მოხმარების გამოკლებით: $S_{pvt} = (Y + NFP - T + TR + INT) - C.$
სახელმწიფო დანაზოგები	სახელმწიფოს შემოსავლები სახელმწიფო შესყიდვების გარეშე: $S_{govt} = (T - TR - INT) - G.$
ეროვნული დანაზოგები	კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი ანუ მილიანი ეროვნულ პროდუქტი (Y+NFP) მოხმარებისა და სახელმწიფო შესყიდვების გამოკლებით: $S = S_{pvt} + S_{govt} = Y + NFP - C - G.$

სადაც S_{pvt} - კერძო დანაზოგებია. მოხმარება გამოირიცხება კერძო განკარგავად შემოსავლიდან, რათა მივიღოთ დანაზოგები, რადგანაც, მოხმარება წარმოადგენს კერძო სექტორის დანახარჯებს მიმდინარე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ინვესტიციები მართალია კერძო სექტორის დანახარჯების ნაწილია, მაგრამ არ გამოირიცხება კერძო განკარგავად შემოსავლიდან, რადგანაც კაპიტალური საქონელი შეიძინება არა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მომავლისთვის საწარმოო სიმბლავრების გასაზრდელად. *კერძო დანაზოგების დონე* განისაზღვრება, როგორც კერძო დანაზოგების კერძო განკარგავად შემოსავალზე გაყოფის შედეგი⁹.

⁹ სხვადასხვა ანგარიშებსა და განხილვებში შეიძლება შევხვდეს ისეთი საზომი, როგორცაა პირადი დანაზოგები, რომელიც წარმოადგენს საჯარო მურყნობების, როგორც კერძო სექტორის ერთ-ერთი ნაწილის დანაზოგებს. პირადი დანაზოგები განსხვავდება კერძოსავე ბიზნესის სფეროს დანაზოგების სიდიდით. მაგალითად, აშშ-ში კერძო დანაზოგების დონე მცირეა, მაგრამ, რადგანაც ბიზნესის შესაუთუბები იგივე

სახელმწიფო დანაზოგები. 1996 წელს ეროვნული შემოსავლისა და პროდუქტის ანგარიშების სისტემის (NIPA) გადახედვამ გამოიწვია სახელმწიფო დანაზოგების ცნების ოფიციალური განსაზღვრის (კვლეობა). 1996 წლამდე სახელმწიფო დანაზოგები განისაზღვრებოდა, როგორც წმინდა სახელმწიფო შემოსავლის გამოკლებული სახელმწიფო შესყიდვები. სახელმწიფო დანაზოგების S_{govt} სიმბოლოთი აღნიშნული შეგვიძლია მისი ტრადიციული განსაზღვრის შემდეგი ფორმულით გამოხატვა:

$$S_{govt} = \text{წმინდა სახელმწიფო შემოსავალი} - \text{სახელმწიფო შესყიდვები} = (T - TR - INT) - G.$$

აღნიშნულ განტოლებაში G აღნიშნავს მთლიან სახელმწიფო შესყიდვებს, როგორც მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო სახელმწიფო დანახარჯების ჯამს. ამიტომ, სახელმწიფო დანაზოგების განსაზღვრება აკმაყოფილებს დანაზოგების საერთო განსაზღვრებას, როგორც შემოსავლებსა და მიმდინარე საჭიროებებზე დანახარჯებს შორის სხვაობა.

მაგრამ, როგორც ადრე აღინიშნეთ, ყველა სახელმწიფო შესყიდვა რაღაც ხორციელდება მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებლად; მათ შორის ზოგიერთი განკუთვნილია ძირითადი კაპიტალის საყიდლად (შესაქმნელად), როგორცაა სკოლები, ავტომობილებისა და რკინიგზები. 1996 წელს NIPA-ს ახალმა პოლიტიკამ წინა ვარიანტისგან განსხვავებით მოგვცა სახელმწიფო შესყიდვების ორ შემადგენელ ნაწილად დაყოფა, რომელთაგან ერთ-ერთი განკუთვნილია მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებლად (და განიხილება, როგორც სახელმწიფო მოხმარება¹⁰), ხოლო მეორე იხარჯება გრძელვადიანი ექსპლუატაციის ვადის მქონე კაპიტალური საქონლის შექმნაზე (და განიხილება, როგორც სახელმწიფო ინვესტიციები). ახალი სისტემის მიხედვით სახელმწიფო დანაზოგები განისაზღვრება, როგორც წმინდა სახელმწიფო შემოსავალი სახელმწიფო მოხმარების გამოკლებით, მაშინ, როდესაც ადრე ეს იყო სხვაობა წმინდა სახელმწიფო შემოსავალსა და მთლიან სახელმწიფო შესყიდვებს შორის. ამ ახალმა მიდგომამ გაზარდა ამერიკულ ეკონომიკაში დანაზოგებისა და ინვესტიციების მაჩვენებლები სახელმწიფო ინვესტიციების ოდენობით, რომელიც 300 მლნ დოლარს აჭარბებს უძველესი დროიდან¹¹.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანაზოგების ახალი განსაზღვრება კონცეპტუალურად უფრო კორექტულია, ანალიზის უზრაველსობისათვის, რომელიც მოყვანილია მოცემულ სახელმძღვანელოში, სახელმწიფო მოხმარებისა და სახელმწიფო ინვესტიციების განცალკევება აუცილებელი არ არის. ამიტომ, ანალიზი რომ არ გაართულოდ, როგორც წესი, სახელმწიფო ინვესტიციების ოდენობისა მოგახდენთ და დაუშვებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება მხოლოდ მოხმარების მიზნით. ამ დაშვებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლებთ სახელმწიფო დანაზოგების ტრადიციული განსაზღვრებით. მაგრამ, როდესაც მსჯელობა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ჩვენ მხედველობაში ვიკონიებთ იმას, რომ ზოგიერთი სახელმწიფო დანახარჯები განკუთვნილია ხანგრძლივი გამოყენების კაპიტალური საქონლის შესაქმნად ან მშენებლობისთვის.

სახელმწიფო დანაზოგების სხვა, პრაქტიკულად უფრო ახლომდებარე სახელწოდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი. *სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი* განისაზღვრება, როგორც სხვაობა სახელმწიფო ხეშოსავლებსა და დანახარჯებს შორის. *სახელმწიფო შემოსავლები* პრაქტიკულად შედგება საგადასახადო შემოსულობებისგან T . *სახელმწიფო დანახარჯები* წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების G , ტრანსფერტების TR სახელმწიფო ვალზე პროცენტული გადასახდებების INT ჯამს. ამიტომ, სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი განისაზღვრება, როგორც $T - (G + TR + INT)$, რაც იგივე სახელმწიფო დანაზოგებია.

სახელმწიფო დანახარჯების სახელმწიფო შემოსავლებზე მეტობას ეწოდება *სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი*. ასეთ სიტუაციაში, სახელმწიფო დანაზოგებს უარყოფითი სიდიდე გააჩნიათ.

საოჯახო მეურნეობებია, რომლებიც მას აკონტროლებენ, ამ ფაქტს რაიმე არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. ამიტომ, აზრი ეყარება კერძო და პერსონალურ დანაზოგებს შორის განცალკევებას და ჩვენს უზრაველბას ვაშთავლებთ ხეორულ კერძო დანაზოგების შეწყობაზე.

¹⁰ სახელმწიფო მოხმარების მაჩვენებელი მოიცავს სახელმწიფოს კუთხილი კაპიტალური საქონლის ამორტიზაციას.

¹¹ აღინიშნავთ, რომ ანალოგიური მიზეზით საოჯახო მეურნეობათა დანახარჯები ავტომობილებისა და გრძელვადიანი სარეგულირების სამომხმარებლო საქონლის ყიდვაზე არ უნდა გამოირჩეოდნენ კერძო განკარგველი შემოსავლის მაჩვენებლიდან კერძო დანაზოგების გამოთვლისას, თუმცა პრაქტიკაში ეს მხედველობაში არ მიიღება.

ეროვნული დანაზოგები. ეროვნული დანაზოგი, ანუ დანაზოგები ეროვნულ ეკონომიკაში, როგორც ერთიანი, მთლიანი მაჩვენებელი, ტოლია კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამის. მაშასადამე, ეროვნული დანაზოგის მაჩვენებელი მიიღება შემდეგი ფორმულით:

$$S = S_{priv} + S_{govt} = (Y + NFP - T + TR + INT - C) + (T - TR - INT - G) = Y + NFP - C - G.$$

აღნიშნული გამოსახულება გვიჩვენებს, რომ ეროვნული დანაზოგი ტოლია ეკონომიკაში ყველა შემოსავლის ჯამს $Y+NFP$ (რაც შეადგენს მთლიან ეროვნულ პროდუქტს) გამოკლებული მიმდინარე მითხოვნილებების დაკმაყოფილებაზე გაწეული დანახარჯები (მომხარება C და სახელმწიფო შესყიდვები G).

კერძო დანაზოგების გამოყენება

რა გამოყენება აქვს კერძო დანაზოგებს ეკონომიკაში? ის გამოიყენება ახალი კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად, მოაგრობისათვის რესურსების შესათავაზებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად, უცხოური აქტივების შესახედად ან სასესხო საშუალებათა შესათავაზებლად საზღვარგარეთ.

იმისათვის, რომ ენახოთ იგივეობის მნიშვნელობა, რომელიც ახდენს კერძო ინვესტიციების გამოყენების ილუსტრირებას, უპირველეს ყოვლისა, ვისარგებლოთ შემოსავლები-დანახარჯების იგივეობით და ეროვნული დანაზოგის ფორმულაში Y შევცვალოთ $C+I+G+NX$ -ით:

$$S = (C + I + G + NX) + NFP - C - G.$$

ამ ფორმულის გამარტივებით მივიღებთ

$$S = I + (NX + NFP).$$

ეროვნული დანაზოგის ფორმულა შეიცავს $NX+NFP$ გამოსახულებას, რომელიც აღნიშნავს წმინდა ექსპორტისა და საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორული გადასახდელების ჯამს და მას ეწოდება *მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის საღლო* - CA ¹². მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის საღლო ტოლია მიმდინარე ჰერიონში წარმოებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ საზღვარგარეთიდან მიღებულ გადახდებს (საკომისიო მომსახურების ჩათვლით) გამოკლებული მოცემული ქვეყნის ეკონომიკური აგენტების მიერ საზღვარგარეთისადმი ანალოგიური გადახდები. თუ CA -ს ჩავსვამთ $NX+NFP$ -ს მაგივრად, მივიღებთ:

$$S = I + CA.$$

გვაქვს რა ეროვნული დანაზოგის ტოლობა, ჩვენ შეგვიძლია კერძო დანაზოგების S_{priv} გამოთვლა. როგორც ზემოთ ვნახეთ, კერძო დანაზოგები S_{priv} ტოლია ეროვნულ დანაზოგებს გამოკლებულია სახელმწიფო დანაზოგები S_{govt} . საბოლოოდ ვღებულობთ, რომ

$$S_{priv} = I + (-S_{govt}) + CA,$$

სადაც $-S_{govt}$ - სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტია.

ბოლო ტოლობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ტოლობაა, რომელსაც ეწოდება *დანაზოგების გამოყენების იგივეობა*. ის გვიჩვენებს, რომ კერძო დანაზოგები ეკონომიკაში სამი მიმართულებით გამოიყენება:

1. *ინვესტიციები (I)*. ფირმები სესხულობენ ფულს კერძო დანაზოგების მქონე სუბიექტებისაგან, რათა განახორციელონ ახალი კაპიტალური საქონლის (მათ შორის, მანებების) მშენებლობისა და შესყიდვის დაფინანსება, აგრეთვე შექმნან სასაქონლო ბარაბები;

¹² სინამდვილეში, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი მოიცავს აგრეთვე *წმინდა ცალმხრივ ტრანსფერებს*, რომელთაც იზიარებენ ქვეყნებს შორის ტრანსფერტების სიდიდეები, ისეთები, როგორიცაა კერძო საუკრებო ან საზღვარგარეთის ქვეყნებისადმი (ან საზღვარგარეთიდან) ოფიციალური დანხარებები. ჩვენს ანალიზში საერთოდ არ განვიხილავთ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსის ამ შემადგენელს.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი (-წესი) როდესაც მთავრობა ფუნქციონირებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში (ე.ი. წესი უარყოფითი სიდიდე), მან უნდა განახორციელოს კერძო დანახოების მქონე სუბიექტებისგან სესხება დანახარჯებისა და შემოსავლების თანხებს შორის სხვაობის დასაფარავად;
3. მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის საღლო (CA) როდესაც ის დადებითია, უცხოური სექტორის შემოსავლები მოცემული ქვეყნიდან გადახდების ხარჯზე, ვერ ფარავს იმ გადახდებს, რომელიც უცხოურმა სექტორმა უნდა განახორციელოს მოცემული ქვეყნის მიმართ. იმისათვის, რომ უცხოელებმა მიიღონ საშუალებები ამ სხვაობის დასაფარავად, მათ უნდა განახორციელონ კერძო დანახოების მქონე მოცემული ქვეყნის სუბიექტებისგან სესხება ან უნდა მიჰყიდონ საკუთარი რომელიმე აქტივები, ისეთები, როგორცაა მიწა, ფაბრიკები, სასაქონლო მარაგები, ფასიანი ქაღალდები. ამიტომ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დაფინანსება – მოცემული ქვეყნის კერძო დანახოების გამოყენების ერთ-ერთი მიმართულებაა.

ამ სიტუაციის საპირისპირო ხდება მაშინ, როდესაც მოცემული ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი უარყოფითია. ე.ი. მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ აგენტთა მიერ მიღებული შემოსავლები საზღვარგარეთიდან ნაუღებია, ეიდრე გადახდები საზღვარგარეთისადმი. იმისათვის, რომ დაიფაროს გადახდების მეტობა შემოსულობებზე, მოცემულმა ქვეყანამ უნდა განახორციელოს უცხოური აქტივორისგან სესხება ან მათ უნდა მიჰყიდონ საკუთარი აქტივები. ასეთ შემთხვევაში, უცხოელები სარგებლობენ თავიანი დანახოებით, რათა გასცენ სესხები მოცემული ქვეყნის მიმართ ან შეიძინონ ამ ქვეყნის აქტივები¹³.

დანახოება და სიმდიდრეს შორის კავშირი

დანახოვა საკანონო ეკონომიკური მაჩვენებელი, რადგანაც ის მჭიდროდაა დაკავშირებული სიმდიდრის დაგროვების ტემპებთან. ამ პარაგრაფში განვიხილავთ დანახოებასა და სიმდიდრეს შორის ურთიერთკავშირს.

სიმდიდრე და დანახოებები, როგორც მარაგი და ნაკადი. დანახოებები და სიმდიდრე ერთმანეთთან ისევეა დაკავშირებული, როგორც წყლი ნაკადი და მარაგი აუზში დაკავშირებულია ერთმანეთთან. ნებისმიერი ეკონომიკური აგენტის სიმდიდრე, რომელსაც სხვანაირად წმინდა აქტივები ეწოდება, ეს მისი აქტივებია (მის საკუთრებაში არსებული ქონება, სხვა ეკონომიკური აგენტების ვალის ჩათვლით) ვალდებულებების გამოკლებით (ე.ი. მისი გამოკლებით, რაც მას მართებს სხვა ეკონომიკური აგენტების მიმართ). სიმდიდრის სიდიდე იზომება ღირებულებებით გამოხატულებით (მაგალითად, ლარებში, დოლერებში, ევროებში და სხვ.) დროის ზოგიერთი მომენტისათვის და წარმოადგენს მომენტურ ცვლადს. დანახოების სიდიდე განისაზღვრება ფულადი ერთეულებით დროის ზოგიერთი პერიოდისათვის და წარმოადგენს დაგროვებით ცვლადს. იმასთან დაკავშირებით, რომ დანახოებები აქტივების დაგროვების ან ვალდებულებების შემცირების ფორმაა (მაგალითად, თუკი დანახოებები გამოიყენება ვალების ასანახაურებლად), ის სიმდიდრეს ფარტება ზუსტად ისე, როგორც წყლის ნაკადი აუზში ემატება უკვე არსებულ წყლის მოცულობას.

ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული სიმდიდრე – ეს არის ქვეყნის მოსახლეობის ერთობლივი სიმდიდრე. ეროვნული სიმდიდრე შედგება ორი ნაწილისაგან: 1) ქვეყანაში არსებული ფიზიკური აქტივებისაგან, კერძოდ: დაგროვებული კაპიტალური საქონლისა და მიწისაგან¹⁴, და 2) წმინდა უცხოური აქტივებისაგან. ქვეყნის წმინდა უცხოური აქტივები განისაზღვრება, როგორც უცხოურ აქტივებსა (ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილი და უცხოეთში არსებული სასაქონლო მარაგები, ფასიანი ქაღალდები და ფაბრიკები) და უცხოურ ვალდებულებებს (ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ფიზიკური და ფინანსური აქტივები, რომლებიც კუთვნილი უცხოელებს) შორის სხვაობა. წმინდა უცხოური აქტივები წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის ნაწილს, რადგანაც ის გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის მხრიდან წაყენებულ მოთხოვნებს უცხოელების მიმართ, რომელიც არ იყვარება უცხოელების მხრიდან ეროვნული ეკონომიკის მიმართ მოთხოვნებით.

ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ფინანსური აქტივები არ წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის ნაწილს, რადგანაც მათი ღირებულება კომპენსირდება სამამულო ფინანსური

¹³ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსსა და საერთაშორისო სესხებას შორის ურთიერთკავშირი უფრო დაწერილობით განიხილება მე-7 თავში.

¹⁴ პრინციპში, ეროვნული სიმდიდრე უნდა მოიცავდეს აგრეთვე ქვეყნის მოსახლეობის ცოდნისა და შესაძლებლობათა ღირებულებას – ე.ი. მას, რასაც ადამიანურ კაპიტალს ეწოდება. თუმცა პრაქტიკაში, ადამიანური კაპიტალის გაზომვისთან დაკავშირებული პრობლემების გამო ის ჩვეულებრივ არ არის ჩართული ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელში.

ვალდებულებებით. მაგალითად, აშშ-ს მოქალაქის ფულადი ანგარიში ამერიკულ ბანკში – ეს არის ამ მოქალაქის აქტივი, მაგრამ ბანკისთვის – ვალდებულება, ამიტომ, მთლიანად ეკონომიკისათვის ეს არ წარმოადგენს სიმდიდრეს. ამ სიტუაციის საპირისპიროა ისეთი შემთხვევა, როდესაც აშშ-ს მოქალაქეს გააჩნია ანგარიში უცხოურ ბანკში, რადგანაც ეს უკანასკნელი არაფრით არ უკავშირდება რაიმე სახის სამაშულო ვალდებულებებს (ეს არის უცხოური სექტორის ვალდებულება) და ამიტომ, მას განვიხილავთ ეროვნული სიმდიდრის ნაწილად.

ეროვნული სიმდიდრის სიდიდე დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს ორი მიზეზის გამო. პირველი, შესაძლებელია არსებული აქტივების ან ვალდებულებათა ღირებულების შეცვლა, რომლითაც ფორმირდება ეროვნული სიმდიდრე. მაგალითად, აშშ-ში 1990-იანი წლების განმავლობაში სასაქონლო ბაზრების მნიშვნელოვანმა ზრდამ გამოიწვია ამ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ზრდა. ფიზიკური აქტივების ცვეთა ან ამორტიზაცია, რომელიც აისახება ამ აქტივების ღირებულებათა შეცვლაზე, ამცირებს ეროვნული სიმდიდრის სიდიდეს.

ეროვნული სიმდიდრის სიდიდის ცვლილების მეორე მიზეზია ეროვნული დანაზოგების ცვალებადობა. დროის ნებისმიერი განასაზღვრული პერიოდის განმავლობაში თუკი არსებული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება უცვლელი რჩება, მაშინ ეროვნული დანაზოგების ყოველი დამატებითი დოლარი იგივე ოდენობით ზრდის ეროვნულ სიმდიდრეს. მაშასადამე,

$$S = I + CA.$$

აღნიშნული ტოლობა გვიჩვენებს, რომ ეროვნული დანაზოგი გამოიყენება ორი მიმართულებით: 1) სამაშულო ფიზიკური კაპიტალის მოცულობის გასაზრდელად ინვესტიციების მეშვეობით და 2) ქვეყნის მფლობელობაში არსებული წმინდა უცხოური აქტივების მოცულობის გასაზრდელად (უცხოელებისადმი სესხების შეთავაზებით ან უცხოური აქტივების ყიდვით იმ თანხის ოდენობით, რომელიც ტოლია მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სადღოსი. მაგრამ ყოველი დოლარი, რომლის ოდენობითაც გაიზარდა ეროვნული ფიზიკური აქტივით ან წმინდა უცხოური აქტივები ეს ის დოლარია, რომლის ოდენობითაც გაიზარდა აეროვნული სიმდიდრე. ამიტომ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ერთი დოლარი ეროვნული დანაზოგის ზრდა ნიშნავს იგივე ოდენობით ეროვნული სიმდიდრის ზრდას. როგორც წყლის მაგალითზე განვიხილეთ, რომელიც მილის გაღვლით მიემართებოდა ავზში, ამ შემთხვევაშიც, რაც უფრო სწრაფია ეროვნული დანაზოგების ნაკადი, მით უფრო სწრაფად იზრდება ეროვნული სიმდიდრის მოცულობა.

როგორ უნდა შევადაროთ თქვენა, აშშ-ს ეროვნული დანაზოგები და ეროვნული სიმდიდრე სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს? აშშ სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ხასიათდება შედარებით დაბალი დანაზოგის დონით. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აშშ-ში ინვესტიციების დონეც შედარებით დაბალია. თუმცა, ამ ქვეყანაში ინვესტიციების დონე უფრო მაღალია, ვიდრე დაზოგის. თუ გამოვიყენებთ $S = I + CA$ გამოსახულებას, ენახათ, რომ თუკი ინვესტიციები I უფრო მეტია, ვიდრე ეროვნული დანაზოგები S , მაშინ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სადღო CA უარყოფითი უნდა იყოს. როგორც ადრე აღვნიშნეთ, აშშ-ს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სადღო CA სინამდვილეში მართლაც უარყოფითი იყო 1980-იანი წლებიდან დაწყებული. ამის საპირისპიროდ, დანაზოგების მაღალი დონის ქონვე ქვეყნებში, ისეთში, როგორიცაა იაპონია, შედარებით ნაყოფიერია ინვესტიციების დონე, ვიდრე დაზოგის, რის გამოც მათ გააჩნიათ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი სადღო.

2-2. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა: სამომხმარებლო ფასების ინდექსი

დღეს ფულით შეუძლებელია ვიყიდოთ იმდენი, რამდენიც ათი წლის წინათ. პრაქტიკულად ყველა ფასი გაიზარდა. ფასების საერთო დონის ზრდამ მიიღო *ინფლაციის* სახელწოდება. ეს არის ერთ-ერთი უკუღმართული პრობლემა, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკის ავტორები და ეკონომისტები აწყდებიან. შემდგომ თავებში ჩვენ თანმიმდევრულად შევიწყალოთ ინფლაციის მიზეზებსა და შედეგებს. ამ თავში განვიხილავთ, თუ როგორ გაიზარდა ცხოვრების ღირებულების ცვლილებები.

სამომხმარებლო კალასის ღირებულება, სამომხმარებლო ფასების ინდექსი

ფასების დონის მეტწილად ზიზარდ გამოყენებად მაინვენტელს წარმოადგენს *სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI)*. ამ ინდექსის გამოთვლით დაკავებულია ქვეყნების სტატისტიკური სამსახურები. უპირველეს ყოვლისა, ხდება ათასობით საქონლისა და მომსახურების ფასებზე მონაცემების შეგროვება. როგორც მშპ ერთიან მაჩვენებელში ასახავს წარმოებული საქონლისა და

მომსახურების ღირებულებათა სიმრავლეს, ისევე სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასახავს საქონლისა და მომსახურების ფასს. ეს არის ფასების საერთო დონის მაჩვენებელი.

როგორ აერთიანებენ ეკონომისტები ეკონომიკაში არსებული ფასების მთელ ერთობლიობას ერთიან მაჩვენებელში, რომელიც დანამდვილებით გეიხასიათებს ფასების დონეს? შესაძლებელი იქნებოდა უბრალოდ გამოგვეთვალა ყველა ფასის საშუალო მნიშვნელობა. მაგრამ ეს გულისხმობს ყველა სახის საქონლისა და მომსახურების მიმართ ერთნაირ მიდგომას. მაგრამ, რადგანაც ადამიანები შეტ კაპობის ხორცს მოიხმარენ, ვიდრე შავ ხიზინალას, კათობის ხორცის ფასს მეტი ხედრებით წილი უნდა ჰქონდეს სამომხმარებლო ფასების ინდექსში. სტატისტიკის სამსახური ახდენს სხვადასხვა სახის საქონლის შეწონვას ტიპური მყოფელების მიერ შესაძინებ საქონლისა და მომსახურების განსაზღვრული ნაერების (სამომხმარებლო კალათის) ფასების გაანგარიშების გზით. სამომხმარებლო ფასების ინდექსი არის სამომხმარებლო კალათის ფასის თანაფარდობა მის ფასთან საბაზისო წელს.

მაგალითად, დავუშვათ, რომ ტიპური მომხმარებელი ყოველთვიურად ყიდულობს 5 ვაშლსა და 2 ფორთოხალს. მაშინ, სამომხმარებლო კალათა შედგება 5 ვაშლისა და 2 ფორთოხლისაგან. შესაბამისად, სამომხმარებლო ფასების ინდექსი იქნება:

$$\text{სუი (CPI)} = \frac{(5 \times \text{ვაშლის ფაქტიური ფასი}) + (2 \times \text{ფორთოხლის ფაქტიური ფასი})}{(5 \times \text{ვაშლის ფასი 1996 წელს}) + (2 \times \text{ფორთოხლის ფასი 1996 წელს})}$$

მოცემული სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას საბაზისო წლად მივიღეთ 1996 წელი. ინდექსი გვიჩვენებს ახლანდელ დროში და 1996 წლისათვის 5 ვაშლისა და 2 ფორთოხლისაგან შედგენილი სამომხმარებლო კალათის ღირებულებებს შორის თანაფარდობას.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იკრობს, მაგრამ ის არ არის ფასების მოძრაობის ერთადერთი მაჩვენებელი. მეორე მაჩვენებელი – ეს არის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს საქონელთა ტიპური ნაერების ფასს, რომლებიც შეიძინება არა მომხმარებლების, არამედ ფირმების მიერ. ამ საერთო ინდექსების გარდა სტატისტიკის სამსახური ანგარიშებს ინდექსებს საერთოთა ცალკეული ჯგუფებისათვის, ისეთების, როგორიცაა კეების პროდუქტები, საცხოვრებელი ბინები და ელექტროენერჯია.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი და მშპ დეფლატორი

ამ თავში ცოტა ადრე განვიხილეთ ფასების დონის სხვა მაჩვენებელი მშპ დეფლატორი, რომელიც გამოხატავს ნომინალური მშპ-ს მოცულობის თანაფარდობას რეალურთან. მშპ დეფლატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი გეაძლევენ განსხვავებულ ინფორმაციას ფასების საერთო დონის შესახებ ეკონომიკაში. ამ ორ მაჩვენებელს შორის არსებობს საში ძირითადი განსხვავება.

პირველი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მშპ დეფლატორი ასახავს ყველა წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასებს, იმ დროს, როცა სამომხმარებლო ფასების ინდექსში გათვალისწინებულია მხოლოდ იმ საქონლისა და მომსახურების ფასები, რომელსაც მომხმარებელი ყიდულობს. ამდენად, ფასების ზრდა იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც ფირმები ან სახელმწიფო შეიძენს, ასახავს კოეფიციენტი მშპ დეფლატორში და არა სამომხმარებლო ფასების ინდექსში.

მეორე განსხვავებაა ის, რომ მშპ დეფლატორში გათვალისწინება მხოლოდ ის საქონელი, რომელიც მოცემულ ქვეყანაში იწარმოება. საქონელი, რომელიც იმპორტირებულია უცხოეთიდან, არ გათვალისწინება მშპ-ში და შესაბამისად, არ აისახება მშპ დეფლატორში. ამგვარად, ფასების ზრდა „მერსედესზე“, რომელიც აწეობილია გერმანიაში და გაყიდულია საქართველოში, აისახება საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსში, რამდენადაც იგი ქართველი მომხმარებლის მიერ არის შეძენილი, მაგრამ არ იქნება ასახული საქართველოს მშპ დეფლატორში.

მესამე და ყველაზე არსებითი განსხვავება მდგომარეობს სხვადასხვა ფასების აგრეგირების წესში. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების დროს სხვადასხვა საქონლის ფასებს აქვთ შედარებითი წონა, მაშინ, როდესაც მშპ დეფლატორის გაანგარიშებისას გამოიყენება ცვალებადი წონები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამომხმარებლო ფასების ინდექსი გამოითვლება საქონელთა უცვლელი ნაერებისათვის, იმ დროს, როდესაც მშპ დეფლატორში იგულისხმება საქონლის ნაერების ცვალებადი მშპ შემადგენლობის ცვლილების შესაბამისად. მოვახდინოთ ამის ილუსტრირება იმ ეკონომიკის მაგალითზე, რომელშიც იწარმოება და მოიხმარება მხოლოდ ორი სახის საქონელი – ფორთოხალი და ვაშლი.

$$\text{მშპ დეფლატორი} = \frac{\text{მშპ ნომინალური მოცულობა}}{\text{მშპ რეალური მოცულობა}} = \frac{(P_{\text{ვამლო}} \times Q_{\text{ვამლო}}) + (P_{\text{ფორთოხალი}} \times Q_{\text{ფორთოხალი}})}{(P_{\text{ვამლო}}^{96} \times Q_{\text{ვამლო}}^{96}) + (P_{\text{ფორთოხალი}}^{96} \times Q_{\text{ფორთოხალი}}^{96})}$$

სამომხმარებლო ფასების ინდექსი:


$$\text{სიყი (CPI)} = \frac{(P_{\text{ვამლო}} \times Q_{\text{ვამლო}}^{96}) + (P_{\text{ფორთოხალი}} \times Q_{\text{ფორთოხალი}}^{96})}{(P_{\text{ვამლო}}^{96} \times Q_{\text{ვამლო}}^{96}) + (P_{\text{ფორთოხალი}}^{96} \times Q_{\text{ფორთოხალი}}^{96})}$$

ეს ტოლობები გვიჩვენებს, რომ მშპ დეფლატორშიც და სამომხმარებლო ფასების ინდექსშიც საქონლის გარკვეული ნაქრების მიმდინარე ფასი ედრება იგივე ნაქრების საბაზისო წლის ფასს. ამ ორ მაჩვენებელს შორის განსხვავება არის ის, იცვლება თუ არა დროში ამ ნაქრების შემადგენლობა. სამომხმარებლო ფასების ინდექსში გამოიყენება უცვლელი სამომხმარებლო კალათა (საბაზისო წლის წონა), მაშინ, როდესაც მშპ დეფლატორში - ცვალებადი სამომხმარებლო კალათა (მასში შემავალი საქონლის სახეების ფაქტიური წონა).

ინისათვის, რომ ვაჩვენოთ, თუ რა დასკვნამდე მივყავართ აგრეგირებული ფასების მიმართ სხვადასხვა მიდგომებს, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. დაეუშვათ, რომ ძლიერმა ყინვამ გაანადგურა ფორთოხლის მთელი მოსავალი: წარმოებული ფორთოხლის რაოდენობა ნულამდე შემცირდა. მაღაზიაში დარჩენილი ფორთოხლის მცირე რაოდენობის ფასი უსაშუალოდ გაიზარდა. რამდენადაც ფორთოხალი უკვე არ შედის მშპ-ს შემადგენლობაში, მასზე ფასების ზრდა არ აისახება მშპ დეფლატორში. მაგრამ, რადგანაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი გამოითვლება საქონლის უცვლელი ნაქრების საფუძველზე, რომელშიც შედის ფორთოხალი, ამ უანასენელზე ფასების ზრდა გამოიწვევს სამომხმარებლო ფასების ინდექსის მნიშვნელოვან ზრდას.

ინდექსს, რომელიც გამოითვლება საქონელთა უცვლელი ნაქრებისათვის, *ლასპიერის ინდექსი* ვწოდებთ, ხოლო ინდექსს, რომელიც გამოითვლება საქონელთა ცვალებადი ნაქრებისათვის

პააშეს ინდექსი გარდა ამისა, გამოიყენება *ფიშერის ინდექსი*, რომელიც წარმოებულია ლასპიერისა და პააშეს ინდექსებით. კურონიკურ თეორიაში განიხილება თითოეული ამ ინდექსის უპირატესობები და ნაკლოვანებები.



ნან. 2.4. მშპ დეფლატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი აშშ-ში ნახაზზე ნაჩვენებია მშპ დეფლატორისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებები პროცენტებში თითოეული წლისათვის 1948-2003 წლებში. ზოგჯერ ამ მაჩვენებლების მნიშვნელობები განსხვავდება, მაგრამ, როგორც წესი, ისინი ფასების ზრდის ტემპის ერთნაირ სურათს ქმნიან. სამომხმარებლო ფასების ინდექსიც და მშპ დეფლატორიც გვიჩვენებს, რომ XX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების უმეტესი ნაწილის განმავლობაში ფასები იზრდებოდა შედარებით ნელა, შემდეგ, 70-იან წლებში მათი ზრდა დასტურდა, 80-იან წლებში კი კვლავ შემცირდა.

ამ ინდექსების დანიშნულებაა გაიზომოს ცხოვრების ღირებულება, ე.ი. - დანახარჯები გარკვეული ცხოვრების დონის შესანარჩუნებლად. როდესაც სხვადასხვა საქონლის ფასები იცვლება განსხვავებული სიდიდით, ლასპირეისის ინდექსი ცხოვრების ღირებულებების ზრდას უფრო მეტობით წარმოგიადგენს, ხოლო პააშეს ინდექსი - ნაკლებობით, ვიდრე სინამდვილეშია. ლასპირეისის ინდექსი გამოითვლება განსაზღვრული საქონლის ნაკრებთან და შესაბამისად, არ იღებს მხედველობაში უფრო ძვირადღირებული საქონლის შეცვლას იაფი საქონლით. პირქით, პააშეს ინდექსში გათვალისწინება საქონელთა ურთიერთ შენაცვლების შესაძლებლობა, მაგრამ მასში არ არისხება ამ დროს მიმდინარე კეთილდღეობის დონის შემცირება.

ლასპირეისსა და პააშეს ინდექსებს თავიანთი ნაკლი ახასიათებს. ვინაიდან სამომხმარებლო ფასების ინდექსი ესაა ლასპირეისის ინდექსი, მასში უფრო გავრდილია მომხმარებლისათვის ფორთოხლის ფასი: ვინაიდან გამოიყენება უცუელელი საქონლის ნაკრები და არ გაითვალისწინება ფორთოხლის შეცვლის შესაძლებლობა ეაშლით. მშპ დეფლატორი კი პააშეს ინდექსსა და მასში პირქით, არასრულად არისხება ამ ფასების მომატების შედეგები მომხმარებლისთვის: მოცემულ შემთხვევაში მშპ დეფლატორი არ უშენებს ფასების ზრდას, თუმცა, რა თქმა უნდა, ფორთოხალზე ფასების მომატება უარყოფითად მიქმედებს მომხმარებლის მდგომარეობაზე.

განსხვავება არც თუ ისე დიდია, ე.ი. სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა ძალიან ახლოსაა მშპ დეფლატორის დინამიკასთან. ნახ. 2-4-ზე ნაჩვენებია მშპ დეფლატორისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის მაჩვენებელთა ყოველწლიური ცვლილებები პროცენტებში 1948 წლიდან 2003 წლის ჩათვლით აშშ-ში. ორივე მაჩვენებელი, როგორც წესი, ქმნის ფასების ზრდის ტემპის ერთნაირ სურათს.

მბაბლითი 2-4

ინფლაცია 1978-1981 წლებში

1978-1981 წლებში აშშ-ში ფასები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე აშშ-ს თანამედროვე ისტორიის ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ, როგორი იყო ზუსტად აღნიშნული ზრდა? ეს საკითხი დასმული იქნა სასტატისტიკო პოლიტიკური მოღვაწეების მიერ, რომელთათვისაც აუცილებელი იყო ინფლაციის პრობლემის სერიოზულობის შეფასება. ის აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ექვრო პირების მიერ გადაწყვეტილებათა მისაღებად: მრავალი ექვრო კონტრაქტის, მაგალითად, ხელფასისა და პენსიის სიდიდესე შეთანხმების ინდექსირება ხორციელდება შესწორებებით ფასების ზრდის მიხედვით.

ფასების ამ ზრდის მასშტაბებზე წარმოდგენა დამოკიდებულია იმაზე, ფასების ინდექსი თუ რომელი მაჩვენებელი გამოიყენება. მშპ-ს დეფლატორის თანახმად, ამ ხანი წლის განმავლობაში ფასები საშუალოდ გაიზარდა 9,1%-ით წლიურად. სამომხმარებლო ფასების ინდექსის თანახმად ფასების წელიწადში გაიზარდა 11,2%-ით. საშუალოდ პერიოდისათვის ადგარიებულია სხვაობამ შეადგინა 6%.

ეს განსხვავება ნაწილობრივ გამოწვეული იქნა ენერგომატარებლებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდის გამო ნავთობის ექსპორტორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) - საერთაშორისო სანავთობო კარტელის მიერ ნავთობზე ფასების შეკეთ ზრდასთან დაკავშირებით. ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა გეხმარება აფხნათ აღნიშნული განსხვავება ორი თვალსაზრისით. პირველი, მშპ დეფლატორი ასახავს ენერგოდაზოგვისა და ენერჯის სხვა წყაროებით ნავთობის ჩანაცვლების პოლიტიკის შედეგებს (თუკი მშპ-ს შემადგენლობაში არსებულ საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში გამოიყენებთ ფასების ინდექსს უცუელელი წრით, ე.ი. საქონლისა და მომსახურების უცუელი ნაკრების საფუძველზე გაანგარიშებულს სამომხმარებლო ფასების ინდექსის ანალოგიურად, მაშინ ცხადი ხდება, რომ ფასების ზრდის ტემპმა შეადგინა 9,7% წელიწადში - 0,6 პროცენტული პუნქტით მეტი, ვიდრე მშპ-ს დეფლატორის ზრდის ტემპმა). მეორე, აშშ-ში მომხმარებელი ნავთობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტულია. რამენადაც იმპორტის ღირებულება არ შედის მშპ-ს შემადგენლობაში, ნავთობზე ფასები მეტ ბავლენას ახდენს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე, ვიდრე მშპ-ს დეფლატორზე.

როდესაც ფასების სხვადასხვა ინდექსი დებულობს სხვადასხვა მნიშვნელობას, როგორც ამას ქვირდა ახალი 1978-1981 წლებში, ჩვეულებრივ შესაძლებელია განესაზღვროთ, თუ რითია ეს გამოწვეული. გარდა ამისა, უფრო მარტივია რაობენობრივად გაეზომოთ განსხვავება, ვიდრე გადაწყვიტოთ, თუ რომელი ინდექსია უკუეთესი მაჩვენებელი. უფრო მეტიც, პრაქტიკაში ინდექსის არჩევისას უნდა გამოვიღეთ არა მარტო მაჩვენებლის თავისებურებიდან, არამედ დასმული ამოცანიდანაც.

2.3. დაუპყმელობის გაზომვა: უმუშევრობის დონე

ეკონომიკის მდგომარეობა ხასიათდება აგრეთვე იმითაც, თუ რამენად ექვეტინანდ გამოიყენება არსებული რესურსები. ვინაიდან ეკონომიკის ძირითად რესურსს საშუაო ძალა წარმოადგენს, დასაქმების მხარდაჭერა ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანია. უმუშევრობის დონე

ეს არის უმუშევართა წილის სტატისტიკური მაჩვენებელი მუშაობის მსურველთა საერთო რიცხვონობაში (პროცენტებში).

აშშ-ში შრომის სტატისტიკის ბიურო ყოველთვიურად ანგარიშობს უმუშევრობის დონესა და მთელ რიგ სხვა მაჩვენებლებსაც, რომლებიც ეკონომისტებსა და ეკონომიკური პოლიტიკის ავტორებს საშუალებას აძლევს შეაფასონ შრომის ბაზრის მდგომარეობა. ეს სტატისტიკური მონაცემები გაიანგარიშება 61 ათასი საოჯახო მეურნეობების გამოკვლევათა საფუძველზე. ანკეტის შეკითხვების შესაბამისად, თითოეულ ადამიანს ყოველ საოჯახო მეურნეობაში მიაკუთვნებენ სამიდან ერთ კატეგორიას: დასაქმებული, უმუშევარი და სამუშაო ძალის გარეთ მყოფი. ადამიანი ითვლება დასაქმებულად, თუკი წინა კვირის მანძილზე იგი მუშაობდა და არ იყო დაკავებული საშინაო მეურნეობით, სწავლით ან კიდევ სხვა რამით. ადამიანი ითვლება უმუშევრად, თუკი ის არ მუშაობს ახალი სამსახურის მოლოდინის გამო, დროებით განთავისუფლებულია ან ეძებს სამსახურს. ადამიანები, რომლებიც პირველ ორ კატეგორიაში არ მოხედნენ (მაგალითად, სტუდენტები, დიასახლეები), არ შედიან სამუშაო ძალის შემადგენლობაში: მათ არა აქვთ სამუშაო, არ ეძებენ და არ ელოდებიან სხვა სამსახურში გადასვლას. *სამუშაო ძალა* – ეს არის დასაქმებულთა და უმუშევართა ერთობლიობა, ხოლო *უმუშევრობის დონე* განისაზღვრება, როგორც უმუშევართა პროცენტული წილი სამუშაო ძალის საერთო რიცხვონობაში. მაშასადამე,

$$\text{სამუშაო ძალა} = \text{დასაქმებულთა რაოდენობა} + \text{უმუშევართა რაოდენობა}$$

$$\text{უმუშევრობის დონე} = \frac{\text{უმუშევართა რაოდენობა}}{\text{სამუშაო ძალის საერთო რიცხვონობა}} \times 100\%$$


მეორე სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც ასევე შრომის სტატისტიკის ბიუროს მიერ გაიანგარიშება, არის *სამუშაო ძალის წილი ზრდასრული მოსახლეობის საერთო რიცხვონობაში*, გამოხატული პროცენტებში.

$$\text{სამუშაო ძალის წილი ზრდასრული მოსახლეობის საერთო რიცხვონობაში} =$$

$$= \frac{\text{სამუშაო ძალის საერთო რიცხვონობა}}{\text{ზრდასრული მოსახლეობის საერთო რიცხვონობა}} \times 100\%$$

აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლები გაიანგარიშება როგორც მთლიანად მოსახლეობისათვის, ასევე ცალკეული ჯგუფისათვის.

მოსახლეობა: 209.7 მლნ
(16 წლის და ზემოთ)



ნახ. 2-5. მოსახლეობის სამი ჯგუფი
როდესაც შრომის სტატისტიკის ბიურო ატარებს მოსახლეობის გამოკვლევას, ყოველ გამოკითხულს მიაკუთვნებს სამიდან ერთ კატეგორიას: დასაქმებული, უმუშევარი და ის პიროვნებები, რომლებიც არ შედიან სამუშაო ძალაში. ნახაზზე ნაჩვენებია ადამიანთა რაოდენობა თითოეულ კატეგორიაში 2000 წლისათვის აშშ-ში.

2-5 ნახაზზე ნაჩვენებია მოსახლეობის დაყოფა ზემოხსენებული სამი კატეგორიის მიხედვით აშშ-ს მაგალითზე 2000 წლისათვის. ამ წელს მაჩვენებლები შემდეგი იყო:

- სამუშაო ძალის საერთო რიცხვონობა = 135.2+5.7=140.9 მლნ

უშუშეერობის დონე = $(5.7/140.9) \times 100 = 4.06\%$

სამუშაო ძალის წილი ზრდასრული მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში $= (140.9/209.7) \times 100 = 67.2\%$

ამდენად, ზრდასრული მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი შედიოდა სამუშაო ძალის შემადგენლობაში და სამუშაო ძალის დახლოებით 4% შეადგენდა უმუშეართა რაოდენობას.

უშუშეერობა, მშპ და ოუკენის კანონი

თქვენი აზრით, როგორც დამოკიდებულება არსებობს უმუშეერობასა და მშპ-ს მოცულობას შორის¹⁵ ვინაიდან დასაქმებულები მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, ხოლო უმუშეერები – არა, შეიძლება დავუშვათ, რომ უმუშეერობის დონის ზრდასთან სდევს მშპ-ს რეალური მოცულობის შემცირება. უმუშეერობის დონესა და მშპ-ს მოცულობას შორის ამ უარყოფითმა დამოკიდებულებამ მიიღო *ოუკენის კანონის* სახელწოდება არტურ ოუკენის პატივსაცემად, რომელმაც პირველმა გამოიკვლია ის¹⁵.

2-6 ნახაზზე ოუკენის კანონის ილუსტრირება ხდება შეერთებული შტატების მონაცემების მიხედვით. ნახატი წარმოადგენს პიქტოგრამას, რომელზეც თითოეული წერტილი ერთ დაკვირვებას შეესაბამება (ჩვენს შემთხვევაში – მოცემული წლის მონაცემებს). პირიზონტალურ ღერძზე წარმოდგენილია უმუშეერობის დონის ცვლილება წინა წელთან შედარებით, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე – მშპ-ს რეალური მოცულობის ზრდის ტემპი, გამოსახული პროცენტებში. ნახატზე გარკვევით არის ნაჩვენები, რომ უმუშეერობის დონის ცვლილება მჭიდრო კავშირშია რეალური მშპ-ს მოცულობის ცვლილებასთან.

ჩვენ შეგვიძლია უფრო ზუსტი რაოდენობრივი გამოხატულება მივცეთ ოუკენის კანონს. ხაზი, რომელიც ნახაზზე აღნიშნულ წერტილებზე გადის, მიუთითებს იმაზე, რომ:

მშპ-ს რეალური მოცულობის ცვლილება, გამოხატული პროცენტებში $= 3\% - 2 \times$ უმუშეერობის დონის ცვლილება

$$\frac{Y - Y_{-1}}{Y_{-1}} \times 100\% = \alpha - \beta(U - U^*)$$

სადაც Y – მშპ-ს ფაქტობრივი დონეა; Y_{-1} – მშპ-ს დონე წინა წელს; α – მშპ-ს წლიური ზრდის ტემპი, რომელიც გამოწვეული არსებული წარმოების ფაქტორებისა და ტექნოლოგიების შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული პარამეტრი მიუთითებს მშპ-ს საშუალო წლიურ ზრდაზე, როდესაც უმუშეერობის ფაქტობრივი დონე მისი ბუნებრივი დონის ტოლია; β – ოუკენის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს მშპ-ს ბუნებრივ (პოტენციურ) მოცულობასთან შედარებით ფაქტობრივი მშპ-ს მოცულობის ჩამორჩენას, როდესაც უმუშეერობის ფაქტობრივი დონე მის ბუნებრივ დონეს აღემატება 1 პროცენტული პუნქტით.

ოუკენის კანონი ფორმულთა შედგენაიდან გამოისახება:


$$\frac{Y - Y^*}{Y^*} = -\beta(U - U^*)$$

სადაც Y^* – მშპ-ს ბუნებრივი (პოტენციური) მოცულობაა, ანუ მშპ-ს მოცულობა სრული დასაქმების პირობებში. სრული დასაქმება გულისხმობს ეკონომიკაში არსებული რესურსებისა (მიწა, შრომა, კაპიტალი, სამწარმოო უნარი) და ტექნოლოგიების სრულად გამოყენებას. თუვცა რესურსების სრულად გამოყენებაში არ იგულისხმება მათი 100%-ით გამოყენება. მაგალითად, სამუშაოს ძალის სრულად გამოყენება გულისხმობს უმუშეერობის ბუნებრივი დონის არსებობას; ე.ი. სამუშაო ძალის რაოდენობა (თქვათ, 6%) რეზერვის სახით არსებობს.

უმუშეერობის უცვლელი დონის პირობებში არსებობს კანონზომიერება, რომლის თანახმადაც მშპ-ს რეალური მოცულობის ზრდის ტემპი, რომელიც მოსახლეობის ზრდით, კაპიტალის დაგროვებითა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით არის განპირობებული, შეადგენს 3%-ს. უფრო მეტიც, უმუშეერობის დონის ერთი პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი 2%-ით მცირდება. ამრიგად, უმუშეერობის დონის 6-დან 8%-მდე ზრდის შემთხვევაში რეალური მშპ-ს მოცულობის ზრდა შეადგენს: $3 - 2 \times (8 - 6) = -1\%$.

¹⁵ Okun A.M. Potential GNP: Its Measurement and Significance/Proceedings of the Business and Economics Statistics Section, American Statistical Association (Washington, D.C.: American Statistical Association 1962), p.p. 98-103, reprinted in Okun A.M. Economics for Policymaking (Cambridge, Mass.: MIT Press, 1983), 145-158.

ამ კონკრეტული შემთხვევისათვის, ოუკენის კანონის თანახმად მშპ-ს რეალური მოცულობა მცირდება 1%-ით, რაც მიუთითებს რეცესიაზე (წარმოების ვარდნაზე).



ნახ. 2-6. ოუკენის კანონი. ნახატი წარმოადგენს პიქტოგრამას, სადაც პორიზონტალურ დერძზე ნაჩვენებია უშუშვერობის დონის ყველა ცვლილება, ხოლო ვერტიკალურზე - მშპ-ს რეალური მოცულობის ცვლილება პროცენტებში. ყოველი წერტილი შეესაბამება გარკვეულ წელს უარყოფითი დამოკიდებულების არსებობა ამ ცვლილებს შორის მიუთითებს იმ ტენდენციაზე, რომლის მიხედვითაც უშუშვერობის ყოველი ააფთქება უკავშირდება რეალური მშპ-ს მოცულობის შემცირებას.

2-4. დასკვნა: ეკონომიკური სტატისტიკიდან ეკონომიკურ მოდელბამდე

ამ თავში განხილული სამი სტატისტიკური მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და უშუშვერობის დონე - საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად შევაფასოთ ეკონომიკის მდგომარეობა. ეს მაჩვენებლები გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც კერძო პირების, ასევე სახელმწიფოს მიერ, ეკონომიკის მდგომარეობის შესაფასებლად და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად. ეკონომისტები ამით სარგებლობენ ეკონომიკის განვითარების თეორიის შემოწმებისა და შემოწმებისათვის.

შედგომ თავებში განვიხილავთ ამ თეორიებს. მესამე და მეოთხე თავებში განვიხილავთ მშპ, მეხუთე თავში - უშუშვერობა, მეექვსეში კი - ინფლაცია. იმ ფაქტორების გამოსაყენებლად, რომლებიც განსაზღვრავენ ამ მაჩვენებლებს და მათზე ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენის წარმოდგენის მისაღებად ავაგებთ სხვადასხვა მოდელს.

ძირითადი დასკვნები

1. მთლიან შიდა პროდუქტში გამოისახება როგორც ქვეყნის შიგნით მიღებული ყველა შემოსავალი, ასევე ყველა დანახარჯი, რომელიც საქონლისა და მომსახურების წარმოებას უკავშირდება.

2. მშპ-ს ნომინალურ მოცულობაში საქონლისა და მომსახურების ღირებულება გაიზომა მიმდინარე ფასებში, ხოლო რეალურში - უცვლელ ფასებში. ამდენად, რეალური მშპ იზრდება მხოლოდ საქონლისა და მომსახურების რაოდენობის ზრდის საფუძველზე, მაშინ, როდესაც ნომინალური მშპ შეიძლება გაიზარდოს როგორც წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდით, ასევე ფასების მატების შედეგადაც.

3. მშპ წარმოადგენს ოთხი შემადგენელი დანახარჯის ჯამს: მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები და წმინდა ექსპორტი.

4. ეროვნული დანახოვი კერძო და სახელმწიფო დანახოვების ჯამია. კერძო დანახოვი კერძო განკარგვადი შემოსავალია მოხმარების გამოკლებით, ხოლო სახელმწიფო დანახოვი - წმინდა სახელმწიფო შემოსავალი სახელმწიფო შესყიდვების გარეშე.

5. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) გამოსახავს გარკვეული საქონლისა და მომსახურების ნაკრების ფასების დონეს, რომელსაც მოიხმარს ტიპური მომხმარებელი. ისევე, როგორც მშპ დეფლატორი, რომელიც წარმოადგენს ნომინალური მშპ-ს რეალურთან თანაფარდობას, სამომხმარებლო ფასების ინდექსი გეიხასიათებს ფასების საერთო დონეს.

6. უმუშევრობის დონე გეივინებს სამუშაოს არმქონეთა წილს მუშაობის მსურველთა საერთო რიცხოვნობაში. უმუშევრობის დონის ზრდა, როგორც წესი, დაკავშირებულია მშპ-ს რეალური მოცულობის შემცირებასთან.

ძირითადი ცნებები

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
 ეროვნულ ანგარიშთა სისტემა
 ნაკადი და მარაგი
 დამატებული ღირებულება
 პირობითად დარიცხული ღირებულება
 მშპ-ს ნომინალური და რეალური მოცულობები
 რეცესია (ეკონომიკის ვარდნა)
 მშპ დეფლატორი
 მთლიანი ეროვნული პროდუქტი
 წმინდა ეროვნული პროდუქტი
 ეროვნული შემოსავალი
 განკარგვადი შემოსავალი
 კერძო დანახოვები
 სახელმწიფო დანახოვები
 ეროვნული დანახოვები
 წმინდა ფაქტორული გადასახდელები
 მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში
 ეროვნული სიმდიდრე
 ეროვნულ ანგარიშთა იგივეობა
 ინფლაცია
 სამომხმარებლო ფასების ინდექსი
 ლასპეირტესის ინდექსი
 პააშეს ინდექსი
 ფიშერის ინდექსი
 სამუშაო ძალა
 უმუშევრობის დონე
 სამუშაოს ძალის წილი ზრდასრული მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში
 ოუკენის კანონი

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება ლასპეირესის, პააშეს და ფიშერის მიხედვით

$$\text{ლასპეირესი } P_L = \frac{\sum_{i=1}^n P_i^t \times Q_i^0}{\sum_{i=1}^n P_i^0 \times Q_i^0}$$

სადაც, P_i^0 და P_i^t არის i -ური საქონლის ფასი შესაბამისად, საბაზისო (0) და მიმდინარე (t) პერიოდში.

Q_i^0 - i -ური საქონლის რაოდენობა საბაზისო წელს.

$$\text{პააშე - } P_P = \frac{\sum_{i=1}^n P_i^t \times Q_i^t}{\sum_{i=1}^n P_i^0 \times Q_i^t}$$

სადაც, Q_i^t i -ური საქონლის რაოდენობა მიმდინარე პერიოდში. თუკი Q -ს ნაცვლად საქონელთა მთლიან ნაქრებს ჩავსევამთ, ხოლო P -ს ნაცვლად შესაბამისად მათ ფასებს, მივიღებთ ჩვეულებრივ შშპ დეფლატორს.

$$\text{ფიშერი - } P_F = \sqrt{P_L \times P_P}$$

სადაც, P_L სამომხმარებლო ფასების ინდექსია ლასპეირესის მიხედვით, P_P - სამომხმარებლო ფასების ინდექსი პააშეს მიხედვით

მინიშნება:

- ▶ ლასპეირესის ინდექსის ნაკლია ის, რომ იგი ვერ ითვალისწინებს მიმდინარე პერიოდის ცვლილებებს წონათა სტრუქტურაში საბაზისო პერიოდთან შედარებით, რაც, რა თქმა უნდა, რამდენადმე ამახინჯებს მიღებულ შედეგს. ის უფრო ზრდის ცხოვრების ღირებულებას.
- ▶ პააშეს ინდექსი რამდენადმე ამცირებს ფასების ღირბის ეკონომიკაში. ის ასევე არ ითვალისწინებს ცვლილებებს წონათა სტრუქტურაში, მაგრამ აფიქსირებს მათ მიმდინარე პერიოდში. ამ ინდექსით არ ხდება მომხმარებლებზე *იმ პროდუქტებზე ფასების ზრდის* გააქვინის დაფიქსირება, რომლებიც მონაწილეებდნენ საბაზისო წლის ნაქრებში, მაგრამ არ არიან წარმოდგენილი მიმდინარე პერიოდში.
- ▶ ფიშერის ინდექსი ყველაზე სრულყოფილია და სხვა ინდექსების ყველა ნაკლოვანებებს ფარავს.

ინფლირება და დეფლირება

უნდა აღინიშნოს, რომ ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტზე გაველენას ახდენს ორი პროცესი:

- ა) წარმოების რეალური მოცულობის დინამიკა
- ბ) ფასების დონის დინამიკა

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გამოითვლება ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის კორექტირებით ფასების ინდექსის მეშვეობით

$$\text{რეალური მშპ} = \frac{\text{ნომინალური მშპ}}{\text{ფასების ინდექსი}}$$

რაც იგივეა,

$$\text{რეალური მშპ} = \frac{\text{ნომინალური მშპ}}{\text{დეფლატორი}}$$

- ▶ თუ ფასების ინდექსის მოცულობა ერთზე ნაკლებია, მაშინ ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) კორექტირება ზრდის მიმართულებით. ამ პროცესს ინფლირებას უწოდებენ.
- ▶ თუ ფასების ინდექსის მოცულობა ერთზე მეტია, მაშინ ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის კორექტირება შემცირებისკენ. ამ პროცესს დეფლირებას უწოდებენ.

ზრდის ტემპი ოუკენის კანონის შესაბამისად

იმისათვის, რომ განესაზღვროთ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი ოუკენის კანონის შესაბამისად, დაევიწყოთ ძირითადი ფორმულით, რომელითაც გამოიხატება აღნიშნული კანონი:

$$\frac{Y - \bar{Y}}{\bar{Y}} = -2(u - \bar{u})$$

აღნიშნული ფორმულა გადაეწეროს შემდეგნაირად:

$$\frac{\bar{Y} - Y}{\bar{Y}} = 2(u - \bar{u}).$$

ტოლობის ორივე მხარის -1 -ზე გამრავლებით მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას

$$-1 + \frac{Y}{\bar{Y}} = -2u + 2\bar{u}.$$

ახლა გამოთვალათ ცვლილება, რომელსაც \bar{Y} -ს ადგილი მიმდინარე წელს წინა წელთან შედარებით ამ ტოლობის თითოეული ნაწილისათვის. ვადგენთ რა, რომ მარცხენა ტოლობის ნაწილის ცვლილება ტოლია მარჯვენა ნაწილის ცვლილების და უუყვებთ, რომ \bar{u} წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს (ასე, რომ $\Delta \bar{u} = 0$), ვღებულობთ შემდეგ ფორმულას:

$$\Delta \left(\frac{Y}{\bar{Y}} \right) = -2\Delta u.$$

ამ ტოლობის მარცხენა ნაწილი, რომელიც გეჩვენებს Y/\bar{Y} -ის ცვლილებას, თავისი სიდიდით ძალიან ახლოსაა Y/\bar{Y} -ის ზრდის ტემპის მნიშვნელობასთან, რომელიც გამოითვლება, როგორც $\Delta(Y/\bar{Y})/(Y/\bar{Y})$. (იმისათვის, რომ გადავიღოთ ცვლილებიდან ზრდის ტემპებზე, ჩვენ უფრო Y/\bar{Y} -ზე, რომლის მნიშვნელობა ახლოსაა 1-თან) ევახლოებით რა Y/\bar{Y} -ის ცვლილების მნიშვნელობას ზრდის ტემპთან და ესარტებლობთ რა ფორმულით, რომელიც ადგენს, რომ წილადის ზრდის ტემპი - ეს იგივეა, რაც მრიცხველის ზრდის ტემპს გამოკლებული მნიშვნელების ზრდის ტემპი, ტოლობის გადაწერა შეეძლება შემდეგნაირად:

$$\frac{\Delta Y}{Y} - \frac{\Delta \bar{Y}}{\bar{Y}} = -2\Delta u.$$

აშუშ-ში წარმოების მოცულობის საშუალო ზრდის ტემპი სრული დასაქმების დროს შეადგენს წელიწადში 3%-ს. თუ ჩავსვამთ 3%-ს ამ ტოლობაში და გაეაბარტივებთ მას, მივიღებთ ოუკენის კანონის შესაბამის ზრდის ტემპს, ანუ შემდეგ ფორმულას:

$$\frac{\Delta Y}{Y} = 3 - 2\Delta u.$$

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мзикью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, გვ. 57-87
2. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, გვ. 39-63
3. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, გვ. 53-94
4. Т.А. Агапова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДиС. 2002. გვ. 23-45
5. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002. გვ. 20-27
6. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999. გვ. 24-41
7. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, გვ. 15-39


თავი 3. ეროვნული შემოსავალი: მისი წარმოება, განაწილება და გამოყენება

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებსაც გაეყვანით, საშუალებას აძლევს ეკონომისტებს და პოლიტიკოსებს გასომინ და ერთმანეთს შეადარონ სხვადასხვა წლებისა და ქვეყნების მიხედვით ეკონომიკის ფუნქციონირების ასპექტები. ჩვენი მიზანია არა მარტო მათი გასომეა, არამედ ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების ახსნაც. მაშასადამე, ჩვენი მიზანია ავათო ეკონომიკური მოდელები, რომლებიც დაგვეჩვენებენ გავერკვეთ ეკონომიკურ პროცესებში, გავიგოთ სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირი და ეკონომიკური პოლიტიკის გაველენა ეკონომიკის მდგომარეობასზე.

მართლაც, ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტია (მშპ), რომელიც განსაზღვრავს როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობას, ასევე ქვეყნის მასშტაბით მიღებულ საერთო შემოსავალს. ამ თავში განიხილება საკითხთა ოთხი ჯგუფი მშპ-ს წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების შესახებ.

- რა როლენობის პროდუქციას აწარმოებენ ქვეყნის ფირმები? რა განსაზღვრავს სახელმწიფოს საერთო შემოსავლების დონეს?
 - ეის ერგება წილად შემოსავლები წარმოებიდან? რამდენს ღებულობენ მომუშავეები და რამდენს - კაპიტალის მფლობელები?
 - ეინ ვიდულობს მოცემული ქვეყნის პროდუქციას? რა როლენობის პროდუქტია შეიძინება საოჯახო მეურნეობების მიერ მომხარების მიზნით, საოჯახო მეურნეობებისა და კომპანიების მიერ ინვესტირების მიზნით და სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის?
 - რა აწონასწორებს საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნას და მიწოდებას? რა უზრუნველყოფს ერთის მხრე მომხარების, ინვესტიციების, სახელმწიფო შესყიდვების და მეორეს მხრე წარმოების საერთო დონის ტოლობას?
 - ამ კითხვებზე რომ გავეთო პასუხი, უნდა შევისწავლოთ ეკონომიკის შემადგენელი ნაწილების ურთიერთქმედება.

დავიწყოთ წრებრუნის მოდელით. ნახ. 3-1-ზე შედარებით ზუსტადაა ასახული რეალური ეკონომიკის ფუნქციონირება. მასში ნაჩვენებია კვეშირი ეკონომიკურ აგენტებს შორის, კერძოდ: საოჯახო მეურნეობებს, საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის, რომელთაგან თითოეული სურათზე წარმოდგენილია მართკუთხედებით. აქვე ისრებით ნაჩვენებია ფულადი საშუალებების ცირკულაცია სხვადასხვა ბაზარს შორის.



ნახ. 3-1. ეკონომიკაში ფულადი საშუალებების წრებრუნა მართკუთხედებით წარმოდგენილია ეკონომიკური აგენტები - საოჯახო მეურნეობა, ფირმა და სახელმწიფო (მთავრობა) და ბაზრების ტიპი: საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორებისა და უინანსური. ისრებით ნაჩვენებია ფულადი ნაკადების მიმართულება ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელიც ხდება ზემოთმოთითებულ სამივე ტიპის ბაზარზე.

მოდით, შევხედოთ ფულადი საშუალებების ნაკადებს კაირომიკური აგენტების თვალსაზრისით. საოჯახო მეურნეობა დღეობს შემოსავალს და მას ხარჯავს სახელმწიფოსათვის გადასახადების გადასახდელად, მისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესაქნად, საშუალებათა ნაწილს კი ზოგჯერ ფინანსური ბაზრის მეშვეობით. საწარმოში დღეობს შემოსავალს საკუთარი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან და იყენებენ წარმოების ფაქტორთა მფლობელების ანაზღაურებლად. სახელმწიფო დღეობს შემოსავლებს გადასახადებით დაბეგვრის მეშვეობით, რომლებსაც ხარჯავს სახელმწიფო შესყიდვებზე და იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი მეტია დანახარჯებზე, მაშინ ფულადი საშუალებები გააქვს ფინანსურ ბაზარზე.

მოცემულ თავში განვიხილავთ იმ ურთიერთქმედებებს, რომლებიც ასახულია ამ დიაგრამაში. თავდაპირველად დაიწყოთ საწარმოთი და ენახათ, თუ რა განსაზღვრავს წარმოების მოცულობას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ეროვნულ შემოსავალს. შემდგომ განვიხილავთ, თუ როგორ ნაწილდება საოჯახო მეურნეობის შორის ეს შემოსავალი წარმოების ფაქტორთა ბაზრების მეშვეობით. შემდგომ ვიმსჯელებთ, თუ რა ნაწილს მოიხმარს საოჯახო მეურნეობა მიღებული შემოსავლიდან და რა ნაწილს ზოგჯერ. მოთხოვნასთან ერთად, რომელიც წარმოიშობა საოჯახო მეურნეობის გადაწყვეტილებების შედეგად პირადი მოხმარების სფეროში, ჩვენ განვიხილავთ აგრეთვე საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნას, როგორც ინეესტიციებისა და სახელმწიფო შესყიდვების შედეგს. და ბოლოს, მთელი წრის დასასრულს გაეარკვეთ, თუ როგორ აწონასწორებენ ერთმანეთს საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნა (მოხმარების, ინეესტიციისა და სახელმწიფო დანახარჯების ოდენობა) და მათი მიწოდება (წარმოების მოცულობა).

3-1. საქონლისა და მომსახურების წარმოება

ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობა – მშპ დამოკიდებულია ორ პარამეტრზე: წარმოების ფაქტორებზე და საწარმო ფუნქციაზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი თანამიმდევრობით.

წარმოების ფაქტორები

წარმოების ფაქტორები – რესურსებია, რომელიც აუცილებელია საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. წარმოების ძირითადი ფაქტორებია შრომა და კაპიტალი. კაპიტალი – არის წარმოების იარაღები და მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების მიერ: სამშენებლო აშენებელი მშენებლისათვის, კალკულატორი ბუღალტრისათვის, აქროსონალური კომპიუტერი წიგნის ავტორისათვის და ა.შ. შრომა – არის დრო, რომელსაც ადამიანები უთმობენ მუშაობას. ჩვენ ვისარებებლეთ სიმბოლოებით K – კაპიტალის, ხოლო L – შრომის აღსანიშნავად.

ამჯერად, ეკონომიკაში წარმოების ფაქტორთა რაოდენობას მივიღებთ წინასწარ მოცემულ სიდიდედ. სხვა სიტუაციებში რომ ვთქვათ, ანალიზის გასამარტივებლად ვუშვებთ, რომ ეკონომიკა განაკარგავს ფიქსირებული რაოდენობის კაპიტალს და შრომას. ყოველივე ეს ასე ჩაიწერება:

$$K = \bar{K}, \\ L = \bar{L}.$$

ამ ცვლადებზე ხაზები ნიშნავს იმას, რომ მათი მნიშვნელობა ფიქსირებულია გარკვეულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ რეალურ სამყაროში წარმოების ფაქტორთა რაოდენობა იცვლება დროთა განმავლობაში, ამ ეტაპზე ვუშვებთ, რომ კაპიტალისა და შრომის რაოდენობა ფიქსირებულია.

გარდა ამისა, დავეუშვათ, რომ წარმოების ფაქტორები გამოიყენება სრულად, ე.ი. რესურსები უქმად არ იმყოფება. თუმცა, რეალურ სამყაროში სამუშაო ძალის ნაწილი არ არის დასაქმებული, ხოლო კაპიტალის ნაწილი კი – უქმად. მოგვიანებით, ჩვენ განვიხილავთ უმუშევრობის მიზეზებს, ახლა კი დავეუშვათ, რომ კაპიტალი და შრომა გამოიყენება მთლიანად.

საწარმოო ფუნქცია

არსებული ტექნოლოგია განსაზღვრავს, პროდუქციის რა რაოდენობა იწარმოება კაპიტალისა და შრომის მოცემული რაოდენობის შემთხვევაში. მათემატიკურად, ეკონომისტები არსებულ ტექნოლოგიას გამოხატავენ საწარმოო ფუნქციის გამოყენებით, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ განსაზღვრავენ წარმოების ფაქტორები გამოსაშვები პროდუქციის მოცულობას. თუ გამოსაშვები პროდუქციის მოცულობას აღვნიშნავთ Y-ით, საწარმოო ფუნქცია შეიძლება ჩაიწეროს, როგორც

$$Y = F(K, L)$$

ეს გამოსახულება გვიჩვენებს, რომ გამოსახულები პროდუქციის მოცულობა წარმოადგენს კაპიტალსა და შრომის რაოდენობის ფუნქციას.

საწარმოო ფუნქცია ასახავს მოცემულ მომენტში არსებულ ტექნოლოგიას, ე.ი. წარმოების ტექნოლოგიური წესის ნაკრები არაკვანდად გამოიხატება კაპიტალის, შრომის და პროდუქციის გამოშვებას შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში. თუ ვინმე მოიფიქრებს პროდუქციის წარმოების უკეთეს ხერხს, შედეგად იქნება პროდუქციის მოცულობის ზრდა კაპიტალისა და შრომის იგივე დანახარჯებით. შესაბამისად, ტექნოლოგიაში მომხდარი ცვლილებები ცვლის საწარმოო ფუნქციასაც.

მრავალ საწარმოო ფუნქციას გააჩნია თვისება, რომელსაც *მასშტაბის უტყველო უკუგება* ეწოდება. საწარმოო ფუნქცია ხასიათდება მასშტაბის უტყველო უკუგებით, თუ წარმოების ფაქტორთა შეფარდებით ერთი და იგივე სიდიდით ნაზრდი იქვეეს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შეფარდებით იმავე სიდიდით ზრდას. ამგვარად, თუ საწარმოო ფუნქციას გააჩნია ეს თვისება, მაშინ კაპიტალისა და შრომის რაოდენობის 10%-ით ზრდის შემთხვევაში მივიღებთ წარმოების მოცულობის 10%-იან ზრდას. მათემატიკურად, საწარმოო ფუნქციას ახასიათებს მასშტაბის უტყველო უკუგება, თუ

$$zY = F(zK, zL).$$

z-ის ნებისმიერი დღეებითი რიცხვისათვის. ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ თუ კაპიტალისა და შრომის რაოდენობას გაემატებოდა რომელიმე z რიცხვზე, მაშინ მივიღებთ პროდუქციის მოცულობაც აგრეთვე გაიზარდა z-ჯერ. კვებით ვნახათ, რომ მასშტაბის უტყველო უკუგებაზე ვარაუდს ვააჩვენებთ უმნიშვნელოვნესი შედეგი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება წარმოებისგან მიღებული შემოსავლის განაწილება.

საწარმოო ფუნქციის მაგალითის სახით განვიხილოთ სიტუაცია საცხოვრებელ პურის ცხოვრებასთან დაკავშირებით. საცხოვრებელ საშუალო და საცხოვრებელ მოწყობილობა შევარაგოთ, მის მიერ პურის გამოსაცხობად დაქირავებული მომუშავეები - შრომა, ხოლო პური კი - გამოსახულები პროდუქცია. საცხოვრებელ საწარმოო ფუნქცია გვიჩვენებს, რომ წარმოებული პურის რაოდენობა დამოკიდებულია მოწყობილობის რაოდენობაზე და მომუშავეთა რიცხვზე. უტყველო უკუგების თვისების თანახმად გამოსაცხოვრებელ პურის რაოდენობას გაეაორმაგებთ მოწყობილობებისა და მომუშავეთა რაოდენობის გაორმაგებით.

საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული რაოდენობა

როგორც ვნახეთ, წარმოების ფაქტორები და საწარმოო ფუნქცია ერთად აღებული განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას, რომელიც ტოლია მოცემული ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობისა. გამოვსახათ რა მას მათემატიკურად, ეწერო

$$Y = F(K, L) = \bar{Y}.$$

დროის ყოველ ცალკეულ მომენტში წარმოებული პროდუქციის მოცულობა ფიქსირებულია, ენაიდან კაპიტალისა და შრომის მიწოდება, აგრეთვე შრომისა და კაპიტალის საქონლად და მომსახურებად გარდაქმნის ტექნოლოგია უტყველია. მაგრამ, დროთა განმავლობაში, წარმოებული პროდუქციის მოცულობა იცვლება იმისდამოკიდებით, თუ როგორ იცვლება წარმოების ფაქტორთა მიწოდება ან ტექნოლოგია. რაც უფრო მეტა კაპიტალისა და შრომის რაოდენობა, მით უფრო მეტა წარმოების მოცულობა. რაც უფრო უკეთესია არსებული ტექნოლოგია, რომელიც გამოიხატულია საწარმოო ფუნქციით, მით უფრო მეტა წარმოებული პროდუქციის რაოდენობა.

3-2 ერთეული შემოსავლის განაწილება წარმოების ფაქტორების მიხედვით

ეკონომიკაში წარმოების საერთო მოცულობა მასში არსებული შემოსავლების საერთო მოცულობის ტოლია. რადგანაც წარმოების ფაქტორები და საწარმოო ფუნქცია განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების წარმოების საერთო მოცულობას, ისინი ერთდროულად განსაზღვრავს ერთეული შემოსავლის დონესაც. ნახ. 3-1-ზე წარმოდგენილ წრებრუნვის დიაგრამაზე ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება ერთეული შემოსავლის განაწილება ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის წარმოების ფაქტორთა ბაზრების მეშვეობით.

ამ თავში ემსჯელებთ იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს წარმოების ფაქტორთა ბაზრები. ეკონომისტები დიდი ხნის მანძილზე სწავლობდნენ წარმოების ფაქტორთა ბაზრებს, რათა გაეგოთ თუ როგორ ხდებოდა შემოსავლების განაწილება (მაგალითად, კარლ მარქსმა, XIX საუკუ-


ნის ცნობილმა ეკონომისტმა, დიდი დრო დახარჯა იმისათვის, რათა აეხსნა, თუ როგორ ნაწილდება შემოსავლები, რომლებიც მიღებულია კაპიტალისა და შრომის შესაკუთრეთა მიერ. კომუნისტების პოლიტიკური ფილოსოფია ნაწილობრივ ეფუძნებოდა დღეისათვის დისკრედიტიზებულ მარქსის თეორიას. აქვე განვიხილავთ წარმოების ფაქტორებს შორის ეროვნული შემოსავლის განაწილების თანამედროვე თეორიას. ეს თეორია, რომელიც ცნობილია, როგორც განაწილების ნეოკლასიკური თეორია, თანამედროვე ეტაპზე აღიარებულია ეკონომისტთა უმრავლესობის მიერ.

წარმოების ფაქტორთა ფასები

ეროვნული შემოსავლის განაწილება განისაზღვრება წარმოების ფაქტორთა ფასებით. წარმოების ფაქტორებზე ფასები წარმოადგენს ფულის იმ რაოდენობას, რომელიც გადახდილია ამ ფაქტორთა ერთეულზე – ესენია: მომუშავეთა ხელფასები და შემოსავლები, მიღებული კაპიტალის მფლობელების მიერ, როგორც ნახ. 3-2-სა და ნაწილები, წარმოების თითოეული ფაქტორის ფასი, თავის მხრივ, განისაზღვრება ამ ფაქტორის ბაზარზე მოთხოვნითა და მიწოდებით. ვინაიდან ჩვენ გავმოვიდართ იმ ვარაუდიდან, რომ ეკონომიკაში წარმოების ფაქტორთა რაოდენობა უცვლელია, ფაქტორთა მიწოდების მრუდი ნახსენებ ვერტიკალურ ფორმას. წარმოების ფაქტორზე მოთხოვნის ჩანსეკილი მრუდის მიწოდების ვერტიკალურ მრუდთან გადაკვეთის წერტილი განსაზღვრავს მოცემული წარმოების ფაქტორის წონასწორულ ფასს.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ ყალიბდება წარმოების ფაქტორზე ფასები და როგორ ხდება შემოსავლის განაწილება, უნდა შევისწავლოთ წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნა. წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნას აყალიბებს ათასობით ფირმა, რომლებიც (წარმოების ფაქტორები) გამოიყენებენ მათ მიერ წარმოების პროცესში. ახლა განვიხილოთ პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება ტიპური ფირმების წინაშე.

ნახ. 3-2. როგორ ყალიბდება ფასი წარმოების ფაქტორზე. წარმოების ნებისმიერი ფაქტორის ფასი დამოკიდებულია როგორც მიწოდებაზე, ასევე ამ ფაქტორზე არსებულ მოთხოვნაზე. რადგანაც დაეუშვით, რომ მიწოდება ფიქსირებულია, მიწოდების მრუდი ვერტიკალური ხაზის ფორმას. ფაქტორთა წონასწორული ფასი განისაზღვრება ჩანსეკილი მოთხოვნის მრუდისა და მიწოდების ხაზის გადაკვეთის წერტილით.



პრობლემა, რომელიც დგას კონკურენტული ფირმის წინაშე

ყველაზე მარტივი დაშვება, რომელიც შეიძლება არსებობდეს ტიპურ ფირმასთან მიმართებაში – არის ის, რომ იგი კონკურენტულია. კონკურენტული ფირმა ისეთი ფირმაა, რომელიც მცირეა ბაზრებთან შედარებით, სადაც ის ვაჭრობს და ამიტომ, პრაქტიკულად ვერ ახდენს გავლენას ფასებზე, რომლებიც ყალიბდება ამ ბაზრებზე. დაეუშვათ, რომ ჩვენი ფირმა აწარმოებს საქონელს და ყიდის საბაზრო ფასით. რადგანაც ეს ფირმა მხოლოდ ერთა მრავალთა შორის, რომლებიც აწარმოებენ ანალოგიურ საქონელს, მას შეუძლია გაზარდოს გაყიდვების მოცულობა საკუთარი სურვილისამებრ ისე, რომ ამით არ გამოიწვიოს ფასების შემცირება ან პირიქით, მას შეუძლია საერთოდ შეწყვიტოს გაყიდვა, რის გამოც მოცემულ ბაზარზე ფასი საერთოდ არ გაიზარდება. ასეთ ფირმას არ შეუძლია მოახდინოს სერიოზული ზემოქმედება არც თავისი მომუშავეების ხელფასის დონეზე, რადგანაც სხვა მრავალი ადგილობრივი ფირმაც ქირაობს მომუშავეებს. ფირმებს არ გააჩნიათ მზესუბი გაზარდონ ხელფასი საბაზრო დონესთან შედარებით. მაგრამ თუ შეეცდებიან ნაკლები გადახდას, მაშინ მომუშავეები გადავლენ სხვა ფირმებში. შესაბამისად, კონკურენტული ფირმისათვის საკუთარ პროდუქციაზე და გამოყენებულ საწარმოო რესურსებზე ფასები მოცემულია.

პროდუქტის საწარმოებლად ფირმას სჭირდება წარმოების ორი ფაქტორი – შრომა და კაპიტალი. ზუსტად ისევე, როგორც ეკონომიკის მთლიანობაში განხილვისას მოვიქცეთ, ფირმის საწარმოო ფუნქცია აღენიშნოთ

$$Y = F(K, L).$$

სადაც Y – ფირმის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, K – გამოყენებულ მანქანა-დანადგართა (კაპიტალის) რაოდენობა, ხოლო L – მომუშავეთა მიერ ნაშთშეფარი საათების რაოდენობა (შრომა). ფირმა აწარმოებს მეტ პროდუქციას, თუ სარგებლობს უფრო მეტი მანქანა-დანადგარით ან მისი მომუშავეები მეტ დროს უთმობენ შრომას.

ფირმა ყიდის თავის პროდუქციას P ფასით, თავის მომუშავეებს უხდის W ხელფასს და იღებს კაპიტალს არენდით R ფასად. შეენიშნოთ, რომ როდესაც ესაუბრობათ ფირმის მიერ კაპიტალის არენდით მიღებაზე, გეულისხმობთ, რომ საოჯახო მეურნეობას გეუთენის ეკონომიკაში არსებული მთელი კაპიტალი და მც გასცემს არენდით ისევე, როგორც ყიდის თავის საშუაო ძალას. ფირმა წარმოების ორივე ფაქტორს ღებულობს საოჯახო მეურნეობისაგან, რომლებიც ამ უკანასკნელს მკუთვინის!

ფირმის მიზანს წარმოადგენს მოგების მაქსიმიზაცია. *მოგება* არის შემოსავალი დანახარჯების გამოკლებით – ის, რაც რჩება ფირმების მესაკუთრეებს წარმოებაზე გაცემული დანახარჯების დაფარვის შემდეგ. *შემოსავალი* – ეს არის საქონლის ერთეულის გაყიდვის ფასი, გამარაგებული ფირმის მიერ წარმოებული საქონლის რაოდენობაზე, ის ტოლია $P \times Y$. *დანახარჯები* მოიცავს როგორც კაპიტალზე, ასევე შრომაზე გაცემულ ხარჯებს. შრომაზე გაცემული ხარჯები ტოლია $W \times L$, ანუ ხელფასის განაკვეთის ხიდივე W გამარაგებული შრომის L რაოდენობაზე. კაპიტალზე ხარჯები ტოლია $R \times K$ – კაპიტალის ერთი ერთეულის გამოყენების დანახარჯი R გამარაგებული კაპიტალის K რაოდენობაზე. ამგვარად, ტოლობა ასე შეიძლება ჩაეწეროს:

$$\text{მოგება} = \text{შემოსავალი} - \text{შრომაზე და დანახარჯი} - \text{კაპიტალზე და დანახარჯი} = PY - WL - RK$$

იმისათვის, რომ ენახოთ, თუ როგორაა მოგება დამოკიდებული წარმოების ფაქტორებზე, გამოვიყენოთ საწარმოო ფუნქცია $Y = F(K, L)$. თუ ამ უკანასკნელს ზემოთ მოცემულ ტოლობაში ჩაესვათ Y -ის მაგივრად, მივიღებთ

$$\text{მოგება} = PF(K, L) - WL - RK$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ მოგება დამოკიდებულია პროდუქციის P ფასზე და წარმოების ფაქტორების W და R ფასებზე და მათ L და K რაოდენობაზე. კონკურენტული ფირმა წარმოების ფაქტორებზე ფასებს ღებულობს, როგორც წინასწარ მოცემულს და ირჩევს შრომისა და კაპიტალის ისეთ რაოდენობას, სადაც ხდება მოგების მაქსიმიზაცია.

ფირმის მოთხოვნა წარმოების ფაქტორებზე

ახლა შევვიძლია განვიხილოთ, თუ როგორ გადაწყვეტს ფირმა რა რაოდენობის შრომა და კაპიტალი გამოიყენოს წარმოებაში.

შრომის ზღვრული პროდუქტი. ფირმა რაც უფრო მეტ შრომას გამოიყენებს წარმოების პროცესში, მით უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს. *შრომის ზღვრული პროდუქტი* (MPL) – არის წარმოებული პროდუქციის დამატებითი რაოდენობა შრომის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ფირმა ყიდულობს შრომის დამატებით საათს, მისი წარმოების მოცულობა იზრდება MPL ერთეულით. ყოველივე ეს შეგვიძლია გამოვსახოთ ალგებრულად საწარმოო ფუნქციის გამოყენებით:


$$MPL = F(K, L + 1) - F(K, L).$$

ტოლობის მარჯვენა მხარის პირველი წევრი გამოხატავს წარმოების მოცულობას კაპიტალის K ერთეულია და შრომის $L+1$ ერთეულის შემთხვევაში; მეორე წევრი – წარმოების მოცულობას კაპიტალის K ერთეულია და შრომის L ერთეულის შემთხვევაში. ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ შრომის ზღვრული პროდუქტი არის სხვაობა წარმოების მოცულობებს შორის $L+1$ და L ერთეული შრომის გამოყენების შემთხვევაში.

¹ რეალურად ჩვენ ვაშინებთ კაპიტალის შუალედურ ფლობას, რადგანაც ფირმები ფლობენ კაპიტალს, ხოლო საოჯახო მეურნეობა ფლობს ფირმებს. ეს ნიშნავს, რომ ფირმები ასრულებენ ორგერო ფუნქციას: კაპიტალის მფლობელობის და პროდუქციის წარმოებლობის. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ როგორ ფორმირდება წარმოების ფაქტორების მფლობელთა შემოსავლები, ჩვენ ვეარაუდოთ, რომ საწარმოო ფუნქცია განცალკევებულია კაპიტალის ფლობის ფუნქციისაგან და მთელი კაპიტალი გეუთენის საოჯახო მეურნეობას.

საწარმოო ფუნქციებს შორის უმრავლესობას ახასიათებს *კლებადი ზღვრული პროდუქტის* თვისება: გამოყენებული კაპიტალის მუდმივი სიდიდის შემოსხვევაში ადგილი აქვს შემდეგ ფაქტს - რაც უფრო მეტია გამოყენებული შრომის რაოდენობა, მით უფრო ნაკლებია ყოველი დამატებითი შრომის ერთეულის ზღვრული პროდუქტი. დაუბრუნდეთ პურსაცხობის მაგალითს: MPL - დამატებით გამოცხობილი პურის რაოდენობაა შრომის დამატებული ერთეულის გამოყენების შედეგად. მაგრამ, შრომის ყოველ მომდევნო დამატებულ ერთეულთან ერთად MPL სულ უფრო მცირდება. დამატებით იწარმოება პურის სულ უფრო მცირე რაოდენობა, რადგანაც მომუშავეები ნაკლებად მწარმოებლურნი ხდებიან, როცა საცხობში სულ უფრო მეტი სისყწროევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საცხობის იმავე მასშტაბის შემთხვევაში, შრომის ყოველი დამატებული ერთეული საცხობის წარმოების მოცულობას სულ უფრო ნაკლები რაოდენობის პურს ამატებს.

ნახ. 3-3-ზე წარმოდგენილია საწარმოო ფუნქციის გრაფიკი. ის გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება წარმოებული პროდუქციის მოცულობა, როდესაც ვაყოქსირებთ კაპიტალის რაოდენობას და ცვლეთ შრომის რაოდენობას. ამ ნახაზზე ჩანს, რომ ზღვრული პროდუქტი გამოსახულია საწარმოო ფუნქციის გრაფიკის დახრილობით. იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება შრომის რაოდენობა, საწარმოო ფუნქციის გრაფიკი ხდება სულ უფრო დამრეცი, რაც ასახავს ზღვრული პროდუქტის კლებადაობას.



ნახ. 3-3. საწარმოო ფუნქცია. ეს მრუდი გვიჩვენებს, თუ როგორაა დამოკიდებული პროდუქციის წარმოება გამოყენებული შრომის რაოდენობაზე კაპიტალის უცვლელ რაოდენობის შემთხვევაში. შრომის ზღვრული პროდუქტი (MPL) არის წარმოების მოცულობაში ცვლდება გამოყენებული შრომის ერთი ერთეულით ზრდის შემთხვევაში, ე.ი. $MPL = F(K, L+1) - F(K, L)$. შრომის რაოდენობის ზრდის კვალობაზე, საწარმოო ფუნქციის გრაფიკი ხდება სულ უფრო დამრეცი, რაც მიუთითებს ზღვრული პროდუქტის კლებაზე.

შრომის ზღვრული პროდუქტიდან შრომაზე მოთხოვნისაკენ. ვიდრე მოგების მაქსიმიზაციის განმახორციელებელი კონკურენტული ფირმა გადაწყვეტს, დაიჭიროს თუ არა შრომის დამატებითი ერთეული, ის უპირველეს ყოვლისა, ფიქრობს იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ეს მის მოგებაზე. ფირმა დამატებითი პროდუქციის წარმოებისგან მიღებულ შემოსავალს, რომელიც დამატებითი რაოდენობის შრომის გამოყენებით არის მიღებული, ადარებს ხელფასზე გაწეული ხარჯების სოდილეს. დამატებითი შემოსავლის მოცულობა დამოკიდებულია როგორც საქონლის ფასზე, ასევე შრომის ზღვრულ პროდუქტზე. რადგანაც შრომის დამატებითი ერთეული აწარმოებს პროდუქციის MPL ერთეულს და თითოეული იყიდება P ფასით, დამატებითი შემოსავალი იქნება $P \times MPL$. დამატებითი ხარჯები, რომელიც დამატებითი ერთეული შრომის შესაქმნადაა გაწეული, ტოლია W

ხელფასის სიდიდისა. შესაბამისად, მოგების ცვლილება შრომის დამატებითი ერთეულის მოზიდვის შედეგად შეადგენს:

$$\Delta \text{მოგება} = \Delta \text{შემოსავალი} - \Delta \text{დანახარჯები} = (P \times MPL) - W.$$

Δ (დელტა) სიმბოლო აღნიშნავს ცვლადის ნაზრდს.

ახლა შევივილია პასუხი გავცემო კითხვას, რომელიც დავსვეთ ამ პარაგრაფის დასაწყისში: რამდენ შრომას გამოიყენებს ფირმა? ფირმის მმართველმა იცის, რომ მანამ, ვიდრე დამატებითი შემოსავალი - $P \times MPL$ აჭარბებს W ხელფასის განაკვეთს, შრომის დამატებითი ერთეული გაზრდის მოგებას. შესაბამისად, ფირმის მმართველი გააგრძელებს მომუშავეთა დაქირავებას მანამ, ვიდრე, შრომის მორიგი ერთეული აღარ მოიტანს დამატებით მოგებას, ე.ი. ვიდრე MPL არ შემცირდება იმ სიდიდემდე, როცა დამატებითი შემოსავალი გაუტოლდება ხელფასის სიდიდეს. ფირმის მოთხოვნა შრომაზე განისაზღვრება ტოლობით


$$P \times MPL = W.$$

ჩვენ შევივილია ეს ტოლობა ჩაეწეროთ შემდეგნაირად:

$$MPL = \frac{W}{P}.$$

W/P - არის რეალური ხელფასი, შრომის ანაზღაურება, რომელიც გამოიხატება წარმოებული პროდუქციის ერთეულში და არა ფუტკათ, ლარებში. რეალური ხელფასი - მსხვილფელობითუნარიანობა (გამოხატული საკონლისა და მომსახურების რაოდენობით), რომელსაც ფირმა ანაზღაურებს შრომის თითოეული ერთეულისათვის. იმისათვის, რომ მოეხდინოთ მოგების მაქსიმიზაცია, ფირმა მომუშავეებს დაიქირავებს მანამ, ვიდრე შრომის ზღერული პროდუქტი არ გაუტოლდება რეალურ ხელფასს.

განვიხილოთ კელვ პურსაცხოზის მაგალითი. დაეუშვათ, რომ პურის ფასი P ტოლია 2 ლარის, ხოლო ხელფასი $W = 1$ საათში 20 ლარის. მაშინ რეალური ხელფასი უდრის საათში 10 ცალ პურს. ამ მაგალითში ფირმა გააგრძელებს მომუშავეთა დაქირავებას მანამ, ვიდრე მომდევნო მომუშავის დაქირავება პურსაცხოზის პროდუქციას საათში 10 პურს მაინც შესძენს.



ნახ. 3-4. შრომის ზღერული პროდუქტის გრაფიკი შრომაზე ზღერული პროდუქტი (MPL) დამოკიდებულია გამოყენებული შრომის რაოდენობაზე. MPL მრუდი დახრილია ქვემოთ, რადგანაც MPL მცირდება L -ის ზრდის კვალობაზე. ფირმა აგრძელებს მომუშავეთა დაქირავებას მანამ, ვიდრე რეალური ხელფასი W/P არ გაუტოლდება MPL -ს ამგვარად, ეს გრაფიკი წარმოადგენს ერთდროულად ფირმის მხრიდან შრომაზე მოთხოვნის გრაფიკსაც.

ნახ. 3-4-ზე ნაჩვენებია, რომ შრომის ზღერული პროდუქტი დამოკიდებულია გამოყენებული შრომის რაოდენობაზე (ფირმის კაპიტალის ფიქსირებული რაოდენობის შემთხვევაში). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნახ. 3-4-ზე ნაჩვენებია MPL -ის გრაფიკი. ვინაიდან MPL მცირდება შრომის რაოდენობის ზრდის კვალობაზე, გრაფიკი ჩაზნექილი მრუდის ფორმას დებულობს. რეალური ხელფასის რომელიმე მოცემული სიდიდის შემთხვევაში ფირმა აგრძელებს მომუშავეთა დაქირავებას წერტილამდე, სადაც MPL უტოლდება რეალური ხელფასის სიდიდეს. შესაბამისად, გრაფიკი MPL წარმოადგენს ფირმის მხრიდან შრომაზე მოთხოვნის მრუდს.

კაპიტალის ზღვრული პროდუქტი და კაპიტალზე მოთხოვნა გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის კაპიტალი უნდა იქნას გამოყენებული, ფორმა დებულობს ზუსტად იმგადად, როგორც გამოსაყენებელი შრომის რაოდენობასთან მიმართებაში დებულობდა. *კაპიტალის ზღვრული პროდუქტი* არის წარმოებული პროდუქციის დამატებითი რაოდენობა, რომელიც კაპიტალის დამატებით ერთეულის გამოყენების შედეგად მიიღება:

$$MPK = F(K + 1, L) - F(K, L).$$

ამგვარად, კაპიტალის ზღვრული პროდუქტი არის $K+1$ და K ერთეული კაპიტალის გამოყენებით მიღებული წარმოებულ პროდუქციათა რაოდენობებს შორის სხვაობა. როგორც შრომასთან მიმართებაში ენახეთ, კაპიტალის ზღვრული პროდუქტიც ანალოგიურად ეძლეულობს.

მოგების ზრდა დამატებითი მანქანა-დანადგარების გამოყენების შედეგად ტოლია პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული დამატებით შემოსავალს გამოკლებული მათი გამოყენების ხარჯები:

$$\Delta \text{მოგება} = \Delta \text{შემოსავალი} - \Delta \text{დანახარჯები} = (P \times MPK) - R$$

იმისათვის, რომ მოვახდინოთ მოგების მაქსიმიზაცია, ფორმა გააგრძელებს დამატებითი მოწყობლობების შექენას მანამ, ვიდრე MPK არ შემცირდება კაპიტალის რეალურ ფასამდე:

$$MPK = \frac{R}{P}$$

კაპიტალის რეალური ფასი – ეს არის ერთი ერთეული კაპიტალის გამოყენებაზე დანახარჯი, რომელიც გამოხატულია საქონლის ერთეულით და არა ფულადით.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტული ფორმა, რომელიც მიისწრაფვის მოგების მაქსიმიზაციასაკენ, საკითხის გადაწყვეტისას, თუ რამდენი კაპიტალი და შრომა გამოიყენოს, ხელმძღვანელობს შემდეგი მარტივი წესით: *ფორმა წარადგენს მოთხოვნას წარმოების თითოეულ ფაქტორზე მანამ, ვიდრე წარმოების ამ ფაქტორთა ზღვრული პროდუქტი არ გაუტოვდება მათზე არსებულ რეალურ ფასებს.*

ეროვნული შემოსავლის განაწილება

გაეანალიზეთ რა, თუ როგორ ყალიბდება წარმოების ფაქტორებზე ფასები ცალკეული ფირმისათვის, უკვე შეგვიძლია ავსნათ, თუ როგორ ნაწილობა მთელი ეკონომიკის შემოსავალი. თუ ეკონომიკაში არსებული ყველა ფორმა კონკურენტულია და ისინი ახდენენ მოგების მაქსიმიზაციას, მაშინ წარმოების ფაქტორებიდან თითოეულზე მოდის ზუსტად იმდენი, რამდენ ზღვრულ პროდუქტსაც ამატებენ ისინი გამოსაყვები პროდუქციის საერთო რაოდენობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეული დასაქმებულის რეალური ხელფასი ტოლია MPL -ის, ხოლო მოწყობლობებზე დანახარჯების კომპენსაცია, რომელიც უნაზღაურდება კაპიტალის თითოეულ მესაკუთრეს, ტოლია MPK -სი. საერთო რეალური დანახარჯები ხელფასზე ამგვარად, შეადგენს $MPL \times L$, ხოლო კაპიტალის მესაკუთრეთა რეალური შემოსავლების საერთო თანხა ტოლია $MPK \times K$.

შემოსავალს, რომელიც რჩება ფირმების განკარგულებაში მას შემდეგ, რაც ანაზღაურდება წარმოების ყველა ფაქტორზე გაწეული დანახარჯი, ეწოდება ფირმის მესაკუთრეთა *ეკონომიკური მოგება*. რეალური ეკონომიკური მოგება ტოლია:

$$\text{ეკონომიკური მოგება} = Y - (MPL \times L) - (MPK \times K)$$

რადგანაც ჩვენი მიზანია ეროვნული შემოსავლის განაწილების შესწავლა, მაშინ ბოლო გამოსახულებაში გადავაჯგუფოვო წევრები შემდეგნაირად:

$$Y = (MPL \times L) + (MPK \times K) + \text{ეკონომიკური მოგება}$$

აქედან ჩანს, რომ ეროვნული შემოსავალი ნაწილობა მომუშავეთა შემოსავლად, კაპიტალის მესაკუთრეთა შემოსავლად და ეკონომიკურ მოგებად.

თუ ვივლინებებით, რომ საწარმოო ფუნქციას ახასიათებს მასშტაბის მუდმივი უკუგების თვისება, მაშინ გამოდის, რომ ეკონომიკური მოგება ნულის ტოლი უნდა იყოს, ე.ი. მას შემდეგ, როცა ანაზღაურებულია წარმოების ფაქტორები, არაფერი რჩება. ეს მოულოდნელი დასკვნა გამომდინარეობს *ვიკლერის* ცნობილი თეორემიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ თუ საწარმოო ფუნქციას ახასიათებს მასშტაბის მუდმივი უკუგება, მაშინ

$$F(K, L) = (MPK \times K) + (MPL \times L).$$

თუ წარმოების თითოეულ ფაქტორს წილად ხვდება მისივე ზღვრული პროდუქტი, მაშინ წარმოების ფაქტორებისათვის ყველა ანაზღაურებათა თანხის ოდენობა ტოლია წარმოებული პროდუქციის საერთო მიცულობისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასშტაბის მუდმივი უკუგება, ფირმების სწრაფვა მოგების მაქსიმიზაციისაკენ და კონსერვაცია ერთად აღებული, იწვევს იმას, რომ ეკონომიკური მოგება ნულის ტოლია.

თუ ეკონომიკური მოგება ნულის ტოლია, მაშინ როგორ აიხსნება ეკონომიკაში „მოგების“ არსებობა? პასუხი მარტივია: ტერმინი „მოგება“ თავისი ბუნებრივი გაგებით, აღნიშნავს არა იმას, რასაც ეკონომიკური მოგება. ჩვენ დავუშვით, რომ ეკონომიკაში მოქმედებდა სამი ტიპის მონაწილე: მშრომელად, კაპიტალის მესაკუთრეები და ფირმის მესაკუთრეები. მთელი შემოსავალი, ამგვარად, იყოფა ხელფასებად, კაპიტალზე შემოსავლებად და ეკონომიკურ მოგებად. თუმცა, რეალურ სამყაროში უმრავლეს შემთხვევაში ფირმები თავადვე ფლობენ იმ კაპიტალს, რომელიც გამოიყენება წარმოებაში. ამგვარად, ფირმის მესაკუთრეები ერთდროულად წარმოადგენენ კაპიტალის მესაკუთრეებსაც. ტერმინი „მოგება“ ჩვეულებრივ გულისხმობს როგორც ეკონომიკურ მოგებას, ასევე კაპიტალზე არსებულ შემოსავლებსაც. თუ ჩვენ ამგვარად განსაზღვრულ მოგებას ეუწოდებთ ბუღალტრულ მოგებას, მაშინ ტოლობა შეგვიძლია ასე ჩაეწეროს:

$$\text{ბუღალტრული მოგება} = \text{ეკონომიკური მოგება} + (MPK \times K)$$

თუ სრულდება ჩვენი წინაპირობები – მასშტაბის მუდმივი უკუგება, მოგების მაქსიმიზაცია და კონსერვაცია – ეკონომიკური მოგება ნულის ტოლი ხდება. თუ მოცემული ვარაუდი დაახლოებით მართებულია, ალწერს რეალურ სამყაროს, მაშინ „მოგება“ ეროვნული შემოსავლის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც კაპიტალზე შემოსავალი.

ახლა შევძიებთ პასუხი გავცეთ ამ თავში დასმულ კითხვას: როგორ ნაწილდება ეკონომიკაში არსებული მილიანი შემოსავალი ფირმებიდან საოჯახო მოქმედებებზე? წარმოების თითოეული ფაქტორი დებულობს კომპენსაციას, რომელიც მისი ზღვრული პროდუქტის ტოლია და წარმოების ფაქტორებზე ასეთი ანაზღაურებები ამოწურავენ მთელ შემოსავალს. *მაშასადამე, მთელი შემოსავალი ნაწილდება კაპიტალისა და შრომის ანაზღაურებებზე და მათი ზღვრული მწარმოებლების შესაბამისად.*

მაგალითი 3-1.

„შავი სიყვითლი“ და წარმოების ფაქტორებზე ფასები

ეკონომიკაში შემოსავლების განაწილების ჩვენი ანალიზის თანახმად, წარმოების ფაქტორებზე ფასები ტოლია მათი ზღვრული პროდუქტისა. რადგანაც ზღვრული პროდუქტის დამოკიდებულება გამოყენებული ფაქტორების მასშტაბებზე, წარმოების ფაქტორებიდან ერთ-ერთის რაოდენობაში ცვლდება ცვლის წარმოების ყველა ფაქტორის ზღვრულ პროდუქტს. შესაბამისად, წარმოების ფაქტორებიდან ერთ-ერთის მიწოდებაში ცვლილება ცვლის მათ წინასწორულ ფასებს.

წარმოების ფაქტორთა რაოდენობის მათ ფასებზე გავლენის ნათელი მაგალითი შეიძლება ვიპოვოთ XIV საუკუნის ევროპის ისტორიაში. 1348 წელს შავი ჭირის აფეთქებამ ევროპის მოსახლეობა რამდენიმე წელიწადში ერთი მესამედით შემამცირა. რადგანაც შრომის ზღვრული პროდუქტი იზრდება მისი რაოდენობის შემცირების კვლავლებაზე, სამუშაო ძალის ასეთმა დივიდენდამ შეცირებამ გაზარდა შრომის ზღვრული პროდუქტი (ეკონომიკა გადაადგილდა მარცხნივ 1-3 და 3-4 გრაფიკებზე გამოსახული მრუდების გასწვრივ). ამგვარი ხელშეწყობა არსებითად გაიზარდა – ზოგიერთი ფასისთვის მიხვედით გაიზარდა. გლეხებს, რომელთაც გაუზარდა მათი მიწის რაოდენობის შემცირების შედეგად, ეკონომიკური კეთილდღეობის ნაყოფი.

სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირებამ, როგორც ეპიდემიის შედეგმა, გააღწია მოახდინა მიწის რესურსების წარმოებლობაზე, შუა საუკუნეების ევროპის მეორე ძირითად წარმოების ფაქტორზე. ეინადან მიწის დასამუშავებლად საჭირო მომუშავეთა რაოდენობა შემცირდა, მიწის ყოველ დამატებით ერთეულს მოაქონდა ნაკლები დამატებითი, პროდუქტი. მიწის ზღვრული პროდუქტის შემცირებამ გამოიწვია რეალური ტენციის შემცირება 50 და უფრო მეტი პროცენტით. გლეხთა ეკონომიკური აყვავების გვერდით შეიძინა მიწის მესაკუთრეთა შემოსავლების შემცირება.

სენატორი, მათემატიკოსი და წარმოების ფაქტორთა წილის მუდმივობა

1927 წელს პოლ დუგლასმა, პროფესიით ეკონომისტმა, რომელიც შემდგომ აშშ-ს სენატორი გახდა ილინოისის შტატისა დასრულდა 1949-1966 წლებში, შეამჩნია, რომ ეროვნული შემოსავლის განაწილება კაპიტალსა და შრომას შორის თითქმის არ იცვლება დროთა განმავლობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოების ზრდის კვალობაზე როგორც მუშები, ისე კაპიტალის მესაკუთრეები თანაბრად

სარგებლობე ეკონომიკის ზრდანი აყაეუბის სიკეთით. ამ დაკირებამ აიძულა პოლ დუგლასო კარგად დოქტრებულყოლო წარმოების ფაქტორთა წილის მუდმიობის მიწეუბის საკითხებზე.

პოლ დუგლასმა მიმართა მათემატიკოსს ჩარლზ კობს კითხვით, რომელ წარმოებით ფუნქციას (თუკი ასეთი რამ არსებობს) ეკნებოდა წარმოების ფაქტორთა წილის მუდმიობის თვისება იმ კარობით, თუკი წარმოების ფაქტორები ყოველთვის ლებელობენ თავინათ ზღერულ პროდუქტებს სწწწწწწ წარმოო ფუნქციას უნდა კქონოდა შემდეგი თვისებები:

$$\begin{aligned} \text{კაპიტალზე შემოსავალი} &= MPK \times K = \alpha Y \quad \text{და} \\ \text{შრომაზე შემოსავალი} &= MPL \times L = (1 - \alpha)Y, \end{aligned}$$

სადაც α - მუდმიოა ნულიდან ერთამდე მნიშვნელობით, რომლითაც იზომება კაპიტალის წილი შემოსავალში, ე.ი. ა განსაზღვრავს, თუ შემოსავლის რა ნაწილი ხედებათ წილად კაპიტალის მყოლობელებს და რა ნაწილი მიდის შრომის ანაზღაურებაზე. კობმა უწევნა, რომ ფუნქცია, რომელსაც გაანია ასეთი თვისებები, შემდეგნაირად გამოისახება:

$$Y = F(K, L) = AK^\alpha L^{1-\alpha},$$

სადაც A დღებითი პარამეტრია, რომლითაც იზომება არსებული ტექნოლოგიის მწარმოებლურობა. ეს ფუნქცია ცნობილი გახდა *ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის* სახელით.

მრავალმა ეკონომისტმა აღმოაჩინა, რომ ქობი-დუგლასის ფუნქცია მართებულად ასახავს იმას, როგორ გარდასახავს ეკონომიკა საწარმოო რესურსებს საბოლოო პროდუქციად. ამიტომ, მიზანშეწონილია დავერიოებთ განვიხილოთ ზოგიერთი მისი თვისება.

პირველი, ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციას გაანია მასშტაბის მუდმიო უკუებების თვისება, ე.ი. თუ კაპიტალისა და შრომის რაოდენობას გაეზრდით ტოლი პროპორციით, მაშინ წარმოების მოცულობა გაიზრდება იმავე პროპორციით².

ასლა განვიხილოთ ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციაში ფაქტორთა ზღერული მწარმოებლურობა. შრომის ზღერული პროდუქტი ტოლია³

$$MPL = (1 - \alpha)AK^\alpha L^{-\alpha},$$

ხოლო კაპიტალის ზღერული პროდუქტი კი

$$MPK = \alpha AK^{\alpha-1} L^{1-\alpha}.$$

ეთიკლისწინებთ იმას, რომ α მუდმიოა, რომელიც იცვლება ნულიდან ერთამდე ინტერვალში, ამ სამი ტოლობიდან შეიძლება განესაზღვროთ წარმოების ფაქტორთა ზღერული პროდუქტის ცვლილებათა მიწეუბები. კაპიტალის რაოდენობის ზრდა განაპირობებს MPL-ის ზრდას და MPK-ს შემცირებას. ანალოგიურად, შრომის რაოდენობის ზრდა ზრდის MPK-ს და ამცირებს MPL-ს. ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც ზრდის A პარამეტრს, პროპორციულად ადიდებს წარმოების ორივე ფაქტორის ზღერულ პროდუქტს.

ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია შეიძლება ჩაეწეროთ, როგორც⁴

² მათემატიკური შენიშვნა: იმის დასამტკიცებლად, რომ ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციას გაანია მასშტაბის მუდმიო უკუებების თვისება, გაეანალიზოთ რას მივიღებთ, თუ კაპიტალსა და შრომას გაეამრავლებთ z მუდმიოზე:

$$F(zK, zL) = A(zK)^\alpha (zL)^{1-\alpha}.$$

გავსნათ ფრჩხილები ტოლობის მარჯვნივ: $F(zK, zL) = Az^\alpha K^{\alpha-1} z^{1-\alpha} L^{1-\alpha}$. მსგავსი წვევების გაერთიანებით მივიღებთ: $F(zK, zL) = z^\alpha z^{1-\alpha} AK^\alpha L^{1-\alpha}$. რადგანაც $z^\alpha z^{1-\alpha} = z$, ჩვენი ფუნქცია ლებელობს შემდეგ სახეს: $F(zK, zL) = zAK^\alpha L^{1-\alpha}$. მაგარამ $AK^\alpha L^{1-\alpha} = F(K, L)$. შესაბამისად, $F(zK, zL) = zF(K, L) = zY$. ამგვარად, წარმოების მოცულობა იზრდება იმავე პროპორციით, ეს კი ნიშნავს იმას, რომ მოცემული საწარმოო ფუნქცია ხასიათდება მასშტაბის მუდმიო უკუებების თვისებით.

³ მათემატიკური შენიშვნა: იმისათვის, რომ მივიღოთ პროდუქტებისათვის წარმოებითი ფუნქციის ფორმლიდან, აუცილებელია გაიხისენით ადგებოთ. შრომის ზღერული პროდუქტის (MPL) საბუნდოდ, უნდა გაედიფერენციალოთ საწარმოო ფუნქცია L -ის მიხედვით (რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ფუნქციაში L ცვლადია, დანარჩენი წვევები - მუდმიოი). ანალოგიურად, MPK-ს მისაღებად ფუნქცია უნდა გაედიფერენციალოთ K -ს მიხედვით (ამ შემთხვევაში, საწარმოო ფუნქციაში ცვლადი იქნება K , დანარჩენი წვევები - მუდმიოი).


$$MPL = (1 - \alpha) \frac{Y}{L}$$

$$MPK = \alpha \frac{Y}{K}$$

MPL პროპორციულია გამოსაშვები პროდუქციის მოცულობისა ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, ხოლო MPK კი პროპორციულია გამოსაშვები პროდუქციის მოცულობისა კაპიტალის ერთეულზე. Y/L არის შრომის საშუალო მწარმოებლურობა, ხოლო Y/K – კაპიტალის საშუალო მწარმოებლურობა. ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის შემთხვევაში წარმოების ფაქტორთა ზღვრული მწარმოებლურობა მათი საშუალო მწარმოებლურობის პროპორციულია.

ახლა შევვიძლია ვაჩვენოთ, რომ თუ წარმოების ფაქტორები დებულობენ თავიანთ ზღვრულ პროდუქტებს, მაშინ α პარამეტრი სინამდვილეში გეიჩერებს, ეროვნული შემოსავლის რა ნაწილი მოდის შრომის წილად და რა ნაწილი – კაპიტალის წილად. შრომაზე საერთო დანახარჯები, როგორც ვნახეთ, ტოლია $MPL \times L$, ანუ უბრალოდ $(1 - \alpha)Y$. შესაბამისად, $(1-\alpha)$ არის წარმოებულ პროდუქტში შრომის ხვედრითი წილი. ანალოგიურად, კაპიტალზე საერთო შემოსავლის თანხა ტოლია $MPK \times K$, ანუ, უბრალოდ αY და α - წარმოებულ პროდუქტში კაპიტალის ხვედრითი წილია. შრომაზე შემოსავლის კაპიტალზე შემოსავალთან თანაფარდობა $(1-\alpha)/\alpha$ მუდმივია, რაც აღმოაჩინა დუგლასმა. წარმოების ფაქტორთა წილი დამოკიდებულია მხოლოდ α პარამეტრზე და არა შრომისა და კაპიტალის რაოდენობაზე, არც გამოყენებული ტექნოლოგიის დონეზე, რომელიც იზომება A პარამეტრით.

უფრო გეიანდელი მონაცემებიც თანხმობაშია ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციასთან. ნახ. 3-5-ზე ნაჩვენებია შრომაზე შემოსავლების თანაფარდობა საერთო შემოსავალთან აშშ-ში 1960-2000 წლებში. მიუხედავად ეკონომიკაში მრავლობითი ცვლილებებისა, რომელთაც კქონდა ადგილი ბოლო რამდენიმე ათწლეულების განმავლობაში, ეს თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით 0,7-ს, ანუ შრომითი შემოსავლების კაპიტალზე შემოსავლებთან თანაფარდობა დარჩა 2-დან 3-მდე ფარგლებში. შემოსავლების მსგავსი განაწილება მართლაც აიხსნება ქობი-დუგლასის წარმოებითი ფუნქციით, რომელშიც კაპიტალის წილი α ტოლია დაახლოებით 0,3-ს.



ნახ.3-5 შრომითი შემოსავლების თანაფარდობა საერთო შემოსავლებთან აშშ-ში შრომაზე შემოსავლების ხვედრითი წილი საერთო შემოსავლებში შეადგენს დაახლოებით 0,7-ს. შესაბამისად, შრომაზე შემოსავლები თითქმის 2-3ჯერ აღემატება კაპიტალზე შემოსავლებს. უროვნულ შემოსავალში წარმოების ფაქტორების წილის აღნიშნული დაახლოებითი ტოლობა ქობი-დუგლასის ფუნქციის დაზღვრულობა (ეს გრაფიკი აჩვენებდა იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც გამოთვლილი იქნა ეროვნული შემოსავალი. შრომაზე შემოსავალი არის დაქირავებულთა ხელფასები. ურთობლივი შემოსავალი არის შრომითი შემოსავლის, კორპორაციის მოგების, წმინდა პროცენტების, რენტული შემოსავლების და ამორტიზაციის ჯამი. მესაკუთრთა შემოსავალი გამოირიცხა ამ გაანგარიშებიდან, რადგანაც ის წარმოადგენს შრომითი შემოსავლისა და კაპიტალზე შემოსავლის კომბინაციას).

⁴ მათმატიკური შვინშენა იმისათვის, რომ შევაბოწოთ ეს გამოსახულება, ჩავსვათ Y წარმოებითი ფუნქციის გამოსახულების მაგივრად ადრე მიღებულ ფორმულაში ზღვრული პროდუქტისათვის.

3-3. მოთხოვნა საკონელზე და მომსახურებაზე

ახლა ჩვენ ვიცით, თუ რა განსაზღვრავს წარმოების დონეს და წარმოებიდან შემოსავალი თუ როგორ ნაწილდება მომუშაებებსა და კაპიტალს მესაქტრებს შორის. განვავრცოთ ჩვენი მოგზაურობა წრებრუნვის დიაგრამაზე (ნახ. 3-1) და განვიხილოთ, თუ როგორ გამოიყენება წარმოებული პროდუქცია.

მე-2 თავში ჩვენ განვიხილეთ მშპ-ს ოთხი კომპონენტი:

- მოხმარება (C)
- ინვესტიციები (I)
- სახელმწიფო შესყიდვები (G)
- წმინდა ექსპორტი (NX).

წრებრუნვის დიაგრამაზე წარმოდგენილია მხოლოდ სამი კომპონენტი. მოცემულ ეტაპზე ანალიზის გასამარტივებლად დავუშვათ, რომ განვიხილება ჩაკეტილი ეკონომიკა – ქვეყანა, რომელიც არ ვაჭრობს სხვა ქვეყნებთან. ამგვარად, მისი წმინდა ექსპორტი ყოველთვის ნულის ტოლია. ღია ეკონომიკის მარკოკონომიკური თეორია განხილული იქნება მე-7 თავში.

დახურულ ეკონომიკაში არსებობს მასში წარმოებული პროდუქტის გამოყენების სამი მიმართულება. მშპ-ს ეს სამი კომპონენტი წარმოდგენილია ეროვნული ანგარიშების იგივეობაში:

$$Y=C+I+G$$

პროდუქციის ნაწილი, რომელიც წარმოებულია ეკონომიკაში, ჰიზმარება საოჯახო მეურნეობების მიერ; ნაწილი გამოიყენება ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ საინვესტიციოდ; და ბოლოს, ნაწილი შეისყიდება სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის. ენახოთ, თუ როგორ ნაწილდება მშპ ამ სამ მონაწილეს შორის.

მომხმარებელი

ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი მოიხმარება მიმდინარე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. როდესაც მივრთმევთ საკვებს, ვატარებთ სამოსს ან დავდივარ კინო, ჩვენ მოვიხმარებთ წარმოებული პროდუქციის ნაწილს. მოხმარებას ყველა ფორმა შეადგენს მშპ-ს ორ მესამედს, რაც მოხმარებაზე გადაწყვეტილების მიღებას ეკონომიკაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად აქცევს. მე-15 თავში ჩვენ ამ გადაწყვეტილებას უფრო დეტალურად განვიხილავთ, ამ თავში კი შეუყრდნობით მომხმარებელთა ქცევის ყველაზე მარტივ ვარიანტზე.

საოჯახო მეურნეობები ღებულობენ შემოსავალს შრომისა და კაპიტალის ფლობისაგან, უხიან გადასახადებს სახელმწიფოს, შემდგომ კი ღებულობენ ადაწყვეტილებას გადასახადების გადახდის შემდეგ თავიანთი შემოსავლის რა ნაწილი გამოიყენონ: მოხმარებაზე და რა ნაწილი – დასოვავაზე. როგორც 3-2 ნაწილში აღენიშნეთ, შემოსავალი, რომელიც მიღებულია საოჯახო მეურნეობების მიერ, ტოლია ეკონომიკის მიერ წარმოებული Y პროდუქტისა. შემდგომ, სახელმწიფო საოჯახო მეურნეობებს ბეგრავს T მოცულობის გადასახადებით. მოხუდავად იმისა, რომ გადასახადები, რომლებიც ამოღებულია სახელმწიფოს მიერ, სხვადასხვა სხისაა (საშემოსავლო გადასახადი, რომლებიც გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციისა და ა.შ.), სიმარტივესათვის ყველა გადასახადს განვიხილავთ ერთობლიობაში. შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ (Y-T) განვსაზღვროთ, როგორც *განკარგავდი შემოსავალი* ადამიანები ანაწილებენ თავიანთი განკარგავდი შემოსავალს მოხმარებაზე და დასოვავაზე.

დავუშვათ, რომ მოხმარების მოცულობა პირდაპირაა დამოკიდებული განკარგავდი შემოსავლის დონეზე. რაც უფრო მაღალია განკარგავდი შემოსავალი, მით უფრო მაღალია მოხმარების მოცულობა. ამგვარად,


$$C=C(Y-T)$$

ეს ტოლობა ამტკიცებს, რომ მოხმარება არის განკარგავდი შემოსავლის ფუნქცია. მოხმარების მოცულობასა და განკარგავდი შემოსავალს შორის დამოკიდებულებას ეწოდება *მომხმარების ფუნქცია*.

მომხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPC) – ეს არის სიდიდე, რომლის ოდენობითაც იცვლება მოხმარების მოცულობა განკარგავდი შემოსავლის ერთი ლარიტ ზრდის შემთხვევაში. ჩვეულებრივ, MPC ღებულობს მნიშვნელობებს 0-დან 1-მდე ინტერვალში: შემოსავლის ერთი დამატებითი ლარი ზრდის მოხმარების მოცულობას, მაგრამ იმ სდიდით, რომელიც ნაკლებია ერთ ლარზე. ამიტომ, თუკი საოჯახო მეურნეობა ღებულობს დამატებითი ლარის შემოსავალს, მისი წილი მიემართება დასოვავაზე. მაგალითად, თუკი MPC ტოლია 1/3-სა, ეს იმას ნიშნავს, რომ საო

ჯახო მეურნეობა ხარჯავს განკარგავდი შემოსავლის ყოველი დამატებითი ლარიდან 70 თეთრს სა-
 მომხმარებლო საქონელზე და მომსახურებაზე და ზოგჯერ 30 თეთრს.

ნახ. 3-6-ზე ნაჩვენებია მოხმარების ფუნქცია. გრაფიკის დახრილობის კუთხე გვიჩვენებს იმას,
 თუ რამდენად იზრდება მოხმარების მოცულობა, როდესაც განკარგავდი შემოსავალი იზრდება 1
 ლარით, ე.ი. მოხმარების ფუნქციის დახრილობის კუთხე არის MPC.




ნახ. 3-6 მოხმარების ფუნქცია მოხმარების
 ფუნქცია მოხმარების მოცულობას - C-ს
 უკარგავს განკარგავდი შემოსავალს - Y-T-ს
 მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება
 MPC - არის სიდიდე, რომლის ოდენობითაც
 იზრდება მოხმარების მოცულობა, როდესაც
 შემოსავალი იზრდება 1 ლარით.


მაგალითი 3-2

მოხმარების ფუნქცია აშშ-ს მონაცემების მიხედვით

ამერიკის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საკმაოდ მარტივად შეიძლება აიგოს მოხმარების
 ფუნქცია. ნახ. 3-7-ზე და 3-7-ზე გამოყენებულია წლიური მონაცემები ეროვნული შემოსავლების ანგარიშების
 სისტემიდან მოხმარებაზე და მოსახლეობის ერთ სულზე განკარგავდი შემოსავალზე, რომლებიც წარმოვიდ-
 გენს მოხმარების ფუნქციას ორი სხვადასხვა ხუროთ. ნახ. 3-7 - დიაგრამაა, რომელზეც წერტილები წარ-
 მოადგენს შემოსავლებისა და მოხმარების დონეთა წლიურ მოცულობებს და მუთითობს მდგრად კავშირზე ამ
 ორ ცვლადს შორის. შემოსავლის ზრდის კვალობაზე იზრდება მოხმარებაც. ნახ. 3-7-ზე წარმოდგენილია დია-
 გრამა, რომელიც ასახავს წლიდან წლამდე ამ ორი ცვლადის ცვლილებას, მასში ნაჩვენებია მათ შორის ურ-
 თიერთკავშირი მოკლევადიან პერიოდში. იმ წლებში, როდესაც შემოსავლები მნიშვნელოვნად იზრდება, მოხ-
 მარების მოცულობაც აგრეთვე იზრდება მეტი სიდიდით; ხოლო იმ წლებში, როდესაც შემოსავალი უცვლელია
 ან მცირდება, მოხმარების მოცულობაც უცვლელი რჩება ან მცირდება. როგორც არ უნდა შევხვდეთ მონაცე-
 მებს, ჩვენ ეხებათ მკიდრო ურთიერთკავშირს შემოსავლებსა და მოხმარების მოცულობას შორის - ეს არის
 ურთიერთკავშირი, რომელიც გამოიხატება მოხმარების ფუნქციით.



ნახ. 3-7. მოხმარების ფუნქცია აშშ-ს
 მონაცემების საფუძველზე განაწი-
 ლების ეს ორი გრაფიკი გვიჩვენებს
 ურთიერთკავშირს მოხმარების მო-
 ცულობას C და განკარგავდი შემო-
 სავალს Y-T-ს შორის 1950-დან 1989
 წლამდე წლიური მონაცემების სა-
 ფუძველზე. (ორივე ცვლადი გამოხ-
 ატულია დოლარებში 1982 წლის ფა-
 სების დონით).



ინვესტიციები

ფირმებიც და საოჯახო მეურნეობებიც ყიდულობენ საინვესტიციო საქონელს. ფირმები ყიდულობენ საინვესტიციო საქონელს, რათა გაზარდონ კაპიტალის მარაგი და ჩაანაცვლონ არსებული კაპიტალი მწყობრიდან გასვლის კვალობაზე. საოჯახო მეურნეობები ყიდულობენ ახალ სახლებს, რაც აგრეთვე ინვესტიციების ნაწილია.

საინვესტიციო საქონლის რაოდენობა, რომელზედაც არსებობს მოთხოვნა, დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე. იმისათვის, რომ საინვესტიციო პროექტი მომგებიანი იყოს, აუცილებელია შემოსავალმა მასზე გაწეულ დანახარჯებს გადააჭარბოს. რამდენადაც საპროცენტო განაკვეთი ზომავს საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ღირებულებას, საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს იმას, რომ მცირდება მომგებიანი საინვესტიციო პროექტების რაოდენობა და ამგვარად, მცირდება მოთხოვნა საინვესტიციო საქონელზე.

მაგალითად, დავუშვათ, რომ ფირმა შეიქმნას, უღირს თუ არა მას ააშენოს 1 მლნ ლარის ღირებულების ქარხანა, რომელიც მოუტანს მას 80 ათას ლარს ანუ 8%-ს წლიურად. ფირმა შეადარებს ამ შემოსავალს სესხის 1 მლნ ლარის ღირებულებას თუკი საპროცენტო განაკვეთი 8%-ზე დაბალია, ფირმა ისეხებას ფულს ფინანსურ ბაზრებზე და განახორციელებს მოცემულ საინვესტიციო პროექტს. თუკი საპროცენტო განაკვეთი 8%-ზე მეტია, ფირმა არ ისარგებლებს მოცემული შესაძლებლობით და არ ააშენებს ქარხანას.

აღმაინა, რომელსაც სურს ახალი სახლის ყიდვა, ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას. რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მაღალი იქნება სესხები უძრავი ქონების დაგირავებით. იპოთეკური სესხი 100 ათასი ლარის ოდენობით ღირს 8 ათასი ლარი წელიწადში, თუკი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8%-ს და 10 ათას ლარს წელიწადში, თუკი საპროცენტო განაკვეთი 10%-ია. საპროცენტო განაკვეთის ზრდასთან ერთად იზრდება სახლების ყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები და შედეგად ახალ სახლებზე მოთხოვნა მცირდება.

ეს ნომინალური ერთმანეთისაგან ანსხეავენ *პროცენტის ნომინალურ* და *რეალურ განაკვეთებს*. ეს განსხვავებები წარმოიშობა ინფლაციის ან დეფლაციის, ე.ი. ფასების არასტაბილურობის პერიოდებში. ჩვეულებისამებრ, „საპროცენტო განაკვეთის“ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ნომინალური საპროცენტო განაკვეთი: ეს არის საპროცენტო განაკვეთი, რომლებსაც იხდიან ინვესტორები ფულის სასესხებლად. რეალური საპროცენტო განაკვეთი - ეს ნომინალური საპროცენტო განაკვეთია, რომელიც კორექტირებულია ინფლაციის ზემოქმედების შედეგად.


იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რითი განსხვავდება ნომინალური და რეალური საპროცენტო განაკვეთი, განვიხილოთ ფირმა, რომელმაც გადაწყვიტა ქარხნის აშენება და ბანკში სესხულობს ფულს 8%-იანი განაკვეთით. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, ამგვარად, 8%-ია - ე.ი. ბანკის მიმართ ვალის სიდიდე წელიწადში იზრდება 8%-ით. მაგრამ თუკი ფასები იზრდება, ვთქვათ, 5%-ით წელიწადში, ფული, რომლითაც ფირმა ვალს დაუბრუნებს ბანკს, ყოველწლიურად კარგავს თავისი ღირებულების 5%-ს. ყოველწლიურად, ლარში გამოხატული ფირმის ვალი 8%-ით მეტი ხდება, მა-

გრამ ეს ღარი ღირს 5%-ით ნაკლები. პროცენტის რეალური განაკვეთი, ამგვარად, 3%-ის - ნომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ინფლაციის ტემპს შორის სხვაობის ტოლია.

შერ თევში ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ნომინალურ და რეალურ საპროცენტო განაკვეთებს შორის ურთიერთკავშირს. აქ კი საკმარისია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთით იზომება სესხის რეალური დანახარჯები. ამგვარად, ინვესტიციები დამოკიდებულია რეალურ და არა ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე.

კავშირი რეალურ საპროცენტო განაკვეთსა r და ინვესტიციებს I შორის შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად: $I=f(r)$. ეს ტოლობა ამტკიცებს, რომ ინვესტიციები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე. ნახ. 3-8-ზე ნაჩვენებია საინვესტიციო ფუნქცია. ის კლებადია, რადგანაც საპროცენტო განაკვეთის ზრდის კვალობაზე ინვესტიციებზე მოთხოვნის სიდიდე მცირდება.

ნახ 3-8 საინვესტიციო ფუნქცია საინვესტიციო ფუნქცია აკავშირებს ინვესტიციების სასურველ მოცულობას I რეალური საპროცენტო განაკვეთის სიდიდესთან r . ინვესტიციები დამოკიდებულია რეალურ საპროცენტო განაკვეთზე, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს სესხად მიღების ღირებულებას. საინვესტიციო ფუნქციის გრაფიკი დახრილია - რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო ნაკლები საინვესტიციო პროექტია მომგებიანი.



რა არის ინვესტიციები?

ტერმინი „ინვესტიციები“ ზოგჯერ აბნევს ახალბედებს მაკროეკონომიკაში. ეს დაბნევა წარმოიშობა იმის გამო, რომ ის, რაც ცალკეული ადამიანისათვის ინვესტიციებად ითვლება, შეიძლება ასეთი არ იყოს მთლიანად ეკონომიკისათვის.

წარმოიდგინეთ შემდეგი ორი მოვლენა:

- გიორგი ყიდულობს ასწლოვან ისტორიული ღირებულების მქონე სახლს.
- დავითი იშენებს სოფლიად ახალ თანამედროვე სახლს.

როგორია საერთო ინვესტიციები ამ მოქმედებათა შედეგად? ერთი სახლი, ორი სახლი თუ არცერთი?

მაკროეკონომისტო, რომელიც აწუდება მსგაეს სიტუაციას, ინვესტიციებად განიხილავს მხოლოდ დავითის სახლს. გიორგის გარიგებას არ შეუქმნია ახალი საცხოვრებელი ეკონომიკისათვის; მან მხოლოდ გადაანაწილა უკვე არსებული. გიორგის მიერ განხორციელებული ყიდვა ინვესტიციებს წარმოადგენს მისთვის, ხოლო იმ ადამიანისათვის, რომელაც გაყიდა ეს სახლი, აღნიშნული გარიგება წარმოადგენს უკუ პროცესს. დაეთმა კი, პირიქით, დამატა ახალი საცხოვრებელი ეკონომიკას; შესაბამისად, მისი ახალი სახლი ითვლება ინვესტიციად.

საერთო წესი არის შემდეგი: ყიდვები, რომლებიც გადაანაწილებენ არსებულ აქტივებს სხვადასხვა ადამიანებს შორის, არ წარმოადგენს ინვესტიციებს ეკონომიკისათვის. ინვესტიციები იმ გაგებით, რა გაგებითაც გამოიყენება ეს ტერმინი მაკროეკონომისტების მიერ, გულისხმობს ახალი კაპიტალის შექმნას.

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის მესამე კომპონენტს. ცენტრალურ მთავრობა ახორციელებს სამხედრო იარაღის, რაკეტების და სახელმწიფო მოხელეების მომსახურების შესყიდვას. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ყიდულობენ წიგნებს ბიბლიოთეკისათვის, აშენებენ სკოლებს და ქროპებენ მასწავლებლებს ყველა დონის მთავრობა აშენებს გზებს და ასრულებს სხვადასხვა საზოგადოებრივ სამუშაოს. ყველა ეს ოპერაცია შეადგენს საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებს, რომელზეც, მაგალითად, აშშ-ში იხარჯება შშპ-ს დაახლოებით 20%.

ეს შესყიდვები წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების ერთ სახეს. სხვა ტიპი მოიცავს ტრანსფერულ გადასახდლებებს საოჯახო მეურნეობების მიმართ, ისეთებს, როგორცაა გადასახდლებები სოციალური უზრუნველყოფის მიზნით დარიბებისათვის და სოციალური დახდლების გადასახდლებებს მოხუცებისათვის. მაგრამ სახელმწიფო შესყიდვებისაგან განსხვავებით ტრანსფერ-

ტული გადასახდელები არ წარმოადგენს ეკონომიკაში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ნაწილს. ამიტომ ის არ არის ჩართული G ცვლადში.

ტრანსფერტული გადასახდელები მიუხედავად ამისა ირიბად ახდენს გავლენას მოთხოვნაზე საქონელსა და მომსახურებაზე, ის წარმოადგენს გადასახადების საპირისპირო მოვლენას: ტრანსფერტები ზრდის საოჯახო მეურნეობების განკარგვად შემოსავალს ისევე, როგორც გადასახადები ამცირებს მას. ამიტომ, ტრანსფერტული გადასახდელების ზრდა, რომელიც ფინანსდება გადასახადების ზრდის ხარჯზე, არ ცვლის ერთობლივ განკარგვად შემოსავალს. ახლა შევიძინოთ ახლგაბურად განესაზღვროთ T , როგორც გადასახადებს მიწის ტრანსფერტული გადასახდელები. განკარგვადი შემოსავალი $Y-T$ მოიცავს როგორც გადასახადების ნეგატიურ ზემოქმედებას, ისევე ტრანსფერტული გადასახდელების პოზიტიურ ზემოქმედებას.

თუკი სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა და გადასახადების სიდიდეც გამოკლებული ტრანსფერტული გადასახდელების ოდენობა ერთმანეთის ტოლია, მაშინ $G=T$ და მთავრობას გააჩნია დაბალანსებული ბიუჯეტი. თუკი G აჭარბებს T -ს, მაშინ მთავრობას ბიუჯეტი დაჰყავს დეფიციტამდე, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე, ე.ი. ფინანსურ ბაზრებზე სესხის მიღების გზით. თუკი G ნაკლებია T -ზე, მთავრობას ბიუჯეტი დაჰყავს დადებით საღირებვად, რომლის გამოყენებაც მას შეუძლია საკუთარი დაუფარავი ხესხების ასანაზღაურებლად და თავისი ვალის შესამცივებლად.

ჩვენ არ ეცდილობთ აეხსნათ პოლიტიკური პროცესი, რომელსაც მიეყვართ კონკრეტულ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკამდე – ე.ი. იმ პოლიტიკამდე, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვებისა და გადასახადების დონეს. ამის მაგივრად, ჩვენ სახელმწიფო შესყიდვების მოცულობასა და საგადასახადო შემოსულობებს ვდებულობთ ეგზოგენურ ცვლადებად. იმისათვის, რათა უეჭვნით რომ ეს ცვლადები განსაზღვრულია მოდელის ფარგლებს გარეთ, ისინი ჩაეწერათ შემდგენიარად:

$$G = \bar{G}, \\ T = \bar{T}.$$

მიუხედავად ამისა, ჩვენი სურვილია გამოვიკვლიოთ საბიუჯეტო და საგადასახადო გადაწყვეტილებების ზემოქმედება ცვლადებზე, რომლებიც განისაზღვრება მოდელის ფარგლებში, ანუ ენდოგენური ცვლადები. მასში ენდოგენური ცვლადების მოხმარების მოცულობა, ინვესტიციების მოცულობა და საპროცენტო განაკვეთი.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ჩვენი მოდელის ყველა ცვლადი, აუცილებელია მათი ამოხსნა. ყოველივე ეს შემდგომი ნაწილის განხილვის საგანია.

3-4. წონასწორობა და საპროცენტო განაკვეთი

ჩვენ გავიარეთ სრული წრე წრებურენის დიაგრამაში (ნახ. 3-1), დავიწყეთ რა საქონლისა და მომსახურების მიწოდების განხილვით და დავასრულეთ მოთხოვნის ანალიზით.

რატომ უნდა ვიქონიოთ იმის რწმენა, რომ ყველა ეს ნაკადი დაბალანსებულია? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა იძლევა იმის გარანტიას, რომ მოხმარების, ინვესტიციების და სახელმწიფო შესყიდვების ჯამი და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა ტოლია? გაჩვენოთ, რომ მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორებაში ვადაწყვეტ როდს თამაშობს საპროცენტო განაკვეთი.

საქონლისა და მომსახურების ბაზარზე წონასწორობა: ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მიწოდება და მათზე მოთხოვნა

3-3 ნაწილში წარმოდგენილი საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნის ანალიზის რეკომენდაციები შემდეგი იგივეობა:

$$Y = C + I + G, \\ C = C(Y - T), \\ I = I(r), \\ G = \bar{G}, \\ T = \bar{T}.$$

ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნა ყალიბდება მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო შესყიდვების სახით. მოხმარება დამოკიდებულია განკარგეად შემოსავალზე, ინვესტიციები დამოკიდებულია რეალურ საპროცენტო განაკვეთზე, ხოლო სახელმწიფო შესყიდვები და გადასახადები წარმოადგენს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენურ ცვლადებს.

საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ანალიზი შევყავსოთ მიწოდების განხილვით. 3-1 ნაწილიდან ვიცი, რომ წარმოების ფაქტორები და საწარმოო ფუნქცია განსაზღვრავენ პროდუქციის წარმოების მოცულობას:

$$Y = F(\bar{K}, \bar{L}) = \bar{Y}.$$

ამჟამად გაეაერთიანოთ ეს განტოლება, რომელიც იღწერს წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნასა და მიწოდებას. თუკი ეროვნული ანგარიშების იგივეობაში ჩავსვამთ მოხმარებისა და საინვესტიციო ფუნქციების გამოსახულებებს, მივიღებთ

$$Y = C(Y - T) + I(r) + G.$$

რამდენადაც C და T ცვლადების მნიშვნელობები მოიცემა ეკონომიკური პოლიტიკით, ხოლო წარმოების დონე Y მუდმივია წარმოების ფაქტორების მოცემული მარაგებისა და უცვლელი ტექნოლოგიის შემთხვევაში, შეგვიძლია ჩავეწერთ:

$$\bar{Y} = C(\bar{Y} - \bar{T}) + I(r) + \bar{G}.$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ პროდუქციის მიწოდება ტოლია მასზე არსებული მოთხოვნის, ხოლო ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, წარმოადგენს მოხმარების, ინვესტიციების და სახელმწიფო შესყიდვების ჯამს.

ახლა ნათელი ხდება, თუ რატომ თამაშობს საპროცენტო განაკვეთი r საკვანძო როლს: ის უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რათა მოგვეცეს საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობის გარანტია რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია ინვესტიციების მოცულობა და შესაბამისად, დაბალია საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა $- C+I+G$. თუკი საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალია, ინვესტიციები ძალიან დაბალი იქნება და საქონელზე მოთხოვნა მიწოდებაზე ნაკლები აღმოჩნდება. თუკი საპროცენტო განაკვეთი ძალიან დაბალია, ინვესტიციები ძალიან მაღალი იქნება და მოთხოვნა გადააჭარბებს მიწოდებას. პროცენტის წონასწორული განაკვეთის შემთხვევაში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა მიწოდების ტოლია.

წონასწორობა ფინანსურ ბაზრებზე: სასესხო საშუალებებზე მოთხოვნა და მიწოდება

რამდენადაც საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს სესხების ფასს და ერთდროულად სესხებზე შემოსავალს ფინანსურ ბაზრებზე, საპროცენტო განაკვეთის როლს უკეთ გავიგებთ, თუ განვიხილავთ ფინანსურ ბაზრებს ამ მიზნით ეროვნული ანგარიშების იგივეობა გადავწეროთ შემდეგნაირად

$$Y - C - G = I.$$

გამოსახულება $- Y - C - G$ წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის ნაწილს, რომელიც რჩება მას შემდეგ, როგორც კი დაქაოფილდება მომხმარებლებისა და მთავრობის მოთხოვნა; მას ეწოდება *ეროვნული დანაზოგი* ანუ უბრალოდ *დანაზოგი (S)*. ასეთი ფორმით ეროვნული ანგარიშების ძირითადი იგივეობა ამტკიცებს, რომ დანაზოგი ინვესტიციების ტოლია.

ჩვენ შეგვიძლია ეროვნული დანაზოგი დავყოთ ორ ნაწილად, რათა განვაცალკევოთ საოჯახო მეურნეობების დანაზოგი სახელმწიფოს დანაზოგისაგან:

$$(Y - T - C) + (T - G) = I.$$

გამოსახულება $Y - T - C$ არის განკარგეად შემოსავალს გამოკლებული მოხმარება ანუ *კერძო დანაზოგი*. გამოსახულება $T - G$ არის სახელმწიფო შემოსულობების გამოკლებული სახელმწიფო დანახარჯები ანუ *სახელმწიფო დანაზოგი* (თუკი დანახარჯები აჭარბებს შემოსულობებს, მაშინ პიუჯეტი დეფიციტურია და სახელმწიფო დანაზოგი - უარყოფითი). ეროვნული დანაზოგა - ეს არის კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი. ნახ. 3-1-ზე მოცემული წრებურუნის დიაგრამა იძლევა ამ

ტოლობის ინტერპრეტაცია: ფულადი საშუალებების ნაკადებმა, რომლებიც მიედინებიან ფინანსურ ბაზრებზე და გამოედინებიან ფინანსური ბაზრებიდან, უნდა გააწონასწორონ ერთმანეთი.

მისათვის, რომ გაეითხოვოს საპროცენტო განაკვეთის როლი ფინანსური ბაზრების გაწონასწორებაში, მოხმარებისა და საინვესტიციო ფუნქციებისათვის არსებული გამოსახულებები ჩავსვათ ყოფილი ანგარიშების ძირითად იდეებომაში:

$$Y - C(Y - T) - G = I(r).$$


შემდგომ G და T დაეაფისტიროთ მოცემული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, ხოლო Y დაეაფისტიროთ წარმოების არსებული ფაქტორებითა და საწარმოო ფუნქციით:

$$\bar{Y} - C(\bar{Y} - \bar{T}) - \bar{G} = I(r).$$

$$\bar{S} = I(r).$$

ტოლობის მარცხენა ნაწილი გვიჩვენებს, რომ ეროვნული დანაზოგი დამოკიდებულია Y შემოსავალზე და ეკონომიკური პოლიტიკის ცვლადებზე - G და T -ზე. უკლებლივ Y, G და T -სათვის ეროვნული დანაზოგი S ავრთვე უცვლელია. ტოლობის მარჯვენა ნაწილი გვიჩვენებს, რომ ინვესტიციები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე.

ნახ.3-ა-ზე წარმოდგენილია დანაზოგისა და ინვესტიციების გრაფიკი, როგორც საპროცენტო განაკვეთის ფუნქცია. დანაზოგის ფუნქცია ვერტიკალური ხაზია, რადგანაც მოცემულ მოდელში დანაზოგი არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე (მოგვიანებით ჩვენ უარს ვიტყვით ამ გრაფიკზე). საინვესტიციო ფუნქციის გრაფიკი დახრილია დაბლა: რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო ნაკლები საინვესტიციო პროექტია მომგებიანი.



ნახ. 3-ა. დანაზოგი, ინვესტიციები, საპროცენტო განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთი იცვლება ისეთნაირად, რომ უზრუნველყოს დანაზოგისა და დაგეგმილი ინვესტიციების ტოლობა. ვერტიკალური ხაზი წარმოადგენს დანაზოგს - სასესხო საშუალებების მიწოდებას. კლებადი მრუდი არის სასესხო საშუალებებზე მოთხოვნა. ეს ორი მრუდი იკვეთება წერტილში, რომელიც შეესაბამება წონასწორულ საპროცენტო განაკვეთს.

ნახ. 3-ა-ზე თვალის ერთი გადავლებით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს არის კონკრეტულ საკონკრეტო მოთხოვნისა და მიწოდების დიაგრამა. ფაქტორად დანაზოგი და ინვესტიციები შეიძლება განვმარტოთ მოთხოვნისა და მიწოდების პოზიციიდან. ჩვენს შემთხვევაში „საკონხელს“ წარმოადგენს სასესხო საშუალებები, ხოლო მათ ფასს - საპროცენტო განაკვეთი. დანაზოგი არის სასესხო საშუალებების მიწოდება - ადამიანები თავიანთ დანაზოგებს სესხად აძლევენ ინვესტორებს ან ინახავენ ბანკებში საკუთარ ანგარიშებზე, რომლებიც, თავის მხრივ, გასცემენ სესხებს. ინვესტიციები წარმოადგენს სასესხო საშუალებებზე მოთხოვნას. ინვესტორები სესხებს დეპოზიტობენ მოსახლეობისაგან უშუალოდ, ობლიგაციების გაყიდვით, ან მიმართავენ შუამავლის მომსახურებას, როცა ბანკებისგან დეპოზიტობენ ფულს. რამდენადაც ინვესტიციები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე, საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნაც დამოკიდებული ხდება საპროცენტო განაკვეთზე.

საპროცენტო განაკვეთი იცვლება მანამ, ვიდრე ინვესტიციები არ გაუტოლდება დანაზოგის მიწოდებას. თუკი საპროცენტო განაკვეთი ძალიან დაბალია, ინვესტიციები წარადგენენ უფრო მეტ მოთხოვნას სასესხო რესურსებზე იმასთან შედარებით, რასაც ადამიანები ზოგავენ. სხვა სიტყვებით რომ ეთქვას, საინვესტიციო მოთხოვნა ამ შემთხვევაში აჭარბებს დანაზოგების მიწოდებას. როდესაც ამას აქვს ადგილი, საპროცენტო განაკვეთი იზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი საპრო-

ცენტრ განაკვეთი ძალიან მაღალია, დანაზოგის სიდიდე აჭარბებს ინვესტიციების მოცულობას; რარდნადაც სასესხო საშუალებების მიწოდება შეტია, ვიდრე მათზე მოთხოვნა, საპროცენტო განაკვეთი მცირდება. საპროცენტო განაკვეთის წონასწორული მნიშვნელობა იჩიოფება ამ ორი მრუდის გადაკვეთის წერტილში. წონასწორული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში დანაზოგი ტოლია ინვესტიციებისა და სასესხო საშუალებების მიწოდება ტოლია მასზე არსებულ მოთხოვნისა.

ცელილებები დანაზოგებში: საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგები

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა გავლენას ახდენს ეკონომიკაში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე არსებულ მოთხოვნაზე. ის გავლენას ახდენს აგრეთვე ეროვნულ დანაზოგზეც და შესაბამისად, ინვესტიციებზე და წონასწორულ საპროცენტო განაკვეთზე. ჩვენს მიერ ავტებული მოვლელი გვეხმარება შეაფასოდ სახელმწიფო შესყიდვების და გადასახადების მოცულობაში ცელილებების ეკონომიკაზე ზემოქმედება.

სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდა. თავდაპირველად განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ΔG სიდიდის ზრდის შედეგები. ამას მყისიერად მოჰყვება საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა ΔC სიდიდით. მაგრამ, რადგანაც წარმოების საერთო მოცულობა ფიქსირებულია წარმოების მოცემული ფაქტორების შემთხვევაში, მაშინ სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოთხოვნიე სხვა ელემენტის შემცირების ხარჯზე. რამდენადაც განკარგავდი შემოსავალი Y-T უცვლელია, მოხმარების მოცულობა C აგრეთვე უცვლელია. სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდა ასეთ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ინვესტიციების მოცულობის შესაბამისი შემცირების ხარჯზე.


იმისათვის, რომ შემცირდეს ინვესტიციების მოცულობა, უნდა გაიზარდოს საპროცენტო განაკვეთი. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდა იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას და ინვესტიციების მოცულობის შემცირებას. ამბობენ, რომ ადგილი აქვს ინვესტიციების გამოდევნას სახელმწიფო შესყიდვებით.

იმისათვის, რომ გაეფიქროთ გამოდევნის ეფექტის მოქმედების შექანიზმი, განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდის ზემოქმედება დანაზოგზე და ინვესტიციებზე – ე.ი. საკრედიტო რესურსების მოცულობაზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ინვესტორთათვის. გაიხსენოთ, რომ ეროვნული დანაზოგი – ეს არის

$$\bar{S} = \text{ეკრძო დანაზოგებს} + \text{სახელმწიფო დანაზოგები}$$

$$\bar{S} = (\bar{Y} - \bar{T} - C(\bar{Y} - \bar{T})) + (\bar{T} - \bar{C}) = \bar{Y} - C(\bar{Y} - \bar{T}) - \bar{C}.$$

რამდენადაც G-ს ზრდა არ არის თანდაყოლილი T-ს ზრდით, მთავრობა დამატებით ხარჯებს აფინანსებს სესხების აღებით, ე.ი. სახელმწიფო დანაზოგის შემცირებით. ასეთ სესხებას თავის მხრივ მიეყვაროთ ეროვნული დანაზოგის შემცირებამდე, როგორც ნახ. 3-10-ზეა მოცემული, ეროვნული დანაზოგის შემცირება წარმოადგენილია ინვესტორთათვის ხელმისაწვდომი სასესხო საშუალებების მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილებით. საპროცენტო განაკვეთის საწყისი დონეზე სასესხო საშუალებებზე მოთხოვნა აჭარბებს მის მიწოდებას. წონასწორული საპროცენტო განაკვეთი მაღლდება იმ წერტილამდე, სადაც ინვესტიციის მრუდი იკვეთება დანაზოგის ახალი მრუდით. ამგვარად, სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდა განაპირობებს საპროცენტო განაკვეთის ზრდას.



ნახ. 3-10. დანაზოგის შემცირება. დანაზოგის ნებისმიერი შემცირება, რომელიც შესაძლოა გახდეს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცელილების შედეგი, გადაადგილებს დანაზოგის ეკრტიკალურ მრუდს მარცხნივ. სხვა სიტუაციებით რომ ეთქვას, დანაზოგის შემცირება ნიშნავს საკრედიტო რესურსების მიწოდების შემცირებას. წონასწორობის ახალი წერტილი იმყოფება იქ, სადაც დანაზოგის ახალი მრუდი გადაკვეთავს ინვესტიციის მრუდს. დანაზოგის შემცირება ამცირებს ინვესტიციის მოცულობას და ზრდის საპროცენტო განაკვეთს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებებს, რომლებსაც მოჰყვება დანაზოგის შემცირება, მიეყვაროთ ინვესტიციების გამოდევნასთან.


მაგალითი 3-3

ომები და საპროცენტო განაკვეთები გაერთიანებულ სამეფოში 1730-1920 წლებში.

ომები სერიოზული ტრამეა როგორც მათთვის, რომლებიც იმობენ, ასევე ქვეყნის ეკონომიკისათვის. რამდენადაც მათ ყოველთვის თან დაჰყვება მსხვილი ეკონომიკური რყევები, ომები გვევლინება „ექსპერიმენტის“ სახით, რომლის დახმარებითაც ეკონომისტებს შეუძლიათ შეამოწონ თვითნატი თეორიები. ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ გავიგოთ ეკონომიკაზე, როცა ვაკვირდებით თუ როგვარ რეაგირებენ ომის დროს ენდოგენური ცვლადები ეგზოგენური ცვლადების მნიშვნელობათა მასშტაბურ ცვლილებებზე.

სახელმწიფო შესყიდვების დონე წარმოადგენს ერთ-ერთ ეგზოგენურ ფაქტორს, რომელიც მნიშვნელოვნად იცვლება ომების დროს. ნახ. 3-11-ზე ნაჩვენებია სახმედრო ხარჯების ხვედრითი წილი შშპ-ში დიდ ბრიტანეთში 1730-დან 1919 წლამდე პერიოდში, როდესაც დიდი ბრიტანეთი იყო წამყვანი მსოფლიო სახელმწიფო, როგორც მისაღწევისათვის იყო სახელმწიფო ხარჯები შეკეთრად იზრდებოდა ამ პერიოდში რეაქე ომის დროს.

ეკონომიკის ჩვენი მიდელი წინასწარმეტყველებს იმას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ზრდამ ომების დროს უნდა გამოიწვიოს საქონლებზე და მომსახურებაზე მოთხოვნის გაფართოება და ამით საპროცენტო განაკვეთის ზრდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომების დასაფინანსებლად სესხების ზრდა ამცირებს სესხებისათვის სატრო საშუალებათა მიწოდებას და ზრდის საპროცენტო განაკვეთს.



ნახ. 3-11. სახმედრო ხარჯები და საპროცენტო განაკვეთი დიდ ბრიტანეთში. ამ გრაფიკზე წარმოდგენილია სახმედრო ხარჯები, როგორც შშპ-ს წილი დიდ ბრიტანეთში 1730 წლიდან 1919 წლამდე. არ არის გასაყიერი, რომ სახმედრო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა რეაქე ომის შემთხვევაში, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდში. ეს სურათი გვიჩვენებს ატრთვე, რომ საპროცენტო განაკვეთს (მოცემულ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის სახელმწიფო ობლიგაციების მიხედვით, რომელთაც ეწოდებათ კონსოლდები) აქვთ ზრდის ტენდენცია სახმედრო ხარჯების ზრდის შემთხვევაში.

ამ დასკვნის გადასამოწმებლად ნახ. 3-11-ზე ნაჩვენებია საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიანი სახელმწიფო ობლიგაციების მიხედვით, რომელთაც დიდ ბრიტანეთში კონსოლდები ეწოდება. აშკარაა დადებითი კავშირი სახმედრო შესყიდვებსა და საპროცენტო განაკვეთებს შორის. ამგვარად, ეს მონაცემები დადასტურებენ მოდელის წინასწარმეტყველებას: საპროცენტო განაკვეთებს ნამდვილად ახასიათებთ ზრდისადმი ტენდენცია სახელმწიფო შესყიდვების ზრდასთან ერთად.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც არსებობს ომების პერიოდის გამოყენების თვალსაზრისით ამ თეორიის შესამოწმებლად არის ის, რომ მთავრობულად ეკონომიკაში შეიძლება აღდგინდეს ზრდის მონაცემები საბარათო სისტემა ზღუდავდა მრავალი საქონლის მოხმარებას. გარდა ამისა, ომში დამარცხების განცდის რისკი და მთავრობის მიერ თავისი ვალდებულებების მიხედვით ვალის შესაძლო გადაუხდელობა ზრდისაკენ უნებებდა სახელმწიფო ვალდებულებებზე არსებულ პროცენტო განაკვეთებს. ეკონომიკური მოდელები გვიჩვენებს

წარმეტყველებენ რა მოხდება, თუ ერთი ვეზოგენური ცვლადი შეიცვლება, ხოლო სხვა დანარჩენი ვეზოგენური ცვლადების მნიშვნელობები დარჩება ადრე არსებულ დონეზე. თუკა, რეალურ სამყაროში მრავალი ვეზოგენური ცვლადი შეიძლება შეიცვალოს ერთდროულად. კონტროლირებადი დაზოგადებული ექსპერიმენტების სახან განსხვავებით ბუნებრივი ექსპერიმენტების მართვით ინტერპრეტაცია შეუძლებელია, რომელსაც იძლევათ ევრონომიან ეკონომისტიკა.

გადასახადების შემცირება. ახლა განვიხილოთ გადასახადების შემცირება ΔT სიდიდით. ამ შემცირების უშუალო ზემოქმედება გამოიხატება განკარგავადი შემოსავლის ზრდაში და ამით, მოხმარების გადიდებაში. განკარგავადი შემოსავალი იზრდება ΔT სიდიდით, ხოლო მოხმარების მოცულობა კი - ΔT გამრავლებული მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებაზე. რაც უფრო მაღალია MPC, მით უფრო ძლიერია გადასახადების შემცირების ზემოქმედება მოხმარებაზე.

რამდენადაც წარმოებული პროდუქციის მოცულობა ფიქსირებულია წარმოების ფაქტორების არსებული მარაგების შემთხვევაში, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების დონე ფიქსირდება მთავრობის მიერ, მოხმარების ზრდა უნდა მოხდეს ინვესტიციების შემცირების ხარჯზე. ინვესტიციები რომ შემცირდეს, უნდა გაიზარდოს საპროცენტო განაკვეთი. მაშასადამე, გადასახადების შემცირება, ზუსტად ისევე, როგორც სახელმწიფო შესყიდვების ზრდა, გამოდევნის ინვესტიციებს და ზრდის საპროცენტო განაკვეთს.

ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე გადასახადების შემცირების ეფექტი გაეანალიზოთ დანაზოგისა და ინვესტიციების განხილვით. გადასახადების შემცირება ადიდება განკარგავად შემოსავალს ΔT სიდიდით, ხოლო მოხმარების მოცულობა იზრდება $MPC \times \Delta T$ ოდენობით. რამდენადაც დანაზოგი ტოლია $Y - C - G$, ის მცირდება იმავე მოცულობით, რა ზომითაც იზრდება მოხმარება. როგორც 3-10 ნახაზე ნაჩვენებია, დანაზოგის შემცირება სახესხი საშუალებების შემოდგომის მრუდს გადაადგილებს მარცხნივ, რაც ადიდება წინასწორულ საპროცენტო განაკვეთს და გამოდევნის ინვესტიციებს.

მაგალითი 3-4

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა 80-იან წლებში

ახლო წარსულის ერთ-ერთი ყველაზე შთაბეჭდილი მაკროეკონომიკური მოვლენა გახდა აშშ-ში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება 1981 წელს. 1980 წელს რონალდ რეიგანი არჩეულ იქნა პრეზიდენტად, რომელიც ამბობდა რომ კონსერვატიული პროგრამაში დაიპირდა სამხედრო ხარჯების ზრდას და გადასახადების შემცირებას. ასეთი კომბინაციის შედეგად წარმოიშვა ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რაც, რა თქმა უნდა, არ არის განსაკუთრებული. 70-იან წლებში ფედერალური ბიუჯეტი საშუალოდ დაახლოებით დაბალანსებული იყო, ე.ი. შემოსავლები თითქმის ტოლი იყო ხარჯებისა. 80-იან წლებში ბიუჯეტის დეფიციტმა საშუალოდ მშპ-ს თითქმის 4%-ს მიაღწია, ხოლო ფედერალური მთავრობა ფულს ხესხულობდა მშვიდობიანი დროისათვის უპრეცედენტოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით.

ჩვენს ეკონომიკურ მოვლენათა შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის ასეთმა ცვლილებამ გამოიწვია უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი და ეროვნული დანაზოგის შემცირება. რეალური საპროცენტო განაკვეთი (რომელიც იზომება, როგორც სხვაობა სახელმწიფო ობლიგაციებზე შემოსავლებსა და ინფლაციის ტემპებს შორის) გაიზარდა 70-იან წლებში არსებული 0.4%-დან 5.7%-მდე 80-იან წლებისათვის. ერთობლივი ეროვნული დანაზოგი, რომელიც წარმოადგენდა, როგორც მშპ-ს წილი, შემცირდა 70-იან წლებში არსებული 16.7%-დან 14.1%-მდე 80-იანი წლებისათვის. ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებების 80-იან წლებში ჰქონდა სწორედ იგივე ეფექტი, რასაც გვიჩინასწარმეტყველებს ჩვენი მართვით ეკონომიკური მოვლეა.

საინვესტიციო მოთხოვნის ცვლილება


აქამდე ჩვენ განვიხილავდით იმას, თუ როგორ შეუძლია საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შეცვლას ეროვნული დანაზოგი. ჩვენი მოდელი შეგვიძლია აგრეთვე გამოვიყენოთ ბაზრის შესასწავლად მთრე მართვით - ინვესტიციებზე მოთხოვნის მხრიდან. ამ ნაწილში განვიხილავთ, თუ რატომ იცვლება ინვესტიციებზე მოთხოვნა და როგორია ასეთი ცვლილების შედეგები.

საინვესტიციო მოთხოვნის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ტექნოლოგიური სიახლეებია. მაგალითად დაეუშვათ, რომ ვიღაცამ გამოიგონა ახალი ტექნოლოგია, რკინიგზის ან კომპიუტერის მსგავსი. მანამდე, ვიდრე ვინმე არ საოჯახო მეურნეობა შექმნის გამოიყენოს ეს სიახლე, მათ უნდა იყიდონ საინვესტიციო საუნდელი. რკინიგზის გამოგონება არაფერი ღირდა მანამ, ვიდრე არ იქნა წარმოებული მატარებლები და არ იქნა გაყვანილი რელსები. კომპიუტერის იდეა პირველყოფილ არ გამხდარა მანამ, ვიდრე არ იქნა წარმოებული კომპიუტერები. ამგავრად, ტექნოლოგიური სიახლე იწვევს საინვესტიციო მოთხოვნის ზრდას.

საინვესტიციო მოთხოვნა შეიძლება აგრეთვე შეიცვალოს, თუ სახელმწიფო ასტიმულირებს ან ამხრუჭებს ინვესტიციებს საგადასახლო კანონმდებლობის ბერკეტების გამოყენებით. მაგალითად, დავუშვათ, რომ სახელმწიფო ზრდის ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს და აქედან მიღებულ დამატებით საშუალებებს ახმარს მათ საგადასახლო შედეგათებს, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს ახალ კაპიტალში (ასეთი სიტუაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც მთავრობა გეოაეზონის საინვესტიციო საგადასახლო კრედიტს, რომელიც განიხილება მე-17 თავში). გადასახადებით დაბეჭედის ასეთი ცვლილება საინვესტიციო პროექტების დიდ უმრავლესობას მომგებიანად აქცევს და ტექნოლოგიური სიახლეების მსგავსად, აფართოებს საინვესტიციო საქონლებზე მოთხოვნას.


ნახ. 3-12-ზე ნაჩვენებია საინვესტიციო მოთხოვნის ზრდის შედეგები. საპროცენტო განაკვეთის ნებისმიერი მოცემული დონისათვის საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნა (აგრეთვე სესხებზეც) უფრო მაღალდება - ეს წარმოადგენილია ინვესტიციის გრაფიკის მარჯვნივ გადაადგილებით. ეკონომიკა გადაიხრება წონასწორობის ძველი წერტილიდან - A-დან წონასწორობის ახალ B წერტილში.

უცნაური დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ნახ. 3-12-დან არის ის, რომ წონასწორობის წერტილში ინვესტიციების მოცულობა უცვლელი რჩება. ჩვენი ვარაუდით, დანაზოვის ფიქსირებული დონე განსაზღვრავს ინვესტიციების წონასწორულ მოცულობას. სხვა სიტუებებში რომ ვთქვათ, არსებობს სასესხო საშუალებების ფიქსირებული მიწოდება. საინვესტიციო მოთხოვნის გადიდება მხოლოდ ზრდის წონასწორულ საპროცენტო განაკვეთს.




ნახ. 3-12. დატეხილი ინვესტიციების ზრდა საინვესტიციო საქონლებზე მოთხოვნის ზრდა ტექნოლოგიური სიახლეების ან საგადასახლო სტიმულების შედეგად ინვესტიციის ფუნქციის გრაფიკს გადაადგილებს მარჯვნივ-მალა. ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში დატეხილი ინვესტიციები სულ უფრო იზრდება. ახალი წონასწორობა მიიღწევა წერტილში, სადაც ინვესტიციების ახალი გრაფიკი კვეთს ვერტიკალურ ხაზს, რომელიც წარმოადგენს დანაზოვების სიდიდეს. რამდენადაც დანაზოვების მოცულობა ფიქსირებულია, საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა ამალღებს საპროცენტო განაკვეთს, ხოლო ინვესტიციების წონასწორულ მოცულობა ამ დროს უცვლელი რჩება.

თუმცა, სხვაგვარ დასკვნას მივიღებთ, თუკი შევცვლით ჩვენს მარტივ მოხმარების ფუნქციას და დავუშვებთ მოხმარების დამოკიდებულების არსებობას საპროცენტო განაკვეთთან. რამდენადაც საპროცენტო განაკვეთი დანაზოვიდან მიღებული შემოსავალია (ზუსტად ისევე, როგორც სესხის ფასი), უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს შეუძლია შეამციროს მოხმარების მოცულობა და გაზარდოს დანაზოვი. ასეთ შემთხვევაში, დანაზოვის გრაფიკი ზემოთ იქნება მიმართული, როგორც ეს ნახ. 3-13-ზეა გამოსახული და არა ვერტიკალური ხაზი.



ნახ. 3-13. დანაზოვი, როგორც საპროცენტო განაკვეთის ფუნქცია აქ დანაზოვი დადებით დამოკიდებულებაშია საპროცენტო განაკვეთთან. პირდაპირი დამოკიდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ასტიმულირებს ადამიანებს ნაღლები მოხმარონ და მეტი დაზოვონ.



ნახ. 3-14. ინვესტიციების მოცულობის სასურველი ზრდა იმ შემთხვევაში, როდესაც დანაზოგის სიდიდე დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე თუკი დანაზოგი დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე, მაშინ ინვესტიციების გრაფიკის მარჯვნივ-მალა გადაადგილება განაირობებს საპროცენტო განაკვეთისა და ინვესტიციების მოცულობის ზრდას. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი აფიანებს სურვილს აღუძრავს გაზარდონ დანაზოგები, რაც, თავის მხრივ ინვესტიციების ზრდის საშუალებასაც იძლევა.

მაღლა მიმართული დანაზოგის გრაფიკის შემთხვევაში საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა განაირობებს როგორც საპროცენტო განაკვეთის, ისე ინვესტიციების წონასწორული მოცულობის ზრდას. ნახ. 3-14 ახედის ასეთი ცვლილების ილუსტრაციას. საპროცენტო განაკვეთების ზრდა საიჯახო მუერნობებს უბიძგებს მოხმარონ ნაკლები და დაზოგონ მეტი. მოხმარების შემცირება კი რესურსებს გამოათავისუფლებს საინვესტიციოდ.

იფენტიფიკაციის პრობლემა

ჩვენს მოდელში ინვესტიციები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე, რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო ნაკლები რაოდენობის საინვესტიციო პროექტებია მომგებიანი. ამგვარად, ინვესტიციების გრაფიკი დაბრძლია.


მაგრამ გეომომისტები, რომლებიც განიხილვენ მაკროკონომიკურ მონაცემებს, ჩვეულებრივ ეერ ახერხებენ ადმოინონ ცხადი კავშირი ინვესტიციებსა და საპროცენტო განაკვეთებს შორის იმ წლებში, როდესაც საპროცენტო განაკვეთები მაღალია, ინვესტიციები უფუფუფის არ არის დაბალი, ხოლო იმ წლებში, როდესაც განაკვეთები მცირეა, ინვესტიციები უფუფუფის მაღალი როდია.

როგორ შეგვიძლია ამ დაკვირების ინტერპრეტაცია? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ინვესტიციები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე? უფრო ზოგადად, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გეომომიკის ჩვენეული მოდელი არ შეესაბამება სინამდვილეში გეომომიკის ფუნქციონირებას? საბედნიეროდ, ამ გეოქვეს უარი ვთქვათ ჩვენს მოდელზე ინვესტიციებსა და საპროცენტო განაკვეთებს შორის ემპირიული კავშირების აღმოჩენის უნარობა მაგალითია იმისა, რასაც ეწოდება *იფენტიფიკაციის პრობლემა*. იფენტიფიკაციის პრობლემა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლილებს შორის არსებობს ერთზე მეტი ტიპის კავშირი. ამგვარად, როდესაც განვიხილავთ მონაცემებს, ვაშნეუთ კავშირებს ამ სხვადასხვა ტიპების კომბინაციის და რთული ხდება მათგან ერთ-ერთის იფენტიფიკაცია.


იმისათვის, რომ ეს პრობლემა უფრო კონკრეტულად გავიგოთ, განვიხილოთ დამოკიდებულება დანაზოგებს, ინვესტიციებსა და საპროცენტო განაკვეთებს შორის. ერთის მხრივ დავუშვათ, რომ საპროცენტო განაკვეთის ყველა ცვლილება წარმოიქმნება დანაზოგების ცვლილებებისგან, ე.ი. დანაზოგის გრაფიკის გადაადგილებით. მაშინ, როგორც ეს ნაჩვენებია ა) სქემის მარცხენა გრაფიკზე ნახ. 3-15-ზე, ყველა ცვლილება წარმოადგენს საინვესტიციო მოთხოვნის მრუდის *განწმრეუ* მოძრაობას. ამგვარად, ვაშნეუთ უაფორფით ურთიერთკავშირის ინვესტიციებსა და საპროცენტო განაკვეთებს შორის. როგორც ამ სქემის მარჯვენა გრაფიკზე ნაჩვენებია, მონაცემთა განაწილება გვაჩვენებს ინვესტიციების გრაფიკს; ე.ი. ჩვენ მოვახდენდით ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის „იფენტიფიკაციას“.

დაუშვათ, მაგრამს მხრივ, საპროცენტო განაკვეთში ყველა ცვლილება წარმოიქმნება ტექნოლოგიური სიახლისგან, ე.ი. საინვესტიციო მოთხოვნის მრუდის გადაადგილებიდან გამოიზიანებ. მაშინ, როგორც ეს ბ) სქემზე ნაჩვენებია, ყველა ცვლილება წარმოადგენილი იქნება ინვესტიციების გრაფიკის გადაადგილებით. ჩვენ ასეთ შემთხვევაში ადმოინონთ დადებით დამოკიდებულებას ინვესტიციების მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთებს შორის. როდესაც მივიღებ წრტილებს შევავრთებთ იასო, ჩვენ მოვახდენთ დანაზოგის ფუნქციის „იფენტიფიკაციას“. უფრო რეალისტური მიდგომა ეფუძნება იმას, რომ საპროცენტო განაკვეთი ზოგჯერ იცვლება ინვესტიციების მრუდის გადაადგილების შედეგად, ხოლო ზოგჯერ კ – დანაზოგის მრუდის გადაადგილების შედეგად. ამ შერეულ შემთხვევაში, როგორც ეს ნაჩვენებია გ) სქემზე, მონაცემთა განაწილე


ბა ვერ აღმოაჩენს ვერაფერია ცნობად კაპიტლის საპროცენტო განაკვეთებსა და ინვესტიციების მოცულობას შორის, რასაც, ჩვეულებისამებრ, ამჩნევენ ეკონომისტები ფაქტიურ მონაცემებთან მუშაობის პროცესში. ამ ანალიზის მორალი მარტივია და გამოსადეგია მრავალ სხვა სიტუაციებისათვის ემპირიული ურთიერკავშირი, რომლის ნახვასაც ველოდებით, გადამწყვეტწოდად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ვეზოგენური ფაქტორი იცვლება ჩვენი შევსებებით.



ა) დანაშაუბის მრუდის გადაადგილება



ბ) ინვესტიციის მრუდის გადაადგილება



გ) ინვესტიციისა და დანაშაუბის მრუდის გადაადგილება

ნახ 3-1-ს *საინვესტიციო ფუნქციის ილუსტრაცია* როდესაც განიხილავთ მონაცემებს საპროცენტო განაკვეთების - r და ინვესტიციების - I მიხედვით, შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ვეზოგენური ცვლადი იცვლება. ა) სქემაზე დანაშაუბი იზრდება კოლიტრის ცვლილების შედეგად: ჩვენ ვაკვირდებით უარყოფით კაპიტლის r -სა და I -ს შორის. ბ) სქემაზე ხდება ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილება ტექნოლოგიური სიახლეების შედეგად: ჩვენ ვაკვირდებით დადებით კაპიტლის r -სა და I -ს შორის. უფრო რეალისტურ სიტუაციაში, რომელიც ნაჩვენებია გ) სქემაზე, გადაადგილება ორივე გრაფიკი: ჩვენ ვერ ვხვდებით ვერანაირ მკაფიოდ გამოხატულ კაპიტლის r -სა და I -ს შორის, რასაც მკვლევარები ჩვეულებრივ ამჩნევენ ხოლმე.

3-5. დასკვნა

ამ თავში ავადებთ მოდელი, რომელიც გვიხსნის ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილებისა და გამოყენების ასპექტებს. რამდენადაც მოდელი მოიცავს ყველა შეზღუდვებულ ნაწილს, რომლებიც ილუსტრირებულია წრებურუნების დიაგრამაზე (ნახ. 3-1), მას სხვანაირად *საერთო წონასწორობის მოდელი* ეწოდება. ეს მოდელი ხაზს უსვამს ფასების ცვლილების მნიშვნელობას მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობაში მოსაყვანად. წარმოების ფაქტორთა ფასებს წონასწორობაში მოჰყავს წარმოების ფაქტორთა ბაზრები. საპროცენტო განაკვეთი აწონასწორებს საქონლისა და მომსახურების მოთხოვნასა და მიწოდებას (ანუ, ანალიტიკურად, სასესო საშუალებების მოთხოვნასა და მიწოდებას).

მოცემულ თავში განვიხილეთ ამ მოდელის გამოყენების სხვადასხვა ასპექტი. მოდელს შეუძლია აგვისნას, თუ როგორ ნაწილდება შემოსავალი წარმოების ფაქტორებს შორის და როგორ

არის დამოკიდებული ფაქტორების ფასები მათ მიწოდებაზე. ჩვენ ეს მოვლელი გამოვიყენებთ აგრეთვე იმ საკითხის განხილვისას, თუ როგორ ცვლის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა წარმოებული პროდუქტის განაწილებას მისი გამოყენების ალტერნატიულ მიმართულებებს შორის და როგორ ახდენს ეს გავლენას წონასწორულ საპროცენტო განაკვეთზე.

ახლა სასარგებლო იქნება გავიმეოროთ ის ზოგიერთი გამამარტივებელი ვარაუდები, რომლებიც ჩამოვაყალიბებთ ამ თავში. შემდგომ თავებში ამ ვარაუდებიდან ზოგიერთებზე უარს ვიტყვი, რათა მოვიცვათ პრობლემათა უფრო ფართო ჩარჩო.

- ჩვენ დაეუშვით, რომ კაპიტალის მარაგი, სამუშაო ძალა და ტექნოლოგია ფიქსირებული სიდიდეებია. მე-4 თავში ენახავთ, ამ ცვლადებიდან თითოეულის ცვლილება დროთა განმავლობაში თუ როგორ იწვევს ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდას.

ჩვენ ვივარაუდებთ, რომ სამუშაო ძალა სრულად იყო დასაქმებული. მე-5 თავში განვიხილავთ უმუშევრობის მიზეზებს და ენახავთ, თუ როგორ ახდენს გავლენას სახელმწიფო პოლიტიკა უმუშევრობის დონეზე.

ჩვენ იგნორირება მოვახდინებთ ფულის როლისა, რომელთა დანახარებითაც შეძინება და გათიფება საქონელი და მომსახურება. მე-6 თავში განვიხილავთ ფულის უმოქმედებას ეკონომიკაზე, აგრეთვე ფულადი პოლიტიკის გავლენასაც.

ჩვენი ვივარაუდებთ, რომ სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა არ არსებობდა. მე-7 თავში განვიხილავთ, თუ რა გავლენას მოახდენს ჩვენს დასკვნებზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.

მოკლევადიან პერიოდში ფასების სისხტის როლის იგნორირება მოვახდინებთ. მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 თავებში ავაგებთ მოკლევადიანი რყევების მოდელს, რომელშიც ჩართული იქნება ხისტი ფასები. შემდგომ განვიხილავთ მოკლევადიანი რყევების მოდელი თუ როგორაა დაკავშირებული გრძელვადიანი შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გამოყენების მოდელთან, რომელიც ავაგებთ მოცემულ თავში.

ძირითადი დასკვნები

1. წარმოების ფაქტორები და ტექნოლოგია განსაზღვრავს ეკონომიკის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობას. ამ ფაქტორთაგან ერთ-ერთი ფაქტორის რაოდენობის ზრდა ან ტექნოლოგიური სრულყოფა იწვევს წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდას.
2. კონკურენტული, მოგების მშაქსიმიზებული ფირმები ქირობენ მომუშავეებს მანამ, ვიდრე შრომის ზღვრული პროდუქტი (MPL) არ გაუტოლდება რეალურ ხელფასს. ანალოგიურად, ეს ფირმები ამატებენ კაპიტალის მარაგს იმ მომენტამდე, ვიდრე კაპიტალის ზღვრული პროდუქტი (MPK) არ გაუტოლდება მისი გამოყენების რეალურ დანახარჯებს. ამგვარად, წარმოების თითოეული ფაქტორი ღებულობს კომპენსაციას, რომელიც ზუსტად ტოლია მისი ზღვრული პროდუქტისა. თუკი საწარმოო ფუნქციას ახასიათებს მასშტაბის მუდმივი უკუგების თვისება, წარმოებული პროდუქციის მთელი მოცულობა ხმარდება წარმოების ფაქტორთა მფლობელების ანაზღაურებებს.
3. ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქტი გამოიყენება მოხმარებაზე, ინვესტიციებზე და სახელმწიფო შესყიდვებზე. მოხმარება იზრდება განკარგავდი შემოსავლის ზრდის შემთხვევაში. ინვესტიციები მცირდება რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდის კვალობაზე. სახელმწიფო შესყიდვები და გადასახადები წარმოადგენს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენურ ცვლადებს.
4. რეალური საპროცენტო განაკვეთი განიცდის ცვლილებას, აწონასწორებს რა მოთხოვნასა და მიწოდებას ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აწონასწორებს რა თავისუფალი სასესხო საშუალებების (დანაზოგების) მიწოდებასა და მათზე მოთხოვნას (ინვესტიციებს). ეროვნული დანაზოგის მოცულობის შემცირება სახელმწიფო შესყიდვების ზრდის ან გადასახადების შემცირების შედეგად ამცირებს ინვესტიციების წონასწორულ რაოდენობას და ამადლებს საპროცენტო განაკვეთს. საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა ტექნოლოგიური სიახლეების ან საგადასახადო სტიმულების შედეგად აგრეთვე ამადლებს საპროცენტო განაკვეთს. საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა ინვესტიციების მოცულობას ზრდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ასტიმულირებს დამატებით დანაზოგებს.

კითხვები

წარმოების ფაქტორები
 საწარმოო ფუნქცია
 ბუღალტრული მოგება
 მასშტაბის მუდმივი უკუგება
 ფასები წარმოების ფაქტორებზე
 კონკურენცია
 შრომის ზღვრული პროდუქტი (MPL)
 კლებადი ზღვრული პროდუქტი
 რეალური ხელფასი
 კაპიტალის ზღვრული პროდუქტი (MPK)
 კაპიტალის რეალური ფასი
 ეკონომიკური მოგება
 განკარგვადი შემოსავალი
 მოხმარების ფუნქცია
 მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPC)
 ნომინალური საპროცენტო განაკვეთი
 რეალური საპროცენტო განაკვეთი
 კერძო დანაზოგი
 სახელმწიფო დანაზოგი
 ეროვნული დანაზოგი
 ინვესტიციების გამოდევნა

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, გვ. 91-137
2. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, გვ. 104-117
3. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, გვ. 97-115
4. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, გვ. 42-74
5. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, გვ. 45-65
6. К.Р. Макконнелл, С.Л. Брю, Экономикс, 14-е издание, Москва-2002, გვ. 30-39
7. Пол А. Самуэльсон, Вильям Д. Нордхаус, Экономика, 16-е издание, Москва-1999, გვ. 245-260

თავი 4. ეკონომიკური ზრდა

განვითარებული ქვეყნების მთელი ისტორიის განმავლობაში ადგილი აქვს ეროვნული შემოსავლის არსებით ზრდას. ამ ქვეყნების ყოველი თოხაა ღებულობს იმაზე მეტ შემოსავალს, ვიდრე მათი წინაპრები და ეს უფრო მაღალი შემოსავალი მათ საშუალებას აძლევს მოიხმარონ მეტი რაოდენობის საქონელი და მომსახურება, მოხმარების უფრო მაღალი დონე კი უზრუნველყოფს ცხოვრების გაცილებით მაღალი დონის არსებობას.

იმისათვის, რომ გაიზომოს ეკონომიკური ზრდა, ჩვეულებრივ, სარგებლობენ მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკაში ყველა დასაქმებულის შემოსავლებს. მაგალითად, აშშ-ს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) თითქმის სამჯერ აჭარბებს 1950 წლის დონეს, ხოლო რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით – თითქმის ორჯერ და უფრო მეტად. ზრდა მართლაც რომ შთაბეჭდავია.

ცალკეული ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები. ცხრილი №1 გვიჩვენებს მოსახლეობის ერთ სულზე არსებულ მონაცემებს 1999 წლისათვის მსოფლიოს 12 ყველაზე უფრო დასახლებულ ქვეყანაში. აშშ 31 910 დოლარით ერთ სულზე შემოსავლით ამ ცხრილის თავშია მოქცეული. ნორვიას გააჩნია მხოლოდ 770 დოლარის შემოსავალი ერთ სულზე, რაც აშშ-ს შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 2,4%-ა.

მოცემული თავის მიზანია აეხსნათ ეროვნული შემოსავლის ცვლილებების მიზეზები დროში, ასევე ქვეყნებს შორის არსებული განსხვავება ამ მაჩვენებლებში. როგორც ცნობილია, წარმოების ფაქტორები მოიცავს შრომას, კაპიტალს და ასევე წარმოებით ტექნოლოგიას, რომელიც წარმოებისა და შესაბამისად, შემოსავლების წყაროა. ამიტომ, შემოსავლებში არსებული განსხვავება კაპიტალში, შრომასა და ტექნოლოგიაში არსებული განსხვავებებით უნდა განისაზღვროს.

ჩვენი ამოცანაა წარმოადგინოთ ეკონომიკური ზრდის მიდელი, რომელსაც შემოკლებით ზრდის სოლოუს მოდელს უწოდებენ. საწარმოო ფუნქცია (ქრძი-დუელასის ფუნქცია) საშუალებას იძლევა აეხსნათ, თუ როგორ ხორციელდება მზა პროდუქციის წარმოება, განაწილება და განთავსება დროის გარკვეულ პერიოდში გამოყენების მიმართულებით. ეს ანალიზი სტატისტიკურია, ეკონომიკის მომენტალური სურათის მსგავსი. იმისათვის, რომ აეხსნათ ცხოვრების დონის ზრდა, საჭიროა ანალიზის ტექნიკის სრულყოფა ისე, რომ საშუალება მოგვცეს აღწეროთ დროში ეკონომიკის ცვლილებები და ანალიზი გაეხადოს დინამიკური (რომელიც ფილმს უფრო უნდა ჰგავდეს, ვიდრე ფოტოგრაფიას). ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელი გვიჩვენებს დანახოვით, მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესი თუ როგორ ზემოქმედებს წარმოების მოცულობის ზრდაზე დროში. მოდელი აგრეთვე განსაზღვრავს იმ მიზეზებს, რომელთა ძალითაც ქვეყნები ასე ძლიერ განსხვავდებიან მოსახლეობის ცხოვრების დონით.¹

ცხრილი №1

საერთაშორისო განსხვავებები ცხოვრების დონეში: 1999 წ.

ქვეყნები	მოსახლეობის ერთ სულზე არსებული შემოსავლები (აშშ დოლარებში)
აშშ	31 910
იაპონია	25 170
გერმანია	23 510
მექსიკა	8 070
რუსეთი	6 990
ბრაზილია	6 840
ჩინეთი	3 550
ინდონეზია	2 660
ინდოეთი	2 230
პაკისტანი	1 860
ბანგლადეში	1 530
ნიგერია	770

ჩვენი ანალიზის შემდგომი მიზანია გავაანალიზოთ ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა ცხოვრების დონეზე და ეკონომიკის ზრდაზე. მოდელი იძლევა საუბუქელს, რომლის დახმარებითაც შე-

¹ ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელი იწოდება ეკონომისტის, რობერტ სოლოუს პატივსაცემად, რომელიც დამუშავებულ იქნა 1950-1960 წლებში. 1987 წელს სოლოუს ეკონომიკის დარტში მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკური ზრდის თეორიის დამუშავებისათვის. მოდელი პირველად გამოქვეყნდა ნაშრომებში Solow R.A. Contribution to the Theory of Economic Growth/*Quarterly Journal of Economics*, 1956, February, pp. 65-94.

საძლებელია ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გაანალიზება: წარმოებული პროდუქტის რა ნაწილი უნდა იქნას მოხმარებული დღეს და რა ნაწილი უნდა დაიზოგოს სამომავლო გამოყენებისათვის. რამდენადაც დანაზოგი ტოლია ინვესტიციებისა, დანაზოგი განსაზღვრავს იმ კაპიტალის მოცულობას, რომელსაც ეკონომიკა განეკარგავს მომავალში. დანაზოგის სიდიდე ეკონომიკური პოლიტიკის პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენის ქვეშ იმყოფება. პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტთა შეფასება მოითხოვს, რომ აეწონ-დაეწონოს დანაზოგის ამა თუ იმ დონის არჩევასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი და მოგება.

4-1. კაპიტალის დაგროვება

იძისათვის, რომ ზანდასაზღვროთ, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს კაპიტალის მარაგისა და სამუშაო ძალის ზრდა აგრეთვე ტექნოლოგიის გაუმჯობესება და როგორ ზემოქმედებენ ისინი წარმოების მოცულობაზე, ვისარგებლეთ სოლოუს მოდელით. თავდაპირველად გაეანალიზებთ, თუ როგორ განსაზღვრავს საქონლზე მოთხოვნა და მისი მიწოდება კაპიტალის დაგროვების პროცესის პარამეტრებს. ამისათვის უცვლელად ჩაეთვლით შრომითი რესურსების მოცულობას და გამოყენებულ ტექნოლოგიას. გაზადაზა, ეკონომიკური ზრდის პრობლემის განხილვის კვალობაზე უარს ეტყუთ ამ დამუშავებზე, რათა ჩვენს ანალიზს გაეხადოთ უფრო რეალისტური: თავდაპირველად შეიცვლება შრომითი რესურსების მოცულობა, ხოლო შემდეგ – ტექნოლოგია.

წარმოებულ პროდუქტთან მოთხოვნა და მიწოდება

წარმოებული პროდუქციის ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება, რომლებიც საკვანძო ელემენტებია საწარმოო ფუნქციაში, მნიშვნელოვანია სოლოუს მოდელშიც. ქობი-დუგლასის ფუნქციაში მიწოდება განსაზღვრავს წარმოების მოცულობას დროის ნებისმიერ მომენტში, ხოლო მოთხოვნა განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის განაწილებას გამოყენების სხვადასხვა მიმართულებებში შორის.

მიწოდება და საწარმოო ფუნქცია

სოლოუს მოდელში საქონლის მიწოდება გამოისახება ჩვენთვის ცნობილი საწარმოო ფუნქციის მეშვეობით:

$$Y = F(K, L)$$

წარმოების მოცულობა დამოკიდებულია კაპიტალის მარაგზე და გამოყენებულ შრომაზე. ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელი გულისხმობს, რომ საწარმოო ფუნქციას გააჩნია მასშტაბის მუდმივი უკუგების თვისება. გაიხსენოთ, რომ ეს თვისება სრულდება, თუ $ZY = F(ZK, ZL)$ Z -ის ნებისმიერი დიდებითი მნიშვნელობის შემთხვევაში. ე.ი. თუ კაპიტალსა და შრომას გაეამრავლებთ Z -ზე, მაშინ წარმოების მოცულობაც გაიზარდება Z -ჯერ.

სიმარტივისათვის, ყველა სიდიდე შეუფარდოთ მომუშავეთა რაოდენობას. მასშტაბის მუდმივი უკუგების საწარმოო ფუნქცია მოხერხებულია ამ მიზნისათვის იმიტომ, რომ ერთ მომუშავეზე წარმოების მოცულობა მაშინ დამოკიდებული ხდება კაპიტალის მხოლოდ იმ რაოდენობაზე, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე. რათა დაერწმუნდეთ ნათქვამის სისწორეში, ზემოთ მოცემულ განტოლებაში Z გაეუტოლოთ $1/L$ -ს, რომლის შედეგად მივიღებთ:

$$\frac{Y}{L} = F\left(\frac{K}{L}, 1\right)$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ წარმოების მოცულობა ერთ მომუშავეზე (Y/L) განაგარიშებთ წარმოადგენს ერთ მომუშავეზე კაპიტალის ფუნქციას (K/L).

ატარა ასობით აღნიშნოთ ის რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ეხება ერთ მომუშავეს: $y = Y/L$ – პროდუქციის გამოშვება ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, ანუ შრომის მწარმოებლურობა, ხოლო $k = K/L$ – კაპიტალი, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე, ანუ შრომის კაპიტალ-შეიარაღება. მაშინ საწარმოო ფუნქცია შეიძლება ჩაეწეროს შემდეგნაირად:


$$y = f(k)$$

სადაც $f(k) = F(k, 1)$. ესარგებლობთ რა საწარმოო ფუნქციით, რომელიც შრომის მწარმოებლურობას უფარებს კაპიტალ-შეიარაღებას, ამით მნიშვნელოვნად ვითარდებთ ანალიზს. ნახ. 4-1-ზე მოცემულია საწარმოო ფუნქციის მოდელი.

მოცემული საწარმოო ფუნქციის დახრილობის კუთხის ტანგენსი გეოგენებს ერთ მომუშავეზე რამდენი დამატებითი პროდუქტი შეიძლება მივიღოთ, თუ კაპიტალში შევიტანოთ გარკვეულ ერთეულზე. ეს სიდიდე წარმოადგენს კაპიტალის ზღვრულ პროდუქტს - MPK. ფორმალურად ეს დაახლოებით ასე შეიძლება ჩაეწეროს:

$$MPK = f(k + 1) - f(k)$$

შენიშნოთ, რომ ნახ. 4-1-ზე კაპიტალშეიარაღების ზრდის კვალობაზე საწარმოო ფუნქციის გრაფიკი ხდება სულ უფრო დახრილი, ე.ი. დახრილობის კუთხე მცირდება. ასეთი საწარმოო ფუნქცია ხასიათდება კაპიტალის კლებადი ზღვრული მწარმოებლობით: ყოველი დამატებითი ერთეული კაპიტალი აწარმოებს ნაკლებ პროდუქტს, ვიდრე წინამორბედი. როდესაც კაპიტალის მარაგი ერთ მომუშავეზე მცირეა, ყოველი დამატებითი ერთეული კაპიტალი იძლევა მეტ უსულებას. თუ შრომის კაპიტალშეიარაღება მაღალია, მაშინ დამატებითი ერთეული კაპიტალი ნაკლებად ეფექტური ხდება და შესაბამისად, მოგუცემს ნაკლებ დამატებით პროდუქტს.



ნახ. 4-1. საწარმოო ფუნქცია საწარმოო ფუნქციის გრაფიკი გეოგენებს კაპიტალშეიარაღება k თუ როგორ განსაზღვრავს პროდუქციის გამოშვების სიდიდეს ერთ მომუშავეზე $y=f(k)$. საწარმოო ფუნქციის გრაფიკის კუთხის დახრილობის ტანგენსი იძლევა კაპიტალის ზღვრული მწარმოებლობის: თუკი k იზრდება ერთი ერთეულით, მაშინ y იზრდება MPK ერთეულით. k -ის ზრდის კვალობაზე საწარმოო ფუნქციის მრუდი ხდება სულ უფრო დახრილი, რაც მოწმობს ზღვრული მწარმოებლობის შემცირებას.

წარმოებულ პროდუქტსაზე მოთხოვნა და მოხმარების ფუნქცია

სოლოუს მოდელში საკონსტანტზე მოთხოვნა ყალიბდება მოხმარებლებისა და ინვესტორების მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროდუქცია, რომელიც იწარმოება ყოველი მომუშავის მიერ, იყოფა მოხმარებად, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე და ინვესტიციად, ასევე ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით:

$$y = c + i$$

ეს ტოლობა ეროვნული ანგარიშების ტოლობის ($Y=C+I+G$) მსგავსია, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან, ვინაიდან არ ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვებს (რომელიც ჯერ-ჯერობით შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში) და გამოხატავს y , c და i -ს, როგორც ერთ მომუშავესთან დაკავშირებულ სიდიდეებს.

სოლოუს მოდელი გულისხმობს, რომ მოხმარების ფუნქცია ღებულობს მართე ფორმას:

$$c = (1 - s)y$$

სადაც λ ზოგჯერ ნორმა λ ღებულობს მნიშვნელობებს 0 -დან 1 -მდე. ეს ფუნქცია აღნიშნავს, რომ მოხმარება შემოსავლის პროპორციულია. ყოველ წელს შემოსავლის $(1-s)$ ნაწილი მოხმარება და s ნაწილი იზოგება.

მოხმარების ასეთი სახით ფორმულირების როლი ნათელი გახდება, თუ c სიდიდეს შევცვლით $(1-s)y$ სიდიდით ეროვნული ანგარიშების ტოლობაში:

$$y = (1 - s)y + i$$

გარდაქმნის შედეგად მივიღებთ:

$$i = sy$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ ინვესტიციები (ასევე მოხმარებაც) შემოსავლის პროპორციულია. თუ ინვესტიციები დანაზოგის ტოლია, მაშინ დაზოგის ნორმა s გვეჩვენებს აგრეთვე, წარმოებული პროდუქტის რა ნაწილი მიემართება კაპიტალდაბანდებებზე.

კაპიტალშვიარალების მდგრადი დონე მოგვყავს რა სოლოუს მოდელის ორი მთავარი კომპონენტი – საწარმოო ფუნქცია და მოხმარების ფუნქცია, შევიძლია გაეანალიზოთ კაპიტალის დაგროვება თუ როგორ უზრუნველყოფს გეონომიკურ ზრდას. კაპიტალის მარაგი შეიძლება იცვლებოდეს ორი მიზეზით:


1. ინვესტიციები იწვევენ კაპიტალის მარაგის ზრდას;
2. კაპიტალის ნაწილი განიცდის ცვეთას, ე.ი. ხდება მისი ამორტიზაცია, რასაც მიეყვარათ კაპიტალის მარაგის შემცირებასთან.

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ იცვლება კაპიტალის მარაგი, უნდა ვიპოვოთ ინვესტიციებისა და ამორტიზაციის სიდიდეების განმსაზღვრელი ფაქტორები.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ინვესტიციები ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით წარმოადგენს პროდუქტის ნაწილს, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე (sy). შეეცდეთ რა y -ს საწარმოო ფუნქციის გამოსახულებით, ერთ მომუშავეზე ინვესტიციებს გამოვსახოთ, როგორც კაპიტალშვიარალების ფუნქციას:


$$i = sf(k)$$

რაც უფრო მაღალია კაპიტალშვიარალების k დონე, მით უფრო მაღალია წარმოების მოცულობა $f(k)$ და ინვესტიციები i . ეს ტოლობა, რომელიც მოიცავს საწარმოო ფუნქციასა და მოხმარების ფუნქციას, კაპიტალის არსებულ მარაგს k აკავშირებს ახალი კაპიტალის დაბანდებასთან i . ნახ. 2-ზე ნაჩვენებია, თუ როგორ განსაზღვრავს დაზოგვის ნორმა პროდუქტის განაწილებას მოხმარებისა და ინვესტიციის ნაწილებად k -ს ყოველი მნიშვნელობისათვის.



ნახ. 4-2. წარმოება, მოხმარება და ინვესტიცია დაზოგვის ნორმა s განსაზღვრავს წარმოებული პროდუქტის დაყოფას მოხმარებად და ინვესტიციად. კაპიტალშვიარალების k ნებისმიერი დონისათვის წარმოების მოცულობა არის $f(k)$, ინვესტიცია ტოლია $sf(k)$ -სი, ხოლო მოხმარება შეადგენს $f(k)-sf(k)$.

იმისათვის, რომ მივღეში გავითვალისწინოთ ამორტიზაცია, დავუშვათ, რომ ყოველწლიურად მწყობრიდან გამოდის კაპიტალის δ წილი. δ -ს უწოდოთ ცვეთის ნორმა. მაგალითად, თუ კაპიტალის ექსპლუატაცია ხდება საშუალოდ 25 წლის განმავლობაში, მაშინ ცვეთა ტოლი იქნება 4%-სა წელიწადში ($\delta=0,04$). ამგვარად, კაპიტალის რაოდენობა, რომელიც მწყობრიდან გამოდის ყოველ წელს, შეადგენს δk -ს. ნახ. 4-3-ზე ნაჩვენებია, თუ როგორაა დამოკიდებული ცვეთა კაპიტალის მარაგზე.



ნახ. 4.3 კაპიტალის ცევათა ყოველწლიურად იცეითება კაპიტალის გარკვეული ფიქსირებული ნაწილი, ამიტომ, ცევათა კაპიტალის მარაგის პროპორციულია.


კაპიტალის მარაგზე ინვესტიციებისა და ცევის გაელენა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ტოლობით:

$$\text{კაპიტალის მარაგის ცვლილება} = \text{ინვესტიციები} - \text{ცევათა, ე.ი.} \\ \Delta k = i - \delta k$$

სადაც Δk არის კაპიტალის მარაგის ცვლილება, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე წელიწადში. რამდენადაც ინვესტიციები ტოლია დანახოვისა, კაპიტალის მარაგის ცვლილება შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$\Delta k = sf(k) - \delta k$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ კაპიტალის მარაგის ცვლილება ტოლია ინვესტიციების $sf(k)$ გამოკლებული კაპიტალის ცევათა $-\delta k$.



ნახ. 4.4. ინვესტიციები, ცევათა და კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე რამდენადაც დაზოგვის ნორმა δ მუდმივია, ხოლო დანახოვი ტოლია ინვესტიციების, ინვესტიციების მოცულობა ტოლია $sf(k)$. რამდენადაც კაპიტალი იცეითება მუდმივ δ სიდიდით, ცევის მოცულობა არის δk . მდგრადი დონე k^* - მომუშავეთა ისეთი კაპიტალ შეიარაღებაა, რომლის დროსაც ინვესტიციები ტოლია ცევათსა k^* წარტილში ორივე მრუდი იკვეთება. როცა $k < k^*$, ინვესტიციები აჭარბებს ცევათს და კაპიტალის მარაგი იზრდება. როცა $k > k^*$, ინვესტიციები ნაკლებია, ვიდრე ცევათა და კაპიტალის მარაგი მცირდება.

ნახ. 4-4-ზე ინვესტიციები და ცევათა ნაჩვენებია კაპიტალშეიარაღების k სხვადასხვა დონისათვის. რაც უფრო მაღალია კაპიტალშეიარაღება, მით უფრო მაღალია წარმოების მოცულობა და ინვესტიციები, რომლებიც მოდის ერთ მომუშავეზე. თუმცა, რაც უფრო მეტია კაპიტალის მარაგი, მით უფრო მეტია ცევის სიდიდეც.

ნახ. 4-4-ზე ნაჩვენებია, რომ არსებობს კაპიტალშეიარაღების ერთადერთი დონე, რომლის დროსაც ინვესტიციები ტოლია ცევის სიდიდისა. თუ გეონომიკაში მიღწეულია სწორედ ასეთი დონე, მაშინ ის არ შეიცვლება დროთა განმავლობაში, ვინაიდან მასზე მოქმედი ორი ძალა (ინვეს-

ტიციები და ცვეთა) ზუსტად დაბალანსებულია. ამგვარად, კაპიტალშეიარაღების მოცემული დონის პირობებში $\Delta k = 0$. ამ სიტუაციას ვუწოდოთ *მდგრადი კაპიტალშეიარაღების მდგომარეობა* და აღწინშობთ k^* -ით.

მდგრად ღონესთან მიახლოება

კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე შეესაბამება ეკონომიკის წონასწორობას გრძელვადიან პერიოდში. კაპიტალის თავდაპირველი მოცულობისგან დამოუკიდებლად, რომლითაც ეკონომიკა იწყებს განვითარებას, ის შემდგომ აღწევს მდგრად მდგომარეობას.

დაეუშვათ, რომ კაპიტალის მარაგი ნაკლებია მდგრად ღონესთან შედარებით, როგორც ამას ადგილი აქვს ნახ. 4-4-ზე k_1 წერტილში. ამ შემთხვევაში ინვესტიციები აჭარბებს ცვეთას. ამგვარად, კაპიტალშეიარაღება იზრდება და წარმოებასთან ერთად მანამ გაიზრდება, ვიდრე არ მიადევს მდგრად ღონეს - k^* -ს.

ანალოგიურად დაეუშვათ, რომ კაპიტალის მარაგი საწეის მდგომარეობაში აჭარბებს k^* -ს, მაგალითად, k_2 წერტილში. ამ შემთხვევაში ინვესტიციები ნაკლებია, ვიდრე ცვეთა: კაპიტალი უფრო სწრაფად გამოდის მწყობრიდან, ვიდრე იცისება. ამგვარად, მდგრად ღონესთან მიახლოების კვალობაზე კაპიტალშეიარაღება შემცირდება. იმ მომენტში, როცა კაპიტალის მარაგი, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე, მიადევს მდგრად ღონეს, ინვესტიციები გაუთანაბრდება ცვეთას და კაპიტალშეიარაღება არც გაიზრდება და არც შემცირდება.

მდგრადი მდგომარეობისაკენ სწრაფება: რიცხობრივი მაგალითი

იმისათვის, რომ ენახოთ, თუ რას წარმოადგენს სოლოუს მოდელი და ეკონომიკა როგორ უახლოვდება მდგრად მდგომარეობას, განვიხილოთ რიცხობრივი მაგალითი. დაეუშვათ, რომ საწარმოო ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$Y = K^{1/2}L^{1/2},$$

ე.ი. გამოყენებულია ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია, სადაც $A=1$, ხოლო $\alpha=1/2$.

ერთი მომუშავისათვის საწარმოო ფუნქციის $f(k)$ მიღება შესაძლებელია შემდეგნაირად. დავიწყოთ y -ის განსაზღვრით:

$$y = \frac{Y}{L}.$$

შვეცვლით რა Y -ს საწარმოო ფუნქციით, მივიღებთ

$$y = \frac{K^{1/2}L^{1/2}}{L}$$

გარკვეული გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ:

$$y = \left(\frac{K}{L}\right)^{1/2}$$

რამდენადაც $k=K/L$, გვექნება:

$$y = k^{1/2}$$

ეს ტოლობა შეიძლება ასე ჩაეწეროს:

$$y = \sqrt{k}$$

ე.ი. პროდუქტი, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე, ტოლია ერთ მომუშავეზე არსებული კაპიტალის მარაგის სიდიდის კვადრატული ფესვისა.

ამ მაგალითის დასრულების მიზნით დაეუშვათ, რომ წარმოებული პროდუქტის 30% იზოგება ($s=0.3$), კაპიტალის მარაგის 10% ყოველწლიურად გამოდის მწყობრიდან ($\delta=0.1$) და განსახილველი ეკონომიკა განაგებს კაპიტალის 4 ერთეულს ერთ მომუშავეზე ($k=4$). ახლა შეგვიძლია გავანალიზოთ, თუ რა მოხდება ეკონომიკაში გარკვეული პერიოდის შემდეგ.

დაიფიქსოთ პირველ წელს მზა პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ანალიზით. საწარმოო ფუნქციის შესაბამისად, კაპიტალშეიარაღება, რომელიც ტოლია 4 ერთეულისა, უზრუნველ

ლყოფს მწარმოებელურობას, რომელიც შეადგენს ერთ მომუშავეზე პროდუქციის ორ ერთეულს. ეინაიდან შხა პროდუქციის 70% მოიხმარება, ხოლო 30% იზოგება და ინვესტირდება, მაშინ $c=1,4$, ხოლო $i=0,6$. გარდა ამისა, რამდენადაც კაპიტალის 10% იცვიოთება, $m=0,4$. ინვესტიციების 0,6 და ამორტიზაციის 0,4 დონეთა პირობებში კაპიტალის მარაგის ცვლილება ტოლია $\Delta k=0,2$. ამიტომ, მეორე წელი იწყება კაპიტალშეიარაღებით კაპიტალის 4,2 ერთეულის დონით ერთ მომუშავეზე.

ცხრილი №2 გეიჩვენებს, თუ როგორ ეითარდება ეს ეკონომიკა წლიდან წლამდე. ყოველ წელს ემატება ახალი კაპიტალი და იზრდება წარმოების მოცულობა. ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკა აღწებს მდგრად დონეს 9 ერთეული კაპიტალით ერთ მომუშავეზე. ამ მდგრად მდგომარეობაში 0,9 დონეზე არსებული ინვესტიციები ზუსტად შეესაბამება ცვეთას 0,9 დონეზე, ასე რომ, არც კაპიტალის მარაგი და არც წარმოება უწყე აღარ შეიცვლება.

სხედასსხვა წლებისათვის მსგავსი გამოთვლები კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონის პოენის ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა არსებობს სხვა საშუალებაც, რომელიც გამოთვლების ნაკლებ მოცულობას მოითხოვს.

გაეისენოთ, რომ

$$\Delta k = sf(k) - \delta k$$

ეს ტოლობა გეიჩვენებს, რომ k იცვლება დროში. ეინაიდან $\Delta k = 0$ მდგრად მდგომარეობაში, მაშინ, შესაბამისად

$$0 = sf(k^*) - \delta k^*, \text{ ანუ}$$

$$\frac{k^*}{f(k^*)} = \frac{s}{\delta}$$

ერთ მომუშავეზე კაპიტალისა და გამოშვების თანფარდობის ეს ტოლობა საშუალებას იძლევა განესაზღვროთ კაპიტალდბანდების მდგრადი დონე k^* . ჩვენი მაგალითის მონაცემების ჩასმის შემდეგ გეეიქება:

$$\frac{k^*}{\sqrt{k^*}} = \frac{0,3}{0,1}$$

k^* -ს მნიშენელობა შეიძლება მიეილოთ ამ ტოლობის ორივე ნაწილის ევდრატში ახარისხებით. აბგარად მიეიღებოთ, რომ მდგრადი კაპიტალშეიარაღება შეადგენს 9 ერთეულს ერთ მომუშავეზე, რაც ადასტურებს იმ განზგარიშების სისწორეს, რომელიც მოცეულია ცხრილი №2-ში.

ცხრილი №2

მდგრადი მდგომარეობისადმი მიახლოება
(რაოდენობრივი მაგალითი)

წლები	პირობები: $y = \sqrt{k}$			$s=0,3$		$\delta=0,1$		საწყისი $k=4$	
	k	y	c	i	Δk	Δk	Δk		
1	4,000	2,000	1,400	0,600	0,400	0,200			
2	4,200	2,049	1,435	0,615	0,420	0,195			
3	4,395	2,096	1,467	0,629	0,440	0,189			
4	4,584	2,141	1,499	0,642	0,458	0,184			
5	4,768	2,184	1,529	0,655	0,477	0,178			
...		
10	5,602	2,367	1,657	0,710	0,560	0,150			
...		
25	7,321	2,706	1,894	0,812	0,732	0,080			
...		
100	8,962	2,994	2,096	0,898	0,896	0,002			
...		
∞	9,000	3,000	2,100	0,900	0,900	0,000			

მაბალი 4-1

ეკონომიკის ობის შემდგომი ზრდა გერმანისა და იაონისაში

იაონისა და გერმანია წარმატებული ეკონომიკური ზრდის დამადასტურებელი მაგალითებია. დღეს ისინი ეკონომიკური ზესახელმწიფოებია, თუმცა 1945 წელს, მეორე მსოფლიო ობის დასასრულს, ორივე ქვეყნის


ეკონომიკა სრულად განადგურებული იყო. ამ ქვეყნებში ძირითადი ფონდების დიდი ნაწილი ომის პერიოდში მოიხრა. მაგრამ, ომის შემდგომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეს ორი ქვეყანა შევიდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მქონე ქვეყნების ჯგუფში. იაპონიაში 1948-1972 წლების პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოება გაიზარდა წელიწადში 8,2%-ით, ხოლო გერმანიაში (იშხანად - დასავლეთ გერმანიაში) - 5,7%-ით მაშინ, როცა აშშ-ში ამავე პერიოდისათვის ზრდის ტემპის მაჩვენებლებმა შეადგინა მხოლოდ 2,2%.

არის თუ არა იაპონიას და გერმანიის ომისშემდგომი გამოცდილება მოულოდნელი სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელით თვალსაზრისით? განვიხილოთ ეკონომიკა მდგრად მდგომარეობაში, ხოლო შემდგომ დაეუშვათ, რომ ომმა გაანადგურა კაპიტალის არსებული მარაგის ნაწილი (ნახ. 4-4-ზე კაპიტალის მარაგი შეცვლიდა k^* -დან k_1 -მდე). არ არის გასაკვირო, რომ წარმოების დიდი დაუყოვნებლივ შემცირდება. მაგრამ, რამდენადაც დაზოგვის ნორმა (პროდუქტის ნაწილი, რომელიც მიემართება დახასოვება და საინვესტიციოდ) უცვლელია, ეკონომიკა თანდათანობით დაუბრუნდება უწინდელ მდგომარეობას. ამისათვის საჭიროა ძალიან სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდი. ზრდის დაჩქარება ხდება იმის გამო, რომ კაპიტალშვიარალების დაბალი დონის პირობებში ინვესტიციები აჭარბებს (ცვეთას და ამგვარად, იზრდება წარმოება, რამდენადაც ხდება ახალი კაპიტალის მეტი ინვესტიციებით უზრუნველყოფა, ვიდრე მისი ცვეთა, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ფონდების ნაწილის განადგურება დაუყოვნებლივ ამცირებს პროდუქციის გამოშვებას. ამას მოჰყვება ჩვეულებრივთან შედარებით უფრო მაღალი ტემპებით ზრდა. იაპონიას და გერმანიის სწრაფი ზრდის „ეკონომიკური სასწაული“ (რომელსაც ხშირად სწორედ ასე უწოდებენ პრესაში) სრულად შეესაბამება სოლოუს მოდელით წინასწარ დასკვნებს იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებშიც ომმა შევეთრად შეამცირა კაპიტალის მარაგი.

თუმცა, იაპონური და გერმანული ეკონომიკური ზრდის ასნა არ შემოიფარგლება ასეთი მარტივი შეხედულებებით. ორივე ქვეყანას გაიჩნა დაზოგვის უფრო მაღალი ნორმა, ვიდრე აშშ-ს და ამიტომ მიისწრაფიან მდგრადი მდგომარეობის სხვა წარტლისაკენ. იმისათვის, რათა სრულად გაევიფთ ზრდის ტემპებში ქვეყანათაშორისო განსხვავება, აუცილებელია დაწერილებით განვიხილოთ დაზოგვის ნორმაში განსხვავების გააუტენა ეკონომიკურ ზრდაზე.

დაზოგვის ნორმის ცვლილება

განვიხილოთ, თუ რა ხდება ეკონომიკაში, როცა იზრდება დაზოგვის ნორმა. ნახ. 4-5-ზე წარმოდგენილია აბეგრო ცვალებადობის შედეგი. დაეუშვათ, რომ ეკონომიკა იწყებს განვითარებას, რომელიც იმყოფება მდგრად მდგომარეობაში s_1 დაზოგვის ნორმისა და k_1^* კაპიტალის მარაგის პირობებში. დაზოგვის ნორმა შემდგომ s_2 -დან s_3 -მდე იზრდება, რაც იწყებს შესაბამისი გრაფიკის $s_1(k)$ -ს გადაადგილებას. დანაზოგის s_1 და კაპიტალის k_1 საწყისი დონის პირობებში ინვესტიციები ახდენენ კაპიტალის მწურობიდან გასვლის კომპენსაციას. დაზოგვის ნორმის ამაღლების შემდეგ მაშინათვე იზრდება ინვესტიციები, მაგრამ კაპიტალის მარაგი და შესაბამისად, მისი ცვეთა ჯერჯერობით უცვლელი რჩება; შედეგად, ინვესტიციები აჭარბებენ ცვეთას. კაპიტალი თანდათანობით გაიზრდება მანამ, ვიდრე ეკონომიკა არ მიადწევს ახალ მდგრად მდგომარეობას k_2^* -ს უფრო მაღალი კაპიტალშვიარალებით და ზრომის მწარმოებელურობით, ვიდრე ეს არსებობდა უწინდელ მდგრად მდგომარეობაში.



ნახ. 4-5. დაზოგვის ნორმის ზრდა. დაზოგვის ნორმის s_1 -ის ზრდა ნიშნავს, რომ ინვესტიციების ზომა კაპიტალშვიარალების ნებისმიერი დონის პირობებში მეტი იქნება. ამიტომ ადგილი აქვს ინვესტიციის ფუნქციის გრაფიკის მაღლა გადაადგილებას. უწინდელი მდგრადი მდგომარეობის წარტლი იმ ინვესტიციებზე აჭარბებს ცვეთას. კაპიტალის მარაგი იზრდება, ვიდრე ეკონომიკა არ მიადწევს ახალ მდგრად მდგომარეობას მეტი კაპიტალშვიარალებით და მწარმოებელუ-

სოლოუს მოდელი გეიჩვენებს, რომ დაზოგვის ნორმა წარმოადგენს მდგრადი კაპიტალშვიარალების სიდიდის საკვაძო დეტერმინანტს. თუ დაზოგვის ნორმა უფრო მაღალია, მაშინ ეკონომიკას, სხვა თანაბარ პირობებში, ექნება კაპიტალის უფრო მეტი მარაგი და წარმოების უფრო მაღალი დონე.

როგორია დამოკიდებულება დაზოგვის ნორმასა და ეკონომიკურ ზრდას შორის? უფრო მაღალი დანაზოგი იწვევს უფრო სწრაფ ზრდას, მაგრამ ეს დაქარვება მუდმივად არ გრძელდება. დაზოგვის ნორმის ზრდა უზრუნველყოფს საერთო ზრდას მანამ, ვიდრე ეკონომიკა არ მიადევნებს ახალ მდგარად მდგომარეობას. თუ ეკონომიკაში შენარჩუნებულია დაზოგვის მაღალი ნორმა, მაშინ კაპიტალ შეიარაღებაც და მწარმოებლურობაც მაღალი იქნება, მაგრამ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნება მუდმივად შეუძლებელია.


მაბალითი 4-2

დაზოგვა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში

სოლოუს მოდელიდან შესაბამისად ქვეყანას, რომელიც შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ზოგავს, ექნება მაღალი მდგარი შრომის კაპიტალ შეიარაღება და შესაბამისად, ერთ სულზე შემოსავლის მაღალი დონე. ეს სულაც არ წარმოადგენს წმინდა თეორიულ დასკვნას, ვინაიდან დამტკიცებულია მრავალი დაკვირვებით.

ნახ. 4-6-ზე ნაჩვენებია მონაცემი 112 ქვეყნის მიხედვით. სურათზე წარმოდგენილია მსოფლიოს უმრავლესი ქვეყანა (გამორიცხულია ნავთობმომოყვებელი ქვეყნები და ის ქვეყნები, სადაც 1960-1985 წლებში არსებობდა კომუნისტური რეჟიმი). მონაცემები გვიჩვენებენ დადებით კავშირს ინვესტიციაზე დახარჯულ საბოლოო პროდუქტის ხვედრით წილსა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონეებს შორის. ასე მაგალითად, მაღალი დონის ინვესტიციების მქონე ქვეყნებს (აშშ, კანადა, იაპონია) გააჩნიათ ერთ სულ მოსახლეზე მაღალი შემოსავალი მაშინ, როცა ინვესტიციების დაბალი დონის ქვეყნების (ეთიოპია, ზაირი, ჩადი) ეს უკანასკნელი ბარევენ ბუღი ფრიად მცირეა. ამგვარად, საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს სოლოუს მოდელის მართებულობას იმაში, რომ დაზოგვის ნორმა ქვეყნების სიმდიდრისა თუ სიღარიბის უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტია.

მოცემული სურათი გვიჩვენებს აგრეთვე, რომ დანაზოგვისა და შემოსავლების შორის კავშირი საკმაოდ შორასა ცალსახა მნიშვნელობისაგან. აშკარაა, რომ უნდა არსებობდეს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც განსაზღვრავს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ხიდიდეს. ჩვენ ოდნავ მოგვიანებით კვლავ დავებრუნდებით ქვეყანათა შორის აღნიშნულ განსხვავებებს და შევხებით ზოგიერთ სხვა ასპექტებს, რომლებიც გაეყენას ახდენენ განსახილველ დამოკიდებულებაზე.



ნახ. 4-6. ინვესტიციების ნორმაზე და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების საერთაშორისო მონაცემები. ამ სურათზე მოყვანილია 112 ქვეყნის მიხედვით მონაცემები, საიდანაც თითოეული წარმოდგენილია ერთი წერტილით. კორიორნტალური ღერძი გვიჩვენებს ინვესტიციებს (ინვესტიციები პროცენტებში წარმოების მოცულობისათან მიმართებაში საშუალოდ 1960-1985 წწ.), ხოლო ვერტიკალური ღერძი გვიჩვენებს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალს. მოსახლეობის ერთ სულზე მაღალი შემოსავალი დაკავშირებულია მაღალ ინვესტიციებთან, როგორც ამას წინასწარმტკიცებებს სოლოუს მოდელი.

4.2. კაპიტალ შეიარაღების დონე და ოქროს წესი

ახლა, როდესაც გაანალიზებულია კავშირი დაზოგვის ნორმასა და შემოსავლისა და კაპიტალის მდგარად დონეს შორის, შეიძლება განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ზოგადი ოპტიმალური საბაზისი დაარსების თაღისაზრისით. შიშადაც. მის ნაწილში აღიწერთ. სახალმწიფოს

ეკონომიკური პოლიტიკა თუ რა გაეცენას ახდენს დაზოგვის ნორმაზე და ამგვარად, როგორ ზემოქმედებს კაპიტალის ზომაზე და წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე. ამ ნაწილში განვიხილეთ თეორიის, რომელიც საფუძვლად უდევს ამგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას. ჩვენი ანალიზი რომ გაეამარტივოთ, დავუშვათ, რომ სუბიექტს, რომელიც დებულობს გადაწყვეტილებას, უბრალოდ შეუძლია აირჩიოს ერთეული დაზოგვის ნორმა და შესაბამისად, განსაზღვრულ მდგრადი მდგომარეობა. ამჯერად განვიხილოთ, რომელი მდგრადი დონე უნდა აირჩიოს მას.

მდგრად მდგომარეობათა შედარება

აკეთებს რა არჩევანს ამა თუ იმ მდგრად მდგომარეობათა შორის, პოლიტიკოსი მიზნად ისახავს საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას. თვით საზოგადოების წევრები არ არიან დავალდებული იზრუნონ ეკონომიკაში არც კაპიტალის საერთო რაოდენობასა და არც წარმოების მოცულობაზე. მათთვის მთავარია საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელია მოხმარებაც მათ ძალუბო. ამიტომ პოლიტიკოსი, რომელიც დანტერესებულია საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებით, შეეცდება აირჩიოს მოხმარების მაღალი დონის მქონე მდგრადი დონის მდგომარეობა. კაპიტალის დაგროვების დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად მდგომარეობას მოხმარების უმაღლესი დონით, ეწოდება კაპიტალის დაგროვების ოქროს დონე და აღინიშნება k^* -ით.

როგორ უნდა მივხედეთ, შესაბამება თუ არა ეკონომიკის მანქანებელი ოქროს წესს? იმისათვის, რათა ამ კითხვას გავცეთ პასუხი, თავდაპირველად აუცილებელია განვსაზღვროთ მდგრად მდგომარეობაში ერთ მომუშავეზე მოხმარება, ხოლო შემდგომ გავარკვიოთ, მდგრად მდგომარეობებს შორის რომელი უზრუნველყოფს ყველაზე მაღალ მოხმარებას.

მდგრადი მდგომარეობის შესაბამისი მოხმარების საოპტიმალად დაიწყოთ ერთეული ანგარიშების იგივეობიდან:

$$y = c + i, \quad \text{საიდანაც } c = y - i$$

ამგვარად, მოხმარება არის წარმოებას მინუს ინვესტიციები. რამდენადაც ჩვენი მიზანია მდგრადი მოხმარების მოცულობის განსაზღვრა, შეეცვალოთ y -სა და i -ს მნიშვნელობები კაპიტალ-შეიარაღების მდგრადი დონის პირობებში მათი სიდიდებით. ეკონომიკის მდგრადი მდგომარეობის პირობებში ერთ მომუშავეზე გამოშვება არის (k^*) , სადაც k^* არის ამ მდგომარეობის შესაბამისი კაპიტალ-შეიარაღება. როგორც ცნობილია, მდგრად მდგომარეობაში კაპიტალ-შეიარაღება არ იცვლება, შესაბამისად, ინვესტიციები ტოლია ცვეთასა - δk^* . თუ ჩავსვამთ (k^*) -ს y -ის და δk^* -ს - i -ს მაგიერად, მაშინ მდგრად მდგომარეობაში ერთ მომუშავეზე მოხმარება შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად


$$c^* = f(k^*) - \delta k^*.$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ მოხმარების მდგრადი დონე არის სხვაობა მდგრად მდგომარეობაში არსებულ გამოშვებასა და კაპიტალის ცვეთას შორის. ის გვიჩვენებს, რომ ზრდადი კაპიტალ-შეიარაღება ორმაგად ზემოქმედებს მოხმარების სიდიდეზე: ის ხელს უწყობს პროდუქციის გამოშვების ზრდას, მაგრამ იმავედროულად მეტი რაოდენობის პროდუქციაა საჭირო კაპიტალის ცვეთის ასანაზღაურებლად.

ნახ. 4-7-ზე პროდუქციის გამოშვება და ცვეთა მდგრად მდგომარეობაში ნაჩვენებია ფუნქციის სახით მდგრადი კაპიტალ-შეიარაღების მიმართ. მდგრად მდგომარეობაში მოხმარება - ეს არის სხვაობა წარმოების მოცულობასა და კაპიტალის ცვეთას შორის. სურათი გვიჩვენებს, რომ არსებობს კაპიტალ-შეიარაღების ერთადერთი დონე - ოქროს წესის დონე k^* , რომლის დროსაც ერთ სულზე მოხმარება აღწევს მაქსიმუმს.

სხვადასხვა მდგრად მდგომარეობათა შედარებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას კაპიტალ-შეიარაღების ზრდის გაეცენა როგორც წარმოების მოცულობაზე, ასევე კაპიტალის ცვეთაზე. ერთის მხრივ, თუ კაპიტალ-შეიარაღება ნაკლებია ოქროს წესით არსებულ დონეზე, მაშინ კაპიტალის მარაგის ზრდა იწვევს წარმოების ზრდას, რომელიც აჭარბებს ცვეთას. ამ შემთხვევაში მოხმარება იზრდება. საწარმოო ფუნქციის მრუდის დახრილობა უფრო მეტია, ვიდრე δk^* გრაფიკაზე, ასე რომ, მათ შორის სხვაობა (რომელიც მოხმარების ტოლია) იზრდება k^* -ს ზრდის ეკალობაზე. მეორეს მხრივ, თუ კაპიტალის მოცულობა აჭარბებს ოქროს წესის დონეს, კაპიტალ-შეიარაღების შემდგომი ზრდა შეამცირებს მოხმარებას, ვინაიდან პროდუქციის გამოშვების ზრდა აღმოჩნდება საკაპიტალის ცვეთის ხარზრზე ნაკლები. ამ შემთხვევაში საწარმოო ფუნქციის გრაფიკი არის ნაკლებად დახრილი, ვიდრე δk^* -ს გრაფიკი, ასე რომ, მათ შორის სხვაობა (მოხმარების მოცულობა) მცირდება k^* -ს ზრდის ეკალობაზე. ოქროს წესის შესაბამისი კაპიტალ-შეიარაღების დროს საწარ-

მო ფუნქცია და δk^* -ს გრაფიკი ერთნაირი დახრილობით ხასიათდება და მოხმარებაც აღწევს მაქსიმალურ დონეს.



ნახ. 4-7. მოხმარების მდგრადი დონე. წარმოებული პროდუქცია იხარჯება მოხმარებაზე და ინვესტიციაზე. მდგრად მდგომარეობაში ინვესტიცია ტოლია კაპიტალის ცვეთისა. ამიტომ, მოხმარების მდგრადი დონე არის სხვათა წარმოების მოცულობას $f(k^*)$ და ცვეთას - δk^* -ს შორის. კაპიტალ შეიარაღების მდგრადი დონე, რომლის დროსაც ხდება მოხმარების მოცულობის მაქსიმუმაცია, შეესაბამება ე.წ. ოქროს წესს. ოქროს წესის თანახმად კაპიტალ შეიარაღება აღნიშნულია k^* -ით, ხოლო მოხმარება - c^* -ით.

იმისათვის, რომ ამ დასკვნამდე სხვა გზით მივიდეთ, დაეუშვათ, საწყისი კაპიტალ შეიარაღება ტოლია k^* -სი და განიხილება კაპიტალის ზრდის შესაძლებლობა k^*+1 -მდე. დამატებით გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შეადგენს $f(k^*+1)-f(k^*)$, რაც წარმოადგენს კაპიტალის ზღერულ პროდუქტს - MPK -ს.

ცვეთის ნაზრდი, რომელიც გამოწვეულია კაპიტალის ერთი ერთეულით ზრდის შედეგად, არის ცვეთის ნორმა δ . კაპიტალის ამ დამატებითი ერთეულის წმინდა ეფექტი (მოხმარების ზრდა) შეადგენს $MPK-\delta$, ე.ი. კაპიტალის ზღერულ პროდუქტს მინუს ცვეთის ნორმა. თუ მდგრად მდგომარეობაში კაპიტალის მარაგი ნაკლებია, ვიდრე ოქროს წესის შემთხვევაში, კაპიტალის ზრდა თავის მხრივ ზრდის მოხმარებას, ვინაიდან კაპიტალის ზღერული პროდუქტი მაღალია ცვეთის ნორმაზე.

თუ კაპიტალის მდგრადი მარაგი აჭარბებს ოქროს წესის დონეს, მაშინ კაპიტალის მოცულობის ზრდა ამცირებს მოხმარებას, ვინაიდან კაპიტალის ზღერული პროდუქტი ნაკლებია, ვიდრე ცვეთის ნორმა. ამიტომ, ოქროს წესს შემდეგი პირობა წარმოადგენს:

$$MPK = \delta$$

ოქროს წესის დონეზე კაპიტალ შეიარაღების დროს კაპიტალის ზღერული პროდუქტი ტოლია ცვეთის ნორმისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ოქროს წესი სრულდება, კაპიტალის ზღერული პროდუქტი ცვეთის ნორმის გამოკლებით ($MPK-\delta$) ნულის ტოლია.

მდგრადი კაპიტალ დაბანდების ალტერნატიული დონეები: რიცხობრივი მაგალითით განვიხილოთ მდგრადი მდგომარეობის არჩევის შექანიზმი ჩვენს პიპოთეზურ ეკონომიკაში. დაეუშვათ, საწარმოო ფუნქცია არის ისეთი, როგორც ადრე მოცემულ მაგალითში:

$$y = \sqrt{k}$$

ერთ მიმუშავეზე პროდუქციის გამოშვება არის შრომის კაპიტალ შეიარაღების კეადრატული ფესვი. კაპიტალის ცვეთის ანაზღაურებაზე იხარჯება წარმოების მოცულობის 10%. ამჯერად, აირჩევა დაზოგვის ნორმა s და ამჯერად, ეკონომიკის შესაბამისი მდგრადი მდგომარეობა.

გაეისინოთ, რომ თანაფარდობა „კაპიტალი/გამოშვება“ მდგრად მდგომარეობაში არის

$$\frac{k^*}{f(k^*)} = \frac{s}{\delta}$$

ჩვენს ეკონომიკაში ეს ტოლობა იღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{k^*}{\sqrt{k^*}} = \frac{s}{0,1}$$

ტოლობის ორივე მხარის კვადრატში აყვანით მივიღებთ მდგრადი კაპიტალშეიარაღების სი-
ღივს. მაშასადამე,

$$k^* = 100s^2$$

ესარგებლობთ რა ამ შედეგით, შეიძლება გამოვიანგარიშოთ მდგრადი მდგომარეობის კაპი-
ტალ შეიარაღების მნიშვნელობა დაზოგვის ნორმის ნებისმიერი დონის პირობებში.

ცხრილი №3-ში წარმოდგენილია მანვერებელთა გაანგარიშების შედეგები, რომლებიც აღწერენ
მდგრად მდგომარეობას დაზოგვის სხვადასხვა ნორმის დროს. ეხედეთ, რომ რაც უფრო მაღალია
დაზოგვის ნორმა, მით მეტია კაპიტალი, რაც თავის მხრივ, იწვევს წარმოების მოცულობისა და
ცვეთის ზრდას. მოხმარების მდგრადი დონე (სხვაობა პროდუქციის გამოშვებასა და ცვეთას შორის)
თავდაპირველად იზრდება დაზოგვის ნორმის ზრდასთან ერთად, ხოლო შემდეგ ეცემა. მოხმარების
ყველაზე მაღალი დონე მიიღწევა მაშინ, როცა დაზოგვის ნორმა 0,5-ის ტოლია; დაზოგვის ეს ნორ-
მა უზრუნველყოფს მდგრად მდგომარეობას, რომელიც შეესაბამება ოქროს წესს.

ოქროს წესის მდგრადი მდგომარეობის განსაზღვრის სხვა საშუალებაა კაპიტალის ზღვრული
მწარმოებლურობის საფუძველზე გაანგარიშება. როგორც ცნობილია, კობი-დუგლასის საწარმოო
ფუნქციიდან $MPK = \alpha y/k$. ვისარგებლებით რა ამ ფორმულით და იმ ფაქტით, რომ ჩვენს მაგალითში
 $\alpha = 1/2$ -ს, შევნიშნავთ, რომ ცხრილი №3-ის ბოლო ორი სვეტი გვიჩვენებს (MPK-მ)-ს სიდიდეებს სხვა-
დასხვა მდგრადი მდგომარეობისათვის. გავიხსენოთ კიდევ ერთხელ, რომ ოქროს წესის შესაბამისად
მდგრადი მდგომარეობის პირობებში კაპიტალის ზღვრული პროდუქტი ცვეთის გამოკლებით ნულის
ტოლია.

ცხრილი №3

მდგრად მდგომარეობათა შედარება: რიცხობრივი მაგალითი						
პირობები: $y = \sqrt{k}$; $\delta = 0,1$						
s	k*	y*	δk^*	c*	MPK	MPK- δ
0	0,0	0,0	0,0	0,0	∞	∞
0,1	1,0	1,0	0,1	0,9	0,500	0,400
0,2	4,0	2,0	0,4	1,6	0,250	0,150
0,3	9,0	3,0	0,9	2,1	0,167	0,067
0,4	16,0	4,0	1,6	2,4	0,125	0,025
0,5	25,0	5,0	2,5	2,5	0,100	0,000
0,6	36,0	6,0	3,6	2,4	0,083	-0,017
0,7	49,0	7,0	4,9	2,1	0,071	-0,029
0,8	64,0	8,0	6,4	1,6	0,062	-0,038
0,9	81,0	9,0	8,1	0,9	0,056	-0,044
1,0	100,0	10,0	10,0	0,0	0,050	-0,050

მდგრად მდგომარეობაში გადასვლა, რომელიც შეესაბამება ოქროს წესს

ამჯერად, ჩვენი პოლიტიკოსის გადაწყვეტილება უფრო რეალისტური გაეხადოთ. აქამდე
ვეულისძიობდით, რომ უბრალოდ შეგვეძლო აგვეჩინა ეკონომიკის ესა თუ ის მდგრადი
მდგომარეობა. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო ოქროს წესთან შესაბამისი ყველაზე მაღალი
მოხმარების დონის მქონე მდგრადი მდგომარეობის არჩევა. ახლა კი დაუფრთხეთ, რომ ეკონომიკა
შუქვ მიიღწეა მდგრად მდგომარეობას, რომელიც არ შეესაბამება ოქროს წესს. როგორ შეიცვლება
მოხმარება, ინვესტიციები და კაპიტალის მარაგი, თუ ეკონომიკაში დიდიხვევა ერთი მდგრადი
მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა? ამ გარდამავალი პერიოდის შემთხვევას შეუძლია თუ არა

აიძულოს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი უარი თქვას ცლაზე, გავიდეს ოქროს წესის ტრაქტორიაზე?


აუცილებელია ორი შემთხვევის განხილვა: როცა ეკონომიკა თავდაპირველად უზრუნველყოფილია კაპიტალის დიდი ან მცირე მოცულობით, ეიდრე ოქროს წესის მდგრად მდგომარეობაში შეიძლება იყოს. მეორე შემთხვევა, როცა კაპიტალი ძალიან მცირეა, უფრო რთულია: აუცილებელია მიმდინარე მოხმარების უპირატესობის შედარება მოხმარებასთან მიმართებაში. როგორც თემის მე-5 ნაწილში იქნება ნაჩვენები, ეს შემთხვევა აქტუალურია მრავალი ქვეყნისათვის, მათ შორის აშშ-თვისაც.

ეკონომიკა იწყებს განვითარებას კაპიტალის მარაგით, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მას შეეძლო შქონოდა ოქროს წესის მიხედვით.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ სიტუაცია, რომლის დროსაც ეკონომიკა იწყებს განვითარებას კაპიტალის მარაგით, რომელიც მეტია, ვიდრე შეიძლება იყოს ოქროს წესის შემთხვევაში. ამ დროს აუცილებელია გატარდეს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება დაზოგვის ნორმის შემცირებისაკენ იმისათვის, რათა შემცირდეს კაპიტალის მარაგის მდგრადი დონე. დაუშვათ, ასეთი პოლიტიკა წარმატებით განხორციელდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ (რომელსაც აღვნიშნავთ t_2) დაზოგვის ნორმა მცირდება იმ დონემდე, რომელიც მიეციყვანს ოქროს წესის მიხედვით მდგრად მდგომარეობამდე.

ნახ. 4-8 გვიჩვენებს, თუ რა ემართება წარმოებას, მოხმარებასა და ინვესტიციებს დაზოგვის ნორმის შემცირების პირობებში. დაზოგვის ნორმის შემცირება იწყებს მოხმარების დონის დაუყოვნებლივ ზრდას და ინვესტიციის დონის შემცირებას. კაპიტალდაბანდება ნაკლები გახდება, ვიდრე მისი ცვეთა. ამგვარად, ეკონომიკა გამოდის მდგრადი მდგომარეობიდან. თანდათანობით, კაპიტალის მარაგის შემცირების კვალობაზე, პროდუქციის გამოშვება, მოხმარება და ინვესტიციები აგრეთვე შემცირდება ახალ მდგრად მდგომარეობამდე. რამდენადაც მდგრადობის ახალ მდგომარეობაში მყარდება ოქროს წესის პროპორცია, მოხმარების დონე ახლა უფრო მაღალია, ვიდრე დაგროვების ნორმის ცვლილებამდე. მიუხედავად იმისა, რომ წარმოება და ინვესტიციები შემცირდა.

შეინშნობთ, რომ უწინ არსებულ მდგრად მდგომარეობასთან შედარებით მოხმარება მაღალია მდგრადობის არა მარტო ახალ წერტილში, არამედ ამ წერტილის მთელ გაყოლებაზე. როდესაც კაპიტალის მარაგი აჯარბებს იმ დონეს, რომელიც შეესაბამება ოქროს წესს, დაზოგვის ნორმის შემცირება წარმოადგენს სწორ პოლიტიკას, რამდენადაც ის იწყებს მოხმარების ზრდას მთელი გარდასაქმებული პერიოდის განმავლობაში.




ნახ. 4-8 დაზოგვის ნორმის შემცირება საწინააღმდეგო კაპიტალის პირობებში, რომელიც მეტია ოქროს წესთან შედარებით. ეს სურათი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება დროთა განმავლობაში პროდუქციის გამოშვება, მოხმარება და ინვესტიციები, როცა ეკონომიკა ეთარდება ოქროს წესთან შედარებით მეტი კაპიტალით. დაზოგვის ნორმის შემცირება (ს მონეტში) იწყებს მოხმარების დაუყოვნებლივ ზრდას და შესაბამისად, ინვესტიციების შემცირებას. კაპიტალშეარაღების შემცირების კვალობაზე გამოშვება, მოხმარება და ინვესტიციები ერთდროულად მცირდება. მაგრამ ვინაიდან ამოსავლი კაპიტალის მარაგი იყო ძალიან დიდი, მოხმარება ახალ მდგრად მდგომარეობაში მაღალია საწინააღმდეგო მარეობასთან შედარებით.

ეკონომიკა იწვევს განვითარებას ნაკლები კაპიტალშეიარაღებით, ვიდრე ოქროს წვისს მიხედვით მდგრად მდგომარეობაში შეიძლება ყოფილიყო

როცა ეკონომიკა ვითარდება ნაკლები კაპიტალშეიარაღებით, ვიდრე ოქროს წვისს მდგრად მდგომარეობაში შეიძლება არსებობდეს, აუცილებელია დაზოგვის ნორმის ზრდა, რათა მიღწეული იქნას წერტილი, რომელიც შეესაბამება ოქროს წვისს. ნახ. 9-ზე ნაჩვენებია, თუ რა შეიძლება მოხდეს. დაზოგვის ნორმის ზრდა ს მომენტში იწვევს მოხმარების დაუყოვნებლივ შემცირებას და ინვესტიციების ზრდას. ინვესტიციების ზრდა გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოიწვევს კაპიტალშეიარაღების ზრდას. კაპიტალის დაგროვების კეალობაზე წარმოება, მოხმარება და ინვესტიცია თანდათანობით გაიზრდება და საბოლოოდ, მიადწევს ახალ მდგრად მდგომარეობას. ამდენადაც მოხმარება საწყის მდგრად მდგომარეობაში იყო მცირე, ვიდრე ოქროს წვისს მიხედვით, დაზოგვის ნორმის ზრდა საბოლოოდ მიგვიყვანს მოხმარების უფრო მაღალ დონემდე.

მიყვავართ კი დაზოგვის ნორმის ზრდას, რომელიც უზრუნველყოფს ოქროს წვისს მდგრადი მდგომარეობის მიღწევას, კეთილდღეობის ზრდისაკენ? საბოლოო ანგარიშით – დიახ, იმიტომ, რომ მოხმარების მდგრადი დონე ახლა უფრო მაღალია. მაგრამ, ამ ახალი მდგრადი მდგომარეობის მისაღწევად საჭიროა შემცირებული მოხმარების მქონე საწყისი პერიოდი (განსხვავებით იმ სიტუაციისაგან, როცა საწყისი კაპიტალშეიარაღება მაღალია, ვიდრე ოქროს წვისს შემთხვევაში).

როცა საწყისი კაპიტალშეიარაღება მაღალია, ვიდრე ოქროს წვისს მიხედვით, მაქსიმალური მოხმარების მქონე მდგრადი მდგომარეობის მიღწევა თანდაყოლილია მოხმარების უფრო მაღალი დონით მთელი განსახილველი დროის მანძილზე. როცა საწყისი კაპიტალშეიარაღება ნაკლებია, ვიდრე ოქროს წვისს მიხედვით, მდგრადი მდგომარეობის მიღწევა ოქროს წვისს მიხედვით საჭიროებს მოხმარების დაუყოვნებლივ შემცირებას მოცემულ დროში, რათა ის გაიზარდოს მომავალში.



ნახ. 4-9. დაზოგვის ნორმის ზრდა საწყისი კაპიტალის პირობებში, რომელიც ნაკლებია ოქროს წვთან შედარებით. ეს სურათი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება დროთა განმავლობაში პროდუქციის გამოშვება, მოხმარება და ინვესტიციები, როცა ეკონომიკა ვითარდება ოქროს წვისთან შედარებით ნაკლები კაპიტალით. დაზოგვის ნორმის ზრდა (ს მომენტში) იწვევს მოხმარების დაუყოვნებლივ შემცირებას და შესაბამისად, ინვესტიციების ზრდას. კაპიტალის მარაგის ზრდის კეალობაზე გამოშვება, მოხმარება და ინვესტიციები ერთდროულად იზრდება. რამდენადაც ეკონომიკამ განვითარება დაიწყო ნაკლები კაპიტალით, ვიდრე ოქროს წვისს შემთხვევაში, ახალ მდგრად მდგომარეობას შეესაბამება მოხმარების უფრო მაღალი დონე საწყის მდგომარეობასთან შედარებით.

ოქროს წვისს მიხედვით კაპიტალშეიარაღების მდგრად დონეზე გადასვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება რთულდება იმით, რომ მისახლეობის შეუძლებლობა ყოველთვის განიცდის განახლებას. ოქროს წვისს დონის მიღწევას საბოლოო ანგარიშით მიყვავართ მოხმარების უმაღლეს მდგრად დონემდე და ამიტომ, ხელსაყრელია მომავალი თაობისათვის. მაგრამ როცა საწყისი კაპიტალშეიარაღება მცირეა, ვიდრე ოქროს წვისს მიხედვით, ახალი მდგრადი დონის მიღწევა საჭიროებს ინვესტიციების მკვეთრ ზრდას და შესაბამისად, ახლანდელი თაობის მიერ მოხმარების სიღრმის შემცირებას.

კაპიტალის დაგროვების ზრდის თაობაზე საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს სხვადასხვა თაობათა კეთილდღეობის შვდარებას. პოლიტიკოსმა, რომელიც მომავალი თაობის კეთილდღეობასთან შედარებით ახლანდელი თაობის კეთილდღეობაზე ზრუნავს, შეიძლება უარი თქვას ოქროს წვისს მიხედვით მდგრადი დონის მიზნის მიღწევაზე და პირიქით, ის, ვინც თანაბრად ზრუნავს ყველა თაობაზე, მაშინ მიჰყვება ოქროს წვისს. თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ახლანდელი თაობა დაიწყებს ნაკლები მოხმარებას, ყველა მომავალი თაობა ისარგებლებს იმ მოგებით, რომ არჩეული გაკეთდა ოქროს წვისს შესაბამისად.

ამგვარად, კაპიტალის დაგროვების ოპტიმალური ტემპი გადაწყვეტილიად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება ახლიანდელი და მომავალი თაობის ინტერესების შედარება. ბიბლიური ოქროს წესი გვეუბნება, რომ „სხვას უნდა მოვეცქეთ ისე, როგორც გესურს სხვებზე მოგვეცქინენ ჩვენ“. თუ მივყვებით ამ პრინციპს, მაშინ ყოველი თაობის კეთილდღეობა ერთნაირად მნიშვნელოვანია. ოქროს წესის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება საკითხის ამგვარად დასმის შემთხვევაში წარმოადგენს ოპტიმალურ სტრატეგიას, ამიტომაც, ამ წესს უწოდებენ ოქროს წესს.

4-3. მოსახლეობის ზრდა

სოლოუს საბაზო მოდელი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის დაგროვებას თავისთავად არ შეუძლია ახსნას უწყვეტი ეკონომიკური ზრდა. დაზოგვის მაღალი ნორმა დროდადრო ზრდის ეკონომიკური ზრდის ტემპს, მაგრამ ეკონომიკა საბოლოოდ მდგრად მდგომარეობას უახლოვდება, რომლის დროსაც კაპიტალის მარაგი და წარმოების მოცულობა მუდმივია. იმისათვის, რომ აეხსნათ უწყვეტი ეკონომიკური ზრდა, რომელიც შეიძლება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საჭიროა სოლოუს მოდელის გაფართოება და მასში ეკონომიკური ზრდის ორი წყაროს ჩართვა: მოსახლეობის ზრდისა და ტექნოლოგიური პროგრესის. ამ ნაწილში სოლოუს მოდელში შემოგვაქვს მოსახლეობის ზრდის ფაქტორი.

იმის მაგივრად, რომ მოსახლეობა ჩავთვალოთ მუდმივად (როგორც ამას ქორნა ადგილი I და II ნაწილში), დავუშვათ, რომ მოსახლეობა და სამუშაო ძალა იზრდება n მუდმივი ტემპით. მაგალითად, აშშ-ში მოსახლეობა წელიწადში საშუალოდ 1%-ით იზრდება, ე.ი. $n=0,01$. ეს ნიშნავს, რომ თუ ამ წელს მოშაობდა 150 მლნ ამერიკელი, მომდევნო წელს იმუშაებს 151,5 მლნ კაცი ($1,01 \times 150$), შემდგომ წელს იმუშაებს 153,015 მლნ კაცი ($1,01 \times 151,5$) და ა.შ.

კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე მოსახლეობის ზრდის შემთხვევაში

რა გაუძენას ახდენს მოსახლეობის ზრდა მდგრად მდგომარეობაზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია განვიხილოთ, თუ როგორ ახდენს გაუძენას მოსახლეობის ზრდა (ინვესტიციებთან და კაპიტალის ცვეთასთან ერთად) შრომის კაპიტალშეიარაღებაზე, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ინვესტიციები ზრდის კაპიტალის მარაგს, ხოლო ცვეთა – ამცირებს. მაგრამ ახლა გამოჩნდა ახალი ძალა, რომელიც გაუძენას ახდენს კაპიტალის რაოდენობაზე, რომელიც შრომის ერთ მომუშავეზე: მომუშაეთა რიცხვნობის ზრდა იწვევს თითოეული მომუშავეის კაპიტალშეიარაღების შემცირებას.

ჩვენ კელაე ეისარგებლებთ პატარა ასოებით რაოდენობრივი მაჩვენებლების აღსანიშნავად, რომელიც შრომის ერთ მომუშავეზე: მაგალითად, $k=K/L$ – არის კაპიტალი I მომუშავეზე და $y=Y/L$ – არის პროდუქციის გამოშვება I მომუშავეზე. გვახსოვდეს, რომ დროთა განმავლობაში მომუშაეთა რაოდენობა გაიზრდება.

კაპიტალის მარაგის ცვლილება, რომელიც შრომის ერთ მომუშავეზე, შეადგენს:

$$\Delta k = i - \delta k - nk^2$$

ამ ტოლობის მარჯვენა ნაწილის სამი შემადგენელი ფაქტორი გვიჩვენებს ინვესტიციის, კაპიტალის ცვეთისა და მოსახლეობის ზრდის გაუძენას კაპიტალშეიარაღების სიდიდეზე. ინვესტიციები ადიდებენ k -ს, ხოლო კაპიტალის ცვეთა და მოსახლეობის ზრდა მას ამცირებს. ჩვენ უკვე განვიხილეთ ამ ტოლობის კერძო შემთხვევა, როცა $n=0$.

იმისათვის, რათა ეისარგებლოთ ამ ტოლობით, შევცვალოთ სიდიდე $sf(k)$ -ით და გადავიწეროთ:

$$\Delta k = sf(k) - (\delta + n)k$$


კაპიტალის ცვეთისა და მოსახლეობის ზრდის ეფექტი ახლა გაერთიანებულია. ტოლობა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის ზრდა ამცირებს კაპიტალშეიარაღებას ისევე, როგორც კაპიტალის მწკობრიდან გასვლა. ეს უკანასკნელი ამცირებს k -ს კაპიტალის მარაგის შემცირების ხარჯზე, მაშინ, როცა მოსახლეობის ზრდა ამცირებს k -ს მომუშაეთა დიდ რაოდენობაზე კაპიტალის განაწილებით.

² ეს ტოლობა მიახლოებითია: ის შეიძლება გამოყენებული იქნას კაპიტალისა და სამუშაო ძალის ნაზრდის მჭიდრო ტემპების პირობებში. რამდენადაც $k=K/L$, $dk=1/L(dk)-k/L^2(dL)$. ცხადია, $\frac{dk}{k} = i - \delta k$, ხოლო $\frac{dk}{k} = \frac{i}{k} + \frac{dk}{k} = k \times n$. ამგვარად, $dk = i - \delta k - nk$, და $\Delta k = i - \delta k - nk$.

შემაღრმელები $(\delta + \eta)k$ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინვესტიციის კრიტიკული სიდიდე. ეს არის ინვესტიციები, რომელიც აუცილებელია კაპიტალის მარაგის შესანარჩუნებლად მუდმივ დონეზე, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე. ინვესტიციის კრიტიკული დონე უზრუნველყოფს კაპიტალის ცვეთის ანახალურებას, რომელიც ტოლია δk -სი. ის ასევე მოიცავს ინვესტიციებს, რომელიც აუცილებელია ახალი მომუშავეების კაპიტალით უზრუნველსაყოფად უწინდელი მოცულობაში. ამ მიზნისათვის ინვესტიციები შეადგენს ηk , ვინაიდან ყოველ მომუშავეზე მოდის η ახალი მომუშავე და k არის კაპიტალშეიარაღების აუცილებელი დონე.

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რაზეა დამოკიდებული კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე, ვისარგებლოთ ნახ. 4-10-ით, რომელზეც ის სიტუაცია, რომელიც გამოსახულია ნახ. 4-4-ზე, გართულებულია მოსახლეობის ზრდის ფუნქტის ჩართვით. ეკონომიკა იწყება მდგრად მდგომარეობაში, თუ ერთ მომუშავეზე კაპიტალი k უცვლელია. აღენიშნოთ კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე k^* სიმბოლოთი. თუ k ნაკლებია, ვიდრე k^* , მაშინ ფაქტური ინვესტიციები მეტია მათ კრიტიკულ სიდიდეზე და k იზრდება. თუ $k > k^*$, მაშინ ინვესტიციები მცირეა, ვიდრე კრიტიკული სიდიდე და k მცემა.

მდგრად მდგომარეობაში ინვესტიციების დადებითი გაუქმება კაპიტალშეიარაღების სიდიდეზე ზუსტად აკომპენსირებს კაპიტალის ცვეთისა და მოსახლეობის ზრდის ნეგატიურ გაუქმებას. მაგალითად, k^* წერტილში $\Delta k = 0$ და $i^* = \delta k^* + n k^*$. თუ ეკონომიკამ მიაღწია მდგრადობის დონეს, ინვესტიციებს გააჩნიათ ორი მიზანი და ორი შემაღრმელები ნაწილი. ერთი მათ შორის - გაცეცხლით კაპიტალის შეცვლა (δk^* შემაღრმელები), ხოლო მეორე - ახალი მომუშავეთა უზრუნველყოფა მდგრადი მდგომარეობის დონის შესაბამისი კაპიტალით ($n k^*$ შემაღრმელები).



ნახ. 4-10. მოსახლეობის ზრდა სოლოუს მოდელში. კაპიტალის ცვეთის მსგავსად, მოსახლეობის ზრდა ერთ მომუშავეზე კაპიტალის მარაგის შექმნის ერთ-ერთი მიზეზია. თუ n არის მოსახლეობის ზრდის ტემპი, ხოლო δ -კაპიტალის ცვეთის ნორმა, მაშინ $(\delta + \eta)k$ - ინვესტიციის მოცულობაა, რომელიც აუცილებელია კაპიტალშეიარაღების შესანარჩუნებლად მუდმივ დონეზე. იმისათვის, რომ ეკონომიკა იყოს მდგრად მდგომარეობაში, ინვესტიციებმა $f(k)$ უნდა მოახდინონ კაპიტალის ცვეთისა და მოსახლეობის ზრდის $(\delta + \eta)k$ კომპენსაცია, რაც ნაჩვენებია სურათზე ორი მრუდის გადაკვეთით.

მოსახლეობის ზრდის შედეგი

მოსახლეობის ზრდა აესებს სოლოუს ამოსავალ მოდელს სამი მიმართულებით:

პირველი, ის საშუალებას იძლევა მივუახლოვდეთ ეკონომიკური ზრდის მიზეზების ახსნას. ეკონომიკის მდგრად მდგომარეობაში ზრდადი მოსახლეობის დროს კაპიტალი და პროდუქციის გამოშვება ერთ მომუშავეზე რჩება უცვლელი, რადგანაც მომუშავეთა რაოდენობა თუ იზრდება n ტემპით, კაპიტალი და წარმოების მოცულობაც იზრდება n ტემპით. მაშასადამე, მოსახლეობის ზრდას არ შეუძლია ახსნას ცხოვრების დონის ხანგრძლივი ზრდა, ვინაიდან წარმოების მოცულობა ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით მდგრად მდგომარეობაში მუდმივი რჩება. თუმცა მოსახლეობის ზრდას შეუძლია ახსნას პროდუქციის მოლიანი გამოშვების უწყვეტი ზრდა.

მეორე, მოსახლეობის ზრდას შეუძლია მოგვეცეს დამატებითი ახსნა იმისა, თუ რატომაა ერთი ქვეყანა მდიდარი, მეორე - ღარიბი. განვიხილოთ მოსახლეობის ზრდის დაჩქარების შედეგები. ნახ. 4-11-ზე ნაჩვენებია, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპის მატება იქნება n_2 -მდე ამცირებს მდგრადი მდგომარეობის კაპიტალშეიარაღებას k_1^* -დან k_2^* -მდე. რამდენადაც i^* მცირდება, ხოლო $y^* = f(k^*)$, იმდენად მწარმოებლურობა y^* აგრეთვე მცირდება. ამდენად, სოლოუს ზოგადი გეოგრაფიკული თეორემა, რომ მოსახლეობის მაღალი ტემპებით ზრდის მქონე ქვეყნებს ექნებათ მშპ-ს უფრო დაბალი დონე მოსახლეობის ერთ სულზე.

შესაბამისად, მოსახლეობის ზრდა გააღებინა ახდენს კაპიტალის დაგროვების დონეზე ოქროს წესის მიხედვით. გაეისხნეთ, რომ ერთ მომუშავეზე მოხმარება ტოლია

$$c = y - I$$

რადგანაც წარმოების მდგრადი მოცულობა არის $f(k^*)$, ხოლო მდგრადი მდგომარეობის ინვესტიციები $-(\delta+n)k^*$, მოხმარების მდგრადი დონე შეიძლება განესაზღვროთ, როგორც

$$c^* = f(k^*) - (\delta + n)k^*$$


k^* დონე, რომელიც ახდენს მოხმარების მაქსიმუმაციას ისეთია, რომ

$$MPK = \delta + n$$

ანუ შესაბამისად

$$MPK - \delta = n$$

ოქროს წესის მიხედვით მდგრად მდგომარეობაში კაპიტალის ზღერულ პროდუქტს გამოკლებული ცვეთა ტოლია მოსახლეობის ზრდის ტემპისა.




ნახ. 4-11 მოსახლეობის ზრდის გააღებინა მოსახლეობის ზრდის ტემპის მატება ი გრაფიკს მალა გადაადგილებს, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ზრდას და კაპიტალის ცვეთას ახალი მდგრადი მდგომარეობისათვის დამახასიათებელია კაპიტალის ნაკლები მარაგი ერთ მომუშავეზე. მაშასადამე, ხოლო უფრო მოდელი გვიჩვენებს, რომ ქვეყანას, რომელსაც გააჩნია მოსახლეობის უფრო მაღალი ზრდის ტემპი, ექნება ნაკლები კაპიტალ შეგროვება და აქედან გამომდინარე, უფრო ნაკლები შემოსავლები.

შეჯამება 4-3

მოსახლეობის ზრდა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში

სოლოუს მოდელის შესაბამისად ქვეყანას, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის უფრო მაღალი ზრდის ტემპით, სხვა თანაბარ პირობებში, ექნება უფრო დაბალი მდგრადი შრომის კაპიტალ შეგროვება და შედეგად, უფრო დაბალი დონის შემოსავალი ერთ სულზე. სხვა სიტუაციებში რომ ვთქვათ, მოსახლეობის სწრაფი ზრდა იწვევს ქვეყნების გაღარიბების ტენდენციას, იმიტომაც ასეთ შემთხვევაში ძალიან რთულია მაღალი დონის კაპიტალ შეგროვების შენარჩუნება, როცა თვით მომუშავეთა რაოდენობა სწრაფად იზრდება. იმისათვის, რომ ნათელყოთ, დასტურდება თუ არა აღნიშნული დასკვნები ფაქტებით, დაეუბრუნეთ სერთაშორისო სტატისტიკის ანალოზს.

ნახ. 4-12-ზე წარმოდგენილია მონაცემები 112 ქვეყნისათვის, რომლებიც განვიხილეთ მე-2 მავალითში. მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპების მქონე ქვეყნებში ჩვეულებრივ შეიზრდება მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების დაბალი დონე. ამგვარად, გვაქვს სოლოუს მოდელის დასკვნების შესაბამისი ფაქტები. კერძოდ, მოსახლეობის ზრდის რაბი წარმოადგანს ჩინანაში ცხოვრების დონის ერთ-ერთ დაკარგვანას.



ნახ. 4-12 სხვადასხვა ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებისა და მოსახლეობის ზრდის შესახებ მონაცემები. სურათზე წარმოდგენილია მანევრებელი, რომლებიც ადასტურებს, რომ მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპების მქონე ქვეყნებში, ჩვეულებრივ, შეიძლება მოსახლეობის ერთ სულზე დაბალი შემოსავლების დონე (როგორც ამას წინასწარმეტყველებს სოლოუს მოდელი)

4.4. ტექნოლოგიური პროგრესი

ამჯერად სოლოუს მოდელში ჩაერთოდ ტექნოლოგიური პროგრესი – ეკონომიკური ზრდის მესამე წყარო. აქამდე იგულისხმებოდა შრომისა და კაპიტალის დანახარჯებისა და საქონლისა და მომსახურების გამოშვებას შორის თანაფარდობის მუდმიუობა. მაგრამ, მოდელი შეიძლება შეეცვალოს ისე, რომ ის მოიცავდეს საზოგადოებრივი მწარმოებლურობის ზრდას რომელიმე გარეშე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

შრომის ეფექტიანობა

მოდელში ტექნოლოგიური პროგრესის ჩართვის მიზნით აუცილებელია დაეუბრუნდეთ საწარმოო ფუნქციას, სადაც წარმოების საერთო მოცულობა Y შეეფარდება კაპიტალის - K და შრომის - L დანახარჯებს. აქამდე საწარმოო ფუნქცია გამოისახებოდა, როგორც

$$Y = F(K, L)$$

ახლა საწარმოო ფუნქცია ჩაწერეთ შემდეგი სახით:

$$Y = F(K, L \times E)$$

სადაც E წარმოადგენს ახალ ცვლადს, რომელსაც ეუწოდებთ ერთი მომუშავეის შრომის ეფექტიანობას. შრომის ეფექტიანობა დამოკიდებულია საშუალო ძალის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე და კვალიფიკაციაზე.

შემადგენელი $L \times E$ წარმოადგენს საშუალო ძალას, რომელიც იზომება უცვლელი ეფექტიანობის შრომის ერთეულით. მხედველობაში მივიღება მომუშავეთა რაოდენობა L და თითოეულის ეფექტიანობა E . ახალი საწარმოო ფუნქციის შესაბამისად წარმოების საერთო მოცულობა (Y)

დამოკიდებულია კაპიტალის ერთეულისა (K) და სამუშაო ძალის (L) ეფექტიანი ერთეულის რაოდენობაზე, ე.ი. $L \times E$ -ზე.

ტექნოლოგიურ პროგრესთან დაკავშირებით უმარტივესი დაშვებაა ის, რომ იგი იწვევს E შრომის ეფექტიანობის ზრდას გ მუდმივი ტემპით. მაგალითად, თუ $g=0,02$, მაშინ შრომის ყოველი ერთეულიდან უკუგება წელიწადში 2%-ით გაიზრდება: წარმოების მოცულობა გაიზრდება ისე, როგორც ის შეიძლება გასრდილიყო სამუშაო ძალის წელიწადში 2%-ით ზრდის შემთხვევაში. ტექნოლოგიური პროგრესის ამ ფორმას შრომადამზოგავი ეწოდება, ხოლო g -ს — შრომადამზოგავი ტექნოლოგიური პროგრესის ტემპი. რამდენადაც სამუშაო ძალა L იზრდება n ტემპით და შრომის ყოველი ერთეულიდან (E) უკუგება — გ ტემპით, ეფექტიანი შრომის ერთეულის საერთო რაოდენობა ($L \times E$) იზრდება $(n+g)$ ტემპით.


კაპიტალშეიარაღების მდგრადი დონე ტექნოლოგიური პროგრესის დროს ტექნოლოგიური პროგრესის აღწერა შრომის ეფექტიანობის ზრდის მეშვეობით მას მოსახლეობის ზრდის ანალოგიურად აქცევს. ჩვენ აქ ვახდენთ ეკონომიკის ანალიზს რაოდენობრივ ერთეულებში, რომელიც მოდის შრომის ერთეულზე საწყისი ეფექტიანობით. დაეუშვათ, $k=K/(L \times E)$ არის კაპიტალი მუდმივი (საწყისი) ეფექტიანობის შრომის ერთეულზე, ხოლო $y=Y/(L \times E)$ — წარმოების მოცულობა მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე. ვისარგებლებთ რა ამ განსაზღვრებით, შეიძლება ჩაეწეროს:

$$Y = f(k)$$

ეკონომიკის ანალიზი ხორციელდება იმავე სქემით, რასაც ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ზრდის შემთხვევაში. ტოლოდა, რომელიც გვიჩვენებს k-ს ცვლილებას დროთა განმავლობაში, ახლა გამოიყურება შემდეგნაირად:

$$\Delta k = sf(k) - (\delta + n + g)k$$

ამ ფორმულის ახალი ელემენტი g — ტექნოლოგიური პროგრესის ტემპი ჩნდება იმდენად, რამდენადაც K არის კაპიტალის რაოდენობა მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე განაჩინდებით. თუ სიდიდე გ დიდია, მაშინ მუდმივი ეფექტიანობის მქონე შრომის ერთეულის საერთო რაოდენობა იზრდება სწრაფად, ხოლო კაპიტალის ნაზრდი შრომის ამგვარ ერთეულზე შედარებით მცირეა და შეიძლება უარყოფითიც იყოს.



ნახ. 4-13 ტექნოლოგიური პროგრესის შრომადამზოგავი ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინება გაეყენას ახდენს ჩვენს ანალიზზე ისევე, როგორც მოსახლეობის ზრდის ფაქტორის გათვალისწინება. ახლა, როცა k განსაზღვრულია, როგორც შრომის ერთეულის კაპიტალშეიარაღება, რომელსაც გააჩნია მუდმივი ეფექტიანობა, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად შრომის ყოველი დამატებითი ერთეულიდან უკუგების ზრდა იწვევს k-ს შემცირებას. ეკონომიკის მდგრადი მდგომარეობის დროს ინვესტიციები $sf(k)$ ზუსტად აკომენსორებს k-ს შემცირებას ცვეთის, მოსახლეობის ზრდისა და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად.

როგორც ნახ. 4-13-ზეა ნაჩვენები, ტექნოლოგიური პროგრესის განხილვაში ჩართვა ნაკლებად ცუდის მდგრადობის მდგომარეობის ანალიზს. არსებობს k-ს ერთი დონე, რომელიც აღნიშნულია k^* -ით, რომლის დროსაც კაპიტალი და წარმოების მოცულობა, რომელიც მოდის მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე, უცვლელია. აღნიშნული მდგრადი მდგომარეობა წარმოადგენს ეკონომიკის გრძელვადიან წონასწორობას.

ტექნოლოგიური პროგრესის შედეგები
 ცხრილი №4 ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით ეკონომიკური ზრდის მოდელის ზოგიერთი ცვლადის ცვლილებას გეისახაითებს. ჩვენთვის როგორც უკვე ცნობილია, მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე არსებული კაპიტალი k მდგრად მდგომარეობაში უცვლელია. რამდენადაც $y=f(k)$, მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე გამოშვების მოცულობაც აგრეთვე უცვლელია გაიხსნათ. რომ შრომის ერთეულის რაოდენობა ერთ მომუშავეზე არსებული მუდმივი ეფექტიანობით, იზრდება g ტემპით. შესაბამისად, ერთ მომუშავეზე გამოშვება ($Y/L=y \times E$) აგრეთვე იზრდება g ტემპით. ერთობლივი გამოშვება [$Y=y \times (E \times L)$] იზრდება $n+g$ ტემპით.

ცხრილი №4
 მდგრადი ზრდა სოლოუს მოდელში ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით

ცვლადები	აღნიშვნები	ზრდის ტემპი
კაპიტალი მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე	$k = \frac{K}{L \times E}$	0
წარმოების მოცულობა მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე	$y = \frac{Y}{L \times E} = f(k)$	0
წარმოების მოცულობა ერთ მომუშავეზე	$\frac{Y}{L} = y \times E$	g
წარმოების საერთო მოცულობა	$Y = y \times (L \times E)$	$n+g$

ამგვარად, ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით ჩვენმა მოდელმა საბოლოოდ შეიძლება ახსნას, თუ რატომ იზრდება წლიდან წლამდე ცხოვრების დონე ცალკეულ ქვეყნებში. გარდა ამისა, ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეიძლება უზრუნველყოს ერთ მომუშავეზე პროდუქციის გამოშვების უწყვეტი ზრდა, მაშინ, როცა დაზოგვის მაღალი დონე იწვევს ზრდის მაღალ ტემპებს მხოლოდ მდგრადი მდგომარეობის მიღწევის მომენტამდე. როგორც კი ეკონომიკა აღწევს მდგრად მდგომარეობას, ერთ მომუშავეზე წარმოების ზრდის ტემპი დამოკიდებულია მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის სიჩქარეზე. *სოლოუს მოდელი გეისვენებს, რომ მხოლოდ ტექნოლოგიურ პროგრესს შეუძლია ახსნას უწყვეტად ზრდადი ცხოვრების დონე.*

მოდელში ტექნოლოგიური პროგრესის ჩართვა ცვლის ოქროს წესის შესრულების პირობებსაც. ოქროს წესი განსაზღვრავს კაპიტალის დაგროვების მდგრად დონეს, რომლის დროსაც ხორციელდება მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე მოხმარების მაქსიმიზაცია. თუ მიუყვებით იმავე არგუმენტებს, როგორც ადრე გამოვიყენეთ, შეგძლებთ ვაჩვენოთ, რომ მოხმარების მდგრადი დონე მუდმივი ეფექტიანობის შრომის ერთეულზე იქნება შემდეგი:

$$c^* = f(k^*) - (\delta + n + g)k^*$$

მოხმარების მდგრადი დონე მაქსიმალური ხდება, თუ

$$MPK = \delta + n + g \text{ ან } MPK - \delta = n + g.$$

ამგვარად, ოქროს წესის მიხედვით კაპიტალის მარაგის პირობებში კაპიტალის წმინდა ზღერული პროდუქტი ($MPK - \delta$) წარმოებული პროდუქციის მოცულობის ნაწარმის ტემპის ($n+g$) ტოლია. რამდენადაც რეალურ პირობებში ეკონომიკა განიცდის როგორც მოსახლეობის ზრდის, ასევე ტექნოლოგიური პროგრესის გაყვანას აუცილებელია ამ პირობების გამოყენება კაპიტალის სტაბილურობის თუ უკმაირისობის გამოსაყვანად ოქროს წესის მიხედვით მდგრად მდგომარეობასთან მიმართებაში.

მაბალთი 4.4

მდგრადი ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში

მას შემდეგ, რაც სოლოუს მოდელში შეტანილი იქნა ტექნოლოგიური პროგრესი და განიხარტა ცხოვრების დონის უწყვეტი ზრდის მიზეზები, შეიძლება პასუხი გავცეთ შეკითხვა, თუ რამდენად შეესაბამება ეს თეორია ფაქტებს. სოლოუს მოდელი გვეუბნება, რომ ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს მრავალი ცვლადის ერთდროულად ზრდას. მდგრად მდგომარეობაში შრომის მწარმოებლურობა და კაპიტალშეიარაღება იზრდება

იმავ ტემპებით, რა ტემპებითაც ტექნოლოგიური პროგრესი. ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-ს მონაცემები გვიჩვენებს, რომ წარმოება და კაპიტალი I კაც-საათზე წელიწადში ერთი და იმავე ტემპით - დაახლოებით 2%-ით იზრდებოდა.

ტექნოლოგიური პროგრესი ზემოქმედებს აგრეთვე წარმოების ფაქტორთა ფასებზე. რეალური ხელფასის ზრდის ტემპი ეკონომიკის მდგრად მდგომარეობის დროს ემთხვევა ტექნოლოგიური პროგრესის ტემპს. კაპიტალის რეალური ფასი დროში მუდმივია. ეს წინასწარმეტყველება კლავდაც მართებული აღმოჩნდა აშშ-სათვის. უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში რეალური ხელფასი გაიზარდა წელიწადში 2%-ით, ე.ი. თითქმის ისევე, როგორც რეალური შუამ საათზე გაანგარიშებით. იმავე დროს კაპიტალის რეალური ფასი (რომელიც იზომება, როგორც კაპიტალზე რეალური შემოსავალი გაყოფილი კაპიტალის მარაგზე) დარჩა თითქმის უცვლელი. სოლოუს მოდელის წინასწარმეტყველება წარმოების ფაქტორებზე ფასებთან მიმართებაში (და ამ წინასწარმეტყველების გაძარცვვება) განსაკუთრებით ფასეულია, თუ მას შევადარებთ კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების შესახებ კარლ მარქსის თეორიას. მარქსმა იწინასწარმეტყველა, რომ კაპიტალის ეფექტიანობა დროთა განმავლობაში დაეცემა და ეს გამოიწვევს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს. ეკონომიკურმა ისტორიამ არ დადასტურა მარქსის წინასწარმეტყველება, რაც ნაწილობრივ ხსნის იმას, თუ რატომ ვსწავლობთ სწორედ სოლოუს და არა მარქსის ეკონომიკური ზრდის თეორიას.

4.5. დაზოგვა, ზრდა და ეკონომიკური პოლიტიკა

სოლოუს მოდელის საფუძველზე ჩვენ ავხსენით ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა წყაროებს შორის ურთიერთკავშირი. ესარგებდებით რა ამ თეორიით, გადავიდეთ ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზზე. ახუცრად განუხილავთ სამ საკითხს. პირველი, დაზოგვის თუ არა საზოგადოებამ შეიძინა ან ნაკლებზე? მეორე, რა გაელენა შეიძლება იქონიოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ დაზოგვის ნორმაზე? მესამე, რა გაელენა შეიძლება იქონიოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ ტექნოლოგიური პროგრესის სიჩქარეზე?

დაზოგვის ნორმის შეფასება

სოლოუს ზრდის მოდელი გვიჩვენებს, დაზოგვის ნორმა თუ როგორ განსაზღვრავს კაპიტალ-შეიარაღებისა და მწარმოებლურობის მდგრად დონეს. ოქროს წესის მიხედვით მდგრად დონეს შეუძლებელია დაზოგვის ნორმის განსაზღვრება, რომელიც უზრუნველყოფს ერთ მომუშავეზე მოხმარების მაქსიმუმს და ამგვარად, ახდენს ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმოზაციას. ეს შედეგები გვეჩვენებს პასუხი გავცეთ ეკონომიკური პოლიტიკის პირველ კითხვას: არის თუ არა ეკონომიკაში დაზოგვის ნორმა ძალიან დაბალი, მაღალი მდგომარეობაში?

თუ კაპიტალის ზღვრული პროდუქტი ცვეთის გამოკლებით მაღალია, ვიდრე წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი, მაშინ ეკონომიკა ფუნქციონირებს კაპიტალის იმ რაოდენობით, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე ოქროს სტანდარტის მიხედვით. ამ შემთხვევაში დაზოგვის ნორმის ზრდა საბოლოოდ მიგვიყვანს მდგრად მდგომარეობამდე მოხმარების უფრო მაღალი დონის პირობებში. მეორე მხრივ, თუ კაპიტალის წმინდა ზღვრული პროდუქტი ნაკლებია, ვიდრე წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი, მაშინ ეკონომიკა ფუნქციონირებს კაპიტალის ძალიან დიდი რაოდენობით და დაზოგვის ნორმა უნდა შემცირდეს. იმისათვის, რათა შევადგინოთ კაპიტალის დაგროვების საერთო ეროვნული დონე, აუცილებელია წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი შევადაროთ კაპიტალის წმინდა უკუგების სიდიდეს.

ეს შედარება საჭიროებს ზრდის ტემპის (n+g) და კაპიტალის წმინდა ზღვრული პროდუქტის (MPK) შეფასებას. აშშ-ში რეალური შუამ იზრდება წელიწადში საშუალოდ 3%-ანი ტემპით, ამიტომ n+g=0.03. კაპიტალის წმინდა ზღვრული პროდუქტი შეიძლება გამოეთვალათ შემდეგ სამ ფაქტორზე დაყრდნობით:

- I. კაპიტალის მარაგი თითქმის 2,5-ჯერ მეტია წლიურ შუამზე;
 - II. კაპიტალის ცვეთა შეადგენს შუამის თითქმის 10%-ს;
 - III. კაპიტალის წილად მიღის საერთო წლიური შემოსავლის დაახლოებით 30%.
- პირველი აღნიშნავს, რომ k=2,5y, ხოლო მეორე - δk=0,1y. ამიტომ,

$$\delta = \frac{\delta k}{k} = \frac{0,1y}{2,5y} = 0,04$$

ე.ი. კაპიტალის მარაგის დაახლოებით 4% იცეითება ყოველწლიურად. იმისათვის, რომ გამოეთვალათ კაპიტალის ზღვრული პროდუქტი (I და III ფაქტორზე დაყრდნობით), გაიხსენოთ, რომ კაპიტალზე შემოსავალი ტოლია მისი ზღვრული პროდუქტისა. ამიტომ, კაპიტალის წილი (MPK×K)/Y=MPK×(K/Y). ახლა ჩავსვათ მნიშვნელობები, რომლებიც გამომდინარებს I და III ფაქტორებიდან:

$$0,3 = MPK \times 2,5$$

ეს ნიშნავს, რომ

$$MPK = \frac{0,3}{2,5} = 0,12$$

ამგვარად, კაპიტალის ზღვრული პროდუქტი შეადგენს 12%-ს წელიწადში. კაპიტალის წმინდა ზღვრული პროდუქტი (MPK-ს) შეადგენს დაახლოებით 8%-ს წელიწადში და ბევრად აღემატება წარმოების საშუალო ზრდის ტემპს, რომელიც წელიწადში 3%-ის ტოლია.

კაპიტალზე მაღალი შემოსავალი ნიშნავს, რომ აშშ-ს კაპიტალის მარაგი ბევრად ნაკლებია ოქროს წესის დონესთან შედარებით. ეს დასაყენა კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს დაზოგვის ნორმისა და ინვესტიციების ზრდაზე. ფაქტობრივად, რამდენიმე წლის განმავლობაში ეს ასეც ხდებოდა. კაპიტალდაბანდებების წახალისება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება იყო.

დაზოგვის ნორმის ცვლილება

სახელმწიფო პოლიტიკამ ეროვნული დაზოგვის ზრდა ორი გზით შეიძლება გამოიწვიოს უშუალოდ, სახელმწიფო დანაზოგების ზრდით და ირიბად – კერძო დანაზოგების ზრდისათვის სტიმულების შექმნით.

სახელმწიფო დანაზოგი წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, მაშინ მთავრობა დეფიციტს ბიუჯეტის დეფიციტის წინაშე (რაც ნიშნავს დაზოგვის მინუსი ნიშნით). მთავრობა ფარავს დეფიციტს ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის სესხებით. როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი გამოდგენს ინვესტიციებს. კაპიტალის შემცირებული მარაგი – ეს არის სავალდებულო ტვირთის ნაწილი, რომელიც დაეკისრება მომავალ თაობას. მეორეს მხრივ, თუ შემოსავლები აჭარბებს ხარჯებს, მთავრობას გააჩნია ბიუჯეტის დადებითი სადღო. მაშინ მას ეძლევა საშუალება დაფაროს ეროვნული ვალის ნაწილი და დაიწყო ინვესტიციების სტიმულირება.

კერძო დანაზოგებმა მთავრობის მხრიდან შეიძლება განიცადოს სხვადასხვა სახის ზემოქმედება. თითოეული ოჯახის მიხედვით დაზოგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, რასაკვირველია, არ არის ჩართული სოლოუს მრევლში, მაგრამ შეეკიდება ექვივალენტს, რომ ის დამოკიდებულია კაპიტალის შემოსავლიანობაზე; რაც უფრო მაღალია კაპიტალზე შემოსავალი, მით უფრო მიზიდული ხდება დაზოგვა. საგადასახადო სტიმულები, ისეთები, როგორიცაა პირადი საკენსიო ანგარიშების განთავისუფლება გადასახადებისაგან და კორპორაციის კაპიტალში ინვესტიციების შეღავათიანი დაბეგრვა ზრდის კაპიტალზე შემოსავლებს და ამგვარად, ასტიმულირებს კერძო დაზოგვას.

მაბალი 4-5

სოციალური დაზღვევა და დაზოგვის დონე

ითვლება, რომ სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც ზემოქმედებენ კერძო დაზოგვაზე, მიეკუთვნება სოციალური დაზღვევის სისტემა. პროგრამა წარმოადგენს ტრანსფერულს გადასახადების სისტემას და მომზადებულია მხარი დაუჭიროოს მსჯელობის ხალხს შემოსავლების შენარჩუნებას. პენსიონერთა სასარგებლოდ ტრანსფერტები იფარგლება ქვეყნის მომუშავე მოსახლეობის ხელფასის ფონდის დაბეგრვის ხარჯზე. ეს სისტემა ამცირებს სიმრეშე ცხოვრების უზრუნველყოფად ფულის დაზოგვის სატარობებს და ამგვარად, მან შეიძლება გამოიწვიოს სახსრების მოცულობის შემცირება, რომლებიც შეიძლება მიმართული ყოფილიყო კაპიტალდაბანდებზე.

ეროვნული დანაზოგების სიდიდეს სოციალური დაზღვევის უარყოფითი ზემოქმედების ნეიტრალიზების მიზნით მრავალი ეკონომისტი ამ სისტემის რეფორმირებას გეთავაზობს. თანამედროვე სისტემა ისეთია, რომ მიზნობრივ საგადასახადო შემოსავლების მწირებლობაზე ნაწილი ეძლევა ახლანდელ მოხუც თაობას. ერთ-ერთი შემთავაზებული ვარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ ეყვალა გასაცემელი, რომლებიც წარმოიქმნება მოცემული თაობის მიმართ შრომისუნარიან ასაკში, თავის უნდა იყრიდეს სპეციალურ სატარობებში ფონდში; მთავრობამ შემდგომ ეს სახსრები დაგროვილი პარცენტებითან ერთად უნდა დაუბრუნოს სწორედ ამ თაობას, როცა ისინი მიადვენენ მოხუცებულობის ასაკს და გაეღეს პენსიაზე. სოციალური დაზღვევის ამგვარი სქემის დროს სახელმწიფო დანაზოგების ზრდა შეიძლება მოახდენს კერძო დანაზოგების შემცირების კომპენსაციას.

უიანიდან სოციალური დაზღვევის სისტემის ზემოქმედებას დანაზოგებზე გააჩნია ასეთი დიდი წინაშეწვლილია, მრავალი ეკონომისტი შეცვალა შეფასებინა ამ ზემოქმედების სიდიდე, მაგრამ მონაცემები წინააღმდეგობრულად აღმოჩნდა ამიტომ, ეკონომისტთა შორის არ არის თანხობა იმის შესახებ, ამცირებს თუ არა სოციალური დაზღვევის სისტემა დანაზოგების მოცულობას ქვეყანაში და თუ ამცირებს – რამდენად.

ტექნოლოგიური პროგრესის წახალისება

სოლოუს მოდელი გეივინებს, რომ მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების მუდმივი ზრდა განპირობებულია ტექნოლოგიური პროგრესით. თუმცა სოლოუს მოდელი ტექნოლოგიურ პროგრესს განიხილავს, როგორც ეკონომიკურ ფაქტორს; ის ვერ ხსნის მას. სამწუხაროდ, ტექნოლოგიური პროგრესის დეტერმინანტები დღეისათვის არასაკმარისადაა შესწავლილი.

მიუხედავად ამისა, მრავალი სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებულია ტექნოლოგიური პროგრესის სტიმულირებაზე სამეცნიერო კვლევების წახალისების გზით. მაგალითად, სასაბუნების-საინჟინერო კვლევის პროგრესის გაზრდის მიზნით, აშშ-ში არსებული სამთავრობო სააგენტო, კერძოდ, ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ახდენს ფუნდამენტურ გამოკვლევათა სუბსიდიას. მსგავსი სახელმწიფო პოლიტიკა ასტიმულირებს ინდივიდუალურ საშუალებათა გამოყენებას ტექნოლოგიურ დამუშავებათა სფეროში.

მაბალტიო 4-6

ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება მსოფლიო მასშტაბით

ერთ-ერთი ყველაზე დამაფიქრებელი პრობლემა, რომელსაც წააწყდნენ სახელმწიფო მოღვაწეები უკანასკნელი 20 წლის მანძილზე – მთელი მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის შენელება, რომელიც დაიწყო 1970 წლიდან. ცხრილი N5 შეიცავს რეალურ შშპ-ს ზრდის მაჩვენებლებს მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში. აშშ-ში ზრდის ტემპი 2,2%-დან 1,5%-მდე შემცირდა 1972-1995 წლებში. სხვა ქვეყნებში შემცირება იყო ასეთივე ან უფრო მეტიც.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი შეიძლება უკუაშორდებოდეს საწარმოო ფუნქციის გაუმჯობესების ტემპების შენელებას. ამ თემის დასასრულს შემოთავაზებულ დანართში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა შეიძლება ეკონომიკური ზრდის ტემპის დაზარალება გაუმჯობესებას ცვლადის გამოყენებით, რომელსაც ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის უწოდებენ. ეს ცვლადი შეიძლება დაკავშირებული შრომის ეფექტიანობასთან სიღრუს მივლით. ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდა შენედა დაახლოებით 1%-ით წელიწადში 1970 წლიდან. მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი ასეთი შედეგი ცვლილებები არსებით გაუქმნას ახდენს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე მწარმოებლურობის ზრდის ამ 1%-ანი შემცირების შედეგად აშშ-ში რეალური შემოსავალი შესაძლო სიდიდეზე დაახლოებით 20%-ით ნაკლებია.

ცხრილი N5

ეკონომიკური ზრდის შენელება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში

ქვეყნები	წარმოების მოცულობის ზრდა ერთ ადამიანზე (%-ში წელიწადში)		
	1948-1972	1972-1995	1995-2000
კანადა	2.9	1.8	2.7
საფრანკეთი	4.3	1.6	2.2
დასავლეთი გერმანია	5.7	2.0	
გერმანია			1.7
იტალია	4.9	2.3	4.7
იაპონია	8.2	2.6	1.1
გაერთიანებული სამეფო	2.4	1.8	2.5
აშშ	2.2	1.5	2.9

მრავალი ეკონომისტი ცდილობდა და დღესაც ცდილობს ახსნას ეს არასასურველი ცვლილება. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მოსაზრება:

- სამუშაო ძალის სტრუქტურის ცვლილება. შობადობის ბუშის პერიოდის ახალგაზრდა თაობით შრომითი რესურსების შევსებამ, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 70-ან წლებში, შეამცირა მომუშავეთა გამოცდილების საშუალო დონე და შესაბამისად, შრომის მწარმოებლურობა.
- სახელმწიფო რეგულირების ზრდა (მაგალითად, გარემოს დაცვის სფეროში) იზოხენ ფორმებისაგან წარმოების უფრო ნაკლებად ეფექტიან მეთოდებს. რეგულირება აფერხებს მწარმოებლურობისა და შემოსავლების ზრდას (თუნდაც სოციალური თვალსაზრისით სასურველიც რომ იყოს).
- 1970-ან წლებში ნავთობზე ფასების ზრდამ, რომელიც გამოწვეული იქნა OPEC-ის წევრი ქვეყნების პოლიტიკით, კაპიტალის ნაწილი ვადაზე ადრე მოქველდებულად აქცია (ე.ი. მოხდა კაპიტალის შორა-

ღორი ცემა). ფორმები იძულებული გახდნენ ექსპლუატაციიდან მოეხსნათ მოწყობილობათა ნაწილი, რომელიც სათბობს დიდი რაოდენობით საჭიროებდა.

მსოფლიოში შეზღუდვა ახალი იდეები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იწარმოოს პროდუქცია. ჩვენ შევედი ტექნოლოგიური პროგრესის შეფერხების ტკიპალიში.

ზემოთხსენიებულ ახსნათ შორის რომელია ახლო ვეზმარტივებისა? თითოეული გააჩნია საკუთარი რაციონალური მარტელი, მაგრამ რომელია მათ შორის ძირითადი, ამის თქმა შეუძლია. მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური ზრდის შეზღუდვის ნაწილი მიზეზები ჯერჯერობით მაინც გამოცანად რჩება.

4.6. დასკვნა: სოლოუს მოდელის მიღმა

მიუხედავად იმისა, რომ სოლოუს მოდელი წარმოადგენს კარგ ბაზას ეკონომიკური ზრდის ანალიზის დასაწყებად, ის მხოლოდ მისი პირველი საფეხურია. სოლოუს მოდელი ძალიან ამარტივებს რეალური ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს და მილიანად უურადღებს მიღმა ტოვებს მას. ეკონომიკური ზრდის შემსწავლელი მექანიზმები ცდილობენ ააგონ უფრო რთული მოდელი, რომელიც მათ საშუალებას მისცემს გამოიყილონ პრობლემათა უფრო ფართო წრე.

უფრო სრულყოფილი მოდლები, ჩვეულებრივ, სოლოუს ვეზმარტივების ცვლადებიდან ერთ-ერთს აქცევენ ენდოგენურ ცვლადად. მაგალითად, სოლოუს მოდელი დაზოგვის ნორმას განიხილავს, როგორც ენდოგენურ ცვლადს. ცნობილია, რომ მოხმარება განისაზღვრება იმით, თუ რამდენის მოხმარებას გადაწყვეტს ოჯახი დღეს და რამდენის დაზოგავს - მომავლისათვის.

- კონხას ირანსწამებულა, რომ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება იმყოფება ერთსა და ნულს შორის და რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება მცირდება შემოსავლების ზრდის კალობაზე. აგრეთვე მიმდინარე შემოსავალი წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც გააუარესებს ახდენს მოხმარებაზე. საოჯახო ბიუჯეტებისა და მაკროეკონომიკის ასპექტებში თანაზე მონაცემთა შესწავლამ ეს ეარაუდი დადასტურა. მაგრამ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოხმარების ცვლილებებზე მონაცემები გვიჩვენებს, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება არ იცვლება.

მოხმარების ახლანდელი გამოკვლევები ვეუბნება ირვინ ფიშერის მოხმარების ცვლილების მოდელს ამ მოდელში გამოკვლეულია დროთაშორისი არჩევანი და ის, თუ როგორ ირჩევს მოხმარებელი მოხმარების დონეს ახლანდელი და მომავალი დროისათვის, რათა მიიღოს ცხოვრების განმავლობაში მაქსიმალური კეთილდღეობის ეკვლავზე მაღალ შესაძლო დონეს. სანამ მოხმარებლის ენება საშუალება იხსენის სასხრები და დააგროვოს დანაზოგები, მოხმარების დონე დამოკიდებული იქნება იმ რესურსების რაოდენობაზე, რომელზეც მოხმარებელი ფლობს ცხოვრების განმავლობაში.

სასიცოცხლო ცილის პიპოთესა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადამიანის ცხოვრების განმავლობაში შემოსავლის ცვლილების წინასწარ გამოცნობა შესაძლებელია და რომ მოხმარებლები სარგებლობენ დანაზოგებით და სასესხო საშუალებებით მოხმარების ცვლადობის ადრესაფხვრულად ცხოვრების განმავლობაში. პიპოთესა გულისხმობს, რომ მოხმარებელი დამოკიდებულია როგორც შემოსავალზე, ასევე დაგროვებულ სიმდიდრეზე.

ეკონომიკური (მუდმივი) შემოსავლის პიპოთესის თანახმად, შემოსავლის ცვლილება შეიძლება იყოს როგორც მუდმივი, ასევე დროებითი. მოხმარებლები სესხულობენ სასხრებს და ახორციელებენ დაზოგვას იმისათვის, რათა აღმოეხერხონ მოხმარების ცვლილება. მოხმარება ნაკლებად რეაგირებს შემოსავლების დროებით ცვლილებებზე, ძირითადად, მოხმარება დამოკიდებულია ეკონომიკურ შემოსავლებზე.

ეკონომიკური ზრდის უფრო რთული მოდლები ცვლიან სოლოუს მოდელის მოხმარების ფუნქციას საოჯახო მეურნეობის ქცევის თეორიით. შემდეგ, სოლოუს მოდელი მოსაძლეობის ზრდის ტემპს განიხილავს, როგორც ენდოგენურ სიდიდეს. ზოგიერთი უფრო სრულყოფილი მოდლები აშკარად მოიცავენ ისეთ ცვლადებს, როგორცაა გადაწყვეტილებების მიღება ბავშვთა რაოდენობის თაობაზე, რათა განისაზღვროს ოჯახის სიდიდის არჩევა თუ როგორ უნმოქმედებს ეკონომიკური ზრდის სხვა ასპექტებზე. შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ ეკონომისტები ცდილობენ შექმნან მოდელი შრომის ეფექტიანობის ზრდის ტემპისა და ჩამოყალიბებული დონის ახასხნელად. ზოგიერთი ეკონომისტი ხაზს უსვამს ცოდნისა და ჩვევების მნიშვნელობას, რომელიც მიიღება განათლების პროცესში, ე.ი. ადამიანური კაპიტალის დაგროვებას. სხვები ვარაუდობენ, რომ ტექნოლოგიური პროგრესი არის გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის დადებითი თანამდევნი პროდუქტი; ამ თანამდევ პროდუქტს ეწოდება გარე ეფექტი მაგალითად, ახალი გაუმჯობესებული საწარმოო პროცესები შეიძლება დაწუბადეს კაპიტალის დაგროვების მსუდლოდისას. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ კაპიტალის დაგროვებისგან მიღებული საზოგადოების სარგებელი შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე ეს იგულისხმება სოლოუს მოდელში.

სოლოუს მოდელი გვიჩვენებს, რომ ცხოვრების დონის განუხრედი ზრდას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად. ამიტომ, ჩვენი წარმოდგენა ეკონომიკური ზრდაზე არასრული იქნება, ვიდრე არ გაიყვებთ იმას, თუ როგორ უნმოქმედებს ტექნოლოგიური

პროგრესზე კერძო პირების გადაწყვეტილება და სახელმწიფო პოლიტიკა. ჯერჯერობით, ეს ის საკითხია, რომელიც შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

პირითადი დასკვნები

1. სოლოუს მოდელი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკაში დაზოგვის ნორმა განსაზღვრავს კაპიტალის მარაგის ზომას, შესაბამისად – წარმოების მოცულობას. რაც უფრო მაღალია დაზოგვის ნორმა, მით უფრო მეტია კაპიტალშეიარაღება და მაღალია მწარმოებელურობა.

2. დაზოგვის ნორმის ზრდა იწვევს სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდს ახალი მდგრადი მდგომარეობის მიღწევამდე. გრძელვადიანი პერიოდისათვის დაზოგვის ნორმის ზრდა არ ახდენს გავლენას ზრდის ტემპზე. მწარმოებელურობის განუხრელი ზრდა დამოკიდებულია ტექნოლოგიურ პროგრესზე.

3. კაპიტალშეიარაღების დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მოხმარების ყველაზე მაღალ დონეს, ეწოდება კაპიტალშეიარაღების ოქროს წესი. ამ დონეზე კაპიტალის წმინდა ზღერული პროდუქტი წარმოების ზრდის ტემპის ტოლია. შეფასებები, რომელიც გაკეთდა ცალკეული ქვეყნებისათვის, მაგალითად, აშშ-სთვის, გვიჩვენებს, რომ კაპიტალის მარაგი რამდენადმე მცირეა ოქროს წესის დონეზე. იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას ეს დონე, საჭიროა ინვესტიციების ზრდა და შესაბამისად, ახლანდელი თაობის მოხმარების დონის შემცირება.

4. პოლიტიკოსები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე, ხშირად აცხადებენ, რომ კაპიტალის დაგროვების ნორმა უნდა გაიზარდოს. სახელმწიფო დანაზოგის ზრდა და კერძო დანაზოგის საგადასახადო სტიმულირება – ასეთია კაპიტალის დაგროვების დამკვირვებლის საშუალებები.

5. სოლოუს მოდელი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი გავლენას ახდენს აგრეთვე ცხოვრების დონეზე, რაც უფრო მაღალია მოსახლეობის ზრდის ტემპი, მით უფრო ნაკლებია წარმოების მოცულობა ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით.

6. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში წარმოების ზრდის ტემპი მრავალ ინდუსტრიულ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა, რომლის მიზეზები ბოლომდე შესწავლილი არ არის.

პირითადი ცნებები

სოლოუს ზრდის მოდელი
მდგრადი მდგომარეობა
კაპიტალის დაგროვების ნორმის განსაზღვრის ოქროს წესი
შრომის ეფექტიანობა
მულტიპლიკაციის შრომის ერთეული
შრომადამზოგველი ტექნოლოგიური პროგრესი

ღანაოთი 1

ეკონომიკური ზრდის წყაროების გაანგარიშების მეთოდები

აშშ-ში რეალური მშპ იზრდებოდა წელიწადში საშუალოდ 3%-იანი ტემპით უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში. როგორ აიხსნება აღნიშნული ზრდა? ჩვენ წარმოების მოცულობას ეკუთვნის წარმოების ფაქტორებს – კაპიტალსა და შრომას, აგრეთვე ტექნოლოგიას.

აქ იგულისხმება წარმოების მოცულობის ზრდა სამი სხვადასხვა წყაროს შესაბამისად: გამოყვებულ კაპიტალის ნაზრდით, შრომითი დანახარჯების ნაზრდით და ტექნოლოგიის

გაუმჯობესებით. ამგვარი დაეოჟა შესაძლებლობას გეაძლევეს გავზომოთ ტექნოლოგიური პროგრესის სიჩქარე.

წარმოების ფაქტორთა დანახარჯების ზრდა

თავდაპირველად ენახოთ, თუ რა წვლილი შეაქვს წარმოების ფაქტორებს პროდუქციის გამოშვების ზრდაში. დაეუშვათ, რომ ტექნოლოგიურ ცვლილებებს ადგილი არ აქვს. მაშინ საწარმოო ფუნქცია, რომელიც ზომავს Y წარმოებას K კაპიტალითა და L შრომით, არ იცვლება:

$$Y = F(K, L)$$

ამ შემთხვევაში წარმოება იცვლება მხოლოდ გამოყენებული შრომისა და კაპიტალის რაოდენობის ცვლილების შედეგად.

კაპიტალი. თავდაპირველად განვიხილოთ კაპიტალის მარაგის ცვლილების შედეგი. თუ კაპიტალის მარაგი იზრდება ΔK ერთეულით, რამდენად გაიზრდება პროდუქციის გამოშვება? იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვას, აუცილებელია გაიხსენოთ კაპიტალის ზღვრული პროდუქტის (MPK) განსაზღვრება:

$$MPK = F(K + 1, L) - F(K, L)$$

კაპიტალის ზღვრული პროდუქტი გეირევენებს, რამდენად გაიზრდება წარმოება, თუ კაპიტალი გაიზრდება 1 ერთეულით. ამიტომ, როდესაც კაპიტალი გაიზრდება „ ΔK “ ერთეულით, წარმოების მოცულობა გაიზრდება დაახლოებით $MPK \times \Delta K$.³

მაგალითად, დაეუშვათ, რომ კაპიტალის ზღვრული პროდუქტი ტოლია $1/5$, ე.ი. კაპიტალის დამატებითი ერთეული წარმოების მოცულობას ზრდის $1/5$ ერთეულით. თუ გავზრდით კაპიტალის რაოდენობას 10 ერთეულით, მაშინ დამატებითი პროდუქციის რაოდენობა შეიძლება გამოეთვალეთ შემდეგნაირად:

$$\Delta Y = MPK \times \Delta K = \frac{1}{5} \times 10 = 2$$

კაპიტალის 10 ერთეული გაზრდის შემთხვევაში მივიღებთ 2 დამატებით ერთეულ საბოლოო პროდუქტს წელიწადში. ამგვარად, ჩვენ ვსარგებლობთ კაპიტალის ზღვრული პროდუქტით იმისათვის, რათა გადაეაქციოთ კაპიტალის სიდიდის ცვლილება წარმოების მოცულობის ცვლილებად.

შრომა. ახლა განვიხილოთ შრომის რაოდენობის ცვლილებები. თუ შრომის რაოდენობა იზრდება ΔL ერთეულით, რამდენად გაიზრდება წარმოების მოცულობა? ამ კითხვას უპასუხოთ ისევე, როგორც კაპიტალის ზრდის შემთხვევაში. შრომის ზღვრული პროდუქტი MPL გეირევენებს, რამდენად გაიზრდება პროდუქციის გამოშვება, თუ შრომა გაიზრდება 1 ერთეულით, ე.ი.

$$MPL = F(K, L + 1) - F(K, L)$$

ამიტომ, როცა შრომის რაოდენობა იზრდება ΔL ერთეულით, პროდუქციის წარმოება გაიზრდება დაახლოებით $MPL \times \Delta L$.

მაგალითისათვის დაეუშვათ, რომ შრომის ზღვრული პროდუქტი ტოლია 2, ე.ი. შრომის დამატებითი ერთეული წარმოების მოცულობას ზრდის 2 ერთეულით. თუ შრომის რაოდენობას გავზრდით 10 ერთეულით, მაშინ დამატებით წარმოებული პროდუქციის მოცულობა შეიძლება გაიანგარიშოთ შემდეგი სახით:

$$\Delta Y = MPL \times \Delta L = 2 \times 10 = 20$$

³ უარაღდება მიუაქციოთ სიტყვას „დაახლოებით“. მოცემული პასუხი მხოლოდ მიახლოებითია, რამდენადაც კაპიტალის ზღვრული პროდუქტი იცვლება: ის მცირდება კაპიტალის ზრდის კვალობაზე. ზუსტი პასუხისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ კაპიტალის ყოველ ერთეულს გააჩნია სხვადასხვა ზღვრული პროდუქტი. მაგრამ, თუ K -ს ცვლილება არ არის დიდი, მაშინ ეარაუდი მუდმივ ზღვრულ პროდუქტზე საკმაოდ სარწმუნოა.

თუ გაიზრდება შრომითი დანახარჯები 10 ერთეულით, წელიწადში მივიღებთ პროდუქციის დამატებით 20 ერთეულს. ამგვარად, შრომის ზღერული პროდუქტი შეიძლება გამოიყენებოდეს წარმოების მოცულობაში ცვლილებების გასაზომად.

შრომა და კაპიტალი. ახლა განვიხილოთ უფრო რეალისტური შემთხვევა, როცა წარმოების ორივე ფაქტორი იცვლება ერთდროულად. დავეთვათ, რომ კაპიტალის რაოდენობა იზრდება ΔK , ხოლო შრომის რაოდენობა ΔL სიდიდით. პროდუქციის წარმოების ზრდა ამ შემთხვევაში განისაზღვრება ორი ფაქტორით: კაპიტალისა და შრომის ნაზრდით. ჩვენ შეგვიძლია ეს ნაზრდი დავეთვათ მის ორ წყაროდ, ორი ფაქტორის ზღერული პროდუქტის სიდიდის გამოყენებით:

$$\Delta Y = (MPK \times \Delta K) + (MPL \times \Delta L)$$

ფრჩხილებში პირველი შესაკრები არის წარმოების გადიდება კაპიტალის მოცულობის ზრდის შედეგად, ხოლო მეორე – შრომითი დანახარჯების შედეგად. ეს ტოლობა გვიჩვენებს, როგორ გავანაწილოთ ზრდა ორი წყაროს მიხედვით.

ახლა გარდავიქმნათ ბოლო ტოლობა ფორმულაში, რომლის დანახარებითაც იოლი იქნება არსებული მონაცემების ინტერპრეტაცია. ზოგიერთი ალგებრული გარდაქმნის შემდგომ ეს შემდეგ სახეს მიიღებს:⁴

$$\frac{\Delta Y}{Y} = \left(\frac{MPK \times K}{Y} \right) \frac{\Delta K}{K} + \left(\frac{MPL \times L}{Y} \right) \frac{\Delta L}{L}$$

ეს ტოლობა უფარდებს წარმოების ნაზრდის ტემპს ($\Delta Y/Y$) კაპიტალის ხარჯების ნაზრდის ტემპთან ($\Delta K/K$) და შრომის დანახარჯების ნაზრდის ტემპთან ($\Delta L/L$).

შემდგომ, ჩვენ უნდა მიუძღვნოთ საშუალება, რათა გაეზომოთ ბოლო თანაფარდობის ფრჩხილებში არსებული სიდიდე. როგორც ცნობილია, კაპიტალის ზღერული პროდუქტი ტოლია მისი გამოყენების რეალური ფასისა. ამიტომ $MPK \times K$ არის კაპიტალის საერთო უკუგება, ხოლო $(MPK \times K)/Y$ – კაპიტალის ხვედრითი წილი წარმოებულ პროდუქტში. ანალოგიურად, შრომის ზღერული პროდუქტი ტოლია რეალური ხელფასისა. ამიტომ $MPL \times L$ არის შრომის საერთო ანაზღაურება, ხოლო $(MPL \times L)/Y$ – წარმოებულ პროდუქტში შრომის ხვედრითი წილი. იმ დაშვებიდან გამომდინარე, რომ საწარმოო ფუნქციას ახასიათებს მასშტაბის მუდმივი უკუგება, ეილერის თეორემის თანახმად ამ ორი ხვედრითი წილის ჯამი ერთის ტოლია. ამ შემთხვევაში ტოლობა ასე ჩაიწერება:

$$\frac{\Delta Y}{Y} = \alpha \frac{\Delta K}{K} + (1 - \alpha) \frac{\Delta L}{L}$$

სადაც α არის საერთო შემოსავლებში კაპიტალის, ხოლო $(1-\alpha)$ – შრომის ხვედრითი წილი.

ბოლო ტოლობა გვაძლევს მარტივ ფორმულას, რომელიც გვიჩვენებს წარმოების ფაქტორთა ხარჯების ცვლილება თუ რა გავლენას ახდენს გამოშვებაზე. კერძოდ, ჩვენ უნდა გავამრავლოთ დანახარჯთა თითოეული ელემენტის ნაზრდის ტემპი წარმოებულ პროდუქტში მათ ხვედრით წილზე სტატისტიკიდან ცნობილია, რომ შემოსავლებში კაპიტალის წილი აშშ-ში შეადგენს დაახლოებით 30%-ს, ე.ი. 0,3-ს. ამიტომ, კაპიტალის რაოდენობის 10%-ანი ზრდა ($\Delta K/K=0,10$) იწვევს პროდუქციის გამოშვების ($\Delta Y/Y=0,03$) 3%-იან ზრდას. ანალოგიურად, შრომითი დანახარჯების 10%-ანი ზრდა ($\Delta L/L=0,10$) იწვევს პროდუქციის გამოშვების ($\Delta Y/Y=0,07$) 7%-იან ზრდას.

ტექნოლოგიური პროგრესი

აქამდე, როცა ვაანალიზებდით ეკონომიკური ზრდის წყაროებს, ეთვლიდით, რომ საწარმოო ფუნქცია დროში უცვლელი იყო. თუმცა, პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროგრესი აუზოჯობებს საწარმოო ფუნქციას. დანახარჯთა იმავე მოცულობის პირობებში დღეს შეიძლება მივიღოთ მეტი, ვიდრე ედებულბდით წარსულში. გავაფართოოთ ჩვენი ანალიზი მასში ტექნოლოგიური პროგრესის ჩართვით.

ტექნოლოგიის ცვლილებას ვითვალისწინებთ საწარმოო ფუნქციის შემდგენიანი ჩაწერით:

⁴ მათემატიკური უნებუნა: იმისათვის, რომ დაერწმუნდეთ იმაში, რომ შემდეგი ტოლობა წინანდელის ექვივალენტურია, შეგინათ, რომ შეიძლება მისი ორივე ნაწილის გამრავლება Y -ზე და ამგვარად, გამოვიტოვოთ Y ტოლობის სამეფო ადგილიდან. ჩვენ შეგვიძლია ავრთვეთ შევამციროთ K მრიცხვულში და პირველი შესაკრების მნიშვნელობა, ასევე შევამციროთ L მრიცხვულში ნაწილის შესაკრების მრიცხვულში და მნიშვნელობა. აღნიშნული ალგებრული გარდაქმნა გადააქცევს მოცემულ ტოლობას წინანდელ ტოლობად.

$$Y = AF(K, L)$$

სადაც A არის ტექნოლოგიის მიმდინარე დონის საზომი, რომელსაც ეწოდება *ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობა*. ახლა წარმოება იზრდება არამარტო კაპიტალის ან შრომის, არამედ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდის შედეგადაც. თუ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობა იზრდება 1%-ით, ხოლო დანახარჯების მოცულობა არ იცვლება, მაშინ წარმოების მოცულობა გაიზრდება 1%-ით.

ცვლადი ტექნოლოგია ზემოთმოცემულ ტოლობას კიდევ ერთ შესაკრებს ამატებს ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ხვედრით წილთან დაკავშირებით:

$$\frac{\Delta Y}{Y} = \alpha \frac{\Delta K}{K} + (1 - \alpha) \frac{\Delta L}{L} + \frac{\Delta A}{A}$$

წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი	კაპიტალის წილი	შრომის წილი	ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდის წილი
---------------------------------------	-------------------	----------------	---

ეს ტოლობა საკვანძოა ტექნოლოგიური პროგრესის ტემპის გამოსათვლელად. ის აელენს და საშუალებას იძლევა გავსომოთ ეკონომიკური ზრდის სამი წყარო: კაპიტალის, შრომის რაოდენობისა და ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის სიდიდის ცვლილებები.

რამდენადაც ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის გამოყოფა უშუალოდ შეუძლებელია, მას ზომავენ ირიბად. ჩვენ ვაგვიანია მონაცემები როგორც წარმოების მოცულობისა და დანახარჯების (კაპიტალისა და შრომის) ზრდის, ასევე წარმოებულ პროდუქციაში კაპიტალის წილის თაობაზე. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპისათვის ამ მონაცემებიდან და ტოლოზიდან გამომდინარე შეიძლება გამოთვალოდ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდის ხვედრითი წილი ეკონომიკურ ზრდაში.

$$\frac{\Delta A}{A} = \frac{\Delta Y}{Y} - \alpha \frac{\Delta K}{K} - (1 - \alpha) \frac{\Delta L}{L}$$

სადაც $\Delta A/A$ არის გამოშვების ზრდის ტემპის ნაწილი, რომელიც არ შეიძლება აიხსნას ფაქტორთა ხარჯების ცვლილებით, ე.ი. ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის წილილი გამოთვლილია ხარჩენი პრინციპით, როგორც პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპი, რომელიც რჩება ზრდის იმ დეტერმინანტთა აღწერის შემდეგ, რომლის გამოთვლა იოლია. $\Delta A/A$ -ს ზოგჯერ ეწოდებენ სოლოუს ნაშთს (რობერტ სოლოუს პატივსაცემად, რომელმაც პირველმა აჩვენა მისი გაანგარიშების ხერხი).

ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობა შეიძლება შეიცვალოს მრავალი მიზეზით. ცვლილებები ძალიან ხშირად წარმოიქმნება იმის გამო, რომ წარმოების მეთოდებზე ცოდნა კერძანენტულად განიცდის სრულყოფას. ამიტომ, სოლოუს ნაშთი ხშირად განიხილება, როგორც ტექნოლოგიური პროგრესის საზომი. თუმცა სხვა ფაქტორებს, ისეთები, როგორიცაა განათლება და სახელმწიფო რეგულირება, შეუძლია გავლენა მოახდინონ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობაზე. მაგალითად, თუ უფრო მაღალი საზოგადოებრივი დანახარჯები ამაღლებენ სწავლების ხარისხს, მაშინ შრომა შეიძლება გახდეს უფრო მწარმოებლური და წარმოების მოცულობა გაიზრდება, რაც ასახავს ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ამაღლებას.

სხვა მაგალითის სახით შეიძლება მოიყვანოთ შემდეგი: თუ სახელმწიფო რეგულირება ფირმებისგან მოითხოვს კაპიტალის დანახარჯებს გარემოს დაბინძურების შემცირებაზე ან შრომის უსაფრთხოებაზე, მაშინ კაპიტალის მარაგი შეიძლება გაიზარდოს პროდუქციის ყოველგვარი ზრდის გარეშე, რაც გულისხმობს ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის შემცირებას.

ამგვარად, ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობა მოიცავს ყველაფერს, რაც ცვლის თანაფარდობას წარმოების გაზომვად მოცულობასა და დანახარჯებს შორის.

აშშ-ს ეკონომიკის ზრდის წყაროები

შეისწავლეთ რა ეკონომიკური ზრდის წყაროები, ახლა შევეცითა გაეანალიზოთ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. ცხრილი N6-ში წარმოდგენილია აშშ-ს მონაცემები 1950-1999 წლებს პერიოდისათვის ეკონომიკური ზრდის სამი წყაროს გასაზომად.

ეკონომიკური ზრდის წყაროები აშშ-ში

წლები	წარმოების მოცულობის ზრდა $\frac{\Delta Y}{Y} =$	ზრდის წყაროები		
		კაპიტალი	შრომა	ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობა
		$\alpha \frac{\Delta K}{K} +$	$(1 - \alpha) \frac{\Delta L}{L} +$	$\frac{\Delta A}{A}$
1950-1999	3.6	1.2	1.3	1.1
1950-1960	3.3	1.0	1.0	1.3
1960-1970	4.4	1.4	1.2	1.8
1970-1980	3.6	1.4	1.2	1.0
1980-1990	3.4	1.2	1.6	0.6
1990-1999	3.7	1.2	1.6	0.9

შენიშვნა: Y – რეალური მშპ; K – კაპიტალი (საბინაო ფონდის გარეშე); L – დასაქმებულთა საერთო რაოდენობა, გამრავებული საათებში გამოხატული საშუალო კვირის საშუალო ხაზრდილობაზე ამ განაზღვრებით მიღებულია, რომ $\alpha = 0.3$.

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ 1950 წლიდან რეალური მშპ იზრდებოდა საშუალოდ 3,6%-ით წელიწადში. აქედან, 1,2% წარმოადგენს კაპიტალის მარაგის ზრდის შედეგს; 1,3% დაკავშირებულია გამოშუშებული კაც-საათების საერთო რიცხოვნობის ზრდისთან და ბოლოს, ზრდის 1,1% განისაზღვრება ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდით. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ კაპიტალისა და შრომის დანახარჯების და მწარმოებლურობის ზრდა ამ თითქმის ერთნაირი წვლილი შეიტანა აშშ-ს ეკონომიკის ზრდაში.

ცხრილი N6 გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ზრდა არსებითად შენედა 1970 წლიდან. მაგალითი 4-ის ანალოზის დროს განვიხილეთ ზოგიერთი პიპოთეზა, რომელიც გარკვეულწილად ხსნის მწარმოებლურობის ზრდის შენეების მიზეზებს.

დანართი 2

როი ფ. პაროდისა და ეესი დომარის ეკონომიკური ზრდის მოდელი

ინგლისეკლმა ეკონომისტმა როი პაროდმა (1900-1976) ააგო ეკონომიკური ზრდის სპეციალური მოდელი (1939წ.) და მასში ჩართო ინვესტიციების ენდოგენური ფუნქცია (დომარის ეგზოგენური საინვესტიციო ფუნქციისაგან განსხვავებით) აქსელერატორის⁵ პრინციპისა და მწარმოებელთა მოლოდინის საფუძველზე.

აქსელერატორის პრინციპის თანახმად, შემოსავლის ნებისმიერი ზრდა (შემცირება) იწვევს კაპიტალდაბანდების ზრდას (შემცირებას) შემოსავლის ცვლილების პროპორციულად.

$$I_t = v(Y_t - Y_{t-1}), \quad \text{სადაც } v \text{ აქსელერატორია.}$$

მეწარმეები გეგმავენ საკუთარი წარმოების მოცულობას იმ სიტუაციებიდან გამომდინარე, თუ როგორი მდგომარეობა იყო ეკონომიკაში წინა წელს: თუკი მათი პროგნოზები მოთხოვნასთან მარტებაში გაამართლებს, მაშინ მოცემულ პერიოდში ისინი გამოშვების მოცულობას უცვლელად დატოვებენ; თუკი მოთხოვნა მიწოდებაზე მაღალი იყო, ისინი გაზრდიან წარმოების ზრდის ტემპებს; თუკი მიწოდება წინა წელს მოთხოვნას აღემატებოდა, ისინი შეამცირებენ ზრდის ტემპებს. სემოთქმულის ფორმალიზება შეიძლება შემდეგი სახით:

⁵ აქსელერატორი – (ლათ. accelero – ვარჯობა) არის ინვესტიციების ნაზრდის დამოკიდებულება შემოსავლისა და მომხმარებელთა მოთხოვნის შევარებითი ზრდის მიმართ. აქსელერატორის პრინციპიდან გამომდინარე, შემოსავლის ნებისმიერი ზრდა (შემცირება) იწვევს კაპიტალდაბანდების (ინვესტიციების) ზრდის (შემცირებას). აქსელერატორს აღნიშნავთ v ასოთ.

$$\frac{Y_t - Y_{t-1}}{Y_{t-1}} = \alpha \frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-2}}$$

სადაც $\alpha=1$, თუკი მოთხოვნა წინა პერიოდში ($t-1$) ტოლი იყო მიწოდების; $\alpha>1$, თუკი მოთხოვნა მიწოდებაზე დაბალი იყო. აქედან მივიღებთ მიწოდების მოცულობას ეკონომიკაში:

$$Y_t = Y_{t-1} \left(\alpha \frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-2}} + 1 \right)$$

ერთობლივი მოთხოვნის განასხვავებისათვის გამოიყენება აქსელერატორის მოდელი (ასევე წონასწორობის შემდეგი პირობა: $I=S$):

$$Y_t = \frac{I_t}{S} = \frac{v(Y_t - Y_{t-1})}{S}$$

წონასწორული ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ტოლობას:

$$\frac{v(Y_t - Y_{t-1})}{S} = Y_{t-1} \left(\alpha \frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-2}} + 1 \right)$$

მცირედი გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ:

$$\frac{v}{S} \left(\frac{Y_t - Y_{t-1}}{Y_{t-1}} \right) = \alpha \left(\frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-2}} \right) + 1.$$

დაეუშვათ, რომ წინა პერიოდში მოთხოვნა მიწოდების ტოლი იყო, ანუ $\alpha=1$. მაშინ, მიღებული პირობების თანახმად, მწარმოებლები მიმდინარე პერიოდში შეინარჩუნებენ წარმოების ზრდის ტემპებს ისეთივე სიდიდით, როგორც ეს იყო წინა პერიოდში, ანუ

$$\frac{Y_t - Y_{t-1}}{Y_{t-1}} = \frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-2}} = \frac{\Delta Y_t}{Y_{t-1}}$$

ასეთ შემთხვევაში, ჩვენს მიერ გამოთქმული აზრი შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

$$\frac{v}{S} \times \frac{\Delta Y_t}{Y_{t-1}} = \frac{\Delta Y_t}{Y_{t-1}} + 1.$$

მაშინ, წარმოების ზრდის წონასწორული ტემპი შეიძლება შემდეგი სახით ჩაეწეროს:

$$\frac{\Delta Y}{Y_{t-1}} = \frac{S}{v - S}$$

პარამეტრი $S/(v-S)$ უწოდა „გარანტირებული“ ზრდის ტემპი: თუ ეს ტემპი შენარჩუნდა, მწარმოებლები სრულიად ენაყოფილი იქნებიან თაიდან და დააწვევტილებებით, ვინაიდან მოთხოვნა მიწოდების ტოლი იქნება და ზაით იმედები გამართლდება. ზრდის ასეთი ტემპი უზრუნველყოფს საწარმოო სიმბალანსის (კაპიტალის) სრულ გამოყენებას, მაგრამ სრული დასაქმება ასეთ პირობებში ყოველთვის არ მიიღწევა.

„გარანტირებული“ ზრდის ტემპის გარდა პარალელურად „ბუნებრივი“ ზრდის ტემპის ცნება. ეს არის ის მაქსიმალური ტემპი, რომელიც შესაძლებელია აქტიური მოსახლეობისა და ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენების პირობებში. ასეთი ტემპის დროს მიიღწევა ფაქტორების (შრომა, კაპიტალი) სრული დასაქმება.

თუკი ზრდის გარანტირებული ტემპი ბუნებრივზე ნაკლებია, ფაქტიური ზრდის ტემპმა შეიძლება გადააჭარბოს გარანტირებულს, ვინაიდან არსებული შრომითი რესურსების სიჭარბე საშუალებას იძლევა გაიზარდოს ინვესტიციები. ეკონომიკური სისტემა ბუშის სიტუაციაში აღმოჩნდება.

ფაქტიური ზრდის ტემპი ასევე შეიძლება გარანტირებულის ტოლი იყოს, მაშინ ეკონომიკა განვითარდება დინამური წონასწორობის პირობებში, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მეწარმეებს, მაგრამ იმ შესთხვევაში, თუკი ადგილი ექნება „გარდაუვალ უშუშევრობას“.

ეკონომიკური სისტემის იდეალური განვითარება მიიღწევა გარანტირებული, ბუნებრივი და ფაქტორი ზრდის ტემპებისა და რესურსების სრული გამოყენების პირობებში.

ეესი დომარის ეკონომიკური ზრდის მოდელი

ეკონომიკური ზრდის კენზიანური მოდელის ერთ-ერთ მარტივ სახესხვაობას ე. დომარის ეკონომიკური ზრდის მოდელი წარმოადგენს, რომელსაც საფუძველი XX საუკუნის 40-ან წლებში ჩაეყარა. ამ მოდელში წარმოების ტექნოლოგია ლონტიევის საწარმოო ფუნქციით არის წარმოდგენილი, რომელიც კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობით ხასიათდება (იმ პირობით, რომ შრომა არ წარმოადგენს დეფიცირებულ რესურსს). დომარის მოდელის ამოსავალი წერტილია ის დაშვება, რომ: 1. შრომის ბაზარზე არსებობს შრომის ჯარბი მიწოდება, რაც ფასების დონის მუდმივობას უზრუნველყოფს; 2. კაპიტალის გამოდევნას არ აქვს ადგილი და დამოკიდებულება K/Y და დაზოგვის ნორმა – მუდმივია; 3. გამოშვება ფაქტორად ერთ რესურსზე – კაპიტალზე და მოკიდებული; 4. სიმარტივისათვის საინვესტიციო ლავი ნულის ტოლად არის მიჩნეული.

როგორც ვიცით, ეკონომიკაში მოთხოვნისა და მიწოდების ზრდის ფაქტორად ინვესტიციების ნაზრდი მიიჩნევა. თუკი მოცემულ პერიოდში ინვესტიციები გაიზარდა ΔI სიდიდით, მაშინ მულტიპლიკატორის ეფექტის შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნა გაიზარდება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta Y_{AD} = \Delta I \times m = \Delta I \times \frac{1}{1-b} = \Delta I \times \frac{1}{S}$$

სადაც, m არის დანახარჯების მულტიპლიკატორი,
 b – მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება,
 S – დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება.
 ერთობლივი მიწოდების ზრდა შეადგენს შემდეგს:

$$\Delta Y_{AS} = \alpha \times I$$

კენზიანური თეორიიდან გამომდინარე გამოყენილი იქნა მულტიპლიკატორის ფორმულა:
 $k = \Delta Y / \Delta I$, მისი გარდაქმნით მივიღებთ:

$$\Delta Y(\Delta \Delta) = k \times \Delta I$$

რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების ზრდის (მატების) ტემპები განისაზღვრება ცვლილებებით ინვესტიციებში, რომელიც მრავლდება მულტიპლიკატორზე. თუკი გათვალისწინებთ იმას, რომ მულტიპლიკატორი უდრის დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების შებრუნებულ სიდიდეს ($1/MPS$), მაშინ მოცემული ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\Delta Y = \Delta I \times \frac{1}{S}$$

სადაც S -ით აღნიშნულია დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება (MPS).

წონასწორული ეკონომიკური ზრდა მიიღწევა მაშინ, როდესაც მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობებს ერთმანეთს გაეთუტლებთ:

$$\frac{\Delta I}{S} = \alpha \times I$$

აბ

$$\frac{\Delta I}{I} = \alpha \times S,$$

რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციების ნაზრდი უნდა უდრიდეს კაპიტალის ზღვრულ მწარმოებლურობას და დაზოგვისადმი ზღვრულ მიდრეკილებას. როგორც აღნიშნეთ, α მოცემულია ტექნოლოგიით და მიღებული წინაპირობების თანახმად იგი მუდმივია, რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციების ნაზრდი მხოლოდ S დაზოგვით შეიძლება იყოს მიღებული (დანახილველი პერიოდისათვის S -იც მიიჩნევა მუდმივად).

წონასწორული ეკონომიკური ზრდა მიიღწევა მაშინ, როდესაც შესაძლებელი იქნება მოთხოვნისა (ერთობლივი მოთხოვნის $\Delta \Delta D$) და მიწოდების, ასევე საწარმოო პოტენციალის ΔK -ს გატოლუ-

ბა. ანუ როცა ფულადი შემოსავლის ნაზრდი (მოთხოვნა) უდრის საწარმოო სიმძლავრეების (მიწოდება) ნაზრდს.

$$\Delta AD = \Delta K \times \alpha$$

აბ

$$\Delta I \times \frac{1}{S} = I \times \alpha$$

საიდანაც

$$\frac{\Delta I}{I} = \alpha \times S$$

ენიდან წონასწორობის შემთხვევაში ინვესტიციები დანაზოგების ტოლია ($I=S$), ხოლო $S=Y$, როცა $S=const$, შემოსავლის დონე წარმოადგენს სიდიდეს, რომელიც ინვესტიციების დონის პროპორციულია. ასეთ შემთხვევაში გვექნება:

$$\frac{\Delta Y}{Y} = \frac{\Delta I}{I} = \alpha \times S$$

ამრიგად, ე. დომარის თეორიის თანახმად, ეკონომიკაში არსებობს შემოსავლის ზრდის წონასწორობი ტემპი, რომლის დროსაც სრულად გამოიყენება არსებული საწარმოო სიმძლავრეები. იგი დაზოგების ნორმისა და კაპიტალის ზღვრული წარმოებულობის პირდაპირპროპორციულია (სხვაგვარად მას კაპიტალუკუების ნაზრდიც შეიძლება ვწოდოს - $\Delta Y/\Delta K$). ინვესტიციები და შემოსავალი ერთიანად იქნებიან ტემპებით იზრდება დროში.

ასეთი დინამიური წონასწორობა შეიძლება არამყარად აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, როცა კერძო სექტორის გვეგმიური ინვესტიციების ზრდის ტემპი გადაიხრება მოდელით მოცემული დონისაგან. როგორც ენახეთ, თავისი მოდელის ასახვად დომარმა გამოიყენა სახი განტოლება:


1. მიწოდების განტოლება $\rightarrow \Delta Y_{AS} = \alpha \times \Delta K$
2. მოთხოვნის განტოლება $\rightarrow \Delta Y_{AD} = \Delta I \times \frac{1}{S}$
3. წონასწორობის განტოლება $\rightarrow \Delta I \times \frac{1}{S} = I \times \alpha$, საიდანაც $\frac{\Delta I}{I} = \alpha \times S$.

დომარის მოდელს თავიდანვე არ ჰქონდა პრეტენზია ეკონომიკური ზრდის მოდელად ჩამოყალიბებულიყო: ეს იყო მცდელობა იმისა, რათა გაფართოებულიყო კეინზიანური მოკლევადიანი წონასწორობა უფრო ხანგრძლივ პერიოდზე გათვლით და წარმოდგენილიყო, თუ როგორი იქნებოდა ეს პირობები განვითარებადი სისტემებისთვის.

დომარი ცდილობს თავის მოდელში გაითვალისწინოს ბაზრის ცვალებადი ტევალობა გაფართოებული ეკლავარმოების პირობებში. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ დინამიური წონასწორობა არამყარია და ამიტომ, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

პაროდისა და დომარის მოდელები ასახავენდენ 1920-1950 წლების რეალური ეკონომიკური ზრდის პროცესებს. XX საუკუნის 50-70-იანი წლების ეკონომიკური ზრდის დაკვირვებებისათვის უკვე ფართოდ გამოიყენება რობერტ სოლოუს ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის მოდელი.

რაც შეეხება ლაონტიევის საწარმოო ფუნქციას, ის გამოიყენება საწარმოო პროცესების ისეთ მოდელებში, სადაც ფიქსირებული ურთიერთდასაყიდებულეება გამოიყენებული რესურსების დანახარჯებს შორის. მისი ფორმულაა: $Q = \min(aK, bL)$, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ერთ-ერთი რესურსის საკმარისი რაოდენობის შემთხვევაში გამოშვება პირდაპირპროპორციულია მეორე (ლიმიტირებული) რესურსისა, ხოლო a და b კოეფიციენტები წარმოადგენს რესურსების წარმოებულობას. მიერ დონეზე რესურსების დანახარჯების შეთანაწყობა გარკვეული პროპორციით ხშირად ნაკარნახევია წარმოების ტექნოლოგიით. ხშირად ასეთი ფუნქცია ზუსტად ასახავს საწარმოო პროცესს მოკლევადიან პერიოდში. ლაონტიევის საწარმოო ფუნქციას გრაფიკულად შემდეგი სახე აქვს:



გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, გვ. 141-165
2. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, გვ. 595-636
3. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, გვ. 280-320
4. Т.А. Агапова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДиС. 2002. გვ. 232-249
5. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002. გვ. 399-420
6. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999. გვ. 499-520
7. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, გვ. 180-206
8. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, გვ. 205-267


თავი 5. უმუშევრობის არსი, მიზეზები და დაძლევის ბზები

უმუშევრობა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც თითოეულ ადამიანზე პირდაპირ და ძლიერ ზემოქმედებას ახდენს. დასაქმებულთათვის სამუშაოს დაკარგვა ნიშნავს ცხოვრების დონის ვარდნას, რაც მათ სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრამვას აყენებს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ უმუშევრობის პრობლემა ხშირად პოლიტიკური დისკუსიის საგანია. პოლიტიკოსები ეკონომიკის მდგომარეობისა და ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების შეფასების მიზნით სარგებლობენ ე.წ. „სოსატიკის ინდექსით“, რომელიც მიიღება უმუშევრობისა და ინფლაციის დონეთა მაჩვენებლების დაჯამებით.

ეკონომისტები სწავლობენ უმუშევრობას, რათა განსაზღვრონ მისი გამომწვევი მიზეზები და სრულყოფილ სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გაველენას ახდენს დასაქმების დონეზე. ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა, მაგალითად, უმუშევართა პროფესიული მომზადება და გადამზადება, აიოლებს მომავალში მათი შრომითი მოწყობის შესაძლებლობას. უმუშევრობაზე დახლევის პროგრამა ამსუბუქებს ცალკეულ ეკონომიკურ სირთულეებს, რომელსაც აწყდებიან უმუშევრები. სხვა სახელმწიფო პროგრამები არაპირდაპირ ახდენენ გავლენას უმუშევრობის დონეზე. მაგალითად, ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ მაღალ მინიმალურ ხელფასს, იწვევენ უმუშევრობის ზრდას. ავლენენ რა ამა თუ იმ სახელმწიფო პოლიტიკის არასასურველ თანდაყოლილ შედეგებს, ეკონომისტებს შეუძლიათ დახმარება გააწვიონ არლიტიკოსებს უმუშევრობის პრობლემათა გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტების შეფასებაში.

რეალურ სიტუაციებში, ყოველთვის არსებობენ პირები, რომლებიც მიიქუთუნებიან შრომისუნარიანი მოსახლეობის კატეგორიას და არ ფლობენ მუდმივ სამუშაო ადგილს: ნებისმიერი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის გარკვეული დონე.

ნახ. 5-1-ზე ნაჩვენებია აშშ-ში უმუშევრობის დონის, ე.ი. სამუშაო ძალაში უმუშევართა ხვედრითი წილის ცვლილებები 1945-2000 წლებში. როგორც წარმოდგინდლ გრაფიკზე ჩანს, უმუშევრობა არასოდეს ქრება, თუმცა, უმუშევართა რაოდენობა მერყეობს წლიდან წლამდე. აბეჯერად, უმუშევრობის შესწავლას დაიწყო მისი არსებობის მიზეზების და მისი დონეების განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვით.



ნახ. 5-1. უმუშევრობის საერთო და ბუნებრივი დონე აშშ-ში. უმუშევრობა არსებობს ყოველთვის. უმუშევრობის ბუნებრივი დონე წარმოადგენს საშუალო დონეს, რომლის გარშემოც განიცდის რყევებს მისი რეალური დონეები. (მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობის ბუნებრივი დონე თითოეულ წელს განისაზღვრება, როგორც უმუშევრობის დონეთა საშუალო არითმეტიკული წინა 10 და მომდევნო 10 წლისათვის.)

5-1. სამუშაოს დაკარგვა, სამუშაოს ძებნა და უმუშევრობის ბუნებრივი დონე


ყოველდღიურად მომუშავეთა გარკვეული რაოდენობა ნებაყოფლობით თავისუფლდება ან მათ ათავისუფლებენ სამსახურიდან, ხოლო ზოგიერთი პირიერთ - პოულობს მას. უმუშევართა რიცხვში ინდივიდთა მუდმივი მოდინება და მისგან გადინება განსაზღვრავს უმუშევრობის მდგომარეობაში მყოფი სამუშაო ძალის ხვედრით წილს. ამ პარაგრაფში ნაჩვენებია სამუშაო ძალის დინამიკის მოდელი, რომელიც გვიჩვენებს უმუშევრობის ბუნებრივი დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს.

უტყაათ, L აღნიშნავს სამუშაო ძალას, E - მომუშავეთა, ხოლო U - უმუშევართა რაოდენობას. რამდენადაც ნებისმიერი შრომისუნარიანი ადამიანი ან მომუშავეა, ან უმუშევარი, მაშინ

$$L = E + U$$

აბგვარად, ერთობლივი სამუშაო ძალა წარმოადგენს დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობის ჯამს. უმუშევრობის დონე ტოლი იქნება U/L .

უმუშევრობის დონის განმსაზღვრელ ფაქტორებზე ყურადღების კონცენტრაციის მიზნით დაეუშვათ, რომ ერთობლივი სამუშაო ძალის სიდიდე უცვლელია. ინდივიდთა გადასვლა დასაქმებულთა თანრიგებიდან უმუშევართა თანრიგში და პირიერთ, მოცემულია ნახ. 5-2-ზე. დაეუშვათ, s - მომუშავეთა განთავისუფლების დონის მანქნებელია, ე.ი. დასაქმებულთა ხვედრითი წილი, რომლებიც ყოველთვიურად კარგავენ სამუშაოს, f - შრომითიმოწყობის დონის მანქნებელია, ე.ი. უმუშევართა ხვედრითი წილი, რომლებიც ყოველთვიურად პოულობენ სამუშაოს. თუ დაეუშვებთ, რომ ორივე ეს მანქნებელი მუდმივია და სამუშაო ძალის რიცხოვნობა უცვლელი, მაშინ დაერწმუნდებით, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავენ უმუშევრობის დონეს.



ნახ. 5-2. მომუშავეთა შემადგენლობიდან უმუშევართა შემადგენლობაში გადასვლა და პირიერთ. დროის ყოველი განსაზღვრული მომენტისათვის დასაქმებული მოსახლეობის ნაწილი s კარგავს თავის სამუშაო ადგილს, ხოლო უმუშევართა ნაწილი f - პოულობს მას. შრომითი მოწყობისა და სამუშაოდან განთავისუფლების მანქნებლები განსაზღვრავს უმუშევრობის დონეს.

თუ უმუშევრობის დონე არ იცვლება, ე.ი. შრომის ბაზარი იმყოფება მდგრად მდგომარეობაში, მაშინ დაქირავებულთა რიცხვი უნდა უტოლდებოდეს განთავისუფლებულთა რიცხვს. რამდენადაც FU არის სამუშაოდ დაქირავებულ პირთა, ხოლო sE - სამუშაოდაკარგულთა რიცხვი, მათი სიდიდე ტოლი უნდა იყოს:

$$FU = sE$$

ჩვენ შეგვიძლია ამ ტოლობის გარდაქმნა უმუშევრობის მდგრადი დონის მისაღებად. შევნიშნოთ, რომ $E=L-U$, ე.ი. დასაქმებულთა რიცხვი ტოლია ერთობლივ სამუშაო ძალას გამოკლებული უმუშევართა რაოდენობა. ეს ნიშნავს, რომ

$$FU = s(L - U)$$

ტოლობის ორივე მხარის L -ზე გაყოფით მივიღებთ:

$$f \frac{U}{L} = s(1 - \frac{U}{L})$$

შემდეგ გამოვყოთ U/L ტოლობის ორივე მხრიდან, საბოლოოდ მივიღებთ:

$$\frac{U}{L} = \frac{s}{s+f}$$

ეს ტოლობა გეინენგებს, რომ უმუშევრობის დონე U/L დამოკიდებულია შრომითი მოწყობის და სამუშაოდან განთავისუფლების დონეთა მაჩვენებლებზე. რაც უფრო მაღალია განთავისუფლების დონე, მით უფრო მაღალია უმუშევრობა, ხოლო რაც უფრო მაღალია შრომითი მოწყობა, მით უფრო დაბალია უმუშევრობა.

განიხილოთ რიცხობრივი მაგალითი. დავუშვათ, რომ ყოველიუიურად დასაქმებულთა 1% კარგავს სამუშაოს ($s=0.01$), რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულთა რიცგებში ყოფნის საშუალო პერიოდი შეადგენს 100 თვეს, ანუ შეხვედრების 8 წელს. დავუშვათ აგრეთვე, რომ დაახლოებით 20% უმუშევრებისა ყოველიუიურად პოულობს სამუშაოს ($f=0.2$). ეს კი ნიშნავს, რომ უმუშევრად ყოფნის საშუალო პერიოდი გრძელდება 5 თვე. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობის მდგრადი დონე ტოლი იქნება

$$\frac{U}{L} = \frac{0.01}{0.01 + 0.2} = \frac{0.01}{0.21} \approx 0.0476$$

ამეგარად, უმუშევრობა შეადგენს დაახლოებით 4.76%-ს.

უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოცემული მოდელიდან გამომდინარეობს საკმაოდ მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი დასკვნა. ნებისმიერმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებისაკენ, უნდა უზრუნველყოს ან განთავისუფლების დონის შემცირება, ან შრომითი მოწყობის დონის ზრდა. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც ზემოქმედებს მითითებულ მაჩვენებლებზე, ცვლის უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.

მიუხედავად ამისა, რომ ეს მოდელი გეინენგებს უმუშევრობის, განთავისუფლების დონის და შრომითი მოწყობის დონის მაჩვენებლებს შორის კავშირს, ის არ იძლევა საკმარის კითხვაზე პასუხს: მაინც რატომ არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა უმუშევრობა? თუ ადამიანი შეედრება ნებისმიერ მომენტში სამუშაოს სწრაფად მოძებნას, შრომითი მოწყობის დონე იქნებოდა ძალიან მაღალი, ხოლო უმუშევრობის დონე – ნულთან ახლოს მყოფი. უმუშევრობის აღნიშნული მოდელი გულისხმობს, რომ სამუშაოს პოვნის პროცესი გრძელდება გარკვეული დროის განმავლობაში, მაგრამ არ გვიხსნის, თუ რატომ ქვემოთ განვიხილავთ უმუშევრობის ორ ძირითად მიზეზს: სამუშაოს პოვნისთან დაკავშირებულ პრობლემებს და ხელფასის სიხისტეს.

5-2. სამუშაოს ძებნა და ფრიქციული უმუშევრობა

უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი სამუშაო ძალის სტრუქტურასა და თავისუფალ სამუშაო ადგილებს შორის შესაბამისობის დამყარებისათვის საჭირო დროის გარკვეული პერიოდის არსებობის აუცილებლობაში მდგომარეობს. შრომის ბაზრის წონასწორობის მარტივი მოდელი გულისხმობს ზუსტ შესაბამისობას მომუშავეთა და თავისუფალი სამუშაო ადგილების მახასიათებლებს შორის, ე.ი. გულისხმობს, რომ ნებისმიერი მომუშავე ერთნაირად კარგად შეესაბამება ნებისმიერ სამუშაო ადგილს. სინამდვილეში ასე რომ იყოს და შრომის ბაზარზე იმყოფებოდეს წონასწორულ მდგომარეობაში, მაშინ სამუშაო ადგილის დაკარგვა არ გამოიწვევს უმუშევრობას: შრომის ბაზარზე გასული ნებისმიერი უმუშევარი მყისვე იპოვება ახალ სამუშაოს არსებული წონასწორული ხელფასით.

მაგრამ, სინამდვილეში მომუშავეები სხვადასხვა მიდრეკილებებითა და უნარით ხასიათდებიან, ხოლო ყოველი კონკრეტული სამუშაო ადგილის მახასიათებლებიდან გამომდინარე მათ გარკვეული პროფესიული მოთხოვნილებები წაყენებათ. გარდა ამისა, ინფორმაციის გაერთიანების სისტემა ვეკანსივებზე და სამუშაოს მაძიებელთა თაობაზე არასრულყოფილია, ხოლო მომუშავეთა გეოგრაფიული გადაადგილება არ შეიძლება მომენტალურად განხორციელდეს შესავალი სამუშაო ადგილების ძებნა მოითხოვს გარკვეულ დროსა და ძალისხმევას. რამდენადაც სამუშაო ადგილები ერთმანეთისაგან განსხვავდება ტერორიც სიორთულის, ისე ანაზღაურების მხრივ. უმუშევრს შეუძლია უარი თქვას პირველად შემოთავაზებულ ვაკანსიაზე. უმუშევრობას, რომელიც გამოწვეულია სამუშაოს ძებნებითა და სამუშაო ადგილებს შორის შესაბამისობის დამყარებისათვის გარკვეული დროის საჭიროებით, *ფრიქციული უმუშევრობა* ეწოდება.

ფრიქციული უმუშევრობის გარკვეული დონე გარდაუვალია მუდმივად ცვალებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მოთხოვნა სხვადასხვა საქონლებზე მუდმივად ვერცხვობს, რაც თავის მხრივ იწვევს ამ საქონლის მწარმოებელი მომუშავეების შრომაზე არსებული მოთხოვნის ცვლილებებს. მაგალითად, აქვსონადღური კომპიუტერების დაწერვამ შეამცირა მოთხოვნა საბჭოდ მანქანებზე, რმაც თავის მხრივ შეამცირა საბჭოე მანქანების მწარმოებელ საწარმოებში შრომაზე მოთხოვნაც. ერთდროულად გაიზარდა შრომასზე მოთხოვნა ელექტრონულ მრეწველობაში. შემდგომ, რამდენადაც რეგიონები აწარმოებენ სხვადასხვა საქონელს, შრომაზე მოთხოვნა შეიძლება გაიზარდოს ერთდროულად ქვეყნის ერთ ნაწილში და შემცირდეს მეორეში. მაგალითად, ნათობაზე ფასების ზრდამ, შეიძლება გამოიწვიოს საშუაშო ძალაზე მოთხოვნის ზრდა ნათობამომწოდებელ შტატებში, ისეთი როგორიცაა ტენესი და მოთხოვნის შემცირება იმ შტატებში, სადაც განვითარებულია საავტომობილო მრეწველობა, მაგალითად, მიჩიგანში. ეკონომისტები დარგებისა და რეგიონების მიხედვით შრომაზე მოთხოვნის სტრუქტურაში ახვარ ცვლილებებს უწოდებენ *სტრუქტურულ ძებებს*. რამდენადაც სტრუქტურული ძებები ხორციელდება მუდმივად და მომუშავეებს ჭირდებათ გარკვეული დრო საშუაშოს შესაცვლელად, ფრიქციული უმუშევრობა მდგრადი ხასიათისაა.

სტრუქტურული უმუშევრობის ერთ-ერთი არ წარმოადგენს მომუშავეთა მუდმივი გამოთავისუფლებისა და ფრიქციული უმუშევრობის ერთადერთ მიზეზს. გარდა ამისა, მომუშავეები მისდარებულად აღმოჩნდებიან ხოლმე განათავისუფლებულნი იმ შემთხვევაში, თუ ფირმა განიცდის ბანკრატობას, ან მათი მუშაობის ხარისხი არაღამაქყოფილებელია და მათი კონკრეტული კვალიფიკაცია უკვე არ არის საჭირო. მომუშავეები თავისუფლებიან სამსახურიდან საკუთარი სურვილისამებრ პროფესიული ინტერესების შეცვლადასთან ან ქვეყნის სხვა რეგიონსა თუ ქალაქში გადასვლისათან დაკავშირებით. ვიდრე შენარჩუნებულია შრომის ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის დარგთაშორისი რყევები, ფრიქციული უმუშევრობა გარდაუვალია.

სახელმწიფო პოლიტიკა და ფრიქციული უმუშევრობა

სახელმწიფო პროგრამების ერთ-ერთი მიზანია უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირება ფრიქციული უმუშევრობის შემცირებით. დასაქმების სახელმწიფო სამსახურები აერცვლებენ ინფორმაციებს არსებულ ვაკანსიებზე უმუშევართა მიერ საშუაშოს პოვნის ყვეტრიანობის ახალეების მიზნით. პრთფესიული გადაზადების სახელმწიფო პროგრამები მწოდებულია შეამსუბუქოს მომუშავეთა გადასვლა შემცირებადი დარგებიდან სწრაფად ზრდად დარგებში. რამდენადაც აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფს შრომითი მოწყობის დონის ზრდას, იმხენად ამცირებს უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.

ამ პროგრამებისგან განსხვავებით, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ზრდის ფრიქციულ უმუშევართა რიცხვს. ამ პროგრამით უმუშევრებს საშუაშოს დაკარგვის შემდეგ შეუძლიათ ნაწილობრივ მიიღონ ხელფასი გარკვეული დროის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობაზე დაზღვევის კონკრეტული პრობები იცვლებოდა დროისა და ადგილის მიხედვით, მაგალითად, აშშ-ში ტიპური ამერიკელი მომუშავე, რომელიც სარგებლობს უმუშევრობაზე დაზღვევის პროგრამით, 26 კვირის განმავლობაში დღეობს თავისი ბოლო ხელფასის 50%-ს.

ამსუბუქებს რა საშუაშოს დაკარგვით გამოწვეულ ეკონომიკურ შედეგებს, უმუშევრობაზე დაზღვევა ერთდროულად ზრდის ფრიქციულ უმუშევართა რაოდენობას და შესაბამისად, უმუშევრობის ბუნებრივ დონეს. უმუშევრები, რომლებიც დღეობენ შემწეობას, არც თუ აქტიურად ეძებენ საშუაშოს და ხშირად უარყოფენ მათი თვალსაზრისით არამომზიდველ წინადადებებს, რაც ამცირებს უმუშევართა დაქირავების ტემპებს. გარდა ამისა, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემების არსებობა, ნებას აძლევს მეწარმებს იოლად წაიდნენ მომუშავეთა განათავისუფლებაზე, რითაც ზრდის საშუაშოდან დათხოვნის ტემპის მაჩვენებელს.

ის ფაქტი, რომ უმუშევრობაზე დაზღვევა ზრდის მის ბუნებრივ დონეს, თავისთავად არ ნიშნავს ამ პოლიტიკის მიუღებლობას. მისი დადებითი მხარეა ის, რომ უმუშევრებს უზრუნველყოფს გარკვეული შემოსავლით. უფრო მეტიც, ნებას აძლევს რა მომუშავეებს უარი თქვან არამომზიდველ საშუაშოზე, ეს პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, რომ საშუაშო ძალის მახასიათებლებსა და საშუაშო ადგილებში სტრუქტურებს შორის უფრო ზუსტ შესაბამისობას ახვარებს. უმუშევრობაზე დაზღვევის სხვადასხვა სისტემების შედარებითი შედეგანობისა და ღირებულების შეფასება საკმაოდ რთული პრობლემაა და სერიოზული კვლევის საგანდ რჩება.

ეკონომისტები, რომლებიც სწავლობენ უმუშევრობაზე დაზღვევის საკითხებს, უმუშევართა რიცხვის შემცირების მიზნით ხშირად ამ სისტემის რეფორმირებას გეთავაზობენ. შემთავაზებულ წინადადებებს შორის ერთ-ერთი ითვალისწინებს შემდგენ მოთხოვნას: ფირმამ, რომელმაც გაათავისუფლა მომუშავე, უნდა გადაიხადოს უმუშევრობაზე დაზღვევა სრული მოცულობით. ასეთ სისტემას ეწოდება 100%-იანი კომპენსაციის სისტემა, რამგანაც ყოველი ფირმის მიერ უმუშევრობაზე დაზღვევის ფინანსო შენატანები ზუსტად ასავსებს უმუშევრობის მასშტაბებს. უმრავლესობა მოქმედ პროგრამათგან ეყუძნება ნაწილობრივი კომპენსაციის სისტემას, რომლის

თანახმადაც ფორმა, სადაც ათაიუსუფლებენ მომუშავეებს, ამ მომუშავეის უმუშევრობაზე მომავალი შემწეობის მხოლოდ ნაწილს იხდის. რამდენადაც ფორმას ტვირთად აწეება გათაიუსუფლებულ მომუშაეთა საარსებო დონის შენარუნებისათვის დანახარჯების მხოლოდ ნაწილი, იმდენად მისთვის მომგებიანია მოთხოვნის დროებითი შემცირების დროს გათაიუსუფლდეს ჭარბი სამუშაო ძალიანაგან. კომპენსაციის სიდიდის ზრდამ შეიძლება შესწუდოს ფართოდ გაერცელებული დროებითი დათხოვნები.

მაბალოთი 5-1

უმუშევრობა დიდ ბრიტანეთში I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში


უმუშევრობა დიდ ბრიტანეთში ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში მუდმივად იმყოფებოდა მაღალ დონეზე. 1920-1938 წლებში უმუშევრობის დონე საშუალოდ შეადგენდა 14%-ს და არასოდეს დაშვებულა 9%-ან ზღვარს ქვემოთ.

ეკონომისტებმა დანიელ ბენჯამინმა და ლევის კონინმა გამოიქვეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ დიდ ბრიტანეთში უმუშევრობის მაღალი დონე მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო უმუშევრობაზე მაღალი შემწეობებით. თავიანთი თვალსაზრისის მართებულობის დასტურად მათ მოიყვანეს სამი ფაქტი. პირველი, მათ აღმოაჩინეს, რომ დიდ ბრიტანეთში ანახალურებათა ზრდა უმუშევრობაზე გავლელი შემწეობებით 1920-1938 წლებში თანდაყოლილი იყო უმუშევრობის დონის ზრდით. მეორე, მათ მიქციეს უკრადლება იმის, რომ უმუშევრობის დონე მზარდებს შორის, რომლებიც უმუშევრობაზე ნაკლებ შემწეობას ღებულობდნენ ან საერთოდ არ ღებულობდნენ, ვაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე უფროსი ასაკის მოსახლეობაში. მესამე, მათ აჩვენეს, რომ რაცა 1932 წელს შემწეობა დაოჯახებულ ქალებზე შემცირდა, უმუშევრობის დონე მათ შორის შესანიშნავად შემცირდა მამაკაცებს შორის არსებულ უმუშევრობის დონესთან შედარებით. მოყვანილი ფაქტები განხილვებოდა როგორც უმუშევრობაზე შემწეობის სიდიდესა და უმუშევრობის დონეს შორის პირდაპირი კავშირის არსებობის დამადასტურებელი საბუთი.

აღნიშნული ახსნა ფართო დისკუსიის საგანი გახდა ეკონომისტებს შორის, რომლებიც სწავლობდნენ აღნიშნულ პერიოდს. საკმე ისაა, რომ ფაქტური მონაცემები, რომლებიც ეხება უმუშევრობაზე შემწეობის სიდიდეს და უმუშევრობის დონეს, შეიძლება ასახადეს ორ სხვადასხვა მიზეზობრივ ურთიერთკავშირს - ეკონომიკურს და პოლიტიკურს. ერთი მხრივ, რაც უფრო მეტია შემწეობის დონე, მით უფრო მეტია ვარაუდი იმისა, რომ უმუშევრობა უარს იტყვის არამომხიდედ სამუშაო ადგილებზე, რაც იწვევს ფრცქვილი უმუშევრობის დონის ზრდას მეორე მხრივ, რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, მით უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს ის პოლიტიკოსებზე და მთავრობებზე მათ უფრო მაღალი შემწეობების გაუადვილს ამჯობინებს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ სწორად მაღალ უმუშევრობის მუდმივად გამოყენება უმუშევრობაზე შემწეობის სიდიდის ზრდა და არა პირიქით. ვაკერდებით რა ემპირიულ კავშირს უმუშევრობასა და უმუშევრობაზე შემწეობებს სიდიდეს შორის, არ შეეძლება ცალსახად ვამტკიცოდ, რომ ამ ორ მოვლენას შორის არსებობს ეკონომიკური ან პოლიტიკური ურთიერთკავშირი, ან მათი ზოგიერთი კომბინაცია.

მაბალოთი 5-2

უმუშევრობაზე დაზღვევა და შრომითი მოწყობის მაჩვენებელი



ნანს 5-3 შრომითი მოწყობის მაჩვენებელი ეს გრაფიკი გვიჩვენებს იმას, თუ როგორია დამოკიდებული ახალი სამუშაოს პოვნის ალბათობა იმ ვადაზე, რომელიც უმუშევრობაზე შემწეობის გადახდის დასრულებამდე ნდობიდან ნიშნულზე ანგეგმული პიკი მეტყველებს იმაზე, რომ შრომითი მოწყობის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება მაშინ, როცა უმუშევარი კარგავს შემწეობის მიღების უფლებას. ზრდა შრდა: შრომითი მოწყობის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი რაოდენობა ჰოლო აერთაა განმავლობაში - სტატისტიკური ილუზია. რამდენადაც სამუშაოს პოვნის დროს უმუშევრები ვით შეზან დაუსაქმებელთა საკლებე ნაკრებს, დროთა განმავლობაში შრომითი მოწყობის მაჩვენებელი სულ უფრო ნაკლებად ზუსტად ხდება.

უმუშევრობაზე დაზღვევის ხისტემის სამუშაოს ძებნის ინტენსიობაზე გავლენის დემონსტრირების სხვა საშუალებაა შრომითი მოწყობის პროცესზე ეკონომიკურ სტრუქტურის ზემოქმედების შესწავლა. ამისათვის უნდა გაავანალიზოთ არა ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის დონის, არამედ ცალკეულ მომუშავეებზე

არსებული მონაცემები. ცალკეულ ინდივიდებზე არსებული მონაცემები ნაწილობრივ უფრო თვალსაჩინოა და ექვემდებარება შედარებით ცალსახა ინტერპრეტაციას.


ამ მონაცემებიდან კერძოდ გამოვინარეოთ ის, რომ შემწევობის მიღების დაწესებული ვადის ამოწურვის კვალიდაკად უმუშევრების მიერ სამუშაო ადგილის პოვნის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება. ჩანს, 3-სე ნაივენებია, შრომითი მოწყობის მაჩვენებელი თუ როგორაა დამოკიდებული კვირების რაოდენობაზე, რომლებზეც რჩება უმუშევრობაზე შემწევობის გადახდის ვადის დამატებაზე. ნულვან დონეზე პიკი მოწობის იმას, რომ სამუშაოს პოვნის ალბათობა დაახლოებით ორმაჯდება, რაცა უმუშევრობაზე შემწევობის მიღების ვადა იწურება. ეს კი ნიშნავს, რომ შემწევობის არარსებობა მნიშვნელოვნად ზრდის უმუშევართა მხრიდან ახალი სამუშაო ადგილის ძებნის აქტივობას.

სამუშაოს ძებნის პროცესზე გაონომიკური სტიმულების გავლენის თაობაზე დამატებითი მტკიცება გა-
მოვლენილი იქნა ეკსპერიმენტის შესჯელობისას, რომელიც ჩატარდა ილინოისის შტატში 1985 წელს. თეთონე-
ბურად არსეულ კრეტენდენტებს უმუშევრობაზე შემწევობის მიღებაზე დამატებითი შეპირდნენ 500 დოლარის
ოდნობის ჯილდოს, თუ ისინი მოძებნიდნენ სამუშაოს 11 კვირის განმჯელობაში. შემდგომ მათი აქტივობა
ახალი სამუშაო ადგილების ძებნაში ედრებოდა ანალოგიურ საკონტროლო ჯგუფს, სადაც არავითარი დამატე-
ბითი ჯილდო არ იყო ნაგულისხმევი. უმუშევრად ყოფნის საშუალო პერიოდი იმ პირთათვის, რომლებიც შე-
დლოდნენ პირველ ჯგუფში, შეადგენდა 17 კვირას განსხევეებით 18,3 კვირისა მჯორე საკონტროლო ჯგუფთან
შედრებით. ამ ექსპერიმენტმა თვალნათლიე უქენა, რომ გაონომიკურმა სტიმულებმა უმუშევრობაზე დახდე-
ვის სახით არ შეიძლება არ მოახდინოს გავლენა სამუშაო ადგილების ძებნის აქტივობაზე და შრომითი მო-
წყობის მაჩვენებელზე.

5-3. ხელფასის სიხისტე, როგორც უმუშევრობის მიზეზი

უმუშევრობის მჯორე მიზეზია ხელფასის სიხისტე, ე.ი. იმ მოქნილობის უუნარობა, რაც
საკმარისი იქნებოდა შრომის მიწოდების შრომაზე მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოსაყენად.
შრომის ბაზრის წონასწორულ მოდელში რეალური ხელფასი იცვლება როგორც ზრდადობის, ისე
შემცირების მიმართულებით, რაც აწონასწორებს მოთხოვნას და მიწოდებას. მაგრამ, სინამდელიეში
ხელფასი ყოელითვის არ არის საკმარისად მოქნილი. ხშირად რეალური ხელფასი ერთგვარად
„იჭვდება“ წონასწორულ დონეზე მაღლა.

ნახ 5-4 გვიჩევენებს, თუ რატომ იწეებს ხელფასის სიხისტე უმუშევრობას. როდესაც რეალური
ხელფასი იმყოფება მოთხოვნა-მიწოდების წონასწორულ დონეზე მაღლა, ბაზარზე შრომის
მიწოდება აჭარბებს მასსე არსებულ რეალურ მოთხოვნას. ფირმებს უწევთ ასე თუ ისე გაანაწილონ
ყველა პრეტენდენტს შორის სამუშაო ადგილების არასაკმარისი რაოდენობა. ამიტომ, რეალური
ხელფასის სიხისტე ამცირებს შრომითი მოწყობის ალბათობის მაჩვენებელს და ზრდის
უმუშევრობის დონეს. მომუშაეები უმუშევრები ხდებიან არა იმიტომ, რომ მათ სურთ სამუშაოს
პოვნა, რომელიც უკეთ შეესაბამება მათ ეკაოლიყიაციას, არამედ იმიტომ, რომ არსებული
ხელფასის პირობებში შრომის მიწოდება აჭარბებს ყირმების მხრიდან შრომაზე მოთხოვნას.
უმუშევრები უბრალოდ ელოდებიან სამუშაოს მიღების შესაძლებლობას.



ნახ. 5-4. რეალური ხელფასის სიხისტე იწეებს სამუშაო ადგილების უკმარისობას თუ რეალური ხელფასი „იჭვდება“ წონასწორულ დონეზე მაღლა, მაშინ შრომის ბაზარზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას. შედეგი იქნება უმუშევრობა.

იმისათვის, რომ გაევიგოთ ხელფასის სიხისტი და მოლოდინის უმუშევრობის კატეგორიები, აუცილებელია ნაოცდევითი, თუ რატომ არ მოდის წონასწორობაში შრომის ბაზარი. როდესაც რეალური ხელფასი წონასწორულ დონეზე მაღალია, ხოლო შრომის მიწოდება აჭარბებს მასზე არსებულ მოთხოვნას, საშუალო მიმცემიდან ლოკური იქნებოდა მათ მიერ გადასახდელი ხელფასის შემცირება. მოლოდინის უმუშევრობა წარმოიშობა იმიტომ, რომ ფირმებს არ ძალუძთ ხელფასის დონის შემცირება, მიუხედავად შრომის მიწოდების სიჭარბისა. ახლა განვიხილოთ ხელფასის სიხისტის სხვა მიზეზები: კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ, პროფაქტორთა მინიმალური ძალეების არსებობა და ფირმების მიერ სტიმულირებადი ხელფასის დაწესება.

კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ
მთავრობა ხელს უწყობს ხელფასის სიხისტის შენარჩუნებას იმით, რომ ფირმა ვალდებულია შემცირებას წინასწორულ დონეზე. კანონი ხელფასის მინიმუმის შესახებ ყველა ფირმის ავადღებულებს ხელფასის მინიმალური განაკვეთების გადახდას. იმ დროიდან, როცა აშშ-ში 1938 წელს მიღებულ იქნა კანონი შრომის სამართლიან პირობებზე, აშშ-ს ფედერალური მთავრობა აწესებს ხელფასის მინიმალურ დონეს, რომელიც ჩვეულებისამებრ მეტროპოლიტან საშუალო ხელფასის 30-50 პროცენტის ფარგლებში. მომუშავეთა უმრავლესობისათვის ამ დონეს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ისინი გამოიმუშავენ დაწესებულ მინიმუმთან შედარებით გააცილებით მეტს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მომუშავეისათვის, განსაკუთრებით არა-კვალიფიცირებულებისა და გამოუცდლებიისათვის, დაწესებული მინიმუმი ამაღლებს ხელფასს წინასწორების დონეზე მაღლა, რაც ამცირებს მსგავს შრომასზე ფირმების მხრიდან მოთხოვნას.

იგიულება, რომ ხელფასის მინიმუმის დაწესება ყველაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს მოზარდებს შორის უმუშევრობაზე, რამდენადაც მოზარდთა ხელფასის წინასწორულ დონე ჩვეულებრივ დაბალია. ამას ორი მიზეზი გააჩნია. პირველი, რამდენადაც მოზარდები მიეკუთვნებიან საშუალო ძალის ყველაზე ნაკლებად კვალიფიცირებულ და ნაკლებად გამოცდილთა ნაწილს, მათი შრომის ზღვრული პროდუქტი მცირეა. მეორე, მოზარდები ხშირად ღებულობენ განსაზღვრულ „კომპენსაციას“ არა ფულადი, არამედ თავიანთ საშუალო ადგილზე უფრო პროფესიული სწავლების ფორმით. მოწვეუბის სისტემა წარმოადგენს ამის კლასიკურ მაგალითს. ამიტომ, ხელფასის წინასწორული დონე მოზარდთათვის დაბალია და ხელფასის მინიმუმის დაწესებას მათთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მრავალი ეკონომისტი სწავლობს თუ რა ზემოქმედებას ახდენს მინიმალური ხელფასი მოზარდთა დასაქმებაზე. მკვლევარები მინიმალური ხელფასის ცვლილებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადარებდნენ მოზარდთა დასაქმების დონის ცვლილებას. ამ გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ მინიმალური ხელფასის 10%-ით ზრდა მოზარდებს შორის დასაქმებას ამცირებდა დაახლოებით 1.3%-ით.

მინიმალურ ხელფასზე კანონის მოზარდთა უმუშევრობაზე ზემოქმედების შემსუბუქების მიზნით ზოგიერთი ეკონომისტი და პოლიტიკოსი დიდი ხანია გამოდის მათი მოქმედების გაერცვლების წინააღმდეგ ახალგაზრდა მომუშავეების შრომის ანაზღაურებაზე. ეს ქვეყანას საშუალებას მისცემდა დასაქმებინა მოზარდები ხელფასის საბაზრო განაკვეთით, შეემცირებინა მათ შორის უმუშევრობის დონე და ერთდროულად მიეცა მათთვის პროფესიული სწავლებისა და შრომის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. შესუღვლელი ფორმით მსგავსი შესწორებები მიღებულ იქნა კონომი მინიმალური ხელფასის შესახებ 1990 წელს. თუმცა ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ეს ფირმებს უბიძგებს ჩანაცვლენ მოზარდებით არაკვალიფიცირებულ უფროს თაობის მომუშავეები, რაც გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას მოსახლეობის სხვა ჯგუფში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი აზრით აღნიშნული ღონისძიება ზრდის მოზარდების დასაქმების და არა საერთო დასაქმების დონეს.

მაბალოი 5-3

მინიმალური ხელფასი და მოსახლეობის დარბი ფუნები

მინიმალური ხელფასი წარმოადგენს უწყვეტი პოლიტიკური დისკუსიის წყაროს. მაღალი მინიმალური ხელფასის მომხრეები მას განიხილავენ, როგორც ხელმოკლე ოჯახების შემოსავლების ზრდის საშუალებას რა თქმა უნდა, მინიმალური ხელფასი უზრუნველყოფს ცხოვრების მხოლოდ ძალიან მწირ დონეს.

მინიმალური ხელფასის ზრდის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ ეს არ წარმოადგენს ხელმოკლეთა დანამტების საუკეთესო გამოსავალს. ვერ ერთი, შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების ზრდა ხელს შეუწყობს უმუშევრობის ზრდას; მეორე, დანამტება ნაწილობრივ წილად ხვდებთან არა იმ პირებს, რომლებსთვისაც იყო გამოიზრდა. მრავალი მცირედ ანაზღაურებადი მომუშავე – ეს მოზარდებისა საშუალო ფენიდან, რომლებიც ჯების ფულს გამოიმუშავენ. მაგალითად, აშშ-ში დაახლოებით 5 მილიონ მომუშავეში, რომლებიც ღებულობენ მინიმალურ ხელფასს, ოჯახის უერთოსა რაოდენობა 25%-ზე ნაკლებია, მაშინ, როცა მოზარდების ხვედრითი წილი 37%-ს აღწევს.

ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვარაუდობს, რომ საგადასახადო კრედიტი წარმოადგენს უფრო სრულყოფილ საშუალებას ხელმოკლე მომუშავეთა დასახმარებლად, ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადზე შედარებით მომუშავე დარბი ფენის ოჯახებისთვის შეამცირებს მათზე უკეთესად გადასახადებს გარკვეული თანხით. რაც უფრო ნაკლებია მათი შემოსავალი, მით უფრო მეტია მათზე უკეთესად შედარებით. მინიმალური ხელფასის ზრდასთან შედარებით საგადასახადო შედარებით შესაძლებელი არ გასწრდის ფორმების დასახარჯებს შრომის ანაზღაურებაზე და შესაბამისად, არ შეამცირებს შრომაზე მოთხოვნას. ამგვარი პოლიტიკის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ის შეამცირებს სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლებს.

პროფკავშირები და კოლექტიური შეთანხმებები

პროფკავშირებში გაერთიანებულ მომუშავეთა ხელფასი განისაზღვრება არა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობით, არამედ პროფკავშირის ღირებულებას და ფირმის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებებით. შედეგად, მიღწეული კოლექტიური შეთანხმება ნაწილობრივ ამალღებს ხელფასს წონასწორობა დონეზე მაღლა, მაგრამ იმედროულად ნებას აძლევს ფირმებს დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საკითხი მომუშავეთა მათთვის საჯირო რაოდენობის დაქირავებაზე. შედეგად, ადგილი აქვს დაქირავებულთა შემცირებას და მოლოდინის უშეშერობის ზრდას.

პროფკავშირებს შეუძლიათ აგრეთვე გაეღუნა მოახდინონ იმ ფორმებში არსებული ხელფასის სიღრმეზე, სადაც არ არის პროფკავშირული მოძრაობა, რამდენადაც მომუშავეების პროფკავშირებში გაერთიანების საფრთხე ფირმებს უბიძგებს გაზარდონ ხელფასი წონასწორობულ დონესთან შედარებით. ფირმების უმრავლესობა უარყოფითად არის განწყობილი პროფკავშირების მიმართ, რადგანაც ისინი არა მარტო ხელს უწყობს ხელფასების ზრდას, არამედ მოლაპარაკებისას მრავალ საკითხში ამაყარებენ მომუშავეების პოზიციებს, კერძოდ ისეთში, როგორცაა საშუალო დღის ხანგრძლივობა და შრომის პირობები. ფირმაში შეიძლება ამჯობინოს საკუთარი მომუშავეებისათვის მაღალი ხელფასის გადახდა, რათა ეს უკანასკნელნი დაქმავიფილდნენ და არ ჩათვალონ საჯირო პროფკავშირებში გაერთიანება.

უშუალოდ, რომელიც გამოწვეულია პროფკავშირების მიერ ან მათში გაერთიანების საფრთხით, წარმოადგენს მომუშავეთა სხვადასხვა ჯგუფების - ინსაიდერებსა და აუტსაიდერებს - შორის კონფლიქტის მიზეზს. მომუშავეები, რომლებიც დასაქმებული არიან ფირმებში (ინსაიდერები), ჩვეულებრივ იწვარდებიან შეინარჩუნონ ხელფასის მაღალი დონე. უშუალოდ, რომლებიც შეიძლება დაქირავდნენ ფირმების მიერ (აუტსაიდერები), თავად განივიდიან ამ მაღალი ხელფასის შედეგების მიუღ სიმძიმეს. ამ ორ ჯგუფს შორის ინტერვიუსა დაპირისპირება გარდაუვალია. ხელფასზე და დასაქმებაზე მოლაპარაკებების გაეღუნა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ ორი ჯგუფის პოზიციების შედარებით სიმძიცივეზე.

ინსაიდერებსა და აუტსაიდერებს შორის კონფლიქტი ხელფასზე დასაქმებულთა ქვეყნებში სხვადასხვა ნაირად წყდება. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორცაა აშშ, ხელფასის განაკვეთზე მოლაპარაკებები ხდება ფირმების დონეზე. სხვაგან, როგორცაა შედეგით, ხელფასის სიღრმე განისაზღვრება ერთეულ დონეზე - ამ დროს მთავრობა გადამწყვეტ როლს თამაშობს. მიუხედავად საშუალო ძალის პროფკავშირებში გაერთიანების მაღალი დონისა, უშუალოდ შედეგით საკმაოდ დაბალია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ხელფასის დონეზე ცენტრალიზებული მოლაპარაკებები და მთავრობის როლი ამ პროცესში აუტსაიდერთა პოზიციებს ამაყრებს და ამით წონასწორობულ დონესთან ახლოს მყოფი ხელფასიც რეალურად შენარჩუნებულია.

მხალობი 5-4

პროფკავშირული მოძრაობები და უშუალოდ აშშ-სა და კანადაში.

გასული საუკუნის 60-იან წლებში აშშ-სა და კანადაში შრომის ბაზარზე შესავსი სიტუაცია შექმნა. ორივე ქვეყანაში უშუალოდ საშუალო დონე დაახლოებით ერთნაირი იყო და მათი ცვლილებები ექვემდებარებოდა საკითრო კანონზომიერებებს. 70-იანი წლების შუა პერიოდში გაჩნდა განსხვავებები. 1985 წელს, როცა აშშ-ში უშუალოდ დონე შეადგინა 72%, კანადაში ის 10.5%-ზედ გაიზარდა. ამ მოვლენის ერთ-ერთი ახსნა შემოაგრობს პროფკავშირთა როლის ცვლილებებში. 60-იან წლებში ამ ქვეყნებში მომუშავეთა დაახლოებით 30% გაერთიანებული იყო პროფკავშირებში, მაგრამ შემდგომ კანადის შრომითმა კანონმდებლობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა პროფკავშირების განვითარების, ვიდრე ამერიკაში. 1985 წლისათვის კანადაში პროფკავშირებში გაერთიანებული მომუშავეების წილი 40%-ით გაიზარდა, ხოლო აშშ-ში 20%-ით შემცირდა.

შეიძლება ვთვარაუდოთ, რომ პროფკავშირთა როლისა და გაეღუნების ცვლილება თანდაყოლილია რეალური ხელფასის ცვლილებებით. კანადაში ის დაახლოებით 30%-ით გაიზარდა აშშ-ში არსებულ რეალურ ხელფასთან შედარებით. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ კანადის პროფკავშირებმა განაპირობეს რეალური ხელფასის ზრდა წონასწორობულ დონეზე მაღლა, რამაც გამოიწვია მოლოდინის უშუალოდ კანადის პროფკავშირების დონეებში მითითებული განსხვავებების წარმოშობა შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ კანადაში უშუალოდ შექმნილების მიღება შედარებით იოლია. უშუალოდ დაზღვევა ახანგრძლივებს სა-

მუშაოს ძებნის პერიოდს და ზრდის ფრიქციულ უზუშეკარა რიცხვს. გარდა ამისა, ის აძლევს პროცენტულ შრომა გადელანს დასაქმებულზე ჯეროერი, უზუშეკარაზე დასაწვევა იწვევს იმასაც, რომ მომუშავეები მეტი ზონდობით ელოდებიან უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოს მიღებას პროცენტულობით მიცვლდ ფორმებში, იმის მაგივრად, რომ დათანხმდნენ ნაკლებად ანაზღაურებად სამუშაოს იმ ფორმებში, სადაც პროცენტულობა არ მოქმედებენ. მეორე, უზუშეკარაზე შემწეობების არსებობა პროცენტულობის უბიძგებს უფრო დაყინებით მოთხოვნიონ ხელფასების ზრდა. მიუხედავად დასაქმების შესაძლო შეცვივრებას.

სტიმულირებადი ხელფასი

ხელფასის სიხისტის ერთ-ერთი მიზეზი, პროცენტულობის მონოპოლიური ძალაუფლებისა და მინიმალური ხელფასზე კანონის გარდა, გამოკლებული იქნა *ხელფასის სისტემის სტიმულირებადი ეფექტიანი შრომის* ანალიზის შედეგად. ეფექტიანი ხელფასის თეორია გულისხმობს იმას, რომ მაღალი ხელფასი აძლევს მომუშავეთა მწარმოებლობას. მომუშავეების მწარმოებლობაზე ხელფასის ზემოქმედებით შეიძლება აეხსნათ ის ფაქტი, რომ ფირმებს ნაწილობრივ არ ძალუბთ ხელფასების შეცვივრება მიუხედავად შრომის ჭარბი მიწოდებისა. თუ ეს თეორია მართებულია, მაშინ შრომაზე ფირმების მიერ გასაწვევი ხარჯების შემცირებით ხელფასების შეცვივრება ერთდროულად ამცირებს როგორც მომუშავეთა მწარმოებლობას, ისევე ფირმების მოგებას.

არსებობს შრომის მწარმოებლობაზე ხელფასის გავლენის რამდენიმე თეორია. ერთ-ერთი, რომელიც მიხსატება უბიძგებად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებს, ამტკიცებს, რომ ხელფასის ოდენობაზე უმთავრესადაა დამოკიდებული მომუშავეთა ქვევის ხარისხი. მაღალანაზღაურებად მომუშავეს შეუძლია უკეთ კვება, ხოლო შესაბამისად უფრო ჯანმრთელი მომუშავე უფრო მწარმოებლობურია. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც უმთავრესად შრომითი რესურსი გამოიყენება წარმოებაში, მომუშავეებს შრომა შეიძლება შეგნებულად აუნაზღაურონ წონასწორულ ხელფასზე უფრო მაღალი ოდენობით, რაც უზრუნველყოფს მომუშავეთა სათანადო ჯანმრთელობასა და შესაბამის მწარმოებლობას. მაგრამ ამ თვალსაზრისს შინაშეწვლობა არ აქვს დამკვირვებლებისთვის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ხელფასის წონასწორული დონე ბევრად მაღალია საარსებო მინიმუმზე.

ეფექტიანი ხელფასის მეორე თეორია, რომელიც უკეთ შესაბამება განვითარებული ქვეყნების მდგომარეობას, ამტკიცებს, რომ მაღალი ხელფასი ამცირებს სამუშაო ძალის დენადობას. მომუშავეები თავისუფლდებიან მრავალი მიზეზის გამო - რათა დაიკაონ უკეთესი თანამდებობა სხვა ფირმაში, შეიცვალონ პროფესიული ორიენტაცია, გადავიდნენ ქვეყნის სხვა ქალაქსა თუ რეგიონში და ა. შ. რაც უფრო მეტს უხდის ფირმა მომუშავეებს, მათ უფრო მეტი სტიმული აქვთ დარჩენდ მიცემულ ფირმაში. აწესებს რა მაღალ ხელფასს, სამუშაოს მიმცემი ამცირებს კადრების დენადობას და ამით ამცირებს დროს, რომელიც იხარჯება ახალი მომუშავეების მიღებაზე და სწავლებაზე.


მესამე თეორია ამტკიცებს, რომ ფირმაში პერსონალის შრომის საშუალო ხარისხი დამოკიდებულია მათ მიერ მისაღებ ხელფასზე. თუ ფირმა ამცირებს ხელფასს, მაშინ საუკეთესო მომუშავეებს შეუძლიათ გადავიდნენ სხვა ადგილზე, ასე რომ, ფირმაში დარჩებიან მხოლოდ უარესი კვალიფიკაციისა და აღტენობის არჩეული პირები. ეკონომისტები ასეთ შეარჩევას უწოდებენ *უარყოფით სელექციას* წონასწორულთან შედარებით მაღალი ხელფასის გადახდით ფირმაში შეიძლება თავი დააღწიოს უარყოფით სელექციას, გააუმჯობესოს მომუშავეთა ხარისხობრივი შემადგენლობა და მით უფრო გაზარდოს შრომის მწარმოებლობა.

მეოთხე თეორია ამტკიცებს, რომ მაღალი ხელფასი აძლევს მომუშავეთა მონდობებს. თეორია ეყრდნობა იმ აზრს, რომ ფირმებს არ შეუძლიათ საკმარისი ეფექტიანობით გააკონტროლონ დასაქმებულთა შრომითი ძალისხმევა და მომუშავეები თავად განსაზღვრებენ რამდენად ინტენსიურად უნდა იშრომონ. მომუშავეებს შეუძლიათ იშრომონ როგორც ინტენსიურად, ისე თავი აარიდონ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და აღმოჩნდნენ დათხოვნის რისკის ქვეშ. ეკონომისტები არაკეთილსინდისიერი ქცევის ასეთ შესაძლებლობას უწოდებენ *მორალურ რისკს*. ფირმას შეუძლია დაძლიოს მორალური რისკის პრობლემა მაღალი ხელფასის დაწესებით. ამით ფირმა ინტერესს გაუღვივებს მომუშავეებს არ აარიდონ თავი სამუშაოს და აიძალონ შრომის მწარმოებლობა.

ყველა ზემოთხსენებული თეორიათაგანი სოლოდარობა ერთ საკითხში: ფირმა მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მაღალ ხელფასს უხდის საკუთარ მომუშავეებს, ე.ი. წონასწორულ დონესთან შედარებით მაღალი ხელფასის მხარდაჭერა და შენარჩუნება თვით ფირმის ინტერესებს შესაბამება. ხელფასის ამგვარი სიხისტის შედეგს წარმოადგენს მოლოდინის უზუშეკარა.

მაბალატი 5-5

ქენი ფორდის სუთილორამანი სამუშაო დღე



1914 წელს ფირმაში „ფორდ მტორს კომპანი“ დაწესებული იქნა 5 დოლარიანი ხელფასი ერთ სამუშაო დღეზე. რამდენადაც იმისადა ჩვეულებრივი ხელფასი შეადგენდა 2-დან 3 დოლარს დღეში, ფორდის კომპანიაში


არსებული ხელფასი წონასწორობ დონეზე მაღალი იყო. გასაკვირი არაა, რომ შედეგად წარმოიქმნა ამ ფორმში სამუშაოს მიღების მსურველთა გრძელი რიგები.

მა ბიზანს ისახავდა ფორდი? მოგვიანებით კ. ფორდი წერდა: „აქენ მზად ვიყავით გადაგვეხადა ასეთი ხელფასი, რათა ჩვენი ბიზნესისათვის შეგვექმნა გრძელვადიანი და მუდმივი უნდამენტო. ჩვენ ექმნიდით მომავლის საფუძველს. დაბალი ანაზღაურების ბიზნესი ყოველთვის სამშრობის ქვეშ იმყოფება.“ ხულოდორიანი ხელფასის დაწესება 8 საათიან სამუშაო დღეზე იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოლიტიკა ჩვენს ისტორიაში წარმოების ხარჯების შემცირების თვალსაზრისით“.

ფორდმა, ცხადია ისარგებლა ხელფასით, რათა გაეზარდა შრომის მწარმოებლურობა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ კომპანიისათვის მართლაც მოგვებანი იყო ასეთი მაღალი ხელფასის გადახდა. თუ რას ეკითხულობთ ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც იმ დროს დაიწერა: „ფორდის მიერ დაწესებულმა მაღალმა ხელფასებმა საშუალება მისცა მას ბოლო მოეღო ინტერულობისა და მოცდენებისათვის, მორუშავეთა მხრიდან წინააღმდეგობისათვის. მუშები აბსოლუტურად დისცილინირებული არიან და მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ 1914 წლიდან ფორდის ქარხნებში შეიშნება შრომის ანაზღაურებაზე ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება“. მაგალითად, მოცდენები შემცირდა 75%-ით, რაც ადასტურებდა მომუშავეთა კეთილმინდისობების ზრდას ისტორიკოსი აღენ ნვეისი, რომელიც სწავლობდა პენრი ფორდის კომპანიის ადრეული პერიოდის საქმიანობას, წერს: „ფორდი და მისი კოლეგები ღიად აცხადებდნენ, რომ უზრაველეს შემთხვევაში მაღალი ხელფასის პოლიტიკა წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი საწინდარია. მათ უმჯელობათჱ ქონდათ ის, რომ მაღალმა ხელფასმა მომუშავეები უფრო დისცილინირებული გახადა, გააძლიერა მათი ერთგულება კომპანიისადმი, მისი საქმიანობისადმი დაინტერესების ხარისხი და საბოლოო ჯამში, გაზარდა მათი შრომის ეფექტიანობა“.

5-4. სტრუქტურული უმუშევრობა: უმუშევრობის დონეთა მიხედვით განსხვავება პროფესიული და რეგიონული ნიშნების მიხედვით

სტრუქტურული უმუშევრობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა შრომაზე მოთხოვნის სტრუქტურაში ცვლილებები იწყევენ გარკვეული კვალიფიკაციის მომუშავეთა მიწოდებასა და მათზე მოთხოვნას შორის შეუხამობას რეგიონების მიხედვით. ხელფასი რომ ყოფილიყო მთლიანად მოქნილი და პროფესიითა და ტერიტორიითა შორის გადაადგილების ხარჯები – მცირე, ბაზრის მოქმედების მექანიზმი სწრაფად აღმოფხვრიდა უმუშევრობის ამ ტიპს. მაგრამ პრაქტიკაში ასეთი პირობები არასოდეს ყოფილა და არც იქნება, შედეგად სტრუქტურული უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობაც გარდაუვალია.



ნახ. 5-5. სტრუქტურული უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია ხელფასის სისხიბტთა და ადაპტაციის ხარჯებით

პროფესიული დისპროპორციები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საილუსტრაციოდ შეიძლება ვისარგებლოთ შრომის ბაზრის ორსექტორიანი მოდელით, რომელიც გამოსახულია ნახ. 5-5-ზე. მოცემულ შემთხვევაში დაეუშვათ, რომ ეს სექტორები აღნიშნავს მომუშავეთა გარკვეულ პროფესიულ ჯგუფებს; შემდგომ დაეუშვათ, რომ ისინი წარმოადგენს ორ ტერიტორიულად დანაწილებულ შრომის ბაზარს. დაეუშვათ, რომ ბაზარი A არის მომუშავეთა ბაზარი საავტომობილო წარმოებაში. ხოლო ბაზარი B – საავტომობილო პროდუქტების ბაზარი და რომ დასაწყისში ორივე

ბაზარი იმყოფება წონასწორულ მდგომარეობაში. ამ ბაზრების მოთხოვნის და მიწოდების შრუდების (D_{0A}, S_{0A}) და (D_{0B}, S_{0B}) გათვალისწინებით, წონასწორობა ხელფასსა და დასაქმებას შორის ორივე სექტორში შესაბამისად გამოისახება კორდინატებით: (W_{0A}, E_{0A}) და (W_{0B}, E_{0B}). პროფესიულ სწავლებაზე და დასაქმების არაფულადი პირობების ხარჯებში განსხვავებების გამო ხელფასი შეიძლება განსხვავდებოდეს ამ სექტორებში.

ახლა დავუშვათ, რომ სააგრომობილო წარმოების მომუშავეებზე მოთხოვნა შემცირდა D_{1A} -მდე უცხოური ფრმების მზიდები კონკრეტულის შედეგად, ხოლო პროგრამისტებზე მოთხოვნა გაიზარდა D_{1B} -მდე, როგორც კომპიუტერების უფრო ფართო გამოყენების შედეგი. თუ ხელფასი A ბაზარზე მოუქნელია შემცირების მიმართულებით პროფკავშირებთან შეთანხმებების პირობების, სოციალური წყობისა და საკანონმდებლო აქტების შედეგად, სააგრომობილო წარმოებაში მომუშავეთა დასაქმება შემცირდება E_{1A} -მდე. პროგრამისტების დასაქმება და ხელფასი გაიზარდება შესაბამისად E_{1B} და W_{1B} -მდე. მალე მომუშავეები E_{0A} -დან E_{1A} -მდე დიაპაზონში გახდებიან უმუშევრები.

სააგრომობილო წარმოების მომუშავეების რომელიმე შემცირებული დანახარჯების გარეშე გახდება პროგრამისტები, მაშინ ისინი სწრაფად გადაინაცვლებდნენ¹ B ბაზარზე, სადაც ხელფასი მოქნილია (ჩვენი დამუშავებანი გამომდინარე) და საბოლოოდ, მთლიანად მოხდებოდა უმუშევრობის ლიკვიდაცია (აქვე შევნიშნოთ, რომ ეს მტკიცება მთლად კორექტული არ არის. ასეთ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას *მოლოდინის უმუშევრობა*, ე. ი. ვიდრე ხელფასის განაკვეთი A ბაზარზე ავარტებს B ბაზარზე არსებულ ხელფასის განაკვეთს და A ბაზარზე არსებული უმუშევრები იმდროინდები, რომ სამუშაო ძალის ბუნებრივი დენადობა საბოლოოდ გამოიწვევს თავისუფალი სამუშაო ადგილების გამოჩენას, მათთვის შეიძლება უფრო სარფიანი გამოდგეს A ბაზარზე დარჩენა ამ სექტორში სამუშაოს მიღების იმდენით). მაგრამ სტრუქტურული უმუშევრობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯები ადაპტაციაზე საკმაოდ მაღალია, რაც აფერხებს და ხშირად სპობს კიდევ ასეთი გადასაცემების შესაძლებლობას. ასეთი ადაპტაცია შეიძლება ძვირადღირებული და მიუღებელიც არ აღმოჩნდეს იმ სამუშაოდაკარგულ პირთათვის, რომელთა შორისაც უმრავლესობა 50 და 60 წელს გადაცილებულია, დროის შეზღუდული პერსპექტივების გათვალისწინებით. სხვა რომ არ აფერხი, ამ კატეგორიისათვის არსებობს აუცილებელი პროფესიული მომზადების დასაფინანსებლად საჭირო თანხის სესხად მიღების პრობლემებიც.

ტერიტორიული დისპროპორციები. ანალოგიურად შეიძლება გაეანალიზოთ ტერიტორიული დისპროპორციები. დავუშვათ, რომ ბაზარი A არსებობს ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო ბაზარი B - სამხრეთში და ორივე ბაზარზე გამოიყენება ერთი და იგივე ტიპის შრომა. იმ შემთხვევაში, როცა ჩრდილოეთ ნაწილში მოთხოვნა მცირდება და იზრდება უმუშევრობა ხელფასის არასაკმარისი მოქნილობის (სიხისტი) გამო, უმუშევრებს შეიძლება ჩამოუყალიბდეთ მოლოდინი სამუშაოს მიღების მიზნით თავიანთ მშობლიურ ქალაქში, უკიდურეს შემთხვევაში, სამი მიჯნის გამო. *პირველი*, ინფორმაციათა ნაკადი არასრულყოფილია, რის გამოც მომუშავეებმა შეიძლება არ იცოდნენ თავისუფალი სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ საკუთარი ქალაქიდან მოშორებით. *მეორე*, არსებობს მაღალი პირდაპირი ფულადი ხარჯების გაღების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია ტრანსპორტით გადაადგილებასთან და ბინის ყიდვა-გაყიდვასთან ან დაქირავებასთან. *მესამე*, არსებითი ფსიქოლოგიური ბარბერები, დაკავშირებული დიდ მანძილზე გადაადგილებასთან, რამდენადაც გარდაუღებელი ხდება ადგილობრივი სოციალური დახმარების პროგრამებით სარგებლობაზე უარის თქმა და მგეობრებთან და ნათესავებთან დიდი ხნით განშორება. ასეთი ფაქტორები ხელს უშლიან ტერიტორიულ მიგრაციას და ასაკის ზრდასთან ერთად შეიზნევა მიგრაციის შემცირება. ეს ხარჯები საკმაოდ მაღალია და ამიტომ, მრავალ მომუშავე, რომელიც კარგავს სამუშაოს მათი წარმოების დახურვის ან მუდმივად შემცირების გამო, არ ავლენს ინტერესს ექიმის სამუშაო ადგილები მათი უშუალო გეოგრაფიული რაიონების ფარგლებს გარეთ.

მთავრობის პოლიტიკა. ამავეარად, სტრუქტურული უმუშევრობა იზრდება შრომაზე ცვალებადი მოთხოვნის შედეგად ხელფასის სიხისტისა და პროფესიითა და ტერიტორიითა შორის მობილურობის მაღალი ხარჯების შედეგად. სტრუქტურული უმუშევრობის პირობებში უმუშევართა მდგომარეობიდან დასაქმების მდგომარეობაში გადასვლის ალბათობა ხშირად დაბალია, ხოლო ნებისმიერ სოციალურმა პროგრამამ, რომლის ამ აღბათობას, უნდა შეამციროს სტრუქტურული უმუშევრობის დონე (სხვა თანაბარ პირობებში). ასეთ პროგრამებს განაკვეთებენა სუბსიდირებული სწავლების ორგანიზება; შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სხვა რაიონებისთვის; დახმარების გაწევა სამუშაო ძალის მიგრაციისა და ადაპტაციის პროცესის დაქირავების მიზნით.

ამგვარი მიდგომა წარმოადგენს პროფესიული ადაპტაციის პროგრამების ნაწილს, რომელიც განხორციელდა 1962 წელს საავტორო-სამრეწველო საქმიანობათა გაფართოების კანონით და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით სახემეცელილი იქნა 70-იან და 80-იან წლებში აშშ-ში. ეს პროგრამა მიმართული იყო დახმარებად ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო უცხოური კონკურენციის შედეგად სამაშულო სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირების გამო. ის თვალისწინებდა აგრეთვე უმუშევრობაზე შემწობების გაფართოებული ფორმების დანერგვას. მაგრამ

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ აღნიშნულმა პროგრამამ უზნიშვნელო გააუმჯობესა მოახდინა სტრუქტურული უმუშევრობის შემცირებაზე. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ყოფილიყო შემწეობათა მიღების შეზღუდული პირობები.

უფრო გლობალური მასშტაბით ამერიკის ფედერალურმა მთავრობამ შეიმუშავა ღონისძიებათა კომპლექსი სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფდა უმუშევრობა გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც ქრონიკული უმუშევრობის მქონე რაიონებში ცხოვრობდნენ; ითვალისწინებდა სამუშაოსგან როგორც მოუწყვეტელი, ისე მოწყვეტილი უმუშევართა და სოციალურად ართანაბარ პირობებში მყოფი მომუშავეთათვის სწავლების ორგანიზებას; სწავლებისა და სახელმწიფო სექტორში მუშაობის შესაძლებლობის შეთავაზებას. 80-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფო და კერძო სექტორების მიერ უმუშევართა სწავლების ერთობლივ ორგანიზებას. ამ პროგრამის წყალობით მთლიანობაში ადამიანმა გაიარა სწავლების კურსები. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები ამ პროგრამათა ეფექტიანობაზე საკმაოდ წინააღმდეგობრივია, ზოგიერთი გამოკვლევა აჩვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევაში მიღწეული იქნა გამოუმუშავების სიღრმისა და დასაქმების დონის ზრდა.

ეფექტიანი ხელფასი. აქამდე უმუშევრობის სტრუქტურული მიზეზების ანალიზის დროს ჩვენ წინასწარგანზრახვით მივაჭრეთ სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებაში შეუსაბამობა შრომის ბაზის იმ ნაწილის ადაქტივაციაზე ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მიწოდებასთან. მაგრამ ახლა ისე დიდი ხნის წინ დამტკიცდა, რომ უმუშევრობის გარკვეული ნაწილი შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთ გამოძევებულ მიზეზს, როგორცაა სამუშაოს მიძიება მიერ მაქსიმალური მოცულების მიღებისადმი სწრაფვა. კერძოდ, მტკიცდება, რომ სტრუქტურული უმუშევრობა შეიძლება აგრეთვე წარმოიშავს იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთი სამუშაოს მიძიება მომუშავეებს უხდის საბაზრო ხელფასზე მეტ (ეფექტიან) ხელფასს, რათა შემცირდეს სამუშაო ძალის დენადობა და/ან მიღწეული იქნას მომუშავეთა მზრიდან თავიანთი მოვალეობების პასუხისმგებლობით შესრულება და შრომის მწარმოებლურების ამაღლება. მომუშავეები, რომლებიც დასაქმებულნი არიან დაბალი ხელფასის მქონე ფირმაში, ეერ ახერხებენ მაღალი ხელფასის მქონე ფირმაში დასაქმებას შუალედური ანაზღაურებით, რადგანაც დამპყრობელებს, რომლებიც იხდიან მაღალ ხელფასს, სურთ შეინარჩუნონ მაღალი განაკვეთები კადრების დენადობისა და დაბალეფექტიანი შრომის საწინააღმდეგოდ. ასეთ შემთხვევაში, სამუშაოს მიძიება შესაგვის გადაწყვეტილება ხელს უშლის ხელფასის განაკვეთის შემცირებას.

მომუშავეები, რომლებიც დასაქმებულნი არიან მცირეხელფასიან ფირმაში, მაინც ანიჭებენ უპირატესობას იმ ფირმაში მუშაობას, სადაც მოქმედებს ეფექტიანი ხელფასების პოლიტიკა და ეფერად ამ უპიანსხელო არსებობს კადრების ბუნებრივი დენადობა (რაც გაულისხმობს დაუკავებელი სამუშაო ადგილების გამოჩენას), ზოგიერთმა დაბალანაზღაურებინამა მომუშავეებმა შეიძლება დატოვონ სამუშაო, „მიემარტონ“ მაღალანაზღაურებინ სექტორს და „დაელოდონ“ თავისუფალი სამუშაო ადგილების გამოჩენას. ერთი სიტყვით, ზოგიერთი ფირმის მიერ ეფექტიანი ხელფასის პოლიტიკის გატარების შემთხვევაში წარმოიშობა თავისებური მოვლენა, რომელსაც *მოლოდინის უმუშევრობა* ეწოდება. ეს უპიანსხეული მათემატიკურად შემდგენიარად შეიძლება გამოესახოს

$$(P_e - P_0)W_0 > (1 - P_0)W_0$$

სადაც: W_e და W_0 - ხელფასის განაკვეთებია, შესაბამისად, მაღალი და დაბალი ხელფასის სექტორებში; P_e - სამუშაოს მიძიების ალბათობა, რომელიც ანაზღაურდება W_e განაკვეთით, თუ ადამიანი დაუსაქმებელია, ხოლო P_0 - მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიძიების ალბათობა, თუ ადამიანი დასაქმებულია დაბალანაზღაურებად სექტორში. რასაკვირველია $P_e > P_0$, რამდენადაც ადამიანები ვიძებენ სამუშაოს უფრო ინტენსიურად უმუშევრად ყოფნის შემთხვევაში. როგორც ამ უტოლობიდან ჩანს, მაინტეგრალზე თუ არა ადამიანი მოლოდინის უმუშევრობის უპირატესობას, დამოკიდებულია მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღების ალბათობაზე ($P_e - P_0$) და აგრეთვე W_e -სა W_0 შორის სხვაობაზე.

ხელფასზე დანაშაბის სიღრმე, რომელსაც უნაზღაურებენ მაღალი ხელფასის გადახმული დამპყრობელები სამუშაო ძალის დენადობისა და სამუშაოსგან თავის არიდებისთან დასაწევად, დამოკიდებულია მომუშავეთათვის არსებულ არჩევანზე. სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე რეგიონში, მით უფრო ნაკლებია ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობა და მომუშავეებიც ნაკლებსაგარეოა მოვალეობებისგან თავის არიდებისათვის რისკის ქვეშ აყენებდნენ საკუთარ თავს. ამგვარად, დამპყრობელებმაც შესაძლოა არ გადაიხადონ მაღალი დანაშაბები ხელფასებზე, როგორც ეს მრავალრიცხოვანი ვაქსინების არსებობის დროს ხდება. ეს გვეხმარება გადავიყოთ პროგნოზი, რომ სხვა ფაქტორთა მუდმივობის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს უკუდამოკიდებულება ხელფასის განაკვეთებსა და მოცემულ ტერიტორიაზე უმუშევრობის დონეს შორის. აღნიშნული პროგნოზი მართლდება ამერიკული და ევროპული დაზარების სტატისტიკური მონაცემებით.

5.5. ხელფასის სიხისტის მიზეზები

ნომინალური ხელფასის განაკვეთის ფართომასშტაბიანი შემცირების არარსებობა ერთობლივი მოთხოვნის ვარდნის პერიოდში დიდი ხანია ეკონომისტებისათვის გამოცხადდა რჩება. ეს უკანასკნელი შედეგად ორი ნაწილისაგან: რატომ მიაჩნიათ ფირმებს, რომ მათთვის უფრო მოგებებანია შეამცირონ დასაქმება და არა ხელფასის განაკვეთი და რატომ ხდება, რომ მომუშავეებს, რომელთაც უმუშევრობა ემუქრებათ, არ სურთ დათმონ ხელფასის სიდიდე სამუშაო ადგილის შენარჩუნების სანაცვლოდ. პიპოთეზები, რომლებიც ეხება ხელფასის სიხისტეს, მოიცავს ამ გამოცანის ორივე ასპექტს.

ნომინალური ხელფასის სიხისტის მიზეზებიდან ერთ-ერთის თანახმად სამუშაოს მიმცემთ არ ძალუბთ ერთპიროვნულად შეამცირონ ნომინალური ხელფასი პროფკავშირების არსებობის გამო. მაგრამ, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილ ახსნად, რამდენადაც პროფკავშირებში გაერთიანებულია მომუშავეთა მხოლოდ გარკვეული რაოდენობა, მაგალითად, აშშ-ში მომუშავეთა არა უმეტეს 15% და ნებისმიერ შემთხვევაში, პროფკავშირებს შეუძლიათ დათანხმდნენ ხელფასის დროებით შემცირებას სამუშაო ადგილების შენარჩუნების სანაცვლოდ, რათა თავის წევრებს არ დაემუქროს სამუშაოდან დათხოვნა. მიზეზი, რომლის გამოც ისინი არ მიდიან ამ შეთანხმებაზე, განსაკუთრებით საყურადღებოა. ხელფასის დროებით შემცირებას მოჰყვება ყველა მომუშავის ანაზღაურების შემცირება, მაშინ, როცა განთავისუფლებაც ეხება უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ასე დად დაქირავებულ მომუშავეებს. რამდენადაც ეს მომუშავეები, უმრავლეს შემთხვევაში, პროფკავშირთა წევრების უმცირესობებს შეადგენენ და თანაც, პროფკავშირთა ლიდერები აირჩევიან ხმების უმრავლესობად და უმეტესწილად უფრო გამოცდილი მომუშავეების მიერ (რომლებიც ხშირად დაცული არიან განთავისუფლებისაგან), პროფკავშირები უმცირესობას განთავისუფლების პოლიტიკას და არა მისი ყველა წევრის ხელფასის შემცირებას. ამ ახსნის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს პიპოთეზა „ინსაიდერებსა“ და „აუტსაიდერებზე“. პროფკავშირთა წევრებს ანუ „ინსაიდერებს“ ნაკლებად ან სულაც არ აწუხებთ „აუტსაიდერთა“ ბედი. ასეთი „ინსაიდერები“ მოგებულნი რჩებიან თავიანთი მცირერიცხოვნობითა და გავლენით და უპირატესობას ანიჭებენ ხელფასის შენარჩუნებას, რაც მათ საიმედოდ იცავთ „აუტსაიდერთა“ კვლად დაქირავებისაგან.

დათხოვნებს ადგილი აქვს იმ ფირმებშიც, სადაც არ არსებობს პროფკავშირები, თუმცა მისი მასშტაბები უფრო ნაკლებია. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომლის გამოც თეთი ის დაშორებულდება, რომელთაც არ გააჩნიათ პროფკავშირები, ხშირად მოთხოვნის შემცირების დროს უპირატესობას ანიჭებენ მომუშავეთა განთავისუფლების პოლიტიკას, ვიდრე ხელფასის შემცირებას. ჯერ ერთი, აღამიანურ კაპიტალში დაბანდლების არსებობის შემთხვევაში, რომელიც სპეციფიკურია ოსტრეტული ფირმისათვის და ხშირად იწყებს შიდა სტრუქტურული უფრო შორის ბაზრის შექმნას, დაშორებულებს უზრუნველყოფს სტრუქტურული მოახდინონ სამუშაო ძალის ნებაყოფლობითი დენადობის მიწოდება სკუთარი მომუშავეების შრომისუნარიანობის ამაღლებითა და შრომის მწარმოებლურობის მაქსიმიზაციით.

ხელფასის საყოველთაო დროებითი შემცირება აძლიერებს მომუშავეთა განწყობას სამუშაოდან წასვლაზე და მათი მხრიდან იწყებს შრომითი აქტიურობის შემცირებას. ამის საპირისპიროდ, დათხოვნები აისახება მხოლოდ ნაკლებად გამოცდილ მომუშავეებზე – მათზე, რომლებშიც ფირმამ რესურსების მხოლოდ მცირე რაოდენობა დააბანდა. ამგვარად, სრულიად მოსალოდნელია, რომ ფირმამ მომუშავეთა განთავისუფლება უფრო მოგებიან სტრატეგიად ჩათვალოს, ვიდრე ხელფასის შემცირება.

მეორე, დამქირავებლები, არეგულირებენ რა შრომის შიდა ბაზარს, თავიანთ მომუშავეებს ხშირად პირდაპირ (ყოველ შემთხვევაში, არაპირდაპირი სახით) ხელფასის გარკვეულ ზორდას ფორმაში მათი მუშაობის სტაჟის მიხედვით. ფირმებს შეუძლიათ გადაუსადონ შედარებით დაბალი ხელფასი ახალ მომუშავეებს და მისცენ შედარებით მაღალი ხელფასის მიღების პირობა პროფესიულ კარიერის დასასრულს. ფირმის მხრიდან პირობის მიცემა, უპირველეს ყოვლისა, დაშორებულთა მისი საქმიანობის ეფექტიანობაზე, მაგრამ ფირმას გააჩნია უფრო ზუსტი ინფორმაცია სკუთარ პროდუქციაზე მოთხოვნის ჰუმპირიტ მდგომარეობაზე, ვიდრე მისი მომუშავეებს. თუ ფირმა სთხოვს თავის მომუშავეებს დათანხმდნენ ხელფასის შემცირებას დაბალი მოთხოვნის არსებობის პერიოდში, მომუშავეებმა შეიძლება ჩათვალოს, რომ დამქირავებელი მათ ატყუებს დაბალი მოთხოვნის თობაზე და გაითვალისწინებენ იმასაც, რომ ის არაფერს დაკარგავს ხელფასის შემცირებით, მომუშავეები წინააღმდეგობას გაუწევენ ასეთ წინადადებას. თუ ამის მაგვირად ფირმა დროებით გაათავისუფლებს მომუშავეების ნაწილს, ის დაკარგავს პროდუქციას, რომლის წარმოებაც მომუშავეებს შეეძლოთ და ამიტომ, მომუშავეები შედარებით იოლად წაყლენ ასეთ ნაბიჯზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაციის ასიმეტრია დამქირავებლებსა და მომუშავეებს შორის დათხოვნის პოლიტიკას უფრო მოგებიანს ხდის.

მესამე, ფირმებს, რომლებსაც ახასიათებთ განვითარებულა შიდა შრომის ბაზარი და ამის შედეგად, ხანგრძლივი შრომითი ურთიერთობები დამქირავებლებსა და მომუშავეებს შორის, უფრო

ასაკოვანი მომუშავეები რომ არ დაეყენონ საშიშროების წინაშე, შეუძლიათ მიმართონ დათხოვნის პოლიტიკას შრომითი სტაჟის გათვალისწინებით (ბოლო დაიქირავეს – პირველი დაითხოვეს), ვიდრე ყველა თავისი მომუშავის ხელფასის შემცირებას.

მეორე, ცხადია, რომ ყველა ზემოთმოყვანილი სამივე ახსნა ძირითადად ეხება შრომის შიდა ბაზრის მჭრნე ფორმებს, რომლებიც მსხვილი დამქირაველები არიან. ისმის კითხვა – რატომ ხდება, რომ მსხვილი ფორმების მიერ დათხოვნილი არ ეძებენ სამუშაოს უფრო მცირე ფორმებში. ასეთი ფორმები მომუშავეებს უხდანი ხელფასს ნაკლები განაკვეთით და მათ ნაკლები მიზნე გააზრინათ საინფორმაციო, რომ შემდგომშიც არ შეაჩვიონ ის ერთობლივი მოთხოვნის შემცირების კვლავობაზე. ამის შედეგად, ამ ფორმებში დასაქმების ზრდა განიწყვედა საშუალო ნომინალური ხელფასისა და შესაბამისად, ეკონომიკაში უმუშევრობის ხელშეწყობის შემცირებას. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ უმუშევართა უმრავლესობა უფრო დაბალანაზღაურებად სამუშაოზე გამოწვეულია მათი საკუთარი ღირსების გარძობით (მათი ადგილით საზოგადოებაში). ეს ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანები ამჯობინებენ უმუშევრობას „კარგ ადგილზე“ „ცუდ ადგილზე“ დასაქმებას, უკიდურეს შემთხვევაში იმ ვადით, რომლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივი ეკონომიკური ვარდნის ტიპურია. საზოგადოებრივი მდგომარეობის სწორედ ეს გარძობა უშლის ხელს სამუშაო ადგილების გაფართოებას და დაბალი ხელფასის მქონე სექტორებში ხელფასების შემდგომ შემცირებას ეკონომიკური ვარდნის პერიოდში.

და ბოლოს, ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ მცირე რაოდენობის კონკურირებადი ფორმების მიერ გაეცემული ხელფასები შეიძლება სოციალურ ნორმად ჩათვალოს, რაც ხელს შეუშლის უმუშევრობის სამუშაო მიღების მიზნით გაეყენა მოახდინონ დასაქმებულთა ხელფასების შემცირებაზე. უმუშევრები, როგორც ჩანს, უფრო მეტად ეგუებიან უმუშევრობას, ვიდრე დაბალ ხელფასს, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია თავიანთ მომავალზე ზრუნვასთან, ვიდრე მათ საზოგადოებრივი მდგომარეობასთან.

დაეუშვათ, არსებობს მრავალი ერთნაირი უმუშევარი ერთნაირი „სარეზერვო ხელფასით“ მინიმალური ხელფასით, რომლის მიღებაზეც თანახმანი არიან (რომელიც განისაზღვრება თავისუფალი დროის ინდივიდუალური ფულადი შეფასებებით, დამატებული უმუშევრობაზე შემწეობა და სხვა კომპენსაციები, რომელიც მიიღებენ უმუშევრობის პერიოდში). თუ თითოეული მათ შორის გვემედეა დარჩენას სამუშაო ძალის რიგებში დროის მხოლოდ მცირე პერიოდის განმავლობაში, სრულიად გონიერული იქნებოდა ხელფასის შემცირება დასაქმების ზურუნველსაყოფად. ვიდრე საბოლოო ვაშში მისაღები ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე საყოველთაოდ მიღებული სარეზერვო ხელფასი, უმუშევრები უკეთ იქნებიან ზურუნველყოფილი დასაქმების შემთხვევაში.

მაგრამ დაეუშვათ, რომ ყოველი უმუშევარი გვემედეას სამუშაო ძალის რიგებში დარჩენას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, თუ უმუშევრები მზად არიან იმუშაონ მიმდინარე პერიოდში დომინირებულ ხელფასზე ნაკლები ხელფასით, დამქირაველები მიხვდებიან, რომ მათი სარეზერვო ხელფასი ნაკლებია პირველად გაცხადებულზე და შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება მომავალში ხელფასის მუდმივად შემცირებაზე. ამ შემთხვევაში ადამიანები უკეთ ზურუნველყოფილი იქნებიან დარჩენენ უმუშევრად, ვიდრე საბოლოოდ არ მომპვნიან სამუშაო მიმდინარე ხელფასით. არსებითად, ადამიანს მით უფრო მეტი მოტივი ექნება არ შეამციროს მიმდინარე საბაზრო ხელფასი, რაც უფრო მეტი დროის განმავლობაში გვემედეას დარჩენს სამუშაო ძალის რიგებში და მით მეტი შანსი გააზრინა მომპვნიოს სამუშაო საბაზრო ხელფასის უცვლელობის პირობებში. მოცემული თეორია გულისხმობს, რომ საბაზრო ხელფასი მეტი ალბათობით მოუქნელი იქნება შემცირების მიმართულებით, რაცა მომუშავეები სამუშაო ძალის რიგებში იმყოფებიან უფრო ხანგრძლივი ვადით.

5-6. უმუშევრობის მაჩვენებლები

ამჯერად, ყურადღება გაემახსილოთ ზოგიერთ დამატებით მონაცემებზე, რომლებიც გეისნისათებენ უმუშევრობას და რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია შეაფასოდ ზემოთ განხილული უმუშევრობის თეორიები, აგრეთვე უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული სხვადასხვა სახელმწიფო პოლიტიკა.

უმუშევრობის ხანგრძლივობა

დაეუშვათ, დაკარგეთ სამუშაო. როგორია იმის ალბათობა, რომ თქვენ მოგიწევთ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევრად ყოფნა? პასუხი ძალზედ მნიშვნელოვანია, რამდენადაც მივითითებს უმუშევრობის მიზეზებზე და სახელმწიფო პოლიტიკის შესაფერის ზომებზე ერთის მხრივ, თუ უმუშევრობა მოკლევადიანია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ფრიცილოლია და გარდაუვალი. ადამიანებს უკიდურესად დროის გარკვეული პერიოდი, რათა იპოვონ ახალი სამუშაო, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მათ კალიფიკაციას და სურვილებს. მეორე მხრივ, უმუშევრობა, რომელიც გრძელვადიანია, პირინციპული მთელენაა, რამდენადაც შესაფერისი სამუშაოს ძებნის პროცე-

სი გრძელდება თვეების განმავლობაში. გრძელვადიანი უმუშევრობა უფრო მეტად მოლოდინის უმუშევრობაა. ამგვარად, უმუშევრობაზე ხანგრძლივობის მონაცემებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ უმუშევრობის შესახებ ჩვენს წარმოდგენებზე.

ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ აღმნიშნა უმრავლესობისათვის უმუშევრად ყოფნის პერიოდში შეიძლება არახანგრძლივი იყოს, მაგრამ იმავე დროს უმუშევრობის კრონოლოგი ხანგრძლივობაში უდიდესი წყვილი მიუძღვრება უმუშევრობა იმ მკირე რაოდენობას, რომლებიც უმუშევრები არიან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, აშშ-ში 1974 წელს, როცა უმუშევრობის დონე შეადგენდა 5,6%-ს, უმუშევრობა 60%-მა სამუშაო იპოვა ერთ თვეში. იმავე წელს უმუშევრობის ერთობლივი ხანგრძლივობის 6% მოდიოდა უმუშევრად ყოფნის იმ პერიოდზე, რომელიც გრძელდებოდა ორ და მეტ თვეს.

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რატომ არ ეწინააღმდეგება ეს ორი ფაქტი ერთმანეთს, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. დაუშვათ, რომ 14 კაცი უმუშევარი მოცემული წლის რომელიმე პერიოდში. მათგან 12 სამუშაოს პოულობს საშუალოდ ერთი თვის განმავლობაში, ხოლო 2 – უმუშევარი მთელი წლის მანძილზე. გამოდის, რომ ეს პირები საერთო ჯამში არ მუშაობენ 36 თვე. მიკეძულ მაგალითში უმუშევრობა დიდ ნაწილს არ გააჩნია სამუშაო მოკლე პერიოდის განმავლობაში: 14 კაცისგან 12-სათვის, ანუ 86%-თვის უმუშევრება გრძელდება არაუმეტეს ერთი თვისა. მიუხედავად ამისა, უმუშევრობის ერთობლივი ხანგრძლივობის დიდი ნაწილი მოდის უმუშევრებზე, რომლებიც არ მუშაობენ 36 თვიდან 24 თვეს, ანუ 67%-ს. ე.ი. ხანგრძლივობის ეს სიდიდე მოდის ორ კაცზე, რომლებიც არ მუშაობდნენ მთელი წლის მანძილზე. იმავე დამოკიდებულებით, თუ რა წარმოადგენს განხილვის საგანს – უმუშევრად ყოფნის ცალკეული პერიოდები თუ უმუშევრობის ერთობლივი ხანგრძლივობა, უმუშევრობა შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი.

უმუშევრობის ხანგრძლივობაზე მონაცემებს გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით. თუ ამოცანას შეადგენს უმუშევრობის დონის მნიშვნელოვანი შემცირება. მაშინ პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს გრძელვადიანი უმუშევრობაზე, რამდენადაც სწორედ მას მიუძღვის უდიდესი წყვილი უმუშევრობის საერთო ხანგრძლივობაში. მაგრამ ასეთი პოლიტიკა ძალიან ზუსტად უნდა იყოს მიმართული, ვინაიდან ისინი, რომლებიც იმყოფებიან სამუშაოს გარეშე დიდი ხნის მანძილზე, შეადგენენ უმუშევართა საერთო რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილს. უმუშევართა დიდი ნაწილი კი სამუშაოს საკმაოდ სწრაფად პოულობს.

უმუშევართა დონის განსხვავებები სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის

უმუშევრობის დონეები არსებითად განსხვავდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. ახალგაზრდა მომუშავეებისათვის დამახასიათებელია უფრო მაღალი უმუშევრობა, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ეს გარემოება რომ აეხსნათ, გავიხსენოთ უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოდელი, რომლის თანახმადაც არსებობს უმუშევრობის მაღალი დონის ორი მისეუბ: შრომითმოწყობის დონის დაბალი მაჩვენებელი და სამუშაოდან განთავისუფლების მაღალი მაჩვენებელი. ეკონომისტებმა, რომლებიც სწავლობენ ინდივიტთა გადასახლების მონაცემებს დასაქმებულთა კატეგორიიდან უმუშევართა კატეგორიაში და პირიქით, აღმოაჩინეს, რომ მაღალი უმუშევრობის დონის მქონე ჯგუფები ხასიათდებიან სამუშაოს დაკარგვის ალბათობის ასევე მაღალი მაჩვენებლით. ჯგუფებს შორის ნაკლები განსხვავებები შეიმჩნევა შრომითმოწყობის მაჩვენებელთან დაკავშირებით.


ამ დებულებების შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოზარდებს შორის უმუშევრობის უფრო მაღალი დონე შეიძლება სასარგებლოც კი იყოს. როცა ახალგაზრდა მომუშავეები გადიან შრომის ბაზარზე, ისინი ხშირად არ არიან დარწმუნებულნი პროფესიის არჩევის მართებულობაში. მათთვის ოპტიმალური შეიძლება იყოს „ცდისა და შეცდომის“ მეთოდი. ამიტომ, ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის უფრო კანონზომიერია განთავისუფლების უფრო მაღალი მაჩვენებელი და ფრქვეული უმუშევრობის უფრო მაღალი დონე.

უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენცია (უმუშევრობის პისტერეზისი)

ბოლო 40 წლის მანძილზე უმუშევრობის დონე აშშ-ში უანდათანობით იზრდება. როგორც ნახ. 5-6-ზე ჩანს, უმუშევრობის საშუალო დონე 50-იან წლებში 4,4% იყო, 60-იან წლებში – 4,7%, 70-იან წლებში – 6,1% და 80-იან წლებში – 7,3%. ეკონომისტებმა ჯერ-ჯერობით ვერ შეძლეს ამ ფაქტზე საბოლოო პასუხის გაცემა, მაგრამ ვეთავაზობენ ამისის რამდენიმე ვარიანტს.

ერთ-ერთი ახსნის თანახმად, მაგალითად აშშ-ში სამუშაო ძალის შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა. მკორე მსოფლიო ომის შემდგომ შობადობის დონე მკვეთრად გაიზარდა და შობადობის ბუშის პერიოდის ეს თაობა უმუშაო ძალის შემადგენლობაში შევიდა 70-იან წლებში რამდენადაც ახალგაზრდობა მიეკუთვნება უფრო მაღალი უმუშევრობის დონის მქონე ჯგუფს, მაშინ მისი ხვედრითი წილის ზრდამ სამუშაო ძალის შემადგენლობაში გაზარდა უმუშევრობის საშუალო დონე. დაახლოებით ამ პერიოდში მოხდა სამუშაო ძალის შემადგენლობაში ქალთა ხვედრითი

წლის ზრდა. 1960 წელს ქაღები ერთობლივი სამუშაო ძალის 33%-ს შეადგენდნენ, ხოლო 1980 წელს - 43%-ს. რამდენადაც ისტორიულად ქაღებს შორის ყოველთვის შეიმჩნეოდა უმუშევრობის უფრო მაღალი დონე, ვიდრე მამაკაცებში (თუმცა, აღნიშნული განსხვავება თანდათანობით ქრება ბოლო წლებში), ქალების ზრდად ხვედრით წილს სამუშაო ძალის რიცხვებში შექმნილი აგრეთვე ხელი შეუწყო უმუშევრობის საშუალო დონის ზრდისათვის.



ნახ. 3-6. უმუშევრობის დონის ზრდა აშშ-ში უმუშევრობის დონე თანდათანობით იზრდებოდა ყოველი ათწლეულისათვის უმუშევრობის საშუალო დონე მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული აჭარბებდა წინა ათწლეულის საშუალო დონეს.


მაგრამ ამ ორ დემოგრაფიულ ცვლილებებს არ შეუძლია მთლიანად ახსნას უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენცია, რამდენადაც უმუშევრობის ზრდა შეიმჩნევა 25-დან 54 წლის მამაკაცებს შორისაც. ამ ჯგუფებისათვის უმუშევრობის საშუალო დონე 50-იან წლებში იყო 3,4%, 3,0% - 60-იან წლებში, 3,7% - 70-იან წლებში, 6,1% - 80-იან წლებში. შესაბამისად, უმუშევრობის დონე განპირობებული იყო არა მარტო სამუშაო ძალის სტრუქტურის ცვლილებებით.

მეორე ახსნა - ეს არის მომუშავე ქალების ხვედრითი წილის ზრდა. მოხდა რა შემოსავლების ორი წყაროს მქონე ოჯახთა რიცხვის ზრდა, ამ ცვლილებამ გაზარდა მამაკაცებს შორის უმუშევრობის დონე. საქმე ისაა, რომ უმუშევარი მამაკაცი, რომელსაც მომუშავე მეუღლე ჰყავს, უფრო იოლად უარყოფს მისთვის არამიზიდველ სამუშაო ადგილს, ვიდრე ის უმუშევარი, რომელიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალია; ამ შემთხვევაში შრომითი მოწყობის დონის შემცირება გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას მამაკაცებს შორის.

ასეთი ახსნა, მიუხედავად იმისა, რომ გამოიყურება სრულიად ლოგიკურად, ეწინააღმდეგება ფაქტობრივ მონაცემებს. პირიქით, როგორც აღმოჩნდა, უმუშევართა დონე მამაკაცებს შორის, რომელთაც დასაქმებული მეუღლეები ჰყავთ დაბალია, ვიდრე იმ მამაკაცებს შორის, რომელთა მეუღლეები არ მუშაობენ. უფრო მეტიც, უმუშევრობის დონე მარტოხელა მამაკაცებში აგრეთვე გაიზარდა, რაც მოწმობს იმას, რომ შემოსავლების ორი წყაროს მქონე ოჯახების რაოდენობის ზრდას არ შეუძლია ახსნას უმუშევრობის საერთო დონის ზრდის ტენდენცია.

ჩვეთვის ხაინტერესო ტენდენციის შესაძლო შესაძლო ახსნა მდგომარეობს ეკონომიკაში სტრუქტურული ძვრების დაჩქარებაში. რაც უფრო მაღალია სტრუქტურული ძვრების მასშტაბები, მით უფრო მაღალია განათვისულებათა სისშირე და შესაბამისად, უმუშევრობის ფრეციკული დონე ერთ-ერთი მიზეზი სტრუქტურული ძვრებისა მდგომარეობს ნავთობზე ფასების ცვლილებებში, რომელიც გამოწვეული იყო საერთაშორისო სანაეთობო კარტელის OPEC-ის პოლიტიკით. როგორც ნახ. 5-7-ზეა ნაჩვენები, ნავთობზე შეფარდებითი ფასები სტაბილური იყო გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე. 1972 წლიდან დაწყებული ნავთობზე ფასების მკვეთრ ცვლილებებს, სავარაუდოდ, შექმნილი გამოიწვია შრომის გადაანაწილების აუცილებლობა უფრო ენერგოტექნიკადი დარგებიდან ნაკლებად ენერგოტექნიკადი დარგებში. თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ ნავთობზე ფასების ზრდას გამოიწვია უმუშევრობის დონის ზრდა. მაგრამ, ასეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დამტკიცება საჭიროდ რთული აღმოჩნდა.

საბოლოო ანგარიშით, უმუშევრობის დონის ზრდა გამოცანად რჩება. შემოთავაზებულ ახსნათაგან ზოგიერთი სრულიად დამაჯერებელია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ამომწურავი. როგორც ჩანს, ცალსახა პასუხი უბრალოდ არ არსებობს, ხოლო უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენცია შეიძლება იყოს სხვადასხვა, ერთმანეთთან კავშირში არმყოფი პროცესების შედეგი.



ნაწ. 5.7. ნათობზე შეფარდებითი ფასება: დარგთაშორისი ძვირების მიზეზები. გრაფიკზე ნაჩვენებია ნათობზე შეფარდებითი ფასების ცვლილებები, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც ნათობის ნედლეულზე მწარმოებელთა საბითუმო ფასის ინდექსის თანაფარდობა ყველა დანარჩენი საქონლების მწარმოებელთა საბითუმო ფასების ინდექსთან. როგორც ჩანს, 70-ანი წლებიდან დაწყებული ნათობზე შეფარდებითი ფასი განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს ცვლილებები, შესაძლოა, გამხდარიყო სტრუქტურული ძვირების მიზეზი და შესაბამისად, მათ შეიძლება ნაწილობრივ ახსნან უმუშევრობის დონის ზრდა.

შრომის ბაზარზე შესვლა და ბაზრიდან გასვლა

აქამდე ჩვენ მოვახდინეთ შრომის ბაზრის დინამიკისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი მომენტისგან – სამუშაო ძალის შემადგენლობაში ახალი მომუშავეების შესვლისა და მისგან შრომითი რესურსების ნაწილის გასვლისგან აბსტრაქცია. უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოდელი აიგო სამუშაო ძალის შემადგენლობის უცვლელი ფარულზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში, უმუშევრობის ერთადერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სამუშაოდან განთავისუფლება, ხოლო უმუშევრობა რიგებიდან გასვლის ერთადერთი მიზეზი – სამუშაოს პოვნა.

სინამდვილეში სამუშაო ძალის შემადგენლობის ცვლილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. დაახლოებით უმუშევართა 1/3 – ეს ის პირებია, რომლებიც ეს ვისა შევიდნენ სამუშაო ძალის რიგებში. ეს არის ახალგაზრდობა, რომლებიც ეძებენ თავიანთ პირველ სამუშაოს, ან ისინი, რომლებიც ადრე მუშაობდნენ, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო დროებით გავიდნენ სამუშაო ძალის რიგებიდან. გარდა ამისა, უმუშევრობის ყველა პერიოდი როდი მთავრდება სამუშაოს პოვნით: უმუშევრად ყოფნის შემთხვევის თითქმის ნახევარი მთავრდება უმუშევრის შრომის ბაზრიდან გასვლით. აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით უმუშევრობის ბუნებრივი დონის სრული მოდელი აგება შემოთავაზებულია მოცემული თავის დანართში.

სამუშაო ძალის შემადგენლობაში მსგავსი ცვლილებები ართულებს უმუშევრობაზე სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაციას. ერთი მხრივ, ზოგიერთი ინდივიდი, რომელიც საკუთარ თავს თვლის უმუშევრად, უბრალოდ სერიოზულად არ არის დაკავებული სამუშაოს ძებნით და ისინი აღბრუნდებიან არ უნდა ჩაეთთოს სამუშაო ძალის შემადგენლობაში. მათი „უმუშევრობა“ როგორც ჩანს, არ წარმოადგენს სოციალურ პრობლემას მორე მხრივ. მათგან უმარავესობის მართლა სურდა მუშაობა, მაგრამ სამუშაოს პოვნის რამდენიმე წარუმატებელი ცდის შედეგად დაკარგეს იმედო და შეწყვიტეს ძებნა. შრომისუნარიანი მოსახლეობის აღნიშნული „ნაპრობლემატიკა“ ჯერჯერობით, რომელიც გავიდა სამუშაო ძალის შემადგენლობიდან და არ გაითვალისწინება უმუშევართა სტატისტიკაში. წარმოადგენს უმწვავეს სერიოზულ სოციალურ პრობლემას. ვანსაკუთრებით ეკონომიკურად ჩანორჩუნალი ქვეყნებისათვის.

5-7. უმუშევრობის დონის მიხედვით საერთაშორისო განსხვავებები, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემის გაელევა უმუშევრობის დონეზე

ქვეყნების მიხედვით უმუშევართა დონის შედარება როდია, რამდენადაც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მეთოდით განსასაზღვრავენ თვით უმუშევრობის ცნებას. თუმცა, შესაძლებელია უმუშევრობაზე მონაცემების კორექტირება, რომელიც მიღებულია ინდუსტრიულად განვითარებული სხვადასხვა ქვეყნიდან, რათა ეს მონაცემები გაეხადოს შესაძლო. ქვემოთ მოცემულ ცხრილში 1-ში ნაჩვენებია უმუშევრობის დონეები, რომლებიც ამ თაყში წარმოდგენილი განმარტების თითქმის ანალოგიურია.

ცხრილი 1

ქვეყნები	1975 წ.	1980 წ.	1985 წ.	1990 წ.
შვედეთი	1.6	2.0	2.8	1.5
იაპონია	1.9	2.0	2.6	2.1
გერმანია	3.4	2.8	7.2	5.0
იტალია	3.4	4.4	6.0	7.0
საფრანგეთი	4.1	6.4	10.6	9.1
დიდი ბრიტანეთი	4.6	7.0	11.2	6.9
აესტრალია	4.9	6.1	8.3	6.9
ჰოლანდია	5.1	6.0	9.6	7.5
კანადა	6.9	7.5	10.5	8.1
აშშ	8.5	7.1	7.2	5.5

უმუშევრობის მდგრადად დაბალი დონეები შეედგოსა და იაპონიაში ძირითადად შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინსტიტუტების არსებობით. სხვა ქვეყნებში აშშ-თან შედარებით უდიდესი ყურადღება ეთმობოდა უმუშევრობის ზრდის პრობლემას 1975-1990 წლებში. სპეციალისტთა ფართო წრის აზრით, უმუშევრობის ზრდის მიზეზს წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის მიზართ უფრო შემზღვეველი პოლიტიკის გატარება, ეიღრე აშშ-ში (რაც ასახავს ინფლაციის დონით გამოწვეულ სერიოზულ უმუშეობებს) და სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის მდგრადი ზრდის ტენდენციის გამოიწვევა. ეს უკანასკნელი ფუნოზენი, რომელსაც „*პოსტერზისი*“ ეწოდება, მოითხოვს დაწერილობით ახსნას.

სხვა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები უფრო მეტად არიან მოცულნი პროფკავშირული მოძრაობებით და ხასიათდებიან უფრო მაღალი ხარჯებით, რომლებიც უკავშირდება მომუშავეთა დროებით არ საბოლოო განთავისუფლებას, ეიღრე აშშ-ში. უმუშევრობის ზრდის დროს (მაგალითად, ნათობის კრიზისის გამო) შეიძლება მოხდეს ორი ჯაჭვური რეაქცია. *ჯერ-ერთი*, სარგებლობენ რა კაპიტალის შრომით არასაკმარისი ჩანაცვლების შესაძლებლობით, „*ინსაიდერებს*“ შეუძლიათ მოახდინონ უმუშევარ „*აუტსაიდერთა*“ ინტერესების იგნორირება მანამ, ეიღრე პროფკავშირების მონაწილეობით მოლაპარაკებები არ იქნება მნიშვნელოვანწილად ეცენტრალიზებული, რომლის შედეგადაც ისინი აღწევენ ხელფასზე საკმაოდ მაღალი დანამატების დაწესებას, რაც შეუძლებელს ხდის ახალი სამუშაო ძალის დაქირავებას. *მეორე*, მთავრობის მიერ ფორმებისადმი დაქირავებული მაღალი დანახარჯები, რაც უკავშირდება წარმოების დახსურვას ან მომუშავეთა დათხოვნას ზრდით უმუშევრობის ფონზე სამუშაო ძალის კლებად ნებაყოფილობით დენადობასთან პარალელურად, იწვევს ახალი ფორმებისათვის რისკის ზრდას დანახებას და ახალი მომუშავეების დაქირავებასთან დაკავშირებით. ამგვარად, რაც უფრო დიდი ხნით წარწრუნდება უმუშევრობის მაღალი დონე, მით უფრო როდული ხდება დასაქმების ზრდა, ეიღრე საბაზრო ძალებს არ მიეცემათ მოქმედების თავისუფლება და პროფკავშირებიც არ დაიცავენ „*აუტსაიდერთა*“ ინტერესებს, რასაც ისინი აკეთებენ ხელფასის სიდიდის თაობაზე მოლაპარაკებების წარმართვის მაღალცენტრალიზებული სისტემის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში.

მოკლებით, რომლებიც სურულობს ალუპრავს დამქირაველებს უპირატესობა მიანიჭონ მომუშავეთა დროებით განთავისუფლებას, ეიღრე რეალური ხელფასის შემცირებას, იმყოფება უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემის საკუნიანო მანქინებლის - შემწეობის დაფინანსების ტიპების გაელენის ქვეშ. არსებითად, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემა წარმოადგენს ქვეყნის ცალკეულ რევიონთან სისტემის ერთობლიობას და მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება განსხვავდებოდნენ, ზოგადად შესაძლებელია განმეორეკოთ თითოეული მათგანის შინაარსი.

თანამდებროე კომპობეში, ფაქტობურად, ეკრო სექტორის ყველა მომუშავე მოცულია უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემით. როგვასაც აღნიშნული მომუშავეები კარგავენ სამუშაოს, მათ მიერ უმუშევრობაზე სადაზღვეეო შემწეობების მიღების უფლება დამოკიდებულია შრომის ბაზარზე მათი


ადრინდელი ყოფნის ვადაზე (შრომის სტაჟზე) და უმუშევრობის მიზნებზე, რაც შეეხება ვადას, უმუშევრებს მოთხოვნებით სამუშაო ძალისადმი „მუდმივი“ კუთვნილების დასაბუთება ისეთი კრიტერიუმებით, როგორცაა მინიმალურ გამომუშავებობათა ან ნამუშევარ კვირათა რაოდენობა საბაზო პერიოდის განმავლობაში. ვიდრე ისინი მოიპოვებდნენ უმუშევრობაზე სადასრულვეო შემწვობების მიღების უფლებას. ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს უმუშევრობაზე დასაზღვევის სისტემა და უმუშევრები აკმაყოფილებენ შრომის ბაზრისადმი კუთვნილების კრიტერიუმებს, მათ უმუშევრობაზე სადასრულვეო შემწვობათა მიღების უფლება გააჩნიათ.

უმუშევრობის გარკვეული პერიოდის დასრულების შემდგომ, რომელიც ერთი ან რამდენიმე კვირით განისაზღვრება, უმუშევრები იწყებენ უმუშევრობაზე სადასრულვეო შემწვობათა მიღებას. ნახ. 5-8-ზე წარმოდგენილია შემწვობათა სტრუქტურა, სადაც მისი სიდიდე დაკავშირებულია უმუშევრის მიერ ბოლო გამომუშავების დონესთან. როგორც ნახ. 5-8-დან ჩანს, უმუშევრებს, რომლებიც პასუხობენ ყველა მოთხოვნილებას, უფლება აქვთ, უიღურეს შემთხვევაში, მიიღონ მინიმალური შემწვობა B_{min} ოდენობით. მას შემდეგ, რაც ბოლო გამომუშავებობათა სიდიდე გადააჭარბებს W_{max} კრიტიკულ დონეს, შემწვობათა სიდიდე იზრდება გამომუშავებობათა პროპორციულად გამომუშავების დონის B_{max} მაქსიმალურ დონემდე, რომლის შემდეგაც შემწვობის სიდიდე უცვლელია და შეადგენს B_{max} დონეს.

ფინანსური დახმარების ამგვარი სტრუქტურის შედეგია ის, რომ უმუშევრობაზე სადასრულვეო შემწვობის თანაფარდობა წინა გამომუშავებასთან იცვლება ამ უკანასკნელის სიდიდეზე დამოკიდებულებით (იხ. ნახ. 5-8). ამგვარ თანაფარდობას ხშირად უწოდებენ *ჩანაცვლების კოეფიციენტს* - ეს არის ბოლო შემოსავლების ის წილი, რომლებიც ჩანაცვლებულია უმუშევრობაზე სადასრულვეო შემწვობებით. W_{min} და W_{max} დიაპაზონებს შორის, სადაც ჩანაცვლების კოეფიციენტი მუდმივია, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ბოლო შემოსავლის დაახლოებით 50%-ის ჩანაცვლებას.


უმუშევრობაზე სადასრულვეო შემწვობების დაწესების შემდეგ უმუშევრის უფლება შემწვობების უწყვეტად მიღებაზე დამოკიდებულია მათ მიერ სამუშაოს ძებნის აქტიურობაზე ანუ მუდმივ „შესაბამის ძალისხმევაზე“. ცნების - „შესაბამისი ძალისხმევა“ განსაზღვრება მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ქვეყნების, ისე რეგიონების მიხედვით. გარდა ამისა, არსებობს შემწვობის მიღების მაქსიმალური ხანგრძლივობა, რომელიც ხშირად აცვლება მოცემული პირის შრომის ბაზარზე ყოფნის ვადასთან დაკავშირებით („დიდი სტაჟის“ მქონე მომუშავეებს შემწვობის მიღების უფლება აქვთ დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში). პერიოდულად ადგილი აქვს დროებითი კანონების მიღებას, რითაც ხანგრძლივდება უმუშევრების მიერ შემწვობათა მიღების ვადა იმ რეგიონებში, სადაც მაღალია უმუშევრობის დონე.

შემწვობის დონე (ა)



წინა კვირის ხელფასი (W)

ჩანაცვლების კოეფიციენტი (ბ)



წინა კვირის ხელფასი (W)

ნახ. 5-8 უმუშევრობაზე კვირის მისხველი სადასრულვეო შემწვობა, როგორც ბოლო პერიოდის გამომუშავების ფუნქცია

შემწვობა, რომელიც გადაიხდება უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემის ფარგლებში, ფინანსდება ხელფასზე გადასახადების მეშვეობით. გადასახადისაგან განსხვავებით, რომელიც გადაიხდება ხელფასიდან სოციალური დაზღვევის პროგრამების შესაბამისად, ბეურგან უმუშევრობაზე დაზღვევის ფონდში შენატანები გადაიხდება მხოლოდ და მხოლოდ დამქირაველების მიერ. უმუშევრობაზე დაზღვევის ფონდში შენატანები (T), რომელიც დამქირაველებმა უნდა გაიღოს ყოველი მომუშაო-სათვის, შემდგენიარად გამოისახება:


$$T=tW, \text{ თუ } W \leq W_0, \text{ და}$$

$$T=tW_0, \text{ თუ } W > W_0$$

სადაც: t - დამქირაველის გადასახადო განაკვეთია უმუშევრობაზე დაზღვევის ფონდის შესახებ, W - მომუშაოების შემოსავალი კალენდარული წლისათვის, ხოლო W_0 - გადასახადით დასაბეგრი ხელფასი, ე.ი. ხელფასის ის დონე, რომლის ზემოთ დამქირაველებს არ უწევს ფონდში გადახდა.

დამქირაველის გადასახადის განაკვეთი უმუშევრობაზე დაზღვევისათვის განისაზღვრება: ქვეყნის ან რეგიონის საერთო ეკონომიკური პირობებით, დარგის თავისებურებებით და დამქირაველების მიერ მომუშაოების დათხოვნის ჩამოყალიბებული სისტემით. ეს უკანასკნელი ტერმინი სხვა-დასხვანაირად განიშარტება: მისი საფუძველია ის ფაქტი, რომ უმუშევრობაზე დაზღვევის პრინციპების მიხედვით, დამქირაველებს, რომლებიც ხშირად ათავისუფლებენ მომუშაოებს და აქტიურად ხარჯავენ პროგრამის რესურსებს, უნდა დაუწესდეთ უფრო მაღალი დაბეგურის განაკვეთები. ასეთ პრაქტიკას ეწოდება „დიფერენცირებული გადასახადებით დაბეგურა“.

დიფერენცირებული დაბეგურა, როგორც წესი, არასრულყოფილია იმ აზრით, რომ დამქირაველების ზღერული ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია დამატებითი მომუშაოების განთავისუფლებასთან (უმუშევრობაზე დაზღვევისათვის უფრო მაღალი გადასახადო განაკვეთის თვალსაზრისით) ხშირად ნაკლებია, ვიდრე უმუშევრობაზე დამატებითი გადასახადო შემწვობები, რომელიც გადაიხდება ასეთი მომუშაოებისათვის დასღვევის ფონდიდან. დიფერენცირებული დაბეგურის მოდელი ნაჩვენებია ნახ. 5-9-ზე, სადაც გრაფიკულად წარმოდგენილია უმუშევრობაზე დაზღვევისათვის დამქირაველის დაბეგურის განაკვეთის დამოკიდებულება ამ ფორმაში მომუშაოეთა განთავისუფლების მასშტაბებზე.



ნახ. 5-9. უმუშევრობაზე დაზღვევისათვის დაბეგურის განაკვეთები დიფერენცირებული დაბეგურის სისტემის არასრულყოფილების დროს

როგორც წესი, განისაზღვრება დაბეგურის მინიმალური განაკვეთი უმუშევრობაზე დაზღვევისათვის და ფორმის საგადასახადო განაკვეთი არ შეიძლება დაეშვას ამ დონეზე (L_{min}) დაბლა (იხ. ნახ. 5-9). მას შემდეგ, როცა ფორმაში განთავისუფლებათა მასშტაბი მიაღწევს გარკვეულ კრიტიკულ მნიშვნელობას (l_{min}), უმუშევრობაზე დაზღვევისათვის ფორმის საგადასახადო განაკვეთი იზრდება განთავისუფლებულ მომუშაოეთა ზრდასთან ერთად განსაზღვრულ დიაპაზონში. არსებობს აგრეთვე ამ დიაპაზონის ზოგი L_{max} და ამ დონის მიღწევის შემთავთ თამაჯებით განთავისუფლებები არ ახლ-

ნენ გაღვინას ფორმის საგადასახადო განაკვეთებზე. დიფერენცირებული დაბეგვრის სისტემა არასრულყოფილია. რამდენადაც I_{max} -ის დაბლა და I_{min} -ის მაღლა განთავისუფლების დონეთა რყევები გაღვინას არ ახდენს უმუშევრობაზე დაზღვევისათვის ფორმის საგადასახადო განაკვეთებზე; გარდა ამისა, დიანაზონში, სადაც ადგილი აქვს საგადასახადო განაკვეთის ზრდას განთავისუფლების რიცხვის ზრდასთან ერთად, საგადასახადო განაკვეთის ასეთი ზრდა ხშირად არასაკმარისად მაღალია, რათა განთავისუფლებებით დაეკომპენსირებინათ დამქირავებლის ზღვრული ხარჯები (ფორმის მიერ უმუშევრობაზე დაზღვევის ფონდში შენატანების) გაუთანაბრდეს უმუშევრობაზე სადაზღვეო შემქრობების ზღვრულ სიდიდეს, რომელსაც დეველოპმენტ განთავისუფლებული მომუშავეები.

უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემის საკენამო მახასიათებელია ის, თუ რამდენად სრულყოფილია დიფერენცირებული გადასახადებით დაბეგვრა, რომლითაც განისაზღვრება დროებითი განთავისუფლების მიზანშეწონილობა ამ მანიფესტის გაღვინის ბაგების მიხედვით თავდაპირველად დავეუშავთ, რომ უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემა აბეჭდვად იმგვარად, რომ მისი საგადასახადო განაკვეთები ეფუძნება სრულიად იდეალურ, დიფერენცირებულ დეველოპმენტს. ფორმას, რომელიც ათავისუფლებს მომუშავეებს, ასეთ შემთხვევაში მოუწევს შეიტანოს დამატებითი თანხები უმუშევრობაზე დაზღვევის ფონდში; ამ დროსაც ტოლია მოცემული მომუშავის უმუშევრობაზე სრული სადაზღვეო შეწყობისა; ამ დროს ფორმა განთავისუფლებაზე მოახდენდა მომუშავის ხელფასის მხოლოდ ნახევრის ეკონომიას. ახლა ამისგან განსხვავებით დავეუშავთ, რომ დამქირავებლის საგადასახადო განაკვეთი მთლიანად დამოუკიდებელია არსებული სისტემისაგან, მომუშავის განთავისუფლების მასშტაბისგან (დიფერენცირება დეველოპმენტს არ არსებობს). ამ შემთხვევაში ფორმა მოახდენს განთავისუფლებული მომუშავის მთლიანი ხელფასის ეკონომიას, რამდენადაც მისი შენატანები უმუშევრობაზე დაზღვევის ფონდში არ გაიზარდება განთავისუფლების შედეგად. ამგვარად, ახალია დავარწმუნდეთ იმაში, რომ სრულიად დიფერენცირებული დაბეგვრის მქონე უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემასთან შედარებით, არასრული დიფერენცირებული დაბეგვრის სისტემა აძლიერებს დამქირავებელთა მიდრეკილებას მომუშავეთა განთავისუფლებისასდმი.

სეზონური უმუშევრობა

სეზონური უმუშევრობა არასაკმარისი მოთხოვნის უმუშევრობის ანალოგიურია, რადგანაც ისიც შრომასეუ მოთხოვნის ცვლილებებითა გამოწვეული. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში შეიძლება იმ ცვლილებების რეკულარულად პროგნოზირება. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მომუშავეებზე მოთხოვნა მცირდება თესვის დამთავრებისთანავე და იმყოფება დაბალ დონეზე მოსავლის აღებადმდე ზუსტად ასევე, სამშენებლო მუშებზე მოთხოვნა მცირდება მშენებლის ზოგიერთ დარგში წლის იმ პერიოდში, როდესაც ფორმა დაკავებულია წარმოების ხელახლა აღჭურვით ახალი მოდელის ყოველწლიური ათვისებისათვის.

ისინი კითხვა: რომ დამქირავებლები სეზონურ ცვლილებებზე რეაგირებენ მომუშავეთა დათხოვნით და არა ხელფასის განაკვეთის ან სამუშაო დროის შემცირებით? აქ გამოდგება კვლევა ის მიზეზი, რომლითაც ახსენება ციკლური უმუშევრობისა და დროებითი განთავისუფლების არსებობა იმ უმუშევრობის უხედავად, სინამდვილეში, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, აშშ-ში XX საუკუნის 70-იან, წლებში უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემის გაფართოება, რომლითაც მოცული იქნა სოფლის მეურნეობის მომუშავეთა უზრუნველყოფა, დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობაში სეზონური უმუშევრობის მნიშვნელოვან ზრდასთან.

ისინი კითხვა: რატომ თანხმდებიან მომუშავეები იმ დარგებში მუშაობას, სადაც მათთვის წინასწარ არის ცნობილი, რომ მიქნებიან უმუშევრობის წლის გარკვეულ პერიოდში. ზოგიერთი მომუშავისათვის უმუშევრობაზე სადაზღვეო შემქრობების არსებობა, აგრეთვე იმის ცოდნა, რომ დაბალი მოთხოვნის სეზონის დამთავრებისთანავე კვლავ იქნებიან დამქირავებელი სამუშაოდ, მათ შესაძლებლობას აძლევს განიხილონ ასეთი პერიოდები, როგორც ანალოგიური შევსება. მაგრამ, რამდენადაც უმუშევრობაზე სადაზღვეო შენატანები, როგორც წესი აკომპენსირებს უმუშევრის წინანდელ ჯამური გამოშვებების ნახევარზე ნაკლებს და მაღალანაზღაურებადი მომუშავის ანალოგიების უფრო ნაკლებ ოდენობას, უზრუნველსებს არ იზიდავს ასეთი მდგომარეობა. სეზონური რყევების მქონე ეკონომიკის ასეთ დარგებში მომუშავეთა მოზიდვის მიზნით, ფორმებს უწევთ მათ გადაუხადონ მომატებული ხელფასი, რათა მოახდინონ მათი პერიოდული უმუშევრობის კომპენსაცია. საერთოდ, დროდადრო ჩატარებული დაკვირვებები გვიჩვენებენ, რომ სამშენებლო მუშების საათობრივი ხელფასი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე არანაკლებ კვალიფიცირებული სამრეწველო მუშებისა, რომლებიც ყოველწლიურად მტკიცდებიან დროით არიან დააკავებულნი. ბოლოდროინდელი ეკონომეტრიკულმა გამოკვლევებმა, რომლებიც ოფიციალურ საფუძველზე ჩატარდა, დაასაბუთა, რომ სხვადასხვა ფაქტორთა მუდმივობის შემთხვევაში (მომუშავეთა კვალიფიკაციის დონის ჩათ

ვლით) ხელფასი უფრო მაღალია იმ დარგებში, სადაც მოსალოდნელია ყოველწლიური უმუშევრობის უფრო ხანგრძლივი პერიოდები.

ხელფასის დიფერენცირებულ განაკეთების არსებობა, როგორც მაღალი უმუშევრობის დონის მქონე დარგებში დასაქმებულ მომუშავეთა უმუშევრობის რისკის კომპენსაცია, ართულებს იმის შეფასებას, წარმრავდგენს თუ არა თავისი ხასიათით უმუშევრობის სეზონური სახე ნებაყოფლობით თუ იძულებით. ერთი მხრივ, ex ante (მოვლენის მოხსენამდე) მომუშავეები ნებაყოფლობით თანხმდებიან იმ დარგებში მუშაობას, სადაც მაღალია ხელფასი და უმუშევრობის ალბათობაც, ვიდრე სხვაგან. მეორე მხრივ, სამუშაოს მიღების შემდეგ (იოსტ ფაქტუ) მომუშავეები ამჯობინებენ დარჩენენ დასაქმებულები და არა უმუშევრები. ამგვარად, ასეთი უმუშევრობა შეიძლება ჩაეთვალოს ან ნებაყოფლობითად, ან იძულებითად იმავე დამოკიდებულებით, თუ როგორი ასპექტით განვიხილავთ მას.

უმუშევრობის დონე სრული დასაქმების დროს

სრული დასაქმების დროს უმუშევრობის დონეს („უმუშევრობის ბუნებრივ“ დონეს) როდელია მოუყვებით სრულყოფილი განმარტება. არსებობს რამდენიმე ალტერნატიული კონცეფცია. *პირველი* უმუშევრობის ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს, როგორც ისეთ დონეს, რომლის დროსაც ხელფასი და ინფლაცია ან მდგრადია, ან იმყოფება მისაღებ დონეზე. *მეორე* უმუშევრობის ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს, როგორც მოვლენას, რომლის დროსაც დაუკავებელი სამუშაო ადგილების რაოდენობა ტოლია უმუშევრთა რაოდენობისა. *მესამე* კი მას განსაზღვრავს, როგორც უმუშევრობის დონეს, რომლის დროსაც ერთობლივი მოთხოვნის ნებისმიერი ზრდა არ იწვევს უმუშევართა რიცხვის შემდგომ შემცირებას. ამ უკანასკნელი განმარტების სახესხვაობაა, როცა უმუშევრობის ბუნებრივ დონედ თვლიან ისეთს, რომლის დროსაც მთლიანად უმუშევრობა ატარებს ნებაყოფლობით (ფრიქციულ; სტრუქტურულ, ინსტიტუციურ და, შესაძლოა, სეზონურ) ხასიათს. და *ბოლოს*, უკანასკნელ პერიოდში უმუშევრობის ბუნებრივ დონეს უწოდებენ ისეთ დონეს, როდესაც უმუშევართა ხელფართი წილი სამუშაო ძალაში უცვლელია და უმუშევრობის მდგომარეობაში გადასვლაც და უმუშევრობის ხანგრძლივობაც ნორმალურია.

ზემოთ მოცემული ყველა განმარტება მოწოდებულია მოახდინოს სრული დასაქმების უფრო ზოგადი კონცეფციის კონკრეტულზე, რომლის მიხედვითაც ის განიხილება როგორც მოვლენა, რომელიც ბატონობს „ნორმალურ“ სიტუაციაში. თუ დაეუშვებთ, რომ ფრიქციული, სტრუქტურული, ინსტიტუციური და სეზონური უმუშევრობა არსებობს თვით წინასწორულ შრომის ბაზარზეც (ე.ი. იქ, სადაც არ არსებობს არც ჭარბი მოთხოვნა, არც ჭარბი მიწოდება), ნათელია, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე იმყოფება ისეთი ფაქტორების გაგენის ქვეშ, როგორცაა 1. დასაქმებულითა შორის კადრების ნებაყოფლობითი დენადობის დონე, 2. სამუშაო ძალის როტაცია შესვლისა და სამუშაო ძალის როტაციიდან გასვლის დონე, 3. დროის ხანგრძლივობა, რომელიც ჭირდება უმუშევარს მისთვის სასურველი სამუშაოს საპოვნელად. ეს ფაქტორები განიცდიან ცვლადობას დე მორტარული ჯგუფების მიხედვით. ამიტომ, უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე დროის ნებისმიერ პერიოდში მნიშვნელოვან გაგენას ახდენს სამუშაო ძალის დემოგრაფიული შემადგენლობა.

მთავრობის პოლიტიკა და ფრიქციული უმუშევრობა: უმუშევრობაზე შემწობის გაგენა სამუშაოს ძებნაზე

როგორც ცნობილია, ვაკანსიებზე და მომუშავეთა მახასიათებლებზე არასრულყოფილი ინფორმაციის შედეგად აუცილებელი ხდება გაიკვეთილი დროის არსებობა უმუშევართა და პოტენციურ დამპირავეებელთა ერთმანეთთან დასაკავშირებლად. სხვა თანაბარ პირობებში, უმუშევართათვის რაც უფრო მცირეა სამუშაოს მიღების ალბათობა დროის გატკეპულ პერიოდში (რაც უფრო მცირეა P_{w}), მით უფრო მეტია მათი უმუშევრობის სავარაუდო ხანგრძლივობა და მაღალია უმუშევრობის დონე.

უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ უმუშევრობაზე სადაზღვევო შემწობის არსებობა ამცირებს უმუშევრობით გამოწვეულ დანახარჯებს და ახანგრძლივებს სამუშაოს ძებნის პერიოდს. უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემის მომხრეები კი აღნიშნავენ, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი სისტემის მთავარი მიზანია უმუშევართათვის დროებითი რესურსების შეთავაზება, რაც მათ საშუალებას აძლევს უარი თქვან დაბალანაზღაურებელ სამუშაოზე, რომელიც არ შეესაბამება მათი კვალიფიკაციის დონეს და განაგრძონ შესაფერისი სამუშაოს ძებნა. მრავალი მკვლევარის აზრით მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობაზე შემწობის არსებობა ახანგრძლივებს უმუშევრობის პერიოდს, ასეთ შემწობას შეუძლია უმუშევრობის პერიოდის დასრულების შემდგომ უფრო მაღალი ხელფასისა და შესაფერისი სამუშაოს მიღების უზრუნვე-


ლყოფა, რაც, თავის მხრივ, იწვევს საზოგადოებისათვის დამატებითი სარგებლის მიღებას სამუშაო ძალის დენადობის შემდგომი შემცირების ხარჯზე.

ვიღებ მიემართადეთ ამ მტკიცების ემპირიულ დასაბუთებას, გაეანალიზოთ სამუშაოს ძებნის ფორმალური მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ შრომის ბაზარზე არსებული სხვადასხვა მოვლენების შესახებ და ენახოთ, თუ რა გავლენას ახდენს უმუშევრობაზე შემწეობის სისტემა სამუშაოს პოვნის პროცესზე. ამ მოდელის ძირითადი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ ხელფასის ოდენობა დაკავშირებულია სამუშაო ადგილების და არა კონკრეტულ პირთა თავისებურებებზე, რომლებიც ეძებენ ამ ადგილებს.

დაეუშვათ, დამჭირაველები ხასიათდებიან დაქირავეების მინიმალური ნორმებისა და სტანდარტების არსებობით. დაქირავეების ნორმა შეიძლება მოიცავდეს მოთხოვნებს განათლებასზე, პროფესიულ მომზადებაზე, შრომით გამოცდილებაზე, კვალიფიკაციური გამოცდის პირობებისა და ტესტების შესრულებაზე და ა. შ. ანალიზის გამარტივების მიზნით დაეუშვათ, რომ ამ ნიშნთა ერთობლიობა შეიძლება განვარჯაოდოთ ერთიან მაჩვენებელში K , რომელიც აღნიშნავს კვალიფიკაციის მინიმალურ დონეს, რაც მოითხოვება მოცემული სამუშაო ადგილის დასაკავებლად. ყოველი სამუშაო ხასიათდება გარკვეული ხელფასით $W(K)$, რომელიც წარმოადგენს კვალიფიკაციის საჭირო დონის ფუნქციას და არა დასაქირავებელი ადამიანების კონკრეტული თავისებურებებისას. ჩვენ გამოვიდით იმ წინაპირობიდან, რომ რამდენადაც ხელფასის განაკვეთი წარმოადგენს საჭირო კვალიფიკაციის მინიმალური დონის ფუნქციას, ორი დამჭირავებელი, რომლებიც სარგებლობენ ერთი და იგივე დაქირავეების ნორმით, მომუშავეს შესათავაზებენ ერთსა და იმავე ხელფასს.

რამდენადაც სხვადასხვა დამჭირაველები სარგებლობენ განსხვავებული დაქირავეების ნორმით, შრომის ბაზარზე იარსებებს შესათავაზებელი ხელფასის განაწილება თავისუფალი სამუშაო ადგილების მიხედვით. შესათავაზებელი ხელფასების ასეთი განაწილება აღნიშნულია ნახ. 5-10-ზე $f(W)$ -ით. მარჯვნივ გადაადგილების კვალდაკვალ იზრდება საჭირო კვალიფიკაციის მინიმალური დონე და შესათავაზებელი ხელფასი. რამდენადაც $f(W)$ წარმოადგენს შესათავაზებელი ხელფასის საეარაოდო განაწილებათა დონეებს, მრუდის ქვეშ არსებული მონაკვეთი ჯამში გეაძლევს I -ის ტოლ მნიშვნელობას (ე.ი. განაწილება მოიცავს შრომის ბაზარზე ყველა შესათავაზებელი ხელფასის 100%-ს). ყოველი შესათავაზებელი ხელფასი (პორიზონტალური ღერძის მიხედვით) ნაჩვენებია განაწილებათა აღბათობით (ვერტიკალური ღერძის მიხედვით).

დაეუშვათ, რომ მოცემულ უმუშევარს გააჩნია კვალიფიკაციის K' დონე. რამდენადაც არცერთი ფირმა არ დაქირავებს მომუშავეს, რომელიც არ პასუხობს ამ ფირმის დაქირავეების ნორმას, მაქსიმალური ხელფასი, რომლის მიღების იმედიც შეიძლება ჰქონდეს მოცემულ პირს, არის $W(K')$. უმუშევარმა, რომელმაც იცის თუ რომელ ფირმას გააჩნია K -ის შესაბამისი დაქირავეების ნორმა, მიმართავს ამ ფირმას და რამდენადაც ის პასუხობს არსებულ ნორმას, ეაკნისის არსებობის შემთხვევაში დაქირავებული იქნება K' ხელფასით.



ნახ. 5-10. სარგებრო ხელფასის არჩევისა და სამუშაოს ძებნის მოდელი

ახლა კი დაეუშვათ, რომ შრომის ბაზარზე ინფორმაცია არასრულყოფილია. კერძოდ, თქვენც ადამიანმა შეიძლება იცოდეს შესთავაზებული ხელფასის (W) განაწილების ფორმის შესახებ, მან არ იცის თუ როგორია შესთავაზებული ხელფასის ოდენობა ან როგორია ცალკეული ფირმის დაქირავების ნორმა. სამუშაოს ძებნა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პროცესი, რომლის განხილვაშიც ადამიანი ადლბერგზე აკეთხავს ფირმების კადრების სამსახურს. თუ ფირმის დაქირავების ნორმა აჭარბებს K -ს, მას უარს უბნებთან სამუშაოს მიღებაზე. მაგრამ თუ დაქირავების ნორმა შეესაბამება K -ს ან მასზე მეტია, მას შესთავაზებენ სამუშაოს. უმუშევარი პირი ხშირ შემთხვევაში ასეც იქცევა. კერძოდ, აგროეებს ინფორმაციას შეთავაზებულ გაანსივებზე და ამის შემდეგ ირჩევს სასაუკეთესოს. უმუშევარი, რომელიც დაკავებულია არიან სამუშაოს ძებნით, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც ინფორმაცია კვალიფიკაციის დაბალ საფეხურზე, ხშირად ევრ ახლევებს საკუთარ თავს ასეთი ფუნქციების შესაძლებლობას. მეტიც, მათ სწრაფად უნდა გადაწყვიტონ მიიღონ თუ არა შეთავაზებული სამუშაო, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული სამუშაო შეიძლება შესთავაზონ სხვა პრეტენდენტს.

საიდან იცის უმუშევარმა ღირს თუ არა მიიღოს კონკრეტულად შემოთავაზებული სამუშაო? ერთ-ერთი მიდგომა შემოთავაზების სარეზერვო ხელფასის განსაზღვრის აუცილებლობაში.

დაეუშვათ, რომ W_R არის სარეზერვო ხელფასი (ნახ. 5-10), რომელსაც ირჩევს K' კვალიფიკაციის დონის მქონე ადამიანი. მიუკერძოებლად უნდა იმას, რომ ასეთ ადამიანს უარს ეტყვიან სამუშაოს შეთავაზებაზე ნებისმიერ ფირმაში, რომელიც თავაზობს ხელფასს $W(K')$ დონეზე მაღალ, რადგან ის ევრ პასუხობს ფირმის დაქირავების მინიმალურ ნორმას. ზუსტად ასევე, თეთი უმუშევარი უარყოფს ნებისმიერ შეთავაზებას W_R -ზე ნაკლები ხელფასით. აქედან, ალბათობა იმისა, რომ ის იპოვოს მისაღებ სამუშაოს დროის ნებისმიერ მომენტში, წარმოდგენილია დაუმტრისხავი ზონით, რომელიც მოცემულია W_R და W' წერტილებს შორის მრუდს ქვემოთ. რაც უფრო მაღალია ეს ალბათობა, მით უფრო ნაკლებია უმუშევრობის საგარეუდო ხანგრძლივობა. თუ ადამიანი პოულობს სამუშაოს, მისი მოსალოდნელი ხელფასი დაშვარდება W_R და W' დიახაზონში არსებულ სიდიდეთა საშუალო შეწონილის ოდენობით. ნახ. 5-10-ზე ასეთი საშუალო (ანუ მოსალოდნელი) ხელფასი აღნიშნულია $E(W)$ -ით.

თუ ადამიანი აირჩევს უფრო მაღალ სარეზერვო ხელფასს, მის ასეთ არჩევანს მოყვება ორი შედეგი. ერთი მხრივ, რამდენადაც ის ახლა უარყოფს უფრო დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილს, მისი მოსალოდნელი ხელფასი (სამუშაოს მიღებისას) გაიზარდება, მეორე მხრივ - სამუშაოს შეთავაზების დიდ რაოდენობაზე უარის თქმა აგრეთვე ამცირებს სასურველი სამუშაოს მიღების ალბათობას დროის მოცემულ პერიოდში და ამით ზრდის უმუშევრობის საგარეუდო ხანგრძლივობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო მაღალი ამოსავალი ხელფასი იწვევს უმუშევრობის პერიოდის გახანგრძლივებას და მასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას, მაგრამ იმავედროულად უფრო მაღალი მოსალოდნელი ხელფასის მიღების შესაძლებლობას სამუშაოს პოვნის შემთხვევაში. ყოველი უმუშევარი ირჩევს სარეზერვო ხელფასს იმეგარად, რომ მოსალოდნელმა ხარჯებმა, რომლებიც დაკავშირებულია უმუშევრობის უფრო ხანგრძლივ პერიოდთან, ზუსტად გააწონანსწოროს სამუშაოს მიღების შემდეგ მაღალი ხელფასისგან მოსალოდნელი სარგებელი, ე.ი. სარეზერვო ხელფასი უნდა აირჩეს იმეგარად, რომ უფრო მაღალი ამოსავალი ხელფასისგან ზღერულმა სარგებელმა გადაფაროს მასთან დაკავშირებული ზღერული დანახარჯები.

ეს მარტივი მოდელი და მისთან თანდაყოლილი გადაწყვეტილების მიღების წესი ნებას ბეჭედებს გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა.

პირველი, ვიდრე სარეზერვო ხელფასი არ გაუთანაბრდება მინიმალურ ხელფასს, რომლის შეთავაზებაც ხდება ბაზარზე, სამუშაოს მიღების ალბათობა 1-ზე ნაკლები იქნება, რაც გამოიწვევს სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებული უმუშევრობის წარმოშობას. მსგავსი უმუშევრობა წარმოიშობა მაშინ, როცა აუცილებელი არ არის უმუშევარი დათანხმდეს მიიღოს პირველად შეთავაზებული სამუშაო, რაც არასრულყოფილი ინფორმაციის სამყაროში გონივრული სტრატეგიაა.

მეორე, რამდენადაც ასარჩევი სარეზერვო ხელფასი ყოველთვის ნაკლები იქნება ადამიანის კვალიფიკაციის დონესთან თანაზომად ხელფასზე - $W(K')$, ფაქტობრივად ყველა ადამიანი სამუშაოს მიღების შემდეგ იქნება არასრულად დასაქმებული (იმ აზრით, რომ მათი მოსალოდნელი ხელფასი W -ზე ნაკლებია). ასეთი არასრული დასაქმება წარმოადგენს არასრულყოფილი ინფორმაციის ფასს; შრომის ბაზარზე უფრო სრული ინფორმირებულობა ხელს შეუწყობდა სამუშაოს შერჩევის პროცესის გაუმჯობესებას.

მესამე, ერთნაირი კვალიფიკაციის ადამიანები, საბოლოო ანგარიშით, ღებულობენ სხვადასხვა ხელფასს. ერთი და იგივე კვალიფიკაციის დონის მქონე ორი ადამიანი უნდა ირჩევდეს ერთსა და იმავე სარეზერვო ხელფასს და უნდა ქვირნდეთ ერთი და იგივე მოსალოდნელი ხელფასი სამუშაოს მიღების შემდეგ. მაგრამ ხელფასი, რომელსაც ისინი საბოლოოდ მიიღებენ, დამოკიდებულია წმინდა შემთხვევაზე - W_R და W' დიახაზონში. იმ შემთხვევაზე, რომლის პოვნაც ისინი შეძლებენ. აბეკარად, არასრულყოფილი ინფორმაციის სამყაროში არავითარ ეკონომიკურ მოდელს არ მაღუქს ახსენას ამა თუ პირის მიერ მისაღები ხელფასის სიდიდის რყევები.

მეთხვე, უმუშევრობის მდგომარეობაში ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების შესაძლებლობა აღამიანებს უნდა აიძულებდეს გაზარდონ თავიანთი სარეზერვო ხელფასი და ამით გამოიწვიონ უმუშევრობის ხანგრძლივობის და მოსალოდნელი ხელფასის, ზრდა. რამდენადაც უმუშევრობაზე სადაზღვეო შემწვირების ზრდა ამცირებს უმუშევრობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, ის დაკავშირებულია უმუშევრობის ხანგრძლივ პერიოდთან და სამუშაოს მიღების შემთხვევაში უფრო მაღალ ხელფასთან. უმუშევრობაზე სადაზღვეო შემწვირების ზრდა აგრეთვე ზრდის იმის ალბათობას, რომ დროებით განთავისუფლებული მომუშავეები ხშირ შემთხვევაში ელოდებიან ბოლო სამუშაო ადგილზე ხელაღება დაბრუნების შესაძლებლობას და უარს ამბობენ შრომის ნაკლები ანაზღაურების მქონე სხვა სამუშაოს მიღებაზე.

ჩატარებული იქნა მრავალრიცხოვანი გამოკვლევა უმუშევრობაზე სადაზღვეო შემწვირების უმუშევრობის ხანგრძლივობაზე და სამუშაოს მიღების შემთხვევაში ხელფასის სიდიდესზე გავლენის შეფასების მიზნით. ამ გამოკვლევათა შედეგები ერთმნიშვნელოვნად მოწმობენ იმას, რომ უმუშევრობაზე დაზღვევის დროს უფრო მაღალი ჩანაცვლების ნორმა დაკავშირებულია უმუშევრობის მცხანგრძლივობასთან: ჩანაცვლების ნორმის 40-დან 50%-მდე ზრდად ბოლო კვირის გამოუმუშავების სიდიდესთან მიმართებაში შეიძლება გაზარდოს უმუშევრობის ხანგრძლივობა 4-7 კვირით. ამის სწინააღმდეგეოდ, უმუშევრობის დამთავრების შემდეგ ხელფასის სიდიდეზე სადაზღვეო შემწვირებათა გავლენის მონაცემები სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ერთმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჩანაცვლების ნორმის ზრდა დაკავშირებულია უმუშევრობის დაშთავრების შემდგომ ხელფასის უფრო მაღალ განაკვეთთან; თუმცა ეს ეხება არა მოზარდებს, არამედ უფროსი ასაკის მომუშავეებს.

მეხუთე, ყველაფერი, რაც ემსახურება მიმდინარე შემოსავლებისადმი აღამიანთა მოთხოვნის ზრდას მომაველ შემოსავლებთან შედარებით, შედეგად იწვევს სარგებერო ხელფასის შემცირებას და შესაბამისად, უმუშევრობის მოკლე მოსალოდნელ ხანგრძლივობას და უფრო ნაკლებ ხელფასის მიღებას სამუშაოს პოვნის შემთხვევაში. ამგვარად, უმუშევრები ღარიბი იჯახებიდან უფრო თანხმდებიან დაბალანაზღაურებადი სამუშაოს მიღებას, ვიდრე ასეთივე კვალიფიკაციის მქონე უმუშევრები მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი იჯახებიდან.

მექმესე, რაც უფრო მცირეა ყადა, რომლის განმავლობაშიც აღამიანი აპირებს მუშაობას, მით უფრო ნაკლები იქნება მისი მომავალი ანაზღაურება და ამოსავალი ხელფასიც. ასეთი დაბალი სარგებერო ხელფასი გამოიწვევს უმუშევრობის ხანგრძლივობის შემცირებას და შესაბამისად, უფრო მცირე ხელფასის მიღებას იმ პირთათვის, რომლებიც ხასიათდებიან მოსალოდნელი შრომითი საქმიანობის ხანმოკლეობით.

მეშვიდე, ყველაფერი, რაც კი აიძულებს უმუშევარს აწარმოოს სამუშაოს უფრო ინტენსიური ძებნა, სხვა თანაბარ პირობებში, ამცირებს უმუშევრობის ხანგრძლივობას. როგორც სამუშაო ადგილებზე, ისე პრეტენდენტებსზე ინფორმაციის შვგროვებისა და გაფრცვლების ფეექტიანობის ზრდა აჩქარებს სამუშაოს ძებნის პროცესს შრომის ბაზარზე მეოფი ყველა მხარისათვის; მაგალითად, ერთ-ერთი სიახლე, რომელიც მოწოდებულია შეამციროს უმუშევრობა, არის შრომითი მოწყობის სააგენტოს უფრო სარელოფილი კამპიუტერიზაცია. მაგრამ, თუ გაითეთვალისწინებთ იმას, რომ თითო უმუშევრები თავისებურად, განსხვავებულად სარგებლობენ მათ ხელთ არსებული დროის ფონდით, სამუშაოს უფრო ინტენსიური ძებნის სხვა გაზას წარმოადგენს იმ პირთა უშუალო და-ჯილდოება, რომლებიც დიდი ხნით არიან დაკავებული სამუშაო აქტიურობა ძებნით. მაგალითად, სამუშაოს ძებნის გააქტიურების მიზნით ზოგიერთმა შტატმა ჩაატარა ექსპერიმენტები იმ პირთათვის არეობის დაწესებით, რომლებიც „სწრაფად“ პოულობდნენ სამუშაოს.

და ბოლოს, კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, ეოქვათ, პროფესიული მომზადების სამთავრობო პროგრამებში მონაწილეობის გზით, შედეგად შეუძლია ორმაგი გავლენის მოხდენა უმუშევრობაზე. ერთი მხრივ, იზრდება უმუშევართა W, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, გამოიწვევს მათთვის შესაფერისი სამუშაოთა რაოდენობის ზრდას, უმუშევრობის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემცირებას და მოსალოდნელი ხელფასის ზრდას სამუშაოს მიღების დროს; მეორე მხრივ კვალიფიკაციის დონის ამაღლება მათ აიძულებს გაზარდონ თავიანთი სარგებერო ხელფასი, რაც უმუშევრების დაბალანაზღაურებადი სამუშაოს მიღებაზე თავის არიდების რაოდენობას და გამოიწვევს როგორც უმუშევრობის მოსალოდნელი ხანგრძლივობის, ისე მოსალოდნელი ხელფასის ზრდას სამუშაოს მიღების შემთხვევაში. ამგვარად, თუმცა კვალიფიკაციის დონის ამაღლებას ერთმნიშვნელოვნად მიეყავართ მოსალოდნელი ხელფასის ამაღლებამდე სამუშაოს მიღების დროს, ის აგრეთვე უშეკვლად გავლენას ახდენს უმუშევრობის ხანგრძლივობაზე. ეს უკანასკნელი დასტენა უშუალოდა დაკავშირებული კარგების მომზადების სამთავრობო პროგრამების ფეექტიანობის შეფასებასთან. ის არ უნდა შეეფასოს სწავლების დამთავრებისთანავე სამუშაოს მანძილზე მიღების შესაძლებლობის საფუძველზე; აღამიანები, რომლებიც გადიან მომზადებას, შეგნებულად რჩებიან დროის გარკვეულ პერიოდში უმუშევრები და ეძებენ მათი კვალიფიკაციის ახალი დონის შესაფერის სამუშაოს.

უმუშევრობის ნორმატიული ასპექტები

წარმოადგენს თუ არა უმუშევრობა სერიოზულ პრობლემას? უპასუვლად, ფრიკიული უმუშევრობის გარკვეული დონე გარდაუვალია დინამურად განვითარებად სამყაროში, რომელიც სასხვა არასრულყოფილი ინფორმაციით. გარდა ამისა, როგორც ენახეთ, უმუშევრობაზე დაზღვევის ხისტი მის პარამეტრები ასტიმულირებს როგორც დამატებით უმუშევრობას, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს ძებნასთან, ასევე უმუშევრობას (ციკლური და სეზონური), რომელიც გამოწვეულია დროებით განთავისუფლებებით. მიუხედავად ამისა, როცა უმუშევრობა აჭარბებს ბუნებრივ დონეს (დონეს სრული დასაქმების დროს), ადგილი აქვს რესურსების გადახარჯვას. დაახლოებით 40 წლის წინათ არტურ ოუკენმა აღნიშნა, რომ ერთობლივი უმუშევრობის ნებისმიერი 1%-იანი შემცირება დაკავშირებულია პროდუქციის გამოშვების 2-2,5%-იან ზრდასთან. შედარებით ბოლო დროინდელი გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში შეგუბობა ეისაუბროს წარმოების მოცულობის 2%-იან ზრდაზე. მაგრამ, ეს უკანასკნელი ციფრები კი მოწმობს იმ მაღალი ხარჯების არსებობას, რომლის გაღებაც უწყვეტ საზოგადოებას უმუშევრობის პეტისმეტად მაღალი დონის შემთხვევაში. ამგვარად, თუცა უმუშევრობის ნულეიანი დონე არც ერთ შემთხვევაში ოპტიმალურ დონედ ვერ ჩაითვლება, ამჟამად აუცილებელია პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ციკლური უმუშევრობის (და საერთოდ, იძულებითი უმუშევრობის) დონის შემცირებისაკენ (არაინფლაციური მეთოდებით). შრომის ბაზრის ფუნქციონირების სრულყოფილ აგვრედ ხელს შეუწოვდა ფრიკიული და სტრუქტურული უმუშევრობების შემცირებას; მაგრამ უმუშევრობის დაბალი დონით მიღებული სარგებელი უნდა იყოს თანახომადი იმ ხარჯებთან, რომლებიც უკავშირდება ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებულ დონისიძებებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

5-8. დასკვნა

უმუშევრობა წარმოადგენს რესურსების ფლანგვას. პოტენციურად უმუშევრებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ შეიტანონ თავიანთი წვლილი ეროვნული შემოსავლის ზრდაში, მაგრამ ისინი ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. სამწუხაროდ, მარტივი გზა უმუშევრობის შემცირებისა არ არსებობს. მთავრობას არ შეუძლია მოიკვცეს ისე, რომ სამუშაოს ძებნის პროცესი დასრულდეს მყისიერად, მიუახლოვოს ხელფასი წონასწორულ დონეს. „ნულეიანი“ უმუშევრობა პრაქტიკულად მიუღწევლია.

მიუხედავად ამისა, სამთავრობო პოლიტიკა სულაც არ არის უძლური უმუშევრობის დონის შემცირებისათვის ბეძილაში. მომუშავეთა პროფესიული მოზადებისა და გადაზადების პროგრამა, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემა, ხელფასის მინიმუმის და კოლექტიური შეთანხმების დავების მარეგულირებელი კანონები ხშირად პოლიტიკური დებამების საგანი ხდება. საყოველთაოდ მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პოლიტიკის სწორად არჩევას შეუძლია არსებითად იმოქმედოს უმუშევრობის დონის შემცირებაზე.

პირითადი რეკომენდაციები

1. უმუშევრობის ბუნებრივი დონე წარმოადგენს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევრობის მდგრად წილს სამუშაო ძალაში. ის დამოკიდებულია სამუშაოზე დაქირავებულთა რაოდენობისა და სამუშაოდან განთავისუფლებულთა რაოდენობის მანქნებლობაზე.
2. რამდენადაც იმ სამუშაოს ძებნაზე, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ შეესაბამება კონკრეტული მომუშავის ჩვეულებას და გემოვნებებს, გადის გარკვეული დრო, გარდაუვალია ზოგიერთი ფრიკიული უმუშევრობის არსებობა. გეონომიკური პოლიტიკა, ისეთი, როგორცაა უმუშევრობაზე დაზღვევა, გააუმჯობესებს ახდენს უმუშევრობის დონეზე.
3. მოლოდინის უმუშევრობა წარმოიქმნება მაშინ, როცა რეალური ხელფასი აჭარბებს იმ დონეს, რომელიც შეესაბამება შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების ტოლოვას. საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ ხელფასის მინიმალურ ზომას, წარმოადგენენ ხელფასის სისტემის გამოწვევდ ერთ-ერთ მიზეზს. მეორე მიზეზია პროფესიული კავშირები ან მათი წარმოქმნის საშროება. საბოლოოდ, სტიმულირებადი ხელფასის თორიის თანახმად სხვადასხვაგვარი მიზეზების გამო ფორმისათვის შეიძლება მომგებიანი იყოს შეინარჩუნოს საკუთარი მომუშავეების მაღალი ხელფასი, მიუხედავად შრომის ჭარბი მიწოდების არსებობისა.

4. დასვენა იმის შესახებ, თუ როგორ ხასიათს ატარებს უმუშევრობა – გრძელვადიანს თუ მოკლევადიანს – დამოკიდებულია მონაცემთა ინტერპრეტაციაზე. უმუშევართა დიდი ნაწილისათვის უმუშევრად ყოფნის პერიოდი შედარებით ხანმოკლეა. თუმცა, უმუშევრობის საერთო ხანგრძლივებაში უდიდესი წვლილი შეაქვს ადამიანთა მცირე რიცხეს, რომლებიც დიდი ხნით იმყოფებიან სამუშაოს გარეშე.

5. უმუშევრობის დონე არსებითად განსხვავდება დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, უმუშევრობის მაჩვენებლები ახალგაზრდა მომუშაულებს შორის მნიშვნელოვნად მაღალია, უფრო ახალგაზრდა შორის, რაც აიხსნება უმეტესწილად სამუშაოს დაკარგვის სხვადასხვა ალბათობებით, ეიღრე შრომითი მოწყობის მანქენებლებში განსხვავებებით.

6. ბოლო 50 წლის მანძილზე უმუშევრობის დონე თანდათანობით იზრდება. ამ ფაქტს მიეძღვნა სხვადასხვა ახსნა, რომელიც მოიცავს: სამუშაო ძალის დემოგრაფიული შემადგენლობის ცვლილებას; იმ საოჯახო მეურნეობათა რაოდენობის ზრდას, რომლებიც შედგება ოჯახის ორი მომუშავე წევრით და ეკონომიკაში სტრუქტურული ძვრების დანქანებას.


7. უმუშევართა საერთო რაოდენობის დაახლოებით ერთი მესამედი მოდის იმ ადამიანებზე, რომლებიც ახლახანს გამოიდნენ შრომის ბაზარზე იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც პირველად აღმოიჩნდნენ ამ ბაზარზე და აგრეთვე რომლებიც დაბრუნდნენ შრომის ბაზარზე გარკვეული დროის შემდეგ. სამუშაო ძალის შემადგენლობიდან გასვლისა და მის რიცხვში შესვლის პროცესი ართულებს უმუშევრობის დონეზე სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაციას.

პირითაჲი ცნებები

უმუშევრობის ბუნებრივი დონე
 ფრეკციული უმუშევრობა
 სტრუქტურული ძვრები
 უმუშევრობაზე დაზღვევა
 ხელფასის სიხისტე
 მოლოდინის უმუშევრობა
 ინსაიდერები და აუტსაიდერები
 სტიმულირებადი ხელფასი
 „სასოწარკვეთილი“ მომუშაუებები

დანართი

უმუშევრობის დონის განსაზღვრის დინამიური მოდელი



სადაც, $b - P_{m, h} - P_{m, i}$; $g - P_{m, i}$; $c - P_{m, i}$; $f - P_{m, i}$; $s - P_{m, i}$

ხოლო N – ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა, E – დასაქმებულთა, ხოლო U უმუშევართა რაოდენობა.

დაეუშვათ, რომ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობისა და უმუშევრობის დონე მუდმივია. მათემატიკურად ეს შეგვიძლია შემდეგნაირად გამოვსახოთ:

1. $(h+g)N=b(L-U)+cU$; აქედან

$$N = \frac{b(L-U) + cU}{h+g}$$

2. I – ნაკადი უმუშევართა კატეგორიაში, O – ნაკადი უმუშევართა კატეგორიიდან.

I=O; $I=s(L-U)+gN$; $O=fU+cU$;

$s(L-U)+gN=fU+cU$; ამ ტოლობაში ჩავსვით N-ის მნიშვნელობა

$$s(L-U) + g \frac{b(L-U) + cU}{h+g} = fU + cU$$

$$s(L-U) + \frac{g}{h+g} [b(L-U) + cU] = fU + cU;$$

გავხსნათ კვადრატული ფრჩხილი

$$s(L-U) + \frac{g}{h+g} b(L-U) + \frac{g}{h+g} cU = U(f+c);$$

განტოლების ორივე მხარე გაყოფთ L -ზე

$$s \left(1 - \frac{U}{L}\right) + \frac{g}{h+g} b \left(1 - \frac{U}{L}\right) + \frac{g}{h+g} c \frac{U}{L} = \frac{U}{L} (f+c);$$

გავიტანოთ $1 - \frac{U}{L}$ და $\frac{U}{L}$ ფრჩხილებს გარეთ

$$\left(1 - \frac{U}{L}\right) \left(s + \frac{g}{h+g} b\right) = \frac{U}{L} \left[(f+c) - \frac{g}{h+g} c\right];$$

ახლა გავხსნათ მარცხენა ფრჩხილი

$$s \cdot \frac{U}{L} s + \frac{g}{h+g} b \cdot \frac{U}{L} \times \frac{g}{h+g} b = \frac{U}{L} \left[(f+c) - \frac{g}{h+g} c\right];$$

$\frac{U}{L}$ -იანი წევრები გადმოვიტანოთ მარჯვნივ

$$s + \frac{g}{h+g} b = \frac{U}{L} s + \frac{U}{L} \times \frac{g}{h+g} b + \frac{U}{L} \left[(f+c) - \frac{g}{h+g} c\right];$$

$\frac{U}{L}$ გამოეყოთ მარჯვენა მხრიდან

$$s + \frac{g}{h+g} b = \frac{U}{L} \left[s + \frac{g}{h+g} b + \left((f+c) - \frac{g}{h+g} c \right) \right];$$

განვსაზღვროთ $\frac{U}{L}$

$$\frac{U}{L} = \frac{s + \frac{g}{h+g} b}{s + \frac{g}{h+g} b + \left[(f+c) - \frac{g}{h+g} c \right]} = \frac{(h+g)s + gb}{(h+g)s + gb + \left[(f+c)(h+g) - gc \right]}$$

წილადის მრიცხველი და მნიშვნელი შეკვეცით $h+g - \bar{u}$

$$\frac{U}{\bar{L}} = \frac{(h+g)s+gb}{(h+g)s+gb+[(f+c)(h+g)-gc]}$$

გაეხსნათ მნიშვნელის მარჯვენა ფრჩხილი და მსგავსი წევრები დაეჯგუფოთ

$$\frac{U}{\bar{L}} = \frac{(h+g)s+gb}{(h+g)s+gb+(fh+ch+fg+cg-gc)} = \frac{(h+g)s+gb}{(h+g)s+gb+[(h+g)f+ch]}$$

წილადის მრიცხველი და მნიშვნელი გაეყოთ $(h+g)s+gb - \bar{u}$

$$\frac{U}{\bar{L}} = \frac{1}{1 + \frac{(h+g)f+ch}{(h+g)s+gb}}$$

თუ ამ განტოლებაში ჩავსვამთ P_{en} ; P_{ne} ; P_{nu} ; P_{un} ; P_{ue} ; P_{eu} პარამეტრებს, მაშინ მივიღებთ

$$\frac{U}{\bar{L}} = \frac{1}{1 + \frac{(P_{ne} + P_{nu})P_{ue} + (P_{ne})(P_{un})}{(P_{ne} + P_{nu})P_{eu} + (P_{nu})(P_{en})}}$$

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, гл. 199-227
2. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, гл. 521-556
3. Эдрю Абел, Бей Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, гл. 107-136
4. Т.А. Агапова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДиС. 2002. гл. 46-69
5. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002. гл. 289-301
6. Рональд Дж. Эренберг, Роберт С. Смит, Современная экономика труда: теория и государственная политика, МГУ-1996. гл. 617-659
7. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, гл. 155-177
8. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, гл. 117-137

თავი 6. ინფლაცია

ამბობენ, ღვინი თელიდა, რომ ფულადი მიმოქცევის სისტემის მოშლა საუკეთესო საშუალებაა კაპიტალისტური წყობის მოსაპოვად. ღვინი ნამწვლიად მართალი იყო. არ არსებობს იმაზე უფრო მართებული და ქმედითი საშუალება არსებული საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლების დასაზოგად, ვიდრე ფულადი სისტემის მოწყობა ეს პროცესი აღძრავს ყველა გამანგრეველ ძალას, რომლებიც დაფარულია კაპიტალისტურ კანონებში, ხოლო თავად დააედება გამოვლინება ისე, რომ დიაგნოზის დასმა მილიონობით ადამიანთაგან არავის ძალუძს.

ჯონ მენარდ კეინზი

1970 წელს „New York Times“-ი ღირდა 15 ცენტრი, სახლის საშუალო ფასი ერთ ოჯახზე შეადგენდა 23 000 დოლარს, ხოლო საშუალო რეალური ხელფასი მრეწველობაში უტოლდებოდა 3.35 დოლარს საათში. 2000 წელს „New York Times“-ის ღირებულებამ შეადგინა 75 ცენტრი, სახლის საშუალო ფასმა – 166 000 დოლარი, ხოლო საშუალო ხელფასმა კი – 14.26 დოლარი საათში. ფასების მსგავსმა საუველდოო ზრდამ მიიღო ინფლაციის სახელწოდება. ეს მოვლენა იქნება ამ თავის ანალიზის საგანი.

ინფლაციის ტემპი – ფასების საერთო დონის ცვლილება, გამოხატული პროცენტებში – განსხვავებულია სხვადასხვა პერიოდსა და ქვეყნებში. აშშ-ში გასული საუკუნის 60-იან წლებში ფასები საშუალოდ წლიურ 2,4%-ით იზრდებოდა, 70-იან წლებში – 7,1%-ით, 80-იან წლებში – 5,5%-ით, ხოლო 90-იან წლებში – 3,0%-ით. საერთაშორისო კრიტერიუმით აშშ-ს მაჩვენებლები საკმაოდ მოკრძალებულია. სხვა ქვეყნებში გასულ საუკუნეში ადგილი ჰქონდა ინფლაციის ძალიან მაღალ ტემპებს. ისრაელში 80-იანი წლების დასაწყისში ფასების წლიური ზრდის ტემპი 100%-ს აჭარბებდა. გერმანიაში 1922 წლის დეკემბრიდან 1923 წლის დეკემბრამდე პერიოდში ფასები საშუალოდ 500%-ით იზრდებოდა ყოველთვიურად. ასეთმა უჩვეულოდ მაღალმა ინფლაციამ *პიკირინფლაციის* სახელწოდება მიიღო.

ადამიანები ინფლაციას სერიოზულ სოციალურ პრობლემად თვლიან, რომლის გადაჭრაზე სათანადოდ ზრუნავენ პოლიტიკოსები. 70-იან წლებში აშშ-ს პრეზიდენტმა *ჯერალდ ფორდმა* ინფლაცია „საზოგადოების ნომერ პირველ მტრად“ გამოაცხადა, ხოლო 80-იან წლებში პრეზიდენტმა *რონალდ რეიგანმა* მას „ყველაზე მეტადი გადასახაი“ უწოდა. საზოგადოებრივი აზრის მრავალრიცხოვანი გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ მოსახლეობის ფართო წრეებში ინფლაციას უსერიოზულეს პრობლემად თვლიან.

ამ თავში განვიხილავთ ინფლაციის მიზეზებს, მის შედეგებს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. რამდენადაც ინფლაცია საშუალო ფასების ზრდაა, ჩვენ დავიწყებთ იმის გაანალიზებით, თუ როგორ ყალიბდება ფასები. ფასები არის თანაფარდობა, სადაც ფული იცვლება საქონელზე და მომსახურებაზე. იმისათვის, რომ გაიფიქროთ თუ რას წარმოადგენს ფასები, აუცილებელია განვსაზღვროთ ფულის არსი, ის ფაქტორები, რომლებიც გააუმჯობესებს ახდენენ ფულის მიწოდებაზე და ფულზე მოთხოვნაზე და ფულის ფუნქციები ეკონომიკაში. ამგვარად, ეს თავი შესავალია ეკონომიკური მეცნიერების სფეროში, რომელმაც *ფულის თეორიის* სახელწოდება მიიღო.

„ეკონომიკური კანონების ფარული ძალაობა“, რომლებიც იწყებენ ინფლაციას, არც ისე საიდუმლოა, როგორც ეს აღინიშნული თავის ეპიგრაფიდან გამომდინარე შეიძლება მოგეგონოს. ინფლაციის შესწავლა იწყება 6-1 ნაწილში „ფულის“ სხვადასხვა კონცეფციებისა და მოსახლეობის ხელთ არსებული ფულის ნიშნების რაოდენობის სახელმწიფო რეგულირების მეთოდების განხილვით. 6-2 ნაწილში ნაჩვენებია, რომ ფულის რაოდენობა განსაზღვრავს ფასების დონეს, ხოლო ფულადი მასის ზრდის ტემპი კი – ინფლაციის ტემპს.

ინფლაცია, თავის მხრივ, თავად ახდენს გაუმჯობესებულ ეკონომიკის მდგომარეობაზე მრავალი მიმართულებით. 6-3 ნაწილში განიხილება ე.წ. შემოსავალი, რომელიც მიიღება სახელმწიფოს მიერ ქალაქის ფულის გამოშვებით და რომელსაც ზოგჯერ *ინფლაციურ გადასახადს* უწოდებენ. 6-4 ნაწილში გაანალიზებულია ინფლაციის გაუმჯობესებული ნომინალური სპარცინგტო განაკვეთზე. 6-5 ნაწილში ენახათ ნომინალური სპარცინგტო განაკვეთი, თავის მხრივ, თუ რა გაუმჯობესებს ახდენს მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე ხელთ იქონიონ ფულის გარკვეული რაოდენობა და ამგვარად, ფასების

დონეზე. სწორედ ეს მომენტები წარმოქმნის იმ გორდოსის კენამს, რომელიც უნდა გახსნას მთავრობამ, როდესაც მიზნად ისახავს პიპერინფლაციის აღმოფხვრას.

6-1 ნაწილში ინფლაციის მიზეზებისა და შედეგების ანალიზის დასასრულს, განვიხილავთ ინფლაციის პრობლემის ყველაზე სერიოზულ ასპექტს, კერძოდ: წარმოადგენს თუ არა ის ძირითად სოციალურ პრობლემას? სინამდვილეში შეუსვლია თუ არა მას მიგვიყვანოს საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლების მოშლამდე?

6-1 რა არის ფული?

ტერმინში „ფული“ ეკონომისტები მკაცრად განსაზღვრულ შინაარსს დებენ. მათი თვალსაზრისით, ფული აქტივების ერთობლიობაა, რომლებიც გამოიყენება გარიგებათა განხორციელების დროს. ლარებისა და სხვა ფულადი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც გააჩნია ჩვენს საზოგადოებას, საქართველოს ეკონომიკაში არსებული ფულის საერთო რაოდენობას შეადგენს.

ფულის ფუნქციები

ფული ასრულებს სამ ფუნქციას. ის გამოიყენება *დაზოგვის საშუალებად*, *ღირებულების საზომად* და *მიმოქცევის საშუალებად*.

დაზოგვის საშუალების რანგში ფული წარმოადგენს ახლანდელი ყიდვების სამომავლოდ გადატანის საშუალებას. თუკი მოცემულ მომენტში გამოიქმნა 100 ლარს, შეგიძლია ეს ფული გადადოთ და დაეხარჯოთ მომდევნო დღეს, კუროსა, თევს და ა.შ. რა თქმა უნდა, ფული სულაც არ არის დაზოგვის ყველაზე სრულყოფილი საშუალება: ფასების ზრდის შემთხვევაში მისი რეალური ღირებულება მცირდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანები დინიტელებული არიან ნაღდი ფულის ფლობით, რადგანაც მომავლის რომელიმე მომენტში მათ თავისუფლებად შეუძლიათ მისი გადაცემა საქონელსა და მომსახურებაზე.

როგორც *ღირებულების საზომი*, ფული ის ერთეულია, რომელშიც გამოიხატება ფასები და იწარმოება ბულალტრული აღრიცხვა. მიკროეკონომიკის კურსიდან ვიცით, რომ რესურსები ნაწილდება მათი შეფარდებითი ფასების შესაბამისად – სხვადასხვა საქონლის ფასებს შორის პროპორციებით – თუმცა, მაღაზიებში ფასები გამოისახება ლარებში და თეთრებში. კომპიუტერის გამოყენელი გეგმები, რომ ის ღირს 1500 ლარი, და არა, ვთქვათ, 1500 კომპაქტ-დისკი (თუმცა მსგავსი საუბარიც შესაძლოა შედეგად). ანალოგიურად, როდესაც საუბარია ვალზე, მოვალე იღებს ვალდებულებას დააბრუნოს მომავალში გარკვეული რაოდენობის ფული და არა გარკვეული რაოდენობის ესა თუ ის საქონელი. ფული შეფასების საშუალებაა ეკონომიკური ოპერაციების განხორციელებისას.

ფული, როგორც *მიმოქცევის საშუალება* არის ის, რითაც ჩვენ ესარგებლობთ საქონლისა და მომსახურების შესაძენად. როდესაც მიედიართ მაღაზიაში, დარწმუნებული ვართ, რომ მისი მფლობელები ჩვენს ფულად ნიშნებს მიიღებენ მათ მიერ გასაყიდი საქონლის სანაცვლოდ.

ფულის ფუნქციებზე წარმოდგენის უკეთ შექმნის მიზნით წარმოვდგინოთ ეკონომიკა მის გარეშე – ეკონომიკა, რომელიც ფუნქციაზე *მარტივად* ვაჭრობას. ასეთ სამყაროში გადავლახავთ აუცილებელი პრობაა მოთხოვნილებათა თანხვედრა – ორი ადამიანის უკიდურესად ნაკლებსაფარჯლო შეხვედრა, რომელთაგან თითოეული განკარგავს სწორედ იმ საქონელს, რომელიც აუცილებელია მეორისათვის. ასეთ ეკონომიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ უმარტივეს ეკონომიკურ ოპერაციებს.

ფული საშუალებას იძლევა განხორციელებს სხვადასხვა სახის გაშუალებული ოპერაციები. მაგალითად, თავისი ხელფასით პროფესორი ყიდულობს წიგნს; გამოცემული თავის შემოსავალს მიმართავს ქაღალდების შესაძენად; თავის მხრივ, ქაღალდის მწარმოებელი თავის შემოსავალს ქაღალდის გაყიდვად იყენებს მერქნის მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის, რომელიც ამ ფულით თავის შეიღებს კოლეჯში გასაენის; სწავლების საფასურიდან კოლეჯი ხელფასს უხდის პროფესორს. რთულ თანამედროვე ეკონომიკაში, როგორც წესი, ჩვენ ვერ ენახათ მარტივ საქონელგაცვლას, ამიტომ, ნებისმიერი სავაჭრო ოპერაცია მოითხოვს ფულის გამოყენებას.

ფულის სახეები

ფული არსებობს მრავალი ფორმით. ნებისმიერ ქვეყანაში ყველა გარიგება სრულდება იმ აქტივის დახმარებით, რომლის ერთადერთი დანიშნულება გამოიხატება ფულის როლის შესრულებაში: ეს არის ერთეული ვალუტა. პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების მქონე ქაღალდის ნაგლეჯს ფასი არ ექნებოდა, ფულის სახით ფართოდ რომ არ გამოიყენებოდეს. ამ ქაღალდის ფულს (*ფულის ნიშნებს*) არ გააჩნია შინაგანი ღირებულება, რადგანაც ფულის ფუნქციები მათ მთავრობის დადგენილებით მიეზიებათ.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ქალაქის ფულის არსებობა ჩვეულ-ბრივი ნორმაა, ისტორიულად მრავალ ქვეყანაში ფულის სახით გამოიყენებოდა კენიანური ღირებულების მქონე რომელიღაც საქონელი. მსგავსი სახის ფულმა *სასაქონლო ფულის* სახელწოდება მიიღო.

სასაქონლო ფულის ყველაზე გავრცელებული მაგალითია ოქრო. იმ ქვეყნებზე, სადაც ფულის სახით ოქრო გამოიყენება, ამბობენ, რომ მანდ არსებობს *ოქროს სტანდარტი*. ოქრო სასაქონლო ფულის სახესხვაობაა, ენიადან მისი გამოყენება შესაძლებელია არა მარტო სხვადასხვა ოქრო-ციების განხორციელებისას, არამედ სხვა მიხსნათაც: საიუველირო მირთულობის საწარმოებლად, ებილის პოტენციარებისათვის და ა.შ. მრავალი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ქვეყნებში გარკვეული ფორმით გამოიყენებოდა ოქროს სტანდარტი.

მაგალითი 6-1

ფული სამხედრო ტყვეთა ბანაკებში

სასაქონლო ფულის უწყველი ფორმა განდა მკორე მსოფლიო ომის წლებში სამხედრო ტყვეთა ბანაკებში. წითელი ჯარის მუშეობიან პატიმრები მრავალგზონდ სხვადასხვა საქონლით - ქვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, სივარტებით და ა.შ. მიღსთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პროდუქტები ნაწილებლად ნარჩირებულადა. პატიმრების პირადი მიღრეკილებების გათვალისწინების გარეშე, განაწილება ხშირად არარაციონალური და არაეფექტური იყო. პატიმრებლდან ერთი შოკოლადს ანიჭებდა უიორატესობას, მკორე - ყველს, სოლო შესამეს სურდა ახალი პერანგი. პატიმრების გემოვნებათა და ქონების შემდგენლობის შორის დაუმთხველობა მიგვიყვანდა მათ შორის ვაჭრობის წარმოშობასთან.

გარდა ამისა, გაეკვლა აღმოჩნდა გადანაწილების არც თუ საუკეთესო ხერი, ენიადან მისთვის საჭირო იყო მოთხოვნილებათა თანხვედრა. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, სისტემა, რომელიც აგებული იყო ბარტერულ გაცემაზე, ფრიად მოუხერხებელი საშუალება გახდა პატიმრების იმ საქონლით უზრუნველსაყოფად, რომელიც მათ ყველაზე მეტად ჰჭირდებოდათ და რომელსაც ყველაზე მეტად აუასხვავებდნენ. თეთი სამხედრო ტყვეების ბანაკის შესუდეული ეკონომიკაც კი განიცდიდა ფულის რომელიღაც ფორმის მიმართ მოთხოვნილებას მანდ არსებულ გაროგებების მოსამსახურებლად.

თანდათანობით, საყოველთაოდ მიღებულ „ეულტად“, რომელშიც გამოიხატებოდა ყველა ფასი და რომლის დახმარებითაც სრულდებოდა ყველა სავაჭრო ოპერაცია, მოგველინა სივარტის, პერანგის, მაგალითად, ღრდა დაახლოებით 80 სთვლისი. ხელფასიც აგრეთვე გამოიხატებოდა: ზოგიერთი ტყვე სხვებს თვაზობდა საკუთარი სამოსის გარეცხვას სივარტის სანაცვლად. თეთი არაშეყველებიც კი მოხალური იყვნენ სივარტების მიღების, რადგანაც იცოდნენ, რომ დროთა განმავლობაში მათ გაეცვლდნენ მათთვის საჭირო ნივთებზე ამკვრად, სამხედრო ტყვეების ბანაკებში სივარტეები გახდა დაზოვიის საშუალება, ღირებულების სასომი და მიმოქცევის საშუალება.

როგორ წარმოიშვა ქალაქის ფული

სასაქონლო ფულის ამა თუ იმ ფორმის გამოყენება გაცვლითი ოპერაციების განსახორციელებლად გასაკვირი არ არის: აღამიანები მზად არიან მიიღონ სასაქონლო ფული, ისეთი, როგორცაა ოქრო, რადგანაც მათ გაჩინათ შინაგანი ღირებულება. ქალაქის ფულის წარმოშობა უფრო რთული მოვლენაა. რამ აიძულა ადამიანები მათთვის ფასეული გამხდარიყო ისეთი რამ, რომელსაც არ გააჩინა შინაგანი ღირებულება?

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ სასაქონლო ფულიდან ქალაქის ფულზე გადასვლის პროცესი, დავუშვათ ისეთი ეკონომიკის არსებობა, რომელშიც აღამიანები მუდმივად ატარებენ ოქროს სახეს ჩანთას. ყიდვის დროს მეიდევლმა უნდა გაზომოს ოქროს შესაბამისი რაოდენობა. თუკი გამეიდველი დარწმუნებულა იმაში, რომ ოქროს რაოდენობა და სიჯი შეესაბამება მოთხოვნილებას, გარიგება შედგება.

პირველ ეტაპზე სახელმწიფო ისწრაფვის დანახარჯების მინიმიზაციისაკენ, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებების შესრულებისას. სუფთა ოქროს გამოყენება ფულის სახით ძალიან ძვირია, ენიადან გარიგებების დაღების შემთხვევაში ყოველთვის საჭიროა გარკვეული დრო ოქროს სინჯის დასადგენად და საჭირო რაოდენობის გასაზომად. ამ დანახარჯების შესამცირებლად სახელმწიფო უშუაებს ცნობილი წონისა და სისუფთავის ოქროს მონეტებს. მონეტები ოქროს ზოდებისგან განსხვავებით იოლად გამოიყენება გარიგებების დაღებისას, რადგანაც მათი ღირებულება ფართოდაა აღიარებული.

მთავრობის შემდეგი ნაბიჯია *ოქროს სერტიფიკატების* გამოშვება. ოქროს სერტიფიკატები ქალაქის ფურცლებია, რომლებიც შეიძლება გადაიცვალოს ოქროს გარკვეულ რაოდენობაზე. თუკი აღამიანები ინსობიან მთავრობის საგადასახდელო ვალდებულებას, მაშინ აღნიშნული ბოლეთები შეუდგენად ესევე, როგორც ოქრო. გარდა ამისა, რამდენადაც ეს ბოლეთები მსუბუქია ოქროსთან შედარებით, მათი გამოყენება სხვადასხვა გარიგებების განსახორციელებლად მნიშვნელონად

უფრო მარტივია. ამგვარად, უკვე არაიან ატარებს ოქროს, ხოლო ოქროთი უზრუნველყოფილი სახელმწიფო ბილეთები კი გვეწვლინება ფულის რანგში.

საბოლოოდ, დროთა განმავლობაში ოქროთი უზრუნველყოფის აუცილებლობა ქრება. თუკი არაიან ისწრაფავს გადაცემალი აღნიშნული ბილეთები ოქროზე, მაშინ არაიან დასარაღდება ბილეთების ოქროზე გაცელების გაუქმებით. თუკი ყველა აღიარებს ქაღალდის სერტიფიკატებს მიმოქცევის საშუალებად, მაშინ ისინი შეფასდება როგორც ფული და შესაბამის ფუნქციასაც შესაწორდება. ამგვარად, ის სისტემა, რომელიც ეყრდნობა სასაქონლო ფულს, თანდათანობით ტრანსფორმირდება ქაღალდის ფულის სისტემად.

მაგალითი 6-2

ფული იაპის კუნძულზე

იაპზე, წყნარი ოკეანის პატარა კუნძულზე, გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა ფული, რომელსაც შუადღური მდგომარეობა ეკავა სასაქონლო და ქაღალდის ფულის შორის. კუნძულ იაპზე მიმოქცევის ტრადიციული საშუალება იყო *fei* (ფეი), 12 ფუტამდე დიამეტრის მქონე ქვის ბორბალი. ამ ქვებს გააჩნდა ნახევრები (კენტრები, ასე რომ, შესაძლებელი იყო მათი გადგანა ჰოკით და გამოყენება გარიგებების განსახორციელებლად.

ბუნებრივია, რომ უზარმაზარი ქვის ბორბალი ფულის ძალზედ მოუხერხებელი ფორმაა. ეს ქვები საკმაოდ მძიმე იყო და მის ახალ მფლობელზე უწევდა დიდი ძალისხმევა საკუთარი *fei*-ს შინ მისატანად გარიგების დასრულებისთანავე მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფულიდან შესაძლებელია საკონტრაგაცელოს, ეს ხელშეუწყობდა დიდი დანახარჯების ფორზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, *fei*-ს ახალი მფლობელი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ისახებდა მიზანდ ფიზიკურად დაუფლებოდა ქვებს. ამის მაგივრად მან მიიღო ქვაზე საკუთარი უფლების დადასტურება ისე, რომ არ უწევდა გარეა მის გადასაღებლად. შემდგომ გარიგებებში ის ცდილდა ამ უფლებას მისთვის საჭირო საჭინელზე. ქვის ფიზიკურად ფლობა ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე იმ დოკუმენტისა, რომელიც დასტურებდა მასზე უფლებას.

მოცემული პრაქტიკა სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა, როდესაც განსაკუთრებულად ფასეული ქვა შტორმის დროს ზღვამ წაიღო. რამდენადაც მფლობელმა თავისი ფული დასკარგა სტიქიური უბედურების შესდეგად და არა საკუთარი უურადგებობით, გადაწყდა, რომ *fei*-ზე მისი უფლება ძალაში დარჩენილიყო. მას შემდეგ, რაც მრავალი თაობა შეიცვალა და ამ ქვების მნახველთაგან უკვე ცოცხალი არაიან იყო, აღნიშნულ *fei*-ზე უფლება უწინდებულად ფასობდა გაცელის დროს.

როგორ რეგულირდება ფულის რაოდენობა

დროის მოცემულ მომენტში ეკონომიკაში არსებულ ფულის რაოდენობას ეწოდება *ფული მიწოდება*. ეკონომიკაში, სადაც გამოიყენება სასაქონლო ფული, ფულის მიწოდება განისაზღვრება შესაბამისი საქონლის მარაგით. ეკონომიკაში, რომელიც სარგებლობს ქაღალდის ფულით, მაგალითად, როგორცაა თანამედროვე ამერიკული ეკონომიკა, ფულის მიწოდება რეგულირდება სახელმწიფოს მიერ: კანონმდებლობასთან შესაბამისად, სახელმწიფო ფლობს მონოპოლიას დოლარის ბანკნოტების გამოშვებაზე. ფულის მიწოდება წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ისეთსავე ინსტრუმენტს, როგორც გადასახადებით დაბეგრისა და სახელმწიფო შესყიდვების დონე.

შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, ფულის მიწოდების რეგულირების ფუნქცია დღემდე არსებულია ნაწილობრივ დამოუკიდებელ დაწესებულებაზე, რომელსაც ეწოდება *ცენტრალური ბანკი*. აშშ-ის ცენტრალურ ბანკს წარმოადგენს *ფედერალური სარეზერვო სისტემა* (*ფრს*), ანუ შემოკლებით *ფრედ-ის* თუ დაუაკიორდებით ამერიკის დოლარის ბანკნოტას, ენახათ, რომ მას ეწოდება *ფედერალური სარეზერვო სისტემის ბილეთი*. *ფედერალური სარეზერვო სისტემის* მმართველთა საბჭოს წევრები, რომელთაც ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს კონგრესი, ერთობლივად რეგულირებენ გადაწყვეტილებას ფულის მიწოდების სიდიდის თაობაზე. ფულადი მასის რეგულირებას ეწოდება *ფულადი პოლიტიკა*.

ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ფულის რაოდენობის კონტროლის ძირითადი საშუალებაა *ოპერაციები ღია ბაზარზე* – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა და გაყიდვა. ფულის მიწოდების გაფართოების მიზნით ფრს სარგებლობს მოსახლეობისგან სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვით დოლარების სანაცვლოდ. ფრს ოპერაცია ზრდის მიმოქცევაში არსებულ დოლარების რაოდენობას. ფულის მიწოდების შესამცირებლად *ფედერალური სარეზერვო სისტემა* ჰყიდის მის ხელთ არსებულ ზოგიერთ სახელმწიფო ობლიგაციას. ღია ბაზარზე სახელმწიფო ობლიგაციის გაყიდვა განაპირობებს მოსახლეობისაგან დოლარების გარკვეული რაოდენობის ამოღებას.

მე-18 თავში დაწვრილებით განვიხილავთ, თუ როგორ ახორციელებს *ფედერალური სარეზერვო სისტემა* ფულის მიწოდების რეგულირებას. ამჯერად, ამ სათხის დაწვრილებით განვიხილავს

პირიციული მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება შემოეფარგლოთ იმ ვარაუდით, რომ ფსს უშუალოდ არეგულირებს ფულის მიწოდების სიდიდეს.

მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის მარევენებლები

მოცემული თავის ერთ-ერთი ამოცანა განესაზღვროთ ფულის მასის გაეულნა გეონომიკაზე. ამ პრობლემა დაეუბრუნდებით შემდგომ ნაწილში. წინამდებარე ანალიზის საფუძველია მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის გაზომვა.

რამდენადაც ფული არის აქტიუბის ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება გარიგებების განხორციელებისას, მაშინ ფულის რაოდენობა ყოფილა ამ აქტიუბის რაოდენობა. მარტივ გეონომიკურ სისტემებში ეს რაოდენობა იოლად გაზომვადია. სამხედრო ტყვეთა ბანაკში, მაგალითად, ფულის რაოდენობა იზომებოდა ბანაკში არსებული სიგარეტების რაოდენობით. მაგრამ, როგორ იზომება ფულის რაოდენობა უფრო რთულ გეონომიკურ სისტემებში, ისეთში, როგორცაა მაგალითად, აშშ-ს გეონომიკა? იმის გამო, რომ სხვადასხვა ოპერაციებში გამოიყენება არა ერთი, არამედ რამოდენიმე სახის აქტივი, ამ კითხვაზე პასუხი სულაც არ არის ცალსახა. გარიგებების განხორციელებისას ადამიანებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა სახის აქტიუბით, თუმცა ამ დროს მათ შორის ზოგიერთი უფრო მოხერხებულია, ვიდრე სხვა. შესაბამისად, არსებობს ფულის რაოდენობის გაზომვის მრავალი სხვადასხვა ხერხი.

აქტიუბების პირველი სახე, რომელიც, რასაკვირველია, ჩართული უნდა იქნას ფულის საერთო რაოდენობაში, არის *ნაღდი ფული* – გამოშვებული ქაღალდისა და ლითონის (ხურდა) ფულის ჯამი. ყოველდღიური ოპერაციების უმრავლესობაში მიმოქცევის საშუალებად გამოიყენება ნაღდი ფული.

მეორე სახის აქტიუბები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სახის გარიგებებისათვის, არის *ანაბრები მოთხოვნამდე*, საშუალებები, რომლებიც გააჩნიათ ადამიანებს მიმდინარე ანგარიშზე. თუკი გაზომვადელია უმრავლესობა ამ ანგარიშიდან გამოწერილ ჩეკებს დებულობენ, მაშინ ანაბრები მოთხოვნამდე თითქმის ისეთივე მოხერხებულია, როგორც ნაღდი ფული. ორივე ფორმა გამოსადეგია გაცვლითი ოპერაციების მოსამსახურებლად. ამიტომ, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის გაანგარიშების დროს საშუალება, რომლებიც იმყოფება ანგარიშებზე მოთხოვნამდე, ჩვეულებრივ ემატება ნაღდი ფულის მასას.

ცხრილი 6-1

ფულადი მასის მარევენებლები

აღნიშვნები	ჩართული აქტიუბები	რაოდენობა 2001 წლის მარტისათვის (მლრდ დოლარი)
C	ნაღდი ფული	539
M1	ნაღდი ფულის კლიუს ანაბრები მოთხოვნამდე, საგზაო ჩეკები და სხვა ანგარიშები, რომლებზეც შესაძლებელია ჩეკების გამოწერა	1 111
M2	M1-ს დამატებული ფულადი ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები, ფასიანი ქაღალდების ყიდვაზე შეთანხმებები ერთი დღის შემდეგ შემდგომი გამოსყიდვის პირობით, ფულადი ბაზრის ვადიანი ანაბრები, ფულადი ბაზრის საინვესტიციო ფონდების აქტიუბები, შემნახველი და მცირე ვადიანი დეპოზიტები	5 100
M3	M2-ს დამატებული მსხვილი ვადიანი დეპოზიტები და შეთანხმებები ფასიანი ქაღალდების ყიდვაზე შემდგომი გამოსყიდვის პირობით განპირობებული ფასებით	7 326
L	M3-ს დამატებული შემნახველი ობლიგაციები, მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებები და სხვა ლიკვიდური აქტიუბები	

ჩაეთვალეთ რა მართლზომიერად მოთხოვნამდე ანაბრების ანგარიშებზე არსებული საშუალებების ჩართვის თაბაზზე. მაგალითად, საშუალება, რომელიც იმყოფება შემნახველ ანგარიშებზე, იოლად შეიძლება გადაყვანილი იქნას მიმდინარე ანგარიშზე; ეს საშუალებები თითქმის ასევე მოხერხებულია გარიგებათა განსახორციელებლად. ფულის ბაზრის ურთიერთდაკრედიტების ფონდები საშუა-

ლებას აძლევს ინვესტორებს გამოიწერონ ჩიკები ანგარიშიდან, თუცა ნაწილობრივ შეზღუდულია ის თანხები, რომლებზედაც შესაძლებელია ჩიკების გამოწერა და ასევე გამოწერილი ჩიკების რაოდენობაც. რამდენადაც ყველა ეს აქტივი შესაძლოა იოლად იქნას გამოყენებული სხვადასხვა ოპერაციების შესრულების დროს, მაშინ ისინი უნდა გაეთვალისწინოთ ფულადი მასის სიდიდის განარაგებისას.

რამდენადაც აქტივების წრე, რომლებიც ექვემდებარება ფულადი მასის შემადგენლობაში სავალდებულო ჩართვას, ზუსტად არ არის განსაზღვრული, პრაქტიკაში ფულადი მასის გაანგარიშების სხვადასხვა ვარიანტი გამოიყენება. ცხრილი 6-1-ში წარმოდგენილია აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის ფულადი მასის გაანგარიშების ხუთი ვარიანტი. გაანგარიშების ბაზის გაფართოების მიხედვით ისინი აღნიშნულია C, M1, M2, M3 და L სიმბოლოებით. ეკონომიკაზე ფულის ზემოქმედების კვლევის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება M1 და M2 მაჩვენებლები. მიუხედავად ამისა, მაინც არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმის თაობაზე, ფულადი მასის რომელი მაჩვენებელი უკეთესი. ფულად პოლიტიკასთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა გარკვეულ შემთხვევებში წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ ფულადი მასის სხვადასხვა მაჩვენებლები ზოგჯერ განსხვავებული ინფლაციით ხასიათდებიან. მაგრამ საბედნიეროდ, ჩვეულებისამებრ ფულის ისინი ერთი მართულებით იცვლება და ერთნაირ ინფორმაციას გვაწვდის ფულადი მასის ცვალებების ტემპების შესახებ.

6-2. ფულის რაოდენობრივი თეორია

ჩამოყვანილთა რა ფულის განსაზღვრება და აღეწერთ, თუ როგორ რეგულირდება და იზომება მისი რაოდენობა, შეგიძლია გაეანალიზოთ, თუ რა გავლენას ახდენს ფულადი მასის რყევები ეკონომიკის განვითარებაზე. ამისათვის აუცილებელია დაეადგინოთ კავშირი ფულის რაოდენობის მაჩვენებლებსა და სხვა ეკონომიკურ ცვლადებს შორის.

გარიგებები და ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა

ფული აღიზიანებს ჰირდებით გარიგებათა განსახორციელებლად. რაც უფრო მეტი ფულია საჭირო გარიგებათა განსახორციელებლად, მით უფრო მეტი ფული იმყოფება მიმოქცევაში. ამგვარად, ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა მჭიდროდაა დაკავშირებული ლარების რაოდენობასთან, რომლებიც ემსახურება სხვადასხვა ოპერაციებს.

კავშირი ფულის ოდენობასა და გარიგებათა საერთო მოცულობას შორის ასახულია შემდეგ ტოლობაში, რომელმაც მიიღო ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობის სახელწოდება:

$$\text{ფული} \times \text{მიმოქცევის სიჩქარე} = \text{ფასები} \times \text{გარიგებები}$$

$$M \times V = P \times T$$

ახლა განვიხილოთ მოცემული ტოლობის ოთხივე წევრი ცალ-ცალკე.

წევრები, რომლებიც იმყოფება ტოლობის მარჯვნივ, მოიცავს ინფორმაციას გარიგებებზე. T-ს მემშეობით აღნიშნულია ოპერაციათა საერთო რაოდენობა დროის გარკვეული პერიოდისათვის, ეთქვას, ერთი წლისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, T აღნიშნავს წლის განმავლობაში ესა თუ ის პირი რამდენჯერ ცვლის საქონელს ან მომსახურებას ფულზე. P – ფასია, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ტიპური გარიგება, ამ გარიგების დროს ხელიდან ხელში გადასული ფულის ერთეულის რაოდენობა. გარიგებათა საშუალების ღირებულება გამრავლებული გარიგებათა რაოდენობაზე (PT) ტოლია ფულის იმ რაოდენობისა, რომელიც მიმოქცევა ერთი წლის განმავლობაში.

ტოლობის წევრები, რომლებიც მარცხნივაა მოცემული, გეხასიათებს ფულის იმ რაოდენობას, რომელიც გამოყენებულია გარიგებათა განსახორციელებისას. M – ფულის რაოდენობაა, V – ფულის მიმოქცევის სიჩქარე, რომელიც გვიჩვენებს რა სიჩქარით განიცდის ფული ცირკულაციას ეკონომიკაში, ე.ი. დროის გარკვეული შუალედისათვის ბანკოტა რამდენჯერ გადადის ხელიდან ხელში. მატალითად დაეუშვათ, რომ მოცემულ წელს ოდენობა 1000 ბატონი პური თითო 50 თეთრად. მაშინ T ტოლია 1000 ბატონისა წელიწადში, ხოლო P – 50 თეთრის. ლარების საერთო რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობს გარიგებაში, ტოლია:

$$PT = 50 \text{ თეთრი ერთ ბატონზე} \times 1000 \text{ ბატონი წელიწადში} = 500 \text{ ლარი წელიწადში.}$$

ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობის მარჯვენა ნაწილის გაანგარიშება საშუალებას იძლევა მივიღოთ წლის განმავლობაში განსახორციელებული ყველა გარიგებათა ჯამი ფულად გამოხატულებაში, რომელიც ჩვენი მაგალითის მიხედვით წელიწადში 500 ლარის ტოლია.

ახლა დავეუწყოთ, რომ ეკონომიკაში სულ მიმოიქცევა 100 ლარი. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია გამოეთვალათ ფულის მიმოქცევის სიჩქარე, როგორც

$$V=PT/M=(500 \text{ ლარი წელიწადში})/(100 \text{ ლარი})=5\text{-ჯერ წელიწადში}$$

ეს ნიშნავს, რომ იმისათვის, რათა ეკონომიკაში, სადაც მიმოიქცევა 100 ლარი და წლის განმავლობაში განხორციელდება 500 ლარის ოდენობით, აუცილებელია, რათა თითოეული ლარი წლის განმავლობაში ხუთჯერ გადავიდეს ხელიდან ხელში.

ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა, თავისი არსით, იგეგობა: მისი შესრულება განპირობებულია მასში შესული ყველა ცვლადის განმარტებით. მიუხედავად ამისა, მას მინც გააჩნია დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან მისგან გამომდინარეობს ის, რომ ერთ-ერთი ცვლადის ცვლილების დროს ერთი ან ერთზე მეტი სხვა დანარჩენი ცვლადიც უნდა შეიცვალოს ტოლობის შესანარჩუნებლად. მაგალითად, თუკი ფულის რაოდენობა იზრდება, ხოლო მისი მიმოქცევის სიჩქარე უცვლელი რჩება, მაშინ ან ფასები უნდა გაიზარდოს, ან გარიგებათა რიცხვი.

გარიგებათა რიცხვის შეცვლა შემოსავლის მაჩვენებლით

როგორც წესი, ეკონომისტები სარგებლობენ ზემოთმოყვანილი რაოდენობრივი თეორიის ტოლობის განსხვავებული მოდიფიკაციით. ამ ტოლობის ამოსავალი ფორმის გამოყენების სირთულე დაკავშირებულია განხორციელებული გარიგებების რაოდენობათა გაანგარიშების სირთულესთან. ამ პრობლემის გადასაჭრელად, განხორციელებული გარიგებების რაოდენობა T იცვლება წარმოების ერთობლივი მოცულობის სიდიდით Y .

განხორციელებული გარიგებათა რიცხვი და წარმოების მოცულობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგანაც, რაც უფრო მეტი საქონელი და მომსახურება იწარმოება ეკონომიკაში, მით უფრო მეტია მათი ყიდვა-გაყიდვის რაოდენობაც. მაგრამ, ამასთან ეს სულაც არ არის ერთი და იგივე. მაგალითად, როდესაც აღმართი სხეას მიჰყიდის ნახშირ ავტომობილს, ისინი ახორციელებენ სიჩქარეის, რომელიც მონაწილეებს ფული, თუმცა ნახშირი ავტომობილი არ შედის წარმოების მიზინვარე მოცულობის შემადგენლობაში. მიუხედავად ყოველივე ამისა, განხორციელებულ გარიგებათა ღირებულება მანც დაახლოებით პროპორციულია წარმოების ღირებულებებით მოცულობისა.

თუ Y აღნიშნავს წარმოებული პროდუქტის რაოდენობას, ხოლო P - წარმოებული პროდუქტის ერთეულის ფასს, მაშინ წარმოების მოცულობა ფულადი გამოხატულებით ტოლი იქნება $P \cdot Y$. მოცემული აღნიშვნების Y - რეალური მშპ-ია, $P \cdot Y$ - მშპ დეფლატორი, ხოლო $P \cdot Y$ - ნომინალური მშპ. ახლა რაოდენობრივი თეორიის ტოლობა შეიძლება ჩაეწეროს შემდეგი სახით:

$$\text{ფული} \times \text{მიმოქცევის სიჩქარე} = \text{ფასი} \times \text{წარმოების მოცულობა}$$

$$M \times V = P \times Y$$

რამდენად Y აგრეთვე საერთო შემოსავალია, V ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობის მოცემულ ინტერპრეტაციაში დეფლატორს შემოსავლების მიმართ ფულის მიმოქცევის სიჩქარის სახელწოდებას. ფულის მიმოქცევის სიჩქარე შემოსავლების მიმართ გვიჩვენებს, თუ რამდენი მფლობელის შემოსავლის შემადგენლობაში შედის დროის მოცემული შუალედისათვის ერთი და იგივე ბანკოტა რაოდენობრივი თეორიის ტოლობის აღნიშნული ფორმა ყველაზე გაერცვლებულია და ჩვენც შეგვიძლია ამ ფორმულით ვისარგებლებთ.

ფულზე მოთხოვნის ფუნქცია და რაოდენობრივი თეორიის ტოლობა

ეკონომიკაზე ფულის გაკლენის ანალიზის დროს ხშირად საჭიროა ფულის რაოდენობა გამოისახოს საქონლისა და მომსახურების რაოდენობით, რომლებიც შეიძლება შექნილი იქნას ამ ფულით. ეს რაოდენობა გამოისახება ფორმულით - M/P და მან მიიღო ფულადი საშუალებების რეალური მარაგის (რეალური ფულადი მარაგის) სახელწოდება.

ფულზე მოთხოვნის ფუნქცია წარმოდგენილია ტოლობით, რომელიც გვიჩვენებს მოსახლეობის გადაწყვეტილებას რეალურ გამოსახვლებაში ფულადი საშუალებების მიაღწათან მიმართებაში დროის მოცემული მომენტისათვის. ფულზე მოთხოვნის მარტივი ფუნქცია შემიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$\left(\frac{M}{P}\right)^d = kY$$

სადაც k კონსტანტაა (ის V -ს შემბრუნებელი სიდიდეა და გეიჩერებს მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ხვედრით წილს მოსახლეობის შემოსავლებში). ეს ტოლობა გეიჩერებს, რომ რეალური ფულადი საშუალებების მარაგზე მოთხოვნა შემოსავლების პროპორციულია.

ფულზე მოთხოვნის ფუნქცია ნებისმიერ სხვა სიკეთეზე მოთხოვნის ფუნქციის ანალოგურია. მოცემულ შემთხვევაში ასეთ სიკეთედ გვევლინება მიხერხებულია, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ყიდვისთვის აუცილებელი საშუალება ხელთ გვაქვს. ისევე, როგორც ავტომობილის არსებობა აიოლბის მოგზაურობას, სიმდიდრის შენახვა ფულის სახით აიოლბის გარიგებების განხორციელებას. ამიტომ, ეროვნული შემოსავლის ზრდა ფულადი საშუალებების რეალურ მარაგზე მოთხოვნის ზრდას ზუსტად ისევე იწვევს, როგორც ვეჭვთ, ავტომობილზე მოთხოვნის ზრდას.

ფულზე მოთხოვნის ფუნქციიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა. იმისთვის, რომ ეს შევახსრულოთ, შემვიღოთ ფულადი საშუალებების რეალურ მარაგზე მოთხოვნისა (M/P)¹ და მისი მიწოდების (M/P)² ტოლობის დამატებითი პირობა. ამგვარად:

$$\left(\frac{M}{P}\right)^s = kY$$

მარტივი გარდაქმნით ეს ტოლობა შემდგენიარად ნაწევროთ:

$$M \left(\frac{1}{k}\right) = PY$$

რომელიც შესაძლებელია ჩაიწეროს ასე

$$MV = PY$$

სადაც $V = 1/k$. შესაბამისად, ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობის გამოყენებით ვეგულისხმობთ, რომ რეალურ გამოხატულებაში ფულადი მარაგის მიწოდება ტოლია მასზე არსებული მოთხოვნისა და რომ მოთხოვნა პროპორციულია შემოსავლისა.

გარადი ფულის მიმოქცევის სიჩქარის მუდმივობაზე

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა საჭიროა მხოლოდ იმისათვის, რათა განისაზღვროს ფულის მიმოქცევის სიჩქარე, როგორც მშპ-ს ნომინალური მოცულობის თანფარდობა ფულის რაოდენობასთან. ამასთან, ესარგებლობთ რა ფულის მიმოქცევის სიჩქარის მუდმივობაზე დაშვებით, შესაძლებელია ამ ტოლობის ბაზაზე ჩამოყვანილობით მნიშვნელოვანი თეორია, რომელმაც მიიღო *ფულის რაოდენობრივი თეორიის* სახელწოდება.

სხვა მრავალი დაშვების მსგავსად, რომლებიც მიღებულია ეკონომიკურ თეორიაში, ფულის ბრუნვის სიჩქარის მუდმივობაზე დაშვება მხოლოდ აბსტრაქციაა. ფულზე მოთხოვნის ფუნქციის ცვლილების შემთხვევაში ისიც იცვლება. მაგალითად, ბანკომატების გაერცვლება, რომლებიც საშუალებას იძლევა ანგარიშებიდან მოეხსნათ ნაღდი ფული სპეციალური ბარათების მეშვეობით, გამოიწვია მოსახლეობის ხელთ არსებული ნაღდი ფულის საშუალო რაოდენობის შემცირება, რამაც შეამცირა k კარამეტრი ფულზე მოთხოვნის ფუნქციაში; ბანკომატების წყალბობით გაიზარდა ფულის მიმოქცევის რიცხვი ეკონომიკაში, ე.ი. გაიზარდა ფულის მიმოქცევის სიჩქარე V . ამასთან, ეკონომისტებმა აღმოაჩინეს, რომ მრავალ შემთხვევაში ფულის მიმოქცევის სიჩქარის მუდმივობაზე ვარაუდი საშუალებას იძლევა მივიღოთ საკმაოდ ზუსტი შედეგები. ამაზე დაყრდნობით დაეუწყათ, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე მუდმივია და ენახათ, ამ შემთხვევაში თუ როგორ ზემოქმედებს ფულის მიწოდება ეკონომიკაზე.

თუკი ფულის მიმოქცევის სიჩქარე მუდმივია, ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც მშპ-ს ნომინალური მოცულობის ფორმირების თეორია. ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა ამტკიცებს, რომ:

$$M\bar{V} = PY$$

საზი V -ს ზემოთ აღნიშნავს, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე მუდმივია. მაშინ, ფულის რაოდენობის (M) ცვლილებამ უნდა გამოიწვიოს მშპ-ს ნომინალური მოცულობის (PY) პროპორციული ცვლილება. ამგვარად, წარმოების მოცულობა ფულად გამოხატულებაში განისაზღვრება ფულის რაოდენობით.

ფული, ფასები და ინფლაცია
ჩვენ უკვე ვფიქრობთ თეორიის ელემენტებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ რაზეა დამოკიდებული ფასების საერთო დონე ეკონომიკაში.

1. წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (Y) განისაზღვრება წარმოების ფაქტორების დანახარჯებით და საწარმოო ფუნქციით. ეს დასკვნა გადმოვიღეთ მე-3 თავიდან.
2. წარმოების ღირებულებებითი მოცულობა ნომინალურ გამოხატულებაში PY განისაზღვრება ფულის მიწოდებით. ეს დასკვნა გამომდინარეობს ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობიდან და ფულის მიმოქცევის სიჩქარის მუდმივობის დაშვებიდან.
3. მაშინ, ფასების დონე P წარმოადგენს ნომინალურ გამოხატულებაში წარმოების ღირებულებებითი მოცულობის PY თანაფარდობას წარმოებული პროდუქციის რაოდენობასთან Y. სხვა სიტყვებით რომ ეთქვას, მშპ-ს რეალური მოცულობა განისაზღვრება ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობებით, ხოლო მშპ დეფლატორი მშპ-ს ნომინალური მოცულობის რეალურთან თანაფარდობაა.

მოცემული თეორია გვიჩვენებს, თუ რა მოხდება, როდესაც ცენტრალური ბანკი ცვლის ფულის მიწოდებას. იმის გამო, რომ ფულის მიწოდების სიჩქარე მუდმივია, ფულის მიწოდების ნებისმიერი ცვლილება იწვევს მშპ-ს ნომინალური მოცულობის პროპორციულ ცვლილებას. რამდენადაც მშპ-ს რეალური მოცულობა უკვე მოცემულია ეკონომიკაში არსებული წარმოების ფაქტორთა მარაგებით და საწარმოო ფუნქციით, მაშინ მშპ-ს ნომინალური მოცულობის ცვლილება მთლიანად განპირობებულია ფასების დონის ცვლილებებით. ამგვარად, რაოდენობრივი თეორიიდან გამომდინარეობს, რომ ფასების დონე ფულის მიწოდების პროპორციულია.

რამდენადაც ინფლაციის ტემპი, ეს არის ფასების დონის ცვლილება გამოხატული პროცენტებში, მაშინ ფასების დონის თეორია აგრეთვე ინფლაციის ტემპის თეორიაა. რაოდენობრივი თეორიის ტოლობა, რომელიც ჩაწერილია პროცენტული გამოხატულებით, გამოიყურება შემდეგნაირად:

$$M\text{-ის ცვლილება } (\%-\text{ში}) + V\text{-ს ცვლილება } (\%-\text{ში}) = P\text{-ს ცვლილება } (\%-\text{ში}) + Y\text{-ის ცვლილება } (\%-\text{ში})$$

განვიხილოთ მოცემული ტოლობის თითოეული წევრი. პირველი: ფულის რაოდენობის ცვლილება (გამოხატული პროცენტებში) რეგულირდება ცენტრალური ბანკის მიერ. მეორე: ფულის მიმოქცევის სიჩქარის ცვლილება, რომელიც გამოხატულია პროცენტებში, ასახავს ფულზე მოთხოვნის ცვლილებას; უნაიდან ფულის მიმოქცევის სიჩქარე მივიღეთ მუდმივ სიდიდედ, ფულის მიმოქცევის სიჩქარის ცვლილება ნულის ტოლია. მესამე: ფასების დონის ცვლილება პროცენტულ გამოხატულებაში არის ინფლაციის ტემპი; ეს ტოლობის სწორედ ის წევრია, რომლის გაანალიზებაც გესურდა. მეოთხე: წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილება პროცენტებში დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების დანახარჯების ზრდასთან და შეცნობილ ტექნიკურ პროგრესთან; ჩვენ შეგვიძლია წარმოების ზრდის ტემპი მუდმივ სიდიდედ მივიღოთ. მოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ (თუ განსახილველი საკითხიდან გამოეციტებათ ეკონომიკური ზრდის მუდმივ ტემპს, რომელიც დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორებზე) ფულის მიწოდების ზრდა განსაზღვრავს ინფლაციის ტემპს.

ამგვარად, რაოდენობრივი თეორია გვიჩვენებს, რომ ცენტრალური ბანკი, რომელიც აკონტროლებს ფულის მიწოდებას, სრულად აკონტროლებს ინფლაციის ტემპს. თუკი ცენტრალური ბანკი ინარჩუნებს ფულის მიწოდებას სტაბილურ დონეზე, ფასების დონე იქნება უცვლელი. თუკი ცენტრალური ბანკი სწრაფად ზრდის ფულის მიწოდებას, მაშინ ფასების დონე სწრაფად გაიზრდება.

მაგალითი 6-3

ნამრავლი და პროცენტული ცვლილებები

ფულის რაოდენობრივი თეორიის ძირითადი ტოლობისა და ეკონომიკურ თეორიაში გამოყენებული სხვა მრავალი დამოკიდებული გარდაქმნის განხორციელებისას მიზანშეწორილია მსგავსეობაში მივიღოთ ერთი არითმეტიკული კანონზომიერება. კერძოდ: ორი ცვლადის ნამრავლის ცვლილება, რომელიც გამოსახულია პროცენტებში, დაახლოებით ტოლია პროცენტულ გამოსახულებაში თითოეული ცვლადის ცვლილების ჯამისა. ჩვენ ეიარტგებეთ ამ კანონზომიერებით, როდესაც ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა ჩავენერეთ ცვლადების პროცენტული ცვლილებების ჯამის მეშვეობით.

ეისარტგებოთ ამ კანონზომიერებით მშპ დეფლატორის (P), რეალური მშპ-ს (Y) და ნომინალური მშპ-ს (PY) მიმართ. ამ წესის თანახმად:

$$(PY)\text{-ის ცვლილება } \%-\text{ში} = (P)\text{-ს ცვლილება } \%-\text{ში} + (Y)\text{-ის ცვლილება } \%-\text{ში}.$$


დაეშვათ, რომ რომელიღაც წლისათვის რეალური მშპ ტოლია 100, მშპ დეფლატორი - 2; შემდგომ წელს რეალურმა მშპ შეადგინა 103, ხოლო მშპ დეფლატორმა - 2,1. ამგვარად, რეალური მშპ გაიზარდა 3%-ით, ხოლო მშპ დეფლატორი - 5%-ით. ნომინალური მშპ გაიზარდა პირველ წელს არსებული 200 ერთეულიდან 216,3-მდე მეორე წლისათვის, ე.ი. გაიზარდა 8,15%-ით. შეენიშნეთ, რომ ნომინალური მშპ-ს ზრდა (8,15%) დაახლოებით ტოლია მშპ დეფლატორისა (5%) და რეალური მშპ-ს ზრდის (3%) ჯამისა.¹

ფულადი მასის ზრდა და ინფლაცია ახი წლის განმავლობაში

მიღწონ ფრიდმენმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი და რომელმაც 1976 წელს მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკაში, ერთხელ განაცხადა: „ინფლაცია ყოველთვის და ყველგან არის ფულადი სფეროს გამოვლინება“. მართლაც, ფულის რაოდენობრივი თეორია გეგმიულებს ელალირით, რომ ფულის რაოდენობის ზრდა ის ძირითადი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ინფლაციის ტემპს ამასთან, ფრიდმენის მტკიცება ემპირიულია და არა თეორიული. ამ მტკიცებულებასა და წვენი თეორიის ჰუმპირიტების შეფასების კრიტიკურმად შეიძლება გამოდგეს ფულზე და ფასებზე არსებული სტატისტიკური ინფორმაცია.

ეკონომისტ ანა შვარცთან ერთად ფრიდმენმა შექმნა ორი ნაშრომი ფულადი მიმოქცევის ისტორიის თაობაზე, სადაც წარმოდგენილია ფაქტორული მასალა ფულის რაოდენობის ცვლილებების მიხედვით და შედეგების შესახებ 1870-1970 წლებში. ნახ. 6-1 წარმოადგენს ფულადი მასის ნაზრდისა და ინფლაციის ტემპების საუბალი მნიშვნელობების გრაფიკს. აშშ-ში თითოეული ათწლეულისათვის, დაწყებული XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დამთავრებული 1970 წლამდე, რომლებიც აგებულია მათ მიერ მიღებული მონაცემების საფუძველზე. ეს მონაცემები ადასტურებენ ფულის რაოდენობის ზრდასა და ინფლაციის შორის ეკონომიის არსებობას. ფულადი მასის ნაზრდის მაღალი ტემპები მჭიდვ ათწლეულები, როგორც წესი, ხასითდებოდნენ ინფლაციის მაღალი ტემპებით, ხოლო ფულადი მასის ნაზრდის დაბალი ტემპების მჭიდვ ათწლეულები - ინფლაციის დაბალი ტემპებით.

თუკი ვაჩვიხილავთ არა ათწლეულების, არამედ ყოველთვიურ პერიოდებს, მაშინ ეერ აღმოვაჩინებ ასე მკიდრო ეკონომიის ფულადი მასის ნაზრდის ტემპებსა და ინფლაციის ტემპებს შორის. ინფლაციის მეხეხული თეორია უფრო მეტად გამოყენებალია გრძელვადიანი და არა მოკლევადიანი დროითი შუალედებისათვის. ფულადი მასის ცვლილების მოკლევადიან შედეგებს ვაჩვიხილავთ მაშინ, როცა გადავალთ ეკონომიკური რუკების შესწავლაზე მე-8 თავში.



ნახ. 6-1. ფულადი მასის ნაზრდი და ინფლაცია ათწლეულებისათვის 1870 წლიდან მოყოლებული. ფულადი მასის ნაზრდისა და ინფლაციის მოცემულ გრაფიკზე ყოველი წერტილი შეესაბამება ათწლეულებს. პირიონტალურ დერძზე ვაჩვიხილავთ ფულადი მასის (M2) ზრდა ათწლეულებისათვის პროცენტებში, ხოლო ვერტიკალურ დერძზე - ინფლაციის საშუალო დონე (მშპ დეფლატორის ნაზრდი). დადებითი დამოკიდებულება ფულადი მასის ნაზრდსა და ინფლაციას შორის ამტკიცებს რაოდენობრივი თეორიის დებულებას იმაზე, რომ ფულადი მასის ნაზრდის მაღალ ტემპებს მიყვავართ ინფლაციის მაღალ ტემპებთან.

6-3. „სენიორაჟი“: ფულის გამოშვებით მიღებული შემოსავალი

სახელმწიფოს შეუძლია თავისი დანახარჯების დაფინანსება სამი საშუალებით. პირველი, მას შეუძლია გაზარდოს საგადასახადო შემოსავლები (მაგალითად, საწმომოსავლო გადასახადი, მიგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი და ა.შ.). მეორე, მას შეუძლია ვალი აიღოს მოსახლეობისაგან. მესამე, მას უზარლოდ შეუძლია ფულის დაბეჭდვა.

¹ გაფრთხილება: ამ მიახლოებით ფორმულის გამოყენება ინფლაციის მაღალი ტემპების პერიოდების მიზრობალიან დიდ ცდომილებას იწვევს. ამიტომ, უპრიაინა უფრო ზუსტი ფორმულით სარგებლობა, რომლის თანახმადც (P_tY_t)-ის ცვლილება (%)-ში=(P)-ის ცვლილებას %-ში + (Y)-ის ცვლილება %-ში + (P)-ის ცვლილება x (Y)-ის ცვლილება x 100%-ზე.

შემოსავალს, რომელიც მიღებულია ფულის დაბეჭდვის შედეგად. სენიორაჟი ეწოდება ფრანგულად seigniorage: ფულის ბეჭდვაზე ბაჟი). „სენიორ“ ფრანგულად ნიშნავს ფეოდალ-მეფათმფლობელს.

შუა საუკუნეებში მიწათმფლობელს გააჩნდა განსაკუთრებული უფლება ფეოდალზე მონეტა თაღის ტერიტორიაზე ჩვენს დროში ეს უფლება გუთუნის სახელმწიფოს, რომელიც ის უზრუნველყოფილია შემოსავლის ერთ-ერთი წყაროთი.

სახელმწიფო, ბეჭდავს რა ფულს თავისი ხარჯების დასაფინანსებლად, ამით ზრდის ფულის მიწოდებას. ჩვენს მიერ აღწერილი მიზეზიდან გამომდინარე, ფულის მიწოდების ზრდა იწვევს ინფლაციას. ამგვარად, შემოსავლის მიღების მიზნით ფულის ბეჭდა ინფლაციური გადასახადის შემოღების ტოლფასია.

ერთი შეხედვით, გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჩათვალოთ ინფლაცია გადასახადის ნაირსახეობად. ბოლოსდაბოლოს, არაგის აეუღლებულებენ ამ გადასახადის გადახდას – სახელმწიფო უბრალოდ ბეჭდავს მისთვის აუცილებელ ფულს. მაშინ ვინ იხდის ინფლაციურ გადასახადს? პასუხი შემდეგია: ის ვინც ინახავს ნაღდ ფულს. ფასების ზრდის კვალობაზე ჩვენს საფულეებში არსებული ლარების რეალური ღირებულება მცირდება. როდესაც სახელმწიფო ბეჭდავს ახალ ფულს მისთვის საჭირო მიზნებისთვის, ის ამით ამცირებს მოსახლეობის ხელთ არსებული ძველი ფულის ღირებულებას. ამგვარად, ინფლაცია ნაღდ ფულზე გადასახადია.

შემოსავალთა მოცულობა, რომლებიც მიღებულია ფულის ბეჭდვის ხარჯზე, ქვეყნების მიხედვით არსებითად განსხვავებულია. მაგალითად, აშშ-ში ეს მოცულობა ყოველთვის უმნიშვნელო იყო: სენიორაჟი შეადგენდა სახელმწიფოს შემოსავლის საერთო მოცულობის 3%-ზე ნაკლებს. იტალიასა და საბერძნეთში სენიორაჟზე მოდიოდა სახელმწიფო შემოსავლის 10%-ზე მეტი. ქვეყნებში, რომლებმაც განიცადეს სიკეირი ინფლაცია, სენიორაჟი ხშირად შემოსავლების უპირველეს წყაროს წარმოადგენდა – სინამდვილეშიც, ფულის გამოშვება სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად სიკეირი ინფლაციის ძირითადი მიზეზია.

მაგალითი 6-4

ვინ ანაზღაურებდა ამერიკულ რევოლუციას

აშშ-ს თანამედროვე ისტორიის განმავლობაში სენიორაჟი მუხედვად იმისა, რომ არ წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლის ძირითად წყაროს, ორასი წლის წინათ სიტუაცია საფუძვლიანად განსხვავდებოდა დღევანდლისაგან. 1775 წლიდან მოყოლებული, კონტინენტალური კონგრესის დასტურება გამოიწვია საშუალება რევოლუციის დასაფინანსებლად, ხოლო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობა გადასახადები დაბეჭდვის მეშვეობით შეზღუდული იყო. ამიტომ, სამხედრო ხარჯების დასაფინანსებლად მას მოუწია ძირითადად დაურუნობოდა ქაღალდის ფულის გამოშვებას.

დროთა განმავლობაში კონგრესი სულ უფრო ფართოდ სარგებლობდა სენიორაჟით. 1775 წელს კონტინენტალური ელვება გამოშვებული იქნა დაახლოებით 6 მლნ დოლარის ოდენობით. 1776 წელს ეს ციფერი გაიზარდა 19 მლნ-მდე, 1777 წელს – 33 მლნ-მდე, 1778 წელს – 63,4 მლნ-მდე და 1779 წელს – 124,8 მლნ დოლარამდე.

გასაკვირო არ არის, რომ ფულის მიწოდების აღნიშნულმა სწრაფმა ზრდამ გამოიწვია მაღალი ინფლაცია. ომის დაშორებისას, სულ რამდენიმე წლის მანძილზე, ოქროს ფასი 100-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. კონტინენტალური ელვების ასეთი დიდი რაოდენობით არსებობამ პრაქტიკულად დოლარის გაუფასურება გამოიწვია. თვით ჩვენს დროშიაც კი ისმის აშშ-ში ასეთი ფურავა: „კონტინენტალური ელვებზე არ ღირს“, როდესაც უნდათ თქვან, რომ რაღაცა გახვებტელ გროზდადე არ ღირს.

6-4. ინფლაცია და საპროცენტო განაკვეთი

ამჟამდე განვიხილავდით კაეშირს ფულადი მასის ნაზრდას და ინფლაციას შორის. ახლა განვიხილოთ კაეშირი ინფლაციასა და საპროცენტო განაკვეთს შორის.

რეალური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთი დაეუშვათ, საკუთარი დანაზოგი განათავსეთ საბანკო ანგარიშზე, რომელსაც თქვენთვის მოაქვს ყოველწლიური შემოსავალი 8%-ის ოდენობით. შემდგომ წელს თქვენი უფრო ანგარიშიდან დანაზოგებს დარიცხულ პროცენტებთან ერთად. გახდით თუ არა 8%-ით უფრო მდიდარი იმასთან შედარებით, როდესაც დაბანდეთ ფული ანგარიშზე გასულ წელს?

ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გვესმის „უფრო მდიდრის“ ქვეშ. რასაკვირველია, ახლა თქვენ 8%-ით მეტი თანხა ვაგაწინათ. მაგრამ, თუკი ფასები გაიზარდა იმგვარად, რომ ღირებუზე უკვე ნაკლები რაოდენობის საქონელსა და მომსახურებას ვიდრეღობთ, მაშინ თქვენი მსყიდველობითი უნარიანობა არ გაზრდიდა 8%-ით. თუკი ინფლაციის ტემპმა

შეადგინა 5%, მაშინ საქონლისა და მომსახურების რაოდენობა, რომლის შეყენაც შევიძლიათ, მხოლოდ 3%-ით გაიზარდა. მაგრამ, თუკი ინფლაციის ტემპმა შეადგინა 10%, მაშინ თქვენი მსყიდველობითი უნარიანობა სინამდვილეში 2%-ით შემცირდება.

ეკონომისტები საბანკო პროცენტებს უწოდებენ *ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს*, ხოლო თქვენი მსყიდველობითი უნარიანობის ზრდას - *რეალურ საპროცენტო განაკვეთს*. თუკი ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს აღვნიშნავთ i -თ, ხოლო რეალურ საპროცენტო განაკვეთს - r -ით და ინფლაციას - π -ით, მაშინ დამკიდებულება ამ სამ ცვლადს შორის შეიძლება ჩაეწეროს შემდეგნაირად:

$$r = i - \pi.$$

რეალური საპროცენტო განაკვეთი არის სხვაობა ნომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ინფლაციის ტემპს შორის.²

ფიშერის ეფექტი

რეალურ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით მოცემული ტოლობის წყვერების გადაჯეგუფებით ვნახავთ, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არის რეალურ საპროცენტო განაკვეთს დამატებული ინფლაციის ტემპი:

$$i = r + \pi.$$

ამგვარად ჩაწერილმა ტოლობამ მიიღო ფიშერის ტოლობის სახელწოდება, ამერიკელი ეკონომისტის, *ირვინგ ფიშერის* (1869-1947) პატივსაცემად. ის გვიჩვენებს, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს ორი მიზეზის გამო: რეალური საპროცენტო განაკვეთის ან ინფლაციის ტემპის ცვლილების შედეგად.

დავუვალოთ რა ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ამ ორ შემადგენელ ნაწილად, შევიძლია გამოვიყენოთ მოცემული ტოლობა ნომინალური საპროცენტო განაკვეთის თეორიის ჩამოსაყალიბებლად. მე-3 თავში ნაჩვენებია, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთი იცვლება ისეთნაირად, რომ მან გააწონასწოროს დანახარგები და ინვესტიციები. მოცემულ თავში გამოვიყენებთ, რომ ფულადი მასის ზრდის ტემპი განსაზღვრავს ინფლაციის ტემპს. ამ შემთხვევაში, ფიშერის ტოლობიდან გაომდინარავს, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მოდელით შესაქმნელად აუცილებელია გაავრთინოთ რეალური საპროცენტო განაკვეთისა და ინფლაციის ტემპის თეორია.

ფულდის რაოდენობრივი თეორიისა და ფიშერის ტოლობა გვიჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებს ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე ფულადი მასის ზრდა. *ფულდის რაოდენობრივი თეორიის მუხსაბამისად, ფულადი მასის ზრდის ტემპის 1%-ით ზრდა იწვევს ინფლაციის ტემპის ზრდას იგივე 1%-ით. ფიშერის ტოლობის შესაბამისად, ინფლაციის ტემპის ზრდა 1%-ით, თავის მხრივ, იწვევს ნომინალურ საპროცენტო განაკვეთის ზრდას 1%-ით.* ინფლაციის ტემპსა და ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს შორის ამ თანაფარდობამ მიიღო *ფიშერის ეფექტის* სახელწოდება.

მაგალითი 6-5


ინფლაცია და ნომინალური საპროცენტო განაკვეთი

ნახ 6-2-ზე ნაჩვენებია ნომინალური საპროცენტო განაკვეთებისა და ინფლაციის ტემპების მნიშვნელობები აშშ-ში, დაწყებული 1952 წლიდან. გრაფიკზე ჩანს, რომ ინფლაციის მაღალი ტემპების წლებში, როგორც წესი, აღინიშნება ნომინალური საპროცენტო განაკვეთების მაღალი მნიშვნელობები. ინფლაციისა და საპროცენტო განაკვეთების შორის კავშირი კარგადაა ცნობილი უოლ-სტრიტის საინვესტიციო ფირმების მიერ მათ შორის მრავალი ფირმა, რომელთაც სურთ გაიგონ, საპროცენტო განაკვეთების თუ როგორი ცვლილებებისა მოსალოდნელი, ქრამბენ სპეციალურ დამკვირვებლებს ფედერალური სარეზერვო სისტემის მუშაობაზე რომლებიც განტოვრენ რა ფულად პოლიტიკას, იუწყებიან ინფლაციის თაობაზე ახალ-ახალ მონაცემებს.

ნახ. 6-2-ზე ნაჩვენებია აგრეთვე, რომ ინფლაციის ტემპი განსაზღვრავს არა მხოლოდ ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს, არამედ რეალურსაც. რამდენადაც ეს უკანასკნელი არის სხვაობა ნომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ინფლაციის ტემპებს შორის, ის შეიძლება ვიყოფით ნახაზის დახმარებით, როგორც ნახაზში მასზე გამოსახულ ორ მრუდს შორის. მაგალითად, გრაფიკზე ჩანს, რომ 70-იანი წლების განმავლობაში რეალური საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მცირე იყო (ხოლო ზოგჯერ უარყოფით მნიშვნელობასაც კი აღემატებოდა; ის მკვეთრად გაიზარდა 80-იან წლებში. როგორც უკვე მე-3 თავში აღვნიშნეთ, რეალური საპრო-

² მოცემული ფორმულა მახასიათებელია, რომელიც დამკავშირებელ შედეგებს იძლევა მხოლოდ ინფლაციის ტემპების დაბალი მნიშვნელობების დროს. რეალური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის ზუსტი ფორმულა უფრო რთულია: $r = (i - \pi) / (1 + \pi)$.

ცენტრ განაკვეთის მაღალი მნიშვნელობები 80-იანი წლების განმავლობაში ნაწილობრივ განპირობებული იყო ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტით, რამაც გამოიწვია ეროვნული დანახოების მნიშვნელოვანი შემცირება.



ნახ. 6-2 ინფლაცია და ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მოცემულ ნახაზზე გამოხატულია ნომინალური საპროცენტო განაკვეთები (შემოსავლები აშშ-ს სამთიან სახაზინო ბილეთებზე) და ინფლაციის ტემპი (სა-მომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება, გამოხატული პროცენტებში). ნახაზი ახდენს ფიშერის ეფექტის ილუსტრაციას: ინფლაციის ტემპების ზრდა იწვევს ნომინალური საპროცენტო განაკვეთების ზრდას.

რეალური საპროცენტო განაკვეთის ორი სახე *ex ante* და *ex post*

როდესაც მსესხებელი და კრედიტორი მოილაპარაკებენ ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე, მათ იციან, თუ როგორ მნიშვნელობას მიიღებს ინფლაციის ტემპი სესხის ვადის ამოწურვისას. ამიტომ, აუცილებელია განვასხვაოთ რეალური საპროცენტო განაკვეთის ორი სხვადასხვა ცნება: რეალური საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ეწოდება მსესხებელი და კრედიტორი სესხის ვადაში დროს (*რეალური საპროცენტო განაკვეთი *ex ante**)³ და ფაქტიური რეალური საპროცენტო განაკვეთი (*რეალური საპროცენტო განაკვეთი *ex post**)⁴.

კრედიტორებსა და მსესხებლებს არ ბალუბთ აბსოლუტური სიზუსტით იწინასწარმეტყველონ ინფლაციის მომავალი ტემპი, მაგრამ მათ აქვთ გარკვეული მოლოდინები ამ თვალსაზრისით. π სიმბოლოთი აღვნიშნოთ ინფლაციის ფაქტიური ტემპი მომავალში, ხოლო π^e -თი - ინფლაციის მოსალოდნელი მომავალი ტემპი. მაშინ, რეალური საპროცენტო განაკვეთი *ex ante* ტოლი იქნება $1 - \pi^e$, ხოლო რეალური საპროცენტო განაკვეთი *ex post* ტოლი იქნება $1 - \pi$. ორი რეალური საპროცენტო განაკვეთი განსხვავებული იქნება, თუკი ინფლაციის ფაქტიური მომავალი ტემპი π გადაიხრება მოსალოდნელისაგან - π^e .

როგორ შეიძლება მოხდეს ფიშერის ეფექტის მოდიფიკაცია მოსალოდნელ და ფაქტიურ ინფლაციის მომავალ ტემპებს შორის განსხვავებათა გათვალისწინებით? ცხადია, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება შეუძლებელია ინფლაციის ფაქტიური მომავალი ტემპის გათვალისწინებით, ვინაიდან მისი დაწესების მომენტში ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ უცნობია. ის შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციის მოსალოდნელ ტემპებზე დამოკიდებულად. აქედან გამომდინარე, ფიშერის ეფექტი უფრო ზუსტად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

³ *Ex ante* - მოსალოდნელი, სეარაულო (ლათ.)

⁴ *Ex post* - რაიოიზიპოლი. რაიოორი (ლათ.)

i = r + π.

რეალური საპროცენტო განაკვეთი $ex ante - r$ განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე წონასწორობის წერტილით, როგორც ეს აღწერილია მე-3 თავში მოცემული მოდელით. ნომინალური საპროცენტო განაკვეთის დინამიკა i ზუსტად იმეორებს ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის - π ცვალებადობას.

მაგალითი 6-6

ნახ. 7-1. აშშ-ს ექსპორტი და იმპორტი, როგორც მშპ-ს წილი საერთაშორისო ვაჭრობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება აშშ-ს ეკონომიკისათვის



ნახ. 7-2. ექსპორტი და იმპორტი პროცენტულად მშპ-ს მიმართ: 2000 წ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვანია აშშ-სთვის, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია სხვა განვითარებული ქვეყნებისათვის.

7-1. ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება და ეკონომიკაში

ჩვენ ვიწყებთ ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური თეორიის შესწავლას ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდზე დაყრდნობით, რომელიც პირველად მე-2 თავში განვიხილეთ.

წმინდა ექსპორტის როლი

განვიხილოთ ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე გაწეული დანახარჯები დახურულ ეკონომიკაში ყველაფერი იფიქრება ქვეყნის შიგნით და ყველა დანახარჯი იყოფა სამ შემადგენელ ნაწილად, ესენია: მოხმარება, ერთობლივი კერძო შიდა ინვესტიცია და სახელმწიფო შესყიდვები. ღია ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციის ნაწილი იყიდება ქვეყნის შიგნით, ნაწილი კ

- ექსპორტის სახით იყიდება სასაღვარჯარო. ჩვენ შეგვიძლია ღია ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე - Y -ზე გაწეული დანახარჯები დავეთოთ ოთხ კომპონენტად:

- სამამულო საქონლისა და მომსახურების მოხმარებად - C^d ;
- სამამულო საქონელზე და მომსახურებაზე საინვესტიციო ხარჯებად - I^d ;
- სამამულო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებად - C^g ;
- ქვეყნის შიგნით წარმოებული საქონლისა და მომსახურების ექსპორტად - EX .

ამ კომპონენტებად დანახარჯების განაწილება წარმოდგენილია შემდეგი ფორმულით:

$$Y = C^d + I^d + C^g + EX.$$

პირველი სამი შესაყარების ჯამი $C^d + I^d + C^g$ წარმოადგენს სამამულო საქონელზე და მომსახურებაზე შიდა დანახარჯების სიდიდეს. მეოთხე შესაყარები - EX გამოხატავს უცხოელთა დანახარჯების სიდიდეს ქვეყნის შიგნით წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე.

ახლა ეს ტოლობა წარმოვადგინოთ უფრო მოხერხებული ფორმით. შევნიშნოთ, რომ საქონელსა და მომსახურებაზე შიდა დანახარჯების სიდიდე წარმოადგენს სამამულო წარმოებისა და სასაღვარჯარო წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე შიდა დანახარჯების ჯამს. ამიტომ, მოხმარების საერთო მოცულობა C ტოლია სამამულო საქონლისა და მომსახურების მოხმარების მოცულობისა C^d და სასაღვარჯარო წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოხმარების მოცულობის C^g ჯამის; ინვესტიციის საერთო მოცულობა I ტოლია სამამულო წარმოების I^d და სასაღვარჯარო წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე საინვესტიციო დანახარჯების მოცულობის I^g ჯამის; ხოლო სახელმწიფო შესყიდვების სიდიდე G დამოკიდებულია სამამულო წარმოებისა G^d და სასაღვარჯარო წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის G^g ჯამის. ყოველივე ეს შეგვიძლია ჩაეწეროს შემდეგნაირად

$$\begin{aligned} C &= C^d + C^g, \\ I &= I^d + I^g, \\ G &= G^d + G^g. \end{aligned}$$

ახლა ეს გამოსახულებები ჩაესათ ზემოთმოცემულ ტოლობაში:

$$Y = (C - C^g) + (I - I^g) + (G - G^g) + EX.$$

გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ:

$$Y = C + I + G + EX - (C^g + I^g + G^g).$$

სასაღვარჯარო წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე შიდა დანახარჯების ჯამი $(C^g + I^g + G^g)$ არის იმპორტზე (IM) გაწეული დანახარჯების სიდიდე. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ეროვნული ანგარიშების ძირითადი იდენტობა შემდეგნაირად ჩაეწეროს:

$$Y = C + I + G + EX - IM.$$

რამდენადაც იმპორტზე გაწეული დანახარჯები ჩართულია შიდა დანახარჯების ერთობლივ სიდიდეში $(C^d + I^d + C^g)$ და საქონელი და მომსახურება, რომელთა იმპორტირება ხდება სასაღვარჯაროებიდან, არ წარმოადგენს ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის ნაწილს, იმპორტზე გაწეული დანახარჯები ამ ტოლობაში მინუსი ნიშნით იქნება წარმოდგენილი. განესაზღვრავეთ რა *წმინდა ექსპორტს*, როგორც ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას ($NX=EX-IM$), იგივეობა ჩაეწეროს შემდეგნაირად:

$$Y = C + I + G + NX.$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროდუქციაზე დანახარჯების სიდიდე არის მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო შესყიდვებისა და წმინდა ექსპორტის ჯამის ტოლი. ეროვნული ანგარიშების ძირითადი იდენტობის მოცემული ფორმულა ყველაზე გაერცხლებულია; ჩვენ მას გავეცანით მე-2 თავში.

ეროვნული ანგარიშების ძირითადი იდენტობა გვიჩვენებს, თუ როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული სამამულო პროდუქციის შექმნაზე დანახარჯები, შიდა დანახარჯები და წმინდა ექსპორტი. კერძოდ,

$$NX = Y \quad (C+I+G),$$

წმინდა = წარმოების შიდა
ექსპორტი მოცულობა დანახარჯები.

თუკი წარმოების მოცულობის სიდიდე აკარბებს შიდა დანახარჯებს, ჩვენ ვახდენთ ამ სხვაობის ექსპორტირებას: წმინდა ექსპორტის სიდიდე დადებითია. თუკი წარმოების მოცულობის სიდიდე მცირდება ისე, რომ ის ვერ ფარავს შიდა დანახარჯებს, მაშინ ვახდენთ აღნიშნული სხვაობის იმპორტირებას: წმინდა ექსპორტის სიდიდე დეფიციტს უარყოფით მნიშვნელობას.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი და მთლიანი შიდა პროდუქტი

ეროვნული შემოსავლის ანგარიში – როგორც ღია, ისე დახურული ეკონომიკისათვის – გერყენებს, რომ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე დანახარჯების საერთო მოცულობა ტოლია ეკონომიკაში ერთობლივი შემოსავლისა. ღია ეკონომიკისათვის არსებობს ერთობლივი შემოსავლის ორი მარეგულაციო:

- მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) – ეს არის შემოსავლები, რომელიც მიღებულია ბუკავალი კვების მოქალაქეების მიერ. ეს სიდიდე მოიცავს შემოსავალს, რომელიც მიღებულია კვების მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ, მაგრამ არ მოიცავს შემოსავლებს წარმოების ფაქტორებზე, რომლებიც მოცემულ ქვეყანაშია, მაგრამ ეკუთვნის უცხოელებს. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) – ეს არის შემოსავლები, რომლებიც მიღებულია ქვეყნის შიგნით. ამ მაჩვენებელში ჩართულია შემოსავალი, რომელიც მიღებულია უცხოელების მიერ ქვეყნის შიგნით, მაგრამ არ არის ჩართული შემოსავალი, რომელიც მიღებულია მოცემული ქვეყნის მოქალაქეების მიერ უცხოეთში.

შემოსავლის ეს ორი მანვენებელი განსხვავდება ერთმეორისაგან იმის გამო, რომ წარმოების ფაქტორები ყოველთვის არ ეკუთვნის ქვეყნის მოქალაქებს, სადაც ის გამოიყენება.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც ახდენს მეშ-სა და მშპ-ს შორის სხვაობის დემონსტრირებას. დავუშვათ, რომ თურქეთის მოქალაქე ჩამოღის საქართველოში დროებით სამუშაოდ. მის მიერ მიღებული შემოსავალი არის საქართველოს მშპ-ს ნაწილი, რადგანაც ეს შემოსავალი მიღებული იქნა საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ეს შემოსავალი არ შედის საქართველოს მეშ-ში, რადგანაც აღნიშნული მომუშავე არ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს. ანალოგიურად, თუკი საქართველოს მოქალაქე მუშაობს თურქეთში, მისი შემოსავალი ჩართულია საქართველოს მეშ-ში, მაგრამ არ შევა საქართველოს მშპ-ში.

მაგალითად, ავიღოთ თურქეთის მოქალაქე, რომელსაც საქართველოში ეკუთვნის საცხოვრებელი სახლი. რენტა, რომელსაც ის დეზულობს, არის საქართველოს მშპ-ს ნაწილი, რადგანაც ეს შემოსავალი მიიღება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. მაგრამ ეს რენტა არ გაითვალისწინება საქართველოს მეშ-ში, რადგანაც სახლის მფლობელი არ არის ჩვენი ქვეყნის მოქალაქე. ანალოგიურად, თუკი საქართველოს მოქალაქეს რუსეთში ეკუთვნის ფირმა, მის მიერ მიღებული მოგება შედის საქართველოს მეშ-ში, მაგრამ არა მშპ-ში.

დაეუბრუნდეთ ეროვნული ანგარიშების ძირითად იგივეობას:

$$Y = C + I + G + NX.$$

რას წარმოადგენს ამ შემთხვევაში $Y - მშპ$ -ს თუ $მეშ$ -ს? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია NX -ის ინტერპრეტაციაზე. იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ განვმარტავთ NX -ს, Y -ით შეიძლება აღინიშნოს როგორც $მშპ$, ასევე $მეშ$.

მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი სიტუაცია: რა მოხდება, თუკი საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქე დეზულობს შემოსავალს. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება ორი კითხვა:

- უნდა ჩაერთოდ თუ არა მოცემული შემოსავალი Y -ში?
- უნდა განვიხილოთ თუ არა საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქეების მიერ შეთავაზებული მომსახურება როგორც ექსპორტი და ამგვარად, ჩაერთოდ თუ არა ის NX -ში? ერთის მხრივ, თუკი Y -ის ადგილას წარმოვიდგენთ $მშპ$ -ს, მაშინ შემოსავალი, რომელიც მიღებულია უცხოეთში, არ იქნება Y -ის ნაწილი და მომუშავეის მომსახურება არ უნდა იყოს NX -ში ჩარ

¹ 1993 წლამდე ნაცვლად მთლიანი ეროვნული შემოსავლისა (GNI), გაიანგარიშებოდა მთლიანი ეროვნული პროდუქტი (GNP), რომელიც გერყენებს ქვეყნის მოქალაქეების მიერ წარმოებულ საქონლისა და მომსახურების საბაზო ღირებულებათა ერთობლიობას.

თული. მეორე მხრივ, თუკი Y-ის ადგილას წარმოვიდგინო მგზ-ს, მაშინ შემოსავალი, რომელიც მიღებულია საზღვარგარეთ, Y-ის ნაწილს წარმოადგენს და მომუშავეის მომსახურება შედის NX-ში.

მოცემულ საღმკეციო კურსში Y-ის ქვეშ ვვლდის სპობთ მშპ-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ NX-ში ჩართულია ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში გამოყენებული წარმოების ფაქტორები – შრომა და კაპიტალი.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში

ღია ეკონომიკაში, ისევე, როგორც დახურულ ეკონომიკაში, რომელიც განვიხილეთ მე-3 თავში, ფინანსური ბაზრები მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ბაზრებთან. იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ ეს კავშირი, გადავწეროთ ეროვნული ანგარიშების ძირითადი იგივეობა ინვესტიციებისა და დანაზოების გათვალისწინებით. დავიწყოთ ტოლობით:

$$Y = C + I + G + NX$$

გამოვიციხოთ C და G ტოლობის ორივე ნაწილიდან, რომლის შედეგადაც მივიღებთ:

$$Y - C - G = I + NX$$

გავისვენოთ მე-3 თავიდან, რომ $Y - C - G$ არის ეროვნული დანაზოი (S) – კერძო (Y-T-G) და სახელმწიფო დანაზოის (T-G) ჯამი. აქდან

$$S = I + NX$$

გადავიტანოთ ტოლობის მარცხენა მხარეს ყველა წევრი და ეროვნული ანგარიშების ძირითადი იგივეობა გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$(I - S) + NX = 0.$$

ეროვნული ანგარიშების ძირითადი იგივეობის ჩაწერის მოცემული ფორმა გვიჩვენებს კაპიტალის დაგროვებისათვის განკუთვნილ საშუალებათა საერთაშორისო ნაკადებსა (I-S) და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადებს (NX) შორის კავშირს.

ამ ტოლობის თითოეულ წევრს გააჩნია საკუთარი სახელი. I-S-ს ეწოდება *საგადამხდელი ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიში* კაპიტალის მოძრაობის ანგარიში წარმოადგენს შიდა ინვესტიციების შიდა დანაზოზე ნაბეტს. ინვესტიციებმა შესაძლოა გადააჭარბოს ქვეყანაში არსებულ დანაზოებს, ეინაიდან ინვესტორებს შეუძლიათ დააფინანსონ საინვესტიციო პროექტები იმ საშუალებების ხარჯზე, რომლებიც სესხადაა მიღებული მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე. ამგვარად, კაპიტალის მოძრაობის ანგარიში ტოლია კაპიტალის შიდა დაგროვების მოცულობისა, რომელიც დაფინანსებულია უცხოური სესხების მეშვეობით. NX-მა მიიღო *საგადამხდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის (მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის) სახელწოდება*. მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში – ეს არის თანხა, რომელიც მიღებულია საზღვარგარეთიდან ჩვენი წმინდა ექსპორტის სანაცვლოდ (ჩვენი წარმოების ფაქტორთა გამოყენების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლების ჩათვლით).

ეროვნული ანგარიშების ძირითადი ტოლობა გვიჩვენებს, რომ კაპიტალის მოძრაობის ანგარიში და საგადამხდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიში გაწონასწორებულია. ეს ნიშნავს, რომ

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის საღლო	+	მიმდინარე ანგარიშის საღლო	=	0
(I-S)	+	NX	=	0

თუკი I-S სიდიდე დადებითია, ხოლო NX – უარყოფითი, ჩვენ გავაჩინა საგადამხდელი ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი საღლო და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვლდებულობთ სესხებს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე და ვახდენთ მეტი საქონლის იმპორტირებას, ვიდრე ექსპორტირებას. თუკი I-S უარყოფითია, ხოლო NX – დადებითი, ჩვენ გავაჩინა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტი და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის და-

დებითი სადღო. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე ჩვენ გამოვიდეთ ერთ კრედიტორის როლში და ვახდენთ უფრო მეტი საქონლის ექსპორტს, ვიდრე იმპორტს.²

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი გვიჩვენებს, რომ ფონდების საერთაშორისო ნაკადები კაპიტალის აკრძოების დასაფინანსებლად და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადები წარმოადგენს ერთი შედლის ორ მხარეს ერთს მხრივ. თუკი ჩვენი დანაზოგები აჭარბებს ჩვენსავე ინვესტიციებს, მაშინ დანაზოგები, რომელსაც ინვესტირებავთ ამ მომხდარა ქვეყნის შიგნით, გამოიყენება უცხოელების დასაკრედიტებლად. ისინი საჭიროებენ ამ სესხებს, რამდენადაც ჩვენ მათ თვითნებურად შევსაქონელსა და მომსახურებას. ვიდრე ისინი ვთავაზობენ ჩვენ, ე.ი. ამ შემთხვევაში NX-ის სადღო ვადებითია. მეორე მხრივ, თუკი ჩვენი ინვესტიციები აჭარბებს ჩვენსავე დანაზოგებს, ინვესტიციათა ნამეტი უნდა დაიწინასდეს საზღვარგარეთიდან. უცხოელებმა უნდა შემოგეთავაზონ კრედიტები. აღნიშნული უცხოური სესხები საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საქონლისა და მომსახურების იმპორტი უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე თავით ვახდენთ მათ ექსპორტირებას, ე.ი. NX უარყოფითი სიდიდევა.

შეინშნობთ, რომ კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებმა შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს. მაგალითად, როდესაც მოცემული ქვეყანა განიცდის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სადღოს, უცხოელები ამ ქვეყანას თვავაზობენ სესხებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ეთქვათ, უცხოელები ყიდულობენ საეალო ვალდებულებებს, რომლებიც გამოიყენებულა მოცემული ქვეყნის კორპორაციების ან მთავრობის მიერ. მაგრამ, კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილება ზუსტად ასევე შეიძლება მოხდეს უცხოელების მიერ რომელიმე ქვეყნის კაპიტალური აქტივების პირდაპირი შესყიდვის ფორმით. მაგალითად, როდესაც იაპონელმა ინვესტირებმა შეიძინეს როკველერების ცენტრი, ეს გარეგნად იყო კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი სადღოს ნაწილი. ორივე შემთხვევაში, როდესაც უცხოელები ყიდულობენ ქვეყნის შიდა საეალო ვალდებულებებს და შიდა სხვა აქტივებს, შეიძინება ქვეყნის კაპიტალის გამოყენების შედეგად მოზავაცილო მოსალოდნელი შემოსავლების მიღების უფლება.

7-2 კაპიტალისა და საქონლის საერთაშორისო ნაკადები

მოცემულ მომენტამდე საერთაშორისო ნაკადების ჩვენი ანალიზი მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ შეგვი ეროვნულ ანგარიშებს. ჩვენ განვსაზღვრეთ ზოგიერთი ცვლადი, რომლებიც ასახავს ღია ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და ვაჩვენეთ ამ ცვლადებს შორის კავშირი. ჩვენი შემდგომი ნაბიჯი გამოისატება ისეთი მოდელის შემქნაში, რომელიც დაგვიხმარება ავსნათა ეკონომიკური ბაზენტების ქვეყა ღია ეკონომიკაში. შემდგომ, ამ მოდელს გამოიყენებთ იმ კითხვებზე პასუხების დასაცემად, რომლებიც ეხება იმას, თუ როგორ რეაგირებს ეკონომიკური ცვლილებაზე კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშში.

მცირე ღია ეკონომიკის მოდელი

ჩვენ აქ წარმოვადგენთ კაპიტალისა და საქონლის საერთაშორისო ნაკადების მოდელს. რამდენადაც კაპიტალის მოძრაობის ანგარიში არის სხვაობა ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის, ჩვენს მოდელში კაპიტალის მოძრაობის ანგარიში განიხილება ინვესტიციებისა და დანაზოგების ანალიზის დახმარებით. მოდელი ავრთვევ მოიცავს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშს, რადგანაც მიმდინარე ანგარიშმა უნდა გააწარმოოს კაპიტალის მოძრაობის ანგარიში.

ამ მოდელის შემუშავების დროს გამოიყენებთ ეროვნული შემოსავლის მოდელის ზოგიერთ ელემენტს, რომელიც წარმოდგენილია მე-3 თავში. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში ჩვენ არ ვაგაყოფთ იმ ვარაუდრიდან, რომ რეალურმა საპროცენტო განაკვეთმა უნდა გააწარმოოს დანაზოგები და ინვესტიციები მოცემულ ქვეყანაში. პირიქით, ჩვენს ეკონომიკას ახლა შეუძლია იფუნქციონიროს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი სადღოთი და ისეცხოს ინვესტიციებისათვის აუცილებელი საშუალებები საზღვარგარეთ, ან მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი სადღოთი და მსოფლიო არენაზე მოგვეულისოს კრედიტორს როლში.

თუკი მოცემულ მოდელში რეალური საპროცენტო განაკვეთი არ აწონასწორებს დანაზოგებსა და ინვესტიციებს, მაშინ რა განსაზღვრავს მათ დონეს? უმარტივესი ვარაუდი ეარმობრეობს იმაში, რომ ჩვენს მიერ განსახილველი ეკონომიკა წარმოადგენს მცირე ღია ეკონომიკას და გახსნილია

² მოცემულ ანალიზში გამოტოვებულია ადრიცხვის კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც ეწოდება *ოფიციალური საეალო რეზერვების ცვლილება*. რომლის გამოც კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის სადღო მთლად ზუსტად არ უტოლდება 1-5 და მთლად ზუსტად არ აწონასწორებს მიმდინარე ანგარიშს. ეს კატეგორია წარმოება იმის გამო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სადღოთი დანაზოგები არაა ან კლება, მაგალითად, ცენტრალური ბანკის მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა, არ უნდა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში ჩვენი ანალიზის გასამარტებლად შევიქილია ვივარუდით, რომ აღნიშნული მესამე კატეგორია ნულის ტოლია.

მსოფლიო ფინანსური ბაზრისათვის „მცირეს“ ქვეშ იგულისხმება, რომ მოცემული ეკონომიკა წარმოადგენს მსოფლიო ბაზრის მცირე ნაწილს და თავისთავად, უკიდურესად უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე „მსოფლიო ფინანსური ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობის“ ქვეშ იგულისხმობთ, რომ ამ ქვეყნის მთავრობა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სესხების მიღებას და დაკრედიტებას. შესაბამისად, მცირე ღია ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი ტოლია მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის - r^* - რეალური საპროცენტო განაკვეთის, რომელიც გაბატონებულია მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე. ყოველივე ეს ჩაწეროთ ტოლობის სახით:

მცირე ღია ეკონომიკა მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს ღებულობს, როგორც მოცემულ-ობას.

განვიხილოთ, თუ რა განსაზღვრავს რეალურ მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს. დახურულ ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება დანაზოგებისა და ინვესტიციების წონასწორობით. რა თქმა უნდა, მსოფლიო ეკონომიკა ალენატარული მასშტაბით დახურული ეკონომიკაა. ამგვარად, მსოფლიო დანაზოგებისა და მსოფლიო ინვესტიციების წონასწორობა განსაზღვრავს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს. ჩვენი ღია ეკონომიკა იმდენად მცირეა, რომ ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე, რადგანაც მისი ინვესტიციები და დანაზოგები მხოლოდ მცირედი ნაწილია მსოფლიო ინვესტიციებისა და დანაზოგების.

მცირე ღია ეკონომიკის მოდელის შემუშავებისას ვისარგებლოთ სამი დაშვებით, რომელიც მიღებულია მე-3 თავში:

- ეკონომიკაში წარმოების მოცულობის სიდიდე Y ფიქსირებულია იმ დონეზე, რომელიც მოცემულ მომენტში მიღებულია წარმოების ფაქტორებითა და საწარმოო ფუნქციით. ზემოთქმულს ეწეროთ შემდგენლობად:

$$Y = \bar{Y} = F(\bar{K}, \bar{L}).$$

რაც უფრო მეტია განაკრედი შემოსავლის $Y-T$ სიდიდე, მით უფრო მაღალია მოხმარების მოცულობა. ჩაწეროთ მოხმარების ფუნქცია, როგორც

$$C = C(Y - T).$$

რაც უფრო მაღალია რეალური საპროცენტო განაკვეთი r , მით უფრო დაბალია ინვესტიციები. ჩაწეროთ ინვესტიციის ფუნქცია, როგორც

$$I = I(r).$$

ეს სამი დაშვება ჩვენი მოდელის ძირითადი ელემენტებია (თუკი მათ შორის ერთ-ერთი მაინც გაუგებარია, საჭიროა მე-3 თავის განმეორება).

ახლა შეგვიძლია დადებურდნეთ ეროვნული ანგარიშების ძირითადი იგივეობას. ის ჩაწეროთ შემდგენლობად:

$$\begin{aligned} \text{მიმდინარე ანგარიშის სალდო} &= -\text{კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის სალდო} \\ NX &= S - I \\ NX &= (Y - C - G) - I \end{aligned}$$


ჩაესაგებოთ რა მესამე თავიდან ჩვენს სამივე დაშვებას ამ უკანასკნელ ტოლობაში და ვიქონიებთ რა მხედველობაში იმას, რომ საპროცენტო განაკვეთი ტოლია მსოფლიო საპროცენტო განაკვეთისა, მივიღებთ:

$$NX = [\bar{Y} - C(\bar{Y} - T) - G] - I(r^*) = S - I(r^*).$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს იმას, თუ რა განსაზღვრავს დანაზოგებისა და ინვესტიციების და შესაბამისად, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა ($I-S$) და მიმდინარე ანგარიშის (NX) სიდიდეებს. გავიხსენოთ, რომ დანაზოგების სიდიდე დამოკიდებულია საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე (G და T): სახელმწიფო შესყიდვების ნაკლები მოცულობა ან უფრო მაღალი გადასახადები ზრდის ეროვნული დანაზოგის დონეს. ინვესტიციების მოცულობა დამოკიდებულია რეალურ მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე: მაღალი საპროცენტო განაკვეთები ზოგიერთ საინვესტიციო პროექტებს არამომგები-

ნაღ აქცევს. შესაბამისად, კაპიტალის მოძრაობის ანგარიში და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში ფორმირდება საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკისა და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზე-მოქმედებით. ჩვენ შევეცდით ვისარგებლოთ ბოლო ტოლობით იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ რეაგირებს მიმდინარე ანგარიში და კაპიტალის მოძრაობის ანგარიში ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობაზე, მაგალითად, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებაზე.

მე-3 თავში ჩვენ ავათვო დანაზოვისა და ინვესტიციის გრაფიკები ისე, როგორც ნაჩვენებია ნახ. 7-3-ზე. მაშინ საზღვარი ეხებოდა დახურულ ეკონომიკას, სადაც რეალური საპროცენტო განაკვეთი იცვლება დანაზოვისა და ინვესტიციის გასაწონასწორებლად, ე.ი. რეალური წინასწორული საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება დანაზოვისა და ინვესტიციის მრუდის გადაკვეთის ადგილით. მცირე და ეკონომიკაში რეალური საპროცენტო განაკვეთი ტოლია რეალური მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის. *საგადასახადო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის საღადო ვარიანტზე, როგორც შიდა დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის სხვაობა მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში.*



ნახ. 7-3 დანაზოგები და ინვესტიციები, როგორც რეალური საპროცენტო განაკვეთის ფუნქცია დახურულ ეკონომიკაში რეალური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება დანაზოგებისა და ინვესტიციების გასაწონასწორებლად. მცირე ღია ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მსოფლიო წინასწორ ბაზრზე ქვეყნის შიგნით დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის სხვაობა განსაზღვრავს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშსა და შესაბამისად, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის საღადო. აქ აღინიშნება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი საღადო, რადგანაც მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში დანაზოგების მოცულობა აჭარბებს შიდა ინვესტიციების მოცულობას.

ამ ტიპზე შეიძლება წარმოიშვას კითხვა იმ მკვანისზე, რომლის უშუალო მოქმედებით მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში აწონასწორებს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს. ადვილია გავივით, თუ რა განსაზღვრავს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს. როდესაც ქვეყნის შიგნით დანაზოგის ნორმა მცირდება და არ ფარავს შიდა ინვესტიციების მოცულობას, ინვესტირები სესხულობენ ფულს უცხოეთში; როდესაც დანაზოგის ნორმა აჭარბებს ინვესტიციების მოცულობას, ნაშეტი მივიღებთ სხვა ქვეყნების დასაკრედიტებლად. მაგრამ, რა აიძულებს იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს იმ-ოქმედონ იმეფარად, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის მოდინების (ან გადინების) გაწონასწორებას საქონლისა და მომსახურების გატანით (ან შემოტანით)? მოცემულ ეტაპზე, ჯერჯერობით, ეს საკითხი დავტოვოთ პასუხის გარეშე, რომელსაც დაუბრუნდებით გაცვლითი კურსების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზის დროს.


რა გავლენას ახდენს ეკონომიკური პოლიტიკა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშზე დაეუწყეთ, რომ ეკონომიკა იწყებს ფუნქციონირებას დაბალანსებულ საგარეო ვაჭრობით, - ე.ი. მისი ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები ერთმანეთის ტოლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშს NX და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს I-S თავდაპირველად გააჩნით ნულიანი საღადო. შევეცადოთ ჩვენი მოდელის დასხმარებით ვინისაწარმეტყველოთ იმ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები, რომელსაც ატარებს მოცემული ქვეყნისა და სხვა ქვეყნის მთავრობები.

შიდა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა. თავდაპირველად განვიხილოთ, რა მოხდება მცირე ღია ეკონომიკაში მთავრობის მიერ შიდა ხარჯების სტიმულირების შემთხვევების სახელმწიფო შესყიდვების ზრდის ხარჯზე. G სიდიდის ზრდა ამცირებს ეროვნული დანაზოგის სიდიდეს, რადგანაც $S = Y - C - G$. უცვლელი მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის დროს ინვესტიციები რჩება იმავე დონეზე, ამგვარად, წარმოიშობა ინვესტიციების სიჭარბე დანაზოგებთან შედარებით. კლბადა დანაზოგებს მიეყვართ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი საღადოს წარმოშობასთან, რადგანაც ინვესტიციების ნაწილი ახლა უნდა დაფინანსდეს უცხოური სესხების ხარჯზე ბუნებრივია, რომ საგადასახადო ბალანსის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშში უნდა დააბალანსოს

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში, შესაბამისად, NX უნდა შემცირდეს, რაც ნიშნავს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტის წარმოქმნას.

იგივე ლოგიკა გამოიყენება გადასახადების T შემცირების მიმართ. გადასახადების შემცირება იწვევს განკარგადირ შემოსავლის Y-T სიდიდის ზრდას, ასტიმულირებს მოხმარების და ამცირებს ეროვნული დანაზოგის მოცულობას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გადასახადების შემცირების ზოგიერთი ნაწილი მიემართება კერძო დანაზოგების ზრდაზე, სახელმწიფო დანაზოგის სიდიდე მცირდება გადასახადების შემცირების მთელი სიდიდით. მილიანობაში, ეროვნული დანაზოგის მოცულობა მცირდება. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის I-S და ამცირებს NX.

აღნიშნული პროცესები ილუსტრირებულია ნახ. 7-4-ზე. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება, რომელიც იწვევს კერძო მოხმარების C ან სახელმწიფო მოხმარების G ზრდას, განაპირობებს ეროვნული დანაზოგის მოცულობის (Y-C-G) შემცირებას და ამგეადად, დანაზოგის აღზიშნული მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. რამდენადაც NX არის მანძილი დანაზოგისა და ინვესტიციის გრაფიკებს შორის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, მოცემული გადაადგილება იწვევს NX-ის შემცირებას. ამგეადად, თუკი საწყისი სიტუაცია ხასიათდება სრულიად დაბალანსებული საგარეო ვაჭრობით, მაშინ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც იწვევს ეროვნული დანაზოგის შემცირებას, თანდაყოლილია კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი საღლოსა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტის წარმოშობით.




ნახ. 7-4. სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის შიგნით. სახელმწიფო შესიდგების მოცულობის ზრდა ან გადასახადების შემცირება იწვევს ეროვნული დანაზოგის მოცულობის შემცირებას და ამგეადად, გადაადგილებს დანაზოგის მრუდს მარცხნივ. ამას კი მიუყვართ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით საღლოსთან და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტთან.

მაბალაოთი 7-1

XX საუკუნის 80-იანი წლების ორმაგი დეფიციტი აშშ-ში

XX საუკუნის 80-იანი წლებში აშშ გადააწვდა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის უჩვეულო შედეგებს. 1981 წელს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მხარდაჭერით აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ინდივიდუალური შემოსავლო გადასახადის მნიშვნელოვან შემცირებას შემდგომი სამი წლის განმავლობაში. გადასახადების ამ შემცირების შედეგად ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა - სახელმწიფო ხარჯების გადამტებას საგადასახადო შემოსულობების სიდიდეს - 80-იანი წლების უმეტესი პერიოდის განმავლობაში შშს-ს თითქმის 4% შეადგინა. ჩვენი მოვლის შესაბამისად, გადასახადების მსგავს შემცირებას უნდა გამოეწვია ეროვნული დანაზოგის მოცულობის შემცირება და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი.

ნახ. 7-5 ნაჩვენებია აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი პროცენტული გამოხატულებით ქვეყნის შშპ-ს მიმართ 1960 წლიდან 1990 წლამდე. ფედერალური ბიუჯეტი მთლიანობაში დაბალანსებული იყო. ფაქტიურად, მეორე მსოფლიო ომის ელის თანდათანობით გადახდის კვალობაზე ფედერალური ბიუჯეტი საშუალოდ, დადებით საღლომდე დაიყვანებოდა ამ დროის განმავლობაში მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითა საღლომ შშპ-ს 1% შეადგინა. ამერიკელები ზოგადადნ გაცილებით შეტი მოცულობით, ვიდრე ახდენდნ ინვესტირებას თავიანთ ქვეყანაში, ხოლო ჭარბი დანაზოგები ინვესტირებოდა უცხოეთში.



ნაბ. 7-5. მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში და უდერალური ბიუჯეტის დეფიციტი შეერთებულ შტატებში. სურათზე ნაჩვენებია უდერალური ბიუჯეტის დეფიციტი და საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი ქვეყნის შშპ-ს მიმართ პროცენტულ გამოხატულებაში 1960 წლიდან 1990 წლამდე. დადებითი მნიშვნელობები ასახავენ დადებით სადღოს, ხოლო უარყოფითი - დეფიციტს. 80-იან წლებში უდერალური ბიუჯეტის მთავრობა წააწყდა ბიუჯეტის მნიშვნელოვან დეფიციტს, რომელმაც გამოიწვია ეროვნული დანახარის მოცულობის შემცირება და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის მნიშვნელოვანი უარყოფითი სადღო. (მიმდინარე ბიუჯეტის დეფიციტის თაობაზე კორექტირებული ინფლაციის გათვალისწინებით: ვალეზე პროცენტების გაზარდა განიხილება ხარჯების სახით, რომლებიც შესწორებულია ინფლაციის გათვალისწინებით. ამ კორექტირების მექანიზმი ნაჩვენებია იქნება მე-16 თავის დამატებებში. მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის მიხედვით მონაცემები მიღებულია ეროვნული შემოსავლის ანგარიშბუღალს, როგორც წინადა ექსპორტის სიდიდე გამოხატული მიმდინარე ფასებში)


მუხუდებზე ამისა, 80-იან წლებში უდერალურმა მთავრობამ ბიუჯეტი დაიყვანა შვედომახი დროისათვის მანამდე არნახულ დეფიციტამდე. ეს სულდობა რა ფულს დეფიციტის დასაფარავად, მთავრობამ შეამცირა ეროვნული დანახარის მოცულობა, რამაც გამოიწვია საგადასახდლო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სადღო და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი. ამგვარად, სხვა ქვეყნებმა აშშ-ს მიმართ დაიწყეს კრედიტების გაცემა, რის გამოც ის მსოფლიოში უდიდესი კრედიტორი ქვეყნიდან უდიდეს დებიტორ ქვეყნად გადაიქცა.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა საზღვარგარეთ. ახლა განვიხილოთ, თუ როგორ შეიცვლება მცირე ღირს ეკონომიკის მოდელი უცხოეთის ქვეყნების მთავრობების მიერ საკუთარი დანახარჯების ზრდის შეზღუდვაში. თუკი აღნიშნული უცხოური ქვეყნები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის მცირედ ნაწილს, მაშინ მათ მიერ განხორციელებული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებები უკიდურესად მცირე გავლენას მოახდენს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე. მაგრამ, თუკი ეს სახელმწიფოები მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაშინ მათ მიერ სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდა შეამცირებს მსოფლიო დანახარჯის სიდიდეს და ამგვარად, გაზარდის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს.

მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა კი, თავის მხრივ, შეამცირებს ჩვენს მცირე ღირს ეკონომიკაში ინვესტიციებს. რამდენადაც შიდა დანახარჯის სიდიდეს არ განუცვლიდა არავითარი ცვლილებები, 1-5 სიდიდე უნდა შემცირდეს, რაც ნიშნავს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიდა დანახარჯის ნაწილი იწყებს საზღვარგარეთ გადინებას. რამდენადაც $NX = S - I$, ინვესტიციების შემცირებამ უნდა გაზარდოს NX ამგვარად, საზღვარგარეთ დანახარჯის შემცირება იწყებს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებით სადღოს მოცემულ ქვეყანაში.


ნაბ. 7-6-ზე ნაჩვენებია, თუ რა მოსდის მცირე ღირს ეკონომიკას, რომელმაც დაიწყო დაბალანსებული საგარეო ვაჭრობით, სხვა ქვეყნებში სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარების შედეგად. რამდენადაც პოლიტიკის ცვალებადობა ხორციელდება საზღვარგარეთ, შიდა დანახარჯებისა და ინვესტიციების გრაფიკები უცვლელი რჩება. ერთადერთი

ცელილება, რასაც აქვს ადგილი – ეს არის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა. სურათზე ნათლად ჩანს, რომ მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებით სადღოს. ამგვარად, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა საზღვარგარეთის ქვეყნებში სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარების შედეგად იწვევს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტს და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებით სადღოს.



ნახ. 7-6. სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა საზღვარგარეთ. საზღვარგარეთის ქვეყნებში განხორციელებული საბიუჯეტო-საგადასახადო ექსპანსია ზრდის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს, რაც იწვევს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტს და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებით სადღოს მცირე ღია ეკონომიკაში.

საინვესტიციო მოთხოვნის ცვლილება. განვიხილოთ, თუ რა შეიძლება მოხდეს ჩვენს მცირე ღია ეკონომიკაში დაგეგმილი ინვესტიციების მრუდის მაღლა გადაადგილების შემთხვევაში. მსგავსი გადაადგილება ხდება მაშინ, როდესაც მთავრობა ცელის საგადასახადო კანონმდებლობას შიდა ინვესტიციების სტიმულირების მიზნით, შავალითად, ინვესტორთათვის საგადასახადო შეღავათების შეთავაზებით. ნახ. 7-7-ზე ნაჩვენებია ინვესტიციების მრუდის გადაადგილების შედეგები. ნებისმიერი მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში ინვესტიციები ახლა უფრო მაღალი იქნება.



ნახ. 7-7. საინვესტიციო მოთხოვნის მრუდის გადაადგილება დაგეგმილი ინვესტიციების მრუდის მაღლა გადაადგილება იწვევს საგადასახადო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სადღოსა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტის წარმოქმნას.

რამდენადაც დანაზოვის მოცულობა უცვლელი დარჩა, ინვესტიციები უნდა დაფინანსდეს უცხოური სესხების ხარჯზე. წარმოიქმნება კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის (I-S) დადებითი სადღო, ხოლო მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სადღო ($NX=S-I$) მცირდება. ამგვარად, ინვესტიციების მრუდის მაღლა გადაადგილება იწვევს საგადასახადო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სადღოს და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტს.

ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება
ღია ეკონომიკის მოდელის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადები, რომლებიც ასახულია საგადასახადო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, მკაცრად დაკავშირებულია კაპიტალის დაგროვებისათვის საჭირო

საშუალებათა ნაკადებთან, რომლებიც ასახულია კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში. რამდენადაც კაპიტალის მოძრაობის ანგარიში არის ინვესტიციებს მიწის დანახოვები, ეკონომიკური პოლიტიკის გადელენა ამ ნაკადებზე ყოველთვის შეიძლება განისაზღვროს ამ თუ იმ პოლიტიკის ინვესტიციასზე და დანახოვებზე ზემოქმედების გამოკვლევის გზით. პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს ინვესტიციებს, იწვევს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სადღოს და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს დანახვას, იწვევს სადადამხდლო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტს და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებით სადღოს.

ღია ეკონომიკის მოცემული ანალიზი იყო პოზიტიური და არა ნორმატიული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადებზე გავლენის ანალიზი არ ისახავდა მიზნად ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ეარაინტა მიზანშეწონილობის განსაზღვრას. ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება და მისი ზემოქმედება ღია ეკონომიკაზე ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ხშირად ცხარე კამათის საგანია.

გასული საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში პოლიტიკოსებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე, წარმოადგენს თუ არა მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი ეროვნულ პრობლემას. მრავალი ეკონომისტი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს განიხილავდა როგორც სიმპტომს და არა პრობლემას, როგორც ასეთი. 80-იანი წლების მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი ასახავდა დაზოგვის დაბალ ნორმას. ეს ნიშნავს, რომ ამერიკელები სამომავლოდ ნაკლებ თანხას ზოგადედნენ. დახურულ ეკონომიკაში დაზოგვის დაბალ ნორმას მიყვავართ ნაკლები მოცულობის ინვესტიციებთან და ამგვარად, მომავლისთვის კაპიტალის ნაკლებ მარაგთან. ღია ეკონომიკაში დაზოგვის დაბალი ნორმა იწვევს საგარეო ვალის ზრდას, რომელიც, ბუნებრივად, ქვეყანამ უნდა გადაიხადოს. ორივე შემთხვევაში მიმდინარე მოხმარების მაღალი დონე იწვევს მომავალში მოხმარების დონის შემცირებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეროვნული დაზოგვის დაბალი ნორმა მომავალ თაობას ტვირთად დაუტევს.

ამასთან, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ყოველთვის არ ასახავს ქვეყნის ეკონომიკაში რაიმე არასასურველ პროცესებს. როდესაც ღარიბი აგრარული ქვეყნები ადგებიან ინდუსტრიალიზაციის გზას, ისინი ინვესტიციების დიდ მოცულობას ხშირად უცხოური სესხების სარჯზე აფინანსებენ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სადღოს და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია, არ შეიძლება ეკონომიკის მდგომარეობა შეაფასოს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა და მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობით. პირიქით, საჭიროა იმ ფაქტორთა განხილვა, რომლებიც განსაზღვრავენ ამ საერთაშორისო ნაკადებს.

7-3. გაცვლითი კურსები

მას შემდეგ, რაც ჩამოყვალბილი კაპიტალის და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადების მოდელი მცირე დია ეკონომიკისათვის, განვიხილოთ ფასები, რომლებიც გამოიყენება ამ ოპერაციებში. ორი ქვეყნის ვალუტის *გაცვლის კურსი* – ეს არის ფასი, რომლის მიხედვითაც მათ შორის ხორციელდება გაცვლა. ამ ნაწილში თავდაპირველად გავარკვევთ, თუ რა იწვევს გაცვლითი კურსის ცვლილებას, ხოლო შემდეგ განვიხილავთ, თუ როგორ განისაზღვრება ის.

ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსები

ეკონომისტები ერთმანეთისაგან ანსხვავებენ ორ გაცვლით კურსს: ნომინალურს და რეალურს განვიხილოთ თითოეული მათგანი და ენახოთ, თუ როგორაა ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული.

ნომინალური გაცვლითი კურსი. ნომინალური გაცვლითი კურსი არის ორი ქვეყნის ვალუტის შეფარდებითი ფასი. მაგალითად, თუკი ამერიკული დოლარისა და ქართული ლარის გაცვლითი კურსი ტოლია 1,65 ლარის ერთ დოლარზე, ეს ნიშნავს, რომ სავალუტო ბაზრებზე თქვენ შეგიძლიათ 1 დოლარი გადაიკვალოთ 1,65 ლარზე. საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სურს დოლარების ყიდვა, მოუწევს 1,65 ლარის გადახდა მის მიერ ყოველ ნაყიდ დოლარზე. ამერიკელი, რომელსაც სურს ლარის მიღება, მიიღებს 1,65 ლარს მის მიერ ყოველ გადახდულ დოლარზე. როდესაც ადამიანები საუბრობენ „გაცვლით კურსზე“ ორი ქვეყნის ვალუტების შორის, მათ, როგორც წესი, მხედველობაში აქვთ ნომინალური გაცვლითი კურსი.

ჩანართი

ბაცვლითი კურსი ხაზავთო პუბლიკაციებში

ჩვენ შევიძლია ვიპოვეთ ცნობები ბაცვლითი კურსების შესახებ მრავალ გაზეთში. ქვემოთ მოცემულია „Wall Street Journal“-ში გამოქვეყნებული ვალუტების ბაცვლითი კურსები:

CURRENCY TRADING

Thursday, September 20, 2001				U.S. \$ EQUIV		CURRENCY PER U.S.	
EXCHANGE RATES				The	Wed	The	Wed
The foreign exchange mid-range rates below apply to trading among banks in amounts of \$1 million and more, as quoted at 4 p.m. Eastern time by Reuters and other sources. Retail transactions provide fewer units of foreign currency per dollar. Rates for the 12 Euro currency countries are derived from the latest dollar-euro rate using the exchange rates set 1/1/99.							
Country	The	Wed	The	Wed			
Argentina (Peso)	1.0332	1.0333	598	597			
Australia (Dollar)	4932	4931	2,024	2,027			
Austria (Schilling)	957.40	967.35	14.837	14.846			
Bahrain (Dinar)	2.6525	2.6514	3.773	3.771			
Belgium (Franc)	0.2310	0.2309	43.455	43.524			
Brazil (Real)	3612	3639	2,705	2,705			
Britain (Pound)	1.671	1.6284	68.16	68.10			
1-month forward	1.6536	1.6568	68.07	68.02			
3-months forward	1.6403	1.6415	68.49	68.42			
6-months forward	1.6440	1.6449	68.78	68.73			
Canada (Dollar)	6564	6576	1,371	1,368			
1-month forward	6559	6571	1,375	1,368			
3-months forward	6564	6565	1,379	1,372			
6-months forward	6548	6558	1,373	1,375			
Chile (Peso)	0.01440	0.01449	684.35	680.15			
China (Renminbi)	1238	1238	8,276	8,256			
Colombia (Peso)	0.004259	0.004264	2342.50	2345.00			
Czech Rep. (Koruna)	0.2074	0.2076	36.582	36.582			
Danish (Krone)	1246	1245	8,129	8,015			
Ecuador (US Dollar-e)	1.0000	1.0000	1.000	1.0000			
Finland (Markka)	1.550	1.550	6,412	6,417			
France (Franc)	1.414	1.413	7,077	7,070			
1-month forward	1.413	1.412	7,074	7,066			
3-months forward	1.410	1.409	7,021	7,017			
6-months forward	1.407	1.405	7,128	7,116			
Germany (Mark)	47.42	47.38	2,193	2,194			
1-month forward	47.36	47.34	2,190	2,124			
3-months forward	47.29	47.25	2,116	2,161			
6-months forward	47.18	47.14	2,155	2,214			
Hong Kong (Dollar)	0.02722	0.02720	367.41	367.70			
India (Rupee)	1282	1282	7,795	7,792			
Hungary (Forint)	0.00599	0.00592	278.57	278.40			
Indonesia (Rupiah)	0.0284	0.0283	47.980	48.910			
Iran (Rial)	0.001059	0.001041	546	5025			
Ireland (Punt)	1.1776	1.1767	64.92	64.88			
Israel (Sheqel)	2.297	2.294	4,354.1	4,340			
Italy (Lira)	0.004790	0.004786	2087.74	2089.31			
Country	The	Wed	The	Wed			
Japan (Yen)	0.00859	0.00848	116.29	117.67			
1-month forward	0.00851	0.00857	116.04	117.41			
3-months forward	0.00855	0.00858	116.89	118.02			
6-months forward	0.00870	0.00820	114.85	118.23			
Jordan (Dinar)	1.4028	1.4049	7.108	7.108			
Kuwait (Dinar)	3.2870	3.2641	2044	2046			
Lebanon (Pound)	0.002604	0.002604	1514.25	1514.25			
Malaysia (Ringgit)	4632	4632	3,800	3,800			
Malta (Lira)	2.778	2.774	438	439			
Mexico (Peso)							
Floating rate	1.055	1.050	9.4825	9.4825			
Netherlands (Guilder)	4.208	4.206	2,376.1	2,377.9			
New Zealand (Dollar)	4.128	4.122	2,425	2,426			
Norway (Krone)	1.199	1.199	8,500	8,551			
Pakistan (Rupee)	0.1529	0.1529	64.150	64.150			
Peru (New Sol)	2.567	2.567	3,508	3,508			
Philippines (Peso)	0.1949	0.1946	51.300	51.375			
Poland (Zloty)	2404	2382	4,160	4,1975			
Portugal (Escudo)	0.04628	0.04623	216.16	216.30			
Russia (Ruble-e)	0.0269	0.0267	28.422	29.442			
Saudi Arabia (Riyal)	2.668	2.666	3,708	3,705			
Singapore (Dollar)	57.50	57.40	1,738	1,735			
Slovak Rep. (Koruna)	0.2116	0.2118	47.253	47.219			
South Africa (Rand)	1.149	1.156	8,658	8,628			
South Korea (Won)	0.007734	0.007740	1293.00	1292.00			
Spain (Peseta)	0.05374	0.05370	178.40	178.54			
Sweden (Krona)	0.942	0.952	10.478	10.500			
Switzerland (Franc)	0.500	0.520	1,585	1,574			
Taiwan (Dollar)	0.502	0.529	1,587	1,597			
3-months forward	0.501	0.529	1,570	1,580			
6-months forward	0.501	0.529	1,586	1,597			
Taiwan (Dollar)	0.2884	0.2865	34.580	34.540			
Thailand (Baht)	0.2570	0.2565	44.140	44.150			
Turkey (Lira-e)	0.000068	0.000026	150.000	150.000			
United Arab (Dirham)	27.2	27.2	3,678	3,678			
United States (Dollar)							
Uruguay (New Peso)	0.278	0.278	117.46	117.40			
Venezuela (Bolon)	0.01346	0.01345	745.25	745.25			
SDR	1.2845	1.2850	772	772			
Euro	8.275	8.264	1,092	1,070			

Special Drawing Rights (SDR) are based on exchange rates for the U.S., German, British, French, and Japanese currencies. Source: International Monetary Fund. a-Russian Central Bank rate. b-Government rate. d-Floating rate; trading band suspended on 4/11/00. f-Rising rate, eff. Feb. 22.

მივიყვიროთ ყურადღება იმას, რომ ზოგიერთი ბაცვლითი კურსი წარმოდგენილია ორნარიად. აღნიშნულ ხუთშაბათ დღეს დოლარი შეადგენდა 116.29 იენს, ხოლო იენი - 0.008599 დოლარს. შევვიძლია ვთქვათ, რომ ბაცვლითი კურსი შეადგენდა 116.20 იენს ერთ დოლარზე ან 0.008599 დოლარს ერთ იენზე. რადგანაც 0.008599 ტოლია 1/116.29, ბაცვლითი კურსის წარმოდგენის ეს ორი ვარიანტი ერთმანეთის გეგვივალენტურია. ცხრილის მონაცემების მიხედვით, აღნიშნული ბაცვლითი კურსი, რომელიც ტოლია 116.29 იენისა ერთ დოლარზე, ოდნავ შემცირდა ოთხშაბათს არსებულ კურსთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 117.67 იენს ერთ დოლარზე. ბაცვლითი კურსის ასეთ შემცირების ყოვლად მოცემული ვალუტის გაუფასურება, ხოლო ბაცვლის კურსის ამაღლებას - ღირებულების ზრდა.

რეალური ბაცვლითი კურსი. რეალური ბაცვლითი კურსი არის საქონელთა შეფარდებითი ფასი, რომელიც წარმოებულია ორ ქვეყანაში. სხვა სიტყვებით ერთი ქვეყანი, რეალური ბაცვლითი კურსი გაუაყვებს, თუ როგორც თანაფარდობით შევიძლია ვთქვათ იენის საქონელი ბაცვლითი სხვა ქვეყნის საქონელზე. რეალურ ბაცვლით კურსს ზოგჯერ ვაჭრობის პირობებსაც უწოდებენ. იმისათვის, რათა დავინახოთ კაშპირი რეალურ და ნომინალურ ბაცვლით კურსებს შორის, მოვიყვანოთ მაგალითი, სადაც ფიგურირებს მრავალ ქვეყანაში წარმოებადი საქონელი - დვინო.

დაეწევათ, რომ ქართული წარმოების ღვინო ღირს 10 ლარი, ხოლო ანალოგიური ფრანგული წარმოების ღვინო - 20 ევრო. ორივე წარმოების ღვინოს ფასების შესადარებლად საჭიროა მათი ფასი გამოვსახოთ ერთ ვალუტაში. თუკი ლარი 0,5 ევრო ღირს, მაშინ ქართული ღვინო 5 ევრო ღირდება. ამაგვარად, შევადარებთ რა ქართული (5 ევრო) და ფრანგული (20 ევრო) ღვინოების ფასს, გნახათ, რომ ქართული ღვინოს ფასი შეადგენს ფრანგული ღვინოს მხოთხედს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემული ფასების პირობებში ჩვენ შეგვიძლია 4 ქართული ღვინო გადავცვალოთ ერთ ფრანგულ ღვინოზე.

აინიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ რეალური გაცვლითი კურსი - რომელიც არის ორ ქვეყანაში წარმოებულ საქონელთა შეფარდებითი ფასი - დამოკიდებულია ნომინალურ გაცვლით კურსზე და ეროვნულ ვალუტებში გამოხატულ საქონელთა ფასებზე, მაგალითად:

$$\text{რეალური გაცვლითი კურსი} = \frac{(0,5 \text{ ევრო/ლარი}) \times (10 \text{ ლარი ერთი ქართული ღვინო})}{(20 \text{ ევრო ერთი ფრანგული ღვინო})} = 1/4$$

მაშასადამე, ამ ფასებისა და გაცვლითი კურსის შემთხვევაში ვღებულობთ ფრანგული ღვინოს მხოთხედს ერთი ქართული ღვინოთ, ანუ უფრო ზოგადი სახით:

$$\frac{\text{რეალური გაცვლითი კურსი}}{\text{ნომინალური გაცვლითი კურსი}} \times \frac{\text{საკუთარ ქვეყანაში წარმოებული საქონლის ფასი}}{\text{უცხოეთში წარმოებული საქონლის ფასი}}$$

თანაფარდობა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ეცვლით საკუთარ ქვეყანაში წარმოებულ საქონელს უცხოურზე, დამოკიდებულია ეროვნულ ვალუტაში საქონლის ფასზე და კურსზე, რომლის მიხედვითაც იცვლება ეს ვალუტები.

ცალკეული საქონლისათვის რეალური გაცვლითი კურსის გაანგარიშების მეთოდი გეკარნახობს, თუ როგორ უნდა განესაზღვროთ რეალური გაცვლითი კურსი საქონლის უფრო ფართო ნაკრებისათვის. დაეწევათ, e არის ნომინალური გაცვლითი კურსი (უცხოური ვალუტის რაოდენობა ერთ ლარზე), P - ფასების დონე საქართველოში (გამოხატული ლარებში), ხოლო P* - ფასების დონე საზღვარგარეთ (გამოხატული იმ ქვეყნის ვალუტაში). მაშინ, რეალური გაცვლითი კურსი E ტოლია:

$$\frac{\text{რეალური გაცვლითი კურსი}}{e} = \frac{\text{ნომინალური გაცვლითი კურსი}}{e} \times \frac{\text{ფასების დონეა თანაფარდობა}}{P/P^*}$$

ორ ქვეყანას შორის რეალური გაცვლითი კურსი გამოითვლება ნომინალური გაცვლითი კურსის მანქნებლისა და ამ ორ ქვეყანაში არსებული ფასების დონის საფუძველზე. თუკი რეალური გაცვლითი კურსი მაღალია, უცხოური საქონელი შედარებით იაფია, ხოლო საკუთარ ქვეყანაში წარმოებული საქონელი - შედარებით ძვირი. თუკი რეალური გაცვლითი კურსი დაბალია, უცხოური საქონელი შედარებით ძვირია, ხოლო საკუთარ ქვეყანაში წარმოებული საქონელი - შედარებით იაფი.

რეალური გაცვლითი კურსი და წმინდა ექსპორტი


ზუსტად ისევე, როგორც პურის ბაზარზე არსებული ფასები ახდენს გავლენას მოთხოვნაზე, სამაშულო და უცხოური საქონლის შეფარდებითი ფასები განსაზღვრავს ამ საქონელზე მოთხოვნის სიდიდეს. თუკი რეალური გაცვლითი კურსი და სამაშულო საქონელზე ფასებიც შედარებით დაბალია, მაშინ მოცემული ქვეყნის მოსახლეობა უცხოურ საქონელს ნაკლები რაოდენობით შეიძენს. მაგალითად, თუ ღარის რეალური გაცვლითი კურსი დაბალია და საქართველოში წარმოებული საქონელი უცხოურთან შედარებით - იაფი, მაშინ საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტი რაოდენობის სამაშულო წარმოების საქონელს მოიხმარს, ეიდრე უცხოურს. ამავე მიზეზით, უცხოელები შეიძენენ უფრო მეტი რაოდენობის ქართულ საქონელს. ამაგვარად, საქართველოს წმინდა ექსპორტის სიდიდე გაიზრდება.

პირიქით მოხდება ევდღაფერი, როდესაც რეალური გაცვლითი კურსი მაღალია. სამაშულო საქონელი და მომსახურება შედარებით გაძვირდება უცხოურთან შედარებით. ქვეყნის მოსახლეობა შეიძენს მეტი რაოდენობის უცხოურ საქონელს, ხოლო უცხოელები მოცემული ქვეყნის პროდუქციას - ნაკლები რაოდენობით. მაშინ, წმინდა ექსპორტის სიდიდე შემცირდება.

რეალურ გაცვლით კურსსა და წმინდა ექსპორტს შორის თანაფარდობა ჩაეწეროთ შემდეგნაირად:

$$NX = NX(\epsilon)$$

ამ ტოლობიდან ჩანს, რომ წმინდა ექსპორტი რეალური გაცვლითი კურსის ფუნქციაა. აღნიშნული უარყოფითი დამოკიდებულება ნაჩვენებია ნახ. 7-8-ზე. გაიყოსნეთ, რომ NX სადალამბდლო ბალანსის მიმდინარე ოპერაციითა ანგარიშვითა, ასე რომ, ნახ. 7-8-ზე ნაჩვენებია აგრეთვე დამოკიდებულება საგადამხდლო ბალანსის მიმდინარე ოპერაციითა ანგარიშსა და რეალურ გაცვლით კურსს შორის.



ნახ. 7-8 წმინდა ექსპორტი და რეალური გაცვლითი კურსი. ნახაზე ნაჩვენებია დამოკიდებულება რეალურ გაცვლით კურსსა და წმინდა ექსპორტს შორის: რაც უფრო დაბალია რეალური გაცვლითი კურსი, მით უფრო იაფია სამაშალო წარმოების საქონელი იმპორტულთან შედარებით და მით უფრო მაღალია ჩვენი წმინდა ექსპორტის სიდიდე. შევიშნოთ, რომ პორობონტალური ღირებობის ნაწილზე განლაგებულია NX -ის უარყოფითი მნიშვნელობებიც: რადენადაც იმპორტი შეიძლება ატარებდეს ექსპორტს, იმდენად წმინდა ექსპორტის სიდიდე შეიძლება ნულზე ნაკლები იყოს.

მაბალითი 7-2

როგორ რეაგირებენ ფირმები გაცვლითი კურსის ცვლილებებზე

საწარმოები, რომლებიც ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში, ძლიერ არიან დამოკიდებული გაცვლით კურსზე. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, რომლის განმავლობაშიც გაცვლითი კურსები განსაკუთრებით ძლიერ გაელანას განიცდიდნენ. კვემო მრეწველობის კომპანია, რომელიც გაშეკვერდა „New York Times“-ში, ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ როგორი რეაქცია ჰქონდა 1988 წელს ამერიკულ მრეწველობას რეალური გაცვლითი კურსის ვარდნის მიზართ. როგორ ფიქრობთ, რა მოიპოვებდეს უცხოურმა კომპანიებმა ამ დროს?

ფოლადის მრეწველობა ამერიკელმა მწარმოებელმა, რომლებიც ელოდებან დალოარის კურსის შემდგომ გაუფასურებას და ფოლადის მსოფლიო ბაზარზე სტიკაციის გართულებას, ფოლადის ექსპორტი უკანასკნელ წლებში ყველაზე მაღალ დონეზე გაზარდეს.

მაგალითად, ქვეყანაში ფოლადის ყველაზე მსხვილმა მწარმოებელმა - „USX“-მა ახლანანს კელაე გახსნა ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაიწვლი საექსპორტო ფილიალი „United States Steel International, Inc“. კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს აგრეთვე, რომ ფირმა გეგმავს ორი წლის განმავლობაში გაზარდოს ექსპორტის მოცულობა ფოლადის წარმოების საერთო მოცულობის 10%-მდე. მოცემულ მომენტში კომპანია ახდენს მის მიერ წარმოებულ ფოლადის 1%-ზე ნაღების ექსპორტირებას.

ანალოგიურად, „Armco Inc.“-ის წარმომადგენლებმა, რომლებიც აწარმოებენ ფოლადს ნიუ-ჯერსონი, განაცხადეს, რომ ორი წლის განმავლობაში კომპანია გეგმავს გააორმაგოს საკუთარი ექსპორტის მოცულობა, რომელიც მოცემულ მომენტში შეადგენს მისი წარმოების სიდიდის 3%-ს.

ფოლადის მწარმოებელი კომპანიების ასუსისებები მომუშავეები ამბობენ, რომ საექსპორტო ოპერაციების მიმართ მათი ინტერესების განახლება ფუნქცია იმ რწმანას, რომ კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში დოლარი დარჩება შედარებით სუსტი და რომ უცხოელი მომხმარებლები სულ უფრო და უფრო განიხილვენ ამერიკულ ფოლადს, როგორც კონკურენტუნარიანს საქონელს სუსტი დოლარი ხელს უწყობს ამერიკულ ექსპორტს, ამიტომებს რა ამერიკული საქონლის ფასს უცხოურ ვალუტაში.


„მას შემდეგ, რაც დოლარმა დაიწყო პოზიციების დათმობა, ჩვენ 20%-ით გაუზარდეთ საერთაშორისო ოპერაციების განყოფილებათა მომუშავეების რაოდენობა“, განაცხადა ჩარლზ ა. სტიმტი, რომელიც თანამედროვე მასალებზე სპეციალიზირებული ფირმა „Armco“-ს ფილიალის ვიცე-პრეზიდენტია. „ჩვენ დაამზებულნი ვართ, რომ დოლარის დასუსტება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გაუზარდოთ ჩვენი პროდუქციის ექსპორტი“. (ნაწყვეტი გაზეთიდან „New York Times“-ი, 1988 წლის 13 ივნისი).

ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ რეალურ გაცვლით კურსს
 ზემოთაზიხილი რეალური გაცვლითი კურსის ფორმირების მოდელში წმინდა ექსპორტსა და რეალურ გაცვლით კურსს შორის თანაფარდობა ერთიანდება საგადაამხდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოდელში. ჩვენ ვხედავთ, რომ რეალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება ორი ფაქტორით.

- რეალური გაცვლითი კურსი დაკავშირებულია საგადაამხდლო ბალანსის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშთან. რაც უფრო მაღალია რეალური გაცვლითი კურსი, მით უფრო ძვირია საკუთარ ქვეყანაში წარმოებული საქონელი უცხოურთან შედარებით, მით უფრო დაბალია წმინდა მოთხოვნა ექსპორტზე და მით უფრო მცირეა საგადაამხდლო ბალანსის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი საღირს სიდიდე. მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშში უნდა გააწონასწოროს კაპიტალის მოძრაობის ანგარიში, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის საღირს ტოლია დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის სხვაობისა. დანაზოგი მოცემულია მოხსარების ფუნქციითა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკით; ინვესტიციები მოცემულია ინვესტიციების ფუნქციითა და მსოფლიო სავაჭრო ბაზარზე განაკეთით.

ორი პირობა ასახულია ნახ. 7-9-ზე. ხაზი, რომელიც გვიჩვენებს საგადაამხდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის საღირსსა და რეალურ გაცვლით კურსს შორის დამოკიდებულებას, ექვმთაა დახრილი, რადგანაც უფრო მაღალი რეალური გაცვლითი კურსი იწვევს წმინდა ექსპორტის მანქანების შემცირებას. ხაზი, რომელიც ასახავს დანაზოგების გადამტებას ინვესტიციებზე ვერტიკალურადა, რადგანაც არც დანაზოგი და არც ინვესტიცია არ არის დამოკიდებული რეალურ გაცვლით კურსზე. ამ ორი გრაფიკის გადაკვეთის წერტილი განსაზღვრავს გაცვლითი კურსის წონასწორულ მნიშვნელობას.

ნახ. 7-9 გამოიყურება, როგორც მოთხოვნისა და მიწოდების ჩვეულებრივი სქემა. ფაქტიურად, ეს დიაგრამა შეიძლება განვიხილოთ, როგორც უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების დიაგრამა. S-I ვერტიკალური ხაზი აღნიშნავს ჩვენი დანაზოგების მეტობას ჩვენსავე ინვესტიციებზე და შესაბამისად, ჩვენივე ვალუტის მიწოდებას, რომლებიც უნდა გადაიცვალოს უცხოურ ვალუტაზე უცხოეთში საინვესტიციოდ. დაბლა მიმართული NX ხაზი ასახავს ლარებზე წმინდა მოთხოვნას, რომელიც ყალიბდება სამამულო წარმოების პროდუქციის მყიდველ უცხოელთა მიერ. **წერტილში, რომელიც შეესაბამება წონასწორულ რეალურ გაცვლით კურსს, უცხოეთში სრულიტების სახით ლარების მიწოდება აწონასწორებს ლარებზე მოთხოვნას, რომელიც წარმოადგენილია ჩვენი წმინდა ექსპორტის მყიდველი უცხოელების მიერ.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წერტილში, რომელიც შეესაბამება წონასწორულ რეალურ გაცვლით კურსს, ლარების მიწოდება კაპიტალის ოპერაციების მიხედვით აწონასწორებს ლარებზე მოთხოვნას მიმდინარე ოპერაციებისათვის.




ნახ. 7-9. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს რეალურ გაცვლით კურსს. რეალური გაცვლითი კურსი ყალიბდება იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის სხვაობის ამსახველი ვერტიკალური ხაზისა და მარჯვნივ ქვემოთ დახრილი წმინდა ექსპორტის გრაფიკის გადაკვეთის წერტილს. ამ წერტილში ლარების რაოდენობა, რომლებიც მიღებულია კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ოპერაციებით, ტოლია იმ ლარების რაოდენობისა, რომელიც საჭიროა მიმდინარე ანგარიშის საღირსს დასაფარავად.

რა გაელენას ახდენს ეკონომიკური პოლიტიკა რეალურ გაცვლით კურსზე მიღებული შედეგები ახლა შეგვიძლია გამოვიყენოთ იმის საჩვენებლად, თუ რა გაელენას ახდენს ჩვენს მიერ აღწე ადრეილი ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება რეალურ გაცვლით კურსზე. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა მოცემულ ქვეყანაში. რა მოუვა რეალურ გაცვლით კურსს, თუ მთავრობა ამცირებს ეროვნულ დანაზოგს სახელმწიფო შესყიდვების ზრდის ხარჯზე?

როგორც უკვე აღენიშნეთ, დანაზოგის მოცემული შემცირება ამცირებს S-I სიდიდეს და შესაბამისად - NX-ს. ამგვარად, დანაზოგის მოცულობის შემცირება ხელს უწყობს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტის წარმოქმნას.


ნახ. 7-10-ზე ნაჩვენებია, თუ როგორ კორექტირდება რეალური გაცვლითი კურსი NX-ის შემცირებით. ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება S-I ვერტიკალურ ხაზს გადაადგილებს მარცხნივ, ამცირებს რა აბით საზღვარგარეთ ინვესტიციებისთვის ღირებულების მიწოდებას. უფრო ნაკლები მიწოდება იწვევს რეალური გაცვლითი კურსის ზრდას, ე.ი. ღირს უფრო ძვირდება. ამის შედეგად, საქონელი, რომელიც წარმოებულია ჩვენს ქვეყანაში, ძვირდება უცხოურ საქონელთან შედარებით, რაც იწვევს ექსპორტის შემცირებას და იმპორტის ზრდას.



ნახ. 7-10. ქვეყნის შიგნით სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გავლენა რეალურ გაცვლით კურსზე. მოცემულ ქვეყანაში სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა იწვევს ეროვნული დანაზოგის დონის შემცირებას, რაც ამცირებს ღირებულების მიწოდებას და ზრდის რეალური გაცვლითი კურსის წონასწორულ მნიშვნელობას.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა საზღვარგარეთ. რა მოუვა რეალურ გაცვლით კურსს, თუკი საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობები გაზრდიან სახელმწიფო შესყიდვების მოცულობას ან შეამცირებენ გადასახადებს? საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მსგავსი ცვლილება გამოიწვევს მსოფლიო დანაზოგის შემცირებას და ამგვარად, გაზრდის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს. მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა შეამცირებს შიდა ინვესტიციების სიდიდეს I, შედეგად გაიზრდება S-I და შესაბამისად - NX. ამგვარად, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზრდა განაპირობებს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი სადღოს წარმოშობას.

ნახ. 7-11-ზე ნაჩვენებია, თუ როგორ გადაადგილდება S-I ვერტიკალური ხაზი ამ სიტუაციაში, რომელიც ზრდის ღირებულების მიწოდებას საზღვარგარეთ საინვესტიციოდ. რეალური გაცვლითი კურსის წონასწორული მნიშვნელობა მცირდება. ამგვარად, ღირს ნაკლებად ფასიანად ხდება, ხოლო საკუთარი წარმოების საქონელი კი - ნაკლებად ძვირი უცხოურთან შედარებით.




ნახ. 7-11. საზღვარგარეთ სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გავლენა რეალურ გაცვლით კურსზე. ეკონომიკის მასტიმულირებელი ღონისძიებები საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის დახმარებით საზღვარგარეთის ქვეყნებში იწვევს მსოფლიო დანაზოგის დონის შემცირებას, ზრდის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს და ამგვარად, ამცირებს ინვესტიციის დონეს მცირე ღირს ეკონომიკაში. ინვესტიციების შემცირება იწვევს ღირებულების მიწოდების ზრდას და ამცირებს რეალური გაცვლითი კურსის წონასწორულ მნიშვნელობას.

საინვესტიციო მოთხოვნის ცვლილება რა მოუვა რეალურ გაცვლით კურსს, თუკი მცირე ღირს ეკონომიკაში საინვესტიციო მოთხოვნა იზრდება, მაგალითად, პარლამენტის მიერ საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის თაობაზე კანონის მიღების შედეგად? მოცემული მსოფლიო საპროცენტო


განაკეთის შემთხვევაში საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა იწვევს ინვესტიციების მოცულობის ზრდას. 1-ს მეტი მნიშვნელობა ნიშნავს S-1-ს და NX-ის ნაკლებ სიდიდეს. ამგვარად, საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა იწვევს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტს.

ნახ. 7-12-ზე ნაჩვენებია, რომ საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა გადაადგილებს S-1 ვერტიკალურ ხაზს მარცხნივ. ამცირებს რა ამით ლარების მიწოდებას უცხოეთში საინვესტიციოდ. რეალური გაცვლითი კურსის წონასწორული მნიშვნელობა იზრდება. ამგვარად, საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი, რომელიც წყენს ქვეყანაში ინვესტიციებს უფრო მიზმიდევლს ხდის, განაპირობებს ლარის კურსის ზრდას და საშაბულო წარმოების საქონლის გააქირებას იმპორტულ-თან შედარებით.



ნახ. 7-12. საინვესტიციო მოთხოვნის მრუდის გადაადგილების გავლენა რეალურ გაცვლით კურსზე საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა იწვევს შიდა ინვესტიციების მოცულობის ზრდას. შესაბამისად, ეს ამცირებს S-1-ს მნიშვნელობას, რაც ამცირებს ლარების მიწოდებას და ზრდის რეალური გაცვლითი კურსის წონასწორულ მნიშვნელობას.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გავლენა. ახლა, როდესაც გვაქვს მოდელი, რომელიც აღწერს საგადასახადო ბალანსს და რეალურ გაცვლით კურსს, სენ შევიძლია ამ აპარატის გამოყენება საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მაკროეკონომიკური შედეგების გასაანალიზებლად. ფართო გაგებით, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა – ეს არის პოლიტიკა, რომელიც ტარდება იმპორტირებადი ან ექსპორტირებადი საქონლისა და მომსახურების რაოდენობაზე პირდაპირი ზემოქმედების მოხდენის მიზნით. არც თუ იშვიათად, არსებული სავაჭრო პოლიტიკა მიმართულია საკუთარი მრეწველობის უცხოური კონკურენციისაგან დასაცავად იმპორტზე გადასახადების (ტარიფების) შემოღებით ან საქონლისა და მომსახურების იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების (კოტების) დაწესებით.



ნახ. 7-13. პროტექციონისტული პოლიტიკის გავლენა რეალურ გაცვლით კურსზე პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა ზრდის წმინდა ექსპორტზე მოთხოვნას და შესაბამისად, იწვევს რეალური გაცვლითი კურსის ზრდას.

პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის მაგალითის სახით განვიხილოთ რა მოხდება, თუკი საქართველოს მთავრობა აკრძალავს უცხოური საქონლის, ვთქვით, ჩაის იმპორტს. რეალური გაცვლითი კურსის ნებისმიერი მოცემული მნიშვნელობის შემთხვევაში იმპორტის მოცულობა უნდა შემცირდეს, ე.ი. წმინდა ექსპორტის სიდიდე (ექსპორტს მინუს იმპორტი) უნდა გაიზარდოს. საბოლოოდ, წმინდა ექსპორტის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ-მალა, როგორც ეს ნაჩვენებია

ნახ. 7-13-ზე. წინასწორების ახალ წერტილში რეალური გაცვლითი კურსი გაიზარდა, ხოლო წმინდა ექსპორტის სიდიდე უცვლელი დარჩა.

ზემოთმოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროტექციონისტული საეკონომიკური პოლიტიკა არ ახდენს გავლენას საგადასხვადლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის სადღოზე. ეს დასკვნა მნიშვნელოვანია მით უფრო, რომ ფართო საზოგადოების წინაშე არსებულ დებატებში ხშირად მის იგნორირებას ახდენენ. რამდენადაც საგადასხვადლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დევიციტი ასახავს იმპორტის გადაიტებას ექსპორტზე, შეიძლება ვთვარყო, რომ იმპორტის შემცირებამ ტარიფებითა თუ საეკონომიკური კორექციებით უნდა შეამციროს დევიციტი. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოდელი გვიჩვენებს, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა იწვევს მხოლოდ რეალური გაცვლითი კურსის ზრდას. სამაშულო წარმოების საქონლის გაძვირება უცხოურთან შედარებით იწვევს წმინდა ექსპორტის შემცირებას, რითაც პროტექციონისტული ღონისძიებებით გამოწვეული წმინდა ექსპორტის ზრდა ანარაობამდე დაკავს. მიმდინარე ანგარიშის სადღო შესაცვლელად აუცილებელია კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის შეცვლა, რომელიც ასახავს თანაფარდობას ინვესტიციებსა და დანახოებს შორის. რამდენადაც პროტექციონისტული პოლიტიკა არ ეხება არც ინვესტიციებს და არც დანახოებს, მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს არც კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე და არც მიმდინარე ოპერატივა ანგარიშზე.

მიუხედავად ამისა, პროტექციონისტული პოლიტიკა გავლენას ახდენს საგარეო-საეკონომიკური საქონლებზე მოცულობაზე. როგორც ვნახეთ, რეალური გაცვლითი კურსის ზრდის დროს საკუთარი წარმოების საქონელი და მომსახურება ძვირდება უცხოურთან შედარებით. ამგვარად, წინასწორების ახალ წერტილში ჩვენი ექსპორტის მოცულობა ნაკლები იქნება. ხოლო არადაც წმინდა ექსპორტი უცვლელი რჩება, ჩვენს მოგვიწვევს აგრეთვე ნაკლები პროდუქციის იმპორტება. ამგვარად, პროტექციონისტულ პოლიტიკას მიუყვართ როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მოცულობის შემცირებასთან.

ეაჭრობის საერთო მოცულობის ასეთი შემცირება იმ ეკონომისტთა მიზანმიმართულ არგუმენტია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას. საერთაშორისო ეაჭრობა ყველა ქვეყნისთვის მომგებიანია, რომელიც თითოეულს საშუალებას აძლევს მოახდინოს იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე სპეციალიზაცია, რომელთა წარმოებაც ამ ქვეყნებში ყველაზე უკეთაა შესაძლებელი (ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელთა წარმოების ადვანტიჯი უფრო დიდია ამ ქვეყნებში უფრო ძვირად) და თითოეული ქვეყნის მოსახლეობას თავაზობს პროდუქციის დიდ არჩევანს. პროტექციონისტულ პოლიტიკას კი ეაჭრობის ეს უპირატესობები არარაობამდე დაკავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროტექცია შესაძლოა მომგებიანი იყოს საზოგადოების გარკვეული წევრებისათვის – მაგალითად, ჩაის იმპორტის აკრძალვა ხელს აძლევს ამ პროდუქციის სამაშულო მწარმოებლებს – მთლიანად საზოგადოება წაგებული რჩება საერთაშორისო ეაჭრობის მოცულობის შემცირებით.

ნომინალური გაცვლითი კურსის განმსაზღვრელი ფაქტორები

ახლა ჩვენი ყურადღება მივმართოთ ნომინალურ გაცვლით კურსზე, რომლის მიხედვითაც ერთმანეთზე დვლდება ორი ქვეყნის ვალუტა. გაიხსენოთ რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსს შორის თანაფარდობა:

$$\begin{matrix} \text{რეალური} & & \text{ნომინალური} & & \text{ფასების} \\ \text{გაცვლითი} & = & \text{გაცვლითი} & \times & \text{დონება} \\ \text{კურსი} & & \text{კურსი} & & \text{თანაფარდობა} \\ & & & & \frac{P}{P^*} \end{matrix}$$

ჩვენ შეგვიძლია ნომინალური გაცვლითი კურსი ჩაეწეროთ შემდეგნაირად:

$$e = e^* \times \frac{P}{P^*}$$

მოცემული ტოლობა გვიჩვენებს, თუ რა განსაზღვრავს ნომინალურ გაცვლით კურსს: ის დამოკიდებულია რეალურ გაცვლით კურსზე და ორ ქვეყანაში არსებულ ფასების დონეზე. თუკი, მაგალითად, საკუთარულში იზრდება ფასების დონე (P), ნომინალური გაცვლითი კურსი e შემცირდება: რამდენადაც ღარი ახლა უფრო ნაკლები ღირს, მასზე შესაძლებელია ნაკლები რაოდენობის დოლარების ყიდვა. მეორე მხრივ, თუკი აშშ-ში იზრდება ფასების დონე P*, ნომინალური გაცვლითი კურსი გაიზარდება: რამდენადაც დოლარის ფასებზე უფრო მეტი დოლარი შესაძლებელი იქნება დოლარების დიდი რაოდენობის შექება.

ხასარგებლო გაცვლითი კურსის ცვლილებების გაანალიზება დროში. გაცვლითი კურსის ტოლობა შესაძლებელია შემდეგნაირად ჩაეწეროს:

$$e\text{-ს ცვლილება } (\%-\text{ში}) = e\text{-ს ცვლილება } (\%-\text{ში}) + P^*\text{-ს ცვლილება } (\%-\text{ში}) - P\text{-ს ცვლილება } (\%-\text{ში}).$$

e-ს ცვლილება პროცენტულ გამოხატულებაში რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებაა. P-ს ცვლილება პროცენტულ გამოხატულებაში ჩვენთან არსებული ინფლაციის დონეა π, ხოლო P*-ს ცვლილება პროცენტულ გამოხატულებაში - სხვა ქვეყანაში არსებული ინფლაცია π*. ამგვარად, ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება პროცენტულ გამოხატულებაში არის

$$e\text{-ს ცვლილება } (\%-\text{ში}) = e\text{-ს ცვლილება } (\%-\text{ში}) (\pi^*-\pi).$$

ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება პროცენტულ გამოხატულებაში = რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება პროცენტულ გამოხატულებაში ინფლაციის ტემპებს შორის სხვაობა

მოცემული ტოლობა გვიჩვენებს, რომ ორი ქვეყნის ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება რეალური გაცვლითი კურსისა და ამ ქვეყნებში არსებული ინფლაციის ტემპებს შორის სხვაობის ფუნქციაა. თუკი რომელიმე ქვეყანაში ინფლაციის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე საერთოელოში, დროთა განმავლობაში ლარით შესაძლებელი გახდება ამ ქვეყნის სულ უფრო მეტი ვალუტის ყიდვა. თუკი ინფლაციის ტემპი სხვა ქვეყანაში უფრო დაბალია, ვიდრე საერთოელოში, დროთა განმავლობაში ლარით შესაძლებელი იქნება ამ ქვეყნის სულ უფრო ნაკლები ვალუტის ყიდვა.

ანალიზი გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს მთავრობის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ნომინალურ გაცვლით კურსზე. მეტ თავიანდ ვიცით, რომ ფულის მიწოდების მნიშვნელოვანი ზრდა იწვევს ინფლაციის მაღალ ტემპებს. მაღალი ინფლაციის ერთ-ერთი შედეგია ვალუტის გაუფასურება: მაღალი π ნიშნავს კლებად e-ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზუსტად ისევე, როგორც ფულის მიწოდების ზრდა იწვევს საკრედიტო ფასების ზრდას ფულად გამოხატულებაში, ის იწვევს უცხოური ვალუტის ფასის ზრდას გამოხატულს ეროვნულ ვალუტაში.


მაბალაიტი 7-3

ინფლაცია და ნომინალური გაცვლითი კურსი

თუ გაავალიზებთ მონაცემებს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ გაცვლით კურსებზე და ფასების დონეზე, სწრაფად დაიჭმუნდებით ინფლაციის მნიშვნელობაში ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილებების ასახნულად. გველაზე ნათელ მაგალითს გვაძლევს ჰაიკრინფლაციის პერიოდები. მაგალითად, 1983 წლიდან 1988 წლებამდე პერიოდში მექსიკაში ფასების დონე გაიზარდა 2300%-ით. ასეთი მაღალი ინფლაციის გამო მექსოს რაოდენობა, რომელთა შეზენაც შეიძებოდა 1 დოლარით, 1983 წელს არსებულ 144-დან გაიზარდა 2281-მდე 1988 წლისათვის.

ასეთივე დამოკიდებულება დამახასიათებელია უფრო ზომიერი ინფლაციის მქონე ქვეყნებისთვისაც კი. ნახ. 7-14-ზე მოცემულია დიაგრამა, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას ინფლაციასა და გაცვლით კურსებს შორის მსოფლიოს 15 წამყვანი ქვეყნისათვის. პრიზონალურ დროზე ნაჩვენებია სხვაობა ქვეყნების მიხედვით ინფლაციის საშუალო ტემპებსა და აშშ-ში ინფლაციის საშუალო ტემპებს შორის. ევრტიკალურ ღერძზე განლაგებულია უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსების ცვლილებები აშშ-ს დოლართან მიმართებაში, გამოსახული პროცენტებში. ნახასზე ნათლად ჩანს დადებით დამოკიდებულება ამ ორ ცვლადს შორის. შევარებით უფრო მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში შეიმჩნევა ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენცია, ხოლო შედარებით დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში კი - ეროვნული ვალუტების კურსის ზრდის ტენდენციები.


მაგალითად, განვიხილოთ დოლარსა და გერმანულ მარკას შორის გაცვლითი კურსი. 1970-1988 წლებში გერმანია და აშშ განიცდიდა ინფლაციას; ასე რომ, როგორც დოლარზე, ისევე მარკაზე უკვე შესაძლებელი გახდა ნაკლები საპროცენტო და მომსახურების შეტანა, ვიდრე უწინ. მაგრამ, როგორც 7-14 ნახასზე ჩანს, გერმანიაში ინფლაცია უფრო ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ში. ეს ნიშნავს, რომ მარკის ღირებულება დოლარის ღირებულებასთან შედარებით ნაკლებად დეცა. ამგვარად, გერმანული მარკის რაოდენობა, რომელთა შეზენაც შესაძლებელი იყო 1 დოლარად, დროთა განმავლობაში შემცირდა.



ნახ. 7-14. ინფლაციის ტემპებსა და გაეცლითი კურსებს შორის განსხვავება ქვეყნების მიხედვით. მოცემულია დაიკრება გეოგრაფიკულ და მოკიდებულებას ინფლაციასა და გაეცლითი კურსებს შორის. პორიზონტალური ღერძზე განლაგებულია ინფლაციის საშუალო ტემპები ქვეყნების მიხედვით აშშ-ში არსებული ინფლაციის საშუალო ტემპების გამოკლებით 1972-200 წლებისათვის. ვერტიკალურ ღერძზე ნაჩვენებია ქვეყნების ეროვნული ვალუტების გაეცლითი კურსის საშუალო ცვლილებები აშშ-ს დოლართან მიმართებაში პროცენტული გამოხატულებით. ნახაზზე ჩანს, რომ შედარებით მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში შეიძლება ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენცია, ხოლო შედარებით დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში კი - ეროვნული ვალუტის ღირებულების ზრდის ტენდენცია.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი

ეკონომიკური თეორიის ძირითადი პოსტულატი, რომელმაც მიიღო ერთიანი ფასების კანონის სახელწოდება, მეტყველებს, რომ ერთი და იგივე საქონელი შეუძლებელია ერთდროულად იყიდებოდეს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფასით. თუკი ხორბალი აღმოსავლეთ საქართველოში იყიდება იაფად, ეიფრე დასავლეთში, შესაძლებელია მოგების მიღება აღმოსავლეთში ხორბლის ყიდვით და შემდგომ, დასავლეთში მისი გაყიდვით. ასეთი შესაძლებლობების მუდმივად მსარგებელი გადაამყიდველები გაზრდიან მოთხოვნას ხორბალზე აღმოსავლეთ საქართველოში და გააფართოვებენ მის მიწოდებას დასავლეთში. ეს გამოიწვევს აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალზე ფასების ზრდას და დასავლეთ საქართველოში მის შემცირებას, რითაც უზრუნველყოფენ ორივე ბაზარზე ფასების გათანაბრებას.



ნახ. 7-15. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ერთიანი ფასების კანონი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ბაზრების მიმართ, გულისხმობს, რომ წმინდა ექსპორტი ხასიათდება განსაკუთრებით მაღალი მგრძობელობით რეალური გაცვლითი კურსის მცირედი ცვლილებების მიმართ.

ერთიანი ფასების კანონმა, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ბაზრებზე, მიიღო მსყიდველობითი უნარის პარიტეტის სახელწოდება. ის გვეუბნება, რომ თუკი საერთაშორისო ბაზრებზე შესაძლებელია გადაირიდებულთა მოქმედებები, მაშინ, მაგალითად, დოლარი უნდა ფლობდეს ერთნაირ მსყიდველობით უნარს ყველა ქვეყანაში. ეს გარემოება აიხსნება შემდეგნაირად: თუკი დოლარით აშშ-ში შესაძლებელია მეტი ხორბლის შექმნა, ვიდრე უცხოეთში, მაშინ არსებობს მოგების მიღების შესაძლებლობა, თუკი შევიქმნო ხორბალს აშშ-ში და გავყიდოთ საზღვარგარეთ. მოგების მაქსიმალური გადაამყიდველები თავისი ქმედებებით გაზრდიან ხორბლის ფასს აშშ-ში იმ დონემდე, ვიდრე ის არ გაუთანაბრდება მსოფლიო ფასს. ანალოგიურად, თუკი საზღვარგარეთ დოლარით შესაძლებელია მეტი ხორბლის ყიდვა, ვიდრე აშშ-ში, მაშინ გადაამყიდველები შეისყიდნენ ხორბალს საზღვარგარეთ და გაყიდნენ აშშ-ში, რითაც შეამცირებენ აშშ-ში არსებულ ფასს მსოფლიო ფასის დონემდე. ამგვარად, საერთაშორისო გადაამყიდველების მოქმედებას მივყავართ სხვადასხვა ქვეყნებში ხორბალზე ფასების გამოთანაბრებასთან.

ჩვენ შეგვიძლია მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კონცეფციის ინტერპრეტაცია რეალური გაცვლითი კურსის ჩვენგან მოდელირებით. აღნიშნული საერთაშორისო გადაამყიდველების ქმედებათა სისწრაფე მოწოდებს იმაზე, რომ წმინდა ექსპორტი ძალზედ მგრძობიარება რეალური გაცვლითი კურსის მცირედი ცვლილებების მიმართ. სამამულო საქონლის ფასის მცირედი ცვლილება უცხოეთთან მიმართებაში ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალური გაცვლითი კურსის მცირედი შემცირება გადაამყიდველებს აძლევს შესყიდონ საკუთარ ქვეყანაში წარმოებული საქონელი და გაყიდონ საზღვარგარეთ. ანალოგიურად, სამამულო წარმოების საქონლის შეფარდებითი ფასის მცირედი ზრდა გადაამყიდველებს აძლევს მოახდინონ უცხოეთიდან საქონლის იმპორტი. ამგვარად, როგორც ნახ. 7-15-ზე ნაჩვენებია, წმინდა ექსპორტის მრუდი ხდება უფრო დამრტყი რეალური გაცვლითი კურსის დონის პირობებში, რომელიც გამოთანაბრებს სხვადასხვა ქვეყნებში ვალუტების მსყიდველობით უნარს: რეალური გაცვლითი კურსის ნებისმიერი უმნიშვნელო ცვლილებები იწვევს წმინდა ექსპორტის მნიშვნელოვან ცვლილებებს. წმინდა ექსპორტის აღნიშნული განსაკუთრებული მგრძობიარება უზრუნველყოფს წინასწორული რეალური გაცვლითი კურსის მიახლოებას მსყიდველობითი უნარის პარიტეტის დონესთან.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კონცეფციიდან გამომდინარეობს ორი მნიშვნელოვანი დასკვნა: პირველი, ვინაიდან წმინდა ექსპორტის მრუდი დამრტყია, დანახოებისა და ინვესტიციების სიღრმეა ცვლილება არ ახდებს არსებით ზემოქმედებას რეალურ თუ ნომინალურ გაცვლითი კურსებზე. მეორე, რადგანაც რეალური გაცვლითი კურსი ფიქსირებულია, ნომინალური გაცვლითი კურსის ნებისმიერი ცვლილება მიმდინარეობს ფასების დონის ცვლილების შედეგად.

რეალისტურია თუ არა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის დოქტრინა? ეკონომისტთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ მიუხედავად თავისი დამაჯერებელი დოკუმისა, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კონცეფცია ვერ აღწერს რეალურ სამყაროს მთლიან სარწმუნოდ. ჯერ ერთი, არც ისე იოლია საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაერთოდ საქონლისა და მომსახურების მნიშვნელოვანი კატეგორია. მაგალითად, ტოკიოში თმის შეტრა შეიძლება უფრო ძვირი ღირდეს, ვიდრე ნიუ-ორკოში, მაგრამ აქ გადაამყიდველების მოქმედებას ადგილი არ აქვს, ვინაიდან შეუძლებელია თმის შეტრის პროცესის სიერცეში გადაადგილება. მეორე, საქონელთა ჯგუფი, რომელიც ვაჭრობის მაგნიტი, ყოველთვის არ წარმოადგენს ურთიერთშემცველად. მაგალითად, ზოგიერთი საშინაოებრივი უპირატესობას ანიჭებს „ტოიოტას“, ხოლო ზოგიერთი კი - „ფორდს“. ამგვარად, „ტოიოტას“ და „ფორდს“ შეფარდებითი ფასები შეიძლება მერყეობდეს გარკვეულ ფარგლებში ისე, რომ ამ დროს არ ტოყვებდეს მოგების მიღების შესაძლებლობას. ამ მიზეზით, სინამდვილეში, რეალური გაცვლითი კურსი იცვლება დროთა განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი სამყაროს რეალურად ვერ აღწერს, ის აშკარაააქვს იმ მიზეზებს, რომ იოლია ძალითაც შეიძლება ველოდოთ, რომ ზუსტადი გაცვლითი კურსის რყეები შეზღუდული იქნება. ამ კონცეფციის ფუნდამენტური დოკუმის ექვს არ იწვევს: რაც უფრო ძლიერ იქნება გადახრილი რეალური გაცვლითი კურსი იმ დონისგან, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კონცეფციის შესაბამისად, მით უფრო მეტი სტიმულები ექნებათ კერძო პირებს განახორციელონ ვაჭრობა საერთაშორისო არენაზე. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება დაეყარნათ იმ აზრს, რომ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი თითქმის უზრუნველყოფს რეალური გაცვლითი კურსის უცვლელობას, ეს კონცეფცია საფუძველს იძლევა ეთერადოთ, რომ რეალური გაცვლითი კურსის რყეები, როგორც წესი, მხოლოდ მცირედი ან დროებითი იქნება.

მაბალნითი 7.4

ბიგ მაკო მილეს მსოფლიოში

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კონცეფცია გვეუბნება, რომ გაცვლითი კურსების გათვალისწინებით საქონელი ყველგან ერთნაირი ფასით უნდა იყიდებოდეს. შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ

ორ ვალუტას შორის გაცვლითი კურსი დამოკიდებული უნდა იყოს ამ ორ ქვეყანაში არსებულ ფასების დონეზე.

ამ კონცეფციის შესაბამისად საერთაშორისო ურნალმა „The Economist“ შეაჯიშა იმ საკონლოს ფასებზე მონაცემები, რომელიც მრავალ ქვეყანაში იყიდება: ფირმა მაკდონალდსის სამხურტერი - „ბიგ მაკი“. მსოფლედლობითი უნარის პარიტეტის კონცეფციის შესაბამისად, „ბიგ მაკის“ ფასი მჭიდროდ უნდა ადგილობრივ ვალუტაში, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ნომინალური გაცვლითი კურსი (ერთ დოლარზე გაანგარიშებით გამოხატული ერთეული ვალუტის ერთეულში).

ცხრილი 7-1-ში მოყვანილია „ბიგ მაკის“ ფასები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 2000 წლისათვის, რომელსაც აშშ-ში „ბიგ მაკი“ იყიდებოდა 2,51 დოლარად. ამ მონაცემთა საფუძველზე და მსოფლედლობითი უნარის პარიტეტის კონცეფციის დასაზრგებით შეიძლება გაიანგარიშოთ, თუ როგორი უნდა იყოს ნომინალური გაცვლითი კურსი, მაგალითად, თუკი იაპონიაში „ბიგ მაკი“ ღირდა 294 იენი, შეიძლება ვეგარუდოთ, რომ იენსა და დოლარს შორის გაცვლითი კურსი იქნება 294/2,51, ანუ 117 იენი ერთ დოლარზე მოცემული გაცვლითი კურსის შემთხვევაში „ბიგ მაკის“ ღირებულება იაპონიაში და აშშ-ში ერთნარი იქნებოდა.

ცხრილი 7-1

„ბიგ მაკის“ ფასი და გაცვლითი კურსი მსოფლედლობითი უნარის პარიტეტის კონცეფციის გამოყენება

ქვეყნები	ვალუტა	„ბიგ მაკის“ ფასი	გაცვლის კურსი (აშშ-ს დოლარზე)	
			განგარიშებითი	მოქმედი
ინდონეზია	რუპია	14,500	5,777	7,945
იტალია	ლირა	4,500	1,793	2,088
სამხრეთი კორეა	ეონი	3,000	1,195	1,108
ჩილე	პესო	1,260	502	514
ესპანეთი	პესეტა	375	149	179
უნგრეთი	ფორინტი	339	135	279
იაპონია	იენი	294	117	106
ტაივანი	დოლარი	70.0	27.9	30.6
ტაილანდი	ბატი	55.0	21.9	38.0
ჩეხეთის რესპუბლიკა	კრონი	54.37	21.7	39.1
რუსეთი	რუბლი	39.50	15.7	28.5
დანიია	კრონი	24.75	9.86	8.04
შვედეთი	კრონი	24.0	9.56	8.84
მექსიკა	პესო	20.9	8.33	9.41
საფრანგეთი	ფრანკი	18.5	7.37	7.07
ჩინეთი	იუანი	9.90	3.94	8.28
სამხრეთი აფრიკა	რანდი	9.0	3.59	6.72
შვეიცარია	ფრანკი	5.90	2.35	1.70
პოლონეთი	ზლოტი	5.50	2.19	4.30
გერმანია	მარკა	4.99	1.99	2.11
მალაიზია	დოლარი	4.52	1.80	3.80
ახალი ზელანდია	დოლარი	3.40	1.35	2.01
სინგაპური	დოლარი	3.20	1.27	1.70
ბრაზილია	რეალი	2.95	1.18	1.79
კანადა	დოლარი	2.85	1.14	1.47
ავსტრალია	დოლარი	2.59	1.03	1.68
აშშ	დოლარი	2.51	1.00	1.00
არგენტინა	პესო	2.50	1.00	1.00
ბრიტანეთი	უნგრეთი სტერლინგი	1.90	0.76	0.63

შენიშვნა: გაანგარიშებითი გაცვლითი კურსი - ეს არის გაცვლითი კურსი, რომლის დროსაც „ბიგ მაკის“ ფასი ზოველ ქვეყანაში ტოლი იქნებოდა „ბიგ მაკის“ ფასისა აშშ-ში.

ცხრილი 7-1-ში მოყვანილია გაანგარიშებითი და მოქმედი გაცვლითი კურსები 30 ქვეყნისათვის. მსოფლედლობითი უნარის პარიტეტის კონცეფცია ზოგჯერ დასტურდება, ზოგჯერ კი - ვერა. ცალკეულ შემთხვევებში გაანგარიშებითი და მოქმედი გაცვლითი კურსები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, უმრავლეს შემთხვევებში გაანგარიშებითი და მოქმედი გაცვლითი კურსები ძალიან ახლოს იმყოფებიან ერთმანეთთან. მაგალითად, გაანგარიშებითი კურსი 117 იენი ერთ დოლარზე მცირდვით განსხვავდება მოქმედი კურსისგან - 106-სგან. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლედლობითი უნარის პარიტეტის კონცეფცია მთლად ზუსტი არ არის, ის იძლევა მიახლოებით წარმოდგენას გაცვლითი კურსების დონეებზე.

7.4. დასკვნა აშშ, როგორც დიდი ღია ეკონომიკა

მოცემულ თემაზე განვიხილეთ, თუ როგორ ფუნქციონირებს მცირე და ეკონომიკა ჩვენ გადაანალიზებულ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადებს, აგრეთვე რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსებს. ანალიზმა გვიჩვენა, სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკა - საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და სააგრო-სავაჭრო - თუ როგორ ახდენს გავლენას საქონლისა და მომსახურების აღნიშნულ ნაკადებზე და გაცვლით კურსზე.

ჩვენს მიერ განხილული ეკონომიკა „მცირეა“ იმ აზრით, რომ მასში სასპორცენტო განაკვეთი განისაზღვრება საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გამოვდივართ იმ ვარაუდიდან, რომ ქვეყნის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა და მისი მოქმედება გავლენას არ ახდენს მსოფლიო სასპორცენტო განაკვეთზე და რომ ეკონომიკისა შუამდგომლობის მსოფლიო სასპორცენტო განაკვეთით ისეხსოს და გასცეს კრედიტები განსაზღვრული რაოდენობით. მოცემული ვარაუდი მეტწილად განსხვავდება იმ დაშვებისაგან, რომელიც წარმოდგენილია მე-3 თავში. დახურულ ეკონომიკაში, რომელიც მე-3 თავში განვიხილეთ, შიდა სასპორცენტო განაკვეთი კორექტირდება შიდა დანახარებისა და ინვესტიციების გასაწონანსწორებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ დანახარებისა თუ ინვესტიციების მოცულობაზე მოქმედი პოლიტიკა გავლენას ახდენს სასპორცენტო განაკვეთის წინასწორულ მნიშვნელობაზეც.

ანალიზის როგორც მეორედ უნდა გამოვთვალოთ ისეთი ეკონომიკის მიმართ, როგორიცაა აშშ-ს ეკონომიკა? - როგორც ვთით, ისე მეორეც. ერთის მხრივ, აშშ არც ისე დიდია და არც ისე იზოლირებული, რომ მასზე გავლენას არ ახდენდეს საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენები. გასული საუკუნის შიდა წლებში არსებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დიდი დადებითი საღლო ამერიკული ინვესტიციების დასაფინანსებლად საერთაშორისო ფინანსური ბაზრების მნიშვნელობის დემონსტრირებას ახდენს. ამგვარად, დახურული ეკონომიკის ანალიზის მეთოდისაგან არ ძალუქს სრულად აღწეროს ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედება ამერიკული ეკონომიკაზე.

მეორეს მხრივ, ამერიკული ეკონომიკა არ წარმოადგენს იმდენად ღიასა და „მცირეს“, რომ მის მიმართ სრულად გამოსადეგი იყოს მოცემულ თემაზე წარმოდგენილი ანალიზის მეთოდიკა. ჯერ ერთი, აშშ საკმაოდ მსხვილი სახელმწიფოა და მისმა მოქმედებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე. სინამდვილეში, სწორედ აშშ-ში განხორციელებულ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში იქნა დანახული მაღალი სასპორცენტო განაკვეთების მიზეზი, რომელიც გაბატონებული იყო შიდა ინვესტიციების განამდილობაში. მეორე, ქვეყნის შორის კაპიტალის მოძილურობა შესაძლოა არ იყოს ისეთივე სრულყოფილი, როგორც იგულისხმებოდა ჩვენს მოდელში. თუკი ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ თავიანთი სიმდიდრის შენახვას შიდა და არა უცხოურ აქტივებში, ფონდები, რომლებიც აუცილებელია კაპიტალის დაგროვებისათვის, ვერ შეძლებს თავისუფლად გადაადგილებას სასპორცენტო განაკვეთების გასაწონანსწორებლად ყველა ქვეყანაში. ამიტომ, ჩვენ არ შეგვიძლია პირდაპირ გამოვიყენოთ მცირე ღია ეკონომიკის ანალიზის ჩვენებული მეთოდიკა აშშ-ს ეკონომიკის მიმართ.

ისეთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრებლად, როგორც აშშ-ა, აუცილებელია ვისარგებლოთ როგორც დახურული ეკონომიკის ანალიზის მეთოდით, რომელიც დამუშავებულია მე-3 თავში, ისე ღია ეკონომიკის ანალიზის მეთოდითაც, რომელიც მოცემულ თემაზე განვიხილეთ. ამ თავის დამატებაში განვიხილავთ ეკონომიკის მოდელს, რომელსაც შევადგინებთ პოსიცი აუტრიაზე ამ ორ უკიდურეს მდგომარეობას შორის. ამ შემთხვევაში არსებობს საერთაშორისო კრედიტები, მაგრამ სასპორცენტო განაკვეთი არ განისაზღვრება „გარედან“. პირიქით, რაც უფრო მეტს სესხულობს ეკონომიკა საზღვარგარეთ, მით უფრო მაღალი სასპორცენტო განაკვეთი უნდა შესთავაზოს უცხოელი ინვესტორებს. შედეგად, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი, ადგილი აქვს თავისი პარამეტრებით ორი სხვადასხვა მოდელის შესაშვებას.

მაგალითად, განვიხილოთ ერთგული დანახარების შემცირება, რომელიც გამოიწვევს სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგად. დახურული ეკონომიკის მსგავსად, პოლიტიკის მსგავსი ცვლილება გამოიწვევს სასპორცენტო განაკვეთის ზრდას და ინვესტიციების გამორედას. როგორც სრულიად მობილური კაპიტალის შემთხვევაში გვიჩვენებს ეკონომიკაში ხვდება, მთავრობის აღნიშნული ღონისძიება დიდ ეკონომიკაშიც გამოიწვევს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით საღლოს, საგადასხველო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს და რეალური გაცვლითი კურსის ზრდას. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ამ თავში განვიხილეთ მცირე ღია ეკონომიკის მოდელი ზუსტად ვერ აღწერს მოვლებს ისეთი ქვეყნებისთვის, როგორცაა აშშ, მას ძალუქს მოგვცეს მიახლოებითი მართებული პასუხი კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს ესა თუ ის პოლიტიკა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე მიმდინარე ანგარიშზე და გაცვლით კურსზე.

ძირითადი მასკმენი

1. წმინდა ექსპორტი ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობაა. ის ტოლია სხვაობისა იმ სიდიდეებს შორის, თუ რას ვაწარმოებთ და რაზე ვაყალიბებთ მოთხოვნას მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო შესყიდვების სახით.

2. ღია ეკონომიკაში არსებობს შემოსავლის ორი მაჩვენებელი. მთლიანი ეროვნული პროდუქტი – შემოსავალი, მიღებული ქვეყნის მოქალაქეების მიერ როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. მთლიანი შიდა პროდუქტი – შემოსავალი, მიღებული ქვეყნის ტერიტორიაზე როგორც მისი მოქალაქეების, ასევე უცხოელების მიერ.

3. საგადასხდელი ბალანსში კაპიტალის მოძრაობის ანგარიში – ეს არის ინვესტიციების გადაძებვა დანაზოგებზე; ის გვიჩვენებს ინვესტიციების მოცულობას, რომელიც ფინანსდება უცხოური სესხების ხარჯზე. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშმა უნდა გააწონასწოროს საგადასხდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიში, რომელშიც აისახება საზღვარგარეთიდან ჩვენი მიერ მიღებული საშუალებები ჩვენი წმინდა ექსპორტის სანაცვლოდ.

4. ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს დანაზოგისა და ინვესტიციების მოცულობაზე - ისეთები, როგორცაა ეკონომიკური პოლიტიკის ან მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები – გაელუნას ახდენს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე და შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშზე.

5. ნომინალური გაცვლითი კურსი – ეს არის კურსი, რომლის მიხედვითაც ერთი ქვეყნის ვალუტა იცვლება სხვა ქვეყნის ვალუტაზე. რეალური გაცვლითი კურსი – ეს არის თანაფარდობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ორ ქვეყანაში წარმოებული საქონლის გაცვლა. რეალური გაცვლითი კურსი ტოლია ნომინალური გაცვლითი კურსი გამარელებული ორივე ქვეყანაში არსებული ფასების დონის თანაფარდობაზე.

6. რაც უფრო მაღალია ჩვენი ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი, მით უფრო დაბალია მოთხოვნა ჩვენი წმინდა ექსპორტზე. რეალური გაცვლითი კურსის წონასწორული მნიშვნელობის დროს წმინდა ექსპორტზე მოთხოვნა ტოლია დანაზოგებს გამოკლებული ინვესტიციები. ანალოგიურად, რეალური გაცვლითი კურსის წონასწორული მნიშვნელობის დროს ლარებზე წმინდა მოთხოვნა მიმდინარე ოპერაციებისათვის საგადასხდელი ბალანსში ტოლია ლარების წმინდა მიწოდების სიდიდისა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ოპერაციებისათვის.

7. ნომინალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება რეალური გაცვლითი კურსითა და ორ ქვეყანაში არსებული ფასების დონის თანაფარდობით. სხვა თანაბარ პირობებში, მაღალი ინფლაცია იწვევს ვალუტის გაუფასურებას.

ძირითადი ცნებები

წმინდა ექსპორტი
 მთლიანი ეროვნული პროდუქტი
 მთლიანი შიდა პროდუქტი
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
 მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში
 მცირე ღია ეკონომიკა
 მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი
 ნომინალური გაცვლითი კურსი
 რეალური გაცვლითი კურსი
 მსყიდველობითი უნარის პარიტეტი

საგადამხდელო ბალანსი

პრაქტიკულად, ყველა თანამედროვე ეკონომიკა ღიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობაში, საერთაშორისო ხესხების მიღებასა და შეთავაზებაში. ეკონომიკის გახსნილობა ძალიან მოგვებიანია ჩვეულებრივი საშუალო მდგომარეობის ადამიანისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-ს ეკონომიკა ღიაა, ამერიკელი მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომია საქონელი და მომსახურება მთელი მსოფლიოდან (მაგალითად, იაპონური MP3-ფლეიერები, იტალიური ფეხსაცმლები, მატყლისგან დამზადებული ონლიანდური ნაწარმი და სხვ.) ამის მსგავსად, ფინანსური ბაზრების ინტეგრაციონალიზაცია ნიშნავს იმას, რომ დანახოვის მფლობელ ამერიკელ სუბიექტებს გააჩნიათ ავტომატურად შესაძლებლობა შეიძინონ გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციები ან ტაივანური კომპანიების აქციები ისევე, როგორც სამამულო ფინანსური აქტივები, ხოლო აშშ-ის ფირმებს, რომელთაც სურთ მიიღონ თავიანთი საინვესტიციო პროექტების დაფინანსება, შეუძლიათ მიიღონ სესხები ლონდონში ან ტოკიოში ისევე იოლად, როგორც, ვთქვათ, ნიუ-იორკში.

ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და ახალი შესაძლებლობების შექმნის გარდა მის გახსნილობას გააჩნია სხვა მნიშვნელოვანი შედეგებიც: ღია ეკონომიკაში ქვეყნის დანახარჯები აუცილებელი არ არის უტოლდებოდეს წარმოების მოცულობას თითოეულ პერიოდში, რაც საკაროა დახარჯული ეკონომიკისათვის, სადაც არ არსებობს საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტლის მოძრაობა. ეკრძოდ, ექსპორტთან შედარებით მეტის იმპორტირებით და სახლევარგარეო ხესხის მიღებით ამ სხვაობის დასაფარავად, ღია ეკონომიკის რეზიდენტებს შეუძლიათ დროულად დახარჯონ იმაზე მეტი, ვიდრე თავით შეუძლიათ აწარმოონ.

ღია ეკონომიკაში იმაზე მეტის ხარჯვის შესაძლებლობის არსებობა, ვიდრე იწარმოება, წარმოადგენს როგორც სიკეთეს, ასევე პოტენციურ პრობლემას. მაგალითად, განახორციელა რა ხესხის მიღება საზღვარგარეთიდან (და გაყიდა ამერიკული აქტივები უცხოელ ინვესტორებს), აშშ უნარიანი იყო დაეფინანსებინა იმპორტის მნიშვნელოვანი მეტობა ექსპორტზე 1980-იან და 1990-იან წლებში. შედეგად, ამერიკელებმა შეძლეს მიეღწიათ მოხმარების, ინვესტიციების და სახელმწიფო შესყიდვების უფრო მაღალი დონისათვის, ვიდრე ეს შეიძლება ყოფილიყო სხვა შემთხვევაში. თუმცა, ამავდროულად მათ შექმნეს მნიშვნელოვანი ვალი უცხოური სექტორის წინაშე, რომელიც მომავალში შესაძლოა მათი ტვირთად დააწვეს ამერიკულ ეკონომიკას. ამის მსგავსად, მიიღეს რა მნიშვნელოვანი ოფენზისის სესხები საზღვარგარეთ 1970-იანი წლების განმავლობაში, ზოგიერთმა ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა (Less developed countries - LDC) შეძლეს თავი დაეღწიათ უძლიერი აღმონრდა დაეძლია თავიანთი საგარეო ვალის სიმძიმე - ამ სიტუაციამ მიიღო ნაკლებად განვითარებული ქვეყნების, ანუ LDC-ის საცალო კრიზისის სახელწოდება - და შესაძლოა, რომ ამის შედეგად მათ განიცადეს ეკონომიკური ზრდის გარკვეული შემცირება.

რატომ ხდება, რომ ზოგჯერ ქვეყნები ახორციელებენ სესხების მიღებას საზღვარგარეთიდან თავიანთი იმპორტის ექსპორტზე მეტობის დასაფარავად, ხოლო ზოგჯერ მათი ექსპორტი აჭარბებს მათ იმპორტს და ისინი აურღიდებენ სხვა ქვეყნებს? რატომ ხდება, რომ ყველა ქვეყანას არ შეუძლია ყოველწლიურად უზრუნველყოს საკუთარ ექსპორტსა და იმპორტს შორის ბალანსის მიღწევა? ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობას, არის დაზოგავაზე და ინვესტირებაზე გადაწყვეტილებები.

საგადამხდელო ბალანსი

საგადამხდელო ბალანსი წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდის (ჩვეულებრივ, ერთი წლის) განმავლობაში მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა (საოჯახო მეურნეობების, ფირმებისა და მთავრობის) და დანარჩენ მსოფლიოს შორის ყველა ეკონომიკური გარიგების შედეგების სისტემატიზირებულ ჩანაწერს.

რეზიდენტი არის ნებისმიერი პირი, რომელიც ცხოვრობს მოცემულ ქვეყანაში ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე მისი მოქალაქეობისა (ქვეშემდგომობისა) და საპასპორტო ურთობისისგან დამოუკიდებლად. საულოზობის თანაშრომლები და სამხედრო პირები ყოველთვის არიან მხოლოდ საკუთარი ქვეყნის რეზიდენტები, მუხედვადეად მათი საზღვარგარეთ ყოფნის ვადისა.

საგადამხდელო ბალანსის მარკოეონომიკური დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ლაკონურად ასახოს მოცემული ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მდგომარეობა მის უცხოელ პარტნიორებთან. ის აგრეთვე ასრულებს ინდიკატორის როლს ფულად-საკრედიტო,

საეკონომიკური, საბიუჯეტო-საგადასახადო, საგარეო-საეკონომიკური პოლიტიკის არჩევანი და სახელმწიფო დავალიანების მართვაში.

ეკონომიკური გარიგებები წარმოადგენს ნებისმიერ ღირებულებათა გაცვლას, ე.ი. აქტს, რომელშიც ადგილი აქვს საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემას, ეკონომიკური მომსახურების გაწევას ან აქტივებზე საკუთრების უფლება მოცემული ქვეყნის რეზიდენტიდან გადაღის სხვა ქვეყნის რეზიდენტის ხელში.

ნებისმიერ გარიგებას გააჩნია ორი მხარე და ამიტომ, საგადასახდლო ბალანსში რეალიზებულია **ორმაგი ჩაწერის პრინციპი**. საგადასახდლო ბალანსის ძირითადი მუხლებია **კრედიტი** და **დებეტი**.

კრედიტი - ღირებულებათა გადინებაა, რომელსაც უნდა მოჰყვეს მათი მაკომენსირებელი შემოღობვა მოცემულ ქვეყანაში. კრედიტში აისახება ქვეყნიდან ღირებულებათა გადინება, რის გამოც მისი რეზიდენტები დეზოლოპენ გადასახდელს უცხოურ ვალუტაში.

დებეტი - მოცემულ ქვეყანაში ღირებულებათა მოღინებაა, რის გამოც მისმა რეზიდენტებმა ისინი უნდა აანაზღაურონ ნაღდი ფულით, ე.ი. დახარჯონ უცხოური ვალუტა.

განსაზღვრების თანახმად, საგადასახდლო ბალანსის კრედიტების საერთო თანხა დებეტების საერთო თანხას უნდა უტოლდებოდეს. ამასთან, საგადასახდლო ბალანსის შიგნით შესაძლებელია არაღენიებ მუხლის გამოყოფა.

მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ყველა გარიგება მოიცავს **მიმდინარე ოპერაციებს** და **ოპერაციებს კაპიტალით**. შესაბამისად, საგადასახდლო ბალანსი მოიცავს სამ შემადგენელ ელემენტს:

- 1) მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში;
- 2) კაპიტალის მოძრაობისა და ფინანსური ოპერაციების ანგარიშს;
- 3) ოფიციალური რეზერვების ცვლილებას.

ცხრილი 1

აშშ-ს საგადასახდლო ბალანსი 2002 წ. (მლრდ დოლ.)

მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში		
საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი (NX)		-435,5
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	971,9	
საქონელი	682,6	
მომსახურება	289,3	
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-1407,4	
საქონელი	-1166,9	
მომსახურება	-240,5	
საზღვარგარეთიდან წმინდა შემოსავალი (NFP)		-11,9
საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავლები	244,6	
სხვა ქვეყნის რეზიდენტებისადმი გადახდილი შემოსავლები	-256,5	
წმინდა ცამხრივი ტრანსფერები		-56,0
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი (CA)		-503,4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში		
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის წმინდა ტრანსაქციები		0,7
ფინანსური ანგარიში		474,2
აშშ-ს კუთვნილი აქტივების ზრდა საზღვარგარეთ (ფინანსური საშუალებების გატანა)	-156,2	
აშშ-ს ოფიციალური რეზერვის ანგარიში	-3,7	
სხვა აქტივები საზღვარგარეთ	-152,5	
აშშ-ში უცხოური აქტივების ანგარიშის ზრდა (ფინანსური საშუალებების შემოტანა)	630,4	
უცხოური ოფიციალური აქტივები	96,6	
სხვა უცხოური აქტივები	533,7	
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი (KFA)		474,9
სტატისტიკური ცდომილება		28,5
აშშ-ს ოფიციალური რეზერვების ანგარიშის ზრდას გამოკლებული აშშ-ში უცხოური აქტივების ანგარიშის ზრდა=3,7-96,6		-92,9
შენიშვნა: რიცხვების დაჯამების შედეგები შეიძლება არ დაემთხვეს შედეგებს დამრეგულირების გამო		

ცხრილში მოცემულია აშშ-ს 2002 წლის საგადასმდელო ბალანსის მონაცემები. მივაქციო ყურადღება იმას, რომ ზოგიერთი მანქანებელი დადებითიშინაინა, ზოგიერთი კი - უარყოფითიშინაინა. იმისათვის, რომ გავიგოთ საერთაშორისო ოპერაციებს შორის განასხვავებები, რომლებიც აისახება მონაცემების პლუს და მინუს ნიშნებით, უნდა დავებამსხვიოთ შემდეგი წესი: ნებისმიერი ტრანსაქცია, რომელიც ასახავს საშუალებების მოწოდების მოცემულ ქვეყანაში (ამ შემთხვევაში, აშშ-ში), წარმოადგენს კრედიტს და მას გააჩნია დადებითი ნიშანი; ნებისმიერი ტრანსაქცია, რომელიც ასახავს საშუალებათა გადინებას აშშ-დან, წარმოადგენს დეპიტს და გააჩნია უარყოფითი ნიშანი. ჩვენ მოვახდენთ ამ წესის ილუსტრაციას საგადასმდელო ბალანსის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის განხილვის კვალობაზე.

მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში

მიმდინარე ანგარიში ასახავს ქვეყნის ეაჭრობას საქონლითა და მომსახურებით, რომლებიც წარმოებულია მიმდინარე პერიოდში, აგრეთვე ქვეყნებს შორის ცალმხრივ ტრანსფერებს. სიმარტივისათვის, მიმდინარე ანგარიშს ყოფთ სამ ცალკეულ შემადგენელ ნაწილად, ესენია: 1) საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი, 2) სასაღვარგარეთიდან წმინდა შემოსავლები, 3) წმინდა ცალმხრივი ტრანსფერტები.

საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი. ჩვენ წმინდა ექსპორტის NX ცნება (ექსპორტისა იმპორტის გამოკლებით) განვიხილეთ, როგორც მშპ-ს განაგარიშების დანახარჯების მეთოდის ნაწილი მე-2 თავში. აქ კი აღვნიშნავთ, რომ წმინდა ექსპორტი ხშირად ნაწილდება ორ კატეგორიად: საქონლად და მომსახურებად.

საქონლით საერთაშორისო ეაჭრობის მეგალითად შეიძლება დავასახელოთ ამერიკული სოიოს პარკები, ფრანგული პარფიუმერია, ბრაზილიური ყავა და იაპონური ავტომობილები. როდესაც ამერიკული ყიდულობს იაპონურ ავტომობილს, ეს ოპერაცია ჩაიწერება, როგორც აშშ-ს იმპორტი (დებეტი, რადგანაც საშუალებები გადის აშშ-დან ავტომობილის ასანახლარებლად) და იაპონიის ექსპორტი (კრედიტი, რადგანაც საშუალებათა ნაკადი შემოდის იაპონიაში ავტომობილის ანახლარების სახით).

მომსახურებით საერთაშორისო ეაჭრობა მოიცავს სატრანსპორტო მომსახურებას, ტურიზმს, დახლევას, განათლებას, ფინანსურ მომსახურებას. როდესაც ამერიკული ოჯახი შეეულებას ატარებს, მაგალითად, მექსიკაში, მაშინ მისი დანახარჯები ბინაზე, კვებაზე, ექსკურსიაზე და ა.შ. აისახება აშშ-ს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშზე, როგორც ტურისტული მომსახურების იმპორტი (დებეტი აშშ-სთვის, რადგანაც საშუალებათა ნაკადი გადის აშშ-დან). ამ ოჯახის დანახარჯები აისახება აგრეთვე როგორც ტურისტული მომსახურების ექსპორტი მექსიკისათვის (კრედიტი მექსიკის მიმდინარე ანგარიშისათვის). ამის მსგავსად, როდესაც უცხოელი სტუდენტი სწავლობს აშშ-ს რომელიღაც კოლეჯში, მისი სწავლების საფასური შედის აშშ-ს მომსახურების ექსპორტში და მისი მშობლიური ქვეყნის მომსახურების იმპორტში.

სახლარგარეთიდან წმინდა შემოსავლები. სახლარგარეთიდან წმინდა შემოსაველი ტოლია სახლარგარეთიდან მიღებულ შემოსავლებსა და სხვა ქვეყნების რეზიდენტების ანახლარებულ შემოსავლებს შორის სხვაობის, ეს სიდიდე ყოველთვის ტოლია სახლარგარეთიდან წმინდა ფაქტორული გადასახდელების, რომელიც განვიხილეთ მე-2 თავში. ამ შემთხვევაში, მხედველობაში არ მივიღებთ NFP-სა და სახლარგარეთიდან წმინდა შემოსავლებს შორის განსხვავებას და მათ განვიხილავთ, როგორც ერთიან ცნებებს.

შემოსავლები, რომლებიც შემოდინება მოცემულ ქვეყანაში და გაითვალისწინება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის კრედიტის მუხლით, შედგება სახლარგარეთ მოწმუშევთა მიერ მიღებული საკომპენსაციო ანახლარებებისგან, აგრეთვე სახლარგარეთ განთავსებული აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლებისგან. სახლარგარეთული აქტივებიდან საინვესტიციო შემოსავლები მოიცავს პროცენტულ გადასახდელებს, დივიდენდებს, როიალტებს და სხვა შემოსავლებს, რომლებიც ქვეყნის რეზიდენტები რებულობენ სხვა ქვეყნებში არსებული მათი უცხოელი აქტივებიდან (მაგალითად, როგორცაა ოლიგაციები, აქციები და პატენტები. მაგალითად, პროცენტები, რომელსაც რებულობს ამერიკელი დანახლარის მფლობელი მის საკუთრებაში არსებული ფრანგული სახლმწიფო ოლიგაციებიდან, ან მოგება, რომელსაც რებულობს ამერიკული კომპანია სახლარგარეთ არსებული თავისი შეილობილი საწარმოდან, განიხილება, როგორც სახლარგარეთიდან მიღებული შემოსავლები.

შემოსავლების სახლარგარეთ გადახდა, რომელიც გაითვალისწინება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დებეტით, შედგება უცხოელებისადმი საკომპენსაციო ანახლარებებისგან, რომლებიც მუშაობენ მოცემულ ქვეყანაში, აგრეთვე ამ ქვეყანაში არსებული აქტივების უცხოელი მესაკუთრების მიერ მიღებული შემოსავლებისგან. მაგალითად, ხელფასი, რომელიც ამერიკულმა კომპანიამ გადაუხადა შევდ ინჟინერს, რომელიც დროებით ცხოვრობს აშშ-ში, ან დივიდენდები, რომელიც გადახდილია ამერიკული სააქტივობილო კომპანიის მიერ მის მიერ ემტირებული

აქციების შექსიკელი მფლობელისადმი, განიხილება, როგორც სხვა ქვეყნის რეზიდენტებისადმი გადახდილი შემოსავლები.

წმინდა ცალმხრივი ტრანსფერტები. ცალმხრივი ტრანსფერტები არის ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნისადმი განხორციელებული ანაზღაურებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული რაიმე საქონლის, მომსახურების ან აქტივის გაყიდვასთან. ამის მაგალითია ერთი ქვეყნის მიერ მეორისადმი განხორციელებული ოფიციალური დახმარება (ერთი მთავრობის მიერ მეორისადმი განხორციელებული გადასახდები) ან ერთი ქვეყნის მცხოვრებთა ფულადი დახმარებები სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ოჯახის წევრებისა და ნათესავებისადმი. როდესაც მოცემული ქვეყანა ახორციელებს ტრანსფერტულ გადასახდლებს სხვა ქვეყანაში, მისი სიდიდე აისახება დებეტით, რადგანაც ფულადი საშუალებები გადინება ამ ქვეყნიდან. ქვეყნის წმინდა ცალმხრივი ტრანსფერტები ტოლდება მის მიერ მიღებულ ცალმხრივ ტრანსფერტებსა და მის მიერ სხვა ქვეყნისადმი გაწეულ ცალმხრივ ტრანსფერტებს შორის სხვაობას. წმინდა ცალმხრივი ტრანსფერტების უარყოფითი სიდიდე ცხრილი 1-ში გეიწვენებს, რომ აშშ-ში სხვა ქვეყნებისათვის წარმოადგენს წმინდა დონოს.

მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი. თუკი მიმდინარე ანგარიში კრედიტის ყველა მუხლს შეეკრებთ და მიღებული სიდიდიდან გამოიცხადებთ დებეტის ყველა მუხლის ჯამს, მიიღებთ სიდიდეს, რომელსაც ეწოდება *მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი*. ეს უქანასწეობს თუ დადებითია (კრედიტი აჭარბებს დებეტს), მაშინ ქვეყანას გააჩნია დადებითი საღლო ანუ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის პროფიციტი. თუკი ბალანსი უარყოფითია (დებეტი აჭარბებს კრედიტს), მაშინ ქვეყანას გააჩნია მოცემული ანგარიშის დეფიციტი. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, აშშ-ს ქმონდა მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი 503,4 მლრდ დოლარის ოდენობით, რომელიც მიღებულია საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის სიდიდის (NX=-433,5\$), საზღვარგარეთიდან წმინდა შემოსავლების (NFP=-11,9\$) და წმინდა ცალმხრივი ტრანსფერტების (-56,0\$) შეკრებით.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

როგორც რეალური, ისე ფინანსური აქტივებით საქონლისა და მომსახურების აისახება კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში, რომელიც მოიცავს კაპიტალისა და ფინანსების ანგარიშს. კაპიტალის ანგარიში ითვალისწინებს ქვეყნებს შორის აქტივების ცალმხრივ ტრანსფერტებს, როგორცაა მთარანტების ტრანსფერტები (აქტივები, რომლებიც თან მიჰქონს მიგრანტებს, როდესაც ისინი გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში). კაპიტალის მოძრაობის ანგარიში განასაზღვრავს ქვეყანაში აქტივების წმინდა შემოდინებას ცალმხრივი ტრანსფერტებით. როგორც ცხრილი 1-ის მონაცემებიდან ჩანს, კაპიტალის ანგარიშის ბალანსმა ღირებულებით გამოსახლებადში აშშ-ში 2002 წელს შეადგინა 1 მლრდ-ზე ნაკლები.

ოპერაციათა დიდი ნაწილი შედგება აქტივების ქვეყანაში გადადინებისგან ან ქვეყნიდან გადინებისგან და აისახება *ფინანსების ანგარიშით*. (1999 წლამდე ამ ანგარიშს ერქვა კაპიტალის ანგარიში, ამიტომ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი წესი: თუკი თქვენ სარგებლობთ მონაცემებით, რომლებიც გამოქვეყნებულია 1999 წლამდე, ტერმინი „კაპიტალის ანგარიში“ ეხებოდა იმ ოპერაციებს, რომლებიც ამჟამად ჩართულია ფინანსების ანგარიშში.) როდესაც ქვეყნის რეზიდენტები მიჰყიდიან აქტივებს სხვა სახელმწიფოს, ეს ოპერაცია ჩაიწერება, როგორც მოცემულ ქვეყანაში *ფინანსების მოიძინება* ფინანსების ანგარიშის კრედიტად. მაგალითად, თუკი აშშ-ში დასტუდებული მიჰყიდს იტალიელი ინვესტორს, ეს ოპერაცია გათვალისწინება, როგორც ფინანსების მოიძინება აშშ-ში და ამ ქვეყნის ფინანსების ანგარიშის კრედიტით აისახება, რადგანაც აშშ-ში შემოდინს ფული სასტუმროს ყიდვის ასანაზღაურებლად. ამის მსგავსად, როდესაც აშშ-ს რეზიდენტები ყიდულობენ აქტივებს საზღვარგარეთ – ეთქვას, აშშ-ს მცხოვრები ხსნის ანგარიშს შეიცვარების ბანკში, - ოპერაცია განიხილება, როგორც *ფინანსების გადინება* აშშ-დან და ჩაიწერება ფინანსების ანგარიშის დებეტით, რადგანაც ფულია საშუალებები გადინება ამ ქვეყნიდან.

ფინანსების ანგარიშის ბალანსი განისაზღვრება, როგორც ფინანსების მოიძინება (კრედიტი) და ფინანსების გადინების (დებეტი) სიდიდებს შორის სხვაობა. როდესაც ქვეყნის რეზიდენტები ყიდიან უცხოელზე მეტ აქტივებს, ვიდრე თავთ ყიდულობენ უცხოელისაგან, მაშინ ფინანსების ანგარიშის ბალანსი დადებითია და წარმოიქმნება ფინანსების ანგარიშის დღებითი საღლო. როდესაც ქვეყნის რეზიდენტები ყიდულობენ მეტ აქტივებს უცხოელისაგან, ვიდრე თავთ მიჰყიდიან მათ, მაშინ ფინანსების ანგარიშის ბალანსი უარყოფითია და წარმოიქმნება ფინანსების ანგარიშის დეფიციტი. ცხრილი 1-ში ჩაყენებულია, რომ 2002 წელს აშშ-ს რეზიდენტებმა გაზარდეს თავიანთი უცხოური აქტივები (ცალმხრივი ტრანსფერტული აქტივების გათვალისწინების გარეშე) 156,2 მლრდ დოლარამდე, მაშინ, როდესაც უცხოელებმა მათ საუკეთესო არსებული აქტივები აშშ-ში გაზარდეს 630,4 მლრდ დოლარამდე ამჟამად, აშშ-ს 2002 წელს ქმონდა ფინანსების ანგარიშის დადებითი საღლო 474,2 მლრდ დოლარის ოდენობით (630,4-156,2). კაპიტალის მოძრაობის

ანგარიშის ბალანსი წარმოადგენს კაპიტალის ანგარიშისა და ფინანსების ანგარიშის ბალანსების ჯამს. რადგანაც აშშ-ს კაპიტალის ანგარიშის ბალანსის სიდიდე ძალიან მცირეა, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი დაახლოებით ფინანსების ანგარიშის ბალანსის ტოლია.

ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსი. ცხრილი 1-ის მონაცემების მიხედვით, ფინანსური ოპერაციების ანგარიშებიდან გამოყოფილია და ცალკეა ნარევენები ერთ-ერთი ელემენტი ოფიციალური რეზერვების ანგარიშის მიხედვით ოპერაციები. ეს ოპერაციები განსხვავდება ფინანსური ანგარიშების მიხედვით სხვა ოპერაციებისაგან იმით, რომ ის ტარდება ცენტრალური ბანკების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ინსტიტუტებს და განსაზღვრავენ ფულის მიწოდების მოცულობას. ცენტრალური ბანკის კუთვნილებაში არსებული ოფიციალური რეზერვების აქტივები – ეს არა ეროვნული ეალუბა ან ფსიანი ქალაქდება, არამედ სხვა აქტივები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებისას. ისტორიულად ჩამოყალიბდა ისე, რომ ოფიციალური რეზერვის ძირითადი აქტივი იყო ოქრო, მაგრამ, ახლანდელ დროში ცენტრალური ბანკების ოფიციალური რეზერვები მოიცავს აგრეთვე მნიშვნელოვანი, განვითარებული სამრეწველო ქვეყნების სახელმწიფო ოლიგაციებს, დეპოზიტებს უცხოურ ბანკებში და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალურ აქტივებს.

ცენტრალური ბანკები შეიძლება შეცვალონ ოფიციალური რეზერვების სიდიდეები რეზერვის აქტივების ყოველგაყოფილი წლი მანერბზე. მაგალითად, ფედერალურ სარეზერვო სისტემას შეუძლია გაზარდოს თავისი აქტივები, თუ დოლარებს გამოიყენებს ოქროს საყიდლად. ცხრილი 1-ის თანახმად, აშშ-მ 2002 წელს იყდა ფედერალურ რეზერვში 3,7 მლრდ დოლარის აქტივები. იმავე წელს უცხოურმა ცენტრალურმა ბანკებმა გაზარდეს თავიანთი რეზერვები, რომლებიც დენომინირებულია აშშ-ს დოლარებში 96,6 მლრდ დოლარის ოდენობით (იხ. სტრუქტურა „უცხოური ოფიციალური აქტივები“). ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსი, რომელსაც აგრეთვე *სავადამბდელო ბალანსი* ეწოდება, არის ქვეყნის ოფიციალური რეზერვების ანგარიშის წმინდა ზრდა (სამაშულო გადასახდელებს გამოკლებული უცხოური). ქვეყანას, რომელიც ზრდის თავისი რეზერვის წმინდა აქტივებს წლის განმავლობაში, გააჩნია სავადამბდელო ბალანსის დადებითი სადლო, ხოლო ქვეყანას, რომელიც ამცირებს თავისი რეზერვების წმინდა აქტივებს, გააჩნია სავადამბდელო ბალანსის დეფიციტი. აშშ-სთვის 2002 წელს ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსმა შეადგინა 92,9 მლრდ დოლარი (3,7 მლრდ დოლარით რეზერვების ანგარიშის ზრდას გამოკლებული 96,6 მლრდ დოლარის ოდენობით უცხოური ოფიციალური აქტივების ანგარიშების ზრდა, რომლებიც დენომინირებულია აშშ-ს დოლარებში). ამიტომ, 2002 წელს აშშ-ს ჰქონდა სავადამბდელო ბალანსი დეფიციტი 92,9 მლრდ დოლარის ოდენობით.

მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშსა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს შორის ურთიერთკავშირი

სავადამბდელო ბალანსის გაანგარიშების ლოგიკა გულისხმობს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშსა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირს. თუ არ გაეთვალისწინებთ შეცდომებს, რომლებიც უკავშირდება გაზომვის პრობლემებს, მაშინ დროის ნებისმიერი პერიოდისათვის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი ჯამში ნულის ტოლი უნდა იყოს. მაშასადამე, თუკი CA – მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსია, ხოლო KFA – კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი, მაშინ

$$CA + KFA = 0.$$

ასეთი ტოლობის მიზეზია ის, რომ ყოველი საერთაშორისო ოპერაცია მოიცავს საქონლის, მომსახურების ან აქტივების გაცვლას ქვეყნებს შორის. ამ გაცვლის ორივე ელემენტი ყოველთვის ახდენს უგომქმედებას მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსის ჯამში. CA + KFA. ამიტომ, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსის ჯამი ნულის ტოლი უნდა იყოს.

ცხრილი 2 გვეხმარება აეხსნათ ეს მტკიცება. დაეუშვათ, რომ ამერიკელი ყიდვლობს დიდი ბრიტანულიდან იმპორტირებულ სეიტერს, რაშიც იხდის 75 დოლარს. ეს ოპერაცია აშშ-ში საქონლის იმპორტია და ამიტომ, ამცირებს აშშ-ს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსს 75 დოლარით. მაგრამ ბრიტანელი ექსპორტიორი, რომელმაც მიიღო ანაზღაურება სეიტერისთვის, ახლა ფლობს 75 დოლარს. როგორ განკარგავს მას? არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა, საიდანაც ნებისმიერი მათგანი ზემოქმედებას მოახდენს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსის ჯამზე.

ბრიტანელმა შეუძლიათ გამოიყენონ 75 დოლარი რომელიმე ამერიკელი საქონლის საყიდლას, მაგალითად, კომპიუტერული თამაშის. ეს ყოველივე აშშ-სთვის ნიშნავს 75 დოლარის ოდენობის ექსპორტს. თამაშის ადინიშნული ამერიკელი ექსპორტი და თავდაპირველი სეიტერის

იმორტი გამოიწვევს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის CA ბალანსში ნულოვან ცვლილებას. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი KFA ასევე არ შეიცვლება, რადგანაც არ არსებობს ნულისგან განსხვავებული ვაჭრობის შედეგი. ამიტომ, CA და KFA რჩება იმ დონეზე, რაც იყო ადრე.

სხვა შესაძლებლობაა ბრიტანელების მიერ 75 დოლარის გამოყენება ამერიკული აქტივების შესაძენად, ვთქვით, რომელთაც ამერიკული კორპორაციის ობლიგაციების. ამ ობლიგაციების ყიდვა წარმოადგენს აშშ-ში ფინანსების მოდინებას. აღნიშნული 75 დოლარი ზრდის აშშ-ს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს, რითაც ახდენს იმავე თანხით მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის შემცირების კომპენსაციას, რაც სეიტერის თავდაპირველი იმპორტით იყო გამოწვეული. და ისევე, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსების ჯამი CA + KFA ტრანს-აქტივების კომბინაციის შედეგად უცვლელი რჩება.

ცხრილი 2

გარიანტი 1: აშშ ახდენს დიდი ბრიტანეთიდან სეიტერის იმპორტირებას 75 დოლარად; დიდი ბრიტანეთი ახდენს აშშ-დან კომპიუტერული თამაშის იმპორტირებას 75 დოლარად მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშში	
ექსპორტი	+75\$
იმპორტი	-75\$
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი, CA	0
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში	
ოპერაციები არ არის	
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი, KFA	0
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსების ჯამი, CA+KFA	0
გარიანტი 2: აშშ ახდენს დიდი ბრიტანეთიდან სეიტერის იმპორტირებას 75 დოლარად; დიდი ბრიტანეთი ყიდულობს აშშ-ში ობლიგაციას 75 დოლარად მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშში	
იმპორტი	-75\$
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი, CA	-75\$
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში	
კაპიტალის მოდინება	+75\$
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი, KFA	+75\$
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსების ჯამი, CA+KFA	0
გარიანტი 3: აშშ ახდენს დიდი ბრიტანეთიდან სეიტერის იმპორტირებას 75 დოლარად; ფედ-ი მიყიდის 75 დოლარს ბრიტანულ ბანკს ფუნტი სტერლინგების სანაცვლოდ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშში	
იმპორტი	-75\$
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსი, CA	-75\$
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში	
კაპიტალის მოდინება (აშშ-ს ოფიციალური რეზერვების აქტივების შემცირება)	+75\$
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი, KFA	+75\$
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსების ჯამი, CA+KFA	0

და ბოლოს, ბრიტანელს შეუძლია წაიღოს ბანკში და საკუთარი დოლარები გადაეცალოს ბრიტანულ ფუნტ სტერლინგებზე. თუკი ბანკი ამ დოლარებს მიყიდის სხვა ბრიტანელს, რომელიც მას გამოიყენებს აშშ-დან რაიმე საქონლის ან აქტივების საყიდლად ან იგივეს იგივე აქტივებს თავთ, მაშინ განმეორდება პირველი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ალტერნატიულ გარიანტად შეიძლება განვიხილოთ ისეთი სიტუაცია, როდესაც ბანკი მიყიდის ფედერალურ რეზერვს დოლარებს ფუნტ სტერლინგებზე. მაგრამ, როდესაც ბრიტანულ ფუნტ სტერლინგებზე ფედერალური რეზერვი გასცემს 75 დოლარს, ის ამით ამცირებს თავის აქტივებს 75 დოლარად, რაც გაითვალისწინება, როგორც ფინანსების მოდინება. როგორც წინა შემთხვევაში,³

³ ამ შემთხვევაში საგადასმდელო ბალანსი მცირდება 75 დოლარით, ასახავს რა ფედერალური რეზერვის აქტივების შემცირებას. ჩვენ არ განვიხილეთ ბრიტანელის მიერ ამ 75 დოლარის ხელზე შენახვის შესაძლებ-

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი იზრდება 75 დოლარით, რითაც კომპენსირდება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ბალანსის შემცირება, რომელიც გამოწვეული იყო სიეტერის იმპორტით.

ეს მაგალითი გეინვენებს, თუ რატომ ხდება, რომ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ვალანსისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსის ჯამი კონცეპტუალურად უნდა იყოს ნულის ტოლი. მაგრამ, პრაქტიკაში საერთაშორისო ტრანსაქციების შედგენის გაზომვის პრობლემები წინ დგობდა ამ ტოლობის ზუსტებას. სიდიდემ, რომელიც უნდა დაემატოს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშსა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსების ჯამს, იმისათვის, რათა მიღწეული იქნას თეორიული მინიშნულობა, რომელიც ნულის ტოლია, მიიღო სტატისტიკური ცდომილების სახელწოდება. როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, 2002 წელს სტატისტიკურმა ცდომილებამ შეადგინა 28.5 მლრდ დოლარი.

წმინდა უცხოური აქტივები და საგადასმდელო ბალანსი

მე-2 თავში ქვეყნის წმინდა უცხოური აქტივები განესაზღვრეთ, როგორც უცხოური აქტივები, რომლებიც ეკუთვნის ამ ქვეყნის რეზიდენტებს (მაგალითად, უცხოური აქციები, ობლიგაციები ან უძრავი ქონება). გამოკლებული უცხოური სექტორის მიმართ ამ ქვეყნის ვალდებულებები (სამამულო ფიზიკური და ფინანსური აქტივები, რომლებიც ეკუთვნის უცხოელებს). წმინდა უცხოური აქტივები სამამულო ფიზიკურ აქტივებთან ერთად, როგორცაა მიწა და კაპიტალის მარაგი, წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ნაწილს. ქვეყნის წმინდა უცხოური აქტივების საერთო ღირებულება სიძობდა შეიცვალოს ორ შემთხვევაში: 1) არსებული უცხოური აქტივებისა და უცხოური სექტორის მიმართ ვალდებულებების ღირებულებათა ცვლილებების დროს (მაგალითად, როდესაც იცვლება უცხოური კომპანიების აქტივების ღირებულება, რომლებიც ეკუთვნის მოცემულ ქვეყნის მოქალაქებს, ან ამ ქვეყნის მიწის ღირებულება, რომელიც ეკუთვნის უცხოელებს); 2) მოცემული ქვეყნის მიერ ახალი უცხოური აქტივების ყიდვის ან უცხოური სექტორის მიმართ ახალი ვალდებულებების შექმნის დროს.

რითი განისაზღვრება ახალი უცხოური აქტივების რაოდენობა, რომლის ყიდვაც შეუძლია ქვეყანას? დროის თითოეული პერიოდისათვის ახალი უცხოური აქტივების წმინდა ღირებულება, რომელსაც ყიდულობს ქვეყანა, ტოლია მისი მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი საღირსი. დაეუწყო, რომ ქვეყანა ახორციელებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, რომელიც 10 მლრდ დოლარით აღემატება მისსავე იმპორტს და შესაბამისად, მას გააჩნია მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი საღირსი ამავე თანხის ოდენობით (იმ დაშვებით, რომ საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორული გადასახდელები NFP და წმინდა ცალმხრივი ტრანსფერტები ნულის ტოლია). ქვეყანამ უნდა გამოიყენოს აღნიშნული 10 მლრდ დოლარი უცხოური აქტივების საყიდლად ან უცხოელების მიმართ საკუთარი ვალდებულებების შესამცირებლად. ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ ქვეყანამ შეამცირა თავისი საერთაშორისო ვალდებულება 10 მლრდ დოლარის ოდენობით.

ანალოგიურად, თუკი ქვეყანას გააჩნია მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი 10 მლრდ დოლარის ოდენობით, მან უნდა დაუაროს ეს დეფიციტი ან უცხოელებისათვის თავისი აქტივების მიყიდვით, ან უცხოური სექტორიდან სესხების მიღებით. ამ მოქმედებებიან ნებისმიერი ამცირების ქვეყნის წმინდა უცხოურ აქტივებს 10 მლრდ დოლარით. ჩვენ აღეწერთ ამ სიტუაციას, როგორც წმინდა უცხოური სესხების 10 მლრდ დოლარით ზრდას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხი, რომლითაც ხორციელდება ქვეყნის მიერ უცხოური სექტორიდან სესხების მიღება, არის ქვეყნის ტერიტორიაზე კაპიტალური საქონლის ყიდვა ან შექმნა უცხოური ფირმების მიერ; ამან მიიღო *ჰირდაპირი უცხოური ინვესტიციების* სახელწოდება. მაგალითად, როდესაც იაპონური Honda Motor Company ქმნის ახალ საწარმოო სიმძლავრეებს აშშ-ს ოჰაიოს შტატში, ის ახორციელებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. რადგანაც საწარმოო სიმძლავრეები იქმნება აშშ-ში, მაგრამ ფინანსდება იაპონური ფულადი საშუალებების ხარჯზე, უცხოელთა საკუთრებაში მყოფი აშშ-ში არსებული აქტივების სიდიდე იზრდება და, შესაბამისად, იზრდება კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსიც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსხვავდება პორტფელური ინვესტიციებისაგან, რომლის განხორციელების დროს უცხოელები ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც იყიდება ამერიკული ფირმებისა და ინვესტორების მიერ. პორტფელური ინვესტიციების მაგალითია, ვთქვით, ფრანგი ინვესტორების მიერ General Motors Corporation-ის აქციების ყიდვა. ეს ოპერაციაც ზრდის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსს, რადგანაც გულისხმობს აშშ-ში უცხოელების საკუთრებაში არსებული აქტივების ღირებულების ზრდას.

ლობა. რადგანაც დოლარები წარმოადგენს აშშ-ს ვალდებულებას (კერძოდ, ფედერალური რეზერვის), მაშინ ბოტანგლის მიერ დოლარების შენახვა განიხილება, როგორც აშშ-ს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დაკრძალვა, რომელიც აკომპენსირებს სიეტერის იმპორტის შემოქმედებას აშშ-ს მიმდინარე ანგარიშზე.

რადგანაც $CA+KFA=0$, მაშინ, თუკი ქვეყანას გააჩნია მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი სადღო, მას უნდა ჰქონდეს აგრეთვე იმავე სიდიდის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტი. და პირიქით, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტი ნიშნავს, რომ ქვეყანამ გაზარდა საკუთარიწმინდა უცხოური აქტივები. ანალოგიურად, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი ნიშნავს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი სადღოს არსებობას და ქვეყნის წმინდა უცხოური აქტივების სიდიდის შემცირებას. ცხრილი 3-ში წარმოდგენილია ქვეყნის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის მდგომარეობის აღწერის და მის მიერ უცხოური აქტივების ყიდვის ზოგიერთი ტოლფასოვანი ხერხი.

ცხრილი 3

ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობისა და სესხების ტოლფასოვანი საზომები

თითოეული პოზიცია აღწერს ერთსა და იმავე სიტუაციას
მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დადებითი სადღო 10 მლრდ დოლარის ოდენობით
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტი 10 მლრდ დოლარის ოდენობით
წმინდა უცხოური აქტივების ყიდვა 10 მლრდ დოლარის ოდენობით
საზღვარგარეთ წმინდა სესხების მიღება 10 მლრდ დოლარის ოდენობით
წმინდა ექსპორტი 10 მლრდ დოლარის ოდენობით (თუ საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორული გადასახდელები NFP და წმინდა ცალმხრივი ტრანსფერტები ნულის ტოლია)

დანართი 2


დიდი ღია ეკონომიკის მოდელი

ამ დამატებში უნდა განვიხილოთ დიდი ღია ეკონომიკის მოდელს. ეს მოდელი აერთიანებს მცირე ღია ეკონომიკისა და დახურული ეკონომიკის მოდელების ზოგიერთ ელემენტებს.

უცხოეთიდან კაპიტალის მოდინება


მიუხედავად იმისა, რომ მცირე ღია ეკონომიკისათვის საპროცენტო განაკვეთი ზუსტად იგეგმება, როგორც ჩამოყალიბდა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე, რეალურ ღია ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები რამდენადმე რთულია. პრაქტიკაში, ღია ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი, განსაკუთრებით ისეთ მსხვილ ეკონომიკაში, როგორც აშშ-სია, არ განისაზღვრება მსოფლიო ფინანსური ბაზრების მიერ. პირიქით, მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი ნაწილობრივ ამ ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკით განისაზღვრება. უცხოელები არ ისწრაფვიან გასცენ და მიიღონ კრედიტები განუსაზღვრელი ოდენობით ფიქსირებული მსოფლიო განაკვეთით. რაც უფრო მეტი საშუალების სესხება სურს ქვეყანას უცხოეთიდან, მით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთის გადახდა უწყევს მას.

A. დახურული ეკონომიკა




ნახ. 1. უცხოეთიდან კაპიტალის მოდინების დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთზე. A შემთხვევაში დახურული ეკონომიკისათვის, კაპიტალის მოდინება ნულის ტოლია ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთისათვის. B შემთხვევაში კაპიტალის სრული მობილურობის მქონე მცირე ღია ეკონომიკისათვის, კაპიტალის მოდინება ნებისმიერი სიდიდის ტოლი შეიძლება იყოს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის r^* შემთხვევაში. C შემთხვევისათვის დიდი ღია ეკონომიკისათვის უცხოეთიდან მოდინებული კაპიტალის დიდი მოცულობა საჭიროებს უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს.

B. მცირე ღია ეკონომიკა კაპიტალის სრული მობილურობით



C. დიდი ღია ეკონომიკა



განვიხილოთ, ქვეყანაში კაპიტალის მოდინება (CF) თუ როგორაა დამოკიდებული შიდა საპროცენტო განაკვეთის r დონეზე. ნახ. 1-ზე ნაჩვენებია სამი შესაძლო შემთხვევა. პირველი შემთხვევა – ეს არის დახურული ეკონომიკა, რომელიც განვიხილეთ მე-3 თავში. დახურული ეკონომიკაში არ არსებობს საერთაშორისო დაკრედიტება, ამიტომ, საპროცენტო განაკვეთის სიდიდისგან დამოკიდებულად $CF=0$. მეორე შემთხვევა – ეს არის მცირე ღია ეკონომიკა კაპიტალის სრული მობილურობით. ეს ის შემთხვევაა, რომელიც განვიხილეთ მოცემულ თავში. კაპიტალი თავისუფლად გადაედინება ქვეყნებს შორის მსოფლიო საპროცენტო განაკვეთით r^* და CF-ს გააჩნია უსასრულო ელასტიკურობა საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, როცა $r=r^*$. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას შეუძლია ისესხოს ან შესთავაზოს კრედიტები ნებისმიერი აუცილებელი მოცულობით მსოფლიო საპროცენტო განაკვეთით r^* .

მესამე შემთხვევა – შუალედურია, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება აშშ-ს ეკონომიკის ტიპის მქონე ქვეყნის ეკონომიკას. აქ არსებობს დადებითი დამოკიდებულება კაპიტალის მოდინებასა და შიდა საპროცენტო განაკვეთის სიდიდეს შორის: რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მიზიდველი ხდება ამ ქვეყნის აქტივები უცხოელი ინვესტორებისათვის და მით უფრო მეტი საშუალება მოედინება უცხოეთიდან კაპიტალის დაგროვებისათვის. ყოველივე ეს ჩაეწერთ შემდგენიარად:

$$CF = CF(r).$$

ზემთომოცემული ტოლობა გვიჩვენებს, რომ კაპიტალის მოდინება, ე.ი. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის საღლო წარმოადგენს შიდა საპროცენტო განაკვეთის ფუნქციას.

მოდელის ელემენტები

დიდი ღია ეკონომიკის მოდელი იგება ისევე, როგორც ამ თავში აგებული მცირე ღია ეკონომიკის მოდელი კაპიტალის ნაყადებზე ეარაულის გამოკლებით. მოდელი შესაძლებელია წარმოადგინოთ შემდეგი ტილობებით:

1. $Y = \bar{Y} = F(\bar{K}, \bar{L})$
2. $Y = C + I + G + NX$
3. $Y = C(Y - T)$
4. $I = I(r)$
5. $NX = NX(r)$
6. $CF = CF(r)$
7. $NX + CF = 0$

ეს ტილობები მტკველებენ იმაზე, რომ:

1. წარმოების მოცულობა დამოკიდებულია შრომისა და კაპიტალის ფიქსირებულ რაოდენობაზე და საწარმოო ფუნქციაზე.
2. წარმოების მოცულობა არის მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო შესყიდვებისა და წმინდა ექსპორტის ჯამი.

3. მოხმარება დამოკიდებულია განკარგავად შემოსავალზე.
4. ინვესტიციების მოცულობა დამოკიდებულია რეალურ საპროცენტო განაკვეთზე.
5. საგადასმდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის მდგომარეობა დამოკიდებულია რეალურ გაცვლით კურსზე.
6. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის მდგომარეობა დამოკიდებულია შიდა საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე.
7. კაპიტალის მოძრაობის ანგარიში და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში უნდა აბალანსებდნენ ერთმანეთს

განვიხილოთ სასესხო კაპიტალის ბაზარი. როგორც ადრე, ახლაც ეროვნული დანაზოგი S მოცემულია, როგორც Y-C-G. ეროვნული ანგარიშების ძირითადი იდეიზმიდან გვაქვს:

$$S = I + NX$$

ენაიდან $NX = -CF$, ამ ტოლობის გადაწერა შეიძლება შემდეგნაირად:

$$S + CF = I$$


ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ სასესხო კაპიტალის მიწოდება (შიდა დანაზოგს პლუს საზღვარგარეთიდან კაპიტალის მოდინება) სასესხო საშუალებებზე მოთხოვნის (შიდა ინვესტიციები) ტოლია.

ახლა ბოლო ტოლობაში ჩავესვით დანაზოგის, ინვესტიციების და კაპიტალის მოდინების ფორმულა, რომლის შედეგადაც მივიღებთ:

$$[\bar{Y} - C(\bar{Y} - T) - G] + CF(r) = I(r),$$

$$\bar{S} + CF(r) = I(r).$$

ეს ტოლობა ილუსტრირებულია ნახ. 2-ზე. სასესხო საშუალებათა მიწოდების მრუდი $S+CF$ გადახრილია მაღლა, რადგანაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ახდენს საზღვარგარეთიდან კაპიტალის მოდინების სტიმულირებას. სასესხო საშუალებებზე მოთხოვნის მრუდი I დახრილია ქვემოთ, რადგანაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი იწვევს ინვესტიციების მოცულობის შემცირებას. საპროცენტო განაკვეთის წონასწორული მნიშვნელობა განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილში.




ნახ. 2 საპროცენტო განაკვეთის წონასწორული მნიშვნელობა დიდ და კონომიკაში საპროცენტო განაკვეთის წონასწორული მნიშვნელობის დროს სასესხო კაპიტალის მიწოდება, რომელიც შედგება დანაზოგისა და უცხოური სესხებისაგან ($S+CF$), აწონასწორებს სასესხო საშუალებებზე მოთხოვნას, რომელიც ყალიბდება ინვესტორების მხრიდან (I).

ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა

ახლა შეგვიძლია გამოვიკვლიოთ ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა ამ მოდელის ენდოგენურ ცვლადებზე – საპროცენტო განაკვეთზე, გაცვლით კურსზე, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშზე.

განვიხილოთ სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გავლენა:



ნახ. 3 ეროვნული დანაზოვის მოცულობის შემცირება დიდ ღია ეკონომიკაში ეროვნული დანაზოვის მოცულობის შემცირება, თავის მხრივ, ამცირებს სასესო კაპიტალის მიწოდებას. საპროცენტო განაკვეთის წონასწორული მნიშვნელობა მაღლდება, რაც გამოდევნის ინვესტიციებს და ზრდის საზღვარგარეთიდან კაპიტალის მოიწოდებას.

სახელმწიფო შესყიდვების ზრდა ან გადასახადების შემცირება. ასეთი პოლიტიკა ამცირებს ეროვნულ დანაზოვის მოცულობას და შესაბამისად, ამცირებს სასესო კაპიტალის მიწოდებას, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 3-ზე. საპროცენტო განაკვეთის წონასწორული მნიშვნელობა იზრდება. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი იწვევს ინვესტიციების შემცირებას და ქვეყანაში კაპიტალის მოიწოდების ზრდას, ე.ი. I მცირდება, ხოლო CF იზრდება. გამოდინარე იქიდან, რომ მიმდინარე ანგარიში და კაპიტალის მოძრაობის ანგარიში ყოველთვის აწონასწორებენ ერთმანეთს, CF-ის ზრდა თანდაყოლილი უნდა იყოს NX-ს შემცირებით. რამდენადაც NX დაკავშირებულია რეალურ ბაზრებთან კურსთან ეკუ დაბოკიდებულებით, რეალური გაცელოთ კურსი e უნდა ამაღლდეს.

შეწინააღმდეგება, რომ ამ მოდელებში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა გაეყენა წარმოადგენს მისი შედეგების კომბინაციებს დახურული ეკონომიკისათვის (იხ. მე-3 თავი) და მცირე ღია ეკონომიკისათვის, რომელიც მოცემულ თავეში განვიხილეთ. როგორც დახურულ ეკონომიკაში, სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა დიდ ღია ეკონომიკაში ზრდის საპროცენტო განაკვეთს და გამოდევნის შიდა ინვესტიციებს. როგორც კაპიტალის სრული მობილურობის მქონე მცირე ღია ეკონომიკაში, სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა იწვევს კაპიტალის მოიწოდებას, საგადასახადო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს და რეალური გაცელოთ კურსის ამაღლებას.

(ამ მოდელის უფრო სრულად გაგებისათვის შეეცადეთ ის გამოიყენოთ ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ვარიანტების გასაანალიზებლად. განვიხილეთ შემდეგი ცვლილებები.)

- საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი საინვესტიციო მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მაღლა
- იმპორტული კუორტების შემოღება გადაადგილებს წმინდა ექსპორტზე მოთხოვნის მრუდს მარჯვენა-მალა
- უცხოეთში პოლიტიკური არასტაბილურობა გადაადგილებს მოცემულ ქვეყანაში კაპიტალის მოიწოდების მრუდს მარჯვენა-მალა.

რა დემარტება თითოეულ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთს, ინვესტიციების მოცულობას, მიმდინარე ანგარიშს, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს და გაცელოთ კურსს?)

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, гл. 283-331
2. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, гл. 427-452
3. Эриу Абеа, Бен Берманке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, гл. 233-262
4. Т.А. Агапова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДИС. 2002, гл. 331-349
5. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002, гл. 165-172
6. Manikiv N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, гл. 114-154
7. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall, 2000, гл. 373-419


თავი 8. ეკონომიკური რყევების თეორიის შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკურ რყევებს უურობენ დაახლოებით ისე, როგორც ძველი ეპიკატრები - ნილოსის აღიდეგას ეს მოვლენა მუდრდება დროის გარკვეული შუალედებით, გაარნა უდიდესი მნიშვნელობა ავლასათვის ხოლო მისი ნამდვილი მიზეზები დაფარულია აზრისაგან.

ჯონ ბეიტს კლარკი, 1898

ეკონომიკური რყევების პრობლემა მუდმივად აღელვებს ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს. როგორც ნახ. 8-1-ზეა ნაჩვენები, მშპ-ს რეალური მოცულობის ზრდის ტემპი ძლიერ რყევებს განიცდის წლიდან წლამდე. ხშირად ადგილი აქვს საკმარისი აქტივობის მკვეთრ ეარდნას - პერიოდებს, რომლის განმავლობაშიც შემოსავლები მცირდება, ხოლო უმუშევრობა იზრდება. მაგალითად, 1982 წელს აშშ-ში ჭლოერი ეარდნის დროს მშპ-ს რეალური მოცულობა 2,5%-ით შემცირდა, ხოლო უმუშევრობის დონემ 10%-ს გადააჭარბა, 1990 წელს კი მშპ ბუნებრივ დონესთან შედარებით 2,2%-ით ნაკლები იყო, ხოლო უმუშევრობის დონემ სამუშაო ძალის 7,7% შეადგინა. 2008 წელს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, რომელიც აშშ-ში იპოთეკური დავალანების კრიზისის შედეგად განვითარდა, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მკვეთრად შემცირდა წარმოების რეალური მოცულობა და გაიზარდა უმუშევრობა. როგორც წესი, რეცესიის პერიოდში მცირდება აგრეთვე სამუშაო კვირაც: მომუშავეთა უმრავლესობა დაკავებულია არასრული სამუშაო დროით, მცირდება აგრეთვე სახვებაანაკვეთი მომუშავეთა რაოდენობაც.

წარმოების მოცულობისა და დასაქმების ასეთ რყევებს ეკონომისტები ზოგჯერ ეკონომიკურ ციკლებს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტერმინი გულისხმობს ეკონომიკის რყევების რეგულარულ და პროგნოზირებად ხასიათს, სინამდვილეში არაფერი მსგავსი პრაქტიკაში არ შეიმჩნევა. ეკონომიკური რეცესიები საკმაოდ არარეგულარული მოვლენაა.



ნახ. 8-1. აშშ-ში მშპ-ს რეალური მოცულობის ზრდის ტემპი. მშპ-ს რეალური მოცულობის საშუალოწლიური ზრდის ტემპი შეადგენს 3%-ს, მაგრამ ადგილი აქვს ამ საშუალო ტემპიდან მნიშვნელოვან გადახრას. რეცესია - ეს ის პერიოდებია, რომელთა განმავლობაშიც ადგილი აქვს რეალური მშპ-ს მოცულობის შემცირებას, ე.ი. როდესაც მშპ-ს რეალური მოცულობის ზრდის ტემპები უარყოფითია.

ზოგჯერ რეცესიებს ხშირად აქვს ადგილი. მაგალითად, მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა აშშ ში 1980-1982 წლებში. ზოგჯერ ისინი დროში საკმაოდ დაშორებულინი არიან ერთმანეთისაგან, ეკრძოდ იგივე აშშ-ში 1982-1990 წლებში. ბოლოდროინდელი კრიზისი 2007 წლის მიწურულიდან იცვას სათავეს. წინა თავებში ატავებულია მოდელები, რომლებიც საშუალოდ გვაძლევს გამოვალვით ერთგვლი შვიმისაგლის, უმუშევრობის, ინფლაციისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების სიდიდეთა განსახლურელი ფაქტორები. მაგრამ მათში არ გაანალიზებულია ამ მაჩვენებელთა წლიდან წლამდე ასეუ-პლიური რყევების მიზეზები. ამჯერად, ჩვენი მიზანია მოყვანით ისეთი მოდელები, რომელიც საშუ-ალებას მოგვცევს დავადგინოთ ამ მოკლევადიან რყევათა მიზეზები. რამდენადაც შშმ ეკონომიკის შიგო მაროების საუკეთესო ნაერთი მაჩვენებელია, მას ჩვენს მოდელში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ისევე, როგორც ვეპიტლები ცდილობენ ნილოსი შეაჩეროს ასუანი ჯვბირის დახ მარებით, თანამედროვე საზოგადოება ისწარფვის კონტროლოს დაუქმებლბაროს ეკონომიკური ცილბუ-შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის დახმარებით. მოდელი, რომელიც აღწერილია მომდევნო თავებში წარმოდგენას შეეძქმნის ფულად-საქონლბო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა გაულენი! ფასხებ ეკონომიკურ რყევებზე ის ვაჩვენებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკას ძალბუ როგორც ეკონ-მიკის სტაბილბრობის უსრუნველბოფა, ისე ეკონომიკური რყევების გაძლიერებაც.

8-1. მოკლევადიან და გრძელვადიან რყევებს შორის განსხვავება.

იმისათვის, რომ ავატოთ ეკონომიკის მოკლევადიანი რყევების მოდელი, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რა ნიშნით შეიძლება განსხვავებობდეს ის კლასიკური გრძელვადიან-მოდელისაგან, რომელიც მოყვანილია III-VII თავებში. მაკროეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რა-შ მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში ეკონომიკის განვითარების ხასიათში ძირეული განსხვავება დაეკავშირებულია ფასების განსხვავებულ დინამიკასთან. *გრძელვადიან პერიოდში ფასები ხასიათებ-ბა საქმარის მოქნილობით და ამიტომ, ისინი რეაგირებენ მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებებზე მაგრამ, მოკლევადიან პერიოდში მრავალ საქონელზე არსებული ფასები ერთგვარად „გარკ-ვეულ დონეზე“ რამდენადაც, ფასების ცვლილების ხასიათი მოკლევადიან პერიოდში ისეთი არ არის. როგორც გრძელვადიანში, ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებიც განსხვავებული იქნება სხვადასხვა-დროითი პორიზონტისათვის.*

იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოთ, თუ რა ნიშნით განსხვავდება ეკონომიკის განვითარება მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში, განვიხილოთ ფულად პოლიტიკაში ცვლილებების შედე-გები. ვთქვათ, ცენტრალური ბანკი უცერად ამცირებს ფულის მიწოდებას 5%-ით. კლასიკურ მოდელთან შესაბამისად, რომელიც საკმაოდ სარწმუნოდ აღწერს გრძელვადიან პერიოდს (რაშიც თანხმდებ-თითქმის ყველა ეკონომისტი), ფულის მიწოდების ოდენობა გაულენას ახდენს ნომინალურ მაჩვენებ-ლებზე, ე.ი. მაჩვენებლებზე ფულად გამოხატულებაში და არა რეალურ მაჩვენებლებზე. როგორც მეტ-თავში აღვნიშნეთ, ასეთი პრინციპული მიდგომა ცნობილია *კლასიკური დიქოტომის* სახელით. ამიტომ გრძელვადიანი პერიოდისათვის ფულის მიწოდების ხუთპროცენტიანი შემცირება იწვევს ყველა საქ-ონელზე ფასების შემცირებას (ნომინალური ხელფასის ჩათვლით) 5%-ით, მაშინ, როდესაც რეალურ-ხელფასი, უმუშევრობის დონე და წარმოების მოცულობა უცვლელი რჩება.

მაგრამ, მოკლევადიანი პერიოდისათვის მრავალ საქონელზე ფასები არ რეაგირებს ფულად პო-ლიტიკაში არსებულ ცვლილებებზე. ფულის მიწოდების შემცირება არ იწვევს ყველა ფირმის შიგრ სა-მიერ გადასახდელი ხელფასების დაუყოვნებლივ შემცირებას, ვერ აიძულებს ყველა მარკეტზე მოწოდ-ებარა ობიექტს დაუყოვნებლივ გადახედოს გასაყიდი საქონლის ფასებს, ფოსტით მოვაჭრე ფირმებს - გამოუშვან ახალი კატალოგები, ხოლო რესტორნებს - დაბჭდონ ახალი მენიუ. პირიქით, მრავალ საქ-ონელზე არსებული ფასი მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვლება. ამ ფასებს შეიძლება ვუწოდოთ *ხისკ- (მოუხველი) ფასები*. ფასების სისხისტის გამო ფულის მიწოდების ცვლილების მოკლევადიანი შედეგბა განსხვავებულია გრძელვადიანისაგან.

ეკონომიკური რყევების მოდელში გათვალისწინებული უნდა იყოს ფასების სისხისტე მოდე-ლიან პერიოდში. ჩვენ დავრწმუნდებით იმაში, რომ თუ ფასები არ იცვლება უწყვეტად ფულის მიწოდ-ბის ცვლილებათა შესაბამისად, კლასიკური დიქოტომიის პრინციპი აღარ მოქმედებს - ფულად პო-ლიტიკა ძლიერ გაულენას მოახდენს წარმოების მოცულობაზე და დასაქმებულზე. რადგანაც ფასი უქნარა შესაბამისობაში მოივდეს ფულის მიწოდების მიმდინარე ცვლილებებთან, სწორედ ამიტომ აქვს ადგილი წარმოების მოცულობისა და დასაქმების დონის რყევებს ამ შესაბამისობის აღსადგენად.

პრინციპში, თუკი ფასები ხისტი, მაშინ წარმოების მოცულობა შესაძლებელია გადაიხაროს კლასიკური მოდელით განსახლურელი დონისაგან. კლასიკურ მოდელში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და მოცულობა შრომისა და კაპიტალის დანახარჯებზე, არსებულ ტექნიკასა და ტექნი-

ლოგიაზე, ჩვენ ენახათ, რომ ფასების მოქნილობა ამ შემთხვევაში საკანძო როლს თამაშობს: კლასიკურ მოდელში ფასების ცვლილება უზრუნველყოფს მოთხოვნის სიდიდისა და მიწოდების მოცულობის ზედმიერ ტოლობას. მაგრამ, როდესაც ფასები ხისტი, წარმოების მოცულობა დამოკიდებული ხდება აგრეთვე საკონფლზე არსებულ მოთხოვნაზე. მოთხოვნა, თავის მხრივ, განიცდის ფულად-საქრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკისა და სხვა ფაქტორთა გავლენას. ამგვარად, ფასების სიხისტე არის მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით აუცილებელია ადეკვატური ფულად-საქრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა განხორციელება.

ამ თავის დარჩენილ პარაგრაფებში ავაგებთ მოდელს, რომელიც საშუალებას მოგვცემს აეხსნათ ეკონომიკის მოკლევადიანი რყევები. მოთხოვნა-მიწოდების მოდელი, რომელიც გამოიყენებთ პირველ თავში პირის ბაზრის გასაანალიზებლად, მთელი ეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი კონცეფციაა. ეს მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს ნებისმიერი საქონლის ფასი და გაყიდვების მოცულობა მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებას, აგრეთვე, ეგზოგენური ცვლილების ცვლილებები თუ როგორ ზემოქმედებს წარმოების მოცულობაზე და ფასებზე. აქ მოვიყვანთ ამ მოდელის „სრულ-მასშტაბიან“ ვერსიას – ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელს, რომელიც მთელი ეკონომიკისთვისაა შეესაბამებული. აღნიშნული მაკროეკონომიკური მოდელი საშუალებას გვაძლევს გამოვადინოთ ფასების საერთო დონისა და წარმოების ერთობლივი მოცულობის ფორმირების ფაქტორები. ის მოიცავს აგრეთვე მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში ეკონომიკის დინამიკის შედარების პრინციპულ საფუძველს.

მაგალითი 8-1

ეურნალებზე ფასების სიხისტის გამოცანა

როგორია ფასების სიხისტის ხარისხი? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ფასებს ვაანალიზებთ. ზოგიერთი საქონელი, მაგალითად ხორბალი, ბამბა და ტყვია იყიდება ბირჟებზე და მათი ფასები ყოველ წუთს იცვლება. ამ ფასებს არაინ უწოდებს ხისტს. ამავე დროს, უზარადად საკონფლსა და მომსახურების ფასები გაცილებით იშვიათად იცვლება. ზოგიერთი მონაცემების თანახმად, ფორმათა 39% თავიანთ ფასებს წელიწადში ერთხელ ცვლიან, ხოლო ფორმათა 10% წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ფასებს უცვლელად ტოვებენ.

ფასების სიხისტის მიზეზები ყოველთვის ნათელი არ არის. მაგალითად, განვიხილოთ ეურნალების ბაზარი. ჩატარებული გამოკვლევები მოწმობენ იმას, რომ კოსიკებში ეურნალებზე არსებული ფასები ძალიან იშვიათად იცვლება. ჩვეულებისამებრ, ეურნალებზე ნომინალური ფასების ზრდის მომენტისათვის მისი რეალური ღირებულება ინფლაციის შედეგად 25%-იან შემცირებას ასწრებს. მაშასადამე, თუკი ინფლაციის ტემპი წელიწადში 4%-ა, მაშინ ტიპური ეურნალის ფასი დაახლოებით 6 წელიწადში ერთხელ იცვლება.

რატომ იცვლება ეურნალებზე ფასები ასე იშვიათად? ეკონომისტებს ამომწურავი პასუხი ამ კითხვაზე არ გააჩნიათ. ეს, ერთი შეხედვით, აუხსნელად გვეჩვენება, რადგანაც ეურნალებზე ახალი ფასების დაწესების დანახარჯები მცირეა: იმისათვის, რომ შეცვალონ ფასები, ფოსტით მოვაჭრე ფირმებმა უნდა გამოუმან ახალი კატალოგები, რესტორნებმა უნდა დაბეჭდონ ახალი მენიუ, ხოლო ეურნალის გამომშენებმა უზარალოდ შედგომი ნომრის გარეკანზე დაბეჭდოს ახალი ფასი. როგორც ჩანს, ახალი ფასებით ეურნალების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი გამომცემლისთვის არც ისე დიდია. ან შესაძლებელია, რომ მკითხველისთვის უხერხული იქნება, თუკი მის საყვარელ ეურნალებზე ფასები ყოველთვიურად შეიცვლება.

ამგვარად, ხშირად ძალიან რთულია ფასების მაკროეკონომიკური სიხისტის ახსნა. ამიტომ, ეს პრობლემა მკვლევართა დიდ ყურადღებას იქცევს. მე-11 თავში განვიხილავთ ზოგიერთ თანამედროვე თეორიას, რომლითაც ახსნება ფასების სიხისტის მიზეზები.

ფართოდ გაერთიანებულია მოსარება, რომ ფასების სიხისტის ფენომენს (მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ სრულად შესწავლილი არ არის) ენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკური რყევების მიზეზთა ახსნაში. ამ თავში ვიწყებთ ფასების სიხისტესა და ეკონომიკურ რყევებს შორის დამოკიდებულების შესწავლას.

8-2. ერთობლივი მოთხოვნა

ერთობლივი მოთხოვნა – ეს არის დამოკიდებულება ფასების საერთო დონისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობას შორის, რომელზეც არსებობს მოთხოვნა საოჯახო მეურნეობების, ფირმების, სახელმწიფოსა და უცხოელების მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთობლივი მოთხოვნის მძრული გვიჩვენებს საკონფლსა და მომსახურების რაოდენობას, რომლებიც შეიძინება საშუალო ფასების თითოეული მოცემული დონის პირობებში.

ფულის რაოდენობრივი თეორიის განტოლება, როგორც ერთობლივი მოთხოვნის მოდელი

ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ერთობლივი მოთხოვნის მარტივი თეორია ფულის რაოდენობრივი თეორიის ბაზაზე. გავიხსენოთ მერ თემის მასალიდან, რომ ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად

$$MV = PY,$$


სადაც M – ფულის მიწოდება, V – ფულის მიმოქცევის სიჩქარე (რომელსაც ამ შემთხვევაში მუდმივ სიდიდედ ვღებულობთ), P – ფასების საშუალო დონე, ხოლო Y – წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა. ეს ტოლობა ამტკიცებს, რომ ფულის მიწოდება განსაზღვრავს წარმოების მოცულობას ნომინალურ გამოხატულებაში, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ფასების დონეზე და წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე.

როგორც მერ თემაში განვიხილეთ, ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა შეიძლება წარმოვადგინოთ აგრეთვე რეალურ გამოხატულებაში ფულადი საშუალებების მიწოდებისა და მასზე მოთხოვნის მანევრებლებით:

$$\left(\frac{M}{P}\right)^s = \left(\frac{M}{P}\right)^d = kY,$$

სადაც $k=1/V$. ამ სახით წარმოდგენილი ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა გვიჩვენებს, რომ რეალური ფულადი მარაგის მიწოდება $(M/P)^s$ ტოლია მოთხოვნის $(M/P)^d$ და რომ მოთხოვნა პროპორციულია წარმოებული პროდუქციის რაოდენობის Y .

რაოდენობრივი თეორიის განტოლება გვიჩვენებს, რომ ფასების P დონესა და წარმოებული პროდუქციის Y რაოდენობას შორის დამოკიდებულება უარყოფითია ფულის მიწოდების ნებისმიერი მუდმივი დონის პირობებში. ნახ. 8-2-ზე მოყვანილია P -სა და Y -ის მნიშვნელობათა სხვადასხვა კომბინაცია, რომლებიც აკმაყოფილებენ რაოდენობრივი თეორიის განტოლებას ფულის ამა თუ იმ მუდმივი მიწოდების შემთხვევაში. აღნიშნულ მრუდს ეწოდება ერთობლივი მოთხოვნის მრუდი.



ნახ. 8-2. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი AD გამოხატავს ფასების P დონესა და საქონელზე და მომსახურებაზე Y მოთხოვნის რაოდენობას შორის დამოკიდებულებას. მოცემული გრაფიკი ატეხულია ფულის მიწოდების M მოცემული დონის პირობებში. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი დაბლა მიმართულია: რაც უფრო მაღალია ფასების დონე P , მით უფრო ნაკლებია რეალურ გამოხატულებაში ფულადი მარაგები M/P და ამიტომ, დაბალია საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობა Y .

რატომ არის ერთობლივი მოთხოვნის მრუდი დაბლა დახრილი?

ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მიმართულია მარჯვნივ დაბლა. ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობის თანახმად, ფულის მიწოდების ყოველ მოცემულ დონეს შეესაბამება მიმდინარე ფასებში წარმოების მოცულობის გარკვეული მნიშვნელობა (PY). აღნიშნული ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ ფასების დონის P ზრდის შემთხვევაში წარმოების მოცულობა Y მცირდება. იმისათვის, რომ ნათელი მივფინოთ P -სა და Y -ს შორის უარყოფითი დამოკიდებულების მექანიზმს, შესაძლებელია გან-

ეხილეთ ფულის მიწოდებასა და განხორციელებულ გარიგებათა საერთო მოცულობას შორის დამოკლებულების კერძო შემთხვევა.

რამდენადაც ფულის მიმოქცევის სიჭარბე მიღებულია მუდმივ სიდიდედ, განხორციელებულ გარიგებათა ფულადი მოცულობა განისაზღვრება ფულის მიწოდების ოდენობით. ფასების დონის ზრდის შემთხვევაში ყოველი გარიგების განსახორციელებლად საჭიროა ფულის მეტი რაოდენობა და ამიტომ, გარიგებათა რიცხვი და შესაბამისად, შესაძენი საქონლისა და მომსახურების რაოდენობა მცირდება.

ამავე შედეგამდე მიყვარათ მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზს ფულადი საშუალებების ბაზარზე. წარმოების მოცულობის ზრდის შემთხვევაში ადგილი აქვს განხორციელებულ გარიგებათა რიცხვის ზრდას და შესაბამისად, საჭირო ხდება რეალურ გამოხატულებაში ფულადი მარაგების M/P მტი ოდენობა. ფულის ფექსირებული მიწოდების შემთხვევაში რეალურ გამოხატულებაში ფულადი საშუალების მარაგები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ ფასების უფრო დაბალი დონის დაწესების შემთხვევაში. და პირიქით, ფასების უფრო დაბალ დონეს შესაბამება ფულის მეტი მარაგი რეალურ გამოხატულებაში; ფულადი აუვარების ზრდა საშუალებას გვაძლევს განეხორციელოთ თანხორივად მტი მოცულობის გარიგებები, რაც იმას ნიშნავს, რომ გვეძლევა პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის შესაძლებლობა.

გარდა ზემოთქმულისა, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის დაბლა დახრილობა სხვა მიზეზებითაც განისაზღვრება. ეს მიზეზები განსხვავდება ცალკეულ საკონტრაქტო მოთხოვნის მრუდის გამასაზღვრელი მიზეზებისაგან, რომელიც აიხსნება შემოსავლისა და ჩანაცვლების ეფექტებით. როდესაც ფასი ცალკეულ საკონტრაქტზე ეცემა, მომხმარებლის (მუდმივი) ნომინალური შემოსავალი მას საშუალებას აძლევს შეიძინოს საკონტრაქტი მეტი რაოდენობით (შემოსავლის ეფექტი). გარდა ამისა, როდესაც ფასები მცირდება, მომხმარებელი ისწრაფვის შეიძინოს მოცემული საკონტრაქტი მეტი რაოდენობით, რადგანაც ის შედარებით იაფდება სხვა საკონტრაქტთან შედარებით (ჩანაცვლების ეფექტი).

მაგრამ ეს ახსნა მიუღებელია აგრეთვე მარტივი მაჩვენებლისთვის. ნახ. 8-2-ზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ-დაბლა მოძრაობის დროს ყველა ფასი მთლიანობაში ეცემა. მაგრამ გაიხსენოთ წრფურენის ჩვეულებრივი მოდელი: სარუნესა და მომსახურებაზე უფრო მაღალი ფასები რესურსებს მიწოდებლობს დაუბრუნდება გაზრდილი შემოსავლების სახით – გაზრდილი ხელფასების, რენტის, პროცენტებისა და მოგების. ამიტომ, ფასების დონის ზრდა ყოველთვის არ ნიშნავს მთლიანად ეკონომიკაში ნომინალური შემოსავლის შემცირებას. ამგვარად, ფასების დონის შემცირება არ არის აუცილებელი იყვედეს შემოსავლის ეფექტი (შეიძინება მეტი პროდუქტი, რადგანაც ფასების შემცირება საშუალებას იძლევა ადამიანებს ხელზე შეინარჩუნონ მეტი რეალური შემოსავალი).

ანალოგიურად, ნახ. 8-2-ზე ფასები საერთოდ მცირდება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ-დაბლა მოძრაობის კვალობაზე, ამიტომ, ჩანაცვლების ეფექტის საფუძველი (ერთი საკონტრაქტი იაფდება სხვა დანარჩენ საკონტრაქტებთან შედარებით) მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. ამიტომ, ჩანაცვლების ნამდვილი ეფექტი არ წარმოიქმნება, თუკი ფასების დონე მთლიანობაში მცირდება.

თუკი ერთობლივი მოთხოვნის კლებადი მრუდის ახსნა შეუძლებელია შემოსავლისა და ჩანაცვლების ეფექტებით, მაშინ რატომ აქვს მას ასეთი ფორმა? ამის მიზეზები მდგომარეობს შემდეგ სამ ფაქტორში.

სიმდობრის ეფექტი. პირველი მიზეზი, რომლის ძალითაც განისაზღვრება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის დაღმამიშვალე მოძრაობა, სიმდობრის ეფექტია. ფასების უფრო მაღალი დონის პირობებში მცირდება საზოგადოებაში დაგროვებული ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება, ანუ მსყიდველობითი უნარიანობა, კერძოდ, ფექსირებული ფულადი ღირებულების მქონე აქტივების, როგორცაა, ედლიანი ანაბრები ან ობლიგაციები. ამ აქტივების მსყიდველობითი უნარიანობის ასეთი ეარდნის შედეგად ქვეყნის მოსახლეობა რეალურ გამოხატულებაში ღარიბდება და, შესაბამისად, ისინი მიმართავენ დანახარჯების ეკონომიას. საოჯახო მეურნეობა, შესაძლოა, შეიძინებ ახალ ავტომობილს ან აუვებს, თუკი მისი წმინდა ფინანსური აქტივების მსყიდველობითი ღირებულება შეადგენდა, ვთქვათ, 50 ათას ლარს. მაგრამ, თუკი ინფლაციას ამ აქტივების მსყიდველობითი უნარიანობა დაჟავებს 30 ათას ლარად, ოჯახი ალბათ გადადებს აღნიშნულის ყიდვას.

და პირიქით, ფასების დონის შემცირების დროს ადამიანის სიმდობრის ღირებულება, ანუ მსყიდველობითი უნარიანობა მცირდება და ისიც ზრდის თავის დანახარჯებს.

საპროცენტო განაკვეთის ეფექტი. საპროცენტო განაკვეთის ეფექტი გულისხმობს, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის დაღმამიშვალე ფორმა განისაზღვრება ფასების დონის ცვლილების გაყვლით საპროცენტო განაკვეთზე, ხოლო შესაბამისად, სამომხმარებლო ხარჯებზე და ინვესტიციებზე. ფასების დონის ზრდასთან ერთად იზრდება საპროცენტო განაკვეთებიც, ხოლო საპროცენტო განაკვეთების ზრდა კი, თავის მხრივ, იწვევს სამომხმარებლო ხარჯების გარკვეული კატეგორიისა და ინვესტიციების შემცირებას.

აღნიშნული აზრი შეგვიძლია განვავრცოთ. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი იგება იმ დაშვებაზე, რომ ფულადი მასის მოცულობა (ფულის მიწოდება) ეკონომიკაში უცვლელი რჩება. როდესაც ფასების დონე იზრდება, მოხმარებლებს სჭირდებათ მეტი ფული, რათა იყიდონ მათთვის საჭირო საქონელი და მომსახურება, მწარმოებლებს კი – ხელფასების გადასახდელად და სხვა აუცილებელი რესურსების საყიდლად. მოკლედ, უფრო მაღალი ფასები განაპირობებს ფულზე მოთხოვნის ზრდას.

ფულის მიწოდების უცვლელობის შემთხვევაში მასზე მოთხოვნის ზრდა იწვევს ფულით სარგებლობაზე ფასების ზრდას. ეს ფასები სხვა არაფერია, თუ არა საპროცენტო განაკვეთი. მაღალი საპროცენტო განაკვეთების დროს საწარმოები და საოჯახო მეურნეობები ამცირებენ დანახარჯების გარკვეულ სახეებს, რომლებიც მგრძობიარეა ამ ფაქტორის ცვლილების მიმართ. ფირმა, რომელიც ელოდება 10%-იან უკუგებას სანეესტციო საქონლის პოტენციური ყიდვისგან, ამ შეძენას მომგებიანად ჩათვლის, თუკი საპროცენტო განაკვეთი, ეთქვათ, 7%-ზე მეტი არ იქნება. მაგრამ ყიდვა არ მოიტანს მოგებას და ამიტომ, არც შედგება, თუკი საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, ეთქვათ, 12%-მდე. საპროცენტო განაკვეთის ზრდის გამო მოხმარებლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას არ იყიდონ სახლი ან ავტომობილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფრო მაღალი ფასების დონე, რომელიც ზრდის ფულზე მოთხოვნას და შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთს, ამცირებს მოთხოვნის სიდიდეს, ე.ი. წარმოებული პროდუქციის რეალურ მოცულობას, რომელზეც წარედგინება მოთხოვნა.

იმპორტული შესყიდვების ეფექტი. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, იმპორტი და ექსპორტი ერთობლივი დანახარჯების მნიშვნელოვანი კომპონენტებია. იმპორტისა და ექსპორტის მოცულობები, სხვა ფაქტორების გარდა, დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ფასების თანაფარდობაზე. თუკი საქართველოში ფასების დონე იზრდება უფრო მაღლა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, საქართველოს მოსახლეობა შეიძენს მეტ იმპორტულ და ნაკლებ სამამულო პროდუქციას. დანარჩენი ქვეყნებიც იყიდონ ნაკლებ ქართული წარმოების პროდუქციას, რაც გამოიწვევს საქართველოს ექსპორტის შემცირებას. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოში ფასების დონის ზრდა იწვევს ქართული იმპორტის ზრდას და ექსპორტის შემცირებას, ე.ი. წმინდა ექსპორტის შემცირებას ქართული წარმოების საქონელზე დანახარჯების საერთო მოცულობაში.


ამგვარად, ქვეყნის შიგნით ფასების დონის ზრდის შემთხვევაში იმპორტული შესყიდვების ეფექტი იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას სამამულო საქონელსა და მომსახურებაზე. და პირიქით, ქვეყანაში ფასების დონის შედარებითი შემცირება იწვევს იმპორტის შემცირებას და ექსპორტის ზრდას და ამით წმინდა ექსპორტის ზრდას ერთობლივ შიდა მოთხოვნაში.

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება


ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გრაფიკი იგება ფულის მიწოდების დონის მოცემული მნიშვნელობის შესაბამისად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ გრაფიკზე აღნიშნულია P-სა და Y-ის შესაძლო შესაბამისობები, რომელიც შეესაბამება M-ის მოცემულ მნიშვნელობას. თუკი ფულის მიწოდება იცვლება, მაშინ შეიცვლება P-სა და Y-ის შესაძლო შესაბამისობა და ნაკლები, ე.ი. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება. გავაანალიზოთ ზოგიერთი სიტუაცია, რომლის დროსაც შესაძლებელია მოხდეს ასეთი ძვრები.

პირველი, განვიხილოთ, როგორ განვითარდება სიტუაცია, როდესაც ცენტრალური ბანკი ამცირებს ფულის მიწოდებას. რაოდენობრივი თეორიის ტოლობა ($M=PY$) მეტყველებს იმაზე, რომ ფულის მიწოდების შემცირება განაპირობებს ნომინალურ გამოხატულებაში წარმოების ღირებულებებითი მოცულობის (PY) პროპორციულად შემცირებას. ამიტომ, ფასების ყოველ მოცემულ დონეს შეესაბამება წარმოებული პროდუქციის ნაკლები რაოდენობა, ხოლო წარმოებული პროდუქციის ყოველ მოცემულ რაოდენობას – ფასების უფრო დაბალი დონე. როგორც ნახ. 8-ა გვიჩვენებს, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს P-სა და Y-ს, გადაადგილდება მარცხნივ.

ა) ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილება



ბ) ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილება



ნახ. 8-3. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება ფულის მიწოდების შემცირება ცვლის ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მდებარეობას. ფასების ყოველი მოცემული დონის P პირობებში ფულის მიწოდების შემცირება იწვევს იმას, რომ MP - თანაფარდობა მცირდება და შესაბამისად, - პროდუქციის გამოშვების მოცულობაც Y (იხ. ნახ. 8-3ა). ამიტომ, ფულის მიწოდების შემცირება ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარცხნივ-დაბლა. ფასების ნებისმიერი მოცემული დონის P პირობებში ფულის მიწოდების M უფრო მაღალ დონეს შეესაბამება მეტი ოდენობის რეალური ფულადი მარაგები MP და შესაბამისად, წარმოების მეტი მოცულობა Y (იხ. ნახ. 8-3ბ). ამიტომ, ფულის მიწოდების ზრდა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას.

ახლა ენახოთ, თუ რა შედეგები მოჰყვება ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების ზრდას. რაოდენობრივი თეორიის ტოლობის თანახმად, გაიზრდება PY . ამიტომ, ფასების ნებისმიერ მოცემულ დონეს შეესაბამება წარმოების მეტი მოცულობა, ხოლო წარმოებული პროდუქციის ნებისმიერ მოცემულ რაოდენობას – ფასების უფრო მაღალი დონე. როგორც ნახ. 8-3ბ გვჩვენებს, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ.

ფულადი მასის ცვლილება არ წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის რყევების ერთადერთ მიზეზს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფულის მიწოდება მუდმივი რჩება, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი შეიძლება გადაადგილდეს ფულის მიმოქცევის სიჩქარის ცვლილებების ან სხვა მიზეზების გამო, რომლებსაც ერთობლივი მოთხოვნის დეტერმინანტები ეწოდება.

ახლა განვიხილოთ ეს დეტერმინანტები. კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ხაზგასმით: ნახ. 8-3-ზე ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუკი იცვლება ერთი ან რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც, როგორც ადრე დავეუწყოთ, ითვლებოდა მუდმივად „სხვა თანაბარ პირობებში“. ერთობლივი მოთხოვნის ეს დეტერმინანტები, ანუ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების ფაქტორები, ჩამოთვლილია ქვემოთ. განვიხილოთ თითოეული პარამეტრი დეტალურად.

ერთობლივი მოთხოვნის დეტერმინანტები:
ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას

1. სამომხმარებლო ხარჯების ცვლილებები
 - 1.1. მოხმარებელთა კეთილდღეობა
 - 1.2. მომხმარებელთა მოლოდინი
 - 1.3. მოხმარებელთა დავალიანება
 - 1.4. გადასახადები
2. საინვესტიციო ხარჯების ცვლილებები
 - 2.1. საპროცენტო განაკვეთი
 - 2.2. ინვესტიციებისგან მოსალოდნელი მოგება
 - 2.3. ბიზნესზე გადასახადები
 - 2.4. ტექნოლოგიები
 - 2.5. ჭარბი რეზერვები
3. სახელმწიფო ხარჯების ცვლილება
4. წმინდა ექსპორტზე დანახარჯების ცვლილება
 - 4.1. ეროვნული შემოსავალი საზღვარგარეთის ქვეყნებში
 - 4.2. სავალუტო კურსები

სამომხმარებლო ხარჯები

თუნდაც ფასების დონე დარჩეს უცვლელი, მომხმარებლებს შეუძლიათ შეცვალონ ნაყიდი სამამულო წარმოების რეალური პროდუქტის მოცულობა. ასეთ შემთხვევაში, გადაადგილდება ერთობლივი მოთხოვნის მთელი მრუდი. ის გადაადგილდება მარცხნივ, როგორც ეს ნახ. 8-3ა-ზეა ნაჩვენები, როდესაც მომხმარებლები ყიდულობენ ადრინდელთან შედარებით ნაკლებ საქონელს ფასების ყოველი შემადლო დონის პირობებში. და პირიქით, მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ, როგორც ეს ნახ. 8-3ა-ზეა ნაჩვენები, როდესაც მომხმარებლები ყიდულობენ მეტ საქონელს ფასების ყოველი შესაძლო დონის პირობებში.

ერთი ან რამდენიმე არასაფასე ფაქტორების ცვლილებას შეუძლია გაუღებნა მოახდინოს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე და ამით გადაადგილოს ერთობლივი მოთხოვნის მრუდი. როგორც ნახ. 8-3-ზე ჩანს, ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება: მომხმარებელთა კეთილდღეობა, მათი მოლოდინი, საოჯახო მუერნობათა დავალიანება და გადასახადები.

მომხმარებელთა კეთილდღეობა. მომხმარებელთა კეთილდღეობას შეადგენს ყველა სახის აქტივი, რომელთაც ისინი ფლობენ: ფინანსური აქტივები, ისეთი, როგორიცაა აქციები და ობლიგაციები, მატერიალური აქტივები, მავალითად, სახლი, მიწა და სხვა. მომხმარებელთა განკარგულებაში არსებული აქტივების რეალური ღირებულების მკვეთრი შემცირება მათ აიძულებს გაზარდონ დანახოვები (იყიდონ ნაკლები საქონელი), რათა აღადგინონ თავიანთი კეთილდღეობა უწინდელ დონემდე. შედეგად მცირდება სამომხმარებლო ხარჯების მოცულობა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას, ე.ი. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. ამის საპირისპიროდ, მომხმარებელთა სიმდიდრის რეალური ღირებულების ზრდა იწვევს სამომხმარებლო ხარჯების ზრდას ფასების ნებისმიერი დონის პირობებში. ამგვარად, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ადრე განხილული სიმდიდრის, ანუ რეალური საღაბო ნაშთის ეფექტი, რომელიც გულისხმობს მუდმივ ერთობლივი მოთხოვნის მრუდს და ფასების დონის ცვლილების შედეგადა. პირიქით, სიმდიდრის რეალური ღირებულების ცვლილება, რომელზეც ახლა მიმდინარეობს მსჯელობა, არ არის დამოკიდებული ფასების დონის ცვლილებებზე; ეს არასაფასე ფაქტორია, რომელიც გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მთლიანად. ამის მაგალითია აქციის კურსის მკვეთრი ზრდა, რომელიც განაპირობებს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას ფასების უცვლელი დონის პირობებში. ხოლო სახლების ან მიწის რეალურ ღირებულებათა მკვეთრი ვარდნა ამცირებს მომხმარებელთა კეთილდღეობას დამოუკიდებლად იმისა, იცვლება თუ არა ფასების საერთო დონე.

მომხმარებელთა მოლოდინი. სამომხმარებლო ფასების ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს მომხმარებელთა მოლოდინით პერსპექტივებთან დაკავშირებით. როდესაც ადამიანები ელოდებიან მომავალში თავიანთი რეალური შემოსავლების ზრდას, ისინი მზად იქნებიან დახარჯონ თავიანთი ახლანდელი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მიმდინარე სამომხმარებლო ხარჯები მსგავს შემთხვევაში იზრდება (მიმდინარე დანახოვები მცირდება), ხოლო ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ. ამასთან, მომავალში რეალური შემოსავლების შემცირების მოლოდინი იწვევს მიმდინარე სამომხმარებლო ხარჯების შემცირებას და შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას.

ზუსტად ასევე, ინფლაციის ახალი ტალღის მასობრივი მოლოდინი გაზრდის დღევანდელ ერთობლივ მოთხოვნას, რამდენადაც მომხმარებლები უპირატესობას მიანიჭებენ იყიდონ საქონელი, ვიდრე არ გაზრდიდა ფასები. და პირიქით, ახლო მომავალში ფასების შემცირების მოლოდინი გამოიწვევს დღევანდელი სამომხმარებლო დანახარჯების შემცირებას. ადამიანები უმრავლეს შემთხვევაში მზად იქნებიან გამოხატავენ თავიანთი მიმდინარე მოხმარების ნაწილი დათმონ იმ სარგებლისთვის, რასაც ისინი მიიღებენ ფასების მომავალში შემცირებით.

საოჯახო მეურნეობათა დაეალიანება. დაეალიანების მაღალმა დონემ, რომელიც წარმოიქმნება ადრე სესხის აღებით და კრედიტულ ყიდვის შედეგად, შეიძლება აიძულოს მომხმარებლები შეამცირონ დღევანდელი დანახარჯები არსებული ვალების გადასახდელად. ამის შედეგად, სამომხმარებლო ხარჯები შემცირდება, ხოლო ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ. და პირიქით, როდესაც სამომხმარებლო დაეალიანება შედარებით მცირეა, მიმდინარე სამომხმარებლო ხარჯები იზრდება, რაც იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

გადასახადები. ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შემცირება თანდაყოლილი მომხმარებლების განკარგავლი შემოსავლებისა და ყიდვების ზრდის, რომელსაც ისინი ახორციელებენ ფასების ნებისმიერი შესაძლო დონის პრობებში. გადასახადების შემცირება იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას; გადასახადების ზრდა იწვევს სამომხმარებლო ხარჯების შემცირებას და ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას.

საინვესტიციო ხარჯები

საინვესტიციო ხარჯები, ე.ი. საინვესტიციო საქონლის ყიდვა ერთობლივი მოთხოვნის მეორე დეტერმინანტია. წარმოების ახალი საშუალებების მოცულობის შემცირება, რომელთა შესაძენად მზად არიან ფირმები ფასების ნებისმიერი შესაძლო დონის პრობებში, იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. და პირიქით, საინვესტიციო საქონლის მოცულობის ზრდა, რომელთა შესაძენად მზად არიან ფირმები, იწვევს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას. განვიხილოთ ფაქტორები, რომელთაც ძალუბთ გამოიწვიონ საინვესტიციო ხარჯების ცვლილება.

საპროცენტო განაკვეთები. სხვა თანაბარ პირობებში, საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი ფაქტორით, გარდა ფასების დონის ზრდისა, განაპირობებს საინვესტიციო ხარჯებისა და შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში არ გვაქვს ე.წ. საპროცენტო განაკვეთის ვეფქტი, რომელიც წარმოიქმნება ფასების დონის ცვლილების შედეგად. ჩვენ ვსაუბრობთ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებზე, ვთქვით, ქვევანში უფლადი მასის მოცულობის ცვლილების შედეგად. უფლადი მასის ზრდა განაპირობებს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და ამით, კაპიტალდაბანდებათა ზრდას. და პირიქით, უფლადი მასის შემცირება იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას და ინვესტიციებისა და ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას.

ინვესტიციებისგან მოსალოდნელი მოგება დაბანდებულ კაპიტალზე მოსალოდნელი მოგების მიმართ ოპტიმისტური პროგნოზებიზრდის საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნას და ამით გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების სავარაუდო ზრდად შეიძლება წარმოშვას შესაძლო საინვესტიციო პროექტებიდან მოგებათა ხელსაყრელი მოლოდინი. თუკი მომავალი საინვესტიციო პროექტებიდან მოგებათა მიღებაზე პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია სამომხმარებლო ხარჯების მოსალოდნელი შემცირების გამო, მაშინ ინვესტიციებზე დანახარჯები შემცირდება. შესაბამისად, შემცირდება ერთობლივი მოთხოვნაც.

ბიზნესზე გადასახადები. ბიზნესზე გადასახადების ზრდა იწვევს გადასახადის გადახდის შემდგომ კორპორაციის მოგების შემცირებას კაპიტალდაბანდებიდან, შესაბამისად, საინვესტიციო ხარჯებისა და ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას. და პირიქით, გადასახადების შემცირება ზრდის გადასახადის გადახდის შემდგომ მოგებას კაპიტალდაბანდებიდან, ახალისებს საინვესტიციო ხარჯებს, რაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდს უბიძგებს მარჯვნივ.

ტექნოლოგიები. ახალი და სრულყოფილი ტექნოლოგიები ასტიმულირებს საინვესტიციო ხარჯებს და ამით განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას. მაგალითად, მიკრობიოლოგიასა და ელექტრონიკაში ბოლოდროინდელმა მიღწევებმა გამოიწვია ახალი ლაბორატორიებისა და საწარმოო სიმძღვრეების შექმნა, რომლებიც ვარგისია ახალი ტექნოლოგიების გამოსაყენებლად.

ჭარბი სიმძლავრეები. ჭარბი სიმძლავრეების, ე.ი. გამოუყენებელი ნაღდი კაპიტალის ზრდა, აყურხებს ახალ საინვესტიციო საკონფლზე მოთხოვნას და ამიტომ, აპიცრებს ერთობლივ მოთხოვნას. სხვა თანაბარ პირობებში, ფორმებს, რომელთა საწარმოები ფუნქციონირებენ არასრული დატვირთვით, არ განაჩნით საკმარისი სტიმულები ახალი საწარმოო ერთეულების მშენებლობისთვის. თუკი ფორმები აღმოაჩნენ, რომ მათი ჭარბი სიმძლავრეები ამოწურულია, ისინი აშენებენ ახალ ქარხნებს და ყიდულობენ მეტი ოდენობით მოწოდებლობებს. შესაბამისად, საინვესტიციო ხარჯები იზრდება და ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ.

სახელმწიფო ხარჯები

მთავრობის სწრაფა იყიდოს საკონფლი და მომსახურება – ერთობლივი მოთხოვნის კიდევ ერთი, მესამე დეტერმინანტია. რეალური პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვების ზრდა ფასების ნებისმიერი შესაძლო დონის პირობებში თანდაყოლილია ერთობლივი მოთხოვნის ზრდით მანამ, ვიდრე გადასახადების აკრება და საპროცენტო განაკვეთები უცვლელი რჩება. ამის მაგალითია, ვთქვათ, მთავრობის გადაწყვეტილება გაზატყვილების ქსელების გაფართოვება ქვეყნის რეგიონებს შორის. და პირიქით, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, მაგალითად, სახელმწიფოს დაკეთვის შემთავრებაზე, იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას.

წმინდა ექსპორტზე ხარჯები

ერთობლივი მოთხოვნის ბოლო დეტერმინანტია წმინდა ექსპორტზე ხარჯები. როდესაც საქართველოში წარმოებული საქონლის შესყიდვა უცხოელი მომხმარებლების მიერ იცვლება ჩვენს ქვეყანაში არსებული ფასების დონის ცვლილებისგან დამოუკიდებლად, საქართველოს ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება. ჩვენ კვლავ ხაზს უსვამთ - „ქვეყნის შიგნით ფასების დონის ცვლილებისგან დამოუკიდებლად“. ეს საშუალებას გვაძლევს გაავლით შეაფიქროთ ზღვარი ასეთ ცვლილებებსა და იმ ცვლილებებს შორის, რომელიც წარმოშობილია იმპორტული შესყიდვების ვეფქტით. ეს უკანასკნელი ხსნის, თუ რატომ ხდება, რომ საქართველოში ფასების დონის ცვლილების შედეგად ეკონომიკა გადაადგილდება უცვლელი ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კვლავი გასწვრივ.

როდესაც ვსაუბრობთ ბერკეტებზე, რომლებიც გადაადგილებს ერთობლივ მოთხოვნას, ჩვენ მხედველობაში გვაქვს წმინდა ექსპორტის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია არა ფასების დონის ცვლილებებით, არამედ სხვა ფაქტორებით. წმინდა ექსპორტის ზრდა, რომელიც გამოიწვია ამ „სხვა“ ფაქტორებმა, გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ. ამ ბტკიცების ლოგია ასეთია: პირველი, საქართველოს ექსპორტის უფრო მაღალი დონე ქმნის უფრო მაღალ უცხოურ მოთხოვნას ქართული წარმოების საქონელზე. მეორე, ქართული იმპორტის შემცირება გულისხმობს ქართული წარმოების საკონფლზე შიდა მოთხოვნის ზრდას.

იმ არასაფასე ფაქტორებს შორის, რომლებიც იწვევენ წმინდა ექსპორტის მოცულობის ცვლილებას, პირველ რიგში უნდა დაგასახელოთ საზღვარგარეთის ქვეყნებში ეროვნული შემოსავალი და საცალუტო კურსები.

ეროვნული შემოსავალი საზღვარგარეთის ქვეყნებში. საზღვარგარეთის ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა, თავის მხრივ, ზრდის საგარეო მოთხოვნას მოცემული ქვეყნის პროდუქციაზე და ამიტომ განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდასაც. როდესაც შემოსავლების დონე საზღვარგარეთის ქვეყნებში მაღლდება, მათ მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ იყიდონ მეტი რაოდენობის რაოდრც სამაგულო, ისე უცხოური წარმოების პროდუქცია. შესაბამისად, მოცემული ქვეყნის ექსპორტი იზრდება ამ ქვეყნის საგარეო პარტნიორ ქვეყნებში ეროვნული შემოსავლის დონის ზრდასთან ერთად. საზღვარგარეთის ქვეყნებში ეროვნული შემოსავლის შემცირება გააჩნია საპირისპირო შედეგი: მოცემული ქვეყნის ექსპორტის წმინდა მოცულობა მცირდება, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ.

საგალუტო კურსები. ლარის კურსის ცვლილება სხვა ვალუტებთან მიმართებაში გაელენას ახლები აგრეთვე წმინდა ექსპორტზე და შესაბამისად, ერთობლივ მოთხოვნაზე. დავეთვათ, დოლარის კურსი, გამოხატული ლარებში, იზრდება. ეს ნიშნავს, რომ ლარი უფასურდება დოლართან მიმართებაში. იგივე შეიძლება გამოვხატოთ სხვანაირად: ლარის ფასი, გამოხატული დოლარებში, მცირდება, ე.

დოლარი ძვირდება (დოლარის კურსი იზრდება). ლარისა და დოლარის ახალი თანაფარდობის შედეგად უცხოელ მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ მეტი ლარი დოლარის გარკვეული თანხით, ხოლო საქართველოს მომხმარებლები მიიღებენ ნაკლებ დოლარს ითხოველ ლარზე შესაბამისად, უცხოელი მომხმარებლებისათვის საქართველოში წარმოებული საქონელი, შეფასებული დოლარებში, გაიზარდება. იმადროულად, საქართველოში მომხმარებლებს შეეძლება ნაკლები უცხოური წარმოების საქონელი ლარის გარკვეული თანხით და ისინი შეუდგებიან ნაკლები იმპორტული საქონლის ყიდვას.

საქართველოს ექსპორტის თვალსაზრისით, მაგალითად, ქართული წარმოების ლინო, რომელიც ლარს 10 ლარი, ახლა შეიძლება გაიყიდოს 5 დოლარად და არა, თქვათ, 6 დოლარად. ხოლო საქართველოს იმპორტის თვალსაზრისით თუქველი წარმოების ფეხსაცმელი ახლა ელირება 200 და არა, თქვათ, 170 ლარი. ასეთ ეითარებაში ქართული ექსპორტი გაიზრდება, ხოლო იმპორტი - შემცირდება. ეს წმინდა ექსპორტის ზრდა, თავის მხრივ, იწვევს საქართველოს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას. როდესაც ლარი ძვირდება დოლართან მიმართებაში, საპირისპირო მოვლენასთან გვეყენება საქმე. იმპორტი გაიზარდება, ექსპორტი კი შემცირდება. შესაბამისად, საქართველოს წინადა ექსპორტის შემცირების გამო ჩვენი ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ.

ჩ.1 ერთობლივი მიწოდება

თავისთავად ერთობლივი მოთხოვნის მრუდი არ განასაზღვრავს არც ფასების დონეს და არც წარმოების მოცულობას: ის გვიჩვენებს ამ ორ ცვლადს შორის მხოლოდ შესაძლო დამოკიდებულებებს. იმისათვის, რათა შევედგეთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, აუცილებელია შემოვიყენოთ კიდევ ერთი დამოკიდებულება P-სა და Y-ს შორის, გრაფიკი, რომელიც გადაკეთეს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს - ეს არის ერთობლივი მიწოდების მრუდი. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ფასების დონისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები.


ერთობლივი მიწოდება - ეს არის დამოკიდებულება გამყიდველთა მიერ შემოთავაზებულ საქონლისა და მომსახურების რაოდენობებსა და ფასების დონეებს შორის. ამ თანაფარდობის ფორმა გადამწყვეტნილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ დროით შუალედზე ვამახვილებთ ყურადღებას. ამიტომ, აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ ერთობლივი მიწოდების მრუდის ორი სახე: გრძელვადიანი და მოკლევადიანი. აუცილებელია აგრეთვე ვიპოოთ მოკლევადიანი პერიოდის ანალიზიდან გრძელვადიანი პერიოდის ანალიზზე გადასვლის ხერხი.

გრძელვადიანი პერიოდი: ერთობლივი მიწოდების მრუდი ევრტიკალური ხაზია

რამდენადაც ეკონომიკის ფუნქციონირება გრძელვადიან პერიოდში აღიწერება კლასიკური მოდელით, ერთობლივი მიწოდების მრუდი აგებული იქნება მის საფუძველზე. გავისხენოთ მე-3 თავიდან, რომ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა დამოკიდებულია მხოლოდ შრომისა და კაპიტალის დანახარჯებზე და არსებულ ტექნოლოგიაზე. ამის საილუსტრაციოდ მოვიყენოთ შემდეგი ფუნქცია:


$$Y = F(\bar{R}, L) = \bar{Y}.$$

ამგვარად, კლასიკურ მოდელთან შესაბამისად, წარმოების მოცულობა არ არის დამოკიდებული ფასების დონეზე. ამიტომ, ერთობლივი მიწოდების მრუდი წარმოადგენს ევრტიკალურ ხაზს, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 8-4-ზე. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ერთობლივი მიწოდების ევრტიკალურ მრუდთან გადაკეთების წერტილი განასაზღვრავს ფასების დონეს.



ნახ. 8-4. გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი. საბოლოო ჯამში, წარმოებული პროდუქციის რაოდენობა განისაზღვრება შრომისა და კაპიტალის დანახარჯებით და არსებული ტექნოლოგიით. ამგეადაც, ის დამოკიდებული არ არის ფასების დონეზე. ერთობლივი მიწოდების გრძელვადიანი მრუდი (LRAS) ვერტიკალურია.

თუკი ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, მაშინ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გავლენას ახდენს ფასებზე და არა წარმოების მოცულობაზე. მაგალითად, თუკი ფულის მიწოდება მცირდება, მაშინ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ-დაბლა, როგორც ეს ნახვენება ნახ. 8-5-ზე. ეკონომიკაში ადგილი აქვს ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების გადაკეების ძველი წერტილიდან (A) ახალ წერტილში (B) გადასვლას. რადგანაც ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება იწვევს მხოლოდ და მხოლოდ ფასების დონის ცვლილებას.




ნახ. 8-5. ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გრძელვადიან პერიოდში. ფულის მიწოდების შემცირების შემთხვევაში ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ. ეკონომიკური წონასწორობის წერტილი გადაინაცვლებს A-დან B წერტილში. რადგანაც ერთობლივი მიწოდების მრუდი გრძელვადიან პერიოდში ვერტიკალურია, ერთობლივი მოთხოვნის შემცირება ზემოქმედებს ფასების დონეზე და არა წარმოების მოცულობაზე.

ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური ხაზი აკმაყოფილებს კლასიკური დიქტომიის პირობებს, რამდენადაც ის გვიჩვენებს, რომ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა არ არის დამოკიდებული ერთობლივი მოთხოვნაზე და შესაბამისად, არც ფულის მიწოდებაზე. წარმოებული პროდუქციის შესაბამის რაოდენობას Y ეწოდება წარმოების დონე სრული დასაქმების პირობებში ანუ წარმოების ბუნებრივი დონე; ეს არის წარმოების ის დონე, რომლის დროსაც ეკონომიკაში რესურსები სრულად გამოიყენება ანუ, რაც უფრო რეალურია, რომლის დროსაც უმუშევრობა იმყოფება ბუნებრივი დონეზე.


მოკლევადიანი პერიოდში: ერთობლივი მიწოდების მრუდი პორიზონტალური ხაზია

კლასიკური მოდელი და ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური ხაზი მისაღებია მხოლოდ გრძელვადიანი პერიოდის ანალიზის შემთხვევაში. მოკლევადიან პერიოდში ზოგიერთ საქონელზე ფასები ხისტია და ამიტომ, არ ეხამება მოთხოვნის ცვლილებებს. ფასების სიხისტის გამო ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდი არ წარმოადგენს ვერტიკალურ ხაზს.

მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი ექსტრემალური შემთხვევა. დაუშვათ, რომ ფირმებმა წინასწარ გამოუშვეს კატალოგები, სადაც მოცემულია პროდუქციის ფასები და რომ ახალი კატალოგების გამოშვებაზე დანახარჯები ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, ყველა ფასი უწინდელ დონეზე რჩება. ფირმები ცდილობენ სრულად დააკმაყოფილონ ფასების მოცემული დონის შემთხვევაში საკუთარ პროდუქციაზე მომხმარებელთა არსებული მოთხოვნა. ისინი ქირაობენ მიმუშავება საჯირო რაოდენობას პროდუქციის საჯირო რაოდენობის საწარმოებლად. რამდენადაც ფასების დონე ამ დროს არ იცვლება, განხილული სიტუაცია გრაფიკულად შეიძლება გამოესახოს ერთობლივი მიწოდების პორიზონტალური მრუდით (ნახ. 8-6).



ნახ. 8-6. მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი. მოცემულ შემთხვევაში დაშვებულია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ნებისმიერი ფასის უცვლელობა. ამიტომ, მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი (SRAS) პორიზონტალურია.



ნახ. 8-7. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება მოკლევადიან პერიოდში. ფულის მიწოდების შემთხვევაში ადგილი აქვს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. ეკონომიკური წონასწორობის წერტილი გადაადგილდება A-დან B წერტილში. რამდენადაც ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში პორიზონტალურია, ერთობლივი მოთხოვნის შემცირების შედეგად შეიცირდება წარმოების მოცულობა.

მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური წონასწორობის წერტილი იქნება ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა და ერთობლივი მიწოდების პორიზონტალური მრუდის გადაკვეთის წერტილი. ახლა, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გააღვანას ახდენს წარმოების მოცულობაზე. მაგალითად, თუკი ცენტრალური ბანკი უეცრად ამცირებს ფულის მიწოდებას, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ, როგორც ეს ნახ. 8-7-ზეა ნაჩვენები. ეკონომიკაში ადგილი ექნება ერთობლივი მოთხოვნისა


და ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაკეპის თველი წონასწორობის A წერტილიდან ახალ B წერტილში გადასვლას. რამდენადაც ფასების ღირსე არ იცვლება, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება იქნება წარმოების მოცულობის შემცირება.

ერთობლივი მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში წარმოების მოცულობა მცირდება იმიტომ, რომ ფასები ევლარ ეგუებიან ახალ პირობებს მყისიერად. ერთობლივი მოთხოვნის მოვლოდნელი ვარდნის შემდგომ ფირმები ფასებს ინარჩუნებენ უცვლელად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან მაღალია. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა მცირდება, რაც ფირმებს აიძულებს შეამცირონ დასაქმების ღირსე და წარმოების მასშტაბები.

მოკლევადიანი რყევების ანალიზიდან გრძელვადიან პერიოდამდე


ჩვენი ანალიზი შეგვიძლია შემდეგნაირად შევაჯამოთ: მოკლევადიან პერიოდში ფასები ხისტია, ერთობლივი მიწოდების მრუდი წარმოდგენილია პირიზონტალური ხაზით, ხოლო ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გაეყენება ახდენს წარმოების მოცულობაზე გრძელვადიან პერიოდში ფასები მოქნილია, ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, ხოლო ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გაეყენება ახდენს ფასების ღირსეზე. ამგვარად, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების შედეგები, რომლებიც განხილულია დროის სხვადასხვა მონაკვეთისათვის, ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

განვიხილოთ ერთობლივი მოთხოვნის შემცირების გრძელვადიანი შედეგები. დაეუშვათ, რომ ანალიზის საწყის მომენტში ეკონომიკა იმყოფება გრძელვადიან წონასწორობაში, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 8-8-ზე. ამ ნახაზე მოყვანილია სამი მრუდი: ერთობლივი მოთხოვნის, გრძელვადიანი და მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდები. გრძელვადიან პერიოდში წონასწორობა მიიღწევა ერთობლივი მოთხოვნისა და გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაკეპის წერტილში. ფასები იცვლება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული წონასწორობა. ამიტომ, როდესაც ეკონომიკა იმყოფება გრძელვადიან წონასწორობის მდგომარეობაში, მოკლევადიანმა ერთობლივი მიწოდების მრუდმაც უნდა გაიაროს აღნიშნულ წერტილში.



ნახ. 8-8 გრძელვადიანი წონასწორობა გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის მდგომარეობა ხასიათდება გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მრუდების გადაკეპის წერტილით. რამდენადაც ფასები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამ დონესთან, მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდიც აგრეთვე გაივლის ამ წერტილში.

ახლა დაეუშვათ, რომ ცენტრალური ბანკი ამცირებს ფულის მიწოდებას, რომლის შედეგად ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ (როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 8-9-ზე). მოკლევადიან პერიოდში (როდესაც ფასები ხისტია) ეს გამოიწვევს წონასწორობის გადასვლას A-დან B წერტილში. წარმოების მოცულობა და დასაქმების ღირსე მცირდება ბუნებრივ დონესთან შედარებით, რაც მოწმობს რყევის დადგომას. დროთა განმავლობაში ხელოვნური და ფასები შემცირდება მოთხოვნის შემცირების საპასუხოდ. ფასების ღირსე თანდათანობითი შემცირების ეკალობაზე ეკონომიკაში ადგილი ექნება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ დაბლა გადაადგილებას – კერძოდ, გრძელვადიანი წონასწორობის ახალ C წერტილამდე.



ნახ. 8-9. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება ანალიზის საწყის მომენტში ეკონომიკა იმყოფება გრძელვადიანი წონასწორობის მდგომარეობაში (A წერტილი). ერთობლივი მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია ფულის მიწოდების შემცირებით, ადგილი აქვს A წერტილიდან B წერტილში გადასვლას, რომელშიც წარმოების მოცულობა ბუნებრივ დონეზე დაბალია. შემდგომ, ფასების შემცირების კვალობაზე ეკონომიკა გაბრუნდება მდგომარეობიდან და ხდება B-დან C წერტილში გადასვლა.

გრძელვადიანი წონასწორობის ახალ წერტილში (C) წარმოების მოცულობა და დასაქმება კვლავ უტოლდება ბუნებრივ დონეს, მაგრამ ამ წერტილს შეესაბამება ფასების უფრო დაბალი დონე გრძელვადიანი წონასწორობის ძველ წერტილთან (A) შედარებით.

მაგალითი 8-2

ოქრ. „ფრინველები“ და საქმიანი აქტივობის შემცირება XIX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში.

ფულადი მასის შემცირების პოლიტიკის შედეგები შეიძლება ენახოთ XIX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ს განთავრების გამოცდილებიდან გამოშინარაჲ. ყველაფერი დაიწყო ახინშული საუკუნის 60-იან წლებში ფულადი მიმოქცევის სფეროში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო სამოქალაქო ომით. აშშ ომამდე სარგებლობდა ოქროს სტანდარტით. ხაზინა აწარმოებდა ქაღალდის ფულის ოქროზე თავისუფალ გაცვლას ამიტომ, ფულის მიწოდება და ფასების დონე განიხილვებოდა არსებული ოქროს მარაგით.

1862 წელს, სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, ხაზინამ გამოაცხადა, რომ ის უარს ამბობს დოლარების ოქროზე გადაცვლაზე. არსებითად, ამ აქტით აშშ-ში შემოდებული იქნა ქაღალდის ფულის სისტემა. რამდენიმე მომდევნო წლის განმავლობაში მთავრობამ დაბეჭდა დიდი რაოდენობის ქაღალდის ფული, რომელსაც „ფრინველები“ ეწოდათ მათი ფერის გამო და რითაც უიანსდებოდა სამხედრო ხარჯები ფულის ბეჭდავაზე შემოსავლების - სხიორათის მეშვეობით. ფულის მიწოდების ამგვარ ზრდასთან დაკავშირებით ომის წლებში ფასების დონე გაორმაგდა.

როდესაც ომი დასრულდა, საკითხი იმის შესახებ, საჭირო იყო თუ არა ოქროს სტანდარტისკენ დაბრუნება, პოლიტიკური დებატების ცენტრში აღმონინდა. ჩამოყალიბდა „შეკანთა“ პარტია, რომელთა მთავარი მიზანი ქაღალდის ფულის სისტემისადმი მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. მაგრამ, რამდენიმე წინის შემდეგ პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს თანდათანობით ამოეღოთ მიმოქცევიდან ქაღალდის ფული და აღედგინათ ოქროს სტანდარტი დოლარსა და ოქროს შორის გაცვლითი კურსის ომაშდელი დონის პირობით. მათი მიზანი მდგომარეობა იმაში, რათა დოლარისათვის დაებრუნებინათ ომაშდელი ღირებულება.

ოქროს სტანდარტისაკენ ამგვარი შემობრუნება მოითხოვდა ფასების ზრდის აღმოფხვრას, რასაც ადგილი ჰქონდა ომის დროს, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთობლივი მოთხოვნის შემცირების აუცილებლობა. (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საჭირო იყო ერთობლივი მოთხოვნის ისეთი ზრდის ტემპების უზრუნველყოფა, რომლებიც ნალები იქნებოდა წარმოების ბუნებრივი დონის ზრდის ტემპებთან შედარებით) როდესაც ფასების დონე შემცირდა, ეკონომიკაში ხანგრძლივი რეცესია დაიწყო, რომელიც გაგრძელდა 1873 წლიდან 1879 წლამდე. 1879 წლისათვის ფასების დონე დაუბრუნდა ომაშდელ დონეს და ოქროს სტანდარტიც აღდგა.

ერთობლივი მიწოდების დეტერმინანტები

ერთობლივი მიწოდების მრუდის ჩვენმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ წარმოების რეალური მოცულობა იზრდება, როდესაც ეკონომიკა მორბაობს მარცხნიდან მარჯვნივ პორიზონტალურ ერთობლივი მიწოდების მრუდზე. წარმოების მოცულობის აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს ერთობლივი მიწოდე-

ბის მრუდის გაცნობიერებ მოძრაობის შედეგებს და ეს უნდა განეხილათ მთლიანად მრუდის გადაადგილებისაგან. ერთობლივი მიწოდების არსებული მრუდი ასახავს ფასების დონეებსა და წარმოების რეალურ მოცულობას შორის ურთიერთკავშირს სხვა თანაბარ პირობებში. მაგრამ, როდესაც ამ „თანაბარი პირობებიდან“ ერთი ან რამდენიმე პირობა თუ იცვლება, ადგილი აქვს მთლიანად ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილებას. ქვემოთ მოცემული ის პირობები, რომელთაგან ერთ-ერთის ცვლილება განაპირობებს მთლიანად ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილებას.

ერთობლივი მიწოდების დეტერმინანტები:
ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილებას

1. რესურსებზე ფასების ცვლილება
 - 1.1. შიდა რესურსების ხელმისაწვდომობა
 - ა) მიწა
 - ბ) შრომა
 - გ) კაპიტალი
 - დ) სამეწარმეო უნარი
 - 1.2. ფასები იმპორტულ რესურსებზე
 - 1.3. ბაზარზე ბატონობა
2. მწარმოებლურობის დონის ცვლილება
3. სამართლებრივი ნორმების ცვლილება
 - 3.1. გადასახადები და სუბსიდიები ბიზნესზე
 - 3.2. სახელმწიფო რეგულირება

დაწერილობით განვიხილოთ ერთობლივი მიწოდების დეტერმინანტები.

რესურსებზე ფასების ცვლილება

რესურსებზე ფასები, მზა პროდუქციის ფასებისგან განსხვავებით, რომლისგანაც ყალიბდება ფასების საერთო დონე, - წარმოადგენს ერთობლივი მიწოდების მნიშვნელოვან დეტერმინანტს. სხვა თანაბარ პირობებში, რესურსებზე ფასების ზრდა იწვევს წარმოების დანახარჯების ზრდას პროდუქციის ერთეულზე და შესაბამისად, ერთობლივი მიწოდების შემცირებას. რესურსებზე ფასების შემცირება იძლევა საპირისპირო შედეგებს. რესურსებზე ფასები დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

შიდა რესურსების ხელმისაწვდომობა. შიდა რესურსების მიწოდების ზრდა ამცირებს მათზე არსებულ ფასებს და შესაბამისად, განაპირობებს პროდუქციის ერთეულზე წარმოების დანახარჯების შემცირებას; შედეგად - ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ. ფასების თითოეული დონისათვის ყველა კომპანია ერთად აწარმოებს და შესთავაზებს გასაყიდად მეტ რეალურ პროდუქტს, ვიდრე ადრე. და პირიქით, რესურსების მიწოდების შემცირება გამოიწვევს მათზე ფასების ზრდას და ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილებას.

მაშასადამე, როგორ შეიძლება იმოქმედოს ერთობლივი მიწოდების მრუდზე და გამოიწვიოს მისი გადაადგილება ისეთი რესურსების უფრო მეტად ან ნაკლებად ხელმისაწვდომობამ, როგორცაა მიწა, სამუშაო ძალა, კაპიტალი და სამეწარმეო უნარი? შევეცადოთ რამდენიმე მაგალითის მოყვანით პასუხი გავცეთ ამ კითხვას.

L მიწა. გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი მიწის რესურსების რაოდენობა იზრდება სასარგებლო წიაღისეულის ახალი საბადოების აღმოჩენით, მიწის ნაკვეთების ხელოვნური მორწყვით, ტექნიკური სიახლეებით, რომელიც საშუალებას გვაძლევს ის, რაც ადრე არ იყო „რესურსი“, გადავაქციოთ წარმოების ფასეულ ფაქტორად. მიწის რესურსების მიწოდების ზრდა იწვევს მიწაზე დანახარჯების (ფასის) შემცირებას და ამით განაპირობებს პროდუქციის ერთეულზე წარმოების დანახარჯების კლებას. მაგალითად, სრულიად საფუძვლიანად შეიძლება ეგელოდოთ იმას, რომ ფართოდ ხელმისაწვდომი მასალების ბოლოდროინდელი აღმოჩენა, რომლებიც დაბალი ტემპურატურის შემთხვევაში ხასიათდებიან ზეგამტარობით, საშუალებას მოგვცემს პროდუქციის ერთეულზე შევამციროთ საწარმოო დანახარჯები,

რადგანაც მსგავსი მასალების გამოყენება ამცირებს დანაკარგებს ელექტროენერჯის გადაცემის დროს. შედეგად, ელექტროენერგიაზე ფასი მცირდება, რაც განაპირობებს ერთობლივი მიწოდების ზრდას.

შეიძლება აგრეთვე მოვიყვანოთ ორი მაგალითი, რომლებიც მოწმობს მიწის რესურსების ხელმისაწვდომობის შემცირებაზე: 1) მრავალ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული მიწისქვეშა წყლის ამოწურვა ირეგაციების შედეგად; 2) ნიადაგის ზედა ფენის განადგურება ინტენსიური მიქათმომკვლეების შედეგად. საბოლოო ჯამში, ამ ფაქტორებიდან თითოეულს შეუძლია ფასების აწევა რესურსებზე და შესაბამისად, ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილება.

2. შრომა. სამეწარმეო სექტორის საწარმოო დანახარჯების დაახლოებით 75%-ს შეადგენს მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, ხელფასის სიდიდის ცვლილება არსებით გავლენას ახდენს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების სიდიდეზე და ერთობლივი მიწოდების მრუდის მდგომარეობაზე. ხელმისაწვდომი შრომითი რესურსების რიცხოვნობის ზრდა განაპირობებს სამუშაო ძალაზე ფასების შემცირებას, ხოლო მისი რიცხოვნობის შემცირება – მასზე ფასების ზრდას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: ბოლო 30 წლის განმავლობაში აშშ-ს სამუშაო ძალის შემადგენლობაში ქალების მოდინება შეაჩერა ხელფასის ზრდა და სტიმული მისცა ერთობლივი მიწოდების ზრდას. უცხოეთიდან აშშ-ში შრომისუნარიანი მოსახლეობის ემიგრაციამ მთელი მისი ისტორიის მანძილზე განაზრდა აგრეთვე ხელმისაწვდომი შრომითი რესურსების რიცხოვნობა და შეამცირა მისი ღირებულება.

და პირქით, აშშ-ს დიდმა ადამიანურმა დანაკარგმა მეორე მსოფლიო ომში შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია ომისშემდგომ პერიოდებში და განაპირობა პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯების ზრდა.

3. კაპიტალი. ერთობლივი მიწოდება ჩვეულებრივ იზრდება, როდესაც საზოგადოება აგრძელებს კაპიტალის მარაგს. კაპიტალის დაგროვება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოება საკუთარი შემოსავლის დიდ ნაწილს დანახარჯებს სახით აგროვებს და ამ დანახარჯებს მიმართავს საინვესტიციო საქონლის საყიდლად. კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება არანაკლები მასშტაბით განაპირობებს წარმოების დანახარჯების შემცირებას და ერთობლივი მიწოდების ზრდას. მაშასადამე, დროთა განმავლობაში ფირმები უარს ამბობენ დაბალხარისხიან მიწვეობილობებზე და მათ ცვლიან ახლით, უფრო სრულყოფილით.

ერთობლივი მიწოდება მცირდება, თუკი ქვეყნის დაგროვებული კაპიტალის მოცულობა მცირდება და უარსდებდა მისი ხარისხი. მაგალითად, დიდი დეპრესიის დროს აშშ-ში კაპიტალის შემადგენლობა საგრძნობლად გაუარესდა, რამდენადაც ახალი შესყიდვები არასაკმარისი იყო არსებული კაპიტალის ჩვეულებრივი მიმდინარე ცვეთისა და მოქმედებული საწარმოებისა და მოწოდებლობების მწკობრივად სრულად გასყიდვის ჩასანაცვლებლად. შედეგად, ერთობლივი მიწოდების მრუდი შემცირდა.

4. სამეწარმეო უნარი. და ბოლოს, აღნიშნავთ, რომ ეკონომიკაში უნარიანი და ფხიანი ადამიანების რაოდენობა დროთა განმავლობაში იცვლება, რაც განაპირობებს ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილებას. მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზემოქმედებით, რომლებიც ბოლო დროს გაძლიერებულად მიმართავენ ყურადღებას ისეთი პერსონების მიმართ, რომლებმაც დააგროვეს უზარმაზარი ქონება და მიადწვიეს დიდ წარმატებებს თვითნაირ ტრანზიტით, შესაძლოა მნიშვნელოვანდ გაიზარდოს მეწარმეული სულისკეთებათ შეთანხმება ადამიანთა რიცხვი. და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ.

ფასები იმპორტულ რესურსებზე. ზუსტად ისევე, როგორც მოცემული ქვეყნის საქონელზე უცხოელების მხრიდან მოთხოვნა ზრდის ამ ქვეყნის ერთობლივ მოთხოვნას, საზღვარგარეთიდან რესურსების იმპორტსაც თავისი წვლილი შეაქვს ამ ქვეყნის ერთობლივ მიწოდებაშიც. რესურსები, დამოუკიდებლად იმისა, საბამულოა თუ იმპორტული, ზრდის ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობას. საერთოდ, იმპორტულ რესურსებზე ფასების შემცირება, ჩვეულებრივ, ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით ერთობლივი მიწოდების ზრდას; ამ რესურსებზე ფასების ზრდა აი ამცირებს ერთობლივ მიწოდებას.

სავალუტო კურსის რყევები ცვლის იმპორტულ რესურსებზე ფასებს. წარმოედგინოთ, რომ ლარებში გამოხატული უცხოური ვალუტის ფასი შემცირდა, ე.ი. ლარის ღირებულება გაიზარდა, რომლის წყალობითაც ქართულ ფირმებს მიეცათ შესაძლებლობა მიიღონ მეტი უცხოური ვალუტა თითოეული ლარზე. ეს ნიშნავს, რომ ქართველი მწარმოებლებისათვის იმპორტულ რესურსებზე ლარებში გამოხატული ფასები შემცირდა. ამ პირობებში უნდა ველოდოთ უცხოური რესურსების იმპორტის ზრდას ქართული ფირმების მხრიდან; ამ პროდუქტებზე ერთეულზე საწარმოო დანახარჯების შემცირებას წარმოების ნებისმიერი დონის შემთხვევაში. პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების ასეთი შემცირება ერთობლივი მიწოდების მრუდს საკუთოელოში გადაადგილებს მარჯვნივ.

ზუსტურ ვალუტაზე ლართი გამოხატული ფასების ზრდის შემთხვევაში, ე.ი., თუკი ლარი უფასურდება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, იმპორტულ რესურსებზე ფასები იზრდება. ამის შედეგად

გად, რესურსების იმპორტი საქართველოში შემცირდება, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯები გაიზარდება და ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარცხნივ.

მაზარზე ბატონობა ბაზარზე ბატონობის, ანუ საბაზრო მონოპოლიის შესუსტება ან გაძლიერება, რომლითაც ხასიათდებიან რესურსების მიწოდებლები, გავლენას ახდენს აგრეთვე რესურსების ფასებზე და ერთობლივ მიწოდებაზე. მაზარზე ბატონობა – ეს არის კონკურენტულზე უფრო მაღალი ფასების დაწესების შესაძლებლობა. ამის დამაჯერებელი მაგალითია ოპეკის წევრი ქვეყნების საბაზრო მონოპოლიის წარმოშობა და კრახი ბოლო 35 წლის განმავლობაში. ნათვთზე ფასების ამაგება ზრდამ, რომელიც განახორციელეს ოპეკის წევრმა ქვეყნებმა გასული საუკუნის 70-იან წლებში გავლენა მოახდინა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაზე, გაზარდა პროდუქციის ერთეულზე წარმოების დანახარჯები და ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდა მარცხნივ. მაგრამ, ოპეკის წევრი ქვეყნების საბაზრო ძალაუფლების შემდგომმა შემცირებამ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში გაანაპირობა პროდუქციის წარმოების დანახარჯებისა და ტრანსპორტირების შემცირება და შედეგად, განვითარებულ ქვეყნებში ერთობლივი მიწოდების ზრდა.

პროფუკაჟშირთა მდგომარეობის ცვლილებაც ახდენს გავლენას ერთობლივი მიწოდების მრუდზე. ზოგიერთი მიმოხილვები თვლიან, რომ 70-იან წლებში პროფუკაჟშირთა გავლენის საგრძნობლად გაძლიერებამ გამოიწვია პროფუკაჟშირის წევრთა ხელფასების ზრდა და მომუშავეთა გამომუშაებაში მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელთაგანაც ნაწილი შედიოდა პროფუკაჟშირთა რიგებში. ხელფასის ამგვარ ზრდას საეხებით შეეძლო გამოეწვია პროდუქციის ერთეულზე წარმოების დანახარჯების ზრდა და ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილება. ხოლო 80-იან წლებში პროფუკაჟშირთა გავლენა მნიშვნელოვანწილად შემცირდა. ამიტომ, შრავალ დარგში პროფუკაჟშირის წევრთა შრომის ანაზღაურება დაეცა, რამაც პროდუქციის ერთეულზე დანახარჯები შეამცირა. ამის შედეგად გაიზარდა ერთობლივი მიწოდება.

მწარმოებლურობა

მწარმოებლურობა – არის ეროვნული წარმოების რეალური მოცულობის თანაფარდობა მასში გამოყენებული რესურსების რაოდენობასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *მწარმოებლურობა* – არის წარმოების საშუალო რეალური მოცულობის მაჩვენებელი, ანუ წარმოების რეალური მოცულობა დანახარჯების ერთეულზე გაანგარიშებით:

$$\text{მწარმოებლურობა} = \frac{\text{წარმოების რეალური მოცულობა}}{\text{ერთობლივი დანახარჯები}}$$

უფრო მაღალი მწარმოებლურობა ნიშნავს, რომ რესურსების (დანახარჯების) არსებული მოცულობიდან ეკონომიკა უნარჩინა მიიღოს რეალური პროდუქტის მეტი მოცულობა.

როგორ მოქმედებს მწარმოებლურობის ზრდა ერთობლივი მიწოდების მრუდზე? უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავარკვეოთ, თუ როგორ იცვლება პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯები მწარმოებლურობის ცვლილების შედეგად. დაეუშვათ, რომ რეალური პროდუქტი შედგება 10 ერთეულისაგან; რესურსების რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ასეთი მოცულობის პროდუქტის საწარმოებლად, შეადგინს 5 ერთეულს, ხოლო თითოეული რესურსის ფასი ტოლია 2 ლარის, მაშინ:

$$\text{მწარმოებლურობა} = \frac{\text{წარმოების რეალური მოცულობა}}{\text{ერთობლივი დანახარჯები}} = \frac{10}{5} = 2$$

$$\frac{\text{წარმოების დანახარჯები}}{\text{პროდუქციის ერთეულზე}} = \frac{\text{წარმოების ერთობლივი დანახარჯები}}{\text{პროდუქციის ერთეულის რაოდენობა}} = \frac{2 \text{ ლარი} \times 5}{10} = 1$$

შენიშნოთ, რომ სრულ დანახარჯებს მიეღებთ პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების გამრავლებით გამოყენებული რესურსის რაოდენობაზე.

ახლა დაეუშვათ, რომ მწარმოებლურობის ზრდის შედეგად პროდუქციის წარმოების მოცულობამ შეადგინა 20 ერთეული, ხოლო რესურსების ფასი და რაოდენობა დარჩა უცვლელი, კერძოდ, 2 ლარი

და 5 ერთეული. ჩენი ფორმულების გამოყენებით ვრწმუნდებით, რომ მწარმოებელს უნდა გაიზარდა 2-დან 4 ერთეულამდე, ხოლო პროდუქციის ერთეულზე დანახარჯი - 1-დან 0.5-მდე შემცირდა. ეს ნიშნავს, რომ მწარმოებელს უნდა გაორმაგებამ გამოიწვია პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების ორმაგად შემცირება.

მწარმოებელს უნდა ნიშნავს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებას, რაც ერთობლივი მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ; და პირიქით, მწარმოებელს უნდა შემცირებამ, რომელიც გამოიხატება პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების ზრდით, ერთობლივი მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარცხნივ.

საერთოდ, მწარმოებელს უნდა არის ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ერთობლივი მიწოდების გრძელვადიან ზრდას და შესაბამისად, რეალური შპს-ის ზრდას. ერთ მომუშავეზე განხარჯების მეტი რაოდენობის შექანისთვისა და მოწყობილობების გამოყენება, საწარმოო ტექნოლოგიის სრულყოფა, უფრო მომზადებული და ეკოლოგიური საშუალო ძალის გამოჩენა, ბიზნესის უფრო ეფექტიანი ორგანიზაციული ფორმების დანერგვა, ხელს უწყობს მწარმოებელს ზრდას, რაც ერთობლივი მიწოდების ზრდის წყაროა.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ნორმების ცვლილებამ, რომლის საფუძველზეც მოქმედებს მთელი სამეწარმეო სექტორი, შეიძლება შეცვალოს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების სიდიდე და გადაადგილოს ერთობლივი მიწოდების მრუდი. ასეთი ცვლილება შეიძლება დაეწიოს ორ კატეგორიად:

1) გადასახადებისა და სუბსიდიების ცვლილება; 2) რეგულირების მასშტაბების ცვლილება.

გადასახადები და სუბსიდიები. ბიზნესზე გადასახადების ზრდა (მოგების გადასახადის, აქციზების, კონების გადასახადის და სხვ.) განაპირობებს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების ზრდას და ამცირებს ერთობლივი მიწოდების არანაკლები ოდენობით, ვიდრე ხელფასის განაკვეთის ზრდა. მაგალითად, სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემაში ანარქიზების ზრდა (ხელფასზე გადასახადი, რომელსაც იხდის მწარმოებელი) ამაღლებს საწარმოო დანახარჯებს და ამცირებს ერთობლივი მიწოდებას.

სუბსიდიები ბიზნესისადმი, ე.ი. პირდაპირი სამთავრობო დახმარებები ფირმებისადმი ან საგადასახადო შეღავათებით, თავის მხრივ, ამცირებს წარმოების დანახარჯებს და ზრდის ერთობლივი მიწოდებას. მაგალითად, აშშ-ში გასული წლების 70-იან წლებში მთავრობა ახდენდა ელექტროენერჯის მწარმოებელთა სუბსიდირებას, რომლებიც სარგებლობდნენ ალტერნატიული წყაროებით, ისეთებით, როგორცაა ქარი ან მზის ენერჯია. ამის მოზანი იყო ის, რომ შემცირებულიყო წარმოების დანახარჯები და განეტიარებულიყო ენერჯის წყაროები, რომელთაც შეეძლო ნაყოფის და ბუნებრივი გაზის შეკვლა. იმ ზომით, რა ზომითაც ამ სუბსიდირებამ მიადრწოვს მოზანს, ერთობლივი მიწოდების მრუდიც გადაადგილდა მარჯვნივ.

სახელმწიფო რეგულირება. უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო რეგულირება ძვირი უჯდება ბიზნესს. სამთავრობო მითითებების შესრულება ზრდის პროდუქციის ერთეულზე წარმოების დანახარჯებს და ერთობლივი მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარცხნივ. ეკონომიკის დერეგულირების მომსახურების მიწოდების ინტერესებიდან გამომდინარე დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობითა და საკანცელარიო საშუალოთა მოცულობის შემცირებით, რაც ახასიათებს მასშტაბურ რეგულირებას, დერეგულირება შეამცირებს საწარმოო დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე. ამ დროს ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ. და პირიქით, რეგულირების გაძლიერება გამოიწვევს წარმოების დანახარჯების ზრდას და ერთობლივი მიწოდების შემცირებას.

8.4. სტაბილიზაციის პოლიტიკა

მთლიანობაში ეკონომიკაში არსებული რყევები იწყება ერთობლივი მიწოდების ან ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებებით. შესაბამისი მრუდების გადაადგილებას გარედან ზემოქმედების შედეგად ეკონომისტები ეკონომიკურ შოკებს უწოდებენ. ეკონომიკაზე შოკების ზემოქმედება პროდუქციის წარმოებისა და დასაქმების მოცულობის ბუნებრივი დონისგან გადახრაში ეწინააღმდეგება. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი ავლენს ეკონომიკური რყევების წარმოშობის მექანიზმს აბეჯითი რყევების ზემოქმედების შედეგად.

მოდელი შეიძლება აგრეთვე გამოიყენოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგების შესაფასებლად, რომელიც მიმართულია შოკების ნეიტრალიზაციისა და ეკონომიკის რყევების აღმოფხვრისაკენ. სტაბილიზაციის პოლიტიკა - ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია წარმოების

მოცულობისა და დასაქმების დონის ბუნებრივ დონეზე შესანარჩუნებლად. რამდენადაც ფულის მიწოდება ძლიერ გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე, ფულადი პოლიტიკა სტაბილიზაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.


ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი ცვლილებები (შოკები)

განვიხილოთ ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი ცვლილების (შოკის) მაგალითი: საბანკო ანგარიშებიდან ფულის გასაცემად სპეციალური ბანკომატების გამოგონება. ამ მოწყობილობამ იოლი გახადა ნაღდი ფულის მიღება, რამაც გამოიწვია ფულად მარაგებზე მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნის შემცირება მაგალითად დაეუშუათ, რომ ბანკომატის დანერგვამდე ფულის მისაღებად ადამიანი საშუალოდ, კვირაში ერთხელ მიდიოდა ბანკში და ღებულობდა 100 ლარს, რომელსაც თანდათანობით ხარჯავდა კვირის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, ხელზე არსებული ფულის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 50 ლარს. ბანკომატების დანერგვის შემდეგ ფულის მისაღებად ადამიანი კვირაში, ეთქვამთ, ორჯერ მიდის ბანკში და ღებულობს 50-50 ლარს. ახლა ხელზე არსებული ფულის საშუალო რაოდენობა შეადგენს 25 ლარს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ნაღდი ფულის მარაგებზე მოთხოვნა ორჯერ შემცირდება.

ფულადი საშუალებების მარაგზე მოთხოვნის აღნიშნული შემცირება ფულის მიმოქცევის სიჩქარის ზრდის ტოლფასია. იმისათვის, რომ ეს დაეამტკიცოთ, გავიხსენოთ შემდეგი განტოლება:

$$\frac{M}{P} = kY,$$

სადაც $k=1/V$. რეალურ გამოხატულებაში ფულადი საშუალებების მარაგების შემცირება წარმოების ნებისმიერი მოცემული სიდიდის პირობებში იწვევს k -ს შემცირებას და V -ს ზრდას. ბანკომატების დანერგვასთან დაკავშირებით ადამიანები ხელზე ნაკლებ ფულს ინახავენ, ხოლო ლარები უფრო სწრაფად მიმოქცევიან. ამგვარად, იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანები უფრო ხშირად ღებულობენ ნაღდი ფულს ბანკომატების მეშვეობით, ნაღდები დრო გადის ფულის მიღებასა და მის დახარჯეას შორის. შესაბამისად, ფულის ბრუნვის სიჩქარე იზრდება.



ნახ. 8-10. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა ანალიზის საწყისი მომენტია გრძელვადიანი წონასწორობა A წერტილში. ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შედეგად, რომელსაც ფულის ბრუნვის სიჩქარის ზრდითაა განპირობებული, ეკონომიკაში ადგილი აქვს წონასწორობის გადანაცვლებას A-დან B წერტილში, სადაც წარმოების მოცულობა აჭარბებს ბუნებრივ დონეს. ფასების ზრდის აკაბრებაზე, წარმოების ბუნებრივი დონე თანდათანობით იწვევს აღდგენას და წონასწორობა B-დან C წერტილში გადინაცვლებს.

თუკი ფულადი მასა უცვლელი რჩება, ნაღდი ფულის მიმოქცევის სიჩქარის ზრდის შედეგად ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ (როგორც ეს ნახ. 8-10-ზეა ნაჩვენები).

მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ზრდა იწვევს წარმოების მოცულობის ზრდას, ე.ი. ეკონომიკურ აღმავლობას. ფირმები ასაღებენ მეტ პროდუქციას ძველი ფასებით. ამიტომ, ისინი ჭრაობენ მომუშავეთა მეტ რაოდენობას, ზრდიან სამუშაო საათების რაოდენობას და უფრო ინტენსიურად იყენებენ სამრეწველო საწარმოებსა და მოწყობილობებს.

დროთა განმავლობაში, ერთობლივი მოთხოვნის მაღალი დონე იწვევს ფასებისა და ხელფასების ზრდას. ფასების ზრდის კვალობაზე პროდუქციაზე მოთხოვნა მცირდება, ხოლო წარმოების დონე თანდათანობით უახლოვდება ბუნებრივ დონეს. მაგრამ ფასების უფრო მაღალ დონეზე გადასვლის პროცესში საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობა მეტი იქნება ბუნებრივ დონეზე.


რა შეიძლება გააკეთოს ცენტრალურმა ბანკმა, რათა მოახდინოს ამ ადამაღობის ნეიტრალიზება და წარმოება შენარჩუნდეს იმ დონეზე, რომელიც ახლოსაა ბუნებრივთან? ცენტრალურ ბანკს შეუძლია შეამციროს ფულის მიწოდება, რათა მოახდინოს მათი მიმოქცევის სიჩქარის ზრდის შედეგების ნეიტრალიზება. ეს საშუალებას მოგვცემს მივახდინოთ ერთობლივი მოთხოვნის სტაბილიზაცია. ცენტრალურ ბანკს აქვს შესაძლებლობა შეამციროს ან აღმოფხვრას კიდევ მოთხოვნის მზრიდან შოკების გაელენა წარმოების მოცულობაზე და დასაქმებაზე ფულის მიწოდებაზე კონტროლის მეშვეობით.

მაგალითი 8-4

ფულის მიმოქცევის სიჩქარე და ეკონომიკის ვარდნა აშშ-ში 1982 წელს

ფულის მიმოქცევის სიჩქარე მუდმივია თუ უწყვეტლივ იცვლება? ამ კითხაზე გაცემულ პასუხზე დამოკიდებული უდერძალური სარეზერვო სისტემის ფულადი პოლიტიკა. ერთის მხრივ, თუკი ფულის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია, მაშინ ერთობლივი მოთხოვნის სტაბილიზაცია იოლია: ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უნდა შეინარჩუნოს ფულის მიწოდების ზრდის ნულთან ან მუდმივი ტემპით. მეორეს მხრივ, თუკი ფულის ბრუნვის სიჩქარე განიცდის მნიშვნელოვან რყევებს, მაშინ ერთობლივი მოთხოვნის სტაბილიზაციისათვის აუცილებელია ფულის მიწოდების ხშირი კორექტირება, რათა მოხდეს მიმოქცევის სიჩქარის ცვათვლადების შედეგების ნეიტრალიზება.

ძლიერი ეკონომიკური ვარდნა აშშ-ში 1982 წლისათვის ნაწილობრივ გამოწვეული იყო ფულის ბრუნვის სიჩქარის მნიშვნელოვანი, მოულოდნელი და ჯერ კიდევ აუხსნელი შემცირებით. ფულის ბრუნვის სიჩქარე (რომელიც გამოთვლილია, როგორც მშპ-ს ნომინალური მოცულობის M1-ზე შეფარდება) 1959 წლიდან 1990 წლამდე ნაჩვენებია ნახ. 8-11-ზე. ამ ნახაზზე ჩანს, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე მდგრადი ზრდით ხასიათდებოდა 60-იან და 70-იან წლებში, მაგრამ, 1981 წლის შემდეგ მკვეთრად შემცირდა. 1980-იანი წლების გამოცდილება მიწმობს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა ვერ დაეცინდა ფულის ბრუნვის სიჩქარის უწყველობის შესახებ მოსაზრებას.



ნახ. 8-11. ფულის ბრუნვის სიჩქარე იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რომელიც ჯერ კიდევ ბუნდოვანია, ფულის ბრუნვის სიჩქარე (ამ შემთხვევაში - M1) 80-იანი წლების დასაწყისში მკვეთრად შემცირდა (აღრე არსებული ზრდის ტენდენციის საწინააღმდეგოდ). ამან განაპირობა ერთობლივი მოთხოვნის შემცირება და 1982 წლის რეცესია, რომელიც დიდი დეპრესიის შემდგომ ყველაზე ძლიერ რეცესიადია აღიარებული.

1982 წელს ფედერალურ სარეზერვო სისტემას შეეძლო მოეხდინა ფულის ბრუნვის სიჩქარის ვარდნა ფულის მიწოდების ზრდით. მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში ფედერალური სარეზერვო სისტემა თავის ძირითად ამოცანად თვლიდა ინფლაციასთან ბრძოლას და ცდილობდა ფულის მიწოდების ზრდის ტემპების შემცირებას, რამაც გამოიწვია ერთობლივი მოთხოვნის შემდგომი შემცირება. ამ ორმა ფაქტორმა (ფულის ბრუნვის სიჩქარის ვარდნამ და ანტიინფლაციურმა ფულადმა პოლიტიკამ) ერთობლიობაში 30-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდგომ ყველაზე ძლიერი რეცესია გამოიწვია.

როგორ უნდა შევაფასოთ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკა? მან მიადწია თავის მიზანს - შეამცირა ინფლაციის ტემპები (უფრო სწრაფად, ვიდრე მოელოდნენ), მაგრამ ყოველფე ეს წარმოებისა და დასაქმების მნიშვნელოვანი შემცირების ფასად დაუჯდა. 1982 წლის ვარდნამ გამოაშკარავა ფედერალური სარეზერვო სისტემის სხვადასხვა მიზნებს შორის წინააღმდეგობები: სრული დასაქმების შენარჩუნებასა და ინფლაციაზე კონ-

ტროლს შორის. მასტაბილიზებული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში ხშირად საჭიროა გაკეთდეს არეკანი ამ ორ მიზანს შორის.

ერთობლივი მიწოდების მკვეთრი შემცირება

ერთობლივი მოთხოვნის მხრიდან რყევათა ეკონომიკური რყევების ერთადერთი წყარო როდია. სხვა წყაროდ გვევლინება ერთობლივი მიწოდების მხრიდან არსებული შოკები. მიწოდების მხრიდან შოკები – ეს ეკონომიკური პირობების ისეთი მკვეთრი ცვლილებაა, რომელიც ეხება პროდუქციის წარმოებაზე გავრულ დანახარჯებს და როგორც შედეგი, ფირმების მიერ დადგენად ფასებს. რამდენადაც მიწოდების მხრიდან შოკები უშუალო გააღწვას ახდენს ფასების დონეზე, მათ ზოგჯერ საფასე შოკებსაც უწოდებენ. მოვიყვანოთ საფასე შოკების რამდენიმე მაგალითი.


- **გეალეა, მოსაელის განადგურება** – სურსათის მიწოდების მკვეთრი შემცირება იწვევს მათზე ფასების ზრდას.

გარემოს დაცვის შესახებ ახალი კანონმდებლობა, რომელიც ფირმებისგან მოითხოვს გარემოს დაზიანებურებელ ნივთიერებათა ნარჩენების შემცირებას – ფირმები ასეთ შემთხვევაში წარმოების ხარჯებს გადააიკისრებენ მომხმარებლებს გაზარდილი ფასებით.

პროფესიული კავშირების ბრძოლის გააქტიურება – იწვევს ხელფასებისა და საქონელზე ფასების ზრდას, რომლებიც განპირობებულია პროფესიონების წვერი მომუშავეების (ინსაიდერების) მიერ.

საერთაშორისო სანავთობო კარტელის (OPEC) პოლიტიკა – რომელიც განაპირობებს კონკურენციის შეზღუდვას, რაც ნავთობის ძირითად მწარმოებლებს საშუალებას აძლევს გაზარდონ ნავთობზე მსოფლიო ფასები.


ყველა ზემოთხაზოთილი მაგალითი განეკუთვნება არასასურველი მიწოდების შოკების კატეგორიას, რომლებიც იწვევენ წარმოების ხარჯებისა და ფასების მკვეთრ ზრდას. სასურველი შოკები ერთობლივი მიწოდების მხრიდან (მაგალითად, OPEC-ის წვერი ქვეყნების მიერ ფასების შემცირება ნავთობზე) განაპირობებს წარმოების დანახარჯებისა და ფასების შემცირებას.



ნახ. 8-12. მიწოდების მხრიდან არასასურველი შოკები. მიწოდების მხრიდან არასასურველი შოკები იწვევს წარმოების დანახარჯების ზრდას და ამის შედეგად – ფასების ზრდას. თუკი ერთობლივი მოთხოვნა ნარჩუნდება მუდმივ დონეზე, ეკონომიკაში ადგილი აქვს A-დან B წერტილში გადასვლას, რაც ერთდროულად იწვევს ფასების ზრდას და წარმოების ეარდნას. თანდათანობით, ფასების შემცირების ეკალობაზე მიმდინარეობს წარმოების ბუნებრივი დონის აღდგენა (A წერტილი).

ნახ. 8-12-ზე გამოსახულია მიწოდების არასასურველი ცვლილების შედეგები. ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდი გადაადგილება მაღლა (მიწოდების მხრიდან არსებულმა შოკებმა შეიძლება აგრეთვე გამოიწვიონ წარმოების ბუნებრივი დონის შემცირება და ამის შედეგად, ერთობლივი მიწოდების გრძელვადიანი მრუდის მარცხნივ გადაადგილება, მაგრამ ამ შემთხვევაში ამისგან აბსტრაგირებას ვახდენთ). თუკი ერთობლივი მოთხოვნა უცვლელია, წინასწორება A-დან B წერტილში გადაინაცვლებს: ფასების დონე იზრდება, ხოლო წარმოების დონე მცირდება ბუნებრივზე დაბლა. ასეთ

სიტუაციის სტაგფლაცია ეწოდება, რადგანაც მასში სტაგნაცია (წარმოების ვარდნა) თანდაყოლილია ინფლაციით (ფასების ზრდით).



ნახ. 8-13. მიწოდების მხრიდან არასასურველი შოკების განვითარება. მიწოდების მხრიდან არასასურველი შოკების გასანეიტრალებლად ცენტრალურ ბანკს შეუძლია მიმართოს ერთობლივი მოთხოვნის ზრდის ღონისძიებებს იმისათვის, რათა ადექუთოს წარმოების მოცულობის შემცირება. ამ დროს წონასწორობა A-დან C წერტილში გადაადგილდება. მაგრამ, ამ ღონისძიების ფასი გრძელვადიან პერსპექტივაში ფასების უფრო მაღალი დონის შენარჩუნებაა.

მიწოდების მხრიდან არასასურველ შოკებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის შემთხვევაში, სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომლებსაც ძალუთო ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება (მაგალითად, ცენტრალური ბანკი), არჩევანი უნდა გააკეთონ ეკონომიკური პოლიტიკის ორ ვარიანტს შორის. პირველი ვარიანტი დაკავშირებულია მუდმივი ერთობლივი მოთხოვნის შენარჩუნებასთან, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 8-12-ზე. ამ შემთხვევაში წარმოებისა და დასაქმების დონეები ბუნებრივზე დაბლა ეშვება. ადრე თუ გვიან ფასები შემცირდება უწინდელ დონეზე და აღდგება სრული დასაქმება (A წერტილი). მაგრამ, ყოველივე ეს მიიღწევა წარმოების შემცირების მტკიცებელი პროცესის ფასად.

მეორე ვარიანტი, რომელიც ილუსტრირებულია ნახ. 8-13-ზე, მდგომარეობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდაში, რათა უფრო სწრაფად აღსდგეს წარმოების ბუნებრივი დონე. თუკი ერთობლივი მოთხოვნის ზრდა თავისი სიდიდით ემთხვევა ერთობლივი მიწოდების შოკის სიდიდეს, ადგილი ექნება A წერტილიდან C წერტილში გადაადგილებას. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ცენტრალურმა ბანკმა მოახერხა მიწოდების მხრიდან შოკის შედეგების განეიტრალება. ასეთი გადაწყვეტილების ნაკლოვანება გამოიხატება იმაში, რომ სამომავლოდ შენარჩუნდება ფასების უფრო მაღალი დონე. არ არსებობს ერთობლივი მოთხოვნის ისეთ დონეზე შენარჩუნების ხერხი, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს სრულ დასაქმებასა და ფასების სტაბილურობას.

მაგალითი 8-5

როგორ განაპირობა OPEC-მა XX საუკუნის 70-იანი წლების სტაგფლაცია და 80-იანი წლების ეფორია

ბოლო 40 წლის განმავლობაში მიწოდების მხრიდან ყველაზე დამანგრეველი შოკები გამოწვეული იქნა OPEC-ის წევრი ქვეყნების მიერ. OPEC-ის გადაწყვეტილებას ნაუთობის მიწოდების შემცირების თაობაზე 1970-იანი წლების დასაწყისში მოჰყვა მასზე მსოფლიო ფასების გაორმაგება. ნაუთობზე ფასების აღნიშნულმა ზრდამ გამოიწვია სტაგფლაცია ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში. ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკა ასახავს აშშ-ში განვითარებულ მოვლენებს:

1974 წელს ნაუთობზე ფასების 68%-ით ზრდა წარმოადგენდა მიწოდების მხრიდან უდიდეს შოკს როგორც მზისა და სითბოს წყარო, მან გამოიწვია ინფლაციის ტემპებისა და უმუშევრობის დონის ზრდა.

წლები	ნავთობზე ფასების ცვლილება	ინფლაციის ტემპი (CPI)	უმუშევრობის დონე
1973	11,0%	6,2%	4,9%
1974	68,0%	11,0%	5,6%
1975	16,0%	9,1%	8,5%
1976	3,3%	5,8%	7,7%
1977	8,1%	6,5%	7,1%

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მსოფლიო ეკონომიკა უკვე თითქმის გამოსული იყო OPEC-ის მიერ პირველად პროვოცირებული ვარდნიდან, მოვლენები განმეორდა. OPEC-მა კვლავ გაზარდა ფასები ნავთობზე, რამაც წარმოშვა ინფლაციის ახალი ხეივანი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია იმ პერიოდის აშშ-ში არსებული სიტუაციის ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი.

წლები	ნავთობზე ფასების ცვლილება	ინფლაციის ტემპი (CPI)	უმუშევრობის დონე
1978	9,4%	7,7%	6,1%
1979	25,4%	11,3%	5,8%
1980	47,8%	13,5%	7,0%
1981	44,4%	10,3%	7,5%
1982	-8,7%	6,1%	9,5%

1979, 1980 და 1981 წლებში ფასების ზრდამ კვლავ განაპირობა ინფლაციის ორნიშნა მარეკნებლები და უმუშევრობის მაღალი დონეები.

1980-იანი წლების შუალედში არაბულ ქვეყნებს შორის პოლიტიკურმა წინააღმდეგობამ უარყოფითად იმოქმედა OPEC-ის მიერ ნავთობის მიწოდების შესაძლებლობებზე. ნავთობზე ფასები შემცირდა და აშშ-ს ეკონომიკამ დაიწყო სტაგნულაციის მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელშიც იმყოფებოდა 70-იან წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში. სიტუაცია შემდგენიარად შეიცვალა:

წლები	ნავთობზე ფასების ცვლილება	ინფლაციის ტემპი (CPI)	უმუშევრობის დონე
1983	-7,1%	3,2%	9,5%
1984	-1,7%	4,3%	7,4%
1985	-7,5%	3,6%	7,1%
1986	-44,5%	1,9%	6,9%
1987	18,3%	3,6%	6,1%

1986 წელს ნავთობზე ფასები განახევრდა. მიწოდების მხრიდან აღნიშნული სასურველი შოკის შედეგად ინფლაციის ტემპმა კვლავ დაბალ ნიშნულს მიაღწია აშშ-ს მთელი ისტორიის განმავლობაში, ხოლო უმუშევრობის დონე თანდათან მუახლოვდა მის ბუნებრივ დონეს.

8-5. დასკვნა

ამ თავში ჩამოყალიბებით ეკონომიკური რყევების ძირითადი თეორია. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ჩვენი მოდელი აგებულია იმ დაშვებაზე, რომ ფასები ხისტი და მოკლევადიან პერიოდში და მოქნილია გრძელვადიან პერიოდში. ეს მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ იწვევს ეკონომიკური რყევები წარმოების მოცულობის დროებით გადახრას იმ დონისგან, რომელიც განისაზღვრება კლასიკური მოდელით.

მოდელი გვიჩვენებს აგრეთვე ფულადი პოლიტიკის როლს. დაუსაბუთებელი ფულადი პოლიტიკა შეიძლება შოკების მიზნულად მოგვევლინოს ეკონომიკაში. დასაბუთებულ ფულად პოლიტიკას შეუძლია შოკების ნეიტრალიზება და ეკონომიკის სტაბილიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი მსგავსია ცალკე აღებული საქონლისათვის მოხონი-მიწოდების მოდელისა, საჭიროა მას უფრო დაკვირვებით მოვეყვილოთ: ეს ანალოგია აბსოლუტური ნამდვილად არ არის. ცალკეული საქონლის მოთხოვნა მიწოდების შესწავლით ჩვენ ვაანალიზებთ ერთ ბაზარს. მაკროეკონომისტს სჭირდება ერთიანი მოდელი

მოელი ეკონომიკისათვის. სინამდვილეში, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი ძალიან რთულია და ასახავს სხვადასხვა ბაზრებს შორის ურთიერთკავშირს.

მომდევნო თავებში ესრულეყოფით ამ მოდელს და მოეყვანთ სტაბილიზაციის პოლიტიკის სიღრმისეულ ანალიზს. მე-9 და მე-10 თავებში განვითარებულია და შევსებული ერთობლივი მოთხოვნის თეორია. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, რომ ერთობლივი მოთხოვნა დამოკიდებულია როგორც საბიუჯეტო-საგადასახადო, ისე ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. მე-11 თავში უფრო დეტალურად გამოვიკვლევთ ერთობლივ მიწოდებას და ნათელს მოუფენთ ფასებისა და ხელფასის სიხისტის მიზეზებს. სტაბილიზაციის პოლიტიკის თეიებებთან დაკავშირებულ საკითხებზე და მისი ზემოქმედების შესწავლულობაზე დისკუსია წარმოდგენილია მე-12 თავში.

პირითაჲი ღასკმნბი

1. გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებს შორის უმნიშვნელოვანესი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ფასები მოქნილია გრძელვადიან პერიოდში და ხისტი - მოკლევადიანში. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი უზრუნველყოფს საფუძვლებს ეკონომიკური რყევების გასანალიზებლად და ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა შედეგების შესაფასებლად მიღებულ დროით პორიზონტთან დამოკიდებულებით.

2. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გვიჩვენებს, რომ რაც უფრო დაბალია ფასების დონე, მით უფრო მაღალია საქონელზე და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის სიდიდე.

3. გრძელვადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი ევრტიკალურია: წარმოების მოცულობა განისაზღვრება შრომისა და კაპიტლის დანახარჯებით და არსებული ტექნოლოგიით. ამიტომ, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გაელენას ახდენს ფასების დონეზე, მაგრამ არა წარმოების მოცულობაზე და დასაქმების დონეზე.

4. მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი პორიზონტალურია, რამდენადაც ხელფასი და ფასები ფიქსირებულია. ამიტომ, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გაელენას ახდენს წარმოების მოცულობაზე და დასაქმების დონეზე.

5. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მხრიდან შოკები იწვევს ეკონომიკურ რყევებს. რამდენადაც ცენტრალურ ბანკს თავისი პოლიტიკით ძალუქს გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება, მას შეუძლია ამ შოკების ნეიტრალიზება წარმოების მოცულობისა და დასაქმების დონის ბუნებრივ დონეზე შენარჩუნებით.

პირითაჲი ცნებები

ერთობლივი მოთხოვნა
ერთობლივი მიწოდება
წარმოებლურობა
სტაბილიზაციის პოლიტიკა
სტაგფლაცია
შოკები

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, გვ. 333-360
2. Т.А. Агапова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДИС. 2002, გვ. 70-92
3. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002, გვ. 305-331
4. К.Р. Макконнелл, С.Л. Брю, Экономикс, 14-е издание, Москва-2002, გვ. 232-245
5. Пол А. Самуельсон, Вильям Д. Нордхаус, Экономика, 16-е издание, Москва-1999, გვ. 481-486; 582-587
6. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, გვ. 238-256
7. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, გვ. 139-160

თემა 9. ერთობლივი მოთხოვნა I

მე მოვიყვან იმის მტკიცებულებას, რომ კლასიკური თეორიის პოტენციალები მესადაგება არა საერთო, არამედ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებს უფრო მეტად, ამ განსაკუთრებული შემთხვევის მახასიათებელი შტრიხები არ ეთხვევა იმ ეკონომიკური საზოგადოების შტრიხებს, რომელშიც ცხოვრობობ და აბრტომ, მათი სწავლება გვაძნეებს და რაყეყართ საბუღალსწერო შედეგებამაც თეორიის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენების მცდელობისას.

ჯონ მენარდ კეინზი
„დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“

აშშ-ის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი ეკონომიკური კრიზისი იყო დიდი დეპრესია. XX საუკუნის 30-იან წლებში აშშ-მა განიცადა მასობრივი უმუშევრობა და მოსახლეობის შემოსულები მის მკეთრი შემცირება. 1933 წელს, რომელიც ყველაზე მძიმე იყო ამ თვალსაზრისით, ამერიკელი საშუალო ძალის ერთი მეოთხედი საშუალოს გარეშე დარჩა, ხოლო რეალური მშპ 1929 წლის დონესთან შედარებით 30%-ით შემცირდა. ასეთმა დამანგრეველმა კრიზისმა მრავალ ეკონომისტს კითხვები გაუჩინა კლასიკური ეკონომიკური თეორიის გამოყენების მართებულობის შესახებ, რომელიც განვიხილეთ 3-7 თავებში. აღმოჩნდა, რომ ამ კონცეფციის ფარგლებში ჩვენ არ შეგვიძლია დეპრესიის ასხნა კლასიკური თეორია ამტკიცებს, რომ ერთიანი შემოსავალი დამოკიდებულია წარმოების ფაქტორების მიწოდებაზე და არსებულ ტექნოლოგიაზე, მაგრამ ამ ცვლადებს 1929-1930 წლებში რაიმე არსებითი ცვლილებები არ განუცვლიათ. დიდი დეპრესიის შემდგომ მრავალი ეკონომისტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ახალი მოდელი არა მარტო თავსდამტყდარი დამანგრეველი და მოულოდნელი ეკონომიკური კრიზისის ასახსნელად, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის დონისძიებათა შესათავაზებლად, რომლებიც შესაძლებელს გახდოდა საზოგადოების ეკონომიკური პრობლემების გადაჭარს.

1936 წელს გამოქვეყნდა ინგლისელი ეკონომისტის, ჯონ მენარდ კეინზის ნაშრომი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, რომელმაც გადატარებდა მოახდინა ეკონომიკურ მცენიერებაში. კეინზმა შემოგთავაზა ეკონომიკის ანალიზის ახალი ხერხი, რომელიც მან კლასიკური თეორიის ალტერნატივის სახით წარმოადგინა. კეინზის თეორიის ირველიც მასწინვე გაიმართა მწავე დისკუსია. აღნიშნულ წიგნში გადმოცემული იდვის საუქმელებზე თანდათანობით განვითარდა ეკონომიკური აქტივობის რყევების კანონზომიერებათა ახლებური გაგება.


კეინზმა იყარაუდა, რომ შემოსავლების დაბალი დონისა და უმუშევრობის მაღალი დონის მიზეზს ერთობლივი მოთხოვნის შემცირება წარმოადგენს, რაც დამახასიათებელია ეკონომიკური კრიზისებისათვის. მან გააკრიტიკა კლასიკური თეორია იმ მტკიცების გამო, რომ თითქოს ერთობლივი მიწოდება – ე.ი. ეკონომიკაში არსებული სპირტი, შრომა და ტექნოლოგია – განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლის დონეს. დღეისათვის ეკონომისტები ამ ორ თვალსაზრისს ერთმანეთს უხამებენ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელში, რომელსაც მე-8 თავში გავეცანით. გაეისხნით, რომ რაქმედიდან პერიოდში ფასები შემოწილია და ერთობლივი მიწოდება ცალსახად განსაზღვრავს შემოსავლის დონეს. მაგრამ, მოკლევადიან პერიოდში ფასები ხისტია, ასე რომ, შემოსავლის დონეზე გავლენას ახდენს ერთობლივი მოთხოვნა.

მოცემულ დროშევივთ ეკონომიკურ მიწოდებულ ეკონომიკური რყევების კვლევას, გაეამახივლებთ რა განსაკუთრებულ ყურადღებას ერთობლივი მოთხოვნაზე. ჩენი მიზანია გამოვეთოს ის ცვლადები, რომლებიც იწვევენ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას და შესაბამისად, ეროვნული შემოსავლის რყევებს. უფრო სრულად გაეანალიზებთ აგრეთვე იმ საშუალებებს, რომელთა გამოყენებითაც სახელმწიფო მოქალაქებს შეუძლიათ გადაეხდოს მოხადინრო ერთობლივი მოთხოვნაზე მე-8 თავში ჩამოყავალიდით ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ფულის რაოდენობრივი თეორიიდან გამომდინარე და ეპენეთ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნაზე მოცემულ თავში ენახათ, რომ სახელმწიფოს შეუძლია გავლენა მოახდინოს ერთობლივი მოთხოვნაზე ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკით.

მოცემულ თავში ერთობლივი მოთხოვნის განსახილველი მოდელი, რომელსაც უწოდებენ IS-LM მოდელს, კეინზის თეორიის ყველაზე გაბატონებული ინტერპრეტაციაა. IS-LM მოდელში ფასების დონე მიიღება ეგზოგენურ პარამეტრად და შემდგომ ნაჩვენებია, თუ რომელი ფაქტორი განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლის დონეს. აღნიშნული მოდელი ააშენავენს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ მოკლევადიან პერიოდში შემოსავლის ცვლილებას ფასების ფიქსირებული დონის პირობებში. შეიძლება IS-LM მოდელის განხილვა ასევე იმ მოდელის სახით, რომელიც ეთიყენებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების გამოწვევე მიზეზებს. მოდელის შინაარსის განმარტების აღნიშნული ორივე ხერხი ემეივალენტურია, რამდენადაც, როგორც ნახ. 9-1-დან გამომდ-

ნარეობს, საერთო შემოსავლების ცვლილებები ფასების ფიქსირებული დონის პირობებში გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს. ეს ნიშნავს, რომ მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ფასების დონე ფიქსირებულია, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება განსაზღვრავს საერთო შემოსავლის ცვლილებებს.

IS-LM მოდელი შედგება IS და LM მრუდებისგან. IS ნიშნავს „ინვესტიციებს“ და „დანაზოგებს“¹. IS მრუდი ასახავს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არსებულ სიტუაციას, რომელიც განიხილეთ მე-3 თავში. LM აღნიშნავს „ლიკვიდურობას“ და „ფულს“². LM მრუდი ასახავს ფულად საშუალებების მარაგზე მოთხოვნას და ფულის მიწოდებას, რომელიც მერ თავშია განხილული. რადგანაც საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა ახდენს როგორც ინვესტიციებს, ასევე ფულზე არსებულ მოთხოვნას, სწორედ ეს ცვლადი აკავშირებს ერთმანეთთან IS-LM მოდელის ორივე ნაწილს. მოდელი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ განსაზღვრავს ამ ორ ბაზარს შორის ურთიერთქმედება ერთობლივ მოთხოვნას³.



ნახ. 9-1. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება. ფასების მოცემული დონის პირობებში წარმოების ერთობლივი მოცულობა და შემოსავალი განიცდის რყევებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების გამო. IS-LM მოდელში ფასების დონე მდებარეობს მოცემულია, როგორც მოცემულია. ის გვიჩვენებს შემოსავლის დონის ცვლილების მიზეზს. ამგვარად, მოდელი გვიჩვენებს, თუ რა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას.

9-1. საქონლისა და მომსახურების ბაზარი და IS მრუდი

IS მრუდი ასახავს საპროცენტო განაკვეთსა და შემოსავლის დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც წარმოიშობა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. იმისათვის, რომ ეს კავშირი გავიგოთ, თავდაპირველად დაივიწყებთ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის მარტივი თეორიით, რომელიც ატარებს „კეინზიანური ჯერის“ სახელწოდებას.

კეინზიანური ჯვარი

კეინზიანური ჯვარი წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის კეინზიანური თეორიის ყველაზე მარტივ ინტერპრეტაციას. ის გააძლევს IS-LM-ის უფრო რთული და რეალისტური მოდელის ასაგებად საჭირო სასარგებლო დასკვნებს. კეინზიანური ჯერის მრავალი ელემენტი ჩვენთვის უკვე ცნობილია მე-3 თავში წარმოდგენილი საქონლისა და მომსახურების ბაზრის ანალიზიდან გამომდინარე დადგენილი დანახარჯები. კეინზიანური ჯერის მისაღებად დაივიწყეთ იმ ფაქტორთა განხილვით, რომლებიც განსაზღვრავენ დადგენილი დანახარჯების სიდიდეს. დადგენილი დანახარჯები წარმოადგენს თანხას, რომლის დახარჯეასაც ვეგმავენ საოჯახო შეურნეობები, ფირმები და სახელმწიფო საქონელსა და მომსახურებაზე. ფაქტობრივი დანახარჯები განსხვავდება დადგენილიდან იმ შემთხვევაში, თუკი ფირმები იძულებულნი არიან განახორციელონ დაუგეგმავი ინვესტიციები

¹ Investment (ინგლ.) – ინვესტიციები; saving (ინგლ.) – დაზოგვა.
² Liquidity (ინგლ.) – ლიკვიდურობა; money (ინგლ.) – ფული.
³ IS-LM მოდელი პირველად განხილული იქნა კეინზის მიერ, ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯონ ჰიკის კლასიკურ ნაშაბაში: Hicks I Mr Keynes and Classic: A Suggested Interpretation // Econometrica 5 (1937) : 147-169

მარაგებში, ე.ი. როდესაც ფირმები ადიდებენ ან ამცირებენ თავიანთი სასაქონლო-მატერიალური მარაგების დონეს მოულოდნელად დაბალი ან მაღალი გაყიდვების დონის საპასუხოდ.

თუ ვევიარაუდებთ, რომ ეკონომიკა დახურული ტიპისაა, ე.ი. წმინდა ექსპორტი ნულის ტოლია, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ დაგეგმილი დანახარჯები E როგორც მოხმარების C , დაგეგმილი ინვესტიციებისა I და სახელმწიფო დანახარჯების G ჯამი:

$$E = C + I + G.$$

ამ ტოლობას ეუმბტებთ მოხმარების ფუნქციას


$$C = C(Y - T).$$

მოხმარების ფუნქცია მეტყველებს იმაზე, რომ მოხმარება დამოკიდებულია განკარგავად შემოსავალზე $(Y - T)$. განკარგავად შემოსავალი არის ერთობლივი შემოსავალი Y გადასახადების T გამოკლებით. გარდა ამისა, ჩვენ ვევიარაუდებთ, რომ დაგეგმილი ინვესტიციების დონე ფიქსირებულია ($I = \bar{I}$), ხოლო საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა - სახელმწიფო დანახარჯებისა და გადასახადების მეშვეობით ეკონომიკურ აქტიუობაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი - უცვლელი: $G = \bar{G}$, $T = \bar{T}$. ამ ტოლობათა გაერთიანებით ელგებულობთ

$$E = C(Y - \bar{T}) + \bar{I} + \bar{G}.$$

ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ დაგეგმილი დანახარჯები წარმოადგენს შემოსაველების - Y , დაგეგმილი ინვესტიციების ეგზოგენური დონისა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენური ცვლადების - G -სა და T -ს ფუნქციას.

ნახ. 9-2-ზე დაგეგმილი დანახარჯები გამოსახულია გრაფიკულად, როგორც შემოსავლის ფუნქცია. ამ ხაზს გააჩნია დადებითი დახრილობა, რადგანაც შემოსავლის უფრო მაღალი დონე განაპირობებს მოხმარების უფრო მაღალ დონეს და ამგეარად, დაგეგმილი დანახარჯების უფრო მაღალ დონესაც. ხაზის დახრილობა მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილებაა - MPC , რომელიც გერჩევებს, თუ რამდენჯერ იზრდება დაგეგმილი დანახარჯები შემოსაველების ერთი ლარით ზრდის შემთხვევაში.




ნახ. 9-2 დაგეგმილი დანახარჯები, როგორც შემოსავლის ფუნქცია დაგეგმილი დანახარჯები დამოკიდებულია შემოსავლის დონეზე, ეინადან შემოსავლის უფრო მაღალ დონეს მიეყავართ მოხმარების უფრო მაღალ დონესთან. ამ ხაზის დახრილობა წარმოადგენს მოხმარებისადმი ზღერულ მიდრეკილებას (MPC).

ეკონომიკა წონასწორულ მდგომარეობაში. ჩვენ ვევიარაუდებთ, რომ ეკონომიკა იმყოფება წონასწორებაში მაშინ, როდესაც რეალური დანახარჯები დაგეგმილის ტოლია. გავისხნოთ, რომ მშპ-ს მაქვენებელს ორგვარი შინაარსი გააჩნია: ეკონომიკურ აგენტთა შემოსაველები და წარმოებული პროდუქციის შექმნაზე გაწეული დანახარჯები. ამიტომ, Y ტოლია როგორც ერთობლივი შემოსავლის, აგრეთვე საქონელსა და მომსახურებაზე რეალური დანახარჯების. წონასწორების პირობა შეგვიძლია ჩაეწეროთ შემდეგნაირად:

$$\text{ფაქტიური დანახარჯები} = \text{დაგეგმილი დანახარჯები} \\ Y = E$$


45 გრადუსიანი დახრილობის ხაზი ნახ. 9-3-ზე აღნიშნავს იმ წერტილებს, სადაც სრულდება ეს პროცესი. თუკი ამ უკანასკნელს დაეგმილი დანახარჯების უზენაესი, დიფერენციალური კინეზიანური ვერსიის ფორმას. ეკონომიკის წონასწორობა მიიღწევა A წერტილში, სადაც დაეგმილი დანახარჯების უზენაესი გრაფიკი და 45 გრადუსიანი დახრილობის მქონე წრფე იკვეთება.



ნახ. 9.3. კინეზიანური ვერსია კინეზიანურ ვერსიას წონასწორობა მიიღწევა A წერტილში, სადაც უზენაესი დაეგმილი დანახარჯების ტოლია.

როგორ აღწევს ეკონომიკა წონასწორობას? მრავალი ფორმისათვის წონასწორული მდგომარეობისაკენ მოძრაობის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მარაგები. თუკი ფირმები აწარმოებენ მეტ საქონელს, ვიდრე მომხმარებლებს სურთ იყიდონ, ისინი ზრდიან სასაქონლო-მეტრიკალურ მარაგებს. პირიქით, თუკი ფირმები აწარმოებენ ნაკლებს, ვიდრე მომხმარებლებს სურთ იყიდონ, ფირმები ყიდნიან თავიანთი მარაგების ნაწილს. მარაგების დაუგეგმავი ცვლილებები ფირმებს აიძულებს შეცვალონ წარმოების მოცულობა.

განვიხილოთ მაგალითი: დაეუშვათ, მშპ იმყოფება წონასწორულ დონეზე მაღლა, კერძოდ - Y_1 დონეზე (იხ. ნახ. 9-4). ამ შემთხვევაში დაეგმილი დანახარჯები ტოლია E_1 -ს, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე Y_1 .



ნახ. 9.4. კინეზიანურ ვერსიას წონასწორული მდგომარეობისაკენ მოძრაობა თუკი ფირმების წარმოების დონე იმყოფება Y_1 წერტილში, მაშინ დაეგმილი დანახარჯები ნაკლებია ფაქტური დანახარჯების, ასე რომ, ფირმები ატოვებენ მარაგებს. მარაგების აღნიშნული დაგროვება ფირმებს აიძულებს შეამცირონ წარმოება. ზუსტად ასევე, თუკი ფირმები აწარმოებენ პროდუქციას Y_2 დონეზე, მაშინ დაეგმილი დანახარჯები E_2 აღარააბებს წარმოების მოცულობას, ასე რომ ფირმები ყიდნიან თავიანთი მარაგებს. მარაგების ასეთი შემცირება ფირმებს ასტიმულირებს გაზარდონ წარმოება.

რადგანაც დაეგმილი დანახარჯები ნაკლებია, ვიდრე წარმოება, ფირმებს უხდებათ ნაკლების გაყიდვა, ვიდრე აწარმოებს, ამიტომ მარაგები იზრდება: მარაგების ასეთი დაგროვება წარმოადგენს დაუგეგმავ ინვესტიციებს ფირმების მფლობელების მხრიდან. მარაგების ზრდა ფირმებს აიძულებს

დაითხოვონ მომუშავეები და შეამცირონ წარმოება, რაც ამცირებს მშპ-ს. დაუფრემავე მარაგების დაგროვებისა და შემოსავლის შემცირების აღნიშნული პროცესი გრძელდება მანამ, ვიდრე შემოსავალი არ შემცირდება წონასწორულ დონემდე. წონასწორული შემოსავალი ტოლია დატეხილი დანახარჯების.

ახლა დაუშვათ, რომ მშპ იმყოფება წონასწორულ დონეზე დაბლა, კერძოდ – Y_2 დონეზე (ნახ 9-4). ამ შემთხვევაში დატეხილი დანახარჯები ტოლია E_2 -ის, რომელიც მგტია, ვიდრე Y_2 რამდენადღაც დატეხილი დანახარჯები აჭარბებს წარმოებას, ფირმები ყოფიან იმაზე მეტს, ვიდრე აწარმოებს. მარაგები მცირდება, ამიტომ ფირმები ქირაობენ მეტ მომუშავეებს და ზრდიან წარმოებას, რითაც განაპირობებენ მშპ-ს ზრდას. აღნიშნული პროცესი გრძელდება მანამ, ვიდრე შემოსავლის დონე არ გაუტოვდება დატეხილ დანახარჯებს.

მთლიანობაში, კეინზიანური ჯგერე გეირენებს, თუ როგორ განისაზღვრება შემოსავალი Y დატეხილი ინვესტიციებისა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მოცემული დონის პირობებში. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ აღნიშნული მოდელი იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ იცვლება შემოსავლები, როდესაც ამ ეგზოგენურ ცვლადთან ერთ-ერთი მაინც შეიცვლება.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა და მულტიპლიკატორი:

სახელმწიფო დანახარჯები.

სახელმწიფო დანახარჯების ცვლილებების ზემოქმედების განსახილველად თავდაპირველად ეთხარებოდნენ კეინზიანური ჯგერეტი. რამდენადაც სახელმწიფო დანახარჯები წარმოადგენს ერთობლივ დანახარჯების ერთ-ერთ კომპონენტს, მისი ზრდა ნიშნავს იმას, რომ შემოსავლების მოცემული დონის პირობებში დატეხილი დანახარჯები გაიზარდება. თუკი სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდება ΔG სიდიდით, მაშინ დატეხილი დანახარჯების გრაფიკი გადაადგილდება ზევით ზუსტად იმავე ΔG სიდიდით (იხ. ნახ. 9-5). ეკონომიკაში წონასწორობა A -დან B წერტილში გადაადგილდება.

ეს გრაფიკი გეირენებს, რომ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა იწვევს შემოსავლების ნაზრდს გაკლებით მეტი ოდენობით თავდაპირველ იმპულსებთან შედარებით, ე.ი. ΔY მგტია ΔG -ზე $\Delta Y/\Delta G$ თანფარდობას ეწოდება *სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი*; ის გეირენებს, თუ რამდენად გაიზარდება ერთობლივი შემოსავალი სახელმწიფო დანახარჯების ერთი ლარით ზრდის საბასუხოდ. კეინზიანური ჯგერეტი მოდელიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი ერთზე მეტია.

რატომ ახდენს საბიუჯეტო პოლიტიკა მულტიპლიკატორულ ეფექტს შემოსავალზე? მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მოხმარების ფუნქციის შესაბამისად, უფრო მაღალი შემოსავალი განაპირობებს მოხმარების უფრო მაღალ დონეს. რამდენადაც სახელმწიფო დანახარჯების ზრდა იწვევს შემოსავლების ზრდას, ის აგრეთვე ამაღლებს მოხმარების დონეს, რაც, თავის მხრივ, ზრდის შემოსავალს, რომელიც განაპირობებს მოხმარების შემდგომ ზრდას და ა.შ. ამიტომ, ამ მოდელში სახელმწიფო დანახარჯების ზრდა იწვევს შემოსავლების მეტი ოდენობით ზრდას.

რამდენად მაღალია მულტიპლიკატორი? იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვას, კვლადაკვად მივიყვებ შემოსავლების ცვლილებებს. პროცესი იწყება, როდესაც დანახარჯები იზრდება ΔG სიდიდით, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოსავლებიც აგრეთვე ΔG სიდიდით გაიზარდება. შემოსავლის აღნიშნული ზრდა, თავის მხრივ, აფართოვებს მოხმარებას $MPC \times \Delta G$ სიდიდით, სადაც MPC – მოხმარებისაში ზღერეული დანერეკილებაა. მოხმარების აღნიშნული ზრდა კვლავ აფართოვებს დანახარჯებს და შემოსავალს. შემოსავლის მეორე ზრდა $MPC \times \Delta G$ ოდენობით მომდგენოთ ეტაპზე ადიდებს მოხმარებას $MPC \times (MPC \times \Delta G)$ ოდენობით, რაც, თავის მხრივ, ზრდის დანახარჯებსა და შემოსავალს და ა.შ. მოხმარებიდან შემოსავალზე და კვლავ მოხმარებაზე აღნიშნული გადასვლა გრძელდება უსასრულოდ. საბოლოოდ, ერთობლივი ეფექტი ტოლია:

სახელმწიფო დანახარჯების თავდაპირველი ცვლილება = ΔG ;

მოხმარების პირველი ცვლილება = $MPC \times \Delta G$;

მოხმარების მეორე ცვლილება = $MPC \times MPC \times \Delta G$;

მოხმარების მესამე ცვლილება = $MPC \times MPC \times MPC \times \Delta G$ და ა.შ.

აქედან გამომდინარე, $\Delta Y = (1 + MPC + MPC \times MPC + MPC \times MPC \times MPC + \dots) \times \Delta G$, ანუ

$$\Delta Y = (1 + MPC + MPC^2 + MPC^3 + MPC^4 + \dots + MPC^n) \times \Delta G$$

ამგვარად, სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი ტოლია

$$\frac{\Delta Y}{\Delta G} = 1 + MPC + MPC^2 + MPC^3 + MPC^4 + \dots + MPC^n$$


მულტიპლიკატორის ამ გამოსახულებას ეწოდება უსასრულოდ კლუბადი გეომეტრიული პროგრესიის ფაზა. ალგებრული გარდაქმნები საშუალებას გვაძლევს მულტიპლიკატორი ჩაეწეროს შემდეგნაირად⁴:

$$\frac{\Delta Y}{\Delta G} = \frac{1}{1 - MPC}$$

მაგალითად, თუკი მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება ტოლია 0,8-ის, მულტიპლიკატორი ტოლია

$$\frac{\Delta Y}{\Delta G} = 1 + 0,8 + 0,8 \times 0,8 + 0,8 \times 0,8 \times 0,8 + \dots = \frac{1}{1 - 0,8} = 5.$$

ამ შემთხვევაში სახელმწიფო დანახარჯების 1 ლარით ზრდა განაპირობებს წონასწორული შემოსავლის 5 ლარით ზრდას⁵.



ნახ. 9-5. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა კინზიანური ჯვრის მოდელში. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ΔG სიდიდით ზრდის დაგეგმილ დანახარჯებს ამავე სიდიდით შემოსავლების მოცემული დონის პირობებში. წონასწორობა A წერტილიდან გადაადგილება B წერტილში და შემოსავალი გაიზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე. შემდეგ, შედარების ზრდა (ΔY) გადაჭარბებს სახელმწიფო დანახარჯების ზრდას (ΔG). ამგვარად, საბიუჯეტო პოლიტიკა შემოსავალზე მულტიპლიკატორულ ეფექტს ახდენს.

⁴ ამ ალგებრული შედეგების დამტკიცება შეეძლება შემდეგნაირად: დავუშვათ, $z = 1 + x + x^2 + \dots$

ტოლობის ორივე მხარის x-ზე გამრავლებით მივიღებთ:
 $zx = x + x^2 + x^3 + \dots$
 მთვრელ ტოლობა გამოირიცხოს პირველი ტოლობიდან:
 $z - zx = 1$
 ბოლო ტოლობას თუ ამჯინით z-ის მიმართ, მივიღებთ

$$z = \frac{1}{1-x}$$

⁵ სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორის საკმაოდ მარტივად გამოთვლა შესაძლებელია დიფერენციალური გამოთვლების გამოყენებით. გამოთვლა დაიწყოთ შემდეგი ტოლობიდან

$$Y = C(Y - T) + I + G$$

ამ ტოლობის G-ს მიხედვით გადაიფერენციალებს შედეგად მივიღებთ

$$\partial Y = C' \partial Y + \partial G,$$

მცირე ალგებრული გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ, რომ

$$\frac{\partial Y}{\partial G} = \frac{1}{1 - C'}$$

ის უანახსრებელი იგივე განაძობობაა, რომელიცა ბიქსაშა მთავრობის

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა და მულტიპლიკატორი: გადასახადები.


ახლა განვიხილოთ წინასწორულ შემოსავალზე გადასახადების ცვლილებები. გადასახადების შემცირება ΔT სიდიდით მაშინათვე გაზრდის $Y-T$ განაკარგად შემოსავალს ΔT სიდიდით და შესაბამისად, მოხმარებას $-MPC \times \Delta T$ სიდიდით. Y შემოსავლის ნებისმიერი დონის პირობებში ამჯერად დაგეგმილი დანახარჯები გაიზრდება. ამგვარად, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 9-6-ზე, დაგეგმილი დანახარჯების შკალა გადაადგილდება მაღლა $MPC \times \Delta T$ ოდენობით. ეკონომიკაში წინასწორება გადაადგილდება A-დან B წერტილში. ზუსტად ისევე, როგორც სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ახდენს შემოსავალზე მულტიპლიკატორულ ზემოქმედებას, გადასახადების შემცირებაც მიყვარით იმავე შედეგამდე. როგორც წინ შემთხვევაში ენახეთ, აქაც დანახარჯების თავდაპირველი ცვლილება მულტიპლიციირდება $1/(1-MPC)$ -ჯერ. შემოსავლის მიმართ გადასახადების შემცირების შედეგად მიღებული ერთობლივი ეფექტი ტოლია

$$\frac{\Delta Y}{\Delta T} = \frac{-MPC}{1 - MPC}$$

ამ გამოსახულებას ეწოდება *საგადასახადო მულტიპლიკატორი*: ის გვიჩვენებს, თუ რამდენი ლარით შეიცვლება ერთობლივი შემოსავალი გადასახადების ერთი ლარით ცვლილების საპასუხოდ. მაგალითად, თუკი მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება ტოლია 0,8-ის, მაშინ საგადასახადო მულტიპლიკატორი ტოლია

$$\frac{\Delta Y}{\Delta T} = \frac{-0,8}{1 - 0,8} = -4.$$

მოცემულ მაგალითში 1 ლარით გადასახადების შემცირება ზრდის წინასწორულ შემოსავალს 4 ლარით⁶.



ნახ. 9-6. გადასახადების შემცირება კონზიანური ჯერის მიდრეკილვით. გადასახადების შემცირება ΔT სიდიდით დაგეგმილ დანახარჯებს ზრდის $MPC \times \Delta T$ ოდენობით შემოსავლების ნებისმიერი მოცემული დონის პირობებში. შემოსავალი იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე და წინასწორება გადაადგილდება A-დან B წერტილში. როგორც ესედავთ, ამ შემთხვევაშიც საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა მულტიპლიკატორულ ეფექტს ახდენს შემოსავალზე.

⁶ როგორც უწინ, ამ შემთხვევაშიც მულტიპლიკატორის გამოთვლა შესაძლებელია დიფერენციული გამოთვლების გამოყენებით. დაიწყოთ შემდგომ ტოლობით

$$Y = C(Y - T) + I + G.$$

გავაღიფერენციალოთ T -ს მიხედვით

$$\partial Y = C'(\partial Y - \partial T)$$

აღტეპრული გარდაქმნის შედეგად მივიღებთ

$$\frac{\partial Y}{\partial T} = \frac{-C'}{1 - C'}$$

მაგალითი 9-1

ქენელი, კეინზი და გადასახადების შემცირება აშშ-ში 1964 წელს

როდესაც ჯონ ფ. კენელი 1961 წელს ამერიკის პრეზიდენტი გახდა, მან ეპონტონში მოიწვია მრავალი ბრწყინვალე ახალგაზრდა ეკონომისტი ეკონომიკური კონსულტანტების საბჭოში სამუშაოდ. ამ ეკონომისტებმა, როდესაც განათლბდა მიიღეს კეინზის ეკონომიკური თეორიის სულისკვეთებით, კეინზიანური იდეები ეკონომიკური პოლიტიკის რანჰში განახორციელეს.

საბჭოს ერთ-ერთი პირველი შემოთავაზება იყო ერთნული შემოსავლის ზრდის გეგმა გადასახადების შემცირებით. ამან მასშტაბიანი გამოიწვია ინდივიდუალური და კორპორაციული საშემოსალო გადასახადების მნიშვნელოვანი შემცირება. ასეთი შემცირების მიზანი მდგომარეობდა იმეტირებაზე და ინვესტიციებზე დანახარების სტიმულირებაში, რასაც უნდა გამოეწვია შემოსავლებისა და დასაქმების დონის ზრდა. როდესაც რეპორტიორმა პითიხა კენელის, თუ რატომ უჭერდა მხარს გადასახადების შემცირებას, კენელიმ უპასუხა: „ეკონომიკის სტიმულირებისათვის. ნუთუ არ გახსოვთ შესავალი კურსი ეკონომიკაში?“.

როგორც კენელის ეკონომიკურმა მრჩეველებმა იწინასწარმეტყველეს, გადასახადების შემცირებაზე გადასვლა თანდაყოლილი იყო ეკონომიკური ბუმიში. რეალური შშპ-ს ზრდის ტემპი 1964 წელს არსებული 5,3%-დან 1965 წელს 6,0%-მდე გაიზარდა. უმუშევრობის დონე 1963 წელს არსებული 5,7%-დან 1964 წლისათვის 5,2%-მდე ხოლო 1965 წლისათვის - 4,5%-მდე შემცირდა.

ეკონომისტები დღესაც ატარებენ დებატებს აღნიშნული სწრაფი ზრდის წყაროების თაობაზე 1960 - იანი წლების დასაწყისისათვის. მიწოდების ეკონომიკის მომხრეთა აზრით ეკონომიკური ბუმი შრომისაღმი სტიმულირების ფუქტის შედეგი იყო, რაც საშემოსალო გადასახადის შემცირებამ გამოიწვია. მათი აზრით, როდესაც მომუშავეებს საშუალება მიეცათ შეენარჩუნებინათ მათი გამოუშვების მაღალი წილი, მათ არსებობდა გაზარდეს შრომის მიწოდება, რის შედეგადაც გაუართოდა საქონლისა და მომსახურების ერთობლივი მიწოდება. მიუხედავად ამისა, კეინზიანური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ერთობლივ მოთხოვნას და გადასახადების შემცირების გავლენას. ყველაზე მართებულია ის, რომ ორივე ზედვაში არსებობს ჭკმატების გარკვეული მარცვალი: გადასახადების შემცირება ასტიმულირებს ერთობლივ მიწოდებას მომუშავეთა შრომის ინტენსივობის გაუმჯობესებით და აუარითოებს ერთობლივ მოთხოვნას საოჯახო მეურნეობათა განკარგვაში შემოსავლების ზრდის შემცირებით.

როდესაც ჯორჯ ბუში უმცროსი 2001 წელს არჩეული იქნა პრეზიდენტად, მისი პლატფორმის მთავარი ელემენტი საშემოსალო გადასახადების შემცირება იყო. ბუშმა და მისმა მრჩეველებმა ისარგებლეს მიწოდების მომხრეთა და კეინზიანელთა დებულებებით თაყვანით პოლიტიკის განსახორციელებლად. კამპანიის განმავლობაში, როდესაც ეკონომიკაში სიტუაცია კარგად ეთარგებოდა, ისინი ასკენდნენ, რომ დაბალ ზღურულ საგადასახადო განაკვეთს უნდა გაემუჯობესებინა შრომის ინტენსივობა. მაგრამ ეკონომიკაში დაიწყო ეარდნა უმუშევრობა 2000 წლის ოქტომბერში არსებული 3,9%-დან 2001 წლის აპრილისათვის 4,5%-მდე გაიზარდა. არბუმენტი შეიცვალა და აქცენტი გაეკეთდა იმაზე, რომ გადასახადის შემცირებას სტიმული უნდა მიეცა დანახარების ზრდისათვის და შეეცდებინა რეცესიის რისკი.

კონგრესმა გადასახადების შემცირება მოიწონა 2001 წლის მაისში. ბუშის შემოთავაზებული გეგმის თანახმად გადასახადების შემცირების კანონი გრძელვადიან პერიოდზე იყო ორიენტირებული მაგრამ მან დაუფრებლოე გაზარდა შეღავათი 600 დოლარამდე თითო ოჯახზე (300 დოლარამდე გადასახადის ყოველ გადახედვლზე). კეინზიანური თეორიის თანახმად, საგადასახადო შეღავათის მიზანი იყო დაუფრებლოე მომუშავეთა ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება.

საპროცენტო განაკვეთი, ინვესტიციები და IS მრუდი


კეინზიანური ჯვარი პირველი აფურია IS-LM მოდელის ასაგებად. კეინზიანური ჯვრის მოდელი სასარგებლოა, რადგანაც ის გვიჩვენებს, თუ რა განსაზღვრავს ეკონომიკაში შემოსავალს და დავგემილი ინვესტიციების მოცულობა დონის პირობებში. მაგრამ ის ძალანდ ამარტივებს სინამდვილეს, რამდენადაც მასში ნაფარაუდევია, რომ დავეგმილი ინვესტიციების დონე ფიქსირებულია. მუ-3 თავში ახსნილია, რომ სინამდვილეში დავგემილი ინვესტიციები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე. იმისათვის, რომ ჩვენს მოდელი შევაქსოთ ინვესტიციები და საპროცენტო განაკვეთის შორის არსებული დამოკიდებულებით, დავგემილი ინვესტიციების დონე ჩაეწეროთ შემდგენარად

I = I(r).


ინვესტიციის ეს ფუნქცია გამოსახულია ნახ. 9-7-ზე. რამდენადაც საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის საჭირო კრედიტის მიღებაზე დანახარებას, საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს დავგემილი ინვესტიციებს.

ნახ. 9-7 IS მრუდის აგება ნახ. 9-7ა-ზე გამოსახული ინვესტიციის ფუნქცია: საპროცენტო განაკვეთის r_1 -დან r_2 -მდე ზრდა ამცირებს დაგეგმილ ინვესტიციებს $I(r_1)$ -დან $I(r_2)$ -მდე. ნახ. 9-7ბ-ზე გამოსახული კეინზიანური ჯვარი: დაგეგმილი ინვესტიციების შემცირება $I(r_1)$ -დან $I(r_2)$ -მდე ამცირებს შემოსავალს Y_1 -დან Y_2 -მდე. ნახ. 9-7გ-ზე ნაჩვენებია IS მრუდი, როგორც საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის ურთიერთქმედების შედეგი: რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მცირეა საერთო შემოსავლის დონე.


ბ) კეინზიანური ჯვარი



ა) ინვესტიციის ფუნქცია



გ) IS მრუდი



IS მრუდი ასახავს საპროცენტო განაკვეთსა და შემოსავლის დონეს შორის აღნიშნულ დამოკიდებულებას, რომელიც წარმოიშობა ინვესტიციის ფუნქციისა და კეინზიანური ჯვრის ურთიერთქმედების შედეგად. რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია დაგეგმილი ინვესტიციები და შესაბამისად - შემოსავლის დონე. ამ მიზეზით, IS მრუდს გააჩნია ურთოფილი დახრილობა, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 9-7გ-ზე.

რა გაეყენას ახდენს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა IS მრუდზე


IS მრუდის ყოველი წერტილი გვიჩვენებს შემოსავლის დონეს მოცემული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში. როგორც კეინზიანური ჯვრის მოდელიდან ვიცით, შემოსავლის დონე დამოკიდებულია ასევე საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე.

IS მრუდი გვიხატავს სიტუაციას განსაზღვრული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკისათვის, ანუ IS მრუდი გულისხმობს, რომ G და T ფიქსირებულია. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში IS მრუდი გადაადგილდება.

ნახ. 9-8-ზე გამოყენებულია კეინზიანური ჯვარი იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ გადაადგილებს IS მრუდს სახელმწიფო დანახარჯების G_1 -დან G_2 -მდე ზრდა. ეს გრაფიკი ავლენს საპროცენტო განაკვეთისა და შესაბამისად, დაგეგმილი ინვესტიციების მოცემული დონისათვის. კეინზიანური ჯვარი გვიჩვენებს, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება ზრდის დაგეგმილ დანახარჯებს და ამის შედეგად - შემოსავლის წონასწორობულ დონეს Y_1 -დან Y_2 -მდე. ამიტომ, სახელმწიფო დანახარჯების ზრდა გადაადგილებს IS მრუდს მარჯვნივ.


კეინზიანური ჯვრის მოდელი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ იმის დემონსტრირება, თუ როგორ ცვლის IS მრუდის ადგილმდებარეობას საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები. რამდენადაც გადასახადების შემცირება ზრდის დანახარჯებსა და შემოსავალს, ისეც IS მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ. სახელმწიფო დანახარჯების შემცირება ან გადასახადების

ზრდა ამცირებს შემოსავალს, ამიტომ, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში ასეთი ცვლილება IS მრუდს გადაადგილებს მარცხნივ.



ნახ. 9-მ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა გადაადგილებს IS მრუდს მარჯვნივ. ნახ. 9-მა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა განაპირობებს დაგეგმილი დანახარჯების ზრდას. ნებისმიერი მოცემული საპროცენტო განაკეთის პირობებში დაგეგმილი დანახარჯების მაღლა გადაადგილება ΔG სიდიდით იწვევს შემოსავლის ზრდას ΔG/(1-MPC) სიდიდით. ამიტომ, ნახ. 9-მა-ზე IS მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ ამ სიდიდით.

ბ) IS მრუდი



მოლიანობაში, IS მრუდი გვიჩვენებს კაეშრის საპროცენტო განაკეთსა და შემოსავლის დონეს შორის, რომელიც წარმოიშობა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. მაშასადამე, IS მრუდი გამოისახება იმაეთივე მოცემული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკისათვის. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება, რომელიც აფართოვებს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას, IS მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება, რომელიც ამცირებს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას, IS მრუდს გადაადგილებს მარცხნივ.

IS მრუდის განმარტება ხასესხო საშუალებათა ბაზრის მოდელის გამოყენებით როდესაც ჩვენ შევისწავლეთ საქონლისა და მომსახურების ბაზარი მე-3 თავში, აღენიშნეთ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდებასა და ხასესხო საშუალებებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის კაეშრის არსებობა. ამას მიყვავართ IS მრუდის კიდევ ერთ ინტერპრეტაციასთან.

გაეიხსნოთ, რომ ეროვნული შემოსავლების ანგარიშების იგივეობა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად

$$Y - C - G = I$$

$$S = I.$$


ამ ტოლობის მარცხენა ნაწილი წარმოადგენს ეროვნულ დანაზოგს S; კერძო Y - T - C და სახელმწიფო დანაზოგების T - G ჯამს, ხოლო მარჯვენა ნაწილი - ინვესტიციას I. ეროვნული დანაზოგი წარმოადგენს სასესხო საშუალებათა მიწოდებას, ხოლო ინვესტიცია - მათზე მოთხოვნას.

იმისათვის, რომ ვაჩვენოთ თუ როგორ შეიძლება ავაგოთ IS მრუდი სასესხო საშუალებათა ბაზრის მოდელის საფუძველზე, C შევცვალოთ მოხმარების ფუნქციით და I - ინვესტიციის ფუნქციით: $Y - C(Y - T) - G = I(r)$.


ტოლობის მარცხენა ნაწილი გეიჩვენებს, რომ სასესხო საშუალებათა მიწოდება დამოკიდებულია შემოსავალზე და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე; ხოლო მარჯვენა ნაწილი კი გეიჩვენებს, რომ სასესხო საშუალებებზე მოთხოვნა დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე. საპროცენტო განაკვეთი იცვლება ისე, რომ გააწონასწოროს სასესხო საშუალებებზე მოთხოვნა და მათი მიწოდება.

როგორც ნახ. 9-9-დან ჩანს, IS მრუდის ინტერპრეტაცია შეგვიძლია შემდეგნაირად: ის გეიჩვენებს შემოსავლის მოცემული ნებისმიერი დონის პირობებში სასესხო საშუალებათა ბაზრის გამწონასწორებელ საპროცენტო განაკვეთს. როდესაც შემოსავალი იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე, ეროვნული დანაზოგი, რომელიც ტოლია $Y - C - G$ -ის, იზრდება (მოხმარება იზრდება ნაქლებად, ეიდრე შემოსავალი, რადგანაც მოხმარებისადმი ზღვრული მიღრეკილება ერთზე ნაკლებია). სასესხო საშუალებათა გაზრდილი მიწოდება ამცირებს საპროცენტო განაკვეთს r_1 -დან r_2 -მდე. IS მრუდი აჯამებს ამ ურთიერთდამოკიდებულებას: შემოსავლის უფრო მაღალი დონე ნიშნავს დაზოგვის უფრო მაღალ დონეს, რაც, თავის მხრივ ნიშნავს უფრო დაბალ წონასწორულ საპროცენტო განაკვეთს. ამ მიზეზიდან გამომდინარე IS მრუდს გაანინა უარყოფითი დახრილობა.

ა) სასესხო საშუალებათა ბაზარი



ბ) IS მრუდი



ნახ. 9-9. IS მრუდის განმარტება სასესხო საშუალებათა ბაზრის მოდელით. ნახ. 9-9-ა გეიჩვენებს, რომ შემოსავლის ზრდა Y_1 -დან Y_2 -მდე ზრდის დანაზოგებს და შესაბამისად, ამცირებს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც აწონასწორებს სასესხო საშუალებათა მიწოდებასა და მათზე მოთხოვნას. მრუდი IS ნახ. 9-9-ბ-ე ახასიათებს ამ უარყოფით კავშირს შემოსავლებსა და საპროცენტო განაკვეთს შორის.

IS მრუდის ასეთი ალტერნატიული განმარტება ხსნის აგრეთვე იმას, თუ რატომ გადაადგილდება საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება IS მრუდს. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ან გადასახადების შემცირება ამცირებს ეროვნულ დანაზოგს შემოსავლების მოცემული დონის პირობებში. რესურსების მიწოდების შემცირება სასესხო საშუალებათა ბაზარზე ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რომელიც უზრუნველყოფს წონასწორობის მიღწევას. რადგანაც საპროცენტო განაკვეთი ახლა უფრო მაღალია შემოსავლების მოცემული დონის პირობებში, IS მრუდი გადაადგილდება მაღლა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში მასტიმულირებელი ცვლილებების საპასუხოდ.

IS მრუდის მარტივი აღგებრა

IS მრუდის ასნის ერთ-ერთი ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ ის აღწერს Y შემოსავლისა და r საპროცენტო განაკვეთის კომბინაციებს, რომელიც აკმაყოფილებს მე-3 თავში ჩვენს მიერ განხილულ ტოლობას:

$$Y = C(Y - T) + (r) + G.$$

ეს ტოლობა აერთიანებს ეროვნული ანგარიშების ძირითად იდეოლოგიას, მოხმარებისა და ინვესტიციის ფუნქციებს. ის გვიდასტურებს, რომ წარმოებული საქონლის რაოდენობა Y ტოლი უნდა იყოს საქონლის რაოდენობის, რომელზეც წარმოდგენილია მოთხოვნა: $C+I+G$.

ჩვენ გაცდობებით მეტს შევიტყობთ IS მრუდის შესახებ, თუკი განვიხილავთ კერძო შემთხვევას, როდესაც მოხმარებისა და საინვესტიციო ფუნქციები წრფივია. დაეიწყოთ შემოსავლების იდეოლოგია:

$$Y = C + I + G.$$

ახლა დაეუშვათ, რომ მოხმარების ფუნქცია წარმოდგენილია, როგორც

$$C = a + b(Y - T),$$

სადაც a და b დადებითია პარამეტრებია, ხოლო საინვესტიციო ფუნქცია -

$$I = c - dr,$$

სადაც c და d - აგრეთვე დადებითი პარამეტრებია. b პარამეტრი მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებაა, ასე რომ, ის მიიღებს ნულსა და ერთს შორის მნიშვნელობას.

d პარამეტრი განსაზღვრავს, თუ როგორ რეაგირებს ინვესტიციები საპროცენტო განაკვეთზე; რადგანაც ინვესტიციები იზრდება მაშინ, როდესაც საპროცენტო განაკვეთი მცირდება, d პარამეტრის წინ იქნება მინუს ნიშანი.

ამ სამი ტოლობიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიყვანოთ აღგებრული ტოლობა IS მრუდისათვის და ენახოთ, თუ რა განსაზღვრავს IS მრუდის მდგომარეობას და მის დახრილობას. თუკი ჩვენ ჩაერთავთ მოხმარებისა და ინვესტიციის ფუნქციას შემოსავლების ტოლობაში, მივიღებთ

$$Y = [a + b(Y - T)] + (c - dr) + G.$$

შეენიშნოთ, რომ Y ფიგურირებს ტოლობის ორივე მხარეს ჩვენ შეგვიძლია ამ ტოლობის გა-მარტივება, თუკი Y-ის შემცველ წევრებს გადაეიტანთ ტოლობის მარცხენა მხარეს და სხვა წევრებს გადავაჯგუფებთ მარჯვნივ:

$$Y - bY = (a + c) + (G - bT) - dr.$$

თუკი ამოვხსნით ამ ტოლობას Y-მიმართ, მივიღებთ:

$$Y = \frac{a + c}{1 - b} + \frac{1}{1 - b}G + \frac{-b}{1 - b}T + \frac{-d}{1 - b}r.$$

აღნიშნული განტოლება გამოხატავს IS მრუდს აღგებრულად. ის გვაძლევს Y შემოსავლის დონის პარამეტრებს ნებისმიერი r საპროცენტო განაკვეთისა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის G და T ცვლადების პირობებში. უცვლელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შემთხვევაში ის გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთებსა და შემოსავლების დონეებს შორის უკუკავშირს: რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია შემოსავლის დონე. გრაფიკულად IS მრუდი გამოხასხავს ამ ტოლობას Y-ისა და r-ის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის G-სა და T-ს ფიქსირებული მნიშვნელობების შემთხვევაში.

ბოლო განტოლების გამოყენებით შეგვიძლია შევაშოწმოთ IS მრუდის მიმართ ჩვენი ადრინდელი დასკვნები. პირველი, რამდენადაც საპროცენტო განაკვეთთან არსებული კოფიციენტი უარყოფითია, IS მრუდს გააჩნია უარყოფითი დახრილობა: უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს მიჰყვართ შემოსავლების უფრო დაბალ დონესთან. მეორე, რამდენადაც სახელმწიფო დანახარჯების კოფიციენტი დადებითია, სახელმწიფო დანახარჯების ზრდა IS მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს. შესაბამისად, რამდენადაც გადასახადების კოფიციენტი უარყოფითია, გადასახადების ზრდა IS მრუდს მარცხნივ გადაადგილებს.

საპროცენტო განაკვეთთან არსებული კოეფიციენტი $-d/(1-b)$ მეტყველებს, IS მრუდი ციკაბო იქნება თუ დაშრევი. თუკი ინვესტიციები ძალიან მგრძობობიარეა საპროცენტო განაკვეთის მიზართ, მაშინ d მაღალია და შემოსავალიც ძალიან მგრძობობიარე იქნება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების მიმართ. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთების მცირედი ცვლილებაც კი გამოიწვევს შემოსავლების მნიშვნელოვან ცვლილებებს. IS მრუდი ასეთ შემთხვევაში უფრო დაშრევი იქნება. პირიქით, თუკი ინვესტიციები არც ისე მგრძობობიარეა საპროცენტო განაკვეთის მიზართ, მაშინ d მცირეა და შემოსავალიც არც ისე მგრძობობიარე იქნება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების მიმართ. ამ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვევს შემოსავლების მცირედ ცვლილებას: IS მრუდი იქნება შედარებით ციკაბო.

ზუსტად ასევე, IS მრუდის დახრილობა დამოკიდებულია მოხზარებისადმი ზღერულ მდრეკილებზე - ხ: რაც უფრო მაღალია მოხზარებისადმი ზღერული მდრეკილება, მით უფრო მაღალი იქნება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით გამოწვეული შემოსავლების ცვლილებები. ამის მიზეზია ის, რომ მოხზარებისადმი ზღერული მდრეკილების მაღალი მნიშვნელობა ნიშნავს მულტიპლიკატორის მაღალ მნიშვნელობასაც. რაც უფრო მაღალია მულტიპლიკატორის მნიშვნელობა, მით უფრო ძლიერ ზემოქმედებას მოახდენს შემოსავლებზე ინვესტიციებში მომხდარი ცვლილებები და მით უფრო დაშრევი იქნება IS მრუდი.

მოხზარებისადმი ზღერული მდრეკილება (b) განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რა მასშტაბით გადაადგილებს საბოუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები IS მრუდს. G პარამეტრის კოეფიციენტი $1/[1-(1-b)]$ - კეინზიანურ ჯვარზე სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორია. ზუსტად ასევე, T-ს კოეფიციენტი $[-b/(1-b)]$ კეინზიანურ ჯვარზე საგადასახადო მულტიპლიკატორია. რაც უფრო მეტია მოხზარებისადმი ზღერული მდრეკილება, მით უფრო მეტია მულტიპლიკატორის სიდიდე და შესაბამისად, IS მრუდიც უფრო მეტად გადაადგილდება, რომელიც წარმოიქმნება საბოუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების შედეგად.

და ბოლოს, გაეხსენოთ, რომ IS მრუდი არ განსაზღვრავს არც Y შემოსავალს, არც r საპროცენტო განაკვეთს. IS მრუდი მხოლოდ Y-სა და r-ს შორის შესაძლო კომბინაციებს ასახავს, რომლებიც წარმოიშობა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. იმისათვის, რომ განსაზღვროთ წონასწორობის პარამეტრები ეკონომიკაში, აუცილებელია გაევიყალიბოთ ანუ რა პარამეტრები შორის კიდევ ერთი თანაფრთობა, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

9-2. ფულის ბაზარი და LM მრუდი

LM მრუდი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთსა და შემოსავლის დონეს შორის დამოკიდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ფულადი საშუალებების ბაზარზე. იმისათვის, რომ გაევიყოს ეს დამოკიდებულება, დავიწყეთ საპროცენტო განაკვეთის მარტივი თეორიის განხილვით, რომელსაც ეწოდება *ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია*.

ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია


ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია საპროცენტო განაკვეთის კეინზიანური თეორიის ფელაზე მარტივი ინტერპრეტაციაა. როგორც კეინზიანური ჯვარი წარმოადგენს IS მრუდის აგების საფუძველს, ისევე ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია იძლევა LM მრუდის აგების საფუძველს. ეს თეორია გაეხსნის, ფულადი საშუალებების რეალური მარაგის მიწოდება და მასზე მოთხოვნა (რომელიც მერ თავეში განვიხილეთ) თუ როგორ განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთს.

დავიწყეთ რეალური ფულადი საშუალებების მიწოდებით. თუკი M ნიშნავს ფულის მიწოდებას, ხოლო P - ფასების დონეს, მაშინ M/P ფულადი საშუალებების მარაგია რეალურ გამოხატულებაში. ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია გულისხმობს რეალური ფულადი საშუალებების ფიქსირებულ მიწოდებას, ე.ი.

$$\left(\frac{M}{P}\right)^s = \bar{P}$$

\bar{M} - არის ფულის მიწოდების დონე, რომელიც არჩეულია ცენტრალური ბანკის მიერ და წარმოადგენს გუზრატებურ ცვლადს. ფასების დონე P მოცემულ მოდელში წარმოადგენს აგრეთვე გუზრატებურ ცვლადს (ფასების დონე აღებულია, როგორც მოცემულია, ვინაიდან IS-LM მოდელში განვიხილეთ მოკლევადიანი პერიოდი, როდესაც ფასების დონე ფიქსირებულია). აღნიშნული წინამძღვრული ნიშნავს, რომ ფულის მიწოდება რეალურ გამოხატულებაში ფიქსირებულია და შესაბამისად, არ არის

ბამისად, არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე. ამიტომ, როდესაც რეალური ფულადი საშუალებების მიწოდებას გამოვსახაოთ ნახ. 9-10-ზე, ვდებულობთ მიწოდების კერტიკულურ შრულს. ახლა მივმართოთ რეალურ გამოხატულებაში ფულადი საშუალებების მარაგზე მოთხოვნას. ადამიანებს ხელზე აქვთ ფული იმიტომ, რომ ფული „ლიკვიდური“ აქტივია - ის ძალზე მოხერხებულია ნებისმიერი გარიგების განსახორციელებლად. ლიკვიდურობისასში უპირატესობის მინიჭების თვითონ ამტკიცებს, რომ ფულზე მოთხოვნის სიდიდე დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე. საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს ნაღდი ფულის ფლობის ალტერნატიულ დანახარჯს: ეს არის ის, რასაც ჩვენ ვიკარგაეთ, თუკი პროცენტების მოშტანი საბანკო დეპოზიტების ან ობლგაციების ფლობის ნაცვლად ხელზე გვაქვს ნაღდი ფული, რადგანაც მას არ მოაქვს პროცენტები. ისევე, როგორც პურის ფასი გაუღვანს ახდენს პურსე არსებულ მოთხოვნის რაოდენობაზე, ნაღდი ფულის ფლობის ფასიც გაუღვანს ახდენს ფულის მარაგის მიმართ მოთხოვნის რაოდენობაზე. ამიტომ, როდესაც საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ადამიანებს სურთ ნაკლები სიმდიდრე იქონიონ ხელთ ფულის სახით.



ნახ. 9-10. ფულადი საშუალებების მარაგის მიწოდება რეალურ გამოხატულებაში. რეალური ფულადი საშუალებების მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, რადგანაც მიწოდება არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე.

რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნა ჩაეწერთ შემდგენარად:

$$\left(\frac{M}{P}\right)^{-1} = L(r).$$


სადაც ფუნქცია $L()$ ნიშნავს ლიკვიდურ აქტივზე - ფულზე მოთხოვნას. ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ ფულზე მოთხოვნის სიდიდე წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის ფუნქციას. ნახ. 9-11-ზე წარმოდგენილია ურთიერთკავშირი საპროცენტო განაკვეთებსა და რეალურ ფულად მარაგებზე მოთხოვნის რაოდენობებს შორის. მოთხოვნის სიდიდე განიხილეთ უარყოფითი დახრილობა, ენადაიან უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ფულზე მოთხოვნის რაოდენობას⁷.

საპროცენტო განაკვეთის თეორიის მისაღებად ვაერთიანეთ ფულზე მოთხოვნასა და ფულის მიწოდებას ნახ. 9-12-ზე. ლიკვიდურობისასში უპირატესობის მინიჭების თეორიის შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება განაპირობებს წონასწორობას ფულის ბაზარზე. წონასწორული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში ფულადი საშუალებების მარაგებზე მოთხოვნის რაოდენობა ტოლია მიწოდების რაოდენობის.

საპროცენტო განაკვეთი ამ წონასწორობისაკენ მიხწრაფვის იმიტომ, რომ ადამიანები იწყებენ თავიანთი აქტივების პორტფელის სტრუქტურის ცვლილებას, თუკი საპროცენტო განაკვეთი არ იყოფება წონასწორულ დონეზე. თუ საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალაა, ფულის მიწოდების რაოდენობა აჭარბებს მოთხოვნის რაოდენობას. ადამიანები, რომლებიც ყლაობენ ფულის ჭარბ მ-


⁷ შევნიშნათ, რომ r -ე გამოთვლება საპროცენტო განაკვეთის აღსანიშნავად, როგორც ამას ქონდა ადგილი IS მრუდის ანალიზის დროს, უფრო სუსტად, ფულზე მოთხოვნა განისაზღვრება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით, ხალხო ინფლაციებით - რეალურით. მაგრამ, სიმარტივისათვის ხვდ მხედველობაში არ ვდებულობთ მისალოდნელ ინფლაციას, რომელიც წარმოშობს განსხვავების რეალურ და ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებს შორის. მისალოდნელი ინფლაციის როლი IS-LM მდელში გამოკვლეულია მე-10 თავში.

რაგებს, ცდილობენ პროცენტების არმომტანი თავიანთი ფულის ნაწილის პროცენტების მომტან საბანკო დეპოზიტებზე განთავსებას ან ობლიგაციებში დაბანდებას. ბანკები და კრედიტორები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ დაბალი საპროცენტო განაკვეთების გადახდას, ფულის ამ ჭარბ მიწოდებას უპასუხებენ საპროცენტო განაკვეთის შემცირებით, რომლებსაც ისინი თავაზობენ შეაბრებენ. და პირიქით, თუკი საპროცენტო განაკვეთი ძალიან მცირეა, ანუ ფულზე მოთხოვნის რაოდენობა აჭარბებს მიწოდების რაოდენობას, ადამიანები ცდილობენ მიიღონ ფული ობლიგაციების გაყიდვით ან ანგარიშებიდან ფულის მოხსნით, რაც ზრდისაქენ უძიბგებს საპროცენტო განაკვეთს. წონასწორული საპროცენტო განაკვეთის შემოხვევაში ფულადი და არაფულადი აქტივების პორტფული ოპტიმალურია.




ნახ. 9-11. რეალურ ფულად მარაგებზე მოთხოვნა რადგანაც საპროცენტო განაკვეთი ნაღდი ფულის ფლობის ალტერნატიული დანახარჯია, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს რეალურ ფულად მარაგებზე მოთხოვნის რაოდენობას.

ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია გამომდინარეობს იქიდან, რომ ფულის მიწოდების შემცირება ზრდის საპროცენტო განაკვეთს და პირიქით, ფულის მიწოდების ზრდა ამცირებს საპროცენტო განაკვეთს. იმისათვის, რომ ამაში დაეწმუნდეთ, დაეუშვათ, რომ ცენტრალური ბანკი ამცირებს ფულის მიწოდებას. M -ის შემცირება, თავის მხრივ, ამცირებს M/P -ს, ეინაიდან ჩვენს მოდელში P ფიქსირებულია. ამიტომ, რეალური ფულადი მარაგების მიწოდების სახი გადაადგილდება მარცხნივ, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 9-13-ზე. წონასწორული საპროცენტო განაკვეთი იზრდება r_1 -დან r_2 -მდე. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ადამიანებს უბიბგებს შეამცირონ ხელთ არსებული ფულადი საშუალებების რეალური მარაგი.



ნახ. 9-12. ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება მანამ, ვიდრე რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნის რაოდენობა არ გაუტოლდება ფულის მიწოდების რაოდენობას.



ნახ. 9-12 ფულის მიწოდების შემცირება ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თვითობით. ფულის მიწოდების შემცირება M_1 -დან M_2 -მდე ამცირებს რეალური ფულადი მარაგების მიწოდებას, რადგანაც ფასების დონე ფიქსირებულია. ამიტომ, წონასწორული საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა r_1 -დან r_2 -მდე.

მაგალითი 9-2

პოლ ულკერი, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და საპროცენტო განაკვეთები

XX საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ს თანამედროვე ისტორიაში მოხდა ინფლაციის ყველაზე მსხვილ-მაღალწიგრი და უსწრაფესი შემცირება. 70-იანი წლების ბოლოსათვის ინფლაციის დონე ოციჯერა მაქვეუბლებს მიღწიდა. 1979 წელს სამომხმარებლო ფასები გაიზარდა 11,3%-ით. 1979 წლის ოქტომბერში, ფედერალური რეზერვუ სისტემის თავმჯდომარე დანიშნვიდან ორი თვის შემდეგ, პოლ ულკერმა განაცხადა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული იქნებოდა ინფლაციის ტემპების შემცირებაზე. ამ განცხადებამ საუბრეული დაულო მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომელმაც 1983 წლისათვის ინფლაციის ტემპები 3%-მდე შეამცირა.

მსგავსი მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა როგორ ახდენს გავლენას საპროცენტო განაკვეთზე? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ დროით პერიოდს განვიხილავთ. ფიშორის ეფექტის ჩვენებული ანალიზი, რომელიც მოცემულია მე-8 თავში, გულისხმობს, რომ ულკერისეულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილებამ შეამცირა ინფლაცია, რამაც, თავის მხრივ, მიუყვანა ნომინალური საპროცენტო განაკვეთის შემცირებამდე. მაგრამ ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თვითობა გეკარანახობს, რომ მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ფასები ინერტულია, ანტიინფლაციური მონეტარული პოლიტიკას უნდა გამოეწვიოთ ფულადი მარაგების შემცირება და ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდა.

ორივე დასკვნა თანხმობაშია პრაქტიკასთან. 80-იან წლებში ნომინალური საპროცენტო განაკვეთები ნამდვილად შემცირდა ინფლაციის ტემპების შემცირების კვალობაზე. მაგრამ, თუკი ერთმანეთს შევადარებთ 1979 წლის ოქტომბერში განცხადების გაკეთებამდე სიტუაციას ერთი წლის შემდეგ არსებულ ეკონომიკურ მარეგულბებს, აღმოვაჩენთ, რომ რეალური ფულადი მასა (M_1) გაყოფილი სამომხმარებლო ფასების ინდექსზე შემცირდა 8,3%-ით, ხოლო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (კომერციული ფასიანი ქაღალდების მიხედვით) გაიზარდა 10,1-დან 11,9%-მდე. ამიტომ, მოხვდავად იმისა, რომ მკაცრმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ გამოიწვია საპროცენტო განაკვეთის შემცირება გრძელვადიან პერიოდში, მოკლევადიან პერიოდში მან მათი ზრდა გამოიწვია.

შემოსავლები, ფულზე მოთხოვნა და LM მრუდი

ახლა გამოვიყენოთ ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თვითობის იმისათვის, რათა მივიღოთ LM მრუდი. წონასწორული საპროცენტო განაკვეთი - საპროცენტო განაკვეთი, რომელიც აწონასწორებს ფულზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას, - დამოკიდებულია შემოსავლის დონეზე. შემოსავლის დონესა და საპროცენტო განაკვეთს შორის ეს ურთიერთდამოკიდებულება გამოისახება LM მრუდით.


აქამდე ვეარაუდობდით, რომ მხოლოდ საპროცენტო განაკვეთი ახდენდა გავლენას რეალურ ფულად მარაგებზე არსებულ მოთხოვნის სიდიდეზე. უფრო რეალისტურია ვეარაუდოთ, რომ შემოსავლის დონე - Y -იც ახდენს გავლენას ფულზე არსებულ მოთხოვნაზე. როდესაც შემოსავალი მაღალია, დანახარჯებიც მაღალია, შესაბამისად, ადამიანები მეტ გარიგებაში მონაწილეობენ. რაც დამატებითი ფულის გამოყენებას საჭიროებს. ამგვარად, შემოსავლის უფრო მაღალი დონე განაპირობებს ფულზე მოთხოვნის ზრდას.

ფულზე მოთხოვნის ფუნქცია ჩაწეროთ შემდეგნაირად:

$$\left(\frac{M}{P}\right)^d = L(r, Y).$$

რეალურ ფულად მარაგებზე მოთხოვნის სიდიდე უკუპროპორციულია საპროცენტო განაკვეთის და პირდაპირპროპორციულია შემოსავლის.

ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორიის გამოყენებით ენახოთ, თუ რა მოხდის საპროცენტო განაკვეთს, როდესაც შემოსავლების დონე იცვლება. მაგალითად, განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც შემოსავალი იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე. როგორც ნახ. 9-14ა-ზეა ნაჩვენები, შემოსავლების აღნიშნული ზრდა ფულზე მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ. იმისათვის, რომ გავაწონასწოროთ რეალურ გამოხატულებაში ფულადი საშუალებების მარაგების ბაზარი, საპროცენტო განაკვეთი უნდა გაიზარდოს r_1 -დან r_2 -მდე. ამიტომ, უფრო მაღალი შემოსავალი იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას.



ნახ. 9-14. LM მრუდის აგება. ნახ. 9-14ა გვიჩვენებს ფულადი საშუალებების რეალური მარაგების ბაზარს: შემოსავლების Y_1 -დან Y_2 -მდე ზრდა ზრდის ფულზე მოთხოვნას და შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთს r_1 -დან r_2 -მდე. ნახ. 9-14ბ გვიჩვენებს LM მრუდს, რომელიც საპროცენტო განაკვეთებსა და შემოსავლებს შორის ამ დამოკიდებულებას აერთიანებს: რაც უფრო მაღალია შემოსავლის დონე, მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი.

LM მრუდი შემოსავლის დონესა და საპროცენტო განაკვეთს შორის ამ დამოკიდებულებას გრაფიკულად ასახავს. რაც უფრო მაღალია შემოსავლის დონე, მით უფრო მაღალია ფულზე მოთხოვნა და შესაბამისად, მაღალია წონასწორული საპროცენტო განაკვეთი. ამ მიზეზის გამო LM მრუდს გააჩნია დადებითი დახრილობა, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 9-14-ზე.

როგორ იწვევს ფულად-საპრედიტო პოლიტიკა LM მრუდის გადაადგილებას

LM მრუდი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის დონეს, რომელიც აწონასწორებს ფულად ბაზარს შემოსავლების თითოეული მოცემული დონის პირობებში. ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია გვიჩვენებს, რომ წონასწორული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია აგრეთვე ფულის მიწოდებაზე. LM მრუდი გამოისახება რეალურ გამოხატულებაში ფულადი საშუალებების მოცემული მიწოდებისათვის. თუკი მოსახლეობის ხელთ არსებული ფულადი მარაგი იცვლება (მაგალითად, თუკი ცენტრალური ბანკი ცვლის ფულის მიწოდებას), LM მრუდი გადაადგილდება.


ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ იწვევს ფულად-საპრედიტო პოლიტიკა LM მრუდის გადაადგილებას. დაეშვათ, რომ ცენტრალური ბანკი ამცირებს ფულის მიწოდებას M_1 -დან M_2 -მდე, რაც იწვევს რეალურ გამოხატულებაში ფულის მიწოდების შემცირებას M_1/P -დან M_2/P -მდე. ნახ. 9-15-ზე ნაჩვენებია, თუ რა ხდება ამ შემთხვევაში. შემოსავლების მუდმივი სიდიდისა და შესაბამისად, ფულზე უკლებლესი მოთხოვნის პირობებში რეალურ გამოხატულებაში ფულის მიწოდების შემცირება ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რომელიც უზრუნველყოფს ფულის ბაზრის წონასწორობას. ამიტომ, ფულადი მასის შემცირება LM მრუდს გადაადგილებს მარცხნივ-მაღლა.

ამგვარად, LM მრუდი გეოგენებს საპროცენტო განაკვეთს და შემოსავლების დონეს შორის ურთიერთკავშირს, რომელიც წარმოიქმნება რეალური ფულადი საშუალებების ბაზარზე. LM მრუდი გამოისახება რეალურ გამოხატულებაში ფულის მოცემული მიწოდებისათვის. რეალური ფულადი საშუალებების მიწოდების შემცირებამ LM მრუდს გადაადგილებს მალა, ფულის მიწოდების ზრდა კ - დაბლა.

LM მრუდის განმარტება ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობის თვალსაზრისით როდესაც პირველად განვიხილეთ ერთობლივი მოთხოვნისა და შემოსავლის რყევები მოკლევადიან პერიოდში მე-8 თავში, მივიღეთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ფულის რაოდენობრივი თეორიის დახმარებით. ფულის რაოდენობრივი თეორიის ტოლობა წარმოვადგინეთ, როგორც

$$MV = PY$$

და დაეუშეთ, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე V მუდმივია. ეს დაშვება ნიშნავს იმას, რომ ფასების ნებისმიერი დონისათვის მხოლოდ ფულის მიწოდება განსაზღვრავს შემოსავლების დონეს. რადგანაც შემოსავლის ეს დონე არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე, ფულის რაოდენობრივი თეორია გულისხმობს, რომ LM ვერტიკალურია.



ნახ. 9-15 ფულის მიწოდების შემცირება LM მრუდს გადაადგილებს მალა. ნახ. 9-15-ზე ნაჩვენებია, რომ შემოსავლის ნებისმიერი მოცემული დონის პირობებში (Y) ფულის მიწოდების შემცირება ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რომელიც აწინასწარებს ფულის ბაზარს. ამიტომ, LM მრუდი ნახ. 9-15-ზე გადაადგილდება მალა.

დადებითი დახრილობის მქონე „ნორმალური“ LM მრუდი შეგვიძლია მივიღოთ რაოდენობრივი თეორიის ტოლობიდან, თუკი ფულის მიმოქცევის სიჩქარის მუდმივობის წინაპირობას მოვხსნით. მიმოქცევის სიჩქარის მუდმივობაზე წინაპირობა ეკვივალენტურია იმ ვარაუდის, რომ ფულადი საშუალებების რეალურ მარაგებზე მოთხოვნა დამოკიდებულია მხოლოდ შემოსავლის დონეზე. რეალურად, ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია აგრეთვე საპროცენტო განაკვეთზეც: უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ზრდის ნაღდი ფულის ფლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და ამცირებს ფულზე მოთხოვნას. რამდენადაც აღმნიშნები უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთზე ფულის მარაგების შემცირებით რკავიერებენ, რომლებიც მათ გააჩნიათ დროის მოცემული მომენტისათვის, ეკონომიკაში ყოველი ლარი უფრო სწრაფად გადავა ხელიდან ხელში, ე.ი. ფულის მიმოქცევის სიჩქარე გაიზარდება. ჩვენ შეგვიძლია ეს ჩავეწროთ შემდეგნაირად:

$$MV(r) = PY.$$

მიმოქცევის სიჩქარის ფუნქცია $V(r)$ მიუთითებს, რომ მიმოქცევის სიჩქარე დადებით კავშირშია საპროცენტო განაკვეთთან. რაოდენობრივი თეორიის ტოლობის ეს ფორმა იძლევა LM მრუდს, რომელსაც გააჩნია დადებითი დახრილობა. რამდენადაც საპროცენტო განაკვეთის ზრდა ფულის ბრუნვის სიჩქარეს ზრდის,

ის ზრდის შემოსავლის დონეს მოცემული ფულის მიწოდებისა და ფასების დონის პირობებში. LM მრუდი გამოხატავს საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლებს შორის ამ დამოკიდებულებას.

ეს ტოლობა გვიჩვენებს აგრეთვე, თუ რატომ იწვევს ფულის მიწოდების ცვლილება LM მრუდის გადაადგილებას. მოცემული საპროცენტო განაკვეთისა და ფასების დონის პირობებში ფულის მიწოდების ზრდა განაპირობებს შემოსავლების ზრდას. შესაბამისად, ფულის მიწოდების ზრდა გადაადგილებს LM მრუდს მარჯვნივ, ხოლო ფულის მიწოდების შემცირება – მარცხნივ. საბოლოოდ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რაოდენობრივი თეორიის ტოლობა უბრალოდ LM მრუდის კონკრეტული გამოხატვის განსაკუთრებულ ხეხის გეთავაზობს. LM მრუდის ადინამული განმარტება მნიშვნელოვანწილად მსგავსა იმისა, რომელიც წარმოადგენილია ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორიით. ორივე შემთხვევაში LM მრუდი ასახავს დადებით ურთიერთკავშირს შემოსავლებსა და საპროცენტო განაკვეთებს შორის ფულის ბაზარზე.

LM მრუდის მარტივი ალგებრა

LM მრუდის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ის გეისხისათებს Y შემოსავლებსა და r საპროცენტო განაკვეთების კომბინაციას, რომლებიც აკმაყოფილებენ ფულადი ბაზრის წონასწორობის პირობებს:

$$\frac{M}{P} = L(r, Y).$$

მოცემული ტოლობა გვიჩვენებს ფულზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების ტოლობას.

ჩვენ გაცილებით მეტს შევიტყობთ LM მრუდზე, თუკი განვიხილავთ შემთხვევას, როდესაც ფულზე მოთხოვნის ფუნქცია წრფივია, ე.ი.

$$L(r, Y) = eY - fr,$$

სადაც e და f ნულზე მეტი რიცხვებია. e -ს მნიშვნელობა განსაზღვრავს, რამდენად გაიზრდება ფულზე მოთხოვნა შემოსავლების ზრდის შემთხვევაში. f -ის მნიშვნელობა განსაზღვრავს, რამდენად მცირდება მოთხოვნა ფულზე საპროცენტო განაკვეთის ზრდის შემთხვევაში. საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის წინ დგას მინუს ნიშანი, რადგანაც ფულზე მოთხოვნა იმყოფება საპროცენტო განაკვეთის მიმართ უკუდამოკიდებულებაში.

ახლა ფულად ბაზარზე წონასწორობა ჩაეწეროთ შემდეგნაირად:

$$\frac{M}{P} = eY - fr.$$

იმისათვის რომ გავიგოთ, თუ რას ნიშნავს ეს ტოლობა, მოვახდინოთ მისი გარდაქმნა ისე, რომ r აღმოჩნდეს მარცხნივ. შედეგად ვღებულობთ:

$$r = \left(\frac{e}{f}\right) \times Y - \left(\frac{1}{f}\right) \times \frac{M}{P}.$$

ეს ტოლობა გვაძლევს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი ბაზრის წონასწორობას შემოსავლის ნებისმიერი მნიშვნელობისა და რეალური ფულადი მარაგის მიწოდების რაოდენობის პირობებში. LM მრუდი ამ ტოლობას გამოხატავს Y -ისა და r -ის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის M/P -ს ფიქსირებული მნიშვნელობის დროს.

ამ ბოლო ტოლობის გამოყენებით შესაძლებელია შევამოწმოთ ჩვენი დასკვნები LM მრუდთან მიმართებაში. პირველი, რამდენადაც კოეფიციენტი შემოსავალთან დადებითია, LM მრუდს გააჩნია დადებითი დახრილობა: უფრო მაღალი შემოსავალი მოითხოვს საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რომელიც უზრუნველყოფს წონასწორობის დამყარებას ფულის ბაზარზე. მეორე, ეინაიდან ფულადი საშუალებების რეალური მარაგების კოეფიციენტი უარყოფითია, მისი შემცირება LM მრუდს გადაადგილებს მაღლა, ზრდა კი – დაბლა.

შემოსავლის e/f კოეფიციენტთან გამომდინარე შეიძლება გავიგოთ, თუ რა განსაზღვრავს LM მრუდის დახრილობას. თუკი ფულზე მოთხოვნა არც ისე მგრანობიარეა შემოსავლის დონის მიმართ, მაშინ e მცირეა. ამ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის მხოლოდ მცირედით ცვლილებაა აუცილებელი იმისათვის, რათა მოხდეს ფულზე მოთხოვნის უმნიშვნელო ზრდის კომპენსაცია, რომელიც გამოწვეულია შემოსავლის ცვლილებით: LM მრუდი შედარებით დაშრტყვია. ზუსტად ასევე, თუკი ფულზე მოთხოვნის სიდიდე უმნიშვნელოდაა დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე, მაშინ

ჩმყრცა ამ შემთხვევაში, შემოსაღლების ცვლილების შედეგად ფულზე მოთხოვნის ზრდა იწვევს წონასწორული საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვან ზრდას: LM მრუდი შედარებით ციცაბოა.

საბოლოოდ, აღენიშნაეთ, რომ თავისთავად LM მრუდი არ განსაზღვრავს არც Y შემოსავალს, არც r საპროცენტო განაკვეთს. როგორც IS მრუდი, ისიც წარმოადგენს ეკონომიკური მოდელის ამ ორი ენდოგენური ცვლადის შესაძლო კომბინაციას. ეკონომიკაში წონასწორობა განისაზღვრება ერთობლივად IS და LM მრუდებით.

9.3. დასკვნა: წონასწორობა მოკლევადიან პერიოდში

ამჟამად ფულობთ IS-LM მოდელის ყველა კომპონენტს. მოდელის ორივე განტოლებას აქვს შემდეგი სახე:


$$(IS) \quad Y = C(Y - T) + I(r) + G$$

$$(LM) \quad \frac{M}{P} = L(r, Y).$$

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა G და T, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა M და ფასების დონე P მოდელში ეგზოგენურ ცვლადებადაა მიღებული. მოცემული ეგზოგენური ცვლადების პირობებში IS მრუდი იძლევა r-ისა და Y-ის ისეთ კომბინაციებს, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის ბაზარზე წონასწორობას, ხოლო LM მრუდი კი იძლევა r-ისა და Y-ის ისეთ კომბინაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფულად ბაზარზე წონასწორობას. ეს ორი მრუდი ერთადაა გამოსახული ნახ. 9-16-ზე.

IS-LM მოდელში ეკონომიკური წონასწორობა - ის წერტილია, სადაც IS და LM მრუდები იკვეთება. ეს წერტილი განსაზღვრავს r საპროცენტო განაკვეთს და Y შემოსავლის დონეს, რომლებიც აკმაყოფილებს როგორც საქონლის, ისე ფულად ბაზარზე არსებულ წონასწორობის პირობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ორი მრუდის გადაკვეთის წერტილში რეალური დანახარჯები ტოლია დაგეგმილის და რეალურ ფულად საშუალებებზე მოთხოვნა კი - მიწოდების.

ეკონომისტები სარგებლობენ IS-LM მოდელით ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი ცვლილებების ეროვნულ შემოსავალზე ზემოქმედების გასაანალიზებლად. ეს იქნება მომდევნო თავის განხილვის საგანი, სადაც გამოკვლეული იქნება აგრეთვე, თუ როგორ ხსნის IS-LM მოდელი ერთობლივი მოთხოვნის მრუდის დახრილობის საკითხს.



ნახ. 9-16. წონასწორობა IS-LM მოდელში. IS და LM მრუდების გადაკვეთა წარმოადგენს ერთდროულად წონასწორობას როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე ფულად ბაზარებზე.

პირითადი რასკმენები

1. კეინზიანური ჯვარი შემოსაღლების განსაზღვრის მარტივი მოდელია. ის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას და დაგეგმილ ინვესტიციებს განიხილავს, როგორც ეგზოგენურ პარამეტრებს და გეინვენებს, რომ არსებობს ეროვნული შემოსავლის მიოლოდ ერთი დონე, რომლის დროსაც რეალური დანახარჯები დაგეგმილის ტოლია. ის გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო დანახარჯებისა და გადასახადების ცვლილება ახდენს მულტიპლიკატორულ ზემოქმედებას შემოსავალზე.

2. თუ დაეუშვებთ, რომ დაგეგმილი ინვესტიციები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე, კეინზიანური ჯვრის მოდელის ფარგლებში წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთსა და ეროვნულ შემოსავალს შორის მდგრადი კავშირი. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს დაგეგმილ ინვესტიციებს, რაც, თავის მხრივ იწვევს ეროვნული შემოსავლის შემცირებას. IS მრუდი განაზოგადებს საპროცენტო განაკვეთებსა და შემოსავლებს შორის ამ უზარყოფით ურთიერთკავშირს.

3. ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის მარტივ მოდელს. ის ფულის მიწოდებასა და ფასების დონეს განიხილავს, როგორც ეგზოგენურ პარამეტრებს და გულისხმობს, რომ საპროცენტო განაკვეთი იცვლება, რათა გააწონასწოროს ფულის ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება. ფულის მიწოდების ზრდა ამცირებს საპროცენტო განაკვეთს.

4. თუ დაეუშვებთ, რომ ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია ეროვნულ შემოსავალზე, ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია წარმოშობს ურთიერთკავშირს შემოსავლებსა და საპროცენტო განაკვეთებს შორის. უფრო მაღალი შემოსავლების დონე ზრდის მოთხოვნას რეალურ ფულად საშუალებებზე, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას. LM მრუდი განაზოგადებს საპროცენტო განაკვეთებსა და შემოსავლებს შორის ამ დადებით ურთიერთკავშირს.

5. IS-LM მოდელი მოიცავს კეინზიანური ჯვრისა და ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორიის ელემენტებს. IS და LM მრუდების გადაკვეთის წერტილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთსა და შემოსავალს, რომელიც უზრუნველყოფს წონასწორულ მდგომარეობას როგორც საკონლის, ისე ფულად ბაზრებზე.

პირითადი ცნებები

IS-LM მოდელი

IS მრუდი

LM მრუდი

კეინზიანური ჯვარი

სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი

საგადასახადო მულტიპლიკატორი

ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების თეორია

ბიუჯეტის ციკლური დეფიციტი

ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტი

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ხერხები

მონეტიზაცია

სენიორაჟი

სავალო ვალდებულება

გამოდენის ეფექტი

ოლივერ-ტანზის ეფექტი

ლაფერის მრუდი

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები.
სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი

ეკონომიკური ჯვარი გვიჩვენებს, თუ როგორ მყარდება წარმოების წონასწორული მოცულობა Y დაგეგმილი ინვესტიციების I , სახელმწიფო დანახარჯების G და საგადასახადო ანარიცხების T მოცემული დონის პირობებში.

რადგანაც ეროვნული წარმოების წონასწორული დონის მიღწევა შესაძლებელია რესურსების სრული დასაქმების სიტუაციის გარეშე (ერთობლივი მოთხოვნის არაეფექტიანობის შედეგად), მაშინ წარმოშობილი გარდუევა შეიძლება ანულირდეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების დახმარებით: სახელმწიფო დანახარჯების G და ბიუჯეტში საგადასახადო ანარიცხების T სიდიდეთა ცვლილებებით.

საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა - ეს არის მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები სახელმწიფო დანახარჯების, გადასახადების დაგეგმვისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობის ცვლილებებით, რომელიც მიმართულია სრული დასაქმების, საგადასახადო ბალანსის წონასწორობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად არაინფლაციური მშპ-ს წარმოების პირობებში.

მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა (ფისკალური ექსპანსია) მოკლევადიანი პერსპექტივისათვის მიზნად ისახავს ეკონომიკის ციკლური ვარდნის დაგეგმვისა და გულისხმობს სახელმწიფო დანახარჯების G ზრდას, გადასახადების შემცირებას T ან ამ ღონისძიებათა კომბინირებულ ვარიანტს. უფრო გრძელვადიანი პერსპექტივისთვის გადასახადების შემცირების პოლიტიკამ შეიძლება განაპირობოს წარმოების ფაქტორების მიწოდების გაფართოება და ეკონომიკური პოტენციალის ზრდა. ამ მიზნების განხორციელება დაკავშირებულია კომპლექსური საგადასახადო რეფორმების ჩატარებასთან, რომელიც თანდაყოლილია ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული შემზღვეველი ფულად-საქმიანო პოლიტიკით და სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციით.

შემაკვეთელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა (ფისკალური რესტრქიქცია) მიზნად ისახავს ეკონომიკის ციკლური აღმავლობის შეზღუდვას და გულისხმობს სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას G , გადასახადების ზრდას T ან ამ ღონისძიებათა კომბინირებულ ვარიანტს. მოკლევადიანი პერსპექტივისათვის ეს ღონისძიებები საშუალებას იძლევა შემცირდეს *მოთხოვნის ინფლაცია* უმუშევრობისა და წარმოების ვარდნის ზრდის ხარჯზე. უფრო სანგრძობი პერიოდისთვის ზრდადი საგადასახადო სილი შეიძლება გახდეს ერთობლივი მიწოდების შემცირებისა და სტეფლაციის მექანიზმის ამოქმედების საფუძველი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო დანახარჯების შემცირება ხორციელდება ბიუჯეტის ყველა მუხლის პროპორციულად და არ იქმნება პრიორიტეტები შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურაში სახელმწიფო ინვესტიციების სასარგებლოდ. გაჭიანურებული სტაგნაცია სახელმწიფო დანახარჯების არაეფექტიანად მართვის ფონზე ქმნის ეკონომიკური პოტენციალის რღვევის წინაპირობებს, რაც არცთუ იშვიათად გეგმდება გარდამავალი პერიოდის მქონე ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც.

მოკლევადიან პერსპექტივაში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტები თანდაყოლილია სახელმწიფო დანახარჯების, გადასახადებისა და დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორების ეფექტით.

თუკი სახელმწიფო დანახარჯები იზრდება ΔG ოდენობით, მაშინ დაგეგმილი დანახარჯების მრული გადაადგილება მდლად იმავე ოდენობით (ნახ. 1), ხოლო წარმოების წონასწორული მოცულობა იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე $\Delta Y = \Delta G \times m_p$ სიდიდით, სადაც m_p სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორია.


მულტიპლიკატორული პროცესი იწყება, როდესაც დანახარჯები იზრდება ΔG ოდენობით და შემოსავლებს ზრდის იმავე სიდიდით, რაც, თავის მხრივ, გააძლევს მოხმარების ნაზრდს $b \times \Delta G$ სიდიდით. მოხმარების აღნიშნული ზრდა კვლავ ზრდის დანახარჯებს, რაც კვლავ იწვევს მოხმარების ზრდას $b^2 \times \Delta G$ სიდიდით და ა.შ. ერთობლივი ეფექტი ტოლია:

$$\text{დანახარჯების თავდაპირველი ცვლილება} = \Delta G;$$

$$\text{მოხმარების პირველი ცვლილება} = b \times \Delta G;$$

$$\text{მოხმარების მეორე ცვლილება} = b^2 \times \Delta G;$$

$$\Delta Y = \Delta G \times (1 + b + b^2 + \dots).$$



ნახ. 1.

სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი ტოლია

$$\frac{\Delta Y}{\Delta G} = \frac{1}{1-b}$$

ამ ელემენტარულმა მოდელმა მიიღო *კენზის მარტივი მულტიპლიკატორის* სახელწოდება.

სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორის სიდიდე და წარმოების წონასწორული მოცულობა შეიძლება ეიპოვოთ შემდეგი განტოლებათა სისტემის ამოხსნის შედეგად:

$$\begin{cases} Y = C + I + G \\ C = a + bY \end{cases}$$

სადაც $Y = C + I + G$ - ძირითადი მაკროეკონომიკური იგივეობაა;

$C = a + bY$ - მოხმარების ფუნქციაა.

მომხარების ფუნქციის ჩასმა ძირითად მაკროეკონომიკურ იგივეობაში საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ წარმოების წონასწორული მოცულობა:

$$\begin{aligned} Y &= a + bY + I + G \\ Y - bY &= a + I + G \\ Y(1 - b) &= a + I + G \end{aligned}$$

$$Y = \frac{1}{1-b} (a + I + G).$$

სადაც $(a + I + G)$ ავტონომიური დანახარჯებია, რომლებიც არ არის დამოკიდებული შემოსაულების სიდიდეზე Y , ხოლო $1/(1-b)$ - მულტიპლიკატორია, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად გაიზრდება შემოსაულების წონასწორული დონე დახურულ ეკონომიკაში არა მარტო სახელმწიფო, არამედ ნებისმიერი ავტონომიური დანახარჯების ერთი ერთეულით ზრდის შედეგად. ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მულტიპლიკატორის სიდიდეს, *მომხარებისადმი ზღვრული მიდრეკილება* b (MPC).

შემოსაულების გადასახადებით დაბეგერის გათვალისწინებით შეიცვლება მომხარების ფუნქციის სახე და, შესაბამისად, მულტიპლიკატორის მოდელი:

$$\begin{cases} Y = C + I + G \\ C = a + b(1-t)Y \end{cases} \rightarrow Y = \frac{1}{1-b(1-t)} (a + I + G),$$

სადაც $1/(1-b(1-t))$ - დახურულ ეკონომიკაში დანახარჯების მულტიპლიკატორია, ხოლო t - ზღვრული საგადასახადო განაკეთი.

ზღვრული საგადასახადო განაკვეთი – არის გადახდილი გადასახადის თანხის ნაზრდისა და შემოსავლის ნაზრდის შორის თანაფარდობა:

$$t = \frac{\Delta T}{\Delta Y}$$

სადაც t – გადასახადებით დაბეგრის ზღვრული განაკვეთია;

ΔT – გადახდილი გადასახადის თანხის ნაზრდი;

ΔY – შემოსავლის ნაზრდი.

გადასახადებით დაბეგრის პროგრესული სისტემა ის ფაქტორია, რომელიც განაპირობებს მულტიპლიკატორის, დასაქმებისა და წარმოების მოცულობის დონეთა სტაბილიზაციის ეფექტის შექმნებას. რაც უფრო დაბალია გადასახადებით დაბეგრის განაკვეთი, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მაღალია მულტიპლიკატორის ეფექტი.

სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორის ეფექტი ღია ეკონომიკაში შედარებით დაბალია, ეიდრე დახურულში.

ღია ეკონომიკაში სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორის სიდიდე და წარმოების წონასწორული მოცულობა შეიძლება ეპიოეთ შემდეგი განტოლებათა სისტემის ამოხსნით:

$$\begin{cases} Y = C + I + G + NX; \\ C = a + b(1-t)Y; \\ NX = g - m'Y. \end{cases}$$

სადაც $Y = C + I + G + NX$ - ძირითადი მაკროეკონომიკური იდენტობაა;

$C = a + b(1-t)Y$ - მოხმარების ფუნქცია,

$NX = g - m'Y$ - წმინდა ექსპორტის ფუნქცია, ხოლო

g - ავტონომიური ელემენტი წმინდა ექსპორტში.

$$Y = \frac{1}{1-b(1-t)+m'} \times (a+I+G+g).$$

სადაც $1/(1-b(1-t)+m')$ ღია ეკონომიკაში სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორია,


m' - იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება, რომელიც გვიჩვენებს იმპორტული პროდუქციის შექმნაზე გაწეული დანახარჯების ნაზრდის (Δm) შეფარდებას შემოსავლების ნაზრდთან.

$$m' = \frac{\Delta m}{\Delta Y}$$

საგადასახადო მულტიპლიკატორი.

დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი

შემოსავლების წონასწორულ დონეზე ანალოგიურ მულტიპლიკატორულ ზემოქმედებას ახდენს გადასახადების შემცირება T . თუ საგადასახადო ანარიცხები მცირდება ΔT ოდენობით, მაშინ განკარგავდი შემოსავალი $Y_d = Y - T$ იზრდება იგივე ΔT ოდენობით (იხ. ნახ. 2). სამომხმარებლო ხარჯები შესაბამისად იზრდება $\Delta T \times b$ სიდიდით, რაც დაგეგმილი დანახარჯების მრუს გადაადგილებს წაღლა და ზრდის წარმოების წონასწორულ მოცულობას Y_1 –დან Y_2 –მდე საგადასახადო მულტიპლიკაციის მექანიზმის სიდიდით, როგორც ეს გვეჩვენა სახელმწიფო დანახარჯების შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება მოხმარების მრავალჯერად რეაქციას საგადასახადების ერთჯერადი ცვლილებების მიმართ:



ნახ. 2.

- გადასახადები მცირდება ΔT ოდენობით $\downarrow \Leftrightarrow$
- \Leftrightarrow განკარგავდი შემოსავალი იზრდება ΔT ოდენობით $\uparrow \Leftrightarrow$
- \Leftrightarrow მოხმარება იზრდება $b \times \Delta T$ ოდენობით $\uparrow \Leftrightarrow$
- \Leftrightarrow ერთობლივი დანახარჯები იზრდება $b \times \Delta T$ ოდენობით $\uparrow \Leftrightarrow$
- \Leftrightarrow ერთობლივი შემოსავალი იზრდება $b \times \Delta T$ ოდენობით $\uparrow \Leftrightarrow$
- \Leftrightarrow მოხმარება იზრდება $b(b \times \Delta T)$ ოდენობით $\uparrow \Leftrightarrow$
- \Leftrightarrow ერთობლივი დანახარჯები იზრდება $b^2 \times \Delta T$ ოდენობით $\uparrow \Leftrightarrow$
- \Leftrightarrow ერთობლივი შემოსავალი იზრდება $b^2 \times \Delta T$ ოდენობით $\uparrow \Leftrightarrow$
- \Leftrightarrow მოხმარება იზრდება $b(b^2 \times \Delta T)$ ოდენობით $\uparrow \Leftrightarrow$ და ა.შ.

თუ ვივარაუდებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში ყველა საგადასახადო ანარიცხი დამოკიდებულია მიმდინარე შემოსავლის დინამიკაზე Y , მაშინ საგადასახადო ფუნქცია ღებულობს შემდეგ სახეს

$$T = t \times Y,$$

სადაც t – ზღერული საგადასახადო განაკვეთია.

ამ შემთხვევაში მოხმარების ფუნქციას ეწება შემდეგი სახე:

$$C = a + b(Y - tY) = a + b(1 - t)Y,$$

ხოლო საგადასახადო მულტიპლიკატორის მოდელი ღებულობს შემდეგ სახეს:

$$m_t = \frac{-b}{1 - b(1 - t)},$$

სადაც m_t – დახურულ ეკონომიკაში საგადასახადო მულტიპლიკატორია.

სრული საგადასახადო ფუნქცია იქნება შემდეგი:

$$T = T_a + tY,$$

სადაც T_a – ავტონომიური გადასახადებია, რომლებიც არ არის დამოკიდებული მიმდინარე შემოსავლის Y სიდიდეზე (მაგალითად, გადასახადები უძრავ ქონებაზე, მექანიზრებაზე და ა.შ.);

t – ზღერული საგადასახადო განაკვეთია.

საგადასახადო ანარიცხების T შემოსავლებზე Y ფუნქციონალური დამოკიდებულების გათვალისწინებით მოხმარების ფუნქცია ღებულობს შემდეგ სახეს:

$$C = a + b[Y - (T_a + tY)].$$

ამ შემთხვევაში წარმოების წონასწორული მოცულობის მოდელი ღია ეკონომიკაში ასე გამოიყურება:

$$Y = \frac{1}{1 - b(1 - t) + m'} \times (a + I + G + g) - \frac{b}{1 - b(1 - t) + m'} \times T_a,$$

სადაც $-b/(1 - b(1 - t) + m')$ - საგადასახადო მულტიპლიკატორია ღია ეკონომიკაში.

ამასთან, შემოსავლის ΔY ჯამური ცვლილება სახელმწიფო დანახარჯებისა და ავტონომიური გადასახადების სიდიდეთა ერთდროული ცვლილების შედეგად განისაზღვრება, როგორც

$$\Delta Y = \Delta G \times \frac{1}{1 - b(1 - t) + m'} - \Delta T_a \times \frac{b}{1 - b(1 - t) + m'}.$$

თუკი სახელმწიფო დანახარჯები და ავტონომიური საგადასახადო ანარქციები იზრდება ერთი და იგივე სიდიდით, მაშინ წარმოების წონასწორული მოცულობაც იზრდება. ასეთ შემთხვევაში ამბობენ *დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორზე*, რომელიც ყოველთვის ტოლია ან ნაკლებია ერთს.

დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი არ გულისხმობს ნებისმიერი ბიუჯეტის დეფიციტის ან პროფიციტის აბსოლუტურად აღმოფხვრას. საუბარი ეხება ბიუჯეტის შემოსავლით და ხარჯებით ნაწილების დაბალანსებულ ცვლილებას, ე.ი. $\Delta T = \Delta G$ ტოლობის შენარჩუნებას, სადაც ΔT სიმბოლოს ქვეშ განზოგადოებულად აღინიშნება ბიუჯეტის შემოსავლის ყველა ცვლილება, ხოლო ΔG სიმბოლოს ქვეშ კი - ბიუჯეტის დანახარჯების ყველა ცვლილება.

მაგალითად, თუკი სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდა ΔG ოდენობით, მაშინ წარმოების წონასწორული მოცულობა გაიზარდება შემდეგი სიდიდით:

$$\Delta Y = \Delta G \times \frac{1}{1 - b(1 - t) + m'}.$$

თუკი მთავრობა ერთდროულად გაზრდის ავტონომიურ გადასახადებს $\Delta T_a = \Delta G$ ოდენმდე, მაშინ წარმოების წონასწორული მოცულობა შემცირდება შემდეგი სიდიდით:

$$\Delta Y = -\Delta T_a \times \frac{b}{1 - b(1 - t) + m'}.$$

წარმოების წონასწორული მოცულობის ჯამური ცვლილება შეადგენს:

$$\Delta Y = \underbrace{\Delta G}_{\Delta T_a} \times \underbrace{\left(\frac{1}{1 - b(1 - t) + m'} - \frac{b}{1 - b(1 - t) + m'} \right)}_{< 1}$$

ე.ი., $\Delta Y < \Delta G = \Delta T_a$.

გადასახადების შემცირებით გამოწვეული მულტიპლიკატორული ეფექტი უფრო სუსტია, ვიდრე სახელმწიფო დანახარჯების ზრდით გამოწვეული, რაც ალგებრულად გამოიხატება დანახარჯების მულტიპლიკატორის საგადასახადო მულტიპლიკატორზე მეტობით. ეს წარმოადგენს შემოსავლებისა და მოხმარების სიდიდეებზე სახელმწიფო დანახარჯების უფრო ძლიერი ზემოქმედების შედეგს (გადასახადების ცვლილებებთან შედარებით). აღნიშნული განსხვავება განმსაზღვრელია ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტთა არჩევის დროს. თუ ის მიმართულია ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის გაფართოებაზე, მაშინ ციკლური ვარდნის დასაძლევად იზრდება სახელმწიფო შესყიდვები (რაც იძლევა ძლიერ მასტიმულირებელ ეფექტს), ხოლო ინფლაციური აღმავლობის შესაკაეებლად იზრდება გადასახადები (რაც, შედარებით რბილი შემზღვეველი ღონისძიება).

თუკი ფისკალური პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფო სექტორის შეზღუდვაზე, მაშინ ციკლური ვარდნის ფაზაში მცირდება გადასახადები (რაც შედარებით მცირე მასტიმულირებელ ეფექტს იძლევა), ხოლო ციკლური აღმავლობის ფაზაში მცირდება სახელმწიფო დანახარჯები, რაც საშუალებას იძლევა შედარებით სწრაფად შემცირდეს ინფლაციის დონე.

დისკრეციული და არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკა. ბიუჯეტის დეფიციტი და პროფიციტი. ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილიზატორები. სახელმწიფო ბიუჯეტის ციკლური და სტრუქტურული დეფიციტი

დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა ეწოდება სახელმწიფო დანახარჯების, გადასახადებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის საღრის სიდიდის მიზანმიმართულ ცვლილებებს მთავრობის სპეციალურ გადაწყვეტილებათა შედეგად, რომელიც მიმართულია დასაქმების დონის, წარმოების მოცულობის, ინფლაციის ტემპებისა და სავადადმხდლო ბალანსის მდგომარეობის შეცვლისკენ.

არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკა ეწოდება დასახელებულ სიდიდეთა ავტომატურ ცვლილებებს ერთობლივი მოთხოვნის ციკლური რყევების შედეგად. არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს წმინდა სავადასახადო შემოსულობათა ზრდას (კლებას) სახელმწიფო ბიუჯეტში შშპს ზრდის (შემცირების) პერიოდებში, რომელიც მასტაბილიზებულ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე.

წმინდა სავადასახადო შემოსულობები წარმოადგენს ბიუჯეტში საერთო სავადასახადო შემოსულობათა სიდიდესა და მთავრობის მიერ გადახდილ ტრანსფერტებს შორის სხვაობას.

დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის დროს ერთობლივი მოთხოვნის სტოქსტოზირების მიზნით რეცესიის პერიოდში მიზანმიმართულად იქმნება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი სახელმწიფო დანახარჯების ზრდის (მაგალითად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით პროგრამების დაფინანსებით) ან გადასახადების შემცირების შედეგად. შესაბამისად, აღმავლობის პერიოდში მიზანმიმართულად იქმნება ბიუჯეტის პროფიციტი.

მთავრობის დისკრეციული პოლიტიკა დაკავშირებულია მნიშვნელოვან შინაგან დროით ღია-თან, რადგანაც სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურის ან საგადასახადო განაკვეთების ცვლილება გულისხმობს ამ ღონისძიების ხანგრძლივად განხილვას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში ბიუჯეტის დეფიციტი თუ პროფიციტი წარმოიქმნება ავტომატურად, ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილიზატორების ამოქმედების შედეგად.

ჩაშენებული (ავტომატური) სტაბილიზატორი არის ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა შევამოთხრო დასაქმების დონისა და წარმოების ციკლურების ციკლური რყევების ამპლიტუდა ისე, რომ არ მიემართოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ხშირი ცვლილებების განეითარებულ ქვეყნებში ასეთ სტაბილიზატორებზე დეველოპინგ პროგრესული სავადასახადო სისტემა, სახელმწიფო ტრანსფერტების სისტემა (მათ შორის, უშუალოდ დასაქმება) და მიგებაში მონაწილეობის სისტემა. ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილიზატორები შედარებით აბსტრუქტულად დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის გაპანერებულ დროითი ღიაის პრობლემას, რადგანაც ეს მექანიზმები „ირობება“ საკანონმდებლო ორგანოს უშუალო ჩარევის გარეშე.

ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილიზატორების ხარისხი უშუალოდაა დამოკიდებული ციკლური ბიუჯეტის დეფიციტის და პროფიციტის სიდიდეებზე, რომლებიც ასრულებენ ერთობლივი მოთხოვნის რყევების ავტომატური „ამორტიზატორების“ ფუნქციას.

ციკლური დეფიციტი (პროფიციტი) – სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტია (პროფიციტია), რომელიც გამოწვეულია სავადასახადო შემოსულობათა ავტომატური შემცირებით (განსვრდით) და სახელმწიფო ტრანსფერტების ზრდით (შემცირებით) საქმიანი აქტივობის ვარდნის (აღმავლობის) ფონზე.


ციკლური აღმავლობის ფაზაში $Y_2 > Y_0$, ამიტომ, სავადასახადო ანარიცხები ავტომატურად იზრდება, ხოლო ტრანსფერტული გადასახადები ავტომატურად მცირდება. შედეგად, იზრდება ბიუჯეტის პროფიციტი და ადგილი აქვს ინფლაციური ბუმის მოთოყვას (ნახ. 3).

ციკლური ვარდნის ფაზაში $Y_2 < Y_0$, ამიტომ, გადასახადები ავტომატურად მცირდება, ხოლო ტრანსფერტული იზრდება. შედეგად, იზრდება ბიუჯეტის დეფიციტი ერთობლივი მოთხოვნისა და წარმოების მოცულობის შედარებითი ზრდის ფონზე, რაც ზღუდავს რეცესიის სიღრმეს.

ციკლური დეფიციტისა და პროფიციტის სიდიდები განისაზღვრება სავადასახადო და საბიუჯეტო ფუნქციის გრაფიკების დახრილობის ხარისხზე. სავადასახადო ფუნქციის T დახრილობის კუთხე განისაზღვრება ზღერული სავადასახადო განაკვეთის I სიდიდით, ხოლო სახელმწიფო დანახარჯების ფუნქციის G დახრილობის კუთხე - Y სიდიდით, რომელიც გუიხასიათებს მიღებული ტრანსფერტების ცვლილებებსა და შემოსავლების სიდიდეთა ცვლილებებს შორის თანაფარდობას. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია შემოსავლების დონე, მით უფრო მაღალია გადასახადი გადასახადი და დაბალია სახელმწიფოსგან მიღებული ტრანსფერტები.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ყველა სახელმწიფო დანახარჯები G გამარტივებულადაა წარმოდგენილი, როგორც უცვლელი სიდიდე, რომელიც არ არის დამოკიდებული მიმდინარე შემოსავლის დინამიკაზე, ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილიზატორების ხარისხი მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო მაღალია სავადასახადო განაკვეთის I დონე და შესაბამისად, რაც უფრო ციკაბათა T ხაზი. T მდგომარეობაში ბიუჯეტის ციკლური დეფიციტისა და პროფიციტის სიდიდეები

მეტია, ვიდრე T მდგომარეობაში და ამიტომ, ჩაშენებული სტაბილიზატორები გაცილებით ძლიერ ზემოქმედებს ახდენენ ერთობლივი მოთხოვნის ზრდაზე ან კლებაზე.



ნახ. 3

ამადროულად, ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილიზაციის ხარისხის ზრდა ეწინააღმდეგება საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სხვა, უფრო გრძელვადიან მიზნებს – წარმოების ფაქტორთა მიწოდების გაფართოებისა და ეკონომიკური პოტენციალის ზრდის სტიმულების გაძლიერებას. ინვესტირებისადმი, სამწარმოო რისკისადმი და შრომისადმი სტიმულები შედარებით ძლიერდება საგადასახადო ფუნქციის შედარებით უფრო დამრეცი მრუდის შეზიხვევაში, რომლის მიღწევა შესაძლებელია გადასახადების ზღვრული განაკვეთების შემცირებით. თუმცა, ეს შემცირება თანდაყოლილია ბიუჯეტის ციკლური დეფიციტისა და პროფიციტის სიდიდეთა შემცირებით, ხოლო შესაბამისად, ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილიზაციის ხარისხის შემცირებით. ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიან და გრძელვადიან ეფექტებს შორის არჩევანი რთული მაკროეკონომიკური პრობლემაა როგორც ინდუსტრიული, ისე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

ჩაშენებული სტაბილიზატორები არ ახდენს წინასწორული მშპ-ს ციკლური რყევების მიზეზების აღმოფხვრას მისი პოტენციური დონის ირგვლივ, არამედ მხოლოდ ზღუდავს ამ რყევების მანძილს. ბიუჯეტის ციკლური დეფიციტისა და პროფიციტის მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია ფისკალური პოლიტიკის დონისძიებათა ეფექტიანობის შეფასება, რადგანაც ციკლურად დაუბალანსებელი ბიუჯეტის არსებობა ეკონომიკას არ აახლოებს რესურსების სრული დასაქმების მდგომარეობასთან და მას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი წარმოების ნებისმიერი მოცულობის პირობებში. ამიტომ, ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილიზატორები, როგორც წესი, შესაძლებელი უნდა იყოს მთავრობის დისკრეტული ფისკალური პოლიტიკის დონისძიებებთან, რომლებიც მიმართულია რესურსების სრული დასაქმების უზრუნველყოფისკენ. ამის შედეგად წარმოიქმნება საბიუჯეტო მიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტი (პროფიციტი) – ბიუჯეტის დანახარჯებსა (შემოსავლებს) და შემოსავლებს (დანახარჯებს) შორის სხვაობა სრული დასაქმების პირობებში. ციკლური დეფიციტი ხშირად განიხილავრება, როგორც ბიუჯეტის ფაქტორი დეფიციტისა და სტრუქტურული დეფიციტის სიდიდებს შორის სხვაობა.

ცხრილში 1 მოყვანილია სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტორი და სტრუქტურული დეფიციტების მონაცემები საშუალოდ, ქვეყნების ორი ჯგუფისთვის - „წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა“ და „ამორჩენილი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის“.

რესურსების სრული გამოყენების დონის, უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და წარმოების პოტენციური მოცულობის განსაზღვრის სიმძლავრეები ართლებს სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტის (პროფიციტის) გაანგარიშებას როგორც ინდუსტრიულ, ისე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, თუმცა ამ მაკროეკონომიკურ ინდიკატორთა დანაშაკის საფუძველზე დასდება ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში. ამიტომ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სტაბილიზაციის სტრატეგიისა და სტრუქტურული რეფორმების შემუშავების უნდა დაეყრდნოდ საბიუჯეტო საერთო დეფიციტის შეფასებებს.

ინფლაციური ქვეყნების ბიუჯეტის დეფიციტის წილი მშპ-ში

	1980-1989	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	2001
1. წამყვანი ინფლაციური ქვეყნები*										
- ფაქტობრივი დეფიციტი	-3,0	-2,1	-2,7	-3,8	-4,3	-3,5	-3,3	-2,9	-2,3	-1,5
- მშპ-დან გადახრა**	-0,4	2,7	0,5	-0,4	-1,8	-1,2	-1,4	-1,4	-1,1	0,2
- სტრუქტურული დეფიციტი***	-2,8	-3,3	-3,0	-3,5	-3,3	-2,7	-2,5	-2,1	-1,6	-1,5
2. ჩამორჩენილი ინფლაციური ქვეყნები****										
- ფაქტობრივი დეფიციტი	-4,1	-2,5	-3,8	-4,7	-6,0	-5,1	-4,4	-2,9	-2,0	-1,6
- მშპ-დან გადახრა**	-0,6	2,5	1,1	-0,1	-2,3	-1,6	-1,2	-1,2	-1,1	-0,1
- სტრუქტურული დეფიციტი***	-3,8	-4,3	-4,8	-4,7	-4,3	-3,8	-3,5	-2,1	-1,4	-1,5

* ეს ჯგუფი აერთიანებს „დიდი შვიდეული“ ქვეყნებს.

** „მშპ-დან გადახრის“ მაჩვენებელი წარმოადგენს ფაქტობრივ მშპ-ს მისი პოტენციური დონისგან შუთარდებით გადახრის სიდიდეს

$$\left(\frac{Y - Y^*}{Y^*} \right)$$

*** სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტი ქვეყნებს ჯგუფების მიხედვით საშუალოდ გამოსახულია პროცენტულად წარმოების საშუალო პოტენციური მოცულობის მიხედვით.

**** 1980-1989 წლებში ქვეყნების ამ ჯგუფში ჩართულია ესპანეთი, პოლანდია, ბელგია, შედეთი, ავსტრია, დანია, ირლანდია, ავსტრალია და ახალი ზელანდია. შემდგომი პერიოდისათვის მასში ჩართო ფინეთი, საბერძნეთი, ნორვეგია და პორტუგალია.

ბიუჯეტის პროფიციტის შემოქმედება ეკონომიკაზე ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ინფლაციური და არაინფლაციური ხერხი. სენიორაჟი. გამომდინარის ევექტი. სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობების ზრდის პრობლემები

რადგანაც ციკლური ბიუჯეტის პროფიციტი წარმოიქმნება ეკონომიკის აღმავლობისას, რომელიც ხშირად თანდაყოლილია ინფლაციური დამაბულობის გაძლიერებით, მოსახლეობისათვის ისეთ საშუალებათა ნაწილის ნებისმიერი გადახდა, როგორცაა ობლიგაციების დაფარვა, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისთვის შემწეობათა გაზრდა და ა.შ., თანდაყოლილი იქნება ერთობლივი ხარჯების შემდგომი ზრდით და მოთხოვნის ინფლაციის გაძლიერებით. პირიქით, ბიუჯეტის პროფიციტის „გაყენება“ ხელდასაცემო მიზნების ჭარბს ზეწოლას და აკავებს ეკონომიკაში ინფლაციურ ბუმს.

ბიუჯეტის დეფიციტის მასტაბილიზებული შემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია მისი დაფინანსების ხერხებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ხერხებია:

- 1) ფულად-საკრედიტო ემისია (მონეტოზაცია);
- 2) სესხის აღება;
- 3) სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობების ზრდა.

დეფიციტის მონეტოზაციის შემთხვევაში ხშირად წარმოიქმნება სენიორაჟი – სახელმწიფოს შემოსავალი ფულის ბეჭდვის გზით (იხ. მენ თავი). სენიორაჟი წარმოიქმნება ფულის მასის ზრდის ტემპის რეალური მშპ-ს ზრდის ტემპზე გადაჭარბების ფონზე, რაც განაპირობებს ფასების საშუალო დონის ზრდას. შედეგად, ყველა ეკონომიკური აგენტი სახელმწიფოს სასარგებლოდ თავისებურ ინფლაციურ გადასახადს იხდის გაზრდილი ფასების მეშვეობით.

ინფლაციის დონის ამაღლების პირობებში წარმოიქმნება ოლიგერ-ტანზის ევექტი - გადასახადის გადამხდელთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო ანარიცხების შეტანის შეგნებულად გაზიანება. ინფლაციური დამაბულობის გაძლიერება წარმოშობს გადასახადების გადახდის

■ წყარო: World Economic Outlook, October 2002, გვ. 22-23.

„გადაადგების“ ეკონომიკურ სტიმულებს, რადგანაც გატანურების კვალობაზე ფული უფასურდება, როლის შედეგადც გადასახდის გადამხდელი მოგებული რჩება. საბოლოოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და ფინანსური სისტემის საერთო არამდგრადობა იზრდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მონეტივაცია შეიძლება არ იყოს თანდაყოლილი უშუალოდ ნაღდი ფულის ემისიით, არამედ შესაძლოა განხორციელდეს სხვა ფორმით, მაგალითად, ცენტრალური ბანკის კრედიტების გაფართოებით სახელმწიფო საწარმოებისაღმდეგ შეღავათიანი სპროცენტო განაკეთებით ან გადაადგებული გადასახდელის ფორმით. ამ ბოლო შემთხვევაში შთაბრძნავს ეიდელბერგის საქონელსა და მომსახურებას ისე, რომ მის არ ანაზღაურებს ვადაზე, თუკი შესვლევები ხორციელდებოდა კერძო სექტორში, მაშინ მწარმოებლები წინასწარ ზრდიან ფასებს, რათა თავი დაიზღვიონ შესაძლო გადაუხდელობებისგან. ყოველგვან ფასების საერთო დონისა და ინფლაციის ზრდას ძლიერ ბიძებს აძლევს.

თუკი გადაადგებით გადასახდელები გროვდება სახელმწიფო სექტორის საწარმოების მიმართ, მაშინ ეს დეფიციტი ხშირად, უშუალოდ ფინანსდება ცენტრალური ბანკის მიერ ან გროვდება და ამით იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო დეფიციტი. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გადაადგული გადასახდელები მონეტივაციისაგან განსხვავებით რეალურად ბიუჯეტის დეფიციტის არაინფლაციური დაფინანსების ხერხად ითვლება, პრაქტიკაში აღნიშნული დაყოფა საქმიად პირობითია.

თუ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ფინანსდება სახელმწიფო სესხების გამოშვებით, მაშინ იზრდება საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, რაც ამცირებს ინვესტიციებს კერძო სექტორში (აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ მე-3 თემაში განვიხილეთ), რომელიც განაპირობებს აგრეთვე წმინდა ექსპორტისა და ნაწილობრივ, სამომხმარებლო ხარჯების შემცირებას საბოლოოდ, წარმოიშობა გამოდევნის ეფექტი, რომელიც მნიშვნელოვნად ასუსტებს ფისკალური პოლიტიკის მასტერულირებელ ეფექტს.

ბიუჯეტის დეფიციტის საეალო დაფინანსება ხშირად განიხილება, როგორც დეფიციტის მონეტივაციის ანტიოფლაციური ალტერნატივა. თუმცა, დაფინანსების საეალო ხერხი ეგრე აღმოფხვრის ინფლაციის ზრდის საშიშროებას, არამედ მხოლოდ დროებით გადაადგებს ხოლმე მის ზრდას, რაც დამახასიათებელია ბევრი გარდამავალი ეკონომიკისათვის. თუკი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები განთავსდებოდა მოსახლეობასა და კომერციულ ბანკებში, მაშინ ინფლაციური დაბაზულობა უფრო სუსტი იქნება, ეიდრე მათი განთავსება უშუალოდ ცენტრალურ ბანკში. თუმცა, ცენტრალურ ბანკს შეუძლია ამ ობლიგაციების შესყიდვა ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე და აზგარად, თავისი ეკვაზიფისკალური საქმიანობის გააფართოვება, რაც ხელს უწყობს ინფლაციური ზეწოლის ზრდას.

სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობათა ზრდის პრობლემა სცილდება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ფრგულებს, რადგანაც ის წვდება გრძელვადიან პერსპექტივაში კომპლექსური საგადასახადო რეფორმების ბაზაზე, რომელიც მიმართულია გადასახადების შემცირებისა და საგადასახადო ბაზის გაფართოებისაკენ. მოკლევადიან პერიოდში გადასახადების განაკვეთების შემცირება თანდაყოლილია: 1) ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილურობის ხარისხის შემცირებით; 2) არასახელმწიფო სექტორის გამოდევნის ეფექტის ზრდით საპროცენტო განაკვეთების ამაღლების ფონზე, რომელიც წარმოიქმნება, როგორც ფულადი ბაზრის რეაქცია ფულზე მოთხოვნის ზრდის მიმართ მისი მიწოდების უცვლელობის შემთხვევაში; 3) ბიუჯეტის დეფიციტის შესაძლო ზრდით ეროდორულად გადასახადების განაკვეთების შემცირებას და ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობების შემცირების გამო, რომელიც გამოიხატება *ლაფერის მრუდით*.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, гл. 363-395
2. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, гл. 456-483
3. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, гл. 402-455
4. Т.А. Аташова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДИС. 2002, гл. 183-210
5. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургскго-2002, гл. 230-252
6. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999, гл. 171-182
7. Эдвин Дж. Долан, Борис Домженко, Экономикс, Англо-русский словарь-справочник. Москва-1994, гл. 220
8. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, гл. 257-280
9. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall, 2000, гл. 89-107

თავი 10. ერთობლივი მოთხოვნა II

მეცნიერება პარაზიტის მსგავსია: რაც უფრო მეტა დაეადებულა რიცხვი, მით უფრო მეტა ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში მიღწევები, ხოლო პათოლოგიიდან წარმოიშობა თერაპია. 1932 წელი იყო დიდი დეპრესიის ფსკერი და მისი ჭკუკიანი ნიადაგიდან მოვიანებით აღმოცენდა ახალი ჯგანი, რომელსაც დღეს მაკროეკონომიკას უწოდებენ.

პოლ ანტონ სამუელსონი

მე-9 თავში გაეერთიანეთ IS-LM მოდელის შემადგენელი ნაწილები და ენახეთ, რომ IS მრუდი წარმოადგენს წონასწორობას საეონლისა და მომსახურების ბაზარზე, ხოლო LM მრუდი – ფულის ბაზარზე და რომ ორივე - IS და LM მრუდები განსაზღვრავენ ეროვნულ შემოსავალს მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ფასების დონე ფიქსირებულია. ახლა გადავიდეთ მოდელის ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენებაზე. IS-LM მოდელი მოცემულ თავში გამოიყენება სამი მიმართულებით.

პირველი, ჩვენ გამოვიკვლევთ ეკონომიკური რყევების შესაძლო მიზეზებს. უფრო ზუსტად, ესარგებლებით IS-LM მოდელით, რათა ენახოთ, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური ცვლილების ცვლილება ენოვგენურ ცვლილებზე. რამდენადაც ფულად-საპრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა იმყოფება ენოვგენურ ფაქტორთა შორის, IS-LM მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებენ ისინი ეკონომიკაზე მოკლევადიან პერიოდში. მოდელი ავტომატ გვიჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებს ეკონომიკაზე საეონლისა და ფულის ბაზარზე მოქმედი გარეშე მოვლები.

მეორე, ჩვენ განვიხილავთ აგრეთვე, თუ როგორ უკავშირდება IS-LM მოდელი ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას, რომლებიც გამოვიკვლიეთ მე-8 თავში. კერძოდ, გაგანაწილებთ იმას, თუ როგორაა შესაძლებელი IS-LM მოდელის დახვეწის შემთხვევაში ერთობლივი მოთხოვნის მრუდის აგება. აქ ჩვენ უარს ვიტყვით წინაპირობაზე ფასების ფიქსირებული დონის შესახებ და ეჩვენებთ, რომ IS-LM მოდელის ფარგლებში წარმოიშობა უარყოფითი კავშირი ფასების დონესა და ეროვნულ შემოსავალს შორის.

შესაშვ, ჩვენ შევიწავლით დიდ დეპრესიას, რომლის გაანალიზების საფუძველზე კენზმა ერთობლივი მოთხოვნა ეროვნული შემოსავლის განსაზღვრის საკვანძო ფაქტორად აღიარა. როგორც ეს თავის დასაწყისში მოვეხილეთ ციტატიდან გამომდინარეობს, დიდი დეპრესია ის მოვლენაა, რომელმაც წარმოშვა მოკლევადიანი რყევების მაკროეკონომიკური თეორია. ჩვენ შევძლებთ IS-LM მოდელის გამოყენებით გაგანალიზოთ ისტორიაში ამ ყველაზე დამანგრეველი ეკონომიკური კრიზისის გამოწვევები მიზეზთა სხვადასხვა ინტერპრეტაცია.


10-1. ეკონომიკური აქტივობის რყევების ახსნა IS-LM მოდელის დახმარებით

IS და LM მრუდების გადაკვეთა განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლის წონასწორულ დონეს. ეროვნული შემოსავალი იცვლება ამ მრუდებიდან ერთ-ერთის გადაადგილების შემთხვევაში, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკაში მოკლევადიანი წონასწორობის ცვლილებას იწვევს. მოცემულ პარაგრაფში გამოვიკვლევთ, თუ როგორ შეუძლია იმოქმედოს მაკროეკონომიკური წონასწორობაზე და მრუდების გადაადგილებაზე ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებებმა და გარეშე მოვლებმა.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება


თავდაპირველად გამოვიკვლევთ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებების ზემოქმედებას ეკონომიკაზე. გაეჩინებთ, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება იწვევს IS მრუდის გადაადგილებას. IS-LM მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს გავლენას IS მრუდის გადაადგილება შემოსავალზე და საპროცენტო განაკვეთზე.

განივილოთ სახელმწიფო დანახარჯების ΔG ხიდილით ზრდის შედეგები. სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი კინზიანური ჯერის მოდელით გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი მოცემული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, შემოსავლის დონე უნდა გაიზარდოს $\Delta G/(1-MPC)$ სიდიდით. ამიტომ, როგორც ნახ. 10-1-ზეა ნაჩვენები, IS მრუდი გადაადგილდება გარეჯევი ზუსტად იმ მანძილით, რომელიც შეესაბამება ამ სიდიდეს. ეკონომიკაში წონასწორობა გადაადგილდება A წერტილიდან B წერტილში. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა განაპირობებს როგორც შემოსავლის, ისე საპროცენტო განაკვეთის ზრდას.



ნახ. 10-1. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა IS-LM მოდელში. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა IS მრულს გადაადგილებს მარჯვნივ. წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაინაცვლებს. შემოსავალი იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი - r_1 -დან r_2 -მდე.

ახლა განვიხილოთ გადასახადების ΔT ოდენობით შემცირების შედეგები. კონზიანური ჯერის მოდელში საგადასახადო მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი მოცემული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში პოლიტიკაში ასეთი ცვლილება შემოსავლის დონეს $\Delta T \times MPC / (1 - MPC)$ სიდიდით ზრდის. ამიტომ, როგორც ნახ. 10-2-ზეა ნაჩვენები, IS მრული გადაადგილება მარჯვნივ ამ სიდიდის ტოლი მანძილით. ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობის წერტილი იცვლება A წერტილიდან B წერტილში გადაადგილებით. გადასახადების შემცირება ზრდის როგორც შემოსავალს, ისე საპროცენტო განაკვეთს.



ნახ. 10-2 გადასახადების შემცირება IS-LM მოდელში. გადასახადების შემცირება IS მრულს გადაადგილებს მარჯვნივ. წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაადგილება. შემოსავალი იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი - r_1 -დან r_2 -მდე.


შეენიშნოთ, რომ შემოსავლების ზრდა მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის საპასუხოდ IS-LM მოდელში ნაკლებია, ვიდრე კონზიანური ჯერის მოდელში. ეს მომენტ

შეიძლება დაეინახოთ ნახ. 10-1-ზე და 10-2-ზე; წონასწორული შემოსავლის ზრდა ნაკლებია, ვიდრე IS მრუდის პორიზონტალური გადაადგილება. განსხვავება წარმოიქმნება იმის გამო, რომ კონსი-
ნური ჯერის მოდელი გულისხმობს ინვესტიციების მუდმივობას, მაშინ როდესაც IS-LM მოდელში
გაითვალისწინება ინვესტიციების შემცირება საპროცენტო განაკვეთის ზრდის კვალობაზე. IS-LM
მოდელში კონსიზისტენტის მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ზრდის საპროცენ-
ტო განაკვეთს და გამოდევნის საინვესტიციო დანახარჯების გარკვეულ ნაწილს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება

ახლა ენახოთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაეღვნა. გაეიხსენოთ, რომ ფულად-საკრედიტო
პოლიტიკის ცვლილება იწვევს LM მრუდის გადაადგილებას. IS-LM მოდელი გეჩინებს, თუ როგორ
ახდენს გაეღვნას LM მრუდის გადაადგილება შემოსავლის დონეზე და საპროცენტო განაკვეთზე.

განვიხილოთ ფულის მიწოდების ზრდის შემოქმედება. M ფულადი მასის ზრდა იწვევს MP-ს
ზრდას, რადგანაც ფასების დონე P არ იცვლება. ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიიდან გამომ-
დინარაობს, რომ შემოსავლის ნებისმიერი მოცემული დონის პირობებში ფულადი საშუალებების
რეალური მარაგების ზრდა ამცირებს საპროცენტო განაკვეთს. ამიტომ, LM მრუდი გადაადგილდება
დაბლა (იხ. ნახ. 10-3). წონასწორობა A-დან B წერტილში გადაინაცვლებს. ფულის მიწოდების ზრდა
ამცირებს საპროცენტო განაკვეთს და ზრდის შემოსავლების დონეს.



ნახ. 10-3. ფულის მიწოდების ზრდა IS-LM მოდელში. ფულის მიწოდების ზრდა LM მრუდს გადაადგილებს დაბლა. წონასწორობა A-დან B წერტილში გადაადგილდება. შემოსავალი იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი მცირდება - r_1 -დან r_2 -მდე.

ამგვარად, IS-LM მოდელი გეჩინებს, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გაეღვნას ახდენს შემოსავლის დონეზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მეშვეობით. ამ დასკვნას გარკვეული სიცხადე შეაქვს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ანალიზში, რომელიც მე-მ თავშია განხილული, სადაც ვაჩვენებთ, რომ მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ფასები არასამართლიანად მოქმედობს, ფულის მიწოდების ზრდა იწვევს შემოსავლების ზრდას. თუმცა, მაშინ ჩვენ არ განვიხილავს, თუ როგორ ასტიმულირებს ფულის მიწოდების ზრდა საქონელსა და მომსახურებაზე დანახარჯების ზრდას *ფულადი ტრანსპისის მექანიზმის* მეშვეობით. IS-LM მოდელი გეჩინებს, რომ ფულის მიწოდების ზრდა ამცირებს საპროცენტო განაკვეთს, რაც ასტიმულირებს ინვესტიციებს და ამით აფართოვებს მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე.


ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა ურთიერთქმედება
ფულად-საკრედიტო ან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა გაანალიზების დროს მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არ არის. ერთ სფეროში ღონისძიებთა რეალიზაციამ შეიძლება გაეღვნა მოახდინოს მეორე სფეროზე. ასეთმა ურთიერთქმედებამ შეიძლება დამახინჯოს ამა თუ იმ პოლიტიკის შედეგები.

მაგალითად, დავუშვათ, რომ ქვეყნის პარლამენტი, რომელიც ზრუნავს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე, ზრდის გადასახადებს ბიუჯეტის დაბალანსების მიზნით. რა გაეღვნას მოახდენს ყუველივე ეს გეგოზიზაცია? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ღონისძიებებს მიმართავს ცენტრალური ბანკი გადასახადების ზრდის საპასუხოდ.

ნახ. 10-4-ზე ნაჩვენებია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სამი შესაძლო ვარიანტი. ნახ. 10-4 აგეჩინებს იმ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბანკი ინარჩუნებს ფულის მიწოდებას


მუდმივ დონეზე. გადასახადების ზრდა IS მრუდს გადაადგილებს მარცხნივ, რაც ამცირებს შემოსავალს და საპროცენტო განაკვეთს. ნახ. 10-4ბ-ზე წარმოდგენილია ვარიანტი, როდესაც ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთს ინარჩუნებს მუდმივ დონეზე. ამ შემთხვევაში, როდესაც გადასახადების ზრდა IS მრუდს გადაადგილებს მარცხნივ, ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეამციროს ფულის მიწოდება, რათა საპროცენტო განაკვეთი შეინარჩუნოს საწყის დონეზე. LM მრუდი უნდა გადაადგილდეს შალლა. საპროცენტო განაკვეთი არ მცირდება, მაგრამ შემოსავალი მცირდება უფრო მეტი სიღრმით, ვიდრე ეს შესაძლოა ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუკი ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას შეინარჩუნებდა მუდმივ დონეზე. ნახ. 10-4გ-ზე გამოსახულია სიტუაცია, როდესაც ცენტრალურ ბანკს სურს აღკვეთოს გადასახადების ზრდის შედეგად გამოწვეული შემოსავლური შემცირება ფულის მიწოდების გზით. ამ შემთხვევაში, გადასახადების ზრდა არ იწვევს წარმოების ვარდნას, მაგრამ საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი შეცვლა გარდაუვალია.


ა) ცენტრალური ბანკი ინარჩუნებს ფულის მიწოდებას უცვლელ დონეზე



ნახ. 10-4. გონომიკის რეაქცია გადასახადების ზრდაზე თუ როგორ რეაგირებს ეკონომიკა გადასახადების ზრდაზე, დამოკიდებულია ფულად-საქრედიტო პოლიტიკის არჩეულ ვარიანტზე. ნახ. 10-4ა-ზე შენარჩუნებულია ფულის მიწოდება მუდმივ დონეზე. ნახ. 10-4ბ-ზე ცენტრალური ბანკი ინარჩუნებს საპროცენტო განაკვეთს მუდმივ დონეზე ფულის მიწოდების შემცირებით. ნახ. 10-4გ-ზე ცენტრალური ბანკი მუდმივ დონეზე ინარჩუნებს წარმოების მოცულობას ფულის მიწოდების ზრდით.

ბ) ცენტრალური ბანკი ინარჩუნებს საპროცენტო განაკვეთს უცვლელ დონეზე





ამ მაგალითიდან შეიძლება ვნახოთ, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ზემოქმედება დამოკიდებულია იმ ლინისტიკებზე, რომელსაც ახორციელებს ცენტრალური ბანკი, ე.ი. იმაზე, თუ რომელი მაჩვენებლის სტაბილიზაციას ისახავს ის მიზნად: ფულადი მასის, საპროცენტო განაკვეთისა თუ შემოსავლის დონის. მთლიანობაში, ერთი სახის პოლიტიკის გაანალიზების დროს აუცილებელია ვივარაუდოთ, რომ ის გავლენას მოახდენს სხვაზე. ის, თუ რომელი ვარაუდია ყველაზე მისაღები, დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე და სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებაზე, რომლებიც იმყოფება ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებს შიღმა.

მაბალაიტი 10-1

ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი მაკროეკონომეტრიკული მოდელების დახმარებით

IS-LM მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა შემოსავლის წინასწორულ დონეზე. თუმცა, მოდელის წინასწარმეტყველება უფრო ხარისხობრივია, ვიდრე რაოდენობრივი. IS-LM მოდელი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, ხოლო გადასახადების ზრდა კი - მას ამცირებს. მაგრამ, როდესაც ეკონომისტები ანალიზებენ კონკრეტულ პრაქტიკულ წინადადებებს, მათ უნდა იცოდნენ არა მარტო ზემოქმედების მიმართულება, არამედ მისი სიდიდეც. მაგალითად, თუკი ქვეყნის პარლამენტი გადასახადებს ზრდის 100 მლნ ლარით და ამ დროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ იცვლება, მაშინ რამდენჯერ შემცირდება შპშ იმისათვის, რომ ამ კითხვას უპასუხონ, ეკონომისტები IS-LM მოდელის გარეშეაქვლი წარმოდგენის ფარგლებს უღა დასცენებ.

ეკონომიკის მაკროეკონომიკური მოდელები პრაქტიკული წინადადებების შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. მაკროეკონომეტრიკული მოდელი - ეს ისეთი მოდელია, რომელიც ეკონომიკას არა მარტო ხარისხობრივად, არამედ რაოდენობრივად აღწერს მრავალი ასეთი მოდელი, არსებითად, IS-LM მოდელის უფრო რთული და რეალისტური ვერსიებია. მაკროეკონომეტრიკული მოდელების ადებისას ეკონომისტები სარგებლობენ სტატისტიკური მონაცემებით ისეთი პარამეტრების შესაფასებლად, როგორცაა მონიშნავს სადღერო მიდრეკილება, ინფლაციების დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთზე და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი ფულზე მოთხოვნის მგრძობიერება. როგორც კი მოდელი აიგება, ეკონომისტებს შეუძლიათ მიახლოონ ეკონომიკასე პოლიტიკათა ალტერნატიული ვარიანტების ზემოქმედების პროგნოზირება კომპიუტერული გამოთვლების დახმარებით.

ცხრილში 10-1 ნაწვენება საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მულტიპლიკატორთა მნიშვნელობები ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მაკროეკონომეტრიკული მოდელიდან, რომელსაც DR1 მოდელი ეწოდება. ეს სახელწოდება მას ეწოდა ეკონომიკური პროგნოზების იმ ფორმის მიხედვით, რომელმაც ის შეიმუშავა. მულტიპლიკატორები მოცემულია ორი ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით, რომელიც ეხება აშშ-ში ფედერალური სარეზერვო სისტემის მხრიდან შესაძლო რეაქციებს საბიუჯეტო პოლიტიკის ცვლილებაზე. პირველი ვარაუდი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა მუდმივ დონეზე ინარჩუნებს ნომინალური საპროცენტო განაკვეთის სიდიდეს. საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებათა შედეგად IS მრუდი გადაადგილდება ან მარცხნივ, ან მარცხნივ, ხოლო ფედერალური სარეზერვო სისტემა ახდენს ფულის მიწოდების კორექტირებას, რათა გადაადგილოს LM მრუდი ამავე მიმართულებით. რამდენადაც საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციის გამო ინექსიციითა

გამოიყენა არ ხდება, საბიუჯეტო პოლიტიკის მულტიპლიკატორი კენზიანური ჯერის მოდელის მულტიპლიკატორების მსგავსია. DRI მოდელი მიუთითებს, რომ სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი ტოლია 1,93, ხოლო საგადასახადო მულტიპლიკატორი 1,19, ე.ი. სახელმწიფო დანახარჯების 100 მლრდ დოლარით ზრდა მშპ-ს 193 მლრდ დოლარით გაზრდის, ხოლო საგადასახადო 100 მლრდ დოლარით შემცირება მშპ-ს 119 მლრდ დოლარით შემცირებულს.

მეორე ვარიანტი ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებით გამოიხატება იმაში, რომ ფედერალური სარესტრუქტურული სისტემა უცვლელად ინარჩუნებს ყულის მიწოდებას, ასე რომ, LM მრუდი არ გადაადგილდება. ასეთ შემთხვევაში, ადგილი ექნება გამოდევნის მნიშვნელოვან ეფექტს. სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი გაუტრიალდება 0,6-ს, ხოლო საგადასახადო მულტიპლიკატორი - 0,26. მაშასადამე, სახელმწიფო დანახარჯების 100 მლრდ დოლარით ზრდა მშპ-ს გაზრდის მხოლოდ 60 მლრდ დოლარით, ხოლო საგადასახადო 100 მლრდ დოლარით ზრდა მშპ-ს შემცირებს 26 მლრდ დოლარით.

ცხრილი 10-1 გუბრუნებს, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მულტიპლიკატორები განსხვავდება ერთმანეთისაგან ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წინაპირობებზე დამოკიდებულებით. ნებისმიერი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგი ძლიერ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი რეაქცია ექნება ამ ცვლილებების მიმართ ცენტრალურ ბანკს.

ცხრილი 10-1

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა მულტიპლიკატორები DRI მოდელში		
ფულად-საკრედიტო პოლიტიკათა მიმართ ვარაუდები	$\frac{\Delta Y}{\Delta G}$	$\frac{\Delta Y}{\Delta T}$
1. მუდმივ დონეზე ნარჩუნდება საპროცენტო განაკვეთი	1,93	-1,19
2. მუდმივ დონეზე ნარჩუნდება ყულის მიწოდება	0,60	-0,26

შენიშვნა: აღნიშნული ცხრილი გვიჩვენებს საბიუჯეტო პოლიტიკის მულტიპლიკატორებს სახელმწიფო დანახარჯების ან პროდი საშემოსავლო გადასახადების სტაბილური ცვლილებებისათვის.

ეკონომიკური შოკები IS-LM მოდელის ფარგლებში

რამდენადაც IS-LM მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ განისაზღვრება ეროვნული შემოსავლის დონე მიოკედალიან პერიოდში, ჩვენ მისი გამოყენება შეგვიძლია იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ ახდენს გავლენას სხვადასხვა ეკონომიკური რყევები მშპ-ზე. აქამდე ვნახეთ, თუ როგორ იწვევდა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება IS მრუდის, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება - LM მრუდის გადაადგილებას. ზუსტად ასევე შეგვიძლია დავუთოთ რამევე შოკები ორ კატეგორიად: შოკებად, რომლებიც უკავშირდება IS მრუდს და შოკებად, რომელიც უკავშირდება LM მრუდს.

IS მრუდთან დაკავშირებული შოკები გამოწვეულია საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ეკონომიკური ცვლილებებით. ზოგიერთი ეკონომისტი, მათ შორის კიბნოვი, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოთხოვნის ცვლილებები შეიძლება წარმოიშვას ე.წ. „ინვესტორთა ცხოველური ინსტიტუტის“ შედეგად, რომელიც ეკონომიკისათვის გარე ფაქტორია და შესაძლოა, თავისთავად წარმოიშვას ოპტიმიზმის ან პესიმიზმის ტალღებით. მაგალითად, დაეუშვათ, რომ ფირმები პესიმიზტურად არიან განწყობილნი ეკონომიკის მომავლის მიმართ და ეს პესიმიზმი მათ აიძულებთ ააშენონ ნაკლები ახალი ქარხნები. საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნის ასეთი შემცირება იწვევს საინვესტიციო ფუნქციის გრაფიკის მარცხნივ გადაადგილებას: თითოეული მოცემული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში ფირმებს სურთ ნაკლები ინვესტირება. ინვესტიციების მოცულობის შემცირება IS მრუდს გადაადგილებს მარცხნივ, რაც ამცირებს შემოსავლის დონესა და დასაქმებას. შემოსავლის წონასწორობის დონის ასეთი შემცირება ერთგვარად ადასტურებს ფირმების თავდაპირველ პესიმიზტურ პროგნოზებს.

IS მრუდთან დაკავშირებული შოკები შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის ცვლილებებთან დაკავშირებით. დაეუშვათ, რომ მომხმარებელთა შორის პესიმიზტური განწყობის გავრცელება მათ აიძულებთ უფრო მეტი გადაიდონ „შავი დღისათვის“ და ნაკლები მოხმარონ დღეს. ამ ცვლილების ინტერპრეტაცია შეგვიძლია მოხმარების ფუნქციის გრაფიკის დაბლა გადაადგილებით. მოხმარების ფუნქციის აღნიშნული ცვლილება იწვევს IS მრუდის მარცხნივ გადაადგილებას, რასაც მივყავართ შემოსავლების შემცირებასთან.

LM მრუდთან დაკავშირებული შოკები წარმოიშვება გარე მიზეზებით გამოწვეული ფულზე მოთხოვნის ცვლილებებით. დაეუშვათ, რომ ფულზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად იზრდება, როგორც ამას ქონდა ადგილი აშშ-ში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ფულზე მოთხოვნის

ზრდა ნიშნავს, რომ შემოსავლის მოცემული დონის პირობებში საპროცენტო განაკვეთი, რომელიც აუცილებელია ფულადი ბაზრის გასაწონასწორებლად, უფრო მაღალი უნდა იყოს. შესაბამისად, ფულზე მოთხოვნის ზრდა LM მრუდს გადაადგილებს მაღლა, რაც იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

მაშასადამე, სხვადასხვა სახის მოვლენას შეუძლია გამოიწვიოს IS და LM მრუდების გადაადგილება და მივიყვიროს ეკონომიკურ რყევებამდე. მაგრამ ასეთი რყევები გარდაუდებელი სულაც არ არის. ფულად-საპროცენტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას შეუძლია გარე შოკებზე რეაგირების მოხდენა. თუკი ეკონომიკური პოლიტიკის დონისიხილები წარმტებით იქნა არჩეული, შოკები, რომლებიც უკავშირდება IS და LM მრუდებს, არ გამოიწვევს საერთო შემოსავლისა და დასაქმების დონის რყევებს.

მაგალიტი 10-2

აშშ-ს ეკონომიკის განვითარების შეფერხება 2001 წელს

2001 წელს აშშ-ს ეკონომიკამ განიცადა ეკონომიკური აქტიურობის შეფერხება. უმუშევრობის დონე 2000 წლის ოქტომბერში არსებულ 3,9%-დან 2001 წლის აგვისტოსათვის 4,9%-მდე, ხოლო 2001 წლის დეკემბრისათვის - 5,8%-მდე გაიზარდა. უმეტესწილად, აღნიშნული შეფერხება რეცესიის მსგავსია, რომელიც ერთობლივი მოთხოვნის შემცირების შედეგია.

ორი მნიშვნელოვანი შოკი დაგეგმვარება ამ მოვლენის ასახსნელად. პირველი უკავშირდება საფონდო ბირჟაზე არსებულ კრიზისს. 1990-იანი წლების საფონდო ბირჟა განმავლობაში საფონდო ბირჟა განიცდიდა მნიშვნელოვან ზუმს, იწინადად ინვესტორების ოპტიმიზმი მნიშვნელოვნად ამდაღდა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების იმედით. ზოგიერთმა ეკონომისტმა იმხანად ამაში მტრისმეტი ოპტიმიზმის არსებობა შენიშნა, მაგრამ ამის გაუთვალისწინებლობამ მომავალში საკმინი აქტიურობის შეფერხება განაპირობა. როდესაც ოპტიმიზმი განდღდა, აქციების საშუალო ფასი 2000 წლის აგვისტომდე 2001 წლის აგვისტომდე 25 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულმა ვარდნამ შეამცირა საოჯახო მუერებისათა სიმდიდრე და შესაბამისად, სამომხმარებლო ხარჯები. დამატებით, ახალი ტექნოლოგიების რენტაბელობის ვარდნის აღქმამ გამოიწვია სანონეციური დანახარჯების შემცირება. IS-LM მოდელის ენით რომ ეთქვათ, IS მრუდი გადაადგილდა მარცხნივ.

მეორე შოკი იყო ტერორისტული აქტი ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 2001 წლის 11 სექტემბერს. ამ აქტის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში საფონდო ბირჟაზე აქციების კურსი 12 პროცენტით შემცირდა, რომელიც 1930 წლის დიდი დეპრესიის შემდეგ ყურალზე დიდი ვარდნა იყო. გარდა ამისა, ტერორისტულმა თავდასხმამ აზარადა გაურკვეველმა მიმდებარე ქვეყანაში. ამ გაურკვეველობამ შეამცირა დანახარჯების სიდიდე, რადგან საოჯახო მუერებისებმა და ვიზრებმა გადადგეს თავიანთი გეგმების განსორციელება ამ დრომდე, ვიდრე აღნიშნული გაურკვეველობა ბოლომდე არ ამოიურებოდა. მაშასადამე, ტერორისტულმა თავდასხმამ IS მრუდი დამატებით მარცხნივ გადაადგილდა.

ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განმახორციელებელმა პირებმა სწრაფადვე უპასუხეს ამ მოვლენას. კონგრესმა მიიწინა გადასახადების შემცირება 2001 წელს, რომელიც მოიცავდა დაუყოვნებლივ საგადასახადო შეღავათების დაწესებას. გადასახადების შემცირების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სამომხმარებლო ხარჯების სტიმულირება. ტერორისტული შეტევის შემდეგ კონგრესმა აზარადა სახელმწიფო დანახარჯები სპეციალურ ფონდებში ასიგნებებით, რათა აღდგენილიყო ნიუ-იორკი და დახმარება გაეწია სააერო ტრანსპორტის ინფრსტრუქტურის დამატებით უსაფრთხოებისათვის. ორივე ფისკალურმა ღონისძიებამ განაპირობა IS მრუდის მარჯვნივ გადაადგილება.

იმედგროვლად, ფედერალური სარეზერვო სისტემა ექსპანსიურ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა; რომლის შედეგადაც LM მრუდი მარჯვნივ გადაადგილდა. მიმოქცევაში არსებული ფულის მასა დაჩქარებულად გაიზარდა, რის გამოც შემცირდა საპროცენტო განაკვეთი. საშთიან სახაზინო თვლითაც კი საპროცენტო განაკვეთი 2000 წლის ნოემბერში არსებული 6,4 პროცენტოდან 2001 წლის აგვისტოსათვის 3,3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2001 წლის დეკემბრისათვის ამ მაჩვენებელმა 2,1 პროცენტით შეადგინა.

10-2. IS-LM, როგორც ერთობლივი მოთხოვნის თეორია

ჩვენ IS-LM მოდელი გამოიყენეთ ეროვნული შემოსავლის მოკლევადიანი ცვლილებების ასახსნელად გამომდინარე იმ წინაპირობიდან, რომ ფასების დონე ფიქსირებულია. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ როგორ უყარდება IS-LM მოდელი მე-8 თავში გადმოცემულ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელს, ენახთ როგორ შეიცვლება IS-LM მოდელი ფასების დონის ცვლილების შემთხვევაში. როგორც ამ მოდელის კვლევის დასაწყისში განეაცხადეთ, IS-LM მოდელი ერთობლივი მოთხოვნის მრუდის თეორიული აღწერილობაა.

IS-LM მოდელიდან ერთობლივი მოთხოვნის მრუდამდე


გავისხნოთ მე-8 თავიდან, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ასახავს ეკონომიკაში ფასების დონესა და შემოსავლებს შორის ურთიერთკავშირს. ამ თავში აღნიშნული დამოკიდებულება გა-

მომდინარეობს ფულის რაოდენობრივი თეორიიდან. ფულის მიწოდების უცვლელი მოცულობის პირობებში ფასების დონის ზრდა იწვევს შემოსავლის შემცირებას. ფულის მიწოდების ზრდა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას, ხოლო ფულის მიწოდების შემცირება - მის მარცხნივ გადაადგილებას.


ახლა ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მისაღებად გამოვიყენოთ არა ფულის რაოდენობრივი თეორია, არამედ IS-LM მოდელი. პირველი, IS-LM მოდელი საჭიროა იმისათვის, რათა ვაჩვენოთ, რომ ერთნეული შემოსავალი მცირდება ფასების დონის ზრდის ცვალობაზე აგრეთვე იმისათვის, რომ ავაგოთ ამ ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, რომელსაც გააჩნია უარყოფითი დახრილობა. მეორე, აუცილებელია იმ მიზეზთა გამოკლევა, რომელიც იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას.

რატომ ხასიათდება ერთობლივი მოთხოვნა უარყოფითი დახრილობით? იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვას, ვნახოთ, როგორ შეიცვლება IS-LM მოდელი ფასების დონის ცვლილების კვლობაზე. ნახ. 10-5 ასახავს ფასების ცვალებადი დონის ზემოქმედებას.

ა) IS-LM მოდელი



ბ) ერთობლივი მოთხოვნის მრუდი



ნახ. 10-5. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მაღლა IS-LM მოდელიდან ნახ. 10-5ა-ზე ნაჩვენებია IS-LM მოდელი: ფასების დონის ზრდა P_1 -დან P_2 -მდე ამცირებს ფულადი საშუალებების რეალურ მარაგებს და ამგვარად, გადაადგილებს LM მრუდს მაღლა. LM მრუდის მაღლა გადაადგილება ამცირებს შემოსავალს Y_1 -დან Y_2 -მდე. ნახ. 10-5ბ-ზე ნაჩვენებია ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, რომელიც ასახავს ფასების დონეებსა და შემოსავლებს შორის ამ ურთიერთდამოკიდებულებას: რაც უფრო მაღალია ფასების დონე, მით უფრო დაბალია შემოსავალი.


ფულის მოცემული მიწოდების M შემთხვევაში ფასების უფრო მაღალი დონე P ამცირებს რეალურ ფულად მარაგებს M/P . რეალურ გამოხატულებაში ფულის მიწოდების შემცირება LM მრუდს გადაადგილებს მარცხნივ-მაღლა და ამცირებს შემოსავლის წონასწორულ დონეს, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 10-5ა-ზე. აქ ეხედეთ, რომ როდესაც ფასების დონე იზრდება P_1 -დან P_2 -მდე, საერთო შემოსავლების დონე ეცემა Y_1 -დან Y_2 -მდე. LM მრუდის გადაადგილების შემთხვევაში ფასების დონის ცვლილება იწვევს შემოსავლის მნიშვნელობის ცვლილებას. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ნახ. 10-5ბ-ზე ასახავს ერთნეული შემოსავლის დონესა და ფასების დონეს შორის უკუ და-მპიკიდებულებას, რომელიც მიიღება IS-LM მოდელის დახმარებით.

რამ შეიძლება გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება? რამდენადაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდი განაზოგადებს IS-LM მოდელის დასკვნებს, მოკლები, რომლებიც იწვევენ IS ან LM მრუდების გადაადგილებას, იწვევენ აგრეთვე ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებასაც. ფულად-საქრედიტო ან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა მასტიმულირებელი ღონისძიებები ზრდიან შემოსავლების დონეს IS-LM მოდელში და შესაბამისად, განაპირობებენ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას (ნახ. 10-6).


ზუსტად ასევე, ფულად-საქრედიტო ან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა შემაკავებელი ღონისძიებები ამცირებენ შემოსავლების დონეს IS-LM მოდელში და შესაბამისად, გადაადგილებენ ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარცხნივ.

ჩვენ შეგვიძლია ამ შედეგების განზოგადება შემდეგნაირად. შემოსავლების დონის ცვლილებები IS-LM მოდელში, რომელიც წარმოიშობა ფასების დონის ცვლილების შედეგად, წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ მოძრაობას. შემოსავლების დონის ცვლილება IS-LM მოდელში ფიქსირებული ფასების დონის პირობებში წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის მთელი მრუდის გადაადგილებას.

ა) ექსპანსიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა



ბ) ექსპანსიური საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა



ნახ. 10-6. როგორ იწვევს ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. ნახ. 10-6-ზე ნაჩვენებია სტიმულირებადი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები. ფასების მოცემული დონის პირობებში ფულის მიწოდების ზრდა იწვევს რეალური ფულადი მარაგების ზრდას, LM მრუდს გადაადგილებს დაბლა და ზრდის შემოსავლების დონეს. ამიტომ, ფულის მიწოდების ზრდა გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ. ნახ. 10-6-ზე ნაჩვენებია მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგები, როგორცაა სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ან გადასახადების შემცირება. მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა გადაადგილებს IS მრუდს მარჯვნივ, რაც ფასების მოცემული დონის პირობებში ზრდის შემოსავალს. ამიტომ, მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ.

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ალგებრა

ჩვენ შეგვიძლია გავცადოთ მტი გავიგოთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის თვისებებზე, თუ მას ალგებრული სახით წარმოვიდგინებთ. მე-9 თავში გამოვიყენეთ IS და LM მრუდები იმ დაშვებით, რომ მათი მიზანმიმართული, როცა მოხმარების, ინვესტიციებისა და ფულსე მოთხოვნის ფუნქციები წრფივია, ე.ი.

$$C = a + b(Y - T),$$

$$I = c - dr,$$

$$L(r, Y) = eY - fr.$$

როგორც ცნობილია, IS მრუდი გამოისატება შემდეგი განტოლებით:

$$Y = \frac{a+c}{1-b} + \frac{1}{1-b}G + \frac{-b}{1-b}T + \frac{-d}{1-b}r,$$

ხოლო LM მრუდი -

$$r = \left(\frac{e}{f}\right)Y - \left(\frac{1}{f}\right)\frac{M}{P},$$

სადაც a, b, c, d, e და f - დადებითი პარამეტრებია. ამ ორი ტოლობიდან შეიძლება მივიღოთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის განტოლება.

ინისათვის, რომ ეიპოვოთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის განტოლება, აუცილებელია შემოსავლის დონის პოვნა, რომელიც აკმაყოფილებს როგორც IS, ასევე LM განტოლებას ამისათვის, IS მრუდის განტოლებაში ჩავსვათ საპროცენტო განაკვეთი LM მრუდის განტოლებიდან, რომლის შედეგადაც მივიღებთ:

$$Y = \frac{a+c}{1-b} + \frac{1}{1-b}G + \frac{-b}{1-b}T + \frac{-d}{1-b} \left[\left(\frac{e}{f}\right)Y - \left(\frac{1}{f}\right)\frac{M}{P} \right].$$

ამ გამოსახულების გარდაქმნის შემდეგ შეიძლება ამოვსნათ განტოლება Y -ის მიმართ. საბოლოოდ, ერთობლივი მოთხოვნის განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$y = z \frac{a+c}{1-b} + z \frac{1}{1-b}G + z \frac{-b}{1-b}T + \frac{d}{(1-b) \left[f + \frac{de}{(1-b)} \right]} \frac{M}{P};$$

სადაც,

$$z = \frac{f}{f + \frac{de}{1-b}}$$

გ. Z -ის მნიშვნელობა დამოკიდებულია პარამეტრების მნიშვნელობაზე და მდებარეობს ნულსა და ერთს შორის ინტერვალში.

ბოლო განტოლება გამოსახავს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს ალგებრულად. განტოლებიდან გამოვდინარეობს, რომ შემოსავალი დამოკიდებულია იმ ცვლადებზე, რომლებიც გეისასიათებენ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას (G და T), ფულად-საკრედიტო პოლიტიკას (M) და ფასების დონეს - P . ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გრაფიკულად ასახავს ამ ტოლობის ამოსხნას, წარმოგვიდგენს რა Y -სა და P -ს მნიშვნელობათა ყველა შესაძლო კომბინაციას ფიქსირებული G, T და M -ის შემთხვევისათვის.

მაბალითი 10-3

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა ეფექტანობა

ეკონომისტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში კამათობდნენ იმის თაობაზე, თუ რომელი ეკონომიკური პოლიტიკა - ფულად-საკრედიტო თუ საბიუჯეტო-საგადასახადო - ახდენს მეტ ზეგავლენას ერთობლივი მოთხოვნაზე. IS-LM მოდელის შესაბამისად, ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია IS და LM მრუდების პარამეტრებზე. ამიტომ, ეკონომისტები არ ზოგადდენ ძალისხმევას ამ პარამეტრების სიდიდის გამოსათვლელად. ყველაზე საკმათო ის პარამეტრებია, რომლებიც ეხება საპროცენტო განაკვეთის გავლენას ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

ის ეკონომისტები, რომელთა აზრით საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა უფრო ეფექტია, ვიდრე ფულად-საკრედიტო, ამტკიცებენ, რომ ინფლაციის რეაქციის ხარისხი საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც გაიზომება d პარამეტრით, უმნიშვნელოა. თუკი შევხედავთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ალგებრულ გამოსახულებას, შეიძლება დავინახოთ, რომ d -ს მცირედი მნიშვნელობა ნიშნავს ფულის მიწოდების სუსტ ზემოქმედებას შემოსავლების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ როდესაც d მცირდება, IS მრუდი თითქმის ვერტიკალურია, ასე რომ, LM მრუდის გადაადგილება არ იქცევა შემოსავლების მნიშვნელოვან ცვლილებებს გარდა ამისა, d -ს მცირედი მნიშვნელობა ნიშნავს Z -ის დიდ მნიშვნელობას, რაც, თავის მხრივ, შეტყულებს

იმაზე, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშპ-ს დონეზე. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც ინვესტიციები სუსტად რეაგირებენ საპროცენტო განაკვეთზე, გამოდგენის უწყატი არ შეიძლება.

ის ეკონომისტები, რომელთა აზრით ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო ქმედითია, ვიდრე საბიუჯეტო-საგადასახადო, ამტკიცებენ, რომ ფულზე მოთხოვნის რეაქციის ხარისხი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებთან სპასხურად, როგორც ირობება λ პარამეტრით, უმნიშვნელოა. როდესაც λ მცირეა, მაშინ Z -იც მცირეა, ე.ი. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს მშპ-ს დონეზე; ამ შემთხვევაში, LM მართი თითქმის ვერტიკალურია. გარდა ამისა, როდესაც λ მცირეა, ფულის მიწოდების ცვლილება ძვირად ღირსეულად ახდენს შემოსავლების წონასწორულ დონეზე.

ეკონომისტთა უმრავლესობა დღევანდელის არ უარყოფს ამ უაღიერესი თვალსაზრისიდან არცერთს. მიზეზები მტკიცებენ იმაზე, რომ საპროცენტო განაკვეთი გავლენას ახდენს როგორც ინვესტიციებზე, ასევე ფულზე არსებულ მოთხოვნაზე. მსგავსი დასკვნა ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო პოლიტიკის როგორც ფულად-საკრედიტო, ისე საბიუჯეტო-საგადასახადო ბერკეტები უმნიშვნელოვანედაც უაქტიურია, რომლებიც განსაზღვრავენ ერთობლივ მოთხოვნას.

მიღებული განტოლებების საფუძველზე შეგვიძლია განვიხილოთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ზოგიერთი თვისება. პირველი, ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გააჩნია უარყოფითი დახრილობა, რადგანაც P -ს ზრდა ამცირებს MP -ს და შესაბამისად, ამცირებს Y -ს. მეორე, ფულის მიწოდების ზრდა იწვევს შემოსავლის ზრდას და შესაბამისად, გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ. მესამე, სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ან გადასახადების შემცირება აგრეთვე ზრდის შემოსავლას და შესაბამისად, გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ. შეინიშნათ, რომ რამდენადაც Z ერთზე ნაკლებია, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა მულტიპლიკატორები IS-LM მოდელში ნაკლებია იმ მნიშვნელობაზე, რომელიც კენზიანური ჯერის მოდელში შეიძლება იყოს. ამიტომ, Z პარამეტრი გეხისასათებებს ადრე განხილული ინვესტიციების გამოდგენის ეფექტის მიქმედებას.

საბოლოოდ, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის განტოლება გვიჩვენებს მოცემულ თავში IS-LM მოდელიდან მიღებულ ერთობლივი მოთხოვნის მრუდსა და მე-8 თავში ფულის რაოდენობრივი თვორის ტოლობის საფუძველზე მიღებულ ერთობლივი მოთხოვნის მრუდს შორის კავშირს. რადეობრივი თვორია გულისხმობს, რომ საპროცენტო განაკვეთი გავლენას არ ახდენს ფულზე მოთხოვნის სიდიდეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის რაოდენობრივი თვორიდან გამომდინარეობს, რომ λ პარამეტრი ნულის ტოლია. თუკი λ ნულის ტოლია, მაშინ Z პარამეტრიც აგრეთვე ნულს გაუტოლდება და საბიუჯეტო-საგადასახადო სტიმულები უნებარე იქნება გავლენა მოახდინოს ერთობლივ მოთხოვნაზე. ამგვარად, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, რომელიც ჩამოყალიბებულია მე-8 თავში, მოცემულ თავში ჩვენს მიერ მიღებულ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ექვრ შემთხვევაა.

IS-LM მოდელი მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში

IS-LM მოდელი მიიღება მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკის ფუნქციონირების ასახსნელად, როდესაც ფასების დონე ფიქსირებულია. მაგრამ ახლა, როდესაც ენახეთ ფასების დონის ცვლილება თუ რა გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე, ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე ვისარგებლოთ IS-LM მოდელით გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის დასახასიათებლად, როდესაც ფასები დონე იცვლება და უსაბიუჯეტო ფულს გამოსაშვები პროდუქტის მოცულობის შესაბამისობას ეკონომიკაში წარმოების ბუნებრივ დონესთან. გრძელვადიანი პერიოდის გასანალიზებლად IS-LM მოდელის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია მაკროოდ ეასვენოთ თუ რით განსხვავდება ერთნატილი შემოსავლის კენზიანური მოდელი მე-3 თავში აღწერილი კლასიკური მოდელისაგან.

ნახ. 10-7ა-ზე ნაჩვენებია სამი მრუდი, რომლებიც აუცილებელია მოკლევადიანი და გრძელვადიანი წონასწორობის ერთობლივი ანალიზისათვის: IS მრუდი, LM მრუდი და ვერტიკალური ხაზი, რომელიც წარმოადგენს წარმოების ბუნებრივ დონეს - Y . როგორც ყოველთვის, LM მრუდი გამოსახულია ფასების მოცემული დონისათვის P_1 . ეკონომიკაში მოკლევადიანი წონასწორობა მიიღწევა K წერტილში, სადაც IS და LM მრუდები იკვეთებიან.


ნახ. 10-7ბ-ზე ნაჩვენებია იგივე სიტუაცია ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების გრაფიკზე. ფასების P_1 დონის პირობებში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის სიდიდე გამოშვების ბუნებრივ დონეზე ნაკლებია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფასების არსებული დონის პირობებში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა არასაკმარისია, რათა შენაწარმეს წარმოება მის ბუნებრივ დონეზე.

ამ ორ გრაფიკზე შეგვიძლია გამოვიკლიოთ მოკლევადიანი წონასწორობა, რომელშიც იმყოფება ეკონომიკა დონის ყოველი მოცემული მომენტისათვის და გრძელვადიანი წონასწორობა, რომლისკენაც ის მიისწრაფვის. K წერტილი აღწერს მოკლევადიან წონასწორობას, რამდენადაც იგულისხმება, რომ ფასები ფიქსირებულია P_1 დონეზე. ბოლოს და ბოლოს, საქონელსა და მომსახ-


ურებაზე მოთხოვნის დაბალი დონე ფასებს შემცირებისკენ უბიძგებს, რაც ეხმარება ეკონომიკას აღადგინოს მშპ-ს ბუნებრივი მოცულობა. როდესაც ფასები აღწევს P_2 დონეს, ეკონომიკა იმყოფება C წერტილში – გრძელვადიანი წონასწორობის წერტილში. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების გრაფიკები გვიჩვენებენ, რომ C წერტილში საჭიროებს და მომსახურებაზე მოთხოვნის სიდიდე ტოლია წარმოების ბუნებრივი მოცულობისა. გრძელვადიანი წონასწორობის აღნიშნული მდგომარეობა მიიღწევა IS-LM გრაფიკზე LM მრუდის გადაადგილებით: ფასების დონის ვარდნა ზრდის ფულის რეალურ მარაგებს და შესაბამისად, LM მრუდს დაბლა გადაადგილებს.

ამ გრაფიკებზე ასახულია ეროვნული შემოსავლის კენზიანურ და კლასიკურ თეორიებს შორის საკენამო განსხვავება. კენზიანური წინაპირობა (რომელიც წარმოდგენილია K წერტილით) მდგომარეობს იმაში, რომ ფასების დონე ფიქსირებულია. ერთობლივი მოთხოვნის განმსაზღვრელი ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა და სხვა ფაქტორთა ცვლილებებზე დამოკიდებულებით, გამოშვება შეიძლება განსხვავდებოდეს ბუნებრივი დონისაგან. კლასიკური წინაპირობა (რომელიც წარმოდგენილია C წერტილით) მდგომარეობს იმაში, რომ ფასების დონე მოქნილია. მისი დონე კორექტირდება ისე, რომ უზრუნველყოს ეკონომიკაში წარმოების მოცულობის შესაბამისობა მის ბუნებრივ დონესთან.

ა) IS-LM მოდელი



ბ) ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი



ნახ. 10-7. წონასწორობა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. ჩვენ შევიძლია შევადაროთ წონასწორობა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში ან IS-LM გრაფიკის გამოყენებით ნახ. 10-7ა-ზე, ან ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების გრაფიკის გამოყენებით ნახ. 10-7ბ-ზე. მოკლევადიან პერიოდში ფასების დონე ფიქსირებულია P_1 დონეზე. ამის გამო, მოკლევადიანი წონასწორობა მიიღწევა K წერტილში. გრძელვადიან პერიოდში ფასების დონე იცვლება ისე, რომ ეკონომიკა აღწევს წარმოების ბუნებრივ დონეს. ამიტომ, გრძელვადიანი წონასწორობა მიიღწევა C წერტილში.

თუ ამ მდგომარეობას ცოტა განსხვავებულად განვიხილავთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეკონომიკა აღიწერება სამი განტოლებით. პირველი ორი განტოლება – IS და LM განტოლებებია:

$$Y = C(Y - T) + I(r) + G \quad \text{IS}$$

$$M/P = L(r, Y) \quad \text{LM}$$

ეს ორი განტოლება მოიცავს ჩვენთვის საინტერესო სამ ცვლადს: Y, P და r . კენზიანური მიდგომა მდგომარეობს იმაში, რათა შეავსოს ანუ „შეკრას“ მოდელი ფიქსირებული ფასების წინაპირობით, ასე რომ, მესამე ტოლობა აისრულდება:

$$P = P_1.$$

ეს წინაპირობა ნიშნავს იმას, რომ r და Y უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რათა უზრუნველყოს IS და LM ტოლობათა ერთდროული ამოხსნა. კლასიკური მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ გამოშვება აღწევს ბუნებრივ დონეს, ასე რომ, სისტემის მესამე განტოლება იქნება

$$Y = \bar{Y}$$

ამ დაშვების თანახმად, იმისათვის, რათა დაქმნაყოფილდეს IS და LM ტოლობები, r და P პარამეტრები უნდა შეიცვალოს.

რომელი დაშვებაა ყველაზე მისაღები? პასუხი დამოკიდებულია ანალიზში მიღებულ დროით პორიზონტზე. კლასიკური წინაპირობა საუკეთესოდ აღწერს გრძელვადიან პერიოდს. ამიტომ, მე-3 თავში ეროვნული შემოსავლისა და მე-2 თავში – ფასების გრძელვადიანი ანალიზი გულისხმობს, რომ გამოშვება შესაბამება მის ბუნებრივ დონეს. კინზიანური წინაპირობა საუკეთესოდ აღწერს მოკლევადიან პერიოდს. ამიტომ, ეკონომიკური რყევების ჩვენებული ანალიზი ეფუძნება ფასების ფიქსირებულ დონეზე წინაპირობას.

10-3. დიდი დეპრესია

ავაგეთ რა ერთობლივი მოთხოვნის სრული მოდელი, შევეცადოთ მისი გამოყენება იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რომელიც თავდაპირველად დასვა კეინზმა: რამ გამოიწვია დიდი დეპრესია? დღესაც კი, 70 წელზე მეტი ხნის შემდეგ ეკონომისტები აგრძელებენ კამათს ამ ყველაზე ღრმა ეკონომიკური კრიზისის მიზეზების შესახებ. დიდა დეპრესიამ შემოგუთავაზა ფართო ემპირიული მასალები იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენებოდეს IS-LM მოდელი ეკონომიკური რყევების გასაანალიზებლად.

ცხრილი 10-2

წლები	უშუშუ-ერობის დონე	მშპ-ს რეალური მოცულობა (მლრდ დოლ.)	მონხარება (მლრდ დოლ.)	ინვესტიციები (მლრდ დოლ.)	სახელმწიფო შესიდ-ღები (მლრდ დოლ.)	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ფულის მიწოდება (მლრდ დოლ.)	ფასების დონე	ინფლაციის ტემპი	რეალური ფულადი მარაგები
1929	3.2	203.6	139.6	40.4	22.0	5.9	26.6	50.6	-	52.6
1930	8.9	183.5	130.4	27.4	24.3	3.6	25.8	49.3	-2.6	52.3
1931	16.3	169.5	126.1	16.8	25.4	2.6	24.1	44.8	-10.1	54.5
1932	24.1	144.2	114.8	4.7	24.2	2.7	21.1	40.2	-9.3	52.5
1933	25.2	141.5	112.8	5.3	23.3	1.7	19.9	39.3	-2.2	50.7
1934	22.0	154.3	118.1	9.4	26.6	1.0	21.9	42.2	7.4	51.8
1935	20.3	169.5	125.5	18.0	27.0	0.8	25.9	42.9	0.9	60.8
1936	17.0	193.2	138.4	24.0	31.8	0.8	29.6	42.7	0.2	62.9
1937	14.3	203.2	143.1	29.9	30.8	0.9	30.9	44.5	4.2	69.5
1938	19.1	192.9	140.2	17.0	33.9	0.8	30.5	43.9	-1.3	69.5
1939	17.2	209.4	148.2	24.7	35.2	0.6	34.2	43.2	-1.6	79.1
1940	14.6	227.2	155.7	33.0	36.4	0.6	39.7	43.9	1.6	90.3

ვიდრე განვიხილავდეთ ეკონომისტების მიერ შემოთავაზებულ შეხედულებებს, დაეკვირდეთ ცხრილი 10-2-ს – სტატისტიკურ მონაცემთა ნაკრებს, რომელიც ეხება დეპრესიას. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები წარმოადგენს მასალას, რომლის გარშემოც მიმდინარეობს კამათი დიდი დეპრესიის ბუნებასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, რა მიზეზია? IS მრუდის გადაადგილება? LM მრუდის გადაადგილება? თუ კიდევ დამატებით სხვა რამ?

დანახარჯების პიპოთეზა: IS მრუდთან დაკავშირებული შოკები

რადგანაც ვასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში შემოსავლების დონის შემცირება დაემთხვა საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, ზოგიერთმა ეკონომისტმა იყარაუდა, რომ ამის საფუძველი IS მრუდის მარცხნივ გადაადგილება იყო. ამ თეალსაზრისის ზოგჯერ დანახარჯების პიპოთეზას უწოდებენ, რადგანაც ის დეპრესიაზე მორითად ბრალდებას აკისრებს საქონელსა და მომსახურებაზე საერთო დანახარჯების დონის ეგზოგენურ ეარდნას. ეკონომისტები დანახარჯების აღნიშნულ ეარდნას სხვადასხვაინარად ხსნიან.

ისინი ამტკიცებენ, რომ IS მრუდის შოკური გადაადგილება გამოწვეული იქნა მოხმარების ფუნქციის დაბლა გადაადგილებით. შესაძლოა, მოხმარების ასეთი შემცირების მიზეზი განხვდარყო 1929 წლის საფინანსო ბიზისის კრახი. შეამცირა რა საოჯახო მეურნეობათა სიმდიდრე და გაზარდა

რა განუსაზღვრელობა, აღნიშნულმა კრახმა, მომხმარებლები აიძულა დაეზოგათ მათი შემოსავლის დიდი ნაწილი.

სხვები დანახარჯების დონის მკვეთრ შემცირებას ხსნიან საბინაო მშენებლობაში ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემცირებით. სოფიურთა ეკონომისტი ვარაუდობს, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში საბინაო მშენებლობათა ბუმი ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო და როგორც კი ეს „სომამავალსული“ მშენებლობები აშკარა გახდა, ბინათმშენებლობაში ინვესტიციები მკვეთრად შემცირდა. ბინათმშენებლობაში ინვესტიციების მკვეთრი შემცირების სხვა შესალო ახსნა მაგონარეობს 30-იან წლებში ინიციატივის შემცირებაში: მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელება იწვევს ახალ ბინებზე მოთხოვნის შემცირებას.

როგორც კი დაიწყო დეპრესია, წარმოიშვა მოვლენები, რომლებმაც განაპირობეს დანახარჯების კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით შემცირება. ბანკების ყოველდღიურ გაკოტრებას შეეძლო ინვესტიციათა მოცულობის შემცირება. ბანკები გადამწყვეტ როლს თამაშობენ იმ ინვესტიციებში მიერ საიუსტიციო რესურსების მიღებაში, რომელთაც შეუძლიათ მათი საუკეთესოდ გამოყენება. 30-იანი წლების დასაწყისში მრავალი ბანკის დახურვამ ხელი შეუშალა ინვესტიციათა გარკვეულ რაოდენობას მათთვის აუცილებელი რესურსების მიღებაში, რამაც გამოიწვია საინვესტიციო ხარჯების შემდგომი არასასურველი შემცირება.

გარდა ამისა, 30-იანი წლების საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა გამოიწვია IS მრუდის მარცხნივ გადაადგილება. იმ პერიოდში პოლიტიკოსები კლდედ ზრუნავდნენ ბიუჯეტის დაბალანსებაზე, ვიდრე საბიუჯეტო პოლიტიკის ეკონომისტის სტიმულირებისათვის გამოყენებაზე. 1932 წელს კანონმა შემოსავლების შესახებ გაზარდა სხვადასხვა სახის გადასახადი, განსაზღვრებით ის, რომლებიც ეხებოდა სასაულო და დაბალი შემოსავლების მქონე მომხმარებლებს. იმ წლებში დემოკრატების კლდეფორმა ბიუჯეტის დეფიციტზე ზრუნვაში გამოიხატებოდა: ისინი გამოდიოდნენ „სახელმწიფო დანახარჯების დაუყოვნებელი და მკვეთრი შემცირების“ მხარდაჭერის იდეით. მალევე უმუშევრობის მქონე პერიოდში სახელმწიფო მოდერნიზაციის ექსპანსიის გადარსებას ზრდისა და სახელმწიფო დანახარჯების შემცირების გზებს.

მაშასადამე, არსებობს რადიკალური შეხედულება, რომლითაც აიხსნება ეკონომიკისათვის IS მრუდის არასასურველი ძვრები. აღნიშნული შეხედულებები ერთმანეთში შეუთავსებელი სულაც არ არის. საესტაბლიშმენტისთვის, რომ არსებობდეს დანახარჯების შემცირების სხვა მრავალი მიზეზი. შესაძლებელია, რომ ექვედა ეს პროცესი ერთმანეთს გვერდობენ წარმოიშვა და მათ ერთად გაემიწვიეს დანახარჯების დონის მკვეთრი ვარდნა.

ფულადი პიპოთეზა: LM მრუდთან დაკავშირებული შოკები

ცხრილი 10-2-დან ჩანს, რომ 1929-1933 წლებში ფულის მიწოდება 25%-ით შემცირდა მაშინ, როდესაც უმუშევრობის დონე 32%-დან 25,2%-მდე გაიზარდა. ეს ფაქტი იძლევა სასუბიექტო თეორიისათვის, რომელიც ფულადი პიპოთეზის სახელს ატარებს და რომელიც დეპრესიის გამოწვევაში მოქალაქის უსუსურობას ფუდერადიურ სარეზერვო სისტემას აკისრებს, რადგანაც ამ უკანასკნელმა დაუშვა ფულის მიწოდების ესოდენ მნიშვნელოვანი შემცირება. ამგვარი მიდგომის ყველაზე ცნობილი მომხრეებია *მილტონ ფრიდმანი* და *ანა შვარცი*, რომლებიც ამ თვალსაზრისს იცავენ საკუთარ ტრაქტატში ფულის ისტორიის შესახებ. ფრიდმანი და შვარცი ამტკიცებენ, რომ ფულის მიწოდების შემცირება უმეტესი ეკონომიური კრიზისების მიზეზია და რომ ამ კონტექსტში დიდი დეპრესია ამის ნათელი მაგალითია.

ვისარგებლებთ რა IS-LM მოდელით დეპრესიის მიზეზების სახსენლად, ჩვენ შეგვიძლია ფულადი პიპოთეზა ავსხნათ, როგორც LM მრუდის მარცხნივ გადაადგილება. თუმცა, ამგვარად განხილული ფულადი პიპოთეზა წარმოშობს ორ პრობლემას.

პირველი პრობლემა დაკავშირებულია ეკონომიური აგენტების ფულადი საშუალებების რეალური მარაგის ცვლილებებთან. ფულად-სარეზერვო პოლიტიკა იწვევს LM მრუდის მარცხნივ გადაადგილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ დროს მცირდება რეალური ფულადი მარაგები. მაგრამ 1929-1931 წლებში რეალურ გამოხატულებაში ფულადი მარაგები არათუ შემცირდა, არამედ ოდნავ გაიზარდა, რამდენადაც ფულის მიწოდების შემცირებას თანაფოთლოვით იყო ფასების დონის კიდევ უფრო მეტი შემცირებით. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი მასის შემცირებამ, შესაძლოა, გამოიწვია კიდევ უმუშევრობის ზრდა 1931-1933 წლებში, როდესაც რეალური ფულადი მასა ნამდვილად შემცირდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის არ შეიძლება დაეადასაშუალოდ 1929-1931 წლების თვალაპირველი ეტაპის კრიზისში.

მეორე პრობლემა დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის დინამიკასთან. LM მრუდის მარცხნივ გადაადგილება რომ იყოს დეპრესიის მიზეზი, ჩვენ უნდა ვაჩვენებდეთ უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. მაგრამ, საპროცენტო განაკვეთები 1929-1933 წლებში უწყვეტად მცირდებოდა.

ეს ორი არგუმენტი ალბათ სამარისხია იმისათვის, რომ უარყუთ თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითქოს დეპრესია პროვოცირებული ყოფილიყო LM მრუდის გადაადგილებით. მაგრამ, ნიშნავს

თუ არა ეს, რომ ფულის მასის შემცირებას საერთოდ არ მოუხდენია გააღებნა კრიზისის განვითარებაზე? ქვემოთ გააანალიზებთ სხვა მოქმედებას, რომელთან დაკავშირებითაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეეძლო დამატებითი გადარბევება – 30-იანი წლების დეფლაციის გამოწვევა.

კვლევი ფულადი პირობება: ფასების შემცირების შედეგები

1929 წლიდან 1933 წლამდე ფასების დონე შემცირდა 25%-ით. მრავალი ეკონომისტი სწორედ ასეთ მწკვირვალ ფულადიას მიიჩნევს დიდი დეპრესიის გადარბევების მიზეზად. ისინი ამტკიცებენ, რომ სწორედ დეფლაციამ გადააქცია 1931 წლის ჩვეულებრივი ეკონომიკური კრიზისი მაღალი უმუშევრობისა და შემოსავლების შეუკავებელი ვარდის უსრველადი კეროდ. თუკი ეს ასეა, მაშინ მსგავსი მტკიცება ფულადი პირობების ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. რამდენადაც ფულის მიწოდების შემცირება საკარგოდ იყო ფასების დონის ვარდის მიზეზი, ის შესაძლებელია განხდარიყო დამრეხისი გადარბევების მიზეზიც. აღნიშნული მტკიცების შეფასების მიზნით აუცილებელია განვიხილოთ ფასების დონის ცვლილება თუ რა გააღებნას ახდენს შემოსავალზე IS-LM მოდელში.

დეფლაციის მასტაბილოზებელი ზემოქმედება

IS-LM მოდელში, რომელსაც აქამდე ვიკვლევდით, ფასების შემცირება ზრდის შემოსავლებს. ფულის ნებისმიერი მოცულობის მიწოდების M შემთხვევაში ფასების უფრო დაბალი დონე ნიშნავს ფულის რეალური მიწოდების M/P უფრო მაღალ დონეს. ფულადი საშუალებების რეალური მარაგების ზრდა იწვევს LM მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას, რაც იწვევს შემოსავლების დონის ზრდას.

არსებობს კიდევ ერთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ფასების შემცირება იწვევს შემოსავლების ზრდას, რომელსაც *პიგუს ეფექტი* ეწოდება. არტურ პიგუმ, გასული საუკუნის 30-იანი წლების ცნობილი ეკონომისტი-კლასიკოსმა, აღნიშნა, რომ ფულადი საშუალებების რეალური მარაგების საოჯახო მეურნეობის სიმდიდრის ნაწილია. როდესაც ფასები მცირდება, რეალურ გამოხატულებაში არსებული ფულადი მარაგები იზრდება, მომხმარებლები შედარებით უფრო მდიდრები ხდებიან და შესაბამისად, უფრო მეტს ხარჯავენ. საშობამარებლო ხარჯების აღნიშნულმა ზრდამ უნდა გამოიწვიოს IS მრუდის მარჯვნივ გადაადგილება, რის შედეგადაც გაიზრდება შემოსავლების დონე.

ამ მიზეზის გამო 30-იან წლებში ზოგიერთ ეკონომისტს სწამდა, რომ ფასების შემცირება აუცილებლად მოჰყვებოდა ეკონომიკაში სრული დასაქმების დონის აღდგენას. სხვა თეორეტიკოსები ნაკლებად იყენებდნენ დარწმუნებულნი ეკონომიკის თვითკორექციის უნარში და აღნიშნავენ ფასების ვარდის სხვაგვარ შედეგებს, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

დეფლაციის მადეტაბილოზებელი ზემოქმედება

ეკონომისტებმა ორი თეორია შემოგვთავაზეს იმის ასახსნელად, თუ როგორ შეუძლია ფასების შემცირებას შემოსავლების დონის უფრო მეტად შემცირება, ვიდრე ზრდა. პირველი თეორია, რომელიც ატარებს *ვალის დეფლაციის* სახელწოდებას, ეხება ფასების დონის მოულოდნელი ვარდის შედეგებს. მეორე ასხნა ეხება *მოსალოდნელი დეფლაციის* შედეგებს.

ვალის დეფლაციის თეორიის განვითარება იწვევდა იმ დაკვირვებიდან, რომელიც ჩვენთვის ცნობილია მე-9 საუკუნის ფასების დონის გაუთვალისწინებელი ცვლილებები განაპირობებენ მოვლევას და კრედიტორებს შორის სიმდიდრის განაწილებას. თუკი მსესხებელი ვალში კრედიტორის მიმართ 100 დოლარს ოდენობით, მაშინ ამ ვალის რეალური სიდიდე ტოლია 100P, სადაც P – ფასების საშუალო დონეა. ფასების დონის შემცირება ზრდის ვალის რეალურ სიდიდეს - მსესხებლის მიერ დასაბრუნებელი თანხის მსყიდველობითი უნარიანობის სიდიდეს. ამიტომ, მოულოდნელი დეფლაცია აღიფრებს კრედიტორებს და აღარბობს მსესხებლებს.

ვალის დეფლაციის თეორია ამტკიცებს, რომ სიმდიდრის ასეთი გადაწარმოება ცვლის საქონელსა და მომსახურებაზე დანახარჯების მოცულობას. მსესხებლებიდან კრედიტორებზე სიმდიდრის გადაწარმოების სასახუზოდ მოვალეობი ხარჯდება ნაკლებს, კრედიტორები – მეტს. თუკი ამ ოჯახურს ახასიათებთ საშუალებათა დანახარჯისადმი თანაბარი მიდრეკილება, მაშინ ერთობლივი ზემოქმედება ნულის ტოლი იქნება. მაგრამ უფრო გონიერული იქნება, თუ ვიყარაუდებთ, რომ მსესხებლის ახასიათებთ დახარჯებისადმი მეტი მიდრეკილება, ვიდრე კრედიტორებს – შესაძლოა ამის გამო მსესხებლები პირველ რიგში უფლობიან ვალეზში. ამ შემთხვევაში მსესხებლები თავიანთ დახარჯების უფრო მეტი ოდენობით ამცირებენ, ვიდრე კრედიტორები ზრდიან. წმინდა ეფექტი მდგომარეობს დანახარჯების შემცირებაში, IS მრუდის მარცხნივ გადაადგილებაში და შესაბამისად, ერთეული შემოსავლის შემცირებაში.


იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ ახდენს გააღებნას ფასების *მოსალოდნელი* ცვლილებები შემოსავალზე, აუცილებელია IS-LM მოდელს დავამატოთ ახალი ცვლადი. აქამდე, მოდელის ჩვენთვის ანალიზის დროს ერთმანეთისაგან არ ვანხვავებდით ნომინალურ და რეალურ საპროცენტო განაკვეთებს. თუცა, წინა თავებიდან გამომდინარე ვიცით, რომ ინფლაციითი დამოკიდებულია რეალურ საპროცენტო განაკვეთზე, ხოლო ფულზე მოთხოვნა – ნომინალურზე. თუკი i - ნო-

მინალური საპროცენტო განაკვეთია, ხოლო π^e - მოსალოდნელი ინფლაცია, მაშინ რეალური საპროცენტო განაკვეთი *ex ante* იქნება $i - \pi^e$. შესაბამისად, IS-LM მოდელი შევსებულია ჩავეწერთ შემდეგნაირად:

$$Y = C(Y - T) + I(i - \pi^e) + G \quad IS,$$

$$\frac{M}{P} = L(i, Y) \quad LM.$$

მოსალოდნელი ინფლაცია IS მრუდის ტოლობაში გვეყვინება ცვლადის სახით. ამგვარად, მოსალოდნელი ინფლაციის ცვლილება IS მრუდს გადაადგილებს. IS-LM-ის აღნიშნული გაფართოებული მოდელით ვისარგებლოთ იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ ახდენს გაყვანას მოსალოდნელი ინფლაციის ცვლილება შემოსავლის დონეზე. დაიწყოთ იმ ვარაუდით, რომ ყველა ელვოდება ფასების დონის უცვლელად შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში მოსალოდნელი ინფლაცია არ იარსებებს ($\pi^e = 0$) და ზემოთმოცემული ტოლობები მოგვეცემს ჩვენთვის ცნობილ IS-LM მოდელს. ახლა დაეუშვათ, რომ ყველა ელვოდება ფასების დონის შემცირებას მომავალი წლისათვის, ასე რომ, π^e უარყოფითი ხდება. ნახ. 10-მ-ზე ნაჩვენებია, თუ რა მოხდება ასეთ სიტუაციაში. ნებისმიერი მოცემული ნომინალური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში რეალური განაკვეთი მატულებს, რაც იწვევს საინფლაციო დანახარჯების შემცირებას. დაგეგმილი ინვესტიციების ასეთი შემცირება განაპირობებს IS მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. ამგვარად, მოსალოდნელი დეფლაცია ამცირებს ეროვნულ შემოსავალს Y_1 -დან Y_2 -მდე. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მცირდება i_1 -დან i_2 -მდე, მაშინ, როდესაც რეალური საპროცენტო განაკვეთი იზრდება r_1 -დან r_2 -მდე.



ნახ. 10-მ. მოსალოდნელი დეფლაცია IS-LM მოდელში მოსალოდნელი დეფლაცია ზრდის რეალურ საპროცენტო განაკვეთს მოცემული ნომინალური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, რაც ამცირებს დაგეგმილ ინვესტიციებს. ინვესტიციების აღნიშნული შემცირება IS მრუდს გადაადგილებს დაბლა. შემოსავლის დონე მცირდება Y_1 -დან Y_2 -მდე. ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა - i_1 -დან i_2 -მდე, ხოლო რეალური საპროცენტო განაკვეთი იზრდება r_1 -დან r_2 -მდე.

შეენიშნოთ, რომ ორივე ვარიანტში - მოსალოდნელი და არამოსალოდნელი დეფლაციის შემთხვევაში არსებობს დესტაბილიზაციის საერთო საშიშროება. ორივე შემთხვევაში, ფასების ვარდნა ამცირებს ეროვნულ შემოსავალს IS მრუდის მარცხნივ-დაბლა გადაადგილების შედეგად. რადგანაც 1929-1933 წლებში არსებული მასშტაბების მქონე დეფლაცია მომავალში ნაკლებად სავარაუდოა, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ძლიერ მცირდება ფულის მიწოდება, ზემოთაზიხილული ორი ახსნა დგარენიაზე, განსაკუთრებით კი მის გაღრმავებაზე. პასუხისმგებლობას აკისრებს ფედერალურ სარეზერვო სისტემას. სხვა სიტუაციებში რომ ვიქნეთ, თუკი ფასების შემცირება მდესტაბილიზებელი ფაქტორია, მაშინ ფულის მიწოდების შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების დონის შემცირება რეალური ფულადი მარაგების სიდიდის შემცირების ან ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდის გარეშეც.

შესაძლებელია თუ არა განმეორდეს დერესისა?

ეკონომისტები დერესისას სწავლობენ მისი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, თანაც იმისათვის, რათა სახელმწიფო მოლაგწევებს შესაფერის რეკომენდაციები მომავალი მსგავსი მოვლენების აღსაკეთად. იმისათვის, რომ საფუძვლიანი პასუხი გავუცხადოთ, შესაძლებელია თუ არა მსგავსი მოვლენის განმეორება, აუცილებელია ვიცოდეთ მისი წარმოშობის მიზეზები. რადგანაც ისინი დაიპირისიის გამოწვევა მიზნობრივ და საპროცენტო პოლიტიკის არ არსებობის ერთიანი აზრს არ

შეიძლება სრული თავდაჯერებულობით გამოერიცხოთ ასეთი მასშტაბის კიდევ ერთი დეპრესიის წარმოშობის შესაძლებლობა.

ნაკლებადსავარაუდოა, რომ განმეორდეს ის შეცდომები, რომლებმაც გამოიწვია დიდი დეპრესია. წარმოდგენილი თანამედროვე ეპოქაში ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა დაუშვა ფულის მიწოდების შემცირება ერთი მეოთხედით. მრავალი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ სწორედ XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისის დეფლაციამ განსაზღვრა დეპრესიის სიღრმე და ხანგრძლივობა. ყველაზე სარწმუნოა ის, რომ ასეთი ხანგრძლივი დეფლაცია მხოლოდ ფულის კლებადი მიწოდების არსებობის შემთხვევაშია საერთოდ შესაძლებელი.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა – კიდევ ერთი სფეროა, სადაც ნაკლებადსავარაუდოა შეცდომების განმეორება. გასული საუკუნის 30-იანი წლების საბიუჯეტო პოლიტიკამ არა თუ სტიმული მისცა ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, არამედ სინამდვილეში კიდევ უფრო შეამცირა ის. დღეისათვის ეკონომისტებთან აღბათი მკაცრად არაინი დაუჭერს მხარს დაბალანსებული ბიუჯეტის არსებობას მასობრივი უმუშევრობის პირობებში.

გარდა ამისა, დღეისათვის მრავალი ინსტიტუტი არსებობს, რომლებიც დაგეგმობენ გასული საუკუნის 30-იანი წლების მსგავსი მოვლენების აღმოფხვრას. დაზღვევის სისტემა ნაკლებადსავარაუდოს ქმნის ბანკების საყოველთაო გაკოტრებას. მოქნილ საშემოსავლო გადასახადს გადასახადების ავტომატურად შემცირებისკენ მიყვარათ, როდესაც შემოსავალი მცირდება, რაც განაპირობებს ეკონომიკის სტაბილიზაციას. საბოლოოდ, ეკონომისტებმა დღეს გაცილებით მეტი იციან ეკონომიკის ფუნქციონირების თაობაზე, ვიდრე იცოდნენ მაშინდელმა ეკონომისტებმა. ეკონომიკის შესახებ ჩვენმა ცოდნამ, როგორც შეზღუდულიც არ უნდა იყოს ის, სახელმწიფო მოვალეობებს დახმარება უნდა გაუწიოს მასობრივი უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად საუკეთესო პოლიტიკის შემუშავებაში.

10-4. დასკვნა

მოცემული და წინა თავების მიზანი იყო გაგვერმავეებინა ჩვენი წარმოდგენა ერთობლივ მოთხოვნაზე ახლა უკვე ევითი იმ ინსტიტუტების შესახებ, რომელიც საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო ღონისძიებითა შედეგების გასაანალიზებლად გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში. გრძელვადიან პერიოდში ფასები მოქნილია და ჩვენც ვსარგებლობთ კლასიკური ანალიზით. მოკლევადიან პერიოდებში ფასები ხისტია, რის გამოც ვსარგებლობთ IS-LM მოდელით ეკონომიკაზე პოლიტიკის ცვლილების გაელენის გასაანალიზებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თავში წარმოდგენილი მოდელი ერთობლივი მოთხოვნის ანალიზის საფუძველია, ამით მისი შინაარსი სულაც არ იწურება. მომდგენო თავებში უფრო დეტალურად გამოვიკვლევთ IS-LM მოდელის ელემენტებს და კიდევ უფრო გავაღრმავებთ ჩვენს ცოდნას ერთობლივ მოთხოვნაზე. მაგალითად, მე-15 თავში განვიხილავთ მოხმარების სხვადასხვა თეორიას, რადგანაც მოხმარების ფუნქცია IS-LM მოდელის მთავარი ელემენტია, მოხმარების ანალიზისადმი მიდგომას შეუძლია შეცვალოს ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეკონომიკაზე სემპლედების თაობაზე ჩვენი თვალსაზრისი. IS-LM-ის მარტივი მოდელი, რომელიც მე-9 და მე-10 თავებშია წარმოდგენილი, მოიცავს საჭირო საფუძვლებს შემდგომი ანალიზისათვის.

პირითადი დასაძინება

1. IS-LM მოდელი წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის საერთო თეორიას. ამ მოდელში ეკონომიკური ცვლადებია საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პარამეტრები და ფასების დონე. მოდელი ხსნის ორ ენდოგენურ ცვლადს: საპროცენტო განაკვეთს და ეროვნული შემოსავლის დონეს.

2. IS მრუდი ასახავს საპროცენტო განაკვეთსა და შემოსავლის დონეს შორის უკუკავშირს, რომელიც წარმოიშობა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე წონასწორობის დამყარების შედეგად. LM მრუდი ასახავს დადებით ურთიერთკავშირს საპროცენტო განაკვეთსა და შემოსავლის დონეს შორის, რომელიც წარმოიშობა ფულადი საშუალებების ბაზარზე. IS-LM მოდელში წონასწორობა – IS და LM მრუდების გადაკვეთის წერტილი – წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების და ფულის ბაზრებზე ერთდროულ წონასწორობას.

3. მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა – სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ან გადასახადების შემცირება – IS მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ-მალდა. ეს გადაადგილება იწვევს საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის დონის ზრდას. შემოსავლის ზრდა გამოიხ-

ატება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებაში. ანალოგიურად, შემაკავებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა IS მრუდს გადაადგილებს მარცხნივდაბლა, ამცირებს საპროცენტო განაკვეთს და პროცენტს განაკვეთს და შემოსავლის დონეს და ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარცხნივ.

4. მსტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გადაადგილებს LM მრუდს მარჯვნივდაბლა. LM მრუდის აღნიშნული გადაადგილება ამცირებს საპროცენტო განაკვეთს და ზრდის შემოსავლის დონეს. შემოსავლის ზრდა ასახავს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას. ანალოგიურად, შემაკავებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა LM მრუდს გადაადგილებს მარცხნივზემოთ, ზრდის საპროცენტო განაკვეთს, ამცირებს შემოსავლის დონეს და გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარცხნივ.

ბირთვადი ცნებები

გრანძისის ფულადი მექანიზმი
მაკროეკონომიკული მოდელი
პიგუს ეფექტი
ვალის დეფლაციის თეორია

შენიშვნა 1

საერთო ეკონომიკური წონასწორობის მოდელი

აქამდე ჩვენ განვიხილავდით საქონლისა და მომსახურების, ფულის (როგორც ფინანსური ბაზრის ნაწილის) და შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებს და გამოავლინეთ ამ ბაზრებზე სტატიკური წონასწორობის პირობები. მოცემული ნაწილი ეძღვნება მთლიანობაში მაკროეკონომიკური მოდელის ფუნქციონირების თავისებურებებს. ენახოთ, თუ როგორ მიიღწევა საერთო ეკონომიკური წონასწორობა (General Equilibrium – GEE).

საერთო ეკონომიკური წონასწორობის (GEE) ქვეშ იგულისხმება ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ყველა ბაზარზე (საქონლისა და მომსახურების, ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და შრომის ბაზარზე) მიიღწევა წონასწორობა.

ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ პრინციპად ითვლება ვალრასის¹ კანონი, რომლის მიხედვით თუკი ყველა ბაზარზე არსებობს წონასწორობა ერთის გარდა, მაშინ ეს უკანასკნელი ბაზარიც იმყოფება წონასწორობის მდგომარეობაში.

სხვადასხვა მაკროეკონომიკური სკოლა თავისებურად განმარტავს ცალკეულ ბაზრებზე წონასწორობის მიღწევისა და ფუნქციონირების პირობებს. ეს გასაგებია: თითოეული სკოლა ახდენს კონკრეტურის განსაკუთრებული მდგომარეობისა და ეკონომიკური განვითარების დონის აბსოლუტიზაციას. მაგალითად, კლასიციზმისათვის (ნეოკლასიციზმისათვის) ეკონომიკა წარმოადგენს ჯანსაღ სისტემას, რომელიც ხასიათდება წარმოების ყველა ფაქტორის სრული დასაქმებით, ფასებისა და ხელფასების მოქნილობით, აგრეთვე ეკონომიკური სუბიექტების რაციონალური ქცევით. სულ სხვაგვარად ფიქრობენ კეინზიანელები. ისინი გეხსიათებენ ეკონომიკას, როგორც ისეთ სისტემას, რომელშიაც მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევა შესაძლებელია სამუშაო ძალის არასრული დასაქმების პირობებშიც, აგრეთვე ფასებისა და ხელფასების შედარებითი მოუქნელობის შემთხვევაშიც. თანაც, ეკონომიკური სუბიექტები სულაც არ მოქმედებენ რაციონალურად და უშეცდომოდ ყოველთვის. კეინზიანელთა მოდელი უფრო შეეფერება არასაკმარისად სრულყოფილი ეკონომიკის აღწერას ან ისეთი ეკონომიკისას, რომელიც იმყოფება სტაგნაციურ პირობებში. მაშასადამე, მოცემულ ნაწილში განვიხილეთ კლასიკური და კეინზიანური სკოლების საერთო ეკონომიკური წონასწორობის მოდელს, აგრეთვე საერთო ეკონომიკური წონასწორობის ნეოკლასიკურ სინთეზს.

¹ ვალრასი ლეონ მარი ესპირი (1834-1910) – შვეიცარიელი ეკონომისტი, მათემატიკური (ლორანის) სკოლის წარმომადგენელი.

საერთო ეკონომიკური წონასწორობის კლასიკური მოდელი

თავდაპირველად საჭიროა შევნიშნოთ, რომ კლასიკოსთათვის საერთო ეკონომიკური წონასწორობის პრობლემები თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. ამ სკოლის მიხედვით საერთო ეკონომიკური წონასწორობა მიღებული იყო, როგორც თავისთავადი მოვლენა მხოლოდ „იღმა დეპრესიამ“ (1929-1933 წწ.) შეარყია აღნიშნული დოგმა. ამიტომ, GEE-ს კლასიკური მოდელი, რომელსაც ახლა განვიხილავთ, წარმოადგენს კლასიკური სკოლის შეხედულებათა ერთგვარ რეკონსტრუქციას თანამედროვე მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.

GEE-ს კლასიკური მოდელი ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

პირველი, კლასიკოსთათვის ძირითადი ბაზარია შრომის ბაზარი. სწორედ ის თამაშობს მთავარ როლს GEE-ს ფორმირებისას ეკონომიკის რეალურ სექტორში. კლასიკოსები თვლიან, რომ შრომის ბაზარზე არსებობს სრული დასაქმება (უმუშევრობის ბუნებრივი დონის არსებობის დაშვებით).

მეორე, ფული არ წარმოადგენს სიმდიდრეს, მას არ გააჩნია დამოუკიდებელი ფასეულობა (ფულიანი ნეიტრალიზაციის პრინციპი). ამიტომ, საქონლისა და მომსახურების და ფულის ბაზრები არ არიან ურთიერთდაკავშირებულნი; ეკონომიკის თითოეული სექტორი – ფულადი და რეალური – დამოუკიდებელი, თავისთავადია (კლასიკური დიქტომიის პრინციპი).

აევათ GEE-ს კლასიკური მოდელი. თავდაპირველად განვიხილოთ წამყვანი ბაზარი: შრომის ბაზარი. მასში არსებული წონასწორობა შეიქმება გამოხატვით შემდეგი განტოლებით:

$$L^d(W) = L^s(W^*).$$

ე.ი. შრომაზე მოთხოვნა ტოლია შრომის მიწოდებისა. თითოეული წარმოადგენს ნომინალური ხელფასის ფუნქციას (w -ს თავზე „ d “ და „ s “ სიმბოლოები მანიშნებს იმაზე, რომ შრომაზე მოთხოვნის ფუნქცია ნომინალური ხელფასის მიმართ კლებადია, ხოლო შრომის მიწოდების ფუნქცია კი – ზრდადი).

ამასთან, როგორც ცნობილია, რეალური ხელფასი ტოლია შრომის ზღვრული მწარმოებლურობის:

$$w = \frac{W}{P} = \frac{dY}{dL}.$$

dY და dL სიმბოლოები შესაბამისად აღნიშნავს წარმოების მოცულობისა (Y) და დასაქმებულთა (L) ნაზრდს. მათი თანაფარდობა გამოხატავს შრომის ზღვრულ მწარმოებლურობას. საწარმოო ფუნქციას ვქნება შემდეგი სახე:

$$Y = Y(L).$$

ე.ი. დასაქმება განსაზღვრავს რეალური წარმოების დონე. ამ დროს იგულისხმება, რომ დასაქმება სრულია. ამიტომ, საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ერთობლივი მიწოდების მრავალი პერტიკალურია.

როგორც მე-3 თავში ვაჩვენეთ, ერთობლივი განკარგავად შემოსავალი ტოლია მოხმარებისა და დანაზოების ჯამისა:

$$Y = C + S.$$

ეს ტოლობა შეიძლება განმარტოთ, როგორც ერთობლივი მიწოდების მოცულობა. რაც შეეხება ერთობლივ მოთხოვნას, ის ტოლია საოჯახო მეურნეობათა და სამეწარმეო სექტორის ერთობლივი დანახარჯების ჯამისა:

$$Y = C + I.$$


თუკი მოთხოვნა მიწოდების ტოლია, მაშინ $C + S = C + I$ ანუ $S = I$.

დანაზოებისა და ინვესტიციების ტოლობა ($S=I$) მიიღწევა კაპიტალის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის მოქნილობის წყალობით: დანაზოები იმყოფება საპროცენტო განაკვეთთან პირდაპირ დამოკიდებულებაში, ხოლო ინვესტიციები – უკუ დამოკიდებულებაში.

ექვილიბრით რა მხედველობაში აღნიშნულ დებულებებს, შეგვიძლია აევათ GEE-ს კლასიკური მოდელი გრაფიკულად (ნახ. 1).

კლასიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოდიან შრომის ბაზრის პრიორიტეტიდან, კეინზიანელები ხაზს უსვამენ საქონლისა და მომსახურების ბაზრის მნიშვნელობას, თანაც პრიორიტეტი ენიჭება ერთობლივ მოთხოვნას.

GEE-ს კეინზიანური მოდელის ამოსავალ ელემენტად გვეყვინება IS-LM მოდელი, რომელიც განსაზღვრავს წონასწორულ საპროცენტო განაკვეთს (i_0) და ეფექტიანი მოთხოვნის მოცულობას (Y_0) - იხ. ნახ. 2-ის ზემოთა გრაფიკი.



ნახ. 2. საერთო ეკონომიკური წონასწორობის კეინზიანური მოდელი

თავის მხრივ, ეფექტიანი მოთხოვნის სიდიდე (Y_0) განსაზღვრავს ფასების წონასწორული დონის სიდიდეს (P_0) (იხ. ნახ. 2-ზე ქვემოთა გრაფიკის პირველი კვადრანტი) და დასაქმების დონეს (L_0). რომელიც უზრუნველყოფს საქონელთა იმ მოცულობას, რომელიც საკმარისია ეფექტიანი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (Y_0) ფასების წონასწორული დონის პირობებში (P_0).

ეფექტიანი მოთხოვნისა (Y_0) და დასაქმების (L_0) სიდიდეები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ხელფასის *მექსიმალური* განაკვეთი, რომლის გადასახდელადაც მზად არიან მეწარმეები წარმოების მოცემული ტექნოლოგიის არსებობის პირობებში, ე.ი. $W^D = P(\partial Y / \partial L)$, როგორც ეს ასახულია ნახ. 2-ის მეორე კვადრანტში. ეს არის ნომინალური ხელფასის განაკვეთი $W^D = W_0$. იხ.

შესაბამება L_0 დასაქმების სიდიდეს, რომელიც, თავის მხრივ, ფორმირდება ეფექტიანი მოთხოვნის (Y_0) გაყვანის შედეგად.

მაგრამ, შრომის ბაზარზე წონასწორობა (ნახ. 2-ის მესამე კვადრანტი) ყალიბდება უმუშევრობის არსებობის დროს (რომელიც ტოლია $L-L_0$). ეს ხდება იმიტომ, რომ შრომაზე მოთხოვნა განისაზღვრება საქონლის ბაზარზე ეფექტიანი მოთხოვნის სიდიდით (Y_0), ხოლო ნომინალური ხელფასის განაკვეთი არ ხასიათდება შემცირების მიმართულებით მიქნელობის თვისებით.

მაშასადამე, ყველა ბაზარზე წონასწორობა მიიღწევა შრომის ბაზარზე უმუშევრობის არსებობის დროს.

რეალური ხელფასის განაკვეთი ($c_{\text{rea}}=w/P_0$) გამოსახულია ნახ. 2-ის მეორე კვადრანტში α კუთხის კოტანგენსით, რომელიც კოორდინატთა სათაიდან და აბსცისა ღერძიდან გამოშვავალი ხაზითა წარმოდგენილი (W). ფასების (P) ზრდის დროს α კუთხის სიდიდე იზრდება, ე.ი. რეალური ხელფასი ($w=W/P$) მცირდება.

შესაძლებელია თუ არა საერთო ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა არასრული დასაქმების პირობებში? თეორიულად, თუკი ეს შესაძლებელია, თუკი მხოლოდ ეფექტიანი მოთხოვნის (Y_0) სიდიდეს სრული დასაქმების შესაბამისი ეროვნული შემოსავლის მოცულობამდე (Y_f). თუკი მემართავთ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს (სახელმწიფო დანახარჯების ზრდას ან გადასახადების შემცირებას), მაშინ IS მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ IS' მდგომარეობამდე ზემოთა გრაფიკზე. რასაკვირველია, შესაძლებელია აგრეთვე LM მრუდის მარჯვნივ გადაადგილებაც, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით. მაგრამ, კეინზიანელთა აზრით მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა არც ისე მაღალია.

თუმცა ეფექტიანი მოთხოვნის სიდიდის ზრდა სრული დასაქმების შესაბამისი ეროვნული შემოსავლის მოცულობამდე საეკვიპო შენარჩუნდეს *ბანკრუტული პერიოდის განმავლობაში*, ვინაიდან საქონლთა ბაზრის კონიუნქტურა იქნება „გადახურვის“ მდგომარეობაში. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ან გადასახადების შემცირება მოითხოვს დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნას ბანკრუტული პერიოდისათვის, ეს კი, თავის მხრივ, აღრე თუ გვიან განაპირობებს ინფლაციურ პროცესებს, რაცე მთავიფანს ფასების საერთო დონის ზრდასთან და რეალური ხელფასის შემცირებასთან. ამგვარად, ეროვნული შემოსავლის მიღწევა სრული დასაქმების პირობებში საეკვიპო ჩაითვალს ეკონომიკის მდგომარეობად.

ხაზი უნდა გაეუსვათ იმას, რომ კეინზიანური ფილოსოფიის შესაბამისად, ეკონომიკური მოვლი თავისთავად მდგრადი არ არის. ამიტომ, მდგრადი განვითარების გარანტად საჭიროა სახელმწიფოს მუდმივი ჩარევა ეკონომიკის სფეროში.


გ.წ. *საინვესტიციო ხაფანგის* პირობებში IS მრუდი ნახ. 2-ის ზემოთა გრაფიკზე ღებულობს ვერტიკალური წირის ფორმას ეფექტიანი მოთხოვნის (Y_0) დონეზე. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი (AD) პირველ კვადრანტში (ნახ. 2) ღებულობს აგრეთვე ვერტიკალურ ფორმას ეფექტიანი მოთხოვნის (Y_0) დონეზე. ამგვარად, საინვესტიციო ხაფანგის შესაბამისად ფული იძენს ნეიტრალურობის თვისებას: LM მრუდის ეერანარი გადაადგილება ვერ იწვევს რეალური ეროვნული შემოსავლისა და დასაქმების დონის მნიშვნელობათა ცვლილებებს. მაგრამ GEE-ს კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით (ნახ. 1), საინვესტიციო ხაფანგის შემთხვევაში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ცვლილება ცვლის საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობას (ე.ი. კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება არა რეალურ, არამედ ფულად სექტორში).

გ.წ. *ლიკვიდური ხაფანგის* პირობებში LM მრუდი ზემოთა გრაფიკზე (ნახ. 2) ღებულობს პორიზონტალური მონაკვეთის ფორმას დაბალი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში (IS მრუდის უარყოფითი დახრილობის შემთხვევაში). მოცემულ სიტუაციაში საოჯახო მუერნებობები თვლიან, რომ არსებული საპროცენტო განაკვეთი უოღურესად მცირეა, რის გამოც ყოიდან ფსიან ქალღლებს და სამკუალეიური მოტივიდან გამომდინარე აჟალბებენ შემუზღავა მოთხოვნას ფულზე ამ შემთხვევაში ფულის რაოდენობის ცვლილება გაეწლებს ვერ ახდენს საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე (ეს უკანასკნელი ვეზოგუნური სიდიდე ხდება). ამასთან, როდესაც GEE მიიღწევა ლიკვიდური ხაფანგის მდგომარეობაში, რეალური სექტორიც (როგორც ამას ქეონდა ადგილი საინვესტიციო ხაფანგის შემთხვევაში) ასევე არ ხდება დამოკიდებული ფულად სექტორზე. რაგვანაც IS მრუდი (უარყოფითი დახრილობით) კეეთავს LM მრუდს მის პორიზონტალურ (კეინზიანურ) მონაკვეთზე, LM მრუდის გადაადგილება არ ცვლის ეფექტიანი მოთხოვნის სიდიდეს და ეს განაპირობებს იმას, რომ ერთობლივი მოთხოვნის (AD) მრუდი ვერტიკალურია ნახ. 2-ის პირველ კვადრანტში. შეწარმეებს ასეთ შემთხვევაში არ აქვთ სტრამული მოახილინო ფასების ზრდაზე რეაგირება საქონლის მიწოდებისა და დასაქმების ზრდით.

საერთო ეკონომიკური წონასწორობის სინთეზური მოდელი

1950-1960-ან წლებში მკროეკონომიკურ თეორიაში ადგილი ჰქონდა კლასიკურ და კეინზიანურ იდეოლოგიათა შერწყმის მრავალრიცხოვან ცდებს, რათა აღმოფხვრილიყო ორივე იდეოლოგიის ნაკლოვანებები ეკონომიკური აზრის ამ მიმართულებამ მიიღო *ნეოკლასიკური სინთეზის* სახელწოდება. განვიხილოთ GEE-ს ნეოკლასიკური სინთეზის მოდელი, რომლის საფუძვლადაც გაეყვანება კლასიკური მოდელი, რომელიც გაერთიანებულია IS-LM-ის მოდელთან.

მოდელის აგება იწყება შრომის ბაზრის მოდელის აგებით (ნახ. 3-ის მესამე კვადრანტი). როგორც კლასიკოსთა მოდელშია ნაჩვენები, სინთეზურ მოდელში შრომის ბაზარი თამაშობს უპირველეს როლს. ხელფასის ფულადი განაკვეთის მოქნილობის წყალობით მყარდება სრული დასაქმება (L_F) და რეალური ხელფასის ბუნებრივი განაკვეთი (w_0).



ნახ. 3. საერთო ეკონომიკური წონასწორობის სინთეზური მოდელი

მომუშაეები არ განცდიან ფულად ილუზიას (განსხვავებით კეინზიანური მოდელისაგან), ამიტომ, ფასების დონის ზრდა გაეყვანას ვერ ახდენს დასაქმებაზე. ამგვარად, ერთობლივი მიწოდების მრუდი (AS) საქონლისა და მომსახურების ბაზარზე დაფიქსირდება სრული დასაქმების ბუნებრივი გამოშვების დონეზე (Y_F) ევრტიკალური წირის სახით (როგორც ეს GEE-ს კლასიკურ მოდელშია მოცემული).

ერთობლივი მოთხოვნის (AD) მრუდი აგებულია ნახ. 3-ის პირველ კეადრანტში, როგორც LM მრუდის IS მრუდის გასწვრივ გადაადგილების პროექცია. საქონლის ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაკეობის წერტილი განსაზღვრავს ფასების წონასწორობს დონეს (P) სრული დასაქმების შესაბამისი ეროვნული შემოსავლის (Y₁) პირობებში.

ნომინალური ხელფასი $W_0 = w_0 P_0$ ($W_1 = w_1 P_1$ და ა.შ.).

ეფექტიანი მოთხოვნის სიდიდე შესაბამისი რომ ყოფილიყო IS და LM მრუდების გადაკეობის E წერტილში, მაშინ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე წარმოიქმნებოდა ჭარბი მიწოდება ($Y < Y_1$). შედეგად, ფასების დონე შემცირდებოდა და ერთობლივი მოთხოვნა კვლავ გაიზარდებოდა თავდაპირველ დონემდე (Y_1). ამით მიიღწეოდა სრული დასაქმების პირობებში მდგრადი წონასწორობა.

მოცემულ მოდელში არ არსებობს კლასიკური დიქოტომია მოკლევადიან პერიოდში (ცინაიდან ფასების დონის ცვლილება ზემოქმედებს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არსებულ რეალური მოთხოვნის სიდიდეზე), მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ფული ნეიტრალურია (ე.ი. ადგილი აქვს კლასიკურ დიქოტომიას). ამგვარად, მოკლევადიან პერიოდში წონასწორობის აღსადგენად სახელმწიფოს ჩარევა გარდაუვალია. სხვათა შორის, ეს ყველაზე მეტად შეესაბამება მონეტაროზმის თანამედროვე იდეოლოგიას, რომელიც ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს ჩარევას განმარტავს როგორც გარდაუვალ ბოროტებას (ძირითადად, ფულადი ბერკეტების დახმარებით) მოკლევადიან პერიოდებში.

შანართი 2

IS და LM მრუდების სრული ალგებრული მოდელი. წარმოების წონასწორობი მოცულობის განტოლება

როგორც აღინიშნეთ, IS-LM მოდელი (ინვესტიციები-დანაზოვები, ლიკვიდურობისაღმე უპირატესობის მიჩვენება-ფული) წარმოადგენს სასაქონლო-ფულადი წონასწორობის მოდელს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვალანოთ ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის განმსაზღვრელი ეკონომიკური ფაქტორები. მოდელი საშუალებას გვაძლევს ემოკოთ რ საბაზრო საპროცენტო განაკვეთისა და Y შემოსავლის ისეთი შესაბამისობა, რომლის დროსაც სასაქონლო და ფულად ბაზრებზე წონასწორობა ერთდროულად მიიღწევა. ამიტომ, IS-LM მოდელი AD-AS მოდელის კონკრეტიზაციაა.

IS-LM მოდელის ძირითადი განტოლებებია:

$$1) Y = C + I + G + NX - \text{ძირითადი მაკროეკონომიკური იგივეობა;}$$

$$2) C = a + b(Y - T) - \text{მოხმარების ფუნქცია, სადაც } T = T_a + tY;$$

$$3) I = c - dr - \text{ინვესტიციის ფუნქცია;}$$

$$4) NX = g - m'Y - nr - \text{წმინდა ექსპორტის ფუნქცია;}$$

$$5) M/P = eY - fr - \text{ფულაზე მოთხოვნის ფუნქცია.}$$

მოდელის შიდა ცვლადებია: Y (შემოსავალი), C (მოხმარება), I (ინვესტიციები), NX წმინდა ექსპორტი, r (საპროცენტო განაკვეთი).

მოდელის გარე ცვლადებია: G (სახელმწიფო დანახარჯები), M (ფულის მიწოდება), t (ზღვრული სავალაქის გადასახადი განაკვეთი), T (გადასახადები), P (ფასების საშუალო დონე, რომელიც ფიქსირებულია).

ემპირიული კოეფიციენტები (a, b, c, d, e, f, g, m', n) დადებითია და შედარებით სტაბილური, სადაც

a – ავტონომიური მოხმარება,

b – მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება,

c – დადებითი პარამეტრი ინვესტიციის ფუნქციაში,

d – ინვესტიციების ელასტიკურობის კოეფიციენტი საპროცენტო განაკვეთის მიმართ,

e – რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლების მიმართ,

f – რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნის ელასტიკურობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ,

g – ავტონომიური ელემენტური წმინდა ექსპორტი,

m' – იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება,

n – წმინდა ექსპორტის ელასტიკურობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ.

მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ეკონომიკა რესურსების არასრულად გამოყენების მდგომარეობაში იმყოფება ($Y < Y_1$), ფასების დონე P ფიქსირებულია (წინასწარგანსაზღვრულია), ხოლო

საპროცენტო განაკეთისა r და ერთობლივი შემოსავლის Y სიდიდეები - ცვალებადი. რადგანაც $P = const$, ყველა ცვლადის ნომინალური და რეალური მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა.

გარკვევადიან პერიოდში, როდესაც კონომიკა იმყოფება რესურსების სრულად გამოყენების მდგომარეობაში ($Y = Y^*$), ფასების დონე P ცვალებადია. ამ შემთხვევაში M ცვლადი (ფულის მიწოდება) ნომინალური სიდიდეა, ხოლო მოდელის ყველა დანარჩენი ცვლადი - რეალური.

IS მრუდის განტოლება r -ის მიმართ შემდეგნაირად გამოიყურება:

$$r = \frac{a + c + g}{d + n} - \frac{1 - b(1 - t) + m'}{d + n} \times Y + \frac{1}{d + n} \times G - \frac{b}{d + n} \times T_a.$$

სადაც $T = T_a + tY$.

IS მრუდის განტოლება Y -ის მიმართ შემდეგნაირად გამოიყურება:

$$Y = \frac{a + c + g}{1 - b(1 - t) + m'} + \frac{1}{1 - b(1 - t) + m'} \times G - \frac{b}{1 - b(1 - t) + m'} \times T_a - \frac{d + n}{1 - b(1 - t) + m'} \times r,$$

სადაც $T = T_a + tY$.

კოეფიციენტი $(1 - b(1 - t) + m')/(d + n)$ განსაზღვრავს IS მრუდის დახრილობის კუთხეს Y ღერძის მიმართ, რომელიც ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედარებითი ეფექტიანობის ერთ-ერთი პარამეტრია.

IS მრუდი უფრო დაშრეცია იმ პირობებში, თუკი:

- 1) ინვესტიციებისა და წმინდა ექპორტის მგრძობელობები (შესაბამისად, d და n) საპროცენტო განაკეთის დინამიკის მიმართ მაღალია;
- 2) მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება (b) მაღალია;
- 3) გადასახადებით დაბეგრების ზღერული განაკეთი (i) დაბალია;
- 4) იმპორტისადმი ზღერული მიდრეკილება (m') დაბალია.

სახელმწიფო დანახარჯების G ზრდის ან გადასახადების T შემცირების გაეფენით IS მრუდი გადადგილება მარჯვნივ. ზღერული სავადასახადო განაკეთის i ცვლილება ცვლის აგრეთვე მისი დახრილობის კუთხეს. გარკვევადიან პერსპექტივაში IS მრუდის დახრილობა შეიძლება შეიცვალოს შემოსავლების პოლიტიკის დახმარებითაც, რადგანაც მაღალშემოსავლიან ოჯახებს სახსიათებთ უფრო დაბალი მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება, ვიდრე ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებს. დანარჩენი პარამეტრები (d , n და m') არ ექვემდებარება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედებას და უპირატესოდ გარეშე ფაქტორებია, რომლებიც განსაზღვრავს მის ეფექტიანობას.

LM მრუდი ასახავს ფულად ბაზარზე წონასწორობას. ის აფიქსირებს Y -ისა და r -ის ყველა კომბინაციას, რომელიც ამაყოფილებს ფულზე მოთხოვნის ფუნქციას ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების M მოცემული სიდიდის პირობებში. LM მრუდის ყველა წერტილში ფულზე მოთხოვნა მიწოდების ტოლია.

LM მრუდის განტოლება მიიღება მე-5 ტოლობის ამოხსნით r -ისა და Y -ის მიმართ. ის შემდეგნაირად გამოიყურება:

$$r = \frac{e}{f} Y - \frac{1}{f} \times \frac{M}{P} \quad (r - \text{ის მიმართ});$$

$$Y = \frac{1}{e} \times \frac{M}{P} + \frac{f}{e} r \quad (Y - \text{ის მიმართ}).$$

e/f კოეფიციენტი ასახავს LM მრუდის დახრილობის კუთხეს Y ღერძის მიმართ, რომელიც, IS მრუდის დახრილობის კუთხის ანალოგიურად, განსაზღვრავს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედარებითი ეფექტიანობას.

LM მრუდი უფრო დაშრეცია იმ პირობებში, თუკი:

- 1) ფულზე მოთხოვნის მგრძობელობა საბაზრო საპროცენტო განაკეთის დინამიკის f მიმართ მაღალია;
- 2) ფულზე მოთხოვნის დინამიკა შშპს (Y) მიმართ e დაბალია.

თუ LM მრუდის განტოლებიდან r -ის მნიშვნელობას ჩავსევამთ IS მრუდის განტოლებაში და მიღებულ გამოსახულებას ამოხსნით Y -ის მიმართ, მივიღებთ წარმოების წონასწორული მოცულობის ალგებრულ გამოსახულებას, რომელიც ასე გამოიყურება:

$$Y = f \times \frac{a + c + g + G - b \times T_a}{e(d+n) + f[1 - b(1-t) + m]} + \frac{d+n}{e(d+n) + f[1 - b(1-t) + m]} \times \frac{M}{P}$$

იმ პირობით, თუ $T = T_a + tY$.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, გვ. 399-415
2. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, გვ. 396-423
3. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, გვ. 404-421
4. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, გვ. 281-311
5. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall, 2000, გვ. 89-107
6. Burda M., Wyplosz C. Macroeconomics: A European Text, 3rd ed., Oxford University Press, 2001, გვ. 102-133
7. Turner P. Modern Macroeconomic Analysis, McGraw-Hill, 1993, გვ. 221-242

თავი 11. პრეზიდენტი მიწოდება

ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის პრობლემა – მხოლოდ დროებითი დღევანდელი ურთიერთობის შემცირების შესაძლებლობა ინფლაციის ზრდის ხარჯზე წარმოიშობა არა ფასების ზრდის შედეგად, როგორც ასეთი, არამედ გაუთვალისწინებელი, ე.ი. დასაქმებული ინფლაციის შედეგად.

მიტონ ფრიდმანი

ამჯერად გადავღივართ ერთობლივი მიწოდების განხილვაზე. მე-9 და მე-10 თავებში ვისარგებლეთ *IS-LM* მოდელით, რომლის დახმარებითაც ემიყვინეთ, თუ როგორ იწყებს ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის, ასევე ფულისა და საქონლის ბაზრებზე წონასწორობის პირობათა ცვლილებები ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. ანალიზს თუ დაეუმატებთ ერთობლივი მიწოდების მრუდს, შეეძლება ვინმესწარმეტყველოთ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები თუ რა გავლენას მოახდენს წარმოების მოცულობაზე და ფასების დონეზე. ამ ცვლილებათა ასახსნელად აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა განსახილველად ერთობლივი მიწოდების მრუდის მდგომარეობასა და დახრილობას. სწორედ ეს არის მოცემული თავის მთავარი მიზანი.

როდესაც მე-8 თავში თავდაპირველად წარმოვადგინეთ ერთობლივი მიწოდების მრუდი, ენახეთ, რომ ერთობლივი მიწოდების ფორმირების პირობები მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისათვის მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გრძელვადიანი პერიოდისათვის ფასები მოქნილია და ერთობლივი მიწოდების მრუდიც ვერტიკალურია. მისი ასეთი კონფიგურაცია ნიშნავს იმას, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება გავლენას ახდენს მხოლოდ ფასების დონეზე. მაგრამ არ ზემოქმედებს ერთობლივი შემოსავლის სიდიდეზე და საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობაზე. მაგრამ, მოკლევადიან პერიოდში ფასები ხისტია და ერთობლივი მიწოდების მრუდს გაანინა ვერტიკალურისგან განსხვავებული ფორმა. ამ შემთხვევაში, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებას მიუყვართ ერთობლივი შემოსავლის სიდიდისა და წარმოების მოცულობის რყევამდე. მე-8 თავში გამარტივებული ფორმით განვიხილეთ ის შემთხვევა, როდესაც ფასები ხისტია და ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიანი პერიოდისათვის გამოსახუთა პორობენტალური ხაზით. თანაც, ამ დროს განვიხილეთ უკიდურესი შემთხვევა, როდესაც ყველა ფასი ფიქსირებული იყო.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ერთობლივი მიწოდება, საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ მოკლევადიანი პერიოდისათვის ერთობლივი მიწოდების მრუდის დახრილობის ასხნის სხვადასხვა ვარიანტი. რამდენადაც ეკონომისტთა შორის არ არსებობს თანხმობა ერთობლივი მიწოდების ასხნის თვალსაზრისით, ჩვენ განვიხილავთ ოთხ ყველაზე გავრცელებულ მოდელს. მოკლევადიან პერიოდში განსხვავების, ყველა მოდელს საფუძვლად უდევს მოკლევადიანი და გრძელვადიანი დროითი მონაკვეთისათვის ერთობლივი მიწოდების მრუდის ფორმის განსხვავებათა მიზეზების ასხნა, ასევე საერთო დასვენა იმისთან დაკავშირებით, რომ მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი მიმართულია მარჯვნივ-მალდა.

მოდელების გაანალიზებისას აღმოვაჩინეთ, რომ მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი ასახავს დღევანდელ ორ ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელს: ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. ეს დღევანდელი მდგომარეობის იმის, რომ ინფლაციის შემცირების მიზნით პოლიტიკოსები იძულებულნი არიან დროებით ააბაღლონ უმუშევრობის დონე, ხოლო უმუშევრობის შემცირების მიზნით მათ მოუწოდებენ დაუშვან უფრო მაღალი ინფლაციის არსებობა. ამ თავის დასაწყისში მოყვანილი ციტატა მეტყველებს იმაზე, რომ უმუშევრობასა და ინფლაციას შორის დღევანდელი არსებობს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში.

საბოლოოდ, ვეუბნებოდა რა მხედველობაში იმას, რომ ამ სფეროში აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები, ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ ბოლო გამოკვლევებს ერთობლივი მიწოდების თეორიის სფეროში.

11-1. ერთობლივი მიწოდების თბი მოდელი

ამ ნაწილში წარმოვადგინეთ ერთობლივი მიწოდების ოთხ ძირითად მოდელს მათი შემუშავების ქრონოლოგიის შესაბამისად. ყველა ამ მოდელში ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიანი პერიოდისათვის განსხვავდება ვერტიკალურისაგან საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილების გამო. შედეგად, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება იწყებს წარმოების მოცულობის დროებით გადახრას ბუნებრივი დონისაგან.

ოთხივე მოდელში ერთობლივი მიწოდება წარმოდგენილია შემდეგნაირად

$$Y = \bar{Y} + \alpha(P - P^*), \quad \alpha > 0,$$

სადაც Y – წარმოების მოცულობაა, \bar{Y} – წარმოების ბუნებრივი დონე, P – ფასების დონე, ხოლო P^* – ფასების მოსალოდნელი დონე. ეს გამოსახულება ნიშნავს, რომ წარმოების მოცულობა გადაიხრება თავისი ბუნებრივი მნიშვნელობისგან, როდესაც ფასების დონე განსხვავდება მოსალოდნელისგან. α პარამეტრი გვიჩვენებს, თუ რამდენად მგრამობიარეა წარმოების დონე ფასების დონის მიყოლებელი ცვლილებების მიმართ; $1/\alpha$ – ერთობლივი მიწოდების მრუდის დახრილობაა.

ოთხივე მოდელი გვეთავაზობს ამ ტოლობით გამოხატული დამოკიდებულების სხვადასხვა ახსნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მოდელიდან თითოეული ხაზს უსვამს კონკრეტულ მიზეზს, რომლის მიხედვითაც ფასების მიყოლებელი ცვლილებები იწვევენ წარმოების მოცულობის ცვლილებებს.

ერთობლივი მიწოდების მოდელი ხისტი ხელფასის პირობებში

მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდის ეკონომიკური ხაზისგან განსხვავების ახსნასს მრავალი ეკონომისტი მიუთითებს ისეთი მაჩვენებლის განსაკუთრებულობაზე, როგორცაა ნომინალური ხელფასი. მრავალ დარგში, განსაკუთრებით იქ, სადაც არ არსებობს პროფესიული კავშირები, ნომინალური ხელფასი განისაზღვრება კონტრაქტებით და ამგვარად, არ შეიძლება სწრაფად შეიცვალოს ეკონომიკური პირობების ცვლილების კეალობაზე. თითო იმ დარგებშიც კი, რომლებშიც არ არსებობს ფორმალური კონტრაქტები, ფირმებს და მომუშავეებს შორის ფორმალურმა შეთანხმებებამაც შეიძლება შეზღუდონ ხელფასის ცვლილებები. ხელფასის სიდიდე შეიძლება აგრეთვე დამოკიდებული იყოს სოციალურ ნორმებზე და საპროტიანობის მიმართ წარმოდგენებზე, რომლებიც საკმაოდ ნელა იცვლებიან. ამ მიზეზების გამო მრავალი ეკონომისტი ეარაუდობს, რომ მოკლევადიან პერიოდში ნომინალური ხელფასი უცვლელია, ანუ „ხისტია“.

ერთობლივი მიწოდების მოდელი ხისტი ხელფასის პირობებში გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ხელფასის სიხისტე ერთობლივ მიწოდებაზე. ამ მოდელის მიმოხილვის მიზნით განვიხილოთ, თუ როგორ შეიცვლება წარმოების მოცულობა ფასების დონის ზრდის შემთხვევაში.

- როდესაც ნომინალური ხელფასი უცვლელია, ფასების ზრდა ამცირებს რეალურ ხელფასს, რაც აიაფებს შრომას.
- დაბალი რეალური ხელფასი განაპირობებს ფირმების მხრიდან მეტი მომუშავის დაქირავებას.
- წარმოებაში მეტი რაოდენობის შრომითი რესურსის ჩართვა იწვევს წარმოების მოცულობის ზრდას.

ფასების დონეცა და წარმოების მოცულობაც შორის დადებითი დამოკიდებულება ნიშნავს იმას, რომ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც ნომინალური ხელფასი უცვლელია, ერთობლივი მიწოდების მრუდს ექნება დადებითი დახრილობა.

ამ დამოკიდებულების კიდევ უფრო ფორმალური დასკვნისათვის დაეუშუათ, რომ მომუშავეები და ფირმები აწარმოებენ მოლაპარაკებებს ნომინალური ხელფასის სიდიდის საკითხთან დაკავშირებით და დებენ შესაბამის ხელშეკრულებას მანამ, ვიდრე მათთვის გახდება ცნობილი მათი შეთანხმების მოქმედების პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული ფასების დონე. შეთანხმების მონაწილე მხარეები – მომუშავეები და ფირმები – გამოდიან რეალური ხელფასის რომელიმე განსაზღვრული დონიდან. აღნიშნული მიზნობრივი დონე შეიძლება იყოს რეალური ხელფასის სიდიდე, რომლის დროსაც შრომის მიწოდება ტოლია შრომაზე არსებული მოთხოვნისა. მაგრამ, უფრო საეარაუდოა ის, რომ ეს მიზნობრივი დონე დამოკიდებული იყოს აგრეთვე სხვადასხვა ფაქტორებზეც, რომლებიც განაპირობებენ რეალური ხელფასის შენარჩუნებას წინასწარულ მნიშვნელობასთან შედარებით უფრო მაღალ დონეზე. ასეთ ფაქტორებს განვიყოფნება: პროფესიული კავშირების ძალაუფლება, წარმოების ეფექტიანობაზე ხელფასის დონის ზემოქმედების თაობაზე მოსაზრებები და ა.შ., რაც მე-2 თავში იქნა განხილული.

მაშასადამე, ორივე მხარე განსაზღვრავს ნომინალური ხელფასს W , გამოდიან რა მიზნობრივი რეალური ხელფასის w სიდიდიდან და ფასების მოსალოდნელი დონიდან P^* .

$$W = w \times P^*$$

ნომინალური ხელფასი = მიზნობრივი რეალური ხელფასი \times ფასების მოსალოდნელი დონე

მას შემდეგ, როგორც კი მომუშავეთა დაქირავების წინ ნომინალური ხელფასის დონე დაწესდება, ფირმები ეღებულებათ ინფორმაციას ფასების რეალური დონის – P -ს შესახებ. მაშინ რეალური ხელფასი გაუტოლდება:

$$\frac{W}{P} = w \times \left(\frac{P^e}{P}\right)$$

რეალური ხელფასი = მიზნობრივი რეალური ხელფასი \times $\frac{\text{ფასების მოსალოდნელი დონე}}{\text{ფასების რეალური დონე}}$


ეს ტოლობა გეიყენებს, რომ რეალური ხელფასის სიდიდე გადაიხრება მიზნობრივი ხელფასის სიდიდისგან, თუ რეალური ფასების დონე განსხვავებული იქნება მოსალოდნელისაგან. როდესაც ფასების რეალური დონე მოსალოდნელზე მაღალია, რეალური ხელფასი მიზნობრივზე ნაკლები იქნება; როდესაც ფასების რეალური დონე მოსალოდნელზე დაბალია, რეალური ხელფასი მის მიზნობრივ მნიშვნელობაზე მაღალი იქნება.

და ბოლოს, ნვენ ვეულისხმობთ, რომ დასაქმების დონე განისაზღვრება მხოლოდ ფირმების მხრიდან შრომაზე არსებული მოთხოვნით (კაპიტალი და ტექნოლოგია უცვლელია). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომუშავეებსა და ფირმებს შორის შეთანხმებაში დასაქმების დონე წინასწარ არ განისაზღვრება; მომუშავეები თანხმდებიან მიაწოდონ შრომის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ფირმებისათვის მოცემული, წინასწარ შეთანხმებული ხელფასისა განაკეთისა და პროდუქციაზე ფასების ფაქტორი დონის შემთხვევაში. ფირმების მიერ დაქირავების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს გამოეხსიან შრომაზე მოთხოვნის ფუნქციით:


$$L = L^d \left(\frac{W}{P}\right)$$

ეი. რაც უფრო დაბალია რეალური ხელფასი, მით უფრო მაღალია დასაქმებულთა რაოდენობა, რაც ნაჩვენებია ნახ. 11-ს-ზე. წარმოების მოცულობა განისაზღვრება საწარმოო ფუნქციით: $Y = F(L, K)$, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მაღალია დაქირავებულთა რაოდენობა, მით უფრო მეტია წარმოების მოცულობა (იხ. ნახ. 11-1). ნახ. 11-ს-ზე გამოსახულია ერთობლივი მიწოდების მრუდი.


ა) შრომაზე მოთხოვნა



ბ) საწარმოო ფუნქცია



გ) ერთობლივი მიწოდება



ნახ. 11-1 ხისტი ხელფასის მოდელი. ნახ. 11-ს-ზე ნაჩვენებია შრომაზე მოთხოვნის მრუდი. რამდენადაც ნომინალური ხელფასი უცვლელია, ფასების დონის ზრდა P_1 -დან P_2 -მდე ამცირებს რეალურ ხელფასს W/P_1 -დან W/P_2 -მდე დაბალი რეალური ხელფასი ზრდის შრომის რაოდენობას L_1 -დან L_2 -მდე. ნახ. 11-ს-ზე გამოსახულია საწარმოო ფუნქცია. შრომითი რესურსების L_1 -დან L_2 -მდე ზრდა იწვევს წარმოების ზრდას Y_1 -დან Y_2 -მდე. ნახ. 11-ს-ზე გამოსახულია ერთობლივი მიწოდების მრუდი ასახავს ფასების დონესა და წარმოების მოცულობას შორის დამოკიდებულებას. ფასების დონის P_1 -დან P_2 -მდე ზრდა იწვევს წარმოების ზრდას Y_1 -დან Y_2 -მდე.

ამგეარად, ხისტი ხელფასის მოდელის თანახმად, ფასების მოულოდნელი ცვლილებები იწვევს რეალური ხელფასის სიდიდის გადახრას მისი მიზნობრივი მნიშვნელობისგან.

რეალური ხელფასის სიდიდის ცვლილებები, თავის მხრივ, გავლენას ახდენს შრომითი რესურსების გამოყენებისა და წარმოების მოცულობის მასშტაბებზე. ამგვარად, ერთობლივი მიწოდების მრუდის განტოლება შეიძლება ჩაეწეროს, როგორც

$$Y = \bar{Y} + \alpha(P - P^e).$$

წარმოების მოცულობა გადაიხრება თავისი ბუნებრივი მნიშვნელობისაგან, თუკი ფასების დონე გადაიხრება მოსალოდნელი დონისაგან.

მომუშავეთა მცდარი წარმოდგენის მოდელი

შემდეგი მოდელი, რომელიც აღწერს მოკლევადიან ერთობლივი მიწოდების მრუდს, შრომის ბაზარზე ახდენს ფოკუსირებას. ფოკუსირებული ხელფასის მოდელისაგან განსხვავებით მომუშავეთა მცდარი შეხედულების მოდელი გულისხმობს, რომ ხელფასი შეიძლება იოლად შეიცვალოს მოთხოვნა-მიწოდების გასაწონასწორებლად. ამ მოდელის საკუთრივ ეკონომიკურ გამოიხატება იმაში, რომ მომუშავეები დროებით ურევნენ ერთმანეთში ნომინალური და რეალური ხელფასების ცნებებს.

მომუშავეთა მცდარი შეხედულების მოდელის კომპონენტებია შრომის მიწოდება და შრომაზე მოთხოვნა. წინა მოდელის მსგავსად ამ მოდელშიც შრომის რაოდენობა, რომელზედ არსებობს მოთხოვნა, დამოკიდებულია რეალურ ხელფასზე:

$$L^d = L^d \left(\frac{W}{P} \right).$$

შრომის მიწოდების მრუდის განტოლება გამოიყურება შემდეგნაირად:

$$L^s = L^s \left(\frac{W}{P^e} \right).$$

ეს განტოლება გეჩვენებს, რომ მომუშავეთა მიერ შეთავაზებული შრომის რაოდენობა დამოკიდებულია მათ მიერ მოსალოდნელი რეალური ხელფასის სიდიდეზე. მომუშავეთათვის ცნობილია მათი ნომინალური ხელფასი W , მაგრამ მათთვის უცნობია ფასების საერთო დონე P . ღებულობენ რა გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რამდენი უნდა იმუშაონ, მომუშავეები მსხველქობაში დებულობენ მოსალოდნელ რეალურ ხელფასს, რომელიც ტოლია ნომინალური ხელფასი W შეფარდებული მათ მიერ მოსალოდნელ ფასების დონეზე P^e . ჩვენ შეგვიძლია მოსალოდნელი ხელფასი გამოვსახოთ შემდეგი გამოსახულებით:

$$\frac{W}{P^e} = \frac{W}{P} \times \frac{P}{P^e}$$

მოსალოდნელი რეალური ხელფასი არის „ნაყოფი“ ნამდვილი რეალური ხელფასისა - W/P და ფასების დონეზე მომუშავეთა მცდარი შეხედულებისა - P/P^e . იმისათვის რომ ენახოთ, თუ რა განსაზღვრავს შრომის მიწოდებას, ჩვენ შეგვიძლია გარდავაქმნათ ერთობლივი მიწოდების მრუდის განტოლება, თუ მასში ჩავსვათ W/P^e -ს და ჩაეწერთ შემდგომნაირად:


$$L^s = L^s \left(\frac{W}{P} \times \frac{P}{P^e} \right).$$

შრომის შეთავაზებული რაოდენობა დამოკიდებულია რეალური ხელფასის სიდიდეზე და აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად მცდარია მომუშავეთა წარმოდგენები.

ერთობლივი მიწოდების ანალიზისათვის ამ მოდელის დამატების შესაფასებლად განვიხილოთ შრომის ბაზარზე წონასწორობა, რომელიც ნაჩვენებია ნახ. 11-2-ზე. როგორც წესი, შრომაზე მოთხოვნის მრუდი დახრილია ქვემოთ, შრომის მიწოდების მრუდი კი მიემართება ზემოთ მარჯვნივ, ხოლო ხელფასი იცვლება ისე, რომ გააწონასწოროს მოთხოვნა და მიწოდება. შევინშნოთ, რომ შრომის მიწოდების მრუდის განლაგება და შესაბამისად, შრომის ბაზარზე წონასწორობის წერტილის მდებარეობა დამოკიდებულია მომუშავეთა წარმოდგენების სინამდვილისაგან გადახრის ხარისხზე, ე.ი. P/P^e -ზე.


განვიხილოთ მოვლენების განვითარების ორი შესაძლო ვარიანტი ფასების დონის ცვლილების შემთხვევაში. **პირველი ვარიანტი:** დაეუშვათ, რომ ფასების დონე P გაიზარდა და მომუშავეთა მოლოდინი გაართოვდა. ამ შემთხვევაში P^e იზრდება P -ს პროპორციულად და ამგვარად, არც შრო-

მის მიწოდება და არც შრომაზე მოთხოვნა არაეითარ ცვლილებას არ განიცდის. რეალური ხელფასი და დასაქმება იმავე დონეზე რჩება. ნომინალური ხელფასი იზრდება ფასების ზრდის ოდენობით.



ნახ. 11-2. მომუშავეთა მცდარი შეხედულების მოვლი: შრომის ბაზარზე წონასწორობა. მომუშავეთა მცდარი შეხედულების მოვლაში შრომის ბაზარზე მიიღწევა წონასწორობა ისე, რომ შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების მრუდების გადაკეობის წერტილი განსაზღვრავს დაქირავებულ მომუშავეთა რაოდენობას შენეშნით, რომ შრომის მიწოდების მრუდის მდებარეობა დამოკიდებულია ფასების თაობაზე მომუშავეთა წარმოდგენებზე.

მეორე ვარიანტი: დაუშვათ, რომ მოხდა ფასების ღირსი გაუთვალისწინებელი ზრდა და მომუშავეებს ამის თაობაზე ცნობები არ გააჩნიათ. ამ შემთხვევაში P^r იგივე დონეზე რჩება. მაშინ, რეალური ხელფასის თითოეული სიდიდის პირობებში მომუშავეები შეეცდებიან მიაწოდონ მეტი შრომა, რადგანაც ისინი თვლიან, რომ მათი რეალური ხელფასი იქნება გააცილებით მაღალი, ვიდრე სინამდვილეში შეიძლება მოხდეს. P/P^r -ს ზრდა შრომის მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ-დაბლა, როგორც ეს ნახ. 11-3-სა ნაჩვენებია.



ნახ. 11-3. მომუშავეთა მცდარი შეხედულების მოვლი: ფასების ღირსი მოულოდნელი ზრდა. ფასების მოულოდნელი ზრდის შემთხვევაში მომუშავეები ისწრაფვიან მიაწოდონ მეტი შრომა რეალური ხელფასის ნებისმიერი მოცემული ღირსის პირობებში, რადგანაც ისინი ვარაუდობენ, რომ მათი რეალური ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე ის სინამდვილეშია. ამგვარად, იზრდება დასაქმების ღირსი წონასწორული მნიშვნელობა.

შრომის მიწოდების აღნიშნული გადაადგილება რეალურ ხელფასს ამცირებს და დასაქმების დონეს ზრდის. არსებითად, ნომინალური ხელფასის ზრდა, რომელიც გამოწვეულია ფასების ღირსი ზრდით, მომუშავეებს აიძულებს ჩათვალონ, რომ გაიზარდა მათი რეალური ხელფასი, რაც მათ

სურვილს აღუორავთ შესთავაზონ მეტი შრომა. სინამდვილეში, ნომინალური ხელფასი იზრდება ნაკლები ოდენობით, ვიდრე ფასების დონე ივარაუდება, რომ ფირმები უკეთ არიან გათვითცნობიერებულნი, ვიდრე ჩვეულებრივი მომუშავეები და ისინიც, აღმოაჩენენ რა რეალური ხელფასის შემცირებას, დაიქირავენ მეტ მომუშავეს და აწარმოებენ მეტ პროდუქციას.

მთლიანობაში, მომუშავეთა მცდარი წარმოდგენების მოდელი გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელი დონისგან ფასების გადახრა განაპირობებს შრომის მიწოდების თაობაზე გადაწყვეტილების შეცვლას. აღნიშნული მოდელი გულისხმობს ისეთივე ერთობლივი მიწოდების შრედის განტოლებას, როგორც ფიქსირებული ხელფასის მოდელი:


$$Y = \bar{Y} + \alpha(P - P^e).$$

წარმოების მოცულობა გადაისრება თავისი ბუნებრივი მნიშვნელობისაგან ფასების დონის მოსალოდნელისაგან გადახრის შემთხვევაში.

მაგალითი 11-1

რეალური ხელფასის ციკლური რყევები

შრომაზე მოთხოვნის უცვლელი მიუდის ნებისმიერ მოდელში (როგორცაა ჩვენს მიერ ზემოთ ნაჩვენები მოდელები) დასაქმება იზრდება რეალური ხელფასის შემცირების შემთხვევაში. ხისტი ხელფასისა და მომუშავეთა მცდარი წარმოდგენების მოდელში, ფასების დონის მოსალოდნელი ზრდა იწვევს რეალური ხელფასის შემცირებას და ამგვარად, დასაქმებისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდას შესაბამისად, რეალური ხელფასი კონტრაქტული ხასიათის მატარებელი უნდა იყოს: ის უნდა ირყეოდეს იმ მიმართულებით, რომელიც საწინააღმდეგოა დასაქმებისა და გამოშვების რყევებისა. თითო კონზოც წერდა თავის „ზოგად თეორიამ...“, რომ „დასაქმების ზრდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ რეალური ხელფასის შემცირებასთან შეთანხმებით“.



ნახ. 11-4. რეალური ხელფასის ციკლური ცვლილებები ნახაზე წარმოდგენილია მონაცემები პროცენტულ გამოსატულებში რეალური ხელფასისა (შრომის ანაზღაურების რეალური საათობრივი განაკვეთი) და შპპ-ს ცვლილებების შესახებ. გამოშვების რყევების დროს რეალური ხელფასი მოძრაობს იგივე მიმართულებით. ამგვარად, რეალური ხელფასი უფრო მეტად პროცედული ხასიათის მატარებელია. ეს დაკვირვება არ შეესაბამება არც ხისტი ხელფასის და არც მომუშავეთა მცდარი წარმოდგენების მოდელს.

პირველი იერიში „ზოგადი თეორიის...“ მიმართ მიიტანეს იმ კონომისტებმა, რომლებმაც წარმოადგინეს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ხელფასის რყევები არ შეესაბამება კონზის ვარაუდს ნახ. 11-4-ზე წარმოდგენილი პროცენტულ გამოსატულებში საათობრივი რეალური ხელფასისა და შპპ-ს ცვლილებები აშშ-ს მაგალითზე 1960 წლიდან 2000 წლამდე. კინზის ვარაუდი მართებული რომ ყოფილიყო, ამ დიაგრამაზე უნდა გვეჩანა ხელფასისა და შპპ-ს ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით, ანუ ხაზი, რომელიც დახრილი იქნებოდა

მარჯინეობა მთავრდება ამის. დიკარამ ახდენს რეალურ ხელფასს და წარმოების მოცულობას შორის მხოლოდ სუსტი კავშირის დემონსტრირებას. თუკი რეალური ხელფასის ცვილილება საერთოდ ცვილური ხასითისა, მაშინ ის რამდენადღე პროცენტურად გვივლინება: ადგილი აქვს რეალური ხელფასის ზრდის ტენდენციას წარმოების მოცულობის ზრდის შემთხვევაში.

ამ მომენტებზე ანალიზის მიყვარებით ვარაუდთან იმის შესახებ, რომ სამუშაო ძალაზე არანორმალურად მაღალ დანახარებზე არ შეუძლია ახსნის დასაქმებისა და ერთობლივი შემოსავლის დაბალი დონეზე მივსვები, რომლებიც რეცესიის პერიოდებში შემოწმდება. ამ მაგალითზე მრავალი ეკონომისტი დაარწმუნა იმაში, რომ თანესობად ხისტი ხელფასისა და მომუშავეთა მცდარი შეხედულების მიყვარებით არ ძალუბთ მოგვიყენ ერთობლივი მიწოდების კანონზომიერებათა კომპლექსური ახსნა.

ამასთან, ნაძველიად არ დარს ამ მაგალითების როლის გადაფასება. ზოგიერთ ეკონომისტთა აზრით არ შეიძლება ბოლომდე დავყვანოთ რეალური ხელფასის თაობაზე სტატისტიკურ მანქანებლებს, რადგანაც ისინი სხვადასხვა ხელფასების მქონე მომუშავეთა დიდი რაოდენობისათვის გაანგარიშებული საშუალო სიდიდეა. ეკონომისტი ციკლის განმავლობაში დასაქმების სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს ისეთნაირად, რომ წარმოშეის საშუალო ხელფასის შემცირების შეთანხმდება. მაგალითად, თუკი რეცესიის პერიოდში საშუალოდ განთავისუფლებულ მაღალანახლარებზედ მომუშავეთა რიცხვი არაპროპორციულად მაღალია, მაშინ საშუალო რეალური ხელფასი შეიძლება შემცირდეს, მაშინ, როდესაც ცალკეული მომუშავეის რეალური ხელფასი იზრდება. ასევე შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მომუშავეის რეალური ხელფასი ატარებდეს კონტრაციულურ ხასითს, როგორც ეს გამოიძინარეობს ხისტი ხელფასისა და მომუშავეთა მცდარი წარმოდგენების მიყვარებით.

არასრულყოფილი ინფორმაციის მოდელი

ერთობლივი მიწოდების შესაძვე მოდელი არასრულყოფილი ინფორმაციის მოდელი – გულისხმობს აგრეთვე მოკლევადიან და გრძელვადიან ერთობლივ მიწოდებათა მრუდებს შორის საბაზრო წონასწორობასა და განსხვავებებს მოკლევადიან პერიოდში ფასებზე ზოგიერთ მცდარ წარმოდგენებთან დაკავშირებით. მაგრამ მომუშავეთა მცდარი წარმოდგენების მოდელისაგან განსხვავებით, მოცემულ მოდელში არ არსებობს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ფირმები საკუთარ მომუშავეებზე უკეთ იყენენ ინფორმირებულნი. ამ მოდელის ყველაზე მარტივ ინტერპრეტაციაში მომუშავეებსა და ფირმებს შორის განსხვავებები ხაზგასმული არ არის.

არასრულყოფილი ინფორმაციის მოდელი ეყრდნობა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკაში კუთვლი მწარმოებელი აწარმოებს მხოლოდ ერთ საკონტელს, მაგრამ მოიხმარს მრავალს. რამდენადღე საკონტელის რაოდენობა ძალიან მაღალია, მიმწოდებლებს არ ძალუბთ ყველა ფასს ერთდროულად დაეყენონ თვალყური. ისინი სათანადო ყურადღებით აკვირდებიან იმ ნაკეთობებზე ფასებს, რომლებსაც თავად აწარმოებენ, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას იჩენენ იმ საკონტელთა ფასების მიმართ, რომლებსაც თავად მოიხმარენ. მათ ხელთ არსებული ინფორმაციების არასრულყოფილების გამო, ისინი ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ ფასების საერთო დონისა და შეფარდებითი ფასების ცვლილებებს. აღნიშნული შეცდომები გავლენას ახდენს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და წარმოშობებს ფასების დონისა და წარმოების მოცულობას შორის მოკლევადიან დამოკიდებულებას.

მაგალითად, განვიხილოთ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება მარცველულის მწარმოებელი ცალკეული ფერმერის მიერ. რამდენადღე ფერმერი ღებულობს შემოსავალს მარცველულის გაყიდვის და შემდგომი სარგებლობის ამ შემოსავლით საკონტელისა და მომსახურების შესაქენად, მარცველულის მოცულობა, რომლის წარმოებასაც ის აძირებს, დამოკიდებულია მარცველულის ფასზე ეკონომიკაში სხვა საკონტელისა და მომსახურების ფასებთან მიმართებაში. თუ მარცველულის ფასი შედარებით მაღალია, მაშინ ფერმერს უნდება დაბალბული მუშაობისადმი და მარცველულის მეტი ოდენობით წარმოებისადმი სტიმული. თუ მარცველულის შეფარდებითი ფასი დაბალია, მაშინ ფერმერი უპირატეობას მიაჩნებს იქონიის მეტი თავისუფალი დრო, იმუშაოს ნაკლები და შესაბამისად, აწარმოოს ნაკლები რაოდენობის მარცველული.

მაგრამ, როდესაც ფერმერი ღებულობს ამ გადაწყვეტილებას, მან არ იცის მარცველულის შეფარდებითი ფასი. არის რა მარცველულის მწარმოებელი, ფერმერი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მარცველულზე ფასებს და ამგვარად, მან იცის მისი ნომინალური ფასი. მაგრამ, მან არ იცის ეკონომიკაში დანარჩენი საკონტელის ფასები. ამგვარად, მას უწევს განსაზღვროს მარცველულის შეფარდებითი ფასი მისი ნომინალური ფასიდან და ფასების საერთო დონის მიმართ საკუთარი მოლოდინიდან გამომდინარე.

განვიხილოთ, თუ როგორ რეაგირებს ფერმერი ეკონომიკაში ფასების საერთო ზრდაზე, რომელიც ხდება მარცველულზე არსებულ ფასსაც. პირველი ვარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ ფერმერი ელოდება ფასების მსგავს ცვლილებებს. მაშინ, მარცველულის შეფარდებითი ფასის ზრდის შემთხვევაში მისი შეფასება ამ საკონტელის შეფარდებითი ფასების მიმართ არ განიცდის არავითარ ცვლილებას და ისიც არ ცდილობს მეტი აწარმოოს.

მეორე ვარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ ფერმერი არ ელოდება ფასების საერთო დონის ზრდას (ან ასეთ მაღალ ზრდას). ამიტომ, აკიორდება რა მარცველულზე ფასების ზრდას, ის არ

არის დარწმუნებული დანარჩენ საქონელზე (ეკვივალენტი) გაიზარდა ფასები (ასეთ შემთხვევაში, მარცვლელის შეფარდებითი ფასი დარჩება უცვლელი) თუ მხოლოდ მარცვლელზე გაიზარდა (ასეთ შემთხვევაში მასზე არსებული შეფარდებითი ფასიც გაიზარდება). რაციონალური იქნება მოსაზრება, რომ ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც ერთ, ისე მეორე მოვლენას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარცვლელის ნომინალური ფასის ზრდის ფაქტიდან გამომდინარე ფერმერი ასკენის, რომ მისი შეფარდებითი ფასიც რამდენადმე გაიზარდა. საბოლოოდ, ის უფრო ინტენსიურად იმუშავებს და შესაბამისად, მეტსაც აწარმოებს.

ჩვენ ფერმერი სულაც არ არის უნიკალური. ფასების მოლოდინელი ზრდის შემთხვევაში ყველა მწარმოებელი აწვდება საკუთარ პროდუქციასზე ფასების ზრდას. თითოეული მათგანი რაციონალურად, მაგრამ შეცდომით გარაუდობს, რომ მათ მიერ წარმოებად საქონელზე შეფარდებითი ფასებიცაა გაზრდილი. შედეგად, ისინი მეტი ინტენსივობით იმუშავებენ და მეტსაც აწარმოებენ.

მაშასადამე, არასრულყოფილი ინფორმაციის მოდელი ამტკიცებს, რომ როდესაც ფასები აჭარბებს მოსალოდნელ დონეს, მიმწოდებლები გარაუდობენ, რომ მათ მიერ წარმოებადი საქონლის შეფარდებითი ფასებიც გაიზარდა, რაც მათ ასტიმულირებთ გააფართოონ წარმოება. მოდელი გულისხმობს ერთობლივ მიწოდების მრუდის ჩვენთვის უკვე ცნობილ განტოლებას:

$$Y = \bar{Y} + \alpha(P - P^e).$$

წარმოების მოცულობა გადაიხრება თავისი ბუნებრივი მნიშვნელობისგან, როდესაც ფასების დონე გადაიხრება მოსალოდნელისაგან.

ხისტი ფასების მოდელი

ერთობლივი მიწოდების მოთხოვნა და ბოლო მოდელი – მოუქნელი ფასების მოდელი - ძირითად აქცენტს ამახილებს იმ ფაქტზე, რომ ფირმები საკუთარ საქონელზე ფასებს სულაც არ ცვლიან დაუყოვნებლივ მოთხოვნის რყევების საპასუხოდ. ზოგჯერ ფასები ფირმებსა და კლიენტებს შორის გრძელვადიანი კონტრაქტებით განისაზღვრება. ზოგჯერ ეს, თითო ფორმალური შეთანხმების გარეშეც ფირმები ფასებს უცვლელი ტოვებენ, რათა ფასების ხშირი ცვლილებებით არ დაქაჩვონ თავიანთი მუდმივი კლიენტები. ზოგიერთი ფასი უცვლელი რჩება ბაზრის ხასიათიდან გამომდინარე: ბჭვადენ და აერცვლებენ რა კატალოგებსა და პრისისტიტებს, ფირმებს ძვირი უჯდებათ ხოლმე ფასების შეცვლა.

ერთობლივი მიწოდებაზე ხისტი ფასების გაელენის გასაანალიზებლად განვიხილოთ კონკრეტულ ფირმებში ფასწარმოქმნაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი. შემდგომ, ჩვენ შევქმნებთ ცალკეული ფირმების ამ გადაწყვეტილებების ერთ მთლიანობაში თავმჯერებს და ერთობლივი მიწოდების მრუდის მიღებას.

განვიხილოთ გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც უწევს ფასებზე ამა თუ იმ ზომით მონოპოლიური კონტროლის (ე.ი. საბაზრო ძალაუფლების) მქონე ფირმა. ფირმისათვის სასურველი ფასი p განსაზღვრულია ორი მარკოვონომიური ცვლადით:

ფასების საერთო დონით P (ფასების უფრო მაღალი დონე ნიშნავს, რომ ფირმის დანახარჯები მაღალია. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია ფასების საერთო დონე, მით უფრო მეტად შეეცდება ფირმა შეცვალოს თავის პროდუქტზე არსებული ფასი);

ერთობლივი შემოსავლის დონით Y (შემოსავლის უფრო მაღალი დონე ზრდის ფირმის პროდუქციასზე მოთხოვნას; რამდენადაც ზღვრული დანახარჯი იზრდება წარმოების დიდი მოცულობების შემთხვევაში, მაშინ, რაც უფრო მეტია მოთხოვნა, მით უფრო მაღალია ფირმის მიერ დაწესებული ფასი).

ამგვარად, ჩვენ შევიძლია ფირმის მიერ დაწესებული ფასი ჩაწეროთ შემდეგნაირად:

$$p = P + a(Y - \bar{Y}).$$

სადაც a - დადებითი პარამეტრია. ეს გამოსახულება გვიჩვენებს, რომ ჩამოყალიბებული ფასი p დამოკიდებულია ფასების საერთო დონეზე P და წარმოების საერთო მოცულობაზე და მის ბუნებრივ დონეებს შორის სხვაობაზე $Y - \bar{Y}$.

ახლა დავეშვათ, რომ არსებობს ორი ტიპის ფირმა. ზოგიერთ ფირმას გააჩნია მოქნილი ფასები: ისინი მათ ყოველთვის ზრდიან ზემოთმოცემული ტოლობის შესაბამისად. სხვა ფირმებს კი აქვთ ხისტი ფასები: ისინი მათ, მომავალი ეკონომიკური სიტუაციის თავიანთი შეფასებებიდან გამომდინარე შემდეგი ფორმულის მეშვეობით წინასწარ აწესებენ:

$$p = P^e + a(Y^e - \bar{Y}^e),$$

სადაც e ინდექსი აზერადაც აღინიშნავს ცვლადის მოსალოდნელ მნიშვნელობას. სიმარტივისათვის დაეუფეთ, რომ ფირმები ელოდებიან წარმოების მოცულობის ბუნებრივ მნიშვნელობასთან ტოლობას. ე.ი. ტოლობის ბოლო წერი $a(Y^* - Y^*)$ ნულის ტოლი იქნება. შემდგომ ეს ფირმები აწესებენ ფასებს:

$$p = P^*.$$

სხვა სიტყვებით რომ ეთქვას, ისინი აწესებენ ფასებს თაიანთი მოლოდინიდან გამომდინარე იმ ფასებთან მიმართებაში, რომლებიც სხვა ფირმების მიერ ღარიდნება.

ჩვენ შეგვიძლია ვისარტყლოთ ფირმების ორი ჯგუფის ფასწარმოქმნის წესით იმისათვის, რათა გამოვიყენოთ ერთობლივი მიწოდების განტოლება. ამის განსახორციელებლად ვაპირებთ ეკონომიკაში ფასების საერთო დონე, რომელიც წარმოადგენს ფირმების ამ ჯგუფის მიერ დაწესებულ საშუალო შეწონილ ფასს. თუკი s - ხისტი ფასების მქონე ფირმების წილია, ხოლო $(1-s)$ - მოქნილი ფასების მქონე ფირმათა წილი, მაშინ ფასების საერთო დონე ტოლი იქნება

$$P = sP^* + (1-s)[P + a(Y - Y^*)].$$

გამოსახულების პირველი წერი წარმოადგენს ფასებს, რომლებიც დაწესებულია ხისტი ფასების მქონე ფირმების მიერ და შეწონილია ეკონომიკაში ამ ფირმათა წილის მიხედვით, ხოლო მეორე წერი - მოქნილი ფასწარმოქმნის მქონე ფირმების მიერ დაწესებული ფასებია, რომელიც ასევე შეწონილია ეკონომიკაში ამ ფირმათა წილის მიხედვით. ტოლობის აღებულებული გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ:

$$sP = sP^* + (1-s)[a(Y - Y^*)].$$

გამოსახულების ორივე ნაწილის s -ზე გაყოფით მივიღებთ:

$$P = P^* + \left[\frac{1-s}{s} \right] a(Y - Y^*).$$

მოცემული ტოლობის მარჯვენა ნაწილის პირველი და მეორე წერი აისხნება შემდეგნაირად:

- როდესაც ფირმები ელოდებიან ფასების ზრდას, იგულისხმება დანახარჯების ზრდაც. ის ფირმები, რომლებიც ფასებს წინასწარ აწესებენ, ზრდიან მათ დონეს. ეს აიძულებს სხვა ფირმებსაც მაღალი ფასები დააწესონ. ამგვარად, მაღალი მოსალოდნელი ფასების დონე იწვევს ფასების მაღალ დონეს სინამდვილეში.
- როდესაც წარმოების მოცულობა მაღალია, მაღალია საქონელზე მოთხოვნაც. მოქნილი ფასწარმოქმნის მქონე ფირმები თაიანთი საქონელზე აწესებენ მაღალ ფასებს, რაც იწვევს ფასების ღირს ზრდას. წარმოების მოცულობის ღირსების დონეზე გაავლენ დამოკიდებულია მოქნილი ფასწარმოქმნის მქონე ფირმების წილზე.

ამგვარად, ფასების საერთო დონე დამოკიდებულია ფასების მოსალოდნელ დონეზე და წარმოების მოცულობაზე.

ამ მოდელის განტოლების აღებულებული გარდაქმნის შედეგად მივიღებთ ერთობლივი მიწოდების ჩვეულებრივ განტოლებას:

$$Y = Y^* + \alpha(P - P^*),$$

სადაც $\alpha = s/(1-s)$. როგორც სხვა მოდელი, ხისტი ფასების მოდელიც ამტკიცებს, რომ წარმოების მოცულობის მისი ბუნებრივი დონისგან გადახრა დაკავშირებულია ფასების დონის მოსალოდნელისგან გადახრასთან.

მოუხედავად იმისა, რომ ხისტი ფასების მოდელში ძირითადი ყურადღება ეთმობა საქონლის ბაზარს, განვიხილოთ, თუ რა ხდება შრომის ბაზარზე. თუკი მოკლევადიან პერიოდში ფირმის მიერ დაწესებული ფასი უცვლელია, მაშინ ერთობლივი მოთხოვნის შემცირება ამცირებს საქონლის პროდუქციას, რომლებიც შეიძლება გაყიდულიყო ფირმის მიერ. გაყიდვების შემცირებაზე ფირმა პასუხობს წარმოების შეკვეთით და შრომასზე მოთხოვნის შემცირებით. შესაბამისად, ხისტი ფასების მოდელში გამოშვების რყევები უფრო მეტად დაკავშირებულია შრომასზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილებასთან, ვიდრე შრომასზე მოთხოვნის უძრავი მრუდის გასწვრივ მოძრაობასთან. ამგვარად, ამ მოდელში რეალურ ხელფასს შეიძლება ჰქონდეს პროცენტული ხასიათი.

მაგალითი 11-2

საერთაშორისო განსხვავებები ერთობლივი მიწოდების მრუდის ფორმაში

ეკონომისტები ხშირად სარგებლობენ ერთობლივი მიწოდების მოდელით ქვეყანათაშორის განსხვავებების ასახვად. ერთობლივი მიწოდების მოკლედვლიან მრუდებში. ადგილი აქვს სტატიკურად ალტერნატიული მოვლების შეუახების ცდებს, რათა ისინი გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური რყევების ხასიათში განსხვავების ასახვად.

როდესაც ეკონომისტმა რატობერ ლუკასმა გახული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში შემოგთავაზა არასრულყოფილი ინფორმაციის მოდელი, მან გამოთქვა სუნებრივი ვარაუდი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება განსხვავებულდეს ერთობლივი მიწოდების მრუდები ქვეყნების მიხედვით. ლუკასმა შენიშნა, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდის დახრილობა დამოკიდებული უნდა იყოს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ცვალებადობის ხარისხზე. ამ ქვეყნებში, რომლებიც სასიათღებან ერთობლივი მოთხოვნის შესაძენე რყევებით, საერთო ფასების დონის რყევებიც ასევე მაღალია. რაზედაც ამ ქვეყნებში ფასების ზრდის ურთავლესი შემთხვევა არ ასახავს შეუარდებითი ფასების ცვალებადობას, მწარმოებლებმა ისწავლეს, რომ ფასების დონის მოულოდნელ ცვლილებებზე არ მიახდინონ ძლიერი რეაგირება. ასეთ შემთხვევაში ერთობლივი მიწოდების მრუდი უნდა იყოს შედარებით ციცაბო (ე.ი. α - მცირე სიდიდეა). პირიქით, ქვეყნებში, სადაც ერთობლივი მოთხოვნა შედარებით სტაბილურია, მწარმოებლები უნდა შეეგუონ იმას, რომ ფასების უხედაცეს ცვლილება დაეკონტროლებოდა შეუარდებითი ფასების სტრუქტურაში არსებულ გარკვეულ ძირებითან. შესაბამისად, ამ ქვეყნებში მწარმოებლები უფრო მგრძობიარები არიან ფასების მოულოდნელ ცვლილებების მიმართ, რაც ერთობლივი მიწოდების მრუდს შედარებით დაბრტყავს აქცესს (ე.ი. α -ს მნიშვნელობა მაღალია).

ლუკასმა გადაამოწმა აღნიშნული ვარაუდი წარმოების მოცულობაზე და ფასებზე საერთაშორისო მონაცემების დაბოკლეებით. მან აღმოაჩინა, რომ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები წარმოების მოცულობაზე გვსახავს ციფრად ხედვებს ახდენს ამ ქვეყნებში, სადაც ერთობლივი მოთხოვნა და ფასები ყველაზე სტაბილურია აქედან გამომდინარე ლუკასმა დაასკვნა, რომ სტატიკური მონაცემები მიწობენ არასრულყოფილი ინფორმაციის მოდელის სასარგებლოდ.

სიტუი ფასების მოდელსაც შეუძლია ახსნას, თუ რა განსაზღვრავს მოკლედვლიანი ერთობლივი მიწოდების მრუდის დახრილობა. თუკი ფასების იშვიათი კორექტირება ძირითადი მიზნია იმისა, რომ მოკლედვლიანი პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი არ წარმოადგენს ევრტიკალურ სახს, მაშინ ინფლაციის საშუალო დონე გაეკლანას უნდა ახდენდეს მრუდის დახრილობის სიდიდეზე. რაც უფრო მაღალია ინფლაციის საშუალო დონე, ფირმები მით უფრო ხშირად ახდენენ თავიანთი ფასების კორექტირებას ამ მიზნით, რათა ისინი მიესადაგონ მათ საერთო დონის ზრდას. უფრო ხშირი საფასე კორექტირება, თავის მხრივ, ფასებს აიძულებს უფრო სწრაფად მიახდინონ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებებზე რეაგირება. მაგალითად, ინფლაციის მაღალი დონე მოკლედვლიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდს უფრო ციცაბოდ აქცევს.

სხვადასხვა ქვეყნების მონაცემთა შედარება აბყარებს სიტუი ფასების მოდელით განსაზღვრულ დებულებას ინფლაციის დაბალი საშუალო დონის მქონე ქვეყნებში მოკლედვლიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი შედარებით დაბრტყავს: ერთობლივი მოთხოვნის რყევები ძლიერ აისახება წარმოების მოცულობაზე და შედარებით სუსტად - ფასებზე. მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნებს გააჩნიათ უფრო ციცაბო მოკლედვლიან ერთობლივი მიწოდების მრუდები. ამ ქვეყნებში ერთობლივი მოთხოვნის რყევები სუსტ გაეკლანას ახდენენ წარმოების მოცულობაზე, რაზედანაც ფირმები ხშირად ცუდიან ფასებს სხვა სიტუეებით რომ ვთქვათ, როგორც ჩანს, მაღალი ინფლაცია ახდენს ბაზრის იმ არასრულყოფილების დოკლედას, რომელსაც განაპირობებს ფასების სისხიტე.

შვენიშნით, რომ სიტუი ფასების მოდელი გეთავაზობს ლუკასის მიერ აღმოჩენილი დამოკიდებულების სხვაგვარ ინტერპრეტაციას, კერძოდ იმას, რომ ცვალებადი ერთობლივი მოთხოვნის ქვეყნებს გააჩნიათ ერთობლივი მიწოდების ციცაბო მრუდები მოკლედვლიან შედარებებში. თუკი ფასების დონე უმაღლეს იცვლება, მაშინ მხოლოდ მცირე რაოდენობის ფირმები შეეცდებიან ფასების წინასწარ დაწესებას (ს სიდიდე იქნება მცირე). შესაბამისად, ერთობლივი მიწოდების მრუდი იქნება ევრტიკალური (ა მცირე).

დასკვნები და თეორიებისაღმი დამატება

ნახ. 11-5-ზე წარმოდგენილია ერთობლივი მიწოდების ოთხი მოდელი და ბაზრების ის არასრულყოფილება, რომელთა შორისაც თითოეული ხსნის იმას, თუ რატომ არ არის მოკლედვლიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი ევრტიკალური. სურათზე მოდელები დაჯგუფებულია ორი მახასიათებლის შესაბამისად: პირველი - იტება თუ არა მოდელი იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ ბაზრები აღწევენ წინასწარობის მდგომარეობას, ე.ი. შეუძლია თუ არა ფასებსა და ხელფასს თავისუფლად გააწონასწორონ მოთხოვნა და მიწოდება. მეორე - რომელი ბაზარია არასრულყოფილი - შრომის თუ საკონდლის.

მიუაქციოთ ურთავლება იმას, რომ ერთობლივი მიწოდების აღნიშნული მოდელი სულაც არ არიან ერთმანეთში შეუთავსებლები. ჩვენ არ უნდა ეადიართ რომელიმე მოდელი სხვა დანარჩენების უარყოფით. სამეაროში შესაძლია შევხედვას საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილების ოთხეუ სახესხეობაზე, რაც შეიძლება აისახოს მოკლედვლიან პერიოდში ერთობლივი მიწოდებაზე.


		არასრულყოფილი ბაზრები	
		შრომის ბაზარი	საქონლის ბაზარი
მოდიან თუ არა ბაზრები წონასწორობის მდგომარეობაში?	დიახ	მომუშავეთა მცდარი წარმოდგენების მოდელი: <i>მომუშავეები აიგივებენ ნომინალური ხელფასის ცვლილებებს რეალური ხელფასის ცვლილებებთან</i>	არასრულყოფილი ინფორმაციის მოდელი: <i>მწარმოებლები აიგივებენ ფასების საერთო დონის ცვლილებებს შეფარდებითი ფასების ცვლილებებთან</i>
	არა	ხისტი ხელფასის მოდელი: <i>ნომინალური ხელფასი მდორედ იცვლება</i>	ხისტი ფასების მოდელი: <i>საქონელზე და მომსახურებაზე ფასები მდორედ იცვლება</i>

ნახ. 11-5. ერთობლივი მიწოდების მოდელების შედარება. ერთობლივი მიწოდების ოთხი მოდელიდან თითოეული ერთმანეთისგან განსხვავდება ორი ნიშნის მიხედვით: ითვლება თუ არა ამ მოდელებით კონკრეტული ბაზარი წონასწორულ ბაზრად და რომელი ბაზარი ხასიათდება საკუთარი არასრულყოფილებით - შრომის თუ საქონლის.

მიუხედავად იმისა, რომ ერთობლივი მიწოდების ოთხივე მოდელი ერთმანეთისაგან განსხვავდება მათი წინაპირობებითა და აქცენტებით, დასკვნები, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს ოთხივე მოდელიდან გამომდინარე, ერთნაირია. ძირითადი იდეა შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი განტოლებით:

$$Y = \bar{Y} + \alpha(P - P^e)$$

ეს განტოლება, რომელიც ილუსტრირებულია ნახ 11-6-ზე, წარმოების მოცულობის ბუნებრივი დონიდან ფაქტიური დონის გადახრას აკავშირებს ფასების მოსალოდნელი დონიდან მომავალში ფასების ფაქტიური დონის გადახრასთან. თუკი ფასების დონე მოსალოდნელზე მაღალია, წარმოების მოცულობა აჭარბებს ბუნებრივ მნიშვნელობას. თუკი ფასების დონე მოსალოდნელზე დაბალია, წარმოების მოცულობა ვერ აღწევს ბუნებრივ მნიშვნელობას.




ნახ. 11-6. ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში. გამოშვების სიდიდე გადაიხრება თავისი ბუნებრივი მნიშვნელობისაგან, თუკი ფასების დონე გადაიხრება მოსალოდნელისაგან.

ნახ. 11-7-ზე ერთობლივი მიწოდების მოდელი გამოიყენება იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ხდება ერთობლივი მოთხოვნის მოულოდნელი ზრდის საპასუხოდ. მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკის წონასწორობა A-დან B წერტილში გადაადგილდება. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა იწვევს

ფასების ზრდას მოსალოდნელ დონეზე მაღლა და შესაბამისად, წარმოების მოცულობის ზრდას ბუნებრივ დონეზე მაღლა.

გრძელვადიან პერიოდში ფასების მოსალოდნელი დონე იზრდება, ე.ი. ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მაღლა. ფასების მოსალოდნელი დონის ზრდის კვალობაზე ეკონომიკის წინასწრობა გადაადგილდება B-დან C წერტილში. ეკონომიკა უბრუნდება წარმოების ბუნებრივ დონეს, მაგრამ ფასების უფრო მაღალი დონის პირობებში.



ნახ. 11-7. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება. ერთობლივი მოთხოვნის მოულოდნელი ზრდის შემთხვევაში ფასების დონე აკარბებს მოსალოდნელ დონეს, ხოლო წარმოების მოცულობა - თავის ბუნებრივ შიშვნლობას, რაც განაპირობებს წინასწრობის წერტილის გადაადგილებას ერთობლივი მიწოდების მრუდის გასწვრივ A-დან B წერტილში. გრძელვადიან პერიოდში იზრდება მოსალოდნელი ფასების დონე, ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში გადაადგილდება მარცხნივ-მაღლა, ხოლო წარმოების მოცულობა უბრუნდება თავის ბუნებრივ დონეს C წერტილში. ამგვარად, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება იწვევს წარმოების მოცულობის მხოლოდ და მხოლოდ მოკლევადიან რყევებს.

11-2. ინფლაცია, უმუშევრობა და ფილიპის მრუდი

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნებია უმუშევრობისა და ინფლაციის დაბალ დონეზე მიღწევა. ამჯერად, განვიხილავთ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის თანაფარდობას, რომელმაც მიიღო ფილიპის მრუდის სახელწოდება. ფილიპის მრუდი - ეს არის ერთობლივი მიწოდების წარმოდგენის ალტერნატიული ვარიანტი; ამიტომ, ჩვენს მიერ განხილული ერთობლივი მიწოდების მრუდები შეგვიძლია მივიღოთ, როგორც ფილიპის მრუდის თეორიული ასხნა. ფილიპის მრუდი სასარგებლო ინსტრუმენტია ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამეშეგებლად, რომელიც გეგმავრება განუახორციელოთ გაცნობიერებული არჩევანი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის, რომლის პირობებიც მოცემულია ერთობლივი მიწოდების მრუდით.

ფილიპის მრუდი ამტკიცებს, რომ ინფლაციის დონე - ფასების დონის ცვლილება წინა პერიოდებთან შედარებით - დამოკიდებულია სამ ფაქტორზე:

- მოსალოდნელ ინფლაციაზე;
- ბუნებრივი დონიდან უმუშევრობის გადახარზე, ე.ი. ციკლურ უმუშევრობაზე;
- მიწოდების მოკურ ცვლილებებზე.

ზემოთდასახელებული სამივე ფაქტორი თავმოყრილია შემდეგ განტოლებაში:

$$\pi = \pi^e - \beta(u - u^e) + \epsilon,$$

ინფლაცია = მოსალოდნელი ინფლაცია - (β x ციკლური უმუშევრობა) + მიწოდების მკვეთრი ცვლილებები.

სადაც β - პარამეტრია, რომელიც ნულზე მეტია. შევინშნოთ, რომ ციკლური უმუშევრობის მაჩვენებლის წინ დგას მინუს ნიშანი: მაღალი უმუშევრობის დროს შეიძწევა ინფლაციის ტემპების შემცირების ტენდენცია.

ერთობლივი მიწოდებიდან ფილიპის მრუდაშდე
 იმისათვის რომ დავრწმუნდეთ, რომ ფილიპის მრუდი და ერთობლივი მიწოდების მრუდი არ
 სებიოთად ერთსა და იმავე დამოკიდებულებას ასახავენ, ერთობლივი მიწოდების განტოლება ჩაეწე-
 როთ შემდეგნაირად:

$$P = P^0 + \left(\frac{1}{\alpha}\right)(Y - Y^0).$$

თუ ჩავატარებთ გარკვეულ გარდაქმნებს, მივიღებთ ფილიპის მრუდს.
 გასული წლის ფასების დონე P_{-1} გამოვირიცხოთ ამ ტოლობის ორივე ნაწილიდან:

$$(P - P_{-1}) = (P^0 - P_{-1}) + \left(\frac{1}{\alpha}\right)(Y - Y^0).$$

განტოლების მარცხენა ნაწილი $(P - P_{-1})$ წარმოადგენს მიმდინარე ფასების დონესა და გასული
 წლის ფასების დონეს შორის სხვაობას, რომელიც ტოლია ინფლაციის ტემპისა π . მარჯვენა ნა-
 წილში მოცემული გამოსახელება $P^0 - P_{-1}$ წარმოადგენს სხვაობას ფასების მოსალოდნელ დონესა
 და გასული წლის ფასების დონეს შორის, რომელიც ტოლია ინფლაციის მოსალოდნელი ტემპისა
 π^0 . ამგვარად, ჩვენ შევიქვილავთ $P - P_{-1}$ შეეცვალოთ π სიმბოლოთი, ხოლო $P^0 - P_{-1} - \pi^0$.

$$\pi = \pi^0 + \left(\frac{1}{\alpha}\right)(Y - Y^0).$$

გაუიხსენოთ მე-2 თავიდან, რომ უოკენის კანონი გეაძლევეს თანაფარდობას ეკონომიკაში უმუ-
 შვერობასა და წარმოების მოცულობას შორის. ეს კანონი მეტყველებს იმაზე, რომ წარმოების მო-
 ცულობის გადახრა მისი ბუნებრივი დონისაგან უკუპროპორციულია უმუშევრობის გადახრისა მისი
 ბუნებრივი დონისგან; ე.ი. როდესაც წარმოების მოცულობა აჭარბებს თავის ბუნებრივ მნიშვნელო-
 ბას, მაშინ უმუშევრობის ფაქტიური დონე უფრო ნაკლები იქნება ბუნებრივ დონესთან შედარებით.
 ვისარგებლობთ რა ამ თანაფარდობით, შევიქვილავთ $\beta(u - u^n)$ ჩავსვათ $(1/\alpha)(Y - Y^0)$ -ის მაგივრად.
 განტოლება დებულობს შემდეგ სახეს:

$$\pi = \pi^0 - \beta(u - u^n).$$

და ბოლოს, შემოვიყვიანოთ პარამეტრი, რომელიც გვიხასიათებს ფასების დონეზე მიწოდების
 შოკურ ცვლილებებს გარგანი ზემოქმედების შედეგად, ისეთების, როგორიცაა ნათვობზე ფასე-
 ბის ცვლილებები, ხელფასის ნომინალური სიდიდის ცვლილებები ან სახელმწიფოს მხრიდან ფა-
 სებზე კონტროლის შემოღება:

$$\pi = \pi^0 - \beta(u - u^n) + \epsilon.$$

ამგვარად, ერთობლივი მიწოდების განტოლებიდან გამომდინარე მივიღებთ ფილიპის მრუდის
 განტოლებას

ახლა უარი ეთქვით ამ ალგებრულ გარდაქმნებზე. შევინშნოთ, რომ ფილიპის მრუდში ნარ-
 ჩუნდება მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდის ძირითადი შტრისებო: რეალურ
 და ნომინალურ ცვლილებებს შორის კავშირი, რომელიც ეწინააღმდეგება კლასიკურ დიქტომიას.
 მკაცრად რომ ეთქვით, ფილიპის მრუდი ასახავს რეალურ ეკონომიკურ აქტივობასა და ფასების
 დონის მოულოდნელ ცვლილებებს შორის კავშირს. *ფილიპის მრუდი - ერთობლივი მიწოდების
 წარმოდგენისა და ანალიზის უფრო მიხერსებული საშუალებაა.*

ფილიპის მრუდის ისტორია

ფილიპის მრუდმა აღნიშნული სახელწოდება მიიღო ბრიტანელი ეკონომისტის ა. ე. ფილიპის საპატი-
 ცემლოთ. 1958 წელს მან აღმოაჩინა უკუ დამოკიდებულება უმუშევრობის დონესა და ნომინალური ხელფასის

¹ მათემატიკური შენიშვნა ეს მთლად ზუსტი არ არის, რადგანაც სინამდვილეში ინფლაცია ფასების დონის
 პროცენტული ცვლილებების გამოხატულებაა. იმისათვის, რომ ეს მტკიცება იყოს უფრო ზუსტი, p ჩვეულებრივ
 ფასების დონედ, ხოლო P - ფასების დონის ლოგარითმად. მაშინ, P -ს ცვლილება შესაბამისი იქნება ინფლა-
 ციის ტემპისა, რადგანაც $mP = m(\log p) = dp/p$.

ზრდის ტემპების შორის. ფილიპის მრუდს, რომლითაც ეკონომისტები დღეისათვის სარგებლობენ, განსხვავდება ფილიპის მიერ გამოკვლეული და მოკიდებული ტენდენციისაგან სამი ნიშნით.

პირველი, ფილიპის მრუდის თანამართლებიერი ვარიაციები ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპები შეცვლილია ინფლაციის ტემპებით. ამ განსხვავებას პირდაპირი შიშველია არ აქვს, რადგანაც ხელფასისა და ფასების ზრდა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ხელფასის სწრაფი ზრდის პერიოდებში ფასებიც სწრაფად იზრდება.

მეორე, ფილიპის თანამართლებიერი მრუდი მოიცავს ინფლაციის მოსალოდნელი ტემპების მარეგულაციას. აღნიშნული მარეგულაციების შემოტანის მიზანია ფრიდმენისა და ედმუნდ ფილიპის დამსახურებაა. XX საუკუნის 60-იან წლებში როდესაც არ იომა ეკონომისტმა გახანჯილია მოუშვებელი მცდარი შეხედულების მოდელი, მათ სახი გაუსვს მთლიანობის მნიშვნელობას ერთობლივი მიწოდების ანალიზში.

მესამე, ფილიპის თანამართლებიერი მრუდი მოიცავს მიწოდების მოკერი ცვლილებების მარეგულაციას. აღნიშნული დამატება განპირობებული იქნა ნათობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) გაყვლით. XX საუკუნის 70-იან წლებში OPEC-მა გამოიწვია საბთბსე მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც ეკონომისტები აიძულა მები ეურადლება მიეციათ ეკონომიკური შიკების გაყვლიანაც ერთობლივი მიწოდების ფორმირებაში.

მთლიანი და ინფლაციური ინერცია

ფილიპის მრუდი შესაძლებელია ეპყიოთ პრაქტიკული გამოყენების სასარგებლო ინსტრუქტორად. თუ შეაფიოდ ჩამოყაყალიბებთ იმ მიზეზებს, რომლებიც განასახლრეავენ მოსალოდნელი ინფლაციის მარტევი და ეყუალსაც გარეყვლებული ვარაუდია ის, რომ ადამიანები თავიანთ მოლოდინს ინფლაციასთან მიმართებაში აბევენ უკვე დაეყრებადი ინფლაციის საყუქელებზე. მაგალითად, დაეყუეთ, რომ ადამიანები ვარაუდობენ ფასების ისეთსაეც ზრდას მიმდინარე წელს, როგორსაც ქირნდა ადგილი წინა წელს. მაშინ,

$$\pi = \pi_{-1} - \beta(u - u^e) + \epsilon$$

ამ შემთხვევაში, ფილიპის მრუდი შეიძლება ჩაეწეროს, როგორც

კ. ინფლაცია დამოკიდებულია წარსულ ინფლაციაზე, ციკლურ უმუშევრობაზე და მიწოდების მოკერი ცვლილებებზე.

ამ გამოთხვეულების პირველი წერი π_{-1} აღნიშნავს, რომ ინფლაცია ინერციული პროცესია. თუკი უმუშევრობა რიგბა ბუნიბრიე დონეზე და არ შეიმჩნევა მიწოდების მეყეთრი ცვლილებები, მაშინ ფასები გაიზრდება მოდერული ტემპებით. ეს ინერცია წარმოიშობა იმიტომ, რომ წარსული ინფლაცია გაყვლიანს ახლდენს მიმბეული ინფლაციის მიმართ მოლოდინზე, ხოლო ეს მოლოდინი გაყვლიანს ახლდენს მიმდინარე მომენტში ჩამოყალიბებდა ხელფასზე და ფასებზე. როგერტ სოლოუმ კარგად აღნიშნა ინფლაციის ინერციულობის არსი, როდესაც გასული საუკუნის 70-იან წლებში არსებული მაღალი ინფლაციის დროს წერდა: „რატომ ხდება ჩვენი ფული სულ უფრო მასკელებად ფასეული? იქნებ ინფლაცია არ არის ადამოფხხერი უბრადოდ იმის გამო, რომ ჩვენ მას ეყლოდებთ, ხოლო მას ეყლოდებთ იმიტომ, რომ ის უკვე იყო“.

ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი ინფლაციური ინერცია განიბარტება შედგენიარად. თუკი ფასების სწრაფად ზრდას ადგილი, მაშინ ადამიანები ელოდებიან მათ შემდგომ სწრაფ ზრდას. რამდენადაც მოკლეაიდან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდის მდებარეობა დამოკიდებულია ფასების მოსალოდნელი დონეზე, მაშინ ერთობლივი მიწოდების მოკლეაიდან მრუდი დროთა განმავლობაში გადაადგილებდა მაღლა. მოთხოვნა გაგრძელებდა მანამ, ვიდრე ზოგიერთი მიყვლიანა, მაგალითად, რეყვისა ან მიწოდების მოკერი ცვლილებები არ შეყვლიან ინფლაციის მიმდინარე დონეს და შესაბამისად, მოლოდინს მომბეად ინფლაციასთან მიმართებაში.

ფასების ინფლაციური ზრდის დამტარებისა და შენელების ორი მიზეზი

მიუხედავად იმისა, რომ ინფლაცია თავისი ბუნებით ინერციულია, ის შეიძლება გაიზარდოს და შემცირდეს. ფილიპის მრუდის გატროლების მეორე და მესამე წერიები გვიხანსათებენ იმ ფაქტორებს, რომლებსაც ძალეუთ გაყვლიან მოახდინონ ინფლაციის დონეზე.

მეორე წერი $\beta(u - u^e)$ გვიჩვენებს, რომ ციკლური უმუშევრობა – უმუშევრობის ფაქტიური დონის გადახრა ბუნებრივი დონისგან – შემაკავებელ ან მასტბულირებელ სემოქმედებას ახლდენს ინფლაციაზე. დაბალი უმუშევრობა ინფლაციის დონეს უბიბებს ზრდისაკენ. მსგავსმა სემოქმედებამ მიიღო მოთხოვნის ინფლაციის სახელწოდება, რადგანაც ერთობლივი მოთხოვნის მაღალი დონე ინფლაციის მოცემული ტიპის წარმოშობის მიზეზია. უმუშევრობის მაღალ დონეს მიყვართ ინ-

ფლაცის დონის შემცირებასთან. მ პარამეტრი გეინენებს, თუ რამდენად ძლიერ რეაგირებს ინფლაცია ციკლურ უმუშევრობაზე.

მესამე წვერი ე გეინენებს, რომ ინფლაცია იზრდება ან მცირდება მიწოდების შოკური ცვლილების შედეგად. არასასურველი საგარეო შოკი, ისეთი, როგორიცაა ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდა, ე-ს ანიჭებს დადებით მნიშვნელობას და იწვევს ინფლაციის ტემპის ზრდას. ამ პროცესმა მიიღო დანახარჯების ინფლაციის სახელწოდება, რადგანაც მსგავსი შოკური ცვლილებები, როგორც წესი, იწვევენ წარმოების დანახარჯების ზრდას. მიწოდების მხრიდან სასიკეთო შოკი, მაგალითად ისეთი, როგორაც იყო ნავთობის ჭარბი წარმოება, რამაც გაასული საუკუნის 80-იან წლებში გამოიწვია ნავთობზე ფასების შემცირება, ე-ს უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებს და ბოკავს ინფლაციას.


მაგალითი 11-3

ინფლაცია და უმუშევრობა აშშ-ში

რამდენადაც ინფლაცია და უმუშევრობა ეკონომიკის მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებია, მაკროეკონომიკური სიტუაციის ცვლილებები ხშირად ფილიპის მრუდის პრისმაში გატარებთ განიხილება. ნახ. 11-8-ზე ნაჩვენებია ინფლაციის და უმუშევრობის წლიური მაჩვენებლები აშშ-ში 1961 წლიდან 2000 წლამდე მასზე შეიძლება ენახათ ინფლაციის ზრდისა და შემცირების ერთმანეთის მონაცვლე პერიოდები.

გახული საუკუნის 60-იან წლებში არსებულმა მასტიმულირებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეამცირა უმუშევრობა და გამოიწვია ინფლაციის ტემპების ზრდა. 1964 წელს გადასახადების შემცირებამ ეკონომიკის მასტიმულირებელ სხვა ღონისძიებებთან ერთად უმუშევრობა დაიყვანა 5%-ზე ნაკლებ დონემდე. 60-იანი წლების ბოლოსათვის ეკონომიკის შემდგომი ზრდა წარმოადგენდა ეიტენამის ომზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდის პროდუქტს. უმუშევრობა მეკეთრად შემცირდა, მაგრამ ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ მიზნობრივ მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც დასახული იყო ეკონომიკური პოლიტიკის შექმნაზე მიღწეულ დროს.

70-იანი წლების ეკონომიკური შოკების პერიოდად იქცა. მოცემული ათწლეული დაიწყო პოლიტიკოსთა მხრიდან ინფლაციის შემცირების ცდებმა და მოთხოვნის შემცირებით გამოწვეულმა ეკონომიკური აქტივობის ვარდნამ მხოლოდ უმნიშვნელოდ შეამცირა ინფლაციის ტემპი. ფასებზე და ხელფასებზე კონტროლის შემოღების ვეუქტი გაქრა ამ კონტროლის გაუქმებასთან ერთად, ხოლო რეცესია ძალზე არასაკმარისი იყო იმისათვის, რათა წინ აღდგომომა ინფლაციურ ინერციას, რომელიც წინა პერიოდის ბუმიდან იყო მეტყიდრეობით მიღებული. 1972 წლისთვის უმუშევრობის დონე ისეთივე იყო, როგორც ათი წლით ადრე, ოღონდ ინფლაცია 3 პრიცენტული პუნქტით აჭარბებდა 1962 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.



ნახ. 11-8. ინფლაცია და უმუშევრობა აშშ-ში 1961 წლიდან 2000 წლის ჩათვლით. ამ დიაგრამაზე გამოყენებულია უმუშევრობის და ინფლაციის დონის შესახებ ყოველწლიური მონაცემები იმ მარკოეკონომიკური პროცესების საფლურსტრაციოდ, რომლებსაც ჰქონდა ადგილი აშშ-ს ეკონომიკაში 1961-2000 წლებში.

1973 წლიდან მოყოლებული პოლიტიკოსები წააწყდნენ მიწოდების შოკურ ცვლილებებს, რომლებიც გამოიწვია იყო ნავთობის აქსირატივი ჩაინების - (OPEC)-ის მიერ. OPEC-მა ნავთობზე დასბი პირაილოდ 70-

იანი წლების შუალედში გაზარდა, რომლის შედეგადაც ინფლაციამ მაღალია 10%-ს 1975 წელს არსებულმა რეცესიამ რამდენადმე შეამცირა ინფლაცია, მაგრამ OPEC-მა კვლავ დააქარა ინფლაცია 70-იანი წლების ბოლოსათვის.


80-იანი წლები მაღალი ინფლაციითა და მაღალი ინფლაციური მოლოდინით დაიწყო. ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ჩიხი თავიშეღობარის, პოლ ვოლკერის ხელმძღვანელობით შეუკრიფა გაატარა ინფლაციის შემცირების კენ მიმართული ფულადი პოლიტიკა. 1982-1983 წლებში უმუშევრობამ დიდი დასუსტების შემდეგ მაღალ ნიშნულს მიაღწია. მაღალმა უმუშევრობამ, რომელიც 1986 წლისთვის ნათესაზე დასუსტების შემცირების პარალელურად არსებობდა, ინფლაციის ტემპი 10%-დან 3%-მდე დაიკვანა. უმუშევრობის დონე კვლავ ახალს იჩიყვებოდა ბუნებრივ დონესთან. 80-იანი წლების ბოლოსთვის უმუშევრობის ფუნქციური დონე ბუნებრივსე დაბლა დაეშვა, რამაც განაპირობა მოთხოვნის ინფლაციის ახალი ხეყვლას წარმოშობა.

წინა 30 წელთან შედარებით XX საუკუნის 90-იანი წლები შედარებით სტაბილური იყო. აღნიშნული ათწლეული დაიწყო ერთობლივი მოთხოვნისთან დაკავშირებული შიკებით: ძვირი ფულის პოლიტიკით, დაზოგვასთან და ხესხის მიღებასთან დაკავშირებული კრიზისით, საარსეთის ყურებით იმით. 1992 წელს უმუშევრობის დონე გაიზარდა 7,3%-მდე ინფლაცია შემცირდა, მაგრამ უზნიშნულად. 1982 წლის რეცესიისგან განსხვავებით, 1990 წლის რეცესიის დროს უმუშევრობა ბუნებრივ დონესთან შედარებით მაღალი არ ყოფილა, მაგრამ ინფლაციაზე გავლენა უზნიშნულად აღმოჩნდა.


ასე თუ ისე, 90-იან წლებში ინფლაციამ და უმუშევრობამ - ორივე უწყობის დონეს მაღალია ბოლო წლების განმავლობაში. ზოგიერთი ეკონომისტი ამ სასიკეთო ცვლილებებს უკავშირებს უმუშევრობის ბუნებრივ დონის შემცირებას. სხვების აზრით, მიწოდების სასურველი შიკები მრავალმა დროებითმა ფაქტორმა (მაგალითად, ძლიერი აშშ-ს დღიარით და აზიის ფინანსური კრიზისი) გამოიწვია. კვლავზე მეტად, საგარეოდ ვს შეიძლება გამოეყუდელო ინფლაციის კონტროლით, მიუხედავად მაღალი უმუშევრობის არსებობისა. მიუხედავად ამისა, 2000 წელს ინფლაციამ თანდათანობით იწყო აღმასვლა.

აბგარად, აშშ-ს ეკონომიკური ისტორია ინფლაციის მრავალი მიზეზის დემონსტრირებას ახდენს. 1960-1980 წლებში აღინიშნავდა მოთხოვნის ინფლაციის ორი სახე: 60-იან წლებში დაბალმა უმუშევრობამ გამოიწვია ინფლაციის გამაყრება, ხოლო 1980-იან წლებში მაღალმა უმუშევრობამ განაპირობა ინფლაციის შემცირება. 1970-იან წლებში ნათესის ფასების მიულოდნელი ზრდა გეიყვებს დანახარების ინფლაციის ფუნქტს.

ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის პრობლემა მოკლევადიან პერიოდში განვიხილოთ ის შესაძლებლობები, რომლებსაც გეთავაზობს ფილიპის მრული ერთობლივი მოთხოვნის მართვაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრებლად. დროის ნუბისძიერ მოცემულ მომენტში ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი და მიწოდების შიკური ცვლილებებში იმყოფება პირდაპირი სახელმწიფო კონტროლის ზონის მიღმა. მიუხედავად ამისა, მთავრობას და ცენტრალურ ბანკს, რომლებიც ატარებენ შესაბამისად საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება უმუშევრობის შემცირებითა და ინფლაციის ზრდით, ან ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შეკავება უმუშევრობის ზრდისა და ინფლაციის შემცირებით.



ნახ. 11-9. ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის პრობლემა მოკლევადიან პერიოდში. მოკლევადიან პერიოდში არსებობს უკუკავშირი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის დროის ნებისძიერ მომენტში მთავრობას, რომელიც აკონტროლებს ერთობლივ მოთხოვნას, ფილიპის მრულზე შეუძლია აირხოს მოკლევადიან დროით შუალედში ინფლაციისა და უმუშევრობის განასაზღვრული კომბინაცია.



ნახ. 11-10. მოკლევადიანი არსებების შრომის ცვლილება. ინფლაციისა და უმუშევრობის შორის მოკლევადიანი არსებების და მოკლევადიანი ინფლაციის მოსალოდნელ ტემპზე. რაც უფრო მაღალია მოსალოდნელი ინფლაცია, მით უფრო მაღალია განღებულ ფილიპის მრუდი.

ნახ. 11-9-ზე ნათლადაა წარმოდგენილი ინფლაციასა და უმუშევრობის შორის ალტერნატივა, რომელიც გარისხულია ფილიპის მრუდის განტოლებით. შესაძლებელია ერთობლივი მოთხოვნის მინიპულირება უმუშევრობისა და ინფლაციის მანევრებლების განსასაზღვრელი კომბინაციების არჩევის მიზნით აღნიშნულ მრუდზე, რაზეც მოკლევადიანი პერიოდისათვის ფილიპის მრუდის სახელწოდება მიიღო.

შეინიშნო, რომ მოკლევადიანი პერიოდისათვის ფილიპის მრუდის მდებარეობა დამოკიდებულია ინფლაციის მოსალოდნელ ტემპებზე. თუკი მოსალოდნელი ინფლაცია იზრდება, მრუდი გადაადგილდება მაღლა და ეკონომიკური პოლიტიკის არჩევა რთულდება. ასეთ შემთხვევაში, ინფლაციის ტემპი უფრო მაღალი იქნება უმუშევრობის ნებისმიერი დონისათვის. ნახ. 11-10-ზე ნაჩვენებია, თუ როგორაა დამოკიდებული ეს არჩევანი მოსალოდნელ ინფლაციაზე.

რამდენადაც დროთა განმავლობაში ადამიანები ახდენენ ინფლაციის მიმართ თავიანთი მოლოდინის კორექტირებას, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებული მსოფლიო მოკლევადიან პერიოდში არსებობს. შეუძლებელია ინფლაცია ყოველთვის იქნას შენარჩუნებული მოსალოდნელ დონეზე მაღლა: მოლოდინი, ასე თუ ისე, ადაპტირებას ახდენს ინფლაციის არსული მისწობრით დონის მიმართ. გრძელვადიანი პერიოდისათვის კლასიკური დიქტომია ნარჩუნდება, უმუშევრობა უბრუნდება თავის ბუნებრივ დონეს და ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებების შესაძლებლობაც ქრება.

ინფლაციის აღმოფხვრა და დანაკარგების თანაფარდობა

რა მოუვა უმუშევრობას და ეკონომიკაში საჭიროდია და მომსახურების წარმოების მოცულობას, თუკი ცენტრალური ბანკი გაატარებს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია იქნება ინფლაციის, ეთქვით, 6%-დან 2%-მდე შემცირებისაკენ.

ფილიპის მრუდი გვიჩვენებს, რომ მიწოდების სასურველი შოკური ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში ინფლაციის შემცირება მოითხოვს გარკვეულ პერიოდს, რომელიც ხასიათდება მაღალი უმუშევრობითა და გამოშვების დაბალი დონით. მაგრამ, რამდენად პროცენტული პუნქტით და რა ფაისის განმავლობაში უნდა აჭარბებდეს უმუშევრობა თავის ბუნებრივ დონეს? ჩანს, ყდრე გადაწყვიტადნენ, საჭიროა თუ არა ინფლაციის შემცირება, პოლიტიკოსებმა საჭიროა განსაზღვრონ, თუ რა მოცულობის ეროვნული შემოსავალი დაიკარგება ინფლაციის ტემპების შემცირების შემთხვევაში. ეს დანახარჯები უნდა შეუფარდდეს ინფლაციის უფრო დაბალი ტემპების მიღწევით მიღებულ უპირატესობებს.

მრავალ გამოკვლევაში გამოიყენებულ იქნა სტატისტიკური მონაცემები ფილიპის მრუდის რაოდენობრივი ანალიზისათვის. მსგავს გამოკვლევათა შედეგები ხშირად წარმოდგენილია მიწვევების სახით, რომელიც იწოდება *ინფლაციასთან ბრძოლის დანაკარგებისა და შედეგების თანაფარდობით*. ის გვიჩვენებს, რეალური წლიური მშპ-ს რამდენი პროცენტით უნდა შევწიროთ ინფლაციის ერთი პროცენტული პუნქტით შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ მიწვევების მრავალი სხვადასხვა შეფასება, როგორც წესი, თითქმის, რომ თანაფარდობა უნდა იყოს დაახლოებით ხუთი ერთზე (აშშ-ს მაგალთზე): ინფლაციის 1 პროცენტული პუნქტით შემცირებისათვის აუცილებელია უარი ეთქვით წლიური მშპ-ს 5 პროცენტზე.²

² აღნიშნული გათვლები ეყრდნობა არტურ ოკუნის, რობერტ გორდონისა და სტივენ კინგის გამოკვლევებს Arthur M. Okun. Efficient Disinflationary Policies//American Economic Review 68 (May 1978): 348-352; Robert L. Gordon and

დანაკარგების თანაფარდობა შესაძლებელი გამოვსახოთ უმუშევრობის მეშვეობითაც. ოუკენის კანონის მიხედვით, უმუშევრობის დონის 1 პროცენტული პუნქტით ცვილიება იწვევს მილიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტით ცვილილებას. აქედან გამომდინარე, ინფლაციის 1 პროცენტული პუნქტით შემცირება საპროცენტო დაახლოებით 2,5 პროცენტული პუნქტის ოდენობის წლიურ ციკლურ უმუშევრობას.

ჩვენ შევიძლია ვისარგებლოთ აგრეთვე დანაკარგების თანაფარდობის ჩანენებლით, რათა განვსაზღვროთ, თუ რა სიდიდით და რა ვადით უნდა გაიზარდოს უმუშევრობა ინფლაციის შემცირების შემთხვევაში. რამდენადაც, ინფლაციის 1 პროცენტული პუნქტით შემცირება საჭიროებს წლიური შშპს 5 პროცენტზე უარის თქმას, ინფლაციის 4 პროცენტული პუნქტით შემცირება დაკავშირებული იქნება წლიური შშპს 20 პროცენტის შეწირვასთან. შესაბამისად, ინფლაციის ასეთი შემცირება მოითხოვს უმუშევრობის ზრდას 10 პროცენტული პუნქტით.

ნახ. 13-3. მანდელ-ფლემინგის მოდელის განმარტება Y-ე გრაფიკზე მანდელ-ფლემინგის მოდელის მოცემული მოდელი ასახავს სასაქონლო ბაზრის IS* და ვეულადი ბაზრის LM* წონასწორობის იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც მუდმივად სრულდება შიდა საპროცენტო განაკვეთის მსოფლიო განაკვეთთან ტოლობა. ნახაზი ვეირენებს შემოსავლისა და გაცვლითი კურსის წონასწორულ მნიშვნელობას.

LM* და IS* მრუდები სხეციალურად აღნიშნულია ვარსკვლავებით, რათა გეახსოვდეს, რომ საპროცენტო განაკვეთს ეყვებულობთ მუდმივ და მსოფლიო განაკვეთის r* ტოლ სიდიდით. ეკონომიკური წონასწორობა მიიღწევა ორი გრაფიკის გადაკვეთის წერტილში. ეს წერტილი განსაზღვრავს გაცვლითი კურსისა და შემოსავლის დონეებს.


LM* მრუდი ევრტიკალურია, რამდენადაც გაცვლითი კურსი LM* ტოლობაში არ შედის. თუკი მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი მოცემულობაა, მაშინ LM* განტოლება განსაზღვრავს ერთობლივ შემოსავალს გაცვლითი კურსის დონისგან დამოუკიდებლად. ნახ. 13-4-ზე ნაჩვენებია, თუ როგორ იქნა მიღებული LM* ევრტიკალური მრუდი მსოფლიო საპროცენტო განაკვეთისა და LM მრუდის საფუძველზე, რომელიც აკავშირებს საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის დონეებს.

IS* მრუდი დახრილია მარჯვნივ-დაბლა, რამდენადაც გაცვლითი კურსის ზრდის შემთხვევაში მცირდება წმინდა ექსპორტი, ხოლო მის კეალდაკეალ – ერთობლივი შემოსავალიც. ამ მექანიზმის საილუსტრაციოდ ნახ. 13-5-ზე IS* მრუდი მიიღება კეინზიანური ჯერის დიაგრამისა და წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკისაგან. გაცვლითი კურსის ზრდა e1-დან e2-მდე იწვევს წმინდა ექსპორტის შემცირებას NX(e1)-დან NX(e2)-მდე. ეს კი, თავის მხრივ იწვევს ჯერ დაგეგმილი დანახარჯების, ხოლო შემდეგ შემოსავლების შემცირებას. როგორც IS მრუდი კეინზიანურ ჯერს იწყებს იტყვის ფუნქციის გრაფიკთან აკავშირებს, ისე IS* მრუდი წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკს აკავშირებს კეინზიანურ ჯერთან.




Y-ე დიაგრამა გამოყენებული იქნება ეველა მომდევნო ანალიზის დროს, რამდენადაც ის თვალნათლივ ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ როგორ რეაგირებს გაცვლითი კურსი ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებებს.



ნახ. 13-4. LM^* მრუდი ნახ. 13-4-ზე გამოსახულია ჩვეულებრივი LM მრუდი რ მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, რომელიც აღნიშნულია პორისონტალური ხაზით. ისინი ერთად განსაზღვრებენ შემოსავლის დონეს გაცვლითი კურსისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, როგორც ნახ. 13-4-ზეა ნაჩვენები, LM^* მრუდი დებულობს ვერტიკალური წირის ფორმას.



ნახ. 13-5. IS^* მრუდი: ა) წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკი, ბ) კეინზიანური ჯვარი, გ) IS^* მრუდი. IS^* მრუდი აიკვება წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკისა და კეინზიანური ჯვრის საფუძველზე პირველი ნაწილებია ნახ. 13-5ა-ზე გაცვლითი კურსის ზრდა e_1 -დან e_2 -მდე იწვევს წმინდა ექსპორტის შემცირებას $NX(e_1)$ -დან $NX(e_2)$ -მდე. ნახ. 13-5ბ-ზე გამოსახულია კეინზიანური ჯვარი: წმინდა ექსპორტის $NX(e_1)$ -დან $NX(e_2)$ -მდე შემცირების დროს შემოსავალი კლებულობს Y_1 -დან Y_2 -მდე. ნახ. 13-5გ-ზე გამოსახულია IS^* მრუდი, რომელიც გეისინებს გამოყენებულ ურთიერთდამოკიდებულებას გაცვლითი კურსის ცვლილებაზე და შემოსავლებს შორის: რაც უფრო მაღალია გაცვლითი კურსი, მით უფრო დაბალია შემოსავლები.




1. IS^* მრუდი აერთიანებს საკონსოლის პარამეტრებს ამ მიმდინარე ცვლილებებს.

13-2. მცირე ღია ეკონომიკა „მცურავი“ გაცვლითი კურსის შემთხვევაში

უიროვერე ვოლსი. ვიდრე გადავიდოდეთ მანდელ-ფლემინგის მოდელის გამოყენებით ეკონომიკური პოლიტიკის ღია ეკონომიკაზე ზეგავლენის ანალიზზე, აუცილებელია დავახსნიოდ საერთაშორისო ფულადი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს მოცემული ეკონომიკა. დაიწყოთ „მცურავი“ გაცვლითი კურსით, რომელიც გამოიყენება უზრაველსი წაყვინი ქვეყნების მიერ. „მცურავი“ კურსი განიცდის თავისუფალ რყევებს ეკონომიკური პირობების ცვალებადობასთან დამოკიდებულებით.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა

დაეუშეთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია შიდა დანახარჯების სტიმულირებისაკენ სახელმწიფო შესყიდვების ან გადასახადების შემცირების გზით. ასეთი მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის დროს IS* მრუდი გადაადგილება მარჯვნივ (ნახ. 13-6). გაცვლითი კურსი იზრდება, ხოლო შემოსავლის დონე არ იცვლება.



ნახ. 13-6. სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა მცურავი გაცვლითი კურსის დროს სახელმწიფო შესყიდვების გაფართოების ან გადასახადების შემცირების დროს IS* მრუდი გადაადგილება მარჯვნივ-მარლა. ეს იწვევს გაცვლითი კურსის ზრდას მაგრამ გაველენს არ ახდენს შემოსავლის დონეზე


მოცემულ შემთხვევაში არსებული დასკვნა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგებზე მეეორად უწინააღმდეგება იმ დასკვნებს, რომლებიც მიიღება IS-LM მოდელით დახურული ეკონომიკისათვის. დახურულ ეკონომიკაში სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა იწვევს საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის ზრდას, ხოლო მცირე ღია ეკონომიკაში „მცურავი“ გაცვლითი კურსის არსებობისას ის გაველენს არ ახდენს შემოსავალზე. საქმე ისაა, რომ ღია ეკონომიკაში შიდა საპროცენტო განაკვეთის ზრდა ასტიმულირებს უცხოური კაპიტალის მოდინებას. ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა იზრდება, მაღლდება მისი გაცვლითი კურსი და წმინდა ექსპორტი მცირდება. წმინდა ექსპორტის შემცირება აბათილებს შიდა მანარზე საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდის ეფექტს, რის გამოც, შემოსავლის წონასწორული დონე არ იცვლება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ახლა დაეუშეთ, რომ ცენტრალური ბანკი ზრდის ფულის მიწოდებას. თუკი დაეუშებთ, რომ ფასები უცვლელია, მაშინ ადგილი ექნება ფულადი საშუალებების რეალური მარაგების ზრდას. შესაბამისად, LM* მრუდი გადაადგილება მარჯვნივ (ნახ. 13-7). ფულის მიწოდების ზრდა იწვევს შემოსავლის ზრდას და გაცვლითი კურსის შემცირებას.

ღია ეკონომიკაში შემოსავალზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედების მექანიზმი განსხვავებულია დახურული ეკონომიკისაგან. გაუიხსენოთ, რომ ამ უქანასკნელში ფულის მიწოდების ზრდა იწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და შესაბამისად, კაპიტალდინების ზრდას. მცირე ღია ეკონომიკაში კი შიდა საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე. როდესაც ფულის მიწოდების ზრდა გაველენს ახდენს შიდა საპროცენტო განაკვეთზე შემცირების მიმართულებით, ის ამით ასტიმულირებს კაპიტალის გათონებას სხვა ქვეყნებში, სადაც კაპიტალზე შემოსავლების დონე მაღალია. შედეგად, ეროვნული ვალუტის მიწოდება იზრდება, რაც ამცირებს მის გაცვლით კურსს და ზრდის წმინდა ექსპორტის მოცულობას. ამრიგად,

გად, მცირე და ეკონომიკაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შემოსავლის დონეზე გაელენას ახდენს არა საპროცენტო განაკვეთის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გაცვლითი კურსის ცვლილებით.



ნახ. 13-7. სტიმულირებადი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მცურავი გაცვლითი კურსის დროს. ფულის მიწოდების ზრდის შემთხვევაში LM^* მრუდი გადაადგილება მარჯვნივ, გაცვლითი კურსი მცირდება, ხოლო შემოსავალი - იზრდება.

მაბალაითი 13-1

დოლარის კურსის ზრდა 1979-1982 წლებში

გასული საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში ადგილი ჰქონდა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ურეკულო შეთავსებას ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის, პოლ ვოლტერისა მთავარი მიზანი იყო 70-იანი წლებიდან შეგვიძირებით მიღებული ინფლაციის აღმოფხვრა. იმავე დროს, პრეზიდენტ რეიგანის პოლიტიკა, წინასწარვე დაპირებების შესაბამისად, მიმართული იყო გადასახადების შემცირებისა და სამხედრო ხარჯების ზრდისაკენ.

მანდელ-ფლემინგის მოდელის თანახმად ორივე ზემოთდასახელებულ კურსს უნდა გამოეწვია დოლარის გაძვირება. მართლაც, დოლარის კურსი ამაღლდა ექვსჯერ სხვა ძირითად ვალუტებთან შედარებით. 1979 წლისათვის 1 დოლარი 218 იენს და 1,63 მარკას შეადგენდა, ხოლო 1982 წლისათვის, ეს კურსი შესაბამისად 248 იენი და 2,42 მარკა გახდა. ა.შ.ნ. გამოიწვია იმპორტული საქონლის შეუარდებითი გაიაფება. აშშ-ს ზოგადი დარგის, მაგალითად, საავტომობილო მრეწველობის კონკურენტუნარიანობა შემცირდა. ევროპაში მოვ ზარობა და არღადღებების გატარება შედარებით გაიაფდა, რის გამოც მრავალმა ამერიკელმა ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობებით.

საგარეო-საეკონომიკური პოლიტიკა


დაეუშვათ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია იმპორტულ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირებისკენ იმპორტული კუთებისა და ტარიფების დაწესებით. როგორ აისახება ყოველივე ეს ერთობლივი შემოსავლის დონეზე და გაცვლითი კურსზე?

იმპორტის შემცირების შემთხვევაში წმინდა ექსპორტი იზრდება, ეინაიდან ის წარმოადგენს სხვაობას ექსპორტსა და იმპორტს შორის. ამიტომ, მისი გრაფიკი გადაადგილდება მარჯვნივ (ნახ. 13-8). შესაბამისად, მარჯვნივ გადაადგილდება IS^* მრუდიც. ამის შედეგად, საგარეო-საეკონომიკური შეზღუდვების შემოღება იწვევს გაცვლითი კურსის ზრდას, მაგრამ გაელენას არ ახდენს შემოსავალზე.


საგარე ვაჭრობის სფეროში შეზღუდვების შემოღების მიზანი, ჩვეულებრივ, მდგომარეობს იმ აში, რათა გაელენა მოახდინოს მიდინარე ანგარიშის NX მდგომარეობაზე. მაგრამ, როგორც მე-7 თავში აღვნიშნეთ, დასახული მიზნების მიღწევა ყოველთვის როდია შესაძლებელი. იგივე შედეგებამდე მივყავართ მანდელ-ფლემინგის მოდელსაც მცურავი გაცვლითი კურსის მქონე ეკონომიკისათვის. გაიყისნეთ, რომ

$$NX(e) = Y - C(Y - T) - I(r) - G.$$

საგარეო-საეაჭრო შესუღუღებუბის შემოღებუბა გავღენას ეერ ახღენს მიმღინარე ანგარიშის მღგომარებობაზე, ვინაიღან, ეს არ მოქმედებს შემოსავალზე, მოხმარებუბაზე, ინვესტიციბაზე და სახელწოფო შესყიდვების მოცოღობაზე. NX-ის ზრღის ტენდენციბა, რომელიც ვღინდებუბა წმინდა ექსპორტის გრაფიკის გადაადგილებუბაში, ნეიტრალიზდებუბა NX-ის შემციოვებოთ, რაც დაკეშირებუღიბა გაცეღლითი კურსის შესბამის ზრღასბან.



ნახ. 13-მ. საგარეო-საეაჭრო შესუღუღებუბი მცოღრავი გაცეღლითი კურსის შემთხვეუბაში. ა) წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკის გადაადგილებუბა, ბ) ეკონომიკის წონასწორობის წერტილის გადაადგილებუბა ტარფებისა და იმპორტულ კოტების შემოღებუბის შედეგად წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკის გადაადგილებუბა მარჯუნივ, რაც IS* მრღდის მარჯუნივ გადაადგილებუბასაც ნიშნავს. შედეგად, გაცეღლითი კურსი იზრდებუბა, სოღო შემოსავლის დონე უცეღელი რჩებუბა.



13-3. მცირე დღიბა ეკონომიკა ფიქსირებუღიბა გაცეღლითი კურსის შემთხვეუბაში

ახღა განეხიღოთ ფიქსირებუღიბა გაცეღლითი კურსის სისტემბა. XX საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში წამყვანი ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკური ურთოერთკეღშირი აგებუღი იყო ბრეტონ-უღდსის სისტემის საფუძეღებზე - საერთაშოღისო საეღღოტო სისტემბაზე, რომღის თანახმადც ქვეყნების (მათ შოღის, აშშ-ს) მბაერობები, შეთანხმებუღინი იყენენ ფიქსირებუღლ გაცეღლით კურსზე. 70-იანი წლების დასაწყისში მათ უარი თქვეს ამ სისტემბაზე და გადაიღენენ თავისუფალ გაცეღლით კურსზე. თუმცა იყო შემთხვეუბები, როღდესაც მრავღღბა ეერობუღღბა სახელწოფომ კეღღა შემოიღო ფიქსირებუღი გაცეღლითი კურსები ერთმანეთთან საურთოერთოღ დღა დღესაც მრავღღი ეკონომისტო



გამოდის ასეთი სისტემის მსოფლიო მასშტაბით აღდგენის იდეით. მოცემული პარაგრაფი ეძღვნება ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის ფუნქციონირების მექანიზმსა და ამ პირობებში ეკონომიკასე კონომიკური პოლიტიკის სემოქმედების განხილვას.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი

ფიქსირებული გაცვლითი კურსის დაწესების შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ვალდებულია იღებოს იყიდოს ან გაყიდოს ეროვნული ვალუტა წინასწარ განსაზღვრულ ფასად, რომელიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში. მაგალითად, თუკი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული გაცვლითი კურსი ტოლია 0,7 დოლარისა 1 ლარზე, ეს ნიშნავს, რომ ყოველ 1 დოლარში ბანკი იძლევა 1,4 ლარს. ასეთი პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოს ეროვნული ბანკი უნდა ფლობდეს და განკარგავდეს ლარებისა (რომლის დაბეჭდვაც შეუძლია) და დოლარების (რომლებიც უნდა დაგროვდეს ადრე განხორციელებული გარიგებების შედეგად) საჭირო მარაგებს.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის დადგენის შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთადერთი მიზანი ამ კურსის გამოცხადებულ დონეზე შენარჩუნებაში გამოიხატება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის არსი მდგომარეობს ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების ისეთნაირად რეგულირებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას წონასწორული გაცვლითი კურსის დასახეულად გამოცხადებულთან. უფრო მეტიც, თუკი ცენტრალურ ბანკს შეუძლია უზრუნველყოს უცხოური ვალუტის ყოფი და გაყიდვა დაწესებული გაცვლითი კურსის მიხედვით, მაშინ ფულის მიწოდების ცვლილება აუცილებელ მოცულობაზე ავტომატურად მიმდინარეობს.

ა) წონასწორული გაცვლითი კურსი მაღალია, ბ) წონასწორული გაცვლითი კურსი უფრო დაბალია, ვიდრე ფიქსირებული კურსი



ნახ. 13-9. როგორ რეგულირდება ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს ფულის მიწოდება. ნახ. 13-9-ზე ლარის წინასწორული გაცვლითი კურსი ფიქსირებულ გაცვლით კურსზე მაღალია. სპექულიანტები იღებულობენ მოგებას საავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შესყიდვითა და ცენტრალური ბანკისადმი შემდგომი მიყიდვით. ამ დროს ფულის მიწოდება ავტომატურად იზრდება, LM მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ და გაცვლითი კურსი მცირდება. ნახ. 13-9-ზე ლარის წინასწორული გაცვლითი კურსი ფიქსირებულ კურსზე დაბალია. სპექულიანტები საავალუტო ბაზარზე ყიდულობენ ლარებს და მათ სანაცვლოდ ცენტრალური ბანკიდან იღებულობენ უცხოურ ვალუტას. ამ დროს ფულის მიწოდება ავტომატურად მცირდება, LM მრუდი გადაადგილდება მარცხნივ და გაცვლითი კურსი იზრდება.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის დაწესების შემდეგ ფულის მიწოდების რეგულირების მექანიზმის საიდენსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. დავუშვათ, რომ გაცვლითი კურსი დაწესებულია შემდეგ დროსზე: 1,5 ლარი ერთ დოლარზე. მაგრამ, ფულის არსებული მიწოდების შემთხვევაში წონასწორული დონეა 1,4 ლარი ერთ დოლარზე, ე.ი. 0,1 ლარით მეტი (ნახ. 13-9). ეს ჭნის სასიკეთო პირობებს მოგების მისაღებად საავალუტო სპექულაციის სფეროში: მაგალითად, სპექულიანტს შეუძლია ბაზარზე იყიდოს 280 ლარად 200 დოლარი, ხოლო შემდეგ ის მიყიდოს ეროვნულ ბანკს 300 ლარად, რითაც მიიღებს 20 ლარის მოგებას. მაგრამ ეროვნული ბანკის მიერ დოლარის ყიდვის შემთხვევაში სპექულიანტისათვის გადახდილი ლარები ავტომატურად ზრდის ფულის მიწოდებას. შესაბამისად, LM* მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ, წონასწორული გაცვლი-

თი კურსი კი შემცირდება. ფულის მიწოდება გაგრძელდება მანამდე, ვიდრე წონასწორული გაცვლითი კურსი არ შემცირდება გამოცხადებულ დონემდე.

ახლა განვიხილოთ საბირჟისპირო შემთხვევა, როდესაც გამოცხადებული ოფიციალური კურსი შეადგენს 1 დოლარს, ხოლო წინასწორული კი – 0,5 დოლარს ერთ ლარზე (ნახ. 13-9ბ). მაშინ სპეკულიანტი მოგებას მიიღებს, თუკი ეროვნული ბანკისგან იყიდოს 1 ლარად 1 დოლარს და შემდეგ მას გაყიდოს ბაზარზე 2 ლარად. ამ შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ღირებულება ავტომატურად ამცირებს ფულის მიწოდებას. შესაბამისად, LM* მრული გადაადგილება მარცხნივ და წინასწორული გაცვლითი კურსი გაიზრდება. ფულის მიწოდების შემცირება გაგრძელდება მანამ, ვიდრე წინასწორული გაცვლითი კურსი არ მოადევნებს ოფიციალურად გამოცხადებულ დონეს.

საკუთრა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ აღწერილი მექანიზმის მოქმედება ენება მხოლოდ და მხოლოდ ნომინალურ გაცვლით კურსს, ხოლო რეალური გაცვლითი კურსისადმი ის მისაღებია დროის მხოლოდ მცირედ მოცულობისათვის. ფასების რყევების დროს, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გარდაუვალია, რეალური გაცვლითი კურსი შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნომინალური გაცვლითი კურსი ფიქსირებულია. ამიტომ, გრძელვადიან პერიოდში (თუკი 7) ნომინალური გაცვლითი კურსის დაფიქსირება გაეყენას არ ახდენს რეალურ ეკონომიკურ ცვლადებზე, მათ შორის, რეალურ გაცვლით კურსზეც. ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება გაეყენას მონაზღვრის მხოლოდ ფულის მიწოდებაზე და ფასების დონეზე. მაგარა, ფიქსირებული ფასების მქონე მოკლევადიან პერიოდში (როგორც მანდელ-ფლემინგის მოდელია), ნომინალური გაცვლითი კურსის დაფიქსირება თანაბარმნიშვნელოვანია რეალური კურსის დაფიქსირების.

მბაბლითი 13-2

საერთაშორისო ოქროს სტანდარტი

XIX სასუელულის მნიშვნელოვანი პერიოდის მანძილზე წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობები რევოლუციურად ოქროს სტანდარტით. ყოველი ქვეყანა თავის განკარგულებაში ინახავდა გარკვეულ ოქროს მარაგს და დახურობდა ვალდებულებას გაცეკვა საკუთარი ეროვნული ვალუტის ყოველი ერთეული ოქროს გარკვეულ რაოდენობაზე. ამგვარად, ოქროს სტანდარტის მეშვეობით მსოფლიო ეკონომიკაში ფუნქციონირებდა ფიქსირებული გაცვლითი კოეფიციენტის სისტემა.

იმის საიდუმლოდგინოდ, თუ როგორ ხდებოდა ყოველივე ეს, დაუშვათ, რომ აშშ-ს ხაზინა ყიდულობს და ყიდის უცნა ოქროს 100 დოლარად, ხოლო ინგლისის ბანკი კი – 100 ფუნტად. მაშინ, 1 დოლარი უტოლდება 1 ფუნტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება ფასების ერთიანობის დარღვევას და მომტკინიანი ვაჭარბა ერთ ქვეყანაში ოქროს ყიდვა და მეორე ქვეყანაში მისი გაყიდვა.


მაგალითად დაუშვათ, რომ გაცვლითი კურსი ტოლია 1 დოლარზე. ამ შემთხვევაში, სპეკულიანტს შეუძლია 100 დოლარის გაცეკვა 200 ფუნტზე. მიიღებს რა მისი მეშვეობით ინგლისის ბანკში 2 უცნა ოქროს, რომელსაც შემდეგ გაყიდოს 200 დოლარად აშშ-ში, რაც მას საშუალებას მისცემს მიიღოს 100 დოლარის მოგება. უფრო მტივი, ოქროს მოიღებდა აშშ-ში გამოიწვევს ფულის მიწოდების ზრდას, ხოლო ინგლისში – მის შემცირებას.

ამგვარად, ოქროს სტანდარტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში სპეკულიანტების მიერ ოქროს საერთაშორისო გადაადგილება უზრუნველყოფდა ფულის მიწოდების შეხამებას ფიქსირებულ გაცვლით კურსის სისტემის შენარჩუნებისადმი. თუმცა, რამდენადაც ოქროს ვალაზიდა ატლანტის ოკეანის გადაღმა დაეპროტექტო იყო გარკვეულ დანახარებებთან, ეს მექანიზმი ვერ უზრუნველყოფდა გაცვლით კურსების მყარად ფიქსირებას. მაგარა, იმავდროულად საერთაშორისო ოქროს სტანდარტი საშუალებას იძლეოდა დაეწესებოდა ოქროსების რყევების გარკვეული ზღვრები ოქროს ტრანსპორტირების დარღვევებსათან შესაბამისად, რაც უზრუნველყოფდა მათი მკვეერი ცვლილებების აღმოფხვრას.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა

ახლა განვიხილოთ ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების საკითხი ფიქსირებული გაცვლითი კურსის მქონე მცირე ლია ეკონომიკაზე. დაუშვათ, რომ მასში ტრდება შიდა მოთხოვნის სტრუქტურის პოლიტიკა სახელმწიფო შესყიდვების ზრდის ან გადასახადების შემცირების მეშვეობით. ეს იწვევს IS* მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას და გაცვლითი კურსის ზრდის ტენდენციას (ნახ. 13-10). მაგრამ, რამდენადაც ფულის მიწოდება იცვლება ისე, რომ გაცვლითი კურსი შენარჩუნდეს უცვლელად, ის უნდა გაიზარდოს, რაც LM* მრუდს აგრეთვე გადაადგილებს მარჯვნივ.


ამგვარად, ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში სტრუქტურული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა იწვევს ერთობლივი შემოსავლის ზრდას (განახვავებით იმ სიტუაციაში, გან, როდესაც მოქმედებს მცურები გაცვლითი კურსი). ეს ხდება იმიტომ, რომ სტრუქტურული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში ავტომატურად მიყვავართ ფულად-საკრედიტო ექსპანსიასთან.



ნახ. 13-10. სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ფიქსირებული გაყვლითი კურსის პირობებში IS* მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ იგივე ცვლილებას განიცდის LM* მრუდი, რადგანაც ფიქსირებული გაყვლითი კურსის შესანარჩუნებლად ცენტრალური ბანკი ეძლეება გაზარდოს ფულის მიწოდება. შედეგად, მცურავი გაყვლითი კურსის განსხვავებით, ფიქსირებული გაყვლითი კურსის შემთხვევაში იზრდება ერთობლივი შემოსავალი.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

რა შედეგებამდე მივყავართ ცენტრალური ბანკის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ფულის მიწოდების ზღვისაქენ (მაგალითად, მოსახლეობისაგან ობლიგაციების შესყიდვით)? თავდაპირველად LM* მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ და საბაზრო გაყვლითი კურსი შემცირდება (ნახ. 13-11). მაგრამ, რადგანაც ოფიციალური გაყვლითი კურსი უცვლელი რჩება, საეკონომიკურ სწრაფად მიჰყვითან ეროვნულ ვალუტას ცენტრალურ ბანკს, ფულის მიწოდება შემცირდება და LM* მრუდი დაუბრუნდება უწინდელ მდგომარეობას. ამიტომ, ფიქსირებული გაყვლითი კურსის შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა თავისი არსით შეუძლებელია. თანხმდება რა ფიქსირებული გაყვლითი კურსის შენარჩუნებას, ცენტრალური ბანკი კარგავს ფულის მიწოდებაზე კონტროლს.



ნახ. 13-11. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფიქსირებული გაყვლითი კურსის პირობებში ცენტრალური ბანკის ცდები გაზარდოს ფულის მიწოდება (მაგალითად, მოსახლეობისგან ობლიგაციების ყიდვით) წარმოშობს გაყვლითი კურსის შემცირების ტენდენციას. ფიქსირებულ დონეზე მისი შენარჩუნებისათვის აუცილებელია, რათა ფულის მიწოდებისა და LM* მრუდის მატყენებლები დაუბრუნდნენ თავიანთ უწინდელ მდგომარეობას ამიტომ, ფიქსირებული გაყვლითი კურსის პირობებში თვითმყოფადი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება შეუძლებელია.

ქვეანაში, სადაც მოქმედებს ფიქსირებული გაცვლითი კურსი, შესაძლებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მხოლოდ ერთი ტიპი - გაცვლითი კურსის ფიქსირებული დონის ცვლილება. მის შემცირებას ეწოდება *დევალუაცია*, ხოლო ზრდას - *რევალუაცია*. მანდელ-ფლემინგის მოდელში მანდელაევიის შედეგები მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში ფულის მიწოდების ზრდის შედეგების მსგავსია, როდესაც LM* მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ.

ამგვარად, დევალუაციის დროს იზრდება წმინდა ექსპორტი და ერთობლივი შემოსავალი. რევალუაციის დროს, პირაქით, LM* მრუდი გადაადგილდება მარცხნივ, წმინდა ექსპორტი მცირდება, რაც განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას.

საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა

დაეუფაოთ, რომ იმპორტის შემცირების მიზნით მთავრობას შემოაქვს იმპორტული კოტები ან ტარიფები. წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკი და შესაბამისად, IS* მრუდიც გადაადგილდება მარჯვნივ-მალა (ნახ. 13-12). IS* მრუდის გადაადგილება წარმოშობს გაცვლითი კურსის ზრდის ტენდენციას მისი უცვლელ დონეზე შენარჩუნებისათვის აუცილებელია ფულის მიწოდების ზრდა, რომელიც აისახება LM* მრუდის მარჯვნივ გადაადგილებაში.

საგარეო-სავაჭრო შეხილუვების შემოღება ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში გამოიწვევს სრულიად სხვა შედეგებს, ვიდრე შესაძლებელია მივიღოთ მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში. ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში საგარეო-სავაჭრო შეხილუვა იწვევს ერთობლივი შემოსავლის ზრდას. უფრო მეტიც, ის აგრეთვე ზრდის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშს NX სადღოს. რაღონდაც გაცვლითი კურსი არ იცვლება, წმინდა ექსპორტის ფუნქციის გრაფიკის მარჯვნივ-მალა გადაადგილება ნიშნავს წმინდა ექსპორტის მოცულობის ზრდას. იგივე შედეგთან შეიძლება მივიდეთ სხვა გზითაც. გაიხსენოთ, რომ

$$NX = S - I.$$

შემოსავლების ზრდა იწვევს დაზოგვის ზრდას, რაც გულისხმობს წმინდა ექსპორტის მოცულობის ზრდას.

მანდელ-ფლემინგის მოდელიდან გამომდინარე დასკვნები

ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც მანდელ-ფლემინგის მოდელის ანალიზიდან გამომდინარეობს, მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები ტიპურია და ეკონომიკაში დამოკიდებულია მოცემულ ეკონომიკაში არსებულ გაცვლითი კურსის მდგომარეობაზე. 13-1-ში განხილულია ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო და საგარეო-სავაჭრო პოლიტიკათა ზემოქმედების შედეგები შემოსავლების დონეზე, გაცვლით კურსზე და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის მდგომარეობაზე. აღენიშნაეთ, რომ ყველა ისინი განსხვავებულია ფიქსირებული და მცურავი გაცვლითი კურსების შემთხვევისათვის.

(ცხრილი 13-1

მანდელ-ფლემინგის მოდელი: ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები

პოლიტიკა	გაცვლითი კურსის სახე					
	მცურავი			ფიქსირებული		
	Y	e	NX	Y	e	NX
სტიმულირებადი საბიუჯეტო-საგადასახადო	0	↑	↓	↑	0	0
სტიმულირებადი ფულად-საკრედიტო	↑	↓	↑	0	↓	0
შესილუვები იმპორტზე	0	↑	0	↑	0	↑

შენიშნა: მოცემული ცხრილი ვერაზნებს, თუ რა ზემოქმედებას ახდენს თითოეული სახის ეკონომიკური პოლიტიკა შემოსავალზე Y, გაცვლით კურსზე e და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშზე NX. ზემოთ მითითებული ისარი აღნიშნავს ამა თუ იმ ცვლადის ზრდას, ქვემოთ მითითებული ისარი - შემცირებას, ხოლო „0“ კი - გაუცვლელს უქონლობას. გაიხსენოთ, რომ გაცვლითი კურსის დონე განისაზღვრება უცხოური ვალუტის რაოდენობით, რომელიც იცვლება ერთენული ვალუტის ერთეულზე (მაგალითად, 0,7 დოლარი 1 ლარზე).

მანდელ-ფლემინგის მოდელის თანახმად, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა ზემოქმედების მასშტაბები ერთობლივ შემოსავალზე დამოკიდებულია მოქმედი გაც-

ელთი კურსის სახეზე. მცურავი გაცვლითი კურსის შემთხვევაში შემოსავალზე გააღვენას ახდენას მხოლოდ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ხოლო სტიმულირებადი საბუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გაღვენას ეფექტი ფაქტიურად ნულს უტოლდება ვალუტის კურსის ზრდის გამო. ფისირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში შემოსავალზე გააღვენას ახდენას მხოლოდ საბუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ამ თვალსაზრისით, უშედეგოა, რამდენადაც ფულის მიწოდების ცვლილებები ექვემდებარება გაცვლითი კურსის ოფიციალურად გამოცხადებულ დონეზე შენარჩუნების ამოცანას.

13-4. როგორი უნდა იყოს გაცვლითი კურსი: მცურავი თუ ფისირებული?

გაეანალიზეთ რა ეკონომიკის ფუნქციონირება მცურავი და ფისირებული გაცვლითი კურსების შემთხვევაში, შეიძლება განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მათგანია მისაღები. საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმა ხშირად ეკონომისტებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ცხარე კამათის საგანი ხდება. ადრე ეკონომისტთა უმრავლესობა მხარს უჭერდა მცურავი გაცვლითი კურსის დაწესებას, მაგრამ ბოლო წლებში ზოგიერთები მიზანშეწონილად მიიჩნევენ ფისირებულ კურსისაკენ შემობრუნებას.

მცურავი გაცვლითი კურსის სასარგებლოდ მთავარი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ ის იძლევა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა მიზნების მისაღწევად. მაშინ, როდესაც ფისირებული კურსის შემთხვევაში მისი ფუნქცია დამატებით მხოლოდ და მხოლოდ გამოცხადებული გაცვლითი კურსის დონის შენარჩუნებაზე. გაცვლითი კურსი მხოლოდ ერთ-ერთი ეკონომიკური მაჩვენებელია სხვა მრავალ მაჩვენებელთა შორის, რომელზედაც ზემოქმედება შესაძლებელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დახმარებით და რომელიც ყურადღების ცენტრშია ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას. მცურავი კურსის დაწესება საშუალებას გვაძლევს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიემართოთ ისეთი ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა სრული დასაქმების მიღწევა და ფასების სტაბილიზაცია.

ფისირებული გაცვლითი კურსის მომხრეები თვლიან, რომ ვალუტის კურსის განუსაზღვრელობა ართულებს საგარეო ვაჭრობას. XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ფისირებული გაცვლითი კურსის - ბრეტონ-უდსის სისტემაზე უარის თქმის შემდეგ, ვალუტის რეალური და ნომინალური გაცვლითი კურსების რყევები გაძლიერდა მსოფლიოში უფრო მეტად. ზოგიერთი ეკონომისტი ამას ხსნის კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე საკულავაციის მადესტაბილიზაციული გაღვენით. მეწარმეები ჩვეულებრივ თვლიან, რომ ასეთი რყევები აძლიერებენ განუსაზღვრელობას, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო ეკონომიკურ ოპერაციებს, რაც საკმაოდ დიდი ზიანის მომტანია თუმცა, მიუხედავად ამისა, საგარეო ვაჭრობის მოცულობა იზრდება მცურავი გაცვლითი კურსის შემთხვევაშიც.

ფისირებული გაცვლითი კურსის სასარგებლოდ ზოგიერთ მოქალაქე შემდეგი არგუმენტები მისი დაწესება საშუალებას იძლევა აღიკვეთოს ფულის მიწოდების გაუმართლებელი ზრდა. მაგრამ არსებობს ცენტრალური ბანკის „დისციპლინირების“ შესაძლებლობის სხვა მეთოდებიც. ფისირებული გაცვლითი კურსის პოლიტიკა უნდა განვიხილოთ ეკონომიკურ პოლიტიკის სხვა ვარიანტებთან მიმართებაში, რომელიც აღწერილია მე-11 თავში. მაგალითად, მაშასადამე ნომინალური მოცულობის მიღწევის კურსთან. ფისირებული გაცვლითი კურსის პოლიტიკის უპირატესობას სხვა დანარჩენთან შედარებით გამოიხატება მისი რეალიზაციის სიმარტივეში, რამდენადაც ფულის მიწოდების აუცილებელი ცვლილებები ხორციელდება ავტომატურად. თუმცა, ამ პოლიტიკამ შესაძლოა მიგვიყვანოს შემოსავლისა და დასაქმების კიდევ უფრო მეტ რყევებთან.

ამრიგად, არ არის აუცილებელი გავაქეთოთ საბოლოო არჩევანი ფისირებულ და მცურავ გაცვლით კურსებს შორის. ვალუტის ფისირებული კურსის შემთხვევაში ქვეყანას შეუძლია მისი დონის შეცვლა, თუკი მისი შენარჩუნება აშკარად მწვავე წინააღმდეგობაში გვადება სხვა ეკონომიკური მიზნების მიღწევასთან. თუკი გაცვლითი კურსი მცურავია, მაშინ ვალუტის მიწოდების ზრდის ან შემცირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ქვეყნები ხშირად პირდაპირ ან ირიბად მაინც ითვალისწინებენ მის დაწესებას წინასწარ არჩეულ დონეზე. ამიტომ, აბსოლუტურად ფისირებული ან მთლიანად თავისუფალი გაცვლითი კურსები ძალიან იშვიათად გვხვდება. ნებისმიერ შემთხვევაში, სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნება ერთ-ერთი ამოცანათაგანია, რომელიც დგას ცენტრალური ბანკების წინაშე.

13-5. მანდელ-ფლემინგის მოდელი ცვალებადი ფასების გათვალისწინებით

ჩვენ ვინარგებლეთ მანდელ-ფლემინგის მოდელით მცირე ღია ეკონომიკის შესასწავლად მოკლევადიანი პერიოდისათვის, როდესაც ფასების დონე ფისირებული იყო. იმისათვის, რომ ენახ-

ოთ, თუ როგორ აკავშირებს ეს მოდელი იმ მოდელებს, რომლებიც წინა თავებში შევისწავლეთ, ჯერ განვიხილოთ რა მოხდება, თუკი ფასების დონე შეიცვლება.

იმისათვის, რომ განვიხილოთ ფასების რეველირება ღია ეკონომიკაში, საჭიროა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ნომინალური ϵ და რეალური ϵ გაცვლითი კურსები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება შემდეგი ტოლობით: $\epsilon = eP/P^*$. ამის გათვალისწინებით მანდელ-ფლემინგის მოდელი შევიძლია ჩაეწეროს შემდეგნაირად:



$$Y = C(Y - T) + I(r^*) + G + NX(\epsilon) \quad IS^*$$

$$\frac{M}{P} = L(r^*, Y) \quad LM^*$$

ეს ტოლობები ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. პირველი აღწერს IS^* მრუდს, მეორე კი - LM^* -ს. შევნიშნოთ, რომ წინადა ექსპორტი დამოკიდებულია რეალურ გაცვლით კურსზე.


ნახ. 13-12-ზე ნაჩვენებია თუ რა ხდება, როდესაც ფასების დონე მცირდება. რადგანაც დაბალი ფასები ზრდის რეალურ ფულად მარაგებს, LM^* მრუდი გადაადგილება მარჯვნივ, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 13-12-ზე. რეალური გაცვლითი კურსი მცირდება და შემოსავლის წონასწორული დონე იზრდება. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი აერთიანებს ამ უარყოფით დამოკიდებულებას ფასებისა და შემოსავლების დონეებს შორის, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 13-12ბ-ზე.

ნახ. 13-12. მანდელ-ფლემინგის მოდელი, როგორც ერთობლივი მოთხოვნის თეორია ა) გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ფასების დონის შემცირების შემთხვევაში LM^* მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ. შემოსავლების წონასწორული დონე იზრდება. ბ) ნახაზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული დამოკიდებულება P -სა და Y -ს შორის გაერთიანებულია ერთობლივი მოთხოვნის მრუდით.




ამგვარად, როგორც $IS-LM$ მოდელი გვიხსიათებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს დახურულ ეკონომიკაში, ისე მანდელ-ფლემინგის მოდელი გვიხსიათებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მცირე ღია ეკონომიკისათვის. ორივე შემთხვევაში, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გვიჩვენებს, რომ წონასწორობის დამყარება ეფუძნება ფასების ცვალებადობას. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც

ცელის წონასწორობას მოცემული ფასების დონის შემთხვევაში, ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ ან მარცხნივ. პოლიტიკა, რომელიც განაპირობებს შემოსავლების ზრდას, ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ; პოლიტიკა, რომელიც ამცირებს შემოსავალს, ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარცხნივ.



ნახ. 13-13. მოკლევადიანი და გრძელვადიანი წონასწორობა მცირე ღია ეკონომიკაში. K წერტილი ორივე ნახაზზე გვიჩვენებს წონასწორობას კენზონარული დაშვების თანახმად ფასების დონის უცვლელიაობის შესახებ, რომელიც P_1 -ის ტოლია. C წერტილი ორივე ნახაზზე გვიჩვენებს წონასწორობას კლასიკური დაშვების შესახებ. მისად, რომლის თანახმადაც ფასების დონე იცვლება ისე, რომ შენარჩუნდეს შემოსავალი თავის ბუნებრივ დონეზე Y .



ჩვენ შეგვიძლია გამოიყენოთ აღნიშნული დიაგრამა, რათა ვაჩვენოთ მოცემულ თავში გაანალიზებული მოკლევადიანი მოდელი თუ როგორ უკავშირდება გრძელვადიან მოდელს, რომელიც განხილულია მე-7 თავში. ნახ. 13-13 გვიჩვენებს მოკლევადიან და გრძელვადიან წონასწორობას. ორივე ნახაზზე K წერტილი აღნიშნავს მოკლევადიან წონასწორობას, რადგანაც ის ეფუძნება ფასების ფიქსირებულ დონეს. ამ წონასწორულ წერტილში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა ძალიან დაბალია იმისათვის, რათა შენარჩუნდეს წარმოება ბუნებრივ დონეზე. დროთა განმავლობაში, დაბალი მოთხოვნა განაპირობებს ფასების დონის ვარდნას. ფასების დონის შემცირება ზრდის რეალურ ფულად მარაგებს და LM^* მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ. რეალური გაცვლილი კურსი მცირდება, რაც წმინდა ექსპორტის ზრდისაკენ უბიძგებს. საბოლოოდ, ეკონომიკა აღწევს C წერტილს – გრძელვადიან წონასწორობას. მოკლევადიანი წონასწორობის გრძელვადიან წონასწორობა-

ში გადასვლის სინქარე დამოკიდებულება იმაზე, თუ როდენ სწრაფად განაპირობებს ფასების ღონე ეკონომიკის ბუნებრივ დონეზე დაბრუნებას.

შემოსავლების დონეები K და C წერტილებში განეკუთვნება ჩვენს ინტერესთა სფეროს. მოცემულ თავში ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ის, თუ როგორ გაელახებოდა ახდენს პოლიტიკა K წერტილზე - მოლვედიან წონასწორობაზე მე-7 თავში ჩვენ გამოვიკვლიეთ C წერტილის გრძელვადიანი წონასწორობის დეტერმინანტები. ვიდრე პოლიტიკოსები განახორციელებენ ეკონომიკურ პოლიტიკას, მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის შესაძლო მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები, რომლებიც მოჰყვება მათ გადაწყვეტილებებს.

13-6. დასკვნა

მოცემულ თავში განიხილებოდა მცირე ღია ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები მოკლევადიან პერიოდში უცვლელი ფასების შემთხვევაში. გავეანალიზეთ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა გავლენა შემოსავლებზე და გაცვლით კურსებზე. აგრეთვე ეკონომიკური მექანიზმების მოქმედება მცურავი და ფიქსირებული გაცვლითი კურსების დროს. სასარგებლო იქნება, თუკი გავიხსენებთ მე-7 თავში მოვეხილეთ დასკვნებს. აშშ-ს ეკონომიკა არ წარმოადგენს არც დახურულს, არც მცირე ღიას, ის რაღაც შუალედური სისტემაა.

მაგალითად, აშშ-ს მაგარი დიდი ღია ეკონომიკის ფუნქციონირება ითვსებს იმ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს როგორც დახურულს, ისე მცირე ღია ეკონომიკას. ამიტომ, მისი ეკონომიკური პოლიტიკის გაანალიზების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ როგორც ის დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებოთ მე-10 თავში დახურული ეკონომიკისათვის, ასევე მოცემული თავის დასკვნებიც. დიდი ღია ეკონომიკის ასეთი შუალედური მოდელი მოყვანილია მოცემული თავის დანართში. მასში ჩამოყალიბებული კანონზომიერებები წარმოადგენს ზემოთგანხილულ უკიდურესი შემთხვევების ერთგვარ კომბინაციას. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ გამოიყენებოთ აშშ-ს ეკონომიკისათვის ერთდროულად დახურული და მცირე ღია ეკონომიკის კვლევის ლოგიკა, განვიხილოთ ფულის მიწოდების შემცირების მოკლევადიანი შედეგები. დახურულ ეკონომიკაში ფულის მიწოდების შემცირება იწვევს საპროცენტო განაკეთის ზრდას, ინვესტიციების მოცულობისა და შესაბამისად, ერთობლივ მოთხოვნის შემცირებას. მცურავი გაცვლითი კურსის მქონე მცირე ღია ეკონომიკაში ის იწვევს გაცვლითი კურსის ზრდას, წმინდა ექსპორტისა და შედეგად, ერთობლივი შემოსავლის შემცირებას. მაგრამ საპროცენტო განაკეთზე, რომლის დონეც განისაზღვრება მოსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე, ფულის მიწოდების შემცირება ვერ ახდენს გავლენას.

აშშ-ს ეკონომიკა მოიცავს ორივე სისტემის ელემენტებს. რამდენადაც მას გააჩნია საქმარისი მასშტაბები მსოფლიო საპროცენტო განაკეთზე ზემოქმედების თვალსაზრისით და ამავე დროს, არ არსებობს კაპიტალის მთლიანად თავისუფალი გადაადინება ქვეყნებს შორის, ფულის მიწოდების შემცირება, ასე თუ ისე იწვევს საპროცენტო განაკეთის ზრდას და ინვესტიციების მოცულობის შემცირებას. მაგრამ ერთდროულად ის იწვევს დოლარის კურსის ამაღლებას, რომელსაც მოყვება წმინდა ექსპორტის მოცულობის შემცირება. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მანდლ-ფლემინგის მოდელი არ გვიხსნათებს აშშ-ს მსგავსი ქვეყნის ეკონომიკას, ის მაინც გვაძლავს საშუალებას მართებულად ეთინისწარმომეტყველოდ საგარეო ეკონომიკური მანქანებლების დინამიკა, როგორცაა გაცვლითი კურსი. ის აგრეთვე გვიჩვენებს, თუ როგორ აისახება ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგები საგარეო ეკონომიკური კავშირების სფეროს მდგომარეობაზე.

ძირითადი დასკვნები

1. მანდლ ფლემინგის მოდელი – ეს არის IS-LM მოდელი მცირე ღია ეკონომიკისათვის. მოდელი გვიხსნის (დებულობს რა ფასებს უცვლელად) შემოსავლის დონისა და გაცვლითი კურსის რყევების მიზეზებს.
2. მანდლ-ფლემინგის მოდელი გვიჩვენებს, რომ მცურავი გაცვლითი კურსის შემთხვევაში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა არ ახდენს გავლენას ერთობლივ შემოსავალზე. მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა იწვევს გაცვლითი კურსის ზრდას და წმინდა ექსპორტის შემცირებას, რაც აბათილებს მის ჩვეულებრივ დადებით გავლენას ერთობლივ შემოსავალზე. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ერთობლივ შემოსავალზე გავლენას მოზოდ ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში ახდენს.

3. მანდელ-ფლემინგის მოდელი გეინვენებს, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გავლენას არ ახდენს ერთობლივ შემოსავალზე. ფულის მიწოდების გაფართოების ნებისმიერი ცდა განწირულია წარუმატებლობისთვის, რამდენადაც ეს უკანასკნელი თვითრეგულირდება გაცვლითი კურსის დაწესებული დონის შესანარჩუნებლად. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გავლენას ახდენს ერთობლივ შემოსავალზე მხოლოდ მცურავი გაცვლითი კურსის შემთხვევაში.

4. როგორც მცურავ, ისე ფიქსირებულ გაცვლით კურსს გააჩნიათ უპირატესობები. მცურავი კურსის დაწესება საშუალებას აძლევს პოლიტიკოსებს გამოიყენონ ფულად-საკრედიტო რეგულირება სხვა მიზნებისთვის, ვიდრე სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნებაა. ფიქსირებული გაცვლითი კურსი კი ასუსტებს განუსაზღვრელობის ფაქტორის მოქმედებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ბირთვადი ცნებები

მანდელ-ფლემინგის მოდელი
ვალუტის „მცურავი“ გაცვლითი კურსი
ვალუტის ფიქსირებული გაცვლითი კურსი
დეფლაცია
რეფლაცია

დანართი

დიდი ღია ეკონომიკის მოდელი მოკლევადიანი პერიოდისათვის

მე-7 თავის დანართში წარმოდგენილია დიდი ღია ეკონომიკის მოდელი მცირე ღია ეკონომიკის მოდელისაგან განსხვავებით, ის არ გულისხმობს უცხოური კრედიტების შეუზღუდავი ოდენობით მიღებას თუ შეთავაზების შესაძლებლობებს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთით. ამის მაგივრად მასში ნაგულისხმეობაა, რომ რაც უფრო მეტია ქვეყნის უცხოური ხესხების მოცულობა, მით უფრო მეტი საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოუწევს მას. აქ მოყვანილია ანალოგიური მოდელი მოკლევადიანი პერიოდისათვის უცვლელი ფასებით.

ის გამოიხატება შემდეგი საში განტოლებით:

$$Y = C(Y - T) + I(r) + G + NX(\epsilon),$$

$$\frac{M}{P} = L(r, Y),$$

$$NX(\epsilon) = -CF(r).$$

პირველი-ორი განტოლება ისეთივეა, როგორც მოცემულ თავში განხილული მანდელ-ფლემინგის მოდელი. მესამე განტოლებაში, რომელიც ადებულია მე-7 თავის დანართიდან, მტკიცდება, რომ მიმდინარე ანგარიში NX ყოველთვის აბალანსებს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს CF , რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მოცემულ ქვეყანაში არსებულ (შიდა) საპროცენტო განაკვეთზე.

იმისათვის, რომ გაეიგოთ ამ მოდელის არსი, მესამე განტოლება ჩავსვათ პირველში. მაშინ მოდელი მიიღებს შემდეგ სახეს:

$$Y = C(Y - T) + I(r) + G - CF(r) \quad IS,$$


$$\frac{M}{P} = L(r, Y) \quad LM.$$

ეს ორი განტოლება ძალიან წააგავს $IS-LM$ მოდელში მოცემულ განტოლებებს დახურული ეკონომიკისათვის. ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დანახარჯები მოცემულ შემთხვევაში დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე ორი მიზეზის გამო. როგორც წინა შემთხვევაში, ამჯერადაც საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს ინვესტიციების შემცირებას. მა-

გრამ, ის ამ დროს დამატებით ასტიმულირებს კაპიტალის მოძინებას და შესაბამისად, ამცირებს წმინდა ექსპორტის მოცულობას.

მოცემული მოდელი გასაანალიზებლად ავაგოთ სამი გრაფიკი (ნახ. 13-14). ნახ. 13-14-ზე მოცემულია IS-LM დიაგრამა. როგორც დახურული ეკონომიკის მოდელში (მე-9 და მე-10 თავები), აქაც ვერთკალურ ღერძზე აღნიშნულია საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობები r , ხოლო პორიზონტალურ ღერძზე – შემოსავლებისა Y . შემოსავლისა და საპროცენტო განაკვეთის წონასწორული დონეები განისაზღვრება IS და LM მრუდების გადაკვეთით.

ა. IS-LM მოდელი




ნახ. 13-14. დიდი ღია ეკონომიკის მოდელი მოკლევადიან პერიოდში.

ნახ. 13-14ა გვიჩვენებს, რომ საპროცენტო განაკვეთი r_1 და შემოსავალი Y_1 განისაზღვრება IS და LM მრუდებით.


ნახ. 13-14ბ გვიჩვენებს, რომ r_1 განსაზღვრავს კაპიტალის ნაკადს CF_1 .

ნახ. 13-14გ გვიჩვენებს, რომ CF_1 და წმინდა ექსპორტის ფუნქცია განსაზღვრავს ბაცელით კურსს e_1 .

ბ. კაპიტალის მოძინება ხაზღვარგარეთიდან



გ. საცალკეო ბაზარი




IS მრუდის განტოლებაში ახალი პარამეტრების – კაპიტალის ნაკადის $-CF(r)$ შემოღების შედეგად, მოცემული მრუდი უფრო დამრეცი ხდება, ვიდრე იყო დახურული ეკონომიკის მოდელში. რაც უფრო მგრძობიარეა კაპიტალის ნაკადის სიდიდე საპროცენტო განაკვეთის მიმართ, მით უფრო დამრეცი ხდება IS მრუდი. გავისხენოთ, რომ, როგორც მე-7 თავის დანართში აღვნიშნეთ, მცირე ღია ეკონომიკა წარმოადგენს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის მიმართ კაპიტალის ნაკადის უსასრულო ელასტიკურობის უკიდურეს შემთხვევას და IS მრუდიც ამ მოდელში სრულიად დამრეცია. ამიტომ, ჩვენს მოდელში ის უფრო პორიზონტალური ხაზი უნდა იყოს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნახ. 13-14ა-ზე წარმოდგენილი IS მრუდი არ უნდა გავავიგოთ ნახ. 13-1-ზე წარმოდგენილ IS მრუდთან. ნახ. 13-1-ზე IS მრუდი აგებულია ბაცელით კურსისა და წმინდა ექსპორტის მოცულობის უკუკავშირის ვარაუდიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც ნახ. 13-14ა-ზე IS მრუდის აგება ეფუძნება $NX(e) = CF(r)$ პირობას, რაც გულისხმობს წმინდა ექსპორტის მოცულობისა და ბაცელით კურსის (კვლილებას საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებულებით. რამდენადაც აღნიშნული IS მრუდი არ უკავშირდება გარკვეულ ბაცელით კურსს, ამ უკანასკნელის ცვლილება არ იწვევს მის გადაადგილებას.

ნახ. 13-14ბ-ზე და 13-14გ-ზე ნაჩვენებია, თუ როგორ განსაზღვრავს IS-LM მოდელის წონასწორობა კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშისა და გაცვლითი კურსის მდგომარეობას. ნახ. 13-14ბ-ზე ჩანს, რომ საზღვარგარეთიდან კაპიტალის მოდინება განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთით. მრუდს გააჩნია დადებითი დახრილობა, რადგანაც საპროცენტო განაკვეთის ამაღლება ასტიმულირებს უცხოური ინვესტიციების მოდინებას. ნახ. 13-14გ-ზე ნაჩვენებია, რომ ვალუტის გაცვლითი კურსი იცვლება ისეთნაირად, რათა საქონლისა და მომსახურების წონიდა ექსპორტმა გააწონასწოროს კაპიტალის აღნიშნული შემოდინება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაცვლითი კურსი გველეინება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშსა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს შორის ბალანსის დამყარების საშუალებად.

ახლა განვიხილოთ მოცემული მოდელის დახმარებით ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები მცურავი გაცვლითი კურსის შემთხვევაში.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა



ნახ. 13-15-ზე გაანალიზებულია მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგები. სახელმწიფო შესყიდვების ზრდა ან გადასახადების შემცირება იწვევს IS მრუდის მარჯვნივ-მალა გადაადგილებას. როგორც ნახ. 13-15ა-ზე ჩანს, ასეთი გადაადგილება თანდაყოლილია შემოსავლისა და საპროცენტო განაკვეთის ზრდით, როგორც ეს ხდება დახურულ ეკონომიკაში. მაგრამ, დიდ ღია ეკონომიკაში, როგორც ნახ. 13-15ბ ვეიჩვენებს, საპროცენტო განაკვეთის ამაღლება ასტიმულირებს საზღვარგარეთიდან კაპიტალის შემოდინებას, ხოლო CF-ის ზრდის შემთხვევაში NX კლებულობს. მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშსა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს შორის ბალანსის შესაწარმუნებლად გაცვლითი კურსი იზრდება, როგორც ეს ნახ. 13-15გ-ზეა ნაჩვენები.



ნახ. 13-15. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა დიდ ღია ეკონომიკაში.

ნახ. 13-15ა-ზე ნაჩვენებია, რომ IS მრუდი გადაადგილება მარჯვნივ. შემოსავლის დიდ იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი იწვევს r_1 -დან r_2 -მდე.


ნახ. 13-15ბ-ზე საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს კაპიტალის შემოდინების ზრდას CF_1 -დან CF_2 -მდე. როგორც ნახ. 13-15გ ვეიჩვენებს, საზღვარგარეთიდან კაპიტალის აღნიშნული შემოდინება თანდაყოლილია ეროვნული ვალუტის წმინდა მიწოდების შემცირებით სურათში ნაჩვენებია ანგარიშსწორებისთვის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის მიხედვით, რაც იწვევს გაცვლითი კურსის ამაღლებას e_1 -დან e_2 -მდე.



ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ნახ. 13-16-ზე გაანალიზებულია სტიმულირებადი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები. ფულის მიწოდების ზრდა იწვევს LM მრუდის გადაადგილებას (ნახ. 13-15). შემოსავლების დიდ

იზრდება, ხოლო საპროცენტო განაკვეთი მცირდება. ნახ. 13-16-ზე ნაჩვენებია, რომ საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს საზღვარგარეთიდან კაპიტალის შემოდინების შემცირებას. CF-ის შემცირება თანდაყოლილია NX-ის ზრდით მიმდინარე ოპერაციითა ანგარიშსა და კაპიტალის მობრუნების ანგარიშს შორის ბალანსის შესანარჩუნებლად. ნახ. 13-16-ზე ნაჩვენებია, რომ წმინდა ექსპორტის ზრდა ხდება გაცვლითი კურსის შემცირების შედეგად.




ნახ. 13-16. ფულად-საქრედიტო პოლიტიკა დიდ ღია ეკონომიკაში.


ნახ. 13-16-ზე ნაჩვენებია, რომ სტიმულირებადი ფულად-საქრედიტო პოლიტიკის შედეგად LM მრული გადაადგილდება მარჯვნივ. შემოსავლის დონე იზრდება Y_1 -დან Y_2 -მდე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი მცირდება r_1 -დან r_2 -მდე.

ნახ. 13-16-ზე ჩანს, რომ ამ დროს კაპიტალის შემოდინება მცირდება CF_1 -დან CF_2 სიდიდემდე შედეგად (ნახ. 13-15) იზრდება ეროვნული ვალუტის მიწოდება საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით და გაცვლითი კურსი მცირდება e_1 -დან e_2 -მდე.

ბ. კაპიტალის მოდინება საზღვარგარეთიდან



გ. სავალუტო ბაზარი



ცერა თითის წესი

მცურავი გაცვლითი კურსის მქონე დიდი ღია ეკონომიკის მოყვანილი მოდელი საუკეთესოდ პასუხობს აშშ-ს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის აღწერის ამოცანას. მაგრამ, დახურული ეკონომიკის მოდელთან (მე-9 და მე-10 თავები) და მოცემულ თავში წარმოდგენილ მცირე ღია ეკონომიკის მოდელთან შედარებით ის ბევრად უფრო რთული და მოცულობითია. საბუნდევროდ, დიდ ღია ეკონომიკაზე ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების ნათელსაყოფად შესაძლებელია ზედმეტად დაწერილმანების გარეშე ეისარგებლოთ „ცერა თითის წესით“:

დიდ ღია ეკონომიკაში გაერთიანებულაა როგორც დახურული, ისე მცირე ღია ეკონომიკისათვის დამახასიათებელი შტრუქტურები. იმისათვის, რომ ნათელი მოვყინოთ ეკონომიკური პოლიტიკის გავლენას რომელიმე ცვლადის დინამიკაზე, აუცილებელია ევაოვით გადაწყვეტა ორივე ექსტრემალური შემთხვევისათვის და ავიღოთ საშუალო მნიშვნელობა.

დაეუშვათ, საჭიროა განისაზღვროთ ფულადი მასის საპროცენტო განაკვეთზე და ინფლაციიზმის მოცულობაზე მოკლევადიანი ზემოქმედება. დახურული ეკონომიკის მოდელში საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ხოლო ინფლაციც მცირდება. მცირე ღია ეკონომიკის მოდელში არც ერთი იცვლება და არც მფორე, დიდი ღია ეკონომიკის მოდელში მიმდინარეობს რაღაც შუალედური პრო-

ცესებო: ფულადი მასის შემცირების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ხოლო ინვესტიციების მოცულობა მცირდება, მაგრამ შედარებით მცირე ხარისხით. დახურულ ეკონომიკასთან შედარებით, ამ შედეგების შემსუბუქება ხდება უცხოური კაპიტალის შემოდინებით, მაგრამ მისი მოცულობა არასაკმარისია იმისათვის, რათა მოახდინოს მათი სრული ნეიტრალიზება.

„ცერა თითის წესის“ თვალსაზრისით განხილული მარტივი მოდელის ფასეულობა კიდევ უფრო იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ იხინი არ იძლევიან ეკონომიკური სინამდვილის ზუსტ აღწერილობას, მაინც უსრუნველგეყოფენ სასარგებლო გზამკვლევით ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლო შედეგებში მართებული ორიენტაციისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, г.г. 515-535
2. Сакс Дж.,Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, г.г. 427-483
3. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, г.г. 595-651
4. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002, г.г. 254-264
5. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребеников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999, г.г. 386-434
6. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, г.г. 312-346
7. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall 2000, г.г. 421-441

თემა 14. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია

ეკონომიკაში მოკლევადიანი რყევების ახსნის ორი შეხედულება არსებობს. ამ შეხედულებებიდან პირველი, რომელსაც იზიარებს ეკონომისტთა უმრავლესობა, გადმოცემულია წინა თავებში. იგი აღიარებს, რომ კლასიკური მოდელი ვერ გამოდგება მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების განაწარმლებლად და საპასიოდ საჭიროა ისეთი მოდელი, რომელიც მოიცავს წინაპირობას ფასების სიხისტეზე.

თუმცა მცირერიცხოვანი, მაგრამ გაეღვინა ეკონომისტთა ჯგუფი (ახალი კლასიკური სკოლა) პირველ შეხედულებას არ იზიარებს. მათი აზრით, თეთი მოკლევადიან პერიოდებშიც კი ფასების სრულ მოქნილობაზე წინაპირობა სრულიად მართლსაზიარებელია და ეს საშუალებას იძლევა კლასიკური მოდელი ჩაითვალოს მოკლევადიანი რყევების აღწერის საუკეთესო საშუალებად. მთელი მიკროეკონომიკური ანალიზი ეფუძნება დებულებას იმის თაობაზე, რომ საბაზრო წონასწორობას განაპირობებს ფასების თავისდროული ცვალებადობა. ახალი კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს დებულება საფუძვლად უნდა დაედოს მაკროეკონომიკურ თეორიასაც.

ეკონომიკური რყევების ახალ კლასიკურ კონცეფციებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიას. ამ თეორიის მიხედვით მოკლევადიან ანალიზში გამოიყენება გრძელვადიანი პერიოდის მოვლენის ეკლესიის ამოსავალი დებულებები. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია კლასიკური დიქტომია, რომლის მიხედვითაც ისეთი რეალური მაშინველებების ცვლილებები, როგორცაა დასაქმების დონე და მშპ-ს რეალური მოცულობა, დამოკიდებული არ არის ნომინალური მაშინველებების (ფულის მიწოდება და ფასების დონე) ცვლილებებზე. რეალური მაშინველების ცვლილებები ეკონომიკაში რეალური ძვრებით აიხსნება, მაგალითად, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვალებადობით ან ტექნოლოგიური ძვრებით. ამიტომ, სიტყვა „რეალური“ აღნიშნული თეორიის დასახელებაში გულისხმობს ეკონომიკური აქტიუობის რყევების მიზეზების ახსნიდან ნომინალური სიდიდეების გამოორციხებას.

მოცემული თავი ეძღვნება რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის შესწავლას. მის სრულად გადმოცემას არმდენიმე თავი დასჭირდება. ამიტომ, აქ შემოთავაზებულია მხოლოდ ამ კონცეფციის მოდელი, რომელიც გვიხასიათებს მასში გადმოცემულ ძირითად იდეებს, მის ღირსებას და ნაკლს.

14-1. მოქნილი ფასების ეკონომიკური მოდელის მიმოხილვა

იმისათვის, რომ გაეიგოთ, თუ როგორ ხსნის რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია წარმოების მოცულობის და დასაქმების დონის რყევებს, ვისარგებლოთ წინა თავებში მოყვანილი მოდელით. მოცემულ თეორიაში შესაძლებელია მრავალი ცნობილი კონცეფციის პოვნა, თუმცა ნაწილობრივ სხვა სახელწოდებებით. თავდაპირველად დავიწყოთ მოქნილი ფასების IS-LM მოდელით, შემდგომ შევახდინოთ მისი გარკვეული მოდიფიცირება, რომლის შედეგადაც მივაღწეოთ რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელს.

IS-LM მოდელში ფულად და სასაქონლო ბაზრებზე არსებული წონასწორობები ჩაიწერება შემდეგი ტოლობებით:

$$\begin{aligned} Y &= C(Y - T) + I(r) + G & \text{IS,} \\ \frac{M}{P} &= L(r, Y) & \text{LM.} \end{aligned}$$

პირველ ტოლობაში წარმოების მოცულობა Y წარმოდგენილია, როგორც მოხმარების მოცულობის - C , კაპიტალდაბანდება - I და სახელმწიფო შესყიდვების - G ჯამი. მოხმარების მოცულობა განისაზღვრება განაკარგავი შემოსავლის - $Y - T$ სიდიდით, ხოლო კაპიტალდაბანდება დამოკიდებულია რეალურ საპროცენტო განაკვეთზე - r -ზე მეორე ტოლობა გვიჩვენებს, რომ ფულის მიწოდება რეალურ გამოხატულებაში M/P ტოლია მასზე არსებული მოთხოვნისა, რომელიც, თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთისა და წარმოების მოცულობის ფუნქციაა. სიმარტივისათვის ინფლაციის მონაცემები ტემპი მიიღება 0-ის ტოლად, რაც საშუალებას იძლევა ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც დამოკიდებულია ფულზე მოთხოვნა, რეალურთან გაეიგივოთ. მოცემული ტოლობები მოყვანილია მე-9 და მე-10 თავებში.

აქამდე მოკლევადიანი რყევების ანალიზი წარმოებდა უცვლელი ფასების მქონე IS-LM მოდელის დახმარებით. თუკი ფასები ცვალებადია, მაშინ მათი დინამიკა ექვემდებარება ბუნებრივ დონეზე წარმოების მოცულობის შენარჩუნების ამოცანას:


$$Y = \bar{Y} = F(R, L).$$

ამ ტოლობათა სისტემა განსაზღვრავს სამი ენდოგენური ცვლადის - წარმოების მოცულობის - Y , რეალური საპროცენტო განაკვეთის - r და ფასების დონის - P მნიშვნელობებს.


ნახ 14-1 გვიჩვენებს ეკონომიკური წონასწორობის მდგომარეობას მოქნილი ფასების შემთხვევაში. წარმოების მოცულობა შეესაბამება \bar{Y} -ის ბუნებრივ დონეს. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება IS მრუდის ვერტიკალურ ხაზთან გადაკვეთის წერტილით, რომელიც შეესაბამება წარმოების მოცულობის ბუნებრივ მნიშვნელობას. ფასები იცვლება და ფიქსირდება ისეთ დონეზე, რომ LM მრუდმაც გაიაროს ამ წერტილში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ LM მრუდი მოქნილი ფასების ეკონომიკაში დიდ როლს არ თამაშობს. ფულის ბაზარზე წონასწორობის უზრუნველყოფა ხდება იმით, რომ იცვლება ფასების დონე, ეს კი ნიშნავს, რომ LM მრუდი აუცილებლად გაივლის სხვა ორი მრუდის - IS მრუდისა და წარმოების ბუნებრივი მოცულობის ხაზს შორის გადაკვეთის წერტილში. ამიტომ, ისეთი რეალური სიდიდეების ანალიზისას, როგორცაა წარმოების მოცულობა და რეალური საპროცენტო განაკვეთი, შეიძლება მსედველობაში არ მივიღოთ ფულის ბაზარზე შექმნილი სიტუაცია.

შესაბამისად, ელასტიკური ფასების მქონე ეკონომიკის გაანალიზების დროს შეიძლება შემოვიფარგლოთ ორი სახის დამოკიდებულების გამოყენებით, რომელიც წარმოდგენილია ნახ. 4-2-ზე IS მრუდის სახით, რომელსაც შემდგომში ეწოდება რეალური ერთობლივი მოთხოვნის მრუდი (საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთზე) და რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდი, რომელიც განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას წარმოების მოცულობის ბუნებრივი დონის შესაბამისად და აღინიშნება \bar{Y} ვერტიკალური ხაზით. საპროცენტო განაკვეთი უზრუნველყოფს მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობას.



ნახ. 14-1 IS-LM მოდელი მოქნილი ფასებით ელასტიკური ფასების მქონე მოდელში წარმოების მოცულობა დამოკიდებულია წარმოების ფაქტორთა მოწოდებაზე და იმაზე, თუ როგორია საწარმოო ფუნქცია. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება IS მრუდის წარმოების ბუნებრივი მოცულობის \bar{Y} ვერტიკალურ ხაზთან გადაკვეთის წერტილით. LM მრუდი ფასების შესაბამისი ადაპტაციის საშუალებით აუცილებლად გაივლის იმავე წერტილში.



ნახ. 14-2 მოქნილი ფასების მოდელის საკანონო დამოკიდებულებები. ფასების სრული მოქნილობის პირობებში საკანონო როლს თამაშობს საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნის დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთზე (რეალური ერთობლივი მოთხოვნის მრუდი IS) და მათი მიწოდების დამოკიდებულება საშუალო ძალისა და კაპიტალის მიწოდებაზე. აგრეთვე წარმოების ტექნოლოგიურ ბაზაზე.

ზემოთ მოყვანილია არა ახალი მოდელი, არამედ მხოლოდ მე-3 თავში აღწერილი ეროვნული შემოსავლის მოდელის ახლებური ვაგება, რომელშიც საქონლისა და მომსახურების მიწოდება განისაზღვრება წარმოების ფაქტორებისა და გამოყენებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიწოდებით, ხოლო საპროცენტო განაკვეთი სასაქონლო ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარების თვალსაზრისით ეალიბდება.

ნახ. 14-2-ზე გამოსახული რეალური ერთობლივი მოთხოვნისა და რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდები განსაზღვრება ადრე ნახსენები ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდებისაგან, რომელთა გრაფიკულზეც ვერტიკალურ ღერძზე განლაგებული იყო ფასების დონე. რეალური ეკონომიკის ციკლის თეორიაში ფასები არაფერზე არ თამაშობს, რადგანაც ის ნომინალურ ცვლადებს მიეკუთვნება და გადელახს არ ახდენს რეალურ ცვლადებზე, ამ საფუძვლებზე აგებული ეკონომიკური რყევების თეორია ძირეულად განსხვავდება წინა თავებში განხილული მოდელებისაგან.

14-2. რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელი

ამ პარაგრაფში მოქნილი ფასების მქონე ეკონომიკური წონასწორობის მოდელი გარდაიქმნება ეკონომიკური რყევების მოდელად. ახალი მომენტია, რომელიც აქ ჩნდება – ეს არის შრომის მიწოდება. კლასიკურ მოდელში შრომის მიწოდება ითვლება უცვლელ სიდიდედ; ასევე მუდმივია დასაქმება. პრაქტიკაში ჩვენ ვაკვირდებით დასაქმების დონის მნიშვნელოვან რყევებს ეკონომიკური ციკლის განმავლობაში და ამიტომ, აუცილებელია ამ რყევების მიზეზების გამოვლენა.

შრომის მიწოდების ცვლილების მიზეზების გამოვლენა საშუალებას იძლევა ეს მანიქნენგელი კლასიკურ მოდელში საქონლისა და მომსახურების მიწოდების ერთ-ერთ ფაქტორად შევიყვანოთ: როგორც ვიცით, რაც უფრო მეტია სამუშაო დროის პოტენციური ფონდი, მით უფრო მაღალია წარმოების პოტენციური მოცულობაც. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის თვალსაზრისით მოვლენები, რომლებიც გააუჩინას ახდენენ შრომის მიწოდებაზე, გააუჩინას ახდენენ ერთობლივ შემოსავალზეც.

დროთაშორისი შენაცვლება და შრომის მიწოდება

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის თანახმად, შრომის მიწოდება დროის ყოველი მომენტისათვის განისაზღვრება მომუშავეთა ეკონომიკური მრტივაციით. რაც უფრო მაღალია შრომის ანაზღაურება, მომუშავეები მით უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი შრომითი ძალისხმევის გაზრდით, ხოლო თუ ანაზღაურება მცირეა, აღნიშნული დაინტერესება მცირდება. ხელფასის განსაზღვრულ დონემდე შემცირების შემთხვევაში მომუშავეს შეუძლია საერთოდ უარი თქვას სამუშაოზე – უკიდურეს შემთხვევაში – დროებით მაინც. ამგვარად, დასაქმების პერიოდები მონაცვლელბენ იმ პერიოდებთან, როდესაც მომუშავე უმუშევრად ყოფნას ამჯობინებს. ამ მოკლენას ეწოდება შრომის მიწოდებაში დროთაშორისი შენაცვლების ეფექტი.

განვიხილოთ დროთაშორისი შენაცვლების ეფექტის გააუჩინა შემდეგი მაგალითით. ვთქვათ, მეორე კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს კიდევ ორი სასაფხულო არდადეგები ექვსი კოლეჯის სრულად დამთავრებამდე. მან ერთ-ერთ არდადეგებზე გადაწყვიტა იმუშაოს აუტომობილის ყიდვის მიზნით. რომელ არდადეგებს აირჩევს სამუშაოდ?

დაეუშვათ, W_1 – მისი რეალური ხელფასია პირველი ზაფხულისათვის, ხოლო W_2 – მეორე ზაფხულისათვის. არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მათგანია უფრო მეტი. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ აღრე მიღებულ ფულს შეუძლია მოგვეცეს პროცენტები, მაშინ პირველი ზაფხულის განმავლობაში მიღებულ თანხას მეტი ფასეულობა ექნება მეორე ზაფხულში მიღებულ თანხასთან შედარებით. დაეუშვათ აგრეთვე, რომ r – რეალური საპროცენტო განაკვეთია. თუკ სტუდენტი აირჩევს სამუშაოდ პირველ ზაფხულს, მაშინ, ერთი წლის შემდეგ, მას ექნება $(1+r)W_1$ –ის ტოლი თანხა, ხოლო მეორე ზაფხულის არჩევის შემთხვევაში – W_2 . მაშინ, მისი შრომის დროთაშორისი შეფარდებითი ფასი (ი.ე. პირველი ზაფხულში გამომუშაების თანაფარდობა მეორე ზაფხულში მიღებულ გამომუშაებასთან) შეადგენს:

$$\text{შრომის დროთაშორისი შეფარდებითი ფასი} = \frac{(1+r)W_1}{W_2}$$

მაშასადამე, პირველ ზაფხულში მუშაობა უფრო მომგებიანია, თუ 1. ამ დროს ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე მეორე ზაფხულში მოსალოდნელი ხელფასი, 2. ან უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი.

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მომხრეთა შეხედულებისამებრ, ადამიანი, რომელიც ებულობს გადაწყვეტილებას მოეწყოს თუ არა სამუშაოზე და რა დროით, ის ყოველთვის მსგავს

ამოცანის წინაშე დგება. ვიდრე მაღალია შრომის ანაზღაურება ან საპროცენტო განაკვეთი, საჭიროა მუშაობა. როდესაც შრომის ანაზღაურება უფრო ნაკლები იქნება და საპროცენტო განაკვეთიც - შემოიკლებს ჩათვალთ, რომ დადგა დასვენების დრო.

აქედან გამომდინარე, რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის თანახმად დასაქმების რყევები შრომის ბაზარზე სამუშაოს მიძებნელთა მხრიდან შრომითი აქტიუობის პერიოდების ზემოთგანხილული არჩევით განისაზღვრება. ეკონომიკური ძვრები, რომლებსაც მიუყვართ საპროცენტო განაკვეთების ან შრომის ანაზღაურების დონის დროებითი ამაღლებასთან, იწვევენ შრომის მიწოდებისა და შესაბამისად, წარმოების მოცულობის ზრდას.


რეალური ერთობლივი მოთხოვნა და რეალური ერთობლივი მიწოდება

რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელის ასახვებად აუცილებელია კლასიკურ მოდელში შემოვიყვანოთ შრომის ბაზარზე დროთაშორისი შენაცვლება. ზემოთმოცემული მსჯელობიდან მთავარი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ შრომის მიწოდება ფორმირდება საპროცენტო განაკვეთის რყევების ზემოქმედების შედეგად, რომლის დონეზეც დამოკიდებულია შრომის მიწოდებულობის ხარისხი. რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მეტია შრომის მიწოდება და შესაბამისად - წარმოების მოცულობა.

რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელი მოცემულია ნახ. 14-3-ზე. რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდი ამ შემთხვევაში მიმართულია არა ვერტიკალურად, არამედ - მარჯვნივ-მალა, დროთაშორისი შენაცვლებების ეფექტის მოქმედების წყალობით. საპროცენტო განაკვეთის ზრდის კვალობაზე ადგილი აქვს შრომის მიწოდებისა და წარმოების მოცულობის ზრდას. რეალური საპროცენტო განაკვეთი ყალიბდება ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს წონასწორობას სასაქონლო ბაზარზე.

ეკონომიკური რყევები თავისებურად აისხნება ზემოთმოცემული მოდელის ფარგლებში. წარმოების მოცულობის წონასწორული დონის ცვლილებები განპირობებულია რეალური ერთობლივი მოთხოვნის ან რეალური ერთობლივი მიწოდების გადაადგილებით. ერთდროულად, შრომის ბაზარზე დროთაშორისი შენაცვლების ეფექტის მოქმედების წყალობით იცვლება დასაქმების დონეც.

რეალური ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაადგილების წყაროებს რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია განიხილავს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკისა და წარმოების ტექნოლოგიების შევითრი ცვლილებების თვალსაზრისით.




ნახ. 14-3. რეალური ერთობლივი მოთხოვნა და რეალური ერთობლივი მიწოდება საპროცენტო განაკვეთის ზრდის კვალობაზე იზრდება შრომის მიწოდება, რომლის შედეგად ფართოვდება წარმოების მოცულობა. ამით, დროთაშორისი შენაცვლების ეფექტი განაირობებს რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდის ფორმას. რეალური საპროცენტო განაკვეთი ყალიბდება იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების წონასწორობას.

ცვლილებები საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში განვიხილოთ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების შედეგები სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდის მაგალითზე, რომელიც უკავშირდება, ეთკათ, ქვეყნის ომში მონაწილეობას. მსგავსი შემთხვევა ასახულია ნახ. 14-4-ზე. როგორც არ უნდა იყოს საპროცენტო განაკვეთი, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა იზრდება და რეალური ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ-მალა. შესაბამისად, წარმოების მოცულობა და საპროცენტო განაკვეთი იზრდება.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ზემოქმედების მექანიზმის გაანალიზების თვალსაზრისით, მოცემულ მოდელს მრავალი საერთო რამ გააჩნია მე-10 თავში განხილულ IS-LM მოდელთან. ასე მაგალითად, რეალური ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა და IS-LM მოდელში IS მრუდის მარჯვნივ გადაადგილების მიზეზები სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის შემთხვევაში ერთმა-

ნეთს ემთხვევა: ეს არის საკონლისა და მომსახურების შექმნაზე დანახარჯების ზრდა. ერთიანი ამ მოდელის საფუძველზე არსებული პროგნოზებიც: წარმოების მოცულობისა და საპროცენტო განაკვეთის ზრდა.




ნახ. 14-4. რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელში საბუღალთო შესუფთავების ზრდა სახელმწიფო შესყიდვების ზრდის დროს რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ-მალა შუგუ გად. ფართოდება წარმოების მოცულობა და იზრდება რეალური საპროცენტო განაკვეთი.

ამასთან, ამ საკითხთან მიმართებაში მოდელს შორის არსებობს სერიოზული განსხვავებაც. IS-LM მოდელში ფასები ხისტი, ხოლო წარმოების მოცულობა და დასაქმების დონე განისაზღვრება მხოლოდდამოლოდ ერთობლივი მოთხოვნის სიდიდით; შრომის მიწოდებაზე გადაწყვეტილების მიღებისას დროთაშორისი შესაცვლების ეფექტი არ არის ჩართული წარმოების მოცულობაზე ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების მექანიზმში. რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელში კი ფასების მოქნილობა გულისხმობს დროთაშორის არჩევის ეფექტის მოქმედებას შრომის ბაზარზე. წარმოების მოცულობა განისაზღვრება შრომის მიწოდების მასშტაბებით: რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო ძლიერია საშუალოზე მოწყობისა და საშუაო დღის ხანგრძლივების ზრდის სტიმულები.


წარმოების ტექნოლოგიების მეკეთრი ცვლილებები

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის თანახმად, უფრო სრულყოფილი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებამ შეიძლება გააუმჯობესოს მოახდინოს ეკონომიკის მდგომარეობაზე ორი ძირითადი მიმართულებით.



ნახ. 14-5. ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების აღმოჩენა რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელში ეკონომიკისათვის ხელსაყრელი ტექნოლოგიური შოკები იწვევს მოთხოვნისა და მიწოდების ზრდას. A გრაფიკზე მათი ზემოქმედება მობართულია უპირატესად მოთხოვნაზე; B გრაფიკზე - მიწოდებაზე.

A. რეალური ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების მასშტაბი მეტია, ვიდრე რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდისა



Б. რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების მასშტაბი. ვიდრე რეალური ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა

ჯერ-ერთი, ეს არის საქონლისა და მომსახურების მიწოდების ზრდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმოო ფუნქცია უზრუნველდება ისეთიანად, რომ საპროცენტო განაკვეთის ყოველ მოცემულ დონეს შეესაბამება წარმოების მოცულობის უფრო მაღალი მაჩვენებელი. რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ-მალა.

მეორე, ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოჩენა იწვევს მოთხოვნის სტიმულირებას. მაგალითად, საწარმოს დაინტერესება უფრო სრულყოფილი კომპიუტერების შექმნაში გამოიხატება წარმოების საშუალებებსზე მოთხოვნის ზრდაში. ამ შემთხვევაში, რეალური ერთობლივი მოთხოვნის მრუდიც გადაადგილდება მარჯვნივ-მალა.

ზემოთაღწერილი მოვლენები ნაჩვენებია ნახ. 14-5-ზე. A გრაფიკზე წარმოდგენილია შემთხვევა, როდესაც ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების აღმოჩენა ზემოქმედებს უმთავრესად მოთხოვნაზე და არა მიწოდებაზე, რაც გამოიხატება ერთდროულად როგორც წარმოების მოცულობის, ისე საპროცენტო განაკვეთის ზრდაში. B გრაფიკზე ეს ზემოქმედება მიმართულია უპირატესად მიწოდებაზე წარმოების მოცულობა ფართოდება, ხოლო საპროცენტო განაკვეთი მცირდება. ამა თუ იმ მიმართულების უპირატესად არსებობა დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხასიათზე: კერძოდ, წარმოადგენს თუ არა მოცემული ტექნოლოგიური სიახლის შედეგები მუდმივს თუ დროებითს. მნიშვნელოვანია ის, რომ ტექნოლოგიის მკვეთრი ცვლილება იწვევს წარმოების მოცულობისა და საპროცენტო განაკვეთის რყევებს. ერთდროულად, საშუალო ადგილისა და ხასიათის არჩევაში დროთაშორისი შენაცვლების ეფექტის წყალობით, ცვლის რა საპროცენტო განაკვეთს, ის ზემოქმედებს დასაქმების დონეზეც.

14-3. დისკუსია რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის საკითხებზე

იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მართებულად ახსახავს რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია ეკონომიკურ პროცესებს, ეკონომისტებს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ. ყველაზე უკველაზე უთანხმოების საგანია წარმოების ტექნოლოგიის მკვეთრი ცვლილებების როლი, უმუშევრობის ინტერპრეტაცია, ფულის ნეიტრალურობა, აგრეთვე ფასებისა და ხელფასის მოქნილობის ხარისხი. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ტექნოლოგიების მკვეთრი ცვლილების როლი

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მომხრეები წარმოების მოცულობისა და დასაქმების რყევებს უკავშირებენ ტექნოლოგიური ხასიათის ფაქტორთა ცვლილებებს, რომელიც გამოიხატავს ეკონომიკის უნარიანობას გარდასახოს წარმოებითი რესურსები (შრომა და კაპიტალი) საქონლად და მომსახურებად: საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ზრდა იწვევს წარმოებისა და (დროთაშორისი) შენაცვლების ეფექტის მოქმედების წყალობით) დასაქმების გაზარდვას. წარმოების ვარდნა რეალური ეკონომიკური ციკლის მრავალ მოდელში განიმარტება, როგორც სამეცნიერო-ტექნიკური რეგრესის კერძო ფაქტორი. წარმოების მოცულობისა და დასაქმების შემცირება (როგორც შრომისაღმი სტიმულების შესუსტების შედეგი) მასში გატეხულია, როგორც წარმოების ტექნოლოგიური ბაზის გაუარესების შედეგი.

მრავალი მეცნიერი ეკუთვნის იმას, რომ შესაძლებელი იყოს ტექნოლოგიების მკვეთრი ცვლილებები. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, თავისთავად, ბუნებრივი პროცესია, ის უმდგომარეობს. სამეცნიერო-ტექნიკური რვერესი, როგორც ასეთი, სრულიად წარმოუდგენელია. სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის დაგროვების პროცესი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია შეყოვნდეს, მაგრამ მისი უკან შემობრუნება შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, მოცემული თეორიის მომხრეთა აზრით, თეთი ტექნოლოგიური შოკების ფაქტის უარყოფა შეუძლებელია, თუკი მას უფრო ფართოდ განვიხილავთ. არსებობს მრავალი ისეთი მოვლენა, რომელთაც, ერთი შეხედვით, კავშირი არ აქვთ ტექნიკასთან და ტექნოლოგიასთან, მაგრამ ზემოქმედების მოხვედრის თვალსაზრისით ისინი ტექნოლოგიური ცვლილებების ანალოგიურია, რადგანდაც ისინი ეხება შრომისა და კაპიტალის საქონლად და მომსახურებად გარდაქმნის პროცესს. ამ გაგებით არასასურველი ამინდების, გარემოს დაცვის მკაცრი ნორმების, ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდის გააღვანა წარმოების ტექნოლოგიური დონის შემცირების მსგავსია. საკითხი იმის შესახებ, საკმარისად ტიპურია თუ არა ამგვარი მოვლენა იმისათვის, რათა განიზაზღვროს ეკონომიკური ციკლის ხანგრძლივობა და ამპლიტუდა, ღიად რჩება.

მბაბლითი 14-1

სოლოუს ნაშთი და ეკონომიკური ციკლი

დასკენები ეკონომიკურ ციკლთან დაკავშირებით წარმოების ტექნოლოგიური ასპექტების მკვეთრი ცვლილებებით დადასტურებული იქნა ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლის, ედვარდ პრესკოტის მიერ, რომელმაც მოახდინა წარმოებითი რესურსების დანახარჯებზე (შრომა და კაპიტალი) და წარმოების მოცულობაზე (შპშ) სტატისტიკური მონაცემების შედარება. აღნიშნული ანალიზი განხორციელდა სოლოუს ნაშთის ეფექტური ვაანგარისების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს წარმოების მოცულობისა და ფაქტორთა დანახარჯების ნაზრდებს შორის სხვაობას, შეწონილს ეროვნულ შემოსავალში მათი წილის მიხედვით. სოლოუს ნაშთის დანახარჯით შესაძლებელია შეფასდეს წარმოების მოცულობის ნაზრდი, რომელიც განიხილეს პულია სხვა მიზეზებით, ეიდრე რესურსების დანახარჯების გადიდებით. პრესკოტის აზრით, ის გვიჩვენებს ამ პროცესში სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მონაწილეობის ხარისხს.¹

ნაშ. 14-6-ზე წარმოდგენილია სოლოუს ნაშთის მნიშვნელობა და წარმოების მოცულობის ნაზრდის მარეწვლები 1948-1990 წლების პერიოდისათვის. საკმარა ყურადღება მივაქციოთ ამ ნაშთის სიდიდის მნიშვნელოვან რყევებს. მაგალითად, ისინი მოწმობენ 1982 წლისათვის წარმოების ტექნოლოგიური ბაზის გაუარესებას 3,5%-ით და მის გაუმჯობესებას 3,4%-ით 1984 წლისათვის. გარდა ამისა, სოლოუს ნაშთის ცვლილების ტენდენციის შეესაბამება წარმოების დინამიკის ტენდენციას: მისი შემცირება ეკონომიკური ვარდნის პერიოდების წილად მოიხს. ამის საფუძველზე პრესკოტი ასკენის, რომ წარმოების ტექნოლოგიის მკვეთრი ცვლილებები ეკონომიკაში არსებული რყევების მნიშვნელოვანი წყაროა.

ამასთან, აღნიშნული დასკვნა მხოლოდ დასაბუთებული არ არის. დადგინდა, რომ სოლოუს ნაშთის ცვლილებებს არ ძალუბთ ახახონ მოკლევადიანი ტექნოლოგიური ძვრები საკმარისი სისუსტით. მისი ციკლურ რყეები გამოწვეულია ორი ტიპის სტატისტიკური ცდომილებით.

პირველი ცდომილება დაკავშირებულია კრიზისის პერიოდში შრომის დანახარჯების ზედმეტად გაზრდილ შესახებთან. ის განაპირობებულია ე.წ. *მომუშაუთა შენარჩუნებით*, როდესაც საწარმოები, ეკონომიკის მოსალოდნელი გამოცოცხლების ვარაუდით, არ ახდენენ წარმოების შემცირების შესაბამისი მასშტაბით და საქმეულია რიგიხირობის შემცირებას. ამ დროს არსებული შრომის ინტენსივობის შემცირება არ გაითვალისწინება ერთობლივი შრომითი დანახარჯების განსაზღვრისას და შედგენს, ტექნიკისა და ტექნოლოგიის რეალური ციკლებით სოლოუს ნაშთის რყევებში აისახება გაზაფხილებულიად.


ანალოგიურ შედეგებს იძლევა ასეთ პერიოდებში წარმოების მოცულობის ხელოვნურად შემცირებელი შეფასება. საკუთარ პროდუქტიაზე მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში საწარმოებს მომუშავეები გადასაკეთებენ საწარმოზე, ისეთებზე როგორცაა, ვიქჟათ, შემობანაგებობების დასუფთავება, ინვეტიკურიხაცია და სხვა დაავლებების შესრულება, რომლებიც სტატისტიკას მხედველობის გარეშე რჩება. წარმოების მოცულობის არარსებულყოფილად შეფასება ტექნოლოგიების რეალურ ცვლილებებთან შედარებით რეცესიის პერიოდში სოლოუს ნაშთის უფრო ძლიერ ციკლურ რყევებს იწვევს.

ამიტომ, სოლოუს ნაშთის ციკლური რყევები შეიძლება ორგვარად განვმარტოთ. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია შრომის წარმოებლობის შემცირებას ვარდნის პერიოდებში განიხილავს, როგორც წარმოების ტექნოლოგიების მკვეთრი გაუარესების არახელსაყრელი ზემოქმედების ფაქტს. სხვა ეკონომისტები კი ვარდნის პერიოდებში სოლოუს ნაშთის მნიშვნელობათა შემცირებას მიაწერს შრომის მწარმოებლობის ხე-

¹ შე-4 თავის დამატებაში სოლოუს ნაშთი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

$$\frac{\Delta A}{A} = \frac{\Delta Y}{Y} - \alpha \frac{\Delta K}{K} - (1 - \alpha) \frac{\Delta L}{L},$$

სადაც A-წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლობაა, Y-წარმოების მოცულობა, K-კაპიტალის და ნახარჯები, L-შრომის დანახარჯები, α-კაპიტალის წილი ეროვნულ შემოსავალში.



ნახ. 14-6 წარმოების ზრდა და სოლუს ნაშთი. სოლუს ნაშთის რყევები, რომელიც ეკონომისტთა ნაწილის მიერ მინულელი წარმოების ტექნოლოგიის მექანიზმი (ცვლილებების ზემოქმედების საზომად, ემთხვევა საკონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის დინამიკას.

ლონურად შემცირებულ შეფასებას, რამდენადაც სტატისტიკა ვერ მოიცავს მის ინტენსივობის შემცირებას, აგრეთვე სათანადოდ ვერ ასახავს წარმოების რეალურ მოცულობას. სამწუხაროდ, მომუშავეთა შენარჩუნების რილისა და აღსრულები პროდუქციის წილის ზუსტად გაზომვა შეუძლებელია, რაც ნახ. 14-6-ის სხვადასხვა ინტერპრეტაციას უქმნის ნოიერ ნიადაგს. ეს არის რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მომხრეებსა და მორიანდღეებებს შორის უთანხმოების ერთ-ერთი პუნქტი.

უმუშევრობის მიზეზები

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის თანახმად, დასაქმების რყევები ასახავს მუშაობის მსურველთა რიცხვის ცვლილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგულისხმება, რომ ეკონომიკაში ყოველთვის მიიღწევა წონასწორობა შრომაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის, ე.ი. მოდელში ეკონომიკა ყოველთვის იმოქმედებს შრომის მიწოდების მრუდის ერთ-ერთ წერტილში. ეს ნიშნავს, რომ სამუშაოს მიღების ნებისმიერ მსურველს ხელფასის მოცემული დონის პირობებში შეუძლია ამის განხორციელება. დასაქმების რყევები აიხსნება შრომის ბაზარზე დროთაშორისი შენაცვლების ეფექტის მოქმედებით, რომელიც გამოწვეულია ხელფასის დონისა და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებით.

მოცემული თეორიის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ აღნიშნული რყევები ხდება სამუშაოს მსურველთა რაოდენობის ცვლილებებისგან დამოუკიდებლად, ფინანსად, მათი აზრით, შრომის მიწოდება მხოლოდ უმნიშვნელოდ განისაზღვრება რეალური ხელფასისა და საპროცენტო განაკვეთის დონეებით. დასტურად მათ მოჰყავთ უმუშევრობის დონის მნიშვნელოვანი რყევების ფაქტები ეკონომიკური ციკლის განმავლობაში. უმუშევრობის მაღალი დონე წარმოების ვარდნის პერიოდებში მოწოდებს შრომის ბაზარზე წონასწორობის არარსებობას: აღამიანები ნებაყოფლობით რომ ამბობდნენ უარს სამუშაოზე, ისინი საკუთარ თავს უმუშევრებს აღარ უწოდებდნენ. ეს ნიშნავს, რომ რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის ვარაუდი ხელფასის დონის თავისდროულ ცვლილებებზე შრომაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარების მიზნით სინამდვილეს არ შეესაბამება.

ამაზე საკასხოდ რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მომხრეებს მოჰყავთ ის არგუმენტები, რომ შრომის სტატისტიკა საშუალებას არ იძლევა ის გამოიყენონ თეორიული პირობების სისწორის შესამოწმებლად. უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები თავისთავად არ ამცირებენ დროთაშორისი შენაცვლების მნიშვნელობას: უმუშევრებად ხშირად ის პირები მოიხსენიებენ საკუთარ თავს, რომლებსაც სინამდვილეში მუშაობა კი არ სურთ, არამედ უმუშევრობაზე შეწყვეტების მიღება; აგრეთვე ისინი, რომელთაც სურთ მიიღონ სამუშაო, ოღონდ მისი ანაზღაურების ისეთი პირობით, რომელიც მათთვის ჩვეულ ანაზღაურების დონეზე ნაკლები არ იქნება.

მაბალთი 14-2

არსებობს კი სინამჟღეილეში დროთაშორისი შენაცვლების ეფექტი?

დროთაშორისი შენაცვლების ეფექტს მომუშავეთა მიერ დასაქმების რევიზის არჩევის დროს რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, ხოლო კოხსეზე პასუხის გაცემას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩიხი რეალური მიყვანის მიხედვით, მიუხედავად მრავალი კვლევა. ამ კვლევებში ცდილობენ სტატისტიკურად დაასაბურონ, რეალური ხელფასის ღირსი უზნიშნული ცვლილება სინამჟღეილეში ახდენს თუ არა გავლენას მომუშავეთა გადაწყვეტილებებზე მათი შრომითი საქმიანობის თაობაზე. თუკი დროთაშორისი შენაცვლების ეფექტი არსებობს, მაშინ ხელფასის ზრდის მოლოდინში მცირდება ნამუშევარი კაც-საათების რიცხვი (მომუშავეები მოცემულ მომენტში ნაკლებს მუშაობენ, რადგანაც ძირითადად, თავიანთ შრომით ძალისხმევას სპომავლოდ ინახავენ); ხოლო როდესაც მოსალოდნელია ხელფასის შემცირება, იზრდება ნამუშევარი კაც-საათების რაოდენობა (ადამიანები ცდილობენ უფრო მეტი გამოიმუშაონ, ვიდრე ხელფასი არ შემცირებულა).

გამოკვლევთა შედეგები მოითხოვებენ მხოლოდ უზნიშნული ხარისხზე სამუშაო დროის ფონდის დამკვიდრებაზე რეალური ხელფასის მოსალოდნელ ცვლილებებზე; დროის განაწილების არსებითი ცვლილებები შრომასა და უქმად ყოფნას შორის მოსალოდნელი ხელფასის ზრდისა თუ შემცირების შემთხვევაში არ შეიძენვეა ეს უაჩყოფი რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის დასკვნებს დროთაშორისი შენაცვლების მნიშვნელობის თაობაზე.

ამასთან, მგავსი დასკვნები ვერ არწმუნებს ყველას მეკვლევარს, უიჩრეველს ყოვლისა, სტატისტიკური ინფორმაციის არასრულყოფილების მიზეზით. ასე მაგალითად, მონაცემები, რომელიც მისი სახელწოდების საფუძველზე შეიქმნა შრომის მიწოდების ანალიზის დროს, არასრულია, რამდენადაც მასში არ არსებობს პორტრეტური ხელფასის თაობაზე ინფორმაცია, რომლის მიღებაც შეუძლიათ ამ პირებს, რომლებიც მოცემულ მომენტში ამ მუშაობენ. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დროთაშორისი შენაცვლების ეფექტის მოქმედება სტატისტიკურად არ დასტურდება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის თაობაზე კამათი დასრულდა.

ფულის ნეიტრალურობა

წინაპირობა ფულის ნეიტრალურობის თაობაზე რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის ერთ-ერთი ამოსავალი დებულებაა, რომელიც მისი სახელწოდების საფუძველზე შეიქმნა. ფულის ნეიტრალურობა ნიშნავს, რომ ფულადი პოლიტიკა გავლენას არ ახდენს რეალურ მაჩვენებლებზე, ისეთებზე, როგორცაა წარმოების მოცულობა და დასაქმება.

ამ თეორიის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ დებულება ფულის ნეიტრალურობის შესახებ პრაქტიკაში არ დასტურდება, რომლის მოტოვირებას ახდენენ იმით, რომ ფულადი მასის შემცირება და ინფლაციის ტემპების კლების დროს თითქმის ყოველთვის შეიმჩნევა უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. ეს კი მოწმობს, რომ ფულადი პოლიტიკა გავლენას ახდენს რეალურ სიდიდეებზე.

ამ თეორიის მომხრეთა აზრით კი, ფულის ნეიტრალურობის არარსებობაზე მტკიცებულება ეფუძნება წარმოების მოცულობისა და ფულის მიწოდების ცვალებადობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არამართებულად გაგებას. ფულის მიწოდება ენდოგენური (ცვალიდა და მისი ცვლილება – მხოლოდ შედეგია და არა წარმოების მოცულობის რეეეების მიზეზი). ამ დროს შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება ფულის ნეიტრალურობის არარსებობაზე, მაგალითად, ცენტრალური ბანკის მხრიდან ფულის მიწოდების ზრდის პოლიტიკა ტექნოლოგიების ხელსაყრელი ცვლილებების გამო წარმოების გაფართოების დროს სინამჟღეილეში მხოლოდ ამ ეკონომიკური აღმავლობის მიერ განპირობებულ ფულზე მოთხოვნის ზრდაზე შესაბამისი რეაქცია. თუ როგორია ამ კავშირის ობიექტური მიმართულება, რთულია სრულად დადგინდეს, რამდენადაც მაკროდონზე შეუძლებელია შესაბამისი ეკონომიკური ექსპერიმენტის ჩატარება.

ხელფასისა და ფასების მოქნილობა

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია გამოდის იქიდან, რომ ფასები და ხელფასები ცვლება ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ბაზრის მუდმივი წონასწორობა და რომ ეკონომიკური რეეეების ანალიზის დროს ფასებისა და ხელფასის სიხისტეზე დაშვება საჭირო არ არის. გარდა ამისა, მისი მომხრეების აზრით, ფასების მოქნილობიდან გამომდინარე მათი დროთაშორისი უზრუნველყოფს მიკრო და მაკროეკონომიკური ანალიზის ერთიანობას და ამიტომ, უნივერსალურია: აკი მოკროდონზე ფასები საკვანისო როლს თამაშობს ეკონომიკური წონასწორობის დამყარებაში. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მომხრეები ვარაუდობენ აგრეთვე, რომ იგივე დებულება საფუძველად უნდა დაედოს რეეეების მაკროეკონომიკურ ანალიზს.

უაყოფენ რა ამ მტკიცებას, განსახილველი თეორიის მოწინააღმდეგეების მოყვარე ფასებისა და ხელფასების სიხისტის მრავალი მაგალითი. სწორედ ამას უაკვირვებენ ისინი უზრუნველყოფისა და ფულის ნეიტრალურობის არარსებობას. ფასების სიხისტის თეორიული დასაბუთების დროს ისინი ეყრდნობიან ნეოკონზიანურ თეორიას, რომელიც მოყვანილია მე-11 თავში.

06/08

რას წარმოადგენს ახალი კლასიკური ეკონომიკური თეორია?

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია მიეკუთვნება ახალ კლასიკურ სკოლას, ენაიდან ეკონომიკური რყევების ანალიზი მასში მოყვანილია კლასიკური მოდელის ამოსავალი წინაპირობების გამოყენებით, უპირველეს ყოვლისა, ვენერა ფასების სრული მოქნილობა და ფულის ნეიტრალურობა. ამავე სკოლას მისი ფართო გაგებით მიაკუთვნებენ სხვა უამრავ მეცნიერს, რომელთაც აერთიანებს XX საუკუნის 60-ანი წლებში დომინირებული ეკონომიკური სკოლის მიმართ უთანხმოება.

ახალ კლასიკურ სკოლას შეიძლება მიაკუთვნოთ ზოგიერთი თეორია, რომელიც ჰყენს მიერ ადრე იქნა შესწავლილი: რაციონალური მოლოდინის თეორია (თავი 11), „ლუკასის კრატეკა“ (თავი 12), ეკონომიკური პოლიტიკის არათანმიმდევრულობის მიზეზების სწავლება (თავი 12). გარდა ამისა, ამავე სკოლას შეიძლება მიაკუთვნოთ რეალური შეხედულებები სახელმწიფო ვალის პრობლემებზე (თავი 16). საერთოდ, აქ ნაწილობრივ რთვეთ ელასტიკური ფასების მქონე ნებისმიერ მოკლევადიან მოდელს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც არ იზიარებს კლასიკურ დიქტომიას – მოუმზადებელი არამართებული წარმოდგენის მოდელს და არასრულყოფილი ინფორმაციის მოდელს (თავი 11).

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია არ უნდა ჩაეთვალოს ნეოკლასიკურად. ამ სტიგეის სრული მნიშვნელობით, რამდენადაც კლასიკურ თეორიებში არ გვხვდება მოკლევადიან პერიოდში ფულის ნეიტრალურობაზე მტკიცებულებები; ფულის ნეიტრალურობა აღიარებულია მხოლოდ გრძელვადიანი პერიოდისათვის. ამას ადასტურებს დევიდ იუმი „ფულის შესახებ“ ტრაქტატთან შედგენილი ციტატა:

„ჩემი აზრით, ოქროსა და ვერცხლის მოდინება შეიძლება სასიკეთოდ აისახოს წარმოების განვითარებაზე, მაგრამ მხოლოდ არახანგრძლივი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ფულის როდინება უკვე გაიზარდა, ხოლო ფასები კი ვერ კიდევ არ გაზრდილა... სასოფლო მწარმოებელთა პროდუქტთა სწრაფად იყოფება, რაც მათ წარმოების გაფართოების სურვილს აღუქრავს... მთელი ეკონომიკის მასწავლებელი ფულადი მასის ზრდის შედეგებისადმი თვალუფრის დევნა არ არის; ის ასწრებს მწარმოებელთა შრომის ინტენსიფიკაციისთვის სტიმულების შექმნას მინამ, ვიდრე გაიზარდება შრომის ფასი“.

მოკლევადიანი პერიოდისათვის ფულის ნეიტრალურობის თაობაზე მტკიცება რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მომხრეებს უფრო კლასიკოსების ამოსავალი წინაპირობების მიმდევრებად აქცევენ, ვიდრე თეთ კლასიკური სკოლის თეორეტიკოსთა მიმდევრებად.

14.4. დასკვნა

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მაგალითზე შეიძლება დაერწმუნდეთ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს სრულყოფილი შეხედულება ეკონომიკაში რყევების ბუნების თაობაზე. ღიად რჩება ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები: წარმოადგენს თუ არა ფასებისა და ხელფასის სიხისტე ამ რყევების ანალიზის აუცილებელ ამოსავალ წინაპირობას და ახდენს თუ არა ფულადი პოლიტიკა რეალური სიდიდეების დინამიკაზე გავლენას.

ამასთან, ამ კითხვაზე გაცემულ პასუხებზე დამოკიდებული ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკულ ამოცანებზე შეხედულებები. ის ეკონომისტები, რომლებიც ემხრობიან ფასების სიხისტეზე წინაპირობებს, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში ეკონომიკის სტაბილიზაციის მეთოდებს ხელავენ. ფასების სიხისტე შეიძლება შევსდეს, როგორც ბაზრის არასრულყოფილების დამადასტურებელი ფაქტი. ამ შემთხვევაში ეს ხარვეზი ეფექტიანად შეიძლება შეივსოს სახელმწიფო პოლიტიკის დახმარებით, როგორც საშუალება საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებისა.

რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მიმდევრები კი პირიქით თვლიან, მათი აზრით ამ სფეროში სახელმწიფოს შესაძლებლობები შეზღუდულია და თუკი ის არსებობს, მაშინ უმჯობესია ისინი არ იქნას გამოყენებული. მათი მტკიცებით, ეკონომიკური განვითარების ციკლურობა – ეკონომიკის კანონზომიერი და ობტინალური რეაქცია წარმოების ტექნოლოგიაში მომხდარი ცვლილებების მიმართ. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მოდელის დიდი ნაწილი არ ითვალისწინებს საბაზრო ურთიერთობათა არასრულყოფილებას და ბაზარს მიაწერს რესურსების ოპტიმალურად განაწილების იდეალური მექანიზმის როლს.

ეკონომიკურ რყევებზე საწინააღმდეგო შეხედულებები მუდმივად იძლევა მწვავე კამათის საფუძველს. ამ დროს მრავალ შეხედულებას მიეჩინება ხოლმე თავისი აზრის როგორც მცენიერებაში, ისე ეკონომიკურ პოლიტიკაში. ეს კი მეცნიერებას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

ძირითადი დასკვნები

1. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია წარმოადგენს ეკონომიკური რყევების ანალიზის ალტერნატიულ საშუალებას. მასში კლასიკური მოდელების ისეთი ამოსავალი წინაპირობები, როგორცაა ფასებისა და ხელფასის სიხისტე, გამოიყენება მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური განვითარების გასაანალიზებლად.

2. რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელებში საკენსო როლი ეკისრება დროთაშორისი შენაცვლების ეფექტს შრომის მიწოდებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. თუკი ხელფასი ან საპროცენტო განაკვეთი დროებით იზრდება, მომუშავეები ცდილობენ მეტი გამოიმუშაონ მიმდინარე მომენტში. ამგვარად, შრომის მიწოდება დამოკიდებულია ხელფასისა და საპროცენტო განაკვეთის დონეზე.

3. რეალური ეკონომიკური ციკლის მოდელებში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ან ტექნოლოგიური ძვრების ზემოქმედება წარმოების მოცულობაზე და რეალური საპროცენტო განაკვეთის დონეზე ელნიდება შრომის მიწოდებაში დროთაშორისი შენაცვლების ეფექტის მეშვეობით.

4. რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის საკმაოდ გვევლინება შემდეგი პრობლემები: არის თუ არა ეკონომიკაში რყევების წყარო მკვეთრი ტექნოლოგიური ცვლილებები; ნიშნავს თუ არა მნიშვნელოვანი უზუშვერობის არსებობა შრომის ბაზარზე წონასწორობის არარსებობას; ახდენს თუ არა გაველნას ფულადი პოლიტიკა რეალური სიდიდეების ცვლილებებზე და ეკონომიკური რყევების ანალიზის დროს რა როლს თამაშობს ფასებისა და ხელფასის სიხისტეზე დაშვებები.

ძირითადი ცნებები

ახალი კლასიკური ეკონომიკური თეორია
 რეალური ეკონომიკური ციკლის თეორია
 რეალური ერთობლივი მოთხოვნის მრუდი
 რეალური ერთობლივი მიწოდების მრუდი
 შრომის მიწოდებაში დროთაშორისი შენაცვლების ეფექტი
 სოლოუს ნაშთი
 მომუშავეთა შენარჩუნება

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мзныко, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, гл. 549-566
2. Эдрю Абел, Бен Бернanke, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, гл. 361-397
3. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002, гл. 371-396
4. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999, гл. 242-278
5. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, гл. 528-551

თაზი 15. მოხმარება

როგორ ღებულობენ ოჯახები გადაწყვეტილებას, თაიანით შემოსავლის თუ რა ნაწილი დახარჯონ დღეს და რა ნაწილი გადაღონ სამომავლოდ? ეს საკითხი მიკროეკონომიკის სფეროს განეკუთვნება, არამედნადაც ის ეხება ცალკეული ეკონომიკური აგენტის ქცევას. მიუხედავად ამისა, ამ საკითხს არანაკლები მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკისათვის, ვინაიდან მოხმარებაზე გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობაზე როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერიოდში.

მოხმარებაზე გადაწყვეტილების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ანალიზისათვის - ამაში დავრწმუნდით, როდესაც განვიხილეთ ეკონომიკური ზრდა. სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელიც განხილულია მე-4 თავში, გვიჩვენებს, რომ დახარჯვის სიდიდე წარმოადგენს საკანძო პარამეტრს, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალშეიარაღების მდგრად ღონეს და შესაბამისად, საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობას. დაზოგვის თორავა გვიჩვენებს, ახლანდელი თაობა თავის შემოსავლის რა ნაწილს გადადებს სამომავლოდ თავისთვის და მომდევნო თაობებისათვის.

როგორც ერთობლივი მოთხოვნის ანალიზმა გვჩვენა, ასეთი გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია მოკლევადიანი ანალიზის შემთხვევაშიც. რამდენადაც მოხმარება მშპ-ს თითქმის ორი მესამედია, მოხმარებაში არსებული რყევები ეკონომიკაში აღმავლობებისა და რეტრესის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს წარმოადგენს. მე-9 და მე-10 თავებში მოყვანილი IS-LM მოდელი გვიჩვენებს, რომ მოხმარებაში არსებულმა ცვლილებებმა შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკური შოკების ზემოქმედება და რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მულტიპლიკატორის სიდიდე განისაზღვრება მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებით.

წინამდებარე თავებში მოხმარება განისაზღვრებოდა ფუნქციით, რომელიც მოხმარებას განკარგავდა შემოსავალთან აკავშირებს: $C=C(Y-T)$. ასეთმა მიახლოებებმა მეთოდმა საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა გრძელვადიანი და მოკლევადიანი ანალიზის მარტივი მოდლები. მაგრამ მოხმარების აღნიშნული ფუნქცია ძალიან მარტივია იმისათვის, რათა სრულად აეხსნათ მოხმარებულთა ქცევა იმისათვის, რათა სრულყოფილ ნევი ანალიზი, დაგვირდება მოხმარებულთა ქცევის უფრო რთული თეორია. მოცემულ თავში დავწვრილებითაა განხილული მოხმარების ფუნქცია და გამოვცემულია ერთობლივი მოხმარების განმსაზღვრელი ფაქტორების უფრო ღრმა ანალიზი.

იმ დროიდან მოყოლებული, რაც მაკროეკონომიკა გახდა სამეცნიერო დისციპლინა, მრავალი ეკონომისტი იკვლევდა და დღესაც იკვლევს მოხმარებულთა ქცევის კანონზომიერებებს. მათ შემქმნელ თეორიები, სადაც ჩამოეობებულა მოხმარებაზე და შემოსავალზე არსებულ კონაცეფტთა განმარტების სხვადასხვა ხერხი. მოცემულ თავში წარმოდგენილია ოთხი გამოჩენილი ეკონომისტის შეხედულებები მოხმარების თეორიის განვითარების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მოხმარებულთა ქცევის მოდლების შესწავლა, რომლებიც დაშუშებულაა ჯონ მენარდ კეინის, ოტონგ ფიშერის, ფრანკო მოდილიანისა და მილტონ ფრიდმენის შერს, საშუალებას გვაძლევს შევაადროთ მოხმარების კანონზომიერებების ანალიზში სხვადასხვა მიდგომებს.

15-1. ჯონ მენარდ კეინი და მოხმარების ფუნქცია

მოხმარების კვლევას ვიწყებთ ჯონ მენარდ კეინის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორიის“ მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა 1936 წელს. მოხმარების ფუნქციამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური რყევების კეინის თეორიის და დღემდე საკვანძო მნიშვნელობისაა მაკროეკონომიკურ ანალიზში. კეინის ერთ-ერთი ადრეული მიმდევარი კლემენტ პანსენი წერდა, რომ „კეინის „ზოგადი თეორიის...“ უმნიშვნელოვანეს მიღწევად იქცა მოხმარების ფუნქციის ნათელი და კონკრეტული ფორმულირება. ეს არის ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტი არსენალში ეკონომიკური წვლილი, მსგავსი,“ და შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მარშალის მიერ მოთხოვნის ფუნქციის აღმოჩენა“.

ენახით, თუ როგორ ესმოდა კეინს მოხმარების ფუნქცია, ხოლო შემდეგ განვიხილოთ, თუ რა პრობლემები წარმოიშვა, როდესაც სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით დაიწეს პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის შემოწმება.

კეინის ვარაუდი დღეისათვის ეკონომისტები, რომლებიც სწავლობენ მოხმარებას, სარგებლობენ მონაცემთა ანალიზის რთული მეთოდით. კომპიუტერების დახმარებით ისინი ანალიზებენ მთელი ეკონომიკის მდგომარეობას ეროვნული ანგარიშების სტატისტიკისა და ასევე ცალკეული საოჯახო მეურნეობებზე.

ბის ქვეყის თაობაზე დაწერილები მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია საოჯახო ბიუჯეტების კვლევი. რამდენადაც კეინზი ამ საკითხზე მუშაობდა XX საუკუნის 30-იან წლებში, ის არ ფლობდა არც ასეთ ინფორმაციებს, არც კომპიუტერს, რომლებიც აუცილებელია მონაცემთა ესოდზე მნიშვნელოვანი მათის გასაანალიზებლად. იმის მაგივრად, რომ დაყრდნობდა სტატისტიკურ მონაცემებს, კეინზმა საკუთარ გამოცდილებაზე და ადამიანური ბუნების შესახებ მიხედვით ცოდნაზე დაყრდნობით იყარა და მოხმარების ფუნქციის გარკვეული სახე.

პირველი, რომელიც კვლავზე მნიშვნელოვანია, კეინზმა იყარა, რომ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების (MPC) მნიშვნელობა, ე.ი. მოხმარების წილი შემოსავლის ყოველ დამატებით ერთეულში იმყოფება ნულსა და ერთს შორის. მან დაადგინა, რომ „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი, რომლის არსებობაში შეგვიძლია სრულიად დარწმუნებული ვიყო აპრიორული მოსაზრებიდან გამომდინარე... მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს, როგორც წესი, მიდრეკილება აქვთ გაზარდონ თავიანთი მოხმარება შემოსავლის ზრდასთან ერთად, მაგრამ არა იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც იზრდება შემოსავალი“. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა კეინზის რეკომენდაციებში უმუშევრობასთან ბრძოლის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც უარობდ გაგრძელდა. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შესაძლებლობა, გაეღწა მოახდინოს ეკონომიკაზე სახელმწიფო დანახარჯების ან საგადასახადო მულტიპლიკატორების მეშვეობით, განაირობებელია შემოსავლებისა და მოხმარების ურთიერთდამოკიდებულებით.

მეორე - კეინზმა მოგვცა პოსტულატი იმისა, რომ მოხმარების თანაფარდობა შემოსავალთან, რომელსაც მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება (APC) ეწოდება, მცირდება შემოსავლების ზრდის კავლობაზე. ის ვარაუდობდა, რომ დანახოვები - ფუფუნება. ამიტომ, მდიდარი ოჯახები თავიანთი შემოსავლის მეტ ნაწილს ზოგადად ღარიბებთან შედარებით. მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების შემცირების აღნიშნული პოსტულატი ადრეული კეინზიანური თეორიის ცენტრალური ნაწილი გახდა, თუმცა კეინზის ანალიზში ის საკვანძო როლს არ თამაშობდა.

მესამე - კეინზი თვლიდა, რომ შემოსავალი წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მოხმარებას და ვარაუდობდა, რომ საპროცენტო განაკვეთი არ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. ეს ვარაუდები მკვეთრად ეწინააღმდეგება კეინზის წინამორბედი კლასიკური სკოლის ეკონომისტების შეხედულებებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ასტიმულირებს დაზოგვას და ამცირებს მოხმარებას. კეინზის აზრით საპროცენტო განაკვეთები მოხმარებაზე გავლენას მხოლოდ ეკონომიკურ თეორიაში ახდენენ. ის წერს: „როგორც მე ვეუბრები, მთავარი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს წინამორბედი გამოცდილებიდან, შემდეგში მდგომარეობს: მოკლევადიან პერიოდთან მიმართებაში საპროცენტო განაკვეთის გაველმა ინდივიდუალურ მოხმარებაზე შემოსავლის მოცემული დონის შემთხვევაში უნდა ევლინაოთ შეივრებასთან და შედარებით უმნიშვნელო გაიუნდა“.

ამ სამი ვარაუდის საფუძველზე კეინზის მოხმარების ფუნქცია ხშირად შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$C = \bar{C} + cY, \quad \bar{C} > 0, \quad 0 < c < 1,$$


სადაც C - მოხმარება, Y - განკარგავდი შემოსავალი, \bar{C} - მუდმივია, რომელსაც ხშირად ავტონომურ მოხმარებას უწოდებენ, c - მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება. მოხმარების მოცემული ფუნქცია ნაჩვენებია ნახ. 15-1-ზე წრფივი ფუნქციის სახით.

შეინშნობთ, რომ მოხმარების მოცემული ფუნქცია ხასიათდება სამივე თვისებით, რომელიც აღინშნა კეინზმა. ის აქაყოფილებს კეინზის პირველ დებულებას, რამდენადაც მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება იმყოფება ნულსა და ერთს შორის. ამიტომ, უფრო მაღალი შემოსავალი განაპირობებს მეტ მოხმარებას და დანახოვს. მოხმარების ეს ფუნქცია აქაყოფილებს კეინზის მეორე პირობებს, რამდენადაც მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება ტოლია

$$APC = \frac{C}{Y} = \frac{\bar{C}}{Y} + c.$$

Y -ის ზრდის კავლობაზე \bar{C}/Y მცირდება, ზუსტად ისე, როგორც მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება - C/Y . (რამდენადაც მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება ტოლია C/Y , ის შეესაბამება იმ ხაზის დახრილობის კუთხეს, რომელიც გაელებულია კოორდინატის სთავიდან მოხმარების ფუნქციის ხაზზე მდებარე წერტილამდე. ნახ. 15-1-ზე შეიძლება ვნახოთ, რომ APC მცირდება შემოსავლის ზრდის კავლობაზე და ბოლოს, მოხმარების ეს ფუნქცია აქაყოფილებს კეინზის მე

სამე დებულებას, რადგანაც ამ ტოლობაში საპროცენტო განაკეთი მოხმარების განმსაზღვრელ ფაქტორად არ ფიგურირებს.



ნან. 15-1. კონზის მოხმარების ფუნქცია მოცემულ ნახაზე წარმოდგენილია მოხმარების ფუნქცია სამი თვისებით, რომელიც აღწერილია კონზის მიერ პირველი, მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება იმყოფება ნულსა და ერთს შორის. მეორე, მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება მცირდება შემოსავლის ზრდის კვალობაზე. მესამე, მოხმარება განისაზღვრება მიმდინარე შემოსავლის სიდიდით.

პირველი ემპირიული დადასტურება

მას შემდეგ მალე, როგორც კი კეინზმა წარმოადგინა მოხმარების ფუნქციის საკუთარი ინტერპრეტაცია, ეკონომისტებმა დაიწყეს მონაცემების შეგროვება და გაანალიზება მისი ვარაუდების შესაბამისად. აღწერულმა გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ კეინზის მოხმარების ფუნქცია საკმაოდ ზუსტად ასახავდა მომხმარებელთა ქცევის კანონზომიერებებს.

ამ გამოკვლევებში სოციოლოგმა მეცნიერმა გაანალიზა თვითონ ბიუჯეტები მოხმარებაზე და შემოსავლებზე მონაცემების საფუძველზე. მათ აღმოაჩინეს, რომ მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახები მოიხმარენ მეტს, რაც ნიშნავდა, რომ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება ნულზე მეტი იყო გარდა ამისა, გაირკვა, რომ მაღალშემოსავლიან ოჯახებს გააჩნდათ მეტი დანაზოვები, რაც აღასტურებდა მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ერთზე ნაკლებობას. ამ მონაცემებმა დაადასტურეს კეინზის ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების მნიშვნელობა იმყოფება ნულსა და ერთს შორის. გარდა ამისა, დადგინდა, რომ მაღალი დონის შემოსავლების მქონე ოჯახები თავიანთი შემოსავლების მეტ ნაწილს ზოგადად, რამაც დაადასტურა კეინზის ვარაუდი შემოსავლების ზრდის კვალობაზე მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების შემცირების თაობაზე.

სხვა გამოკვლევებში მეცნიერებმა გაანალიზეს მოხმარებისა და შემოსავლის აგრეგირებული მაჩვენებლები I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდისათვის. ამ მონაცემებზე დადასტურეს აგრეთვე მოხმარების მოცემული ფუნქციის მართებულობა იმ წლებში, როდესაც შემოსავლები თავსაპირველად დაბალი იყო, მაგალითად, დიდი დეპრესიის დროს, დაბალი იყო მოხმარებაც და დანაზოვებაც, ე.ი. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების მნიშვნელობა იმყოფებოდა ნულსა და ერთს შორის. გარდა ამისა, დაბალი შემოსავლების მქონე წლებში მოხმარების მოცულობის თანაფარდობა შემოსავლებთან მაღალი იყო, რაც დადასტურებდა კეინზის მეორე ვარაუდსაც. და ბოლოს, რამდენადაც შემოსავლებსა და მოხმარებას შორის კავშირი ასე აშკარა იყო, არავითარ სხვა ცვლადს არ გააჩნდა არსებითი მნიშვნელობა მოხმარების განსაზღვრის თვალსაზრისით. ამგვარად, მიღებული მონაცემები დადასტურებდა აგრეთვე კეინზის მესამე ვარაუდს იმის თაობაზე, რომ მოხმარების სიდიდე, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება შემოსავლების დონით.

მუდმივი სტანდარტია, საიმონ კუზნეცი და მოხმარების გამოცანა კეინზის მოხმარების ფუნქციამ მაშინათვე მოიპოვა დიდი წარმატება. თუმცა მალევე წარმოიჭრა ორი პრობლემა. ორივე შეეხებოდა კეინზის ვარაუდს იმის თაობაზე, რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება მცირდება შემოსავლების ზრდის კვალობაზე.


პირველი პრობლემა აღმოჩენილი იქნა პროგნოზებთან დაკავშირებით, რომელიც ზოგადად ეკონომისტმა გააკეთა მეორე მსოფლიო ომის დროს. კეინზის მოხმარების ფუნქციის საფუძველზე ამ ეკონომისტებმა განაცხადეს, რომ ეკონომიკაში დროთა განმავლობაში როგორც კი იზრდება შემოსავლები, ამ ზრდის კვალობაზე ოჯახები მის სულ უფრო და უფრო ნაკლებ ოდენობას მოიხმარებენ. ისინი შიშობდნენ, რომ საინვესტიციო პროექტები შეიძლება აღმოჩნდნენ არასაკმარისად მომგებიანი, რომლებსაც უნარი ექნებოდა დაფარონ მთელი დანაზოგები. ასეთ შემთხვევაში, დაბალი მოხმარება გამოიწვევს საქონლსა და მომსახურებაზე არასაკმარის ერთობლივ მოთხოვნას, რაც, თავის მხრივ იქნება მიზეზი წარმოების ვარდნისა მას შემდეგ, როგორც კი შეცირდება სახელმწიფოს მხრიდან ომისდროინდელი დანახარავები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კეინზის მოხმარების ფუნქციის საფუძველზე ამ ეკონომისტებმა შემოიშალეს *მუდმივი სტაგნაციის* - განუსაზღვრელი ხანგრძლივობის ეკონომიკური დეპრესიის პიპოთეზა.

მაგრამ, ეკონომიკის საბუნდოროდ და კეინზის მოხმარების ფუნქციის საუბედუროდ, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს არ გამოუყვევია ქვეყანაში ახალი ეკონომიკური ვარდნა. მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ შემოსავლების დონე უფრო გაიზარდა ომამდელ დროსთან შედარებით, ამ მაღალ შემოსავლებზე არ გამოუყვევია დაზოგვის ნორმის ზრდა. კეინზის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება მცირდება შემოსავლების ზრდის კვალობაზე, არამართებული აღმოჩნდა.

მეორე პრობლემა წარმოიშვა მოხმარებაზე და შემოსავალზე ახალი მონაცემებიდან გამომდინარე, რომელიც მიეკუთვნებოდა 1869 წლიდან მოყოლებულ პერიოდს. ეს მონაცემები შეგროვებული იქნა 1940 წელს ეკონომისტ საიმონ კუნზეის მიერ, რომელსაც ამ საბუთაობისათვის ნობელის პრემია მიენიჭა კუნზეცმა აღმოაჩინა, რომ მოხმარების თანაფარდობა შემოსავლებთან სრულიად სტაბილური იყო ათწლეულიდან ათწლეულამდე, მიუხედავად შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდისა მის მიერ შესწავილულ პერიოდებში. ეკლავაც, კეინზის ვარაუდი შემოსავლების ზრდის კვალობაზე მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების შემცირების თაობაზე უმეტესად არ დასტურდებოდა.

დროის ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების მუდმივობის აღმოჩენა გამოიწვია იქცა მკვლევართათვის. შედეგად, ეკონომისტთა ინტერესი მოხმარების თეორიის კვლევის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათ სურდათ გაეკეთათ, თუ რატომ ხდება, რომ კეინზის ვარაუდები, რომლებიც ასე კარგად დასტურდებოდა საოჯახო ბიუჯეტების მონაცემების საფუძველზე მოკლევადიანი პერიოდების ანალიზის დროს, ასე არაზუსტი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარი ეხებოდა გრძელვადიან პერიოდებს.

ნახ. 15-2-ზე წარმოდგენილია ეს გამოცანა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ არსებობს მოხმარების ორი ფუნქცია. მოკლევადიან პერიოდში საოჯახო ბიუჯეტების მონაცემების შესახებ მონაცემების საფუძველზე მიღებული კეინზის მოხმარების ფუნქცია მართებულად ასახავდა სინამდვილეს. მაგრამ, დროის ხანგრძლივი პერიოდებისათვის მოხმარების ფუნქცია ხასიათდებოდა მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების მუდმივი მნიშვნელობით. ნახ. 15-2-ზე მოხმარებასა და შემოსავლებს შორის კავშირის ამ ორ ფორმას ეწოდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოხმარების ფუნქციები. ეკონომისტებს აუცილებლად უნდა აეჩხნათ, თუ როგორ შეიძლება ამ ორი ფუნქციის ერთმანეთთან შეთავსება.



ნახ. 15-2 მოხმარების გამოცანა. საოჯახო ბიუჯეტებთან ბიუჯეტების მონაცემებისა და მოკლევადიანი პერიოდების შესწავლამ გვიჩვენა მოხმარებასა და შემოსავლებს შორის თანაფარდობის არსებობა, რომელიც შესაბამისობაშია კეინზის ვარაუდებთან. მაგრამ გრძელვადიანი პერიოდების შესწავლამ აჩვენა, რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება სისტემატურად არ იცვლება შემოსავლების ცვლილებასთან ერთად. ამ კავშირს ეწოდა მოხმარების გრძელვადიანი ფუნქცია. შევნიშნეთ, რომ მოხმარების მოკლევადიან ფუნქციას გააჩნია მოხმარებისადმი კლებადი საშუალო მიდრეკილება მაშინ, როდესაც მოხმარების გრძელვადიან ფუნქციას გააჩნია მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების მუდმივი მნიშვნელობა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ფრანკო მონოლიანიმ და მილტონ ფრიდმანმა შემოგუთვაზეს ამ წინააღმდეგობის ახსნა. ორივე ეკონომისტი შედეგად დაჯილდოვდა ნობელის პრემიით, მათ შორის, მოხმარების პრობლემების შესწავლასთან მიძღვნილი სამეცნიერო-საოპერაციო მართვის, მაგრამ მანამდე, ვიდრე განვიხილავდით იმას, თუ როგორ ცდილობდნენ მონოლიანი და ფრიდმანი პასუხის პოვნას მოხმარებასთან დაკავშირებულ გამოცანაზე, აუცილებელია განვიხილოთ მოხმარების თეორიაში ირენგ ფიშერის წყალობით. როგორც მონოლიანის სასიციოცდლო ციკლის პიპატიყხა, ისევე ფრიდმენის პერმანენტული შემოსავლის პიპოტიყხაც უფროსად მოხმარებულთა ქცევის თეორიას, რომელიც ადრე შემოთავაზებული იქნა ირენგ ფიშერის მიერ.

15-2. ირენგ ფიშერი და დროთაშორისი არჩევანი

როდესაც ადამიანები დებულობენ გადაწყვეტილებას შემოსავლის რა ნაწილი დახარჯონ და რა ნაწილი – დაზოგონ, მათ უწევთ დღევანდელი დღის ინტერესები შეუფარდონ მომავლის ინტერესებს. რაც უფრო მაღალია მოხმარება დღეს, მით უფრო ნაკლები იქნება ის ხეალ. აკეთებს რა არჩევანს ახლანდელ დროსა და მომავალ შორის, ოჯახმა წინასწარ უნდა გამოთვალოს შემოსავალი, რომლის მიღებასაც ვარაუდობს მომავალში, აგრეთვე შეაფასოს საქონლისა და მომსახურების მოხმარება, რომლის უფლებასაც მისცემს საკუთარ თავს ახალი შემოსავლების შემთხვევაში.

ეკონომისტმა ირენგ ფიშერმა შეიმუშავა მოდელი, რომლის მიხედვითაც ეკონომისტები აანალიზებენ, თუ როგორ აკეთებენ მომავალზე მზრუნველი რაციონალური მოხმარებლები დროთაშორის არჩევანს – ე.ი. არჩევენს, როდესაც მხედველობაში მიიღება დროის სხვადასხვა პერიოდები. ფიშერის მოდელი გაიჩინებებს იმ შეზღუდვებს, რომელსაც აწყვდებიან მოხმარებლები და იმას, თუ როგორ აკეთებენ არჩევანს მოხმარებასა და დაზოგვას შორის.

დროთაშორისი ბიუჯეტური შეზღუდვა

ნებისმიერი ჩვენთავანი მიანიჭებდა უპირატესობას მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ხარისხის ან რაოდენობის ზრდას – უფრო ღამაზ ტანსაცმელს, კარგ რესტორანში ვახშობას, მეტი ფილმის ნახვისა და ა.შ. მიზეზი, რომლის გამოც ადამიანები მოიხმარენ ნაკლებს, ვიდრე სურთ, მდგომარეობის იმაში, რომ მათი მოხმარება შეზღუდულია მათივე შემოსავლების დონით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხმარებლებს გააჩნიათ ზღარი იმისა, თუ რამდენის ხარჯვა შეუძლიათ, რისაც *ბიუჯეტური შეზღუდვა* ეწოდება. გადაწყვეტილების მიღებისას, თუ რამდენი იქნას მოხმარებული დღეს და რამდენი გადაიდოს ხეალისათვის, მოხმარებლებს საქმე აქვთ დროთაშორის ბიუჯეტურ შეზღუდვასთან. იმისათვის, რომ გაევიფოთ თუ როგორ ირჩევენ ადამიანები საკუთარი მოხმარების დონეს, აუცილებელია დაწერილობით შეგერდეთ ამ შეზღუდვაზე.

სიმარტივისათვის განვიხილოთ არჩევანის პრობლემა, რომელიც დგას ორ დროით პერიოდში მცხოვრები მოხმარებლის წინაშე. პირველი პერიოდი მოხმარებლის ახალგაზრდობაა, მეორე – მისი სიბერე. პირველ პერიოდში მოხმარებელს გააჩნია Y_1 შემოსავალი და მოხმარების C_1 დონე, ხოლო მეორე პერიოდში, შესაბამისად – შემოსავალი Y_2 და მოხმარება C_2 . (ყველა ცვლადი მოცემულია რეალურ გამოხატულებაში, ე.ი. კორექტირებულია ინფლაციის გათვალისწინებით). რამდენადაც მოხმარებელს გააჩნია ფულადი საშუალებების სესხად მიღებისა და დანაზოგის შექმნის შესაძლებლობა, მოხმარება ყოველი ცალკე აღებული პერიოდისათვის შეიძლება იყოს ან მაღალი, ან შესაბამისი პერიოდის შემოსავლის დონეზე დაბალი.

განვიხილოთ, მოხმარებლის შემოსავალი ყოველი პერიოდისათვის თუ როგორ ზღუდავს მოხმარების დონეს ამ პერიოდებში. შევინშნოთ, რომ პირველ პერიოდში დანაზოგი ტოლია შემოსავალს გამოკლებული მოხმარება, ე.ი.

$$S = Y_1 - C_1,$$

სადაც S ნიშნავს დანაზოგს. მეორე პერიოდში მოხმარება ტოლია დაგროვებულ დანაზოგებს დამატებული პროცენტები ამ დანაზოგებზე და დამატებული მეორე პერიოდის შემოსავალი, ე.ი.

$$C_2 = (1+r)S + Y_2,$$

სადაც r – რეალური საპროცენტო განაკვეთია. მაგალიდთ, თუკი საპროცენტო განაკვეთი ტოლია 5%-ის, მაშინ ყოველი ლარი, რომელიც დაზოგილია პირველ პერიოდში, ზრდის მოხმარებას მეორე პერიოდში 1,05 ლარამდე. რამდენადაც მესამე პერიოდი არ არსებობს, მაშინ მეორე პერიოდში მოხმარებული არ ახდენს დაზოგვას.

შენიშნით, რომ ეს ორი ტოლობა უწინდებურად მართებულია იმ შემთხვევაშიც, თუკი მომხმარებელი პირველ პერიოდში კი არ აგროვებს დანაზოვებს, არამედ იღებს ვალს. S ცვლადი წარმოადგენს როგორც დანაზოვს, ასევე სასესხო საშუალებას. თუკი მოხმარება პირველ პერიოდში ნაკლებია პირველი პერიოდის შემოსავალზე, მაშინ მომხმარებელი ახდენს დაზოვას და S ნულზე მეტია. თუკი მოხმარება პირველ პერიოდში აჭარბებს შესაბამის შემოსავალს, მაშინ მომხმარებელი სესხულობს საშუალებებს და S ნულზე ნაკლებია. სიმარტივისათვის მივიღოთ, რომ სესხზე არსებული საპროცენტო განაკვეთი ემთხვევა დანაზოვებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთს.

მომხმარებლის ბიუჯეტური შეზღუდვის განტოლების მისაღებად გადავიერთოთ ზემოთმოყვანილი ორი ტოლობა. შედეგად S მერვე ტოლობაში პირველი ტოლობით, მაშინ

$$C_2 = (1+r)(Y_1 - C_1) + Y_2.$$

ტოლობასთან იოლად შეშაობის მიზნით მოვახდინოთ მისი გარდაქმნა. მოხმარების ყველა მანკენებელი ერთად დავაჯგუფოთ, ამისათვის $(1+r)C_1$ ტოლობის მარჯვენა ნაწილიდან გადაიტანოთ მარცხნივ, მაშინ


$$(1+r)C_1 + C_2 = (1+r)Y_1 + Y_2.$$

ახლა ტოლობის ორივე მხარე გავეთ $(1+r)$ -ზე, რომლის შედეგადაც მივიღებთ:

$$C_1 + \frac{C_2}{(1+r)} = Y_1 + \frac{Y_2}{(1+r)}.$$

მოცემული ტოლობა უფარდებს ორივე პერიოდის მოხმარებას და შემოსავალს. ეს არის მომხმარებლის დროთაშორისი ბიუჯეტური შეზღუდვის გამოხატვის სტანდარტული ხერხი.

დროთაშორისი ბიუჯეტური შეზღუდვა განიმარტება, როგორც წრფივი ფუნქცია. თუკი საპროცენტო განაკვეთი ნულის ტოლია, ბიუჯეტური შეზღუდვა გეომეტრიკულია, რომ საერთო მოხმარება ორი პერიოდისათვის ტოლია ამ პერიოდებისათვის არსებული შემოსავლების ჯამისა. ჩვეულებრივ შემთხვევაში, როდესაც საპროცენტო განაკვეთი ნულზე მეტია, მომავალი მოხმარებისა და შემოსავლის დისკონტირება ხდება $1+r$ -ით. აღნიშნული დისკონტირება განაპირობებუდა პროცენტებით, რომელიც მიღებულია დანაზოვებიდან. ფაქტიურად, რამდენადაც მომხმარებელი დებულობს პროცენტს მიმდინარე შემოსავლის იმ ნაწილზე, რომელიც იქცევა დანაზოვებად, მომავალ შემოსავალს გააჩნია ნაკლები ფასეულობა მიმდინარე შემოსავალთან შედარებით. ამის მსგავსად, რამდენადაც მომავალი მოხმარება ანაზღაურდება დანაზოვის ხარჯზე, რომელზეც მიღებული იქნა პროცენტები, მომავალი მოხმარება უფრო ნაკლები ღირს მიმდინარე მოხმარებასთან შედარებით. მაშრავლი $1/(1+r)$ არის მეორე პერიოდის მოხმარების ფასი, რომელიც გამოხატულია პირველი პერიოდის ზომის ერთეულში: ეს არის პირველ პერიოდში მოხმარების სიდიდე, რომელზეც მომხმარებელმა უარი უნდა თქვას მოხმარების ერთეულის მისაღებად მეორე პერიოდში.



ნახ. 15.3. მომხმარებლის ბიუჯეტური შეზღუდვა მოცემული სურათი გვიჩვენებს პირველი და მეორე პერიოდების მოხმარების შესაძლების კარიანტებს, რომელთა არჩევა შეუძლია მომხმარებელს. თუკი მომხმარებელი აირჩევს წერტილს A-სა და B-ს შორის, მაშინ პირველ პერიოდში ის მოხმარებს ნაკლებს, ვიდრე დებულობს შემოსავლის სახით, ხოლო ნაშთი გადაიღება მეორე პერიოდისათვის. თუკი აირჩევა A-სა და C-ს შორის წერტილები, მაშინ პირველ პერიოდში მოხმარება მიმდინარე შემოსავალზე მეტი და სხვაობის დასაფარავად მოიხილება სასესხო საშუალებები.

ნახ. 15-3-ზე ნაჩვენებია მომხმარებლის ბიუჯეტური შეზღუდვა. A წერტილში პირველი პერიოდის მოხმარება ტოლია Y_1 -სა, მეორე პერიოდის მოხმარება - Y_2 -სა, ამიტომ, ამ პერიოდებს შორის არ არსებობს არც დანაზოგები, არც საშუალებათა სესხად მიღება. B წერტილში მომხმარებელი პირველ პერიოდში არაფერს მოიხმარს და მთელ თავის შემოსავალს სოვავს, ამიტომ მოხმარება მეორე პერიოდში ტოლია $[(1+r)Y_1+Y_2]$. C წერტილში მომხმარებელი ვეგავს საერთოდ არაფერს მოიხმარს მეორე პერიოდში და სესხულობს საშუალებათა მაქსიმუმს მეორე პერიოდის შემოსავლის ხარჯზე, ასე, რომ პირველი პერიოდის მოხმარება ტოლია $Y_1+Y_2(1+r)$, რასაკვირველია, ეს არის მხოლოდ პირველ და მეორე პერიოდში მოხმარების სამი შესაძლო კომბინაცია მრავალ კომბინაციებს შორის, რომლებიც ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის: მას შეუძლია აირიოს ნებისმიერი წერტილი B-დან C-მდე მონაკვეთზე.


ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზს ქვემოთ არსებული ფართობი გვიჩვენებს პირველი და მეორე პერიოდების მოხმარების სხვა ვარიანტებს, რომელთა არჩევაც შეუძლიათ მომხმარებლის. ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზის ქვეშ არსებული ეს წერტილები შედიან სამომხმარებლო სიმრავლეში იმ-იტომ, რომ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს თავისი შემოსავლის მხოლოდ ნაწილი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი წერტილები განლაგებულია ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზზე. მაზამდე, ვიდრე მეტ მოხმარებას უპირატესობა ენიჭება ნაკლებთან შედარებით, მომხმარებელი ყოველთვის აირჩევს ამ ხაზზე არსებულ წერტილს და არა მის ქვემოთ არსებულს.

მომხმარებლის უპირატესობის მინიჭება (პრეფერენცია)

მომხმარებასთან დაკავშირებულ მომხმარებლის მიერ უპირატესობის მინიჭება (პრეფერენცია) ამ ორი პერიოდისათვის შეიძლება გამოესახოს *განურჩევლობის მრუდით*. განურჩევლობის მრუდი გვიჩვენებს პირველ და მეორე პერიოდებში მოხმარების ვარიანტებს, რომლებსაც მომხმარებლისათვის ერთნაირი სარგებლიანობა გააჩნიათ და მისთვის უზრუნველყოფს კეთილდღეობის ერთსა და იმავე დონეს.

ნახ. 15-4-ზე ნაჩვენებია ორი შესაძლო განურჩევლობის მრუდი. მომხმარებლისთვის სულ ერთია თუ რომელ კომბინაციას აირჩევს - W, X თუ Y-ს. ვასაკერი არ არის, რომ თუ ვთქვით პირველ პერიოდში მოხმარება W წერტილიდან X წერტილამდე შემცირდება, მაშინ მოხმარება უნდა გაზარდოს მეორე პერიოდში იმისათვის, რათა ჯამში ორივე პერიოდში კეთილდღეობის დონე არ შემცირდეს. თუკი მოხმარება პირველ პერიოდში კელაე მცირდება, X წერტილიდან Y წერტილამდე, მაშინ საჭირო გახდება მეორე პერიოდში კიდევ უფრო მეტი დაბატებითი მოხმარება პირველ პერიოდის მოხმარების დანაკარგის საკომპენსაციოდ.

განურჩევლობის მრუდის დახრილობა ნებისმიერ წერტილში გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის მოხმარება გახდება საჭირო მეორე პერიოდში იმისათვის, რათა კომპენსირდეს მოხმარების ერთი ერთეულით შემცირება პირველ პერიოდში. ამ დახრილობას ეწოდებთ პირველი პერიოდის მოხმარების მეორე პერიოდში მოხმარებით *შენაცვლების ზღვრულ ნორმას (MRS)*. ის გვიჩვენებს პროპორციას, რომლის შესაბამისად მომხმარებელი მზადაა პირველ პერიოდში მოხმარების ერთი ერთეული ჩაანაცვლოს მეორე პერიოდში მოხმარებით.



ნახ. 15-4. მომხმარებლის პრეფერენცია მომხმარებლის პრეფერენცია პირველ და მეორე პერიოდში მოხმარებას შორის წარმოადგენს განურჩევლობის მრუდის დახმარებით. განურჩევლობის მრუდი გვიჩვენებს ორ პერიოდში მოხმარების ისეთ შეხამებას, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ერთნაირ დონეს. უფრო მაღალი განურჩევლობის მრუდები უკეთესია დაბლობთან შედარებით. მოცემულ სურათზე წარმოდგენილია განურჩევლობის მრავალი შესაძლო მრუდიდან მხოლოდ ორი. მომხმარებელი ალწევს ერთნაირ კეთილდღეობას W, X და Y წერტილებში, მაგრამ მათთან შედარებით უპირატესობას Z წერტილს ანიჭებს.

ნახ. 15-4-დან შეიძლება განესაზღვროთ, რომ შენაცვლების ზღვრული ნორმა დამოკიდებულია ორივე პერიოდის განმეოლობაში მოხმარების დონეზე. როდესაც მოხმარება პირველ პერიოდში მაზადია, ხელო მეორე პერიოდში - მცირე, როგორც W წერტილშია, მაშინ შენაცვლების ზღვრული

ნორმაც აგრეთვე დაბალა: მომხმარებელს სჭირდება მხოლოდ უმნიშვნელოდ გაზარდოს მოხმარება მეორე პერიოდში იმისათვის, რათა უარი თქვას პირველ პერიოდში მოხმარების ერთეულზე. როდესაც მოხმარება პირველ პერიოდში დაბალაა, ხოლო მეორეში – მაღალი, როგორც Y წერტილში, მაშინ შენაცვლების ზღვრული ნორმაც აგრეთვე მაღალი იქნება: აუცილებელია მოხმარება არსებულად გაიზარდოს მეორე პერიოდში პირველ პერიოდში მოხმარების ერთეულზე უარის თქმის შემთხვევაში.


მომხმარებელს კეთილდღეობის ერთნაირი დონე გააჩნია განურჩევლობის მოცემული მრუდის ყველა წერტილში, მაგრამ ის უპირატესობას ანიჭებს განურჩევლობის ერთ მრუდს მეორესთან შედარებით. რამდენადაც მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს მეტ მოხმარებას ნაკლებთან შედარებით, მაშინ უფრო მაღლა მდგომარეობს განურჩევლობის მრუდებს უპირატესობა ენიჭებათ დაბლა მდგომარეობის მრუდებთან შედარებით. ნახ. 15-4-ზე IC₂ მრუდზე არსებულ წერტილებს უპირატესობა ენიჭებათ IC₁ მრუდზე მყოფ წერტილებთან შედარებით.

განურჩევლობის მრუდების ასეთი ნაკრები იძლევა მომხმარებელთა პრეფერენციების სრულ რეიტინგს ისინი გვიჩვენებენ, რომ Z წერტილს უპირატესობა ენიჭება W წერტილთან შედარებით. ეს ცხადია, რადგანაც Z წერტილი იძლევა მეტ მოხმარებას ორივე პერიოდში. შეუადაროთ Z და Y წერტილები ერთმანეთს: Z წერტილს გააჩნია მეტი მოხმარება პირველ პერიოდში და ნაკლები – მეორეში. რომელია უკეთესი: Z თუ Y? რამდენადაც Z უკეთესია, ვიდრე W, ხოლო W ანალოგიურია Y-ისა, განურჩევლობის მრუდები გვიჩვენებს, რომ Z უპირატესია Y-თან შედარებით. ამგვარად, შესაძლებელია გამოვყენოთ განურჩევლობის მრუდების ნაკრები პირველ და მეორე პერიოდში მოხმარების ნებისმიერი კომბინაციის რანჟირებისათვის.

ოპტიმიზაცია

განივილით რა მომხმარებლის ბიუჯეტური შეზღუდვები და მომხმარებლის პრეფერენციები, შეიძლება გადავიდეთ მოხმარების ოპტიმალური ვარიანტის არჩევის ამოცანაზე. მომხმარებელი საბოლოო ჯამში დაინტერესებულია მიიღოს ამ პერიოდებში მოხმარების შესაძლო კომბინაციების საუკეთესო ვარიანტი, რაც გრავიტუზე განურჩევლობის ყველაზე მაღალი მრუდის შეესაბამის იქნება. მაგრამ ბიუჯეტური შეზღუდვა მოითხოვს, რომ მომხმარებელი იმყოფებოდეს ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზზე ან მასზე დაბლა, რადგანაც ეს ხაზი გვიჩვენებს ყველა იმ საშუალებას, რომელსაც განაარგავს მომხმარებელი.

ნახ. 15-5-ზე ნაჩვენებია, რომ ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზი კეთს რამდენიმე განურჩევლობის მრუდს. განურჩევლობის ყველაზე მაღალი მრუდი, რომლის მიღწეაც შეუძლია მომხმარებელს ისე, რომ არ გასცდეს ბიუჯეტური შეზღუდვის ფარგლებს, არის მრუდი, რომელიც მხოლოდ ეხება შეზღუდვის ხაზს. ნახაზზე ეს მრუდია IC₃. წერტილი, სადაც ეს მრუდი ეხება ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზს – O წერტილი (ოპტიუმის ადსანიშნავად) – არის მოხმარების საუკეთესო კომბინაცია პირველ და მეორე პერიოდებში, რომელიც ხელმისაწვდომია მოცემული ბიუჯეტური შეზღუდვის პირობებში.



ნახ. 15-5. მომხმარებლის ოპტიმუმი. მომხმარებელი აღწევს კეთილდღეობის საუკეთესო დონეს, როდესაც ის ირჩევს წერტილს ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზზე, სადაც მას ეხება ყველაზე მაღალი განურჩევლობის მრუდი. ოპტიუმის დროს ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზი განურჩევლობის მრუდის მხებია.

შევნიშნოთ, რომ ოპტიუმის წერტილში განურჩევლობის მრუდის დახრილობა ემთხვევა ბიუჯეტური შეზღუდვის ხაზის დახრილობას. ჩვენ იმეობით, რომ ბიუჯეტური შეზღუდვის მრუდი

არის განურჩევლობის მრუდის მკები განურჩევლობის მრუდის დახრილობა გამოიხატავს შენაცვლების სდერულ ნორმას, ბიუჯეტური შესუღუღის ხაზის დახრილობა ტოლია ერთს ჭღიუს რეალური საპროცენტო განაკვეთის შიშერეღობა. საბოლოოდ ეღებუღიბო, რომ O წერტილში


$$MPS = 1 - -$$

მომხმარებელი ანაწიღებს მოხმარებას ორ პერიოდს შორის იშგვარად, რომ შენაცვლების სღურული ნორმა ტოლი იღუს ერთს ჭღიუს რეალური საპროცენტო განაკვეთის სიღდეღ.

რა გავღენას ახდენს შემოსავლის ცვლიღება მოხმარებაზე

ახღა, როცა ნათული გახღა ის, თუ როგორ ღებუღობენ გადაწეღტიღებას მომხმარებღები მოხმარების თაღბაზე, განვიხიღოთ საკითხი, თუ როგორ რეაღტიღენ ისინი შემოსავღების სრღაზე. Y_1 -ის ან Y_2 -ის ზრღა ბიუჯეტური შესუღუღის ხაზს გადაადღიღებს მარჯვნივ, როგორც ეს ნაღეღებია ნახ. 15-6-ზე. ბიუჯეტური შესუღუღის უფრო მღალი ხაზი მომხმარებღს საშუაღებას აღღეღს აირიოის მოხმარების უღეთესი კომბინაცია პირველ და მეორე პერიოდებში, ე.ი. მომხმარებღს აღღებს შიადღიოის უფრო მღადლ განურჩევლობის მრუღს.

აღენიშნოთ, რომ ნახ. 15-6-ზე მომხმარებელი ორივე პერიოდში ირჩეღს მოხმარების მეტ მოცუღობას. მიუხეღადღ იშისა, რომ მოცუღული სიტუაცია სუღაც არ არის ერთაღღერი შესაღლო ვარიანტი. ის ეღღღღაზე მეტაღაა გავრცეღებული. თუკი მომხმარებღს საკუთარი შემოსავღის სრღის ეღღღღაზე სურს შიიღის რიღეღიღაც სიკეთე უფრო მეტი ოღენობით, მღში ასეთ სიკეთეს ეკიოიშისტია ენაზე ნორმღღღერი სიკეთე ეწიღება. ნახ. 15-6-ზე განურჩევლობის მრუღები აღებუღლია გამომღინარე იღიღან, რომ მოხმარება როგორც პირველ, ისე მეორე პერიოდში ეღება ნორმღღღურ სიკეთეს.



ნახ. 15-6. შემოსავლის ზრღა შემოსავღის სრღა პირველ ან მეორე პერიოდში გადაადღიღებს ბიუჯეტური შესუღუღის ხაზს მარჯვნივ; თუკი პირველ და მეორე პერიოდში მომხმარება ნორმღღღერი სიკეთე, მღში შემოსავღის ზრღა განაპირობებს მოხმარების სრღის ორივე პერიოდში.

ნახ. 15-6-ის მიხეღდით ცხადი ხღება, რომ იშისგან დამოუკიდებღად, თუ რომელ პერიოდში შეიშინეღა შემოსავღის ზრღა - პირველში თუ მეორეში, მომხმარებელი ამ ნაზრღს ანაწიღებს ორივე პერიოდს შორის. რამდენაღაც მომხმარებღს შეუღლია ისესხოს ფული და გასცეს სესხად ორივე პერიოდის განმავღობაში, შემოსავღების შიღების დღო არ უკავშირღება იშის, თუ რამდენი მომხმარება დროის ყოველ მოცუღულ მომენტში (იშის გამოკლებით, რომ, რასაკვირეღლია, მომავალი შემოსავღის დისკონტირებღ ხღება რეალური საპროცენტო განაკვეთით). მამასაღამე, მოხმარება დამოკიდებულია შემოსავღის მიმღინარე ღირებუღებაზე მოცუღულ პერიოდში და მომავალი შემოსავღის დისკონტირებულ ღირებუღებაზე, ეი

$$\text{შემოსავღის მიმღინარე ღირებუღება} = Y_1 + \frac{Y_2}{1+r}$$


ეკონის მოხმარების ფუნქციისგან განსხეავებით, ფიშერის მოღელი ატკიკებს, რომ მოხმარება მარტო მიმღინარე შემოსავღაზე არ არის დამოკიდებული. მოხმარება განისაზღვრება იშით,

თუ რა რაოდენობის შემოსავლის მიღებას ელოდება მომხმარებელი მიუღი თავისი ცხოვრების განმავლობაში.

რა გავლენას ახდენს რეალური საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მოხმარებაზე

ახლა გამოვიყენოთ ფიშერის მოდელი და განვიხილოთ სიტუაცია, თუ რა გავლენას მოახდენს რეალური საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მომხმარებლის არჩევანზე. საერთოდ, შესაძლებელია ორი შემთხვევის განხილვა: პირველი, როდესაც მომხმარებელი თავდაპირველად საკუთარი საშუალებების ნაწილს ზოგადად და მეორე, როდესაც ის თავდაპირველად გამოიღოს მსესხებლის როლში. ამ ნაწილში განვიხილოთ პირველი შემთხვევა.

ნახ. 15-7-ზე ნაჩვენებია, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდა ბიუჯეტური შესვლების ხაზს აბრუნებს (Y_1, Y_2) კოორდინატის მქონე წერტილის გარშემო, რაც გავლენას ახდენს ორივე პერიოდში მოხმარების სიდიდის არჩევანზე. განურჩევლობის მრუდებისათვის, რომლებიც წარმოდგენილია ნახაზზე, მოხმარება პირველ პერიოდში მცირდება, ხოლო მეორეში – იზრდება.



ნახ. 15-7. საპროცენტო განაკვეთის ზრდა საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს ბიუჯეტური შესვლების ხაზის შემობრუნებას (Y_1, Y_2) კოორდინატის მქონე წერტილის გარშემო. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი იწვევს მოხმარების შემცირებას პირველ პერიოდში და მის ზრდას – მეორეში.

ეკონომისტები მოხმარებაზე რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდის გავლენას ყოფენ ორ ნაწილად: *შემოსავლის* და *შენაცვლების ეფექტებად*. ეს ეფექტები დაწერილობით განიხილება მიკროეკონომიკაში, ჩვენ მათ მხოლოდ მოკლედ დავახასიათებთ.

შემოსავლის ეფექტი წარმოადგენს მოხმარებაში ცვლილებებს, რომელიც მიიღება განურჩევლობის უფრო მაღალ მრეწველ გადასვლით. იმის გამო, რომ მომხმარებელს სესხად მიღებასთან შედარებით ფულადი საშუალებების ეკონომიისადმი მეტი მიდრეკილება გააჩნია, საპროცენტო განაკვეთის ზრდა აუმჯობესებს მის მდგომარეობას. თუკი მოხმარება პირველ და მეორე პერიოდში ეხება ნორმალურ სიკეთეს, მაშინ მომხმარებელი მიიწოდება თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ორივე პერიოდში. შემოსავლის ეფექტი აიძულებს მომხმარებელს აირჩიოს მოხმარების უფრო მაღალი დონე ორივე პერიოდში.

შენაცვლების ეფექტი გულისხმობს მოხმარებაში ცვლილებას, რომელიც გამოწვეულია ორივე პერიოდში მოხმარების შეფარდებითი ფასების ცვლილებით. კერძოდ, საპროცენტო განაკვეთის ზრდის დროს მეორე პერიოდში მოხმარება უფრო იაფი ხდება პირველ პერიოდში მოხმარებასთან შედარებით. რამდენადაც რეალური პროცენტი დანაზოგებზე უფრო მაღალია, მომხმარებელს უწევს უარი თქვას მოხმარების ნაწილზე პირველ პერიოდში მოხმარების დაბატებითი ეროვნული მიღების მიზნით მეორე პერიოდში. შენაცვლების ეფექტი მომხმარებელს აიძულებს აირჩიოს მეტი მოხმარება მეორე პერიოდში პირველ პერიოდში მისი შემცირების გზით.

მომხმარებლის არჩევა განისაზღვრება შემოსაღლისა და შენაკცლების ფუქტის ურთიერთქმედებით. ორივე ზემოთაღნიშნული განაპირობებს მოხმარების ზრდას მეორე პერიოდში; ამიტომ, შეეკლია დავასკვნათ, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს მოხმარების ზრდას მეორე პერიოდში. მაგრამ, პირველ პერიოდში შემოსაღლისა და შენაკცლების ფუქტები მოხმარებაზე საპირისპირო გავლენას ახდენენ. საპროცენტო განაკვეთის ზრდამ შეიძლება ან გაზარდოს, ან შემციროს მოხმარება პირველ პერიოდში.

მაგალითი 15-1


მოხმარება და რეალური საპროცენტო განაკვეთი

ორივე ფიშერის მოდელი გვიჩვენებს, რომ მოხმარებლის პრეფერენციებზე დამოკიდებულებით, რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას შეუძლია ან გაზარდოს, ან შემციროს მოხმარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკურ თეორიას, თავისთავად, არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს ის, თუ რა გავლენას მოახდენს საპროცენტო განაკვეთი მოხმარებაზე ამიტომ, ეკონომისტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მოხმარებაზე და დაზოგვაზე საპროცენტო განაკვეთის გავლენაზე სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზს.

ნახ. 15-8-ზე წარმოდგენილია გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს კავშირს პირად დაზოგვასა და რეალურ საპროცენტო განაკვეთს შორის. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ამ ორ ცვლადს შორის არ არსებობს არავითარი დამოკიდებულება, ე.ი. დაზოგვა არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შემოსაღლისა და შენაკცლების ფუქტებით თითქმის არანასწორებენ ერთმანეთს.

მუხედრად ამისა, ამგვირი მსჯელობა მთლად დამაჯერებელი არ არის დაზოგვის რეაქციის შეფასება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე რთულდება იდენტოფიკაციის პრობლემით, რომელიც მე-3 თავშია განხილული.

ამასთან, მონაცემთა უფრო გულმოდგინედ ანალიზი ჩვეულებრივ გვიჩვენებს, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს მოხმარებაზე და დაზოგვაზე. კონკრეტულად იმის თაობაზე, რომ მოხმარება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია შემოსაღლის დონეზე და არა საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობაზე, დადასტურდა პრაქტიკული კვლევების მსვლელობისას.



რეალური საპროცენტო განაკვეთი

ნახ. 15-8 დაზოგვის ნორმისა და საპროცენტო განაკვეთის გრაფიკი. მოცემულ ნახაზზე გამოყენებულია ყოველწლიური მონაცემები 1954 წლიდან 1988 წლამდე პერიოდისათვის იმის გასაანალიზებლად, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი პირადი დაზოგვის ნორმასა და რეალურ საპროცენტო განაკვეთს შორის. გრაფიკიდან ჩანს, რომ ამგვარი კავშირი არ არსებობს.

შენიშვნა: პირადი დაზოგვის სიდიდე გამოთვლილია, როგორც პირადი განაკვეთი შემოსავალი მოხმარებაზე დანახარჯების გამოკლებით, ხოლო რეალური საპროცენტო განაკვეთი - როგორც წლიურ საბაზრო ფასთან კაღალღზე საპროცენტო განაკვეთი გადასახდის გადახდის შემდეგ მოსაღწევი ინფლაციის გამოკლებით.


შეზღუდვები სესხის მიღებაზე

ფიშერის მოდელი გულისხმობს, რომ მოხმარებელს შეუძლია ფულადი საშუალებების როგორც დაზოგვა, ისე სესხება. სესხების შესაძლებლობა საშუალებას იძლევა მოხმარებაზე დაიხარჯოს უფრო მეტი, ვიდრე მიმდინარე შემოსავლის დონეა არსებითად, როდესაც მოხმარებელი სესხელობს, ის დღეისათვის მოიხმარს თავისი მომავალი შემოსავლის ნაწილს. მაგალითად სტუდენტი, რომელსაც სურს საზაფხულო არდადეგებზე ფლორიდაში გამგზავრება, აღბაძვრს ვერ შეძლებს ამ გზაჯიშის ანაზღაურებას საბანკო სესხის გარეშე. განვიხილოთ, თუ როგორ შეიცვლება ფიშერის მოდელი იმ შემთხვევაში, თუკი მოხმარებელს არ აქვს სესხის მიღების შესაძლებლობა.

სესხის მიღების შეუძლებლობა განაპირობებს იმას, რომ მიმდინარე მოხმარება ვერ გადაჭარბებს მიმდინარე შემოსავალს. ამგვარად, შეზღუდვები სესხის მიღებაზე შეიძლება წარმოადგინოს შემდეგნაირად:

$$C_1 \leq Y_1$$

მოცემული უტოლობა ნიშნავს იმას, რომ პირველ პერიოდში მოხმარება ნაკლებია ან ტოლი ამავე პერიოდში შემოსავლის დონისა. მოხმარებლისათვის აღნიშნულ დამატებით შეზღუდვას უწოდებენ შეზღუდვებს სესხის მიღებაზე ან ზოგჯერ, *შეზღუდვებს ლიკვიდურობით*.
 ნახ. 15-9-ზე ნაჩვენებია, სესხის მიღებაზე ეს შეზღუდვები როგორ ეხასხურება მოხმარებლისათვის არჩევანის შესაძლებლობას.





ნახ. 15-9. შეზღუდვები სესხის მიღებაზე. თუკი მოხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს სესხი, მაშინ ის აწევდება დამატებით შეზღუდვას - მოხმარება პირველ პერიოდში არ შეიძლება იყოს ამავე პერიოდში არსებულ შემოსავალზე მეტი. გაფერადებული ფართობი წარმოადგენს მოხმარების ვარიანტებს პირველ და მეორე პერიოდში, რომელთა არცერთი შეუძლია მოხმარებელს.

მოხმარებლის არჩევამ უნდა დააკმაყოფილოს როგორც დროთაშორისი ბიუჯეტური შეზღუდვა, ისე შეზღუდვა სესხის მიღებაზე. გაფერადებული ფართობი გვიჩვენებს მოხმარების შესაძლო კომბინაციებს პირველი და მეორე პერიოდებისათვის, რომლებიც შეთავსებადია ორივე შეზღუდვასთან.

(ა) ახსნური შეზღუდვა სესხის მიღებაზე

(ბ) აქტიური შეზღუდვა სესხის მიღებაზე



ნახ. 15-10. სამომხმარებლო ოპტიმუმი სესხის მიღებაზე შეზღუდვების დროს.

ა) შეზღუდვები სესხის მიღებაზე არ თამაშობს რაიმე როლს მოხმარების ოპტიმუმის არჩევის დროს როდესაც მოხმარებელი აწელობს სესხის მიღებაზე შეზღუდვებს, მაშინ შესაძლებელია ორი სიტუაციის განვითარება. (ა) ნაწილში მოხმარებელი ირჩევს მოხმარებას პირველ პერიოდში, რომელიც მის შემოსავალზე ნაკლებია ამ პერიოდში, ამიტომ შეზღუდვები სესხის მიღებაზე გაეღენას არ ახდენს მოხმარებაზე.

ბ) სესხის მიღებაზე შეზღუდვა არსებითია მოცემულ სიტუაციაში სესხის მიღებაზე შეზღუდვა გაეღენას ახლენს მოხმარებლის არჩევანზე. მოხმარებელი ღებულობს გადაწყვეტილებას ისევე როგორც და აირჩიოს D წერტილი. მაგრამ, რამდენადაც სესხის მიღება შეუძლებელია, მისთვის ყველაზე საუკეთესო ხელმისაწვდომი არჩევანი E წერტილშია. სესხის მიღებაზე შეზღუდვის დროს პირველი პერიოდის მოხმარება ტოლია ამავე პერიოდში არსებული შემოსავლისა.

ნახ. 15-10-ზე ნაჩვენებია სესხის მიღებაზე შეზღუდვა თუ რა გაეღენას ახდენს პირველ და მეორე პერიოდში მოხმარების ოპტიმალური შესაძენის არსებობა. არსებობს ორი შესაძლებლობა. პირველი მომხმარებელი ვებულობს გადაწყვეტილებას მოიხმაროს ნაყლები პირველ პერიოდში, ვიდრე მისი შემოსავალია. ამ შემთხვევაში სესხის მიღებაზე შეზღუდვა არ არის არსებული და არ ახდენს გაეღენას მოხმარებაზე. ბანაწილში, რომ არ არსებობდეს სესხის მიღებაზე შეზღუდვები, მომხმარებელი მოიხმარს იმაზე მეტს, ვიდრე მას ამის საშუალებას აძლევს მისი შემოსავალი. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი მოიხმარს მთლიანად პირველი პერიოდის მთელ შემოსავალს.

სესხის მიღებაზე შეზღუდვის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არსებობს მოხმარების ფუნქციის ორი ტიპი. ზოგიერთი მომხმარებლისთვის სესხის მიღებაზე შეზღუდვა არა-ერთარ როლს არ თამაშობს და მოხმარების ოდენობა დამოკიდებულია ცხოვრების განმავლობაში მისი შემოსავლის მიმდინარე ღირებულებაზე $Y_1 + Y_2/(1+r)$. სხვა მომხმარებლებისათვის ასეთი შეზღუდვა არსებითია და მოხმარების ფუნქცია გამოიყურება შემდეგნაირად: $C_1 = Y_1$, მაშასადამე, იმ მომხმარებლებისათვის, რომელთაც სურთ ისარგებლონ სესხით, მაგრამ არ შეუძლიათ ამის განხორციელება, მოხმარების ოდენობა დამოკიდებულია მხოლოდ მიმდინარე შემოსავლის დონეზე.

მაგალითი 15-2

დაზოგვის მაღალი დონე იაპონიაში

იაპონიაში დაზოგვის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში და მაღალი ეკონომისტის თვლის, რომ სწორედ ეს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური წარმატების მიზეზს. პოლო რამდენიმე თარგუმდის განმავლობაში იაპონიაში წმინდა კრონული დაზოგვის ნორმა საშუალოდ თითქმის ორჯერ აღიზნება აშშ-ს ანალოგიურ პერიოდებულს. მე-4 თავში, სადაც განვიხილოთ სოლოუს ეკონომიკური ზრდის მოდელი, დავიწყუნდით, რომ გრძელვადიანი პერიოდისათვის დაზოგვის სიდიდე წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ქვეყანაში შემოსავლის დონეს. რამდენადაც დაზოგვა ასე მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის, ეკონომისტები უკრძალებით სწავლობენ ქვეყნებს შორის დაზოგვის დონეებში განსხვავების შესაძლო მიზეზებს.

რატომღაც, რომ იაპონელები მოხმარებენ თავიანთი შემოსავლის ფაქილებით ნაკლებს, ვიდრე ამერიკელები? ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ იაპონიაში რელიჯიური გულის სესხად მიღება. მაგალითად, კანონილოთ სესხის მიღება სახლის შესაძენად. აშშ-ში შესაძლებელია სახლის ყიდვა, თუ მიყვდვლი ვადახდის მისი ღირებულების 10%-ს თავდაპირველი შენატანის სახით. იაპონიაში შესაძლებელია ვაქილებით ნაკლების სესხება: თავდაპირველი შენატანის ჩვეულებრივი ოდენობა 40%-ია უფრო მეტიც, სახლი იაპონიაში ძალიან ძვირია, უპირველეს ყოვლისა, მიწაზე მაღალი ფასების გამო. ამიტომ, იაპონურ ოჯახს სჭარებდა მნიშვნელოვანი დანახვები, თუკი ის აპირებს საკუთარი სახლის ყიდვას.

მოეხვევათ იმისა, რომ სესხის მიღებაზე შეზღუდვა იაპონიაში დაზოგვის მაღალი დონის მიზეზის ნაწილობრივი ახსნაა, არსებობს სხვა საკმაო განსხვავებები ამ ქვეყანას და აშშ-ს შორის, რომლებიც განაპირობებს დაზოგვის სხვადასხვა დონეებს. იაპონიის საგადახახალო ხისტება ასტიმულირებს დაზოგვას, რომელიც თვითაღწინებს კაპიტალიზმსა და შემოსავლებზე გადასახადის დაბალ განაკეთებს გარდა ამისა, კულტურულმა განსხვავებამ შეიძლება მოხმარებლობა სხვადასხვა პრეფერენციები განაპირობოს დღევანდელი და მომავალი მოხმარებასთან მიმართებაში. ერთი ცნობილი იაპონელი ეკონომისტი წერდა: „იაპონელები უბრალოდ სხვანი არიან. მათ ნაკლებად უყვართ გარისკვა და უფრო მოშინებიან არიან. თუკი ეს მართალია, მაშინ გრძელვადიანი პერსპექტივისათვის ეს ნიშნავს იმას, რომ იაპონელები შთანქავენ მსოფლიოს მთელ სიმდიდრეს ამ განცხადების კომენტარებაზე უარს ვაცხადებ“.

მაგალითი ეკონომისტის თვლის, რომ აშშ-ში დაზოგვის დაბალი დონე ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური პრობლემაა. როგორც მე-4 თავში ითქვა, სწორად ფიცილოვრად აცხადებდეს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი დაზოგვის დონის სტიმულირებაა. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ამ პოლიტიკას თავისი დანახარჯებიც ახლავს თან. მაგალითად ადამიანები, რომელთაც სურთ აშშ-ში სახლის ყიდვა, ნამდვილად ევრ იქნებიან ზღვნიერები, თუკი წააწყდებიან ისეთსავე შეზღუდვებს სესხის მიღებაზე, როგორც იაპონიაშია.

15-3. ფრანკო მოდილიანი და სასიცოცხლო ციკლის პიოთეზა

გასული საუკუნის 50-იან წლებში შექმნილ ნაშრომთა სერიაში ფრანკო მოდილიანიმ და მისმა კოლეგებმა, ალბერტ ანდომ და რინარდ ბრუმბერგმა გამოიყენეს ორიენტი ფიშერის მომხმარებლის ქვეყნის მოდელი მოხმარების ფუნქციის შესასწავლად. მათი ერთ-ერთი მიზანი იყო მოხმარების გამორცანის ამოხსნა - აშკარა წინააღმდეგობის ახსნა, რომელიც ფრანკოში ზარკეული მონაცემების გამო კინზის ფუნქციის შემოწმების დროს. ფიშერის მოდელის თანახმად, მოხმარება დამოკიდებულია ადამიანის შემოსავალზე მთელი ცხოვრების განმავლობაში. მოდილიანიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ შემოსავლის დონე ადამიანის ცხოვრების განმავლობაში განიცდის

რყევებს და რომ დაზოგვა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გადაიანაწილონ შემოსავლები მაღალი შემოსავლების მქონე პერიოდებიდან დაბალი შემოსავლების მქონე პერიოდებზე. მომხმარებელთა ქცევის ასეთმა განმარტებამ საფუტყელი ჩაუყარა *სახიცოცხლო ციკლის პიპოტუზა*.

პიპოტუზა

იმ მრავალ მიზეზთაგან, რომლის გამოც შემოსავლის დონე ადამიანის ცხოვრების განმავლობაში განიცდის რყევებს, უმნიშვნელოვანესია პენსიაზე გასულა. ბევრი ამის განხორციელებას გვამავს დაახლოებით 65 წლის ასაკში, რის გამოც ელოდებიან თავიანთი შემოსავლების მნიშვნელოვნად შემცირებას; მიუხედავად ამისა, არაყის სურს თავიანთი მოხმარების მკვეთრი შემცირება. ადამიანთა უმრავლესობა ზოგაჯს სახსრებს პენსიაზე გასვლამდე. განვიხილოთ, თუ რა ჯავლენას ახდენს დაზოგვისადმი ეს სტიმული მოხმარების ფუნქციაზე.

დაეუშუაო, რომელიღაც მომხმარებელი, რომელიც ვარაუდობს, რომ კიდევ T წელი იცოცხლებს, განკარგავს W სიმდიდრეს და ელოდება Y შემოსავლის მიღებას R წლის განმავლობაში პენსიაზე გასვლის მომენტამდე. მოხმარების რომელი დონე აირჩევა ამ მომხმარებლის მიერ, თუკი მას მთელის თავისი ცხოვრების განმავლობაში სურს მისი შენარჩუნება სტაბილურ დონეზე?

რესურსები, რომელსაც მომხმარებელი განკარგავს ცხოვრების განმავლობაში, ყვლიბდება საწყისი სიმდიდრის (W) და შემოსავლისაგან - (RXY). (სიმარტევისათვის ევულისხმობს, რომ საპროცენტო განაკვეთი ნულის ტლიად; თუკი საპროცენტო განაკვეთი ნულზე მეტია, მაშინ საკირო განხდება მხედველობაში მივიღოთ შემოსავალი დაზოგვაზე პროცენტების სახით.) მომხმარებელს შეუძლია გაანაწილოს რესურსები, რომელსაც ის განკარგავს მთელი ცხოვრების განმავლობაში, დარჩენილი T წლების მიხედვით. ჩვენ გეულისმობთ, რომ მომხმარებელს სურს შეინარჩუნოს მოხმარების რაც შეიძლება უფრო სტაბილური დონე მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამიტომ, W+RY მის მიერ ნაწილდება თანაბარზომიერად T წლების მიხედვით და ყოველწლიურად მოიხმარება

$$C = \frac{W + RY}{T}$$

აღნიშნული მოხმარების ფუნქცია შეგვიძლია შემდეგნაირად ჩაეწეროთ:

$$C = \left(\frac{1}{T}\right) W + \left(\frac{R}{T}\right) Y.$$

მაგალითად, თუკი მომხმარებელი ვარაუდობს, რომ კიდევ 50 წელი იცოცხლებს და იმუშავებს 30 წელს, მაშინ T=50, ხოლო R=30 და მოხმარების ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს:

$$C = 0,02W + 0,6Y.$$

ეს ტოლობა ნიშნავს, რომ მოხმარება დამოკიდებულია როგორც შემოსავლის დონეზე, ისე თავდაპირველი სიმდიდრის ოდენობაზე. წლიური შემოსავლის ყოველი დამატებითი ლარი მოხმარებას წელიწადში 60 თეთრით ზრდის, ხოლო სიმდიდრის ყოველი ლარი - 2 თეთრით.

თუკი ეკონომიკური ურთიერთობის თითოეული მონაწილე თავის მოხმარებას აგებს ამგვარად, მაშინ მოხმარების ერთობლივი ფუნქცია ინდივიდუალურის მსგავსია. კერძოდ, ერთობლივი მოთხოვნა დამოკიდებულია როგორც სიმდიდრეზე, ასევე შემოსავალზეც. მაშასადამე, ეკონომიკისათვის მოხმარების ფუნქცია გამოიყურება შემდეგნაირად:

$$C = \alpha W + \beta Y,$$

სადაც α - მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება დაგროვებული სიმდიდრის მიხედვით, ხოლო β - მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება შემოსავლის მიხედვით.

დასკვნები


ნახ. 15-11-ზე გრაფიკული ფორმით წარმოდგენილია მოხმარებასა და შემოსავლებს შორის თანაფარობა, რომელიც ნაყარანხევია სასიცოცხლო ციკლის მოდელით. თავდაპირველი სიმდიდრის ყოველი მოცემული დონისათვის მოდელი იძლევა ტრადიციულ მოხმარების ფუნქციას. თუმცა შეეწინშობს, რომ მოხმარების ფუნქციის გრაფიკის ორდინატის ღერძთან გადაკვეთის წერტილში არსებული მნიშვნელობა არ არის მუდმივი სიდიდე; ის დამოკიდებულია თავდაპირველი სიმდიდრის დონეზე.

მომხმარებლის ქცევის ამ მოდელმა სასიცოცხლო ციკლის მსვლელობისას შეიძლება გადაწყვიტოს მოხმარების გამოცანა. მოხმარების ფუნქცია სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში გულისხმობს, რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება ტოლია:


$$\frac{C}{Y} = \alpha \left(\frac{W}{Y} \right) + \beta.$$

რამდენადაც ყოველი ადამიანის სიმდიდრე წლიური შემოსავლის პროპორციულად მკაცრად არ იცვლება, მაშინ ედებულობთ, რომ მიმდინარე შემოსავლის მაღალი დონე გულისხმობს მოხმარებისადმი დაბალ საშუალო მიდრეკილებას ცალკეული მომხმარებლების მიხედვით ან მოკლევადიან პერიოდში მონაცემთა ანალიზის შემთხვევაში. მაგრამ გრძელვადიან პერიოდში არსებობს სიმდიდრის ზრდასა და შემოსავლებს შორის კავშირი, რაც გულისხმობს W/Y მუდმივ თანაფარდობას, ე.ი. მოხმარებისადმი მუდმივ საშუალო მიდრეკილებას.


იმისათვის, რათა ეს ენახოთ სხვანაირად, განვიხილოთ, თუ როგორ იცვლება მოხმარების ფუნქცია დროთა განმავლობაში. როგორც ნახ. 5-11-ზეა ნაჩვენები, სიმდიდრის ყოველი მოცემული დონისათვის სასიცოცხლო ციკლის მოხმარების ფუნქცია ერთხევაა ფუნქციას, რომელიც შემოთავაზებულია კენზის მიერ. მაგრამ ეს ფუნქცია სამართლიანია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, როდესაც სიმდიდრის სიდიდე მუდმივია. გრძელვადიანი პერსპექტივისათვის კი სიმდიდრის ზრდის კვალობაზე, მოხმარების ფუნქცია გადაადგილდება მაღლა (ნახ. 15-12). ასეთი გადაადგილება მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილებას შემოსავლის ზრდის კვალობაზე შემცირების საშუალებას არ აძლევს. ამგვარად, მოდილიანზე შეძლო მოხმარების კვლევის აშკარად წინააღმდეგობრივი შედეგების გაერთიანება.



ნახ. 15-11. მოხმარების ფუნქცია სასიცოცხლო ციკლის მოდელში სასიცოცხლო ციკლის მოდელი გვიჩვენებს, რომ მოხმარება დამოკიდებულია როგორც შემოსავალზე, ისე დროის მოცემული მომენტისათვის დაგროვებულ სიმდიდრეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხმარების ფუნქციის მდებარეობა დამოკიდებულია სიმდიდრის დონეზე.



ნახ. 15-12. სიმდიდრის ცვლილებების გაკლებმა მოხმარების ფუნქციაზე, თუკი მოხმარება დამოკიდებულია თავდაპირველი სიმდიდრის დონეზე, მაშინ მისი ზრდა მოხმარების ფუნქციას გადაადგილებს მაღლა.



ნახ. 15-13. მოხმარება, შემოსავალი და სიმდიდრე სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. თუკი მომხმარებელი ინარჩუნებს მოხმარების თანაბარ ზომის დონეს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, მაშინ ის გადადებს და დააგროვებს დანაზოგებს მუშაობის წლებში, ხოლო პენსიაზე გასვლის შემდეგ დახარჯავს დაგროვებულ სიმდიდრეს.

სასიცოცხლო ციკლის მოდელის საფუძველზე შეიძლება გაავითითო სხვა პროგნოზები. ექვლავ მნიშვნელოვანია ის, რომ დაზოგვის სიდიდე იცვლება ადამიანის ცხოვრების განმავლობაში და ამ ცვლილებების პროგნოზირება შესაძლებელია. თუკი ადამიანი იწყებს თავის შეგნებულ ცხოვრებას რაიმე არსებითი დანაზოგების გარეშე, მაშინ მუშაობის წლებში ის განახორციელებს აუცილებელ დაზოგვას, ხოლო პენსიაზე გასვლის შემდგომ მას დახარჯავს. ნახ. 15-13-ზე ნაჩვენებია შემოსავლის, მოხმარებისა და დაგროვებული სიმდიდრის დინამიკა მომხმარებლის მთელი შეგნებული (მუშაობის) წლების განმავლობაში. ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ დასაქმებული ახალგაზრდობა აგროვებს საშუალებებს მაშინ, როდესაც პენსიაზე გასული უფროსი ასაკის თაობა მას ხარჯავს.

მაგალითი 15-3

მოხმარება და დაზოგვა ხანშიშესულთა მიერ

ძირითადი ვარაუდი, რომელიც გაეთვდა სასიცოცხლო ციკლის მოდელის საფუძველზე არის ის, რომ ხანშიშესულმა ადამიანებმა უნდა იცხოვროს განხორციელებული დანაზოგების ხარჯზე. იმისთვის, რათა გადამოწმებული მოცემული ვარაუდის მართებულობა, მრავალმა ეკონომისტმა შეისწავლა ხანშიშესულთა მიერ განხორციელებული მოხმარება და დაზოგვა. მათი კვლევის შედეგები შეუსაბამო აღმოჩნდა სასიცოცხლო ციკლის მოდელისათვის. აღმოჩნდა, რომ ხანშიშესული ადამიანები არ ხარჯავენ მათ მიერ დაგროვებულ სიმდიდრეს ისე სწრაფად, როგორც მოსალოდნელი შეიძლება ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მიიღობდნენ სტანდარტული მოხმარების მოდელის ცხოვრების დარჩენილი წლების განმავლობაში.

იმას, რომ ხანშიშესული ადამიანები არ მოხმარებენ დანაზოგებს ისე სწრაფად, როგორც ეს ნაწინასწარ მეტყველებია ობიექტური მოდელის მიერ, ორი ახსნა მოქმედებდა. თითოეული გულისხმობს საკუთარ მიმართულ მოხმარების შემდგომი შესწავლისათვის.

პირველი ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ ხანშიშესულები შიშობენ არაპროგნოზირებადი და შემაშუოთელი მოვლენების დადგომის შესაძლებლობას. დამატებით დაზოგვას, რომელიც გამოწვეულია ვაზსაზღვრეობით, ეწოდება *სიურპრიზული გამოწვეული დაზოგვა*. ამ დაზოგვის ახსნა შესაძლებელია იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ ადამიანებმა შეიძლება იცოცხლებენ კიდევ დიდ ხანს, ეიდრე ნაწარუდები იყო მათ მიერ და ამიტომ, იძულებულნი არიან საკუთარი თავი უზრუნველყონ ნაწარუდებზე მეტი ხნის განმავლობაში არსებობის აგრეთვე ავად გახდომის შესაძლებლობა, რაც იწყებს მნიშვნელოვანი ხარჯების გაღებას მეურნეობაზე. თუკი ხანშიშესულ ადამიანებს არ შეუძლიათ შეიძინონ დაზოგვა აშკარა მოვლენებზე, მაშინ ისინი უფრო მეტად შეეცდებიან დაზოგონ, რათა უკეთ მოზადებულები დახვდნენ მსგავს მოვლოდნელობებს.

მეორე ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ ხანშიშესულ ადამიანებს შეუძლიათ ანდერძი დაუტორონ შედეგს, ნაივსაგებს ან დანაზოგები გაიღონ საქველმოქმედო მიზნებისათვის. ეკონომისტებმა დიდი დრო დახარჯეს ანდერძების ეკონომიკური ასპექტების შესწავლაზე და შემოგთავაზეს ანდერძის დატოვების მოტივაციის სხვადასხვა თეორიები. ზოგიერთი ასეთი კვლევის შედეგები განიხილება მე-16 თავში.

საერთოდ, ხანშიშესულთა ქცევის კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სასიცოცხლო ციკლის უმართეს მოდელს არ ძალუძს სრულად ახსნას მომხმარებელთა ქცევა. ექვტარეშევა, რომ პენსიაზე გასვლის

შენდგომ ცხოვრების უზრუნველყოფა დაზოგვის უმნიშვნელოვანესი მიზეზია, მაგრამ ისეთი მიზეზებიც, როგორცაა სიფრთხილით გამოწვეული დაზოგვა და შემკიდრების გადაცემა, აგრეთვე მნიშვნელოვანია.


მაგალითი 15-4

დაზოგვა და შიში ბირთვული ომის წინ

ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი პიპოთეზა დაზოგვასთან დაკავშირებით არის შემდეგი: დაზოგვის სიდიდე განიცდის რყევას ბირთვული ომის ალბათობაზე მოსახლეობის წარმოდგენაში ცვლილებების გამო. რამდენადაც აღმიაანები ახდენენ საშუალებათა ეკონომიას მომავალში მიხმარების უზრუნველსაყოფად, ბირთვული ომის ალბათობის სრლად და შესაბამისად, მომავალში გადარჩენის ალბათობის შემცირებამ უნდა გამოიწვიოს დაზოგვის ნორმის შემცირება.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩენა, რომ განსაზღვრულ მომენტებში მოსახლეობა ბირთვული ომის საშიშროებას რეალურ საფრთხედ თვლიდა. მაგალითად, 1981 წლის ივნისში გელაოს ინსტიტუტის მიერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ჩატარებისას დაიხსა კითხვა: „რამდენად მოსალოდნელია თქვენი აზრით ბირთვული ომი უახლოეს ათწლეულში?“. რესპონდენტთა 19%-მა უპასუხა, რომ ბირთვული ომი „აღლიან მოსალოდნელია“, ხოლო 28%-მა განაცხადა, რომ ის „საქმოდ მოსალოდნელია“.

მოქცევათ ორი საბუთი, რომელიც მოწმობს ბირთვულ საშიშროებასა და დაზოგვის ნორმას შორის კავშირს. პირველი ეხებრება სტატისტიკურ მონაცემებს დროში დაზოგვის ნორმების ცვლილებების შესახებ.



ნახ. 15-14. დაზოგვა და ბირთვული ომის საშიშროება. მოცემულ ნახაზზე ნაჩვენებია, რომ კერძო დაზოგვის წონიდა ნორმა განიცდის რყევებს ბირთვული ომის საშიშროებასთან დამოკიდებულებით. საშიშროების ხარისხი განისაზღვრება ბირთვული მეცნიერების ბიულეტენებით. მათ საათებზე წუთის ისარი რაც უფრო ახლოსა შუალაშესთან, მით უფრო მაღალია ომის ალბათობა.

ბირთვული ფიზიკის მეცნიერთა ბიულეტენი რეგულარულად აანალიზებდა ბირთვული კონფლიქტის ალბათობას, ახახავდა რა მას თავის „საათზე“. როგორც „დროს შუალაშემდეგ“; რაც უფრო მაღალია ომის დაწყების რისკი, მით უფრო ნაკლები დრო რჩება შუალაშემდეგ ნახ. 15-14-ზე ნაჩვენებია, რომ კერძო დაზოგვის ნორმა აშშ-ში განიცდის რყევებს იმაზე დამოკიდებულებით, თუ რამდენი „წუთი დარჩა შუალაშემდეგ“. როდესაც ომის საშიშროება მაღალია, მკნინ დაზოგვის ნორმა მცირდება.

მეორე საბუთი ეყუბნება საერთაშორისო ინფორმაციას გამოკითხვების მსვლელობისას, რომლებიც ჩატარდა სხვადასხვა ქვეყნებში, აღმიაანებს თხოვდნენ შეუვსებინათ ბირთვული ომის ალბათობა. იმ ქვეყნებში, სადაც აღმიაანები ამგვარ რისკს მაღალ ალბათობას ანიჭებდნენ, როგორც აშშ-ში, შეიმჩნეოდა დაზოგვის დაბალი ნორმა. ქვეყნებში, სადაც ალბათობა ძალიან დაბალი იყო, ექვთაი, იალიონიში, დაზოგვის ნორმა მაღალი იყო.

ეკონომისტები ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე იმათან დაკავშირებით, ჩათვალენ თუ არა ბირთვული ომის ალბათობა ასე მნიშვნელოვან ან საერთოდ, მართებულ ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს გრუნული დაზოგვის ნორმას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პიპოთეტური კავშირი ბირთვული კონფლიქტის ალბათობასა და დაზოგვის ნორმას შორის პოლიტიკისა და ეკონომიკის ყველაზე უჩვეული სახის კავშირის მაგალითია.

15-4. მილტონ ფრიდმენი და პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზა

1957 წელს გამოქვეყნებულ წიგნში მილტონ ფრიდმენმა მომხმარებლის ქცევის ახსნის მიზნით წამოაყენა პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზა. ფრიდმენის პიპოთეზა აესებს მოდილიანის სასიცოცხლო ციკლის პიპოთეზას: ორივეში გამოიყენება ფიშერის მომხმარებლის ქცევის თეორია, რომლის თანახმადაც მოხმარება არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ მიდინარე შემოსავალზე.

თუმცა, სასიცოცხლო ციკლის თეორიისაგან განსხვავებით, სადაც ხაზგასმულია, რომ შემოსავალი ხასიათდება პროგნოზირებადი დინამიკით ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, პერმანენტული შემოსავლის თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანები სხვადასხვა წლებში თავიანთი შემოსავლის დონეების შემთხვევით და დროებით ცვლილებებს განიცდიან.

პიპოთეზა

ფრიდმენმა შემოგთავაზა მიმდინარე შემოსავალი Y განვიხილოთ, როგორც ორი კომპონენტის ჯამი, ესენია: პერმანენტული შემოსავალი Y^P და დროებითი შემოსავალი Y^T , ე.ი.

$$Y = Y^P + Y^T.$$

პერმანენტული შემოსავალი წარმოადგენს შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც, ადამიანთა მოლოდინების თანახმად, შენარჩუნდება მომავალში. დროებითი შემოსავალი ეს ის შემოსავალია, რომლის შენარჩუნებას მომავალში არ ელოდებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერმანენტული შემოსავალი საშუალო შემოსავალია, ხოლო დროებითი შემოსავალი – შემთხვევითი გადახარა ამ საშუალო მნიშვნელობისაგან. იმისათვის, რომ გაიფიქრო შემოსავლის განაწილების პრინციპი ამ ორ ნაწილზე ბად, მიგმართოთ შემდეგ მაგალითს:

- მარიამმა, რომელმაც მიიღო იურიდიული განათლება, მოცემულ წელს გამოიმუშავა ქვითზე მეტი, რომელიც თავის დროს გაირიცხა სკოლიდან. მარიამის უფრო მაღალი შემოსავალი ასახავს პერმანენტული შემოსავლის უფრო მაღალ დონეს, რადგანაც მისი განათლება მას მომავალშიც მოუტანს უფრო მაღალ შემოსავლას.

- დავითმა, რომელსაც მოჰყავს ფორთოხალი, მოცემულ წელს გამოიმუშავა ნაკლები, რაც ბუნებრივია, რადგანაც ყინვამ მის ნაქექოზე მოსავალი გაანადგურა. გიორგიმ, რომელიც დაქალებულია იმავე კულტურის მოყვანით სხვა რეგიონში, გამოიმუშავა ჩვეულებრივზე მეტი, რამდენადაც დაეთის რეგიონში ყინვებით გამოწვეულმა მოუსავლიანობამ გამოიწვია ფორთოხალზე ფასების ზრდა. გიორგიის უფრო მაღალი შემოსავალი დროებითი შემოსავალია, რადგანაც მომდევნო წელს ის ალბათ ვერ მიიღებს ისეთსავე უპირატესობას ამინდზე დაყრდნობით დაეთთან შედარებით.

ეს ორი მაგალითი გვიჩვენებს, რომ შემოსავლების სხვადასხვა სახეს გააჩნია სხვადასხვა დროითი ხანგრძლივობა. კარგი განათლება უფრო მაღალი მდგარადი შემოსავლის მიღების გარანტიაა, მაშინ, როდესაც კარგმა ამინდმა შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ დროებითი მაღალი შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია წარმოადგინოთ ზოგიერთი შუალედური შემთხვევა, სასარგებლო იქნება, თუ არ გაერთიანებთ სიტუაციას და ჩაეთვლით, რომ არსებობს შემოსავლის მხოლოდ ორი ტიპი: პერმანენტული და დროებითი.

ფრიდმენის მსჯელობიდან გამომდინარე, მოხმარება ძირითადად დამოკიდებული უნდა იყოს პერმანენტულ შემოსავალზე, რამდენადაც მოხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი დანაზოგები და სასესხო საშუალებები იმისათვის, რათა დაუფარონ რყევები დროებითი შემოსავლების დროს. მაგალითად, ვინმემ თუ მიიღო ხელფასზე მუდმივი დანაშატი 10000 ლარის ოდენობით, მაშინ მისი მოხმარება მოიმატებს დაახლოებით იმავე მნიშვნელობით. მაგრამ, თუ ვინმე მოიგებს იგივე 10000 ლარს ლატარაში, მაშინ ეს ფული არ დაიხარჯება იმავე წლის განმავლობაში. დამატებითი მოხმარება მოსალოდნელია, რომ განაწილდეს მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. თუ ჩაეთვლით, რომ საპროცენტო განაკვეთი ნულის ტოლია, ხოლო ადამიანს კიდევ დარჩა დაახლოებით 50 წლის სიცოცხლე, მისი 10000 ლარიანი მოგება მის მოხმარებას გაზრდის წლიურად მხოლოდ 200 ლარის ოდენობით. ამგვარად, მოხმარებლები ხარჯავენ თავიანთ მუდმივ შემოსავალს, მაგრამ უპირატესობას ანიჭებენ დროებითი შემოსავლის მეტი ნაწილის დაზოგვას.

ფრიდმენმა დაასკვნა, რომ მოხმარების ფუნქცია უნდა განვიხილოთ დაახლოებით შემდეგი სახით:

$$C = aY^P,$$

სადაც a -ს გააჩნია მუდმივი მნიშვნელობა. პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზა, რომელიც გამოსახულია ამ ტოლობით, მეტყველებს, რომ მოხმარება პროპორციულია პერმანენტული შემოსავლისა.

დასკვნები

პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზა ხსნის მოხმარების გამოცანას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კენზის მოხმარების სტანდარტული ფუნქციიდან გამომდინარე გამოიყენება არამართებული ცვლადი. ამ პიპოთეზის თანახმად მოხმარება დამოკიდებულია პერმანენტული შემოსავლის სიდიდეზე; თუმცა მოხმარების ფუნქციის ბუკვი მკვლევარი ცდილობს შეუფარდოს მოხ-

მარტა მიმდინარე შემოსავალს. ფრიდმენმა აღმოაჩინა, რომ კვლევის ერთი შეხვედით ერთმანეთის საწინააღმდეგო შედეგების მიღება სწორედ ამოცანის არასწორად დასმაში გამოიხატება.

განვიხილოთ, თუ რა დასკვნები გამოიმდინარებოს ფრიდმენის პიოთეზიდან მომხარების საშუალო მიდრეკილების მნიშვნელობის თაობაზე. მოხმარების ფუნქციის განტოლების ორივე მხარე გავუთ Y-ზე, მაშინ

$$APC = \frac{C}{Y} = \frac{\alpha Y}{Y}$$

პერმანენტული შემოსავლის თანახმად, მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება დამოკიდებულია პერმანენტული შემოსავლის მიმდინარე შემოსავალთან თანაფარდობაზე. როდესაც მიმდინარე შემოსავალი დროებით აჭარბებს პერმანენტულის დონეს, მაშინ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილების მნიშვნელობა დროებით მცირდება; როდესაც მიმდინარე შემოსავალი დროებით ჩამოუვარდება პერმანენტულს, მაშინ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება დროებით იზრდება.

ახლა განვიხილოთ საოჯახო ბიუჯეტების სტატიისტიკური ანალიზის შედეგები. ფრიდმენმა გადაწყვიტა, რომ ეს მონაცემები ასახავენ პერმანენტული და დროებით შემოსავლის ცვლილებათა ერთობლივ გავლენას. მაღალი პერმანენტული შემოსავლის მქონე ოჯახები უნდა ხასიათდებოდნენ პროპორციულად მაღალი მოხმარების დონითაც. მიმდინარე შემოსავლის მთელი რყევები გამოწვეულია ორი ყოფილიყო რომდ მუდმივი კომპონენტებით, მაშინ სხვადასხვა ოჯახებში არ იქნებოდა განსხვავებები მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილებაში. მაგრამ შემოსავლის ზოგიერთ რყევები გამოწვეულია დროებითი კომპონენტით და მაღალი დროებითი შემოსავლების მქონე ოჯახები ვერ აღწევენ მოხმარების უფრო მაღალ დონეს. ამიტომ, მკვლევარები მიდიან (მცდარ) დასკვნაზე, რომ თითქოს მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახებს, როგორც წესი, ქონდნენ მოხმარების უფრო დაბალი საშუალო მიდრეკილება.

განვიხილოთ დროითი თვალსაზრისით კვლევების შედეგები. ფრიდმენმა დაასაბუთა, რომ შემოსავლის რყევები წლიდან წლამდე უპირველეს ყოვლით, განისაზღვრება დროებითი შემოსავლების რყევებით. ამგვარად, მაღალი შემოსავლების წლები უნდა ხასიათდებოდნენ მოხმარებისადმი დაბალი საშუალო მიდრეკილებით. მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივისათვის - ვთქვათ, ათწლეულის მანძილზე, - შემოსავალში რყევები ასახავენ სწორედ პერმანენტული კომპონენტის ცვლილებებს. ამიტომ, გრძელვადიანი პერიოდისათვის მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება მუდმივია.

მაგალითი 15-5

გადასახადების შემცირება 1964 წელს და გადასახადების ზრდა 1968 წელს

პერმანენტული შემოსავლის თეორიას შეუძლია დაგვეხმაროს იმის ახსნაში, თუ როგორ რეაგირებს ეკონომიკა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში განხორციელებულ ცვლილებებზე. IS-LM მოდელის თანახმად გადასახადების შემცირება ასტიმულირებს მოხმარებას და ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, ხოლო გადასახადების ზრდა კი იწვევს მოხმარებისა და ერთობლივ მოთხოვნის შემცირებას. მაგრამ პერმანენტული შემოსავლის თეორია ამტკიცებს, რომ მოხმარება რეაგირებს მხოლოდ პერმანენტული (მუდმივი) შემოსავლის დონეში მოხმარებულ ცვლილებებზე. ამიტომ, გადასახადების დონის დროებითი ცვლილებები ვერ მოახდენს დიდ გავლენას მოხმარებაზე და ერთობლივ მოთხოვნაზე. იმისათვის, რომ გადასახადების ცვლილებებმა მოახდინონ შესაძლებელი ზემოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე, ეს ცვლილებები მუდმივი უნდა იყოს.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში ორი ცვლილება - 1964 წელს გადასახადების შემცირება და 1968 წელს გადასახადების ზრდა - შეიძლება ზემოთქმულის მტკიცებულებებზე გამოდევს. 1964 წელს გადასახადების შემცირება პოპულარული ღონისძიება იყო; ის გამოაცხადეს, როგორც გადასახადებით დახვეწის გაზარდვის ყველაზე მნიშვნელოვანი და მუდმივი შემცირება როგორც ვიეთი, მოცემულმა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკამ მოეცა მისაღწევი შედეგები და გამოაცხვდა ეკონომიკა.

გადასახადების ზრდა 1968 წელს განხორციელდა სრულიად სხვა პოლიტიკურ ვითარებაში. საგადასახადო განაკვეთები საკანონმდებლო გზით გაიზარდა, რადგანაც პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის ეკონომიკური მრჩეველები ერთმანეთს შეხვედნენ იყენებდნენ იმით, რომ სახელმწიფო დანახარების ზრდამ ეფექტური ომის დროს მოახდინა ერთობლივი მოთხოვნის უკიდურესად სტიმულირება. მაგრამ ჯონსონი, ემხროდა რა, რომ ომი უკვე აშაბოულარულია, შიშობდა, რომ მოხდებოდა პოლიტიკური გაშვება გადასახადების ზრდის შედეგად. საბოლოოდ, ის დათანხმდა გადასახადების განაკვეთების დროებით ზრდას - ფაქტობრივად, საუბარი ეტებოდა გადასახადების ზრდას ერთი წლის ვადით. ამ ღონისძიებამ არ გამოიწვია მისაღწევი შედეგები ერთობლივი მოთხოვნის შემცირების თვალსაზრისით. უმწვევრობა შეინარჩუნა, ხოლო ინფლაცია - იზრდებოდა.

მოცემული მაგალითიდან უნდა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: საგადასახადო პოლიტიკის სრული ანალიზი უნდა გასცდეს მოხმარების მარტივი ეკონომიკური ფუნქციის ფარგლებს მხედველობაში უნდა მივიღოთ პერმანენტულ და დროებით შემოსავლებს შორის განსხვავებაც. თუკი მოხმარებლები ელოდებიან, რომ გადა-

სახელმწიფო განაკეთის ცვლილებები დროებითია, მაშინ ასეთი ცვლილებები ნაკლებ უზგაველენას მოახდენენ მოხმარებასა და ერთობლივი მოთხოვნის დონეებზე.

რაციონალური მოლოდინი და მოხმარება

პერმანენტული შემოსავლის თეორია ვფიქრებთ ფირმის დროთაშორის არჩევანის მოდელს. აღნიშნული მოდელი გულისხმობს, რომ მოხმარებლები, რომლებიც ახდენენ სიტუაციის პროგნოზირებას, გადაწყვეტილებას დებულობენ არა მარტო მიმდინარე, არამედ მომავალში საცარავლოთ მისაღები შემოსავლის დონიდან გამომდინარეც. ამგვარად, პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზა შეტყვევებს იმას, რომ მოხმარება დამოკიდებულია მოლოდინზე.

მოხმარების ბოლო გამოკვლევებმა გააერთიანეს აღნიშნული შეხედულებები რაციონალური მოლოდინის კონცეფციასთან. კონცეფციის თანახმად, მომავალი მოვლენების პროგნოზირებისას ადამიანები ოპტიმალურად სარგებლობენ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციით. მე-11 თავიდან ვიცით, რომ რაციონალური მოლოდინი ძლიერ გავლენას ახდენს ინფლაციის აღმოფხვრის დაწახარჯებზე. ასეთივე სერიოზული შედეგები უკავშირდება ამ კონცეფციის გამოყენებას მოხმარების ანალიზისას.

ეკონომისტმა რობერტ კოლმა პირველმა გამოიყენა რაციონალური მოლოდინის კონცეფცია მოხმარების ანალიზის დროს. მან აჩვენა, რომ თუკი პერმანენტული შემოსავლის თეორია მართებულია და მოხმარებელთა მოლოდინი – რაციონალური, მაშინ მოხმარებაში ცვლილებები დროთა განმავლობაში უნდა იყოს არაპროგნოზირებადი. იმ ცვლადის მნიშვნელობის აღსაწერად, რომლის ცვალებადობა არაპროგნოზირებადია, ეკონომისტები სარგებლობენ ტერმინით – *შემთხვევითი დაბნეულობა*. პოლის მიხედვით, პერმანენტული შემოსავლისა და რაციონალური მოლოდინის თეორიების შეხამება გულისხმობს, რომ მოხმარება მიიყვება შემთხვევითი დაბნეულობის ტრაექტორიას.

კოლმა საკუთარი მსჯელობა ააგო შემდეგ ლოგიკაზე დაყრდნობით. პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზის თანახმად, მოხმარებლები აწყდებიან შემოსავლების რყევებს და მიმართავენ მთელ თავიანთ ძალისხმევას იმისათვის, რათა თვითონი მოხმარება სიცოცხლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად თანაბარობდეთ გახდეს. ყოველი კონკრეტული მოქმედისათვის მოხმარებლები ირჩევენ მოხმარების დონეს თავიანთი მიმდინარე მოლოდინის საფუძველზე მომავალი შემოსავლების მიმართ. დებულები რა ახალ ინფორმაციას, ისინი გარდაქმნიან თავიანთ გეგმებს და ცვლიან მოხმარების დონეს. მაგალითად, ადამიანი, რომელმაც სამსახურში მიიღო მოლოდინელი დანახარჯი, ზრდის მოხმარების დონეს, ხოლო ის ადამიანი, რომელსაც მოულოდნელად შეუმცირებია ანაზღაურება, ამცირებს მოხმარებას. თუკი მოხმარებლები ოპტიმალურად სარგებლობენ მთელი არსებული ინფორმაციით, მაშინ მათი მოლოდინის გადასინჯვა მომავალ შემოსავლებთან მიმართებაში სიცოცხლის განმავლობაში არაპროგნოზირებადი უნდა იყოს. ამიტომ, მათ მოხმარებაში ცვლილებებიც ავრთვეთ არაპროგნოზირებადია.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემთხვევითი დაბნეულობის თეორიამ მთლად უნსტად ვერ ასახავს ეკონომიკურ რეალობას. ერთობლივი მოხმარების ცვლილებები გარკვეულწილად ექვემდებარება პროგნოზირებას. თუმცა, იმის გამო, რომ ასეთი პროგნოზის სიზუსტე მცირეა, ზოგიერთ ეკონომისტს აზრთ შემთხვევითი დაბნეულობის თეორიებზე და რაციონალური მოლოდინის კონცეფცია საჭმის რეალურ ვითარებას საკმაოდ კარგად ასახავს.

მოხმარების ანალიზს რაციონალური მოლოდინის კონცეფციის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს არა მარტო პროგნოზირებისათვის, არამედ იმის გასაანალიზებლადაც, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური პოლიტიკა საერთოდ ეკონომიკაზე. თუკი მოხმარებლები მოქმედებენ ისე, როგორც ეს ნაგრაუდევთა პერმანენტული შემოსავლების პიპოთეზით და მათი მოლოდინი რაციონალურია, მაშინ პოლიტიკის მოულოდნელ ცვლილებებს შეუძლია მხოლოდ გააღვივოს მოხდენა მოხმარებაზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის ცვლის მოლოდინებს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ აშშ-ს კონგრესი დღეს დებულობს გადასახადების ზრდის შესახებ კანონს, რომელიც ძალაში შედის მომდევნო წლიდან. ამ შემთხვევაში მოხმარებლები დებულებენ ახალ ინფორმაციას თავიანთ შემოსავლებზე სიცოცხლის განმავლობაში კონგრესის მიერ ამ კანონის მიღების შემდეგ (ან უფრო ადრე, თუკი ხმის მიცემის ასეთი შედეგი მოსალოდნელი იყო). ასეთი ამავე მოხმარებლებს აიძულებს გადახედონ თავიანთ მოლოდინებს, შეამცირონ მოხმარება დაუყოვნებლივ. შემდეგომ წელს კი, როდესაც კანონი შევა მოქმედებაში, მოხმარება არ შეიცვლება, რამდენადაც ახალი ინფორმაცია არ გაერკვლებოდა.

ამგვარად, თუკი მოხმარებლებს გააჩნიათ რაციონალური მოლოდინები, პოლიტიკოსები ეკონომიკაზე გავლენას არა მხოლოდ თავიანთი ქმედებებით ახდენენ, არამედ ასეთი ქმედებების შედეგად მოსახლეობაზე მოლოდინების ფორმირებითაც. თუმცა, შეუძლებელია უშუალოდ დაუკვიროდეთ მოლოდინს, ამიტომ რთულია გავეთხროთ, როდის და როგორ ახდენს გავლენას ერთობლივ მოთხოვნაზე საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებები.

მაგალითი 15-6

ჭერებზე თუ არა მომხმარებლები მომავალ შემოსავალს?

მომხმარებლის ქვეყის ფიჭერის მოდელის ძირითადი შინაარსი (და მომხმარებლის ყველა სხვა მომდევნო კვლევისა) მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელი მოხმარება დამოკიდებული არა მარტო დღევანდელ შემოსავალზე, არამედ მომავალში მისაღებ შემოსავალზეც, რაც უფრო მეტის მიღებას გარავილობს მომხმარებელს მომავალში, მით უფრო მეტს მოიხმარს დღეს.

ამგვარად, მოდელი გულისხმობს, რომ დანაზოგის ოდენობა შეიძლება დაეკავშიროს შემოსავლის ზრდის პროგნოზირებაში. თუკი მომხმარებლები მიმდინარე შემოსავლის მეტი ნაწილს ზოგავენ, ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი მომავალ შემოსავლებთან მიმართებაში. და პირიქით, თუკი მომხმარებლები თავიანთი შემოსავლების მეტ ნაწილს ზოგავენ, მაშინ მომავალში შემოსავლების პერსპექტივები არასასურველია. თუკი ეს თეორია მართებულია, მაშინ დასოგვის დაბალი ნორმის პერიოდებს შემოსავლების ზრდის პერიოდები უნდა მოყვებოდეს!

მომხმარებლისა და შემოსავლის დროით ასპექტში კვლევების შედეგებმა დაადასტურეს ეს ფაქტი. დანაზოგის ოდენობას ნამდვილად აქვს ზრდის ტენდენცია რეცესიის მოახლოებასთან ერთად, ხოლო აღმავლობას ხშირად წინ უსწრებს დასოგვის ნაკლები ოდენობა. ლებულობს რა გადაწყვეტილებას მოხმარებლის თაობაზე, მომხმარებლები ნამდვილად ცდილობენ მოამაღისკენ გახედვას.

მაგრამ ეს დაკვირვებები მთლად არ შეესაბამება თეორიას. კერძოდ, დანაზოგების რყევები უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ეს ნაწინასწარმეტყველებია მოდელის საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებლები მომავალი შემოსავლის გაკლება შედარებით სუსტია, ხოლო მიმდინარე შემოსავლისა - გაკლებულით ძლიერ, ვიდრე ამას ითვალისწინებს პერიანენტული შემოსავლის პიპოთეზა. ამგვარი ქვეყის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ზოგიერთ მომხმარებელს არ ახასიათებს რაციონალური მოლოდინი: მათ შეუძლიათ მომავალ შემოსავლებზე თავიანთი მოლოდინი დაამყარონ მხოლოდ და მხოლოდ მიმდინარე შემოსავლების მნიშვნელობაზე. სხვა მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება იყოს მომხმარებელთათვის სესხის მიღებაზე შესუდელების არსებობა, რაც მათ აიძულებთ თავიანთი მოხმარება შემოფარგლონ მიმდინარე შემოსავლებით.

15-5. დასკვნა

კეინზის, ფიჭერის, მოდელიანისა და ფრიდმენის ნაშრომთა მაგალითზე აშკარად ჩანს მომხმარებელთა ქვეყის შეხვედრულბათა განვითარება. კეინზი თვლიდა, რომ მოხმარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მიმდინარე შემოსავალზე. მოვლანებით ეკონომისტებმა დაიწყვეთ ფიჭერი იმის შესახებ, რომ მომხმარებლებს ესმით, რომ ისინი დგანან გადაწყვეტილების მიღების წინაშე, რომელიც ეხება დროთაშორის არჩევანს. მომხმარებლები იხედებან წინ, როდესაც ახდენენ თავიანთი მომავალი რესურსებისა და მოთხოვნილებების პროგნოზირებას, რაც გულისხმობს მოხმარების უფრო რთული ფუნქციის გამოყენებას, ვიდრე კეინზის ფუნქციაა. კეინზმა შემოგთავაზა მოხმარების ფუნქციის შემდეგი ფორმა:

$$\text{მომხმარება} = f(\text{მიმდინარე შემოსავალი}).$$

ბოლო კვლევები ამ ფორმის მაგიერად გეთავაზობს შემდეგ ფორმას:

$$\text{მომხმარება} = f(\text{მიმდინარე შემოსავალი, დაგროვებული სიმდიდრე, მომავალში მოსალოდნელი შემოსავალი, საპროცენტო განაკვეთი}).$$

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთობლივი მოხმარება განისაზღვრება არა მარტო მიმდინარე შემოსავლის ოდენობით.

ეკონომისტები აგრძელებენ კამათს ამ ფაქტორთა შეფარდებითი მნიშვნელობის თაობაზე მოხმარების განსაზღვრის თვალსაზრისით. მაგალითად, რჩება უთანხმოება საპროცენტო განაკვეთისა და სესხის მიღების შესუდელებაზე გაკლების საკითხებზე. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ეკონომისტები

¹ მათემატიკური შერისშენა იმისათვის, რომ გავიგოთ ეს შეხმარება, მივმართოთ ჩვენს მაგალითს ორი პერიოდით. დავუშვათ, რომ საპროცენტო განაკვეთი ნულის ტოლია და მომხმარებელი მთელ თავის რესურსებს ყოფს ორ პერიოდს შორის თანაბრად, ასე, რომ $C_t = (Y_t + Y_{t+1})/2$. შემდეგ, მარტივი ალგებრული გარდაქმნის დახმარებით შეიძლება ვთქვათ, რომ $C_t = Y_t - Y_{t+1}$. შემოსავლის ზრდის ტემპისა და პერიოდს შორის, ხოლო $s = (Y_{t+1} - Y_t)/Y_t$ - დასოგვის ნორმის პირველ პერიოდში. აქედან გამომდინარე, დანაზოგები და შემოსავლის შემდგომი ზრდა ერთმანეთის უკუპროპორციულია.

მისტები განსხვავებული შეხედულებებისა ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის მიმართ, არის ის, რომ ისინი განიხილავენ მოხმარების სხვადასხვა ფუნქციებს. მომდევნო თავში საუბარი ეხება სახელმწიფო ვალის გაულებლის თაობაზე კამათს, რაც, სამოლოო ფაშში, სხვა არაფერია, თუ არა მოხმარებელთა ქვევის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისის სამართლიანობაზე კამათი.

ძირითადი მასკვმები

1. კეინზმა იწინასწარმეტყველა, რომ მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება იმყოფება ერთსა და ნულს შორის და რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება მცირდება შემოსავლების ზრდის კეალობაზე. მისი აზრით, მიმდინარე შემოსავალი წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც გააულებნას ახდენს მოხმარებაზე. საოჯახო ბიუჯეტებისა და მოკლევადიანი დროითი ასპექტების მონაცემთა შესწავლა ამ ურავუდებს ადასტურებს. მაგრამ მოხმარების ცვლილებებზე მონაცემები გრძელვადიანი პერიოდებისათვის გეირენებს, რომ შემოსავლების ზრდის კეალობაზე მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება არ მცირდება.

2. მოხმარების ბოლოდროინდელი გამოკვლევები ეფუძება მოხმარებლის ქვევის ირენგ ფიშერისადმი მიდრეკილს. ამ მიდრეკილში გამოკვლეულია დროთაშორისი არჩენიანი და ის, თუ როგორ ირჩენს მოხმარებელი მოხმარების დონეს ახლანდელი და მომავალი პერიოდისათვის, რითაც აღწეეს კეთილდღეობის ყუელაზე უმადლეს შესაძლო დონეს მთელი სიცოცხლის განმეალობაში. ეიდრე მოხმარებელს აქვს შესაძლებლობა იხსნოს საშუალებები და დააგროვოს დანაზოგები, მოხმარების დონე დამოკიდებულია იმ რესურსების რაოდენობაზე, რომელსაც მოხმარებელი განკარგავს სიცოცხლის განმეალობაში.

3. სასიცოცხლო ციკლის პიპოთეზა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანის სიცოცხლის განმეალობაში შემოსავლის ცვლილება წინასწარ ცნობილია და რომ მოხმარებლები სარგებლობენ დანაზოგებით და ხასესხს საშუალებებით, რათა გადაფარონ მოხმარების რყევები სიცოცხლის განმეალობაში. პიპოთეზა გულისხმობს, რომ მოხმარება დამოკიდებულია როგორც შემოსავალზე, ასევე დაგროვებულ სიმდიდრეზე.

4. პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზის შესაბამისად შემოსავლის რყევები შეიძლება იყოს როგორ მუდმივი, ისე დროებითი. რამდენადაც მოხმარებელს შეუძლიათ საშუალებათა სესხება ან დაზოგვა და მათ სურთ გადაფარონ თავიანთი მოხმარების დონის რყევები, მოხმარება სუსტად რეაგირებს შემოსავლის დროებით ცვლილებებზე. ძირითადად, მოხმარება დამოკიდებულია პერმანენტულ შემოსავალზე.

ძირითადი ცნებები

მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება
შენაცვლების ეფექტი
მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება
შეზღუდები სესხის მიღებაზე
დროთაშორისი ბიუჯეტური შეზღუდვა
სასიცოცხლო ციკლის პიპოთეზა
დისკონტირება
დაზოგვა სიფრთხილის მოტივით
განუსაზღერელობის მრუდი
პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზა
შენაცვლების ზღერული ნორმა
პერმანენტული შემოსავალი
ნორმალური სიკეთე
დროებითი შემოსავალი
შემოსავლის ეფექტი
შემთხვევითი დაბნეულობა

აღამიანური კაპიტალი, პერმანენტული შემოსავალი და ფინანსური დაგეგმვა
აღამიანის ცხოვრებაში

დაზოგვის მოდელი სიცოცხლის განმავლობაში

განვიხილოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ, თქვენ 35 წლისა ბრძანდებით და პენსიამდე კიდევ 30 წელი გასწორებთ. პენსიაზე გასვლის შემდეგ (65 წლის ასაკში) აპირებთ კიდევ მინიმუმ 15 წელს ცხოვრებას (80 წლამდე). თქვენი მიმდინარე შემოსავალი შეადგენს 30000 დოლარს წელიწადში და ჯერ-ჯერობით არავითარი დანაზოგები არ გაგაჩნიათ.

გაუმარტოეთ ჩვენი ამოცანა და მოდით, ნუ გაეთვალისწინებთ გადასახადებს. აგრეთვე დაეუშვათ, რომ თქვენი რეალური გამომუშავების სიდიდე ინფლაციის გათვალისწინებით იქნება 30000 დოლარი წელიწადში, ვიდრე გახდებით 65 წლისა სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი დაშვებიდან გამომდინარე, თქვენი შემოსავლების ზრდის ტემპები ინფლაციის დონის შესაბამისი იქნება.

თქვენ პასუხი უნდა გაცხეთ შემდეგ კითხვას: რამდენი შეიძლება დაიხარჯოს ამჟამად საკროვანსათვის და რამდენი უნდა გადაედოთ იმ დროისათვის, როდესაც გახვალთ პენსიაზე?

ანგარიშზე განათავსებულთა ყოველი დოლარი მოგიტანთ შემოსავალს მანამ, ვიდრე მას არ მოხსნით ანგარიშიდან. რა თქმა უნდა, ცხოვრების ღირებულებაც აგრეთვე გაიზრდება. დაეუშვათ, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც დებულებით საკუთარი ანაბრიდან, გადააჭარბებს ინფლაციის დონეს 3%-ით წელიწადში. სხვა სიტყვებით, რეალური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური 3%.

არსებობს ორი მიდგომა, რომლითაც შევიძლიათ ისარგებლოთ იმ თანხის გამოსათვლელად, რომლის გადადება აუცილებელია სიბერისათვის. პირველი მდგომარეობს პენსიამდელი შემოსავლის შენაცვლების მიზნობრივი განაკვეთის შერჩევაში, ხოლო მეორე - იმ დასაზოგი თანხის გამოთვლაში, რომელიც შეგეინარჩუნებს მოხმარების მუდმივ დონეს როგორც პენსიაზე გასვლამდე, ისე გასვლის შემდეგ. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. პირველი მიდგომა: პენსიამდელი შემოსავლის შენაცვლების მიზნობრივი განაკვეთი

ექსპორტთა უმრავლესობა რეკომენდაციას გააკლევს შემზაველი საპენსიო გეგმის შედგენის დროს ორიენტირება მოახდინოთ ჩვენი პენსიამდელი შემოსავლის 75%-ან შენაცვლების განაკვეთზე. ამჯერად გამოვიყენოთ აღნიშნული წესი. 30000 დოლარის ოდენობის რეალურ პენსიამდელ შემოსავალთან მიმართებაში საპენსიო შემოსავლის შერჩეული დონე შეადგენს 0,75X30000, ანუ წელიწადში 22500 დოლარს.

იმ სიდიდის გაანგარიშების მეთოდი, რომელიც აუცილებელია სასურველი მიზნის მისაღწევად, მოიცავს ორ ეტაპს.

- თავდაპირველად გამოინგარიშეთ თანხა, რომელიც აუცილებლად უნდა დააგროვოთ თქვენსავე საპენსიო ანგარიშზე იმ დროისათვის, როდესაც მიღწეულ საპენსიო ასაკს შემდგომ გამოინგარიშეთ დაზოგვის წლიური თანხა, რომელიც აუცილებელია ამ მომავალი თანხის მისაღებად.

მაშასადამე, თავდაპირველად განგარიშობთ თანხას, რომელიც აუცილებლად უნდა იქონიოთ თქვენსავე პირად საპენსიო ფონდში 65 წლისათვის იმის გამო, რომ შემდეგ მოგუკეთ შესაძლებლობა მოხსნათ ანგარიშიდან 22500 დოლარი წელიწადში 15 წლის განმავლობაში.

n	i	PV	FV	PMT	შედეგი
15	3	?	0	-22500	PV=268604 dol.

შემდეგო გამოვიტყულოთ, თუ რა რაოდენობის ფული უნდა გადაედოთ ყოველწლიურად იმი-სათვის, რათა 30 წლის შემდეგ ანგარიშზე დაგროვდეს თანხა, რომელიც ტოლია 268604 დოლარისა:

n	i	PV	FV	PMT	შედეგი
30	3	0	268604 dol.	?	PMT=5646 dol.

გაანგარიშების შემდეგ შევიძლიათ დაასკვნათ: იმისათვის, რათა გქონდეთ შესაძლებლობა მოხსნათ ანგარიშიდან სახსრები 22500 დოლარის ოდენობით წელიწადში 15 წლის განმავლობაში, თქვენ უნდა გადაედოთ 5646 დოლარი წელიწადში შემდგომო 30 წლის განმავლობაში.

ახლა განვიხილოთ პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება პირველი მიდგომის გამოყენებისას. მიუხედავად უკრადლემა იმას, რომ ის სულაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ პენსიაზე გასვლის შემდგომ თქვენ შეინარჩუნებთ მოხმარების უწინდელ დონეს. განსახილველ მაგალითში იმ წინ განმარტებაში, როცა მუშაობდით, 30000 დოლარიდან, რომელსაც ღებულობდით, თქვენი დანახარჯები შეადგენდა 24353 დოლარს, თანაც თქვენ ზოგადი 5646 დოლარს წელიწადში. მაგრამ პენსიაზე ყოფნისას თქვენ შეგიძლიათ დახარჯოთ მხოლოდ 22500 დოლარი წელიწადში.

ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ხერხია ყველა განმარტების გარდაქმნა, თუ ესარგებლებთ შენაცვლების განაკვეთით, რომელიც 75%-ზე მეტია. თუ შენაცვლების ეს განაკვეთი აღმორდება მეტისმეტად მაღალი, მაშინ ავირიოთ მასზე ნაკლები სიდიდე. თქვენ შეგიძლიათ იმოქმედოთ „ცდისა და შეცდომის“ მეთოდით მანამ, ვიდრე არ იპოვით იმ შენაცვლების განაკვეთს, რომელიც საშუალებას მოგცემთ მიაცილოთ ხარჯების ერთნაირ დონეს პენსიაზე გასვლამდე და გასვლის შემდეგ. მეორე მეთოდით ეს პრობლემა გადაიტყრება „ცდისა და შეცდომის“ მეთოდის გამოყენების გარეშე.

2. მეორე მიდგომა: პენსიაზე ყოფნისას მოხმარების მუდმივი დონის შენარჩუნება

მოდით ვიფიქროთ, თუ რა რაოდენობის ფული უნდა გადადოთ იმისათვის, რათა მოახერხოთ ერთი და იგივე თანხის დახარჯვა როგორც პენსიაზე გასვლამდე, ისე გასვლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მოხმარებისათვის განკუთვნილი მუდმივი შემოსულობების არსებობა 45 წლის განმავლობაში, რომელსაც აღენიშნავთ C სიმბოლოთი. ყოველწლიურად, 35 წლიდან 65 წლამდე პერიოდში დასახოვი თანხა შეადგენს ჯამში 30000 დოლარს C-ს გამოკლებით. 65 წლის ასაკში დაზოგვის საერთო სიდიდე იქნება: 47,58 დოლX(30000 დოლ. - C). ეს შემდეგნაირად გამოითვლება:

n	i	PV	FV	PMT	შედეგი
30	3	0	?	1	FV=47,58 დოლ.

თანხა, რომელიც საქონსო ანგარიშიდან მოიხსნება ყოველწლიურად, როცა მიღწევთ 65 წელს, გაუტოლდება C-ს. მისი დაკავანძილი ღირებულება იმ დროისათვის, როდესაც შეეცნურულდებით 65 წელი, იქნება 11,94XC დოლარის ტოლი.

n	i	PV	FV	PMT	შედეგი
15	3	?	0	1	PV=11,94 დოლ.

იმისათვის, რომ ვიპოვიოთ C-ს მნიშვნელობა, ამოხსნათ შემდეგი ტოლობა:

$$47,58x(30000-C)=11,94xC$$

$$C=23982 \text{ დოლ.}$$

ამგვარად, მოხმარებაზე დანახარჯები შეადგენს 23982 დოლარს წელიწადში. ამგვარად, ყოველწლიური ანაბრები შრომისუნარიანი ასაკის განმავლობაში ტოლი უნდა იყოს 6018 დოლარისა წელიწადში (გ.ი. 30000 დოლ. - 23982 დოლ.). 65 წლისათვის დაგროვილი თანხა შეადგენს 286298 დოლარს.

ცხრილი 1-ში 1-4 სექტები და ნახ. 1 გვიჩვენებს შემოსაულების, მოხმარებისა და დაზოგვის დროით გრაფიკებს, რომლებიც აღებულია ამ მაგალითიდან. ისინი გვიჩვენებენ, რომ შემოსავალი შეადგენს 30000 დოლარს 65 წლამდე და შემდეგ ეცემა ნულამდე. მოხმარება რჩება 23982 დოლარის დონეზე წელიწადში 35 წლიდან 80 წლამდე შუალედში.

ტოლობა, რომლითაც ეპოულობთ C-ს მნიშვნელობას, შეიძლება ჩაეწეროს სხვანაირად, უფრო ზოგადი სახით:

$$\sum_{t=1}^{45} \frac{C}{(1+r)^t} = \sum_{t=1}^{30} \frac{Y_t}{(1+r)^t} \quad (1)$$

სადაც r – საპროცენტო განაკვეთია, ხოლო Y_t – გამოომუშავება t წელს.

(1) ტოლობა გვიჩვენებს, რომ მოხმარებაზე დანახარჯების დაკავანძილი ღირებულება მომდევნო 45 წლის განმავლობაში ტოლი იქნება ხელფასის დაკავანძილი ღირებულებისა მომდევნო 30 წლის

განმავლობაში. ეკონომიკურ თეორიაში შემოსავლის დაყვანილ ღირებულებას, რომელიც მიღებულია ადამიანის მიერ მომავალი პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოდან, ეწოდება ადამიანური კაპიტალი (human capital), ხოლო მოხმარებაზე დანახარჯების მუდმივ დონეს, რომლის დაყვანილი ღირებულება ტოლია ადამიანური კაპიტალისა, ეწოდება პერმანენტული შემოსავალი (permanent income). (1) ჩანართში საუბარია იმ მცენიერებზე, რომლებსაც მიენიჭათ ნობელის პრემია ადამიანური კაპიტალისა და მოხმარებაზე გაწეული დანახარჯების თეორიაში შეტანილი წვლილი-სათვის.)


ცხრილი 1. ხელფასი, მოხმარება და დაზოგვა სიცოცხლის განმავლობაში

ასაკი	ხელფასი (დოლ.)	მოხმარება (დოლ.)	დაზოგვა (დოლ.)	ადამიანური კაპიტალი (დოლ.)	საკუთსი ფონდი (დოლ.)
(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)
35	30000	23982	6018	588013	0
45	30000	23982	6018	446324	68987
55	30000	23982	6018	255906	161700
65	30000	23982	6018	0	286298
66	0	23982	-23982	0	270905
70	0	23982	-23982	0	204573
75	0	23982	-23982	0	109832
80	0	23982	-23982	0	0

ჩვენს მაგალითში, 30 წლის განმავლობაში წლიური 30000 დოლარიანი გამომუშავების შემთხვევაში, თქვენი ადამიანური კაპიტალი შეადგენს 588013 დოლარს 35 წლის ასაკში, ხოლო თქვენი მუდმივი შემოსავალი ტოლია 23982 დოლარისა წელიწადში. განაჯარიმება წარმოებს შემდგომარა:

n	i	PV	FV	PMT	შედეგი
30	3	?	0	30000	PV=588013 დოლ.

n	i	PV	FV	PMT	შედეგი
45	3	588013	0	?	PMT=23982 დოლ.




ნახ. 1. ხელფასი, მოხმარება და დაზოგვა ხაოჯახი მეურნეობის ხახიცოცხლო ციკლის განმავლობაში

თქვენი დაბერების კვლავზე თქვენვე დარწმინდი შრომით შემოსავლის PV მცირდება და აზვარად, თქვენი ადამიანური კაპიტალის ღირებულება მუდმივად მცირდება მანამ, ვიდრე არ გახდება ნულის ტოლი, როცა გახდებით 65 წლის.

ჩანართი 1
<p>პერმანენტული შემოსავლის, საოჯახო მურენობის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში დაზოგვის და ადამიანური კაპიტალის თეორიისათვის ნობელის პრემიები</p> <p>მილტონ ფრიდმანი (Milton Friedman) დაჯილდოვდა ნობელის პრემიით ეკონომიკური მეცნიერების სფეროში 1976 წელს. მისი წვლილი, რომელიც უწინშეუვლოდ მსოფლიო მეცნიერებისათვის ნობელის კომიტეტის შეხვედრებით, არის თეორია იმის თაობაზე, რომ სწორედ პერმანენტული (მუდმივი) და არა ყოველწლიური შემოსავალი წარმოადგენს მოხმარებაზე საერთო დანახარჯების შეფასების განმსაზღვრელ ფაქტორს. ფრიდმანმა დაამტკიცა, რომ მუდმივი შემოსავლის ბუფერად მეტი ნაწილი იზოგება, ვიდრე ყოველწლიური შემოსავლის.</p> <p>ფრანკო მოდილიანა (Franco Modigliani) მიიღო ნობელის პრემია 1985 წელს საოჯახო მურენობის მიერ მისი ცხოვრების განმავლობაში (საოჯახო მურენობის სასიცოცხლო ციკლი) დაზოგვაზე თეორიის აგებისა და განვითარებისათვის. ამ პირობების საფუძველად მიღებული სასიცოცხლო ციკლის იდეა მგომარეობს იმაში, რომ ადამიანები ახდენენ ფულის გადადგმას სიბერისათვის, რაც რასაკვირველია, ახალი არ არის ის, რასაკვირველია, არ ეკუთვნის მოდილიანს. მისი დამსახურება, უპირველეს ყოვლისა, მგომარეობს ამ იდეის ფორმალურ მოდელად გადაქცევაში, რომელიც მან განავითარა რამდენიმე მიმართულებით და ჩამოაყალიბა მკაფიო ეკონომიკური თეორია. სასიცოცხლო ციკლის მოდელი დღეისათვის წარმოადგენს დინამურ მოდელთა უმრავლესობის საფუძველს, რომელიც გამოიყენება მოხმარებისა და დაზოგვის შესასწავლად.</p> <p>გარი ბეკერმა (Gary Becker) მიიღო ნობელის პრემია 1992 წელს მიერეკონომიკური ანალიზის გამოყენების სფეროს გაფართოებისათვის ადამიანური ქცევის სხვადასხვა ასპექტების გამოსაკვლეად. იქველაზე მნიშვნელოვანი წვლილი მის მიერ შეტანილი იქნა ადამიანური კაპიტალის თეორიაში. ადამიანური კაპიტალის თეორია ბევრად აღინაშნავს ბეკერის შრომებთან შედარებით, მაგრამ მისი დამსახურება მგომარეობს ამ თეორიის მიერეკონომიკური საფუძვლების ფორმულირებასა და ფორმალიზაციაში. ადამიანური კაპიტალის თეორიამ შექმნა ერთიანი ანალიტიკური სტრუქტურა იმ საშუალებათა უკუკავშირის შესასწავლად, რომლებიც დახანდებული პროფესულ მომზადებასა და სწავლებაში. ადამიანური კაპიტალის თეორიის სისტემატანად გვეხმარება აქსნატივების შორის არსებული განსხვავებები, რაც გარეწვეულია მათთვის დამახასიათებელი ეკონომიკაში დახანდებული სტრუქტურით. სინამდვილეში, სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანური კაპიტალის მიწოდებაში სხვაობა ბევრად უფრო წონავს, ვიდრე რეალური კაპიტალის მიწოდებაში არსებული სხვაობა.</p>

ნახ. 2 და ცხრილის 1-ში (5) და (6) სვეტები გვიჩვენებენ ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და საპენსიო ფონდებში დაგროვების დროით გრაფიკებს, რომლებიც განპირობებულია გრაფიკულ და ცხრილი 1-ის (2) და (4) სვეტებში ხელფასსა და დაზოგვის შორის პროპორციებით. საპენსიო ფონდის ფორმირება იწყება ნულიდან 35 წლის ასაკში და მისი ზომა თანდათანობით იზრდება უმაღლეს ნიშნულამდე, ანუ 285309 დოლარამდე 65 წლისათვის. შემდეგ დაგროვილი თანხა ცეკმა ნულამდე 80 წლისათვის. ადამიანის საერთო სიმდიდრე, რომელიც განისაზღვრება, როგორც ადამიანური კაპიტალისა და საპენსიო აქტივების თანხა, მუდმივად მცირდება 35 და 80 წლებს შორის შუალედში.



ნახ. 2. ადამიანური კაპიტალი, საპენსიო დანაზოგვის და საერთო სიმდიდრე ადამიანის ცხოვრების განმავლობაში

ახლა ვნახოთ, თუ რა გავლენას მოახდენს სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთები როგორც მუდმივ შემოსავალზე, ისე ადამიანურ კაპიტალზე. ცხრილი-2 გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია ადამიანური კაპიტალის ღირებულება, მაგრამ მით უფრო მაღალია ჩუდმივი შემოსავლის დონე. რამდენადაც თქვენ ახდენთ ფულის გადაღებას მუშაობის პერიოდის განმავლობაში, თქვენთვის უკეთესი იქნება ისარგებლოთ უფრო მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს ადამიანური კაპიტალის ღირებულების დაცემას.

დაეუშვათ, იმის მაგივრად, რომ 35 წლის ასაკში დაიწყოთ დაგროვება ნულიდან, თქვენ უკვე გაქვთ შემზავებელ ანგარიშზე 10000 დოლარი. როგორ იმოქმედებს ეს იმ თანხაზე, რომლის დახარჯვასაც შეძლებთ თქვენი სიცოცხლის განმავლობაში? პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ ეს თქვენ ნებას მოგცემთ გაზარდოთ მოხმარებაზე დანახარჯები მომდევნო 45 წლის მანძილზე წლიურად 407,85 დოლარის ოდენობით, იმ პირობით, თუ საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური 3%-ის ტოლი.

მეორე მხრივ, დაეუშვათ, რომ თქვენ გსურთ თქვენს შეიღებს დაუტოვოთ მემკვიდრეობა 10000 დოლარის ოდენობით 80 წლის ასაკში თქვენი გარდაცვალების შემდეგ.

რეალური საპროცენტო განაკვეთი (%)	ადამიანური კაპიტალი	მუდმივი შემოსავალი	დაზოგვა
0	900000	20000	10000
1	774231	21450	8550
2	671894	22784	7216
3	588013	23982	6018
4	518761	25037	4963
5	461174	25946	4054
6	412945	26718	3282
10	282807	28674	1326

სავარაუდო მემკვიდრეობა როგორ გავლენას მოახდენს უცვლელი შემოსავლების პირობებში მოხმარების მოცულობაზე სიცოცხლის განმავლობაში? პასუხი: ის შემცირებს თქვენს მოხმარებას 107,85 დოლარით წელიწადში მომდევნო 45 წლის განმავლობაში.

ზოგადი ფორმულა, რომელიც გამოხატავს მოხმარების შესაძლებლობას სიცოცხლის განმავლობაში, დამოკიდებულია თქვენს შემოსავალზე, საწყის კაპიტალზე და მემკვიდრეობაზე და გამოიყურება შემდეგნაირად:

$$\sum_{t=1}^T \frac{C_t}{(1+r)^t} + \frac{B_t}{(1+r)^T} = W_0 + \sum_{t=1}^T \frac{Y_t}{(1+r)^t} \quad (2)$$

სადაც:

C_t – დანახარჯები მოხმარებაზე t წელს

Y_t – შრომითი შემოსავალი t წელს

r – საპროცენტო განაკვეთი

R – პენსიაზე გასულამდე დარჩენილი წლების რაოდენობა

T – სიცოცხლის ხანგრძლივობა

W_0 – საწყისი სიმდიდრის ღირებულება

B – მემკვიდრეობა

ტოლობა (2) გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის განმავლობაში მოხმარებაზე თქვენი დანახარჯებისა და მემკვიდრეობის დაყვანილი ღირებულება ტოლია თქვენი ხასიციკლო რესურსების დაყვანილი ღირებულებისა – საწყისი სიმდიდრისა და შრომისგან მომავალი შემოსავლებისა. ეს არის დროთაშორისი ბიუჯეტური შეზღუდვა (intertemporal budget constraint), რომელსაც აუცილებლად წააწყდებით სიცოცხლის განმავლობაში მოხმარებაზე დანახარჯების გეგმის შედგენის დროს.

მიუხედავად იმის, რომ დანახარჯების ნებისმიერი გეგმა, რომელიც აკმაყოფილებს თქვენი ბიუჯეტური შეზღუდვების პირობებს (ე.ი. მე-2 ტოლობას), განხორციელებადი გეგმა (feas-


ბლე plan). ადამიანს მრავალი ასეთი სრულიად რეალური გეგმები გააჩნია. იმისათვის, რომ ავირიოთ მათგან ერთ-ერთი, თქვენ უნდა განსაზღვროთ კეთილდღეობის რაოდენობრივი შეფასების ანუ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების კრიტერიუმები (ეკონომისტები სარგებლობენ ტერმინით - სარგებლობარობა (utility)), რომელსაც დებულობთ ყოველი რეალურად განხორციელებადი გეგმოდან. ე.ი. თქვენ უნდა მოახდინოთ თქვენს ხელთ არსებული სიკეთის მაქსიმიზაცია.

რაოდენობრივ მოდელს, რომელიც დაგეგმარებათ აირჩიოთ საუკეთესო ვარიანტი განხორციელებადი გეგმიდან, ეწოდება ოპტიმიზაციის მოდელი (optimization model). ოპტიმიზაციის მოდელის განვითარება სიცოცხლის განმავლობაში ფინანსური დაგეგმვის დროს სცილდება იმ პრობლემათა ჩარჩოებს, რომელიც განხილულია მოცემულ სახელმძღვანელოში.

ახლა მოდით ვნახოთ, თუ რა გავლენას ახდენს დაზოგვაზე რეალურ შემოსავლებში ცვლილებები სიცოცხლის განმავლობაში. მაგალითად, ინდივიდმა ახლახანს დაამთავრა სამყიდვინო ინსტიტუტი 30 წლის ასაკში და ეუფლება ქირურგის პროფესიას პოსტიტალის ორდინატურაში. მისი რეალური ხელფასი შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 25 000 დოლარს წლიურად. ორდინატურის დამთავრების შემდეგ ის გეგმავს გააჩიოშუშავოს წლიურად 300000 დოლარი რეალური გამომხატულებითი პენსიაზე გასცლაშდე. 65 წლის ასაკში, არსებული პერსპექტივების გათვალისწინებით მას სურს დაიწყო ცხოვრების მაღალი დონით დატკობა დღესვე. თუ მას უნდა შეინარჩუნოს რეალური მოხმარების იგივე დონე დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში და იმედოვნებს 85 წლამდე ცხოვრებას, მაშინ რა რაოდენობის თანხის გადადება უნდა დაიწყო მან ამჟამად და განაგრძოს ეს პროცესი მომავალში? დავეუშვათ, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთი ტოლია წლიური 3%-სა და ინდივიდს შეუძლია ასესხოს ან ისესხოს ფული ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთით.

ცხრილი-3 და ნახ-3 გვიჩვენებს სავარაუდო მოდელს, რომელიც უკავშირებს ხელფასს, მოხარებისა და დაზოგვის დონეებს ერთმანეთს იმ პირობით, რომ ამ ინდივიდს სურს შეინარჩუნოს რეალური მოხმარების უმაღლესი დონე ყოველ წელს.

ცხრილი 3. ინდივიდის შემნახველი გეგმები					
ასაკი	ხელფასი	მოხმარება	დაზოგვა	ადამიანური კაპიტალი	სხვა აქტივები და ვალდებულებები
30	0	0	0	\$ 186 747	0
31	25 000	193 720	-168 720	5 317 349	-168 720
32	25 000	193 720	-168 720	5 451 869	-342 502
33	25 000	193 720	-168 720	5 590 425	-521 497
34	25 000	193 720	-168 720	5 733 138	-705 862
35	25 000	193 720	-168 720	\$ 880 132	-895 758
36	300 000	193 720	106 280	5 756 536	-816 351
37	300 000	193 720	106 280	5 629 232	-734 562
38	300 000	193 720	106 280	5 498 109	-650 319
39	300 000	193 720	106 280	5 363 053	-563 549
40	300 000	193 720	106 280	5 223 944	-474 175
44	300 000	193 720	106 280	4 624 507	-89 053
45	300 000	193 720	106 280	4 463 242	14 555
65	300 000	193 720	106 280	0	2 882 067
66	0	193 720	-193 720	0	2 774 809
84	0	193 720	-193 720	0	188 078
85	0	193 720	-193 720	0	0



ნახ. 3 ინდივიდის შემნახველი გეგმა მისი ხასიციცხოლო ციკლის განმავლობაში.

მისი თავდაპირველი ადამიანური კაპიტალი შეადგენს 5 186 747 დოლარს, ხოლო მისი მუდმივი შემოსავალი – 193 720 დოლარს. იმისათვის, რომ ჰქონდეს შესაძლებლობა დახარჯოს წლიურად 193 720 დოლარი ხუთი წლის განმავლობაში ორდინატურაში, მას დასჭირდება აილოს 168 720 დოლარის სესხი წელიწადში 25 000 დოლარის ოდენობის საკუთარ ხელუასზე დანამატის სახით. მისი საერთო დაეალიანება გაიზრდება მაქსიმუმ 895 758 დოლარამდე 35 წლის ასაკში და შემდეგ შემცირდება იმის შედეგად, როცა ის გადადებს 106 280 დოლარს ყოველწლიურად 36 წლის ასაკიდან იმ მომენტამდე, ვიდრე არ გაეა პენსიაზე 65 წლის ასაკში. მიუაქციით ყურადღება იმას, რომ აღნიშნული პირი გადაიხდის თავის ვალს მხოლოდ 45 წლის ასაკში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, გვ. 571-610
2. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, გვ. 104-139
3. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, გვ. 156-173
4. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002, გვ. 55-92
5. Боди З., Мертон Р. Финансы / Пер. с англ.-М.: Вилиамс, 2003, გვ. 204-223
6. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, გვ. 432-460
7. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, გვ. 313-335

თავი 16. სახელმწიფო ვალი

*ახალგაზრდები დაწყველები არიან, მთი
მემკვიდრეობით ვერცხვით ვროვნული ვალი
ჯერებრტ პეკერი*

როდესაც მთაერობა ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე ღებულობს გადასახადების სახით, ის სესხულობს ფულს კერძო სექტორიდან ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. ადრე არსებული სესხების დატოვება წარმოადგენს მთაერობის ვალს. მთაერობის ვალის მნიშვნელობის ადეკვატურობის თაობაზე დებატები აშშ-ში იმდენივე ხნისაა, რამდენიც თვით ეს ქვეყანა. ალექსანდრე პამილტონი ამბობდა, რომ „ყოვენული ვალი, თუკი ის არ არის მეტისმეტო, ქვენთის ეროვნული სიკეთის მომტანია“, მაშინ, როცა ჯეიმს მედისონის აზრით „სახელმწიფოს ვალი სახელმწიფოს უბედურება იქნება“. რასაკვირველია, ეროვნული კაპიტალის განთავსება ეკონომიკურ პოლიტიკაზე იყო დამოკიდებული, რითაც აშშ-ს ფედერალურმა მთაერობამ რევოლუციით გამოწვეული სახელმწიფო ვალი იღო: რადგანაც ჩრდილოეთის შტატებს გააჩნდათ უზარმაზარი დაფურცავი ვალი, კაპიტალის გადაინება მოხდა სამხრეთ შტატებში.

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო ვალის მიმართ ყურადღება თანდათანობით შენედა, ის განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XX საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. 1980-იანი წლებიდან დაწყებული აშშ-ს ფედერალურმა მთაერობამ ბიუჯეტი უზარმაზარ დეფიციტად დაიყვანა - ნაწილობრივ ხარჯების ზრდის და ნაწილობრივ გადასახადების შემცირების გამო. როგორც შედეგი, მთაერობის ვალი, გამოხატული პროცენტებში შშპ-ს მიმართ თითქმის გაორმაგდა - 1980 წელს არსებული შშპ-ს 26 პროცენტთან 1995 წლისათვის 50 პროცენტამდე. 1990-იანი წლების ბოლოსათვის ბიუჯეტის დეფიციტი დაიქვემდებარე კონტროლს და ბოლოს პროფიტშიც კი გადაიზარდა. პოლიტიკოსები დაუბრუნდნენ ვალის სწრაფად ანაღურების საკითხს.

1980-1995 წლებში არსებული სახელმწიფო ვალის სიდიდე უპრეცედენტოა აშშ-ს ისტორიაში. სახელმწიფო ვალი ხშირად იმის ან დამრავლებს პერიოდებში იზრდება, მაგრამ აშშ-ს ის პერიოდისათვის არცერთი მსგავსი მოვლენა არ განუცდია (თუ არ ჩათვლით ვრავის მცირეხნიან სამხედრო კამპანიას). მოკლედანელი არ არის, რომ სახელმწიფო ვალის ეკონომიკური ეფექტების თაობაზე ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ეპიზოდურად მაღალ დანტერესებას აქვს ადგილი. ზოგიერთი შეხედულებით, 1980-1990 წლებში არსებული ბიუჯეტის დიდი დეფიციტი მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია დიდი დემარსიდიდან მოყოლებული, მაშინ, როდესაც ზოგიერთის აზრით დეფიციტის არსებობა არ არის მნიშვნელოვანი. მოცემულ თავში განხილულია ამ საკითხთან დაკავშირებული დებატების არის.

თავდაპირველად დაიწვებთ სახელმწიფო ვალის სიდიდეებზე მონაცემების განხილვით. ამ თავში აშშ-ს სახელმწიფო ვალი შედარებულია სხვა ქვეყნების ანალოგიურ მანევრებლებთან. სუბარია აგრეთვე იმაზე, თუ არა სინდრემები არსებობს სახელმწიფო ვალის გაზომვასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ეკონომისტს მოჰყავს არგუმენტები იმისა, რომ სახელმწიფო ვალის ტრადიციული გაზომვა ძალზედ დამახინველია და საჭიროა მისი სრულად იგნორირება. შემდგომ განხილვება სახელმწიფო ვალის გაველია ქვეყნის ეკონომიკაზე. განვიხილავთ აგრეთვე ტრადიციულ შეხედულებას სახელმწიფო ვალზე, რომლის თანახმადც სახელმწიფო სესხები ამცირებენ ეროვნულ დაზოგავს და გამოდევნიან კაპიტალის დატოვებას. ამ შეხედულებას ეკონომისტთა უმრავლესობა იზიარებს. ცალკე განხილვება ე.წ. *რიკარდიანული ეკვივალენტობა*, რომელსაც მცირე, მაგრამ გაველიანი ეკონომისტთა ჯგუფი ემხრობა. რიკარდიანული შეხედულების თანახმად, სახელმწიფო ვალი გაველებს არ ახდენს ეროვნული დანაზოგის სიდიდეზე და კაპიტალის დატოვებაზე. როგორც შემდგომ ენახათ, ტრადიციული და რიკარდიანული შეხედულებების შქონე ეკონომისტთა შორის დებატები სახელმწიფო ვალის თაობაზე კამათი ძირითადად დაიყვანება მომხარების თეორიის საკითხებზე. მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომაა მართებული - ტრადიციული თუ რიკარდიანული, შესაძლებელია მხოლოდ მომხმარებელთა დანახარჯებზე საბიუჯეტო-სადადასახლო პოლიტიკის გაველების შეფასებით. იმისათვის, რომ გავეალიზოთ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეკონომიკური შედეგები, ჯერ უნდა გავეარკვიოთ მომხმარებელთა ქვევა მოკლევაიანი ინტერესების ვერნობა თუ ვრთველიანის და აწველიან თუ არა ისინი შეხედულებებს სესხის მიდებაზე. საჭიროა ვიცოდეთ აგრეთვე მომხმარებელთა ქვევის თეორიის სხვადასხვა ასპექტები. მოვიყვანთ შეხედულებებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებასთან დაკავშირებით: უნდა იყოს თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველთვის დაბალანსებული, და თუ არა, მაშინ როდის არის სასურველი მისი დეფიციტი ან პროფიტობა.

16-1. სახელმწიფო ვალის სიდიდე

დაიწყო სახელმწიფო ვალის განხილვით. მაგალითად, 2001 წლისთვის აშშ-ს ფედერალური მთავრობის ვალმა 3,2 ტრილიონი დოლარი შეადგინა. თუკი ამ რიცხვს გავეყოფთ 276 მილიონზე - აშშ-ს მოსახლეობის რაოდენობაზე, მივიღებთ, რომ თითოეულ ადამიანზე აღნიშნული წლისათვის მოდიოდა დაახლოებით 11600 დოლარის ვალი. თუმცა, თუკი ამ ვალს უხეშად შევადარებთ 1 მლნ დოლარს, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანები გამოიმუშაებენ მთელი თავიანთი შრომითი სტაჟის განმავლობაში, მაშინ სახელმწიფო ვალს სულაც არ არის ისეთი კატასტროფული, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს.

ერთ-ერთი ხერხი, რომლითაც შეგვიძლია ემსჯელოთ სახელმწიფო ვალის სიდიდესზე, არის მისი შედარება სხვა ქვეყნების მიერ დაგროვებული ვალის სიდიდესთან. ცხრილი 16-1 გეჩვენებს 19 ქვეყნის მიხედვით სახელმწიფო ვალის პროცენტულ მაჩვენებლებს ამ ქვეყნების შშპ-სთან მიმართებაში 2001 წლისათვის. სიის სათავეშია ყველაზე დავალანებული ქვეყნები იაპონიისა და იტალიის სახით, რომელთა მიერ დაგროვებულმა ვალმა გადააჭარბა ამ ქვეყნების შშპ-ს წლიურ მაჩვენებლებს. სიის ბოლოშია ნორვეგია და ავსტრალია, რომლებმაც შედარებით მცირე ვალი დააგროვეს. აშშ ჯგუფის შუაში იმყოფება. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აშშ-ს მთავრობა არც განსაკუთრებით მფლანგველია და არც ხელმოშვინა.

ცხრილი 16-1

რამდენად დავალანებულია მსოფლიოს მთავრობები?


ქვეყნები	სახელმწიფო ვალის სიდიდე პროცენტულად შშპ-ს მიმართ
იაპონია	119
იტალია	108
ბელგია	105
კანადა	101
საბურთეთი	100
დანია	67
გაერშიანებული სამეფო	64
აშშ	62
საფრანგეთი	58
პორტუგალია	55
ირლანდია	54
ესპანეთი	53
ფინეთი	51
შვედეთი	49
გერმანია	46
ავსტრია	40
პოლანდია	27
ავსტრალია	26
ნორვეგია	24

როგორც ნახ. 16-1 გეჩვენებს, საქართველოში სახელმწიფო ვალის ზრდა ბოლო 4 წლის მანძილზე ძირითადად განპირობებულია საგარეო ვალის ზრდით. 2009 წლის საპროგნოზო მაჩვენებლის მიხედვით მოსალოდნელია ვალის მთლიანი მოცულობის ზრდა საგარეო ვალის ზრდის ხარჯზე. ეს უკანასკნელი მოიცავს დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ კრედიტებს, რომლის საერთო მოცულობა დაახლოებით 2,5 მლრდ დოლარს შეადგენს, რაც ჩვენმა ქვეყანამ მომდევნო წლების განმავლობაში უნდა მიიღოს.


ნახ. 16-2 გეჩვენებს აშშ-ში ფედერალური ვალის წილს შშპ-ში 1791 წლიდან მოყოლებული. სახელმწიფო ვალმა თავის მინიმუმს 1830 წელს მიაღწია, როდესაც ის შშპ-ს მიმართ თითქმის ნულის ტოლი იყო, ხოლო 1945 წელს მისმა სიდიდემ მიაღწია თავის მაქსიმუმს - შშპ-ს 107 პროცენტს.

სახელმწიფო ეალის მარეწებლები საქართველოში 2001-2009 წლებში¹

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009*
სახელმწიფო ეალი	4450	4843	4608	4307	4076	3855	3920	5154	6257
საშინაო ეალი	1492	1520	1568	1576	1535	1511	1490	1459	1423
საგარეო ეალი	2957	3323	3040	2731	2541	2345	2430	3695	4834



ნახ. 16-1. სახელმწიფო ეალის მარეწებლები საქართველოში 2001-2008 წლებში. რეგორც ციფრები შეტყელებენ, საქართველოში სახელმწიფო ეალის ზრდა ბოლო ოთხ წელიწადში ძირითადად განპირობებულია საგარეო ეალის ზრდის ხარჯზე.



ნახ. 16-2. სახელმწიფო ეალის თანაფარდობა მშპ-სთან აშშ-ში. ეალსა და მშპ-ს შორის თანაფარდობა მკვეთრად იზრდება, ძირითადად, ომების დროს და მცირდება მშეიდობიან პერიოდებში. სახელმწიფო ეალის ყველაზე დიდ ზრდას მშეიდობიან პერიოდში ადგილი ექონდა 1980-1990 წლებში

¹ წყარო: www.statistics.ge; 2009 წლის მონაცემები სასტატისტიკოსო

ისტორიულად, სახელმწიფო ეალის ზრდის ძირითადი მიზეზი ომია. ვალსა და მშპ-ს შორის თანაფარდობა მკვეთრად იზრდება ძირითადად ომების დროს და ეცემა მშვიდობიან პერიოდებში. სახელმწიფო ეალის ყველაზე დიდ ზრდას მშვიდობიან პერიოდში ადგილი ჰქონდა 1980-1990 წლებში, როდესაც ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი არსებითად გაიზარდა. მრავალი ეკონომისტი მკვეთრად აკრიტიკებდა სახელმწიფო ეალის ამგვარ ზრდას. მათი აზრით, ის წარმოადგენდა მომავალ თაობებზე გადააკისრებულ გრანდიოზულ ტვირთს ყოველგვარი გამართლების ბიუჯეტზე.

1990-იანი წლების შუა პერიოდთან მიუღებელი ფედერალური მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტი კონტროლს დაუქვემდებარა. გადასახადების ზრდის, ხარჯების შემცირების და მკვეთრი ეკონომიკური ზრდის კომბინაციამ განაპირობა მშპ-ს მიმართ სახელმწიფო ეალის ხვედრითი წილის სტაბილიზაცია და შემდგომი შემცირება. ბოლო გამოცდილებამ ზოგიერთ ექსპერტს აუტირებინა, რომ სახელმწიფო ეალის მკვეთრი ზრდა წარსულს ჩაბარდა მაგრამ, როგორც ენახათ, მსგავსი საშემოება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

16-2. სახელმწიფო ეალზე ტრადიციული შეხედულება

დაეუშუათ, თქვენ ბრძანდებით აშშ-ს კონგრესის საბიუჯეტო სამსახურის ეკონომისტი. თქვენ რეზოლუმით სენატის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარისგან წერილს:

პატივცემულო ეკონომისტო!

კონგრესი მზადაა განიხილოს პრეზიდენტის წინადადება ყველა გადასახადის 20%-ით შემცირების თაობაზე. ეიდრე გადაეწყვიტა ეიდრე დაეუჭიროთ თუ არა ამ წინადადებას მხარი, ჩვენი კომიტეტი მოხარული იქნება, თუ მიიღებს თქვენს დასკვნას. ჩვენ არ თვლით საჭიროდ სახელმწიფო დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას და ამიტომ, გადასახადების შემცირება გამოირეკვს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას. რა გეუბნის მოახდენს ეკონომიკაზე გადასახადების შემცირება და ბიუჯეტის დეფიციტი?

პატივისცემით, კომიტეტის თავმჯდომარე

მანამ, ეიდრე გასცემდეთ პასუხს სენატორს, თქვენ იღებთ ხელში ეკონომიკის სახელმძღვანელოს, რათა გაარკვიოთ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ასეთი ცვლილებების შედეგები სხვადასხვა მოვლედების თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ პოლიტიკაში მსგავსი ცვლილებების გრძელვადიანი ეფექტი, საჭიროა გავიხსენოთ მე-3 და მე-4 თავებში მოცემული მოვლელი. ეს მოვლელი გვიჩვენებს, რომ გადასახადების შემცირება ასტიმულირებს მომხმარებელთა დანახარჯების ზრდას და იწვევს ერთნაირი დანახარჯის შემცირებას. დანახარჯის შემცირება იწვევს საპროცენტო განაკეთის ზრდას, რაც შემაკავებელ ზემოქმედებას ახდენს ინვესტიციებზე. სოლოუს მოდელი გვიჩვენებს, რომ ინვესტიციების შემცირება თანდათანობით იწვევს კაპიტალშვიარადების მდგრადი ღირსისა და წარმოების მოცულობის შემცირებას. რამდენადაც ამ შემთხვევაში კაპიტალის ამოსავალი ოდენობა ნაკლებია, ეიდრე ოქროს წესის მიხედვით მდგრად მდგომარეობაში, მდგრადი მდგომარეობის კაპიტალის შემცირება, თავის მხრივ, ამცირებს მოხმარების ოდენობას და ეკონომიკური ეკვილიბრუმის ღირსს.

ეკონომიკური პოლიტიკის დასახული ცვლილებების მოკლევადიანი შედეგების განსაზღვრაზე ზედად აუცილებელია მივანათოთ IS-LM მოდელს. ეს მოდელი გვიჩვენებს, რომ გადასახადების შემცირება ასტიმულირებს საბიუჯეტო დანახარჯების ზრდას, რომელიც არის სხვა IS მრუდის მრავლებლად გადაადგილებაში. აღნიშნული მრუდის გადაადგილება იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. მოკლევადიან პერიოდში, როდესაც ფასები მოუქნელია, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა ასტიმულირებს წარმოების მოცულობის ზრდას და ამცირებს უმუშევრობის დონეს. დროთა განმავლობაში, ფასების ზრდის კვალობაზე ეკონომიკაში აღდგება წარმოების ბუნებრივი დონე, სოლო ერთობლივი მოთხოვნის ზრდა გამოიწვევს ფასების ღირსის ზრდას.

იმისათვის, რომ ანალიზში ჩაერთოთ სავაჭრო-სავაჭრო ფაქტორები, აუცილებელია და ეკონომიკის მოვლედების დამოუკიდებლობა. როგორც ღია ეკონომიკის მოდელი გვიჩვენებს, ერთნაირი დანახარჯის შემცირების შედეგად წარმოიშობა საგადასახადო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი სადღო და მიმდინარე ოპერაციით ანგარიშის დეფიციტი. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთიდან კაპიტალის მოზიდვა ამსუქებს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების ზემოქმედებას კაპიტალის დაგროვებაზე, ამ დროს მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნების მოკლებული ხდება. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება აგრეთვე იწვევს მოცემული ქვეყნის ეალის კურსის ზრდას, რაც აიხვევს ამ ქვეყანაში უცხოურ წარმოების საქონელსა და მომსახურებას, ხოლო საბაზულო წარმოებისას კი ამცირებს უცხოეთში. მანდელ-ფლემინგის მოდელის თა-

ნახმად, ვალუტის კურსის ზრდა და წმინდა ექსპორტის შემცირება ნაწილობრივ ახდენს წამოების მოცულობაზე და უზუშეურობაზე საბიუჯეტო პოლიტიკის ზემოქმედების ნეიტრალიზებას, რომელიც თანდაყოლილი ბიუჯეტის დეფიციტის ზრდით.

იქონიება რა ყველა ამ მოდელს მხედველობაში, შექმლება საბაზუხო წერილის პროექტის მომზადებას:

ძვირფასო სენატორო!

გადასახადების შემცირება, რომელიც დაფინანსებულია მთავრობის მიერ სესხის მიღების ხარჯზე, ეკონომიკაზე გაკლენას მოახდენს მრავალი მიმართულებით. გადასახადების შემცირება მკონინათვე გამოიწვევს სამომხმარებლო ხარჯების ზრდას. სამომხმარებლო ხარჯების ზრდა გაკლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში.

მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში სამომხმარებლო ხარჯების ზრდა იწვევს საკონულსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას და აბეჭარად, მიგეოყვანს წარმოების მოცულობისა და დასაქმების დონის ზრდაზე. მაგრამ, ინვესტირებას შორის კონკურენციის გამწვავების გამო სასროცენტრ განაკვირივ გაიზრდება დანახოების მოცულობის შემცირებასთან ერთად. სასროცენტრ განაკვირვის ზრდა შვაფერხებს ინვესტიციებს და სტიმულს მისცემს უცხოური კაპიტალის მოზოდვას. დოლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაიზრდება, რაც გამოიწვევს ამერიკული ფრმების კონკურენტუნარიანობის შემცირებას მსოფლიო ბაზარზე.

გრძელვადიანი პერსპექტივისათვის ეროვნული დანახოების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადასახადების შემცირებით, მიგეოყვანს დაგროვებული კაპიტალის ოდენობის შემცირებასთან და საგარეო დაუაღინების ზრდასთან. ამიტომ, ეროვნული პროდუქტის მოცულობა შემცირდება, ხოლო მასში საგარეო ვალის ხედვრითი წილი გაიზრდება.

ძნელია შევადაროთ გადასახადების შემცირების ზემოქმედების შედეგები ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. თანამედროვე თაობის ცხოვრება გაუზოვბესდება შემოსავლებისა და დასაქმების ზრდის წყალობით, თუმცა ისლზედ საეარაუდლოა, რომ ერთდროულად გაიზარდოს ინფლაციის ტემპები. მიმდინარე ბიუჯეტის დეფიციტის შედეგების მძიმე ტვირთი, ძირითადად, მომავალ თაობებს დაწვება: ისინი დაბადებიან იმ ქვეყანაში, სადაც დაგროვებული კაპიტალის სიდიდე ნაკლები იქნება, ხოლო საგარეო ვალისა - დიდო.

*პატივისცემო,
კონგრესის საბიუჯეტო სამსახურის ეკონომისტი*

სენატორი პასხობას:

პატივცემულო ეკონომისტო!

დიდი მადლობა წერილისათვის. მე ვთვლი, რომ თქვენი მოსაზრება საფუძელიანია. მაგრამ ჩვენმა კომიტეტმა გუშინ მოხმინა გამოჩენილი ეკონომისტის აზრი, რომელიც საკუთარ თავს „რეკარდინალს“ უწოდებს და სულ სხვა დასკვნამდე მივიდა მან განაცხადა, რომ თავისთავად, გადასახადების შემცირება ვერ ასტიმულირებს მომხმარებელთა დანახარჯების ზრდას. ის მივიდა აგრეთვე იმ დასკვნამდე, რომ ბიუჯეტის დეფიციტი არ მიგეოყვანს იმ შედეგებამდე, რომლებზეც თქვენ მიუთითებ. როგორ გაეოთვთ ეს?

პატივისცემოთ, კომიტეტის თავმჯდომარე

მომდენო პარაგრაფების შესწავლის შემდეგ ჩვენ შევქმლება რეკარდოს ტოლობის თაობაზე დისკუსიის არსის დეტალების ასნით პასუხი გაკეთო სენატორს.

16-3. სასელმწიფო ვალზე რეკარდინული შეხედულება

მომხმარებელთა ქვეყნის თანამედროვე თეორიაში ხაზგასმულია, რომ რამდენადაც მომხმარებლები თავინათ ქვეყნში ითვალისწინებენ მომავლის ინტერესებს, მოხმარება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ მიმდინარე შემოსავალზე. მომხმარებლის წინდახედულობას ცენტრალური ადგილი უკრავს ფრანკო მონდიანის სასიცოცხლო ციკლისა და მილტონ ფრიდმანის

პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზებში. საბიუჯეტო პოლიტიკის სახელმწიფო ვალზე გაყვანის რეკარდინული ანალიზი ეფუძნება მომხმარებელთა ქცევის ლოგიკას, რომელიც ითვალისწინებს მომავლის ინტერესებს.

რეკარდოს ტოლობის ლოგიკა
განვიხილოთ, თუ რა რეაქციას გამოიწვევს სენატის საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ნაგულისხმეო გადასახადების შემცირების პოლიტიკა იმ მომხმარებელში, რომელიც ფიქრობს მომავალზე მომხმარებლის მსჯელობა შეიძლება შემდგენილი იყოს:

„მოთხოვნა ამცირებს გადასახადებს ისე, რომ არ გეგზავს სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას. ცუდის თუ არა ეს პოლიტიკა ჩემს შესაძლებლობებს? ვაჩხვნი თუ არა უფრო უზრუნველყოფილი გადასახადების შემცირების შედეგად? უნდა გაეზარდოს თუ არა მოხმარება?“

ალბათ არა. მოთხოვნა გადასახადების შემცირებას აწინასწებს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ხარჯზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ის იძულებული გახდება გაზარდოს გადასახადები იმისათვის, რათა გადაიხადოს დაეალიანება და დაგროვებული პროცენტები. ამგვარად, სინამდვილეში გადასახადების მიმდინარე შემცირების პოლიტიკა დაკავშირებულია მომავალში მის ზრდასთან. გადასახადების შემცირება ვე უბრუნდოდ დროებით მაშვეს დამატებით შემოსავალს, რომლის დაბრუნებაც მომიწევს. მე ვერ მივიღებ ვერავითარ სარგებელს და ამიტომ, მოხმარებას საუკეთესო დროს დატოვებ უცვლელად.“

მომავალზე მზრუნველ მომხმარებელს ესმის, რომ ახლანდელ დროში არსებული სახელმწიფო ვალის არსებობა მომავალში გადასახადების ზრდას ნიშნავს. გადასახადების შემცირების დროს, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე, გადასახადები თავისთავად არ მცირდება: ისინი უბრუნდოდ გადაიწოდება დროში. არც მომხმარებელთა პერმანენტული შემოსავალი იზრდება და შესაბამისად, არც მოხმარება.

ამ დასკვნამდე შეიძლება სხვა გზითაც მივიდეთ. დაეუშვათ, რომ მთავრობა ჩვეულებრივ მოქალაქეს სესხად აძლევს 1000 ლარს და სთავაზობს 1000 ლარის საგადასახადო შეღავათს. არსებობდა, ასეთი პოლიტიკა იგივეა, რაც მოქალაქისათვის 1000 ლარად ღირებული სახელმწიფო ობლიგაციის ჩუქება. ობლიგაციის ერთ მხარეს ნათქვამია: „სახელმწიფო, თქვენს მიმართ როგორც ობლიგაციის მფლობელისა, ვალშია 1000 ლარის ოდენობით ქლიუხ პროცენტზე“. ობლიგაციის მეორე მხარეს ნათქვამია, რომ „თქვენ, როგორც გადასახადის გადამხდელი, სახელმწიფოს მიმართ ვალში ხართ 1000 ლარის ოდენობით ქლიუხ პროცენტზე“. ობლიგაცია, რომელიც სახელმწიფოს მიერ მოქალაქის მიმართ საჩუქრითა, საბოლოო ჯამში მას არც ამდიდრებს და არც აღაბრძებს, რამდენადაც ამ ობლიგაციის ღირებულება მომავალში მოითხოვება იმავე მოქალაქისგან გადასახადების სახით.

საერთო პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ვალის ჯამი ტოლია მომავალი გადასახადების ჯამისა და თუკი მომხმარებელი საქმარისად ითვალისწინებს მომავალ მოვლენებს, მაშინ მომავალი გადასახადები მისთვის ახლანდელის ეკვივალენტური იქნება. შესაბამისად, სახელმწიფო ხარჯების დაფინანსება ვალის ხარჯზე ტოლფასია მათი დაფინანსებისა გადასახადების ხარჯზე. ეს თვალსაზრისი ცნობილია, როგორც *რეკარდინული ტოლობა*, რომელიც ასე ეწოდა XIX საუკუნის გამოჩენილი ეკონომისტის, დავიდ რეკარდოს პატივსაცემად, ვინაიდან მან პირველმა გაამახვილა ყურადღება ამ თეორიულ არგუმენტზე.²

რეკარდოს ტოლობიდან გამომდინარე დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ვალის ხარჯზე დეფინანსებული გადასახადების შემცირება არ ცუდის მოხმარებას. საოჯახო მურწუნობა ზოგავს განკარგული შემოსავლის ნაწილს, რათა გადაიხადოს მომავალში მოსლოდნელი გაზრდილი საჯადსახადო ვალდებულებები, რომლებიც განპირობებულია მიმდინარე გადასახადების შემცირებით. პირადი დანახოვის აღნიშნული ნაწილი სიდიდით სახელმწიფო დანახოვის შემცირების ტოლია. ეროვნული დანახოვი – რომელიც პირადი და სახელმწიფო დანახოვების ჯამის ტოლია – უცვლელი რჩება. ამიტომ, გადასახადების შემცირება არ იწვევს იმავე შედეგებს, რაზედაც მოუთხოვს ტრადიციული ანალიზი.

შეგნიშნოთ, რომ რეკარდოს ტოლობის ანალიზის ლოგიკიდან სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში ნებისმიერი ცვლილება უსარგებლო იყოს. მას შეუძლია არსებული გაყვანა იქონიოს მომხმარებელთა დანახარჯებზე, თუკი იწვევენ მიმდინარე და მომავალი სახელმწიფო დანახარჯების მოცულობის ცვლილებებს. მაგალითად დაეუშვათ, რომ მთავრობა დღეს ამცირებს გადასახადებს იმიტომ, რომ ის გეგმავს მომავალში სახელმწიფო შესყიდვების შემცირებას. თუკი მომხმარებელი ჩათვლის, რომ გადასახადების აღნიშნული შემცირება არ გამოიწვევს მომავალში გადასახადების ზრდას, ის საუკეთესო თვის ჩათვლით უფრო უზრუნველყოფილად და გაზრდის მოხმარებაზე დანახარჯებს. მაგრამ, სწორედ არა გადასახადების, არამედ სახელმწიფო დანახარჯების შემცირება ასტიმულირებს მოხმარებას: სახელმწიფო დანახარჯების

² ზედის ირონიით, რეკარდო არ ყოფილა რეკარდინელი. ის სპეტიკურად იყო განწყობილი იმ თეორიის მიმართ, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს.

მომავალში შემცირების თაობაზე განცხადება გამოიწვევს მიმდინარე მოხმარების ზრდას თითო არსებული გადასახადების დონის უცვლელი შემთხვევაშიც კი, რამდენადაც ეს გულისხმობს, რომ გარკვეული დროის შემდგომ გადასახადები შემცირდება.

სახელმწიფოს ბიუჯეტური შეზღუდვა

იმისათვის, რომ უკეთ გავარკვიოთ სახელმწიფო ვალსა და მომავალ გადასახადებს შორის ურთიერთკავშირი, დავუშვათ, რომ ეკონომიკა მხოლოდ ორი პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებს. პირველი პერიოდი იყოს ახლანდელი დრო, ხოლო მეორე – მომავალი. პირველ პერიოდში სახელმწიფომ შეაგროვა T_1 გადასახადი, ხოლო შესყიდვების მოცულობამ შეადგინა G_1 , მეორე პერიოდში მან შეაგროვა T_2 გადასახადი და განახორციელა G_2 ოდენობის შესყიდვები. იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობას შეუძლია დაეშვას ან ბიუჯეტის დეფიციტი, ან - პროფიციტი, გადასახადები და დანახარჯები ყოველი ცალკეული პერიოდებისათვის არ არის აუცილებელი ერთმანეთთან მჭიდროდ იყოს ურთიერთდაკავშირებული.

აუცილებელია გაეაანალიზოთ საგადასახადო შემოსულობები ორივე პერიოდის განმავლობაში როგორ შეეფარება იმავე პერიოდისათვის არსებულ სახელმწიფო შესყიდვებს. შევიწმინთოთ, რომ პირველ პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტი ტოლია სახელმწიფო ხარჯებს გამოკლებული გადასახადები. ამგვარად:

$$D = G_1 - T_1,$$

სადაც D – დეფიციტია. მთავრობა ამ დეფიციტს აფინანსებს სახელმწიფო ობლიგაციების შესაღობის რაოდენობის გაყიდვით. მეორე პერიოდში სახელმწიფომ უნდა შეაგროვოს დავალიანების (დაგროვებულ პროცენტებთან ერთად) და სახელმწიფო შესყიდვების ასანაზღაურებლად საჭირო გადასახადები მეორე პერიოდისათვის. აქედან გამომდინარე,

$$T_2 = (1 + r)D + G_2,$$

სადაც r – საპროცენტო განაკვეთია.

იმისათვის, რომ ვაჩვენოთ ალგებრული დამოკიდებულება გადასახადებსა და შესყიდვების მოცულობას შორის, გაკავშირებთ ზემოთმოცემული ტოლობები. მეორე ტოლობაში ჩავსვით D სიდიდე პირველი ტოლობიდან, რომლის შედეგადაც მივიღებთ:

$$T_2 = (1 + r)(G_1 - T_1) + G_2.$$

ეს ტოლობა გვიჩვენებს თითოეულ პერიოდში შესყიდვებისა და საგადასახადო შემოსულობების მოცულობებს შორის დამოკიდებულებას. იმისათვის, რომ უფრო მოხერხებულად გაეაანალიზოთ ეს ტოლობა, ნაებტაროთ გარდაქმნები. რამდენიმე ალგებრული გარდაქმნის შედეგად მივიღებთ:


$$T_1 + \frac{T_2}{1+r} = G_1 + \frac{G_2}{1+r}.$$

ეს ტოლობა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტური შეზღუდვის ტოლობას. ის გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაყვანილი ღირებულება ტოლია საგადასახადო შემოსულობების დაყვანილი ღირებულებისა.

სახელმწიფო ბიუჯეტური შეზღუდვა გვიჩვენებს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები თუ როგორ უკავშირდება მომავალში პოლიტიკის ცვლილებებს. თუკი მთავრობა ამცირებს პირველი პერიოდის გადასახადებს შესყიდვების შემცირების გარეშე, მაშინ ის მეორე პერიოდს ხვდება ვალით სახელმწიფო ობლიგაციებით. ამ ვალის არსებობა მთავრობას აიძულებს არჩევანი გააკეთოს შესყიდვების შემცირებასა და გადასახადების ზრდას შორის.

ნახ. 16-3-ზე მოყვანილია ფიშერის დიაგრამა მე-15 თავიდან, რომელიც გვიჩვენებს გადასახადების შემცირების გაუქმებას პირველ პერიოდში მოხმარებლის მდგომარეობაზე იმ პირობით, რომ სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა არ მცირდება არც პირველ და არც მეორე პერიოდში. პირველ პერიოდში მთავრობა ამცირებს გადასახადებს ΔT სიდიდით და ამ შემცირებას აფინანსებს სესხის მეშვეობით. მეორე პერიოდში მთავრობამ უნდა განახადოს გადასახადები $(1+r)\Delta T$ სიდიდით, რათა დააბრუნოს ვალები და აანაზღაუროს დაგროვილი პროცენტები. ჯამში, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება ამაღლებს მომხმარებლის შემოსავალს ΔT სიდიდით პირველ პერიოდში და ამცირებს მას $(1+r)\Delta T$ სიდიდით მეორე პერიოდში. თუმცა, მომხმარებლის შესაძლებლობების ნაკრები უცვლელი რჩება, რადგანაც მომხმარებლის მთელი ცხოვრების განმავლობაში არსებული შემოსავლების დაყვანილი სიდიდე რჩება იგივე, რაც იყო საბიუჯეტო-საგადასახადო

პოლიტიკის ცვლილებამდე. ამიტომ, მომხმარებელი ირჩევს მოხმარების იმავე დონეს, რომელიც მას ექნებოდა გადასახადების შემცირებამდე, რაც გულისხმობს პირადი დანაზოვის ზრდას გადასახადების შემცირების ტოლი სიდიდით. ამგვარად, სახელმწიფო ბიუჯეტური შეზღუდვიდან და ფიშერის დროთაშორისი არჩევანის მოდელიდან გამომდინარე ვლენდიანო რიკარდიანულ შედეგს: სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება გაუელენას არ ახდენს მოხმარებაზე.



16-1 სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება ფიშერის დიაგრამაზე გადასახადების შემცირება ΔT ოდენობით სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე იწვევს შემოსავლების ზრდას პირველ პერიოდში. სახელმწიფო ბიუჯეტური შეზღუდვების არსებობა გულისხმობს, რომ უცვლელი სახელმწიფო დანახარჯების დროს გადასახადები შერეულ პერიოდში გაიზარდება $(1+r)\Delta T$. რამდენადაც შემოსავლის მიმდინარე დაყენებული ღირებულება და მიუხედავად იმისა, რომ არ იცვლება, მოხმარების მოცულობა რჩება იმავე დონეზე, რა დონეზეც იმყოფებოდა გადასახადების შემცირებამდე და სრულდება რიკარდიანული ტოლობა.

16-4. მომხმარებლები და მომავალი გადასახადები

რიკარდიანული თვალსაზრისის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხმარებაზე დანახარჯების დონის არჩევის დროს ადამიანები მომავალი გადასახადების ზომას აფასებენ სახელმწიფო ვალის სიდიდით გამომდინარე. მაგრამ, რამდენად წინდახედულები არიან მომხმარებლები? სახელმწიფო ვალზე ტრადიციული თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ მომავალი გადასახადების ზომები არ ახდენენ დიდ გაუელენას მიმდინარე მოხმარებაზე, როგორც ეს ნაეარაუდევია რიკარდიანული ტოლობით. ქვემოთ მოცემულია მათი ზოგიერთი არგუმენტი:

„ახლომხედველობა“


ეკონომისტები, რომლებიც ემსრობიან რიკარდიანულ თვალსაზრისს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე, თვლიან, რომ ადამიანებს მრავალ სხვადასხვა შესაძლო გადაწყვეტილებებს შორის, მაგალითად, შემოსავლების განაწილებაში მოხმარებასა და დაზოგავს შორის თანაურდობის თაობაზე, შეუძლიათ აირჩიონ ოპტიმალური ვარიანტი. ასეთი მომხმარებლები განსაზღვრევენ მომავალი გადასახადების ზომებს მთავრობის მიერ ახლანდელ დროში შექმნილ ვალზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ამგვარად, რიკარდიანული თვალსაზრისი ეფუძნება იმას, რომ ადამიანები ფლობენ საკმარის ცოდნას და მათ ძალუბო მომავლის განჭვრეტა.

გადასახადების შემცირებაზე ტრადიციული თვალსაზრისის სასარგებლოდ არსებულ არგუმენტთან ერთ-ერთი მდგომარეობის იმაში, რომ ადამიანები აფასებენ მხოლოდ ახლო პერსპექტივას, რამდენადაც ისინი სრულად ვერ აცნობიერებენ იმას, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მოვიანოს ისინი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მიმართაუფეს ძალიან მართეი ხერხს პრობლემის გადასაწყვეტად, კერძოდ: შემოსავლის რა ნაწილი უნდა იქნას შენარჩუნებული დანაზოვის სახით.

დაეუშვათ, რომელიმე მომხმარებელი ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ მომავალი გადასახადები იქნება ისეთივე, როგორც აწეამადა. ეს ადამიანი არ ითვალისწინებს გადასახადების მომავალ ცვლილებას, რომელიც უკავშირდება მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკას. სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირებას ეს ადამიანი თავისი კურმანჭებული შემოსავლის ზრდად ჩაეივლის მაშინ, როცა ეს სინამდვილეში შეიძლება ასე არ ხდებოდეს. ამიტომ, გადასახადების შემცირება გამოიწვევს მოხმარების ზრდას და ეროვნული დანაზოვის შემცირებას.

შეზღუდვები სესხის მიღებაზე

სახელმწიფო ვალის როლზე რიკარდიანული თვალსაზრისი ეყუანება პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზას. ამ პიპოთეზის თანახმად, მოხმარება დამოკიდებულია არა მარტო მიმდინარე, არამედ პერმანენტული შემოსავლის დონეზეც, რომელიც მოიცავს შემოსავლის როივე სახეს: მიმდინარეს და მომავალში მოსალოდნელს. რიკარდიანული თვალსაზრისის თანახმად, სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირების დროს მიმდინარე შემოსავალი იზრდება, მაგრამ პერმანენტული შემოსავალი და მოხმარების დონე უცვლელი რჩება.



16-4. სახელმწიფო ვალის ზრდა გადასახადების შემცირების დროს ასუსტებს სესხის მიღებაზე შეზღუდვების ეფექტს მოხმარებელი აწყდება ორ შეზღუდვას. ბიუჯეტური შეზღუდვა გულისხმობს, რომ მოხმარების მიმდინარე დაყვანილი ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს შემოსავლების მთელი ნაკადის მიმდინარე დაყვანილ ღირებულებას. სესხის მიღებაზე შეზღუდვები ნიშნავს, რომ პირველი პერიოდის მოხმარება არ უნდა აჭარბებდეს ამავე პერიოდის შემოსავალს. გადასახადების ΔT სიდიდით შემცირების დროს შემოსავალი იზრდება ΔT სიდიდით, მაგრამ მეორე პერიოდის შემოსავალი მცირდება $(1+r)\Delta T$ სიდიდით. რამდენადაც შემოსავლის მიმდინარე დაყვანილი ღირებულება უცვლელი რჩება, ბიუჯეტური შეზღუდვა უცვლელია. მაგრამ, რამდენადაც ΔT პერიოდის შემოსავალი იზრდება, ახლა უკვე შესაძლებელია მოხმარების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა ΔT პერიოდისათვის. მოხმარებელი ირჩევს B წერტილს და არა A-ს. ამდენად, რიკარდიანული ტოლობა არ სრულდება.

სახელმწიფო ვალზე ტრადიციული შეხედულების მომხრეები ვარაუდობენ, რომ პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზა მთლად მართებული არ არის, რადგანაც მომხმარებლებისთვის არსებობს შეზღუდვები სესხის მიღებაზე. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სესხის მიღებაზე შეზღუდვების არსებობის დროს ადამიანს შეუძლია მოიხმაროს მხოლოდ მიმდინარე შემოსავლის ფარგლებში. მისთვის მოხმარების სიდიდე უმეტესწილად განისაზღვრება მიმდინარე და არა პერმანენტული შემოსავლით; სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება იწვევს მიმდინარე შემოსავლის და მოხმარების ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი შემოსავალი მცირდება. არსებობს ბიოთად, როდესაც მთავრობა ამცირებს მიმდინარე და ზრდის მომავალ გადასახადებს, ის ამით თითქოსდა გადასახადების გადაზიდვას სთავაზობს სესხს. მათ, რომლებსაც სურდათ მიეღოთ სესხი, მაგრამ ვერ შეძლეს მისი მიღება, გადასახადების შემცირება მოხმარების ზრდის საშუალებას აძლევს.

ნახ. 16-4-ზე ფიჭვის დიავრამის დახმარებით ნაჩვენებია სესხების მიღებაზე შეზღუდვების არსებობისას სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება თუ როგორ იწვევს მოხმარების ზრდას. როგორც ცნობილია, საბიუჯეტო პოლიტიკაში ასეთი ცვლილებები იწვევს პირველი პერიოდის შემოსავლების ზრდას ΔT სიდიდით და მეორე პერიოდის შემოსავლების შემცირებას $(1+r)\Delta T$ სიდიდით. მაგრამ ახლა სახეგავიერ შედეგი მიიღება.

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის მიმდინარე დაყვანილი ღირებულება რჩება იგივე, მოხმარებლის შესაძლებლობის ნაკრები ფართოვდება: გადასახადების შემცირება ასუსტებს სესხის მიღებაზე შეზღუდვების ზემოქმედების ეფექტს, რომელიც პირველი პერიოდის მოხმარების მოცულობას საშუალებას არ აძლევს გასცდეს მიმდინარე შემოსავლის ფარგლებს. ახლა მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს არა A, არამედ B წერტილი.

ამგვარად, სახელმწიფო ვალის თაობაზე დებატები იოლად გადაიზრდება ხოლმე მომხმარებელთა ქცევის შესახებ კამათზე. თუკი მრავალი მომხმარებელი ცდილობს მიიღოს კრედიტი მოხმარების ზრდის მიზნით (მაგრამ ვერ აღწევს ამას), მაშინ სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება ასტიმულირებს მოხმარებას (რასაც ამტკიცებს ტრადიციული მიდგომა). მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის მიღებაზე შეზღუდვები არ თამაშობს არსებით როლს მომხმარებელთა უზრავლესობისათვის და თუკი პერმანენტული შემოსავლის პიპოთეზა მართებულია, მაშინ მომხმარებელმა მხედველობაში დაუბოლობენ მომავალი გადასახადების ზრდის შესაძლებლობას, რაც განპირობებულია სახელმწიფო ვალის არსებობით.

მომავალი თაობები

სახელმწიფო ვალზე ტრადიციული თვალსაზრისის სასარგებლო მესამე არგუმენტი მდგომარეობს შემდეგში: მომხმარებელი ელიან, რომ სავარაუდო მომავალი გადასახადების გადახდა მოუწევთ არა მათ, არამედ მომავალ თაობებს. მაგალითად დაეუწეთ, რომ სახელმწიფო დღეს ამცირებს გადასახადებს 30 წლიანი ობლიგაციების გამოშვებით ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად, ხოლო შემდგომ, 30 წლის შემდეგ ზრდის გადასახადებს სესხების ასანაზღაურებლად, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ეალი წარმოადგენს გადასახადის გადახმდელი მომდევნო თაობის (რომელთაც მოუწევთ გაზრდილი გადასახადების გადახდა) სიმდიდრის გადანაწილების საშუალებას ახლანდელი გადასახადის გადახმდელი თაობის სასარგებლოდ (რომლებიც ნაკლებ გადასახადებს იხდიან). ასეთი გადანაწილების შედეგად ახლანდელი თაობის რესურსები იზრდება და ის ზრდის მოხმარებას. არსებობდა, სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება ასტიმულირებს მოხმარებას, რამდენადაც ის ახლანდელ თაობას აძლევს მოხმარების ზრდის შესაძლებლობას მომავალი თაობის ხარჯზე.

ეკონომისტ რობერტ ბაროს მოჰყავს მახვილგონიერული კონტრარგუმენტი რიკარდიანული პოზიციის მხარდასაჭერად. ის თვლის, რომ რამდენადაც მომავალი თაობა ახლანდელი თაობის შვილები და შეიღიშელებიან, მათი დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებად ჩაივლია არ შეიძლება. პირიქით - შენიღბის ის - ახლანდელი თაობა ზრუნავს მომავალ თაობაზე. ალტრუიზმის არსებობა თაობებს შორის ურთიერთობებში დასტურდება საჩუქრებით, რომლებსაც ადამიანები საკუთარ შვილებს ჩუქნიან გარდაცვალებამდე, ხშირად - ანდრძობის ფორმით. ანდრძობის არსებობა ადასტურებს, რომ ადამიანები სულაც არ ისწრაფვიან ისარგებლონ მოხმარების ზრდის შესაძლებლობებით საკუთარი შვილების (მომავალი თაობების) ხარჯზე.

ბაროს პოზიციის თანახმად, სინამდვილეში გადაწყვეტილება მიიღება არა ცალკეული პირების მიერ, რომლებიც ცხოვრობენ შეზღუდული წლებით, არამედ ოჯახების მიერ, რომლებიც არსებობენ განუსაზღვრელად დიდხანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი როცა ლეუკოზის გადაწყვეტილებას მოხმარების ოდენობაზე, ხელმძღვანელობს არა მარტო თავისი საკუთარი შემოსავლების, არამედ საკუთარი ოჯახის წევრების მომავალი შემოსავლების მხედველობაში მიიღებთ. სესხების შემცირების ხარჯზე დაფინანსებულმა გადასახადების შემცირებამ შეიძლება მიგოყვიანოს ცალკეული პირის შემოსავლის ზრდამდე (რომელსაც ის დებულობს სიცოცხლის განმავლობაში) ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მისი ოჯახის პერმანენტული შემოსავლის ზრდა. პირიქით, გადასახადების შემცირების ხარჯზე მიღებულ დამატებით შემოსავალს ადამიანი მიმართავს არა მოხმარებაზე, არამედ დაზოგავს, რათა ის შემკიდრებობს ალტრუიზის საკუთარ შვილებს, რომლებსაც მოუწევთ გაზრდილი გადასახადების გადახდა.

კიდევ ერთხელ შეიძლება დაერწმუნდეთ იმაში, რომ დებატები სახელმწიფო ვალის თაობაზე, სინამდვილეში მომხმარებელთა ქცევის თაობაზე დებატებია. რიკარდიანული თვალსაზრისით მომხმარებლები გამოდიან სიტუაციის გრძელვადიანი ანალიზიდან. ბაროს მიერ მოყვანილი ოჯახთა ქცევის ანალიზი გეირენებს, რომ დროითი პორიზონტი, რომელზეც ახდენს ორიენტაციას მომხმარებელი (და ასევე სახელმწიფოც), სინამდვილეში უსაზღვროა. რასაკვირველია, მომხმარებლებს შეუძლიათ არც კი მიიღონ მხედველობაში მომდევნო თაობების მომავალი საგადასახადო ვალდებულებები, თუკი არასაკმარისად ზრუნავენ საკუთარ შვილებზე. ამ შემთხვევაში სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება იწვევს მოხმარების ცეცხლებას თაობებს შორის სიმდიდრის გადანაწილების ხარჯზე.

მაგალითი 16-1

რატომ ტოვებენ შრომლები მემკვიდრეობას?

რიკარდიანული ტოლობის თაობაზე კამათი ნაწილობრივ უკავშირდება კამათს იმის შესახებ, თუ რა აქედრებს ერთმნიშვნელოვნად სხვადასხვა თაობებს. იცავს რა რიკარდიანული თვალსაზრისის, როგორც ბარო ვთქვანა იმას, რომ შრომლები ტოვებენ თვითონ შვილებს მემკვიდრეობას, რადგანაც ზრუნავენ მათზე მაგრამ ალტრუიზმი არის თუ არა სინამდვილეში ყოველთვის ამის მიზეზი? ეკონომისტთა ერთმა ჯგუფმა გამოთქვა ვარაუდი, რომ შრომლები სარგებლობენ ანდრძობით იმისათვის, რათა გააკონტროლონ საკუთარი შვილების ქცევა. შრომლებს ხშირად სურთ, რათა შვილებმა მათ მიმართ გამოაღირონ გარკვეული ურთიკება, როგორცაა რეგულარული დარეკება ან ეპიზოდური დღესასწაულებზე იწებ შრომლები სარგებლობენ მემკვიდრეობის ნამორთქვის ირიბი შუამართ, რათა შვილები იფინანსდნენ უფრო ურადღებინანი.

იმისათვის, რათა გადაეჩვენებინათ ამ „სტრატეგიული სანდერძო მოტივის“ ნამდვილობა, ეკონომისტთა მითითებამ ჯგუფმა განაჩილა მონაცემები იმის თაობაზე, თუ როგორი სიხშირით ნახულობენ შვილები თვითონ შრომლებს. მათ ნათესაუკეეს, რომ რაც უფრო უზრუნველყოფილი არიან შრომლები, მით უფრო ხშირია შვილების ვიზიტი შრომლებთან. ქონება, რომლის მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლებელია, მაგალითად ისეთის, როგორიცაა საკნისი ფონდი, რომელიც ადრეული სიცოცხლის შემთხვევაში საკნისო კომპანიის

ხელში გადადის, არ ახტიმულირებს შედეგების ეიზიტებს. ეს ფაქტები გვაიძულებს ვიყვიროთ, რომ თაობებს შორის შეიძლება არსებობდეს სხვა ურთიერთობებიც, ვიდრე წმინდა ალტრუსიტული ურთიერთობაა.

16-5. დასკვნა: ჩვენი არჩევანი

სახელმწიფო ვალზე სხვადასხვა შეხედულებათა განხილვისას წარმოიშობა ორი საკითხი:

პირველი - რომელ თვალსაზრისს იზიარებთ? თუკი მთავრობა მიმდინარე პერიოდში ამკვირებს გადასახადებს ბიუჯეტის დეფიციტის ხარჯზე და ზრდის გადასახადებს მომავალში, რა გავლენას მოახდენს ეს პოლიტიკა ეკონომიკის განვითარებაზე? იქნება თუ არა ის მოხმარების სტიმულირების ტრადიციულ თვალსაზრისთან შესაბამისობაში? თუ მომხმარებლები მიხედვიან, რომ მათი პერმანენტული შემოსავალი უცვლელი რჩება და შეეცდებიან ბიუჯეტის დეფიციტის შედეგების კომპენსირებას პირადი დანახოების უფრო მაღალი დონით?

მეორე, რატომ აირჩიეთ სწორედ ეს თვალსაზრისი? თუკი სახელმწიფო ვალზე ტრადიციულ შეხედულებას იზიარებთ, მაშინ რა განაპირობებს ამას? თელთ თუ არა, რომ მომხმარებლებმა არ იციან სახელმწიფო ვალის მიმდინარე ზრდა მომავალში რომ იწვევს გადასახადების ზრდას? თუ ისინი მხედველობაში არ დაუბოლოებენ გადასახადების ზრდის შესაძლებლობას მომავალში (ან სესხის მიღებაზე შესუღვდეების არსებობის გამო, ან იმიტომ, რომ ზრდადი გადასახადების გადახდა მოუწევთ მომავალ თაობებს, რომელთანაც არ იმეოფებიან ეკონომიკურ ურთიერთობაში)? თუკი თქვენ ემხრობით არკონდიანულ თვალსაზრისს, მაშინ თელთ თუ არა, რომ მომხმარებლებმა უნდა გაეჭვებოდნენ, რომ ახლანდელი დროში სახელმწიფო ვალის არსებობა ნიშნავს მომავალში ვალის ზრდას, რომლის გადახდაც ან მათ მოუწევთ, ან მათ შთამომავლებს? თელთ თუ არა, რომ მომხმარებლები დაზოგავენ დამატებით საშუალებებს იმისათვის, რათა გადაიხადონ მომავალში გადასული ვალდებულება გადასახადების სახით?

შეიძლება ველოდოთ, რომ ფაქტების ყურადღებით გაანალიზების შემდეგ გაგვიადვილებდა სახელმწიფო ვალზე ამ ორ თვალსაზრისს შორის არჩევანის გაკეთება. ამავე დროს, ავადგენ რა დიდი ბიუჯეტური დეფიციტის პირობებში ეკონომიკის განვითარების ისტორიული ფაქტების ანალიზის, ეკონომისტებს არ შეუძლიათ ცალსახა დასკვნების გაკეთება. ისტორიის ინტერპრეტაცია შესაძლებელია სხვადასხვაანარადად.

მაგალითად, განვიხილოთ აშშ-ში XX საუკუნის 80-იანი წლების გამოცდილება. ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც ძირითადად გამოწვეული იქნა გადასახადების შემცირების რეგანის მთარაობის მიერ 1981 წელს, შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ვალზე პირველი თვალსაზრისის მართებულობის შემოწმების ბუნებრივ ექსპერიმენტად. ერთი შეხედვით, ეს შემთხვევა დამაჯერებელი არგუმენტია ტრადიციული შეხედულების სასარგებლოდ. ბიუჯეტის დიდი დეფიციტი შესაძლებელი იყო ერთგვლი დანახოების დაბალ დონესთან, მაღალ რეალურ საპროცენტო ვალზე ეეთთან და საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვან დეფიციტთან.

ამავე დროს, ისინი, რომლებიც დგანან რიკარდიანულ პოზიციაზე, 80-იანი წლების მოვლენების ინტერპრეტაციას სხვანაირად ახედენ. დაზოგვის დაბალი ნიშნის შესაძლო მიზეზთაგან ერთ-ერთი შესაძლოა ყოფილიყო პერსპექტიული ეკონომიკური ზრდის ოპტიმისტური შეფასება (რასაც ადასტურებს ფსიხანი ქალაქის ბაზარზე გაზრდილი აქტიურობა). დაბალი დანახოების მიზეზი აგრეთვე შესაძლებელია ყოფილიყო ის, რომ დაამიანები ელოდნენ გადასახადების შემცირების შედეგად არა მათ ზრდას მომავალში, არამედ სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას (როგორც მათ დაჰპირდა რეგანი).

რამდენადაც შეუძლებელია მთლიანად უარყოფილი იქნას ამ შეხედულებიდან რომელიმე მათგანი, სახელმწიფო ვალზე ორივე თვალსაზრისი არსებობს. მოუხედვად იმისა, რომ რთულია ერთეულ რომელია შეხედულება მართებული, საესებით დარწმუნებულნი შეიძლება ვიყოთ იმაში, რომ დებატები გაგრძელდება მანამ, ვიდრე სახელმწიფო ვალი დარჩება ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემად.

პირითაღი დასკვნა

1. სახელმწიფო ვალზე ტრადიციული შეხედულების შესაბამისად, სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება ახტიმულირებს მომხმარებელთა დანახარჯების ზრდას და იწვევს ერთგვლი დანახოების შემცირებას. საომომხმარებლო ხარჯების აღნიშნული ზრდა მოკლევადიან პერიოდში განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნისა და შემოსავლის ზრდას, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში იწვევს დაგროვებული კაპიტალის მოცულობისა და შემოსავლის შემცირებას.

2. სახელმწიფო ელაზე რეკარდინული თვალსაზრისის შესაბამისად, სესხების ხარჯზე დაფინანსებული გადასახადების შემცირება არ ასტიმულირებს მომხმარებელთა ხარჯებს, რადგანაც არ ამაღლებს პერმანენტულ შემოსავალს: ის მხოლოდ გარკვეულწილად გადაანაწილებს საგადასახადო ტვირთს ახლანდელდევან მოზაველ თაობებზე.

3. სახელმწიფო ელაზე ორი თვალსაზრისის მომხრეებს შორის დებატები საბოლოო ანგარიშით მომხმარებელთა ქცევის შესახებ დებატებია. ცდილობენ თუ არა მომხმარებლები იპოონ ოპტიმალური ვარიანტი თუ ისინი ამოდიან მომენტალური, ხანმოკლე ინტერესებიდან? აწუდებიან თუ არა ისინი სესხის მიღებაზე შესუდუდებს? ქმნის თუ არა ანდრისი ეკონომიკურ კავშირს მომავალ თაობებთან? ამა თუ იმ ეკონომისტის თვალსაზრისი სახელმწიფო ელაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პასუხობს ის ამ კითხვებზე.

ძირითადი ცნებები

რიკარდოს ტოლობა
სახელმწიფო ბიუჯეტური შეზღუდვა

რანარტი

ინოშება თუ არა ზუსტად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი

ამ თავში განხილული იქნა ტრადიციული და რეკარდინული თვალსაზრისი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტზე. ამ ორი თვალსაზრისის წარმომადგენლებს შორის დებატები საუფელად უდვს ეკონომისტებს შორის კამათს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებების თაობაზე. მაგრამ ის არ წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთადერთ წყაროს. თეთი ის ეკონომისტებიც კი, რომლებიც ემხრობიან ტრადიციულ თვალსაზრისს (რომ სახელმწიფო ელვი დიდ გადუნვანს ახდენს ეკონომიკაზე), ვერ თანხმდებიან საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებაში.

ასრთა სხვადასხვაობის ნაწილი ეხება ბიუჯეტის დეფიციტის გაზომვის ხერხებს. ზოგიერთი ეკონომისტი უიკრბობს, რომ დეფიციტი, რომელიც გამოთვლილია თანამედროვე მეთოდით, არ წარმოადგენს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შეფასების შესაფერის კრიტერიუმს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბიუჯეტის დეფიციტი არ შეიძლება იყოს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გავლენის მაჩვენებელი თანამედროვე ეკონომიკაზე, იერთუე ის ვერ ასახავს ეალის სიმძიმეს, რომელიც გადაეკისრება გადასახადების გადამხდელ მოზაველ თაობებს. ამ დანართში განვიხილავთ ბიუჯეტის დეფიციტის გაზომვის სამ მეთოდოლოგიურ პრობლემას.

პრინციპული მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა ზუსტად უნდა ასახოს სახელმწიფო დავალიანების საერთო სიდიდის ცვლილებები. ეს პრინციპი საკმაოდ მარტივად გამოიყურება. მაგრამ მისი შესრულება არც ისე იოლია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

გაზომვის პირველი პრობლემა: ინფლაცია

ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობა წარმოიშობა ინფლაციის გათვალისწინებით შესწორებების შეტანაში. თითქმის ყველა ეკონომისტი თანხმდება იმაში, რომ სახელმწიფო დავალიანება უნდა იზომებოდეს რეალურ და არა ნომინალურ ერთეულებში. გასაზომი დეფიციტი უნდა ასახავდეს სახელმწიფო ეალის სიდიდის რეალური და არა ნომინალური სიდიდეების ცვლილებებს.

მაგრამ ჩვეულებისამებრ, ბიუჯეტის დეფიციტის გაზომვის დროს არ კეთდება ინფლაციის გათვალისწინებით შესწორებები. ცდომილებათა სიდიდის შესაფასებლად გავიხილოთ შემდეგი მაგალითი: დაუშვათ, რომ სახელმწიფო ეალის სიდიდე რეალურ გამოხატულებაში არ იცვლება, ეი. რეალურ მაჩვენებლებში გამოსახული ბიუჯეტის დაბალანსებულია. ამ შემთხვევაში ნომინალური ეალი უნდა გაიზარდოს ინფლაციის ტემპების შესაბამისად, ეი. $DD'D = \pi$, სადაც π - ინფლაციის ტემპია, ხოლო D - სახელმწიფო ეალის სიდიდე. მთავრობამ უნდა მოახდინოს სახელმწიფო ეალის ნომინალური სიდიდის კორექტირება ΔD სიდიდით, ეი. ბიუჯეტის დეფიციტის ანგარიშში მითითებული უნდა იყოს ეალის სიდიდე πD ოდენობით. ამიტომ, ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ გამოყენებული ანგარიშებში ბიუჯეტის დეფიციტი გადიდებულია πD სიდიდით.

ამებარ დასკვნამდე შეიძლება მივიღოთ სხვა გზითაც. დეფიციტი არის სახელმწიფო დანახარჯებს გამოკლებული შემოსავლები. დანახარჯების ნაწილი - ეს არის პროცენტები სახელმწიფო

ვალზე დანახარჯებმა უნდა მოიცვან მხოლოდ რეალური პროცენტი სახელმწიფო ვალზე - იD, და არა ნომინალური პროცენტი, რომელიც ტოლია iD-სი. იმდენად, რამდენადაც ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს, ი და რეალურ საპროცენტო განაკვეთს r შორის სხვაობა დაახლოებით ტოლია ინფლაციის ტემპისა - π. მაშინ ბიუჯეტის დეფიციტი გადიდება იD სიდიდით.

ეს ცდომილება შეიძლება ძალიან მაღალი იყოს, განსაკუთრებით ინფლაციის მაღალი ტემპების დროს და აიან ხშირად შეიძლება შეცვალოს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შეფასება. მაგალითად, 1979 წელს აშშ-ს ფედერალურმა მთავრობამ განაცხადა 28 მლრდ დოლარის ოდენობის ბიუჯეტის დეფიციტის არსებობა. ინფლაციის ტემპმა შეადგინა 8,6%, ხოლო მოსახლეობის მიმართ სახელმწიფო ვალმა (ფედერალური სარეზერვო სისტემის გამოკლებით) წლის დასაწყისისათვის - 495 მლრდ დოლარი. შესაბამისად, დეფიციტის სიდიდე გადიდება იქნა πD=0,086x495 მლრდ დოლარ=43 მლრდ. დოლარით.

ამგვარად, ინფლაციის გათვალისწინებით გამოცხადებული ბიუჯეტის დეფიციტის კორექტირების შემდეგ 28 მლრდ დოლარი გადაიქცა ბიუჯეტის პროფიციტად 15 მლრდ დოლარის ოდენობით! სხვა სიტუაციით რომ ეთქვათ, მაშინაც კი, როდესაც ნომინალური სახელმწიფო ვალი იზრდება, რეალური დავალიანება მცირდება.

გაზომვის მეორე პრობლემა: კაპიტალური აქტივები

შრომული ეკონომისტის თვლით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზუსტი შეფასება მოითხოვს სახელმწიფო აქტივების და პასივების (ვალდებულებათა) დათვლას. კერძოდ, როდესაც გამოითვლება საერთო სახელმწიფო დავალიანება, აუცილებელია სახელმწიფო აქტივების გაორიგება სახელმწიფო ვალის სიდიდიდან. ამიტომ, ბიუჯეტის დეფიციტი უნდა გაიზომოს, როგორც ვალის სიდიდის ცვლილებას გამოკლებული სახელმწიფო აქტივების სიდიდის ცვლილება.

სინამდვილეში, კერძო პირები და ფირმები აფასებენ აქტივებს და პასივებს (ვალდებულებებს) არა განცალკევებით, არამედ შეპირისპირებით. როდესაც ადამიანი სესხულობს ფულს სახლის საყიდლად, ჩვენ არ ვამბობთ, რომ მან თავისი ბიუჯეტი დეფიციტად დაიყვანა. ამასთან, აქტივების (სახლის) ზრდა კომპენსირდება ვალის (გირაოს) ზრდით და განკარგავად სიმდიდრეში ცვლილებები არ აღინიშნება. შესაძლოა, ზუსტად ასე უნდა მოვიქცეთ სახელმწიფო ფინანსებთან მიმართებაში.

ბიუჯეტის გაანგარიშების პროცედურას, რომელშიც გაითვალისწინება როგორც აქტივები, ისე ვალდებულებები, ზოგჯერ უწოდებენ კაპიტალის ბიუჯეტის შედგენას (*კაპიტალის ბიუჯეტირება*), რამდენადაც ეს არის კაპიტალის ოდენობაში ცვლილებების აღრიცხვა. მაგალითად დავეთვათ, რომ მთავრობა შეიძინოს ერთ-ერთი თავისი შენობას ან მიწას და ამონახევრ თანხას იყენებს სახელმწიფო დავალიანების ნაწილის დასაფარავად. ბიუჯეტის დეფიციტის არსებობა პროცედურების შემთხვევაში გამოცხადებული დეფიციტი მცირდება. კაპიტალის ბიუჯეტირების შემთხვევაში ამონახევრი, რომელიც მიიღებულია ამ გაყიდვებიდან, არ შეამცირებს დეფიციტს, რამდენადაც დავალიანების შემცირება გაწონასწორებული იქნება აქტივების შემცირებით. ანალოგიურად, კაპიტალური აქტივების ბიუჯეტში გათვალისწინებისას კაპიტალური საქონლის შესყიდვის დასაფინანსებლად საჭირო სახელმწიფო სესხები ვერ გაზრდის დეფიციტს.

აქ მთავარი სირთული მდგომარეობის იმაში, რომ რთულია შეფასდეს, სახელმწიფო დანახარჯების რომელი სახე უნდა ჩაითვალოს კაპიტალურ დანახარჯებად. მაგალითად, უნდა მივაკუთვნოთ თუ არა გაბატონილი სახელმწიფო აქტივებს? თუ უნდა მივაკუთვნოთ, მაშინ რა ღირებულებით? როგორ უნდა იქნას გათვალისწინებული ბირთვული იარაღის მარაგები? უნდა განვიხილოთ თუ არა განახლებაზე დანახარჯები, როგორც ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში? თუკი მთავრობა მზანდწეწონილად თვლის კაპიტალის ბიუჯეტის შედგენას, აუცილებელია ამ რთულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ მთავრობის მიერ კაპიტალის გამოყენება-არგამოყენებისთან დაკავშირებით. კაპიტალის ბიუჯეტის შედგენის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ მიუხედავად იმისა, ამ მიდგომას გააჩნია პინციპული უპირატესობა აქვამად არსებულთან შედარებით, მისი პრაქტიკაში გამოყენება ძალიან რთულია. კაპიტალის ბიუჯეტის შედგენის მომხრეები კი იცავენ იმ თვალსაზრისს, რომ უკეთესია კაპიტალური აქტივების არაზუსტი შეფასება, ვიდრე მისი საერთოდ გაუთვალისწინებლობა.

გაზომვის მესამე პრობლემა: გაუთვალისწინებელი ვალდებულებები

ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ ბიუჯეტის დეფიციტის გაზომვის დროს ჭეშმარიტი სურათი მაჩინჯდება იმით, რომ არ გაითვალისწინება ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვალდებულებები. მაგალითად, განვიხილოთ სახელმწიფო ჩინოვნიკების პენსიები. ეს მოსამსახურეები შრომობენ მთავრობაში დღეს, თუმცა მათი შრომის ანაზღაურების ნაწილი გადაიდება მომავლისათვის. სინამდვილეში, ისინი სახელმწიფოს თავაზობენ სესხებს. მათი მომავალი შემოსავლება პენსიის სახით წარმოადგენს სახელმწიფო ვალდებულებას, რომლებიც ნაკლებად განსხვავდება

სახელმწიფო ვალისაგან. მაგრამ ამ ვალდებულებათა დაგროვება არ არის ჩართული ბიუჯეტის დეფიციტის თანხაში.

ანალოგიურად, განვიხილოთ სოციალური დაზღვევის სისტემა. გარკვეული აზრით ის საკენსო უზრუნველყოფის სისტემის მსგავსია. ადამიანები გასცემენ თვითონ შემოსავლის ნაწილს მან, როდესაც ისინი ახალგაზრდები არიან და ანაზღაურების მიღებას ელიან სიბერეში. როგორც ჩანს, სოციალურ დაზღვევაზე მომავალი შემწვობების ჯამური ოდენობა ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო ვალდებულებაში.

სოციალური თეორიის, რომ სოციალურ დაზღვევაზე სახელმწიფო ვალდებულებები განსხვავდება სახელმწიფო ვალისაგან, რამდენადაც შესაძლებელია კანონების შეცვლა, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ დაზღვევაზე ანაზღაურებების წესსა და ზომას. თუმცა, პრინციპში, მთავრობას შეუძლია გადააწყვიტოს არ გადაიხადოს სახელმწიფო ვალდებულება: ის ასრულებს ვალდებულებას საკუთარი ვალის ანაზღაურების თაობაზე მხოლოდ იმტომ, რომ თვითონ წვეიტავს ამის გაკეთებას. სახელმწიფო ვალის გადახდის პირობა თვისი არისთ არ განსხვავდება შემწვობათა გადახდის პირობისაგან.

სახელმწიფო ვალდებულებათა შეფასებისათვის ყველაზე რთულ სახედ ითვლება განირობებული ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც დგება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებულ სიტუაციაში. მაგალითად, სახელმწიფო გეგმილება კერძო კრედიტის მრავალი ფორმის გარანტიად, ისეთების, როგორიცაა განათლებაზე სესხები სტუდენტებისათვის, დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის ბიზნისის მშენებლობაზე სესხები, დეპოზიტები ბანკებში, შემწახველ და საკრედიტო დაწესებულებებში. თუკი მსესხებელი ანაზღაურებს ვალს, სახელმწიფო არაფერს იხდის, თუკი მსესხებელი არ აანაზღაურებს ვალს, სახელმწიფომ ის უნდა დაუფაროს. როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ასეთ გარანტიებს, ის მსესხებლისათვის პასუხისმგებლობის მატარებელი ხდება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული განირობებული ვალდებულებები არ აისახება ბიუჯეტის დეფიციტში: შესაძლოა იმიტომ, რომ მთლად ნათელი არ არის, რომელი კონკრეტული ფულადი შეფასება უნდა მივიცეს მათ.

მნიშვნელოვანია თუ არა ბიუჯეტის დეფიციტი

ეკონომისტებს სხვადასხვა შეხედულება გააჩნიათ ბიუჯეტის დეფიციტის გაზომვის პრობლემების მნიშვნელობის თაობაზე. ზოგიერთის აზრით ეს პრობლემები ძალზედ სერიოზულია და თანაც, ბიუჯეტის დეფიციტის გაზომვის არსებული ხერხი თითქმის უგარვისია.

უმრავლესობა ამ თვალსაზრისს იზიარებს, მაგრამ ერთდროულად თვლის, რომ საბიუჯეტო საგანსახადო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებისას ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა მხედველობაში ბიუჯეტის დეფიციტის მართო სტატისტიკური მაჩვენებელი არ უნდა მიიღონ, რასაც ისინი ნეგატიურად აკეთებენ ყოველ; საბიუჯეტო დოკუმენტები, რომლებიც ყოველწლიურად მზადდება შესაბამისი სამსახურების მიერ, შეიცავენ სახელმწიფო ფინანსებზე მრავალ დეტალურ ინფორმაციას, მათ შორის, კაპიტალურ დანახარებებზე და დაკრედიტების პროგრამებზე.

ეკონომიკური სტატისტიკის არცერთი მაჩვენებელი არ არის სრულყოფილი. ყოველთვის, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეხდებით რაოდენობრივ შეფასებას, მნიშვნელოვანია ყოველთვის ისინი რას ზომავენ და რას არ ითვალისწინებენ. განსაკუთრებით, ეს ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, гл. 615-629
2. Сакс Дж.Д., Ларсен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, гл. 749-784
3. Т.А. Агасова, А.Г. Серёгина, Макроэкономика. Москва, Дич.С. 2002. гл. 372-396
4. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, гл. 405-429
5. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall, 2000, гл. 493-505


თავი 17. ინვესტიციები

ინვესტიციები მშპ-ს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ცვალებადი კომპონენტია. როდესაც ეკონომიკის ვარდნის პერიოდში ადგილი აქვს საქონელსა და მომსახურებაზე დანახარჯების შემცირებას, რომლის უდიდესი ნაწილი გამოწვეულია საინვესტიციო დანახარჯების შემცირებით. მაგალითად, 1982 წელს სერიოზული ეკონომიკური ვარდნის პერიოდში აშშ-ს რეალური მშპ 1981 წლის მესამე კვარტალში არსებულ მაქსიმალური მნიშვნელობიდან 1982 წლის მეოთხე კვარტალში არსებულ უმცირეს დონეზე შემცირდა - კერძოდ, 105 მლრდ დოლარით. ამავე პერიოდისთვის საინვესტიციო დანახარჯების მოცულობა შემცირდა 152 მლრდ დოლარით, რაც მტკია, იდრე დანახარჯების შემცირების საერთო მოცულობა.

ეკონომისტები ინვესტიციებს სწავლობენ საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ცვლილებების ბუნების უკეთ გაგების მიზნით. წინა თავებში მშპ-ს მოდელში გამოყენებული იყო ინვესტიციების მარტივი ფუნქცია, რომელიც ინვესტიციების დონეს აკავშირებს რეალურ საპროცენტო განაკვეთთან: $I=I(r)$. ეს ფუნქცია აღნიშნავს, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს ინვესტიციების სიდიდის შემცირებას. ამ თავში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ თეორიას, რომელიც საფუძვლად უდევს საინვესტიციო ფუნქციას.

გამოყოფენ საინვესტიციო დანახარჯების სამ ტიპს. *ინვესტიციები საწარმოთა ძირითად ფონდებში* - ეს არის შენობები, დანადგარები და მოწყობილობები, რომლებიც შეიძინება საწარმოების მიერ საკუთარ საქმიანობაში გამოსაყენებლად. *ინვესტიციები საბინაო მშენებლობაში* - მოიცავს სახლების საცხოვრებლად ყიდვაზე გაწეულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ სახლებს, რომლებიც შეიძინება სახლმფლობელების მიერ შემდგომში არგნდით გაცემის მიზნით. *ინვესტიციები მარაგში* - მოიცავს იმ საქონელს, რომლებიც შეინახება ფირმების მიერ ნედლეულისა და მასალების, დაუთარგებელი წარმოებისა და მზა ნაქეთობების ჩათვლით. ნახ. 17-1-ზე გამოსახულია ინვესტიციების საერთო მოცულობა და მისი სამი შემადგენელი ნაწილი აშშ-ში 1970-1990 წლებში. შეგვიძლია ენახოთ, რომ ყველა სახის ინვესტიციის მოცულობა არსებითად მცირდება ვარდნის (რეცესიის) პერიოდებში.

ამ თავში შევეცდებით ავაგოთ მოდელი, რომელიც აღწერს ინვესტიციების თითოეულ ტიპს. ამ მოდელის ფორმირების პროცესში სასარგებლოა მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი სამი საკითხი:



ნახ. 17-1. ინვესტიციების სამი შემადგენელი ნაწილი. ამ სურათზე ასახულია ინვესტიციების საერთო მოცულობა, ინვესტიციები საწარმოთა ძირითად ფონდებში, ინვესტიციები საბინაო მშენებლობაში და ინვესტიციები მარაგში აშშ-ში 1970-1990 წლებში. მიუხედავად უკრძალბა იმის, რომ ინვესტიციების სამივე ტიპის მოცულობა არსებითად შემცირდა წარმოების ვარდნის პერიოდებში.

რატომ იკლებს ინვესტიციების სიდიდე საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგად?

რა იწვევს საინვესტიციო ფუნქციის გრაფიკის გადაადგილებას?

რატომ იზრდება ინვესტიციების მოცულობა ეკონომიკური აღმავლობების დროს და მცირდება ვარდნის შემთხვევაში?

ამ თავის დასასრულს დაეუბრუნდებით აღნიშნულ საკითხს და განვაზოგადებთ დასკვნებს, რომლებიც სხვადასხვა მოდელიდან გამოიმდინარეობს.


17-1. ინვესტიციები საწარმოთა ძირითად ფონდებში

საწარმოთა ძირითად ფონდებში ინვესტიციების სტანდარტულმა მოდელმა მიიღო *ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი* სახელწოდება. ნეოკლასიკურ მოდელში განიხილება ფირმების მოცუბა და დანახარჯები, რომლებიც ფლობენ საინვესტიციო საქონელს. მოდელში ნაჩვენებია, თუ როგორ უკავშირდება ინვესტიციების დონე კაპიტალის მარაგებთან ერთად კაპიტალის ზღვრულ წარმოქმნას, საპროცენტო განაკვეთს და გადასახადებით დაბეგრების წესებს, რომლებიც გამოიყენება ფირმების მიმართ.

მოდელის ფორმირებისათვის დაეუფათ, რომ ეკონომიკაში არსებობს ორი სახის ფირმა: *საწარმოო ფირმები* - რომლებიც აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას და სარგებლობენ არენდით მიღებული კაპიტალით; *ფირმები, რომლებიც კაპიტალს არენდით გასცემენ* - ახორციელებენ ეკონომიკაში ყველა სახის ინვესტიციას; ისინი ყოფილობენ საწარმოო ფონდებს და მათ გასცემენ არენდით საწარმოო ფირმებს. რასაკვირველია, რეალურ ეკონომიკაში ფირმების უმრავლესობა ორივე ფუნქციას ასრულებს; ისინი აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას და ახდენენ მომავალ წარმოებაში კაპიტალის ინვესტირებას. ჩვენი ანალიზის მიზნებისათვის სასარგებლოა საქმიანობის ამ ორი სახის განცალკევება. ამისთვის დაეუფათ, რომ ამ საქმიანობებით დაკავებულია სხვადასხვა ტიპის ფირმები.

კაპიტალის არენდის ფასი

თავდაპირველად განვიხილოთ საწარმოო ფირმები. მესამე თავში განვიხილეთ ამ ფირმების მიერ წარდგენილი მოთხოვნა წარმოების ფაქტორებზე. გავისხინოთ ტიპური ფირმა, თუ როგორ დებულობს გადასაწყვეტილებას გამოსაყენებელი კაპიტალის სიდიდეს: ის ერთმანეთს უდარებს დანახარჯებს და სარგებელს კაპიტალის თითოეული დამატებითი ერთეულიდან. ფირმა კაპიტალს დებულობს არენდით R განაკვეთით და თავის პროდუქციას ყიდის P ფასით; კაპიტალის ერთეულზე რეალური დანახარჯი საწარმოო ფირმისათვის შეადგენს R/P -ს. კაპიტალის ერთეულის გამოყენების რეალური შედეგი არის კაპიტალის ზღვრული პროდუქტი (MPK), ე.ი. დამატებითი პროდუქცია, რომელიც მიღებულია კაპიტალის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად. ფირმის მიერ გამოსაყენებელი კაპიტალის მოცულობის გადიდების შემთხვევაში მისი ზღვრული პროდუქტი მცირდება; რაც უფრო მეტ კაპიტალს განაკარგავს მოცემული ფირმა, პროდუქტის მთი უფრო ნაკლებია ზრდა იქნება მიღწეული კაპიტალის ერთეულის დამატების შემთხვევაში. ჩვენ მიუვლით დასკვნამდე, რომ მოგების მაქსიმიზაციისათვის ფირმა ახდენს არენდით მისივე კაპიტალის ზრდას მანამ, ვიდრე კაპიტალის ზღვრული პროდუქტი არ შემცირდება კაპიტალის არენდის რეალურ ფასამდე. ამგვარად, კაპიტალის ზღვრული პროდუქტის გრაფიკი გვაძლევს კაპიტალზე მოთხოვნის გრაფიკს.



ნახ. 17-2. კაპიტალის არენდის ფასი კაპიტალის არენდის ფასი იცვლება, რათა გააწინასწოროს კაპიტალზე მოთხოვნა (რომელიც განისაზღვრება კაპიტალის ზღვრული პროდუქტით) და კაპიტალის ფიქსირებული მიწოდება.

ნახ. 17-2-ზე ნაჩვენებია საარენდო კაპიტალის ბაზარზე წინასწორება. კაპიტალის ზღვრული პროდუქტი განსაზღვრავს კაპიტალზე მოთხოვნის მრუდს. კაპიტალზე მოთხოვნის მრუდი დახრილია მარჯვნივ-დაბლა, ენაიდრან რაც უფრო მეტია კაპიტალის მოცულობა, მით უფრო ნაკლებია მისი ზღვრული პროდუქტი. დროის სუველი მოცემული მომენტისათვის ეკონომიკაში კაპიტალის რაოდენობა ფიქსირებულია, ამიტომ მიწოდების მრუდი წარმოადგენს ვერტიკალურ ხაზს. კაპიტალის

არენდით გაცემის შედეგად მიღებული ფასი კორექტირდება მოთხოვნისა და მიწოდების გასაწონას-წორებლად.

იმისათვის, რათა განესაზღვროთ, რომელი ცვლადი ახდენს გავლენას ფასების წონასწორულ მნიშვნელობაზე, რომლებიც ამოღებულია კაპიტალის არენდით გაცემის შედეგად, საფუძვლად ავიღოთ ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია, რომელსაც მრავალი კურორმისტი განიხილავს იმის საკ-მაოდ ზუსტ გამოსახულებას, თუ როგორ გადაიქცევა შრომა და კაპიტალი საქონლად და მომსახ-ურებად რეალურ ეკონომიკაში. როგორც მე-3 თავიდანაა ცნობილი, ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია შემდგენიარად ჩაიწერება

$$Y = AK^\alpha L^{1-\alpha}.$$

კაპიტალის ზღვრული პროდუქტი ქობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციაში ჩაიწერება, როგორც

$$MPK = \alpha A(L/K)^{1-\alpha},$$

სადაც K – კაპიტალია, L – შრომა, A – პარამეტრი, რომელიც გვიჩვენებს ტექნოლოგიის დონეს, ხო-ლო α – პარამეტრი, რომელიც ხელზე მტნია და ერთზე ნაკლები, რომელითაც იზომება კაპიტალის წვლილი შუა პროდუქციის წარმოებაში. რამდენადაც წონასწორობის პირობებში რეალური ფასი, რომელიც ამოღებულია კაპიტალის არენდის შედეგად, ტოლია კაპიტალის ზღვრული პროდუქტის, ჩვენ შეგვიძლია ჩაიწეროთ:

$$R/P = \alpha A(L/K)^{1-\alpha}.$$

ეს არის იმ ცვლადის სიდიდის გამოსახულება, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის არენდის შედეგად მიღებულ რეალურ ფასს. ის გვიჩვენებს, რომ:

- რაც უფრო ნაკლებია კაპიტალის მარაგი, მით უფრო მაღალია მისი არენდის რეალური ფასი.
- რაც უფრო მტნია რაოდენობის შრომა გამოყენებული, მით უფრო მაღალია კაპიტალის არენ-დის რეალური ფასი.

რაც უფრო უკეთესია ტექნოლოგია, მით უფრო მაღალია კაპიტალის არენდის რეალური ფასი. მოკლედ, რომელიც ამცირებს კაპიტალის მარაგს (ეთქვით, მიწისძვრა), ზრდის დასაქმებას (ერთობლივი მოთხოვნის გაუფართოება) ან აუმჯობესებს ტექნოლოგიას (მეცნიერული აღმოჩენა), ზრდის კაპიტალის არენდით მიღების რეალური ფასის წონასწორულ მნიშვნელობას.

კაპიტალის ერთეულზე განახარჯებები

ახლა განვიხილოთ კაპიტალის არენდით გამცემი ფირმები. იმ ფირმების მსგავსად, რომლებიც არენდით გაცემენ ავტომობილებს, მათი საქმიანობა მდგომარეობს საინვესტიციო საქონლის შექ-ნაში და არენდით გაცემაში. ჩვენ გვსურს გაევიგოთ, რა აიძულებს ამ ფირმებს გაზარდონ ან შეამ-ცირონ მათ ხელთ არსებული კაპიტალის მარაგები, ამიტომ დავიწყოთ კაპიტალის ფლობის შედე-გად სარგებლისა და დანახარჯების ანალიზით.

კაპიტალის ფლობით სარგებლობს მდგომარეობს შემოსავალში, რომელიც მიღებულია საწარ-მოო ფირმებისადმი მათი არენდით გაცემის შედეგად. არენდით გაცემული საკუთარი კაპიტალის თითოეული ერთეულისათვის ფირმა ღებულობს რეალურ ფასს – R/P .

კაპიტალის ფლობაზე დანახარჯებს გააჩნია უფრო რთული სტრუქტურა. დროის თითოეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც ფირმა არენდით გაცემის კაპიტალის ერთეულს, მას უწევს ხა-მი სახის ხარჯის გაცემა:

1. როდესაც ფირმა ყიდულობს კაპიტალის ერთეულს და შემდეგ მას გაცემებს არენდით, ის ამით კარგავს პროცენტებს, რომლის მიღებაც მისთვის შესაძლებელი იქნებოდა, თუ კაპიტალის შექმნაში დანარჯულ თანხას განთავსებდა საკუთარ ანგარიშზე ბანკში. რაც ანალოგიურია იმისა, თუკი კაპიტალის შესაძენად ფირმა ისარგებლებდა სასესხო საშუალებებით, მას მოუწევდა კრედი-ტებზე პროცენტების გადახდა. თუკი P_t - არის კაპიტალის ერთეულის შეძენის ფასი, i - ნომინალური საპროცენტო განაკეთი, მაშინ iP_t იქნება დანახარჯები პროცენტებზე.

2. კიდრე ფირმა კაპიტალს გაცემს არენდით, მისი ფასი შეიძლება შეიცვალოს. თუკი კაპი-ტალის ფასი შემცირდა, მაშინ ფირმა განიცდის ზარალს, რამდენადაც ფირმის აქტივების ღირებუ-ლება მცირდება. თუკი კაპიტალის ფასი იზრდება, მაშინ ფირმა მიიღებდენ რჩება, რადგანაც მაღლდება ფირმის აქტივების ღირებულება. ამ ზარალისა თუ მოგების სიდიდე ტოლია ΔP_t -სი.

3. კიდრე კაპიტალი გაცემულია არენდით, ის იცეითება და კარგავს თავისი ღირებულების გარკვეულ ნაწილს, რასაც ამორტიზაცია ეწოდება. თუკი δ ამორტიზაციის ნორმაა, ე.ი. ღირებულე

ბის ნაწილი, რომელიც დაკარგულია ცვეთის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაშინ ამორტიზაციის ფულადი სიდიდე იქნება δP_k .¹
ამგვარად, არენდით კაპიტალის შეთავაზების საერთო დანახარჯები ერთი პერიოდის განმავლობაში შეადგენს:

$$\text{კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები} = iP_k - \Delta P_k + \delta P_k = P_k(1 - \Delta P_k/P_k + \delta)$$

კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები დამოკიდებულია კაპიტალის ერთეულის ფასზე, საპროცენტო განაკვეთზე, კაპიტალის ფასის შეფარდებით ცვეთებზე და ამორტიზაციის ნორმაზე. მაგალითად, განვიხილოთ კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები კომპანიისათვის, რომელიც გასცემს არენდით ავტომობილებს. კომპანია ავტომობილებს ყოველწლიურად 10000 ლარად და ახდენს მათ გაცემას ხსენებულ ავტომობილებზე კომპანიას უწყვეს კრედიტზე წლიური 10%-ის გადახდა, ამიტომ, პროცენტებზე დანახარჯები iP_k შეადგენს 1000 ლარს წელიწადში კომპანიის კუთვნილი თითოეული მანქანიდან. მანქანებზე ფასები იზრდება წელიწადში 6%-ით, ამიტომ, ამორტიზაციის გაუთვალისწინებლად კომპანია ღებულობს წელიწადში 600 ლარს. მანქანის ამორტიზაციის ნორმა შეადგენს წლიურ 20%-ს, ამიტომ ამორტიზაციისაგან დანაკარგი δP_k შეადგენს წლიურად 2000 ლარს. ამგვარად, ამ კომპანიისათვის კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები შეადგენს:

$$= 1000 \text{ ლარი} - 600 \text{ ლარი} + 2000 \text{ ლარი} = 2400 \text{ ლარი}$$

ამგვარად, ავტომობილების არენდით გამცემი კომპანიის დანახარჯები მანქანების ფლობაზე, როგორც კაპიტალის საკუთარი მარაგის ნაწილისა, შეადგენს წელიწადში 2400 ლარს.

იმისათვის, რომ გავამარტივოთ კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებისათვის გამოსახულება და ის უფრო მოსახერხებელი გაეხადოს შემდეგი ანალიზისათვის, დავუშვათ, რომ საინვესტიციო საქონლის ფასები იზრდება დანარჩენი საქონლის ფასებთან ერთად. ამ შემთხვევაში $\Delta P_k/P_k$ ტოლია ინფლაციის საერთო დონისა - π . რადგანაც $i \cdot \pi$ ტოლია რეალური საპროცენტო განაკვეთისა - r , შეგვიძლია კაპიტალის ერთეულზე დანახარჯების შემდგენილად ჩაწერა:

$$\text{კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები} = P_k(r+\delta).$$

მოცემული ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები დამოკიდებულია კაპიტალის ფასზე, რეალურ საპროცენტო განაკვეთზე და ამორტიზაციის ნორმაზე.

საბოლოოდ, ჩვენი გესურს დავუკავშიროთ კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები ეკონომიკაში დანარჩენი საქონლის ფასებს. კაპიტალის ერთეულზე რეალური დანახარჯები - ეს არის კაპიტალის ერთეულის შექებაზე და არენდით გაცემაზე დანახარჯები, რომელიც იზომება ეკონომიკაში წარმოების მოცულობის ერთეულებში და შეადგენს:

$$\text{კაპიტალის ერთეულზე რეალური დანახარჯები} = (P_k/P)(r+\delta).$$

ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ კაპიტალის ერთეულზე რეალური დანახარჯები დამოკიდებულია საინვესტიციო საქონლის შეფარდებით ფასებზე - P_k/P , რეალურ საპროცენტო განაკვეთზე - r და ამორტიზაციის ნორმაზე - δ .

ინვესტიციების სიდიდის განმსაზღვრელი ფაქტორები ახლა განვიხილოთ კაპიტალის არენდით გამცემი ფორმა თუ როგორ ღებულობს გადაწყვეტილებას, გაზარდოს თუ კია მის ხელთ არსებული კაპიტალის მარაგი. კაპიტალის თითოეული ერთეულიდან ფორმა ღებულობს რეალურ შემოსავალს R/P და კაპიტალის თითოეული ერთეულიდან მას უწყვეს $(P_k/P)(r+\delta)$ რეალური დანახარჯების გაწევა ამგვარად, კაპიტალის ერთეულზე რეალური მოგება შეადგენს:

$$\text{მოგების ნორმა} = \text{შემოსავალი} - \text{დანახარჯები} = R/P - (P_k/P)(r+\delta).$$

რამდენადაც წონასწორობის პირობებში რეალური ფასი, რომელიც ამოღებულია კაპიტალის არენდის შედეგად, ტოლია კაპიტალის ზღვრული პროდუქტისა, მოგების ნორმისათვის გამოსახულება შეგვიძლია ჩაწეროთ შემდგენილად:

¹ ამორტიზაციის პროცესი არის კაპიტალის ცვეთის პროცესის ფულადი ასახვა და საშუალებათა აკუმულირება, რომელიც აუცილებელია მწყობრივად გასული კაპიტალის ჩასანაცვლებლად.

მოგების ნორმა = $MPK-(P_K/P)(r+\delta)$.

ფირმა, რომელიც კაპიტალს გაცემს არენდით, მოგებას ღებულობს მაშინ, თუ კაპიტალის ზღვრული პროდუქტი მეტია, ვიდრე კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები და განიცდის ზარალს, თუკი კაპიტალის ზღვრული პროდუქტი ნაკლებია კაპიტალის ერთეულზე დანახარჯისა.

ახლა შევიხილა ვნახით, თუ რომელი ეკონომიკური სტიმულებია ამა თუ იმ საინვესტიციო გადაწყვეტილების საფუძველი. ფირმის გადაწყვეტილება გაზარდოს თუ შეამციროს კაპიტალის საკუთარი მარაგი, დამოკიდებულია იმაზე, მომგებიანია თუ არა კაპიტალის ფლავა და მისი არენდით გაცემა. კაპიტალის მარაგის ცვლილებები, რომელსაც წმინდა ინვესტიციები ეწოდება, დამოკიდებულია კაპიტალის ზღვრულ პროდუქტსა და კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს შორის სხვაობაზე. თუკი კაპიტალის ზღვრული პროდუქტი აჭარბებს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს, მაშინ ფირმისთვის მომგებიანია კაპიტალის მარაგის ზრდა. თუკი კაპიტალის ზღვრული პროდუქტი ნაკლებია, ვიდრე კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები, მაშინ ფირმა ამცირებს თავისი კაპიტალის მარაგს.

საწარმოო ფირმებისა და კაპიტალის არენდით გამცემი ფირმების ეკონომიკურ საქმიანობაში განსხვავება (რომელიც სასარგებლოა ჩვენს ანალიზისათვის) არც ისე მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ როგორ განსაზღვრავენ ფირმები თავიანთ ინვესტიციებს. იმ ფირმებისათვის, რომლებიც იყენებენ საკუთარ კაპიტალს, კაპიტალის ყოველი დამატებითი ერთეულიდან სარგებელი არის კაპიტალის ზღვრული პროდუქტი, ხოლო დანახარჯები ტოლია კაპიტალის ერთეულზე ხარჯებისა ასევე ის ფირმაც, რომელიც მის კუთვნილ კაპიტალს არენდით გაცემით, ზრდის თავისი კაპიტალის მარაგს, თუკი კაპიტალის ზღვრული პროდუქტი აჭარბებს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს. ამგვარად, ჩვენ შევიხილა ჩაეწერთ:

$$\Delta K = I_n [MPK - (P_K/P)(r+\delta)],$$

სადაც I_n არის ფუნქცია, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ძლიერად რეაგირებს წმინდა ინვესტიციის სიდიდე ინვესტიციებისადმი სტიმულების არსებობაზე.

ახლა შევიხილა გამოიყენებთ ინვესტიციის ფუნქცია. საწარმოო ძირითად ფონდებში ინვესტიციებზე დანახარჯების საერთო მოცულობა ტოლია წმინდა ინვესტიციებისა და ვაცუთილი კაპიტალის ჩანაცვლებაზე ინვესტიციების ჯამისა. ინვესტიციების ფუნქცია ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$I = I_n [MPK - (P_K/P)(r+\delta)] + \delta K.$$

საწარმოოს ძირითად ფონდებში ინვესტიციები დამოკიდებულია კაპიტალის ზღვრულ პროდუქტზე, კაპიტალის ერთეულზე გაწეულ დანახარჯებზე და კაპიტალის ცვეთის სიდიდებზე.


მოკლე გვიჩვენებს, რატომაა ინვესტიციები დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე. საპროცენტო განაკვეთის ზრდა, თავის მხრივ, ზრდის კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს. ეს იწვევს კაპიტალის მფლობელის მიერ მიღებული მოგების შემცირებას, რაც თავის მხრივ, ამცირებს კაპიტალის დიდი ოდენობით დატოვებასადმი სტიმულს. ანალოგიურად, საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯების შემცირებას და ასტიმულირებს ინვესტიციებს. ამ მიზეზით მრედი, რომელიც ასახავს ინვესტიციების დამოკიდებულებას საპროცენტო განაკვეთზე, დახრილია დადლა. როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 17-3-ზე.

მოკლე აგრეთვე გვიჩვენებს, თუ რა იწვევს ინვესტიციების მრუდის გადაადგილებას. ნებისმიერი მოვლდა, რომელიც ზრდის კაპიტალის ზღვრულ პროდუქტს, ზრდის ინვესტიციების მომგებიანობას და იწვევს საინვესტიციო მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 17-4-ზე. მაგალითად, ტექნიკური სიახლეები, რომელიც ზრდის A პარამეტრის მნიშვნელობას საწარმოო ფუნქციაში, ადიდებს კაპიტალის ზღვრულ პროდუქტს და საპროცენტო განაკვეთის ნებისმიერი დონის პირობებში ზრდის კაპიტალის რაოდენობას, რომელთა შექმნასაც გვეზღვევენ კაპიტალის არენდით გამცემი ფირმები.


საბოლოოდ, განვიხილოთ რა ხდება კაპიტალის მარაგის ცვლილების დროს გარკვეული ჰუარიონის განხაზვებაში. თუკი თავდაპირველად ზღვრული პროდუქტი აჭარბებს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს, მაშინ კაპიტალის მარაგი გაიზრდება და მისი ზღვრული პროდუქტი დაიწყებს შემცირებას. თუკი თავდაპირველად ზღვრული პროდუქტი ნაკლებია კაპიტალის ერთეულზე დანახარჯისა, მაშინ კაპიტალის მარაგი შემცირდება და მისი ზღვრული პროდუქტი დაიწყებს ზრდას. კაპიტალის მარაგის კორექტირების პროცესში კაპიტალის ზღვრული პროდუქტის სიდიდე უახლოვდება კაპიტალის ერთეულზე დანახარჯების სიდიდეს. როდესაც კაპიტალის მარაგი უახლოვდება მდგრადი დონის შესაბამის დონეს, საბოლოოდ, გამოსახლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$MPK = (P_K/P)(r+\delta).$$

ამგეარად, გრძელვადიან პერიოდში, კაპიტალის ზღერული პროდუქტი ტოლია კაპიტალის ერთეულზე გაწეული რეალური დანახარჯებისა. მდგრად მდგომარეობაში კაპიტალის მარაგის ცვლილების სიჩქარე დამოკიდებულია ფორმების მიერ თავიანთი კაპიტალის მარაგის კორექტირების სისწრაფეზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის ხარჯები სჭირდება ახალი მოწოდებლობების შექმნას, მოწოდებასა და დამონტაჟებას.²



ნან. 17.3. ინვესტიციის ფუნქცია. ინვესტიციების სიდიდე საწარმოთა ბირთვად ფონდებში იზრდება საპროდუქტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში, რამდენადაც საპროდუქტო განაკვეთის ნაკლები სიდიდე ამცირებს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს და ამგეარად, კაპიტალის ფლობას უფრო მომგებიანს ხდის.



ნან. 17.4. ინვესტიციის ფუნქციის გადაადგილება კაპიტალის ზღერული პროდუქტის ზრდა იწვევს ინვესტიციის ფუნქციის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას.

გადასახადები და ინვესტიციები
სახელმწიფო საგადასახადო კანონმდებლობის მრავალი გარემოება გაელენას ახდენს კაპიტალის დაგროვების პროცესზე. ზოგჯერ კანონმდებლები ცდილობენ ამ გარემოებებს, რათა წახალისონ საინვესტიციო მოთხოვნა და გაელენა მოახდინონ ერთობლივ მოთხოვნაზე. მუხუხდავად იმისა, რომ გადასახადების გაელენა ინვესტიციების განხორციელების სტიმულატორზე მრავალსახისიანია, ჩვენ აქ განვიხილავთ კორპორაციის გადასახადებით დაბეგრების ორ ყველაზე მნიშვნელოვან სახეს: კორპორაციის შემოსავლებზე გადასახადს და საინვესტიციო საგადასახადო კრედიტს.

კორპორაციის შემოსავლებზე გადასახადი - ეს არის მათ მოგებაზე გადასახადი. ბოლო 50 წლის მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში ამ გადასახადის განაკვეთი აშშ-ში 46%-ს შეადგენდა; 1986 წელს საგადასახადო რეფორმის აქტით ეს გადასახადი შემცირდა 34%-მდე. კორპორაციის მოგებაზე გადასახადის გაელენა ინვესტიციებზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს კანონი „მოგებას“ გადასახადებით დაბეგრების თვალსაზრისით. თავდაპირველად დაეუფუათ, რომ კანონი ისევე განმარტავს მოგებას, როგორც ჩვენს ანალიზშია ნაჩვენები - კაპიტალის არენდის შედეგად მიღებულ თანხას გამოკლებული კაპიტალის ერთეულზე დანახარჯები. ამ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ფორმებს უწყეთ სახელმწიფოს დაუთმონ მოგების რაღაც ნაწილი, მათთვის მაინც მომგებიანი იქნება ინვესტირება, თუკი კაპიტალის არენდის ფასი გადააჭარბებს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს და შესაბამისად, მათთვის მომგებიანი იქნება ინვესტიციების მოცულობის შემცირება, თუკი კაპიტალის არენდის ფასი ნაკლები იქნება კაპიტალის ერთეულზე

² კონომისტები ხშირად ზომიერ საინვესტიციო საქონლებს ისეთ ერთეულში, რომ მათი ფასები გაუტოლდეს სხვა საქონლებისა და მომსახურებების ფასებს ($P_i = P$). ეს მიდგომა გამოყენებული იქნა „კონომიკური ზრდის“ თემაში. მოცემულ შემთხვევაში, მდგრადი მდგომარეობის პირობები გვეუძნება, რომ კაპიტალის ზღერული პროდუქტი ამორტიზაციის ნორმის გამოკლებით (MPK-მ) უტოლდება რეალურ საპროდუქტო განაკვეთს - r .

გაწეული დანახარჯების მოგებაზე გადასახადი, რომელიც ამგვარადაა განმარტებული, გაელენას არ ახდენს ინვესტიციების განხორციელების სტიმულებს.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობით აღიარებული მოგების განმარტების ძალით, კორპორაციის მოგებაზე გადასახადი გაელენას ახდენს ინვესტიციაზე არსებობს რამდენიმე განსხვავება კანონში მოცემულ მოგების განმარტებასა და ჩვენს განმარტებას შორის. ერთ-ერთი არსებითი განსხვავება მდგომარეობს ამორტიზაციის კატეგორიის განმარტებაში. მოგების წყვენილი განმარტებით ამორტიზაცია არის დანახარჯები და გამოირიცხება მოგებიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამორტიზაცია – ეს არის ის, თუ რა ჯდება დღეისთვის გადაკეთილი კაპიტალის შეყვლა. საგადასახადო კანონმდებლის მიხედვით, იხიდან რა მოგების გადასახადს, ფირმაში გამოირიცხავენ ამორტიზაციის სიდიდეს გამომდინარე ფაქტურად განხორციელებული დანახარჯებიდან, ვი. ეგრძობიან იმ ფასს, რომელიც გადახდილი იქნა კაპიტალურ საქონელზე მისი ყიდვის მომენტში. ინფლაციის პერიოდებში ადღეისთვის ღირებულება აჭარბებს თავდაპირველ ღირებულებას, ამიტომ, კორპორაციის მოგებაზე გადასახადის გაანგარიშების დროს მცირდება ამორტიზაციის სიდიდე და იზრდება მოგება. შედეგად, კანონი შემოსავლებს ბევრად გადასახადებით მაშინაც კი, როდესაც ეკონომიკური თვალსაზრისით მოგება ნულია, რაც კაპიტალის ფლობის საკლებად მიმზიდველს ხდის. ამ და სხვა მიზეზების გამო მრავალი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ კორპორაციის მოგებაზე გადასახადი ძირს უთხრის ინვესტიციებისადმი სტიმულებს.

საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი – ეს არის ისეთი კანონი, რომელიც ასტიმულირებს კაპიტალის დაგროვებას. საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი გარკვეული სიდიდით ამცირებს ფირმების მიერ გადასახადების გადახდას თითოეული ლარიდან, რომელიც დახარჯულია საინვესტიციო საქონლის შესაქმნად, რამდენადაც ფირმა ახალი კაპიტალის შექმნაზე თავისი დანახარჯების ნაწილს აკომპენსირებს გადასახადების შემცირების ხარჯზე, ამგვარი საგადასახადო შეღავათების სისტემა განაპირობებს კაპიტალის ერთეულის ყიდვაზე დანახარჯების შემცირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი ამცირებს P_r-ს, იწვევს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯების შემცირებას და ადიდებს ინვესტიციებს.

მრავალი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი წარმოადგენს ინვესტიციების სტიმულირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ხერხს. მაგალითად, აშშ-ში 1985 წელს საინვესტიციო რეფორმის კრედიტის განაკვეთი შეადგენდა 10%-ს. თუმცა, 1986 წლისათვის საგადასახადო რეფორმის აქტი, რომლის ძალითაც შემცირდა კორპორაციის მოგებაზე საგადასახადო განაკვეთი, საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი გაუქმდა.

მაგალითი 17-1

საინვესტიციო ფონდების შედგენილი სისტემა

ინვესტიციების საგადასახადო სტიმულირება – ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის დახმარებითაც პოლიტიკოსებს შეუძლიათ გააკონტროლონ ერთობლივი მოთხოვნა. მაგალითად, საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის ზრდა ამცირებს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს, გადაადგილებს ინვესტიციების ფუნქციის გრაფის მარჯვნივ და ზრდის ერთობლივ მოთხოვნას. ანალოგიურად, საგადასახადო კრედიტის შემცირება იწვევს უფრო მჭიდროდობას ხდის და იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას.

XX საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდიდან 70-იანი წლების შუა პერიოდამდე შედეგით მთავრობა ცდილობდა გააკონტროლებდა ერთობლივი მოთხოვნა ინვესტიციების სტიმულირებითა და შეაკეცებდა. სიტყვაში, რომელზეც მიიღო საინვესტიციო ფონდების სისტემის სახელწოდება, რეკესიის პერიოდში ახდენდა ინვესტიციების სუბსიდირებას საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის მოქმედების ანალოგიურად. თუკი მთავრობის ჩინოვნიკების აზრით ადვილი ეწებოდა ეკონომიკური ზრდის ტემპების კლებას, ისინი ეტყობოდნენ გადაწყვეტილებას ინვესტიციების დარღვევა დაიკავონ სუბსიდირებაზე. სხვათა შორის, შედეგობა უარი თქვა ინვესტიციების დროებით სუბსიდირებაზე ეკონომიკურ ციკლებზე ზემოქმედების მიზნით და სუბსიდები შედგო საგადასახადო პოლიტიკის მდგრადი კომპონენტი გახდა.

საჭიროა თუ არა ინვესტიციების სუბსიდირების გამოყენება ეკონომიკური რყევების წინააღმდეგ საბრძოლველად? ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ შედეგით, როდესაც აღნიშნული პოლიტიკა ზორციელდებოდა, ირი ათწლეულის განმავლობაში შემცირდა ეკონომიკური ციკლის ამპლიტუდა. სხვები თვლიან, რომ ამ პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს დაუბეგბავი და უკუ შედეგები: მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების დროს ფირმებმა შეიძლება დაიკავონ საინვესტიციო სუბსიდირების მოლოდინის პოზიცია და შეაფერხონ ინვესტიციების განხორციელება, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ეკონომიკურ ვარდნას. ამგვარად, ამ პოლიტიკის გატარების შედეგები საჭიროდ მრავალსახოებანია, რაც ართულებს მის საბოლოო შეფასებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი და ქოზინის ემანუელური
 ეკონომისტების ინვესტიციების მოცულობას და ფასიანი ქაღალდების (აქციების) ბაზარზე
 რყევებს შორის მჭიდრო კავშირს ხედავენ. ტერმინი *აქცია* ნიშნავს კორპორაციის საკუთრების

წილზე უფლებას, ხოლო აქციების ბაზარი – ბაზარს, სადაც ხორციელდება ამ უფლებების ყიდვა-გაყიდვა. რამდენადაც პოტენციური მფლობელებისათვის უფრო მიმზიდველია ის ფირმები, რომლებიც მომგებიანი ინვესტიციების განხორციელების სათანადო შესაძლებლობებით ხასიათდებიან, იმდენად აქციების ფასები ასახავენ ინვესტიციების სტიმულების არსებობას.

ნობელის პრემიის ლაურეატმა, ეკონომისტმა ჯეიმს ტობინმა იყარა უდა, რომ ფირმები ინვესტიციების თაობაზე გადაწყვეტილებას შემდეგი თანაფარდობის საფუძველზეღებულობენ, რომელსაც ტობინის *q* მაჩვენებელი ეწოდება:

$$q = \frac{\text{ექსპლოატაციაში არსებული კაპიტალის საბაზრო ღირებულება}}{\text{კაპიტალის აღდგენითი ღირებულება}}$$

ტობინის *q* მაჩვენებელში მოცემული წარმოადგენს კაპიტალური აქტივების ღირებულებას, რომელიც ყალიბდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მნიშვნელი – კაპიტალური სიკეთის ფასია, რომლითაც შეიძლება მათი ყიდვა ახლანდელ დროში.

ტობინის ვარაუდობაა, რომ წმინდა ინვესტიციების მოცულობა დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, *q* ერთზე მეტია თუ ნაკლები. თუ *q* ერთზე მეტია, მაშინ ფასიანი ქაღალდების ბაზარი აფასებს არსებულ (დამონტაჟებულ) კაპიტალს მეტი თანხით, ციდრე მისი ჩანაცვლების ღირებულებაა. ამ შემთხვევაში მენეჯერებს შესაძლებლობა აქვთ გაზარდონ თავიანთი ფირმის აქციების საბაზრო ღირებულება მეტი კაპიტალის შექენით. და პირიქით, თუ *q* ერთზე ნაკლებია, მაშინ ფასიანი ქაღალდების ბაზარი არსებულ კაპიტალს ნაკლებ თანხით აფასებს, ეიღვე მისი ჩანაცვლების ღირებულებაა. ამ შემთხვევაში მენეჯერები არ აღადგენენ კაპიტალს მისი ცვეთის კაღლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ტობინის ინვესტიციების თეორია შეიძლება ზემოთ-განიხილული ნეოკლასიკური მოდელისაგან განსხეაებულ თეორიად მოგვეჩვენოს, სინამდვილეში ორივე ეს მოდელი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს კავშირი ცხადი გახდება, თუკი გაიისვენებთ, რომ ტობინის *q* დამოკიდებულია დამონტაჟებული კაპიტალის მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელ მოგებაზე. თუკი კაპიტალის ზღერული პროდუქტი აჭარბებს კაპიტალურ დანახარჯებს, მაშინ არსებულ კაპიტალს მოაქვს მოგება. ეს ფაქტი მიმზიდველს ხდის ფირმებისათვის კაპიტალის ფლობას, რომელზეც მას აერნდით გასცემენ, რაც ამაღლებს ამ ფირმების აქციების საბაზრო ღირებულებას და მიყავარტ *q*-ს მნიშვნელობის ზრდასთან. ანალოგიურად, თუკი კაპიტალის ზღერული პროდუქტი ნაკლებია კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებისა, მაშინ არსებულ კაპიტალს მოაქვს ზარალი, რასაც მიყავარტ აქციის საბაზრო ღირებულების შემცირებაზე და *q*-ს დაბალ მნიშვნელობაზე.

ტობინის *q*-ს უიარატესობა, როგორც ინვესტიციების განხორციელებისას სტიმულების გაზომვის საშუალებას, მდგომარეობს იმაში, რომ ეს მაჩვენებელი ასახავს კაპიტალის როგორც მოსალოდნელ, ასევე მის დღევანდელ მომგებიანობას. მაგალითად, დაეუშვათ, რომ აშშ-ს კონგრესი ღებულების კანონს კორპორაციის მოგებაზე გადასახადის შემცირების თაობაზე ახალი წლის დასაწყისიდან. გადასახადების მოსალოდნელი შემცირება ნიშნავს კაპიტალის მფლობელებისათვის უფრო მაღალ მოგებას. აღნიშნული მაღალი მოსალოდნელი მოგება ზრდის აქციების საბაზრო ღირებულებას დღეს, რაც ამაღლებს ტობინის *q*-ს მნიშვნელობას და ამგვარად, ასტიმულირებს დღევანდელ ინვესტიციებს. ამგვარად, ტობინის *q* თეორია ნიშნავს, რომ მისაღები საინვესტიციო გადაწყვეტილება დამოკიდებულია არა მარტო მიმდინარე ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ იმ პოლიტიკაზეც, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, განხორციელდება მომავალში.

ტობინის *q* თეორია სასარგებლოა იმ მხრივაც, რომ ის საშუალებას იძლევა საქმოდ მარტივად მოგახდინოთ ეკონომიკაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლის ინტერპრეტაცია. მაგალითად, დაეუშვათ, რომ თქვენ აკვირდებით აქციებზე ფასების შემცირებას. რამდენადაც კაპიტალის შენ-ნაცვლებაზე დანახარჯები საქმოდ სტაბილური რჩება, აქციებზე ფასების შემცირება, როგორც წესი, ნიშნავს ტობინის *q*-ს მნიშვნელობის შემცირებას. *q*-ს შემცირება ასახავს ინვესტორთა პესიმის შესაძლებლობის მიმდინარე ამ მომავალ მომგებიანობასთან დაკავშირებით. *q*-ს თეორიის შესაბამისად, *q*-ს შემცირება იწვევს ინვესტიციების შემცირებას, რომელსაც შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის შემცირება. გარდა ამისა, *q*-ს თეორია საფუძველს გვაძლევს ეკონომიკურად, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რყევები მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოების მოცულობისა და დასაქმების რყევებთან. ამგვარად, გასაკვირი არ არის, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელსაც ეურადღებით ადვენებენ თეაღურის სექციადისტები.

ფინანსური შეზღუდვები

როდესაც ფირმას სურს განახორციელოს ინვესტიციები ახალ კაპიტალში, მაგალითად, ახალი ფაბრიკის მშენებლობაში, ის აუცილებელ ფულად საშუალებებს ხშირად ფინანსურ ბაზარზე

ღებულობს. ამ დაფინანსებაში შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს – საბანკო სესხის მიღება, მოსახლეობისადმი ობლიგაციების მიყიდვა ან მომავალ მოგებებში წილის (ე.ი. აქციების) გაყიდვა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ნეკოლასიკურ მოდელში ივარაუდება, რომ თუკი ფირმა მზადაა ახანაზღაუროს კაპიტალზე დანახარჯები, მაშინ ფინანსურ ბაზარზე საშუალებები აუცილებლად მოიძებნება.

ამასთან, ფირმები ზოგჯერ აწყდებიან *დაფინანსების შეზღუდვებს* – თანხების ზღერულ სიღრმეებს, რომლებიც მიღებაც შეუძლიათ ფინანსურ ბაზრებზე. დაფინანსების შეზღუდვაც შეიძლება ხელი შეუშალოს ფირმას მოგებებთან ინვესტიციების განხორციელებაში. როდესაც ფირმას არ შეუძლია საჭირო საშუალებები მიიღოს ფინანსურ ბაზრებზე, საშუალებათა მოცულობა, რომლის დახარჯვაც მას შეუძლია ახალი საინვესტიციო საქონლის შესაქმნად, შეზღუდულია გაყიდვებიდან მიმდინარე შემოსულობებით. დაფინანსების ეს შეზღუდვები ისევე აისახება ფირმების საინვესტიციო ქცევებზე, როგორც ეს ხისხის მიღებაზე შეზღუდვები აისახება საოჯახო მეურნეობების საშობმარებლო ქცევებზე. სესხის მიღებაზე შეზღუდვები საოჯახო მეურნეობებს აიძულებს ააგონ თავიანთი მომხარებო მიმდინარე და არა პერმანენტულ შემოსავლებზე. ანალოგიურად, დაფინანსებაზე შეზღუდვები ფირმებს აიძულებს განსაზღვრონ თავიანთი ინვესტიციები მიმდინარე შემოსავლების და არა ამოხადიდელი რეკაბულობის საფუძველზე.

მისათვის, რომ მოქარდინონ დაფინანსებაზე შეზღუდვების გაელენის დემონსტრირება, განვიხილოთ, თუ როგორ აისახება მოკლევადიანი ეკონომიკური რეცესია საინვესტიციო დანახარჯებზე. რეცესია ამცირებს დასაქმებას, კაპიტალის არენდის ფასს და მოგებას. თუმცა, თუკი ფირმა ეარზუდობს, რომ რეცესია იქნება მოკლევადიანი, მაშინ მას შეუძლია გაავრტელოს ინვესტიციების განხორციელება, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეს ინვესტიციები მას მოგებას მოუტანს მომავალში. ამგვარად, მოკლევადიანი რეცესია უმნიშვნელო გაელენას იქონიებს ტობინის და მანვერებულზე. ამ ფორმებისათვის, რომლებსაც ძალუთ ფინანსურ ბაზრებზე ფულადი საშუალებების მიღება, რეცესიის გაელენა ინვესტიციებზე უმნიშვნელო იქნება.

ფირმებისათვის, რომლებიც აწყდებიან დაფინანსებაზე შეზღუდვებს, სიტუაცია სრულიად სავინააღდვეოა. მიმდინარე მოგების შემცირება ზღუდვას საშუალებათა მოცულობას, რომელთა დახარჯვაც შეუძლიათ ფირმებს ახალი საინვესტიციო საქონლის შესაქმნად და ის ფირმას ხელს უშლის განხორციელოს მომგებანი ინვესტიციები. დაფინანსებაზე შეზღუდვები ინვესტიციებს უფრო გავრნობიარე ხდის მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის მიმართ.

17-2. ინვესტიციები საბინაო მშენებლობაში

ახლა განვიხილოთ საინვესტიციო დანახარჯების სხვა კომპონენტი – ინვესტიციები საბინაო მშენებლობებში. ამ ნაწილში განვიხილოთ მარტივ მოდელს, რომელიც გვიყენებს, თუ რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ ინვესტიციების მოცულობას საბინაო მშენებლობაში. ინვესტიციები საბინაო მშენებლობაში მოიცავს როგორც ახალი სახლების ყიდვას ის ადამიანების მიერ, რომლებიც აპირებენ მასში ცხოვრებას, ასევე ბინათმფლობელების მიერ მათ ყიდვას შემდგომში არენდით გაცემის მიზნით. სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ ყველა სახლი მიყუთუნება პირველ ტიას – მათში ცხოვრობენ მათი მფლობელები.


საცხოვრებელი ფონდის წონასწორული მოცულობა და ახალი ბინების მიწოდება

მოდელი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი, არსებული ბინების ბაზარი განსაზღვრავს ფასების წონასწორულ მნიშვნელობას. მეორე, ბინების ფასი განსაზღვრავს მათ მშენებლობაში ინვესტიციების მოზიდვას.


ნახ. 17-5-ზე ნაჩვენებია ბინის P_t/P შეფარდებითი ფასი თუ როგორ განისაზღვრება არსებული ბინების მიწოდებითა და მოთხოვნით. დროის ნებისმიერი მომენტისათვის სახლების მიწოდება ფიქსირებულია. ეს მიწოდება აღენიშნოთ ვერტიკალური ხაზით. ბინაზე მოთხოვნის მრული მიმართულია დაბლა, ვინაიდან უფრო მაღალი ფასები ადამიანებს აიძულებს იცხოვრონ ნაქირავებ სახლებში, ხოლო ზოგჯერ კი საერთოდ უბინაოდ დარჩნენ. ბინების ფასი იზრდება ისე, რომ უზრუნველყოს მოთხოვნა და მიწოდებას შორის წონასწორობა.

ნახ. 17-5-ზე ნაჩვენებია ბინის შეფარდებითი ფასი თუ როგორ განსაზღვრავს ახალი სახლების მიწოდებას. სამშენებლო ფირმები ყიდულობენ მასალებს და ქირაობენ მომუშავეებს სახლების მშენებლობისათვის, რომლებიც შემდგომ ყიდნიან მათ საბაზრო ფასით. მათი დანახარჯები დამოკიდებულია ფასების საერთო დონეზე P , ხოლო მათი შემოსავლები დამოკიდებულია ბინის ფასზე P_t . რაც უფრო მაღალია ბინის შეფარდებითი ფასი, მით უფრო მაღალია სახლის მშენებლობის სტიმული და მით უფრო აქტიურია საბინაო მშენებლობა. ახალი სახლების მშენებლობა, ე.ი. ინვესტიციები საბინაო მშენებლობაში, ამგვარად, დამოკიდებულია ფასების წონასწორულ მნიშვნელობაზე, რომელიც ყალიბდება არსებული ბინების ბაზარზე.

ა. ბინების ბაზარი



ბ. ახალი ბინების მიწოდება




ნახ. 17-5. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ინვესტიციებს საბინაო მშენებლობაში. ბინის შეფარდებითი ფასი ყალიბდება იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ბინების ბაზარზე მოთხოვნას და მიწოდების წონასწორობას. შემდგომ ბინების შეფარდებითი ფასი განსაზღვრავს სამშენებლო ფირმების მიერ ახალი სახლების მშენებლობის მოცულობას.

საბინაო მშენებლობაში ინვესტიციების აღნიშნული მოდელი გვიჩვენებს დაკავშირებული საწარმოს ძირითად ფონდებში ინვესტიციის ტობინის (q) მოდელთან. q -ს მარეკნებულთან შესაბამისად, საწარმოს ძირითად ფონდებში ინვესტიციები დამოკიდებულია საწარმოში დამონტაჟებული კაპიტალის საბაზრო ფასის თანაფარდობაზე აღდგენითი ღირებულებით მისი ჩანაცვლების დანახარჯებთან; ეს თანაფარდობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია დამონტაჟებული კაპიტალიდან მოსალოდნელ მოგებაზე. ბინების ბაზრის განსახილველი მოდელის შესაბამისად, ბინებში ინვესტიციები დამოკიდებულია ბინების შეფარდებითი ფასებზე. თავის მხრივ, ბინების შეფარდებითი ფასი დამოკიდებულია ბინებზე არსებულ მოთხოვნაზე, რომელიც განისაზღვრება საკუთარი ბინების ფლობიდან მოსალოდნელ სარგებელზე. ამგვარად, ბინების შეფარდებითი ფასი ბინებში ინვესტიციებისათვის ისეთსავე როლს თამაშობს, როგორსაც ტობინის q მარეკნებელი საწარმოს ძირითად ფონდებში ინვესტიციისათვის.


ცვლილებები ბინებზე არსებულ მოთხოვნაში ბინებზე მოთხოვნის ცვლილების შემთხვევაში იცვლება ბინების ფასების წონასწორობი მნიშვნელობა, რაც, თავის მხრივ, აისახება საბინაო მშენებლობაში ინვესტიციებზე. ბინებზე მოთხოვნის მრუდი შეიძლება გადაადგილდეს მრავალი მიზეზის გამო. ეკონომიკური ბუმი ზრდის ერთგულ შემოსავალს და შესაბამისად, ბინებზე მოთხოვნას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა, მაგალითად, ემიგრაციის შედეგად, აგრეთვე ზრდის ბინებზე მოთხოვნას. ნახ. 17-6-ზე ნაჩვენებია, რომ მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილება ამაღლებს ფასების წონასწორობლ მნიშვნელობას. ნახ. 17-6-ზე ნაჩვენებია, რომ ბინებზე ფასების ზრდა აფართოებს ინვესტიციებს საბინაო მშენებლობაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნას ბინებზე, არის რეალური საპროცენტო განაკვეთი. მრავალი ადამიანი ხვსს ღებულობს მშენებარე სახლების დანერგებით მათ მშენებლობაზე ხარჯების დასაფინანსებლად; საპროცენტო განაკვეთი გვეკლინება ხვსსების დაფარვაზე გაწეულ დანახარჯებზე. თეით ის მცირე რაოდენობის ადამიანები, რომელთაც არ უწეუთ ფულის ხვსსება სახლის საყოფლად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებზე ახდენენ რეაგირებას, რადგანაც საპროცენტო განაკვეთი გვეკლინება ალტერნატიულ დანახარჯად ისეით საკუთონის გადაწყვეტისას, როგორცაა არჩევის გაკეთება საკუთარი ფულის ბინაში დაბანდებასა და მისი ბანკში განათესებას შორის. ამგვარად, საპროცენტო განაკვეთის შემცირება ზრდის მოთხოვნას ბინებზე, ბინებზე ფასს და ინვესტიციებს საბინაო მშენებლობაში.

ა. ბინების ბაზარი



ბ. ახალი ბინების მიწოდება



ნახ. 17-6 ბინებზე მოთხოვნის ზრდა. ბინებზე მოთხოვნის ზრდა, რომელიც, მაგალითად, გამოწვეულია სპროცენტო განაკვეთის შემცირებით, ამაღლებს ბინებზე ფასს და ინვესტიციებს საბინაო მშენებლობაში.

ჩანართი

რა თანხის გადახდა შევიძლიათ სახლისათვის?

როდესაც ესა თუ ის პიროვნება ღებულობს სესხს სახლის საყიდლად, ბანკი ხშირად აწესებს სესხის ზედა ზღვარს, რომლის მიღებაც შესაძლებელია. ზედა ზღვარი დამოკიდებულია ადამიანის შემოსავალზე და საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე. ტიპური მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ ვერაოს მიხედვით თვიურმა გადასახდელმა (პროცენტების გადახდამ და სესხის ძირითადი ნაწილის დაფარვამ) არ გადააჯარბოს მსესხებლის შემოსავლის 28%-ს.

ცხრილი 17-1-ში ნაჩვენებია, თუ რა გაეღენას ახდენს საპროცენტო განაკვეთი სესხების ზედა ზღვარზე. მოცემულ მაგალითში მიღებული ფლობს წლიურ შემოსავალს 30000 დოლარის ოდენობით და ითხოვს სესხს 30 წლის ვადით. ბანკი გეგმავს სტანდარტული 28%-ანი შესღუდვის გამოყენებას სესხის ოდენობაზე.

თუკი მომხმარებელი, როგორც ეს ხდება ხშირად, ეერ თავსდება ლიმიტში, მაშინ საპროცენტო განაკვეთის მცირედ ცვლილებებს შეუძლია მნიშვნელოვანი გაეღენა მოახდინოს სესხის ოდენობაზე, რომლის დახარჯვაც მას შეუძლია სახლის საყიდლად. საპროცენტო განაკვეთის 8-დან 10%-მდე ზრდა სესხის მაქსიმალურ მოცულობას ამცირებს 95368 დოლარიდან 79766 დოლარამდე - ე.ი. 16%-ით. ამგვარად, საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს ბინაზე მოთხოვნის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ბინის ფასს და ინვესტიციებს საბინაო მშენებლობაში.

ცხრილი 17-1

როგორ ამცირებს მალალი საპროცენტო განაკვეთი სესხის ოდენობას და ბინაზე მოთხოვნას

საპროცენტო განაკვეთი (%)	მაქსიმალურად შესაძლებელი სესხი (დოლ.)
5	130397
6	116754
7	105215
8	95398
9	86997
10	79766
11	73504
12	68053
13	63280
14	59078
15	55360

მიუხედავად იმისა, რომ უკრადდება ერთ მოულოდნელ ფაქტს - ბანკები აწარმოებენ გაანგარიშებას გამოძინარე ნომინალურ და არა რეალურ საპროცენტო განაკვეთიდან. სესხის მიღების ჭეშმარიტი ღირებულება სახლის ყიდვის მიზნით ვერცხვებს რეალურ საპროცენტო განაკვეთს, ვინაიდან სახლის ფასი გაიზრდება ინფლაციის

საერთო ღონის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ამ სესხების მაქსიმალური ოდენობის განგარიშების დროს ბანკები სარგებლობენ ნომინალური საპროცენტო განაკვეთით. ამ საბანკო წესების ძალით, ბინებზე დანახარჯები დამოკიდებულია რაოდენობაზე ნომინალურ, ისე რეალურ საპროცენტო განაკვეთებზე.


მაგალითი 17-2

გადასახადები, ბაემშები და საბინაო ბუმი 1970-ან წლებში აშშ-ში

XX საუკუნის 70-იანი წლების განმავლობაში აშშ განიცდიდა საბინაო მშენებლობის საერთოფორთხელ ბუმს 1970-დან 1980 წლამდე პერიოდში ახალი სახლის შეფარდებითი ფასი (განგარიშებული სამომხმარებლო ფასების ინდექსის საფუძველზე) ერთ ოჯახზე განგარიშებით გაიზარდა 30%-ით. ეკონომისტებმა ვერ შეძლეს დაესახებინათ ამ პერიოდში ბინებზე ფასების მატების ზუსტი მიზეზი, მაგრამ წამოყენებული იქნა ორი სპიოთეზა.

ერთი სპიოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ინფლაციის ზრდამ და ფედერალურ საგადასახადო კანონმდებლობაში ინფლაციური ინდექსაციის არარსებობამ გამოიწვია ბინებზე მოთხოვნის ზრდა. ფედერალური საშემოსავლო გადასახადი ფაქტორად ახდენს ბინათმფლობელობის სუბსიდირებას. პირველი, ის არ ავალდებულებს ბინათმფლობელებს გადაიხადონ გადასახადი რენტაზე საკუთარი სახლებით სარგებლობიდან და შორე, ნებას აძლევს ბინათმფლობელებს გამოიცილონ სესხებზე მათ მიერ გადასახადი პროცენტები გადასახადებით დასაბეგრი შემოსავლის თანხიდან. რამდენადაც ინფლაციის ზრდის შედეგად ნომინალური საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ინფლაციის უფრო მაღალი ღონის შემთხვევაში ამ სუბსიდიის ფასეულობაც იზრდება. 70-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფლაცია და ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რამაც გაზარდა ბინათმფლობელობიდან საგადასახადო შეღავათები.

მეორე სპიოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ 50-იანი წლების „ბუმი ბუმში“ გამოიწვია ბინებზე მოთხოვნის ზრდა 70-იან წლებში. ნახ. 17-7-ზე ნაჩვენებია დაბადებათა რიცხვი 1910 წლიდან 1990 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ დაბადებულთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ - 1945 წელს არსებული 2,86 მილ-დან 1957 წელს არსებულ მაქსიმალურ მნიშვნელობამდე - 4,30 მილ-მდე. 70-იან წლებში „ბუმი ბუმის“ ამ თაობის წარმომადგენლებმა მიაღწიეს სიმწიფეს და დაიწყეს საკუთარი საოჯახო შეურყეობების შექმნა. აბეგარად, დაიწყო ბინებზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა და გაიზარდა ფასები.



ნახ. 17-7. დაბადებულთა რიცხვი აშშ-ში დროთა განმავლობაში დაბადებულთა რაოდენობა განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს აღნიშნული დემოგრაფიული რყევები წარმოადგენს ბინებზე მოთხოვნის რყევების ერთ-ერთ მიზეზს.

17-3. ინექტიციები მარაგში

ინექტიციები მარაგში - დანახარჯების ერთ-ერთი ყველაზე მცირე კომპონენტია. რეცესიის დროს დანახარჯების შემცირების ნახევარზე მეტი ჩვეულებისამებრ დაკავშირებულია ინექტიციებთან მარაგში.

მარაგების შექმნის მიზეზები მარაგები მრავალი მიზნით გამოიყენება. ვიდრე გადავიდოდეთ მარაგებში ინექტიციების რყევების მოდელიის განხილვაზე, მანამდე ვისაუბროთ ფირმების მიერ მარაგების შექმნის ზოგიერთ მოტივებზე. მარაგების შექმნის ერთ-ერთი მიზეზია წარმოების მოცულობის რყევების შთანქმედა განვიხილოთ ფირმა, რომელიც განიცდის გაყიდვების მოცულობის დროებით მატებასა და შემცირებას.

იმის მაგივრად, რომ შეიცვალოს წარმოების მოცულობა გაყიდვების მოცულობის რყევებთან შესაბამისად, შეიძლება უფრო მომგებიანი იყოს საქონლის გარკვეული რაოდენობის სტაბილურად წარმოება. როდესაც გაყიდვების მოცულობა დაბალია, ფირმა აწარმოებს მეტს, ვიდრე ყიდის, ხოლო ჭარბი საქონელი ქმნის მარაგებს. როდესაც გაყიდვების მოცულობა მაღალია, ფირმა აწარმოებს ნაკლებს, ვიდრე ყიდის და საქონელი გამოაქვს მარაგიდან. მარაგების შექმნის ამგვარმა მოტივმა მიიღო წარმოების რყევების აღკვეთის სახელწოდება.

მარაგების შექმნის მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მან შეიძლება საშუალება მისცეს ფირმას უფრო ეფექტიანად იფუნქციონროს. მაგალითად, საცალო მაღაზიები შეძლებენ საქონლის უფრო ეფექტიანად გაყიდვას, როდესაც ისინი უშუალოდ ფლობენ მის ნაირსახეობას და წარმოდგენენ მომხმარებლებს. საწარმოო ფირმებს გაჩინიან სათადარიგო ნაწილების გარკვეული რაოდენობები, რათა შეამცირონ სააწარმოო ხაზის მოცდენის დრო მოწყობილობის დაზიანების გამო. გარკვეული აზრით, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ *მარაგები*, როგორც წარმოების ფაქტორი: რაც უფრო მეტ მარაგებს განაქარავს ფირმა, მით უფრო მეტი რაოდენობის შუა პროდუქციის წარმოება შეუძლია მას.

მარაგების წარმოქმნის მესამე მიზეზი – ეს არის საქონლის უკმარისობიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა მოვლენილიად დიდი მოცულობის გაყიდვების შემთხვევაში. ფირმებს ხშირად უწევთ მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც ეხება წარმოებას ისე, რომ არ იცინა რა მოცულობის იქნება მოთხოვნა. მაგალითად, გამომცემელი ლეზულობს გადაწყვეტილებას ახალი წიგნის თუ რა რაოდენობის ეგზემპლარი გამოსცეს ისე, რომ არ იცინა თუ არის ის პოპულარული. თუკი მოთხოვნა გადააჭრბებს წარმოების მოცულობას, მაშინ გარკვეული დროის განმავლობაში საქონელი აღარ იარსებებს და ფირმა დაქარავს გაყიდვის შესაძლებლობას და მოგებას. მარაგების არსებობამ შეიძლება არ დაუშუას ყოველივე ეს. ამ მოტივმა მიიღო *მარაგების ამოწურვისგან დაცვის* სახელწოდება.

მარაგების შექმნის ჩოთხე მოტივი ნაკარნახევია თვით წარმოების პროცესით. მრავალი საქონელი გათივის წარმოების რამდენიმე ეტაპს, ამიტომ მათ დამზადებაზე გადის გარკვეული დრო. როდესაც საქონლის წარმოება არ დასრულებულა, მისი კომპონენტები გაითვალისწინება, როგორც ფირმის მარაგების ნაწილი. მარაგების ამ სახემ მიიღო *დაუმთავრებელი წარმოების* სახელწოდება.

მაგალითი 17-3

სეზონური რყევები და წარმოების რყევების აღმოფხვრა

მარაგების ალტერნატიული თორიების გადამოწმების დროს ეკონომისტებმა გამოიკვლიეს წარმოებაზე, გაყიდვებზე და მარაგებზე მონაცემები. ამ გამოკვლევებთა მიზანი იყო პასუხი გაცვა კითხვაზე, წარმოების მოცულობის რყევების აღმოფხვრის თორია ნამდვილად აღწერს თუ არა ფირმის ქცევას. მრავალი ეკონომისტიც მოლოდინისგან განსხვავებით, მონაცემთა დიდმა ნაწილმა აჩვენა, რომ ფირმები წარმოების მოცულობის რყევების აღმოსაფხვრელად, ჩვეულებრივ, მარაგებით არ სარგებლობენ.

ყველაზე ნათელი მაგალითობი, რომლებიც მოწმობენ ამ კონცეფციის საწინააღმდეგოდ, შეიძლება ვიყოთ მოთხოვნის სეზონური რყევების მქონე დარგებში. მრავალ დარგში წლის განმავლობაში რვეულარლად ხდება გაყიდვების მოცულობის რყეები. მაგალითად, საბავშუო სათამაშოების დიდი ნაწილი ყიდება დეკემბერში და არა იანვარში. შეიძლება ველოდოთ, რომ გაყიდვების დაბალი მოცულობის პერიოდებში ფირმები ქმნიან მარაგებს და მათ ხარკვებ გაყიდვების მაღალი მოცულობის პერიოდებში.

ამასთან, უმრავლეს დარგებში წლის განმავლობაში ფირმები არ სარგებლობენ მარაგებით წარმოების მოცულობის შთანქმის მიზნით. პირიქით, წარმოების სეზონური რყევები მჭიდროდაა დაკავშირებული გაყიდვების მოცულობის სეზონურ რყევებთან. ეს მონაცემები მოწმობენ იმას, რომ უმრავლეს დარგებში ფირმები ვერ ხელავენ რაიმე აზრს წარმოების რყევების აღმოფხვრაში.

მარაგების აქსელერატორის მოდელი

რამდენადაც მარაგების შექმნის მიზეზი მრავალია, ეკონომისტებმა შეიმუშავეს მარაგებში ინვესტიციების მრავალგვარი მოდელი. *აქსელერატორის მოდელი* – მარტივი მოდელია, რომელიც არ ეყრდნობა მარაგების შექმნის მხოლოდ და მხოლოდ ერთ მოტივს და საკმაოდ კარგად განმარტავს სტატიტიკურ მონაცემებს. ეს მოდელი შეიქმნა დაახლოებით 60 წლის წინათ და გამოყენებული იქნა ინვესტიციების სხვადასხვა სახეების გასანალიზებლად. ჩვენ მას გამოუყენებთ სანეკესტიკო დანახარჯების იმ კომპონენტისათვის, რომელსაც ყველაზე მეტად შეუფერება – მარაგებში ინვესტიციებს.

მარაგების აქსელერატორის მოდელი გულისხმობს, რომ ფირმა ფლობს მარაგებს, რომელიც მისი გამოშვების მოცულობის პროპორციულია. ამგვარად, თუკი N – მარაგების დონეა, ხოლო Y – წარმოების მოცულობის, მაშინ

$$N = \beta Y,$$

სადაც β - პარამეტრია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის მარაგების ქონა სურს ფირმას წარმოების მოცულობის ერთეულზე. არსებობს მარაგების მოცულობის ამგვარი განმარტების მრავალი მიზეზი. გამოშვების დიდი მოცულობის დროს საწარმოო ფირმებს უკუოვლებათ მეტი მასალა შემდგომი გამოყენებისათვის და მეტი პროდუქცია იმყოფება დაუმთავრებელი წარმოების სტადიაში. როდესაც ეკონომიკა აღმავლობას განიცდის, საცალო ვაჭრობის საწარმოები შეიძლება თავის სადემონსტრაციოდ უპირატესობას ანიჭებენ თაობაზე მეტი საქონლის ქონას.

ინვესტიციები მარაგში I ტოლია მარაგების მოცულობის ცვლილებისა - ΔN . ამგვარად,

$$I = \Delta N = \beta \Delta Y.$$


აქსელერატორის მოდელიდან გამომდინარეობს, რომ ინვესტიციები მარაგში წარმოების მოცულობის ცვლილების პროპორციულია. წარმოების მოცულობის ზრდის შემთხვევაში ფირმებს სურთ მარაგების ზრდა და ისინი ახორციელებენ საჭირო ინვესტიციებს, ხოლო შემცირების შემთხვევაში ფირმებს სურთ მარაგების შემცირება და ისინი ინვესტიციებს არ ახორციელებენ - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იწყებენ მარაგების შემცირებას.

ასლა უკვე ნათელია, თუ საიდან მიიღო მოდელმა თავისი სახელწოდება. რამდენადაც Y ცვლილი არის სინქარგი, რა სინქარითაც ფირმები აწარმოებენ საქონლებს³, მაშინ ΔY - იქნება წარმოების „დაქარბვა“. ამგვარად, მოდელიდან გამომდინარეობს, რომ მარაგებში ინვესტიციები დამოკიდებულია იმაზე, რქარბება თუ ყოფნდება ეკონომიკის განვითარება.

მაგალითი 17-4

ფაქტები აქსელერატორის მოდელის სასარგებლოდ

იშისათვის, რომ დაერწმუნოთ, რამდენად კარგად შეესაბამება აქსელერატორის მოდელი არსებულ მონაცემებს, განვიხილოთ ნახ. 17-8. გრაფიკი შედგენილია აშშ-ს ეროვნული ანგარიშების ყოველწლიური მონაცემების საფუძველზე. კორიზოტალურ ღერძზე მოცემულია რეალური შშპ-ის ცვლილებები, ვერტიკალური ღერძზე - მარაგებში რეალური ინვესტიციები.



ნახ. 17-8. ფაქტები აქსელერატორის მოდელის სასარგებლოდ. გრაფიკიდან ჩანს, რომ ინვესტიციები მარაგში მაღალი იყო იმ წლებში, როდესაც იზრდებოდა რეალური შშპ, ხოლო დაბალი - იმ წლებში, როდესაც რეალური შშპ მცირდებოდა.

დადებითი კეფური შშპ-ის ცვლილებებსა და მარაგებში ინვესტიციებს შორის მოწმობენ იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომელიც გამოთქმულია აქსელერატორის მოდელის საფუძველზე. ხაზი, რომელიც გაიღებულა აღნიშნულ წერტილებს შორის, შეესაბამება ტოლობას

$$I = 0,24Y.$$

შშ-ს ყოველი ერთი დოლარით ნაზრდზე მოდის მარაგებში 20 ცენტის ოდენობის ინვესტიციები.

³ გაიხსენოთ, რომ Y მაჩვენებლის ზომა - ეს არის წარმოების მოცულობა დროის ერთეულში ამიტომ, წარმოების მოცულობა Y -ის ინტერპრეტაცია შეიძლება, როგორც პროდუქციის წარმოების სინქარგი, რომელიც იზომება (აღლობით (ლაბრით) წელიწადში (დღეში, თვეში, ათწლეულში).

მარაგები და რეალური საპროცენტო განაკვეთი როგორც ინვესტიციის სხვა შემადგენელი ნაწილები, ინვესტიციები მარაგშიც დამოკიდებულია რეალურ საპროცენტო განაკვეთზე. როდესაც ფირმას გააჩნია საჭიროების მარაგი და მას ყიდის არა დღეს, არამედ ხელა, მაშინ ის უარს ამბობს პროცენტებზე, რომლის მიღებაც შეუძლო. ამგვარად, რეალური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს მარაგების შენახვის ალტერნატიულ დანახარჯებს.

რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდის შემთხვევაში მარაგების შენახვა უფრო ძვირადღირებული ხდება, ამიტომ რაციონალურად მოქმედი ფირმები ისწრაფვიან შეამცირონ თავიანთი მარაგები. ამგვარად, რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს მარაგების ინვესტიციების შემცირებას. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იან წლებში მრავალმა ფირმამ გადადგა ნაბიჯი მარაგების შემცირებისკენ, როდესაც მიმართეს საქონლის წარმოებას ზუსტად გაყიდვის მომენტის წინ. რეალური საპროცენტო განაკვეთის მაღალი მნიშვნელობა, რომელიც ბატონობდა აღნიშნულ ათწლეულში, საქმიანი სტრატეგიის შეცვლის ერთ-ერთ შესაძლო ახსნად შეიძლება ჩაითვალოს.

17-4. დასკვნა

ამ თავის მიზანი იყო უფრო დაწერილებით გამოგვექვლია ინვესტიციების მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ინვესტიციების სხვადასხვა მოდელის განხილვისას აუცილებელია სამი მომენტის აღნიშვნა.

პირველი, ვნახეთ, რომ ყველა სახის ინვესტიციის სიდიდე იმყოფება უკუდამოკიდებულებაში რეალურ საპროცენტო განაკვეთთან. უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ზრდის ფირმისათვის კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს, რომელიც ახდენს ინვესტირებას ძირითად საწარმოო ფონდებში, ზრდის სესხის მიღებაც დანახარჯებს ახალი სახლების მყიდველებისათვის და ზრდის მარაგების შენახვის დანახარჯებს: ამგვარად, მოცემულ თავში განხილული მოდელი ადასტურებს ინვესტიციის იმ ფუნქციას, რომლითაც აქამდე ესარგებლობით.

მეორე, გავანალიზეთ ინვესტიციის ფუნქციის გადაადგილების მიზეზები. ტექნოლოგიური პროგრესი ზრდის კაპიტალის ზღვრულ პროდუქტს და ინვესტიციებს საწარმოო ძირითად ფონდებში. მოსახლეობის ზრდა, თავის მხრივ, ზრდის მოთხოვნას ბინებზე და შესაბამისად - ინვესტიციებს საბინაო მშენებლობაში. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, როგორიცაა საინფლაციო სავალდებულო კრედიტის და კორპორაციის მოგებაზე გადასახადის ცვლილება, გააუმჯობესებს ინვესტიციებისადმი სტიმულებზე და ამგვარად, გადაადგილებს ინვესტიციის ფუნქციის გრაფიკს.

შესაბამისად, გავერკვიოთ იმაში, თუ რატომ განიცდის ინვესტიციები ესოდენ მნიშვნელოვან ცვლილებებს ეკონომიკური ციკლის განმავლობაში: ინვესტიციებზე დანახარჯები დამოკიდებულია არა მარტო საპროცენტო განაკვეთზე, არამედ ეკონომიკაში წარმოების მოცულობაზე. საწარმოო ძირითად ფონდებში ინვესტიციების ნეოკლასიკურ მოდელში დასაქმების უფრო მაღალი დონე იწვევს კაპიტალის ზღვრული პროდუქტის ზრდას და ამგვარად, ამაღლებს ინვესტიციების განხორციელებისადმი სტიმულებს. უფრო მაღალი შემოსავალი იწვევს მოთხოვნის ზრდას საცხოვრებელ სახლებზე, რაც ამაღლებს მათ ფასსა და მათში ინვესტიციების მოცულობას. წარმოების მოცულობის უფრო მაღალი დონე აფართოებს ფირმისთვის სასურველი მარაგების მოცულობას და ამგვარად, ასტიმულირებს ინვესტიციებს მარაგში. როგორც ჩვენი მოდელიდან გამომდინარეობს, ეკონომიკური აღმავლობა განაპირობებს ინვესტიციების სტიმულირებას, ხოლო ეკარდნა - მის დაზღვევას. რეალურ ცხოვრებაშიც სწორედ ასე ხდება.

ძირითადი დასკვნები

1. კაპიტალის ზღვრული პროდუქტი განსაზღვრავს მის რეალურ ფასს. რეალური საპროცენტო განაკვეთი, ამორტიზაციის ნორმა და საინვესტიციო საქონლის შეფარდებითი ფასი განსაზღვრავს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს. ნეოკლასიკური მოდელის შესაბამისად, ფირმები ახორციელებენ ინვესტიციებს, თუკი კაპიტალის არენდის ფასი აჭარბებს კაპიტალის ერთეულზე დანახარჯებს და ზღუდვად ინვესტიციებს, თუკი არენდის ფასი ნაკლებია, ვიდრე კაპიტალის ერთეულზე დანახარჯების სიდიდე.

2. სახელმწიფო სავალდებულო კანონმდებლობას შეუძლია გააუმჯობესოს მარაგის ინვესტიციების განხორციელებისადმი სტიმულებზე. კორპორაციის მოგებაზე გადასახადი აყვარებს ინვესტიციებს, ხოლო საინვესტიციო სავალდებულო კრედიტი ასტიმულირებს მას.

3. ნეოკლასიკური მოდელის წარმოდგენის ალტერნატიული ხერხია მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ინვესტიციები დამოკიდებულია ტობინის q მაჩვენებელზე, რომელიც დამონტაჟებული კაპიტალის საბაზრო ღირებულებების მის აღდგენით ღირებულებასთან თანაფარდობაა. ეს თანაფარდობა ასახავს კაპიტალის მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელ მოგებიანობას.

4. ნეოკლასიკური მოდელის დაშვებისგან განსხვავებით, სინამდვილეში ფირმებს ყოველთვის არ ძალუთ მოიძიონ საშუალებები ინვესტიციების განახორციელებლად. დაფინანსების შესუღდევები ინვესტიციების სიდიდეს დამოკიდებულს ხდის ფირმების შემოსავლებზე.

5. ინვესტიციები ბინებში დამოკიდებულია ბინების შეფარდებით ფასებზე. ბინებზე ფასები კი, თავის მხრივ, ყვალბდებდა შესაბამის ბაზარზე მოთხოვნისა და ფიცსორებული მიწოდების ზემოქმედებით. ბინებზე მოთხოვნის ზრდა, მაგალითად, საპროცენტო განაკეთის შემცირების შედეგად, ზრდის ბინებზე ფასებს და იწვევს საბინაო მშენებლობაში ინვესტიციების ზრდას.

6. არსებობს მრავალი ფაქტორი, რომლებიც ასტიმულირებს ფირმებს შექმნან საქონლის მარაგ: წარმოების მოცულობის რყევების შთანთქმა; მარაგების, როგორც წარმოების ფაქტორების გამოყენება; მარაგების ამოწურვისგან დაცვა და წარმოების უწყვეტობის შენარჩუნება. მარაგების ერთერთი მოდელი, რომელიც კარგად ითვალისწინებს მარაგების წარმოქმნის ყველა მოტივს – არის აქსელერატორის მოდელი, რომლის თანახმადაც მარაგების მოცულობა მშპ-ს პროპორციულია. მისგან გამომდინარეობს, რომ ინვესტიციები მარაგში დამოკიდებულია მშპ-ს ცვლილებებზე.

ბირთაი ცნაბაი

ინვესტიციები საწარმოს ბირთად ფონდებში
 ინვესტიციები საბინაო მშენებლობაში
 ინვესტიციები მარაგში
 ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი
 ამორტიზაცია
 კაპიტალის ვრთუელზე რვალური დანახარები
 წმინდა ინვესტიციები
 კორპორაციის მოგებაზე გადასახადი
 საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი
 ფასიანი კვალდების ბაზარი
 ტობინის q მაჩვენებელი
 დაფინანსების შესუღდევები
 წარმოების რყევების აღმოფხვრა
 მარაგები, როგორც წარმოების ფაქტორები
 მარაგების ამოწურვისგან დაცვევა
 დამთავრებელი წარმოება
 აქსელერატორის მოდელი

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н.Г.Мэнкью, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, გვ. 637-664
2. Сакс Дж.Д., Ларрენ Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, გვ. 143-177
3. Элюрю Абель, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, გვ. 174-225
4. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002, გვ. 103-133
5. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999, გვ. 122-169
6. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, გვ. 461-490
7. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, გვ. 341-354

თავი 18. ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა

მაკროეკონომიკურ ანალიზში ფულის მიწოდებას და ფულზე მოთხოვნას ცენტრალური ადგილი ეთმობა. მე-9 თავში განვიხილეთ ფულის არსი და ფულის მიწოდების გავლენა ფასების დონეზე და საპროცენტო განაკვეთზე გრძელვადიანი პერიოდისათვის მოქნილი ფასების შემთხვევაში. მე-9 და მე-10 თავებში ნაწილები იქნა, რომ ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა IS-LM მოდელის საკუთარ მიზეზებზეა პერიოდისათვის ხისტი ფასების შემთხვევაში.

მოცემულ თავში ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა განიხილება უფრო დაწვრილებით. აქვე ნაწილებია, რომ ფულადი მასის ფორმირებაში განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის საბანკო სისტემას. განახილულია ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომლის ძალითაც ცენტრალური ბანკი ახდენს ფულის მიწოდების რეგულირებას. აგრეთვე გაანალიზებულია ფაქტორები, რომლებზეც დამოკიდებულია ფულზე მოთხოვნა და ის, თუ როგორ დებულებები გადაწყვეტილებას ეკონომიკური აგენტები გარკვეული სიდიდის ფულადი საშუალებების მარაგების ფლობის მიმართ.

18-1. ფულის მიწოდება

„ფულის მიწოდების“ ცნება პირველად შემოღებული იქნა მე-9 თავში ყველაზე გამარტივებულ ფორმით და განმსაზღვრა, როგორც მოსახლეობის ხელთ არსებული ფულის რაოდენობა. აქვე დაეწყო, რომ ცენტრალური ბანკი ახდენს ფულის მიწოდების რეგულირებას მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ზრდისა და შემცირების ღია ბაზარზე ოპერაციების დახმარებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი განმარტება არ იძლევა ფულის ბაზარზე ამოწურავ წარმოდგენას, ვინაიდან არ ითვალისწინებს საბანკო სისტემის როლს. ამჯერად, საჭიროა ყოველივე ეს უფრო დაწვრილებით აესხნათ.

მოცემულ პარაგრაფში ნაწილებია, რომ ფულის მიწოდება დამოკიდებულია არა მარტო ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე, არამედ კერძო პირების – ფულის მფლობელთა ქცევაზე და ბანკების პოლიტიკაზე, სადაც ინახება ფული. უპირველეს ყოვლისა, გავისხნოთ, რომ ფული მოიცავს როგორც მოსახლეობის ხელთ არსებულ, ასევე საბანკო ანგარიშებზე (შავალითად, მიმდინარე ანგარიშებზე) არსებულ საშუალებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას გარიგებების დადებისას. დაეწყო, M – ფულის მიწოდებაა, C – ნაღდი ფული, D – მიმდინარე ანგარიშებზე არსებული თანხა. მაშინ

ფულის მიწოდება	ნაღდი ფული	მიმდინარე ანგარიშზე თანხის ჯამი
M	C	D

იმისათვის, რომ გამოავლინოთ ფულის მიწოდების განმსაზღვრელი ფაქტორები, აუცილებელია ვიცოდეთ ნაღდი ფულსა და მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ საშუალებებს შორის ურთიერთქმედების მექანიზმი, აგრეთვე თითოეულ ამ კომპონენტებზე ცენტრალური ბანკის პოლიტიკის გავლენა.

100%-იანი საბანკო დარეზერვება

წარმოვიდგინოთ, რომ ბანკები არ არსებობენ. მაშინ ფული იარსებებს მხოლოდ ნაღდი ფორმით და მათი ჯამი დაიყვანება მოსახლეობის ხელთ არსებული ფულის რაოდენობამდე. ჩვენს ქვეყნის მიზნისთვის დაეწყო, რომ ეკონომიკაში მიმოქცევა 1000 ლარი.

ახლა შემოვიღოთ ბანკი. თავდაპირველად დაეწყო, რომ ისინი დებულებებს ანაბრებს, მაგრამ კრედიტებს არ გასცემენ. საშუალებათა ჯამს, რომელიც შეტანილია საბანკო ანგარიშებზე და არ არის გაცემული კრედიტების სახით, რეზერვები ეწოდება. მათი დიდი ნაწილი თავმოყრილია ცენტრალურ ბანკებში, ისეთებში, როგორცაა ფედერალური სარეზერვო სისტემა, ინგლისის ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი და ა.შ. და მათი მხოლოდ გარკვეული ნაწილი ინახება ადგილობრივ ბანკებში. ჩვენს პიპოთეზურ შემთხვევაში ყველა ანაბარი გადაიყვანება რეზერვებში: ბანკები მათ ათავსებენ იქ სრული მოცულობით და გამოაქვთ მაშინ, როდესაც მეანაბრე ხსნის ფულს ანგარიშთან ან ახდენს ჩეკებით ანაზღაურებას. ასეთ სისტემას ეწოდება 100%-იანი საბანკო დარეზერვება.

დაეწყო, რომ ეკონომიკის მასშტაბით მიმოქცევაში არსებული ყველა ფული (1000 ლარი) მოსახლეობამ შეიტანა ანგარიშზე პირველ ბანკში. ნახ. 18-1-ზე წარმოდგენილია მისი ბალანსი – აქტივებისა და პასივების თანაფარდობა. აქტივები ინახება რეზერვებში და შეადგენს 1000 ლარს, ბანკის პასივიც აგრეთვე შეადგენს 1000 ლარს და წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას მეანარის

წინაშე. რეალურად, არსებულისაგან განსხვავებით, მოცემული ბანკი არ გასცემს კრედიტებს და არც დეპოზიტებს მოგებას თავისი აქტივებიდან. ის შესაძლოა დეპოზიტებს საკუთარი კლიენტისაგან მხოლოდ მცირედ ანაზღაურებს მის მიერ გაწეული ხარჯების დასაფარავად. შედარების დაინტერესება განპირობებულია იმით, რომ ფულის ბანკში შენახვა უფრო საიმედოა, ვიდრე „მუთაქაბში“.

პირველი ბანკის ბალანსი

აქტივი	პასივი
რეზერვები - 1000 ლარი	დეპოზიტები - 1000 ლარი

ნახ. 18-1. საბანკო ბალანსი 100%-იანი დარეზერვების დროს. ბანკის ბალანში ასახულია მისი აქტივები და პასივები. 100%-ანი დარეზერვების დროს ანაბრები მთლიანად იჩუოება რეზერვში.

როგორია ფულის მიწოდება ეკონომიკაში? პირველი ბანკის შექმნამდე ეკონომიკაში იყო 1000 ლარის ნაღდი ფული. მისი შექმნის შემდგომ ფულის რაოდენობამ შეადგინა 1000 ლარი მიმდინარე ანგარიშზე. ანაბრების ყოველი 1 ლარის ნაზრდი შესაბამეა ნაღდი ფულის თანხის 1 ლარით შემცირებას. თუკი ბანკები რეზერვში ათავსებენ ანაბრების 100%-ს, მაშინ საბანკო სისტემა ფულის მიწოდებაზე გავლენას ვერ ახდენს.

ნაწილობრივი საბანკო დარეზერვება

ახლა დაუეშვათ, რომ საბანკო ანგარიშიდან საშუალებათა ნაწილი მიემართება დაკრედიტებაზე - მაგალითად, ეძლევა ოჯახებს ბინების საყიდლად ან საწარმოებს ძირითად საწარმოო ფონდებში საინვესტიციოდ. ანაბრების მოთხოვნის შემთხვევისათვის ბანკს ყოველთვის ესაჭიროება გარკვეული რეზერვი. მაგარამ, რადგანაც ახალი ანაბრების შემოდინება ჩვეულებრივ ტოლია ანგარიშიდან მოხსნილი საშუალებების მოცულობისა, 100%-იანი დარეზერვების მიმართ საჭიროება ქრება. ამგვარად, ბანკს უჩინდება დაინტერესება კრედიტების შეთავაზებაში. ამ დროს რეზერვებში მიემართება ანაბრების მხოლოდ გარკვეული ნაწილი. ასეთ სისტემას ეწოდება ნაწილობრივი საბანკო დარეზერვება.

ნახ. 18-2ა-ზე წარმოდგენილია პირველი ბანკის ბალანსი კრედიტების გაცემის შემდგომ. დაეუშვათ, რომ რეზერვებში განთავსებული ანაბრების წილი (დეპოზიტების დარეზერვების) ანუ სარეზერვო ნორმა შეადგენს 20%-ს. მაშინ, ანგარიშზე არსებული 1000 ლარიდან, ბანკი 200 ლარს იკავებს რეზერვში, ხოლო დანარჩენ 800 ლარს გასცემს კრედიტების სახით.

პირველი ბანკის ბალანსი

აქტივი	პასივი
რეზერვები - 200 ლარი ბაცემული კრედიტები - 800 ლარი	დეპოზიტები - 1000 ლარი

ნახ. 18-2. საბანკო ბალანსები ნაწილობრივი საბანკო დარეზერვების დროს. 1000 ლარის ოდენობის რეზერვი უზრუნველყოფს ანაბრების მოცულობის ნაზრდს გაცილებით მეტი სიღლით. ამგვარად, ნაწილობრივი დარეზერვების დროს ბანკები უაქტიუოდ ქნანა ფულს.

ბ. პირველი ბანკის ბალანსი

აქტივი	პასივი
რეზერვები - 160 ლარი ბაცემული კრედიტები - 640 ლარი	დეპოზიტები - 800 ლარი

გ. პირველი ბანკის ბალანსი

აქტივი	პასივი
რეზერვები - 128 ლარი ბაცემული კრედიტები - 512 ლარი	დეპოზიტები - 640 ლარი

მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ კრედიტის გაცემით პირველი ბანკი ზრდის ფულის მიწოდებას 800 ლარით. აქამდე ის შეესაბამებოდა ანაბრებს პირველ ბანკში და შეადგენდა 1000 ლარს. პირველი ბანკის კლიენტის მიმართ კრედიტის გაცემის შემდეგ ფულის მიწოდება შეადგინა 1800 ლარი: მუანაბრებს უწინდებურად გააჩნიათ 1000 ლარი მიმდინარე ანგარიშზე და კიდევ 800 ლარი ხელთ აქვთ ნაღდი სახით მსესხებლებს. აბგაარად, ნაწილობრივი საბანკო დარეზერვების სისტემის დროს ბანკები ქმნიან ფულს.

პირველი ბანკის ოპერაციებით საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის პროცესი არ სრულდება ის ვრცელდება, თუკი მსესხებელი (ან სხვა პირი, რომელიც მიხან მიიღებს ფულს ანგარიშზე სხვა რამის ასანაწარგებლად) შეირჩება მიღებულ 800 ლარს სხვა ბანკში ანგარიშზე ნახ. 18-28-ზე წარმოდგენილია მეორე ბანკის ბალანსი. მიიღებს რა ანაბარს 800 ლარის ოდენობით, ბანკი 20%-ს (160 ლარი) ათავებს რეზერვში და გასცემს კრედიტს 640 ლარის ოდენობით. აბგაარად, ის კიდევ ქმნის ფულს - 640 ლარს. თუკი შემდგომ, აღნიშნული 640 ლარი განთავსდება მესამე ბანკში, მაშინ ის 128 ლარს (20%) განათავსებს რეზერვში და შეძლებს 512 ლარის ოდენობის კრედიტის გაცემას ყოველი ახალი ანაბარი და ახალი კრედიტი განაპირობებს ფულადი მასის ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ფულის შექმნის ამ პროცესში მონაწილეობს ბანკების უსასრულო რაოდენობა, ფულის მიწოდების ზრდა უზარდვრო სულაც არ არის. დაეუშვათ, π - დეკოზიტების დარეზერვების ნორმაა. ჩვენს მაგალითში იმ 0,2-ის ტოლია. მაშინ, თუ თავდაპირველი ანაბრის თანხა 1000 ლარის ტოლია, მაშინ ფულის რაოდენობა გაიზრდება შემდეგი თანხით:

$$\begin{aligned} \text{თავდაპირველი ანაბრის თანხა} &= 1000 \text{ ლარი} \\ \text{პირველი ბანკის კრედიტის მოცულობა} &= (1-\pi) \times 1000 \text{ ლარი} \\ \text{მეორე ბანკის კრედიტის მოცულობა} &= (1-\pi)^2 \times 1000 \text{ ლარი} \\ \text{მესამე ბანკის კრედიტის მოცულობა} &= (1-\pi)^3 \times 1000 \text{ ლარი} \end{aligned}$$

$$\text{ფულის მიწოდება} = [1 + (1-\pi) + (1-\pi)^2 + (1-\pi)^3 + \dots] \times 1000 \text{ ლარი} = (1/\pi) \times 1000 \text{ ლარი.}$$

მაშასადამე, რეზერვები განთავსებული ყოველი 1 ლარი ქმნის ახალ ფულს (1/π) ლარის ოდენობით. ჩვენს მაგალითში, π=0,2 და 1000 ლარის თავდაპირველ ანაბარს შეესაბამება 5000 ლარის ოდენობის ფულადი მასა!

ძირითადად, ფულის შექმნის უნარი განასხეაუებს ბანკებს სხვა ფინანსური დაწესებულებებსა გან. როგორც მე-3 თავში აღვნიშნეთ, ფინანსური ბაზრის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მდგომარეობს რესურსების გადანაწილებაში იმ პირებიდან, რომლებიც თავიანთი შემოსავლების ნაწილს გადაუდებს მომავლისთვის, იმ პირებზე და საწარმოებზე, რომელთაც ჭირდებათ კრედიტები წარმოების გასაფართოებლად. ამ პროცესს *ფინანსური შეამელოება* ეწოდება. მასში მონაწილეობენ სხვადასხვა ეკონომიკური ინსტიტუტები: ყველაზე მნიშვნელოვანს როლს თამაშობს საფინანსო ბირჟა, აბტილაციების ბაზარი და საბანკო სისტემა. მაგრამ მხოლოდ ბანკებია უფლებამოსილი შექმნან აქტივები, რომლებიც ფულის მიწოდების ნაწილია (მაგალითად, მიმდინარე ანგარიშების გახსნით). ფინანსური ინსტიტუტებიდან მხოლოდ ისინი ზემოქმედებენ უშუალოდ ფულის მიწოდებაზე.

მხედველობაში უნდა ექონიოთ, რომ ბანკების მიერ ფულის შექმნა ნაწილობრივი დარეზერვების დროს არ ნიშნავს ახალი მატერიული ფასეულობის შექმნას. მიმართავს რა რეზერვების ნაწილს კრედიტების გასაცემად, ბანკები მსესხებლებს საშუალებას აძლევს განახორციელონ გარიგებები და ამით განაპირობებენ ფულადი საშუალებების მიწოდების ზრდას. მაგრამ ამ დროს მსესხებელი არ ხდება უფრო მდიდარი, ვინაიდან, ღებულობს რა სესხს, ის ღებულობს აგრეთვე საუალო ვალდებულებას საკუთარ თავზე ბანკის წინაშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულადი საშუალებების შექმნას საბანკო ოპერაციების შედეგად მიეყვართ მხოლოდ ლიკვიდურობის ამაღლება და არა ეროვნული სიმდიდრის ზრდამდე.

ფულის მიწოდების მოდელი

შევისწავლოთ რა ბანკების როლი ფულის შექმნაში, შეიძლება უფრო დაწვრილებით განვიხილოთ მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. აქ მოყვანილია ფულის მიწოდების მოდელი ნაწილობრივი საბანკო დარეზერვების დროს. მასში შევის სამი ეკონომიკური ცვალები.

ფულადი ბაზა B - მოსახლეობის ხელთ არსებული ნაღდი ფულის C და ბანკების რეზერვები B არსებული ფულის ნიშნების R ჯამი. ის უშუალოდ კონტროლდება ცენტრალური ბანკის მიერ.

¹ *მათემატიკური შენიშვნა*. ურდის ერთობლივი მიწოდების გაანგარიშების ბოლო ეტაპი ეფუძნება უსასრულოდ კლებად ვეომეტრიული პროგრესიის ალგებრულ ჯამს. ამის შესაბამისად, თუკი X განიწიდა 0-დან 1-დე მნიშვნელობა, მაშინ $1 + x + x^2 + x^3 + \dots = 1/(1-x)$, ჩვენს შემთხვევაში $x = (1-\pi)$.

დეპოზიტების დარეზერვების ნორმა rr – საბანკო ანაბრების წილი, რომელიც განთავსებულია რეზერვებში. ის განისაზღვრება ბანკების ეკონომიკური პოლიტიკით და მათი მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

ფულის დეპონირების კოეფიციენტი cr – გეივინებს ნაღდ ფულსა C და მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ საშუალებებს D შორის ფულადი საშუალებების განაწილების თაობაზე მოსახლეობის პრეფერენციას.

მოცემული მოდელი გეივინებს ფულის მიწოდების დამოკიდებულებას ფულად ბაზაზე, დეპოზიტების დარეზერვების ნორმაზე და დეპონირების კოეფიციენტზე. ის საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ფულის მიწოდებაზე ცენტრალური ბანკის პოლიტიკის, აგრეთვე ბანკებისა და კერძო პირების გადაწყვეტილების სემოქმედების შექანისზე.

უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ ფულის მიწოდება:

$$M = C + D.$$

შემდეგ, დეპონირების კოეფიციენტის cr დახმარებით, რომელიც გამოსატყვის ნაღდი ფულის თანხის ანაბრების მოცულობაზე დამოკიდებულებას, გამოეთვალეთ ნაღდი ფულის თანხა:

$$C = cr \times D.$$

თუკი ამ გამოსახულებას ჩავსვამთ პირველ ტოლობაში, მივიღებთ:

$$M = (cr \times D) + D = (cr + 1) \times D.$$

აქედან ვღებულობთ:

$$D = \frac{M}{cr + 1}.$$

როგორც ამ ტოლობიდან ჩანს, მიმდინარე ანგარიშებზე ფულის რაოდენობა პროპორციულია ფულის მიწოდებისა.

გაეიხსენოთ, რომ განსაზღვრების თანახმად, ფულადი ბაზა ტოლია ნაღდი ფულისა და რეზერვების ჯამისა:

$$B = C + R.$$

დეპოზიტების დარეზერვების ნორმის r (ანაბრების წილი, რომლებიც განთავსებულია რეზერვებში) დახმარებით შეიძლება გამოეთვალეთ რეზერვების მოცულობა:

$$R = r \times D.$$

თუკი ამ გამოსახულებას და აგრეთვე ნაღდი ფულის ტოლობას ჩავსვამთ ფულადი ბაზის გაანგარიშების ტოლობაში, მივიღებთ

$$B = (cr \times D) + (r \times D) = (cr + r) \times D.$$

აქედან გამომდინარე:

$$D = \frac{B}{cr + r}.$$

მოცემული ტოლობა გეივინებს, რომ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული საშუალებების ჯამი პროპორციულია ფულადი ბაზისა.

ფულის მიწოდების პონა შეიძლება მიმდინარე ანგარიშების ჯამის გაანგარიშების ორი ტოლობის დახმარებით:

$$\frac{M}{cr + 1} = D = \frac{B}{cr + r}.$$

შესაბამისად,

$$M = \frac{cr + 1}{cr + r} \times B.$$

ამ ტოლობიდან გამოზღინარეობს, რომ ფულის მიწოდება წარმოადგენს სამი ეგზოგენური ცვლადის ფუნქციას: გავისხენით, რომ ამ დროს ის ფულადი ბაზის პროპორციულია. აღენიშნოთ პროპორციულობის კოეფიციენტი $(cr+1)/(cr+r)$ ან ასოთი და მას ეწოდოთ *ფულადი მულტიპლიკატორი*:

$$M = m \times B.$$

ფულადი ბაზის ყოველი ლარის ნაზრდზე მოდის ფულის მიწოდების ნაზრდის m ლარი. ფულად ბაზას, რომელიც ფულის ფულის მიწოდებაზე მულტიპლიკატორული ზემოქმედების თვისებას, ხშირად *გაძლიარებული აქტივობის ფულს* უწოდებენ.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ვთქვათ, ფულადი ბაზა B შეადგენს 500 მლნ ლარს, დარეზერვების ნორმა r ტოლია იყო 0,1-ის, ხოლო დეპონირების კოეფიციენტი $cr = 0,5$. ამ შემთხვევაში, ფულადი მულტიპლიკატორი ტოლია

$$m = \frac{0,5 + 1}{0,5 + 0,1} = 2,5.$$

ფულის მიწოდება კი შეადგენს

$$M = 2,5 \times 500 = 1250.$$

რამდენადაც ფულადი ბაზის ყოველ ლარზე მოდის ფულის საერთო რაოდენობის 2,5 ლარი, ფულის მიწოდება 1250 მლნ ლარის ტოლია.

ახლა კი შეგვიძლია დავადგინოთ ფულის მიწოდების დამოკიდებულება თითოეულ ზემოთნახსენებ ეგზოგენურ ცვლადებზე B , r და cr .

1. ფულის მიწოდება ფულადი ბაზის პროპორციულია და ამ უკანასკნელის ზრდა იძლევა ფულის მიწოდების პროპორციულ ზრდას.

2. რაც უფრო დაბალია დეპონირების დარეზერვების ნორმა, მით უფრო მაღალია დაკრედიტების მოცულობა და ფულის მიწოდების მით უფრო მეტი ნაზრდი მოდის რეზერვებში შენახული ლარის ერთეულზე.

3. რაც უფრო დაბალია დეპონირების კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლები რაოდენობის ნაღდი ფული აქვს მოსახლობას ხელთ, მით უფრო მეტია ბანკებში სარეზერვო საშუალებები და შესაბამისად, მით უფრო მეტია ფულის შექმნაში ბანკების პოტენციალი. ამიტომ, დეპონირების კოეფიციენტის შემცირების შემთხვევაში ფულადი მულტიპლიკატორი და ფულის მიწოდება იზრდება.

გავანალიზოთ ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების რეგულირების ხერხები მოცემული მოდელის გამოყენებით.

ფულადი პოლიტიკის სამი ინსტრუმენტი

ჩინა თავები ეფუძნებოდა ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების პირდაპირი რეგულირების თაობაზე გამარტივებულ დაშვებებს. სინამდვილეში ის ხორციელდება ირიბად – ან ფულადი ბაზის ცვლილების, ან დეპონირების დარეზერვების ნორმის მეშვეობით. ამ დროს გამოიყენება სამი ინსტრუმენტი – ოპერაციები ღია ბაზარზე, საწვავლებლო რეზერვების ნორმის დაწესება და პროცენტის სააღრიცხვო განაკვეთი (დისკონტის პოლიტიკა).

ოპერაციებს ღია ბაზარზე მიეკუთვნება ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა. ფულის მიწოდების ზრდა მიიღწევა იმ ფულის ხარჯზე, რომელიც გასწვებულა მიმოქცევაში მოსახლობისგან ობლიგაციების ყიდვის შემთხვევაში, ხოლო მისი შემცირება – მომოქცევიდან ფულის ამოღების ხარჯზე ობლიგაციების გაყიდვის შემთხვევაში. ოპერაციები ღია ბაზარზე შერეული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ცენტრალური ბანკების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტია: მაგალითად, აშშ-ში, ნიუ-იორკის ობლიგაციების ბაზარზე ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ოპერაციები ღია ბაზარზე ტარდება პრაქტიკულად ყოველდღიურად.

სარეზერვო მოთხოვნები წარმოადგენს დეპონირების დარეზერვების მინიმალურ ნორმას, რომელიც დაწესებულია ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის. საწვავლებლო რეზერვების ნორმის ზრდის შემთხვევაში ფულადი მულტიპლიკატორის მნიშვნელობა და ფულის მიწოდება. ეკონომიკური პოლიტიკის ეს ინსტრუმენტი ცენტრალური ბანკების მიერ ყველაზე იშვიათად გამოიყენება.

პროცენტის სადღრიცხო განაკეთი - ეს საპროცენტო განაკეთია, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბანკები კომერციულ ბანკებს სთავაზობს კრედიტებს. ბანკები ამ კრედიტით სარგებლობენ მაშინ, თუკი მათი საკუთარი რეზერვები სარეზერვო მოთხოვნებთან შესასრულებლად არასამარისია. სადღრიცხო განაკეთის შემცირება, ე.ი. კრედიტების გაიაფება, ასტიმულირებს ბანკებს გააფართოვონ სესხების მოცულობა ცენტრალური ბანკებიდან ე.წ. „დისკონტური ფანჯარა“² მეშვეობით. შედეგობით, ადგილი აქვს ფულადი ბაზისა და ფულის მიწოდების ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ბანკის შესაძლებლობები ფულის მიწოდების რვეულირების თვალსაზრისით ზემოთნახსენები ინსტრუმენტების დახმარებით საკმაოდ ფართოა, მას არ შეუძლია ის სრული კონტროლი დაუქვემდებაროს. ფულის ბაზარზე მიწოდების ცვლილებამ შეიძლება ცენტრალური ბანკისათვის მოულოდნელი ხასიათი მიიღოს ცალკეული ბანკების პოლიტიკის გამო, რომელთა საქმიანობაც მასზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად, ბანკს შეუძლია შექმნას ქაბრი რეზერვები, რომელიც აჭარბებს სარეზერვო მოთხოვნებს. რაც უფრო მაღალია მათი შინაშე ნელობა, მით უფრო მაღალია დეპოზიტების დარეზერვების ნორმა და მით უფრო ნაკლებია ფულის მიწოდება. გარდა ამისა, ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია წინასწარ ზუსტად განსაზღვროს ფულად საშუალებათა მოცულობა, რომლებიც ეძლევათ ბანკებს დისკონტური ფანჯრის მეშვეობით. ის რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო ნაკლები იქნება ფულადი ბაზა და შესაბამისად, ფულის მიწოდება. ამიტომ, ცენტრალურ ბანკს ყოველთვის არ ძალუძს მიაღწიოს ფულის მიწოდებას სასურველი მართულებით.

მაგალითი 18-1

ბანკების ბანკროტობა და ფულის მიწოდება XX საუკუნის 30-იან წლებში

1929 წლის აგვისტოდან 1933 წლის მარტამდე ფულის მიწოდება შემცირდა 28%-ით. როგორც ცნობილია, ზოგერთი ეკონომისტი სწორედ ამ მოვლენას თვლის დიდი დეპრესიის ძირითად მსხუადა. შევეცადოთ ავსნათ ფულის მიწოდების ასეთი მკვეთრი შემცირების მიზეზები.

ცხრილი 18-1-ში ნაჩვენებია სამი ფაქტორის დინამიკა, რომლებიც განსაზღვრავენ ფულის მიწოდების სიდიდე - ფულის ბაზა, დეპოზიტების დარეზერვების ნორმა და დეპონირების კოეფიციენტი 1929-1933 წლებში. ცხადია, რომ ფულადი ბაზის შემცირების ხარჯზე ფულის მიწოდების შემცირების ახსნა შეუძლებელია: ის ამ პერიოდში გაიზარდა 18%-ით. მთავარი მიზეზი არის ფულადი მულტიპლიკატორის 38%-იანი შემცირება დეპონირების დარეზერვების ნორმისა და დეპონირების კოეფიციენტის არსებითი ზრდის გამო.

ცხრილი 18-1

ფულის მიწოდება და მისი დეტერმინანტები 1929 და 1933 წლებში

	1929 წლის აგვისტო	1933 წლის მარტი
ფულის მიწოდება	26.5	19.0
ნაღდი ფული	3.9	3.5
მიმდინარე ანგარიში	22.6	13.5
ფულადი ბაზა	7.1	8.4
ნაღდი ფული	3.9	3.5
რეზერვები	3.2	2.9
ფულადი მულტიპლიკატორი	3.7	2.3
დეპოზიტების დარეზერვების ნორმა	0.14	0.21
დეპონირების კოეფიციენტი	0.17	0.41

ეკონომისტთა უმრავლესობა ფულადი მულტიპლიკატორის შემცირებას აკავშირებს ბანკების ბანკროტობის მიმდინარეობასთან. 1930 წლიდან 1933 წლამდე პერიოდში 9000-ზე მეტმა ბანკმა შეწყვიტა ფინანსური ოპერაციები ისე, რომ ევრ შეასრულა თვითნაირი ვალდებულებები შეანებრთა წინაშე ბანკებისა და მუდანარეების ეკონომიკური ციკლის შეცვლა ფულის მიწოდების შემცირების მიზეზი გახსნა.

შედეგად, მონაწილეების ნდობა ბანკების მიმართ მკვეთრად შემცირდა, რამაც გამოიწვია დეპონირების კოეფიციენტის ზრდა. ხელზე ფულის შენახვის უპირატესობა მიენიჭა ბანკებში დაბანდებასთან შედარებით. ანაბრების მასობრივად ამოღებამ გამოიწვია რეზერვების ამოწურვა, რასაც ბანკების მხრიდან საასუსო რეაქცია მოჰყვა - დაუფარავი კრედიტების მოცულობის შემცირებისკენ სწრაფვა. საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნა საპირისპირო ხასიათი მიიღო.

გარდა ამისა, მასობრივმა ბანკროტობამ ბანკები აიძულა ყოფილიყვნენ უფრო წინადახედულები და მათ დაიწყეს დეპოზიტების დარეზერვების ნორმის ზრდა. მრავალი გაკოტრებული და არსებობა შეწყვეტილი ბანკების მაგალითზე ისინი დარწმუნდნენ, თუ რაოდენ საშიშია მინიმალური რეზერვების ქონა და დაიწყეს შექმნათ აღნიშნული რეზერვები ჭარბად. ბანკების რეაქცია საბანკო სისტემის კრიზისზე, რომელიც მდგომარეობდა

² „დისკონტური ფანჯარა“ (discount window) - ბაზარი, სადაც ცენტრალურ ბანკს ბანკებზე გასცემს სესხებს გამოცხადებული სადღრიცხო განაკეთით (discount rate).

რეზერვების ზრდაში საეკონომიკური დონისთან შედარებით დაკავშირების მოცულობის შემცირების ხარჯზე ანალოგიური იყო მოსახლეობის რეაქციისა, რომელიც გულისხმობდა ყულის უპირატესად ნაღვი სახით დაგროვებას და არა მიმდინარე ანგარიშზე განთავსებას. ყოველივე ამან გამოიწვია ყულადი მულტიპლიკატორის არსებითი შემცირება.

თუკი ყულის მიწოდების შემცირების მიზნები ცხადია, მაშინ ფედერალური სარეზერვო სისტემის დანაშაულის ხარისხის დადგენა რთულია. ერთის მხრივ, მას ევრაფერში დეკლარაციაზე დაყრდნობით, რამდენადაც ყულადი ბაზა არ შემცირებულა. მეორე მხრივ მისი დადგენაზე დაყრდნობა შეიძლება ორი ვარაუდიდან გამომდინარე პირველი. უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ბანკები განიცდიან ნაღვი ყულის მწვავე უკმარისობას მიმდინარე ოპერაციების განახორციელებლად, მას შეუძლო მათთვის კრედიტების შეთავაზება და ამით არ დაეშვა მასობრივი პანკროტობა. მეორე, ყულადი მულტიპლიკატორის შემცირების დროს შეიძლება ყულადი ბაზის გაფართოვება. შესაძლებელია, ამ დონის მიხედვით ერთ-ერთი მიზეზი რომ განხორციელებულიყო, ყულის მიწოდების შემცირება არ მიიღებდა ასეთ მასშტაბებს და დიდი დეგრესიაც ვერ მიადრეწდა ასეთ სიღრმეებს.

30-იანი წლებიდან მოყოლებული მთელი ამ ხნის განმავლობაში ეკონომიკური პოლიტიკა იმდენად დაიხვეწა, რომ ამჟამად მულტიპლიკატორის ასეთი მკვეთრი შემცირება ნაკლებად საეკონომიკურად ეკუთვნის მნიშვნელოვანი სიახლე ანაბრების ცენტრალიზებული დახლევა, რომელიც საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს მოსახლეობის ნდობა საბანკო სისტემის მიმართ და ამის ხარჯზე შეიცირდეს დეპონირების კოეფიციენტი და ეკონომიკის მასშტაბები. ამასთან, ყოველივე ეს თანდაყოლილია მნიშვნელოვანი დანახარჯებით: XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისისათვის არასაკმაირისად უსრულეულიყოფილი შემხანაველი და საკრედიტო დაქუცხულებების შეუქმნა ფედერალურ სარეზერვო სისტემას დიდადლი თანხა დაუჯდა ამეფროვლად, ანაბრების დახლევაზე შეაქვს რეალური წილილი საბანკო სისტემისა და ყულის მიწოდების სტაბილიზაციაში.

18-2. ფულზე მოთხოვნა

ახლა განვიხილოთ ყულადი ბაზრის მეორე მხარე და ნათელი მოეფინოთ იმას, თუ რაზე დამოკიდებული ფულზე მოთხოვნა. წინა თავებში ის აღწერილი იქნა მარტივი ფუნქციების დახმარებით. თავდაპირველად, რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად დავადგინეთ, რომ ფულზე მოთხოვნა შემოსავლის პროპორციულია, ე.ი.

$$\left(\frac{M}{P}\right)^d = kY,$$

სადაც k – კონსტანტია. შემდგომ გამოყვანილი იქნა უფრო ზოგადი და რეალისტური ფუნქცია, რომელიც რეალურ ფულად საშუალებებზე მოთხოვნის მოცულობას დამოკიდებულს ხდის არა მარტო შემოსავლებზე, არამედ საპროცენტო განაკეთებზეც:

$$\left(\frac{M}{P}\right)^d = L(i, Y).$$

ეს ფუნქცია გამოეყენეთ პიკერიფვალაციასთან ბრძოლის ხერხების შესწავლისას და IS-LM მოდელის აგებისას.

იმისათვის, რომ ჯეროვნად გავიგოთ ფულზე მოთხოვნის ფუნქცია, აუცილებელია უფრო სრულად გამოვიკვლიოთ ამ სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. ზუსტად ისევე, როგორც მოხმარების ფუნქციის აგების საფუძველს წარმოადგენს მოხმარებელთა ქცევის მიკროეკონომიკური მოდელი, ფულზე მოთხოვნის ფუნქციაც ეფუძნება მიკროეკონომიკურ მოდელს, რომლებიც გეისსიან ფულის მიმართ ეკონომიკური აგენტების ქცევას. მოცემულ ნაწილში თავდაპირველად ზოგადდაა განალიზებული ფულზე მოთხოვნის მოდელირების ხერხები, ხოლო შემდეგ წარმოგვანდია ერთ-ერთი ცნობილი მოდელი.

ინფლაციის თემაზე საუბრისას, სადაც პირველად განვიხილოთ ფულის ცნება, აღენიშნეთ, რომ ის ახრულებს სამ ფუნქციას: ღირებულების საზომის, დაზოგვისა და მიმოქცევის ფუნქციას. ამათან პირველი (ღირებულების საზომი ფუნქცია) არ არის დაკავშირებული ფულის მიმართ საჭიროებასთან, რადგანაც ფასების დაწესებისთვის ნაღვი ფული საჭირო არ არის. ამიტომ, ფულზე მოთხოვნის თეორიაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ფულის შემდეგ ფუნქციებს: დაზოგვის საშუალებას და მიმოქცევის საშუალების ფუნქციებს.

ფულზე მოთხოვნის პორტფელური თეორია

პორტფელური ეწოდება ფულზე მოთხოვნის იმ თეორიას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს დაზოგვის საშუალების ფუნქციაზე. მასში ხსენებულია, რომ ფული – აქტივების ერთ-ერთი ფორმაა. ამ თეორიის ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს იმაში, რომ ფულის დაგროვებას განიხილო

გარკვეული სპეციფიკა სხვა აქტივებთან შედარებით რისკისა და შემოსავლის ფაქტორების თვალსაზრისით. კერძოდ, მას მოაქვს საიმედო (ნომინალური) შემოსავალი, მაშინ, როდესაც აქტივებზე და ობლიგაციებზე ფასები შეიძლება შემცირდეს. ამიტომ, ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, აქტივების რატონალური პორტფელის ფორმირების დროს მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს ლიკვიდურ ფულად საშუალებებს.

პორტფელური თეორიის თანახმად, ფულზე მოთხოვნილებები განისაზღვრება სხვადასხვა სახის აქტივების შეფარდებითი მიმზიდველობით. ის დამოკიდებულია რისკის ხარისხზე და შემოსავლების დონეზე, რომლებიც უკავშირდება დაგროვების ამ თითოეულ სახეს და აგრეთვე აქტივების საერთო ჯამზე. მაგალითად, ფულზე მოთხოვნის ფუნქცია შეიძლება წარმოადგინოთ შემდეგნაირად:

$$\left(\frac{M}{P}\right)^d = L(r, r_f, \pi^e, W),$$

სადაც r - აქტივებზე რეალური მოსალოდნელი შემოსავლები, r_f - ობლიგაციებზე რეალური მოსალოდნელი შემოსავლები, π^e - ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი, W - მატერიალური აქტივები. r - ის ან r_f - ის ზრდის შემთხვევაში ფულზე მოთხოვნა მცირდება, ენაიდან სხვა სახის აქტივები უფრო მიმზიდველი ხდება. იგივე ხდება ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის ზრდის შემთხვევაშიც. გაიყოსნენო, რომ სიდიდე π^e არის ნაღდი ფულის დაგროვებაზე რეალური შემოსავალი. W -ს მატების შემთხვევაში ფულზე მოთხოვნილება იზრდება, რადგანაც იზრდება აქტივების საერთო ღირებულება და შესაბამისად, მათთან თითოეული სახის დაგროვების აბსოლუტური სიდიდე.

პორტფელური თეორიის თვალსაზრისით, ფულზე მოთხოვნის ფუნქციის $L(i, Y)$ გამართლებული განმარტება სრულიად დასაშვებია. პირველი, მასში რეალური შემოსავლის - Y -ის მარევენბელი დაახლოებით ზომავს რეალური აქტივების - W -ს სიდიდეს. მეორე, მასში ერთადერთი ცვლელადი შემოსავალი - ნომინალური საპროცენტო განაკვეთია, რომელიც ტოლია ობლიგაციებზე რეალურ შემოსავლებს დამატებული ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი ($r = r_f + \pi^e$). ამასთან, პორტფელური თეორია მოითხოვს, რომ ფულზე მოთხოვნის ფუნქცია უკუაქვადეს სხვა აქტივების დაგროვებთან მოსალოდნელი შემოსავლების ცვლადაც.

ფულზე მოთხოვნის ანალიზისათვის პორტფელური თეორიის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე ეკონომისტებს განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ. ამაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახის აქტივები ითვლება ფულად. $(M1)$ -ის ყველაზე ვიწრო განმარტებით, მას მოკლვებზე მხოლოდ ნაღდი ფულს და მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ თანხას. მათ ან ძალიან დაბალი შემოსავალი მოაქვთ, ან საერთოდ არ მოაქვთ. მაგრამ არსებობს სხვა სახის აქტივებებიც, რომლებზეც შემოსავალი რისკის იმავე ხარისხის პირობებში უფრო მაღალია: შემნახველი ანგარიშები, სახაზინო თამასუქები, დეპოზიტური სერტიფიკატები და ფულადი ბაზრის ურთიფოდაკრედიტების ფონდებში ანგარიშები. ეკონომისტთა აზრით, ფული $(M1)$ - „დაქვემდებარებული“ ანუ დომინირებადი აქტივია, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უარეს დაზოგვის საშუალებას სხვა დანარჩენებთან შედარებით. პორტფელური თეორიას არ ძალუძს დაასახელოს აღნიშნულ დაქვემდებარებულ ფულად აქტივებზე მოთხოვნის მიზეზები და ასკენის, რომ მათი დაგროვება ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის აქტივების „ოპტიმალური პორტფელის“ ფორმირებას.

პორტფელური თეორია უკეთ ხსნის ფულზე მოთხოვნის ფორმირების პრობლემას, თუკი ამოვალთ ფულადი მასის უფრო ფართო განმარტებიდან. ასეთი განმარტება ფულის ცნებაში მოიცავს სხვა სახის აქტივებსაც, რომლებიც უფრო მიმზიდველია ნაღდი ფულთან და მიმდინარე ანგარიშებთან შედარებით (მაგალითად, შემნახველი ანგარიშები და ფულადი ბაზრის ურთიფოდაკრედიტების ფონდებში ანგარიშები), რომლებიც შედის $M2$ -ის შემადგენლობაში. მაშინ, მოსახლეობის პრეფერენციების ასახვანდალ, დააგროვონ საშუალებები $M2$ ფორმით და არა აქტივებსა და ობლიგაციებში, რისკისა და შემოსავლების ფაქტორები საკმოდ სეროზულ არგუმენტად გვევლინება შესაბამისად, თუკი ფულზე მოთხოვნის პორტფელური თეორია მართებულია, ეს მხოლოდ შეიძლება ითქვას $M2$ -ის და $M3$ -თან, და არა $M1$ -თან მიმართებაში.

მაგალითი 18-2

ფული და ჩრდილოენი ეკონომიკა

რა რაოდენობის ფული გაქვთ ამჟამად საფულეში? რა რაოდენობის 100 დოლარიანი ბანკნოტი შეიძლება არსებობდეს? 1990 წლისათვის აშშ-ში ნაღდი ფული შეადგენდა 1000 დოლარს მოსახლეობის ერთ სულზე განაგრძობებით და მათ შორის ნახევარი არსებობდა 100 დოლარიანი ბანკნოტის სახით. ეს შეიძლება ცოტა უცნაურადაც მოგვეჩვენოს, რადგანაც ადამიანთა უმრავლესობა რეალურად განკარგავდა გაყვლებით ნაკლებ თანხას უფრო ნაკლები კუბურებით.

ამ საშუალებათა ნაწილი თაყობილია ჩრდილოვან ეკონომიკაში: ისინი გამოიყენება ან უკანონო გარეგნობის განსახორციელებლად, ისეთების, როგორიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, ან იმიტოვება იმ პირთა ხელი, რომლებიც მალავენ შემოსავლებს გადასახადების გადახდისგან თავის არიდების მიზნით. მათთვის, რომლებმაც კონება მოიპოვეს უკანონოდ, ინვესტირების თვალსაზრისით არჩეული საკმაოდ ეწროა, ვინაიდან ფულადი აქტივობა თუ ობლიგაციებში დაბანდობით ან საბანკო ანგარიშებზე განთავსებით ისინი მივიდან საკუთარი თავის გამოაშკარავების რისკზე ცხადია, რომ დამრწმუნეთა მოხილვად გამოიღწიარე ნაღდი ფული წარმოადგენს არა დაქვემდებარებულ აქტივს, არამედ დაზოგვის ყველაზე უკეთეს საშუალებას.

ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნის თეორია

ფულზე მოთხოვნის თეორია, რომელიც აქცენტს აკეთებს მათი მიმოქცევის საშუალების როლზე, ეწოდება *ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნის თეორია*. მათ აერთიანებთ შემდეგი: ისინი აღიარებენ, რომ ფული – დაქვემდებარებული აქტივია და სხვა სახის აქტივებისაგან განსხვავებით ის გროვდება მხოლოდ ყიდვების განხორციელების მიზნით. ეს თეორია ყველაზე უკეთ გვისჩნის, თუ რატომ არ ახანდებს მოსახლეობა მთელ ფულს დომინირებად აქტივებში, როგორცაა სახაზონო თამასუქები და შენახველი ანაბრები, არამედ მაინც ინახავენ ფულის ნაწილს ხელზე ან მიმდინარე ანგარიშებზე (მხედველობაშია ფული მისი ეწრო ვაგებით).

არსებობს ვარაუგებათა თეორიის რამდენიმე ვარიანტი და მათგან თითოეული თავისებურად წარმოედგენს ფულის მიღებისა და გარიგებათა განხორციელების პროცესებს. მათ აერთიანებთ ერთიანი გაგება ამ სახის აქტივის ნაკლოვანებაზე, რომელიც იძლევა დაბალ მოგებას და აგრეთვე მის უპირატესობაზე, როგორც ვარიგებათა განხორციელების მოხერხებული საშუალებებისა. ადამიანი გაანალიზებს რა ორივე მომენტს, გადაწყვიტავს, თუ რა რაოდენობის ნაღდი ფული უნდა იქონიოს ხელთ.

იმისათვის, რათა წარმოვადგინოთ ფულზე მოთხოვნის ფუნქცია ტრანსაქციული თეორიის მიხედვით, მოვიყვანოთ მსგავსი ტიპის ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი მოდელის ადვანს დაწერული ბიითი სქემა. ის დამუშავებული იქნა XX საუკუნის 50-იან წლებში ეკონომისტების უილიამ ბაუმოლისა და ჯეიმს ტობინის მიერ და დღემდე რჩება ფულზე მოთხოვნის ერთ-ერთ წამყვან თეორიად.

ნაღდი ფულის მართვის ბაუმოლ-ტობინის მოდელი


ბაუმოლ-ტობინის მოდელი დაწერილებით ახალი სებს ნაღდი ფულის დაგროვების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს. მათი უპირატესობა მდგომარეობს მოხერხებულობაში: ადამიანი თავს აღწევს ბანკში სიარულის აუცილებლობას ყოველი ყიდვის განხორციელების დროს. მაგრამ, ამავე დროს ის განიცდის ზარალს, კარგავს რა პროცენტებს, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა, თუკი შესაბამის თანხას განათავსებდა შემნახველ ანგარიშზე.

იმისათვის, რათა ნათელი მოვიჩინოთ ყოველგვარ უპირატესობასა და ნაკლოვანებას, დაეწყოთ, რომ აღამინება დაგვემა წლის განმავლობაში თანდთანობით დახარჯოს Y ლარი (სიმარტივისათვის დაეწყოთ, რომ ფასები და შესაბამისად, რეალური დანახარჯები წლის განმავლობაში არ იცვლება). რა რაოდენობის ნაღდი თანხა უნდა განკარგოს მან ასეთი მოცულობის დანახარჯების განსახორციელებლად, ე.ი. როგორია ხელზე არსებული ფულის საშუალო რაოდენობის ოპტიმალური სიდიდე?



განვიხილოთ რამდენიმე ვარიანტი: შესაძლებელია წლის დასაწყისში ანგარიშიდან მოეხსნათ Y ლარი და თანდათანობით დაეხარჯოს წლის განმავლობაში. ნახ. 18-3ა-ზე ნაჩვენებია ეს ტოლია თანხა, რომელსაც ადამიანი განკარგავს თითოეულ მომენტში. წლის დასაწყისისათვის ის ტოლია Y-ს, წლის ბოლოსათვის – 0-ის, ხოლო წლის განმავლობაში საშუალო რაოდენობა იქნება Y/2.

მეორე ვარიანტი განვიხილავს ორგზის ეიზიტს ბანკში წლის განმავლობაში. წლის დასაწყისში ადამიანი ანგარიშიდან ხსნის Y/2 თანხას, რომელსაც თანდათანობით ხარჯავს ნახევარი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ დეპოზიტს იმავე ოდენობის თანხას მომდევნო, ნახევარი წლის განმავლობაში დასახარჯავად. ნახ. 18-3ბ-ზე ნაჩვენებია, რომ მფლობელის ხელში წლის ფულადი თანხა წლის განმავლობაში იცვლება Y/2-დან 0-მდე და საშუალოდ შეადგენს Y/4-ს. შეამოიკვებს რა ამ საშუალო მნიშვნელობას, მას შეუძლია შეამციროს დანაკარგები ანაბრებზე მიუღებელი პროცენტების სახით, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ბანკში ორი იზიტის განხორციელება ერთის მაგონერად.

თუკი წლის განმავლობაში ადამიანი მიდის ბანკში N-ჯერ და ყოველ ჯერზე ანგარიშიდან ხსნის Y/N ლარს, ის ამ თანხას ხარჯავს თანაბრად წლის განმავლობაში 1/N პერიოდებით. ნახ. 18-3გ-დან ჩანს, რომ წლის განმავლობაში ხელზე არსებული ფულადი თანხა იცვლება Y/N-დან 0-მდე ფარგლებში და მისი საშუალო ფლოური მნიშვნელობა ტოლია Y/(2N).




ნახ. 18-3. მფლობელის ხელთ არსებული ფულადი თანხის ცვლილება წლის განმავლობაში ნახაზიდან ჩანს, რომ ამ თანხის საშუალო წლიური მნიშვნელობა დამოკიდებულია ბანკში ეიზიტების რაოდენობაზე.



საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ აეირჩიოთ N-ის ოპტიმალური მნიშვნელობა. რაც უფრო მაღალია ის, მით უფრო ნაკლებია ხელზე ფულზე საშუალო რაოდენობა და ნაკლებია მიუღებელი პროცენტების სახით დანაკარგები, მაგრამ ადამიანი მით უფრო მეტად არაკომფორტულად გრძნობს თავს ბანკში ხშირი ეიზიტების აუცილებლობიდან გამომდინარე.

პირობითად აღენიშნოთ ბანკში ეიზიტებთან დაკავშირებული დანახარჯები F მუდმივი სიდიდით, რომელიც წარმოადგენს ღირებულებით მაჩვენებელს და იზომება ანგარიშიდან ფულის მოხსნასთან დაკავშირებული დროითი დანახარჯებით (მაგალითად, ბანკში წასვლასა და მოსვლასთან დაკავშირებული ხარჯები, რიგში დგომა და ა.შ.). დაეუშვათ, რომ საათში 12 ლარის ოდენობის გამომუშავებისა და გზაში 15 წუთიანი დროითი დანახარჯების შემთხვევაში $F=3$ ლარს. საპროცენტო განაკვეთი აღენიშნოთ i ასოთი; ე.ი. i არის ის, რაც იყარება ნაღდი ფულის შენახვის შემთხვევაში, რადგანაც ამ უკანასკნელს პროცენტები არ მოაქვს.



ნახ. 18-4. ნაღდი ფულის შენახვაზე დანახარჯები ნახაზი ახდენს მიუღებელი პროცენტების ოდენობის, ბანკში ეიზიტებზე დანახარჯებისა და ერთობლივი დანახარჯების N-ზე დამოკიდებულების ილუსტრირებას. ერთობლივი დანახარჯები აღწევს თავის მინიმუმს N-ის ერთადერთი მნიშვნელობის შემთხვევაში, რომელიც ტოლია N^* -სა.

ბანკში ფულის მიღების რიცხვი, რომელსაც შეესაბამება საერთო დანახარჯების მინიმალური ოდენობა

ბანკში ეიზიტების რიცხვი

ახლა შეიძლება ზუსტად გამოეთვალათ N-ის ოპტიმალური მნიშვნელობა და ფულის ოპტიმალური რაოდენობა, რომლის ხელზე კონაც მიზანშეწონილია. ნებისმიერი N-ის შემთხვევაში მისი საშუალო რაოდენობა შეადგენს $Y/(2N)$, ხოლო დანაკარგები მიუღებელი პროცენტების სახით ტოლია $iY/(2N)$. თუკი ბანკში ყოველ ვიზიტზე დროითი დანახარჯის ღირებულებითი ეკვივალენტი უასდება F სიდიდით, მისი საერთო თანხა წლის განმავლობაში ტოლია FN. მიუღებელი პროცენტების თანხასთან ერთად ისინი შეადგენენ ერთობლივ დანახარჯებს, რაც უკავშირდება ბანკში ვიზიტებს:

$$\begin{aligned} \text{ერთობლივი დანახარჯი} &= \text{მიუღებელი პროცენტები} + \text{ვიზიტებზე დანახარჯები} \\ &= iY/(2N) \qquad \qquad \qquad FN. \end{aligned}$$

რაც უფრო მაღალია ბანკში ვიზიტების რაოდენობა N, მით უფრო მაღალია მასთან დაკავშირებული დანახარჯები და მით უფრო ნაკლებია მიუღებელი პროცენტების ოდენობა.

ნახ. 18-4-ზე ნაჩვენებია ერთობლივი დანახარჯების თანხის დამოკიდებულება N-ზე. ის აღწევს მინიმუმს N-ის ერთადერთი მნიშვნელობის შემთხვევაში. N-ის ოპტიმალური მნიშვნელობა ტოლია³

$$N^* = \sqrt{\frac{iY}{2F}}$$

N-ის ამ მნიშვნელობის დროს ხელზე არსებული ფულის საშუალო თანხა შეადგენს:

$$\frac{Y}{2N^*} = \sqrt{\frac{YF}{2i}}$$

ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ რაც უფრო მაღალია დანახარჯები, რომელიც უკავშირდება ბანკში ვიზიტებს - F, მით უფრო მაღალია Y და რაც უფრო დაბალია საპროცენტო განაკვეთი i, მით უფრო მეტი ნაღდი ფული გააჩნია მოსახლეობას ხელზე.

შესაბამისად, ბაუმოლ-ტობინის მოდელი შეიძლება გამოყენებული იქნას ფულზე მოთხოვნის მოდელად, ვინაიდან ის განიხილავს ნაღდი ფულადი საშუალებების მარაგის ფორმირების ფაქტორებს. მაგრამ მას შეიძლება აქონდეს უფრო ფართო გამოყენებაც. დაეუშუათ, რომ აღამიანი განკარგავს აქტივებს როგორც ფულადი (ნაღდი ფული და მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხა), ისე არაფულადი (აქციები, ობლიგაციები) ფორმით. პირველი გამოყენება გარიგებათა განხორციელების დროს, მაგრამ მას მოაქვს უმნიშვნელო შემოსავალი. დაეუშუათ აგრეთვე, რომ i იცოს სხვაობა შემოსაღებში ფულადი და არაფულადი აქტივების მიხედვით, ხოლო F - არაფულადი აქტივების ფულად ფორმაში გადაყენასთან დაკავშირებული დანახარჯები (მაგალითად, ბროკერის საკომისიო). ბროკერის მოზიდვის ოპტიმალურ სიხშირეზე გადაწყვეტილება მიიღება ბანკში ვიზიტების ოპტიმალურ სიხშირეზე გადაწყვეტილების მიღების ანალოგიურად. შესაბამისად, ბაუმოლ-ტობინის მოდელი აღწერს ეკონომიკური აგენტების ხელთ არსებული ფულადი საშუალებების მარაგის ფორმირების პროცესს. ის გვიჩვენებს, რომ ფულზე მოთხოვნა პირდაპირპროპორციულია შემოსაღების დონისა Y და უკუპროპორციულია საპროცენტო განაკვეთისა, რაც ადეკვატურად გამოისახება ფუნქციით $L(i, Y)$.

მაგალითი 18-3

ფულზე მოთხოვნაზე სტატისტიკური მონაცემები

შრავალი ეკონომისტი დეტალურად იკვლევს მოთხოვნის ფუნქციას ფულზე, შემოსაღებზე და საპროცენტო განაკვეთზე სტატისტიკური მონაცემების დახმარებით. ამ კვლევის მიზანია დადგინდოს იქნას ფულზე მოთხოვნის ცვლილების დამოკიდებულება შემოსავლის დონისა და საპროცენტო განაკვეთის რყევებზე. ამ

³ მათემატიკური შენიშვნა. N-ის ოპტიმალური მნიშვნელობის განტოლება მიიღება მარტივი განაგარიშების შედეგად. N-ის მიხედვით ერთობლივი დანახარჯების ფუნქციის დიფერენცირების შედეგად ვღებულობთ:

$$\frac{\partial C}{\partial N} = \frac{-iYN^{-2}}{2} + F.$$

$\partial C/\partial N = 0$ ოპტიმალური მნიშვნელობის დროს ვღებულობთ შემთოხვევინი ფორმულას N^* -თვის.

რეკეების მიმართ ფულზე მოთხოვნის „გზარსობლობაზე“ დამოკიდებული LM ბრუნის დასრულების კუთხე და შესაბამისად, ფულად-საქროდოტო და საბოუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა ეფექტიანობა.

მსგავს გამოკვლევათა კიდევ ერთი მიზანი მდგომარეობის ფულზე მოთხოვნის სხვადასხვა თეორიათა მართებულობის შემოწმებაში. ჩაგალითად, ბაუროლ-ტობინის მოდელი აღგნს ფულზე მოთხოვნის ზუსტ რაოდენობრივ დამოკიდებულებას შემოსაულებსა და საპროცენტო განაკვეთის დინამეზე. კვლარტული ფესვის მქონე მიდებელი ფორმულა გეორენებს, რომ ფულზე მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსაულებს მიხედვით ტოლია $1/2$ -ის; საპროცენტო განაკვეთის 10% -ით ზრდის შემთხვევაში მოთხოვნილი ანარბების თანხა რავლდო გამოხატულებში გაიზრდება 5% -ით. ფულზე მოთხოვნის ელასტიკურობა საპროცენტო განაკვეთის მიხედვით ტოლია აგრეთვე $1/2$ -ის; საპროცენტო განაკვეთის 10% -იანი ზრდა (ვთქათ, 10 -დან 11% -მდე) იწვევს მოთხოვნილი ანარბების რავლური თანხის 5% -იან შემცირებას.

მაგრამ, მიდებული დასკვნები პრაქტიკაში, როგორც წესი, არ დასტურდება. სტატისტიკური მონაცემები მეტეფულებზე იმაზე, რომ ფულზე მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსაულებს მიხედვით სინამდვილეში უფრო მაღალია, ხოლო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით - მცირე, ვიდრე $1/2$. შესაბამისად, ბაუროლ-ტობინის მოდელი უბოლომდე მართებული არ არის: ის მხედველობაში არ დებულობს ფულზე მოთხოვნის კველა ფაქტორს. მაგალითად, მოდელი არ ითვალისწინებს იმა, რომ ადამიანი, რომელიც დებულობას გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ არა რაოდენობის ფული ჰირდება, ყოველთვის არ ხელმძღვანელობს სარგებლის მიდების მოსახრებით. დაეუბათ, ის კეთილშეირობითი ვიდრე მიდის ბანკში, რათა მოთხოვნილი საგადასახადო ჩეტი, მაგრამ ბანკში მისული ის ფირბობს, მოხსნას თუ არა ბარემ ფულის ის რაოდენობა, რომელიც მას დასტურდება შედგომო კვირას. ამ შემთხვევაში, ბანკში ეისიტების რაოდენობა N არ შეიძლება დაეუბაჰროთ არც შემოსაულებს დონეს, არც საპროცენტო განაკვეთს. რამდენადც N - მუდმივ სიდიდეა, ხელზე არსებული ფულის საშუალო როდენობა ($Y/2N$) დანახარჯების სიდიდის პირდაპირპროპორციულია და არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე.

ახლა შეანარბებები პირობითად დაეუთვთ ორ ჯგუფად. მთგან ერთი იქვევა ბაუროლ-ტობინის მოდელის შესაბამისად და მისთვის შემოსაულებსა და საპროცენტო განაკვეთის მიხედვით ელასტიკურობა $1/2$ -ის ტოლია. მეორე ჯგუფისათვის N მუდმივია და შემოსაულებს მიხედვით ელასტიკურობა 1 -ის ტოლია, ხოლო საპროცენტო განაკვეთის მიმართ კი - 0 -ის. ამ შემთხვევაში, აუცილებელია გამოთვალეთ ფულზე მოთხოვნის საშუალო შეწონილი ფუნქცია მოცემული ორი ჯგუფისათვის. მაშინ, შემოსაულებს მიხედვით ელასტიკურობა იქნება 1 -სა და $1/2$ -ს შორის მიდამოში, ხოლო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით - 0 -სა და $1/2$ -მდე მიდამოში, რაც დასტურდება სტატისტიკის მიერ.

18-3. დასკვნა. მიკროეკონომიკური მოდელის გამოყენება მაკროეკონომიკაში

ახლა, როცა დაეასრულეთ ფულზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების ანალიზი, გადახედეთ წინა თავებში წარმოდგენილ მიკროეკონომიკურ მოდელს: ჰერმანენტული შემოსაულის თეორიას, რენესტიციების ნეოკლასიკურ თეორიასა და ნაღდი ფულის მართვის ბაუროლ-ტობინის მოდელს. ისინი გვიჩვენებენ, თუ რა გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ პროცესებზე ცალკეული ეკონომიკური აგენტების ქცეუები.

მილიანობაში, ამ თავებში გადმოცემული მასალები წარმოდგენას გეიქმნის თანამედროვე მაკროეკონომიკურ კვლევებზე. ამ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესი ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიღწეულ იქნა მაკროეკონომიკური მოდელის შემუშავების შედეგად. ხშირად ისინი არა თუ უარყოფს, არამედ პირიქით, საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მაკროეკონომიკური თეორიების სრულყოფა. უმრავლეს ეკონომისტთა აზრით, მიკრო და მაკროეკონომიკის შემდგომი ინტეგრაცია გულისხმობს ეკონომიკური პროცესების კიდევ უფრო ღრმად შესწავლის ფართო შესაძლებლობებს.

პირიქითაღი დასკვნები

1. ნაწილობრივი სბანკო დარეზერვების სისტემის შემთხვევაში ბანკებს შეუძლიათ ფულის შექმნა, ეინიდან რეზერვში მოქცეული ყოველი ღარი საშუალებას იძლევა გავზარდოთ რამდენიმე ღარით მიმდინარე ანგარიშებზე არსებული საშუალებათა თანხა.
2. ფულის მიწოდების სიდიდე განისაზრდება ფულადი ბაზით, დეპოზიტების დარეზერვების ნორმით და ფულის დეპონირების კოეფიციენტით. ბაზის გაფართოება იწვევს ფულის მიწოდების პროპორციულ ზრდას. დეპოზიტების დარეზერვების ნორმისა და დეპონირების კოეფიციენტის შემცირება იწვევს ფულადი მულტიპლიკატორისა და შესაბამისად, ფულის მიწოდების ზრდას.

3. ცენტრალური ბანკი ახორციელებს ფულის მიწოდების რეგულირებას სამი გზით. ფულადი ბაზის გასაფართოებლად გამოიყენება ღია ბაზარზე ობლიგაციების ყიდვა და სააღრიცხვო განაკვეთის შემცირება. დეპონირების კოეფიციენტი მცირდება სარეზერვო მოთხოვნების ნორმის შემცირების გზით.

4. პორტფელური თეორია აქცენტს აკეთებს ფულის ფუნქციაზე, როგორც მიმოქცევის საშუალებაზე. ის ფულზე მოთხოვნას უკავშირებს რისკისა და შემოსაივლების თანაფარდობას, რომელიც დაკავშირებულია საშუალებათა ყულის ან სხვა აქტივების ფორმით შენახვასთან.

5. ფულზე მოთხოვნის ტრანსაქციული თეორიები, როგორცაა ბაუმოლ-ტობინის მოდელი, გამოყოფს ფულის მიმოქცევის საშუალების როლს. მის თანახმად, ფულზე მოთხოვნა პირდაპირპროპორციულია შემოსავლისა და უკუპროპორციულია საპროცენტო განაკვეთისა.

პირითადი ცნებები

რეზერვები
100%-იანი საბანკო დარეზერვება
ბალანსი
ნაწილობრივი საბანკო დარეზერვება
ფინანსური შუამავლობა
ფულადი ბაზა
დეპოზიტების დარეზერვების ნორმა
ფულის დეპონირების კოეფიციენტი
ფულადი მულტიპლიკატორი
გაძლიერებული აქტივობის ფული
ოპერაციები ღია ბაზარზე
სარეზერვო მოთხოვნა
სააღრიცხვო საპროცენტო განაკვეთი
ჭარბი რეზერვები
პორტფელური თეორია
დაქვემდებარებული აქტივები
ფულზე მოთხოვნის ტრანსაქციული თეორია
ბაუმოლ-ტობინის მოდელი

ღანაოთი

ფულზე მოთხოვნის კენზიანური და მონეტარისტული თეორია, „ლიკვიდურობის ხაფანგი“, ფიშერის ეფექტი და მონეტარისტული წესი

თუკი კლასიკური სკოლის ეკონომისტები ხაზს უსვამენ ფულის მიწოდების მნიშვნელობას, კინზა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმა ფულზე მოთხოვნას მან გამოყო სამი მოტივი, რომელთა შესაბამისად ეკონომიკური აგენტები აელენენ ფულის ფლობის სურვილს და ამით წარმოშობენ ფულზე მოთხოვნას, ესენია: ტრანსაქციული მოტივი (ფულზე მოთხოვნის მოტივი გარეგნისათვის), სიფრთხის მოტივი და სპეკულაციური მოტივი.

ტრანსაქციული მოტივი (ფულზე მოთხოვნა გარეგნისათვის)
ტრანსაქციული მოტივი წარმოადგენს ფულადი შემოსულობებისა და დანახარჯების არასრულყოფილი ხინქრონიზაციის შედეგს. ამ დროს ოჯულისხმება როგორც ფულადი შემოსულობების, ისე მათი ხარჯვის აუცილებლობა დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში. ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნა (transactions demand - L_1) გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის ფულს უნდა ფლობდეს ეკონომიკური აგენტი ხელზე იმისათვის, რათა განახორციელოს ყოველდღიური ტრანსაქცია (გაარება).

ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნის მართვით ფორმულას აქვს შემდეგი სახე:


$$L_1 = k(PO) \quad (1)$$

სადაც L_T - ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნა, k - კემბრიჯის კოეფიციენტი, რომელიც ფულის მიმოქცევის სიჩქარის უკუპროპორციულია ($k=1/V$), P - ფასების დონე და O - წარმოების მოცულობა (output). ჩვენ ვვარაუდობთ, რომ წარმოების მოცულობა შემოსავლის სიდიდის ტოლია ($O=y$). შესაბამისად, ტრანსაქციული მოთხოვნის რეალური სიდიდე შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$\frac{L_T}{P} = L_T = ky. \quad (2)$$

ტრანსაქციულ მოთხოვნასა და რეალური შემოსავლების დონეს შორის თანაფარდობა გამოსახულია გრაფიკულად ნახ. 1-ზე.

სიმარტივისათვის დაეუშვათ, რომ ფასების დონე ერთის ტოლია ($P=1$). ტრანსაქციული მოთხოვნის წრფის დახრილობის კუთხე $L_T=ky$ ყოველთვის ნაკლებია 45° -ზე, რადგანაც k სიდიდე პრაქტიკაში მერყეობს $1/4$ -სა და $1/5$ -ს შორის: ნორმალურად ფუნქციონირებდად ეკონომიკაში წლიურადში ფულადი მასის ბრუნვის სიჩქარე (V), როგორც ამას მრავალრიცხოვანი ემპირიული გამოკვლევა გვიჩვენებს, მერყეობს 4-სა და 5-ს შორის.



ნახ. 1. ტრანსაქციულ მოთხოვნასა და შემოსავლის დონეს შორის დამოკიდებულება

დაეუშვათ, რომ $k=1/4$, ხოლო $y=400$ მლნ ლარს, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ გადახდებს შორის პერიოდი შემცირდა და ამიტომ, საოჯახო მურენობას (შემოსავლის მოცემული y დონის პირობებში) სჭირდება ნაკლები ფული უწინდელი გარიგების მოცულობის განსახორციელებლად. ამ ცვლილებათა შედეგად k სიდიდეც აგრეთვე შეიცვლის თავის მნიშვნელობას. მაგალითად, $1/4$ -ის ნაცვლად ის ახლა $1/5$ -ის ტოლია. ეს ნიშნავს, რომ ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნა შემცირდა. თავდაპირველად $L_T=1/4 \times 400$ მლნ ლარი 100 მლნ ლარი. ახლა კი $L_T=1/5 \times 400 = 80$ მლნ ლარს. $(ky)_1$ -ის დახრილობის კუთხე შემცირდა.

ამგვარად, ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნის ფარგლებში k შეადგენს y რეალური შემოსავლის გარკვეულ პროპორციას. გრაფიკულად კი k განსაზღვრავს ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნის ფუნქციის დახრილობის კუთხეს. k -ს მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიკაში და გააღვივებს ახდენს საზოგადოების დანახარჯებისა და გადახდების ჩვეულებას.

სიფრთხილის მოტივი

ფულზე მოთხოვნა სიფრთხილის მოტივით (precautionary motive - L_p) გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის ფულის ფლობა სურს ეკონომიკურ აგენტს გაუთავალისწინებელ გარემოებათა შემთხვევისათვის.

გაუთავალისწინებელ გარემოებებს აღამიანები ჩვეულებისამებრ მიაკუთვნებენ ავადმყოფობას, სამუშაოს დაკარგვას, უბედურ შემთხვევას და ა.შ., როგორც ამბობენ, ფული საჭიროა „შეი დღისათვის“. მაგალითად, ინგლისელები მსგავს სიტუაციას უფრო რბილად მოიხსენიებენ „rainy day“ („წვიმიანი დღე“). საოჯახო მურენობათა შემოსავლების ზრდის კვალობაზე, სიფრთხილის

მოტივით ჩეკულებისამებრ დიდი ოდენობის ფული ისოგება. ამგვარად, სიფრთხილის მოტივით ფულზე მოთხოვნა შეიძლება ჩართული იყოს ტრანსაქციული მოთხოვნის ტოლობაში: $L = K(y)$. მაშასადამე, ფულაზე ტრანსაქციული მოთხოვნა და ფულზე მოთხოვნა სიფრთხილის მოტივით პირდაპირპროპორციულად აღამაზიდებული შემოსავლის დონეზე. *ორ მოტივს შორის სხვაობა დაიყენება იმაზე, რომ ფულზე მოთხოვნა ტრანსაქციული მოტივით დაკავშირებულია დაბეჭდულ დანახარჯებთან, ხოლო სიფრთხილის მოტივის მიხედვით მოთხოვნა – გაუთვალისწინებელ დანახარჯებთან.*

საქეულაციური მოტივი (ფულზე, როგორც კონებაზე მოთხოვნა)

ფულზე საქეულაციური მოთხოვნა კეინზის ერთ-ერთი ნოკატორული კონვეფციაა. როგორც სიფრთხილის მოტივი, ისიც ფუფუნება იმ იდეას, რომ საოჯახო მეურნეობები დგანან განუსაზღვრელობის წინაშე. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში განუსაზღვრელობა დაკავშირებულია აქტივების მომავალი წაროების საბაზრო ღირებულებასთან. შედარებისათვის აღენიშნათ, რომ კლასიკური სკოლის მიხედვით, რაიმე განუსაზღვრელობაზე, მათ შორის, ფულის თეორიის სფეროში საუბარიც ზედმეტია. მაშასადამე, კლასიკური ვერსიის მიხედვით, საოჯახო მეურნეობებმა იციან თუ როგორ იქნება მათი მომავალი შესყიდვები. შემოიღო რა ფულის ფლავობის ახალი კონვეფცია სიფრთხილის მოტივის მიხედვით, კეინზმა ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ საოჯახო მეურნეობები აწყდებიან *მომავალ განუსაზღვრელობას*.

საოჯახო მეურნეობებს გარკვეული წარმოდგენა აქვთ მომავალში აქტივების ფასების ცვლილებაზე, კერძოდ, გაიზრდება თუ შემცირდება მათი ფასი, ამიტომ, მათ გარკვეული მოდოლდინ განჩნათ მოგების ან ზარალის მიღებასთან დაკავშირებით აქტივების გაყიდვის დროს. აქტივების მომავალ საბაზრო ღირებულებებზე აღნიშნული წარმოდგენა, თავის მხრივ, განსაზღვრავს, თუ რა ფორმით უნებნათ თვინათი სიმდიდრე საოჯახო მეურნეობებს თავიანთ პორტფელში. ფულზე საქეულაციური მოთხოვნის კეინზიანური მსჯელობისას საოჯახო მეურნეობათა არჩევანი ესება, უპირველეს ყოვლისა, *ორი ტიპის* აქტივს: ფულსა და ფასიან ქაღალდებს. რატომ შეზღუდა კეინზმა თავისი ანალიზი მხოლოდ ამ ორ სახის აქტივით და არ განიხილა სხვა აქტივები: კაპიტალი, მიწის ფლობაზე უფლება და ა.შ. ამის ახსნად შეიძლება ჩავთვალოთ კეინზის სურვილი ურეგულად, თუ რატომაა საოჯახო მეურნეობებისათვის რაციონალური უჭრი ფულის ფლობა სხვა მოცემებით რომ უტყვათ, კეინზი განმარტავს, თუ რატომ სურთ საოჯახო მეურნეობებს ფულის მარაგის ქონა.

გაუსვა რა ხაზი ფულზე საქეულაციური მოთხოვნის მნიშვნელობას, კეინზმა უარი თქვა გამარტივებულ კლასიკურ კონვეფციაზე და აღნიშნა, რომ საოჯახო მეურნეობას შეუძლია ფული განიხილოს, როგორც აქტივი (კლასიკოსებისათვის ფული, უპირველეს ყოვლისა – ანგარიშის საშუალება). სწორედ ამიტომ, კეინზის თეორიაში ფული უნარიანია შეასრულოს დაზოგვის საშუალების ფუნქცია.

საქეულაციური მოთხოვნის მოდელი

„დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგად თეორიაში“ კეინზი ვერდნობა საქეულაციურ მოტივს, როგორც საოჯახო მეურნეობათა „ლიკიდური უპირატესობის მინიჭების“ ნაწილს, რადგანაც ფული ვეღვალაე ლიკიდური ატივია იმ აქტივებს შორის, რომლის ფლობაც კი შეუძლია საოჯახო მეურნეობას. საოჯახო მეურნეობის მიერ ფასიანი ქაღალდების ან ფულის ფლობის უპირატესობის მინიჭების (პრეფერენციის) პრობლემის განხილვით შეგვიძლია ავაგოთ ე.წ. ფულზე საქეულაციური მოთხოვნის მრედი.

მაგრამ, თავდაპირველად ვაღვრეული ვართ გამოიკეილით ფასიანი ქაღალდების ფასებსა და მათზე საპროცენტო განაკეთებს შორის დამოკიდებულება, რადგანაც, სწორედ ესაა ფულზე საქეულაციური მოთხოვნის მრედი ავების საფუძველი. უმარტევისი მაგალითის სახით შეჭერდეთ ფასიანი ქაღალდის იმ ტიპის განხილვაზე, რომელსაც ეწოდება *ეწონოლი* კონსოლის მიხედვით ყოველწლიურად გადაიხდეინება ფულის გარკვეული ოდენობა და ამ სახის ფასიან ქაღალდს არ გააჩნია დაფარვის განსაზღვრული ვადა კონსოლის ფულში კონვერტირების ერთადერთი ვადა მოცემული სახის ფასიანი ქაღალდის მიყიდვის ბირჟის ეფით მონაწილის მიერ გორტეზე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე (საფონდო ბირჟაზე).

დაუშვათ, რომ კონსოლი იყიდება ფასიანი ქაღალდის ბაზარზე 1000 ლარად და მასზე გადაიხდეინება ყოველწლიურად 40 ლარის ოდენობის დივიდენდები. მაშინ, ამ სახის ფასიანი ქაღალდის შემოსავლიანობა შეადგენს 4%-ს. ტოლობა, რომელიც განსაზღვრავს კონსოლის შემოსავლიანობას, შემდეგი სახისაა:

$$i = \frac{R}{P_0} \quad (3)$$

სადაც i – ფასიანი ქაღალდის (კონსოლის) საპროცენტო განაკვეთია, R – წლიური საპროცენტო შემოსავალი ლარებში, P_0 – ფასიანი ქაღალდის ფასი.

თუკი ფასიანი ქაღალდის P_0 ფასი ზაზარზე იზრდება 1400 ლარამდე, მაშინ კონსოლის საბაზისალიანობა შემცირდება: $40/140=0,285=2,85\%$. პირითი, თუკი ფასი ფასიანი ქაღალდის საბაზისო ფასი შემცირდება, ვთქვათ, 800 ლარამდე, მაშინ კონსოლის შემოსავლიანობა გაიზრდება: $40/800=0,05=5\%$. ამგვარად, არსებობს უკუდამოკიდებულება ფასიანი ქაღალდის ფასსა და მასზე საპროცენტო განაკვეთს შორის.

დაეგვიანეთ რა ასეთი დამოკიდებულება, ახლა შევიკვილია შევედგეთ ფულზე სპეკულაციური მოთხოვნის მრუდის აგებას. ამ დროს, მხედველობაში უნდა ვიჭინოთ ორი მოსაზრება. პირველი, ეს მრუდი ეფუძნება ფასიანი ქაღალდების ფასების რყევებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შესაბამისად. მეორე, ყველა საოჯახო მეურნეობას როდი გააჩნია ფულის ფლობის სპეკულაციური მოტივი: მრავალი საოჯახო მეურნეობა ფულს ფლობს მხოლოდ ტრანსაქციული მოტივიდან და სიფრთხილის მოტივიდან გამომდინარე. ამგვარად, ფულის ფლობის სპეკულაციური მოტივი აქტუალურია იმ საოჯახო მეურნეობებისათვის, რომლებიც ნამდვილად ებებულენათ მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზრის საქმიანობაში. ასეთ საოჯახო მეურნეობებს გააჩნიათ არჩევანის შესაძლებლობა ფასიანი ქაღალდების ფლობასა და უკუმი სპეკულაციური ფულის ფლობას შორის. ეს არჩევანი დამოკიდებულია საოჯახო მეურნეობათა მოლოდინზე საპროცენტო განაკვეთის მომავალი ცვლილებების მიმართ.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თავისი წარსული საქმიანობიდან მიღებული გამოცდილებების საფუძველზე, ყოველი საოჯახო მეურნეობა აყალიბებს საკუთარ წარმოდგენას ნორმალური საპროცენტო განაკვეთის მიმართ (ან ფასიანი ქაღალდების ნორმალური ფასის მიმართ). რასაკირველია, ყოველი საოჯახო მეურნეობისათვის ასეთი წარმოდგენა საკუთარია და ინდივიდუალური, რამდენადაც თითოეული მათგანი აყალიბებს საკუთარ მოლოდინს (მათ უნდა იმედობდეს საკუთარი მოლოდინი) ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ. დაეუშვათ, არსებული საპროცენტო განაკვეთი იხრება ნორმალური საპროცენტო განაკვეთისგან და საოჯახო მეურნეობათა თვლის, რომ მომავალში საპროცენტო განაკვეთი დაუზრუნდება ნორმალურ დონეს პირველში აქტივების ფლობის ტენზიონთა როგორ შეიძლება ასეთ სიტუაციაში მოვახდინოთ საოჯახო მეურნეობათა მოლოდინის ინტერპრეტაცია ამ მომავალი პროცენტების (ან ფასიანი ქაღალდების ფასების) მიმართ?

თუკი არსებობს ნორმალურ საპროცენტო განაკვეთზე (ვთქვათ, 8%) უფრო მაღალი განაკვეთი (ვთქვათ, 10%), მაშინ საოჯახო მეურნეობებს მიღრქედილება ექნებათ მოლოდინისა, რომ ფასიანი ქაღალდებზე ფასები გაიზრდება. ასეთ შემთხვევაში, საოჯახო მეურნეობები ისურვებენ ფასიანი ქაღალდებში ინვესტირებას და თავიანთი უკუმი სპეკულაციური ფულის შემცირებას პირითი, თუკი არსებული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6%-ს ნორმალური 8%-ის პირობებში, მაშინ საოჯახო მეურნეობები უპირატესობას მიაჩნებენ შეინახონ ან გაზარდონ კიდევ უკუმი სპეკულაციური ფული.

ფულზე სპეკულაციური მოთხოვნა გვირევენებს, თუ რა რაოდენობის ფულის ფლობა სურს საოჯახო მეურნეობას სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების (ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა ფასების) შემთხვევაში.


ახლა განვიხილოთ საოჯახო მეურნეობათა ქცევა კონკრეტულ მაგალითზე. დაეუშვათ, 100 საოჯახო მეურნეობა მონაწილეობს სპეკულაციაში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ამ მონაცემების დროს საოჯახო მეურნეობები დაყოფილია 4 ტოლ ჯგუფად: A, B, C, D. დაეუშვათ აგრეთვე, რომ თითოეულ ჯგუფს გააჩნია საკუთარი წარმოდგენა ნორმალური საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ასე მაგალითად, A ჯგუფისათვის ის 7%-ა, B-სთვის – 6%, C-სთვის – 5%, ხოლო D-სთვის – 4%.

დაეუშვათ, საპროცენტო განაკვეთები ტოლია 8%, 6,5%, 5,5%, 4,5%, 3,5%. როგორ რეაგირებს მათგანს ამ ოთხიდან თითოეული ჯგუფი 1000 ლარის ფასიანი ქაღალდების ფლობასა და სპეკულაციური მოთხოვნის მოტივი 1000 ლარის ფლობას შორის არჩევანის ფორმირებაზე? აქტივების რომელი ტიპის ფლობას მიაჩნებენ უპირატესობას თითოეული ჯგუფი, ფასიანი ქაღალდებისას თუ ფულის? თუკი გრაფიკულად აღვნიშნავთ ამ ოთხივე ჯგუფის პასუხებს, მივიღებთ ფულზე სპეკულაციური მოთხოვნის პირობით გრაფიკს. მე-2 ნახაზზე აბსცისა დერძის მიმართ განლაგებულია სპეკულაციური მოთხოვნის მნიშვნელობა L_s , ორდინატა დერძის მიმართ – i . თუკი არსებული საპროცენტო განაკვეთი ტოლია 8%-ის, მაშინ ის აღემატება ოთხივე ჯგუფის ნორმალურ მაჩვენებელს. ამგვარად, ამ ოთხივე ჯგუფიდან არცერთი არ ისურვებს ფულის ფლობას სპეკულაციური მოტივი 8%-ის ტოლი საპროცენტო განაკვეთის დროს (წერტილი F მე-2 ნახაზზე). ეს მოხდება იმიტომ, რომ ოთხივე ჯგუფი ელოდება შემდეგს: ფასიანი ქაღალდებზე ფასები გაიზრდება (საპროცენტო განაკვეთის შემცირების კვალობაზე), ეს კი ნიშნავს, რომ ოთხივე ჯგუფი მიიღებს დიდიერდებას მათ ხელთ არსებულ ფასიანი ქაღალდებზე.

თუკი საპროცენტო განაკვეთი შემცირდება, მაგალითად, 6,5%-მდე, მაშინ A ჯგუფის საოჯახო მეურნეობა ისურვებს თავიანთი აქტივების (რომელცა ღირს 1000 ლარი) ქონას უკუმი სპეკულაციური

ფულის სახით. საპროცენტო განაკვეთის 5,5%-მდე შემცირების შედეგად B ჯგუფიც ისურვებს თავისი 1000 ლარის უქმი სპეკულაციური ფულის სახით ქონას. ამგვარად, სპეკულაციური მოთხოვნის თანხა გაიზარდება 2000 ლარამდე. მოცემულ შემთხვევაში, ორივე ჯგუფი (A და B) მოვლის, რომ ფასიან ქალაქლებზე ფასები შემცირდება და ამიტომ, მოცემული ჯგუფები არ ისურვებენ ფასიანი ქალაქები იქონიონ და განიცადონ დანაკარგები. C და D წერტილები გვიჩვენებენ, რომ C და D ჯგუფებიც ისურვებენ თითოეულმა იქონიოს 1000 ლარი უქმი ფულადი თანხის სახით, თუკი საპროცენტო განაკვეთი შემცირდება შესაბამისად 4,5%-დან 3,5%-მდე. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი სასოვადობა დაყოფილია არა ოთხ, არამედ მრავალ ჯგუფად ნორმალური საპროცენტო განაკვეთის მიმართ თავიანთი წარმოდგენების ნიშნის მიხედვით. ეს კი ფულზე სპეკულაციური მოთხოვნის ჩვეულებრივ ტენილ გრაფიკს მრუდის ფორმას მისცემს.

მაშასადამე, ფულზე სპეკულაციური მოთხოვნის უფრო რეალისტური გრაფიკი ისეთი სახისაა, როგორც ეს გამოხატულია ნახ. 3-ზე.



ნახ. 2. ფულზე სპეკულაციური მოთხოვნა უმარტივესი სახით

ნახ. 3-ზე ნაჩვენებია, რომ არსებობს პროცენტის რომელიღაც მაქსიმალური განაკვეთი i_{max} , რომლის დროსაც ობლიგაცია იმდენად მიმზიდველია, რომ არავის სურს უქმი ფულის ქონა სპეკულაციური მოტივით. პირიქით, რომელიღაც მინიმალური საპროცენტო განაკვეთის - i_{min} შემთხვევაში არავინ იქონიებს აქტივებს ფასიანი ქალაქის სახით. რაც უფრო დაბალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო სწრაფად იზრდება ფულადი ფორმით აქტივების ფლობის მსურველთა რაოდენობა, ე.ი. $L(i)$ უსასრულოდ ელასტიკური ხდება საპროცენტო განაკვეთის მიმართ. სპეკულაციური მოტივიდან გამომდინარე, ფულის ფლობის სურვილი უქმი ფულის სახით შეიძლება გამოვსახოთ ე.წ. სპეკულაციური მოტივით ლიკვიდურობის უპირატესობის მინიჭებისადმი ზღვრული მიდრეკილების დახმარებით: $L(i) = mL_s/i$. ეს სიდიდე გვიჩვენებს, თუ რამდენად გაიზარდება ფულზე მოთხოვნა სპეკულაციური მოტივით საპროცენტო განაკვეთის ცვლილების დროს (ყოველი ერთეული) i_{max} -სა და i_{min} -ს შორის ინტერვალში.

საპროცენტო განაკვეთების მცირედი ცვლილებების დროს ფულზე მოთხოვნა სპეკულაციური მოტივით შეიძლება გამოვსახოთ წრფივი ფუნქციის სახით:

$$L_s = L_f(i_{max} - i_{min}) \quad (4)$$


ლიკვიდურობის ხაფანგი

დაუბრუნდეთ მე-2 ნახაზს. როდესაც პროცენტის მოქმედი ნორმა, რომელიც ტოლი იყო 3,5%-ის, დაიწვეს ნორმალური საპროცენტო განაკვეთთან შედარებით, მაშინ საოჯახო მერხნობათა ყველა ჯგუფი მონიდრომებს ფულის ფლობას სპეკულაციური მოტივით და უარს იტყვის ფასიან ქალაქებზე (მაგალითად, ობლიგაციებზე). ისინი ელოდებიან, რომ ობლიგაციებზე ფასები დაიწვეს. თავის „ზოგად თეორიაში“ კეინზმა აღნიშნა, რომ ასეთი სიტუაცია შეიძლება წარმოიქმნას ძალიან დაბალი მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში. თუკი ყველა საოჯახო მერხნობა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ობლიგაციის ყიდვა-ყავიდავაში, ხელთ იქონიებენ სპეკულაციურ ფულს და სრულიად უარს იტყვიან ფასიან ქალაქებზე. მაშინ წარმოიშობა ე.წ. *ასოლუტური ლიკვიდურობის ეფექტი*. ასოლუტური ლიკვიდურობის სიტუაციამ მიიღო „კეინზიანური ლიკვიდურობის ხაფანგი“ სახელწოდება. ნახ. 2-ზე და ნახ. 3-ზე მოცემული ლიკვიდური ხაფანგი ნაჩვენებია ფულზე სპეკულაციური მოთხოვნის მრუდის პორზორტალური

მონაკვეთით. ამ მონაკვეთზე ფულსე სპეკულაციური მოთხოვნა ლიკვიდურობის მოტივით აბსოლუტურად ელასტიკურია.

კეინზიანური ხაფანგის თაობაზე უნდა მოუყვანოთ შემდეგი მოსაზრებები:

1. კეინზი წერდა ასეთი სიტუაციის წარმოშობის შესაძლებლობებზე 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის დროს. ერთი სიტყვით, ლიკვიდური ხაფანგი უნდა ყოფილიყო დეპრესიის ფენომენი და უნდა ასოცირებოდა უფუშეობის მაკად დონესთან.
2. ლიკვიდური ხაფანგის არსებობის ემპირიული დადასტურება არასოდეს და არავის მიერ არ ყოფილა მიღებული აშკარა ფორმით.



ნახ. 3 ერთობლივი სპეკულაციური მოთხოვნა

ფულზე მოთხოვნა პერმანენტული შემოსავლის პირობების ფარგლებში

კეინზისგან განსხვავებით, მონეტარიზმის ფუძემდებელი მილტონ ფრიდმენი არაერთაზრით განსხვავებას არ უშვებს ფულის ფლობის მოტივების თვალსაზრისით. ის მხოლოდ ახდენს იმის კონტრატაციას, რომ ეკონომიკურ სუბიექტებს სურთ ფულის ფლობა. ფრიდმენის კლასიკური მიმართულება გამიზნულია იმ ფაქტორთა აღმოსაჩენად, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა რაოდენობის ფულის ფლობა სურთ საოჯახო მეურნეობებსა და მეწარმეებს თავიანთ პორტფელში სხვადასხვა ეკონომიკური გარემოებების დროს.

უნაიდან ფრიდმენი ფულზე მოთხოვნას განიხილავს ნებისმიერ გრძელვადიან სიკეთეზე მოთხოვნის მსგავსად, ფულზე მოთხოვნის ფუნქციის ფორმირების დროს ის მიმართავს მოთხოვნის საერთო თეორიას.

ნებისმიერი სხვა აქტივის მსგავსად ფულს მოაქვს სარგებლობა თავისი მფლობელისათვის.

განვიხილოთ ფულზე მოთხოვნის ფრიდმენის განტოლება:

$$L = L(y, w, i, r^e, P, u) \quad (5)$$

სადაც L - ფულზე ნომინალური მოთხოვნა; y - პერმანენტული შემოსავალი; w - ნეთობრივი სიმდიდრის პროცენტული თანაფარდობა ადამიანისუფლ სიმდიდრესთან; i - საპროცენტო განაკვეთი; r^e - ფასების დონის მოსალოდნელი ცვლილებები; P - ფასების არსებული დონე; u - ინდექსი, რომელიც განსაზღვრავს გემოვნებისა და პრეფერენციებს.

1. საერთო სიმდიდრე (w). მოცემულ შემთხვევაში მ. ფრიდმენი საერთო სიმდიდრის ცნებას ცვლის თავისი საყვარელი კატეგორიით - პერმანენტული შემოსავლით. ფრიდმენი სიმდიდრეს განსაზღვრავს, როგორც რაღაც ფასეულობას, რომელსაც შეუძლია შემოსავლის მოცემა. ფრიდმენის მიერ სიმდიდრის განსაზღვრა უფრო ფართოა, ვიდრე სხვა ეკონომისტების მიერ. ფრიდმენისუფლი ინტერპრეტაციით, სიმდიდრე მოიცავს როგორც ნეთობრივ, ისე ადამიანისუფლი სიმდიდრეს. ნეთობრივი სიმდიდრე მოიცავს ისეთ აქტივებს, როგორცაა ობლიგაციები და აქციები, ასევე მოხმარების საგნები და წარმოების საშუალებები. ადამიანისუფლი სიმდიდრე წარმოადგენს შრომისგან მომავალი შემოსავლის მოლოდინს. მოსახლეობის უმრავლესობის სიმდიდრე არსებობს სწორედ ამ ფორმით.

ორიენტირებულია თუ არა ფულზე მოთხოვნა მიმდინარე მოთხოვნაზე, რომელიც დაფიქსირებულია შესაბამისი კონიუნქტურის ფაზის დროს, თუ ის შეესაბამება მოთხოვნის საშუალო დონეს, რომელიც მოსალოდნელია დროის განსაზღვრული მონაკვეთისათვის? ფრიდმენისათვის სწორედ პერმანენტული შემოსავალი, და არა ის, რომელიც ფიქსირდება განსაზღვრულ დროში, ქნის

შემოსავლის საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს როგორც მოხმარებაზე გადაწყვეტილებას, ისე ფულზე მოთხოვნას.

ახლა განვიხილოთ საერთო სიმდიდრე W , როგორც ადამიანისეულ სიმდიდრეს (H), პლიუს ნიეთობრივი სიმდიდრე (V). დაეუწუთ, რომ არსებობს V -სა და W -ს ფიქსირებული თანაფარდობა. მაშინ, ფულზე მოთხოვნა (M_2 -ის ტიპის) შეგვიძლია წარმოვადგინოთ, როგორც პერმანენტული შემოსავლის (Y) წრფივი ფუნქცია.

$$M_2 = K_2(r, V/W)Y, \quad \text{სადაც } \partial K_2 / \partial r < 0, \quad \partial K_2 / \partial (V/W) < 0.$$


პერმანენტული შემოსავალი განისაზღვრება, როგორც საერთო სიმდიდრის „პროცენტული შემოსავალი“:

$$Y_p = rW.$$

ამ ფორმულირებაში ფრიდმენი განიხილავს ფულზე მოთხოვნას არა მარტო როგორც პორტფელური ანალიზის ტიპის სპეკულაციის საღაროზე მოთხოვნას, არამედ როგორც ფულზე მთელ მოთხოვნას, ე.ი. ტრანსაქციის, სიფთხილისა და სპეკულაციის საღაროზე მოთხოვნას. ფულზე მოთხოვნის ფუნქციის V/W – დამატებითი ზრდა ფრიდმენის მიხედვით გამოხატავს ფულის ფლობაში სიფთხილის მოტივის დომინირებად ხასიათს: რაც უფრო მაღალია ნიეთობრივი სიმდიდრის წილი საერთო მოცულობაში, მით უფრო მეტია საერთო სიმდიდრის გაყიდვის შესაძლებლობა, ამასთან, ფულზე მოთხოვნა მცირდება, ვინაიდან ფინანსური და ფიზიკური აქტივები გეთავაზობენ შედარებით საიმედო დაცვას მომავლის განუსაზღვრელობისგან.

ნახ. 4-ზე წარმოდგენილია M_2 -ის ტიპის ფულზე მოთხოვნის ფუნქცია პროცენტის მოცემული განაკეთისათვის (r) – როგორც ნამდვილი შემოსავლის (Y), ისე პერმანენტული შემოსავლისათვის (Y_p). A წერტილში ეს ორი კატეგორია ერთმანეთს ემთხვევა: $Y_p = Y$. *ეკონომიკური დეპრესია* ამცირებს ნამდვილ (მოქმედ) შემოსავლს Y დონემდე. ეკონომიკურ აგენტებს უმცირდებათ ფულის ფლობის სურვილი M_0 -დან M_1 -მდე.

ფულზე მოთხოვნასა და დაკორექტირებულ შემოსავლებს შორის ემპირიული კავშირი გვიჩვენებს, რომ B წერტილი წარმოადგენს ფულზე მოთხოვნის დეტერმინანტს. პერმანენტული შემოსავლის თეორია, პირიქით, გულისხმობს, რომ ნამდვილ დეტერმინანტი წარმოდგენილია C წერტილით. პერმანენტული შემოსავალი მცირდება უფრო ნაკლებად, ვიდრე მიმდინარე შემოსავალი (მაგალითად, Y_p -ს დონემდე).



ნახ. 4. ფულზე მოთხოვნა მოქმედ და პერმანენტული შემოსავლის დრო

საწინააღმდეგო სიტუაციაში – *ბუმის სიტუაციაში* – მიმდინარე შემოსავალი იზრდება Y_2 -მდე. მაშინ, როდესაც პერმანენტული შემოსავალი არ იზრდება Y_{p2} -ზე მეტად. ფულზე მოთხოვნა იზრდება M_2 -მდე. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკა აღნიშნავს ფულზე მოთხოვნის ფუნქციის სახით E წერტილს, რეალურად კი, ფრიდმენის აზრით, სწორედ D წერტილი ასახავს მოცემულ ფუნქციას.

პერმანენტული შემოსავლის ცვლილება გამოხატავს „ნორმალური“ შემოსავლის ევოლუციას გრძელვადიან პერიოდში. ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილება, რომლებიც აყალიბებენ მოხმარებას, დანახოებს, სიმდიდრეს და ფულზე მოთხოვნას, უფრო ნაკლებადაა ორიენტირებული შემოსავლების შემთხვევით რყევებზე, ვიდრე პერმანენტული შემოსავლის ცვლილებებზე. შეიძლება

დეამტკიცოდ, რომ M1 ტიპის ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია მოქმედი შემოსავლის ცვლილებებზე. მაგრამ, M2 ტიპის ფულზე მოთხოვნა უფრო მართებულად გამიხატება პერმანენტული შემოსავლით.

2. ნიუთონური სიმდრეების პროცენტული თანაფარდობა ადამიანისეულ სიმდრეზე (w). ნიუთონური სიმდრეების სხვადასხვა ფორმები შეიძლება ადვილად ურთიერთშემცვლელი იყოს: აქციები – ობლიგაციებზე, ფულზე და ა.შ. მეორე მხრივ, თანაფარდოვრე საზოგადოებაში არსებობს ნიუთონური სიმდრის ადამიანისეული შეხვედრების ძალიან მცირე რაოდენობა. მაგალითად, ინდივიდს შეუძლია გაიყოს თავისი ფასიანი ქაღალდები, რათა ანაზღაუროს თავის განათლებაზე გაწეული ხარჯები და მომავლისათვის ქონდეს უფრო სასიკეთო შესაძლებლობა შემოსავლების მისაღებად. ფრიდმენის აზრით, ნიუთონური სიმდრის თანაფარდობა ადამიანისეულიდან (w) პრაქტიკულად უცვლელია. მაგრამ, გრძელვადიანი ჰერიოდიხისთვის ის შემცირებისკენაა მიმართული.

3. ფულის ფლობის ალტერნატიული დანახარჯები. ფრიდმენის აზრით, ფულის ფლობის ალტერნატიული დანახარჯი იმყოფება საპროცენტო განაკვეთის მიმართ პირდაპირდამოკიდებულებაში (i) და ფასების დონის მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ უკუდამოკიდებულებაში (r^*).

4. ფასების დონე (P). ფულზე ნომინალური მოთხოვნა იმყოფება ფასების დონის მიმართ პირდაპირ დამოკიდებულებაში.

5. გემოვნებები და პრეფერენციები (μ). ეს ცვლადი დამოკიდებულია ეკონომიკურ კონიუმქტურაზე, აგრეთვე მრავალ არაეკონომიკურ ფაქტორებზე: ომები, სტიქიური უბედურებები და ა.შ.

მაშასადამე, მ. ფრიდმენი ფულზე მოთხოვნას განიხილავს, როგორც *სტაბილურ სიდიდეს* მაგრამ სტაბილურობა არ უნდა გათვით, როგორც ფულის მიმოქცევის სიჩქარის (V), *მუდმივი სიდიდე* მოცემულ შემთხვევაში, სტაბილურობა გაგებულია იმ ცვლადების მიმართ, რომლებიც განსაზღვრავენ ფულის ფასეულობას.

ფიშერის ეფექტი

თუკი ფულზე მოთხოვნას მწარმოებლები და მომხმარებლები აყალიბებენ, ფულის მიწოდების მიღმა სახელმწიფო ღვა. როგანც ეს ეფექტანი ფულად-საპროცენტო პოლიტიკის გატარებას და ფულის მიწოდების სწორ ორგანიზებას შეძლებს, იქნება ეკონომიკის მყარი, სტაბილური და არაინფლაციური განვითარების წინამძღვრები. მაგრამ თუ პრაქტიკას დაეყრდნობით, სახელმწიფო ამა თუ იმ მიზნის გამო არც ისე იშვიათად ახდენს ფულის ბაზრის დეზორგანიზებას. ეს მაშინ ხდება, როდესაც ის უსწომოდ ზრდის ფულის მიწოდებას. ასეთ შემთხვევაში იგი ინფლაციური დაეადების გამომწვევე ფაქტორად გადაიქცევა, რომლისგანაც დიდხანს ზარალიდება მთელი ეკონომიკა. სახელმწიფო როცა მოუფიქრებლად ბერავს ფულის მიწოდებას და საპროცენტო განაკვეთს კრიტიკულად დაბალ ნიშნულამდე ამცირებს, იგი ლიკვიდურობისათვის განსაკუთრებული მაღალი უპირატესობის მინიჭების პროვოცირებას ახდენს. დანაზოვის მფლობელი დაბალ საპროცენტო განაკვეთში ხედავს იმ უტყუარ ინჰანს, რომ ფასიანი ქაღალდები ძვირია და ამიტომ, უარს ამბობს მათ შექანაზე, ელოდება, ინახავს ფულს თავისთან. ამრიგად, იზრდება ნეგატიური ზეწოლა კაპიტალდაბანდებებზე.

ამრიგად, ფულის მიწოდების შეუკავებელი ზრდის დროს ფულის ბაზარზე განსაკუთრებული, ეკონომიკისათვის მეტად საშიში სიტუაცია წარმოიშობა. მისთვის დამახასიათებელია საბაზრო სისტემის შოგნი კონტაქტების რღვევა, რაც ხელს უშლის ბაზრის წინასწრობის აღდგენას. როგორც ნახ. 3-ზე ფულზე მოთხოვნის მრუდის დამრეცი მონაკვეთი ვიგინებებს, ამ მონაკვეთზე ფულის მიწოდების ზრდას არ მოჰყვება საპროცენტო განაკვეთის შემცირება. მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ასეთ სიტუაციას ლიკვიდურობის საფანგს უწოდებენ, რომლის შინაარსიც შემოთ ავსხენით.

როგორც მეგომარეობაშია ლიკვიდურობის საფანგში მოხვედრილი ეკონომიკა? თუ განვიხილავთ ფულის ბაზარს, იქ სტაბილურად დაბალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში გრძელდება ფულის მიწოდების ზრდა. იმავედროულად საქონლის ბაზრებზე, რომლებიც მასტიმულირებელ იმპულსებს ანიან მოკლებული ფულის ბაზრების მხრიდან, წყდება ინფლაციების, წარმოებისა და მიწოდების ზრდა. გამოდის, რომ ეკონომიკაში თავს იყრის მზარდი ფულადი მასა, რომელიც აგარად მოკლებულია საქონლურ დაფარვას. ცხადია, ამ უსიამოვნო კონბინაციიდან, ინფლაციის პირად, არაფერია მოსალოდნელი.

თითქოს ეკონომიკის აქვს ლიკვიდურობის საფანგიდან თავის დაღწევის მარტივი შანსი. ეს დაეაშორებულია რეალური საღაროს ნაშთის (პიგუს) ეფექტთან. მართლაც, ფულის მიწოდების გაფართოება ხომ არა მხოლოდ შემოვლით (საპროცენტო განაკვეთის, ინფლაციებისა და წარმოების მეოხებით) ახდენს გაყენებას ერთობლივ შემოსავალზე, არამედ პირდაპირდაც. და

რადგან ეს ასეა, მაშინ უფრო მაღალი შემოსავლის პირობებში, ეკონომიკური სისტემის მონაწილენი მის ნაბატს ხარჯავენ როგორც მიმდინარე მოსმარებაზე, ისე დანაზოგზეც. ვინაიდან ლიკვიდურობის ხაფანგში მოხვედრილ ეკონომიკაში მიმდინარეობს ფასების ინფლაციური ზრდა, სუბიექტები, რომლებიც ზუსტად პიკუს ეფექტის შესაბამისად მოქმედებენ, დაიწყებენ ნაკლები მოხმარებას და მეტის დაზოგვას. მათი ასეთი ქცევა ნაკარნახევია ჯანსაღი საბაზრო ფუნქციონირებით, მომავალი ფასების შემცირების იმედით, დანაზოგის რეალური ფასეულობის შენარჩუნების სურვილით. ადვილი შესაძრწეია, რომ ამ სიტუაციაში იწყება თავის დაღწევა ლიკვიდურობის ხაფანგიდან: დანაზოგების ნაწილი გადაიქცევა ფულზე დამატებით მოთხოვნად, საპროცენტო განაკვეთი იწყებს ზრდას, რომელიც ხელს იწყობს ფულის ბაზარზე წონასწორობის დამყარებას.


მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ნამდვილად არსებობს რეალური საღაროს ნაშთის ეფექტი. ეს კი ინფლაციით დაავადებული ეკონომიკისათვის ძალიან საჭევია. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ინფლაციური გარემოება არა მხოლოდ ფასების ზრდას წარმოშობს, არამედ ძირეულად ცვლის მასთან დაკავშირებულ სამეურნეო ფუნქციონირებასაც. ფასების შემცირების შესაძლებლობისადმი უნდობლად განწყობილ სუბიექტებს უყალიბდებათ ინფლაციური მხოლოდინი და თავისი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მასზე იღებენ ორიენტაციას. ისინი დანაზოგის სახაზოდ ზრდიან მიმდინარე მოთხოვნას, რაც პიკუს ეფექტის მოქმედების შეწყვეტის ტოლფასია. ამრიგად, ლიკვიდურობის ხაფანგში მოხვედრილი ეკონომიკა ისევ მასში რჩება.

გამოდის, რომ ფულის ბაზარს არ გააჩნია ლიკვიდურობის ხაფანგიდან თავის დაღწევის მექანიზმი. რა თქმა უნდა, უმჯობესია არ მოხდეს მასში. მაგრამ თუ ეს მოხდა, თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ საქონლის ბაზრებზე მოვლენების ხელსაყრელი განვითარების პირობებში. მხედველობაშია, მაგალითად, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, ან რაღაც სხვა გარემოებანი, რომელთაც შეუძლიათ ფულის ბაზარზე სიტუაციის განმუხტვა და ლიკვიდურობის ხაფანგიდან მისი გამოყვანა. საქმე ისაა, რომ ამგვარი პოზიტიური ცვლილებები ერთობლივი შემოსავლის ზრდაში აისახება, რასაც თან სდევს მოთხოვნის გადღიდება, საპროცენტო განაკვეთის ზრდა და სხვა.

თუ ლიკვიდურობის ხაფანგის ეფექტს გაითვალისწინებთ, მაშინ ფულის ბაზრის წონასწორობის პირობების კორექტირება მიგვიხდება. წონასწორობის აღდგენა ფულის ბაზარზე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ფულის მიწოდება არ სცილდება ფულის მიწოდების მაქსიმალურად დასაშვებს ზღვარს (\bar{M}_S). ამიტომ, ფულის ბაზრის წონასწორობის გამოსახატავად არა ერთი, არამედ ორი პირობაა საჭირო:

$$\frac{M_S}{P} = \frac{M_d}{P} = L \left(Y, r, \frac{M_0}{P} \right), \quad M_S < \bar{M}_S. \quad (6)$$

როცა სახელმწიფო ფულის ექსპანსიითაა გატაცებული, ეკონომიკას ინფლაცია ემუქრება, თუნდაც ლიკვიდურობის ხაფანგში მოხვედრის რისკის გამო. ეს კიდევ ყველაფერი როდია ეკონომიკას სერიოზული ინფლაციური საშიშროება იმ პირობებშიც ემუქრება, როცა სახელმწიფო უკიდურესად ფრთხილად მოქმედებს, ცდილობს გააკონტროლოს ფულის მიწოდება, ან მიუახლოვდეს \bar{M}_S კრიტიკულ ზღვარს.



ნახ. 5. ფულის ბაზარზე წონასწორობის ცვლილება

ნახ. 5-ზე გამოხატულია ლიკვიდურობის ხაფანგისგან შორისყოფი ფულის ბაზრის მექანიზმის სისტემები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის მიწოდების ყველა მნიშვნელოვან M_2 მაქსიმალურ დონეზე ბევრად მცირეა.

ნახ. 5-ზე ABC დაშტრიხული არით წარმოდგენილი საქონლისა და ფულის ბაზრების ურთიერთქმედების მექანიზმის არსი გამოხატება შემდეგში ტექნის ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდების ზრდის შედეგად (M_2 -დან M_2' -მდე) დამატებითეულ უზომოდელსახ ახდენს საპროცენტო განაკეთზე, როგორც ი-დან რ-მდე მცირდება და ფულის ბაზარზე წონასწორობა დამყარდება B წარტილში. აღნიშნული დაბალი საპროცენტო განაკეთი იმოქმედებს საქონლისა და მომსახურების ბაზრების მდგომარეობაზე. ისინი კრედიტის გათავისებას უსახულებს ინეპტიციების, წარმოების, დასაქმებისა და ერთობლივი შემოსავლის გადიდებათ. შემდეგ, საბაზრო პრაციკები საწინააღმდეგო მიზართულებით წავა, გადააინცილებს ფულის ბაზარზე რეალური ერთობლივი შემოსავლის მოცულობის გაერთოეება გამოიწვევს ფულზე მოთხოვნის ზრდას (M_2 -დან M_2' -მდე). შედეგად, საპროცენტო განაკეთი რ-დან რ-მდე ამაღლება და ფულის ბაზრის წონასწორობა ამჯერად C წარტილში დამყარდება. უნდა აღინიშნოთ, რომ საქონლისა და ფულის ბაზრების აღნიშნული ურთიერთქმედების მექანიზმი, როგორც სხვა საბაზრო მექანიზმები, დროის შერადებით მცირე მონაკეთებში მოქმედებს. მაშასადამე, ფულის ბაზარი საკმაოდ სწრაფად გადის გზას A წონასწორობის წერტილიდან C წონასწორობის წერტილამდე.

თუკეთ, ფულის ბაზარი იმოქმედა C წერტილით აღნიშნული წონასწორობის მდგომარეობაში. დაეუშვათ, სახელმწიფო, რომელიც აძირებს კაპიტალდაზარდებებსა და წარმოებს კიდევ ერთი იმპულსი შემპატრო, აფართოებს ფულის მიწოდებას M_2' -მდე. ცხადია, ამით კელა ამუშავდება საპროცენტო ბაზრების მექანიზმები, რაც ერთობლივი შემოსავლის მორგე ზრდას გამოიწვევს. მაგრამ ის უკვე სულ სხვაგვარად განაწილებდა, ეიდრე წინათ. ფულის ექსანსიამ, რომელმაც დააჩქარა საბაზრო სისტემის მექანიზმები, იმავედროულად ხელი შეუწყო ინფლაციური მოლოინის განმტკიცებას. ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც ამით ხელმძლევანლებზე და თვალს აღევენენ შესდის ზრდას, იწყოინიციენ შემოსავლის ნამატის არა იმდენად დაზოგვას, რამდენადვე მის მიხედნარე მოხმარებისათვის გამოყენებას. ამას მოჰყვება დანახოვის და, მაშასადამე, ფულზე მოთხოვნის ზრდის დამუხრუჭება. ამიტომ, M_2' მოთხოვნის ახალი მრუდი არა მხოლოდ წინა მრუდზე მარჯვნივ და უკმით გაეილის, ის უფრო დამრეცი გახდება და ასახავს იმ ფაქტს, რომ ფულზე მოთხოვნის ზრდა გაცილებით მდორედ წარმართება. შესასამხსად, ABC სექტორის მარჯვნივ მყოფი დაშტრიხული არეს ფართობი შემცირდება.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს აქვს უფლება, შემდგომაც განაზღოს ფულის მიწოდება, განუტრად წავიდეს წინ, მართლაც ლიკვიდურობის ხაფანგისკენ. ნახ. 5-ზე ასეთი პოლიტიკური ხაზი წარმოდგენილია M_2' -დან M_2'' -ზე გადასვლით. ამასთან, ცხადია, რომ სულ უფრო მოდუნდება ინფლაციის ჰუმბში ღრმად ჩაფულული საქონლის ბაზრების რეაქცია. ამას მოწმობს, მაგალითად, M_2' მრუდის ფორმა. გამომდინარე, რომ სახელმწიფო რამდენადვე უფრო დამონებით ცდლობს სარგებლის განაკეთის შეცირებას, იმდენად უფრო ნაკლებ შედეგებს აღწევს, იმდენად უფრო დაბალია მისი ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობა.

როგორც ვნახეთ, ფულის ბაზრის მექანიზმი ფულზე მოთხოვნის, მისი მიწოდების და საპროცენტო განაკეთის მხოლოდ მოკელადიან ცვლებადობებს მაშინ აკეპობრებს, როცა მათი გაზომვა მიმდინარე საშუალო, ან, დაეუშვათ, თეორი მარევენებელი ხდება თუ ფულის მიწოდება გაიზარდა, მაშინ, თუკეთათ ერთი ორი თვის შემდეგ, შეიძლება იმედი ექონოიოთ, რომ საპროცენტო განაკეთი რამდენადვე შეცირდება. მაგრამ დროთა განმავლობაში, ამ ცვლებადობების რხევა შემცირდება და მაშასადამე, ბაზრის მექანიზმის მუშაობის მოკელადიანი ეფექტი ენღს მიუახლოვდება. რა თქმა უნდა, ეს არა მხოლოდ ფულის ბაზრის A-დან C მდგომარეობაში გადაადგილებას, არამედ სხვა ცვლილებებსაც ეხება.

ახლა ვაჩიხილით ფულის ბაზარი გრემელადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით. აქ ჩვენ დიდი მოულოდნელობა გველის. ფულის ბაზარზე მოდუნები ისე ეთარდება, რომ გრემელადიანი პერსპექტივაში საპროცენტო განაკეთები ყოველგვარ კავშირს კარგავენ ფულის მოთხოვნას და მიწოდებასთან. მართლაც, თუ ნახ. 5-ით ეიმსჯელებთ, საპროცენტო განაკეთის სიდიდე, საბაზრო მეტყობის პროცესში თავდაპირველად მცირდება და შემდეგ აუცილებლად მიდის მაღლა რე წონასწორობის ნიშნულამდე. ასე მრავალჯერ ხდება გამოორის, რომ საპროცენტო განაკეთის მოცემული დონე, საერთოდ არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენჯერ მიმართავს საპროცენტო ფულის ექსანსიას და ბოლოს და ბოლოს მის რა რაოდენობას შეეძლება ეკონომიკას. ფულის ბაზრის ეს ეფენიენი ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია *ფიშერის ეფექტის* სახელწოდებით. შევნიშნოთ, რომ მისი რეალობა დამტკიცებულია ეკონომეტრიკულ დამუშავებათა ისეთი სერიებით, როცა ერთმანეთს ედარებოდა ფულის ბაზრის პარამეტრების - საპროცენტო განაკეთის, ფულის მიწოდების და სხვა (განაგარმებული, მაგალითად ხუთი წლით) გრემელადიანი მნიშვნელობა.

როგორც ჩანს, ფულის ბაზარი ორი რეჟიმით მუშაობს. პირველია მოკლევადიანი საბაზრო მერყეობის რეჟიმი, რომლის თავისებურებებსაც უკვე გავეცანი. ფულის ბაზრის მოკლევადიან წინასწრობას (6) პირობები განსაზღვრავს. რაც შეეხება გრძელვადიანი წინასწრობის პირობებს, ის სხვანაირად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: საპროცენტო განაკვეთებისათვის აქ ადგილი არ რჩება.

ფულის ბაზრის წინასწრობის გრძელვადიან პირობას (მას ზოგჯერ *მონეტარისტულ წესს*, ასევე ფრიდმენის განტოლებას უწოდებენ) შემდეგი სახე აქვს:

$$M_2 = Y + \bar{F}_2 \quad (7)$$

(7) განტოლების პირველი ორი ცვლადი ჩვენთვის ცნობილია. M_2 -ით აღნიშნულია ფულის მიწოდების გრძელვადიანი (საშუალო წლიური) ზრდის ტემპი, Y -ით გრძელვადიანი (საშუალო წლიური) მაჩვენებელი, რომელიც რეალური ერთობლივი შემოსავლის (უცვლელ ფასებში) ციკლიკურებს ახასიათებს. ადვილად შესაძლებელია, რომ მსგავს კატეგორიებს ჩვენ უკვე მოკლევადიანი წინასწრობის პირობების განხილვისას შეეხებოდით. მხოლოდ იქ ფულის მიწოდებასა და ერთობლივი შემოსავლის მოცულობების ამსახველი ასოლუტური მაჩვენებლები ფიგურირებდნენ, აქ კი პროცენტებში გამოხატული მათი შეფარდებით სიდიდეებია მოცემული.

რამდენადაც რთულდება საქმე ფასების ფაქტორის გათვალისწინებით. როგორც ვნახეთ, ფულის ბაზრის მოკლევადიანი წინასწრობის პირობებში ფასების გავლენა არ იგრძნობა. ეს საესებო გამართლებებია, ეინაიდან, სახელმწიფო მოკლევადიან წინასწრობას მხოლოდ იმისათვის არაღვებს, რომ იმოქმედოს საპროცენტო განაკვეთებზე, რომლებშიც თავისი ფულადი პოლიტიკის მიზანს ხედავს. მომდევნო საბაზრო მერყეობაში, ფულის ბაზრის წინასწრობის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლაში ფასები არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ.

ამასთან, ასეთი საზომები საეკონომიკურ უფარვისა გრძელვადიანი წინასწრობის განსხვავდა. ფიშერის ეფექტის თანახმად, ხანგრძლივ პერსპექტივაში ფულზე მოთხოვნა დამოუკიდებელი ხდება საპროცენტო განაკვეთების პირობისაგან. ახლა ის ემორჩილება სახელმწიფოს, რომელიც ფულის მიწოდების ორგანიზაციას ამორტივებს. მაშასადამე, მისი ამოცანები პრინციპულად იცვლება. გრძელვადიანი ფულადი პოლიტიკის მიზანი ეკონომიკის მყარი, არაინფლაციური ზრდის შენარჩუნება ხდება. თუ ვივარაუდებთ, რომ F სიდიდე ცნობილია, მაშინ ამ ამოცანის გადასაწყვეტად (M_2 -ის სწორი მნიშვნელობის შერჩევა) გასარკვევია, ფასების ზრდის სახელმძღვანელო როგორი ტემპია შესაფერისი ეკონომიკის არაინფლაციური განვითარებისათვის. ამიტომ, გრძელვადიანი წინასწრობის ტოლობაში ჩნდება F_2 ფასების დონე, რომელიც ისეთ ეკონომიკას ახასიათებს, სადაც ფულის ბაზარი მუდმივად იმოქმედებს მოკლევადიანი წინასწრობის მდგომარეობაში, ანუ უკანსხვებს ინფლაციის გამოშრობაცხად (6) პირობებს. ეინაიდან სინამდვილეში ასეთი რამ არ არსებობს, იმის გამო, რომ წინასწრობას დროდადრო სახელმწიფო ძირს უთხრის საპროცენტო განაკვეთის რეგულირებით, F_2 საანგარიშო ინდიკატორის სახით გვევლინება. ის მიუთითებს იმაზე, თუ როგორ გაიზარდებოდა ფასები ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფო თავს იკავებს პროცენტების, ინფლაციუებისა და წარმოების ფულადი რეგულირებისაგან. თუ გაერთიანდებით ანალიზი, რომ გრძელვადიან დიაპაზონში ფულის ბრუნვის სიჩქარის გავლენა უმნიშვნელოა, მივიღებთ ფულის ბაზრის წინასწრობის სწორედ იმ პირობას, რაც (9) ფორმულაშია გამოსახული.

ფულის ბაზრის შესახებ მსჯელობა რამდენიმე პრინციპული ხასიათის დასკვნის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. ამ საკითხზე მსჯელობისას ძალზე ზნირად გამოიყენებ ცნება „საპროცენტო განაკვეთი“. ეს არცაა გასაკვირი. როგორც დავრწმუნდით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ფულის ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგულატორია, რომ არაფერი ეთქვამთ ისეთ ძლიერ გავლენაზე, რომელსაც იგი ხანგრძლივით მოთხოვნასა და დანაზოვის მიწოდებაზე ახდენს. ზემოთ ნაჩარბეული ანალიზი დამატებულად ამტკიცებს, რომ საპროცენტო განაკვეთის საკმაოდ თავისუფალი რყევების გარეშე საბაზრო სისტემის მექანიზმი ვერ იფუნქციონირებს. თანამედროვე ეკონომიკაში პროცენტები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს აღმინისტრაციული ძალადობის ობიექტი. თუ სახელმწიფო მიმართავს მზრდამებულ ხერხებს, აიძულებს კომპიუტულ ბანკებს, მიიღონ ანაბრები და გასცენ სესხები ზუსტად განსაზღვრული ფიქსირებული პროცენტებით, მაშინ მოსალოდნელია საქონლისა და ფულის ბაზრებზე მოქმედი მექანიზმების არა მარტო შეფერხება, არამედ მთლიანად გაჩერებაც კი. დანაზოვი აუცილებლად იქით გადაინაცვლებს, სადაც პროცენტი საბაზრო მეოთხედით უაღრესად, ექრძოდ ისეთ ეკონომიკაში, რომელსაც ზრდილობის ვეწოდებთ. დასავლეთ ფულადი სექტორშიც, აყვადება იტაქამევა მგევაშობა. არსებობდა იგივე მოხდენა, რაც მაშინ ხდებოდა, როდესაც გონიერულ საზღვრებს სცილდებოდა ფასების ცენტრალიზებული დაგეგმა. სპეკულაციური მაღალ ფასებში გაყიდულ საქონელსა და მომსახურება ფულადი მიმტება, რომელიც ოფიციალური ეკონომიკიდან სახელმწიფოს მოუფერხებელი მოქმედებით ამოყვრდება. შევნიშნათ, რომ სახელმწიფოს მეტად გაუხენდლება ეკონომიკაში მყოფი ფულის მასის ხელში

ჩაგდება, მისი მოძრაობის როგორღაც გაკონტროლება. ამას კი ინფლაციის მოულოდნელი აფეთქებები მოჰყვება.

ხომ არ გამოდის, რომ სახელმწიფო საერთოდ არ უნდა გაეკაროს საპროცენტო განაკვეთებს და იგი ფულის ბაზრის სრულ განმეკბლობაში დატოვოს? არა, ასე მოქცევა არ შეიძლება. საბაზრო სისტემის დაუნგრეველად სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს საპროცენტო განაკვეთის ღონესე მოქმედების არაპირდაპირი მეთოდები, კერძოდ, გაატაროს მოკლევადიანი ფულადი პოლიტიკა. სხვაგვარად ის ვერ განახორციელებს ისეთ აუცილებელ ფუნქციებს, როგორცაა მუერნობის სტრუქტურული და ანტიინფლაციური რეგულირება. საერთოდ უნდა ვეღიაროთ, რომ თანამედროვე სახელმწიფოს თავის მარაგში ეკონომიკის მართვის არც ისე ბევრი ხერხი გააჩნია, რომ თავს ნება მისცეს, უარი თქვას პროცენტების, ინფესტიციებისა და წარმოების ფულად რეგულირებაზე. ასეთი რამ არც შემინევა სინამდვილეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ლიეშიცი, საბაზრო ეკონომიკის შესავალი, თსუ გამომცემლობა, 1996, გვ. 73-81
2. Н.Г.Мзликьо, Макроэкономика. Изд-во Московского университета, 1994, гв. 669-689
3. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, гв. 254-288
4. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, гв. 333-352
5. Т.А. Атапова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДИС. 2002. гв. 141-161
6. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002. гв. 199-229
7. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леусский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999. гв. 83-121
8. Mankiw N. G. Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003, гв. 491-520
9. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, гв. 65-89

თაში 19. ძირითადი მაკროეკონომიკური ურთიერთკავშირების არსი ლია ეკონომიკაში

19-1. შიდა და გარე წონასწორობა: ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი იგივეობა

ეროვნულ ანგარიშთა ძირითადი იგივეობით მტკიცდება, რომ დახურულ ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება ტოლია შიდა დანახარჯების, რომელიც მოიცავს მოხმარებას (C), ინვესტიციებს (I) და სახელმწიფო ხარჯებს (G). ლია ეკონომიკაში C, I და G წარმოადგენს ყველა საქონლისა და მომსახურების შექმნაზე გაწეულ დანახარჯებს, ამასთანავე დანახარჯებს იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც წარმოებულია მოცემული ქვეყნის არარეზიდენტების მიერ. შესაბამისად, ჩვენ უნდა შევცვალოთ ეროვნულ ანგარიშთა ძირითადი იგივეობა და გათვითცხოთ იმპორტი ერთობლივი დანახარჯებიდან $C+I+G$ -დან, იმისათვის, რათა მივიღოთ რეზიდენტების ერთობლივი დანახარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც წარმოებულია მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ. მაგრამ, ამასთანავე არსებობს ერთობლივი მოთხოვნის დამატებითი წყარო იმ პროდუქციაზე, რომელიც მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ არის წარმოებული - ეს არის მოთხოვნა დანარჩენი მსოფლიოს მხრიდან, ანუ ექსპორტი. იგი უნდა ჩავთოდ ერთობლივი შიდა დანახარჯების ჯამში. ამგვარად, ჩვენ მივიღებთ:

$$Y = C + I + G + (X - M) \quad (1)$$

$$(X - M) = NX = \text{წმინდა ექსპორტი.}$$

იგივეობა ამტკიცებს, რომ ერთობლივი შემოსავალი ტოლია რეზიდენტების ერთობლივ დანახარჯებს $(C+I+G)$ პლიუს წმინდა ექსპორტი.

თუკი Y წარმოადგენს მთლიან შიდა პროდუქტს, მაშინ წმინდა ექსპორტი (NX) მოიცავს საქონელსა და არაფაქტორულ მომსახურებას. თუკი Y წარმოადგენს მთლიან ეროვნულ პროდუქტს, მაშინ X მოიცავს საქონელს, არაფაქტორულ მომსახურებას და წმინდა ფაქტორულ შემოსავალს უცხოეთიდან (YF), რაც თავისი სიდიდით შეესაბამება საქონლისა და მომსახურების ბალანსს საგადამხდელო ბალანსის ანგარიშებში.

$$GNP = Y = C + I + G + (X - M + YF) \quad (2)$$

თუკი იგივეობის ორივე მხარეს (2) მიუმატებთ წმინდა ტრანსფერტებს უცხოეთიდან (TRF), მივიღებთ მთლიან ეროვნულ განკარგებად შემოსავალს (GNDI-Gross National Domestic Income), რომელიც წარმოადგენს რეზიდენტების საერთო შემოსავალს და ნაწილდება მოხმარებასა და დაზოგვაზე.

$$GNDI = C + I + G + (X - M + YF + TRF) \quad (3)$$

სადაც $(X-M+YF+TRF)$ შეესაბამება მიმდინარე ოპერაციათა ბალანსს საგადამხდელო ბალანსის ანგარიშებში.

ორი შეხედულება გარე წონასწორობაზე

ჩვენ შეგვიძლია ეროვნულ ანგარიშთა ძირითადი იგივეობა შემდეგი სახით ჩაწეროთ:

$$Y - (C + I + G) = NX \quad (4)$$

ამ შემთხვევაში NX წარმოადგენს სხვაობას ეროვნულ შემოსავალსა და რეზიდენტების ერთობლივ დანახარჯებს შორის, რომელიც მოიცავს სახელმწიფოსაც. დადებითი წმინდა ექსპორტი გულისხმობს, რომ ეროვნული შემოსავალი აღემატება ერთობლივ დანახარჯებს, იმ დროს, როდესაც უარყოფითი წმინდა ექსპორტი ამტკიცებს, რომ ერთობლივი დანახარჯები აღემატება ეროვნულ შემოსავალს. ეს მტკიცება იმას მიუთითებს, რომ გარე წონასწორობის მიღწევას მაკროეკონომიკური ასპექტი განაჩნა

და რომ მისი გადაჭრა მოითხოვს იმ გადაწყვეტილებების შერჩევას, რომელიც საშუალებას იძლევა ადღგებულ იქნას წონასწორობა ეროვნულ შემოსავალსა და ერობობლივ დანახარჯებს შორის.

თუ ჩვენ მიუვამტებთ და გამოვაკლებთ წმინდა გადასახადებს T (გადასახადები ტრანსფერტების გამოკლებით) იგივეობის მარჯვენა მხარეს (3) მივიღებთ:

$$GNDI = C + I + G + T - T + (X - M + YF + TRF) \quad (5)$$

თუკი გამოვიყენებთ კერძო დანახოვების განმარტებას, როდესაც $S = GNDI - C - T$, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის განმარტებას $BS = T - G$ -სა და მიმდინარე ოპეციების ანგარიშებს, $NX = X - M + YF + TRF$, მაშინ მივიღებთ შემდეგ იგივეობას:

$$NX = (S - I) + (T - G) \quad (6)$$

მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი (NX) ტოლია კერძო სექტორში დანახოვებსა (S) და ინვესტიციებს (I) შორის სხვაობას დამატებული ბიუჯეტის პროფიციტი. მიმდინარე ოპერაციათა დანებითი საღლო მოითხოვს ან დანახოვების მეტობას ინვესტიციების მოცულობაზე ან სახელმწიფო სექტორში კერძო გადასახადების მეტობას დანახარჯებზე ასეთი დამოკიდებულების არსებობის შემთხვევაში მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის დეფიციტი ასახავს ეროვნული დანახოვის ნაკლებობას ინვესტიციებთან და სახელმწიფო დანახარჯებთან შედარებით.

საგადამხდლო ბალანსის ანგარიშები

საგადამხდლო ბალანსი – ესაა სტატისტიკური ანგარიში, რომელიც ყველა ეკონომიკურ გარეგებას ასახავს რეზიდენტებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ის ასახავს თანაფარდობას მოცემული ქვეყნის მიერ უცხოეთიდან მიღებულ საქონლისა და მომსახურების მოცულობასა და ამ ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნებისადმი შუთავაზებულ საქონელსა და მომსახურებას შორის, აგრეთვე ქვეყნის ფინანსურ პოზიციაში ცვლილებებს უცხოეთთან მიმართებაში. საგადამხდლო ბალანსი მოიცავს სამ ბალანსს: მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშს (NX), კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს (KA) და ოფიციალური სა-რეზერვო აქტივების ცვლილებას (ΔR). NX-სა და KA-ს ჯამს ჩვეულებრივ უწოდებენ ოფიციალურ გაანგარიშებათა ბალანსს BP – Balance of Payments.

$$BP = NX + KA \quad (7)$$

იმ დროს, როდესაც ოფიციალურ გაანგარიშებათა ბალანსი ასახავს უცხოური საქონლის, მომსახურებისა და აქტივების შესყიდვას, სავალუტო რეგულირების ორგანოებმა უნდა შეძლონ დისბალანსის რეგულირება ან უცხოური ვალუტის რეზერვების გამოყენებით, რომელიც ინახება მოცემული ქვეყნის ცენტრალურ ბაჟში, ან საგარეო ფინანსურ ბაზრებზე სესხის ადებით.

$$NX + KA = \Delta R \quad (8)$$

საგადამხდლო ბალანსი, რომელიც მოიცავს ოფიციალურ რეზერვებს, ჯამში შეადგენს ნულს. ვინაიდან მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში (NX) შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მისი დო-ფინანსების წყაროების ჯამი, ჩვენ მივიღებთ შემდეგს:

$$NX = \Delta R - \Delta KA = \Delta NFA \quad (9)$$

სადაც ΔR^1 – არის ცვლილება უცხოური ვალუტის რეზერვში;

ΔKA^2 – არის ცვლილება წმინდა უცხოურ ვალდებულებებზე უცხოეთიდან;

ΔNFA^3 – არის წმინდა მატება ლიკვიდურ აქტივებზე უცხოეთიდან.

ქვეყნის NX გვიჩვენებს, თუ რამდენით იზრდება მთლიანობაში წმინდა გარე აქტივები.

¹ ΔR – Change in net foreign exchange reserves

² ΔKA – Change in net foreign Liabilities

³ ΔNFA – Net foreign Assets

თუკი ქვეყნის დანახარჯები შემოსავალზე ნაკლებია, იზრდება მისი ლიკვიდური მოთხოვნები უცხოელების მიმართ. მიმდინარე ოპერაციათა დადებითი საღლო გულისხმობს უცხოური ვალუტის რეზერვების წმინდა ზრდას და კაპიტალის გადინებას ქვეყნიდან. (6) იგივეობის გარდაქმნის შედეგად, მივიღებთ:

$$(S - I) + (T - G) = \Delta NFA \quad (10)$$

დაეუშვათ, რომ კერძო სექტორში დანახარჯები და ინვესტიციები ერთმანეთის ტოლია. სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი ნიშნავს უცხოელებისადმი წმინდა ლიკვიდური მოთხოვნების ზრდას. იგი გამოიხატება ან სახელმწიფოს საგარეო ვალის შემცირებაში, ან ოფიციალური რეზერვების ზრდაში.

ფულადი ანგარიშები

ფულის რეგულირების ორგანოს – ცენტრალური ბანკის წმინდა ოფიციალური სავალუტო რეზერვებში ცვლილება დაკავშირებულია ფულის მიწოდებასთან და შიდა კრედიტებზე. ეს თავის ასახვას პოუვებს ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშებში. ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშებში გვაქვს:

$$\Delta R + \Delta DC = \Delta MB$$

ΔR – ცვლილებები ცენტრალური ბანკის ოფიციალურ სავალუტო რეზერვებში;

ΔDC – ცვლილებები მთაერთობისადმი და კომერციული ბანკებისადმი მიცემულ შიდა კრედიტებში;

ΔMB – ცვლილებები ფულად ბაზაში.

როდესაც ქვეყანას აქვს საგადამხდელი ბალანსის დეფიციტი, მისმა ცენტრალურმა ბანკმა უნდა ითვლოს საკუთარი ვალუტა და გაეიდოს უცხოური ვალუტის რეზერვები. თუკი ამ დროს ცენტრალური ბანკი რაიმე სხვა ქმედებებს არ მოიშობქმედებს, ფულადი მასა შემცირდება.

საგადამხდელი ბალანსის ანგარიშებში, ქვეყნის ოფიციალური გაანგარიშებები (BP) თავისი არსით გამოიხატავს ცენტრალური ბანკის ოფიციალური სავალუტო რეზერვების ცვლილებების სიდიდეს.

$$BP = \Delta R$$

თუკი რეზერვები მცირდება ΔR სიდიდით იმის შედეგად, რომ ქვეყანა განიცდის საგადამხდელი ბალანსის დეფიციტს და შიდა კრედიტი (DC-Domestic Credit) არ იცვლება, მაშინ ფულადი ბაზა (MB) იმავე სიდიდით მცირდება. არსებობს ფულადი მასის მსგავსი ავტომატური შემცირების მხოლოდ ერთი ხერხი – ეს არის სტერილიზაცია (სტერილიზაციის განმარტება იხ. დანართში). თუკი ცენტრალური ბანკი მოახდენს ოფიციალური სავალუტო რეზერვების ცვლილებების განეიტრალებას შესაბამისი ცვლილებების კვადაკვად, MB შეიძლება უცვლელი დარჩეს, მიუხედავად ცვლილებებისა ოფიციალურ სავალუტო რეზერვებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში, სადაც საგადამხდელი ბალანსის დეფიციტია, ცენტრალური ბანკი მოახდენს ოფიციალური სავალუტო რეზერვების ხარჯვას, რაც შეამცირებს MB-ს, მაგრამ ამავდროულად გაატარებს სტიმულირებად ფულად პოლიტიკას ღია ბაზარზე ოპერაციების ჩატარებით ან გაზრდის შიდა კრედიტს მანამდე, სანამ ფულადი მასა არ მიუახლოვდება საწყის (პირველად) დონეს. სტერილიზაციის ასეთი პოლიტიკა უფრო ხშირად ისეთ ქვეყნებში გვხვდება, სადაც ფულადი პოლიტიკა მიმართულია უცვლელი საპროცენტო განაკვეთის ან უცვლელი ფულის მიწოდების შენარჩუნებისაკენ.

შიდა და გარე წონასწორობის მოდელი

დაეუშვათ, რომ სახელმწიფო თავის წინაშე ორ მიზანს ისახავს. პირველი მიზანია – შიდა წონასწორობის მიღწევა: წარმოების ერთობლივი მოცულობა „სრული დასაქმების“, ანუ წარმოების პოტენციურ დონეზე. მეორე მიზანი – გარე წონასწორობის მიღწევა: წმინდა ექსპორტის გატოლება ნულთან.

⁴ ΔDC – Domestic Credit

⁵ ΔMB – Monetary Base

ჩვენ გამოვიყენებთ შიდა და გარე წონასწორობის მოდელს იმისათვის, რათა ვაჩვენოთ ორივე მიზნის მიღწევის უწყვეტიანი გზები. ამ ამოცანის გადასატრედად პოლიტიკოსებმა უნდა გაატარონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც მოქმედებს როგორც შიდა, ისე გარე წონასწორობაზე. წარმოდგენილი მოდელი შემუშავებულია მცირე ღია ეკონომიკისათვის. მცირე ღია ეკონომიკა გულისხმობს, რომ მასზე ზეგავლენას ახდენს, ერთის მხრივ, სხვა ქვეყნების ეკონომიკური განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ, მოცემული ეკონომიკის გავლენა გარე სამყაროზე პრაქტიკულად აღარ არსებობს. ეს გულისხმობს ასევე, რომ მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის დონე i^* განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთის დონეს მოცემულ ეკონომიკაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღია ეკონომიკა ისეთი მცირეა, რომ მას შეუძლია მიიღოს ან გასცეს სესხი მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე კრედიტების ზომისაგან დამოუკიდებლად და ამაღროულად, არ მოახდინოს გავლენა მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე.


ჩვენ ვიცით, რომ სხვა თანაბარ პირობებში, სახელმწიფო ხარჯების (G) ზრდას მიყვარათ შემოსაულების (Y) ზრდასთან, მაგრამ ეს იმედაროულად ზრდის იმპორტს (M), ხოლო ეროვნული ვალუტის გაუფასურება (რეალური სავალუტო კურსის შემცირება - ϵ) აუზრუნველებს NX და ზრდის Y. თუკი გაეთვალისწინებთ, რომ $i = i^*$, $Y^* =$ მოცემული სიდიდეა, ფასების დონეა P, ხოლო P^* მუდმივია, მივიღებთ შემდეგს:

$$IB: Y = C(Y^*) + I(i) + G + NX(\epsilon, \bar{Y}, Y^{**}) \quad \text{ანუ} \quad Y = Y(\epsilon, G^*)$$


$$EB: NX = X(\epsilon, Y^{**}) - M(\epsilon^*, \bar{Y}) \quad \text{ანუ} \quad NX = NX(\epsilon, \bar{C})$$

ჩვენს შემთხვევაში გვაქვს ეკონომიკური პოლიტიკის დონისძიებთა ორი ტიპი: დონისძიებები, რომლებიც ზემოქმედებენ სავალუტო კურსზე (მაგალითად დეველაცია) და დონისძიებები, რომლებიც ზემოქმედებენ სახელმწიფო ხარჯების სიდიდეზე. მთავრობის მასტიმულირებელი საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკა ზრდის წარმოების მოცულობას, მაგრამ აუარესებს NX-ს. სავალუტო კურსის შემცირება (ანუ დეველაცია) ასევე ზრდის წარმოების მოცულობას და აუზრუნველებს NX-ს. შიდა და გარე წონასწორობის მისაღწევად ორივე პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ერთდროულად.

ქვემოთ მოყვანილია ორი დიაგრამა ϵ -სა და G-კოორდინატებში. ნახ. 19-1-ზე აგებულია შიდა წონასწორობის (IB - Internal Balance) გრაფიკი შემოსავლის მოცემული დონისთვის. ხოლო ნახ. 19-2-ზე - გარე წონასწორობის (EB - External Balance) გრაფიკი NX-ის მოცემული დონისთვის.




ნახ. 19-2



ნახ. 19-1


ნახ. 19-3-ზე შიდა წონასწორობის (IB) და გარე წონასწორობის (EB) საზია ნაჩვენებია ერთდროულად. მოცემული გრაფიკი ცნობილია სკონის დიაგრამის სახელით.

ამ დიაგრამაზე აღნიშნულია ოთხი სფერო. სფერო I მიუთითებს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის დადებით საფლოზე და ინფლაციურ მოთხოვნაზე. სფერო II - მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის დეფიციტზე და ინფლაციურ მოთხოვნაზე. სფერო III მიუთითებს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის დეფიციტსა და არასრულ დასაქმებაზე, ხოლო სფერო IV - მიმდინარე ოპერაციათა დადებით საფლოსა და არასრულ დასაქმებაზე. არსებობს მხოლოდ ერთი წონასწორობის წერტილი - წერტილი A. აუცილებელია ორივე ტიპის ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოყენება (სახელმწიფო დანახარჯების ცვლილება და ზემოქმედება სავალუტო კურსების დონეზე) საერთო წონასწორობის მისაღწევად (მაგალითად P წერტილიდან). ძირითადი შეკითხვის არსი იმაში მდგომარეობს, თუ რომელმა ოპერაციალურმა ორგანომ უნდა აგოს პასუხი შიდა წონასწორობის მიღწევაზე და რომელმა - გარე წონასწორობაზე: ცენტრალურმა ბანკმა (რომელიც პასუხისმგებელია სავალუტო კურსის შენარჩუნებაზე) თუ ფინანსთა სამინისტრომ (რომელიც აკონტროლებს G სიდიდეს), ეს შეკითხვა ცნობილია, როგორც „როლების გადანაწილება პრობლემა“. როლების გადანაწილება უნდა დაეფუძნოს IB და EB მრუდის დახრილობას.




ნახ. 19-3.

ერთ-ერთი შესაძლო წესი შემდეგში მდგომარეობს: ცენტრალურ ბანკს ეკისრება გაცვლით კურსზე ზემოქმედების ელდეგულება გარე წონასწორობის მიღწევის მიზნით, ხოლო ფინანსთა სამინისტროს - სახელმწიფო ხარჯების დონეზე შიდა წონასწორობის მიღწევის მიზნით.



ნახ. 19-4




ნახ. 19-5

ეს წესი ქმდითია მაშინ, როდესაც წმინდა ექსპორტი გაცვლითი კურსისადმი (ε) შედარებით მგრძობიარეა (ხოლო წარმოების მოცულობა მგრძობიარეა სახელმწიფო შესყიდვების მიმართ (G))

(ნახ. 19-4). სხვა წესი შემდეგში მდგომარეობს: ცენტრალური ბანკი ზემოქმედებს გაცვლით კურსზე შიდა წონასწორობის მიღწევის მიზნით, ხოლო ფინანსთა სამინისტრო კი G-ზე, გარე თანასწორობის მიღწევის მიზნით. ეს წესი კმედიითა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წარმოების მოცულობა შედარებით არამგრძობიარება G-ს მიმართ (ნახ. 19-5)


სურნის დიავრამა გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნას გარე და შიდა წონასწორობა, თუკი მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სავალუტო კურსი (ანუ, როდესაც სავალუტო კურსი არ არის ფიქსირებული). ეკონომიკაში ერთდროული წონასწორობის მიღწევა, როგორც შიდა (წარმოების ერთობლივი მოცულობა „სრული დასაქმების“ დონეზე) ისე გარე დონეზე (მაგალითად, საგადასახდლო ბალანსის ნულთან ტოლობა) ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს კაპიტალის საერთაშორისო მობილურობის პირობებში შეიძლება აღიწეროს სხვა მოდელის დახმარებით. ეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებელ ინსტრუმენტებად გამოიყენება სახელმწიფო ხარჯების დონე (G), როგორც საბიუჯეტო-სავადასახდლო პოლიტიკის ინსტრუმენტი და საპროცენტო განაკვეთი (i), როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტი. დიაგრამებზე მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები განლაგებულია უშუალოდ დეკების მიხედვით.

შიდა და გარე წონასწორობის მრუდების გამოყენა ნაჩვენებია ნახ. 19-6-ზე და ნახ. 19-7-ზე. დავუშვათ, რომ ეკონომიკა დასაწყისში იმყოფება შიდა და გარე წონასწორობის გადაკეპთის A წერტილზე. განვიხილოთ გარე წონასწორობის გრაფიკი (ნახ. 19-6). G-ს ზრდას, A წერტილიდან მარჯვნივ მოძრაობას მიყვარათ შემოსავლის დონის ზრდამდე და როგორც შედეგი, იმპორტის ზრდამდე და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის გაუარესებამდე. F წერტილში საგადასახდლო ბალანსის საღლო უარყოფითია. იმისათვის, რათა მთავრობამ წონასწორობაში მოიყვანოს საგადასახდლო ბალანსი, აუცილებლად უნდა მიაღწიოს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის გაუმჯობესებას. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემაკავებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გზით, რაც i-ს ზრდაში გამოიხატება. თუკი საპროცენტო განაკვეთის გაზრდილი დონე საკმარისი აღმოჩნდება, გაზრდილი კაპიტალის ნაკადი გაანეიტრალებს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის გაუარესებულ საღლოს და საგადასახდლო ბალანსი მიადწვეს წონასწორობას. შედეგად, გარე წონასწორობის მრუდს (EB) ეკნება დადებითი დახრილობა.



ნახ. 19-6

ახლა განვიხილოთ შიდა წონასწორობის გრაფიკი (ნახ. 19-7).



ნახ. 19-7

G


შიდა წონასწორობის მრუდს (IB) ასევე დადებითი დახრილობა აქვს: G-ს ზრდა წარმოქმნის ჭარბ ინფლაციურ მოთხოვნას B წერტილში, მისი აღმოფხვრა მოითხოვს ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოების მხრიდან i-ს ზრდას.

EB მრუდის დახრილობა დამოკიდებულია კაპიტალის მოცულობის ხარისხზე, რომელიც უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული. თუმცა, კაპიტალის ნებისმიერი მობილურობის პირობებში EB მრუდი უფრო დახრილი იქნება, ვიდრე IB მრუდი. განვიხილოთ მოძრაობა A წერტილიდან C წერტილში. მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა და შემაკავებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ისეთ დონეზე უნდა იყოს შესაბამელი, რომ ეკონომიკა დაჩრქვას სრული დასაქმების დონეზე. C წერტილში საგადასახდელო ბალანსი დადებითია: მიმდინარე ანგარიშის სალდო უცვლელი რჩება, რადგანაც G-ს დონე C და C₁ წერტილში ერთნაირია, თუმცა საპროცენტო განაკვეთი C წერტილში უფრო მაღალია, რაც ეკონომიკაში კაპიტალის მოდინებას უწყობს ხელს. მხოლოდ EB მრუდიდან მარცხნივ და მაღლა არსებული წერტილები წარმოადგენს საგადასახდელო ბალანსის დადებითი სალდოს წერტილებს.

ნახ. 19-7-ზე წარმოდგენილია მაკროეკონომიკური წონასწორობის ოთხი სფერო. I სფერო ახასიათებს არასრულ დასაქმებასა და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს; II სფერო - ინფლაციურ მოთხოვნასა და ასევე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს; III სფერო - ინფლაციურ მოთხოვნასა და საგადასახდელო ბალანსის აქტიურ სალდოს; IV სფერო - არასრულ დასაქმებასა და საგადასახდელო ბალანსის აქტიურ სალდოს. მხოლოდ A წერტილში იმყოფება ეკონომიკა შიდა და გარე წონასწორობაში. ნებისმიერი სხვა წერტილიდან რომ ამ წერტილამდე მივიდეთ, აუცილებელია გამოვიყენოთ საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთობლივი ზემოქმედების დონისიძიებათა სისტემა.


მაგალითად, თუ ვიმყოფებით II სფეროში, ეკონომიკა განიცდის ინფლაციურ მოთხოვნას და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს. წონასწორობის აღდგენა მოითხოვს შემაკავებელი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარებას. მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტი ცენტრალური ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ხელში იმყოფება. ერთდროულად შიდა და გარე წონასწორობის მიღწევა ეკონომიკაში შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი მარეგულირებელი ორგანოები დამოუკიდებლად მოქმედებენ. ამასთან, ელდებულებების გადანაწილება ცენტრალურ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას.

ჩვენს შემთხვევაში, ცენტრალური ბანკის მოვალეობაში უნდა იყოს საგარეო წონასწორობის შენარჩუნება, ხოლო ფინანსთა სამინისტროს მოვალეობაში - შიდა წონასწორობის. მათ დამოუკიდებელ მოქმედებას ეკონომიკა მიჰყავს E წერტილამდე. ამ შემთხვევაში „როლების გადანაწილება“ ოპტიმალური აღმოჩნდა (ნახ. 19-8).



ნახ. 19-8

დაეუშვათ, რომ პოლიტიკოსებმა საპირისპიროდ გადაანაწილეს როლები და ცენტრალურ ბანკს შიდა წონასწორობის რეგულირება დააუკლეს, ხოლო ფინანსთა სამინისტროს - გარე წონასწორობის ასეთ შემთხვევაში ეკონომიკა ვერ მიაღწევს E წერტილს (ნახ. 19-9).



ნახ. 19-9

როლების მართებული გადაანაწილება განისაზღვრება შედარებითი უპირატესობის წესის მიხედვით, რაც გულისხმობს კონკრეტული მიზნის მიღწევის დაკისრებას იმ მარეგულირებელი ორგანოებისათვის, რომელთა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები უფრო მეტ ზეგავლენას ახდენენ დასახულ მიზანზე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ფიქსირებული ტაცვლითი კურსის პირობებში მეტი შედეგებითი უპირატესობა გააჩნია გარე წონასწორობის მიღწევაში.

19-2. IS-LM მოდელი ღია ეკონომიკისთვის

ჩვენ განვიხილავთ მცირე ღია ეკონომიკას, სადაც $i = i^*$ და ეკონომიკის ფუნქციონირებას მოკლევადიან პერიოდში (რაც იმას გულისხმობს, რომ ფასების დონე P ფიქსირებულია). განსხვავება შიდა (i) და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს (i^*) შორის ერთადერთი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის მოძრაობის მიმართულებას. თუკი კაპიტალის მოძრაობის წმინდა ანგარიშს აღვნიშნავთ KA-თი, მაშინ გვექნება:

$$KA = \overline{KA} + k(i - i^*)$$

თუკი მცირე ღია ეკონომიკაში შიდა საპროცენტო განაკვეთი (i) გაიზრდება მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის (i^*) დონემდე, უცხოელი ინვესტორები საკუთარი ქვეყნის შიდა აქტივებთან შედარებით ასეთი ქვეყნის შიდა აქტივებს უფრო მიმზიდველად ჩათვლიან და დაიწყებენ მათ შეყენას. ამავდროულად, მოცემული ქვეყნის რეზიდენტები თავს შეიკავებენ უცხოური აქტივების შეყენისაგან და მიზანშეწონილად ჩათვლიან უცხოეთში დაბალი საპროცენტო განაკვეთით ისესხონ ფული.

IS მრუდი ასახავს კავშირს Y შემოსავალსა და i საპროცენტო განაკვეთს შორის ისე, რომ შენარჩუნებული იყოს წონასწორობა სასაქონლო ბაზარზე.

$$IS: \quad Y = C(Y - T) + I(r) + G + NX \quad (Y, \epsilon)$$

როგორც ვიცით, IS მრუდი ხასიათდება უარყოფითი დახრილობით, რადგანაც საპროცენტო განაკვეთის i ზრდა ამცირებს ინვესტიციებს ძირითად საწარმოო კაპიტალსა და მოწყობილობებში და მულტიპლიკატორის ეფექტის მეშვეობით მიყვავართ გამოშვების შემცირებამდე. ეგზოგენურ ცვლადებად აქ გვექვინება დანახარჯების ეგზოგენური კომპონენტები და წმინდა გადასახადები. რომელიმე ამ კომპონენტის შეცვლა იწვევს IS მრუდის გადაადგილებას. ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ IS მრუდის გადაადგილება, რომელიც მოთხოვნაზე ეგზოგენური ცვლილებების შედეგად არის მოსალოდნელი და გამოიხატება უცხოელების მხრიდან ქვეყნის შიგნით წარმოებულ საქონელზე მოთხოვნის შემცირებაში. შესაბამისად, ყოველივე ეს ასახავს ჰპოვებს წმინდა ექსპორტის (NX) ცვლილებაში. IS მრუდის გადაადგილება ასევე იწვევს ცვლილებები გაცვლით კურსში.

LM მრუდი ასახავს ურთიერთკავშირს Y შემოსავალსა და i საპროცენტო განაკვეთს შორის ფულად ბაზარზე წონასწორობის პირობებში.

$$LM: \quad \frac{M}{P} = L(i, Y)$$

LM მრუდს გააჩნია დადებითი დახრილობა, ვინაიდან i და Y ურთიერთსაწინააღმდეგო გაკლენას ახდენს ფულის მიმართ მოთხოვნაზე. Y -ის ზრდა, ბუნებრივია ფულზე მოთხოვნას ზრდის, რადგანაც აღამიანებს უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების შესაძენად მეტი ფული სჭირდება. თუკი არ იქნება ფულის მიწოდების შესაბამისი ზრდა, საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რაც ფულზე მოთხოვნას კვლავ საწეის დონეზე დააბრუნებს. ფულის ნომინალურ მიწოდებაში ცვლილება LM მრუდს გადაადგილებს.


შესამე მრუდი (BP საგადამხდელი ბალანსის მრუდი) ასახავს ურთიერთკავშირს Y შემოსავალსა და i საპროცენტო განაკვეთს შორის, როდესაც ბალანსის საღლო ნულის ტოლია.

$$BP = NX + KA = 0$$

BP მოიცავს როგორც მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშს NX-ს, რომელიც უარყოფითად არის დამოკიდებული შემოსავალსა და გაცვლით კურსზე, ასევე კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს - KA, რომელიც დადებითად არის დამოკიდებული შიდა და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს შორის არსებულ სხვაობაზე ($i-i^*$).



$$\begin{aligned} BP: \quad BP &= NX + KA = 0 \\ NX &= \overline{NX} - \overline{M} - mY \\ KA &= \overline{KA} + k(i - i^*) \\ BP &= \overline{NX} - \overline{M} - mY + \overline{KA} + k(i - i^*) = 0 \end{aligned}$$


BP მრუდს გააჩნია დადებითი დახრილობა, რადგანაც Y შემოსავლის ზრდას მიყვავართ იმპორტის ზრდისაკენ და შედეგად ელბულობით მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის დეფიციტს. წონასწორობის აღდგენა $NX+KA=0$ მოითხოვს შიდა საპროცენტო განაკვეთის ზრდას უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით (უარყოფითი NX -ის დასაფინანსებლად). ცვლილებები ϵ -ში ან რომელიმე სხვა პარამეტრში, რომელიც ეგზოგენურად ცვლის NX -ს, იწვევს BP მრუდის გადაადგილებას (ნახ. 19-10).



ეკონომიკა ყოველთვის იმყოფება IS და LM მრუდების გადაკვეთაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილი აქვს წონასწორობას საქონლისა და ფულის ბაზარზე. შემდგომი განხილვისას, სიმარტივისათვის დავუშვებთ, რომ ეკონომიკაში საწუისი მდგომარეობა შეესაბამება იმ წერტილს, სადაც საგადასხდელი ბალანსის საღდო ნულის ტოლია, ამიტომ ყველა (სამივე) მრუდი ერთ წერტილში გადაიკვეთება.

BP მრუდის დახრილობა IS-LM-BP მოდელში დამოკიდებულია კაპიტალის საერთაშორისო მოზიდვლობაზე.





ნახ. 19-13. კაპიტალის სრული მობილურობა

კაპიტალის დაბალი მობილურობის შემთხვევაში (ნახ. 19-11) BP მრუდი შედარებით ციცაბოა (ვიდრე LM მრუდი) და k კოეფიციენტი მცირეა. რაც უფრო მცირეა k , მით უფრო დიდი უნდა იყოს შიდა საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელი უცხოური კაპიტალის მოდინებას.

კაპიტალის მაღალი მობილურობის შემთხვევაში (ნახ. 19-12) BP მრუდი შედარებით დახრილია (უფრო დახრილი, ვიდრე LM მრუდი), ხოლო k – დიდი. რაც უფრო მეტია k , საპროცენტო განაკვეთის უფრო ნაკლები ზრდაა საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას აუცილებელი უცხოური კაპიტალის მოდინება.

კაპიტალის სრული მობილურობის შემთხვევაში (ნახ. 19-13) BP მრუდი პორიზონტალურია, ხოლო k უდრის უსასრულობას. კაპიტალის დაბალი მობილურობიდან მაღალ მობილურობამდე ტრანსფორმაციის აღნიშნული ლოგიკა ასახავს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ისტორიულ განვითარებას იმის გათვალისწინებით, თუ როგორ არღვევდნენ ლიბერალიზაციის პროცესები ქვეყნებს შორის ბარიერებს თანდათანობით.

IS-LM-BP მოდელი დღევანდელით გამოიყენება განსხვავებული სავალუტო სისტემების პირობებში საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების შესწავლის მიზნით.

19-3. IS-LM-BP მოდელი ღია ეკონომიკაში

კაპიტალის საერთაშორისო მობილურობა მნიშვნელოვნად მოქმედებს მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე. კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემოსავალი, რომელთა მიღებასაც სხვადასხვა ქვეყნები თავიანთი აქტივებით უზრუნველყოფენ. ჩვენ გამოვიყენებთ შედარებით გამარტივებულ მიდგომას და დაეუშვებთ, რომ ქვეყანაში შემოსავლის განაკვეთი ყველა აქტივზე (ფულის გარდა) დაახლოებით ერთნაირია და ამიტომ, მისი წარმოდგენა შესაძლებელია ერთიანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთით i . სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ დონემდე დაიყვანება ობლიგაციები, აქციები და სხვა არაფულადი აქტივები. გარდა ამისა, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ განსხვავება ეროვნულ და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთებს შორის – ერთადერთი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის გადინებასა და შემოდინებას.

დასაწყისში განვიხილავთ ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმს, შემდეგ კი მცურავ სავალუტო კურსს. ანალიზის ყოველ სტადიაზე მაკროეკონომიკური პოლიტიკა დაკავშირებული იქნება არა მარტო იმასთან, თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკაზე კაპიტალის მობილურობის გარკვეული ხარისხი, არამედ მობილურობის სხვადასხვა დონეც - დაბალი, მაღალი და კაპიტალის სრული საერთაშორისო მობილურობა.

ჩენი ანალიზის შემთხვევაში ამოდივართ იმ დაშვებიდან, რომ ეკონომიკის მდგომარეობა ყოველთვის შეესაბამება IS და LM მრუდების გადაკვეთას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქონლისა და ფულის ბაზარზე ყოველთვის გვაქვს წონასწორობა (შიდა წონასწორობის მდგომარეობა). საქონელზე მოთხოვნა წარმოებული საქონლის მიწოდებას უდრის, ხოლო ფულზე მოთხოვნა ფულის მიწოდების ტოლია. მაგრამ ეკონომიკაში ასევე ადგილი აქვს გარე წონასწორობას. თუკი საგადამხდელო ბალანსის საღლო არ უდრის ნულს, მაშინ IS და LM მრუდების გადაკვეთის წერტილი BP გრაფიკის გარეთ იმყოფება. მაგრამ, სიმარტივისათვის ვგულისხმობთ, რომ დასაწყისში ეკონომიკაში არსებული სიტუაცია შეესაბამება წერტილს, სადაც საგადამხდელო ბალანსის საღლო ნულის ტოლია, რის გამოც ყველა (სამივე) მრუდი გადაიკვეთება ერთ წერტილში.


IS-LM-BP მოდელი გამოიყენებული იქნება როგორც საბიუჯეტო-საგადასახადო, ასევე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ანალიზისათვის.

შიდა და გარე ბალანსი ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში

ა) კაპიტალის დაბალი მობილურობის შემთხვევა: საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა.

განვიხილოთ კაპიტალის დაბალი მობილურობის მქონე ეკონომიკაში სახელმწიფო დანახარჯების ზრდის მაგალითი (ნახ. 19-14). IS მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ IS₂ მდგომარეობამდე, შიდა წონასწორობის წერტილი A-დან B-მდე გადაინაცვლებს. შემოსავალი Y იზრდება Y₂-მდე და ფულზე დიდი მოთხოვნა სხვადასხვა გარიგებების განსახორციელებლად საპროცენტო განაკვეთს უბიძგებს ზრდისკენ - ი₂-მდე.

კაპიტალის საერთაშორისო მობილურობის არარსებობის პირობებში სახელმწიფო დანახარჯების ზრდა უგზავლენას მოახდენდა სავარეო ბალანსზე მხოლოდ იმპორტის ზრდით და სავაჭრო და შესაბამისად, საერთო საგადამხდელო ბალანსის დეფიციტით.



ნახ. 19-14

მაგრამ ახლა, როდესაც განსახილველად ჩაერთოთ კაპიტალის მოძრაობის ანგარიში, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთები იზიდავენ ქვეყანაში კაპიტალს, რაც დადებითად მოქმედებს სავადამხდელო ბალანსის საერთო სიტუაციაზე. სხვა მხრივ, შემოსავლის უფრო მაღალ დონეს მიყვავართ იმპორტის ზრდისკენ და სავაჭრო ბალანსის გაუარესებისაკენ, რაც ნეგატიურად აისახება საგადამხდელო ბალანსზე. რომელი ფაქტორი მოქმედებს უფრო ძლიერად საგადამხდელო ბალანსზე - საპროცენტო განაკვეთის ზრდა თუ შემოსავლების ზრდა? ეს დამოკიდებულია კაპიტალის მობილურობის ხარისხზე. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც კაპიტალის ნაკლები ნაკლები მგრძობილებლით გამოირჩევა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის მდგომარეობის გაუმჯო-

ბეჭება იქნება უზინშენელო და საგადაამხდლო ბალანსის საერთო დეფიციტი, რომელიც მნიშვნელოვანი საეკონომიკური დეფიციტი იქნება წარმოქმნილი – შენარჩუნდება.

ეს სიტუაცია ნაჩვენებია ნახ. 19-14-ზე. BP მრუდი, რომელსაც დადებითი დახრილობა აქვს, უფრო ციცაბოა, ვიდრე LM მრუდი, რაც იმას ნიშნავს, რომ კაპიტალის მობილურობა დაბალია. მოცემულ შემთხვევაში IS-LM მრუდის ახალი გადაკეთება B წერტილში იმყოფება BP გრაფიკის მარჯვნივ დაბლა. BP მრუდისაგან მარჯვნივ ან ქვეით გასწვრივ მდებარე წერტილი მიუთითებს საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის არსებობაზე: ან შემოსავლის დონე, და შესაბამისად იმპორტიც, მნიშვნელოვნად მაღალია საგადაამხდლო ბალანსის წონასწორობისათვის, ან საპროცენტო განაკვეთი და შესაბამისად, კაპიტალის მოძიებაა ძალიან დაბალი. ამდენად, ნახ. 19-14-ზე ნაჩვენებ საბიუჯეტო ექსპანსიას მიყვარვართ საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტისკენ, თუმცა კაპიტალის მოძიება ნაწილობრივ ახდენს საეკონომიკური ბალანსის დეფიციტის კომპენსაციას.

როდესაც საბიუჯეტო-საგადაამხდლო ექსპანსიას მიყვარვართ საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტისკენ, საეკონომიკური კურსის შემცირების ტენდენცია ახასიათებს. ფიქსირებული საეკონომიკური კურსის შენარჩუნების აუცილებლობა ცენტრალურ ბანკს აიძულებს გაატაროს ინტერვენციები საეკონომიკური ბაზარზე და ამით მოახდინოს ფულადი მასის შემცირება. ფულადი მასის შემცირება LM მრუდს მარცხნივ გადაადგილებს, რის გამოც იზრდება საპროცენტო განაკვეთი. IS მრუდის გასწვრივ ზემოთ მოძრაობა დანახარჯების შემცირებას ნიშნავს, რომელიც საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე რეაგირებს. დანახარჯების შემცირების კვალდაკვალ იმპორტი მცირდება და სიტუაცია საეკონომიკური ბალანსის სადღოსთან მიმართებაში უჭარბობს. მოცემული პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ეკონომიკა არ მიუახლოვდება საგადაამხდლო ბალანსის ნულიან სადღოს (C წერტილი). მხოლოდ ამ შემთხვევაში ვალდებულნი ვართ შევადგინოთ ახალი წონასწორობა.

ამგვარად, ფიქსირებული საეკონომიკური კურსის პირობებში მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადაამხდლო პოლიტიკა მნიშვნელოვნად წყვეტს კომპენსირებად ფულადი მასის იძულებითი შემცირებით და გამოშვების დონე იზრდება უზინშენელოდ – Y_1 -დან Y_2 -მდე. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავალი C წერტილში უფრო მაღალია, ვიდრე ეს იყო საბიუჯეტო-საგადაამხდლო ექსპანსიამდე, საგადაამხდლო ბალანსის სადღო ნულის ტოლია: უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი იზიდავს კაპიტალს, რომელიც საემპრისია დიდი რაოდენობის იმპორტის დასაფინანსებლად, რომელიც უფრო მაღალი შემოსავლის არსებობით არის განპირობებული.


ბ) კაპიტალის დაბალი მობილურობის შემთხვევა: ფულად-საეკონომიკური პოლიტიკა

ნახ. 19-15-ზე ნაჩვენებია მასტიმულირებელი ფულად-საეკონომიკური პოლიტიკის შედეგები კაპიტალის დაბალი მობილურობის პირობებში. თავდაპირველი წონასწორობიდან ფულადი ექსპანსია LM მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ (LM_2 მდგომარეობამდე). საპროცენტო განაკვეთი i მცირდება, რაც დანახარჯების ზრდას ასტიმულირებს და ამით ზრდის Y შემოსავალს ახალ მდგომარეობამდე, რომელიც ნახ. 19-15-ზე შეესაბამება შიდა წონასწორობის ახალ B წერტილს. უფრო მაღალი შემოსავალი იმპორტის უფრო დიდ მასშტაბებს ნიშნავს, რაც საეკონომიკური ბალანსის დეფიციტს იწვევს. თუმცა, კაპიტალის საერთაშორისო მობილურობა ასევე ზემოქმედებს საგადაამხდლო ბალანსზე: ამ შემთხვევაში ხდება კაპიტალის გადინება საპროცენტო განაკვეთის i_1 -დან i_2 -მდე შემცირების შედეგად. რამდენადაც კაპიტალის მოძრაობის ანგარიში იმავე მიმართულებით იცვლება, რა მიმართულებითაც მიმდინარე რეპრეზენტაციის ანგარიში, შედეგად წარმოიქმნება საერთო საგადაამხდლო ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი.

თუკი ქვეყანა საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის წინაშე დგას და მისწრაფვის შენარჩუნების ფიქსირებული საეკონომიკური კურსი, მაშინ იგი ატარებს რა ინტერვენციებს საეკონომიკური ბაზარზე, დროთა განმავლობაში ამოწურავს უცხოური ვალუტის საკუთარ მარაგებს. ვინაიდან ქვეყნის რეზერვები შეზღუდულია, ქვეყანა მერ აძლევს თავის თავს უფლებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნოს ფულადი მასა იმ დონემდე, რომელიც შეესაბამება LM_2 -ს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვეგება საეკონომიკური რეზერვი იქნება დახარჯული. საბოლოოდ, ქვეყანა უნდა მოერგოს ასეთ პირობებს. კონვერტირების ერთ-ერთი საშუალებას წარმოადგენს ფულის მიწოდების შემცირება, თუკი ცენტრალური ბანკი არ ახდენს რეზერვების გადინების სტერალიზაციას.

ამ პირობებში ფიქსირებული საეკონომიკური კურსის შესანარჩუნებლად (საეკონომიკური ბაზარზე ინტერვენციების გატარება) ფულადი მასა შემცირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ LM მრუდი დროთა განმავლობაში გადაინაცვლებს მარცხნივ, თავის პირვანდელ LM_1 მდგომარეობამდე. ფულადი მასის შემ-

ცირების კეალდაკეალ საპროცენტო განაკეეთი იზრდება, რაც ამცირებს ინვესტიციებს და საპროცენტო განაკეეთის ცეულიებისადმი მგრძობიარე დანახარჯების სხე კომპონენტებს.




ნახ. 19-15

მიმდინარე პროცესი გრძელდება მანამ, სანამ საგადამხდლო ბალანსის საღლო უარყოფითია. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკონომიკა უბრუნდება საწყის სიტუაციას. ფულადი მასის ყოველი ზრდა, რომელიც მასტიმულირებელი ფულად-საპროცენტო პოლიტიკის შედეგად მიმდინარეობდა, „წაიდა“ საგადამხდლო ბალანსის გაეილი ისე, რომ არანაირი მუდმივი ზემოქმედება შემოსავალზე არ მოუხდენია. კორექტირების სხეა საშუალებას გაცეულითი კურსის ცეულიება წარმოადგენს. საეალტო დეფლაცია წმინდა ექსპორტის სტიმულირებას ახდენს და BP მრუდი გადაადგილება მარჯვნივ.

ე) კაპიტალის მაღალი მობილურობის შემთხვევა: საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა

ნახ. 19-16-ზე BP მრუდი შედარებით დამრეცია, ვიდრე LM მრუდი. ეს არის კაპიტალის მაღალი მობილურობის შემთხვევა. მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, ისევე როგორც კაპიტალის დაბალი მობილურობის შემთხვევაში, აქაც IS მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ და იწვევს Y -ისა და i -ს ზრდას. ამასთან, კაპიტალის მაღალი მობილურობის შემთხვევაში i -ს ზრდა იწვევს მეტი კაპიტალის მოზიდვას, ვიდრე ეს საჭიროა იმპორტის დასაფინანსებლად, რომელიც Y -ის ზრდის შედეგად გაიზარდა. საერთო საგადამხდლო ბალანსს ასეთ შემთხვევაში აქვს დადებითი საღლო (IS და LM მრუდების ახალი გადაკეუთა B წერტილშია, რომელიც BP-ზე უფრო მარცხნივია, ან მაღლა) და საეალტო კურსი გამოირჩევა ზრდისადმი ტენდენციით. ფიქსირებული გაცეილითი კურსის რეჟიმის დროს ცენტრალური ბანკი, რომელიც ატარებს ინტერვენციებს, კი არ კარგავს (როგორც ეს ხდება დაბალი მობილურობის კაპიტალის შემთხვევაში), არამედ აგროვებს უცხოურ ვალუტას რეზერვებში. თუკი ცენტრალური ბანკი არ მიდის სტერილიზაციას და ფულად მასას ზრდის საშუალებას აძლევს, LM მრუდი გადაადგილება მარჯვნივ LM_2 მდგომარეობამდე B წერტილიდან ეკონომიკა გადაინაცვლებს მარჯვნივ IS_2 მრუდზე BP მრუდის გადაკეუთამდე, სადაც დიდი ოდენობის ფულადი მასა შეამცირებს საპროცენტო განაკეეთის მსოფლიო საპროცენტო განაკეუთამდე i' და შესაბამისად, მოახდენს დანახარჯების სტიმულირებას. წონასწორობის ახალი მდგომარეობა მიიღწევა C წერტილში, სადაც კაპიტალის შემოდინება არ აღმტება საეატო დეფიციტის დაფინანსების მოთხოვნებს.


კაპიტალის დაბალი მობილურობის სიტუაციისაგან განსხევეებით, შემოსავლის დონე მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარების პრობებში მნიშვნელოვნად იზრდება. C წერტილში შემოსავალი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე A წერტილში. ამენად, კაპიტალის მაღალი მობილურობის პრობებში შემოსავალზე საბიუჯეტო-საგადასახადო ექსპანსიის გაეუნანს შემოსავალზე ფულადი მასის ზრდაც ემატება.



ნახ. 19-16

დ) კაპიტალის მაღალი მობილურობის შემთხვევა: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ნახ. 19-17-ზე მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფულადი მასის ზრდის ხარჯზე LM მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ LM₂ მდგომარეობამდე, რაც იწვევს შემოსავლის ზრდასა და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. უფრო მაღალი შემოსავალი გულისხმობს იმპორტის უფრო მაღალ ღონეს და სავაჭრო ბალანსის დეფიციტს. ისევე, როგორც კაპიტალის დაბალი მობილურობის პირობებში, ამ შემთხვევაშიც ხდება კაპიტალის გადინება იმის გამო, რომ საპროცენტო განაკვეთი მცირდება i_1 -დან i_2 -მდე. რამდენადაც, კაპიტალის მოპრაობის ანგარიში იცვლება იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც იცვლება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში, წარმოიქმნება საერთო საგადასხდელო ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი.



ნახ. 19-17

საგადასხდელო ბალანსის დეფიციტის არსებობისას ეროვნული ვალუტის კურსი უნდა შემცირდეს. ფიქსირებული სავალუტო კურსის შესანარჩუნებლად ცენტრალური ბანკი ატარებს ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე კიდულობს ეროვნულ ვალუტას. ფულადი მასა შემცირდება, რაც იმას


ნიშნავს, რომ LM მრუდი დროთა განმავლობაში გადაადგილდება მარცხნივ თავის თავდაპირველ LM_1 მდგომარეობამდე.

ამდენად, კაპიტალის მაღალი მობილურობის შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები იგივეა, როგორც ეს კაპიტალის დაბალი მობილურობის შემთხვევაშია. ამასთან, რამდენადაც კაპიტალის გაღივება შიდა და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის იგივე სხვაობის პირობებში უფრო მეტია, საეკონომიკურ რეზერვების შემცირების ტემპები უფრო მაღალია და გრძელვადიან წონასწორობამდე დაბრუნება შედარებით სწრაფად მიმდინარეობს.

ე) კაპიტალის სრული მობილურობის შემთხვევა: საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა

გავიხსენოთ, რომ BP ხაზის დახრილობა m/k -ს ტოლია. როდესაც k მიისწრაფვის უსასრულობისკენ, დახრილობა ნულოვანი ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, BP ხაზი პორიზონტალური ხდება. ეს პორიზონტალური ხაზი გაივლება საპროცენტო განაკვეთის i დონეზე, რომელიც მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის - i^* -ს ტოლია. i რომ უფრო ამაღლდეს, ვიდრე i^* (თუნდაც წამიერად), ეს განსხვავება დაუყოვნებლივ მოიზიდავდა ძალიან დიდი ოდენობის კაპიტალს. ყველა უცხოელ ინვესტორს მოუნდებოდა უფრო მომგებიანი აქტივების შექმნა ამ ქვეყანაში, ვიდრე თავისაში, ხოლო ადგილობრივი მსესხებლები შეეცდებოდნენ კრედიტების მიღებას სხვა ქვეყნებში უფრო ნაკლები საპროცენტო განაკვეთით. კაპიტალის ასეთი ნაკადები უზრუნველყოფდნენ საპროცენტო განაკვეთის მოცემული სხვაობის ლიკვიდაციას, უფრო ზუსტად, იგი საერთოდ არ წარმოშობდა ასეთ სიტუაციას. მაშასადამე, იმის ნაცვლად, რომ განაცხადოთ k კოეფიციენტი უსასრულოდ დიდია, შეიძლება იმის თქმა, რომ ამ დროს $i=i^*$ სხვაობა ყოველთვის 0-ის ტოლია.

ნახ. 19-18-ზე BP მრუდი პორიზონტალურია. ეს არის კაპიტალის სრული მობილურობის შემთხვევა. მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა იწვევს IS მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ IS_2 მდგომარეობამდე. ფულზე მოთხოვნის ზრდა ზრდის საპროცენტო განაკვეთს i_2 დონემდე, რასაც კაპიტალის მნიშვნელოვან შემოდინებამდე მივყავართ. უფრო ზუსტად, თუკი ეკონომიკა შეძლებდა B წერტილში მდგომარეობის შენარჩუნებას, მაშინ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი გამოიწვევდა კაპიტალის შემოდინებას, ხოლო ცენტრალურ ბანკს მოუწევდა მიეღო ჩვეულებრივი გადაწყვეტილება ფიქსირებული საეკონომიკური კურსის პირობებში იმასთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა ამ შემოდინების „სტერილიზაცია“. ასეთ პირობებში, პოტენციურად შესაძლებელი კაპიტალის შემოდინება იმდენად დიდია, რომ ცენტრალურ ბანკს არჩევანის საშუალება არ გააჩნია. არ აქვს ზღვარი უცხოური ვალუტის იმ რაოდენობას, რომლის ყიდვასაც იგი მოახერხებდა ეროვნული ვალუტის სანაცვლოდ (თავისი სამშაბლო აქტივების მარაგების ამოწურვამდე).




ნახ. 19-18

თუკი ცენტრალურ ბანკს არ სურს უარი თქვას ფიქსირებული სავალუტო კურსის შენარჩუნებაზე, მას მოუწევს ფულადი მასის ზრდა. მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდა LM მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ LM_2 მდგომარეობამდე. ეს გადაადგილება საგრძნობლად დიდი უნდა იყოს, რათა ახალი გადაკვეთის C წერტილი IS მრუდთან მდებარეობდეს BP ხაზზე. მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება i საპროცენტო განაკვეთი i^* დონეს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ კაპიტალის შემოდინება არ იყოს უსასრულო.

C წერტილში შემოსავალი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე A წერტილში. როგორც ვხედავთ, კაპიტალის მაღალი მობილურობის პირობებში (გრძელვადიან პერიოდში) მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გაეფლანს შემოსავალზე ემბტება ფულადი მასის ზრდაც. კაპიტალის სრული მობილურობის პირობებში ეს ზეგაეფლანა უფრო მეტია, ვინაიდან ფული შემოედინება მოჩინტალურ რად იმისგან დამოუკიდებლად. ცდილობს თუ არა ცენტრალური ბანკი ამ შემოდინების „სტერილიზაცია“ და ამასთან, ფულადი მასის ზრდაც უფრო მნიშვნელოვანია.

ჟ) კაპიტალის სრული მობილურობის შემთხვევა: ფულად-საქრედიტო პოლიტიკა

განვიხილოთ ფულად-საქრედიტო პოლიტიკა. ნახ. 19-19-ზე ნაჩვენებია, რომ ფულადი მასის ზრდა LM მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ LM_2 მდგომარეობამდე და ამცირებს საპროცენტო განაკვეთს. შემცირებული საპროცენტო განაკვეთი B წერტილში ასტიმულირებს კაპიტალის გადინებას. უფრო ზუსტად, საპროცენტო განაკვეთი *შეცირდებოდა* და კაპიტალის გადინება *გაიზრდებოდა*, თუკი ეკონომიკა შეძლებდა B წერტილში დარჩენას.



ნახ. 19-19

თუ ცენტრალური ბანკი შეეცდება ერთდროულად შეინარჩუნოს ფიქსირებული სავალუტო კურსი და ფულადი მასის ახალი სიდიდე, იგი ძალიან მალე ამოწურავს სავალუტო რეზერვების მთელ თავის მარაგს საგადასხდელი ბალანსის დეფიციტის დაფინანსებისას. თუ ის უპირატესობას მიანიჭებს მხოლოდ ფიქსირებული სავალუტო კურსის შენარჩუნებას, მაშინ იძულებული იქნება შეისყიდოს ეროვნული ვალუტა და შეამციროს ფულადი მასა. ფულადი მასის შემცირება დაუყოვნებლივ გადაადგილებს LM მრუდს უკან მარცხნივ, თავის საწყის მდგომარეობაში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ფულადი მასა დაუბრუნდება ფულად-საქრედიტო ექსპანსიამდე არსებულ დონეს A წერტილში, საპროცენტო განაკვეთი ისევ მსოფლიო დონეს დაუბრუნდება; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეწყვეტენ ადგილობრივი ინვესტორები კაპიტალის ქვეყნიდან გატანას. შედეგად, ფულად-საქრედიტო პოლიტიკა არანაირ ზეგაეფლანს არ მოახდენს შემოსავალზე.

ამგვარად, ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის ნებისმიერი ზრდა, ადრე თუ გვიან გადაყდინება საგადასხდელი ბალანსის მეშვეობით, როდესაც ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებით არ ხდება ამ ნაკადების სტერილიზაცია, ამასთან, ეს პროცესი

მიმდინარეობს მით უფრო ჩქარა, რაც უფრო მაღალია კაპიტალის მობილურობის ხარისხი. კაპიტალის სრული მობილურობის შემთხვევაში, ცენტრალური ბანკი ვერ შეძლებს ამ ნაკადების სტერილიზაციას, თუნდაც რომ მონიდროს მცირედი დროით მაინც. ამ შემთხვევაში B წერტილი წმინდა სპოთეტურ პოზიციას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ნახ. 19-15, 19-17 და 19-19 ფულადი ექსპანსიის შემდეგ გამოიყურება ზუსტად ისევე, როგორც ეს მის გატარებამდე იყო, ერთი დეტალი მაინც შეცვლილია. როგორც ცნობილია, ფულადი მასა მიმოქცევაში დამოკიდებულია არსებულ სავალუტო რეზერვებზე და შიდა კრედიტის მოცულობაზე. როდესაც ცენტრალური ბანკი ზრდის ფულად მასას, იგი ამას აკეთებს შიდა კრედიტის გაფართოების გზით, როდესაც სავალუტო ბაზარზე ხდება ფულადი მასის ამოღება ეკონომიკიდან ინტერვენციის შედეგად, ეს ნიშნავს, რომ სავალუტო რეზერვები იკარგება. ამასთან, იცვლება ფულადი ბაზის შემადგენლობა, ანუ შიდა კრედიტებისა და სავალუტო რეზერვების თანაფარდობა.

შიდა და გარე ბალანსი მცურავი სავალუტო კურსის პირობებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში წონასწორობა ხშირად მიმდინარეობს ან დადებითი საღლოთი, ან საგადამხდელო ბალანსის დეფიციტით, მაგრამ საგარეო წონასწორობის ასეთი დარღვევები საბოლოო ჯამში უნდა იყოს გამოსწორებული სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლით. კერძოდ, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის პირობებში ცენტრალური ბანკი კარგავს სავალუტო რეზერვებს და საბოლოოდ, იძულებულია წაიღივს ფულადი მასის შემცირებაზე, თუკი მას სურს შეინარჩუნოს ფიქსირებული გაცვლითი კურსი.

ფულის მიწოდების შემცირების ალტერნატივას წარმოადგენს ცენტრალური ბანკის უარი ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცენტრალური ბანკი უშვებს ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებას მანამდე, ვიდრე საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი არ იქნება ლიკვიდირებული. ეს მოხდება ავტომატურად, თუკი ქვეყანაში გამოყენებული იქნება მცურავი გაცვლითი კურსი.

მცურავი გაცვლითი კურსისა და ცენტრალური ბანკის ჩაურევლობის პირობებში საერთო საგადამხდელო ბალანსი - BP ყოველთვის ნულის ტოლია.


$$BP = NX + KA = X - M - mY + KA + k(i - i^*) = 0$$

აღგებრულ გამოსახულებაში მოცემული ტოლობა მუდმივად სამართლიანი უნდა იყოს. გრაფიკულად, ეკონომიკა ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს BP მრუდზე. თუკი რომელიმე მოვლენა ემუქრება მას გადაადგილდეს ამ წერტილიდან, გაცვლითი კურსი ავტომატურად ჩაერთდება იმისათვის, რათა BP გრაფიკი შიდა წონასწორობის წერტილს მიუახლოვდეს. როგორც ადრე იყო ნაჩვენები, ეროვნული ვალუტის გაუფასურება წმინდა ექსპორტის გაფართოების წყალობით, BP მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ, ხოლო გაძვირება - მარცხნივ. მცურავი სავალუტო კურსის პირობებში, ეროვნული ვალუტის ღირებულება მუდმივად შემცირდება ან გაიზრდება იმ ხარისხით, რომელიც საჭიროა წონასწორობის მისაღწევად.

აუცილებელია დაემახსოვროთ, რომ, თუმცა საგადამხდელო ბალანსი მცურავი სავალუტო კურსის დროს ყოველთვის ნულის ტოლია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საგაჭრო ბალანსსაც აუცილებლად იგივე მნიშვნელობა ექნება. BP მრუდის ზედა ნაწილის ნებისმიერ წერტილში ($i > i^*$ ხაზის ზევით) მაღალი საპროცენტო განაკვეთი იზიდავს კაპიტალს, ანუ აფინანსებს საგაჭრო დეფიციტს. BP მრუდის ქვედა ნაწილში კაპიტალის გადინება საგაჭრო ბალანსის დადებითი საღლოს კომპენსაციას ახდენს.

ა) კაპიტალის დაბალი მობილურობის შემთხვევა: საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკა

განვიხილოთ მასტიმულირებელი საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკა - სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ან გადასახადების შემცირება.



ნახ. 19-20

ნახ. 19-20-ზე ჩანს, რომ როდესაც საბიუჯეტო-საგადასახადო ექსპანსია IS მრუდს გადაადგილებს IS_2 მრუდამდე და გაზრდის შემოსავალს Y_2 -მდე, იმპორტის უფრო მაღალ დონეს მიყვავართ საკუთარ ბალანსის დეფიციტამდე. ეკონომიკის ამ მდგომარეობას ნახ. 19-20-ზე შეესაბამება B წერტილი, რომელიც BP გრაფიკის მარჯვნივ (დაბლა) მდებარეობს. სიტუაციას, რომელსაც ფიქსირებული გაყიდვითი კურსის პირობებში მიყვავართ საგადასახადო ბალანსის დეფიციტამდე, მცურავი კურსის დროს ავტომატურად მოაკვება ეროვნული ვალუტის ღირებულების შემცირება. ასეთი შემცირება ასტიმულირებს ექსპორტის ზრდას, რაც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, იწვევს როგორც BP მრუდის, ასევე IS მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ (BP_2 და IS_3 მდგომარეობამდე). ასევე ცნობილია, რომ ვალუტის გაუფასურება BP მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ უფრო სწრაფად, ვიდრე IS მრუდს.

საინტერესოა, თუ რა იცვლება ჩვენს მსჯელობებში კაპიტალის საერთაშორისო მოზილურობის გათვალისწინებისას? უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი (i_2) უცხოეთიდან კაპიტალის მოზიდვას განაირობებს, რომლის შედეგადაც უმჯობესდება კაპიტალის მოძრაობის ანგარიში, რაც ნაწილობრივ საეკონომიკურ ბალანსის გაუარესების კომპენსაციას ახდენს. მაგრამ, რადგანაც კაპიტალის მოზილურობის ხარისხი შედარებით დაბალია, საგადასახადო ბალანსის დეფიციტი გრძელდება. ამასთან, კაპიტალის მოზიდვა იმაზე მიუთითებს, რომ საგადასახადო ბალანსის პოტენციალური დეფიციტი, რომელიც მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგად წარმოიქმნება, არც თუ ისე მნიშვნელოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალუტის ღირებულების აუცილებელი შემცირების ზომა უფრო ნაკლები იქნება.

საბოლოო ჯამში, ვალუტის ღირებულების შემცირება BP მრუდს გადაადგილებას მარჯვნივ საკმაოდ მანძილით ისე, რომ იგი „დაეწიოს“ IS-LM მრუდის გადაკვეთას. ყველა, სამივე მრუდი ერთ წერტილში გადაიკვეთება - ეს არის C წერტილი ნახ. 19-20-ზე. მხოლოდ ამ წერტილში იქნება საგადასახადო ბალანსი ნულის ტოლი, როგორც უნდა იყოს კიდევ მცურავი კურსის დროს.


მთლიანობაში, დამატებითი სტიმულების არსებობით, რაც ვალუტის ღირებულების შემცირებაში გამოიხატება, საბიუჯეტო-საგადასახადო ექსპანსიას მცურავი კურსის დროს მიყვავართ შემოსავლების უფრო დიდ ზრდასთან, ვიდრე ფიქსირებული კურსის პირობებში.

ბ) კაპიტალის დაბალი მოზილურობის შემთხვევა: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

განვიხილოთ მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მცურავი სავალუტო კურსის პირობებში (ნახ. 19-21).

ფულის ღარიბი მიწოდება LM მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ LM_2 მრუდამდე. შემოსავლის უფრო მაღალი დონე Y_2 ასტიმულირებს დანახარჯების ზრდას იმპორტულ საქონელზე, რასაც მიყვავართ საკუთარ ბალანსის დეფიციტამდე. ერთდროულად ხდება კაპიტალის გადინება ეროვნული სა-

პროცენტო განაკვეთის შემცირების საბაზუხოდ, რომელიც მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზე დაბლა იწევს. შედეგად, საერთო საგადასხდელი ბალანსი განიცდის მნიშვნელოვან დეფიციტს.



ნახ. 19-21


მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში საგადასხდელი ბალანსის დეფიციტის აღმოსაფხვრელად საელტო კურსი უნდა შემცირდეს. ფულის ასეთი გაუფასურება ასტიმულირებს წმინდა ექსპორტს და შემოსავლის შემდგომ ზრდას. ამდენად, BP და IS მრუდები გადაადგილდება მარჯვნივ მანამ, სანამ სამივე გრაფიკი არ გადაიკვეთება ერთ C წერტილში.

ამრიგად, კაპიტალის საერთაშორისო მობილურობა ზრდის ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობას. დაბალი საპროცენტო განაკვეთებით ინვენსტიციებისა და მოთხოვნის სხვა კომპონენტების სტიმულირების ჩვეულებრივი როლის გარდა ფულად-საკრედიტო ექსპანსია ასევე აფართოებს საგარეო მოთხოვნის ზრდას ეროვნული ვალუტის ღირებულების შემცირების ხარჯზე.

გ) კაპიტალის მაღალი მობილურობის შემთხვევა: საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა

კაპიტალის მაღალი მობილურობის პირობებში მნიშვნელოვნად იკარგება დამატებითი სტიმულები, რომლებსაც მცურავი კურსი აჩქარდრებს (იხ. ნახ. 19-22). მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა (IS მრუდის გადაადგილება IS₂-მდე) იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას i_2 -მდე. შედეგად, კაპიტალის მაღალი მობილურობის პირობებში კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის მდგომარეობა უფრო მეტად უმჯობესდება, ვიდრე ეს საკმარისია Y-ის ზრდის ხარჯზე საეაგრო ბალანსის გაუარესების საკომპენსაციოდ. საგადასხდელი ბალანსი დაიყენება დადებით სადღომდე (B წერტილი BP მრუდის მაღლა იმყოფება). ეს ნიშნავს, რომ მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში ვალუტის ღირებულება გაიზრდება საგადასხდელი ბალანსის სადღოს გასაწონასწორებლად.


როგორც ნახ. 19-22-დან ჩანს, საელტო კურსის ზრდის შედეგი იქნება წმინდა ექსპორტის შემცირება. IS და BP მრუდები გადაადგილდება მარცხნივ. ისინი აგრძელებენ მოძრაობას მანამ, სანამ BP გრაფიკი არ „დაეწევა“ IS-LM-ის გადაკვეთას და ვიდრე სამივე გრაფიკი ერთ წერტილში არ გადაიკვეთება. შიდა და გარე წონასწორობა აღდგება C წერტილში. როგორც ვხედავთ, მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა უმნიშვნელო გააუმჯობესებს ახდენს შემოსავალზე.



ნახ. 19-22

დ) კაპიტალის მაღალი მობილურობის შემთხვევა: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

განვიხილოთ მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კაპიტალის მაღალი მობილურობის პირობებში (ნახ. 19-23).



ნახ. 19-23


როგორც კაპიტალის დაბალი მობილურობის შემთხვევაში იყო, აქაც ფულადი ექსპანსია LM მრუდს გადაადგილებს LM_2 -ის მდგომარეობამდე, ამცირებს რა i საპროცენტო განაკვეთს და ზრდის Y შემოსავალს. მაგრამ, საპროცენტო განაკვეთის ასეთივე შემცირების საპასუხოდ წარმოიშობა კიდევ უფრო დიდი კაპიტალის გადინება და შესაბამისად, საგადაამხდლო ბალანსის კიდევ უფრო დიდი დეფიციტი. ამგვარად, ვალუტის ლირებულების შემცირება და ექსპორტის ზრდის სტიმულები, რაც შემოსავლის ზრდასაც გულისხმობს, B წერტილში კიდევ უფრო მეტია, ვიდრე კაპიტალის დაბალი მობილურობის შემთხვევაში. IS და BP მრუდები გადაადგილდება მარჯვნივ. შიდა და გარე წონასწორობა აღსდგება C წერტილში. შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება, რაც წარმოადგენს როგორც ფულადი მასის ზრდის, ასევე ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგს.

ე) კაპიტალის სრული მობილურობის შემთხვევა: საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა

ნახ. 19-24-ზე მოცემულია მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მოდელი კაპიტალის სრული მობილურობის შემთხვევაში.

IS მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ IS_2 მდგომარეობამდე. კაპიტალის მოძინება, რომელიც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით მოიხიდება B წერტილში, უსასრულოა, მაგრამ მცურავი კურსის პირობებში ეროვნული ვალუტის ღირებულება დაუყოვნებლივ იზრდება, რაც ამცირებს ექსპორტის მოცულობას და IS მრუდს კვლავ უკან, მარცხნივ გადაადგილებს. ეს იკვივა, რასაც ადგილი ჰქონდა კაპიტალის მაღალი მობილურობისას ნახ. 19-22-ზე, მაგრამ ახლა კაპიტალის პორტენციური მოძინება და ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლება იმდენად დიდია, რომ IS მრუდი უბრუნდება თავის საწყისს A წერტილს, არ აძლევს რა ამით შიდა საპროცენტო განაკვეთს იმის საშუალებას, რომ გადააჭარბოს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს. ეს ასევე იმას ნიშნავს, რომ შემოსავალზეც არაერთარ გავლენას არ ახდენს: საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა კარგავს შთელ თავის ძალას მცურავი სავალუტო კურსის პირობებში. ეს უკიდურესი შემთხვევაა იმ საერთო წესისა, რომლის ძალითაც მცურავი სავალუტო კურსის პირობებში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობა მით უფრო დაბალია, რაც უფრო მაღალია კაპიტალის მობილურობა.

მიუხედავად იმისა, რომ ნახ. 19-24 მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გართარების შემდგომ გამოიყურება ისევე, როგორც მანამდე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაფერი შეიცვალა. მოხდა ეროვნული ვალუტის კურსის ზრდა, ეს კი ნიშნავს, რომ თუ სავაჭრო ბალანსი თავიდანვე იყო დაბალანსებული, დღეს იგი დაიყენება დეფიციტამდე. ამგვარად, მართალია მშპ-ს საერთო მოცულობა არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა მისი სტრუქტურა მასში წმინდა ექსპორტის წილი შემცირდა, ხოლო სახელმწიფო ხარჯების წილი გაიზარდა. თუკი მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა გადასახადების შემცირების გზით განხორციელდება, მაშინ გაიზრდება განკარგავი შემოსავალი და მშპ-ს წილი, რომელიც მოდის მოხმარებაზე. ინვესტიციები არ გამოიღვენება, ვინაიდან საპროცენტო განაკვეთი არ იზრდება.




ნახ. 19-24

დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ მცურავი კურსის პირობებში კაპიტალის მაღალი მობილურობა ამცირებს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობას, რაც აბსოლუტურად საწინააღმდეგო სიტუაციაა იმისა, რაც ფიქსირებული კურსის შემთხვევაშია.

ე) კაპიტალის სრული მობილურობის შემთხვევა: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

განვიხილოთ მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემთხვევა მცურავი სავალუტო კურსის პირობებში (ნახ. 19-25).



ნახ. 19-25

როდესაც LM მრუდი გადაადგილდება LM_2 მდგომარეობამდე, მცირდება საპროცენტო განაკვეთი, ადგილი აქვს კაპიტალის მნიშვნელოვან გადინებას და წარმოიქმნება საგადასმდელო ბალანსის დეფიციტი B წერტილში. იმავედროულად, Y-ის ზრდის ეკალოზაზე მცირდება წმინდა ექსპორტი, რაც ასევე ზრდის საგადასმდელო ბალანსის დეფიციტს.

ამასთან, ვალუტა უფასურდება, რაც ასტიმულირებს წმინდა ექსპორტს და IS მრუდს გადაადგილებს IS_2 მდგომარეობამდე, რომელიც კიდევ უფრო ზრდის შემოსავალს. ასევე ხდება კაპიტალის არასრული მობილურობის შემთხვევაში, მაგრამ ახლა ეს გადაადგილება მანამ გაგრძელდება, სანამ ეკონომიკა არ აღადგენს საპროცენტო განაკვეთის საწყის დონეს C წერტილში. ფულადი ექსპანსიის დროს შემოსავალზე ზემოქმედება არა თუ მეტია, როგორც ეს იყო ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში, არამედ უფრო მეტი, ვიდრე კაპიტალის ნაკლები მობილურობის დროს გეჭონდა.

ამგვარად, ფულადი პოლიტიკა თავისი ეფექტიანობის პიკს აღწევს მცურავი სავალუტო კურსისა და კაპიტალის სრული მობილურობის პირობებში.

შემოსავლის გარკვეული ზრდის გარდა კაპიტალის სრული მობილურობის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ ფულადი ექსპანსია უშუალოდ საერთაშორისო სექტორის საშუალებით აქტიურდება. ფულადი ექსპანსია ამ შემთხვევაში არანაირად არ მიმდინარეობს შიდა ზემოქმედების ჩვეულებრივი გზით, რაც საპროცენტო განაკვეთის შემცირებასა და ინვესტიციების სტიმულირებას გულისხმობს.

19-4. მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგების შედარება ფიქსირებული და მცურავი სავალუტო კურსის პირობებში

რომელი სიტუაციაა პრაქტიკაში უფრო რეალისტური ფიქსირებული თუ მოქნილი სავალუტო კურსები კაპიტალის სრულყოფილი თუ არასრულყოფილი მობილურობით? რა თქმა უნდა, პრაქტიკულად ყველა ქვეყანას რაღაც ხარისხით გააჩნია კაპიტალის მობილურობა. მიუხედავად ამისა, ბევრი ქვეყანა უწინდებურად ჩამორჩება საკუთარი ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის ხარისხით, მათ შორის ინდუსტრიულად განვითარებული ისეთი ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და იაპონია, მაგრამ ამ ქვეყნებში არ გამოიყენება ფიქსირებული გაცვლითი კურსები.

სრულიად ფიქსირებული გაცვლითი კურსები დამახასიათებელია მრავალი განვითარებადი ქვეყნისთვის. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვეულებრივ პატარა ქვეყნებს ახასიათებთ მაღალი ზღერული მიდრეკილება იმპორტისადმი, ამიტომ მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას ასეთი ქვეყნები მიჰყავს მნიშვნელოვან საეაგრო დეფიციტამდე (დანასაუთრებთ მაშინ, თუკი

მოერობა ხარჯავს შეიარაღებაზე და მსხვილ საინვესტიციო პროექტებზე, რომლის დროსაც, ძირითადად, აქცენტი კეთდება იმპორტული კომპონენტების გამოყენებაზე).

ბევრ განვითარებად ქვეყანას, ბუნებრივია, უფრო ნაკლებად განვითარებული ფინანსური ბაზრები გააჩნია. ამიტომ, საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის არ იზრდება საჭირო რაოდენობით საბიუჯეტო-საგადასახადო ექსპანსიის შედეგად. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საპროცენტო განაკვეთები აიწვეს მსოფლიო დონეზე მაღლა, კაპიტალის მობილურობის ხარისხი ამ ქვეყნებში საკმაოდ დაბალი იქნება, რაც გამოიწვევს საგადასახადო ბალანსის გაუარესებას და არა გაუმჯობესებას.

განვიხილოთ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ძირითადი შედეგები ღია ეკონომიკაში. ცხრილში განზოგადებული სახითაა ნაჩვენები მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა გავლენა უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ ცვლადებზე: შემოსავლის წინასწორულ დონეზე, საპროცენტო განაკვეთზე, საეალტო კურსზე, წმინდა ექსპორტზე და ქვეყნის საეალტო რეზერვებზე.

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგები გადამწყვეტწილად და დამოკიდებული საეალტო კურსის რეჟიმზე და კაპიტალის საერთაშორისო მობილურობის ხარისხზე. იმისათვის, რათა მივიღოთ სათანადო შედეგები, პირინიკული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ერთობლივი მიწოდების მრუდის სახის განსაზღვრას. გაიხსენოთ, რომ ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკას მოკლევადიან პერიოდში მაკროეკონომიკური წინასწორების კენზიანური მოდელის ჩარჩოებში, ე.ი. იგულისხმება, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდი პორიზოტალურია.

საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები კაპიტალის დაბალი მობილურობის მქონე ქვეყნებში

ზეგავლენა შემდეგ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე	მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა		მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	
	ფიქსირებული E	მოქნილი E	ფიქსირებული E	მოქნილი E
შემოსავალი (Y)	+	++	0	++
საპროცენტო განაკვეთი (i)	++	++	0	±
საეალტო კურსი (E)	0	-	0	-
წმინდა ექსპორტი (NX)		+	0	±
საეალტო რეზერვი (Δ R)	-	0		0

საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები კაპიტალის მაღალი მობილურობის მქონე ქვეყნებში

ზეგავლენა შემდეგ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე	მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა		მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	
	ფიქსირებული E	მოქნილი E	ფიქსირებული E	მოქნილი E
შემოსავალი (Y)	++	+	0	++
საპროცენტო განაკვეთი (i)	+	+	0	±
საეალტო კურსი (E)	0	+	0	-
წმინდა ექსპორტი (NX)	-		0	±
საეალტო რეზერვი (Δ R)	+	0	-	0

საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები კაპიტალის სრული მობილურობის მქონე ქვეყნებში

ზეგავლენა შემდეგ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე	მასტიმულირებელი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა		მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	
	ფისკირებუალი	მოქნილი	ფისკირებუალი	მოქნილი
	E	E	E	E
შემოსავალი (Y)	+	+	0	+
საპროცენტო განაკვეთი (i)	0	0	0	0
სავალუტო კურსი (E)	0	+	0	-
წმინდა ექსპორტი (NX)	-	-	0	±
სავალუტო რეზერვი (ΔR)	+	0	-	0

ერთ-ერთი ძირითადი შედეგი გამოიხატება იმაში, რომ მცურავი სავალუტო კურსის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედება წარმოების საერთო მიცულობის(შემოსავლის) ცვლილებაზე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მაღალია კაპიტალის მობილურობის ხარისხი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სრულიად საწინააღმდეგო შედეგებამდე მივყავართ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ფისკირებულ საეალუტო კურსის პირობებში.

როდესაც ცენტრალური ბანკი გადაწყვეტს შეინარჩუნოს ფისკირებული სავალუტო კურსი, კაპიტალის მობილურობის მაღალი ხარისხი ნიშნავს იმას, რომ შიდა კრედიტის ნებისმიერი ზრდა კიდევ უფრო სწრაფად „გაეფინება“ ქვეყნიდან საგადასახადო ბალანსის მეშვეობით. როდესაც ქვეყანა ირჩევს მიმოქცევაში ფისკირებული ფულადი მასის შენარჩუნების პოლიტიკას და უშვებს სავალუტო კურსის კორექტირებას, კაპიტალის მაღალი მობილურობა ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ფულად-საკრედიტო ექსპანსია იწვევს დამატებით ეფექტს ეროვნული ვალუტის კურსის შემცირების გზით. ეს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომლის მიხედვითაც ქვეყანა, სადაც ფინანსური ბაზრები უფრო განვითარებული და ინტეგრირებული ხდება მსოფლიო ბაზრებთან, ღებულობს გადაწყვეტილებას ფისკირებული სავალუტო კურსის რევიზიდან გადართობას მცურავ კურსზე, თუკი მას სურს ჰქონდეს დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა.

კაპიტალის სრული მობილურობის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები სრულიად საწინააღმდეგოა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკასთან შედარებით. ამ განსხვავებების მიზეზს საპროცენტო განაკვეთის რეაქცია წარმოადგენს. ფულადი მასის ზრდა საპროცენტო განაკვეთის შემცირების ხარჯზე ხდება, რომელიც ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას განაპირობებს. ეს ეფექტი გამოირიცხება შემოსავლის ნაზრდიდან ფისკირებული სავალუტო კურსის შემთხვევაში, მაგრამ მას ემატება, თუკი დაიშვება სავალუტო კურსის ცვლილება. მეორე მხრივ, საბიუჯეტო-საგადასახადო ექსპანსია იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რაც განაპირობებს კაპიტალის შემოდინებას. ამიტომ, შედეგები სრულიად საწინააღმდეგოა იმისა, რაც მიიღწევა ფულადი პოლიტიკის საშუალებით: ადგილი აქვს შემოსავლის დამატებით გაფართოებას ფისკირებული სავალუტო კურსის შემთხვევაში და მისი ნაზრდის შემცირებას მცურავი კურსის შემთხვევაში.

ფისკირებული სავალუტო კურსის რევიზის პირობებში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა თავისი ეფექტიანობის მწვერვალს აღწევს კაპიტალის სრული მობილურობისას, ხოლო ფულადი პოლიტიკა მთელ თავის ეფექტიანობას კარგავს კაპიტალის მობილურობის ხარისხის ამოხუცდავად. ასეთი დასკვნების საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ პოტენციურად უსასრულო კაპიტალის ნაკადები არ აღწევნ საპროცენტო განაკვეთის მსოფლიო განაკვეთზე გადაჯარბების საშუალებას. ორივე შემთხვევაში მხოლოდ IS მრუდი განსაზღვრავს შემოსავლის დონეს; LM მრუდის გადაადგილების მცდელობა შიდა კრედიტის გადინების გზით არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგანაც ახალი ფული დაუყოვნებლივ „გაეფინება“ ქვეყნიდან მათი გამოჩენისთანავე.

მცურავი სავალუტო კურსისა და კაპიტალის სრული მობილურობის პირობებში პირიქით, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა მზლიანად კარგავს ძალას, ხოლო ფულადი პოლიტიკა აღწევს ეფექტიანობის პიკს. მცურავი კურსი ქვეყნას საშუალებას აძლევს აღადგინოს თავისი ფულადი დამოუკიდებლობა კაპიტალის სრული მობილურობის პირობებშიც კი. LM მრუდი გადაადგილება მხოლოდ

11. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შედეგები კაპიტალის სრული მობილურობის მქონე ქვეყნებში მცურავი გაცვლითი კურსის შემთხვევაში არის შემდეგი: შემოსავალი, საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო რეზერვი უცვლელი რჩება, სავალუტო კურსი იზრდება, ხოლო წმინდა ექსპორტი მცირდება.

12. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები კაპიტალის სრული მობილურობის მქონე ქვეყნებში მცურავი გაცვლითი კურსის შემთხვევაში არის შემდეგი: შემოსავალი იზრდება, წმინდა ექსპორტი იზრდება ან მცირდება, საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო რეზერვი უცვლელი რჩება, ხოლო სავალუტო კურსი მცირდება.


პირითადი ცნებები

საგადასახდლო ბალანსი
ფიქსირებული გაცვლითი კურსი
მცურავი გაცვლითი კურსი
სავალუტო ინტერვენცია
სტერილიზაცია
სავალუტო რეზერვი
წმინდა ექსპორტი

დანართი

სავალუტო ინტერვენცია, სტერილიზაცია

სავალუტო ინტერვენცია არის მთავრობისა და ცენტრალური ბანკის ერთობლივი მოქმედება სავალუტო ბაზარზე ეროვნული ვალუტის კურსის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნების მიზნით. დავეუშვათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედეგად ეროვნული ვალუტის მიწოდება სხვა ქვეყნების სავალუტო ბაზრებზე გაიზარდა. ამ შემთხვევაში ქვეყნის ცენტრალური ბანკის ქმედებები მიმართული იქნება ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნის უგულვებელყოფისაკენ.



ნახ. 1

ეთქვათ, დოლარების მიწოდება იაპონურ ბაზარზე გაიზარდა აშშ-ში ეკონომიკური ზრდის შესაბამისად. ნახ. 1-ზე S_1 მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ S_2 მდგომარეობამდე. წონასწორობა მიიღწევა E_2 წერტილში. დოლარის კურსი იენის მიმართ შემცირდება. ასეთ მდგომარეობას მიყვავართ არასასურველ შედეგებამდე. ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნის აღმოსაფხვრელად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა დაიწვევს იაპონური ფასიანი ქაღალდების გაყიდვას, რომლებიც ინახებოდა მის მიერ იაპონურ ბაზრებზე. ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული იენები იაპონიის ცენტრალური ბანკის შენატანებზე დაირიცხება. იაპონიის ცენტრალური ბანკი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მითითებით განახორციელებს ფასიანი ქაღალდების რეალიზაციას. შემდეგ, ფედერალური სარეზერვო სისტემის დავალებით შენატანები იენებში გამოყენებული იენება დოლარების საყიდლად ამერიკელი ბანკების მეშვეობით, რომლებიც იაპონიაშია განლაგებული. მოთხოვნა დოლარზე გაიზარდება. დოლარზე მოთხოვნის გრაფიკი გადაადგილდება მარჯვნივ D_1 -დან D_2 მდგომარეობამდე. ახალი წონასწორობა დამყარდება E_3 წერტილში. ვალუტის კურსი მიაღწევს იმავე დონეს, რომელიც შეესაბამებოდა E_1 წერტილს.

სტერილიზაცია ეწოდება ცენტრალური ბანკის სპეციალურ ოპერაციას ღია ბაზრებზე, რომელიც ხორციელდება ფულად-საკრედიტო სისტემაში სავალუტო ინტერვენციის ზეგავლენის საკომპენსაციოდ რეზერვების რაოდენობაზე. ასე მაგალითად, როდესაც ქვეყნის ცენტრალური ბანკი ყიდის უცხოურ ვალუტას ეროვნული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად, ის ერთდროულად ახდენს საბანკო სისტემაში რეზერვების რაოდენობის შემცირებას. რეზერვების შემცირებას კი მიყვავართ ფულის მიწოდების მულტიპლიკაციურ შემცირებამდე და საპროცენტო განაკვეთის ზრდამდე. ამ პროცესის საკომპენსაციოდ ცენტრალური ბანკი უცხოური ვალუტის გაყიდვის პარალელურად მოახდენს ღია ბაზრებზე სამთავრობო ფასიანი ქაღალდების შესყიდვას, რითაც უზრუნველყოფს ფულადი მასის ზრდას. თავის მხრივ, ეს პროცესი ახდენს ფულის მიწოდების შემცირების კომპენსირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Эдрю Абел, Бен Бернанке, 5-е издание, Макроэкономика, МВА, Питер-2008, гв. 401-455
2. Т.А. Агапова, С.Ф. Серёгина, Макроэкономика. Москва, ДИС. 2002. гв. 70-92
3. А.С. Селишев, Макроэкономика, 2-е издание, Санкт-Петербургского-2002. гв. 236-345
4. Л.С. Тарасевич, В.М. Гальперин, П.И. Гребенников, А.И. Леуский, Макроэкономика, Учебник, 3-е издание, изд. Санкт-Петербургского Гос. Университета экономики и финансов – 1999. гв. 209-241
5. Эдвин Дж. Долан, Борис Домненко, Экономика, Англо-русский словарь-справочник. Москва-1994, гв. 248
6. Blanchard O. Macroeconomics, 2nd edition, Prentice-Hall.2000, гв. “421-438

თავი 20. ფინანსური სისტემა

20-1. ფინანსური სისტემის განმარტება

ფინანსური სისტემა მოიცავს ბაზრებს, შუამავლებს, ფირმებს, რომლებიც გეთავაზობენ ფინანსურ მომსახურებას და სხვა ინსტიტუტებს, რომელთა დახმარებითაც საოჯახო მუერნობები, კერძო კომპანიები და საზოგადოებო ორგანიზაციები ახდენენ მათ მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების განხორციელებას. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული ფინანსური ინსტიტუტების მქონე ბაზრები განლაგებულია გარკვეულ ადგილას. ეს ეხება, მაგალითად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟას (New York Stock Exchange) ან ფიუნერსებისა და ოციონების ოსაკის ბირჟას (Osaka Options and Futures Exchange), რომლებიც იმყოფებიან შესაბამისად ნიუ-იორკსა (აშშ) და ოსაკაში (იაპონია). მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. მაგალითად, აქციების, ობლიგაციების და ვალუტების ბირჟებზე ბაზრები (over the counter markets) წარმოდგენილია გლობალური კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო ქსელებით, რომლებიც აერთიანებენ მთელი მსოფლიოს ფასიანი ქაღალდების მოვაჭრეებს და მათ კლიენტებს ერთიან სტრუქტურაში.

ფინანსურ შუამავლებს უწოდებენ ფირმებს, რომელთა ძირითადი როლი ფინანსური მომსახურების შეთავაზება და ფინანსური პროდუქტების გაყიდვაა. მათ მიეკუთვნება ბანკები, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიები. შუამავლების ფინანსური მომსახურების რიცხვი შედის საჩუკ ანგარიშების გახსნა, კომერციული და იმთავითვე სესხების გაცემა, ხელმისაწვდომი სადაზღვევო კონტრაქტების ფართო დიაპაზონისა და სასესხო ფონდებში მონაწილეობის შეთავაზება. თანამედროვე ფინანსურ სისტემას გლობალური ხასიათი აქვს. ფინანსური ბაზრები და შუამავლები ერთმანეთთან არიან ურთიერთდაკავშირებული ყოველდღიან ციფრული საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით, რომლის წყალობითაც გადასახდელთა დაგზავნა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა წარმოებს პრაქტიკულად სადღეღამისო რეჟიმში. ამგვარად, თუ მსხვილი კორპორაცია, რომელიც უკუთავს, მდებარეობს გერმანიაში და გადაწყვიტავს დაფინანსოს ახალი პროექტი, ის ამ მიზნით განიხილავს ნებისმიერ საინვესტიციო შესაძლებლობას, მათ შორის, მაგალითად, ლონდონის ან ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე აქციების გამოშვებას და გაყიდვას ან სესხის მიღებას რომელიმე იაპონურ საბანკო ფონდში. ამასთან, ბოლო შემთხვევაში სესხი შეიძლება შეთავაზებული იქნას როგორც ვეროებში, ისევე იაპონურ იენებსა თუ ამერიკულ დოლარებში.

20-2. ფინანსური ნაკადები


ფინანსური სისტემის ძირითად მონაწილეებს შორის ურთიერთკავშირი თვალნათლივ გამოსახულია ნახ. 20-1-ზე, რომელიც გვიჩვენებს ფინანსური ნაკადების მოძრაობის დიარეზას. საშუალებები ფინანსური სისტემის სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტის მეშვეობით გადაადრებას კომპანიებიდან, რომელთაც გააჩნია უკუბი ფინანსური საშუალებები (დიაგრამაზე ეს ნაჩვენებია მარცხენა მართკუთხედით) იმ კომპანიებში, რომლებიც განიცდიან მათ დეფიციტს (მარჯვენა მართკუთხედით).

ასე მაგალითად, ერთ ოჯახს, რომლის წევრებმაც თავიანთი მიმდინარე შემოსავლის გარკვეული ნაწილი დაზოგეს მომავალში მათი გამოყენების მიზნად საბანკო უზრუნველსაყოფად, ფლობს თავისუფალ ფინანსურ საშუალებებს, ხოლო მეორე ოჯახი, რომელმაც გადაწყვიტა ახალი სახლის შექმნა, განიცდის მის უკმარისობას. ფირმებს, რომელთა შემოსავლებიც აჭარბებს ფინანსურ რესურსებზე მათი მოთხოვნილებებს, რაც აუცილებელია საინვესტიციო პროექტის სარგებლობისთვის, უწოდებენ კაზიო საშუალებების მფლობელ სუბიექტებს; ხოლო ფირმებს, რომელთაც არ ჰყოფნით რესურსები შემდგომი ინვესტიციისათვის, ეწოდებათ სუბიექტები დეფიციტური რესურსებით.

ნახ 20-1-ზე ჩანს, რომ ზოგიერთი ფინანსური ნაკადი მიმართულია ერთი ეკონომიკური სუბიექტიდან (კაზიო საშუალებების მქონე) სხვა სუბიექტისკენ (დეფიციტური რესურსების მქონე) ფინანსური შუამავლების, მაგალითად, ბანკების მეშვეობით (ფინანსური ნაკადების მოძრაობის ქვედა მარშრუტი დიაგრამაზე). ამავე დროს, სხვა ნაკადები ამ შუამავლების გვერდის ავლით გადაადრელებდა ფინანსური ბაზრების მეშვეობით (ზედა მარშრუტი).

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ფინანსური ნაკადების გადაადრელების (flow of funds) პრინციპი ზედა მარშრუტის მიხედვით, წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ესა თუ ის საოჯახო მუერნობა (ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ფლობს თავისუფალ საშუალებებს) ყიდულობს აქციებს, რომელიც გამოშვებულია რომელიმე ფირმის (დეფიციტური ეკონომიკური სუბიექტის) მიერ. ცალკეულ შემთხვევაში, თუ მაგალითად, ფირმას გააჩნია დივიდენდების რენვესტირების პროგრამა, ხოლო საოჯახო მუერნობა უკვე ფლობს მოცემული ფირმის აქციებს, მაშინ აქციების ყიდვა

ხორციელდება უშუალოდ ფირმისგან. თუმცა ჩვეულებისამებრ, ფინანსური ნაკადების მოძრაობაში მონაწილეობენ დილერები და ბროკერები¹ (ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრები), რომლებიც ფულად თანხებს ღებულებენ საოჯახო მყურნეობებისაგან და რიცხავენ აქციების ემბენტრი ფირმების ანგარიშზე.



ნახ. 20-1. ფინანსური ნაკადები

ნაკადების მიწმენელოვანი ნაწილი, რომელიც გადაადგილდება ფინანსური სისტემის ფარგლებში, საერთოდ არ გაიელის ფინანსურ ბაზრებს და აბეგარად, არ მიუყება ნახ. 20-1-ზე მოცემულ ზედა მარძრუტს. ამის მაგიერად, როგორც დიარამის ქვედა ნაწილშია ნარჩენები, ნაკადები ფინანსური შუამავლების დახმარებით უშუალოდ გადადის თავისუფალი ფინანსური საშუალებების მქონე ეკონომიკური სუბიექტებიდან დეფიციტური რესურსების მქონე ეკონომიკური სუბიექტების ხელში.

ფინანსური ნაკადების გადაღინების ამ ხერხის საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ საკუთარი დანაზოგები განათავსეთ საბანკო ანგარიშზე და ბანკმა ისინი გამოიყენა რომელიც ფირმისათვის სესხის გასაცემად. ამ შემთხვევაში თქვენ ვერ შეძლებთ უშუალოდ მოთხოვით თქვენი ფული მსესხებელი ფირმისაგან. თქვენ გაგანიათ მხოლოდ ფულადი მოთხოვნა ბანკისადმი, ენადან მასში გახსენით თქვენი დეპოზიტი. ხოლო ბანკი, უკვე თავის მხრივ, გარკვეულ ფულად მოთხოვნას წარუდგენს მოცემულ ფორმას. ამასთან, თქვენი საბანკო დეპოზიტის რისკისა და დიკვიდურობის ხარისხი განსხვავდება სესხის ანალოგიური მახასიათებლებისაგან, რომელიც ბანკმა გასცა ფირმის მიმართ. ეს კრედიტი, თავის მხრივ, მოცემულ მომენტში გვევლინება, როგორც ბანკის ერთ-ერთი აქტივი. თქვენი დეპოზიტი სრულიად საიმედოა და დიკვიდური (ე.ი. თქვენ ნებისმიერ მომენტში შეგიძლიათ მოხსნათ ანგარიშიდან მთელი თანხა), მაშინ, როდესაც სესხისათვის, რომელიც შედის ბანკის აქტივებში, დამახასიათებელია რისკისა და განუადგილობის გარკვეული დონე. გარდა ამისა, ის შეიძლება იყოს არალიკვიდური. ამგვარად, როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ბანკის მეშვეობით თავისუფალი ფინანსური საშუალებების მქონე ეკონომიკური სუბიექტებიდან დეფიციტური რესურსების მქონე სუბიექტებში ფინანსური ნაკადების გადაღინების შემთხვევაში შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტების რისკისა და დიკვიდურობის დონე შეიძლება ძლიერ შეიცვალოს. ასევე ცხადია, რომ ამ შემთხვევაში პროცესის ერთ-ერთ მონაწილეს – ან

¹ ბროკერი – 1) იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს დიკენზიას, ყოველგვარ აქციის ფასიან ქაღალდების, საჭრელოს, საკუთრებას და სხვა აქტივებს კლიენტის სახელითა და მისი სასარგებლო გარკვეული საკომისიო ანაზღაურების პირობითა ბროკერი არის აგენტ-შუამავალი და არა მფლობელი პროცესს არ გააჩნია საკუთარი აქტივების პორტფელი. რითაც ის ხარისხობრივად განსხვავდება დილერისაგან, რომელიც ფლობს ასეთ პორტფელს. 2) იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს დიკენზიას სადაზღვეო გარიგებების დახატებად.

დილერი – 1) საფინანსო ბიზნის და ბანკის წევრი (ცალკეული პირი ან ფირმა). რომელიც დაკავებულია ფასიანი ქაღალდების ვალუტების, ძირფასი ლითონების ყიდვა-გაყიდვით; მოქმედებს საკუთარი სახელითა და საკუთარი ხარჯებით; 2) იმ პირდუქციის საცალო მოვაჭრეა, რომელიც მთუმად შეიძინა როგორც წესი, დილერი მსხვილი სამბრუნველო კომპონატის აგენტია და შედის მის სადღირლო ქსელში; 3) ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილეა, რომელიც დაკავებულია სადღირლო საქმიანობით დილერი შეიძლება იყოს მხოლოდ იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას.

ბანკის მფლობელს ან მოცემული ბანკის ანბარების დამსხვევქმედი სახელმწიფო ორგანიზაციას – უწყის აიღოს საკუთარ თავზე სესხზე არსებული რისკი.

ისარი, რომელიც მიღის დიკარამის ქვედა წრიდან (ფინანსური შუამავლები) ზედა წრისკენ (ბაზრები), მივითითებს, რომ შუამავლები ხშირად მიმართავენ ფინანსურ ნაკადებს ფინანსური ბაზრებისკენ. მაგალითად, საშუალო ასაკის ცოლ-ქმარი გარკვეულ ფულად დანახვას მომავალი პანენის უზრუნველყოფის მიზნით (თავისუფალი ფინანსური საშუალებების მქონე ეკონომიკური ერთეული) განათავსებს საღაჯეველ კომპანიის ანგარიშზე (შუამავალი), რომელიც, თავის მხრივ, ახდენს ამ სახსრების ინვესტირებას რომელიმე კორპორაციის აქციებსა და ობლიგაციებში (ფინანსურ ბაზარზე). ამგვარად, წყილი ირბად, სადასხვეველ კომპანიის მეშვეობით უზრუნველყოფს ფინანსებს იმ ფორმებს, რომლებიც უშეუბნებ ამ აქციებსა და ობლიგაციებს მძიმეკეცეში (დეფიციტური ეკონომიკური სუბიექტები).

ისარი, რომელიც ზედა წრიდან ქვედა წრისკენ მიემართება, მიუთითებს არა მარტო იმას, რომ ფინანსური საშუალებები შეიძლება მიმართული იყოს ფინანსურ ბაზრებზე, არამედ იმას, რომ ზოგიერთი შუამავლები მათ დებულობენ ფინანსურ ბაზრებზეც. მაგალითად, ფინანსურმა კომპანიამ, რომელიც საოჯახო მუერნობას თავახზობს სესხს, შეუძლია საჭირო თანხა შეაგროვოს აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებით და მათი გაყიდვით ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესაბამის სებმენტზე.

20.3. ფინანსური სისტემის ფუნქციები და მათი ევოლუცია

არსებობს მრავალი მიზეზი, რომლის ძალითაც სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, კერძოდ: ტექნოლოგიების სირთულის დონის, მათი ხელმისაწვდომობის, აგრეთვე სახელმწიფოს პოლიტიკური, კულტურული და ისტორიული განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ფინანსური ინსტიტუტები ტრანსფორმირდება დროთა განმავლობაში. მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციები შეიძლება შეიცვალოს ძალიან მკვეთრად იმისდა მიუხედავად, დაწესებულების სახელწოდება იცვლება თუ არა. აშშ-ში თანამედროვე ბანკები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან იმ ბანკებისაგან, რომელიც არსებობდნენ ამ ქვეყანაში 1928 თუ 1958 წლებში. მათ გააჩნიათ მრავალი განმასხვავებელი ნიშანი იმ ინსტიტუტებისაგან, რომელთაც ასევე ბანკები ეწოდებოდა და არსებობენ გერმანიასა თუ დიდ ბრიტანეთში.

მოცემულ პარაგრაფში განიხილება ყოველისმოცეველი კონცეპტუალური სტრუქტურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავეითო, თუ რატომ და რატომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტები და რატომ იცვლებიან დროთა განმავლობაში. გათვალისწინებული მიდგომის საფუძველია ის, რომ ორიენტირად აღებულია არა ინსტიტუტები, როგორც ასეთი, არამედ მათი ფუნქციები. ანალიზის ასეთ მეორედ ეურღებთ ფუნქციონალურ მიდგომას (functional perspective). ის ეფუძნება ორ ამოსავალ წინაპირობას:

- ფინანსური სისტემის ფუნქციებს უფრო სტაბილური ხასიათი აქვთ, ვიდრე მათ ინსტიტუტებს. ეს ნიშნავს, რომ ფუნქციები ნაკლებად იცვლება დროთა განმავლობაში და არც ისე ძლიერ განსხვავდებიან ქვეყნებს შორის.

ფინანსური ინსტიტუტების ფორმა ლოკალურად გამოზდინარეობს მათი ფუნქციებიდან. ფინანსურ სტრუქტურაში ინთავიცია და ინსტიტუტთა შორის კონკურენცია, საბოლოო ანგარიშით, იწვევენ ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

ფინანსური სისტემის მთავარი ფუნქციების ანალიზის საფუძველზე, რომელიც მდგომარეობს ფინანსური რესურსების ეფექტური განაწილებაში, შეიძლება ეისაუბროთ ამ სისტემის ექვს საბაზისო ანუ საკვანძო ფუნქციებზეც. ეს ფუნქციებია:

- *ეკონომიკური რესურსების* სახელმწიფო საზღვრებს გარეთ, ეკონომიკის ერთი დარგიდან მეორეში და დროში გადაადგილების უზრუნველყოფა.

რისკის მართვის ხერხებით უზრუნველყოფა.

კლირინგის და ანგარიშსწორების ხერხების უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს ეაჭრობას.

ფინანსური რესურსების გაერთიანებისა და სხვადასხვა საწარმოებში მფლობელობის გაყოფის მექანიზმის უზრუნველყოფა

საფხე ინფორმაციით უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზებული პროცესის კოორდინირება

სტიმულირების პრობლემების გადაჭრის ხერხების უზრუნველყოფა. ეს პრობლემები წარმოიშობა ისეთ სიტუაციებში, როდესაც გარბების ერთ-ერთი მონაწილე ფლობს ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ გააჩნია მეორე მონაწილეს; ან თუ მონაწილეთაგან ერთ-ერთი მეორის სახელით მოქმედებს, როგორც აგენტის (კომისიონერის).

ამ თავში მოცემულია ფინანსური სისტემის ყველა ზემოთაზოთელილი ფუნქციებისა და დროთა განმავლობაში მათი ხასიათის ცვლილების ახსნა.

ფუნქცია I. დროსა და სივრცეში რესურსების გადაადგილება

ფინანსური სისტემა უზრუნველყოფს ეკონომიკური რესურსების გადაადგილებას დროში, ერთი გეოგრაფიული რეგიონიდან მეორეში, აგრეთვე ეკონომიკის ერთი დარგიდან მეორეში.

ფინანსური ნაადგიების მოძრაობა ბევრ შემთხვევაში (იხ. ნახ. 20-I.) ყვეუნიება იმის, რომ ფინანსური და იურიდიული პირი დღეს თავის საშუალებებს გადასცემს სხვა პირს იმ განზრახვით, რომ სანაცვლოდ მიიღოს რაიმე საშუალება მომავალში და პირიქით. სტუდენტური სესხები, სესხები სახლის შექმნაზე, სასენსიო დანაზოებები და კაპიტლდებანადგები წარმოებით სიმბალანსოშია - ყველა ეს ოპერაცია იწყებს დროის ერთი წერტილიდან მეორეში რესურსების გადაადგილებას. რესურსების ამგვარი დროთაშორისი გადაადგილებისათვის პირობების უზრუნველყოფა (სიტყვის-ტყეით რომ ეთარგმნოთ, *intertemporal* ნიშნავს *დროთა შორის*) წარმოადგენს ფინანსური სისტემის ერთ-ერთ ფუნქციას.

მაგალითად, რომ არ არსებობდეს სტუდენტური სესხები, ახალგაზრდებს, რომელთა ოჯახებს არ გააჩნიათ სასრული მათი შემდგომი სწავლებისათვის, მოუწყვედნ უმაღლეს განათლებასზე უარის თქმა. ზუსტად ასევე, ძალიან ბევრი მეწარმე ვერ შეძლებდა თავისი ბიზნესის გაშლას, რომ არ უქონდოდა აქციონერებისაგან ფულის მიღების შესაძლებლობა ახალი კომპანიების დასაარსებლად, რაც ჩვეულებრივ მაღალი რისკიანობით ხასიათდება.

გარდა იმისა, რომ ფინანსური სისტემა უზრუნველყოფს რესურსების გადაადგილებას დროში, ის აგრეთვე თამაშობს ძალიან მნიშვნელოვან როლს რესურსების სივრცეში გადასადგილებლად. ზოგჯერ კაპიტალი, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ ბიზნეს-პროექტის განსახორციელებლად, იმყოფება ძალიან შორს იმ ადგილიდან, სადაც შესაძლებელია მისი ყველაზე ეფექტიანად გამოყენება. მაგალითად, საოჯახო მეურნეობას გერმანიაში შეუძლია ფულადი საშუალებების დაზოგვით დააერთოს კაპიტალი, რომელიც სრულიად მოსალოდნელია, რომ ყველაზე ეფექტიანად ამოქმედდეს სადაც რუსეთში. ამ მხრივ, ფინანსური სისტემა გეთავაზობს მრავალ შექანობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ფულადი რესურსების გადაადგილებას გერმანიიდან რუსეთში. საქმრისია დავასახელოთ მათგან ორი: ჯერ ერთი, გერმანულ მოქალაქებს შეუძლიათ შეიძინონ რუსული კომპანიების მიერ ემიგრებული ფისიანი ქაღალდები; მეორე, გერმანიის ბანკებს შეუძლიათ შესთავაზონ სესხები რუსულ ფორმებს.

ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ფინანსური სისტემა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რათა მისი სუბიექტები უზრუნველყოს ფულადი რესურსების დროსა და სივრცეში გადაადგილების ეფექტიანი ხერხებით. დღეისათვის არსებული ფინანსური სისტემის ბაზრებისა და შუამავლების ურთულესი ქსელი შესაძლებელს ქნის, თქვათ, იაპონელი მუშების საქონის დანაზოების გამოყენებას ამერიკელი ახალგაზრდების მიერ სახლების ყიდვის დასაფინანსებლად.

ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შესაძლო ინოვაციების წახალისებასა და დანერგვას, რომელთა წყალობითაც დეფიცირული ფულადი რესურსები გადაადგილდება დროსა და სივრცეში. ისინი ვადმოედინებიან იქიდან, სადაც არ იძლევიან მაღალ შემოსავალს და გამოიყენებიან იქ, სადაც მოაქვთ დიდი მოგება. მაგალითად, დაეუშუათ, რომ ყველა ოჯახი იძულებულია მოაღიწოს თავიანთი დანაზოების ინვესტირება ისე, რომ არ გასცდნენ საკუთარი სახლის საზღვრებს ამ დროს თუ A ოჯახის დანაზოების მიხედვით უფლებიერი შემოსავლიანობის განაკვეთი შეადგენს წლიურ 2%-ს, ხოლო B ოჯახს შესაძლებლობა აქვს თავის დანაზოებზე მიიღოს წლიურად 20%-ანი შემოსავალი, ორივე დანაზოის ეფექტიანობა შეიძლება ავამადლოთ საინვესტიციო კომპანიის შექმნით, რომელიც მოიზიდება A ოჯახის დანაზოების და ასესხება B ოჯახს.

ფუნქცია 2. რისკის მართვა

ფინანსური სისტემა რისკის მართვის შესაძლებლობას ეთავაზობს

ფინანსური სისტემის დახმარებით ფულადი რესურსების გადაადგილების მსგავსად, გადაადგილება რისკიც. ფინანსურ სისტემაში არსებობენ შუამავლები, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც დასპეციფიცირებულნი არიან საქმიანობის, რაც უკავშირდება რისკის გადანაცვლებას. ისინი კლიენტებისაგან, რომელთაც სურთ თავიანთი რისკის ზარისხის შემცირება, დებულობენ სპეციალურ სადაზღვევო პრემიებს და გადასცემენ ინვესტირებს. სადაზღვევო კომპანიები გარკვეული განსაზღვრულ ფასად თანახმანი არიან აანაზღაურონ სადაზღვევო მოთხოვნები და გასწონ რისკი.

ზმირად კაპიტალი და რისკი გაერთიანებულია და გადაიტანება ფინანსური სისტემის შემყობით ერთდროულად, რომლის შედეგადაც *ფინანსური ნაკაი*, რომელიც ასახულია ნახ. 20-I-ზე,

გეიხასიათებს აგრეთვე რისკების ნაკადს ყოველივე ეს განვიხილოთ საწარმოს ფინანსებისა და მათი რისკის გადატანის მაგალითზე.

წარმოედგინოთ, რომ გადაწვეტილი წამოიწყეთ ბიზნესი, რისთვისაც გჭირდებათ 100000 დოლარის ოდენობის კაპიტალი. რამდენადეა პირადი დანახოვები არ გაეანინათ, თქვენ თვლეთით დეფიციტურ ეკონომიკურ ერთეულად. ახლა დაეუშვათ, რომ თქვენ შეძელით რომელიმე კერძო ინვესტირის დარწმუნება (თავისუფალი საშუალებების მქონე ეკონომიკური ერთეული) და მასაც შეიძინა თქვენი აქციები 70000 დოლარის ოდენობით. საამისოდ თქვენ ივალდებულებით, რომ მას გადაუხდით საწარმოს მოგების 75%-ს. გარდა ამისა თქვენ შეძელით ბანკიდან 30000 დოლარის ოდენობის კრედიტის მიღება ფორული 6%-ანი განაკვეთით. ნ.ხ. 20-1-ზე ეს საერთო ნაკადი, რომელიც 100000 დოლარის ტოლია, აისახება როგორც ფინანსური ნაკადი, რომელიც სხვა წყაროდან თქვენამდე მოედინება.

მაგრამ ვინ მიდის რისკზე თქვენი საწარმოს წარმატებლობის შემთხვევაში?

მოცემულ მაგალითში ძირითად რისკს საკუთარ თავზე იღებს თქვენი აქციონერი, რამდენადაც, თუ საწარმო განიცდის კრახს, ის ვეღარ დაიბრუნებს თავის 70000 დოლარს. თუმცა რისკის გარკვეული დონე შეიძლება არსებობდეს ბანკის მოქმედებაშიც. ის მდგომარეობს იმაში, რომ თქვენი წარმატებლობის შემთხვევაში ბანკმაც შესაძლოა ვერ დაიბრუნოს მთლიანად სესხის ძირითადი თანხა და მასზე როცხული პროცენტები. მაგალითად, წარმოედგინოთ, რომ წლის ბოლოს თქვენი ბიზნესი ფასდება სულ რაღაც 20000 დოლარით. ამ შემთხვევაში, ინვესტორს კარგავს მის მიერ ინვესტირებულ თანხას მთლიანად, ხოლო ბანკი - 10000 დოლარს თქვენდამი ნასესხები 30000 დოლარიდან. ამიტომ, კრედიტორები, აქციონერებთან ერთად, საკუთარ თავზე ლეულოვან კერძო ფორმის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის გარკვეულ ნაწილს.

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალი და რისკი ხშირად გაერთიანებულია, ისინი შეიძლება ერთმანეთისგან განცალკევდეს. მაგალითად, განვიხილოთ სიტუაცია 30000 დოლარის ოდენობის სესხის მაგალითზე, რომლის მიღებასაც აპირებთ ბიზნესის დაარსების მიზნით. წარმოედგინოთ, რომ ბანკმა მოთხოვიათ მოიყვანოთ ვინმე ახლო ნათესაეთაგანი, რომელიც იქნება გარანტი თქვენს მიერ ამ სესხის დაბრუნებისა. წამოაყენებთ რა ამ მოთხოვნას, ბანკი თქვენს მიერ საკრედიტო ხელშეკრულების პირობის შესრულებლობასთან დაკავშირებულ თავის რისკს გადაამსრებს თქვენს ნათესავს. ამ შემთხვევაში ბანკი გთავაზობთ 30000 დოლარის ოდენობის კრედიტს მისთვის მიწინააღმდეგე რისკის პირობებში, ხოლო სესხზე ძირითადი რისკი გადაეცემა თქვენს ნათესავს.

როგორც შემდგომში დავტრუდებით, ფინანსების სამყაროში მრავალი ფინანსური კონტრაქტი ითვალისწინებს რისკის გადადგომას ფულადი რესურსების ყოველგვარი გადაადგილების გარეშე. მაგალითად, ეს ეხება სადაზღვეო კონტრაქტებისა და გარანტიების უდიდეს უმრავლესობას, აგრეთვე წარმოებულ ინსტრუმენტებს, როგორცაა ფიუნერები, ოპციონები და სეკიუიტები².

საანგარიშსწორებო-საგადამხდლო სისტემა

ფინანსური სისტემა საშუალებას გვაძლევს შევასრულოთ საკლირინგო ოპერაციები და განვახორციელოთ გადახდა იმგვარად, რომ აშან სტიმული მისცეს საქონლების, მომსახურებებისა და აქტივების გაცვლას.

ფინანსური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა აღამაინათა და ფორმების უსრუნველყოფა გადახდების შესრულების ეფექტიანი საშუალებებით საქონლის და მომსახურების ყიდვის პროცესში. დაეუშვათ, ცხირობთ აშშ-ში, გეგმათ დედამიწის ირგვლივ ტურისტულ მოგზაურობას და თვლით, რომ 5000 დოლარის თანხა სრულიად საქმარისია ყველა ტურისტული ხარჯების დასაფარებად. როგორი ფორმით უნდა წაიღოთ ფული? როგორ აანახლდებოდნენ სხვა ქვეყნებში საქონელთა და მომსახურებთა ყიდვას?

² ფიუნერები - კონტრაქტები გარკვეული ოდენობის ფინანსური ინსტრუმენტების ან საქონლის ყიდვაზე და გაყიდვაზე მომავლისთვის შეთანხმებულ მომენტში.

სკოტი - გაცვლა. 1) დროებითი ყიდვა შემდგომი გაყიდვის გარანტიით; 2) ვალდებულებების ან აქტივების გაყიდვის ოპერაციები მათი სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, რისკებისა და ხარჯების შესამცირებლად, მოგების მისაღებად; 3) ერთობლივი გაცვლითი ოპერაცია ფასიანი ქაღალდებით. სკოტი ვალდის გაგრძელების მიზნით - ფასიანი ქაღალდის გაყიდვა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტის ყიდვა, რომელსაც გააშინა დფიციტის უფრო ხანგრძლივი ვადა; 4) ტროვნული ვალუტის უცხოურზე გაცვლითი ოპერაციები უპირატესი ვალდებულებების გარკვეული ვალდის განაგებლობაში; ხორციელდება ჩვეულებებისამებრ, ცენტრალურ ბანკში შორის; 5) ნაღდი ვალუტის გაყიდვა (სპოტი) მისი ერთდოულად ყიდვის პირობით გარკვეულ ვადაში (ფორვარდი) ან პირიქით; 6) ირი ვალუტის მიხედვით საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა ერთი და იგივე ვალდობის (სპოტ - ნაღდი, დაუყოვნებლივ ანაზღაურებადი. არსებული საქონლითა და ვალუტით ვარიანტის სახე. მათ შორის, საბირჟო ვაჭრობის დროს, რომელიც გულისხმობს დაუყოვნებლივ ანაზღაურებასა და მიწოდებას).

მართალია, ყველა არა, მაგრამ უცხოური სასტუმროების, ახალგაზრდული საერთო საცხოვრებლებისა და რესტორნების საქმოდ დიდი ნაწილი გადახდის საშუალებად ღებულობს აშშ-ს დოლარს. რა თქმა უნდა, შეიძლება ვისარგებლოთ საკრედიტო ბარათითაც, თუმცა მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში, რომლის ნახევაც თქვენ გაინტერესებთ, მას არ ღებულობენ. ამ შეთხვევაში უნდა შევიხიროთ თუ არა საგზაო ჩეკები? თუ უნდა შევიხიროთ, მაშინ რომელ ვალუტაში? შევცდებით არა ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში, თქვენ აუცილებლად ბევრჯერ დაფიქრებდით იმაზე, რაოდენ უფრო მოხერხებული იქნება ყველა ქვეყანაში ყველა მოთმევად რომ სარგებლობდეს ერთი და იგივე საგადახდო საშუალებით.

უცხოეთი აღწერილი სიტუაციის მავრიად წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ძალიან მდიდარი ადამიანი ბრძანდებით, რომელიც ცხოვრობს ისეთ სახელმწიფოში, სადაც მთავრობა ზღუდავს თავისი მოქალაქისთვის უცხოური ვალუტით ოპერაციების დამუშავებას და რომ თქვენ აგრეთვე გადაწყვეტილად მსოფლიოს გარეშე მოგზაურობა ამ დროს, ისარგებლებთ რა ერთგულნი ვალუტით, თქვენს ქვეყანაში შეიძლება იყიდოთ ყველაფერი, რაც გსურთ, მაგრამ მის ფარგლებს გარეთ შესაძლოა არაფერ მიიღოს ისინი გადახდის საშუალებად. თქვენს სახელმწიფოში უცხოური ვალუტის დეფიციტი მთავრობას აიძულებს თავის მოქალაქებს აუკრძალოს უცხოური ვალუტის ყიდვა ან ხსენის აღება საზღვარგარეთ. რა ღონისძიებას მიმართავენ ამგვარ სიტუაციაში?

ერთ-ერთი ქმედება მდგომარეობს შედეგში: სამშობლოში შეიძლება ძვირადღირებულ და გადასახიდად მოხერხებულ საქონლებს (მაგალითად, ბეწვეულს ან ძვირფასეულობებს), შეფუთვით, თან წაიღებოთ და შევცდებით მათ გამოყენებას უცხოეთში საკვებისა და ბინის შესაძენად. სხვა სიტუაციაში რომ ვთქვათ, ისარგებლებდით მატერით, ვ.ი. საქონელითა და ცხივით, უნდა იფიქროს, თქვენს სახელმწიფოში გამოყენების გარეშე. არც ღირს იმაზე საუბარი, თუ რაოდენ მოხერხებულია ყოველივე ეს თქვენ მაინც მოგვიყვით უზარმაზარი ტერიტის ზიდვა და იმის მავრიად, რომ მონახულებით მუშეუ-მები და თეატრები, დახარჯავენ საქმოდ დიდ დროსა და ენერჯიას თქვენი საქონლების ფულად გადაქცევაში ან სასტუმროსა და რესტორნის ძებნაში, სადაც თანახმაი იქნებიან სასტუმრო ნომრისა და კეების სანაცვლოდ გადახდის საშუალებად მიიღონ ბეწვეული ან ძვირფასეულობა.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ფინანსური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ეფექტიანი საგადახდო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც საოჯახო მეურნეობასა და ფირმებს საშუალებას აძლევს არ დახარჯონ ზედმეტად დიდი დრო ანა თუ იმ საქონლისა და მომსახურების შესაძენად. საგადახდო სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მაგალითი ისეთი საგადახდო საშუალები, როგორიცაა ოქრო, ქალაქის ფული შეცვლია. იმენს დროში ოქრო წარმოადგენს დეფიციტურ რესურსს, რომელიც გამოიყენება მდიდარიანში და საიუველირო საქმეში, ხოლო ქალაქის ფული წარმოადგენს ძირითად საგადახდო საშუალებას. ოქროსთან შედარებით, ქალაქის ფულის უტყუარობის შემოწმება გაცილებით იოლია (მისი გაყიდვები გაცილებით რთულია) და მათი გამოყენება ცხოვრებაში ბევრად მოხერხებულად, მაგალითად, ჯიბით ან საფულეთ მისი ტარება გარდა ამისა, ფულის ბეჭდვა გაცილებით ნაკლებად ძვირადღირებულია, ვიდრე ოქროს მონეტების მოპოვება, გადაღობა და გამოჭედა ანგარიშ-სწორების ეფექტიანობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა გადახდების განხორციელების ალტერნატი-ული საშუალებების გამოყენის წყალობით, კერძოდ, როგორცაა ჩეკები, საკრედიტო ბარათები და ელექტრონული საგადახდო სისტემა.

ფუნქცია 4. რესურსების გაერთიანება და კაპიტალში მონაწილეობის პაის გაყოფა

ფინანსური სისტემა უზრუნველყოფს ფინანსური საშუალებების გაერთიანების შექანიზმს მსხვილმასშტაბიანი საქარბოს დახარჯებლად ან მსხვილი საქარბოს კაპიტალის ჰავეად დასაყოფად შესაკუთრეთა დიდ რაოდენობას შორის.

თანამედროვე ეკონომიკაში ინვესტიციათა მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია სრულფასოვანი ბიზნესის დასაარსებლად, ხშირად აჭარბებს ცალკეული ადამიანისა თუ დიდი ოჯახის ფულად რესურსებს. ფინანსური სისტემა შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, საფონდო ბაზრებისა თუ ბანკების დახმარებით) საოჯახო მეურნეობათა საშუალებების გასაერთიანებლად უფრო მსხვილ კაპიტალში, რომელიც შემდგომ გამოიყენება ფირმებში.

ფინანსური სისტემის წყალობით ინდივიდუალურ საოჯახო მეურნეობებს შესაძლებლობა ეძლევათ ინვესტიციებში მონაწილეობის მისაღებად, რომელთათვისაც აუცილებელია მსხვილი ფულადი თანხა, მათი რესურსების გაერთიანებისა და ერთობლივ ინვესტიციებში წილების

³ საგზაო ჩეკები – საგადასახდლო საშუალება, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ტურიზმში; ჩვეულებრივ ჩეკებისაგან განსხვავებით, შეიძლება პარკის კლიენტების მიერ და შეიძლება გაიყვანოს ნაღდ ფულად ნებისმიერ დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს ემიტენტობაჰის ავტენტს ჩეკს ბელი მოქრედა მისი მულობლის მიერ პირველად ყიდვის დროს და მეორეჯერ ნაღდი ფულის მიღების შემთხვევაში;

შემდგომი გაყოფის გზით. წარმოედგინოთ მაგალითად, რომ გადაწყვიტეთ თანხის დაბანდება სადოდე ცხენის შესაძენად, რომლის ღირებულება შეადგენს 100000 დოლარს, მაგრამ თქვენ მხოლოდ 10000 დოლარი გაქვთ. რომ არსებობდეს ფიზიკური შესაძლებლობა ცხენის გაყოფის მგათედ ნაწილად, თქვენ შეიძლებდით მისი ერთი მეათედის ყიდვას, მაგრამ ეს ის შემთხვევათაგანია, როდესაც მთლიანი უდაყოლ ბევრად ძვირი ღირს, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი. შესაბამისად, ფიზიკური დანაწევრება ცხენისა პრობლემას ვერ წყვეტავს. აი, ამ დროს დასახმარებლად გვევლინება ფინანსური სისტემა, რომელიც ნებას გეძლევს „გაყოფო“ ცხოველი ისე, რომ მას ზიანი არ მიუაყენოთ. შეეძინოთ რა საინვესტიციო პულს (კუდი – ფინანსური რესურსების გაერთიანება) და გაანაწილებოთ ინვესტორებს შორის პაის, 100000 დოლარის ოდენობის ინვესტიცია შეიძლება დავანაწილოთ 10000 დოლარის ოდენობის ეკონომიკურ „ნაწილებად“ ისე, რომ არ დავანაწილოთ ცხენი. ამის შემდეგ ყველა თანხა, რომელსაც ის დღემდე გამოიმუშავებს, მის გაწერისაზე და შენახვაზე ხარჯების გამოკლებით, განაწილდება ყველა მკვაიეს შორის.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი, კერძოდ, საინვესტიციო ფონდების ოპერაციები, რომლებიც მოქმედებენ ფულად ბაზარზე. დაუშვათ, გადაწყვიტოთ კაპიტალის დაბანდება ყველაზე საიმედო და დივერსიფიკაციის დოლარის აქტივებში – აშშ-ს ხაზინის თამასუქში. შემოსებაზე ფული თამასუქებიდან ყველაზე იაფი ღირს 10000 დოლარი, თქვენ კი აძირბთ მხოლოდ 1000 დოლარის ინვესტირებას. მოცემულ შემთხვევაში საშუალებათა დაბანდება ასეთ თამასუქში შესაძლებელია მხოლოდ თქვენი ფინანსური რესურსების სხვა ინვესტირების რესურსებთან გაერთიანებით. 70-ან წლებში ამ პროცესის სტრუქტურებისათვის შეიქმნა სასესხო ფონდები, რომლებმაც ინვესტორებს გზა გაუხსნა სახაზინო თამასუქებისაკენ.

სასესხო ფონდებში ინვესტირება საშუალებები დროებით ერთიანდება და მათთვის იხსნება ანგარიშები, რომლებიც ასახავენ მათ წილს მოცემული ფონდის კაპიტალში. ფონდი დროდადრო ახდის კლიენტებს ინფორმაციას თავისი აქტივების კურსის შესახებ და მათ შესაძლებლობას ახდებს პრაქტიკულად ნებისმიერ მომენტში შეიტანონ ნებისმიერი დამატებითი თანხა საკუთარ ანგარიშზე ან საერთოდ გაითიანონ ფული. ამგვარად, თუ ფონდის აქციის მიმდინარე კურსი შეადგენს 11 დოლარს, ხოლო თქვენ აბანდებთ 1000 დოლარს, მაშინ ფონდში თქვენს ანგარიშზე იქნება 90,91 აქცია (1000/11). ეს მტკიცელებს იმაზე, რომ სასესხო ფონდები, რომლებიც ამხორციელებენ სახაზინო თამასუქებში ინვესტიციებს, განაპირობებენ ფინანსური სისტემის ნივთიერების შესრულებას, რამდენადაც მათი წყალობით მაღალი ღირებულების თამასუქები ტრანსფორმირდება პრაქტიკულად უსასრულოდ გაყოფად ფსიან ქაღალდებად.

ფუნქცია 5. საინფორმაციო მხარდაჭერა

ფინანსური სისტემა გეთავაზობს ფასეულ ინფორმაციას, რომელიც გეხმარება შევანამოდ ერთმანეთთან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში.

ინდექსირება ეწოდება საინვესტიციო სტრატეგიას, რომლის მიზანია საინვესტიციო კაპიტალის შემოსავლიანობის დინამიკა მიებას განსაზღვრულ საბირჟო (საფონდო) ინდექსს. ინდექსირების საფუძველია მართები ჭეშმარიტება: ყველა ერთადადებულ ინვესტორს, რომლებსაც საკუთარი კაპიტალი რომ ჰქონდეთ დაბანდებული ფასიან ქალაქებში, ვერ შეძლებენ მიადწიონ თავიანთი დაბანდებისათვის მეტ რენტაბელობას, ვიდრე მთელი საფონდო ბაზრის შემოსავლიანობაა. ინდექსირების სტრატეგიის გამოყენებით მენეჯერი ცდილობს თავის საინვესტიციო ფონდში ასახოს ინვესტიციის ის სტრუქტურა, რომლის საფუძველზეც მიღებული იქნა ორიენტირად არჩეული ინდექსი. ის საკუთარი ფონდის აქციების პაკეტში მოიცავს ყველა ფასიან ქალაქს, რომელთა ფასების საფუძველზეც გაიანგარიშება მოცემული ინდექსი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ ინდექსების ბაზა ძალიან მაღალია, მაშინ მხოლოდ მას, რომლებიც შევიდნენ რეპრეზენტატიულ არჩევაში. ამ დროს არ მიმართავენ ფულადი საშუალებების „აქტიური“ მართვის მეთოდის გამოყენების ცდებს ცალკეულ ფასიან ქალაქებზე ან ეკონომიკის ცალკეულ დარგებზე ფონდის გაკეთებით, რათა „გაუწირონ“ ინდექს-ორიენტებს. შესაბამისად, ინდექსირება – არის პასიური საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა ფართო დივერსიფიკაციას და ფასიანი ქალაქების პორტფელის დაბალ საეკონომიკურ აქტიურობას.

რასაკვირველია, ყოველთვის იარსებებენ აქტიურად მართვადი ფონდები უფრო მაღალი მაჩვენებლებით, განსხვავებით სტრატეგიული ინდექსირების მქონე ფონდებისაგან. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, გამართლების შედეგი. საინვესტიციო პორტფელის ზოგიერთ მმართველს უბრალოდ შემთხვევის წყალობით შეუძლია უზრუნველყოს განსაკუთრებული მოგების მიღება დაბანდებულ კაპიტალზე და შეინარჩუნოს კიდევ ინვესტიციის უმაღლესი რენტაბელობა საქმოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, არიან მენეჯერები, რომლებიც ფლობენ ნამდვილად განსაკუთრებულ უნარსა და ჩვევებს, რომელთა წყალობითაც მათ მიერ ინვესტირებული კაპიტალი დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში იძლევიან უზარმაზარ მოგებას. ფონდების არჩევის დროს ინვესტორის პოზიციას, რომელთა ხელმძღვანელობა მისდევს მართვის აქტიურ სტრატეგიას, მდგომარეობს იმაში, რომ წინასწარ ძალიან ძნელია განისაზღვროს, ამ ფონდებიდან რომელი შეინარჩუნებს ლიდერობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ინდექსირების სტრატეგიის უპირატესობა ინვესტორის ხარჯების დონის თვალსაზრისით

1926 წლიდან აშშ-ს საფონდო ბაზარი უზრუნველყოფს ინვესტორებს ინვესტირებულ კაპიტალზე 12%-ანი საშუალოწლიური შემოსავლიანობით. თუმცა, ეს ციფრი არ ითვალისწინებს ხარჯებს, რომლებიც ეკონდება შემდეგი ფორმებით.

- ფონდის დანახარჯები (ფონდის მმართველის ანაზღაურება, ფონდის თაობაზე ინფორმაციის გაერცელებასზე მოსაკრებლები და მიმდინარე ხარჯები).

ფასიანი ქალაქების პორტფელით ოპერაციებზე დადნახარჯები (ბროკერის მომსახურების ანაზღაურება გაროგებების დადებისათვის და სხვა კომერციული ხარჯები)

ფონდებში, რომლის სახსრები დაბანდებულია ყველაზე გაერცელებულ აქციებში, ფონდის დანახარჯების საშუალოწლიური კოეფიციენტი (ფონდის დანახარჯების ინვესტიციების საერთო თანხასთან თანაფარდობის მაჩვენებელი) ტოლია 1,34%-სა. ამასთან, ასეთი ტრადიციული სასესხო

ფონდების მენეჯერები, როგორც წესი, ხასიათდებიან აქტიუობის მაღალი დონით ფორტულების მართვაში. *Lipper Analytical Services, Inc.* —ის მონაცემებით, აქტივების ბრუნვაობის კოეფიციენტი, საშუალოდ 76%-ს შეადგენს წელიწადში. საუკურო ხარჯებმა ასეთი ბრუნვის დროს ფონდის საერთო ხარჯებს შეიძლება დაუმატოს ყოველწლიურად 0,5%-დან 1%-მდე. ერთობლიობაში, ფონდის დანახარჯებისა და საუკურო ხარჯების დაფარვის აუცილებლობა ტიპურ ფონდში ინვესტორისგან შემოსავლის მნიშვნელოვანი წილის გადახდას ითხოვს. ხოლო ფონდები, რომლებიც იღებენ საკომისიებს საუკურო ოპერაციებზე, მოგებას კიდევ უფრო ძლიერ ამცირებენ.

ინდექსირების სტრატეგიის მქონე ფონდების ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა სწორედ დაბალი ხარჯებია. ასეთ ფონდებში ამოიღება მინიმალური საკომისიოები მართვისათვის, მიმდინარე ხარჯები შეიძლება იყოს ძალიან მცირე, ხოლო საფორტუფე ოპერაციების გატარების ხარჯები — მინიმალური. უფრო მეტიც, რამდენადაც აქტივების ბრუნვა სტრატეგიული ინდექსირების მქონე ფონდების პორტფელებში გაცილებით ნაკლებად აქტიურია, ეიდრე აქტიური მმართველობის ფონდებში, არსებობს ძლიერი ტენდენცია (მაგარამ, არაერთარ შემთხვევაში — არა გარანტია), რომ ასეთი ფონდები არიცხავენ და ანაწილებენ აქციონერებს შორის მხოლოდ მაღიან მოკრძალებულ შემოსავლებს კაპიტალის ნაზრდიდან (საერთოდ თუ აკეთებენ ამას). რამდენადაც ეს დარიცხვები იბეგრება გადასახადით, მაშინ მსგავსი გადახდების რაც შეიძლება უფრო ხანგრძლივი გადავადება მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ინდექსირებულ ფონდების უპირატესობას.

გარკვეული დროის შემდეგ ზოგიერთმა საბირჟო ინდექსებმა გაუწარეს ფონდების მარეწებლებს, რომლებიც მოქმედებდნენ ყველაზე გაერცელებული აქციებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შედარებულია ჯამობრივი შემოსავლიანობა (გამოთვლილი კაპიტალური ნაზრდისა და შემოსავლების დაჯამების საფუძველზე), რომელიც იზომება *Wilshire 5000* ინდექსის დახმარებით (აშშ-ს მთელი საფონდო ბაზრის მარეწებელი) და ფონდების მარეწებლებში, რომლებიც მოქმედებდნენ ახდენენ ყველაზე გაერცელებული აქციებით და მისდევენ აქტიურ სანევესტიციო სტრატეგიას.

ჯამური შემოსავლიანობა (10 წლიანი კადის გასვლის შემდეგ, 1996 წლის 30 სექტემბერი)		
	ჯამური მარეწებელი	საშუალოწლიური მარეწებელი
Wilshire 5000 ინდექსი	+272,52%	+14,06%
საშუალოსტატისტიკური ფონდი, რომელიც მოქმედებს ყველაზე გაერცელებული აქციებით	+237,63%	+12,94%

ცხრილი 20-3-ში ჩამოთვლილია შემოსავლიანობის განაკვეთები მსოფლიოში სხვადასხვა კლასის აქტივების მიხედვით. ამ მარეწებელთაგან თითოეული იზომება შესაბამისი ქვეყნის ვალუტაში.

ცხრილი 20-3. ფინანსური ბაზრების ინდეკატორები 1999 წლის 17 მარტისათვის						
	საფონდო ბაზარი	საპროცენტო განაკვეთები (% წელიწადში)		საეალტო კურსები		
		მოკლევადიანი	გრძელვადიანი	1 დოლარისათვის		
ქვეყანა	ცვლილება 1 წლისათვის (%)	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	უკანასკნელი თარიღი	1 წლით ადრე	ცვლილება 1 წლისათვის (%)
აესტრალია	+7,5	4,80	5,38	1,59	1,5	+6,0
დიდი ბრიტანეთი	+4,0	5,31	4,53	0,61	0,60	+1,7
კანადა	-11,2	4,88	5,22	1,52	1,42	+7,0
დანია	-21,3	3,32	4,29	6,75	6,96	-3,0
იაპონია	-2,1	0,07	1,81	118,00	130,00	-9,2
შვედეთი	-3,3	3,17	4,39	8,16	7,95	+2,6
შვეიცარია	+1,4	1,29	2,54	1,45	1,49	-2,7
აშშ	+19,6	4,81	5,1	-	-	
II ევროპული ქვეყანა	+6,2	3,04	3,89	0,91	0,93	-2,2
მსოფლიო	+13,6					

მაგალითად, ცხრილი 20-3-ში ნაჩვენებია, რომ აშშ-ში აქციების კურსი 1998 წლის მარტიდან 1999 წლის მარტამდე პერიოდისათვის საშუალოდ გაიზარდა 19,6%-ით, ხოლო იაპონიაში — 2,1%-ით

დავტა. რათა შეედაროთ ამ ორი ქვეყნის მანქანებულთა ეფექტიანობა, აუცილებელია განსახილველი მანქანებლები დაეიყვანოთ ერთ ფულად ერთეულამდე.


დოლარის კურსი ივნებში ამ პერიოდისათვის შემცირდა 9,2%-ით. შესაბამისად, ფულად ფორმაში დიდიზნდების გაუთვალისწინებლად, რომელიც დარიცხულია აქციებზე, ამერიკული აქციები, რომლებიც 1998 წლის მარტისათვის 1 მლნ დოლარი ღირდა, 1999 წლის მარტისათვის გაიზარდებოდა 1,196 მლნ დოლარამდე. 1998 წლის მარტში ფასიანი ქაღალდების პორტფელს ჰქონდა 130 მლნ იენის ღირებულება (1,196 მლნ დოლარი X 130 იენი/დოლარი), ხოლო 1999 წლის მარტში - 141,128 მლნ იენი (1,196 მლნ დოლ. X 118 მლნ/დოლარი). შესაბამისად, აშშ-ს საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია ივნებში გაიზარდა მხოლოდ 8,56%-ით. ამგვარად, დოლარის კურსის შემცირება იენის მიმართ ნაწილობრივ აკომპენსირებს იაპონური და ამერიკული საფონდო ბაზრების სხვადასხვა ეფექტიანობას. ცხრილის ბოლო სტრიქონში მითითებულია მსოფლიო საფონდო ინდექსის ცვლილების პროცენტი, რომელიც ასახავს სხვადასხვა ქვეყნების აქციების საერთო ღირებულებას, გამოხატულს დოლარებში.

შემოსავლიანობის განაკვეთი ისტორიულ პერსპექტივაში

ნახ. 20-3-ზე და ცხრილი 20-4-ში ნაჩვენებია აშშ-ში შემოსავლიანობის წლიური განაკვეთები ფასიანი ქაღალდების სამი ძირითადი კლასის მიხედვით (აქციები, ობლიგაციები და აშშ-ს სახაზინო თამასკები) 1927-1997 წლისათვის. სურათზე გრაფიკულადაა გამოსახული, თუ როგორ იცვლებოდა მათი შემოსავლიანობა დროთა განმავლობაში. სამივე გრაფიკი განათვლებულია ერთსა და იმავე საკოორდინატო ღერძზე. სურათზე აშკარად ჩანს, რომ ყველაზე მეტი ცვალებადობით ხასიათდებოდა აქციების შემოსავლიანობა.

ცხრილი 20-4-ის პირველ სვეტში მოყვანილია შემოსავლიანობის წლიური განაკვეთი იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში ადგილი აქვს შემოსავლების შემდგომ რენეესტრირებას 30 დღიან სახაზინო თამასკებით. რამდენადაც ეს განაკვეთი იცვლება ყოველთვიურად, ის საიმედოა მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდების 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში ფლობის შემთხვევაში. მეორე სვეტში წარმოდგენილია შემოსავლიანობის წლიური განაკვეთები, რომელსაც მიიღებდა ინვესტორი, თუ თანხას დაბანდებდა აშშ-ს სახაზინო ობლიგაციებში 20 წლიანი დაფარვის ვადით. მესამე სვეტში ჩამოთვლილია ფასიანი ქაღალდების პორტფელის შემოსავლიანობის განაკვეთები, რომლებიც შერდის Standard & Poor 500 ინდექსის გაანგარიშებაში. და ბოლოს, ბოლო სვეტში მოცემულია ინფლაციის საშუალოწლიურ დონეთა მანქანებლები, რომელიც გაიანგარიშება სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილების საფუძველზე.

ყოველი სვეტის ბოლო ნაწილში ყურადღებას აიყრობს ოთხი სტატისტიკური მანქანებელი. პირველი მათ შორის - შემოსავლიანობის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა. თამასკეებისათვის ის შეადგენს 3,81%-ს, ობლიგაციისათვის - 5,58%-ს, ხოლო ჩვეულებრივი აქციებისათვის - 8,17%-ს. ეს მონაცემები მიანიშნებენ იმაზე, საშუალო პრემია (შემოსავლიანობის განაკვეთების საშუალო მანქანებელს გამოკლებული არარისკიანი შემოსავლიანობის განაკვეთების საშუალო მანქანებელი, რომელიც ტოლია 3,81%-ს) ობლიგაციების მიხედვით რისკისათვის შეადგენს 1,77% წელიწადში, ხოლო აქციებისათვის - 4,36%-ს წელიწადში.



შემდგომ, ცხრილი 20-4-ის ბოლოს მოყვანილია სტანდარტული გადახრების მაჩვენებლები. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია შემოსავლიანობის განაკვეთების ცვალებადობა, ე.ი. ფასიანი ქაღალდების რისკიანობაც. სტანდარტული გადახრა კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებლებისათვის, რომლებიც დაბანდებულია აქციებში, შეადგენს 19,66%-ს, ობლიგაციებში - 9,27%-ს, თამსუქში კი - 3,27%-ს.

(ცხრილი 20-4. აქციებზე, აშშ-ს სახაზინო თამსუქებსა და ობლიგაციებზე შემოსავლიანობის განაკვეთები 1926-1997 წლებში (%))										
წლები	სახაზინო თამსუქები	სახაზინო ობლიგაციები	აქციები	ინფლაცია	წლები	სახაზინო თამსუქები	სახაზინო ობლიგაციები	აქციები	ინფლაცია	
1926.	3,19	7,7	8,27	-1,118	1964.	3,52	4,11	12,97	0,972	
1927.	3,13	8,93	30,91	-2,261	1965.	3,97	-0,27	9,06	1,922	
1928.	3,82	0,1	37,88	-1,155	1966.	4,71	3,96	0,006	1,922	
1929.	4,74	3,42	-11,91	0,585	1967.	4,15	-6,02	20,09	1,922	
1930.	2,35	4,66	-28,48	-6,393	1968.	5,29	-1,20	7,66	4,720	
1931.	1,02	-5,31	-47,07	-9,316	1969.	6,59	-6,52	-11,36	6,195	
1932.	0,81	16,84	-15,15	-10,275	1970.	6,38	12,69	0,10	5,569	
1933.	0,29	-0,08	46,59	0,764	1971.	4,32	16,60	10,79	3,266	
1934.	0,16	10,02	-6,94	1,516	1972.	3,89	5,15	15,63	3,407	
1935.	0,17	4,98	41,37	2,985	1973.	7,06	-2,49	-17,37	8,705	
1936.	0,18	7,51	27,92	1,449	1974.	8,08	3,89	-29,72	12,338	
1937.	0,32	0,23	-38,59	2,859	1975.	5,82	6,10	31,55	6,937	
1938.	0,04	5,53	25,21	-2,777	1976.	5,16	18,18	19,15	4,865	
1939.	0,01	5,94	-5,45	0,001	1977.	5,15	0,90	-11,50	6,701	
1940.	-0,06	6,09	-15,29	0,714	1978.	7,31	-2,93	1,06	9,018	
1941.	0,04	0,93	-17,86	9,929	1979.	10,69	-1,52	12,31	13,294	
1942.	0,26	3,22	12,43	9,032	1980.	11,53	-3,52	25,77	12,517	
1943.	0,34	2,08	19,45	2,959	1981.	14,86	1,16	-9,73	8,923	
1944.	0,32	2,81	13,80	2,299	1982.	10,66	39,74	14,74	3,828	
1945.	0,32	10,73	30,72	2,247	1983.	8,85	1,28	17,27	3,791	
1946.	0,35	-0,10	-11,87	18,131	1984.	9,96	15,81	1,40	3,948	
1947.	0,46	-2,63	0,00	8,837	1985.	7,68	31,96	26,33	3,799	
1948.	0,98	3,4	-0,65	2,991	1986.	6,06	25,79	14,62	1,099	
1949.	1,11	6,45	10,26	-2,074	1987.	5,39	-2,91	2,03	4,434	
1950.	1,21	0,06	21,78	5,935	1988.	6,32	8,71	12,40	4,420	
1951.	1,48	-3,94	16,46	6,000	1989.	8,22	19,23	27,25	4,649	
1952.	1,64	1,16	11,78	0,755	1990.	7,68	6,15	-6,56	6,107	
1953.	1,78	3,63	16,46	0,749	1991.	6,15	18,59	26,31	3,065	
1954.	0,86	7,19	45,02	-0,744	1992.	3,40	7,95	4,46	2,902	
1955.	1,56	-0,69	26,40	0,375	1993.	2,90	16,91	7,06	2,750	
1956.	2,42	-6,27	2,62	2,985	1994.	3,88	-7,19	-1,54	2,674	
1957.	3,13	8,22	-14,31	2,898	1995.	5,53	30,38	34,11	2,537	
1958.	1,42	-5,29	38,06	1,759	1996.	5,15	-0,35	20,26	3,322	
1959.	2,82	-2,51	8,48	1,730	1997.	5,08	15,46	31,01	1,703	
1960.	2,58	13,32	-2,97	1,361	საშუალო	3,81	5,58	8,17	3,20	
1961.	2,16	0,19	23,13	0,671	სტანდ. გადახრა	3,27	9,27	19,66	4,52	
1962.	2,72	7,8	-11,81	1,333	მაქს.	14,86	39,74	46,59	18,13	
1963.	3,15	-0,79	18,89	1,646	მინიმ.	-0,06	-7,19	-47,07	-10,28	

ცხრილი 20-4-ის ბოლოში მითითებულია 72 წლიანი პერიოდისათვის ფასიანი ქაღალდების თითოეული კლასისათვის შემოსავლიანობის წლიური განაკვეთის მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები (ე.ი. დიაპაზონი). მოცემული დიაპაზონის სიღრმე წარმოადგენს აქტივების სხვადასხვა

კლასისათვის რისკის ხარისხის შესადარებლად კიდევ ერთ საზომს, მოყვანილი მაჩვენებლები ადასტურებენ, რომ აქციები ყველაზე რისკიანი აქტივებია, ხოლო სახაზინო თამასუქები - ყველაზე ნაკლები.

ამერიკელი ფინანსისტის, ჯერემი სიგელის (Jeremy Siegel) მიერ ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოკვლეულია სხვადასხვა ქვეყნებში აქციებზე შემოსავლიანობის განაკვეთის მაჩვენებლები და მოყვანილია შემდეგი მონაცემები შემოსავლიანობის რეალური განაკვეთების მიხედვით 1926-1997 წლებში (წლური განაგარიშებით, რომელიც კორექტირებულია ინფლაციის დონის გათვალისწინებით).

იაპონია	7,2%
გერმანია	6,6%
გაერთიანებული სამეფო	6,2%
აშშ	3,4%

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, მაჩვენებლები ძალიან მაღალია იაპონიასა და გერმანიასში, განსაკუთრებით თუ გაითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში საფონდო ბაზარზე აქციების კურსი შემცირდა 90%-ით, ხოლო იაპონიაში - 98%-ით.

ინფლაცია და რეალური საპროცენტო განაკვეთები 1926-1997 წლების პერიოდისათვის

დროის სხვადასხვა პერიოდის ეკონომიკური მაჩვენებლების სრულფასოვანი შედარებისათვის აუცილებელია, რომ ფასები საქონლებზე, მომსახურებაზე და აქტივებზე კორექტირებული იყოს ინფლაციის დონის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ეკონომისტები განასხეავენ ორ ნომინალურ ფასებს (nominal prices) რეალური ფასებისაგან (real prices).

ზუსტად ისევე, როგორც განსხვავდება რეალური და ნომინალური ფასები, განსხვავდება რეალური და ნომინალური საპროცენტო განაკვეთები. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (nominal interest rate) ობოლგაციებზე წარმოადგენს მსესხებლის მიერ დაპირებულ თანხას, რომელსაც მიიღებთ თქვენს მიერ გასესხებულ ფულზე. შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი (real rate of return) - არის კრედიტორის მიერ გამოშვებული ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია ფულის მყიდველობითი უნარიანობის ცვლილების გათვალისწინებით. მაგალითად, თუ დარიცხული ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8%-ს, ხოლო ინფლაციის დონე ტოლია 8%-სა, მაშინ შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი იქნება ნულიანი.

შემოსავლიანობის რეალური განაკვეთის გამოსათვლელად გამოიყენება განსაზღვრული სტანდარტული სამომხმარებლო კალათა. შესაბამისად, შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი დამოკიდებულია ამ კალათის შეზღვევლობაზე. ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოსათვლელად (CPI - consumer price index) გამოიყენება სამომხმარებლო საქონლების შესადარი კალათა.

როგორი იქნება შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი, თუ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8%-ს, ხოლო ინფლაციის დონე, რომელიც იცვლება სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილების პროპორციულად - წლიურ 5%-ს? წმინდა ინტუიციურ დონეზე უნდა ვიფარაოდით, რომ შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი სხვა არაფერია, თუ არა სხვაობა ნომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ინფლაციის დონეს შორის, ე.ი. ჩვენს მაგალითისათვის ეს მაჩვენებელი იქნება წლიური 3%. პრინციპში, ეს მართებულია, მაგრამ აბსოლუტურად ზუსტი - არა.

ამაში რომ დავრწმუნდეთ, გამოთვალეთ შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი. თქვენს მიერ ყოველ ინვესტირებულ 100 დოლარში ერთი წლის შემდეგ მიიღებთ 108 დოლარს. მაგრამ ამ პერიოდში სამომხმარებლო კალათა, რომელიც ერთი წლის წინ 100 დოლარი იყო, გააიორდა და მისი ღირებულება გახდა 105 დოლარი. რა რეალური ღირებულება ექნება თქვენს 108 დოლარს სამომხმარებლო კალათასთან მიმართებაში, რომლის ყიდვაც შეიძლება მიმდინარე მომენტში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია 108 დოლარი გავყოთ სამომხმარებლო კალათის მომავალ ღირებულებაზე: 108 დოლ./105 დოლ.=1,02857 კალათას. ამგვარად, თითოეულ კალათაში, რომელიც ახლა არ შეიძინებთ, მაგრამ სამაგიეროდ საკუთარი კაპიტალის ინვესტირებით, ერთი წლის შემდეგ თქვენ მიიღებთ 1,02857 კალათის ეკვივალენტს. შესაბამისად, შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი (კალათის რაოდენობა მომავალში, რომელიც მოდის ერთ კალათაზე ამჟამად) შეადგენს 2,857%-ს წლიურად.

ზოგადი ფორმულა, რომელიც ასახავს თანაფარდობას შემოსავლიანობის რეალურ განაკვეთს, ნომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ინფლაციის დონეს შორის, შემდგენიარად გამოიყურება:

$$1 + \text{შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი} = \frac{1 + \text{ნომინალური საპროცენტო განაკვეთი}}{1 + \text{ინფლაციის დონე}}$$

ანუ, შესაბამისად:

$$\text{შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი} = \frac{\text{ნომინალური საპროცენტო განაკვეთი} - \text{ინფლაციის დონე}}{1 + \text{ინფლაციის დონე}}$$

მეორე ფორმულაში ჩვენი მაგალითის მონაცემების ჩასმით კიდევ ერთხელ დავადასტურებთ, რომ რეალური განაკვეთი მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 2,857%-ს.

$$\text{შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი} = \frac{0,08 - 0,05}{1,05} = 0,02857 = 2,857\%$$

მიეჩქიეთ ურადღება იმას, რომ ფიქსირებულ შემოსავლიანი ინსტრუმენტი, რომელიც ნომინალური გამოხატულებით საიმედოა, რეალური გამოხატულებით გარკვეული რისკის მატარებელია. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ბანკი თვაჯობის მენაბრეს არარსიკან წლიურ საპროცენტო განაკვეთის 8%-ის ოდენობით დოლარებში. რამდენადაც მიმდინარე მომენტში ინფლაციის მომაჯავი დონე წინასწარ უცნობია, რეალურ გამოხატულებაში ფულის მოცემულ საბანკო ანგარიშზე განთავსება მაინც საარისკოა.

თუ ინფლაციის საუარესო დონე შეადგენს წლიურ 5%-ს, მაშინ მოსალოდნელი შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი იქნება 2,857% წელიწადში. თუ კი ინფლაციის დონე იქნება 5%-ზე მეტი, მაშინ რეალური საპროცენტო განაკვეთიც 2,857%-ზე ნაკლები იქნება.

დაბანდებული სახსრების გაუფასურების რისკსაგან დაცავად საპროცენტო განაკვეთები შეიძლება გამოეხასიათოს რეალური საქონლისა და მომსახურების დახმარებით. მაგალითად, შეიძლება მიეუთხოვოდ, რომ ფიქსირებულ შემოსავლიანი რომელიმე ინსტრუმენტისათვის საანგარიშსწორებო ერთეულს წარმოადგენდეს ესა თუ ის საქონელი.

ჩანართი 20-3

I Bond ტიპის ობლიგაციები

1998 წლის სექტემბერში აშშ-ს ხაზინამ გამოუშვა ახალი ტიპის შემხველი ობლიგაციები, რომელსაც ეწოდება Series I Saving Bond. ანუ I Bond. ვებ გვერდზე - WWW.savingbonds.gov ამ ობლიგაციებზე მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: „I bond - არის ახალი ტიპის ობლიგაცია, რომელიც შემუშავებულია ინვესტორებსათვის, რომლებიც ისწრაფვიან დაიცვან თავიანთი ინვესტიციების რეალური ზედგელობითი უზარაზნობა და მიიღონ გარანტირებული შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი. I Bond - ფასიანი ქაღალდებია, რომლებზეც შემოსავლიანობის გაანგარიშება ეყარება მატების პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ ობლიგაციებზე პროცენტები დაირიცხება ყოველთვიურად. I Bond ობლიგაციები მიმოცევაში გაიშვება ნომინალური ღირებულებით - ე.ი. 50 დოლარიანი ობლიგაციისათვის ზედგელობითი 50 დოლარს, - და მათი ღირებულება 30 წლის განმავლობაში იზრდება მასზე რიცხული პროცენტების ინდექსაციის ხარჯზე.“

რაში მდგომარეობს აშშ-ს ხაზინის მიერ I Bonds ტიპის ობლიგაციების გამოშვების მიზეზი?

აშშ-ს ხაზინამ გამოუშვა ახალი ტიპის ობლიგაცია იმ მიზნით, რომ წახალისოს ამერიკელები განახორციელონ დაზოგვა მომავლისათვის. ჩვენ უთავაზობთ ინვესტირებას ობლიგაციებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით რომელიც კორექტირდება ყოველ ნახევარ წელიწადში ფასების ზრდის გათვალისწინებით, რაც ნებას გვაძლევს დავიცვათ დაბანდებული სახსრების ზედგელობითი უზარაზნობა.

როგორ ეფლავება შემოსავლიანობის განაკვეთი I Bonds ობლიგაციაზე?

I Bond მიხედვით შემოსავლიანობის განაკვეთი წარმოადგენს ორი ცალკეული განაკვეთის კომბინაციას შემოსავლიანობის ფიქსირებულ განაკვეთსა და ცვალებადი განაკვეთის, რომელიც ტოლია ინფლაციის ნახევარწლიანი დონისა. ფიქსირებული განაკვეთი უცვლელი რჩება მთელი დროის განმავლობაში, ვიდრე I Bond ობლიგაცია იმყოფება მიმოცევაში, ხოლო ნახევარწლიანი განაკვეთი, რომელიც მიზნულია ინფლაციის დონეს, შეიძლება იცვლებოდეს ყოველ კვარტალში. ინფლაციის ნახევარწლიანი დონისა და ფიქსირებული განაკვეთის დაჯამება I Bond-ის მიხედვით გვეჩვენებს, თუ როგორ იქნება ამ ობლიგაციებზე შემოსავლიანობის განაკვეთი შემდგომი კვივის თვის განმავლობაში.

როგორი I Bond ობლიგაციის სხვა მახასიათებლები?

- I Bond ობლიგაციის განიხილვისას ანაბრის სიდიდის ძალიან ფართო დიაპაზონი. თქვენ მასში შეგიძლიათ განახორციელოთ ინვესტიციები როგორც სულ რაღაც 50 დოლარის, ისე 300000 დოლარის ოდენობით ყოველწლიურად.

I Bond ობლიგაცია საიმედოა, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ხაზინის ფასიანი ქაღალდებს და მხარდაჭერილია და გარანტირებული აშშ-ს მთავრობის მიერ.

I Bond ობლიგაციის გაანია საგადასახადო უპირატესობები. თქვენ შეგიძლიათ გადააადლოთ თქვენს შემოსავლებზე გადასახადების გადახდა 30 წლით და გარდა ამისა, ეს ობლიგაციები გათავისუფლებულია შტატებისა და ადგილობრივი გადასახადების გადახდისაგან.

I Bond ობლიგაციის ფასი გაიზარდება ყოველთვიურად, ხოლო მასზე პროცენტები დაირიცხება ყოველ ნახევარ წელიწადში.

I Bond ობლიგაციები დაიკვეთილია. მათი რეალიზება და გადაყენა ნაღდ ფულში შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში ექვსი თვის ამოწურვის შემდეგ.

ვალის ძირითადი თანხისა და პროცენტების სიდიდე ზოგიერთი ობლიგაციებისათვის გამოიხატება საკონდოსა და მომსახურების განსაზღვრული სამომხმარებლო კალათის ღირებულებების სახით, რომლის საფუძველზეც კონკრეტულ ქვეყანაში გაიანგარიშება ცხოვრების ღირებულება. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა მიმოქცევაში უშვებს ასეთ ინდექსირებულ ობლიგაციებს (index-linked bonds) 1981 წლიდან, ხოლო აშშ-ს საზინა - 1997 წლის იანვრიდან. ამ უკანასკნელს ეწოდება TIPS (Treasury Inflation Protected Securities - სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაცულია ინფლაციისაგან). ამ ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთები არარსიანი რეალური განაკვეთია. 1998 წლის სექტემბერში აშშ-ს საზინის მიერ ემიტირებული იქნა ინფლაციისაგან დამატებით დაცული შემნახველი ობლიგაციები (იხ. ჩანართი 2.3).

იმისათვის, რომ უკეთ გაგიეთოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ობლიგაცია, რომელიც ინდექსირებულია ინფლაციის ტემპების გათვალისწინებით (TIPS), დაწერილობით განვიხილოთ ფასიანი ქაღალდები დაფარვის 1 წლიანი ვადით. დაეუშვათ, რომ მასზე ივარაუდება რეალური გარანტირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი 3%-ის ოდენობით. ნომინალური დოლარული შემოსავლიანობის განაკვეთის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია, რამდენადაც ის დამოკიდებულია ინფლაციის ტემპზე. თუ ინფლაციის დონე მხოლოდ 2% იქნება, მაშინ საბოლოო შემოსავლიანობის ნომინალური დოლარული განაკვეთი გაუტოლდება დაახლოებით 5%-ს; ხოლო ინფლაციის 10%-ანი დონის შემთხვევაში შემოსავლიანობის ნომინალური დოლარული განაკვეთი გაიზარდება 13%-მდე.

ევაამებთ რა ზემოქმედია, გავისწნობთ, რომ საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს შემოსავლიანობის დაირებულ განაკვეთს. რამდენადაც ობლიგაციათა უმრავლესობა გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გამოხატულია ამა თუ იმ ვალუტაში, მაშინ მათი შემოსავლიანობის რეალური განაკვეთი სამომხმარებლო საქონლებზე ფასების დინამიკის გათვალისწინებით - განუსაზღვრელი მანებებელია. თუ საუბარი ეხება ობლიგაციას, რომლის ინდექსირება ხდება ინფლაციის გათვალისწინებით, მაშინ საპროცენტო განაკვეთი მოცემულ შემთხვევაში გამოითვლება კონკრეტული საქონლების ღირებულებათა გათვალისწინებით, რომლებიც შედიან სამომხმარებლო კალათაში. ამ კალათის გათვალისწინებით საპროცენტო განაკვეთი არარსიანია, რომელიც გარანტირებულია რეალური განაკვეთით.

საპროცენტო განაკვეთების გამოთანაბრება

ფინანსურ ბაზრებზე კონკურენცია იწვევს იმას, რომ საპროცენტო განაკვეთები დაბანდების მიხედვით ექვივალენტურ აქტივებში ერთნაირია. დაეუშვათ, მაგალითად, მოცემულ მომენტში აშშ-ს წლიურ სახაზინო თამასუბზე გადაიხდება წლიური 4%. როგორი პროცენტი შეიძლება არსებობდეს სხვა წამყვანი ფინანსური დაწესებულებების, მაგალითად, მსოფლიო ბანკის (world bank) წლიური დოლარული სავალო ვალდებულებების მიხედვით საპროცენტო განაკვეთებზე (თუ გაითვალისწინებთ, რომ გადაუხდლობის რისკი მოცემულ შემთხვევაშიც პრაქტიკულად არ არსებობს)?

ამ კითხვაზე პასუხი ასეთი უნდა იყოს: დაახლოებით 4% წელიწადში.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ იქნა მიღებული ეს პასუხი. დაეუშვათ, რომ მსოფლიო ბანკი გეთავაზობს მოზიდულ სახსრებზე წელიწადში 4%-ზე ბევრად ნაკლებს. ასეთი განაკვეთის შემთხვევაში კარგად ინფორმირებული ინვესტორები არ იყიდიან იმ ობლიგაციებს, რომლებიც გამოშვებულია მსოფლიო ბანკის მიერ, არამედ უპირატესობას მიანიჭებენ წლიურ სახაზინო თამასუბებს. ამგვარად, თუ მსოფლიო ბანკს ნამდვილად სურს გაყიდოს თავისი ობლიგაციები, მან, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა შესთავაზოს აშშ-ს საზინის მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთის ტოლი განაკვეთები.

შესთავაზებს თუ არა მსოფლიო ბანკი 4%-ზე მნიშვნელოვნად უფრო მაღალ განაკვეთს? თუ ფინანსურ-საკრედიტო დაწესებულებას სურს მინიმუმამდე დაიყვანოს სესხებზე გაწეული ხარჯები (ეს კი მოცემული ტიპის ნებისმიერი დაწესებულების მიზანია), ის შესთავაზებს მხოლოდ იმას, რაც სინამდვილეში აუცილებელია ინვესტორთა მოსახიდად. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის გადაუხდელიანობის რისკისაგან თავისუფალ ნებისმიერ დოლარულ სესხებზე დაფარვის ერთწლიანი ვადით, ტენდენცია აქვს მიუხილოდეს იმავე 4%-ს, ე.ი. წლიურ სახაზინო თამასუბებზე შემოსავლიანობის განაკვეთს.

თუ ორგანიზაციას უნარი აქვს ისეხოს და გასცეს ფული ვალად სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთებით სხვა თანაბარ პირობებში (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაუხდელი იგივე რისკითა და დაფარვის იმავე ვადით), მაშინ ისინი დაკავებული არიან ე.წ. *საპროცენტო არბიტრაჟით* (interest-rate arbitrage). მოკლედ, ისინი სესხულობენ ფულს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთებით და სესხად გასცემენ უფრო მაღალი განაკვეთებით. ბუნებრივია, რომ ასეთ მოქმედებათა მასშტაბების გაფართოება იწვევს საპროცენტო განაკვეთების გამოთანაბრებას.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შემოსავლიანობის განაკვეთების დონეზე

შერეულ ეკონომიკაში არსებობს ოთხი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ შემოსავლიანობის განაკვეთების დონეზე:

- *წარმოების საშუალებათა ეფექტიანობა* შემოსავლიანობის მოსალოდნელი განაკვეთები მაღაროებში, ფაბრიკებში, გზებში, ხიდებში, ქარხნებში, მანქანა-დანადგარებში და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში განხორციელებული დაბანდებისთან;

წარმოების საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებით განუსაზღვრელობის ხარისხი;

ადამიანთა დროითი უპირატესობების მინიჭების ფაქტორი - რამდენად ანიჭებენ ადამიანები უპირატესობას საქონლებისა და მომსახურებების მოხმარებას დღეს და არა მომავალში;

რისკის მიუღებლობა - ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თანახმა არიან უარი თქვან გაზრდილ შემოსავლიანობაზე ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის შემცირების მიზნით. განვიხილოთ აღნიშნული ფაქტორები დაწერილობით.

წარმოების საშუალებათა მოსალოდნელი ეფექტიანობა

პირველი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ინვესტირების მიერ მოსალოდნელ შემოსავლიანობის განაკვეთზე, არის *წარმოების საშუალებათა ეფექტიანობა* (productivity of capital goods). როგორც ვიცით, *წარმოების საშუალებები* არის ნივთები, რომლებიც სხვა ნივთების საწარმოებლად გამოიყენება. წარმოების საშუალებების ტიპურ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მაღაროები, გზები, არხები, ფაბრიკები, ელექტროსადგურები, ქარხნები, მანქანა-დანადგარები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები. გარდა ამისა, კაპიტალის ფიზიკურ (მატერიალურ) ასპექტში, ცნებაში „კაპიტალი“ შედის აგრეთვე პატენტები, კონტრაქტები, ფორმულიანი, აღიარებული სამარკო სახელწოდებები, ავტომატურ წარმოებისა და გასაღების სტრუქტურა, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოებულობის ამპლფიკას. ასეთი არახელშესახები ნივთები (არამატერიალური აქტივები) ხშირად წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტო, ასევე სარეკლამო დანახარჯების შედეგებს.

კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა წლის განმავლობაში შეიძლება გამოვსახოთ, როგორც პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც ეწოდება *დაბანდებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის განაკვეთი* (rate of return on capital). კაპიტალზე სწორედ ეს შემოსავალი წარმოადგენს დივიდენდებისა და პროცენტების წყაროს, რომლებიც უნაზღაურდებათ ფირმების მიერ წარმოებული აქციების, ობლიგაციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელებს. ყველა ეს ინსტრუმენტი წარმოადგენს შემოსავლების ნაწილსადმი მოთხოვნას, რომლებიც მოაქვს გამოყენებულ კაპიტალს. დაბანდებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსალოდნელი განაკვეთი დამოკიდებულია ინვესტირების დროსა და ადგილებზე ეკონომიკის მდგომარეობაზე. წარმოების სხვა ფაქტორების ხელშეწყობის ხარისხზე, ისეთების, როგორცაა ბუნებრივი რესურსები და საბუშარი ძალა, საქონლზე და მომსახურებაზე მოთხოვნის დონეზე, რომლებიც შეიძლება წარმოებული იყოს მოცემული კაპიტალის გამოყენებით. *რაც უფრო მაღალია დაბანდებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის განაკვეთი, მით უფრო მაღალია ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთების დონე.*

წარმოების საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებით განუსაზღვრელობის ხარისხი

არსებობს უამრავი მიზეზი, რომელთა ძალითაც დაბანდებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის განაკვეთი ხასიათდება განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხით. მაგალითად, მოსალოდნელი გავლენას ახდენს წინასწარ უცნობი ამინდის პირობები; მაღაროები და ნავთობის ჭაბურღილები ხშირად არც ისეთი მდიდარია, როგორც ნავინასწარმეტყველები იყო; მანქანა-დანადგარები დროდადრო იცვითება და იმსხვრევა; პროდუქციზე მოთხოვნა შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს სამომხმარებლო გამოყენების ცვლილების ან არსებული საქონლის რომელიმე შემცველობის გამოარჩენის შედეგად; და ბოლოს, ტექნიკური პროგრესი, როგორც ახალი ცოდნის გაზიარების შედეგად თავისი ბუნებით სრულიად არაწინასწარმეტყველებადია. თვით საქონლების სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში შენახვის მარტივი პროცესი მომავალში მათი გამოყენების მიზნით არ შეიძლება ჩაითვალოს

გარკვეული რისკისაღი თავისუფლად, რადგანაც შეუძლებელია ზუსტად ვიწინასწარმეტყველოდ ის, თუ რა რაოდენობის საქონელი წახდება ან დაქველდება დროთა განმავლობაში.

აქციები წარმოადგენს გარკვეულ მოთხოვნის შემოსავლებთან მიმართებაში, რომლებიც მიღებულია წარმოების საშუალებათა გამოყენებით. რაც უფრო მაღალია განუსაზღვრელობის დონე წარმოების საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებით, მით უფრო მაღალია აქციებში დაბანდება ზე რისკისთვის პრემია.

აღამიანთა დროითი უპირატესობის მინიჭება

შემდეგი ფაქტორი, რომელიც შემოსავლიანობის განაკვეთის დონეზე ახდენს გავლენას, არის აღამიანური ფსიქოლოგია. აღამიანები, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ ცხოვრების მთელი სიკეთით ისარგებლონ ახლა, ვიდრე ხვალ. ეკონომისტები ჩვეულებრივ გამოიღიან იმ ვარაუდიდან, რომ საპროცენტო განაკვეთი დადებითი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, წარმოების საშუალებები რომ არ არსებულყო, რომლებზეც შესაძლებელია აუხლის ინვესტირება და ერთადერთი მიზანი იმისა, რათა აღამიანებმა გაეცნენ და აიღონ ეალად ფული, ყოფილიყო ის, რომ ცხოვრების განმავლობაში აღამიანთა მიერ უპირატესობების მინიჭება მიმდინარე მოხმარებასთან მიმართებაში მუდმივად იცვლება. ზოგადად, აღამიანები რაც უფრო მეტად მინიჭებენ უპირატესობას საქონლისა და მომსახურების მოხმარების დღეს ისე, რომ ეს შესაძლებლობა არ დატოვონ მომავლისათვის, მით უფრო მაღალი იქნება საპროცენტო განაკვეთი ეკონომიკაში.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომლის ძალითაც აღამიანები უპირატესობას ჩვეულებრივ ანიჭებენ ახლანდელ მომენტში მოხმარებას მომავალში მოხმარებასთან შედარებით, არის მათი სიკვდილის დროის განუსაზღვრელობა. აღამიანმა იცის, რომ ის ცოცხალია ახლა და სურს დატეხოს ცხოვრებით დღეს. მთელი თავისი მოთხოვნილების დაქმავიფილების შესაძლებლობიდან გამომდინარე, რაც შეეება მომავალს, ყოველთვის იარსებებს განუსაზღვრელობის რაღაც დონე იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ის ამას მომავალშიც.

რისკის მიუღებლობა

როგორც ეთქვით, დაბანდებაული კაპიტალის შემოსავლიანობის განაკვეთი ყოველთვის ხასიათდება რისკიანობით. არსებობს თუ არა გარანტირებული საპროცენტო განაკვეთის მიღების შესაძლებლობა და რა განსაზღვრავს მას?

პასუხი მდგომარეობს შემდეგში: ფინანსური სისტემა თავაზობს გარკვეულ შესაძლებლობებს იმ აღამიანებს, რომლებიც ცდილობენ სახსრების დაბანდებას რისკისგან თავისუფალ აქტივებში. ამისათვის მათ უარი უნდა თქვან დაბანდებაული კაპიტალიდან მოსალოდნელი შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილზე. რისკის მიმართ ნაკლებად მგრანობიარე აღამიანები მათ, რომელთათვისაც მაღალი ალბათობით მიუღებელია რისკზე წასვლა, სთავაზობენ გარანტირებული საპროცენტო განაკვეთის მიღების შესაძლებლობას. თუმცა ეს განაკვეთი უფრო ნაკლებია, ვიდრე შემოსავლიანობის საშუალო მოსალოდნელი განაკვეთი რისკიანი აქტივებისათვის. რაც უფრო მაღალია მოსახლეობას შორის რისკის მიუღებლობის ხარისხი, მით უფრო მაღალია რისკისათვის პრემია და დაბალია არარისკიანი საპროცენტო განაკვეთის სიდიდე.

20-7. ფინანსური შუამავლები

ფინანსური შუამავლები ეწოდებათ ფირმებს, რომელთა ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს კლიენტთა უზრუნველყოფაში ფინანსური პროდუქტებითა და მომსახურებებით უფრო მეტი ეფექტიანობით, ვიდრე ისინი შეძლებდნენ ამას თავიანთი უშუალო ოპერაციებით ფინანსურ ბაზარზე. ფინანსური შუამავლების ძირითად ტიპებს შორის უნდა დავასახელოთ ბანკები, საინვესტიციო და სადაზღვეო კომპანიები. მათი ფინანსური პროდუქტები მოიცავენ: ჩვეურ ანგარიშებს, კრედიტებს, იპოთეკებს, სასესხო ფონდების ფასიან ქაღალდებს და სადაზღვეო კონტრაქტების ფართო დიაპაზონს. ფინანსური შუამავლის უმარტივესი მაგალითია სასესხო ფონდი, რომელიც აერთიანებს მრავალრიცხოვანი წერილი ინვესტორების ფინანსურ რესურსებს და დაგროვილ ფულს აბანდება ფასიან ქაღალდებში. სასესხო ფონდები საკუთარი ოპერაციების მასშტაბების ხარჯზე უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკონომიას ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და ეაჭრობის წარმართვის სფეროში და შესაბამისად, თავის კლიენტებს სთავაზობს ფასიან ქაღალდებში სასესხო ინვესტირების უფრო ეფექტიან ხერხს, ვიდრე უშუალოდ ოპერანდო ბაზარზე მათი ყიდვა და გაყიდვა.

ბანკები

დღეისათვის ბანკები წარმოადგენენ ყველაზე მსხვილ (აქტივების თვალსაზრისით) და უპეილეს ფინანსურ შუამავლებს. პირველი ბანკები გამოირჩევიან ასეულობით წლების წინათ იტალიურ ქალაქებში ალორინების ეპოქის დროს. მათი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობდა განსაზღვრული შექანისთვის შუთავაზებაში ანგარიშსწორებისა და კლირინგული ოპერაციების განსახორციელებლად, რაც ხელს უწყობდა საქონლითა და მოსახურებით ვაჭრობის განვითარებას, რომელიც იმ ხანად ხასიათდებოდა თავებრუნდამხვევი ზრდით. პირველი ბანკები დააარსეს ზარაფებმა (შეკერებებმა). უნდა აღინიშნოს, რომ თეთი სიტყვა „ბანკი“ რომინარეობს სიტყვიდან - „banca“ (იტალიური - „სკამი“), რადგან ზარაფები (ველიდენგ ფულს სკამზე მჯდომარედ.

ჩვენს დროში ფირმათა უმრავლესობა, რომლებსაც ბანკებს უწოდებენ, სულ მცირე, ორ ფუნქციას ასრულებენ: ღებულობენ ანაბრებს და სთავაზობენ სესხებს. აშშ-ში მოცემული ტიპის დაწესებულებას ეწოდება კომერციული ბანკები (commercial banks).

ზოგიერთ ქვეყანაში ბანკები წარმოადგენენ ფინანსურ შუამავლებს, რომლებიც პრაქტიკულად ნებისმიერ ფინანსურ ფუნქციას ასრულებენ. ისინი არა მარტო სთავაზობენ კლიენტებს მომსახურებას ფულადი გზაწინების თვალსაზრისით სხვადასხვა ოპერაციების შესრულებითა და სესხების შუთავაზებით, არამედ ასრულებენ სასესო ფონდებისა და სადაზღვეო კომპანიების ფუნქციებს. მაგალითად, გერმანიაში, ე.წ. *უნივერსალური ბანკები* ასრულებენ პრაქტიკულად ნებისმიერ ფუნქციას, რაც კი დამახასიათებელია უფრო სპეციალიზებული ფინანსური შუამავლებითათვის. ამ ფუნქციას ოდნავ მოგვიანებით განვიხილავთ.

ბოლო დროს სულ უფრო და უფრო რთული ხდება გავაელოთ ზღვარი სხვადასხვა ტიპის ფინანსურ ინსტიტუტებს შორის იმის საფუძველზე, თუ რომელ ფინანსურ მომსახურების სთავაზობენ ისინი. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ *Deutsche Bank* კლასიფიცირების მიხედვით მიეკუთვნება უნივერსალურ ბანკებს, მისი ფუნქციები მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება *Merrill Lynch Bank*-ის ფუნქციებისაგან, რომელიც ჩვეულებრივ საინვესტიციო ბანკებს მიეკუთვნება და სპეციალიზებულია ფასიანი ქაღალდების საბრტერო-საიდლო ოპერაციებზე.

სხვა სადემოზიტო-შემნახველი დაწესებულებები

ტერმინები სადემოზიტო-შემნახველი ანუ სასესხო-შემნახველი დაწესებულება (depository savings institutions, thrift institutions) გამოიყენება შემნახველი ბანკების, სასესხო-შემნახველი ასოციაციების (S&L) და საკრედიტო კავშირების საერთო აღნიშვნისათვის. აშშ-ში ისინი კონკურენციას უწევენ კომერციულ ბანკებს როგორც სადემოზიტო ოპერაციების, ისევე სესხების შუთავაზების სფეროშიც. მოცემული ტიპის ამერიკული ორგანიზაციები სპეციალიზებული არიან იპოთეკური სესხების შუთავაზებაში სახლების ყიდვისა და სამომხმარებლო სესხებისათვის. სხვა ქვეყნებში არსებობენ სხვადასხვა სპეციალიზებული შემნახველი ინსტიტუტები, რომლებიც თავიანთი ფუნქციებით ემსახურებიან აშშ-ს სასესხო-შემნახველ დაწესებულებებსა და საკრედიტო კავშირებს.

სადაზღვეო კომპანიები

სადაზღვეო კომპანიები - ფინანსური შუამავლებია, რომელთა ძირითადი ფუნქციაა შესთავაზონ საოჯახო მუერნეობებისა და ფირმებს რისკის ხარისხის შემცირების შესაძლებლობა განსაკუთრებული ტიპის კონტრაქტის ყიდვის გზით. ასეთ კონტრაქტს ეწოდება *სადაზღვეო პოლისი* და მის შესაბამისად მასში აღნიშნული კონკრეტული ვითარების წარმოშობის შემთხვევაში კლიენტს უნაზღაურდება გასკვეული თანხა. პოლისები, რომელთა საგანია უზღვარი შემთხვევებისგან, ქურდობისგან ან ხანძრისაგან დაზღვევა, მიეკუთვნება *გაუთავალისწინებელი მოვლენების შედეგად ზარალისაგან დაზღვევის* და *კონტრბიუტი დაზღვევის სფეროს*. პოლისები, რომლებიც ითვალისწინებენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გაჩენის შედეგად ანაზღაურებებს, მიეკუთვნება *ავადმყოფობისაგან* და *არაშრომისუნარიანობისაგან* დაზღვევას, ხოლო პოლისები, რომელიც თანხმდაც ფული ანაზღაურდება კლიენტის სიკვდილის შემთხვევაში, ატარებს *სიცოცხლის დაზღვევის პოლისების* სახელწოდებას.

სადაზღვეო პოლისები წარმოადგენენ საოჯახო მუერნეობებისა და ფირმების აქტივებს, რომელთაც ისინი ფლობენ. ეთდროულად ისინი იმ სადაზღვეო კომპანიების სახელი ვალდებულებებია, რომლებიც მას ჰყიდიან. გადასახდელს, რომლებსაც ღებულობენ სადაზღვეო კომპანიები ანაზღაურების სახით მათ მიერ სადაზღვეო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, ეწოდება *სადაზღვეო პრემიები*. რამდენადაც კლიენტები იხიდან ამ პრემიებს მათთან ამა თუ იმ მომსახურების გაწევაზე, სადაზღვეო კომპანიები სარგებლობენ მათ მიერ მიღებული ფულადი საშუალებებით დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ერთ წელზე ნაკლები, ისე რამდენიმე ათწლეული. სადაზღვეო კომპანიები კლიენტებისაგან

მიღებულ პრემიებს აბანდებენ სხვადასხვა ფინანსურ აქტივებში: აქციებში, ობლიგაციებსა და უძრავ ქონებაში.

საპენსიო ფონდები

საპენსიო დაგეგმვის (საპენსიო გეგმებში) პროგრამებში მონაწილეობა ადამიანის პირადი დანაზოგებისა და საპენსიო შედეგებითან ერთობლიობაში, რომელიც გათვალისწინებულია ქვეყნის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით, პენსიაზე გამსვლელ ადამიანს სთავაზობს შემოსავლის ახალ წყაროს, რომელიც ცვლის პენსიაზედ შემოსავლებს. საპენსიო დაგეგმვის პროგრამები ფინანსდება საშუალოს მიმცემის, პროფკავშირის ან თითო მოსამსახურის სახსრების ხარჯზე.

საპენსიო პროგრამები კლასიფიცირდება ორი ტიპის მიხედვით: *საპენსიო პროგრამა დაწესებულებული შენატანების საფუძველზე*, ანუ *დაგროვებითი (defined-contribution plan)* და *საპენსიო პროგრამა დაწესებულებული შედეგებითი საფუძველზე*, ანუ *წამახალისებელი (defined-benefit pension plan)*. პირველ შემთხვევაში თითოეულ მოსამსახურეს გაანია თავისი ანგარიში, რომელზეც მის საშუალოს მიმცემს, როგორც წესი, თვითონ მოსამსახურეს პერიოდული შეაკვს ანარიცხებს. პენსიაზე გასვლის შემდეგ მოსამსახურე დებულობს თანხას, რომლის სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი დაგროვა მან თავის საპენსიო ანგარიშზე.

მეორე შემთხვევაში, ნამსახურობის ვადის გათვალისწინებით კონკრეტული ფორმული განისაზღვრება მოსამსახურის საპენსიო შედეგებითი და, უმრავლეს შემთხვევაში, აგრეთვე მისი ხელფასის ან შემწეობების სიდიდე ტიპური ფორმული ითვალისწინებს მოსამსახურის საშუალო ხელფასიდან 1%-ის დარიცხვას პენსიაზე მისი გასვლის მომდებრად ნამსახურობის ყოველი წლისათვის.

ორგანიზაცია, რომელიც აფინანსებს საპენსიო პროგრამას დაწესებულებული შედეგებითი საფუძველზე (საპენსიო პროგრამების სპონსორი), ან მის მიერ დაქირავებული სადასაწყვეთი კომპანია, მომავალი ანაზღაურებების განხორციელების გარანტიას აძლევს დამსხვევებს და ამგვარად, მთლიანად აუქმებს საინვესტიციო რისკს. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად გერმანიაში, იაპონიაში და აშშ-ში, სპონსორების მიერ მოხსენიებულია შემწეობების გადახდის გარანტია გარკვეულწილად მხარდაჭერილია სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფო ორგანიზაციების მიერ.

ურთიერთფონდები

ურთიერთფონდები (mutual fund) ეწოდება ორგანიზაციულად გაფორმებული აქციების, ობლიგაციებისა და სხვა აქტივების ერთობლიობას (ერთად ისინი წარმოქმნიან ე.წ. „საინვესტიციო პორტფელს“), რომლებიც შექმნილია ინვესტორების ჯგუფების სახელით და რომელთა მართვა ხორციელდება პროფესიული საინვესტიციო კომპანიების ან სხვა რომელიმე ფინანსური დაწესებულების მიერ. ყოველ კლიენტს უფლება ენიჭება ფონდის შემოსავლის ნებისმიერ განაწილებაში მიიღოს გარკვეული წილი, რომელიც მისი ფასიანი ქაღალდების რაოდენობის პროპორციულია და ნებისმიერ მომენტში გაყიდოს თავისი წილი ფონდში საბაზრო ფასით.

კომპანია, რომელიც მართავს ასეთ ფონდს, აკონტროლებს, თუ არა რაოდენობის ფასიანი ქაღალდებს ფლორს თითოეული ინვესტიორი და ფონდის წესების შესაბამისად მიღებული შემოსავლის რა ნაწილის რეინვესტირებას ახდენს. ურთიერთფონდები უზრუნველყოფენ კაპიტალის გაყოფადობას, დარიცხვის წარმართვას და შემოსავლების რეინვესტირებას, აგრეთვე გეთავაზობენ სახსრებისა და რისკების დივერსიფიკაციისათვის ეფექტიან საშუალებებს.

გაანახებავებენ ურთიერთფონდების ორ ძირითად ტიპებს: დიას და დახურულს. დია ტიპის ურთიერთფონდები ვალდებულია იღებენ იყიდონ და გაყიდონ მათ მიერ ემიტირებული აქციები წინდა აქტივების ღირებულების შესაბამისად (NAV – net asset value) ერთ ანაგარიშებით. NAV გაანგარიშება ფონდის პორტფელში შემავალი ყველა ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების ყველა აქციების რაოდენობაზე გაყოფით, რომლებიც მათ მიერაა გაწეული მიმოცევაში. დია ტიპის ფონდს ეს უკანასკნელი მაჩვენებელი იცვლება ყოველდღიურად, იმისდა მიხედვით, თუ მისი მონაწილეები როგორ ყიდულობენ ფონდის ახალ აქციებს და ყიდნიან ძველს.

დახურული ტიპის ფონდები არ ყიდნიან და არ ახდენენ თავიანთი აქციების ემიტირებას წინდა აქტივების ღირებულების შესაბამისად ერთ აქციაზე გაანგარიშებით. ასეთი ფონდების აქციები იყიდება ბროკერების მეშვეობით სხვა ჩვეულებრივი აქციების მსგავსად და შესაბამისად, მათი ფასები განსხვავდება წინდა აქტივების ღირებულებისაგან ერთ აქციაზე გაანგარიშებით.

საინვესტიციო პანკები

საინვესტიციო ბანკები (investment banks) – არის ფირმები, რომელთა ძირითადი ფუნქციაა დახმარება გაუწიონ კერძო კომპანიებს, შიდაფინანსებს, შიდაფინანსებს და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებითაა მოზიდვაში, რომელიც აუცილებელია მათი საქმიანობის დასაფინანსებლად. ამ მიზნით საინვესტიციო ბანკები ახდენენ თავიანთი კლიენტების ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზებას. გარდა ამისა, საინვესტიციო ბანკები ხელს უწყობენ და ზოგჯერ მეთავეობენ კიდევ ფირმების შერწყმას ან ერთი ფირმის მიერ მეორის შიდაფინანსებას.

საინვესტიციო ბანკები ხშირად არიან დაკავებული *ანდერრაიტივით*, ანუ ხელისშეწყობით ფასიანი ქაღალდებზე, რომელსაც ისინი განათავსებენ ბაზარზე ანდერრაიტივით თავისი არსით წარმოადგენს ემიტენტისათვის დახმარების თვისებურ სახეს, ვინაიდან საინვესტიციო ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას ემიტენტის ფასიანი ქაღალდების გარანტირებულ განათავსებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქაღალდებს არ იყიდის სხვა ინვესტორი, საინვესტიციო ბანკი ემიტენტისაგან მას ყიდულობს წინასწარ განსაზღვრული, ე.წ. გარანტირებული ფასით.

მრავალ ქვეყანაში უნივერსალური ბანკები ასრულებენ ამერიკული საინვესტიციო ბანკების ფუნქციებს, მაგრამ აშშ-ში გლას-სტიგალის კანონით (Glass Steagall Act) 1933 წლიდან კომერციულ ბანკებს აკრძალულია განეხორციელებინათ საქმიანობები, რომელიც მიეკუთვნება ანდერრაიტივებს. თუმცა აშშ-ში ამ ბანკებს უკანასკნელ წლებში ნება დართეს კლიენტებს შესთავაზონ მცვეული სახის მომსახურება.

ფირმები, რომლებიც კაპიტალს აბანდებენ ვენჩურულ კომპანიებში

ფირმები, რომლებიც კაპიტალს აბანდებენ ვენჩურულ კომპანიებში (venture capital firms), მსგავსია საინვესტიციო ბანკებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი კლიენტებია არა მსხვილი კორპორაციები, არამედ ის ფირმები, რომლებმაც ეს-ეს არის დაიწვეს თავიანთი საქმიანი მოდერნიზაცია. ასეთი ახალგაზრდა კომპანიები გამოუცდელი მმართველობითი პერსონალით ძალიან ხშირად საკუთრებენ არა მარტო ფინანსურ მხარდაჭერას, არამედ რჩევა-დარღობებსაც ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებით. ამ მომსახურების შეთავაზებით დაკავებული არიან ის ფირმებიც, რომლებიც განსხვავდება ამ ნაწილში.

„ვენჩურული კაპიტალისტები“ (ე.წ. კომპანია ან ბანკი, რომელიც ეწევა „ვენჩურულ“ კაპიტალდაბანდებებს), ახდენენ საშუალებათა ინვესტირებას ახალ ბიზნესში და ესმარტივან მმართველობით პერსონალს ფირმის იმ დონეზე აქვანაში, როდესაც ის მზად იქნება „წარსდგეს მკურნალობის“ წინაშე ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიჰყვიოს-აქციები ინვესტორთა ფართო წრეს. ამ დონის მიღწევის შემდეგ „ვენჩურული კაპიტალისტები“ ჩვეულებრივად ჰყიდიან თავის წილს ამ კორპორაციის კაპიტალში და იწყებს საქმიანობას ახალ ვენჩურულ ფირმასთან.

ფირმები, რომლებიც მართავენ აქტივებს

ამ ტიპის ფირმებს ხშირად უწოდებენ *ინვესტიციების ნდობით მართვის კომპანიებს* ისინი კონსულტაციებს უწევენ და ხშირად მართავენ სასესიო და საკონსიო ფონდებს და აქტივების სხვა გაერთიანებებს ცალკეული პირების, ფირმებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი შეიძლება იყვნენ ცალკეული ფირმები ან სხვა კომპანიების შემადგენლობაში არსებული განყოფილებები, ისე როგორც, მაგალითად, სატრასტო კომპანიებია ბანკის, საღაზღვეო კომპანიებისა და საბროკერო ფირმების ნაწილები.

ფირმები, რომლებიც ეწევიან საინფორმაციო მომსახურებებს

მრავალი ფირმა, რომელიც ეწევიან ფინანსურ მომსახურებას, დამატებით საქმიანობის სახით დაკავებულია ყოველნაირი ფინანსური ინფორმაციების შეგროვებითა და გაერკვევებით. თუმცა არსებობენ კომპანიები, რომლებიც დასპეციალიზებული არიან საქმიანობის ამ სფეროში. უქველესი კომპანიები, რომლებიც თავაზობენ საინფორმაციო მომსახურებებს, რეიტინგული სააგენტოებია. მაგალითად, სარეიტინგო სააგენტოები *Moody's* და *Standard & Poor's* სპეციალიზებული არიან ფასიანი ქაღალდების ემიტენტების საკრედიტო რეიტინგის, ხოლო ფირმა *Best's* კი – დაზღვევის სფეროში საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრაში. უკანასკნელ წლებში ჩნდებიან სულ უფრო მეტი ფირმები და განყოფილებები კომპანიების ჩარჩოებში, რომლებიც ეწევიან მომსახურებას ფინანსური მჩვენებლების ანალიზის ჩატარებით (მაგალითად, *Bloomberg* და *Reuters*) ან სხვადასხვა სახესხიო ფონდების საქმიანობის შედეგებზე სტატისტიკური ცნობების შეთავაზებით (მაგალითად, *Lipper*, *Morningstar* და *SEI*).

20-8. ფინანსური ინფრასტრუქტურა და ფინანსური სისტემის რეგულირება

ნებისმიერი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საქმიანობა შეზღუდულია წესებისა და ინსტრუქციების განსაზღვრული ნაკრების დაცვის აუცილებლობით. არსებობს წესი, რომელსაც კანონის სტატუსი გააჩნია და ფინანსური სისტემის ფუნქციონირების გარკვეული ასპექტების შეზღუდვას ემსახურება ისევე, როგორც ეს ხდება ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. მათ შორის ძირითადია კანონები, რომლებიც იცავენ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ნებისმიერი სახის თაღლითობისგან და უზრუნველყოფენ სახელმწიფო ვალდებულებების დაცვას. ეს კანონები არა თუ განსხვავდება ქვეყნებს შორის, არამედ ხასიათდება იმდროინდელი განვითარებაში ცვლილებებითაც. ისინი წარმოადგენენ საზოგადოების იურიდიული სისტემის ნაწილს და ჩვეულებრივ განიზრახებიან, როგორც ფინანსური სისტემის ფარგლებს გარეთ მყოფნი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონების ცვლილება ხშირად შედეგია იმისა, რომ იცვლება ადამიანების მხრიდან ამ სისტემის ფუნქციებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

ფინანსური ინფრასტრუქტურა მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურებს; საანგარიშსწორებო-კლირინგულ ორგანიზაციებს, რომლებიც ზემოქმედებენ ვაჭრობაზე ფინანსური ინსტრუმენტებით; მარველურებულ ორგანიზაციებს, რომლებიც აკვირდებიან ფინანსური სისტემის მონაწილეების უთიერთდამოკიდებულებას. საზოგადოების მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების შედეგად შეცვივრება განსაზღვრეს, რომ ფინანსური სისტემის ინფრასტრუქტურის ევოლუცია ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შექანისა და გავებისათვის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს.

ფინანსური სისტემის რეგულირების ერთი ფუნქცია სრულდება ორგანიზაციების მიერ, რომლებიც აერთიანებენ კერძო კომპანიებს, სხვა დანარჩენი კი – სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ. მოცემული სახის ცალკეული ამოცანების შესრულება, რომელიც იურიდიული შედის სახელმწიფო დაწესებულებების კომპეტენციაში, ხშირად გადაეცემა კერძო სექტორის ორგანიზაციებს. ასეთი წესი მიღებულია როგორც აშშ-ში, ასევე მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებშიც. ზოგჯერ კერძო სექტორის ასეთ ორგანიზაციად გვევლინება პროფესიული ფინანსური სისტემის ასოციაციები, მაგალითად ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭო (FASB – Financial Accounting Standard Board) აშშ-ში; სხვა შემთხვევებში – საფონდო ბირჟები, სავაჭრო ასოციაციები, მაგალითად ისეთი, როგორცაა სეოკებით მოვაჭრე საერთაშორისო ასოციაციები (ISDA – International Swap Dealers Association).

როგორც ეკონომიკის სხვა ნებისმიერ სფეროში, ფინანსების სფეროში სახელმწიფოს შეუძლია ითაძამოს დადებითი როლი და ხელი შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. მაგრამ წარმატებული სახელმწიფო პოლიტიკა დიდწილად დამოკიდებულია ფინანსურ საკითხებში სახელმწიფოს ჩარევის დონისა და იმ მიჯნის სწორად განსაზღვრვაზე, რომელსაც მან არ უნდა გადააბიჯოს.

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წესები

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წესები ჩვეულებრივ ყალიბდება ორგანიზებული ბირჟებით, რომლის შემდეგ მტკიცდება შესაბამისი კანონებით. ამ წესების დანიშნულებაა სტანდარტიზებული ვაჭრობის პროცედურათა სტანდარტიზაცია სავაჭრო ოპერაციების საჩარებისა და დანახარჯების მინიმუმამდე შემცირების მიზნით. იღვაში აუცილებელია, რომ ასეთი წესები გულდასმით იქნას მოფიქრებული, რათა მათ მოახდინონ ვაჭრობის სტიმულირება დაბალი დანახარჯებით, მაგრამ არაპროცესში ისინი ხშირად საკამოდ თეთნებურ ხასიათს ატარებენ. მაგრამ უნდა აღენიშნოთ, რომ თეთი ასეთი წესებიც კი უკეთესია, ვიდრე მათი საერთოდ არარსებობა.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები

იმისათვის, რათა ფინანსური ინფორმაცია ეფექტიანად იქნას გამოყენებული, ის წარმოდგენილი უნდა იყოს განსაზღვრული სტანდარტული ფორმატით. დისციპლინას, რომელიც სწავლობს ფინანსური ანგარიშგების სისტემას, ეწოდება *ბუღალტრული აღრიცხვა*. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები წარმოადგენენ ფინანსური სისტემის საერთო ინფრასტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. გასაკვირი არ არის, რომ საბუღალტრო აღრიცხვის ადრეული სისტემები ვითარდებოდა ფინანსური კონტრაქტების დადების პროცედურების ევოლუციისთან პარალელურად. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ფინანსური ოპერაციებზე ურთულესი და მწკობრივი ანგარიშგებები, რომლებიც თაღლითობაზე იყენებდნენ 2000 წლით და შედგენილია ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში. *ბუღალტრული აღრიცხვის ორმაგი ჩანაწერი შეიქმნა* გადასვლა – ჩვენს დროშივე მთავარი „ნახატი“ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების განვითარებაში – მოხდა იტალიაში აღმოჩენების ეპოქაში. ამ მეთოდის წარმოშობის სტიმული გახდა ვაჭრობისა და საბანკო საქმის სფეროში რთული ფინანსური ოპერაციების გამჭვირვებლობის საჭიროება.

20-9. სახელმწიფო და კუპონსახელმწიფო ორგანიზაციები

რამდენადაც სახელმწიფო წარმოადგენს კანონებსა და მათ შესრულებაზე სახელმძღვანელო ორგანიზების შემქმნელს, ის სრულადაა პასუხისმგებელი ფინანსური სისტემის რეგულირებაზე. როგორც წინა ნაწილში ვისაუბრეთ, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში ფინანსური სისტემის რეგულირების თვალსაზრისით ზოგიერთი ამოცანის შესრულება გადაეცემა კერძო სექტორის ორგანიზაციათა კომპეტენციას, ისეთებს, როგორცაა გარკვეული ფინანსური სექტორის მონაწილეთა ასოციაციები ან საფინანსო ბირჟები.

მაგალითად, აშშ-ში არსებობს *ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია* (SEC – Securities Exchange Commission). მისი ძირითადი ამოცანაა შეიმუშავოს კონკრეტული მოთხოვნები ფორმების საქმიანობაზე ინფორმაციის მოცულობის მიმართ, რომელიც მათ მიერ უნდა იქნას გაერკვლებული ახალი ფასიანი ქაღალდების ყოველი საჯარო გამოშვების შემთხვევაში. სხვა ქვეყნებშიც აგრეთვე ფუნქციონირებენ ანალოგიური მარეგულირებელი ორგანიზები.

მაგრამ, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო თამაშობს ფინანსური სისტემის მარეგულირებელი ორგანიზის როლს, ის ამ სისტემას იყენებს თავისი პოლიტიკის სხვა მიზნების მისაღწევად. მაგალითად შეიძლება დაეხმას მთავრობის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენება სხვადასხვა ზოგადეკონომიკური ამოცანების სარეალიზაციოდ ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების სფეროში. შემდეგ პარაგრაფებში ჩვენ აღწერთ ზოგიერთ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ არეგულირებენ ფინანსური სისტემის ამ თუ იმ სფეროს მუშაობას, ან იყენებენ ამ სისტემას, როგორც ძირითად საშუალებას სხვა ეკონომიკური მიზნების მიღწევის საქმეში.

ცენტრალური ბანკები

ცენტრალური ბანკები – ფინანსური შუამავლებია, რომელთა ძირითადი ფუნქციაა სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანათა რეალიზაციის დახმარება ფინანსური ბაზრის განსაზღვრულ პარამეტრებზე. მაგალითად, მოძიკევაში ფულის რაოდენობაზე გაუქმების გზით. ზოგიერთ ქვეყნებში ცენტრალური ბანკის საქმიანობა აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოს უშუალო კონტროლქვეშ იმყოფება, სხვა ქვეყნებში კი – ისინი ფლობენ ავტონომიურობას გარკვეული დონით.

ის, რომ ბანკი წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ცენტრალურ ბანკს, ხშირად იმითვე მისი დასახელებიდანაა განსაზღვრული: *Bank of England*, *Bank of Japan* და ა.შ. თუმცა, მაგალითად აშშ-ში ცენტრალურ ბანკს ეწოდება *Federal Reserve System* (ფედერალური სარეზერვო სისტემა), ხოლო გერმანიაში – *Bundesbank*.

ცენტრალური ბანკი ჩვეულებრივ, ქვეყნის საგადასხდლო სისტემის გულისაა. ის სახელმწიფოს უზრუნველყოფს ნაციონალური ვალუტით და მისი მმართველობის ქვეშაა ბანკთაშორის ან-გარიშსწორების სისტემა. იმისათვის, რათა საგადასხდლო სისტემა იყოს ეფექტიანი, აუცილებელია, სულ ცოტა, ინფლაციის ზომიერი დონე, რაც ცენტრალური ბანკების ძირითადი ამოცანაა. თუმცა მრავალ ქვეყანაში მათგან ელიან ქმედებებს, რომლებიც მიმართული იქნება ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორცაა მოსახლეობის სრული დასაქმება და სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ასეთ ქვეყნებში ცენტრალურ ბანკებს უხდებათ გააკეთონ რაც კი შესაძლებელია, რათა მოახდინონ ერთმანეთთან ხშირად კონფლიქტში მყოფი მიზნების დაბალანსება: საფასე სტაბილურობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის სრული დასაქმება.

სპეციალიზებული შუამავლები

ორგანიზაციათა მოცემული ჯგუფი მოიცავს კომპანიებს, რომლებიც იქმნიან სპეციფიკურ სახეთა ეკონომიკური საქმიანობების სტიმულირების მიზნით. ამ კომპანიათა საქმიანობა აიოლებს დაფინანსების პროცესს, ისინი სხვადასხვა სახის კლიენტთა კონკრეტულ ჯგუფებს სთავაზობენ საველო ინსტრუმენტებს. მაგალითად, შეიძლება დაეხმას სხელმწიფო სააგენტოები, რომლებიც დასცემენ სესხებს ან გვეულებიან სესხების გარანტად ფერმკრებისთვის, სტუდენტებისთვის, მცირე საწარმოთათვის, ახალი სახლის მყიდველთათვის და ა.შ.

სახელმწიფო ორგანიზაციათა სხვა კლასი წარმოდგენილია სააგენტოებით, რომლებიც იქმნიან საბანკო ანაბრების დასახელებს. მათი ძირითადი ფუნქციაა მდგომარეობის ეკონომიკური სტაბილურობისათვის ხელშეწყობაში ეკონომიკური კრიზისების აღკვეთის გზით მთლიანად საფინანსო სისტემაში ან მის რომელიმე ნაწილში.

ამ თვალსაზრისით ყველაზე უარესი სცენარია საბანკო პანია. შენაბრები თანახმანი არიან შეინახონ საკუთარი ანაბრები ბანკებში მანამდე, ვიდრე ისინი დარწმუნებული არიან იმაში, რომ მათი ფული იმყოფება საიმედო ადგილას და მათ შეუძლიათ მათი წარება ნებისმიერ მომენტში. ამ დროს, მათთვის ცნობილია, რომ ბანკი ფლობს არალიკვიდურ და რისკიან აქტივებს, რომლითაც

უზრუნველყოფილია მისი ელდებულება მენაბრების წინაშე, თუ მენაბრები რომელიმე მომენტში ჩათვლიან, რომ ვერ შეძლებენ უკან დაიბრუნონ თავიანთი ანაბრების სრული თანხა, ისინი შემთხვევითი მიაშვრებენ ბანკს, რათა პირველებმა დაიკაონ რიგი და რაც შეიძლება სწრაფად გამოიტანონ თავიანთი ფული.

ასეთი სიტუაცია ბანკს აიძულებს გაეიდოს ფულზე თავისი რისკიანი აქტივების ნაწილი. თუ ის აქტივები, რომლებიც ანაბრების უზრუნველყოფას ემსახურება, არალიკვიდურია, მაშინ მათი სწრაფად გაყიდვის აუცილებლობა ნიშნავს, რომ ბანკს მოუწევს მათი გაყიდვა მთლიან ფასზე ნაკლებად. და თუ რომელიმე ერთ ბანკს არ კუთვნიან საშუალებები იმისათვის, რათა აანაზღაუროს მენაბრების მოთხოვნები, მაშინ წარმოიშობა „დასნებოვნების რისკი“ და სემოთად წერილი სიტუაცია შეიძლება განიმარდეს სხვა დაწესებულებებში. თუმცა „დასნებოვნების“ პრობლემა საფინანსო სისტემას მთლიანად ეშუქება მხოლოდ ე.წ. „ნაღდი ფულისკენ გაქცევის“ შემთხვევაში, როდესაც აღამაინები უარს ამბობენ თავიანთი ანაბრები დატოონ ამა თუ იმ ბანკში და ისწრაფვიან დაეფულონ ნაღდ ფულს.

რეგიონული და მსოფლიო ორგანიზაციები

დღეისათვის არსებობს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა კომპეტენციაში შედის სხვადასხვა ქვეყნების მთავრობათა ფინანსური პოლიტიკის კოორდინაცია. მათ შორის უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (BIS – Bank of International Settlements), რომელიც მდებარეობს ბაზელში (შვეიცარია). მისი ამოცანა მდგომარეობს საბანკო წესების მაქსიმალური ერთგვაროვნების უზრუნველყოფაში.

გარდა ამისა, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე ფუნქციონირებს ორი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა მიზანია სავაჭრო და საფინანსო საქმიანობათა სტიმულირება. ესენია საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) (IMF – International Monetary fund) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, ანუ მსოფლიო ბანკი (International Bank of Reconstruction and Development, World Bank). სსფ თვალყურს ადევნებს ეკონომიკური და ფინანსური პირობების ცვლილებებს ქვეყნებში, რომლებიც არიან მისი წევრები, ის მათ სთავაზობს ტექნიკურ დახმარებას, ამუშავებს საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური ოპერაციების წესებს, ეწევა საერთაშორისო ეკონომიკის სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციებს, სთავაზობს იმ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა ცალკეულმა წევრმა ქვეყნებმა შექმონ საგადაზღველო ბალანსის გაუმჯობესება და ა.შ.

მსოფლიო ბანკი აფინანსებს სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებს განვითარებად ქვეყნებში. ის ახდენს კაპიტალის მოძილებას ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში ობლიგაციების გაყიდვით და ამის შემდეგ მას სესხად გასცემს იმ პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც პასუხობენ გარკვეულ კრიტერიუმებს და მიმართული არიან ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისაკენ.

ძირითადი რასკმება

ფინანსური სისტემა მოიცავს ბაზრებს, შუამავლებს, ფირმებს, რომლებიც სთავაზობენ კლიენტებს ფინანსურ მომსახურებას და სხვა ინსტიტუტებს, რომელთა დახმარებითაც საოჯახო მეურნეობები, კერძო კომპანიები და სამთავრობო ორგანიზაციები ახდენენ მათ მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების რეალიზაციას. მასში შედიან ბაზრები, სადაც ვაჭრობენ აქციებით, ობლიგაციებით და სხვა ფასიანი ქაღალდებით, აგრეთვე ფინანსური შუამავლები, ისეთები, როგორიცაა მაგალითად, ბანკები და სადაზღვეუო კომპანიები.

ფულადი საშუალებები გადაედინება ფინანსური სისტემის სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტებს შორის კომპანიებიდან, რომელთაც გააჩნიათ გარბი ფინანსური საშუალებები, იმ კომპანიებში, რომლებიც განიცდიან მათ დეფიციტს. მრავალ შემთხვევაში ფინანსური ნაკადი გაივლის ფინანსურ შუამავლებს შორის.

ფინანსური სისტემა ასრულებს ექვს ძირითად ფუნქციას.

- *ეკონომიკური რესურსების გადაადგილების საშუალებათა უზრუნველყოფა* დროში, სახელმწიფო სახლურებს გარეთ და ეკონომიკის ერთი დარგიდან მეორეში. რისკის მართვის საშუალებათა უზრუნველყოფა.
- *კლირინგისა და ვაჭრობის ხელისშემწეობი ანგარიშსწორებათა განხორციელების ხერხებით უზრუნველყოფა.*

ფინანსური რესურსების გაერთიანებისა და სხვადასხვა საწარმოებში ფლობელობის გაყოფის მექანიზმის უზრუნველყოფა.

საფასე ინფორმაციებით მომარაგება, რომელიც საშუალებას გაეძლევს მოვასინდოთ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში გადაწყვეტილებათა მიღების დეცენტრალიზებული პროცესის კოორდინირება.

სტიმულირების პრობლემების გადაწყვეტის ხერხების უზრუნველყოფა ეს პრობლემები წარმოიშობა სიტუაციებში, როდესაც გარიგების ერთი მონაწილე ფლობს იმ ინფორმაციას, რომელსაც არ ფლობს მეორე მონაწილე; ან მონაწილეთა შორის ერთ-ერთი მოქმედებს, როგორც აგენტი (კომისიონერი) მეორის სახელით.

ძირითადი მოტივი, რომელიც ფინანსების სფეროში წარმოშობს ნებისმიერ ინოვაციას, არის კონსურენცია, რომელიც საბოლოო ჯამში იწვევს ზემოთაზომთილი ფინანსური ფუნქციების შესრულების ხერხების სრულყოფას.

საფონდო ბაზარზე ეაჭრობენ ფინანსური აქტივების შემდეგი ძირითადი ტიპებით: *სავალო ვალდებულებებით, აქციებითა და წარმოებული ფასიანი ქაღალდებით.*

- სავალო ინსტრუმენტების გამოშვება ხდება ყველას მიერ, რომლებიც სესხულობენ ფულს – ფირმების, მთავრობების და საოჯახო მეურნეობების მიერ. აქცია – არის მოთხოვნა, რომელიც წამოყენებულია ფირმის შესაკეთებების მიერ მისი აქტივების ნაწილის მიმართ.

წარმოებული ფასიანი ქაღალდები – ფინანსური ინსტრუმენტებია, როგორცაა ოპციონები და ფიურსული კონტრაქტები, რომელთა ღირებულება ვალიდება სხვა აქტივებზე განსხვავებულ ფასებზე დამოკიდებულებით (რომელთაგანაც წარმოებულნი არიან).

საპროცენტო განაკვეთი ეწოდება ნახესხებ საშუალებებზე შემოსავლიანობის დაპირებულ განაკვეთს. არსებობს ომდენიც სხვადასხვა ტიპის საპროცენტო განაკვეთი, რომდენიც სესხების სახეებია. საპროცენტო განაკვეთის სიდიდე დამოკიდებულია სანაგარიშწორებო ფულად ერთეულზე, გადახდის ვადაზე და საკრედიტო ინსტრუმენტის მიხედვით ხელშეკრულების პირობების შეესრულებლობის რისკზე (დეფოლტის რისკი). *ნომინალური* საპროცენტო განაკვეთი გამოისახება კონკრეტულ ფულად ერთეულებში; შემოსავლიანობის რეალური განაკვეთის გამოსათვლელად გაორივეგნა განსაზღვრული სტანდარტიზებული სამომხმარებლო კალათა. ობლიგაციებს, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ფიქსირებული ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, გაანიათ შემოსავლიანობის რეალური განაკვეთის განუსაზღვრელი მანქნებელი. ობლიგაციები, რომლებიც ინდექსირებულია ინფლაციის გათვალისწინებით და გათვავზობს ფიქსირებულ რეალურ განაკვეთებს, ხასიათდება შემოსავლიანობის ნომინალური განაკვეთის განუსაზღვრელი მანქნებლობით.

საბაზრო კაონომიკაში შემოსავლიანობის განაკვეთის დონეზე გაყენანს ახდენს ოთხი ძირითადი ფაქტორი:

- *წარმოების საშუალებათა ეფექტიანობა* – შემოსავლიანობის მოსალოდნელი განაკვეთები მაღაროებში, ჯებიროებში, გზებში, ხიდებში, ქარხნებში, მანქანა-დანადგარებში და სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში დაბანდებებისაგან;

წარმოების საშუალებათა ეფექტიანობასთან დაკავშირებით განუსაზღვრელობის ხარისხი,

ადამიანთა დროითი უპირატესობები – რამდენად ანიჭებენ ადამიანები უპირატესობას საქონლისა და მომსახურების მომხმარებას ახლა, ვიდრე მომავალში;

რისკის მიუღებლობა – ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თანახმანი არიან უარი თქვან მომსახურებულ შემოსავლიანობაზე ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის შემცირების მიზნით.

ინდექსირება ეწოდება საინვესტიციო სტრატეგიას, რომლის მიზანია ის, რათა ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის დინამიკა მიეზას საბორო ინდექსებს, რომელიც არჩეულია ორიენტირად. ფინანსური შუამავლები ეწოდებათ ფირმებს, რომელთა მთავარი ფუნქცია მდგომარეობს უზრუნველყო კლიენტები ფინანსური პროდუქტებითა და მომსახურებებით უფრო მეტი ეფექტიანობით, ვიდრე ისინი მიიღებდნენ ყოველივე ამას ფინანსური ბაზრებზე უშუალო ოპერაციებით. ფინანსური შუამავლების პირითად ტიპებს შორის უნდა დავასახელოთ ბანკები, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიები. მათი ფინანსური პროდუქტები მოიცავენ: ჩეკურ ანგარიშებს, კრედიტებს, იპოთეკებს, სასესხო ფონდების ფასიანი ქაღალდებს და საინვესციო კონტრაქტების ფართო დიაპაზონს.

ბირჟებგარეშე ბაზრები
 ფინანსური ნაკადები
 მორალური რისკი
 არასასურველი არჩევანი
 სამუდამო რენტა
 „კომიტენტ-კომისიონერის“ პრობლემა
 სესხების უზრუნველყოფის პრინციპი
 ფიქსირებულ შემოსავლიანი ინსტრუმენტები
 ფულადი ბაზარი
 კაპიტალის ბაზარი
 ლიკვიდურობა
 ნარჩენი მოთხოვნა
 შეზღუდული პასუხისმგებლობა
 წარმოებული ფასიანი ქაღალდები
 ოპციონი ყიდვაზე, ოპციონი „კოლ“
 ოპციონი გაყიდვაზე, ოპციონი „პუტ“
 ფორარდული კონტრაქტები
 საპროცენტო განაკვეთი გირაოთი
 კომერციული კრედიტის განაკვეთი
 საანგარიშსწორებო ფულადი ერთეული
 გადახდის ვადა
 დეფოლტის რისკი
 საეფლუტო კურსი
 შემოსავლიანობის მრუდი
 კაპიტალის ნაზრდი
 კაპიტალის დანაკარგი
 ნომინალური ფასები
 რეალური ფასები
 ნომინალური საპროცენტო განაკვეთი
 რეალური საპროცენტო განაკვეთი
 ინდექსირებული ობლიგაციები
 საპროცენტო არბიტრაჟი
 წარმოების საშუალებათა ეფექტიანობა
 დაბანდებულ კაპიტალზე შემოსავლიანობის განაკვეთი
 კომერციული ბაქები
 საქენსიო პროგრამა დაწესებული ანარიცხების საფუძველზე, დაგროვებითი
 საქენსიო პროგრამა დაწესებული შეღავათების საფუძველზე, წამახალისებელი
 სასესიო ფონდი
 საფონდო ინდექსები, რომელთა კომპონენტები შეწონილია აქციების საბაზრო ღირებულების შესაბამისად
 საინვესტიციო ბანკი
 სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მარკენებელთა სხვაობები

დანართი

ალტერნატიული საბირჟო ინდექსები

აშშ-ში ფინანსურ ახალ ამბებში ყველაზე მეტად მოხსენიება *დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი* (DJI – Dow Jones Industrial Index). ეს ინდექსი წარმოადგენს აშშ-ს 30 უმსხვილესი სამრეწველო კორპორაციის აქციათა საშუალო კურსს. DJI –ს გააჩნია ორი ძირითადი ნაყოფიანება, რაც ზღუდავს მის გამოყენებას კრიტერიუმის სახით იმის გასაზომად, თუ როგორ მიდის საქმე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ჯერ-ერთი, ის არასაკმარისადაა დივერსიფიცირებული იმისათვის, რათა ზუსტად ასახოს ამერიკული აქციების ფართო სპექტრი. მეორე, ის საპორტფელზე სტრატეგიის ანალოგიურია, რომელიც შეუფერებელია საფონდო ბაზრის ფუნქციონირების შესაფასებლად.

ამ ორი მიზეზის გამო ინვესტირების სფეროს პროფესიონალებმა უმრავლესობა უიარაღესობას ანიჭებს გამოიყენოს სხვა ინდექსები საფონდო ბაზრის ფუნქციონირების შესაფასებლად, მაგალითად *სტანდარტ ენდ პუერ 500 საფონდო ინდექსი* (Standard and Poor's 500 (S&P500)). ეს ინდექსი შეესაბამება აქციების პორტფელის ფასების დინამიკას, რომელიც შედეგადაა აშშ-ს 500 უმსხვილესი საჯარო კორპორაციითა აქციებისაგან. ის განიხილება დოლარული გაანგარიშებით, როგორც საშუალოშეწონილი სიდიდე ჯამურ საბაზრო ღირებულებაში თითოეული აქციის წილის შესაბამისად.

იმისათვის, რომ თვალნათლივ განვიხილოთ, თუ როგორ იგება ორივე ეს ინდექსი და შევა-
დართო ერთმანეთს, გაემატრეთო ჩვენი ამოცანა და გაეაანალიზოთ რომელიმე პიპოთეზური ინ-
დექსი, რომელიც შექმნილია სულ ორი სახის ფასიანი ქაღალდის საფუძველზე: IBM და DEC აქციე-
ბი. ამ ფასიანი ქაღალდების მიხედვით ყველა აუცილებელი მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი
1-ში.

ცხრილი 1. საფონდო ინდექსების შემუშავებისათვის მონაცემები					
კომპანიები	აქციების კურსი			საბაზრო ღირებულება	
	ამოსავალი წელი	მიმდინარე მომენტი	აქციათა რაოდენობა	ამოსავალი წელი	მიმდინარე მომენტი
IBM	100 დოლ.	50 დოლ.	200 მლნ	20 მლრდ	10 მლრდ
DEC	50 დოლ.	110 დოლ.	100 მლნ	5 მლრდ	11 მლრდ
			სულ:	25 მლრდ	21 მლრდ

DJI-ის ტიპის ინდექსი გაიანგარიშება შემდეგნაირად: აქციების მიმდინარე ფასების საშუ-
ალარითმეტიკული მნიშვნელობა იყოფა საბაზისო წლისათვის აქციების ფასების საშუალარიით-
მეტიკულ მნიშვნელობაზე და შედეგი მრავლდება 100-ზე.

$$DJI\text{-ის ტიპის ინდექსი} = \frac{\text{აქციათა მიმდინარე ფასის საშუალო მნიშვნელობა}}{\text{აქციათა ფასების საშუალო მნიშვნელობა საბაზისო წელს}} \times 100$$

დაეუშვათ, რომ საბაზისო წელს IBM აქციების კურსი შეადგენდა 100 დოლარს, ხოლო DEC -
ის აქციებისა კი - 50 დოლარს. ამგვარად, ამ ორი ფასიანი ქაღალდების საშუალარითმეტიკული
ფასი, რომელიც გამოითვლება ორი მაჩვენებლის შეკრებითა და მიღებული მნიშვნელობის 2-ზე
გაყოფით, ტოლია 75 დოლარისა. ერთი წლის შემდეგ აქციების კურსი შეიცვალა: IBM-ის აქციები
გახდა 50 დოლარის ღირებულების, ხოლო DEC-ის კი-110 დოლარის, რაც გვაძლევს საშუალო
მაჩვენებელს 80 დოლარის ოდენობით. შესაბამისად, DJI ტოლი იქნება 106,67%-სა, რაც მიანიშნებს
მაჩვენებლის ზრდაზე 6,67%-ით.

$$DJI = \frac{(50\$ + 110\$)/2}{(100\$ + 50\$)/2} \times 100 = \frac{80\$}{75\$} \times 100 = 106,67$$

DJI -ს ტიპის ინდექსი გულისხმობს, რომ ეტალონური პორტფელი შედგება ფასიანი
ქაღალდების თითოეული სახის ერთი აქციისაგან. თუ კი ინვესტორი შეიძენდა საბაზისო წელს
IBM-სა და DEC-ის ერთ აქციას, მაშინ მისი პორტფელის ღირებულება გაიზრდებოდა 6,67%-ით.
პრაქტიკაში ასეთი პორტფელი არ შეიძლება გამოყენებული იქნას ფასიანი ქაღალდების ბაზრის
ფუნქციონირების გასარჩევნად, რაიმენადაც ჩვენს მაგალითში საფონდო ბაზრის
საერთო კაპიტალიზაცია დავცა 25 მლრდ-დან 21 მლრდ-მდე, რაც მიანიშნებს 16%-ან შემცირებაზე.

ჩვეულებრივ აქციებში ინვესტიციების განმარტოვებული სახეობა ფონდების საქმიანობის
ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით, ინვესტიციების სფეროს სპეციალისტები სტატისტიკურ ბაზად
ჩვეულებრივ სარგებლობენ *საფონდო ინდექსებით, რომელთა კომპონენტები შეწონილია აქციების
საბაზრო ღირებულების შესაბამისად (market-weighted stock indexes)*. ასეთი საფონდო ინდექსები
ასახავენ როგორც პორტფელის აქციების კორტირებაში ცვლილებებს, ისევე მათი საბაზრო წონათა
ცვლილებებს. ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში IBM-ის აქციებზე მოდის საფონდო ბაზრის
საერთო საბაზრო ღირებულების 80%, ხოლო DEC-ს აქციების - 20%. ვლბულობთ
საშუალოშეწონილი ინდექსის შემდეგ გაანგარიშებას:

$$S \& P \text{ ტიპის ინდექსი} = \left[\begin{array}{l} \text{IBM-ის წონა} \times \frac{\text{IBM-ის აქციის მიმდინარე ფასი}}{\text{IBM-ის აქციის ფასი საბაზისო წელს}} \\ + \text{DEC-ის წონა} \times \frac{\text{DEC-ის აქციის მიმდინარე ფასი}}{\text{DEC-ის აქციის ფასი საბაზისო წელს}} \end{array} \right] \times 100 = \\ = (0.8 \times 0.5 + 0.2 \times 2.2) \times 100 = 84.$$

ამგვარად, როგორც ხედავთ, ეს ინდექსიც მიუთითებს აგრეთვე ღირებულების 16%-ან შემცირებაზე, რაც ზუსტად ასახავს ჩვენს მაგალითში ვერცა ფასიანი ქაღალდის ჯამობრივ საბაზრო ღირებულებას.

დანართი 2

რისკის მართვის პრინციპები

რა არის რისკი

რა განსხვავდება განუსაზღვრელობასა და რისკს შორის? განუსაზღვრელობაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც ნამდვილად შეუძლებელია ეიწინასწარმეტყველოთ, თუ რა მოხდება მომავალში. რისკი – ეს არა უბრალოდ განუსაზღვრელობაა, არამედ ისეთი რამ, რომლის მიღებაც გეიწვევს მხედველობაში ამა თუ იმ მოქმედების შესრულების დროს, რამდენადაც მას შეუძლია გააღწეოს მოახდინოს ადამიანთა მატერიალურ კეთილდღეობაზე. ამგვარად, განუსაზღვრელობა არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა რისკისა. ყოველი რისკიანი სიტუაცია განუსაზღვრელობა, თუმცა განუსაზღვრელობა შეიძლება არსებობდეს რისკის გარეშე.

რათა მოახდინოთ ამ მსჯელობის ილუსტრირება, წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ გეგმავთ ნაატაროთ საღამოს წვეულება და პატყვებთ თქვენს 12 ნაცნობს, როგორც ჩანს, მთვა 10-12 ადამიანი, მაგრამ აქ არსებობს განუსაზღვრელობა – შეიძლება მოვიდეს თორმეტივე, ან თერთმეტი, მხოლოდ რვა. რისკი არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი განუსაზღვრელობას შეუძლია გააღწეოს მოახდინოს საღამოს წვეულების ჩატარების თქვენეულ გეგმაზე. შეცვლის თუ არა სტუმართა რაოდენობის სურვილად ზუსტი პროგნოზი თქვენს მოქმედებას? თუ არა, მაშინ არსებობს განუსაზღვრელობა და არა რისკი.

მაგალითად, ემზადებით რა სტუმართა დასახვედრად, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თუ რა რაოდენობის კერძი უნდა მოამზადოთ. თუკი თქვენ უმჯგველი გეცოდინებათ, რომ მთვა 10 კაცი, მაშინ გასამასპინძლებლად მოამზადებთ ზუსტად ამ რაოდენობიდან გამომდინარე – არც მეტი, არც ნაკლები. თუკი მეტე აღმოჩნდება, რომ სტუმარი ათის მაგივრად თორმეტი გეწვიათ, კერძები კი არასაკმარისია – თქვენ დარჩებით უკმაყოფილო საღამოს წვეულებით, რადგანაც გამასპინძლება ყველას არ ურგო და სტუმართა ნაწილი მშვირი და იმედგაცრუებული წვიოდა. თუ 8 კაცი მთვა, საჭმელი ძალიან ბეერი იქნება და თქვენ ასევე უკმაყოფილო დარჩებით, რამდენადაც ტყუილუმბრალოდ დახარჯეთ ძალიან ბეერი ფული ზედმეტი რაოდენობის პროდუქტების შესაქენად. მაშასადამე, თქვენ მხედველობაში უნდა მიიღოთ განუსაზღვრელობა. ამგვარად, ეს სიტუაცია დაკავშირებულია რისკთან.

მეორე მხრივ დათვშვათ, რომ თქვენ უთხართ სტუმრებს, რომ აწუხებთ საღამოს წვეულებას წილგროვეთი და თითოეულმა უნდა მოიტანოს პროდუქტები ერთ კაცზე გაანგარიშებით. მაშინ საღამოს წვეულების დაგეგმვის დროს თქვენთვის სულ ერთი იქნება 10 კაცზე მეტი მთვა თუ ნაკლები. ამ შემთხვევაში არსებობს განუსაზღვრელობა და არა რისკი.⁵

მრავალ სიტუაციაში, რომელიც დაკავშირებულია რისკთან, მოვლენის საღაბათო დაბოლოება შეიძლება მარტივად და პირდაპირ განისაზღვროს, როგორც ზარალიანი ან შემოსავლიანი. მაგალითად დაუშვათ, რომ თქვენ აბანდებთ ფულს ფასიანი ქაღალდების ყიდვაში. თუკი ფასიანი ქაღალდების თქვენი პორტფელის ღირებულება მცირდება – ეს დანაკარგია; თუ იზრდება – შემოსავალია.

⁵ ნათქვამი: თუკი თქვენ გადაწყვიტავთ საღამოს წვეულების ჩატარებას წილგროვეთი სტუმართა რიცხვთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის მიხეზით, მაშინ არსებობს რისკი. წილგროვეთი სტუმართა წვეულების მრავალმა არის მოქმედება, რომელსაც თქვენ იყენებთ სიტუაციის მართვის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია რისკთან.

ვალი. ჩვეულებისამებრ ითვლება, რომ რისკი – არის შესაძლებლობა განიცადო დანაკარგი და არა შესაძლებლობა მიიღო შემოსავალი.

მაგრამ არსებობს სირუაციები, სადაც შეუძლებელია მკაფიოდ განისაზღვროს შემოსავალი და დანაკარგები. დავებურწინად საღამოს წვეულების მაგალითს. განუსაზღვრელობას სტუმართა რიცხვის მიმართ, რომლებიც შეიძლება მოვიდნენ თქვენს წვეულებაზე, მივყავართ რისკთან იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელი რიცხვზე მეტი ან ნაკლები სტუმარი მოვა. ამგვარად, რუიგითი სიტუაციებში მოსალოდნელი მნიშვნელობიდან ნებისმიერ გადახრა შეიძლება იყოს არასასურველი ან ხარვეჯითი.

რისკის არიდება (risk averse) – არის ადამიანის პრეფერენციის (უპირატესობის მინიჭების) მახასიათებელი სიტუაციებში, რომლებიც დაკავშირებულია რისკთან. ეს არის ადამიანის მზადყოფნის საზომი გადაიხადოს რისკის შემცირებისათვის, რომლის ქვეშაც ის იმყოფება. ადამიანები, რომლებსაც არ სურთ გარისკვა, აფასებენ რა კომპრომისს რისკის შემცირებაზე დანახარჯებსა და მისგან მოგებას შორის, უპირატესობას ანიჭებენ ნაკლებად რისკიან ვარიანტს *იმავე დანახარჯების შემთხვევაში*. მაგალითად, თუკი თქვენ მთლიანობაში მზად ხართ დათანხმდეთ უფრო დაბალ შემოსავლიანობის განაკვეთს ამა თუ იმ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში შემოსავაზეხებულია წინასწარმეტყველებადი შემოსავლიანობის განაკვეთი, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ბაქეთ რისკისგან თავიან არიდებისადმი მდგრადიკლდეა ერთნაირი მოსალოდნელი შემოსავლიანობის განაკვეთის მქონე ინვესტიციების ვარიანტების არჩევანს ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ რისკისგან თავის არიდება, ირჩევენ რისკის უფრო დაბალ ხარისხის მქონე ვარიანტს.

რისკის მართვა

დავეშვათ, რომ თქვენი ღალამოს წვეულება წილგროვებით შეუძლებელია, შესაძლებლად, მოგიწევთ ანგარიში გაუწიოთ მოვლენების განვითარების განუსაზღვრელობას. უფრო მეტიც, თქვენ უპირატესობას ანიჭებთ მომხმარებელ საჭმლის საკმარო რაოდენობას, რათა საწყობი იყოს ყველა სტუმრისათვის, რომელთაც შეეძლებათ მოსაყლა. ასეთ შემთხვევაში ჩვენს განკარგულებაში მოქმედებდათ რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგანაც თითოეული დავაწვირებულია გარკვეულ ხარვეჯებთან.

მაგალითად, შესაძლებელია რესტორანში შეუქვეყნოთ პროდუქტები 12 კაცზე გაანგარიშებით ზედმეტი დაბრუნებისა და საკუთარი ფულის ნაწილის უკან დაბრუნების შესაძლებლობით. მეორე ვარიანტი: თქვენ უკველათ პროდუქტებს ზუსტად 8 კაცზე და თანხმდებით შესაძლებლობაზე შეუქვეყნოთ კიდევ, როგორც კი გამაინდვებიან სტუმრები. ორივე ვარიანტში თქვენ თითქმის უშეკვლად მოგიწევთ გადაიხადოთ დახმებითი.

ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს რისკის თავიდან აცილებით მიღებულ სარგებელს შორის კომპრომისთან, რომელიც დავაწვირებულია საკვების რაოდენობის გამოვლენის შესაძლებლობასთან და დანახარჯებთან, რომლის გაღებაც გიწევთ ამ რისკის შესამცირებლად. კომპრომისის გამომუშავების პროცესს, რომელიც მიმართულია ბალანსის მისაღწევად რისკის შემცირებით მიღებულ სარგებელსა და ამისთვის აუცილებელ დანახარჯებს შორის, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღებას იმაზე, თუ როგორ ქმედებებს უნდა მიმართოთ ამისთვის (რაიმე მოქმედებისაგან უარის ჩატვლით), ეწოდება *რისკის მართვა (risk management)*.

ზოგჯერ ადამიანები გამოთქევენ მუნხარებას იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტენ ქიორადღირებულ ღონისძიებებზე წახელა რისკის შესამცირებლად. მუნხარება, ბუნებრივია, გამოითქმის მას შემდეგ, როცა ცუდი პროგნოზი, რომლისაც მათ უწინოდათ, არ გამართლდა. თუ თქვენ გაყიდეთ რისკიანი აქციები სწორეე მანამდე, ეიდრე მათი ფასები გასამზადებლობა, მაშინ, უფორდ ინანებთ თქვენს გადაწყვეტილებას. მაგრამ უნდა გეახსოვდეს, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, მიიღება მანამდე, ეიდრე ეს განუსაზღვრელობა გაქორწოდეს. უნდა გაეთვალისწინოთ, რომ თქვენი გადაწყვეტილება იყო საუკეთესო იმათგან, რომელთა მიღებაც შესაძლებელი იყო იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გაგანრდათ გადაწყვეტილების მიღების მომენტში. ჩვენ ყველანი „გონს გვიან მოვდივართ ხოლმე“ და არავის ძალუქს აბსოლუტურად ზუსტი პროგნოზირება.

თანაც პრაქტიკაში რთულია განესაზღვროთ, თუ სად მთავრდება წინასწარგანვეტების უნარი და იწყება უბრალო გამართლება. განსაზღვრების თანახმად, რისკის მართვის გადაწყვეტილება მიიღება განუსაზღვრელობის პირობებში, შესაბამისად, არსებობს მოვლენათა განვითარების რამდენიმე ვარიანტი. საბოლოო ანგარიშით, რეალიზდება მხოლოდ ერთი ვარიანტი. არც ბრალდება (ან მილოცა) მცდარი (ან მართებული) გადაწყვეტილების მიღების გამო არავითარი აზრი არ გაიანია, რამდენაც ისინი გამოიხატება უკვე ინფორმაციის მიღების შემდეგ, რომელიც არ არსებობდა გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის. *რისკის მართვის თაობაზე გადაწყვეტილების აღვეტაუ-*

რობა უნდა განიხილოდეს იმ ინფორმაციის შეუქმნე, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

მაგალითად, თუ სახლიდან სამუშაოზე გასვლის დროს თან წაიღებთ ქოლგას იმ ვარაუდით, რომ შეიძლება იწვიოს, ხოლო წვიმა არ მოდის, თქვენ საკუთარი თავი არ უნდა დაადანაშაულოთ არასწორი გადაწყვეტილების მიღებაში. სხვა ვარიანტი: დაუეშვათ, რომ ყველა მეტეოროლოგი იწვიოს მაღალი ალბათობის შესახებ, ხოლო თქვენ არ მივაქვით ქოლგა. თუ არ იწვიმებს, ნუ იჩქარებთ აქით საკუთარ თავს სიბრძნისა და წინახედულობისათვის. თქვენ უბრალოდ გაგიმართლათ.

მიდრეკილება რისკისადმი

თუ თქვენ აწყდებით რისკის სპეციფიკურ ტიპს თქვენი სამუშაოს თავისებურებებთან დაკავშირებით, თქვენი ბრინჯისის ხასიათიდან ან ცხოვრების გარკვეული წესიდან გამომდინარე, მაშინ თქვენს შესახებ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ გაგანინათ სპეციფიკური მიდრეკილება რისკისადმი (risk exposure). მაგალითად, თუ თქვენ სამუშაოდ მივიდეს დროებით, მაშინ განთავისუფლების რისკისადმი მიდრეკილება თქვენს შემთხვევაში ძალიან მაღალია. თუკი თქვენ შტატიანი მასწავლებელი ბრძანდებით ერთ-ერთი უმსხვილესი უნივერსიტეტისა, განთავისუფლების რისკისადმი თქვენი მიდრეკილება შედარებით მცირეა. თუ თქვენ ფერმერი ხართ, მაშინ მიდრეკილება გაქვით როგორც მარცვლეულის მიუსაველიანობის რისკისადმი, ასევე ფასების დაცემის რისკისადმი. თუ თქვენი ბიზნესი მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლის იმპორტთან ან ექსპორტთან, მაშინ მიდრეკილება გაქვით ვალუტების გაცვლის კურსის არასასურველი ცვლილებების რისკისადმი. თუკი თქვენ გაქვით სახლი, მიდრეკილი ხართ ხანძრის, გაქურდვის, გრიგალის შედეგად დაზიანების, მიწისქვირის რისკისადმი, აგრეთვე რისკისადმი იმისა, რომ შეიძლება შემცირდეს სახლის სტაბილური ღირებულება.

ამგვარად, რისკი, რომელთანაც დაკავშირებულია აქტივების ფლობა ან გარიგებების განხორციელება, არ შეიძლება შეუსაბამო სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. თუ აბსტრაქტულად ერთ ვითარებაში ამა თუ იმ ქონების ყიდვა ან გაყიდვა ზრდის თქვენს მიდრეკილებას რისკისადმი (ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – თქვენს რისკს); სხვა შემთხვევაში იმავე ოპერაციამ შეიძლება შეამციროს რისკი. მაგალითად, თუ მე ვეიდულობ ჩემი სიცოცხლის დასაცემის წლიურ პოლისს, მე ვამცირებ რისკს საკუთარი ოჯახისათვის, რადგანაც დასვეების გადახდა რაღაც სომით ახდენს ოჯახის შემოსავლის შემცირების კომპენსაციას ჩემი პირობითი სიკვდილის შემთხვევაში. თუკი ადამიანები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ჩემთან ნათესაური კავშირებით და თავათუ ვაძულებ ჩემს სიცოცხლეს, მაშინ რისკი ჩემი ოჯახისათვის არ შემცირდება. ისინი სწორედ იმაზე ამყარებენ იმედს, რომ რომ წლის განმავლობაში მე მოუკვდები. ან დაუეშვათ, რომ ფერმერი, რომი მელსაც ეს-ეს არის დაუმწიფდება ხორბალი, კონტრაქტს დებს მის გაყიდვაზე მყარი ფასით რომელს რომელიმე განსაზღვრული ვადისათვის. ასეთი კონტრაქტი ემსახურება რისკის შემცირებას. მაგრამ იმათთვის, რომელთაც საწყობში არ აქვთ ხორბალი, ანალოგიური კონტრაქტის დადება ნიშნავს სპეკულაციის ცდას იმაზე, რომ ხორბალზე ფასი შეიძლება დაეცეს – აქი ასეთი ადამიანი მოგებული დარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხორბლის მიწოდების ვადის დადგომის მომენტისათვის მისი საბაზრო ფასი იქნება იმ ფასზე ნაკლები, რომელიც დაფიქსირებულია კონტრაქტში.

სპეკულატორი, ანუ ბირჟის მოთამაშე (speculator), ვწოდება ინვესტორს, რომელიც თავისი სიმდიდრის ზრდის იმედად მიმართავს ქმედებას, რაც ზრდის მის მიდრეკილებას რისკის ამა თუ იმ სახისადმი. სპეკულიანტის საპირისპიროა ჰედჯერი (hedger) – რომელიც არის ინვესტორი, რომლის მოქმედებაც მიმართულია რისკისადმი მისი მიდრეკილების შესამცირებლად. ერთი და იგივე პირობებში შეიძლება გვევლინებოდეს როგორც სპეკულიანტი ერთ შემთხვევაში და ჰედჯერი – მეორე შემთხვევაში.

რისკი და ეკონომიკური გადაწყვეტილება

მაგალითად, ზოგიერთი ფინანსური გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ სხვადასხვა სახის რისკისგან დასაცემის რა თანხის ოდენობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს, პირდაპირ უკავშირდება რისკის მართვას. მაგრამ საერთო ხასიათის მრავალი გადაწყვეტილება ფულადი რესურსების განთავისებების თაობაზე სხვადასხვა სახის აქტივების შორის, კერძოდ, გადაწყვეტილება დასოვებაზე და ინვესტირებაზე, გადაწყვეტილება დაფინანსებაზე აგრეთვე მნიშვნელოვანწილად რისკიანია. ამიტომ, მათაც გარკვეულიწილად შეიძლება მივაკეთებთ რისკის მართვის გადაწყვეტილებას.

დასტურად მოიყვანონ საოჯახო მუერების დაზოგვის მაგალითი, რომელიც განხორციელებულია საკუთარი დაცულობის ამაღლების მიზნით. საამისოდ შეიძინება აქტივები, რომლებსაც ძალუთ მოახდინონ მომავალში გაუთავლისწინებელი დანახარჯების კომპენსირება. ეკონომისტები ამას უწოდებენ *გამართხილებელ დაზოგვას* (precautionary saving). როგორც ვიცით, საოჯახო მუერ-

ნეობამ შეიძლება ისარგებლოს დროში ფულის ღირებულების კონცეფციით, რათა მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება დაზოგავს მთელი ცხოვრების განმავლობაში. მაგრამ ამ ანალიზის შესრულებისას ჩვენ მოვადვინეთ რისკის ფაქტორისა და გამაფრთხილებელი დაზოგვის იგნორირება, რასაც რეალურ სამუშაოში ამას ოჯახები არასოდეს აკეთებენ.

შემდგომ ნაწილებში ჩვენ ვისაუბრებთ რისკის გაუფრთხილებლობის შესახებ ზოგიერთ ფინანსურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც მიიღება საოჯახო მუერნობების, კომპანიებისა და მთავრობის მიერ. მაგრამ თავდაპირველად მოდით დავაზუსტოთ, თუ რატომ ვიწყებთ მაინც(დამაინც საოჯახო მუერნობიდან (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანებისგან). ფინანსური სისტემის საბოლოო ფუნქცია ხელი შეუწყო საოჯახო მუერნობის მოხმარების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებას და რესურსების განთავსებას სხვადასხვა აქტივებში. ეკონომიკური სუბიექტები, ისეთები, როგორცაა კომპანიები და მთავრობა, არსებობენ უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რათა შეამსებუონ ამ საბოლოო ფუნქციის რეალიზაცია. ამიტომ, ჩვენ არ შევიძლია სათანადოდ ნათელი მოვინებთ მათი ოპტიმალური ფუნქციონირების პრინციპებს, სანამ არ გავერკვეთ ადამიანთა ფინანსურ-ეკონომიკურ ქცევაში, მათ შორის რისკის მიმართ მათ რეაქციაში.

რისკის სახეები, რომლის წინაშეც დგანან საოჯახო მუერნობები

არსებობს რისკის სახეთა კლასიფიკაციის რამდენიმე სხვადასხვა სქემა, მაგრამ ჩვენ ვისაუბრებთ რისკის ხუთ ძირითად სახეზე, რომლის წინაშეც დგანან საოჯახო მუერნობა.

- *აუადამურობის შრომისუნარიანობის დაკარგვის, სიკვდილის რისკი* მოულოდნელმა აუადამურობამ ან უბედურმა შემთხვევამ შეიძლება მოითხოვოს როგორც დიდი ხარჯები, რაც დაკავშირებულია მუერნალობის აუცილებლობასთან და აუადამურობის მოვლასთან, ასევე მიგიყვანოს შემოსავლის წყაროს დაკარგვასთან არაშრომისუნარიანობის შედეგად.
- *უმუშევრობის რისკი* ეს არის ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ სამუშაოს დაკარგვის რისკი.
- *რისკი, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი სარგებლობის სამომხმარებლო საქონლის ფლობასთან.* ეს არის დანაკარგების რისკი, რომელიც უკავშირდება სახლების, ავტომობილებისა და სხვა გრძელვადიანი სარგებლობის საქონლების ფლობას. დანაკარგები შეიძლება გამოწვეული იყოს უბედური შემთხვევებით – ხანძრის ან გაქურდვის სახით – ან მორალური ცვეთით, რომელიც წარმოიშობა ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად ან მომხმარებელთა გემოვნებაში ცვლილებებით.
- *რისკი, რომელიც დაკავშირებულია სხვა პირების წინაშე პასუხისმგებლობასთან (ე.ი. სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან).* რისკის ეს სახე დაკავშირებულია იმის შესაძლებლობასთან, რომ ვიღაცა წამოგაყენებთ ფინანსური ხასიათის პრეტენზიას იმის მიერ განცდილი ზარალის გამო, რომელიც თქვენი ქმედებითაა მიყენებული. მაგალითად, თუ თქვენი უსაფრთხო მგზავრობა გახდა მიზეზი საავტომობილო ავარიისა, მაშინ უნდა მოახდინოთ ზარალის კომპენსაცია, რომელიც მიაღწა დაზარალებულის ჯანმრთელობასა და ქონებას.
- *რისკი, რომელიც უკავშირდება ფინანსურ აქტივებში დაბანდებას* ეს რისკი იზრდება, თუკი საოჯახო მუერნობა ფლობს სხვადასხვა სახის ფინანსურ აქტივებს, ისეთებს, როგორცაა ჩვეულებრივი აქციები და ფასისანი ქალაქები ფიქსირებული შემოსავლებით, რომლებიც დენომინირებულია ერთ ან რამდენიმე ვალუტაში. რისკის ამ სახის წყაროს წარმოადგენს სიტუაციის განითარების განუსაზღვრელობა, რომელსაც აწვევდა კომპანიები, მთავრობა და სხვა ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც უშეუბნებ ამ ფასისა ქალაქდებს.

რისკის სახეები, რომელსაც აწყდება საოჯახო მუერნობა, გავლენას ახდენს ფაქტორად მის ყველა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, განვიხილოთ ადამიანის გადაწყვეტილება დაზარალოს ფულის უმაღლესი განათლების მისაღებად. მე-1 თავში ჩვენ გავანალიზეთ ეს გადაწყვეტილება, შევაფასეთ რა ფულის ღირებულება მომავალი შემოსავლების გათვალისწინებით ისე, რომ მოვადვინეთ რისკის ფაქტორის იგნორირება. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზი იმისათვის, რათა ფული დაებადნოთ განათლებაში: ეს არის ადამიანური კაპიტალის ფუქტიანობის ამაღლება. რაც უფრო უკეთეს განათლებას ღებულობს ადამიანი, მით უფრო უნარიანია წარმატებულად გაუმუშავდეს უმუშევრობის რისკს.

რისკის სახეები, რომლის წინაშეც დგანან კომპანიები

კომპანია ანუ ფირმა – ეს არის ორგანიზაცია, რომელთა პირველი და ძირითადი ფუნქციაა საკომუნო გაყიდვა და მომსახურების გაწევა. ფაქტორად კომპანიების ნებისმიერი საქმიანობა დაკავშირებულია რისკის სხვადასხვა სახეებთან. რისკის გვეყვინება ნებისმიერი ბიზნესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. კომპანიების სამეწარმეო რისკის სახეები წარმოიშობა ყველა იმ

სუბიექტთა მოქმედებით, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია მის საქმიანობასთან, ესენია: ექსპონერები, კრიტიკორები, კლიენტები, მომწოდებლები, ფირმის პერსონალი და მთავრობა. ამ დროს კომპანია შეუძლია ფინანსური ხისტიემის დახმარებით გადაიტანოს რისკი, რომლის წინაშეც დგას, სხვა მონაწილეებზე საეკონომიკური ფინანსური კომპანიები, მაგალითად სადასაღველი, ეწევიან მომსახურებას რისკის გაურთიანებითა და გადატანით. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ რისკის ყველა სახე, რომლებიცაც საქმე აქვს კომპანიას, წარმოიშობა ადამიანების მიერ.

მაგალითად, განვიხილოთ რისკის სახეები, რომლებიც დაკავშირებულია პურფუნქტუშეულის ნაწარმის წარმოებასთან. ფურნეები, როგორც კომპანიები, რომლებიც მუშაობენ საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რისკის შემდეგი კატეგორიების წინაშე დგანან.

- *რისკი, რომელიც უკავშირდება წარმოებას.* ეს რისკია იმას, რომ ტექნიკა (დუმილი, პროდუქციის გადასახადი სატვირთო ავტომობილები და ა.შ.) გამოვა მწყობრიდან, ამოსავალი პროდუქციის (ფეკილი, კერაცხი და ა.შ.) მოწოდება ვადაში ვერ შესრულდება, შრომის ბაზარზე არ აღმოჩნდება საჭირო მუშოშედეგი ან ახალი მუშოშედეგის დაწვრილების გამო კომპანიაში არსებული მოწოდებლობები მორალურად მოქცეულდება.
- *რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფასების ცვლილებებთან გამოსაშვებ პროდუქტებზე.* აღნიშნული რისკი უკავშირდება იმას, რომ გამოცხობილ ნაწარმზე მოთხოვნა, რომელიც მოცემულ კომპანიაშია წარმოებული, მიულოდნელად შეიცვლება მომხმარებელთა გემოვნების უცვარი ცვლილების შედეგად (მაგალითად, რეტორებზე შუკის მაგივრად შესაძლოა მოდური გახდეს ნიახურის მირთმეა), რის გამოც კომპანიის ნაწარმზე საბაზრო ფასი შემცირდება. შესაძლოა კონკურენციის გამწვავებაც, რომლის შედეგადაც მოცემული კომპანია იძულებული გახდება შეამციროს ფასები.
- *რისკი, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ფაქტორებზე ფასების ცვლილებებთან.* ეს რისკი გულისხმობს იმას, რომ წარმოების რომელიმე ფაქტორზე ფასები უცვრად შეიცვლება. მაგალითად, გაძვირდება ფეკილი ან ამაღლება ხელფასის განაკვეთი. თუკი ფურნეს საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად კრედიტი აქვს აღებული მცურავი სა-პროცენტო ვადაკეთის პირობებით, მაშინ ის ამ უკანასკნელის ზრდის რისკის ქვეშაა.

ბიზნესის წარმატების რისკი მხრებზე აწეეს არა მარტო ფურნეს მფლობელებს. რისკი ნაწილს საკუთარ თავზე დებულობს კომპანიის მენეჯერები (თუკი ამ რანგში არ გეგეღირებინან კომპანიის მფლობელები) პერსონალი. თუკი კომპანიის შემოსავალი მცირეა ან თუკი წარმოების ტექნოლოგია შეიცვლება, ისინი მიდიან ხელფასის დაკარგვის, ან შესაძლოა, საერთოდ სამუშაოს დაკარგვის რისკზეც კი.

ფურნეს პროფესიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელია რისკის მართვის გარკვეული გამოცდილება. ფურნეს მენეჯერებს შეუძლიათ რისკის შესაძლო სახეთა მართვა სხვადასხვა ხერხების დახმარებით: მაგალითად, საწყობო ფეკილის მარაგის შენახვა, რათა უსაფრთხოთ იგრანონ ითავი მისი მოწოდების შეფერხების შემთხვევაში. მათ შეუძლიათ მზადყოფნაში იქონიონ სათადარიგო ნაწილები მოწოდებლობისათვის ან იყენენ მუდმივი კლიენტები მარკეტინგული ფერმისა, რომელიც ადგენს მათ პროდუქციასე მოთხოვნის პროგნოზებს. შეიძლება აგრეთვე შევიწინოთ იქნას ზოგიერთი სახის რისკისგან დასაღვევის პოლისი, მაგალითად, პერსონალის საწარმოო ტრამეის შემთხვევისათვის ან მოწოდებლობის გაუქრდვისათვის. არსებობს ზოგიერთი სახის რისკის შემცირების ხერხები: უშუალოდ მომხმარებლებთან ან მომწოდებლებთან კონტრაქტების დადება ფიქსირებული ფასების თაბაზე ან ხელშეკრულება ფორეარდულ, ფიქსირულ და ოკციონურ ბაზრებზე შესაბამის კონტრაქტებით საქონლებზე, უცხოურ ვალუტაზე და საპროცენტო განაკვეთზე. რისკის შემცირებისა და მიხგან საწარმელობის მიღების ღონისძიებებზე დანახარჯების დაბალანსების უნარი – ფურნეს მართვის უწინშენლოვანესი ნაწილია.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა და ზომა თავისთავად შეიძლება რისკის ქვეშ აღმონხდეს. ფურნეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზომითა და ტიპებით. ერთ მხარეს იმყოფება მცირე საცხოვრები და პატარა მაღაზიები, რომლებსაც ფლოგენ და მართავები ცალკეული ადამიანები ან ოჯახები. მეორეს მხარეს კი იმყოფება უზარმაზარი კორპორაცია, მაგალითად Continental Baking Company, სადაც ათასობით ადამიანი მუშობს, ხოლო აქციონერები – ხოდე უფრო მეტი. მსხვილი კორპორაციის ტიპის მასშტაბური ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი მდგომარეობს საწარმოო, სამომხმარებლო და სხვაზე რისკების მართვის გაუმჯობესებაში ბიზნესის წარმართვის დროს.

მთავრობის როლი რისკის მართვაში

ყველა დონის სამაფროო ორგანო უწინშენლოვანეს როლს თამაშობს რისკის მართვაში. მთავრობა ან აღმოსვრების სხვადასხვა სახის რისკებს, ან გადაანაწილებს მათ. ადამიანები ჩვეულებრივად მთავრობისაგან ელიან დაეცას და ფინანსურ დახმარებას სიტიკური უბედურებისა და სხვადასხვა უბედურების შემთხვევაში, რომლებიც გამოწვეულია თავთა ადამიანების მიერ – ომები, გარემოს დაბინძურება და ა.შ. ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს უფრო აქტიური მონაწი-

ლეობის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს ის არგუმენტები, რომ სახელმწიფოს შეუძლია იოლად გაანაწილოს ინფრასტრუქტურაში კაპიტალდაბანდების რისკი გადასახადის ყველა გადამხდელს შორის. სამთავრობო ჩინოფნიკები ხშირად სარგებლობენ ბაზრებითა და ფინანსური სისტემის სხვა ინსტიტუტებით რისკის მართვის საკუთარი სტრატეგიის სარეალიზაციოდ პრაქტიკულად ისევე, როგორც ამას აკეთებენ კომპანიის მენეჯერები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

როგორც კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში, რისკის ყველა სახე საბოლოო ანგარიშით აღმანიშნისგან მომდინარეობს. როდესაც მთავრობა მოქალაქეებს თავაზობს თავი დაიხლოვოს სტიქიური უბედურებისაგან ან ბანკების მიერ ანაბრების დაბრუნებაზე უარისაგან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქონდას ქველმოქმედებასთან. მთავრობა ან დებულობს დაზღვეულისაგან ფასს, რომელიც საკმარისია დაზღვევაზე მომსახურების ღირებულების დასაფარვად, ან გადასახადის ყველა გადამხდელს უწყებს დამატებითი ხარჯების გაღება.

რისკის მართვა

რისკის მართვის პროცესი – ეს არის სისტემატიური მუშაობა რისკის გასაანალიზებლად, მისი მინიმიზაციის შესაბამისი ღონისძიებების გამოსაშუშავებლად და მისაღებად. ეს პროცესი ხუთ ეტაპად შეიძლება დაყოფიოს.

- რისკის გამოვლენა
- რისკის შეფასება
- რისკის მართვის ხერხების არჩევა
- არჩეული ხერხების რეალიზაცია
- შედეგების შეფასება

რისკის გამოვლენა

რისკის გამოვლენა (risk identification) მდგომარეობს იმის განსაზღვრაში, თუ რომელი რისკის ქვეშ იმყოფება ანალიზის ობიექტი ყველაზე მეტად, იქნება ის საოჯახო მეურნეობა, კომპანია თუ სხვა ეკონომიკური სუბიექტი. საოჯახო მეურნეობა და კომპანიები ხშირად ანგარიშს არ უწყევენ რისკის ყველა სახეს, რომლებსაც ისინი აწყდებიან. მაგალითად, თუ ადამიანს არც ერთი საშუალო დღე არ გაუტყდენია აუდამყოფობის თუ ტრამპის გამო, მაშინ ის საცქერა დაფიქრდეს შრომისუნარიანობის დაკარგვის რისკზე. შესაძლოა მან გადაწყვიტოს, რომ აზრი აქვს შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში დაზღვევას, ან შესაძლოა ამაზე არც კი იფიქროს.

ჩანართი-1
<p><i>ვინ არის დაინტერესებული სიცოცხლის დაზღვევაში?</i></p> <ul style="list-style-type: none"> • თქვენ მარტოხელა ადამიანი ხართ, კმაყოფაზე მყოფის გარეშე დაიფიქვით სიცოცხლის დაზღვევა. მის მაგივრად იყიდეთ სადაზღვევო პოლისი შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევისათვის და დაუმტკიცოთ ის თქვენს ინვესტიციებს. • თქვენ მარტოხელა ადამიანი ხართ კმაყოფაზე მყოფი-მემკვიდრით. რა მოუვა თქვენს კმაყოფაზე მყოფთ თქვენი გარდაცვალების შემთხვევაში? თუ თქვენ გაყრილი ხართ და თქვენს მუდღელს გააჩნია შესაძლებლობა მოუაროს ბავშვებს, სიცოცხლის დაზღვევა თქვენ არ გჭირდებათ. • თქვენ მომუშავე და უშვილო წვეილი ბრძანდებით. თუკი მუდღელებიდან თითოეულს შეუძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა, მაშინ სიცოცხლის დაზღვევა თქვენ არ გჭირდებათ. • თქვენ უშვილო წვეილი ბრძანდებით, მაგრამ მუდღელებიდან მუშაობს მხოლოდ ერთი. მომუშავე მუდღელე საჭიროებს სიცოცხლის დაზღვევას, თუ მას სურს თავისი მეორე ნახევარი უზრუნველვოს ცხოვრების უწინდელი დონით. • თქვენ მუდღელები ბრძანდებით და გყავთ ბავშვები. აი ნამდილიად სად არის საჭირო სიცოცხლის დაზღვევა. ბავშვები უნდა გაზარდოთ და მისცეთ განათლება, ეს კი ძვირი ჯდება. მაგრამ სიცოცხლის დაზღვევას მანამდე აქვს აზრი, ვიდრე ბავშვები დამოუკიდებლები არ გახდებიან. <p><i>წყარო: Making the Most of Your Money, Jane Bryant Quinn.</i></p>

მეორეს მხრივ, არსებობს რისკის სახეები, რომლისგანაც ადამიანი სიამოვნებით იზღვევს თავს ისე, რომ სინამდვილეში არც კი იმყოფება მის საშიშროების ქვეშ. მაგალითად, მრავალი

მარტოხელა ადამიანს, რომლებსაც მიმღეული არ ჰყავთ, სადაზღვეო ანარიცხები შეაქვთ საკენსიო ფონდში, რათა შემდგომ, პენსიაზე გასვლის მერე ისარგებლონ დაგროვებული თანხით. თუკი ასეთი ადამიანი მოკვდება პენსიაზე გასვლამდე, მისი დამზღვევეი ფონდი საკუთარ ანგარიშზე დადებს დიდიხელ თანხას. შესაბამისად, თუკი მარტოხელა ადამიანს არ ჰყავს კმაყოფიზე მყოფი-მემკვიდრე, მას არ სჭირდება ამგვარი დაცვა (იხ. ჩანართი-1).

რისკის ეფექტიანად გამოსავლენად აუცილებელია განვიხილოთ რისკის პრობლემა მთლიანობაში, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს მასზე. მაგალითად, გავანალიზოთ ადამიანის რისკი, რომელიც უკავშირდება საფონდო ბაზარზე მის ოპერაციებს. თუკი თქვენ მუშაობთ საბირჟო ბროკერად, მაშინ თქვენი მომავალი შემოსავლები ძალიან ძლიერადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარგად მიდის საქმე საფონდო ბაზარზე. შემოსავალი, რომელიც მიღებულია თქვენი უნარისა და შრომითი ჩვევების გამოყენებით (ე.ი. ადამიანური კაპიტალისგან). დამოკიდებულია საფონდო ბაზარზე თქვენს აქტივობაზე; შესაბამისად, თქვენ არ გაირობთ დაბანდით აქციებში დანარჩენი კაპიტალი (ფულადი ფორმით). მეორე მხრივ, თქვენს მეგობარს – სამთავრობო მოსამსახურეს, რომელიც თქვენი ასაკისაა და გამოიშვება იმდენს, რამდენსაც თქვენ – სახეობით შეიძლება ეურთოდოთ მისი საინვესტიციო პორტფელის დიდი ნაწილი დააბანდოს აქციებში, რადგანაც მისი ადამიანური კაპიტალი საფონდო ბაზართან დაკავშირებული რისკის ქვეშ ისე არ იმყოფება.

რისკის პრობლემების კომპლექსური განხილვის აღნიშნული ჩრჩიკი მისაღება კომპანიების მიმართაც. ნავალითაც, განვიხილოთ განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო კურსის რყევებთან და რომელიც გავლენას ახდენს კომპანიაზე, რომელიც ყიდულობს ნედლეულს და ჰქიდის თავის პროდუქციას უცხოეთში უცხოურ ვალუტაში ფიცსარებული ფასით. კომპანიის მენეჯერებისათვის აზრი არ აქვს განიხილოს გავლენა განუსაზღვრელობისა, რომელიც დაკავშირებულია ვალუტის გაცვლის კურსთან, მხოლოდ კომპანიის აზრგებზე ან მხოლოდ მის დანახარჯებზე. კომპანიის აქციების ყველა მფლობელისათვის მნიშვნელოვანია ამ განუსაზღვრელობის გავლენის ღირდნი შედეგი – კომპანიის შემოსავალს მიზნს მის დანახარჯები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის შემოსავალიც და დანახარჯებიც შესაძლოა ერთნაირად იმყოფებოდეს სავალუტო კურსის რყევების გავლენის ქვეშ, კომპანიაზე განუსაზღვრელობის საბოლოო გავლენა, რომელიც დაკავშირებულია ვალუტის გაცვლის კურსთან, შესაძლოა ნულს ტოლი აღმოჩნდეს.

შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე ფერმერის მაგალითი, რომლის შემოსავლებზეც ახდენს გავლენას ფსებთან და მომავალი მოსავლის ოდენობასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. დაუშვათ, რომ მარცხენა მხარეს მოუსავლიანობა ყოველთვის იწვევს ფსების ზრდას, ასე რომ, ფერმერის შემოსავალი არის მუდმივი სიდიდე (რომელიც ტოლია პროდუქციის ერთეულის ფასის ნამრავლის მის რაოდენობაზე). მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხვედით ჩანს, რომ ფერმერი იმყოფება *ორივე სახის რისკის ქვეშ* – როგორც საფსებ, ისე როგორც რისკის (მოუსავლიანობის რისკი), შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთობლივი შემოსავალი დონის თვალსაზრისით ფერმერს არავითარი რისკი არ გააჩნია. ფერმერის ცდამ ფსებების რყევების რისკის მსკირებში თვალსაზრისით შეიძლება მოგვეცეს უკუ ეფექტი – შეიძლება გაზარდოს მისი ერთობლივი შემოსავლის სიდიდესთან დაკავშირებით განუსაზღვრელობა.

რისკის სახეების უფრო ეფექტიანი გამოვლენისათვის ძაიან სასარგებლოა გაკეთდეს სია, სადაც ჩამოთვლილი იქნება მოცემული ორგანიზაციისათვის რისკის ყველა პოტენციური სახეები და მათ შორის კავშირები. თუკი ჩვენ საქმე გვაქვს კომპანიებთან, შეიძლება დაგვიჩვენოს მთელი დარგის შესახებ დაწვრილებული ცნობები, სადაც ფუნქციონირებს მოცემული კომპანია, აგრეთვე ცნობები ტექნოლოგიებზე, რომლითაც სარგებლობენ კომპანიები, ზათ მიმწოდებლებზე და ა.შ.

რისკის შეფასება

რისკის შეფასება (risk assessment) – ეს დანახარჯების რაოდენობრივი განსაზღვრაა, რომელიც დაკავშირებულია რისკის სახეებთან, რომლებიც გამოვლინდა ისკის მართვის პირველ ეტაპზე. მაგალითის სახით განვიხილოთ ახალგაზრდა მარტოხელა ქალი, რომელიც ცხ-ცხ არის დაამთავრა კოლეჯი და დაიწყო შრომითი საქმიანობა. კოლეჯში სწავლის პერიოდში ის დაზღვეულია იქნა მშობლების მიერ ავადმყოფობაზე, მაგრამ ამჟამად მას ასეთი ჩაზღვევა არ გააჩნია. ამიტომ ის ავადმყოფობა თვლის რისკის ყველაზე მნიშვნელოვან სახედ. იმსათვის, რომ შევფასოთ რისკის ან სახის მიმართ მისი მიდრეკილება, საჭიროა ინფორმაცია, როგორია ალბათობა იმისა, რომ ის შერიოხულად დაავადდეს მის ასაკში და მისი ჯანმრთელობის არებული მდგომარეობის შემთხვევაში? რამდენი დაჯდება მკურნალობა?

ბუნებრივია, გვეზრდება შესაბამისი ცნობა და ის რომ მივღოთ, მოდგივიწვს გარკვეული ხარჯის გაცემა. ამგვარი ინფორმაციის წარმოდგენა – სადაზღვეო კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ამით დაკავებულია *აქტუარი* (სადაზღვეო საოკადროების სტატისტიკის) – პროფესიონალი, რომელსაც გააჩნია სპეციალური განათლება მათგმარებისა და სტატისტიკის სფე-

როში. ის აგროვებს და აანალიზებს მონაცემებს და აფასებს დაავადების, უბედური შემთხვევების და სხვა მსგავსი რისკების ალბათობას.

რაც შეეხება ფინანსურ აქტივებში ინვესტიციებს, საოჯახო მეურნეობებსა და კომპანიებს ხშირად სჭირდებათ ექსპერტის კონსულტაციები, რომელიც საშუალებას იძლევა დაეაზუსტონ მათი მიდრეკილება ამა თუ იმ რისკისადმი და რაოდენობრივად გამოესახოს თანაფარდობა რისკებსა და ინვესტიციებისგან შემოსავლების შორის აქტივების სხვადასხვა კატეგორიებში, მაგალითად აქტივებში ან ობლიგაციებში. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ, მიმართავენ პროფესიონალ კონსულტანტებს ინვესტიციების სფეროში, სასესიო ფონდებში და სხვა ფინანსურ შუამავლებს ან სხვა ფორმებში, რომლებიც თავაზობენ ფინანსურ მომსახურებას და ეხმარებიან კლიენტებს რისკების მართებულად შეფასებაში.

რისკის მართვის ხერხების არჩევა

რისკის შესამცირებლად არსებობს ოთხი ძირითადი ხერხი რისკის მართვისა (risk-management techniques).

- რისკის თავიდან აცილება
- ზარალის აცილება
- რისკის საკუთარ თავზე მიღება
- რისკის გადატანა

ახლა დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- **რისკის თავიდან აცილება (risk avoidance)** – ეს არის შეგნებული გადაწყვეტილება იმისათვის, რათა არ აღმოენდეთ რისკის ქვეშ. ადამიანს შეუძლია თავიდან აუცილოს რისკი, რომელიც უკავშირდება რაიმე პროფესიას ან რომელიმე კომპანიაში სამუშაოს, შეიძლება თავი აარიდოს წარმოების გარკვეულ დარგებში მუშაობას, თუ ის მისთვის მეტიცაა, რისკიანია. მაგრამ რისკის არიდება ყოველთვის როდია შესაძლებელი. მაგალითად, თითოეული ადამიანი იმყოფება დაავადების რისკის ქვეშ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია, ნებისმიერი ადამიანი კი ასე თუ ისე ავადდება. ამგვარად, ეს გარდაუვალია.

ზარალის აცილება (Loss prevention and control) – დაიყვანება მოქმედებამდე, რომელიც მინიმალურად დაზარალებს ალბათობის შესამცირებლად და მისი შედეგების მინიმიზაციისათვის. ასეთი მოქმედება შეიძლება გამოყენებული იქნას მანამდე, ვიდრე ზარალი მიადგება, ზარალის მიყენების დროს და მას შემდეგაც, როცა ზარალი მიადგება. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ შეატყობოთ დაავადების რისკი, თუკი კარგად იკვებებით, საკმარისად გაძინავთ, არ ეწეით სივარტეს და შორს გიჭირათ თავი მათგან, რომლებიც უკვე დაავადდნენ გრიპით. თუკი თქვენ მაინც გაცივდით და სურდო შეგეყარათ, შეგიძლიათ გადახვიდეთ წოლით რეჟიმში და ამით მინიმუმადე დაიყვანოთ იმის ალბათობა, რომ თქვენი ავადმყოფობა არ გადაიზარდოს ფლტეების ანთებაში.

- **რისკის საკუთარ თავზე მიღება (risk retention)** მდგომარეობს ზარალის დაფარვაში საკუთარი რესურსების ხარჯზე. ზოგჯერ ეს ხდება თავისთავად, მაგალითად, როდესაც ადამიანი არ ეჭობს რისკის არსებობას ან არ აქცევს მას ყურადღებას. ხდება შემთხვევებიც, როდესაც ადამიანები შეგნებულად მიდიან რისკზე. კერძოდ, ზოგიერთნი უარს ამბობენ სამედისონ დაზღვევაზე და უპირატესობას ანიჭებენ ავადმყოფობის შემთხვევაში მკურნალობას შეუირონ გამოყვებულ თანხის ნაწილს. ოჯახების გამაფრთხილებელი დაზღვევა – დანახარჯების შესუსტების ერთ-ერთი საშუალებაა რისკის მიღებასთან დაკავშირებით.
- **რისკის გადატანა (risk transfer)** მდგომარეობს რისკის სხვა პირებზე გადატანაში. რისკიანი ფასიანი ქაღალდების ვინჩებზე მთიდება და სადაზღვევო პოლისის შექმნა – რისკის მართვის ამგვარი სტრატეგიის მაგალითებია. სხვა მაგალითით:ქვეშ არ მიმართავთ არავითარ ქმედებას რისკის ასარიდებლად და იმედოვნებთ, რომ მიყენებული ზარალი დაიფარება ვიდაციის ხარჯზე.

რისკის გადატანა სრულდება სამი ძირითადი მეთოდის დახმარებით: პედჯირებით, დაზღვევითა და დივერსიფიკაციით. ჩვენ მათ ქვეშით დაუბრუნდებით.

არჩეული ხერხების რეალიზაცია

იმის შემდეგ, რაც განხორციელდება რისკის გამოფენა, უნდა გადავიდეთ არჩეული ხერხების რეალიზაციაზე. მთავარი პრინციპი, რომელიც უნდა დაეიცავოს რისკის მართვის ამ ეტაპზე, დაიყვანება მოქმედების არჩეული კურსის სარეალიზაციოდ გაწეული დანახარჯების მინიმიზაციაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი გადაწყვიტეთ სამედიცინო დაზღვევის შექმნა ავადმყოფობის შემთხვევისათვის, უნდა იპოვოთ სადაზღვევო კომპანია, რომლის მომსახურებაც იაფი დაჯავდებათ.

თუკი გადაწყვიტოთ ფულის დაბანდება აქციების ყიდვაში, მაშინ უნდა შეადაროთ ერთმანეთს თუ ვისი მომსახურება დაეჯდებათ უფრო იაფად – სასესხო ფონდების მართვის კომპანიისა თუ ბროკერისა.

შედეგების შეფასება

რისკის მართვა – დინამიური პროცესია უკუ კავშირებით, რომლის დროსაც მიღებული გადაწყვეტილებები პერსონალად უნდა გაანალიზდეს და გადაისინჯოს. დრო მიდის, ეთარება იცვლება და მოაქვს ცვლილებები: წარმოიშობა ახალი სახის რისკები, ან ახალი ცნობები არსებული სახის რისკებზე. ან თუნდაც იაფდება რისკის მართვის სტრატეგია. მაგალითად, იყავით რა მარტოხელა ადამიანი, გადაწყვიტეთ უარი თქვათ სიცოცხლის დასაღვევზე, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, თქვენ დაოჯახდით და გაუარესდა ბავშვები – ამაზე კი მიგიყვანათ გადაწყვეტილების შეცვლა ან თქვენ ღებულობთ გადაწყვეტილებას შეცვალოთ აქციებში დაბანდებული თქვენი საინვესტიციო პორტფელის წილი.

რისკის ბადატანის სამი სფერო

რისკის მართვის ოთხ ხერხს შორის, რომელიც შემოთავაზებდა ჩამოთვლილი, რისკის ნაწილის ან მთელი რისკის გადატანა სხვა პირებზე მიეკუთვნება რისკის იმ სახეებს, სადაც ფინანსური სისტემა თამაშობს ყველაზე დიდ როლს. რისკის გადატანის ყველაზე მთავარი მეთოდი – ესაა უბრალოდ აქტივების გაყიდვა, რომელიც წარმოადგენს მის წყაროს. მაგალითად, სახლის მფლობელი იმყოფება, მინიმუმ, სამი რისკის ქვეშ: ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და უძრავ ქონებაზე ფასების შესაძლო დაცემის. სახლის გაყიდვით მისი მფლობელი თავიდან იცილებს სამივე სახის რისკს.

მაგრამ დაუფრთხა, რომ ვიღაცას არ შეუძლია ან არ სურს რისკიანი აქტივების გაყიდვა. ასეთ სიტუაციაში ასევე შეიძლება ემართოს რისკის ეს სახეები, ოღონდ სხვა მეთოდებით. მაგალითად, თუ სახლის მფლობელი თავს ირველებს ხანძრისგან და სტიქიური უბედურებისაგან, მაშინ ის საკუთარ თავზე დატოვებს მხოლოდ უძრავ ქონებაზე ფასების დაცემის რისკს.

ანსხეაებენ რისკის გადატანის სამ მეთოდს, რომლებსაც უკოდებენ რისკის გადატანის სამ სტრატეგიას: ესენია პუდრირება, დასაღვევა და დივერსიფიკაცია. ამ ხერხებიდან თითოეული განხილულია და ილუსტრირებული იქნება ამ თავის ბოლოს.

პუდრირება

რისკის პუდრირებაზე (hedging) საუბრობენ იმ შემთხვევებში, როდესაც მოქმედება, რომელსაც მიმართავენ დანაჯარგის რისკის შესამცირებლად, ერთდროულად იწვევს შემოსავლების მიღების შეუძლებლობასაც. მაგალითად, თუკი ფერმერი ჰყიდის მომავალი მოსავლის მარკეტულულ ფიქსირებული ფასით, რითაც მას სურს თავი აარილოს ფასების შემცირებას, ის ამით უარს ამბობს დამატებით შემოსავლის მიღების შესაძლებლობაზეც, თუკი მოსავლის ადების მომენტში მარკეტულულ ფასები გაიზრდება. ფერმერი ახდენს მარკეტულულზე საფასურ რისკისადმი მიდრეკილების პუდრირებას. თუკი თქვენ გამოიწერეთ უწინააღმდეგო არა ერთი, არამედ სამი წლით, თქვენ თავს ირვევთ გამოიწერაზე შესაძლო ფასების ზრდისაგან. თქვენ თავიდან იცილებთ დანაჯარგების რისკს, რომელიც შესაძლოა მოგადგეთ გამოიწერაზე ფასების ზრდის შემთხვევაში, მაგრამ არაფერს მოიგებთ, თუკი გამოიწერა გაიფუტება.

დასაღვევა

დასაღვევა გულისხმობს სადასაღვევო ანარიცხების, ანუ პრემიის (premium) გადახდას (ფასი, რომელსაც იხდით დასაღვევზე) დანაჯარგების თავიდან აცილების მიზნით. სადასაღვევო პოლისის შექმნით, თქვენ თანამდებობს გარანტირებული დანახარჯების გაწევაზე (სადასაღვევო ანარიცხების, რომელიც გადაიხდება პოლისზე) დასაღვევის არარსებობის შემთხვევაში გაცილებით მეტი ზარალის განცდის სანაცვლოდ. მაგალითად, ავტომობილის ყიდვის შემთხვევაში თქვენ თითქმის აუცილებლად შეიტანთ დასაღვევის სახეობის ავტო-კრედიტ, უბედური შემთხვევის, ავტომობილის გატაცების ან სხეულის დაზიანების შემთხვევისათვის, რომელიც შეიძლება მოგადგეთ თქვენ ან სხვა ვინმეს ავარიის შედეგად. აშშ-ში დღეისათვის სადასაღვევო ანარიცხი შეიძლება უტოლდებოდეს 1000 დოლარს. ამ თანხის გადახდით, თქვენ ერთი წლით დასაღვევო ხარის შესაძლო ზარალისაგან, რომელიც შეიძლება განიცადოთ გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში, 1000 დოლარის ოდენობის გარანტირებული ხარჯები ცვლის გაცილებით მეტი ოდენობის დანახარჯების ალბათობას, რომელმაც შეიძლება ასობით ათასი დოლარი შეადგინოს.

ჰედჯირებისა და დასაყვების შორის არსებობს ფუნდამენტური განსხვავება. ჰედჯირების შემთხვევაში თქვენ ახდენთ დაზარალების რისკის აღმოფხვრას, ამაღროულად უარს ამბობთ შემოსავლის მიღების შესაძლებლობაზე. დასაყვების შემთხვევაში თქვენ იხდით სადასაყვედ შენატანებს, რითაც ახდენთ დაზარალების რისკის აღმოფხვრას, მაგრამ *ინარჩუნებთ* შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

დაეუშვათ, რომ თქვენ ცხოვრობთ აშშ-ში და ფლობთ ფირმას, რომელიც დაკავებულია ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებით. თქვენთვის ცნობილია, რომ ერთი თვის შემდეგ მიიღებთ 100000 ევროს. დღეისათვის 1 ევრო 1.3 დოლარია, მაგრამ როგორი იქნება კურსი ერთი თვის შემდეგ, თქვენთვის უცნობია. შესაბამისად, თქვენთვის არსებობს საკურორსო რისკი.

ამ რისკის აღმოსაფხვრელად შეიძლება გამოიყენებოდეს ჰედჯირებაც და დასაყვედაც. ჰედჯირება გულისხმობს, რომ თქვენ ამჟამად დებთ კონტრაქტს 100000 ევროს დაყიდაზე ფიქსირებული ფასით, ეთქვას, 1.3 დოლარად თვის ბოლოსათვის. კონტრაქტის დადგმა, რომელიც გიცავთ ევროს კურსის დაცემისაგან, თქვენ არაფერი გიჯდებათ, მაგრამ გერთმეათ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, თუკი თვის განმავლობაში ევროს კურსი გაიზარდება.

მეორე ვარიანტი: თქვენ შეგიძლიათ თაყი დაიხდით ევროს კურსის შემცირებისაგან, თუკი ამჟამად გადაახდით ოკციონ „უთ“-ზე სადასაყვედ შენატანს, რომელიც უფლებას გაძლევთ (მაგრამ არ გავადიდებულეთ) გაყიდოთ თქვენი 100000 ევრო 1.3 დოლარად ერთი თვის განმავლობაში. თუკი ევროს კურსი დაეცემა 1.3 დოლარზე დაბლა, თქვენ დანაკარგს არ განიცდით, რადგანაც თვის განმავლობაში შეგაძლებათ გამოიყენოთ თქვენი ოკციონი „უთ“ და გაყიდოთ ევროები 1.3 დოლარად. მაგრამ თუკი ევროს კურსი გაიზარდება, თქვენ შეგიძლებათ დაყიდოთ თქვენი 100000 ევრო უფრო ძვირად და ამგვარად, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

დივერსიფიკაცია

დივერსიფიკაცია (diversifying) გამოიხატება მრავალი რისკიანი აქტივების ფლობით მათ შორის რომელიმე აქტივში მთელი კაპიტალდაზანდების კონცენტრაციის მაგვირად. ამიტომ, დივერსიფიკაცია ზღვრავს თქვენს მიდრეკილებას რისკისადმი, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე ერთი სახის აქტივთან.

მაგალითად, განვიხილოთ რისკების დივერსიფიკაცია ბიზნესის სფეროში. დაეუშვათ, რომ თქვენ იხრებთ ბიოტექნოლოგიაში 100000 დოლარის დასაბანდებლად, რადგანაც თვლით, რომ გენურ ინვესტირებაზე დაფუძნებული ახალი პრეპარატების გამოჩენა დაკავშირებულია დიდი შემოსავლის მიღების შესაძლებლობასთან უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში. თუკი თქვენ დააბანდებთ 100000 დოლარს მხოლოდ და მხოლოდ ერთ კომპანიაში, რომელიც იმუშავებს ახალ პრეპარატს, მაშინ თქვენი ინვესტიციები ბიოტექნოლოგიაში კონცენტრირდება და არა დივერსიფიცირდება.

დაბანდების დივერსიფიკაცია შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ინვესტორის მიერ როგორც საფანდო ბაზარზე (დამოუკიდებლად ან ფინანსური შუამავლების დახმარებით), ასევე პირდაპირი ინვესტიციების დახმარებით. აი როგორ შეგიძლიათ თქვენი ინვესტიციების დივერსიფიცირება ბიოტექნოლოგიაში.

- მოახდინოთ ინვესტირება რამდენიმე კომპანიაში, საიდანაც თითოეული აწარმოებს მხოლოდ ერთ ახალ პრეპარატს.
- მოახდინოთ ინვესტირება ერთ კომპანიაში, რომელიც აწარმოებს მრავალ სხვადასხვა პრეპარატს.
- მოახდინოთ ინვესტირება სასესო ფონდში, რომელიც ფლობს ახალი პრეპარატების გაშვებები მრავალი კომპანიის აქტივებს.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ამცირებს დივერსიფიკაცია თქვენს რისკს. საამისოდ შევადაროთ ორი სიტუაცია: პირველში თქვენ დაბანდეთ 100000 დოლარი ერთი ახალი პრეპარატის შემუშავებაში, ხოლო მეორეში – 50000 დოლარი ორი სხვადასხვა პრეპარატის შემუშავებაში. დაეუშვათ, რომ ორივე სიტუაციაში წარმატების შემთხვევაში თქვენ მიიღებთ ოთხჯერ მეტს, ვიდრე დაბანდეთ, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში დაკარგავთ მთლიანად ინვესტირებულ თანხას. მაშინ, ერთდერითი პრეპარატის შემუშავებაში 100000 დოლარის დაბანდებით თქვენ მიიღებთ ან 400000 დოლარს, ან საერთოდ არაფერს.

თუკი თქვენ მოახდინოთ თქვენი დაბანდების დივერსიფიკირება ორ პრეპარატში 50000 დოლარის ოდენობის ინვესტირებით, მაშინ შედეგი პრინციპში არ იქნება განსხვავებული პირველი სიტუაციისაგან – თქვენ ან მიიღებთ 400000 დოლარს, ან არაფერს (თუკი წარუმატებლობა დაემუქრება

⁶ ოკციონი „უთ“ ფასიანი ქაღალდის სახეა, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს გაყიდოს ზოგიერთი აქტივი ფიქსირებული ფასით, რომელსაც ეწოდება ოკციონის აღსრულების ფასი, რომელიც ვარკვეულ ვადაში ან განამდებ.

ორივე პრეპარატის შემუშავებაზედაც). თუმცა აქ არსებობს განსაზღვრული, დაუშვებო, საშუალო ალბათობა იმისა, რომ წარუმატებელი იქნება ერთი პრეპარატი, ხოლო მეორე მაინც მიადგენს წარმატებას. მოვლენების ამგვარი განვითარების შედეგად თქვენ მიიღებთ 200000 დოლარს (სხვა სიტუაციებში რომ ვთქვათ, 50000 დოლარის ოდენობის თანხა, რომელიც თქვენ დაბანდებულ წარმატებულ პრეპარატში, გაიზარდება ოთხჯერ, ხოლო ფული, რომელიც დაბანდებულია მეორე პრეპარატში - დღეიკარგება).

დივერსიფიკაცია არ ამცირებს თქვენს რისკს, თუკი ორივე პრეპარატი, რომლებშიც თქვენ დაბანდებულ ფული, ან ერთად მიღწევენ წარმატებას, ან ორივე ერთად წარუმატებელი იქნება. სხვა სიტუაციებში რომ ვთქვათ, თუკი ორი პრეპარატის სიტუაციასთან არავითარი შანსი არ არსებობს, მაშინ თქვენთვის რისკის თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ იქნება დაბანდებულ ყველა 100000 დოლარს ერთ პრეპარატში თუ გაანაწილებთ ამათხანს ორს შორის. მაშინ იარსებებს მხოლოდ ორი შესაძლო შედეგი მოვლენისა - თქვენ ან მიიღებთ 400000 დოლარს (წარმატებულ პრეპარატის შემუშავებიდან), ან დაკარგავთ მოლიანად დაბანდებულ თანხას (რამდენადაც ორივე პრეპარატი იქნება წარუმატებელი). ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ კომბირებული წარმატების რისკი პრეპარატებიდან თითოეულიც ისეთივე კორელაციურად (*perfectly correlated*) დამოკიდებულებასთან ერთმანეთთან. იმისათვის, რომ დივერსიფიკაციამ შეამციროს თქვენი რისკი, ეს ორი რისკი მოლიანად არ უნდა იყოს ერთმანეთთან კორელაციურ დამოკიდებულებაში.

დივერსიფიკაციის შეუძლებელია გაუმჯობესოს საოჯახო მეურნეობის კეთილდღეობა ნებისმიერი რისკიანი გარიგების საშუალოების შემცირებით, რომელიც ხდება ყოველ ოჯახში. თუმცა დივერსიფიკაცია თავისთავად არ ამცირებს მოვლენების განვითარების საერთო განუსაზღვრელობას. სხვა სიტუაციებში რომ ვთქვათ, თუკი ყოველ წელიწადს იქნება 1000 ახალი პრეპარატი, ერთობლივი განსაზღვრელობა იმასთან დაკავშირებით, თუ მათგან რამდენი აღმოჩნდება კომერციულად მოგებებიანი, არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა დონეზე გჭვინებთ პრეპარატების წარმატებაში ფარმაცევტული კომპანიის აქციონერები. თუმცა დივერსიფიკაცია ამცირებს განუსაზღვრელობის არაპასურველ გაუმჯობეს ოჯახის კეთილდღეობაზე.

ინვესტირების მიერ დივერსიფიკირებული დაბანდებით მიღებული მოგების სიდიდეების ex post (მოხდენის შემდეგ) შედარებისას, ასევე მათ მიერ მიღებული მოგების შედარებისას, ვინც დივერსიფიკაცია არ მოახდინა, ელინდება, რომ ყველაზე მსხვილი შემოსაღლები მიიღეს მეორე ჯგუფის წარმომადგენლებმა. მაგრამ მათ შორის მეტია მათი რიცხვით, რომლებმაც განიცადეს ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკარგები. თუკი თქვენ მოახდინებთ ინვესტიციის დივერსიფიკაცია, მაშინ ორივე ჯგუფში თქვენი მოხდენის შანსი მცირდება.

მოდით შევიჩინოთ ამ პუნქტზე დაუბრუნდეთ ახალი სამედიცინო პრეპარატების შემუშავებაში ინვესტიციების მაგალითი. ყოველ წარმატებულ პრეპარატში დაბანდებულზე თქვენ ვლგებლობთ თავდაპირველი თანხის ოთხმაჯ ზრდას; მაგრამ თუკი პრეპარატი წარუმატებელი აღმოჩნდა, თქვენ კარგავთ ყველაფერს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი თქვენ მოახდინებთ თქვენი ინვესტიციის (100000 დოლ.) კონცენტრირება ერთადერთ პრეპარატში, მაშინ ან მიიღებთ 400000 დოლარს, ან საერთოდ არაფერს.

განვიხილოთ ორი ინვესტიორი, რომელთაგან თითოეულმა მოახდინა 100000 დოლარის ინვესტირება ერთადერთ ახალ პრეპარატში. პირველი ინვესტიორი ფულს აბანდებს A პრეპარატში, მეორე ინვესტიორი - B პრეპარატში. მესამე ინვესტიორი აბანდებს თანხის ნახევარს A პრეპარატში, ნახევარს კი - B პრეპარატში.

დავუშვათ, პრეპარატი A აღმოჩნდა წარმატებული, ხოლო პრეპარატი B - არა. ამ შემთხვევაში პირველი ინვესტიორი ვლგებლობს 400000 დოლარს. საესებთი შესაძლებელია, რომ კაპიტალის ასეთმა ზრდამ მას მოუტანოს „გუნიალური შორსმჭერტელის“ დიდება. მეორე ინვესტიორს, ბუნებრივად, „უგუნურად“ ჩათვლიან იმის გამო, რომ მან ესოდენ წარუმატებლად დაბანდა თავისი კაპიტალი და დაკარგა. ახლა ვთავაზობთ, რომ პრეპარატი A-ს შემუშავება ჩაიფუშა, მაგრამ პრეპარატ B-ს წარმატებას გადააჭარბა ყველა მოლოდინს. ასეთ შემთხვევაში პირველი და მეორე ინვესტიორი როლებს შეცვლიან, ხოლო მესამე ინვესტიორი, რომელიც მიმდევარია დივერსიფიკაციას, მიიღებებს ნებისმიერი დასრულების შემთხვევაში „სულ რაღაც“ 200000 დოლარს და, ამგვარად, აღწევს „საშუალო“ შედეგებს.

რა თქმა უნდა, თითოეულს ძალიან სურს მოხსნას დიდი თანხა და სახელი გაითქვას, როგორც გენიოსმა. მაგრამ საამისოდ საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ex ante (ვარაუდებზე დაყრდნობით), რომლის შედეგი იქნება ან დიდი შემოსავალი, ან დიდი დანაკარგი ex post. შესაძლებელია, მაინც უკეთესი იყოს რომელიც საშუალო ვარიანტის არჩევა.

ასეთი მიდგომა ცხადაზე უცხადესია და მაინც, ადამიანები ჩვეულებისამებრ, ახდენენ მის იგნორირებას. წარმატება ხშირად განიპრატება, როგორც უშაღვლი პროფესიონალიზმი. ცნობები ინვესტიორების არაბუნებრივ წარმატებებზე, რომლებმაც არ მოახდინეს თვითნაირი დაბანდებები დივერსიფიკაცია, არამედ კონცენტრირება მოახდინეს ერთი რომელიმე კორპორაციის აქციებში, მაინც

იშვითად ჩნდება პრესაში. არ არის გამორიცხული, რომ ნამდვილად საინვესტიციო ბიზნესის განსახად გეპროდეს საქმე, მაგრამ მაინც უფრო საკარაოდოა, რომ მათ უბრალოდ გაუმართლდათ.

აგრეთვე იშვითად გეხვდება ისტორიები ინვესტორებზეც, რომლებმაც განიცადეს ძალიან დიდი წარმატება და რომლებიც უგუნურებოდ წავიდნენ იმ მიზნის გამო, რომ მათ არ აირჩიეს მაქსიმალური შემოსავლის მომტანი აქციები. აქ უფრო მართებული იქნება კრიტიკა იმის გამო, რომ მათ არ მოახდინეს თავიანთი დაბანდების დივერსიფიკაცია.

რისკის მაგალტანა და მკონრომიპური მშმძტინრობა

რისკის გადატანის ინსტიტუციონალური მექანიზმები ამაღლებენ ეკონომიკის საერთო ეფექტიანობას ორი ძირითადი ხერხით – ისინი საშუალებას იძლევიან გადაეცეს არსებული რისკი მათ, რომლებსაც სურთ მისი მიღება და იყვევენ რესურსების განაწილებას წარმოებისა და მოხმარების სფეროში რისკის ახალი განაწილების შესაბამისად. თავაზობს რა ადამიანებს შესაძლებლობას შეამკრონ თავიანთი მიდრეკილება რისკის მიმართ სხვადასხვა სახის ბიზნესით დეკაებისას, ისინი უნარიაინა მოახდინონ სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურება, რომელიც თავისთავად სასარგებლოა საზოგადოებისათვის. ახლა განვიხილოთ ინსტიტუციური მექანიზმების სამივე სახე უფრო დაწერილებით.

არსებული რისკის ეფექტიანი მიღება

თავდაპირველად გაეარკიოთ ის, თუ რისკის განაწილების შესაძლებლობა ადამიანთა შორის როგორ შეიძლება მათთვის სასარგებლო აღმოჩნდეს. განვიხილოთ კიბოტუბური შემთხვევა ორი ინვესტორით სრულად სხვადასხვა ეკონომიკურ სიტუაციაში. პირველი ინვესტორი – პენსიაზე მყოფი ქერიაი, რომელსაც გააჩნია დანაზოგები 100000 დოლარის ოდენობით; ეს მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. მეორე ინვესტორი – კოლეჯის სტუდენტი, რომელსაც გააჩნია თანხა 100000 დოლარის ოდენობით და რომელიც იმდროებებს კარგ ანაზღაურებას კოლეჯის დამთავრების შემდეგ.

ჩვეულებრივ ითვლება, რომ ქერიაი – უფრო კონსერვატიული ინვესტორია, ხოლო სტუდენტი კი – უფრო აგრესიული. სხვა მიხედვით რომ ეუქათ, უნდა ევლოდ, რომ შედეგი დინტერესებულთა უპირველეს ყოვლისა საკუტარი ინვესტიციებისგან შემოსავლების უსაფრთხოებით; სტუდენტისაგან შეიძლება ევლოდოთ, რომ ის სიამოუნებით წავა რისკზე, რომელიც იმდროებებს უფრო მაღალ შემოსავლიანობას.

დაეუქათ, რომ ქერიაი მოცემულ დროში ფლობს მთელ თავის დანაზოგებს საინვესტიციო პორტფელის ფორმით, რომელიც მას მემკიდრებით დარჩა ახლახანს გარდაცვილი მუდლისაგან, ხოლო სტუდენტის მთელ ქონებას შეადგენს საბანკო დეპოზიტიური სერტიფიკატი, რომელიც მას მშობლებისაგან მიიღო რამდენიმე წლის წინათ. ორივესთვის მომგებიანი იქნებოდა ცაცალონ ერთმანეთში თავიანთი აქციები, რათა ქერიას დარჩეს დეპოზიტიური სერტიფიკატი, ხოლო სტუდენტს – აქციათა პორტფელი.

ფინანსური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა უბრუნელოდ რისკის გადატანის ასეთი სახე. ის მოცემულ შემთხვევაში შეიძლება შევასრულოთ, კრძოდ, შემდგნარად: ქერიაი უბრალოდ ჰყიდის თავის აქციებს, ხოლო სტუდენტი ყიდულობს მას. ჩვეულებისამებრ, ამ პროცესში მონაწილეობს რამდენიმე ფინანსური შუამავალი. მაგალითად, ქერიას თავისი აქციები გააჩნია რომელიც საბროკერო კანტორის ანგარიშზე. ის ბროკერს აძლევს განკარგულებას გაყიდვის ეს აქციები და ამ გარიგებიდან მიღებული ამონაგები დააბანდოს საბანკო დეპოზიტიურ სერტიფიკატში. თავის მხრივ, სტუდენტი მაყიდის ბანკს საკუთარ დეპოზიტიურ სერტიფიკატს და ყიდულობს აქციებს თავისი ბროკერის მეშვეობით.

ოპერაციების ამგვარი თანამიმდევრობის დროს არ ხდება ორივე მონაწილის ფინანსურ მდგომარეობაში დაუყოვნებელი ცვილებები, რადგანაც გარიგების ორივე მონაწილემ უნდა აანაზღაუროს ოპერაციების შესრულების ღირებულება (ე.ი. ბროკერის მომსახურება და ბანკის საკომისიო). სტუდენტსაც და ქერიასაც გააჩნდათ აქციები 100000 დოლარის ოდენობით თითოეულს და მაშინათვე გარიგების შემდეგაც თითოეულს გააჩნია იგივე თანხა (იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მოხმარდა ბროკერის მომსახურებას და ბანკის საკომისიოს გადახდას). ეს ოპერაციები განხორციელდა ერთადერთი მიზნით (და მოცემულ ერთადერთი შედეგით) – თითოეულ მხარეს მიეცა შესაძლებლობა მიეღოთ ინვესტიციების ისეთი პორტფელი, რომელშიც რისკი და მოსალოდნელი შემოსავლიანობა თითოეული მხარის თვალსაზრისით ერთმანეთს ყველაზე საუკეთესოდ ეხამება.

რისკისა და რესურსების განაწილება

ახლა მოდით განვიხილოთ რისკის გადანაწილების შესაძლებლობა თუ როგორ ამარტივებს მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზაციას, რომლებიც სხვა შემთხვევაში არ შეიძლება განხორციელდებოდა იმის გამო, რომ ძალიან სარისკოა. რისკების გაერთიანებისა და დაყოფის შესაძლებლობას მიყვართ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აქტიუზაციასთან და ახალი სახის საქონლების შექმნასთან.

განვიხილოთ ახალი ფარმაცევტული პრეპარატის შექმნის მაგალითი. ახალი წამლის შემუშავება, ტესტირება და წარმოება დაიბნობს უსარმაზარ ინვესტიციებს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.⁷ ასეთი ინვესტიციების შემოსავლიანობა უკიდურესად განუსაზღვრელია. ინდივიდუალურ ინვესტორს რომც ქონდეს საშუალებები, რომლებიც აუცილებელია ახალი მედიკამენტის შესაქმნელად, რისკის არიდებამ შესაძლოა ის ცდისაგან შეაკავოს მიჰქის ამ საქმეს ხელი მართო.

მოიყვანოთ უფრო კონკრეტული მაგალითი. დავეშვათ, რომ რომელიმე მეცნიერმა აღმოაჩინა ახალი საშუალება გაციეების წინააღმდეგ საბრძოლველად. შემუსავების, ტესტირებისა და წარმოებისათვის მას სჭირდება მილიონი დოლარი. მაგრამ მოცემულ სტადიაზე ნაკლებად საეკონომიკოა, რომ ამ პრეპარატმა მიადლოს კომერციულ წარმატებას. მეცნიერს საბანკო ანგარიშზე რომც ქონდეს საჭირო მილიონი, მან შესაძლოა, არც ისურვეს ასეთი თანხით გარისკვა და მიხი მთლიანად დაბანდებდა ახალ მედიკამენტში. ამის მაგივრად მას შეუძლია დააარსოს კომპანია ახალი მედიკამენტური პრეპარატის შესამუშევრებლად და მოიწვიოს სხვა ინვესტორები რისკისა და პოტენციური შემოსავლების გასანაწილებლად, რომელიც უკავშირდება მის აღმოცენას.

რისკიანი ინვესტიციების სრულყოფა იოლდება არა მარტო რისკის გაერთიანებითა და დანაწევრებით, არამედ რისკის მიღებაში *სუციალიზაციით*. პოტენციურ ინვესტორებს, რომლებიც აბანდებენ ფულს ამა თუ იმ წარმოებაში, შეუძლიათ სიამოვნებით წავიდნენ ერთი სახის რისკზე, მაგრამ არაერთიარ შემთხვევაში სხვაზე.

დავეშვათ, რომ სამშენებლო ფირმამ გადაწყვიტა ახალი სავაჭრო ცენტრის აშენება ქალაქის საქმიან ნაწილში. საბანკო კონსორციუმი და სხვა საკრედიტო დაწესებულებები თანახმანი არიან დააფინანსონ ეს პროექტი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ის იქნება დღევანდელი ხანმისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. კრედიტორები დებულობენ საკუთარ თავზე რისკს იმისა, რომ სავაჭრო ცენტრს შესაძლოა არ ქონდეს კომერციული წაბატება, მაგრამ მათ არ სურთ თიანისთი დაბანდებები ხანძრის რისკის ქვეშ იმყოფებოდეს. რამდენადაც არსებობენ სპეციალიზებული სადაზღვევეო კომპანიები, რომლებიც მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ ხანძრის გაიენის რისკი, ახალი სავაჭრო ცენტრის დაფინანსების მშენებლობა შესაძლებელი ხდება.

რისკის მართვის ინსტიტუტები

წარმოვიდგინოთ მსოფლიო, სადაც არსებობენ ფინანსური ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების ისეთი მრავალფეროვნება (ფასიანი ქაღალდებისა და სადაზღვევეო კონტრაქტების ბაზრის მსგავსად), რომ ადამიანებს ძალუთ თავისუფლად აირჩიონ სწორედ იმ სახის რისკი, რომლის მიღებაზეც თანახმანი არიან და ის რისკები, რომლებიცსაგანაც თავის ასარიდებლად მზად არიან. ასეთი საშააროში ჩვენ ვყელას შეგვეძლო (გარკვეული საფასურით) წავსულოყათ იმ რისკისგან თავის არიდებაზე, რომელიც დაკავშირებულია საშუაოს დაკარგვასთან ან ჩვენი საცხოვრებლის საბაზრო ღირებულების შემცირებასთან. ასეთ საშაარო წარმოდგენილი იქნებოდა საზოგადოებაში რისკის ეფექტიანი გადანაწილების სფეროში ფინანსური სისტემის შესაძლებლობის აღწერის უკიდურესი თეორიული შემთხვევათი (იხ. ჩანართი 10.2).

ასწლებლების განჩაგლობაში ადამიანები ქმინდნენ სხვადასხვა ეკონომიკურ ინსტიტუტებს და იმუშაებდნენ ხელშეკრულებების ისეთ სახეებს, რომლებიც მაქსიმალურად ამსუბუქებდნენ რისკების ეფექტიანად განაწილებას როგორც დივერსიფიკაციის დიაპაზონის გაფართოების, ასევე რისკების მართვის სფეროში სპეციალიზაციის ზრდის ხარჯზე. სადაზღვევეო კომპანიები და ფინანსური ბაზრები – იმ ინსტიტუტების მაგალითებია, რომელთა პირველი და ძირითადი ფუნქცია გამოიხატება ეკონომიკური სისტემის ფარგლებში რისკის გადანაწილებისადმი დახმარებაში.

<p>ჩანართი-2</p> <p><i>ერთი სრულყოფილი დაზღვევის ბაზრების შესახებ</i></p> <p>მოდით ვივარაუდოთ, რომ გაგვანჩია შესაძლებლობა ისტორიულად ჩამოყალიბებული სადაცლოდ ეკონომიკურ სისტემას დაემატათ წყენი სურვილისამებრ ინსტიტუტები რისკის გა-</p>

⁷ ჯული ლუენტის (Judy Lewent) მონაცემებით, რომელიც Merck, Inc-ის ვიცე-პრეზიდენტია ფინანსების დარგში, იმისათვის რომ შემუშავდეს და ბაზარზე იქნას გატანილი ახალი მედიკამენტური პრეპარატი, საჭიროს 359 მლნ დოლარი და ათი წელი. ამავე დროს კომერციულ წარმატებას აღწევს ათიდან მხოლოდ სამი პრეპარატი.

დასაცემად. ჩნელი არაა წარმოედგინოთ, თუ როგორი ელემენტებისაგან შედგენილი იყენი სისტემა. ეს იქნებოდა ბაზარი, სადაც თავისუფლად შეძლებდით დაზღვევას ეკონომიკაში ნებისმიერი შესაძლო მოვლისმსგავსად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეული შესაძლებლობა ექნებოდა უცვლელი მანისსი პირობებში მისთვის სასურველი თანხა ჩადო ნებისმიერ სფეროში, რომელიც ასე თუ ისე იმოქმედებდა მის მდგომარეობაზე. განაკეთო ანუ, თუ ვისარგებლებოთ სპეციალური ტერმინოლოგიით, სადასლვეყო ანაროციხი უნდა იყოს ისეთი, როგორც სართოდ კველა ფასი, რათა მოთხოვნამ დაწარმანსწროის მიწოდება.

ასეთი სისტემების დროს შესაძლებელია გამოყოფოთ წარმოებითი საქმიანობა რისკის მიღები-საგან; ერთიად და მეორეითაც დაკავებოდნენ პროფესიონალები, რომლებიც საუკეთესოდ იქ-ნებოდნენ მომზადებულები ამისათვის.

წყარო: Kenneth Arrow, Aspects of the Theory of Risk Bearing

რისკის განაწილება – ფასიანი ქაღალდების ემისიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოსაზრებად უვლეს საფუძვლად. შემთხვევითი როლია, რომ კომპანიები უშვებენ ობლიგაციებსა და აქციებსაც – აკი ფასიანი ქაღალდების ეს ორი სახე განსხვავდებიან მათთან დაკავშირებული რისკის ხასია-თის მიხედვით. როდესაც ინვესტორები ირჩევენ მას, თუ სად მოახდინოს ინვესტირება – ობლიგა-ციაში, აქციაში თუ ორივეში ერთად – ისინი ირჩევენ რისკს, რომელზედაც თანახმაი არიან წა-ვიდნენ.

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად ამაღლდა ინოვაციათა დანერგვის ხისწრაფე, რომლების ათობლებს რისკის მართვას. ამის მიზეზია ცვლილებები, რომლებ-იც მოხდა ერთის მხრივ, მოთხოვნის სფეროში და მეორეს მხრივ, მიწოდების სფეროში რისკის გან-აწილებათთან დაკავშირებულ ბაზრებზე. ახალმა აღმოჩენებმა ტელეკომუნიკაციის, ინფორმაციის დამუშავებისა და ფინანსური თეორიის სფეროში მნიშვნელოვნად შეამცირეს უფრო მასშტაბური დივერსიფიკაციისა და სპეციალიზაციის მიღწევის დანახარჯები რისკის მიღების დროს. იმაე-დროულად საცალო კურსების, სამოცენტო განაკეთების და სასაქონლო ფასების მზარდმა ცვადაცვადობამ გაზარდა მოთხოვნა რისკების მართვის ადეკვატურ საშუალებებზე. ამგვარად, ფი-უნერსების, ოპერირებისა და სეიკების გამაღლებული და საყოველთაო განეთიარება, რომელიც დაიწყო 70-80-ანი წლებში, მნიშვნელოვანწილად შეიძლება შეიძლება აიხსნას ბაზრის რეაქციით. რისკების მართვის ინსტრუმენტების გამოყენებაზე დანახარჯების გათავებასთან ერთად ადგილი ჰქონდა მათზე მოთხოვნის ზრდას.

მაგრამ ბაზრის პოთენციური იდეალი, რომელიც სრულყოფილია მის მონაწილეებს შორის რისკის განაწილებასთან დაკავშირებით, ვერასოდეს მიიღწევა, რადგანაც რეალურ სამყაროში არ-სებობს შემსლდეველი ფაქტორების უზარმაზარი რაოდენობა, რომელთა მთლიანად დაძლევა შეუძლებელია. ორ საკენის ფაქტორს, რომელიც ზღუდავს რისკის ეფექტიანად განაწილებას, მიე-კუთვნება ოპერაციული ხარჯები (transactions costs) და ფსიქოლოგიური პრობლემები (incentive prob-lems).

ოპერაციული ხარჯები მოიცავს დაფუნებაზე და ისეთი ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე დანახარჯებს, როგორცაა სადაზღვევო კომპანიები და საფონდო ბირჟები, პლიუს დანახარჯები კონტრაქტების დადებაზე და შესრულებაზე. ეს ინსტიტუტები არ იქმნებიან მანამ, ვიდრე მათი შექმნის შედეგად ფინანსური უპირატესობანი არ გადააჭარბებს მასთან დაკავშირებულ დანახარ-ჯებს.

ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც ელოება საჭირო ინსტიტუტების შექმნას რისკის ეფექტიანი განაწილებისათვის, უპირველ ყოვლისა, მორალური რისკი და არასასურველი ორიგეა. *მორალური რისკი* (moral hazard) პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც რაიმე სახის რისკისგან დაზღვევის შექმნა დაზღვეულს აძლულებს რისკის ქვეშ ძლიერად მოქცევის ან ნაკლებად იზრუნოს იმ მოვლენების აღმკვეთი ღონისძიებების განხორციელებაზე, რომლებსაც თავი დაიზღუფა. კლიენტის შესაძლო უპასუხისმგებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ სადაზღვევო კომპანიამ არ ისურვოს ამა თუ იმ ტიპის რისკისგან დაზღვევა.

მაგალითად, თუკი საწოების მფლობელი ყიდულობს ხანძრისაგან დაზღვევას, დაზღვევის არ-სებობა შეამცირებს მის სურვილს დახარჯოს ფულადი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაში. ამ ღონისძიებათა უქმარისობა ზრდის ხანძრისაგან საწოების დაზარალების შესნესეს. კიდრეცაა შემთხვევაში საწოების მესატრონემ შეიძლება ეერ გაუძლოს ცდუნებას და თავთი ვაიანოს ხანძარ-ი საკუთარ საწოებში იმ ფულის მიღების მიზნით, რომელიც შეთანხმებულია ხელშეკრულებაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თანხა აჭარბებს საწოების საბაზრო ღირებულებას ასეთი პოტენციური უპასუხისმგებლობის გამო სადაზღვევო კომპანიების შეუძლებლობა შეანციროთ დაზღვე-ვის თანხა ან გარკვეულ ვითარებაში საერთოდ უარი თქვან სადაზღვევო პოლისის გაყიდვაზე.

ფსიქოლოგიური პრობლემის მეორე ვერსია არასასურველი არჩევის პრობლემა (adverse selec-tion): ის ადამიანები, რომლებიც ყიდულობენ რისკისგან დაზღვევას, ამ რისკის ქვეშ უფრო მეტად

იმყოფებიან, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი. განვიხილოთ, მაგალითად მუდმივი *ანუიტეტი*, ანუ *საშუალო რენტა* (life annuity), ე.ი. ფიქსირებული თანხის ყოველთვიურ გადახდაზე კონტრაქტი, რომელიც გრძელდება მაინა, ვიდრე მისი მფლობელი ცოცხალია. ომანი, რომელიც ვაჭრობს ასეთი ანუიტეტით, ვერ დააყვარდება იმ ვარაუდს, რომ ისინი, რომლებიც ყიდულობენ ამ სახის დახვეწილს. იქნებთან ისეთივე სიცოცხლის ხანგრძლივობის მქონე, როგორიც მთლიანად მოსახლეობა.

დავუშვათ, კომპანია პეიდის ანუიტეტს ადამიანებზე, რომლებიც პენსიაზე გადიან 65 წლის ასაკში. თუკი განვიხილავთ მიველ მოსახლეობას, მასში შესაძლებელია ადამიანთა სამი ჯგუფის გამოყოფა: A ტიპის ადამიანები პენსიაზე გასვლის შემდგომ ცოცხლობენ 10 წელს, B ტიპის – 15 წელი, ხოლო C ტიპისა – 20 წელი. საშუალოდ, პენსიაზე გასვლის შემდეგ ადამიანები ცოცხლობენ 15 წელიწადს. თუკი კომპანია დააწესებს ფასს ანუიტეტზე ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, რომელიც 15 წლის ტოლია, მაშინათვე გაირკვევა, რომ მის კლიენტებს შორის უმრავლესობა იქნება მხოლოდ B და C ჯგუფის წარმომადგენლები. A ჯგუფის პენსიონერები ჩათვლიან, რომ ასეთი ანუიტეტის ყიდვა მათთვის წამებინათა და რასაკვირველია, მას არ იყიან.

თუკი კომპანიას, რომელიც ანუიტეტებით ვაჭრობს, ციფრინება თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მისი პოტენციური კლიენტი – A, B თუ C ტიპის და დააწესა ფასი, რომელიც ასახავს ცხოვრების შესაბამის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, მაშინ არასასურველი არჩევს პრობლემა არ იარსებებდა. ავრამ კომპანიამ შეუძლებელია იცოდეს კლიენტის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის თაობაზე უფრო მეტი, ვიდრე თავათ კლიენტმა. თუკი დამზღვევი ვერ შეძლებს ფასის დაწესებას, რომელიც უზუსტად იქნებოდა შესაბამისი კლიენტის ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობისა, მაშინ ანუიტეტის არაპროპორციულად დიდი რაოდენობა შექნებოდა ფაქტობრივი ადამიანების მიერ, რომლებიც აპირებენ კიდევ დიდხანს ცხოვრებას. ჩვენს მაგალითში ანუიტეტის მფლობელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 17,5 წელი, რაც 2,5 წლით აღემატება მთლიანად მოსახლეობისათვის არსებულ მაჩვენებელს.

ამგვარად, თუკი ანუიტეტებით მოვაჭრე კომპანია დაემყარება სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, რომელიც გამოთვლილია მიუღიე მოსახლეობის შესახებ მონაცემების საფუძველზე და არ მოახდენს ამ მაჩვენებლის კორექტირებას (ზრდის მიმართულებით) არასასურველი არჩევს პრობლემის გადასაწყვეტად. ის განწირული იქნება ზედმიზე დანაკარგებისათვის. არ არის გასაკვირი, რომ კომპანიებს, რომლებიც მოქმედებენ ამ ბაზარზე, აწესებენ ანუიტეტზე ისეთ ფასებს, რომლებიც შედარებით არამომზღვევლია სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის მქონე კლიენტებისათვის და ეს ბაზარი მისწვნივლივრად მცირე იმაზე, როგორიც შეიძლება ის ყოველიყო არასასურველი არჩევს პრობლემის არარსებობის შემთხვევაში.

რისკის ეფექტიანად განაწილების გზაზე რეალური ბარიერების შესასწავლად და მათი გაელენის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რისკი, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი სარგებლობის ისეთი აქტივის ფლობასთან, როგორცაა ავტომობილი. ადამიანები რამდენადაც ანცირებენ ავტომობილით სარგებლობის რისკს დაზღვევის ყიდვით. არსებობს ხელშეკრულებათა მრავალი სახე, რომელიც კლიენტს აზღვევს გატაცებისგან ან დაზიანებისგან უზღვეური შემთხვევის შედეგად. მაგრამ მორალური ციყეთისაგან დაზღვევა კონტრაქტის უშუალო საგნისა, იშვიათად გეხდებოდა. სანაცვლოდ არსებობს ინსტიტუციური მექანიზმები მორალური ციყეთის რისკის შესაცირებლად. ისინი შეიძლება დავყოთ ორ დიდ კატეგორიად – *გაქირავება (renting)* და *გრძელვადიანი არწვლა, ანუ ლიზინგი (leasing)*. კონტრაქტები არწვლით გაცემასე მოიცავს ერთ წლამდე პერიოდს. კონტრაქტები გრძელვადიან არწვლასე გულისხმობს საგნებით სარგებლობას ერთ წელზე მეტი ვადით. კომპანიები, რომლებიც ავტომობილებს გაქირავენ და გრძელვადიანი არწვლით გასცემენ, საშუალებას იძლევიან კლიენტებმა ისარგებლონ ავტომობილებით მათი მოძველების რისკის გარეშე.

ავტომობილების გაქირაების მექანიზმების ფუნქციონირება საჭიროებს დანახარჯებს, ამიტომ შესაბამისი კომპანიები ყველგანარ არსებობენ. აკი ავტომობილებს გაქირაებისათვის საჭიროა საუკეთესოდ მოწყობილი გარემოებისა და ავტომობილების მომსახურების ცენტრების აშენება. ამიტომ ავტომობილების გაქირაება უფრო სწორად შეგვიძლია ვხანთ ტურისმისა და დასვენების ზონებში, სადაც მანქანების მოკლევადიან არწვლასე მოთხოვნა შედარებით მაღალია.

ავტომობილების გაქირაებისა და გრძელვადიანი არწვლის ბიზნესში არსებობს არასასურველი არჩევს პრობლემა. მძღვლები, რომელთაც უწევთ დიდი ხნით დაზღვეობა და რომელთაც არ სურთ დამოუკიდებლად ავტომობილების მომსახურება, ჩვეულებისამებრ მათ არ ყიდულობენ, არამედ ქირით ღებულობენ. ავტომობილების გაქირაებულ კომპანიებს პრაქტიკულად არ განაჩნით არამე საშუალება წინასწარ განასაღვრონ, თუ რომელი ტიპის მძღვლებს მიეკუთვნება მათო პოტენციური კლიენტი. ამიტომ, ავტომობილების გაქირაებისა და არწვლით გაცემის შეუფასების სუფრანები უნდა გამოიყენებ იქივან, რომ მათი კლიენტები უმეტესწილად ატარებენ საჯესთან კომპო დიდ დროს, ვიდრე ავტომობილის ტიპიური მფლობელი.

ავტომობილების გაქირაებისა და არწვლით გაცემის ბიზნესში ადგილი აქვს უასუსხისმგებლობის პრობლემასაც. ადამიანები, რომლებიც ამჯობინებენ არ იყიდონ ავტომობილი, არამედ იქი-

რეონ, ნაკლებად არიან დაინტერესებულნი შეინარჩუნონ ისინი კარგ მდგომარეობაში და, შესაბამისად, ნაკლებ მზრუნველობას იჩინებ მათ მიმართ, ციდრე ისინი, რომლებიც ყიდულობენ ავტომობილს საკუთარი ფულით.

ინისათვის, რათა გადაწყვიტონ არასასურველი არჩევისა და უსასუსხისმგებლობის პრობლემები, გამჭირავებელი კომპანიები ხშირად აწესებენ დამატებით სახდაურს კლიმენტრატებზე, რომელიც აჭარბებს გარკვეულ ზღვარს, ასევე ნაქირავეები მანქანის ზედმეტად ცვეთისათვის. მაგრამ იაფი საშუალებების არარსებობა ინისათვის, რათა გააკონტროლონ ყველაზე „აქირადობები“ მხოლოდები, ამ კომპანიებს აძლევს დაწავსონ უფრო მაღალი ფასები ცველასთვის, რომლებიც სარგებლობენ მათი მომსახურებით. მაითვის, რომლებიც მზრუნველობით უვლიან ავტომობილებს, მთლიანობაში უფრო მომგებიანია მისი ყიდვა და არა დაქირავება.

პორტფელური თეორია: რისკის ოპტიმალური მართვის სტრატეგიული ანალიზი

პორტფელური თეორია (portfolio theory) წარმოადგენს სტატისტიკურ ანალიზს, რომელიც ხორციელდება რისკის მართვის ოპტიმალური სტრატეგიის არჩევის მიზნით. რომელი თვალსაზრისითაც არ უნდა განვიხილოთ – საიჯაო მურნეობა, კომპანია თუ სხვა ეკონომიკური სუბიექტი, - პორტფელური თეორიის გამოყენება მდგომარეობს შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის კომპრომისის შემუშავებასა და შეფასებაში, რომელიც დაკავშირებულია რისკის შემცირებასთან, რაც აუცილებელია მოცემული სუბიექტის მოქმედების ოპტიმალური სახის განსაზღვრისათვის.

თუკი საუბარი ეხება ოჯახს, მაშინ განსაზღვრულ კრიტერიუმად გამოიყენება უპირატესობის მინიჭება მომხარებისა და რისკის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობების მინიჭება იცვლება დროთა განმავლობაში, ამ ცვლადების შექნაში მუდმივად არ განიხილება პორტფელური თეორიაში. პორტფელური თეორია ყურადღების აქცენტრირებას ახდენს იმაზე, თუ რამდენიმე უნანსური ვარიანტიდან როგორ უნდა ავირჩიოთ ისეთი ვარიანტი, რომლის შემთხვევაშიც მოხდება რომცემული პრეფერენციის მაქსიმიზაცია. მთლიანობაში, არჩევანის გაკეთების ოპტიმალური ვარიანტი გულისხმობს კომპრომისს უფრო მაღალი შემოსავლიანობის განაკეთის მიღებასა და ინვესტიციების რისკის ხარისხის ზრდას შორის.

თუმცა რისკის შემცირებისკენ მიმართული თითოეული გადაწყვეტილება სულაც არ იწვევს მოსალოდნელი შემოსავლიანობის შემცირებას არსებობს გარემოებები, რომლის დროსაც ორივე მხარეს, რომლებსაც ხელი მოაწევს კონტრაქტს რისკის გადატანაზე, შეუძლია შეამციროს საკუთარი რისკის დონე სამისოდ ზუსტად იმდენივე თანხის გადახდით, რამდენიც ჯდება კონტრაქტის იურიდიული გაფორმება. მაგალითად, სახლის მყიდველსა და გამყიდველს შეუძლიათ შეთანხმდნენ და დააწესონ სახლის ფასი კონტრაქტზე ხელმოწერის მომენტში, თუცა თითი საკუთრების უფლებების გადაცემა შედგება მხოლოდ სამი თვის შემდეგ. ასეთი შეთანხმება გვეკლებს *ფორმალური კონტრაქტის ერთ-ერთ მახვლითად*. შეთანხმდნენ რა დადონ ასეთი კონტრაქტი, ორივე მხარე თავს იძლევეს განუსაზღვრელობისაგან, რომელიც დაკავშირებულია ბინის ბაზარზე ფასების რყევებთან უახლოესი სამი თვის განმავლობაში.

ამგვარად, როდესაც საიურიდიული მხარეები ერთი და იმავე მოვლენის რისკს ღებულობენ სხვადასხვა თვალსაზრისით, ორივესთვის უკეთესია განახორციელონ რისკის გადატანა კონტრაქტის დახმარებით, ამასთან მხარეებიდან არცერთს არ მოუწევს რომენელოვანი ხარჯების დაწევა.

რისკის მართვისად დაკავშირებული გადაწყვეტილება, რომელიც არ მოხდება დანახარჯები, უფრო გამოწვევისა საერთო წესიდან, ვიდრე ნორმა. ჩვეულებრივ, რისკის ხარისხის შესაძირებლად საჭიროა საამისოდ აუცილებელია დანახარჯებისა და მიღებული სარგებლის დაბალანსება. ასეთი კომპრომისი, მართლაც, ყველაზე მეტად ეფუძნება რისკის მართვას, რომლებიც მიღებულია საიჯახო მურნეობების მიერ საკუთარი საშუალებების განაწილების თანაზე ისეთ აქტივებს შორის, როგორიცაა აქტივები. ფასინი ქაღალდები ფიქსირებული შემოსავლებით და ბნია.

პორტფელური თეორიის პირველი ფორმალური მოდელიები შემუშავებული იქნა რისკის მართვის გადაწყვეტილებათა სწორედ ამ ტიპის შესაშუშავებლად, ამ მოდელებში ინვესტიციების რისკსა და მათ მოსალოდნელ შემოსავლიანობას შორის თანაფარდობის გამოთვლად გამოიყენება ალბათობათა განაწილება (probability distributions). ფასინი ქაღალდების პორტფელის მოსალოდნელი შემოსავლიანობა განისაზღვრება, როგორც ალბათობათა განაწილების საშუალო მნიშვნელობა (mean), ხოლო რისკი კი - როგორც სტანდარტული გადახრა (standard deviation) მოსალოდნელი შემოსავლიანობის შესაძლო მნიშვნელობისა.

ეს კონცეფციები უფრო დაწვრილებით განიხილება შემდეგ ნაწილში.

² ეს მოდელი იმ მენიერის სახელს ატარებს, რომელმაც პირველმა გამოიყენა ის - ჰარი მარკოვიცი (Harry Markowitz) სახელს. მარკოვიციის პირენური სტატია სახელწოდებით "Portfolio Selection" გამოქვეყნებული იქნა Journal of Finance 1952 წელს.

შემოსავლიანობის ალბათობების განაწილება

განიხილოთ რომელიმე კომპანია Genco. დაეუშუათ, რომ თქვენ ყიდულობთ Genco Corporation-ის აქციებს 100 დოლარად ერთი აქცია და აძირებთ მის ფლობას წლის განმავლობაში. როგორც მე-2 თავში ვისაუბრეთ, შემოსავლიანობის ერთობლივი განაწილება (ანუ უბრალოთ შემოსავლიანობა) შეადგენს გამოვსახით, როგორც ორი კომპონენტის ჯამი: დივიდენდური შემოსავლიანობისა და აქციის კურსის ცვალებების შედეგად მიღებული შემოსავლიანობისა:

$$R = (\text{გადახდილი დივიდენდები/საწყისი ფასი}) + (\text{აქციის საბოლოო ფასი-საწყისი ფასი})/\text{საწყისი ფასი}$$

ჩემოსავლიანობის დივიდენდური კომპონენტი შემოსავლიანობის საფასე კომპონენტი

დაეუშუათ, Genco-ს აქციების ყიდვით იმედოვნებთ, რომ დივიდენდური კომპონენტი ტოლი იქნება 3%-სა, საფასე კომპონენტი კი შეადგენს 7%-ს, ასე რომ, შემოსავლიანობის მოსალოდნელი განაკეთი ტოლი იქნება 10%-სა.

$$R = 3\% + 7\% = 10\%$$

აქტივების რისკიანობის (კერძოდ, Genco-ს აქციების) ფართოდ გამოყენებადი საზომი ერთეულია ცვალებადობა (volatility).⁹ ცვალებადობა დაკავშირებულია აქციის შემოსავლიანობის შესაძლო განაკეთების დიაპაზონთან და მათი მიღების ალბათობასთან. რაც უფრო ფართოა დიაპაზონი შემოსავლიანობის შესაძლო მაქვენებლებს შორის და რაც უფრო მეტია ექსტრემალური მნიშვნელობის მიღების ალბათობა, მით უფრო მაღალია აქციის ცვალებადობის მაქვენებელი.

მაგალითად, თუ თქვენ გათვალისწინებთ „ზედმდივებით ზუსტი შეფასება“ Genco-ს აქციების სემოსავლიანობისა შემდგომი წლისათვის, თქვენი პასუხი იქნება 10%. ამ დროს ამ გადაკვირდებათ, თუ აღმოჩნდება, რომ რეალური შემოსავლიანობა თქვენს მიერ ნაწინასწარმეტყველებ მნიშვნელოვნაზე მეტი ან ნაკლები იქნება. შემოსავლიანობა შესაძლოა იყოს როგორც ძალიან დაბალი (-50%), ასევე ძალიან მაღალიც (+80%). რაც უფრო ძლიერია განსხვავება შემოსავლიანობის შესაძლო მაქვენებლებს შორის, მით უფრო ძლიერია ცვალებადობა.

იმისათვის, რათა უკეთ გავიგოთ ცვალებადობის არსი, მოდით, განვიხილოთ Genco-ს აქციებისათვის შემოსავლიანობის სხვადასხვა დონეების მიღების ალბათობის განაწილება. შემოსავლიანობის ყველა შესაძლო დონეებს შეესაბამება ალბათობა ნულიდან (ამ დონის მიღების ალბათობის სრული უქონლობა) ერთამეც (მოცემული შემოსავლიანობა მიიღება აუცილებლად).

დაეუშუათ, რომ ჩვენთვის აბსოლუტურად ზუსტადაა ცნობილი, რომ მომავალ წელს შემოსავლიანობა იქნება 10%. ამ შემთხვევაში არსებობს შემოსავლიანობის მხოლოდ ერთი შესაძლო დონე და მისი მიღების ალბათობა ტოლია 1,0-სა. ასეა დაეუშუათ, რომ ეკონომიკის მდგომარეობაზე დამოკიდებულებით Genco-ს აქციებს შეუძლია მოგვეცეს სხვადასხვა შემოსავლიანობა. თუკი მომავალ წელს ეკონომიკა აღმოვლობას განიცდის, კომპანიის გაყიდვებისა მოცულობა და მოგება გაიზარდება, ე.ი. Genco-ს აქციებში ინვესტიციების შემოსავლიანობის განაკეთი ტოლი იქნება 30%-სა. თუკი ეკონომიკაში იქნება დაცემა მაშინ შემოსავლიანობის განაკეთი შეადგენს 10%-ს, ე.ი. აქციონერი განიცდის დანაკარგებს. თუკი ეკონომიკური მდგომარეობა უბრალოდ დარჩენი უცვლელი, ფაქტობრივი შემოსავლიანობა შეადგენს 10%-ს. ჩვენი პიპოთეზური მაგალითის თითოეული ამ მდგომარეობისათვის ალბათობების შეფასება ნაჩვენებია ცხრილი 10.1-ში და ილუსტრირებულია ნახ.1-ზე.

ცხრილი 10.1 ალბათობათა განაწილება აღნიშნავს, რომ თუკი თქვენ დააბათობთ ფულს Genco-ს აქციებში, მაშინ მაშინ მიიღებთ 10%-ან შემოსავლიანობას. ამის ალბათობა სამჯერ აჭარბებს შემოსავლიანობის ორი სხვა მაქვენებლების მიღების ალბათობას - 10% და 30%.

ცხრილი-1. Genco-ს აქციების შემოსავლიანობის განაკეთების ალბათობათა განაწილება		
ეკონომიკის მდგომარეობა	Genco-ს აქციების შემოსავლიანობის განაკეთი	ალბათობა
აღმავლობა	30%	0,2
ნორმალური განვითარება	10%	0,6

⁹ როგორც მე-11 თავში ვნახათ, რისკისგან დაზღვევაზე დანახარჯები პირდაპირაა დამოკიდებული ცვალებადობაზე. ამიტომ, ცვალებადობის გამოყენება რისკის გასაზომად ანალოგიურია დაზღვევაზე დანახარჯების გამოყენებისა.

დაცემა	-10%	0,2
--------	------	-----

შემოსავლიანობის მოსალოდნელი განაკვეთი (expected rate of return) (შემოსავლიანობის საშუალო მნიშვნელობა) განისაზღვრება, როგორც შემოსავლიანობის ყველა შესაძლო განაკვეთების ჯამი, გამრავლებული მათი მიძებების შესაბამის ალბათობაზე:


$$E(r) = P_1r_1 + P_2r_2 + \dots + P_n r_n$$

$$E(r) = \sum_{i=1}^n P_i r_i \quad (1)$$

თუ გამოვიყენებთ ამ ფორმულას განსახილველი სიტუაციისათვის, აღმოვაჩენთ, რომ Genco-ს აქციების შემოსავლიანობის მოსალოდნელი განაკვეთი ტოლია


$$E(r) = 0,2 \times 30\% + 0,6 \times 10\% + 0,2 \times (-10\%) = 10\%$$

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში თქვენ ძლიერ გეძებებათ ის, თუ როგორი იქნება შემოსავლიანობის განაკვეთი, ვიდრე სრული განსაზღვრულობის შემთხვევაში. ახლა განვიხილოთ სხვა მაგალითი, რომელიც კომპანია Risco-ს აქციები, რომელსაც შემოსავლიანობის ალბათობრივ მანვენებულთა დიაპაზონი კიდევ უფრო ფართოა, ვიდრე Genco-ს შემთხვევაში. Risco-ს ალბათობის განაწილება შედარებულია Genco-ს ალბათობის განაწილებასთან ცხრილში-2. და ნახ. 2-ზე.



ნახ. 1. Genco-ს შემოსავლიანობის ალბათობათა განაწილება

კონომიკის მდგომარეობა	Risco-ს აქციების შემოსავლიანობის განაკვეთი	Genco-ს აქციების შემოსავლიანობის განაკვეთი	ალბათობა
აღმავლობა	50%	30%	0,20
ნორმალური განვითარება	10%	10%	0,60
დაცემა	-30%	-10%	0,20



ნახ. 2 Genco-ს და Risco-ს აქტივების შემოსავლიანობის ალბათობათა განაწილება

მიუაქციოთ ყურადღება იმას, რომ ალბათობათა მაჩვენებლები ორივე აქციისათვის ერთნაირია, მაგრამ Risco-ს შემოსავლიანობის რყევების უფრო ფართო დიაპაზონი გააჩნია. თუკი ეკონომიკა იქნება აღმავლობის სტადიაზე, Risco თაის აქციონერებს მოუტანს შემოსავლიანობის 50%-ს (ხოლო Genco კი – მხოლოდ 30%). მაგრამ თუკი ეკონომიკური მდგომარეობა გარუარესდება, Risco-ს შემოსავლიანობა დაეცემა -30%-მდე, ხოლო Genco-სი – 10%-მდე. სხვა სიტყვებით რომ ეთქვას, Risco-ს აქციებში ინვესტიციების შემოსავლიანობის მაჩვენებლები შეიცვლება უფრო ძლიერ.

შემოსავლიანობის სტანდარტული გადახრა, რობორც რისკის საზომი

როგორც ნაჩვენებია იქნა, აქციის შემოსავლიანობის მაჩვენებელთა ცვალებადობა დამოკიდებულია მათ შესაძლო დიაპაზონზე და ექსტრემალური მნიშვნელობების წარმოშობის ალბათობაზე იმისათვის, რათა გამოეთვალათ და გაეზომოთ შემოსავლიანობის შესაძლო მაჩვენებლების მიღების ალბათობის განაწილებაში ცვალებადობა, ფინანსებში საგანგებოდ ფართოდ გამოიყენება სტანდარტული გადახრა (standard deviation) – სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება შემდგომად.

სტანდარტული გადახრა (σ) = ალბათობათა ნამრავლის ფაქტიდან კვადრატული ფესვი, გამრავლებული შესაძლო შემოსავლიანობასა და მოსალოდნელი (საშუალო) შემოსავლიანობას შორის სხვაობის კვადრატში ახარისხებულზე

$$\sigma = \text{კვადრატული ფესვი } [P_1(r_1 - E(r))^2 + P_2(r_2 - E(r))^2 + \dots + P_n(r_n - E(r))^2] \text{-დან}$$

$$\sigma = \sqrt{\sum_{i=1}^n P_i(r_i - E(r))^2} \quad (2)$$

რაც უფრო მაღალია სტანდარტული გადახრა, მით უფრო მაღალია აქტივების ცვალებადობა. არარისკიანი ინვესტიციის სტანდარტული გადახრა, რომელიც აუცილებლად მოგვცემს 10%-ან შემოსავლიანობას, ნულის ტოლია

$$\sigma = \sqrt{1,0 \times (10\% - 10\%)^2} = 1,0 \times (0,0) = 0$$

სტანდარტული გადახრა Genco-ს აქციებისათვის ტოლია

$$\sigma = \sqrt{[(0,2)(30\% - 10\%)^2 + (0,6)(10\% - 10\%)^2 + (0,2)(-10\% - 10\%)^2]}$$

$$\sigma = 12,65\%$$


სტანდარტული გადახრა Risco-ს აქციებისათვის ტოლია

$$\sigma = \sqrt{[(0,2)(50\% - 10\%)^2 + (0,6)(10\% - 10\%)^2 + (0,2)(-30\% - 10\%)^2]}$$

$$\sigma = 25,30\%$$

სტანდარტული გადახრა Risco-ს აქციებისათვის ორჯერ მეტია, ვიდრე Genco-ს აქციებისათვის, რადგანაც საშუალო მნიშვნელობიდან შესაძლო გადახრა ორჯერ აჭარბებს Genco-ს იმავე მაჩვენებელს.

რეალურ სამყაროში აქციების შემოსავლიანობის მაჩვენებელთა დიაპაზონი არ არის შეზღუდული რამდენიმე მნიშვნელობით, როგორც ეს ჩვენს მაგალითებშია და შემოსავლიანობას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელობა. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქციების შემოსავლიანობის განაწილება წარმოადგენს ალბათობათა უწყვეტ განაწილებას. ყველაზე ხშირად გამოიყენება ალბათობათა უწყვეტი განაწილების ერთ-ერთი სახე - ნორმალური განაწილება, რომელიც წარმოადგენს ნახ. 3-ზე ნაჩვენებ მრუდს.



ნახ. 3. აქციის შემოსავლიანობის ნორმალური განაწილება

მნიშვნ. საშუალო შემოსავლიანობა შეადგენს 10%-ს, ხოლო სტანდარტული გადახრა ტოლია 20%-სა.

ნორმალური და სხე, მისი მსგავსი, სიმეტრიული განაწილებისათვის სტანდარტული გადახრა - ცვალებადობის გაზომვის ბუნებრივი ერთეულია. (სიმბოლო σ , რომლითაც აღინიშნება სტანდარტული გადახრა, წარმოითქმის როგორც სიგმა). ტერმინები ცვალებადობა და სტანდარტული გადახრა ხშირად გამოიყენება, როგორც ურთიერთშემცვლელი.

ნორმალური განაწილება მოიცავს შემოსავლიანობის მნიშვნელობის შეუზღუდავ რაოდენობას, „მინუს უსასრულობიდან“ „პლუს უსასრულობამდე“. სტანდარტული გადახრების სხვადასხვა მნიშვნელობის ინტერპრეტაციისათვის ჩვეულებრივ გამოიყენება სარწმუნო ინტერვალი (confidence interval) - სტატისტიკური ტერმინი, რომლითაც აღინიშნება მნიშვნელობათა გარკვეული დიაპაზონი (სწორედ ეს არის „ინტერვალი“), რომლის ფარგლებშიც აქციის ფაქტიური შემოსავლიანობა ემთხვევა მოცემულ ალბათობას. ამგვარად, ნორმალური განაწილების დროს აქციის შემოსავლიანობას, რომელიც იმყოფება სარწმუნო ინტერვალის ფარგლებში, მოიცავს შემოსავლიანობის ყველა

მნიშვნელობას და იმყოფება საშუალო მნიშვნელობისგან ორივე მხრიდან ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში, გაანია 0,68-ის ტოლი ალბათობა. შესაბამის სარწმუნო ინტერვალს ორი სტანდარტული გადახრისათვის გაანია 0,95-ის ტოლი ალბათობა, ხოლო სარწმუნო ინტერვალს სამი სტანდარტული გადახრისათვის გაანია 0,99-ის ტოლი ალბათობა.

მაგალითად, განვიხილოთ აქციები, რომელთა მოსალოდნელი შემოსავლიანობა ტოლია 10%-სა და სტანდარტული გადახრა 20%-სა. ნორმალური განაწილების დროს არსებობს ალბათობა, რომელიც ტოლია დაახლოებით 0,95-სა, ფაქტორი შემოსავლიანობა სხვადასხვა ინტერვალში, რომელიც შეზღუდულია ერთი მხრივ, მოსალოდნელი შემოსავლიანობით; და ორი სტანდარტული გადახრით (10%+2X20%=50%), ხოლო მეორეს მხრივ – მოსალოდნელი შემოსავლიანობით, გამოკლებული ორი სტანდარტული გადახრა (10%-2X20%=-30%). შემოსავლიანობათა დიაპაზონი, რომელიც შეზღუდულია მინიმალური მნიშვნელობით -30% და მაქსიმალური მნიშვნელობით 50%, 0,95-ის ტოლი ალბათობით წარმოადგენს ნდობით ინტერვალს მოცემული აქციების შემოსავლიანობისათვის.

ძირითადი მასკვნები

რისკი წარმოადგენს განუსაზღვრელობას, რომელიც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. რისკის მართვა – ეს არის კომპრომისის გამოუმუშავების პროცესი, რომელიც მიმართულია ბაღანის მისაღწევად რისკის შემცირებიდან სარგებელსა და ამისთვის საჭირო დანახარჯებს შორის, აგრეთვე გადაწყვეტილების განხილვა იმაზე, თუ როგორი ქმედებას უნდა მივმართოთ. *პორტფელური თეორია* – ეს არის რისკისა და შემოსავლიანობის ბალანსის რაოდენობითი ანალიზი, რომელიც ნებას აძლევს ინვესტორს აირჩიოს მოქმედების ოპტიმალური მიმართულება.

რისკის ნებისმიერი სახე, რომელსაც აწყდებიან ადამიანები, წარმოიშობებიან მათივე ქმედებებიდან მომხმარებლის სახით; იმ პირთა სახით, რომლებიც გარკვეული სახით ახდენენ გაელენას კორპორაციითა საქმიანობაზე; გადასახადების გადამხდელთა სახით.

აქტივების ან ფინანსური გარიგებების რისკიანობის ხარისხი შეუძლებელია შეფასდეს სხვა ფაქტორების მოქმედებისგან ისოლირებულად. ერთ გარემოებაში გარკვეული აქტივების ყიდვა ან გაყიდვა შეიძლება გაზარდოს მისი მფლობელის რისკისაღმ მიდრეკილება; სხვა გარემოებაში იმავე მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს რისკის შემცირება.

საეკულიანებში – წარმოადგენენ ინვესტორებს, რომელთა მოქმედებაც, რომელიც მიმართულია საკუთარი კაპიტალის გადიფერსიკენ, თანდაყოლილია გარკვეული სახის რისკით. მათ საიორისკისპიროდ შედგებიან ისწარფვიან შეამცირონ თავიანთი რისკები. ერთი და იგივე ადამიანი ერთ შემთხვევაში შეიძლება მოგვევლინოს საეკულიანტის, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – პედვერის როლში.

რესურსების განაწილებაზე მრავალი გადაწყვეტილება, ისეთები როგორიცაა დასაღვევა, ინვესტირება და სხვადასხვა სახის ფინანსური გადაწყვეტილება, ძალიან ხშირად მიიღება რისკის პირებში და ამიტომ, ისინიც შეიძლება მივაკუთვნოთ რისკის მართვის სფეროს.

რისკის სახეები, რომელთა ქვეშ იმყოფებიან საოჯახო მეურნეობის წევრები, შეიძლება დაეყოთ ხუთ ძირითად კატეგორიად: ავადმყოფობა; შრომისუარსიანობის დაკარგვა; გარდაცვალება; სამსახურის დაკარგვა; რისკი, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი სარგებლობის სამომხმარებლო საქონლის ყიდვასთან; რისკი, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან; რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებში ინვესტიციებთან.

კომპანიები ასევე აწყდებიან რისკის რამდენიმე სახეს, ასენია: რისკი, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან; საფასე რისკი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის პროდუქციასე ფასებში ცვლილებებთან და საფასე რისკი, რომელიც დაკავშირებულია ნედლეულზე და მაკომლექტიბელ დეტალებზე ფასების ცვლილებასთან.

რისკის მართვის პროცესი შედგება ხუთი ეტაპისაგან:

- რისკის გამოვლენა
 - რისკის შეფასება
 - რისკის მართვის ხერხების გამოვლენა
 - არსებული ხერხების რეალიზაცია
 - შედეგების შეფასება
- არსებობს რისკის მართვის ოთხი ხერხი.
- რისკისგან თავის დაღვევა
 - ზარალის აღკვეთა
 - რისკის საკუთარ თავზე მიღება
 - რისკის გადატანა

არსებობს რისკის გადატანის სამი სქემა: პედჯირება, დაზღვევა და დივერსიფიკაცია.

დივერსიფიკაცია უშუალოდ ახდენს გაელენას საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაზე მრავალ ადამიანზე რისკის გადაანაწილების მეშვეობით. შედგად ქვირდება საფრთხე, რომელიც მატარებელია ამა თუ იმ შოკლენის განვითარების განუსაზღვრელობისა.

საზოგადოების თვალსაზრისით რისკის მართვის შექანიში ორგეარად უზრუნველყოფს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას. პირველი, მათ გადააქეთ რისკი ადამიანებიდან, რომლებსაც არ სურთ ან არ შეუძლიათ მათი აღება საკუთარ თავზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც თანახმანი არიან რისკზე წასვლისა. მეორე, ისინი იწვევენ რესურსების გადაანაწილებას წარშობისა და შიხმარების სფეროში რისკის განაწილების ახალი პარამეტრების შესახამისად. აძლევს რა ადამიანებს შესაძლებლობას შეამცირონ თავიანთი რისკი გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებისას ბიზნესის სფეროში, რისკის მართვის შექანიზეები ახალისებენ სამეწარმეო აქტივობას და ამით ეხმარებიან საზოგადოებას.

ასწულელების განმავლობაში ეკონომიკაში იქმნებოდა სხვადასხვა ინსტიტუტები და ყალიბდებოდა სხვადასხვაეგარი ხელშეერულებითი ურთიერთობები, რაც საშუალებას იძლევა მივალწიოთ რისკის უფრო ეფექტიან განაწილებას დივერსიფიკაციის დიამაზონის გაყართოებებითა და რისკის სახეთა ზრდის ხარჯზე, რომლებიც შეიძლება გადატანილი იქნას სხვა სუბიექტებზე.

ეპეტორთა რიცხვს, რომლებიც ზღუდავენ რისკის ეფექტიანად განაწილებას, მიეკუთნება ტრანსაქციული ხარჯები, აგრეთვე ფსიქოლოგიური პრობლემები: უპასუხისმგებლობა (მორალური რისკი) და არასასურველი არჩევა.

ძირითადი ცნებები

რისკის არიდება

რისკის მართვა

რისკისადმი შიდრეკილება

სპეკულიანტები

პედჯერები

გამართხილებელი დაზოგვა

რისკის მართვის პროცესი

აქტუარი

პედჯირება

დაზღვევა

დივერსიფიკაცია

უპასუხისმგებლობა

არასასურველი არჩევა

მუდმივი ანუიტეტი (დაზღვევაში)

პორტფელური თეორია

ალბათობათა განაწილება

საშუალო მნიშვნელობა

სტანდარტული, ანუ საშუალოკედარტული გადახრა

ცვალებადობა

შემოსაელიანობის მოსალოდნელი ანუ საშუალო განაკეობი

ალბათობათა უწყვეტი განაწილება

ნორმალური განაწილება

სარწმუნო ინტერვალი

გამოყენებული ლიტერატურა

1. Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996, გვ. 675-713
2. Боди З., Мертон Р. Финансы / Пер. с англ.-М.: Вилиамс, 2003, გვ. 61-109; 358-392
3. Юджин Ф. Бригхем, Майкл С. Эрхардт. Финансовый Менеджмент / Пер. с англ. М.: 2005, გვ. 226-276

თავი 21. ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონელი

ჩვენ აქამდე ვეარაუდოდით, რომ ნებისმიერი საქონლის გასადგების ბაზარი არ შემოიფარგლებდა ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით. ამ თავში განვიხილავთ მარტივ და ამავდროულად, მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსებს, რომლებიც არსებობს გავედნის ახდენენ ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. საქმე ისაა, რომ საქონელთა გარკვეული ნაწილი *არაექსპორტირებადია*. ბუნებრივია, რომ მათი მოხმარება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც იწარმოება, შეუძლებელია მათი ექსპორტირება და იმპორტირება. მათი არსებობა გავედნის ახდენს ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვან მახასიათებლებზე – ფასების ფორმირებიდან დაწყებული და წარმოების სტრუქტურისა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებით დამთავრებული.

მაგალითად, განვიხილოთ საპარიკმახეო მომსახურება. საპარიკმახეოს კლიენტებად, ჩვეულებისამებრ, გვევლინებიან მოცემული ქალაქის მკვიდრნი. თუკი პარიკმახეთა მომსახურებაზე მოთხოვნა მცირდება, მათთვის რთულია ჯარბი პროდუქციის ექსპორტირება, კერძოდ, თმის შეკრევისა. თუკი პარიკმახეთა მომსახურებაზე ანაზღაურება მეზობელ ქვეყანაში იზრდება, ჩვენი პარიკმახეოები ნამდვილად ეგრ იტარებენ თავიანთ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას უცხოურების მიხედვით. ინდოეთში თმის შეკრევა გაცილებით იაფია, ვიდრე, ექვეთ, აშშ-ში, მაგრამ აქვს კი აზრი ადამიანებმა იყიდონ თეთიფერინავის ბილეთები და გაემგზავრონ დელიში პარიკმახეთა იაფი მომსახურების მისაღებად?

პარიკმახეთა მომსახურების ასეთ არაექსპორტირებად ხასიათს გააჩნია მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი. ექსპორტი-იმპორტის შესაძლებლობათა არარსებობის შემთხვევაში შიდა მოთხოვნამ და მიწოდებამ უნდა გააწინასწოროს ერთმანეთი. საერთაშორისო ვაჭრობის არარსებობის შემთხვევაში შიდა მოთხოვნის შემცირების კომპენსირება შეუძლებელია წმინდა ექსპორტის ზრდით და შიდა ფასები შეიძლება განსხვავდებოდეს მსოფლიო ბაზრების ფასებისაგან, რაც არანაირად არ აისახება მსოფლიო მოთხოვნის სტრუქტურაზე.

საპარიკმახეო მომსახურების გარდა არსებობს საქონლისა და მომსახურების მრავალი სახეობა, რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტებს. ზოგადად, არაექსპორტირებადია საცხოვრებელი სახლების არენდაც. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ტრიკოში სახლის არენდა გაცილებით ძვირია, ვიდრე სანტიავოში, იაპონური ოჯახებისათვის ძალიან რთულია ამ უპირატესობის გამოყენება. ამიტომ, საარგენტო გადასახდებებში განსხვავება სხვადასხვა ქვეყნებში ძალზედ არსებობს და ზოგჯერ 1000%-საც კი აღწევს. მომსახურების სფეროში საერთაშორისო სხვადასხვა სახეები, ისეთები, როგორცაა ოურისტების, ექიმების, მასწავლებლების, დიასახლისების საქმიანობები, აგრეთვე განეუთუნება არაექსპორტირებადი საქონლისა და მომსახურების კატეგორიას.

ეკონომიკაში არაექსპორტირებადი საქონლის როლზე ჯერ კიდევ მითითებდნენ კლასიკოსები, კერძოდ, ჯონ სტიუარტ მილი და დავიდ რიკარდო. მაგრამ ისინი ყველა საბოლოო საქონელს ექსპორტირებად საქონლად გაიხიზილადუნენ, ხოლო წარმოების ფაქტორებს – მიწას, შრომას და კაპიტალს – როგორც არაექსპორტირებადს. მხოლოდ XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისისათვის დაიწყო არაექსპორტირებადი საქონლის როლის განხილვა ფორმალურ ეკონომიკურ მოდელვაში.

ალბათ, არაექსპორტირებადი საქონლის არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ შიდა წარმოების სტრუქტურა ცვლილებას იწყებს საეაგრო ბალანსის ცვლილების შემთხვევაში. კერძოდ, თუკი ეთიოპიელი მოთხოვნა იზრდება ან მცირდება შემოსავლების დონესთან შედარებით (ე.ი. საეაგრო ბალანსი იზრდება ან მცირდება), ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებას შორის თანაფარდობა იცვლება. როგორც ეჩნახეთ, წარმოების სტრუქტურაში შევასმა ძვრებმა, რომელიც თანდაყოლილია მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომიკის ერთი სექტორიდან მეორეში გადაადგილბით, შეიძლება მივყვიანოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებთან.

დაეუშვათ, დადგა ისეთი სიტუაცია, როდესაც მთავრობამ უნდა დააბრუნოს ადრე აღებული უცხოური კრედიტები: საამისოდ მან შესაძლოა გაზარდოს გადასახადები. შედეგად, მოხმარება შემცირდება. თუკი მოცემული ქვეყანაში წარმოებადი ყველა საქონელი იქნება ექსპორტირებადი, მაშინ მოხმარების შემცირების კომპენსირება შესაძლებელია მოხდეს ექსპორტულ წარმოების ზრდით, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს წმინდა ექსპორტის ზრდას. მაგალითად, ფოლადის მწარმოებლები, რომლებიც აღმონდებიან შიდა მოთხოვნის შემცირების ფაქტის წინაშე, გაზრდიან თავიანთი პროდუქციის საზღვარგარეთ მიწოდებას.

მაგრამ ახალი ეთარებისადმი ასეთი შევება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იწარმოება ექსპორტირებადი საქონელი. თუკი საქონელი არაექსპორტირებადია, მაშინ პროცესი ასე შეუფერხებლად ეგრ განვითარდება. იგივე პარიკმახეს, შიდა მოთხოვნის მკვეთრი შემცირების პერიოდში არ ძალუძს თავისი მომსახურების ნაქმეტი გაყიდვის საზღვარგარეთ. ამასთან, მას ყოველთვის არ შეუძლია ფასების მკვეთრად შემცირება, თუკი მისი დანახარჯები არ იცვლება.

შესაძლოა, რომ შეკრების ფასი შემცირდეს (ეთქეთ, ფოლადის ფასთან შედარებით), მაგრამ ამ დროს სასარკმეხსეროთა ნაწილი დაიხურება, ენაიდან მათი მფლობელები ახალი და უფრო დამაბალი ფასების შემთხვევაში ეერ შეძლებენ ყველა დანახარჯის ანახლარებას. უმუშევარ და რჩენილი პარკმეხსერები შეუძლებელია სამუშაოს ძებნას ეკონომიკის სხვა სექტორში, იქ, სადაც წარმოება სტაბილურია (ან სულაც იზრდება) მოცემული ქვეყნის ექსპორტის ზრდის ხარჯზე.

ამგვარად, არაექსპორტირებადი საქონლის არსებობა ართულებს წარმოების ვარდნასთან შეგუების პროცესს და ძალიან ხშირად ასეთი პროცესი უფრო მტკივნეულია, ვიდრე იმ ეკონომიკაში, სადაც ყველა საქონელი ექსპორტირებადი. როგორც წესი, არაექსპორტირებადი საქონელზე ფასები, სხვაგვარად ექსპორტირებადი საქონლის ფასებთან შედარებით და იმადროშადაც, არაექსპორტირებადი საქონლის წარმოება მცირდება, ხოლო ექსპორტირებადი საქონლისა – იზრდება. მომუშავეთა გადასვლა არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებელი სექტორიდან ექსპორტირებადი საქონლის წარმოებელ სექტორში მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც შეიძლება ადგილი ქონდეს უმუშევრობის ზრდას.

21-1. ექსპორტირებადობის განსაზღვრელი ფაქტორები და საქონლის საერთო კლასიფიკაცია

ახლა, როდესაც მივიყვანეთ არაექსპორტირებადი საქონლის ზოგიერთი მაგალითი, შევეცადოთ განვსაზღვროთ, თუ რომელი საქონელი შეიძლება ყველაზე მეტად იყოს ექსპორტირებადი და რომელი – არაექსპორტირებადი. შეიძლება ორი ძირითადი ფაქტორის მითითება, რომლებიც განსაზღვრავენ ექსპორტირებადობას.

პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი დაკავშირებულია სატრანსპორტო დანახარჯების არსებობასთან, რომელიც ბუნებრივ ბარიერს უქმნის ეაქტობას. რაც უფრო ნაკლებია სატრანსპორტო დანახარჯების წილი წარმოების დანახარჯების საერთო მოცულობაში, მით უფრო საგარეოა, რომ მოცემული საქონლის რეალიზაცია მოხდეს მსოფლიო ბაზარზე. საქონელი, რომელიც ხასიათდება წონის ერთეულზე ძალიან მაღალი ღირებულებით, ხოლო შესაბამისად, დაბალი ხეუდრითი სატრანსპორტო დანახარჯებით, როგორც ჩანს, უფრო მიეკუთვნება ექსპორტირებად კატეგორიას. მაგალითად, ასეთი საქონლის კატეგორიას განეკუთვნება ოქრო: მისი ფასი პრაქტიკულად ერთნაირია მსოფლიოს ყველა მსხვილ ბაზარზე. მეორე უკიდურესი შემთხვევაა საპარკმეხსერო მომსახურება; ნიუ-იორკში თმის შეკრვა ჯდება დაახლოებით 30 დოლარი, ხოლო დელიში – მხოლოდ 5 დოლარი. მაგალითი სატრანსპორტო ხარჯი ამ მომსახურებას აქცევს არაექსპორტირებადად. მრავალი სახის მომსახურება (თუქვა, არა ყველა) ხასიათდება უმთავრესად მომსახურების ერთეულზე სატრანსპორტო დანახარჯის მაღალი დონით: კომუნალკაცების სფეროში ტენიკონის პროგრესი საშუალებას იძლევა შექმნათ მსოფლიო ბაზარი მრავალი სახის ფინანსური მომსახურებისათვის, საბანკო და საპროკურო მომსახურების ჩათვლით. მართლაც, განვითარებადი ქვეყნების მომსახურების ექსპორტი ბოლო პერიოდში სწრაფი ტემპებით იზრდება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა მონაცემთა დამუშავება, საპროექტო სამუშაოები, პროგრამული უზრუნველყოფა და ტურისმი. მაგალითად, მომუშავეები იამაიკაში, მანილაში და სამხრეთ კორეაში, დაკავებული არიან იმით, რომ შეწყაეთ ინფორმაციები იმ უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების კომპიუტერულ ქსელში, რომლებიც განლაგებულია აშშ-ში.

მეორე ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს საქონლის ექსპორტირებადობას, დაკავშირებულია საეაქტო პროტექციონიზმის ხარისხთან. ტარიფებმა და საეაქტო ეკორტებმა შეიძლება ხელი შეუშალოს საქონლის თავისუფლად მოძრაობას ვერცხულ საზღვრების გარეთ თვით დაბალი სატრანსპორტო ხარჯების შემთხვევაშიც კი. რაც უფრო მაღალია ეაქტობის ხელშეწყობი ბარიერი, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მოცემული საქონელი ექსპორტირებადი გახდეს. მაგალითად, განვიხილოთ ავეჯზე 100%-ანი ტარიფი. სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ სკამი ღირს 80 ლარი სასაზღვარეთის ქვეყნებში და მისი მოცემულ ქვეყანაში ჩამოტანის ხარჯი შეადგენს 20 ლარს. მაშინ სკამი მიმღები ქვეყნის პორტში ეღირება 100 ლარი. მაგრამ, თუკი მოქმედებს 100%-ანი ტარიფი, მაშინ დანახარჯები გაიზრდება 200 ლარამდე. დავუშვათ აგრეთვე, რომ ასეთივე ადგილობრივი წარმოების სკამი იყიდება 150 ლარად. ცხადია, რომ არაიწინ შეუდგება სკამის იმპორტირებას, რამდენადაც ფასი ადგილობრივ პროდუქციაზე დაბალია, მაგრამ ამავე დროს არაიწინ მოხდენს სკამის ექსპორტირებას, რამდენადაც როდესაც მსოფლიო ბაზრის ფასებთან (80 ლარი) კონკურენციის გაწევა. ამგვარად, სკამის არც ექსპორტს ექნება ადგილი და არც იმპორტს. საეაქტო პროტექციონიზმმა განაპირობა ის, რომ საქონელი ვადაიდა არაექსპორტირებადაც კატეგორიაში.

ამა თუ იმ საქონლის ექსპორტირებად ან არაექსპორტირებად კატეგორიასთან მიკუთვნება, ბუნებრივია, არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულობას. ტექნოლოგიური სრულიყოფა, რომელიც განაპირობებს საპრანსპორტო დანახარჯების შემცირებას, იწვევს იმას, რომ სულ უფრო მეტი რაოდენობის საქონელი ვადაიდა ექსპორტირებადაც კატეგორიაში. პირიქით, პროტექციონიზმის ზრდა გაელენას ახდენს არაექსპორტირებადი საქონლის სიის გაფართოებაზე.

პრაქტიკაში როგორ უნდა მივაკუთვნოთ საქონელი პირველ ან მეორე კატეგორიას? არსებობს ასობით ათასი სახეობის საქონელი და მომსახურება და ალბათ, ვერ შევძლებთ თითოეულის მიხედვით პასუხი გავცეთ დასრულებულ ამოცანას. მაგრამ შესაძლებელია საქონლის კლასიფიკაცია რამდენიმე ჯგუფის მიხედვით. ფართოდაა გავრცელებული სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია (SIC), რომელიც მიღებულია გაეროს მიერ. SIC-ის შესაბამისად საქონელი და მომსახურება დაყოფილია დარგების სახეების მიხედვით ცხრა ძირითად ჯგუფად:

1. სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა, მეცყველეობა და თევზჭერა;
2. მინერალური ნედლეულისა და ქვანახშირის მოპოვება;
3. გადამამუშავებელი მრეწველობა;
4. ელექტროენერგია, გაზი და წყალმომარაგება;
5. მშენებლობა;
6. ვაჭრობა, რესტორნები და სასტუმროები;
7. ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კაეშირი;
8. ფინანსური სფერო, დაზღვევა, უძრავი ქონებით ვაჭრობა, ბიზნეს-მომსახურება;
9. კაეშირგაბმულობა, კომუნიკაციები, საზოგადოებრივი და პირადი მომსახურება.

საქაო მინახლოებით, საქონლის უმრავლესობა მიეკუთვნება პირველ სამ ჯგუფს - სოფლის მეურნეობა, მინერალური ნედლეულის მოპოვება და გადამამუშავებელი მრეწველობა ყველაზე მეტად წარმოადგენენ ექსპორტირებად კატეგორიებს, ხოლო საქონელი, რომელიც მიეკუთვნება დანარჩენ ჯგუფებს, ძალიან ხშირად არაექსპორტირებად საქონლად გვეკლინებთან. როგორც წესი, მშენებლობა (მაგალითად, ბინათმშენებლობა), მომსახურება (მე-8 და მე-9 ჯგუფი), შიდა ტრანსპორტი (ავტობუსები და რკინიგზა) არ წარმოადგენს ექსპორტირებადს. მაგრამ ცხადია, რომ არსებობს აშკარა გამონაკლისებიც. ერთი მხრივ, მაღალი სატრანსპორტო დანახარჯები იწვევს იმას, რომ ზოგიერთი სახის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მაგალითად, ბოსტნეული, არაექსპორტირებად ხდება, ხოლო სოფლის მეურნეობის სფეროში ტარიფები ქმნიან გადაუალბავ ბარიერებს ევტრობაში. მეორე მხრივ, სამშენებლო საქმიანობის ცალკეული სახეები შეიძლება იყოს ექსპორტირებადი, როგორც მაგალითად, ამას გვიჩვენებს უმსხვილესი კორეული ფირმების საქმიანობა მსხვილი სამშენებლო პროექტების რეალიზაციის თვალსაზრისით ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. სტრანსპორტო მომსახურების ზოგიერთი სახე, როგორცაა საერთაშორისო ავიაგადაზიდვები და სასაღაო გადაზიდვები, აშკარად მოქმედებენ მსოფლიო ბაზრებზე და ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, კაეშირგაბმულობის სფეროში ბოლო ტენიკურბა მიღწევება მრავალი სახის ფინანსური მომსახურება ექსპორტირებადი გახადა.

21-2. ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის მოდელის თეორიული საფუძვლები

მოდით, შევიცადოთ შევიმუშაოთ ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის მარტივი თეორიული მოდელი, რომელსაც ეწოდებთ TNT (*Tradable and Nontradable*) მოდელს. თავდაპირველად მიემართოთ მიწოდების სფეროს.

ერთობლივი მიწოდება TNT მოდელში

დაეუშვათ, რომ ეკონომიკა აწარმოებს და მოიხმარს ორი სახის საქონელს - ექსპორტირებადსა (T) და არაექსპორტირებადს (N). განხილვის ამ სტადიაზე ჩათვალეთ, რომ ორივე სახის საქონლის საწარმოებლად საჭიროა მხოლოდ შრომა, ხოლო წარმოება გამოსახება შრომითი დანახარჯების წრფითი ფუნქციით:

$$Q_T = a_T L_T \quad (\text{ექსპორტირებადი საქონლები}) \quad (1)$$

$$Q_N = a_N L_N \quad (\text{არაექსპორტირებადი საქონლები}) \quad (1')$$

სადაც L_T და L_N - შრომითი დანახარჯებია შესაბამისად, ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებისას, a_T და a_N - კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ შრომის ზღვრულ მწარმოებლურობას ორივე ტიპის საქონლის წარმოების შემთხვევაში. შრომის დანახარჯის ყოველ დამატებით ერთეულს T სექტორში მოაქვს პროდუქციის დამატებითი a_T ერთეული. რამდენადაც წარმოებითი ფუნქცია წრფივია L_T და L_N -ის მიხედვით, a_T და a_N კოეფიციენტები გვიჩვენებს აგრეთვე შრომის საშუალო მწარმოებლურობას.

სასარგებლო იქნება, თუკი განვსაზღვრავთ საწარმოო შესაძლებლობის ზღვარს (PPF) TNT მოდელში. დაეუშვათ, რომ შრომა (L), რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას T ან N სექტორში, მოცემული სიდიდითა. ამგვარად, თუკი კიბულისსმებთ შრომის სრულ დასაქმებას, გვექნება:

$$L = L_T + L_N. \quad (2)$$

თუკი ვისარგებლებთ (1^ა) და (1^ბ) ფორმულებით, ჩვენ შეგვიძლია ბოლო გამოსახულება გადავწეროთ წარმოების მოცულობისა და ტექნოლოგიური კოეფიციენტების მიხედვით. რამდენადაც $L_T = Q_T/a_T$ და $L_N = Q_N/a_N$, ჩვენ შეგვიძლია (2) ტოლობა გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$L = \frac{Q_T}{a_T} + \frac{Q_N}{a_N} \quad (3)$$

თუკი Q_N -ს გამოვსახათ, როგორც Q_N -ს ფუნქციის (აგრეთვე L -ის, a_T და a_N -ის ფუნქციებს, რომლებსაც ვლევობთ ფიქსირებულ სიდიდებად), მაშინ მივიღებთ:

$$Q_N = a_N L - \left(\frac{a_N}{a_T}\right) Q_T \quad (4)$$

ამგვარად, (4) განტოლება არის საწარმოო შესაძლებლობათა სახლების (PPF) განტოლება. Q_T წარმოების მოცულობის ყოველი მნიშვნელობისათვის ის განსაზღვრავს Q_N წარმოების მაქსიმალურ მნიშვნელობას ეკონომიკაში Q_T -ს თითოეული მნიშვნელობისათვის. მაგალითად, თუკი $Q_T=0$ (მთელი შრომა გამოიყენება არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში), მაშინ $Q_N=a_N L$. პირიქით, Q_T მაქსიმალურია შრომის სრული დასაქმების დროს ექსპორტირებადი საქონლის სექტორში, ე.ი. $Q_T=a_T L$ და $Q_N=0$. სავსეობა შემთხვევისათვის შრომა, როგორც რესურსი, განაწილებული იქნება ორ სექტორს შორის.

საწარმოო შესაძლებლობის სახლკარი ნაწევებია ნახ. 21-1-ზე. ექსპორტირებადი საქონლის წარმოების მოცულობა განლაგებულია X ღერძზე, არაექსპორტირებადი საქონლისა - Y ღერძზე. თუკი მთელი შრომა დაკავებულია ექსპორტირებადი საქონლის სექტორში, მაშინ წარმოება იმყოფება A წერტილში, სადაც $Q_T = a_T L$ და $Q_N = 0$. და პირიქით, თუკი მთელი შრომა დაკავებულია არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში, მაშინ წარმოება იმყოფება B წერტილში, სადაც $Q_N = a_N L$ და $Q_T = 0$. საწარმოო შესაძლებლობის სახლების სხვა დანარჩენი წერტილი იმყოფება წრფის მონაკვეთზე, რომელიც აერთიანებს A და B წერტილებს (იხ. ნახ. 21-1). მოცემულ მონაკვეთზე არსებული ნებისმიერი წერტილი შეესაბამება არაექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების შესაძლო კომბინაციებს.

PPF-ის დახრილობის კუთხე ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის ფასების თანაფარდობის ტოლია. ვაჩვენოთ, თუ რატომაა ეს ასე. საქონლის ნებისმიერი სახისათვის მისი ფასი ამ საქონლის ერთეულის წარმოებაზე დახარჯული შრომის ტოლია (ეს გამომდინარეობს იმ დაშვებიდან, რომ საწარმოო ფუნქცია წრფივია შრომითი დანახარჯების მიხედვით). ექსპორტირებადი საქონლის ერთეულის გამოსაშვებად აუცილებელია შრომითი ერთეულის $1/a_T$ დანახარჯი. w-ს ტოლი ხელფასის პირობებში შრომითი დანახარჯის ღირებულება T-ს ერთეულის საწარმოებლად w/a_T ტოლია. შრომითი დანახარჯის ღირებულება N-ის ერთეულის საწარმოებლად ტოლია w/a_N . ამგვარად,

$$P_T = \frac{w}{a_T};$$

$$P_N = \frac{w}{a_N}. \quad (5)$$


შეინშნოთ, რომ ამ განტოლების ინტერპრეტაცია შეიძლება, როგორც მოგების მაქსიმოზაციის პირობისა, როდესაც შრომის ზღვრული პროდუქტი ხელფასის ტოლი უნდა იყოს ამ პროდუქტის წარმოების დროს, რომელიც იზომება ხელფასის თანაფარდობით წარმოებული პროდუქციის ფასთან. ამგვარად, $a_T w/P_T$ და $a_N w/P_N$.

(5) განტოლებიდან გამომდინარე გვაქვს $P_T/P_N = a_N/a_T$. ჩვენ აგრეთვე ვიცით (4) განტოლებიდან გამომდინარე, რომ $-(a_N/a_T)$ საწარმოო შესაძლებლობის სახლების დახრილობის კუთხის ტოლია. შესაბამისად, რაც უფრო ციცაბოა PPF-ის დახრილობა, მით უფრო მაღალია ექსპორტირებადი საქონლის ფასების დროს არაექსპორტირებადი საქონლის ფასების დონესთან შედარებით მოცემულ ეკონომიკაში. ამ უბრალო ფაქტს გააჩნია სერიოზული შედეგები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

TNT მოდელში მიღებულ ექსპორტირებადი საქონლის შეფარდებით ფასებს ეუწოდოთ რეალური გაცვლითი კურსი. თუ რეალურ გაცვლით კურსს e ასოთი აღვნიშნავთ, მივიღებთ გამოსახულებას

$$e = \frac{P_T}{P_N} = \frac{a_N}{a_T} \quad (6)$$

გასაჩვენია, რომ PPF-ის დანხილობის კუთხე ტოლია აგრეთვე რეალური გაცვლითი კურსის მნიშვნელობისა „მინუს“ ნიშნით (-).



ნახ. 21-1 ნაწარმის შესაძლებლობათა წრფე ერთი სახის პროდუქტის დანახარჯის შემთხვევაში


ერთობლივი მოთხოვნა TNT მოდელში

ახლა გადავიდეთ ერთობლივი მოთხოვნის განხილვაზე მოცემულ მოდელში. ამ შემთხვევაში უურადლებას გადავახეილებთ მოხმარებაზე, ხოლო ინვესტიციების პრობლემისგან აბსტრაგირებას მოვახდენთ, რაც საშუალებას მოგვცემს ვაჩვენოთ TNT მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლები.

საერთო დანახარჯი ტოლია ორივე სახის საქონელზე დანახარჯების, ანუ $A = P_T C_T + P_N C_N$, სადაც A არის საერთო დანახარჯი, C_T და C_N შესაბამისად ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის მოხმარების მოცულობაა (რეალურ გამოხატულებაში). დანახარჯი (დაფარვა) ნაწილდება ორი სახის საქონელს შორის და შეგვიძლია ველოდოთ, რომ თითოეული სახის საქონლის მოხმარება დამოკიდებულია დანახარჯების საერთო დონეზე და ორივე საქონლის შეფარდებით ფასებზე. ვამარტივებთ რა ჩვენს ანალიზს, შეგვიძლია ვევიარედოთ, რომ საოჯახო მეურნეობების მიერ C_T და C_N მოხმარება ხორციელდება გარკვეული პროპორციით შეფარდებითი ფასებისაგან დამოკიდებლად. ამგვარად, ჩვენ ვევიარედოთ (თუკი სპეციალურად არ შევნიშნავთ საპირისპიროს), რომ C_T/C_N მუდმივია. თუკი ერთობლივი მოთხოვნა იზრდება, C_T და C_N იზრდება თანაბარპროპორციად; თუკი ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, C_T და C_N მცირდება ასევე თანაბარპროპორციად.

ვიქონებთ რა მხედველობაში ამ ვიარედს, შეგვიძლია გრაფიკულად გამოვსახოთ საოჯახო მეურნეობათა დანახარჯების შესაძლო ვარიანტები, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 21-2-ზე. მოხმარების შესაძლო ვარიანტები მდებარეობს OC წრფეზე. თუკი საერთო დანახარჯი (დაფარვა) მცირდება, მაშინ მისი მნიშვნელობა B წერტილის შესაბამისი იქნება, სადაც ორივე C_T და C_N მაჩვენებლები მცირეა; თუკი ის მაღალია, მაშინ დანახარჯების შესაბამისი წერტილი იქნება D, სადაც მისი შესაბამისი C_T და C_N მნიშვნელობები მაღალია. მაგრამ C_T/C_N თანაფარდობა მუდმივია, მაშინ, როდესაც საერთო დაფარვა მცირდება ან იზრდება OC წრფის მიმართულებით.

OC წრფე თამაშობს საკენსო როლს იმ ბაზარზე წონასწორობის მდგომარეობის პოვნის თვალსაზრისით, რომლის თაობაზეც ყინუსებებთ მომდევნო პარაგრაფში.



ნახ. 21-2 მოხმარების მრეწველობის ფარმულენა INT მოდელში

საბაზრო წონასწორობა TNT მოდელში

TNT მოდელში მთავარი ეარაული მდგომარეობს იმაში, რომ შიდა მოხმარება N ტოლი უნდა იყოს მისი შიდა წარმოებისა, რამდენადაც N -ის ექსპორტისა და იმპორტის შესაძლებლობა გამოირიცხვლია. პირიქით, ექსპორტირებადი საქონელი შეიძლება გატანილი ან შემოტანილი იქნას ქვეყანაში და ამიტომ, შიდა მოხმარება T შეიძლება განისხეადებოდეს შიდა წარმოებისაგან. ამგვარად, ჩვენ გვექნება ორი ძირითადი დამოკიდებულება:


$$Q_N = C_N;$$

$$TB = Q_T - C_T. \quad (7)$$

შენიშნით, რომ სავაჭრო ბალანსი - TB (Trade Balance) (ექსპორტირებადი საქონლის ვრთველში) ტოლია ამ სახის საქონლის წარმოებისა და მისი შიდა მოხმარების სადღოსი. $Q_T - C_T$ შეიძლება ჩაეწეროს, როგორც $X_T - IM_T$, სადაც $X_T - T$ ექსპორტის მოცულობაა, ხოლო $IM_T - T$ იმპორტის მოცულობა.

განვიხილოთ საბაზრო წონასწორობის ბუნება TNT მოდელში, სადაც გავეართიანებთ OC მოხმარებისა და PPF გრაფიკებს, როგორც ეს გაკეთებულია ნახ. 21-3-ზე. დაეუშვათ, რომ საოჯახო მეურნეობების მიერ საქონლის მოხმარება წარმოდგენილია A წერტილით OC წრფეზე. ამ წერტილში არაექსპორტირებადი საქონლის მოხმარება ტოლია C_N^A , ხოლო ექსპორტირებადი საქონლისა - C_T^A , მათი წარმოების მოცულობა აგრეთვე ტოლი უნდა იყოს C_N^A , ე.ი. $Q_N^A = C_N^A$, როგორც ადრე მიუთითეთ. ამგვარად, წარმოების მოცულობა წარმოდგენილი უნდა იყოს წერტილით PPF -ზე, რომლისთვისაც $Q_N = C_N$. უფრო ზუსტად, წარმოების მოცულობა, რომელიც შეესაბამება A -ს სიდიდეს, წარმოდგენილია B წერტილით PPF წრფეზე, რომელიც იმავე პორიზონტალურ ხაზზე იმყოფება, რომელზეც A წერტილია.

შენიშნით, რომ B წერტილში ექსპორტირებადი საქონლის წარმოება ტოლია Q_T^B -სი, რაც აჭარბებს იმ საერთო დაფარვას, რომელიც C_T^B -ს ტოლია. ამგვარად, თუკი საერთო დანახარჯები შეესაბამება A წერტილს, ხოლო წარმოება - B -ს, მაშინ სავაჭრო ბალანსი დაიყენება დადებით სადღომდე, რამდენადაც $Q_T^B > C_T^B$. არაექსპორტირებადი საქონლის წარმოება და მოხმარება ერთმანეთის ტოლია (როგორც უნდა იყოს). ახლა განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც საერთო დანახარჯები (დაფარვა) განისაზღვრება D წერტილით. ამ შემთხვევაში წარმოება უნდა იმყოფებოდეს F წერტილში, რომელიც მდებარეობს იმავე პორიზონტალურ ხაზზე, რომელზედაც D წერტილია (ეს აუცილებელიცაა, რათა არაექსპორტირებადი საქონლის ბაზარი იმყოფებოდეს წონასწორობაში).



ნახ. 21-3. ნაწარმით შესაძლებლობათა ხაზგარი, მოხმარება და წონასწორობა

ერთობლივი მოთხოვნის ორი წერტილის – A და D-ს შედარებით შეგვიძლია მივიღოთ მნიშვნელოვან დასკვნამდე. ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის მოხმარება იზრდება. რაც უფრო მაღალია არაექსპორტირებადი საქონელზე მოთხოვნა, მით უფრო მაღალი უნდა იყოს მათი წარმოების მოცულობაც, რათა გაწონასწორდეს მოთხოვნა და მიწოდება. მაგრამ, არაექსპორტირებადი საქონლის წარმოება შეიძლება გაიზარდოს ამ სექტორში ექსპორტირებადი საქონლის მწარმოებელი სექტორიდან რესურსების გადმოინებით. ამგეადავ, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა იწვევს არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების ზრდას და ექსპორტირებადი საქონლის წარმოების შემცირებას ასეთი ასიმეტრია აიხსნება ძალიან მარტივად. არაექსპორტირებადი საქონელზე მოთხოვნის ზრდა შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას მხოლოდ შიდა წარმოების ზრდის ხარჯზე, ხოლო ექსპორტირებადი საქონელზე მოთხოვნის ზრდა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას იმპორტის ხარჯზე.

E წერტილი, რომელიც იმყოფება PPF და OC წრფეების გადაკვეთაზე, ის წერტილია, რომელშიც ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის წარმოება და მოხმარება ტოლია. ამ წერტილში საეაგრო ბალანსი წონასწორობაში იმყოფება, როდესაც ექსპორტირებადი საქონლის მოხმარება C_T ტოლია მისი წარმოების მოცულობისა Q_T . E წერტილს ზოგჯერ უწოდებენ შიდა და სავაგრო დაბალანსების წერტილს. შიდა დაბალანსება ახასიათებს იმ ფაქტს, რომ არაექსპორტირებადი საქონელზე მოთხოვნა ტოლია მისი მიწოდების, ხოლო სავაგრო დაბალანსება შეესაბამება წონასწორულ სავაგრო ბალანსს.


სესხები და კრედიტების გადახდა TNT მოდელში

ზემოთ შემუშავებული აბარატი შეგვიძლია გამოვიყენოთ საერთაშორისო დაკრედიტების უფრო ღრმა ანალიზისათვის. როგორც ცნობილია, კრედიტი, რომელიც მიღებულია დროის მოცემულ მომენტში, მოითხოვს მის დაბრუნებას მომავალში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სავაგრო დევიციტი მომავალში უნდა გაწონასწორდეს ბალანსის დადებითი სადღოთი, რომელიც გამოხატულია დადებითი დიფერენციალში. ახლა ყურადღება გაეთქვას მნიშვნელოვან მომენტზე, რომელიც უკავშირდება იმას, რომ ადრე აღებული კრედიტების დაბრუნების კურთხეის დადგომა მოითხოვს შესაბამის ძვირებს შიდა წარმოების სტრუქტურაში, რომელიც უზრუნველყოფს სავაგრო ვალის გადახდას.

დავუშვათ, რომ ქვეყანაში მოხმარების დონე აჭარბებს ეროვნულ შემოსავალს და სამამულო რეზიდენტები ცხოვრობენ უცხოური კრედიტების ხარჯზე. ნახ. 21-4-ზე ეს სიტუაცია წარმოდგენილია მოხმარებით D წერტილში და წარმოებით F წერტილში. ქვეყნის წმინდა ვალი (რომელიც ნახ-ზე არ არის ნაჩვენები) ვალდებულია უცხოური კრედიტებისაგან, რომელიც ერთობლიობაში გაიცემა უსესხო საოჯახო მეურნეობებზე, ფირმებზე და მთავრობაზე. მაგრამ, ბიუჯეტური შესღებების შესაბამისად სესხის თანხის დროში განაწილება გაწონასწორებულ უნდა იყოს იმ თანხებით, რომლებიც დასაბრუნებელია კრედიტების ასანაზღაურებლად. სამამულო რეზიდენტებს შესაძლებლობა

აქვთ მომსახურონ მათ ხელთ დაგროვებულ ეალს, როდესაც წარმოება უზრუნველყოფს სავაჭრო ბალანსის დადებით სადღოს.

კარგი იქნება, თუ უფრო ღრმად გაეანალიზებთ სავაჭრო ბალანსის დადებითი სადღოს მიმართ დაბრუნების ეკონომიკურ შედეგებს. სავაჭრო დეფიციტიდან ბალანსის დადებით სადღოზე გადასვლა, რა თქმა უნდა, მოითხოვს მოხმარების დონის შემცირებას წარმოების მოცულობასთან შედარებით. ეთქვას, მოხმარება D წერტილიდან B წერტილამდე მცირდება OC შრულზე. ამის შემდეგ, არაექსპორტირებად საქონელზე მოთხოვნა მცირდება (ისევე, როგორც ექსპორტირებად საქონელზე მოთხოვნა). მომუშავეები, რომლებიც დასაქმებული არიან არაექსპორტირებად საქონლის წარმოებულ სფეროში - პარიკმახერები ჩვენი პირველი მაგალითიდან გამომდინარე, სამშენებლო მუშები და მომსახურების სფეროს სხვა მომუშავეები - კარგავენ სამუშაოს, რამდენადაც მათ პროდუქციაზე შიდა მოთხოვნა მცირდება. ეს მომუშავეები უკვე იძულებულნი ხდებიან ეძიონ ახალი სამუშაო ექსპორტირებადი საქონლის წარმოებაში, რომლებიც ფაქტიურად აგრძელებენ გაფართოებას. მიუხედავად შიდა მოთხოვნის ვარდნისა, ექსპორტირებადი საქონლის სექტორის ფირმები წარმოებას აუარყოფებენ, რამდენადაც მათ შეუძლიათ თავიანთი პროდუქციის მსოფლიო ბაზრებზე გაყიდვა.



ნახ. 21.4. უცხოური ხვსხები და სავაჭრო ეალს დაფარვა

რესურსების არაექსპორტირებადი საქონლის სექტორიდან ექსპორტირებად სექტორში ასეთი გადანაწილება შეიმჩნეოდა ჩილეში 1982 წლის შემდგომ. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსათვის ჩილელები აქტიურად სესხულობდნენ ფულს - შეიძლება ითქვას, ძალიან აქტიურადაც - კაბიტალის მსოფლიო ბაზრებზე, როგორც ეს ხდება ხოლმე განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკაში. საერთაშორისო კრედიტების შეთავაზება ჩილესთვის, ისევე როგორც სხვა მრავალი ქვეყნისათვის, მკვეთრად შემცირდა 80-იანი წლების დასაწყისში, სავაჭრო ეალის დიდძალი ოდენობით დაგროვების შემდეგ. კრედიტორები დაექვედნენ ჩილეს შესაძლებლობებში სავაჭრო ეალის მომსახურების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 80-იან წლებში მსოფლიო სავაჭროცენტო განაკვეთი გაიზარდა. ჩილე იძულებული გახდა ხელი აეღო სავაჭრო დეფიციტის ზრდისათვის და სავაჭრო ბალანსი დაექვანა დადებით სადღომდე. შიდა მოთხოვნა ჩილეში მკვეთრად შემცირდა (იხ. ცხრილი 21-1), ერთობლივი მოთხოვნა შემცირდა, რომელიც D წერტილიდან B წერტილში გადაადგილდა (იხ. ნახ. 21-4).

ეკონომიკაში საჭირო იყო რესურსების მნიშვნელოვანი გადანაწილება ზუსტად ისევე, როგორც ზემოთგანხილულ მაგალითშია მოცემული. როგორც ცხრილი 21-1-ის მონაცემებიდან ჩანს, სავაჭრო დეფიციტიდან ბალანსის დადებით სადღოზე გადასვლა თანდაყოლილი იყო არასაექსპორტო სექტორიდან საექსპორტო სექტორში წარმოების სასარგებლო ძეგების გადასვლით, ძირითადად, სასოფლო სამეურნეო წარმოებაში. სამშენებლო მუშებს შორის მკვეთრად გაიზარდა უმუშეობა, მათ შორის მრავალმა სამუშაო იმოვა ხილის საექსპორტო და აგროსამრეწველო სექტორში.

სტრუქტურული ცვლილებები მიღეში 1979-1985 წლებში						
ქვეყანაში უმუშევრობის დონე ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით						
წლები	სულ	სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	მშენებლობა	მრეწველობა	ახალ მშენებლობაზე უფლება (ათას კვ.კმ-ში)	საეაჭრო ბალანსიშუშა (%-ში)
1979	13,6	7,3	28,9	12,5	3591	-1,7
1980	10,4	5,0	18,7	11,2	4643	-2,8
1981	11,3	6,2	25,8	11,8	5638	-8,2
1982	19,6	9,4	50,8	26,6	2365	0,3
1983	14,6	5,8	38,2	17,9	2771	5,0
1984	13,9	5,5	30,7	14,2	3209	1,9
1985	12,0	4,9	23,8	5,4	3831	5,3

სინამდვილეში, სტრუქტურული ცვლილებების პროცესი არც ისე მტკიანეულია, რაზედაც მოწოდებს ნილეს გამოცდილება. როგორც ცხრილი 21-1-დან ჩანს, უმუშევრობა გაიზარდა მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების გამო. გამოთავისუფლებული მუშების პროფესიული მომზადებისათვის საჭირო გახდა დროის გარკვეული პერიოდი. გარდა ამისა, როგორც ეს უზიარად ხდება, ნილეს ეკონომიკაში სტრუქტურულმა ცვლილებამ გამოიწვია საშუალო ძალის მიგრაცია, რაც იკავებს ხანგრძლივ დროს და დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ დანახარჯებთან. ეს ფაქტორები, სხვათა შორის, ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ მოხდა, რომ უმუშევრობის დონე არსებითად გაიზარდა სწორედ ეკონომიკის ფუნდამენტური გარდაქმნის პერიოდში, რომელიც საჭირო გახდა საეაჭრო დეფიციტიდან საეაჭრო ბალანსის დადებით სიღრმეზე გადასასვლელად (ჩანართი 21-1).

ჩანართი 21-1

სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამები

არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების სექტორიდან ექსპორტირებადი საქონლის სექტორში რესურსების გადაინება მოითხოვს სერიოზულ სტრუქტურულ გარდაქმნას ეკონომიკაში. ასეთი პროცესი შეიძლება თანდაყოლილი იყოს მნიშვნელოვანი პრობლემებითურთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საშუალო ადგილების შემცირების რაოდენობა არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების სექტორში მაღალია, ვიდრე ექსპორტირებადი საქონლის წარმოებულ სექტორში ახალი საშუალო ადგილების შექმნის ტემპები. ახალი საშუალოს პოვნა როდია დიდძალი დანახარჯების გამო, რომელიც უკავშირდება იმ რეგონში გადასვლის აუცილებლობას, სადაც არსებობს თავისუფალი საშუალო ადგილები, ასევე ექსპორტირებადი საქონლის სექტორში ხელფასის მოუქნელობას, თავისუფალი საშუალო ადგილების არსებობის თაობაზე საკმარის ინფორმაციის არარსებობას და ა.შ. იმისათვის, რათა ამგვარი დანახარჯები დაეყვანილ იქნას მინიმუმამდე, მთავრობას შეუძლია შემოიპოვოს ღონისძიებათა პაკეტი, რომლებსაც ზოგჯერ *სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამა*საც უწოდებენ. პროგრამის მიზანია რესურსების გადანაწილების დაწესება და ბარიერების ლიკვიდაცია, რომლებიც წინ ედგება წარმოების ფაქტორთა მოძღვრობას. ასეთი ღონისძიებები განააზრვებენ ექსპორტირებადი საქონლის სექტორში რესურსების მოძინებას და ამსუბუქებენ იმ პრობლემათა მოქმედებას, რომლებსაც შეუძლია ამ პროცესების დაზუსტება.

სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამები ჩვეულებრივად მოიცავენ მიკროეკონომიკურ ღონისძიებათა შემდეგ სახეებს: 1) იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო რესურსების უფრო ეფექტიანულად გამოყენებას სახელმწიფო სექტორში, მათ შორის, სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების რევიზიანობის აძლელობას, სახელმწიფო კომპანიების რესტრუქტურალიზაციას, გარკვეული საზოგადოებრივი საწარმოების პრივატიზაციას; 2) ღონისძიებებს, რომლებიც აძლიერებენ ეკონომიკურ სტიმულებს, ისეთებს, როგორც: საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია (საექსპორტო სექტორის განვითარებისათვის და ტარიფების კეტივების და ვაჭრობის სხვა შემსუფთვებელი ფაქტორების უარყოფითი გავლენის შესამსუბუქებლად), ფასწარმოების სისტემის რეფორმას, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში და სახელმწიფო სექტორში; 3) ეკონომიკური ინსტიტუტების გაუმჯობესების ღონისძიებებს, როგორცაა საბაიო და საგადასახადო ნაშახურები. აღნიშნული მიკროეკონომიკური ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ეკონომიკაში რესურსების გადანაწილების სტიმულირებისაკენ და ექსპორტირებადი საქონლის სექტორის სასარგებლოდ წარმოების ფაქტორთა გადაინებისაკენ, ჩვეულებრივ, იესება მატრიკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს, რომელიც მოიცავს საგადასახადო რეგების გამკაცრებას, საფინანსო-სარეგულირებო პოლიტიკას და გროუნული ვალუტის დეველუაციას.

XX საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო ბანკმა დიდი დახმარება გაუწია ქვეყნებს სტრუქტურული გარდაქმნის ღონისძიებათა შემუშავებაში და მათ შესთავაზა კრედიტები, რათა შეტვირთულიყო ასეთი გარდაქმ-

ნის განხორციელებაზე დანახარჯები. ამავდროულად, საერთაშორისო სახელურო ფონდმა განახორციელა შე-
 ხანამისი მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატარებაზე კონტროლი, რომელიც მოიცავდა ბუჯეტის დფე-
 ციანობა და ვალეული კურსის დფევალირების შემცირებას. ღონისძიებათა პაკეტი, რომელიც შემუშავებული
 იქნა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სახელურო ფონდის მიერ, გამოიწვია არაფორეგაროვანი რეაქცია
 როგორც ევუქტიანობის შეფასების, ასევე იმ საშუალებათა თვალსაზრისით, რომლის შეთავაზებაც მზად
 იყვნენ ეს ორგანიზაციები ამ ღონისძიებათა სარეალიზაციოდ. გარკვეული კრიტიკული შენიშვნები გამოქმულ
 იქნა მსოფლიო ბანკის მიმართ, რომელიც მხარს უჭერდა სტრუქტურულ ცვლილებებს. მათ შორის, შეიძლება
 აღენიშნათ შემდეგი: 1) საშუალებათა ოფენობა, რომელიც შეთავაზებული იქნა ბანკის მიერ სტრუქტურული
 ცვლილებების განსახორციელებლად, აშკარად ნაკლები იყო ქვეყნის ეკონომიკურ საჭიროებებზე; 2) ასევე
 სესხების შეთავაზების პირობები ნაწილობრივ არარეალისტური იყო, ვინაიდან ის ეყრდნობოდა გადაჭარბებულ
 ოპტიმისტურ შეხედულებებს სახსავ ცენტრულების როლზე კერძო სამუშაო სექტორისათვის; ან იმდენო-
 ნებდა პროგნოზების რეალიზაციის პოლიტიკურ მხარდაჭერას; 3) მსოფლიო ბანკი მაღალი მცირე შრომუნელო-
 ბის ანიჭებდა სოციალური სამართლიანობის პრობლემას, ახდენდა რა აქცენტების ძირითადად პროგრამის
 ეკონომიკურ ევუქტიანობაზე. რასაკვირველია, ოპენენტების შეხედულებები არსებითად განსხვავდება ბანკის
 მიერ თავისი როლის შეფასებისგან სტრუქტურული ცვლილებების გატარებაში.

თუმცა, ყველა პროგრამის შემუშავების ხარისხიდან დამოუკიდებლად ექვს არ იყვნენ ის გარემოება,
 რომ დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება მოვალე განვითარებას ქვეყნების უარყოფითი სავაჭრო ბალან-
 სთან დადებითზე გადასვლას, იყო უკიდურესად მაღალი. ამ ქვეყნებში მიკროად გაიზარდა უმუშევრობა,
 შრომუნელოვნად შემცირდა წარმოების მოცულობა და დასაქმება არაექსპორტირებადი საქონლის მწარმოებელ
 სექტორში და ეს ვარდნა კომპენსირებული არ ყოფილა ექსპორტირებადი საქონლის მწარმოებელ სექტორში
 წარმოებისა და დასაქმების ზრდით.

„ჰოლანდიური დაეაღება“


ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებაში ძვრები, როგორც წესი,
 ხდება მაშინ, როდესაც მკვეთრად იცვლება შიდა დანახარჯების დონეც კერძო შეიძლება ნაწილ-
 ევულები ითვის საგარეო ვალის გადახდის დაწყებით, მაგრამ საგარეო ვალის გადახდა - ამის ერთ-
 დერთი მიზეზი როდია. ეკონომისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიძღო ქვეყნის რეზიდენტების
 შელომბლობაში არსებული სიმდიდრის მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ბუნებრივი რესურსების დი-
 რექტულებაში ძვრების შედეგად. ქვეყანა შეიძლება ფანტასტიკურად გამდიდრდეს თავის ტერიტო-
 რიაზე მინერალური ნედლეულის ან ენერგეტიკული რესურსების დიდი მარაგის მულოდენელი აღ-
 მოჩენის შემთხვევაში (როგორც ეს მოხდა ნორვეგიაში, როდესაც გახსული საუკუნის 70-იან წლებში
 აღმოჩენილი იქნა ნავთობის საბადო ჩრდილოეთის ზღვის შესღზე) ან მსოფლიო ფასების მნიშ-
 ნელოვანი ზრდის შემთხვევაში უკვე აღმოჩენილ სანედლეულო რესურსებზე (ნავთობის ექსპორტი-
 რი ქვეყნების შემოსავლები, როდესაც 70-იან წლებში ნავთობზე ფასები მკვეთრად გაიზარდა).

სიმდიდრის უზარმაზარი ცვლილების ევუქტი სანედლეულო რესურსების ახალი მარაგების
 აღმოჩენის წყალობით ამ უკვე არსებულზე ფასების ცვლილების შედეგად იმდენად დრამატულია,
 რომ მან მიიღო სპეციფიკური სახელწოდება - „ჰოლანდიური დაეაღება“. ეს სახელწოდება მან
 მიიღო იმის გამო, რომ ჰოლანდიაში გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიმჩნეოდა არსებითი ძვრე-
 ბი წარმოებაში ბუნებრივი გაზის ახალი მარაგების აღმოჩენის კვალობაზე. სამდენადაც ამ
 ენერგომატარებლის ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა, ჰოლანდისი მაშინდელი ერთეული ევლუბა -
 „გულდენი“ გაეზარდა, რომელიც გაძვირდა რეალურ გამოხატულებაში, რამაც განაპირობა სხვა
 სახის საქონლის ექსპორტის ევუქტიანობის შემცირება. განსაკუთრებით ეს შეეხო სამრეწველო სა-
 ქონელს. მაგრამ სიტუა „დაეაღება“ ამ სახელწოდებაში გამოიყენება არც თუ მართებულად. წარ-
 მოებაში სტრუქტურული ძვრები, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი სიმდიდრის მასშტაბების
 ცვლილებებით, სულაც არ არის ეკონომიკის „დაეაღება“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

განვიხილოთ ნავთობის ახალი საბადოს აღმოჩენის ევუქტი იმ ქვეყანაში, სადაც მანამდე ად-
 ნაული ჰქონდა მრეწველობის გადაამუშავებული დარგების საქონლის ექსპორტი. დაეუშვათ, რომ
 ნავთობის საბადოს კვლავ აღმოჩენამ გამოიწვია საქსპორტო წარმოების ზრდა ღე-მდე მანამდე.
 ვიდრე აღმოჩნდებოდა ნავთობის მარაგები, საწარმოო შესაძლებლობათა მკრდი მოცემული იყო PF
 ხაზით 21-5 ნახაზზე. ნავთობის მარაგის აღმოჩენის შემდგომ ეკონომიკის შეუძლია აწარმოოს
 საქსპორტო საქონელი Qz ერთეული მტვი ოდენობით, ვიდრე მანამდე; ამგვარად, საწარმოო შე-
 საძლებლობის სახლვარი გადაადგილდება მარჯვნივ პარალელურად Qz სიდიდით, როგორც ეს ნა-
 ენებია ნახაზზე.

შემდგომ დაეუშვათ, რომ სავაჭრო ბალანსი დაბალანსებული იყო ნავთობის ახალი მარაგების
 აღმოჩენამდე და აღმოჩენის შემდეგ, ე.ი. მოქმედი მსოფლიო სამარცხნო განაკვეთისა და სავაჯახო
 შერუნელობათა პრეფერენციების შემთხვევაში სესხებისა და დაკრედიტების საჭიროებები არ არს-
 ბობს. ამგვარად, ახალი მარაგების აღმოჩენის მომენტამდე წონასწორობა იმყოფებოდა A წარტომში
 PF და OC ხაზების გადაკვეთაზე. ახალი მარაგების აღმოჩენის შემდგომ ეკონომიკური წონასწორობა

გადაადგილდება B წერტილში. შეენიშნოთ, რომ ნაეთობის ახალი მარაგების აღმოჩენა ბუნებრივად იწვევს მოთხოვნის გაფართოებას (ეს ასახავს ქვეყნის ნეთობრივი სიმდიდრის ზრდას), რაც, თავის მხრივ, იწვევს ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის მოხმარების ზრდას.



ნახ. 21-5 ნაეთობის მარაგის აღმოჩენის ეფექტი. ექსპორტირებადი ქვეყანაში „ქოლანდიური დაჟაღებს“

ახლა, უფრო დანერვილებით განვიხილოთ მოხმარების ზრდის გაეყენა ეკონომიკაში წარმოების სტრუქტურაზე. წარმოების სტრუქტურაში მიმდინარე ძვრების გაანალიზება საკმაოდ რთულია, როგორც ნახ. 21-5-ზე ჩანს, ძვრების შედეგად არაექსპორტირებადი საქონლის წარმოება იზრდება Q_f^A -დან Q_f^B -მდე. ექსპორტირებადი საქონლის წარმოებაც იზრდება, მაგრამ ამ ზრდის კვეთიერი მოხმარების ბუთთან არც ისე სწორხაზოვანია. B წერტილში „ტრადიციული“ ექსპორტირებადი საქონლის (არა ნაეთობის) წარმოება იმყოფება Q_f^B დონეზე, ხოლო ნაეთობის წარმოება - Q_0 -ზე. ექსპორტირებადი საქონლის საერთო წარმოება ტოლია $Q_f^B + Q_0$ -სა. შესაბამისად, შეედარებთ იმა ექსპორტირებადი საქონლის წარმოებას ნაეთობის მარაგების აღმოჩენამდე და აღმოჩენის შემდეგ, შევიძლია აღვნიშნოთ სამი მომენტი. პირველი, ტრადიციული ექსპორტირებადი საქონლის წარმოება მცირდება Q_f^A -დან Q_f^B -მდე. მეორე, ნაეთობის წარმოება იზრდება Q_0 -მდე. და მესამე, ექსპორტირებადი საქონლის ერთობლივი წარმოება იზრდება Q_f^A -დან $Q_f^B + Q_0$ -მდე.

ამგვარად, „ქოლანდიური დაჟაღდება“ მიეკუთვნება არასანედლეული საექსპორტო საქონლის წარმოების შემცირების შემთხვევას სასარგებლო წიაღისეულის ახალი საბადოს აღმოჩენის დროს. კონკრეტულ პირობებში, ნაეთობის, გაზის, ალმასის ან სხვა მინერალური რესურსების მსხვილი მარაგების აღმოჩენა იწვევს ტრადიციული საექსპორტო საქონლის წარმოების შემცირებას. მიზეზი გასაგებია: სიმდიდრის ზრდა ბუმის დროს ბუნებრივი რესურსების მოპოვების სფეროში იწვევს ტრადიციული ექსპორტის სექტორიდან რესურსების გადინებას და მათ მიდინებას არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში. როგორც აღვნიშნეთ, არაექსპორტირებადი საქონელზე მოთხოვნის ზრდა შეიძლება დაბალანსდეს მხოლოდ მისი შიდა წარმოების ზრდით, ხოლო ექსპორტირებადი საქონელზე მოთხოვნის ზრდა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმპორტის ზრდის ხარჯზე (შიდა წარმოების მოცულობის ფაქტორი შემცირების დროს).

შეენიშნოთ, რომ გადაამაშაშავებელი მრეწველობის დარგებში წარმოების შეკეცივის „დაჟაღება“ შეიძლება სინადილეში აღქმული იქნას როგორც დაჟაღება, განსაკუთრებით, ამ დარგებში მომზადებებისა და საწარმოთა მფლობელების მიერ, მაგრამ, სინადილეში წარმოების სტრუქტურული ძვრები წარმოადგენს ოპტიმალურ რეაქციას სიმდიდრის ზრდაზე. მხოლოდ ტრადიციული საექსპორტო საქონლის წარმოების შემცირების ხარჯზე შეუძლია საოჯახო მეურნეობებს გაზარდონ არაექსპორტირებადი საქონლის მოხმარება.

„ქოლანდიური დაჟაღების“ გამოყენებები შეიძლებადა შეგვიენიშნა პრაქტიკულად ნაეთობის ექსპორტირად ყველა ქვეყანაში 70-იანი წლების ბოლოსათვის, როდესაც ნაეთობე მსოფლიო ფასებში მკვეთრად გაიზარდა ამ ქვეყნებში სიმდიდრის ზრდამ გამოიწვია ძვრები არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების სასარგებლოდ, განსაკუთრებით მშენებლობაში, რამაც შეამცირა ტრადიცი-

ული ექსპორტის საქონლის წარმოება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და გადაამუშავებელი მწვერელობის პროდუქციის ჩათვლით. როდესაც 80-იანი წლების შუალედში ნათობზე ფასები მკვეთრად შემცირდა, „სოლანდერმა“ დააყვანა კელაე ოინა თავი. ნათობით მიღარი ქვეყნებში შიდა მოთხოვნა შემცირდა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი უმუშევრობა მშენებლობაში და დასაქმების ზრდის განახლება სოფლის მეურნეობასა და სხვა სახის ტრადიციული საქსპორტო პროდუქციის წარმოებაში.

ლათინურ ამერიკაში „სოლანდური დააყვანების“ ნათელი მაგალითია (რომელიც არ უკავშირდება ნათობს) კოლუმბია 70-იანი წლების შუალედში. ტრადიციულად, კოლუმბია ძლიერ იყო დამოკიდებული ყაყის წარმოებაზე, რომელიც შეადგენდა ექსპორტის საერთო მოცულობის დაახლოებით 2/3-ს 60-იანი წლების ბოლოსათვის და დაახლოებით 45%-ს – 1974 წლისათვის. ბრაზილიაში არასასურველმა ამინდებმა და გარემო პირობებმა, აგრეთვე გეოტექნოლოგიის მომხდარმა მოწიხებამ მსოფლიო ბაზარზე ყაყის მნიშვნელოვანი დეფიციტი გამოიწვია. მასზე არსებული ფასი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა ორი წლის მანძილზე. კოლუმბიაში ყაყის მწარმოებლები დაუყვანებლად გამოემხმარუნენ ამ ფაქტს და 1974-1981 წლებში ყაყის წარმოება 76%-ით გაიზარდა ამის შედეგად. კოლუმბიაში ექსპორტიდან ამონაგები 300%-ით გაიზარდა მომდევნო ხუთი წლის მანძილზე. მაგრამ, როგორც თეორია წინასწარმეტყველებს, ეროვნული ეკონომიკის რეალური გაცლილი კურსი ვაშყარდა დაახლოებით 20%-ით 1975-1980 წლებში და ამაწ სხვა სახის საქსპორტო პროდუქციის კონსტრუქტორიანობა, გარდა ყაყისა, ძლიერ შეარყია.

მიუხედავად იმისა, რომ „სოლანდური დააყვანების“ ზოგადი სიმპტომები ყველაზე მეტად უკავშირდება სანედლეულო სექტორში არსებულ ბუმს, ის შეიძლება გამოვლინდეს სხვა მიზეზების შედეგად, რომლებიც იწვევენ შიდა მოთხოვნის მნიშვნელოვან ცვლილებებს. მაგალითად, ქვეყნები, რომლებიც ეტბოლებს უცხოური დახმარების მნიშვნელოვან მოცულობას, ბევრ შემთხვევაში განიცდიან სამომხმარებლო ბუმს. უცხოური დახმარების მიშლები ხშირად აწყვდებიან იმას, რომ გარე სამყარო ფინანსური ზემოქმედება იწვევს მოცემულ ეკონომიკაში საქსპორტო საქონლის წარმოების შემცირებას. ამ შემთხვევაში, დახმარებამ შეიძლება ფაქტორად ზიანი მიაყენოს ეკონომიკის იმ სექტორებს, რომლებიც სატორებზე განვითარებას პირველ რიგში.

შეენიშნოთ, რომ თუკი,საქსპორტ ექსპანსიას გააჩინა იგივე შედეგები წარმოებისათვის, რაც სანედლეულო ბუმს. სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ, თუკი ის არ კომპენსირდება კერძო სექტორში დანახარჯების შემცირებით, შეიძლება გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნის გადანაწილება არაექსპორტირებადი საქონლის სასარგებლოდ და აბით თუ, არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების ზრდა და ექსპორტირებადი საქონლის წარმოების შემცირება სხივეწ მართსა, რომელმაც გაანალიზა სახელმწიფო დანახარჯების ზრდის სექტორული გავლენა აშშ-ში XX საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში, აღმოაჩინა, რომ წარმოებადი ექსპორტირებადი საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა შემცირდა, ხოლო არაექსპორტირებადი საქონლისა – გაიზარდა. ეკონომიკური პოპულიზმი და სამხედრო ხარჯების სწრაფი ზრდა თანდაყოლილია აგრეთვე ექსპორტირებადი საქონლის წარმოების შემცირებით.

21-3. ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონელი და ფასების დონე

მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ გასაოცარ კანონზომიერებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მდიდარ ქვეყანაში ცხოვრება უფრო „აღიონა“, ვიდრე ღარიბ ქვეყანაში. ტურისტებმა და ბიზნესმენებმა იციან, რომ ევროპაში აწ იპონიაში ვიზიტი უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე ლათინურ ამერიკაში აწ აფრიკაში. საეულდაეულო გამოკლევა ადასტურებს იმას, რაც ბევრმა ჩვენთაგანმა იცის პრაქტიკულად გამოშინარტ: ცხოვრების ღირებულება, რომელიც იზომება სამომხმარებლო კალათის ღირებულებით, სადაც ჩართულია კვების პროდუქტები, ხარჯები ბინაზე, სამომხმარებლო საქონელზე, ნამდვილად მაღალია მდიდარ, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში.

ასეთი განსხვავების უმრავლესი ბოლომდე ნათელი არ არის. ექსპორტირებადი საქონელი დაახლოებით ერთნაირი ზნა ღირებს მთელს მსოფლიოში, თუ გაზომვიცხათე სატრანსპორტო დანახარჯებს და ტარიფებს, რომლებიც საერთოდ საქონლის ფასების უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. შესაბამისად, მსოფლიოში საქონლის უმრავლესობა ექსპორტირებადი რომ იყოს, ქვეყნებს შორის საფასე დონეებში განსხვავება გაცილებით ნაკლებად შესაშინევი იქნებოდა ყველაზე არსებითი განსხვავება შეიშინევა არაექსპორტირებადი საქონლის ფასებში.

მაგრამ, რატომბა არაექსპორტირებადი საქონელი მდიდარ ქვეყნებში უფრო ძვირი ერთ აშყარა მიზეზი გამოიხატება იმასი, რომ მანდ ხელფასი მაღალია. ეს მართალია, მაგრამ მდიდარ ქვეყნებში მაღალია შრომის მწარმოებლურობაც, რომელსაც შეუძლია მოახინის შრომის ანაზღაურების უფრო მაღალი დონის კომპენსაცია. TNT მოდელი ქვეყნებს შორის ფასებში ამ განსხვავებას გასაკებად ხსნის.

ფასები, ხელფასი და მწარმოებლურობა

იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოთ მიითებულ პრობლემას, ჩვენ უნდა შევიდაროთ ორ ქვეყანაში არსებული ფასების დონეები, რომლებიც გამოხატულია ერთ ფულად ერთეულში. დაეუშვათ, P - ფასების დონეა პირველ ქვეყანაში, ხოლო P^* - ფასების დონე მეორე ქვეყანაში, რომელიც გამოხატულია მეორე ქვეყნის ვალუტაში. მაშინ, მეორე ქვეყნის ფასების დონე, გამოხატული პირველი ქვეყნის ვალუტაში, ტოლია EP^* , სადაც E - პირველი ქვეყნის გაცვლითი კურსია (პირველი ქვეყნის ვალუტის ერთეული, განაგირიგებული მეორე ქვეყნის ვალუტის ერთეულზე). ჩვენ უნდა შევიდაროთ P და EP^* .

P და EP^* ფასების დონე წარმოადგენს ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის საშუალო შეწონილ ფასებს. დაეუშვათ, e - ფასების ინდექსში ექსპორტირებადი საქონლის წონაა, ხოლო $(1-e)$ - არაექსპორტირებადი საქონლის. სიმარტივისათვის დაეუშვათ, რომ ორივე ქვეყანაში აღნიშნული წონა ერთი და იგივეა:

$$\begin{aligned} P &= eP_T + (1-e)P_N; \\ EP^* &= e(EP_T^*) + (1-e)(EP_N^*). \end{aligned} \quad (8)$$

ახლა დაეუშვათ, რომ ექსპორტირებადი საქონლისთვის დაცულია მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი. ეს ნიშნავს, რომ ფასები ექსპორტირებად საქონელზე - ავტომობილებზე, გრძელვადიანი საბრუნავების საქონელზე, მარცვლეულზე, ნათობზე, ოქროზე და ა.შ. - ორივე ქვეყანაში ერთი და იგივეა.

$$P_T = EP_T^* \quad (9)$$

რამდენადაც ექსპორტირებად საქონელზე ფასები ერთნაირია ორივე ქვეყანაში, P უფრო მაღლი იქნება, ვიდრე EP^* , მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც P_N მაღალია, ვიდრე EP_N^* . სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი ექსპორტირებადი საქონლისათვის დაცულია მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი, ორივე ქვეყანაში ფასების დონეებში სხვაობა განისაზღვრება მხოლოდ არაექსპორტირებად საქონელზე არსებულ ფასებში სხვაობით.

მაგრამ რა განსაზღვრავს P_T -სა და EP_T^* -ს? ჩვენი აზრით, ქვეყანაში ხელფასის დონე უშუალოდაა დაკავშირებული ექსპორტირებადი საქონლის ფასთან. (5) ტოლობიდან ვიცით, რომ $P_T = w/a_T$, საიდანაც $w = P_T a_T$. ეს ტოლობა განსაზღვრავს ხელფასის დონეს ექსპორტირებადი საქონლის ფასებში (P_T) და მწარმოებლურობის კოეფიციენტს ექსპორტირებადი საქონლის გამოშვების დროს (a_T).

თავის მხრივ, არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებაზე დანახარჯები განისაზღვრება შრომის ფასით, რომელიც გამოიყენება N საქონლის ერთეულის საწარმოებლად. რამდენადაც N საქონლის თითოეული ერთეულის წარმოება მოითხოვს $1/a_N$ შრომის ერთეულს, შრომაზე დანახარჯები ტოლია w/a_N . ამგვარად, არაექსპორტირებადი საქონლის ფასი განისაზღვრება $P_N = w/a_N$ ტოლობით. და რამდენადაც $w = P_T a_T$ და $P_N = w/a_N$, მაშინ გვექნება:

$$P_N = P_T \left(\frac{a_T}{a_N} \right). \quad (10)$$

მიეაქციოთ ყურადღება იმას, რომ არაექსპორტირებად საქონელზე ფასი წარმოადგენს ექსპორტირებადი საქონლისა და იმ კოეფიციენტის წარმოებულს, რომელიც განისაზღვრება ორივე სექტორში შრომის მწარმოებლურობით.

მეორე ქვეყნისათვის შესაბამისი გამოსახულება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$EP_N^* = P_T \left(\frac{a_T^*}{a_N^*} \right) \quad (11)$$

ანალოგიურად, ფასი არაექსპორტირებად საქონელზე მეორე ქვეყანაში წარმოადგენს ექსპორტირებადი საქონლის ფასისა და იმ კოეფიციენტის წარმოებულს, რომელიც დამოკიდებულია მეორე ქვეყნის ორ სექტორში შრომის მწარმოებლურობაზე.

განვიხილოთ უფრო ყურადღებით, თუ რას ნიშნავს ეს გამოსახულებები. არაექსპორტირებად საქონელზე ფასები მაღალია, როდესაც შრომა მაღალმწარმოებლურია ექსპორტირებადი საქონლის სექტორში, ვ.ი. როდესაც a_T მაღალია, და აი რატომ: მაღალმწარმოებლური შრომა მოითხოვს ხელფასის მაღალ დონეს და არღვსავს შრომის მწარმოებლურობა ექსპორტირებადი საქონლის სექ-

ტორში მაღალია, მაღალია ხელფასიც, გამოხატული ექსპორტირებადი საქონლის ერთეულში მაღალი ხელფასი, თავის მხრივ, ნიშნავს შრომის დანახარჯის ღირებულების მაღალ დონეს არაექსპორტირებადი საქონლის სექტორშიც. ამგვარად, a_1 -ს მაღალი მნიშვნელობა ნიშნავს P_A -ის მაღალ მნიშვნელობას. ამავე დროს, არაექსპორტირებადი საქონელზე ფასები დაბალი იქნება, თუკი შრომა მაღალმწარმოებლურია არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში, ე.ი. თუკი a_H მაღალია. როდესაც შრომის მწარმოებლურია არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში მაღალია, შრომის არსდენობა, რომელიც გამოიყენება ამ სექტორში პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად, არ არის მაღალი. ამგვარად, a_H -ის დაბალი მნიშვნელობა ნიშნავს P_A -ის დაბალ ფასს.

ამ მიზეზიდან გამომდინარე, არაექსპორტირებადი საქონლის ფასი (P_A) დამოკიდებულია ორ სექტორში შრომის შეფარდებით მწარმოებლურობაზე (a_T/a_A). მაღალი მწარმოებლურობა ექსპორტირებადი საქონლის სექტორში ნიშნავს მაღალ ხელფასს ექსპორტირებადი საქონლის ერთეულში, მაგრამ მაღალი მწარმოებლურობა არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში ნიშნავს შრომის დაბალ დანახარჯებს არაექსპორტირებადი პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე. შესაბამისად, არაექსპორტირებადი საქონლის ფასი P_A დამოკიდებულია a_T/a_H -ის თანფარდობაზე, და არა ცალკე აღებული თითოეული სექტორში შრომის მწარმოებლურობაზე.

ახლა შევიძლია შევადაროთ ორ ქვეყანაში არაექსპორტირებადი საქონელზე ფასები. (10) და (11) ტოლობებიდან ჩანს, რომ თუკი $(a_T/a_A) < (a_T/a_A^*)$, მაშინ პირველ ქვეყანაში ცხოვრება უფრო ძვირია, ვიდრე მეორეში. პირველ ქვეყანაში ცხოვრება ნაკლებად ძვირია, ვიდრე მეორეში, როდესაც $(a_T/a_H) < (a_T/a_H^*)$. მაგტივად რომ ვთქვათ, ერთი ქვეყანა მეორესთან შედარებით უფრო ძვირი იქნება, თუკი პირველ ქვეყანაში შეფარდებითი მწარმოებლურობა ექსპორტირებადი საქონლის სექტორში უფრო მაღალია, ვიდრე მეორე ქვეყანაში. აქ მნიშვნელობა ენიჭება ორ ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობის არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით სიდიდებში სხვაობას.

განვიხილოთ დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობს ამ დებულებიდან. დაეუშვათ, რომ შრომის მწარმოებლურობა პირველ ქვეყანაში ორჯერ აჭარბებს მეორე ქვეყნის ორივე სექტორში არსებულ მწარმოებლურობას ($a_T = 2a_T^*$ და $a_H = 2a_H^*$). პირველ ქვეყანაში არსებული ხელფასი ორჯერ გადააჭარბებს მეორე ქვეყნის ამ მაჩვენებელს, რომელიც დაყვანილია ერთიან ფულად ერთეულზე მაგრამ ფასები არაექსპორტირებადი საქონელზე ერთნაირი იქნება ორივე ქვეყანაში. თუ თვით ხელფასი პირველ ქვეყანაში ორჯერ მეტი იქნება მეორე ქვეყანაში არსებულ ხელფასზე, შრომის მწარმოებლურობა არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების დროს აგრეთვე ორჯერ მეტი იქნება, ასე, რომ შრომის დანახარჯის ღირებულება პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე ერთნაირია ორივე ქვეყანაში!


დაეუშვათ, რომ პირველ ქვეყანაში ექსპორტირებადი საქონლის სექტორში მწარმოებლურობა ორჯერ მაღალია, ხოლო არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში მწარმოებლურობა ტოლია მწარმოებლურობისა მეორე ქვეყანაში ($a_T = 2a_T^*$ და $a_H = a_H^*$). მაგალითად, პირველ ქვეყანაში საქმე უკეთესადაა ავტომობილების წარმოების მხრივ, მაგრამ უფრო უარესადაა თმის შეკრებასთან დაკავშირებით, ვიდრე მეორე ქვეყანაში. მაშინ ხელფასი პირველ ქვეყანაში ორჯერ მაღალი იქნება, ვიდრე მეორეში, თუკი მათ გამოვსახავეთ ერთ ვალუტაში. მაგრამ, ამ შემთხვევაში შრომის დანახარჯების ღირებულება არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებაზე ორჯერ მაღალი იქნება, ვიდრე მეორე ქვეყანაში, რამდენადაც არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში შრომის მწარმოებლურობა იქ მაღალი არ არის. პირველ ქვეყანაში თმის შეკრება ორჯერ ძვირი ჯდება, ვიდრე მეორე ქვეყანაში. ფასების საერთო დონეც ასევე მაღალი იქნება პირველ ქვეყანაში.

ახლა დაეუშვათ, რომ შრომის მწარმოებლურობა ექსპორტირებადი საქონლის სექტორში ორივე ქვეყანაში ერთნაირია, მაგრამ არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში პირველი ქვეყნის შრომის მწარმოებლურობა ორჯერ უფრო მაღალია პირველთან შედარებით ($a_T = a_T^*$ და $a_H = 2a_H^*$). ამ შემთხვევაში, ხელფასი ორივე ქვეყანაში იქნება ერთსა და იმავე დონეზე (საერთო ვალუტაში). მაგრამ დანახარჯების ღირებულება არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებაზე უფრო ნაკლები იქნება პირველ ქვეყანაში, ვიდრე მეორეში, რამდენადაც პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის იმ სექტორში იხარჯება ორჯერ ნაკლები შრომა. ასეთ პირობებში, პირველ ქვეყანაში ცხოვრების ღირებულება უფრო დაბალი იქნება მეორე ქვეყანასთან შედარებით.

ახლა უფრო ნათელი ხდება ზემოთდასმულ კითხვაზე არსებული პასუხი. არის თუ არა სინამდვილეში მდიდარ ქვეყნებში ცხოვრება უფრო ძვირი, ვიდრე ღარიბში და თუ ეს ასეა, რატომ? ერთი მხრივ, მდიდარ ქვეყანაში შრომა უფრო ძვირია, ვიდრე ღარიბ ქვეყანაში, ხოლო მეორე მხრივ, მდიდარ ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობაც აგრეთვე მაღალია. ახლა უნეე ვიცი, რომ აქ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის ორივე სექტორში შრომის მწარმოებლურობებს შორის თანფარდობას. ექსპორტირებადი საქონლის სექტორში მაღალი მწარმოებლურობა იწვევს შრომით დანახარჯების ღირებულების ზრდას არაექსპორტირებადი პროდუქციის წარმოებაში, ხოლო მაღალი მწარმოებლურობა ამ უკანასკნელ სექტორში ამცირებს მანდ არსებულ შრომაზე დანახარჯებს. ცხოვრება ქვეყანაში უფრო ძვირი ხდება არაექსპორტირებადი საქონლის ფასებიდან გამომდინარე,

თუკი მწარმოებლურობა შედარებით მაღალია ექსპორტირებადი საქონლის სექტორში, რაც იწვევს შრომითი დანახარჯების ღირებულების ზრდას არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების შემთხვევაში.

შეგვიძლია თუ არა რაიმე დავამატოთ ზემოთქმულს? შეგვიძლია, თუკი მიემართათ ემპირიულ მონაცემებს არსებობს შრომის მწარმოებლურობის ამაღლების სხვადასხვა გზა, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოდგენილია ნახ. 21-6-ზე. როდესაც ქვეყნები მდიდრდება შრომის მწარმოებლურობის ზრდის წყალობით, მწარმოებლურობის ზრდის ტემპები, როგორც წესი, მაღალია ექსპორტირებადი საქონლის სექტორში. მწარმოებლურობის ზრდა ნიშნავს საწარმოო შესაძლებლობების სასაფრის მაღლა და მარჯვნივ გადაადგილებას, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე. მაგრამ, რადგანაც მწარმოებლურობის ზრდის ტემპები მაღალია ექსპორტირებადი საქონლის სექტორში, მაშინ საწარმოო შესაძლებლობის სასაფრის გადაადგილება უფრო სწრაფად ახსენისა ღირებულების გასწვრივ. სხვა სიტყვებით რომ ეთქვას, წარმოების მოცულობა ექსპორტირებადი საქონლის სექტორში უფრო სწრაფად იზრდება.



ნახ. 21-6. საწარმოო შესაძლებლობის სასაფრის გადაადგილება ექსპორტირებადი საქონლის სექტორში მწარმოებლურობის ზრდის შედეგად. შენახვევას არაექსპორტირებადი საქონლის სექტორთან შედარებით

აღნიშნული ძერა ექსპორტირებადი საქონლის სექტორში შრომის მწარმოებლურობის უფრო სწრაფი ზრდის სასარგებლოდ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნების განვითარების კვალობაზე შეიძინევა a_T/a_H თანაფარდობის ზრდის ტენდენცია. ფაქტიურად იზრდება a_T -ც და a_H -იც, მაგრამ a_T იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე a_H . ამგვარად, a_T/a_H სიდიდე მდიდარ ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე ღარიბებში. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ცხოვრება მდიდარ ქვეყნებში უფრო ძვირია, ვიდრე ღარიბებში არა იმიტომ, რომ ისინი უფრო მდიდრებია მთლიანობაში, არამედ იმიტომ, რომ ექსპორტირებადი საქონლის სექტორში მწარმოებლურობა უფრო მაღალია არაექსპორტირებადი საქონლის სექტორთან შედარებით.

უპრიანია აღენიშნოთ ექსპორტირებადი საქონლის სექტორში მწარმოებლურობის ზრდის უფრო მაღალი ტემპების კიდევ ერთი შედეგი. როდესაც a_T/a_H ქვეყანაში იზრდება, ფასები არაექსპორტირებადი საქონელზე იზრდება ექსპორტირებადი საქონელზე არსებულ ფასებთან შედარებით. თუკი a_T/a_H იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე a_T/a_H , მაშინ პირველ ქვეყანაში შეიძინევა რეალური გაცვლითი კურსის ზრდის ტენდენცია მეორე ქვეყანასთან შედარებით, ე.ი. P იზრდება EP*-სთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში, ორი ქვეყანა თუნდაც დაკავშირებული რომ იყოს ერთმანეთთან ფიქსირებული გაცვლითი კურსით, მაშინ ინფლაციის ტემპები ამ ქვეყნებში განსხვავებული იქნება, რამდენადაც პირველ ქვეყანაში შესამჩნევი იქნება ფასების უფრო მაღალი ზრდის ტემპი არაექსპორტირებადი საქონელზე.

აი რატომ შეიძინევა ინფლაციის ტემპებში განსხვავება იმ ქვეყნებს შორისაც, რომელთა სა-ვალუტო სისტემები ერთმანეთთანაა დაკავშირებული ფიქსირებული გაცვლითი კურსით. თუკი ფასების ზრდის ტემპები ექსპორტირებადი საქონელზე ასეთი რეჟიმის დროს დაახლოებით ერთმანეთის ტოლი იქნება, დანაქარებული ზრდის ტემპების მქონე ქვეყნებს ქვეყნათ უფრო მაღალი ინფლაციის

ტემები, მათთვის დამახასიათებელი იქნება უფრო მაღალი ინფლაცია არაექსპორტირებადი პროდუქციის სექტორში. ეს ტენდენცია გამოვლინდაგასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც იაპონიაში, რომელმაც გაასწრო ყველა ინფლაციულად განვითარებულ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით, შემოინარჩუნა ყველაზე მაღალი ინფლაციის ტემპებიც. ევროპაში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპების მქონე ქვეყნებში ადგილი ჰქონდა აგრეთვე ინფლაციის მაღალ დონეს. ეს კანონზომიერება დასტურდება ცხრილი 21-2-ის მონაცემებით.

ცხრილი 21-2

ინფლაცია და ეკონომიკური ზრდა XX საუკუნის 60-იან წლებში: მონაცემები ინფლაციულად განვითარებული ქვეყნების მიხედვით (საშუალო ტემპები, 1960-1969 წწ.)

ქვეყნები	ინფლაციის ტემპები, %	ეკონომიკური ზრდა, %
იაპონია	5,37	11,59
ესპანეთი	5,73	7,37
იტალია	3,67	6,33
საფრანგეთი	3,84	5,72
ჟინათი	5,01	5,4
ღანია	5,3	5,2
ნორვეგია	3,48	5,02
აესტრია	3,34	4,87
ბელგია	2,65	4,85
შვეიცარია	3,13	4,78
ირლანდია	3,98	4,47
შედეთი	3,74	4,31
აშშ	2,31	4,19
ახალი ზელანდია	3,23	4,07
დიდი ბრიტანეთი	3,45	3,12

სხვადასხვა ქვეყნებში რეალური შემოსავლების დონეთა შედარება

საერთაშორისო შედარებების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე სანდოტერესო საკითხია სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრების სტანდარტების შედარება. რომელი ქვეყანა ყველაზე მდიდარი და რომელია ყველაზე ღარიბი? რამდენად დიდია ცხოვრების დონეებს შორის სხვაობა? ეს კითხვები გაცილებით რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რადგანაც ქვეყნები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან შეფარდებითი ფასების მიხედვით. მაგალითად, ჩვენ გავეჩინა საკმარისი საფუძველი იმისა ვიუარადლოთ, რომ არაექსპორტირებად პროდუქციის ფასები ღირბო ქვეყნებში უფრო დაბალია, ვიდრე მდიდარში. შეფარდებითი ფასებში აღნიშნული განსხვავება იწყვეს არსებით დამახასიათებლებს რეალური შემოსავლებისა და ცხოვრების დონის გაზომვის დროს.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ინდოეთში ერთ სულ მოსახლესზე შემოსავალი 1989 წლისათვის შეადგენდა 340 აშშ დოლარს აშშ-ში ერთ სულ მოსახლესზე 20910 დოლარის შემოსავალთან შედარებით. ამგვარად, შემოსავლების დონებს შორის სხვაობამ შეადგინა 20570 დოლარი, ე.ი. აშშ-ში ერთ სულ მოსახლესზე შემოსავალი 61-ჯერ მეტია, ვიდრე ინდოეთში. მაგრამ ეს მონაცემები არ ასახავენ მნიშვნელოვან გარემოებებს ცხოვრების დონეებზე, რომელიც განსაზღვრულია ინდოეთში არსებული ფასების დონის მიხედვით, არსებითად უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ში. ამიტომ, ინდოეთში ერთ სულ მოსახლესზე 340 დოლარის ოდენობის შემოსავალი შეიძლება ვიყიდოთ გაცილებით მეტი საქონელი ინდოეთის შიდა ფასების მიხედვით, ვიდრე აშშ-ში არსებული. არ არის გასაკვირი, რომ დოლარებში გამოხატული ერთი და იგივე შემოსავალი ინდოეთში უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ში.

ცხოვრების დონის ნებისმიერი საერთაშორისო შედარება უნდა ითვალისწინებდეს ფასების დონეებს შორის სხვაობას. ამისათვის, ჩვენ უნდა გავზომოთ ერთ სულზე შემოსავალი ინდოეთში დოლარებში, რომელიც კორექტირებულია მსყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით. მსყიდველობითი უნარიანობის კორექტირებული შედარება მოითხოვს შემდეგ კითხვას: ასახვის გაცემა: აშშ-ში არსებული ფასებით რამდენი დოლარის ფლობაა საჭირო, რათა მიღწეულ იქნას ერთ სულ მო-

სახლეზე რეალური შემოსავლის დონე ინდოეთში? მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის მაჩვენებლის გასაანგარიშებლად, რომელსაც გამოიყენებთ შედარებებისას, აღნიშნავთ Y_{1-t} -ით აშშ-ს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი და Y_{1-t} -ით - ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ინდოეთში, რომელიც გამოხატულია ეროვნული ვალუტის ერთეულით. ეთქვას, P - აშშ-ში ფასების ინდექსია დოლარებში, ხოლო P_1 -ფასების ინდექსი ინდოეთში რუპიებში, თანაც, ფასების ორივე ინდექსი გაანგარიშებულია საქონლისა და მომსახურების სრული კალათის საფუძველზე.

შემოსავლების შედარების სტანდარტული ხერხი მდგომარეობს Y_{1-t} -ს შედარებაში Y_1/E -სთან, სადაც E - რუპის დოლარზე გაცვლის კურსია. თუმცა მართებული იქნებოდა, თუ Y_1/E -ს შეედარებთ P_{1-t} -სთან, რამდენადაც ეს გამოსახლება გეიჩენებს დოლარების რაოდენობას აშშ-ს ფასებში (P_{1-t}). რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის დონე ინდოეთში. P_1/P_{1-t} თანაფარდობას ზოგჯერ უწოდებენ მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გაცვლითი კურსს, რომელსაც აღნიშნავთ E/P_{1-t} -ით. ის გვიჩვენებს, რამდენ რუპიად შეიძლება ისეთივე სამომხმარებლო საქონლის კალათის ყიდვა, როგორიც აშშ-ში 1 დოლარად.

აღან პესტონმა, ირინჯ კრეივისმა და რობერტ სამერსმა პენსილვანიის უნივერსიტეტის საერთაშორისო შედარების ცენტრიდან აღნიშნული მეთოდი გამოიყენეს თავიანთ სტატისტიკა და წიგნებში. ამ დროს დაცული იყო გაანგარიშების შემდეგი წესები. საქონლისა და მომსახურების ფართო ნაკრები (სამომხმარებლო კალათა) ფასდება, როგორც შიდა, ისე მსოფლიო ფასებით დოლარებში. კალათის ღირებულების თანაფარდობა შიდა ფასების მიხედვით კალათის ღირებულებასთან მსოფლიო ფასებით (გამოხატული დოლარებში) არის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გაცვლითი კურსი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მშპ-ს დაზუსტებული შეფასებისათვის გამოხატული დოლარებში. ეს უკანასკნელი მახასიათებელი უფრო ზუსტად ასახავს ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარიანობის მხრივ განსხვავებებს.

ცხრილი 21-3-ის მონაცემები დაგეხმარება ვაიწვინოთ, თუ რა განსხვავებაა ორივე მეთოდის გამოყენების შედეგად მიღებულ შედეგებს შორის. პირველ სექტორში მოყვანილია მშპ ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც განსაზღვრულია საბაზრო გაცვლითი კურსიდან გამომდინარე; მეორე სექტორში იგივე მაჩვენებელი გაანგარიშებულია მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტიდან გამომდინარე; მესამე სექტორში შეიცავს მათ თანაფარდობებს. ორ მეთოდს შორის განსხვავება ახდენს საინტერესო კანონზომიერების დემონსტრირებას. საბაზრო გაცვლითი კურსები, როგორც წესი, აზიანდებენ მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავებებს. თუმცა, მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით შესწორებების შემდეგაც განსხვავება მაინც დიდია მაგალითად, 1980 წელს საბაზრო კურსის საფუძველზე გაანგარიშებული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ეთიოპიაში 140 დოლარის ტოლი იყო, ხოლო შეიცარიაში - 16440 დოლარისა, ე.ი. მათ შორის თანაფარდობამ შეადგინა $1/117$ -თან. მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტიდან გამომდინარე გაანგარიშებული შემოსავლები იმავე წლისათვის ეთიოპიაში იყო 325 დოლარი, ხოლო შეიცარიაში - 10023 დოლარი, ე.ი. თანაფარდობით $1/30$ -თან, ამ მაჩვენებლებს შორის სხვაობა ბევრად ნაკლებია, მაგრამ მაინც დიდია.

საბოლოოდ, შეგვიძლია ჩამოეთვალოთ რამდენიმე პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნა, რომლებიც გამოიყენება ქვეყნებს შორის ეკონომიკური მაჩვენებლების შედარების დროს.

1. მდიდარ ქვეყნებს, როგორც წესი, გააჩნიათ უფრო მაღალი ფასების დონეები, გამოხატული დოლარებში, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში ცხოვრება უფრო ძვირია. ეს აიხსნება იმით, რომ მდიდარ ქვეყნებს გააჩნიათ უფრო მაღალი (a_T/a_N) თანაფარდობა.
2. სწრაფად ზრდად ეკონომიკაში ერთეული ვალუტის კურსი, როგორც წესი, იზრდება, ე.ი. P/EP^* -ს გააჩნია ზრდისადმი ტრენდული.
3. თუკი ორი ქვეყანა ერთმანეთთან დაკავშირებული ფიქსირებული გაცვლითი კურსით, მაშინ ის ქვეყანა, სადაც ეკონომიკური ზრდის ტემპები უფრო მაღალია, ხასიათდება ინფლაციის მაღალი ტემპებითაც.
4. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების შედარება, რომელიც გამოხატულია დოლარებში, აზიანებს მდიდარი და ღარიბი ქვეყნების რეალურ მსყიდველობით უნარიანობებში სხვაობებს, რამდენადაც მდიდარ ქვეყანაში ცხოვრების ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ღარიბში.


ამ პირობების გათვალისწინებით წარმოებითი ფუნქცია ღებულობს შემდეგ სახეს:

$$Q_T = Q_T(L_T, \bar{R}_T) \quad (12a)$$

$$Q_N = Q_N(L_N, \bar{K}_N) \quad (12b)$$

ჩვენ ვეპარაუდობთ, რომ კაპიტალის მოცულობა თითოეულ სექტორში უცვლელი სიდიდეა და რომ მითითებული საწარმოო ფუნქციები აკმაყოფილებენ შრომის ზღვრული მწარმოებლურობის შემცირების ტრადიციულ პირობებს. წარმოების ხასიათზე ეს უფრო რეალისტური ვარაუდი იწვევს საწარმოო შესაძლებლობათა საზღვრის (PPF) არსებით ცვლილებას: წრფივი საწარმოო ფუნქციის დროს PPF აგრეთვე წრფივად გამოისახებოდა, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 21-1-ზე, ახლა კი ის ამოზნექილია, როგორც 21-7 ნახაზზეა მოცემული.

რა განსაზღვრავს PPF-ის ახალ ფორმას? A წერტილიდან B წერტილში გადაადგილების კვალობაზე ექსპორტირებადი საქონლის სექტორი გამოათავისუფლებს შრომას, რომელიც გადაადინება არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების სექტორში. მაგრამ ყოველი ახალი მომუშავე არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში უზრუნველყოფს N-ის სულ უფრო და უფრო ნაკლებად ზრდას, რადგანაც ამ სექტორში ძირითადი კაპიტალი ფიქსირებულია. PPF-ის ქვემოთა ნაწილში, A წერტილის მიდამოში, შრომის უმნიშვნელო გადანაწილება არაექსპორტირებადი საქონლის სასარგებლოდ იწვევს მათი წარმოების დიდ ნამატს. მაგრამ PPF-ის ზედა ნაწილში, კერძოდ, B წერტილის მიდამოში, შრომის ასეთივე უმნიშვნელო ძეგრა პრაქტიკულად არ იწვევს არაექსპორტირებადი პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას.




ნახ. 21-7. საწარმოო შესაძლებლობის საზღვარი შრომით ცვალებადი და კაპიტალის ფიქსირებული დანახარჯებით

PPF-ის დახრილობის კუთხე ნებისმიერ წერტილში გვიჩვენებს არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების შემცირებას ექსპორტირებადი საქონლის წარმოების მოცემული შრომის დროს. ამგვარად, დახრილობის კუთხე ზომავს ექსპორტირებადი საქონლის დამატებით ერთულის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს, რომელიც გამოხატულია არაექსპორტირებადი საქონლის ერთეულით. კონკურენტულ ეკონომიკაში ეს დანახარჯები ტოლი იქნება ექსპორტირებადი საქონლის ფასის, რომელიც გამოხატულია არაექსპორტირებადი საქონლით (P_T/P_N). შესაბამისად, PPF-ის დახრილობის კუთხე ნებისმიერ წერტილში P_T/P_N -ის შეფარდებითი ფასის ტოლი იქნება. თუკი შეფარდებითი ფასი P_T/P_N მაღალია, კომპანია დიწვევს მეტი რაოდენობის ექსპორტირებადი საქონლის წარმოებას, ე.ი. გადაადგილდება A წერტილისაკენ. თუკი P_T/P_N დაბალია, კომპანია გადაერთვება არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებაზე, შეამცირებს რა ძვირადღირებული ექსპორტირებადი საქონლის წარმოებას, ე.ი. გადავა B წერტილთან ახლოს. წარმოებასა და P_T/P_N შეფარდებით ფასს შორის კავშირი ნაჩვენებია ნახ. 21-8-ზე.

ჩვენ ეისარგებლებთ 21-8 ნახაზით იმისათვის, რათა განესაზღვროთ შშპ-ს სიდიდე ეკონომიკის მასშტაბით. შშპ, რომელსაც აღვნიშნავთ Q-თი, გაეზომოთ ექსპორტირებადი საქონლით:

$$Q = Q_N + \left(\frac{P_T}{P_N}\right) Q_T. \quad (13)$$

გასაგებია, რომ შშპ წარმოადგენს ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის ღირებულებათა ჯამს, რომელიც გამოხატულია არაექსპორტირებადი საქონლის ერთეულში. დაეუშვათ, რომ წარმოება იმყოფება B წერტილში ნახ. 21-8-ზე. ექსპორტირებადი საქონლის გამოშვება ტოლია Q_T^B -სი, ხოლო არაექსპორტირებადისა - Q_N^B . დახრილობის კუთხე B წერტილში დაბალი შეფარდებით ფასის P_T/P_N ტოლია. შევნიშნოთ, რომ ექსპორტირებადი საქონლის წარმოების ღირებულება $(P_T/P_N)Q_T^B$ წარმოადგენილია მონაკვეთით Q_N^B -დან Q^B -მდე Y ღერძზე. შეიძლება დაერწმუნდეთ ამაში, თუ შევნიშნავთ, რომ მონაკვეთის სიგრძე Q_N^B -დან Q^B -მდე ტოლია Q_T^B -სი, გამრავლებული PPF-ის დახრილობის კუთხეზე B წერტილში. ამგვარად, Q^B განსაზღვრავს საერთო შიდა წარმოების მოცულობას, გამოხატულს არაექსპორტირებადი პროდუქტის ერთეულში.




ნახ. 21-8. შეფარდებითი ფასები და წარმოების სტრუქტურა

რამდენადაც ჩვენ გაეითვალისწინეთ ის ფაქტორები, რომლებიც იმყოფება მოთხოვნის მხარეს, გაეაგრძელებთ ვარაუდს იმის შესახებ, რომ საოჯახო მურწუნობები ანაწილებენ მოხმარებას ექსპორტირებად და არაექსპორტირებად საქონელს შორის ფიქსირებული პროპორციით. ანალიზის გასამარტივებლად ვიგულისხმებთ, რომ ეს პროპორცია არ არის დამოკიდებული P_T/P_N შეფარდებით ფასზე.

გაეანალიზოთ შეფარდებითი ფასებისა და ეკონომიკის წარმოების სტრუქტურის ურთიერთქმედება, რომელიც ნაჩვენებია ნახ. 21-9-ზე. დაეუშვათ, რომ მოხმარება იმყოფება B წერტილში, შესაბამისად, წარმოება უნდა იმყოფებოდეს A წერტილში, იმავე პორიზონტალურ ხაზზე, რომელზედაც B წერტილია ამ შემთხვევაში შეიმჩნევა საეჭრო ბალანსის დეფიციტი, რომელიც ტოლია $C_T^B - Q_T^A$. ექსპორტირებადი საქონლის შეფარდებითი ფასი არაექსპორტირებადთან მიმართებაში (P_T/P_N) PPF-ის დახრილობის კუთხის ტოლია A წერტილში. ასეთ შემთხვევაში, ქვევანამ უნდა აიღოს უცხოური კრედიტები. შეძლოთ ის საეჭრო ბალანსის დეფიციტიდან უნდა გადავიდეს დადებით საღირსმდე, იმისათვის, რათა მოემსახუროს აღებულ კრედიტებს და ასეთი ცვლილებები, როგორც მაღლა აღვნიშნეთ, გამოიწვევს ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის მოხმარების შემცირებას ექსპორტირებადი საქონლის წარმოების ზრდასთან და არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების შემცირებასთან შეხამებით.

ასეთი ცვლილებების პროცესში მოხმარება B წერტილიდან გადაადგილდება D წერტილში. ამ დროს წარმოება უნდა გადაადგილდეს A-დან E წერტილში, რომელიც იმავე პორიზონტალურ ხაზზე იმყოფება, რომელზეც მოხმარების ახალი წერტილიც. შევნიშნოთ, რომ ექსპორტირებადი საქონლების შეფარდებითი ფასი იზრდება (ანუ იგვივა, რაც არაექსპორტირებადი საქონლების შეფარდებით

ვარდნა) მოხმარების შემცირების შედეგად. PPF-ის დახრილობა წარმოების ახალ წერტილში (E) უფრო ციცაბოა, ვიდრე A წერტილში, რაც მოწმობს შეფარდებითი ფასის (P_T/P_N) ზრდაზე ახალ გარემოებასთან შეგუების პროცესში.



ნახ. 21-9. ტარში მოხმარება და შეგუების პროცესი საეკონომიკური ბალანსის დეფიციტიდან მის დაღებით საღლომდე

რა ხდება ეკონომიკაში გარდამავალი პერიოდის დროს? როდესაც ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, არაექსპორტირებად საქონელზე მოთხოვნის შემცირება იწვევს უშუალოდ ზრდას ამ საქონლის მწარმოებელ სექტორში. არაექსპორტირებად საქონელზე არსებული ფასები მცირდება ექსპორტირებადი საქონლის ფასებთან შედარებით. არაექსპორტირებადი საქონლის ფასების შემცირება (და ექსპორტირებად საქონელზე შეფარდებითი ფასების ზრდა) იწვევს შრომის გადაინაწილებას ამ სექტორებს შორის ექსპორტირებადი საქონლის მწარმოებელი სექტორის სასარგებლოდ. ამგვარად, (P_T/P_N)-ის ზრდა ან (P_N/P_T) შემცირება ფირმებისთვის სიგნალია არაექსპორტირებადი საქონლის სექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობის შემცირებისა და ექსპორტირებადი საქონლის სექტორში დამატებითი სამუშაო ძალის დაქირავების თაობაზე.

ეკონომიკაში არსებული სტრუქტურული ძეგები გულისხმობს არა მარტო წარმოებაში ცვლილებებს, არამედ შეფარდებით ფასებშიც. კონკრეტულად: საეკონომიკური დეფიციტიდან ბალანსის დაღებით საღლომდე გადასვლა მოითხოვს: 1) მოხმარების შემცირებას შემოსაუღებთან მიმართებაში; 2) რეალური გაცვლითი კურსის შემცირებას, ე.ი. P_T/P_N -ის ზრდას; 3) არაექსპორტირებადი საქონლის სექტორიდან წარმოების გადაადგილებას ექსპორტირებად სექტორში.

TNT მოდელის კინზიანური ვერსია

აქამდე ეგულისხმობდით, რომ ეკონომიკა ხასიათდება სრული დასაქმებით და ამგვარად, წარმოებაც იმყოფებოდა საწარმოო შესაძლებლობის სასღვარზე. მაგრამ გარკვეულ შოკებს შეუძლია ფასებისა და ხელფასის აბსოლუტური სიდიდის ვარდნა, რაც ეკონომიკას გამოიყვანს სრული დასაქმების მდგომარეობიდან. სრული დასაქმების შემთხვევაში წონასწორობის ახალი მდგომარეობის მიღწევას წინ უსწრებს უშუალოდ მოთხოვნის შემცირება.

წარმოედგინოთ შემთხვევა, როდესაც გაცვლითი კურსი და უცხოური ფასები ფიქსირებულია, ანუ, რომ P_T - მოცემული სიდიდეა. შემდგომ დაეუშვათ, რომ ეკონომიკა უნდა გადავიდეს საეკონომიკური დეფიციტიდან ბალანსის დაღებით საღლომდე შიდა მოხმარების შემცირების ხარჯზე. ჩვენთვის ცნობილია, რომ მსგავსი გადასვლა ჩვეულებრივ თანდაყოლილია P_T/P_N -ის ზრდით. რამდენადაც ფასი ექსპორტირებად საქონელზე ფიქსირებულია ნომინალურ გამოხატულებაში, ცვლილებათა პროცესი მოითხოვს არაექსპორტირებად საქონელზე ნომინალური ფასების შემცირებას. ახლა დაეუბრუნდეთ ნახ. 21-9-ს. თუკი მოხმარება მცირდება, ხოლო P_N - არა, მაშინ წარმოება ეერ გადაადგილდება E წერტილში. არაექსპორტირებადი საქონლის წარმოება შემცირდება მათვე მოთხოვნის


შემცირების შედეგად, თუმცა ექსპორტირებადი საქონლის სექტორში წარმოება არ გაიზარდა. შედეგად, წარმოება აღმორჩდება X წერტილში, რომელიც იმყოფება PPF-ის გარეთ, ე.ი. წარმოიშობა უმუშევრობა, ხოლო ექსპორტირებადი საქონლის გამოშვება არ გაიზარდა. შემდგომ ეტაპზე უმუშევრობა გამოიწვევს ხელფასისა და არაექსპორტირებადი საქონლის ფასების შემცირებას. ბოლოს და ბოლოს, P_N შემცირდება, ხოლო ექსპორტირებადი პროდუქციის წარმოება გაიზარდა, მიადწევს რა E წერტილს.

არის თუ არა გამოსაყალიბებული ამ უმეფრო სიტუაციიდან? მოთხოვნის მხრიდან ნეგატიური შოკები იწვევენ თუ არა ყოველთვის უმუშევრობას, ვიდრე პროდუქციაზე ფასები და ხელფასი არ შემცირდება იმ დონეზე, რომელიც საკმარისი აღმორჩდება წონასწორობის აღსადგენად? არა, ყოველთვის ასე არ ხდება. დავუშვათ, რომ ქვეყნის ხელისუფლება მოთხოვნის ნეგატიურ შოკებზე რეაგირებს ეროვნული ვალუტის ნომინალური დეველუაციის გზით. თუკი P_N საკმარისად ხისტია, დეველუაცია მიგიყვანს P_T/P_N -ის აუცილებელ ზრდასთან, მაგრამ არა P_N -ის შემცირების, არამედ P_T -ს ზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში, წარმოება დარჩება PPF-ის ხაზზე E წერტილში. ყოველივე ეს წარმოადგენს ძირითად არგუმენტს დეველუაციის სასარგებლოდ მოთხოვნის შემცირების საპასუხოდ.

დეველუაციის კრიტიკა სტრუქტურალისტების მიერ

ახლახან მოყვანილი არგუმენტაცია გულისხმობს იმას, რომ დეველუაცია შეიძლება იქცეს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომელიც აუცილებელია საგარეო დისბალანსის გამოსასწორებლად წმინდა ექსპორტის ზრდის ხარჯზე ხისტი ნომინალური ფასების (ან ხელფასის) პირობებში. მაგრამ, ამგვარ შეხედულებას ყველა ეკონომისტი არ ეთანხმება. პირიქით, როგორც ზოგიერთები თვლიან, დეველუაციას არ ძალუბს საკმარისი აქტიურობის აუცილებელი ზრდის გამოწვევა. სტრუქტურალისტთა ძირითადი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების სტრუქტურა ეკონომიკაში შეიძლება იყოს საკმაოდ ხისტი მოკლევადიანი პერიოდისათვის, თუნდაც რომ იცლებოდეს შეფარდებითი ფასები ასეთ შემთხვევაში, ექსპორტირებადი საქონლის შეფარდებითი ფასების ზრდა არ გამოიწვევს მათი წარმოების სწრაფად ზრდას.

სტრუქტურალისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ექსპორტის ზრდა შეიძლება შეიმჩნეოდეს გარკვეული ლაგით (დროში გარკვეული დაყოვნებით). საწარმოო სიმძლავრეები ამ სექტორში შეიძლება იმყოფებოდეს ზედა ზღვარზე, რაც გაართულებს წარმოების გაართულებას მოკლევადიან პერიოდში. ასეთ შემთხვევაში, საწარმოო შესაძლებლობათა საზღვარს შეიძლება ჰქონდეს ტენილი ხაზის ფორმა, როგორც ეს ნარევენბია ნახ. 21-10-ზე. საჭირო გახდება ხანგრძლივი დრო, რათა გაფართოდეს საწარმოო სიმძლავრეები; ლაგის შეიძლება დაკავშირებული იყოს აგრეთვე საწარმოო პროცესის ტექნოლოგიურ მახასიათებლებთან.



ნახ. 21-10. საწარმოო შესაძლებლობათა ხაზი (სტრუქტურალისტური პიდეგმა)

მაგალითად, განვიხილოთ ხილის საექსპორტო წარმოება. მას შემდეგაც კი, როდესაც ფერმერები მიიღებენ აუცილებელ სავინსტიციო გადაწყვეტილებას, მინც საჭირო გახდება რამდენიმე წელიწადი, ვიდრე ხეხილი დაიწყებდეს ნაყოფის გამოხსმას. ჩილეში, სადაც გასული საუკუნის 80-იან წლებში მეხილეობა საექსპორტო მნიშვნელობით მესამე ადგილზე იმყოფებოდა, შესაბამისი

ხანევსტიციო გადაწყვეტილებები მათი წარმოების გაფართოების თაობაზე მიღებული იქნა ჯერ კიდევ 70-იან წლებში. გარდა ამისა, თითოეული სექტორი ხასიათდება გამოყენებული წარმოების ფაქტორების გარკვეული სპეციფიკით. მათ შორის, შრომის ჩათვლით. ამიტომ, შეუარდებით ფასების ცვლილებებზე რეაქცია არ შეიძლება იყოს მყისიერი.

თუმცა დეველავაცია მიწოდების დაყენებული რეაქცია ჯერ კიდევ არასაკმაძრის იმისათვის, რაშია დეველავაცია გამოიწვევს წარმოების მოცულობის შემცირება. გარდა ამისა, სტრუქტურალისტები მოუთხოვენ მოთხოვნის შემცირებაზე დეველავაციის დროს. მოთხოვნის შემცირების პირველი არხია დეველავაციის გაღვლეა რეალურ ფულად მარაგებზე. გაცვლითი კურსის დეველავაცია იწვევს ფასების ზრდას, რაც, თავის მხრივ, იწვევს ნომინალური ფულადი მარაგების შემცირებას. IS-LM მოდელის ენით რომ ვთქვათ, IS მრუდი გადაადგილდება მარცხნივ, რაც ნიშნავს ერთობლივ მოთხოვნის შემცირებას.

მოთხოვნის შემცირების მეორე მნიშვნელოვანი არხი მოქმედებს გადაწველების ეფექტის მეშვეობით. დაეუშვათ, რომ მოსახლეობა შედგება ორი ჯგუფისაგან – პირველი, რომლებიც ეღებულენ შემოსავალს უპირატესად ხელფასის სახით და მეორე, რომლებიც ეღებულენ მოგებას საკუთარი კაპიტალიდან. თუკი ნომინალური ხელფასი ფიქსირებულია, დეველავაცია გადააწველებს შემოსავალს მუშიდან დამკირავებლის სასარგებლოდ. თუკი პირველი ჯგუფი ხასიათდება მოხმარებისადმი მაღალი მიდრეკილებით, ვიდრე მეორე, როგორც ამას ადასტურებს პრაქტიკა, მაშინ ერთობლივი მოთხოვნა შემცირდება. შემოსავლების ამგვარი გადაწველების ტიპური მაგალითია არგენტინის შემთხვევა, რომელიც შესწავლილი იქნა არგენტინელი ეკონომისტის, კარლოს დიას ალენანდროს მიერ. მან აჩვენა, რომ დეველავაციამ, რომელიც განხორციელდა არგენტინაში 1958 წელს, გამოიწვია შემოსავლების გადაწველება მომუშავეებიდან მიწის მფლობელთა სასარგებლოდ, რამაც გამოიწვია ერთობლივი მოთხოვნისა და წარმოების მოცულობის შემცირება.

ემპირიული გამოკვლევები აგროფე ადასტურებენ იმ შეხედულებას, რომ დეველავაცია მოთხოვნის შეზღუდვის ფაქტორია მოკლევადიან, მაგრამ არა გრძელვადიან პერიოდში. მიზეზი ისაა, რომ თუკი მოთხოვნის შემცირების ეფექტები საკმაოდ სწრაფად ელნიდება ეკონომიკაში, მაშინ მიწოდების სფეროში საკირო ცვლილებებისათვის აუცილებელია დროის გარკვეული პერიოდი. ტორვაგო ვულფსონმა და მაიკლ შილდმა გამოიკვლიეს დეველავაციის გაღვლეა ათ ქვეყანაში – ხუთ განვითარებად და ხუთ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გაღვლეა საუკუნის 70-იან წლების მონაცემების საფუყველზე მათ ყურადღება გაამახვილეს დეველავაციის საშუალოვადიან და გრძელვადიან ეფექტებზე და აღმოაჩინეს მოთხოვნის შემცირების ეფექტი მხოლოდ ორ ქვეყანაში – ინდოეთსა და დიდ ბრიტანეთში. მოგვიანებით, სებასტიან ედვარდსმა გამოიკვლია დეველავაციის გაღვლეა წარმოების მოცულობაზე 12 განვითარებადი ქვეყნის მაგალითზე 1965-1980 წლებში. მისმა შედეგებმა აჩვენა, რომ დეველავაცია წარმოების შემცირებას იწვევს გაცვლითი კურსის ცვლილების შემდგომ პირველი წლის განმავლობაში, თუმცა მეორე წელს ეს ეფექტები სრულად კომპენსირდება.

დეველავაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, გაცნობიერებული იქნა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც განვითარებადი ქვეყნები საგარეო ვალის კრიზისის შედეგების დაძლევის ნაწილობრივ შეეცადნენ ვალუტის მკეფთარი დეველავაციის გზით.

ძირითადი დასკვნები

შეუღებელია ყველა საქონლის რეალიზება მსოფლიო ბაზარზე არაექსპორტირებადი საქონელი და მომსახურება, როგორცაა საპარკმახეო მომსახურება, საცხოვრებელი შენობის არენდა, ავტოკატა მომსახურება, შეიძლება მოხმარებული იქნას მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ხდება მათი წარმოება. საქონლის ასეთი ჯგუფის არსებობას გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები: მათზე მოთხოვნა და მათი მიწოდება შიდა ბაზარზე ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს; შიდა მოთხოვნის შემცირების კომპენსირება შეუღებელია წმინდა ექსპორტის ზრდის ხარჯზე; შიდა ფასები შეიძლება განსხვავდებოდეს მსოფლიო ფასებისაგან და არ იწვევს მსოფლიო მოთხოვნის ცვლილებას; ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების დროს შემოსავლებთან მიმართებაში წარმოების სტრუქტურა იცვლება; წარმოების მოცულობის რყეები განაპირობებენ წარმოების ფაქტორების – სამუშაო ძალისა და კაპიტალის გადაინებას ექსპორტირებადი და არექსპორტირებადი საქონლის მწარმოებელ სექტორებს შორის, რომელიც გრძელდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

არსებობს ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ექსპორტირებადობას პირველი, - და ეს ფაქტორი ყველაზე მნიშვნელოვანია - სატრანსპორტო დანახარჯები, რაც ქმნის ბუნებრივ ბარიერს მსოფლიო ვაჭრობისათვის. რაც უფრო დაბალია სატრანსპორტო დანახარჯები (როგორც

საქონლის საერთო ღირებულების ნაწილი), მით უფრო სწრაფად გაიყიდება საქონელი მსოფლიო ბაზარზე. მეორე ფაქტორია *საავტორო პროტექციონიზმის* ხარისხი, რომელიც განისაზღვრება ტარიფებითა და საავტორო კონტეინტით. ამ ფაქტორმა შეიძლება მრავალხრიანი მსოფლიო ვაჭრობის ბლოკირება სატრანსპორტო დანახარჯების დაბალი დონის პირობებშიც კი.

საქონლის კლასიფიკაცია შეიძლება ექსპორტირებად და არაექსპორტირებად საქონლად. სტანდარტული სიმრაველო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მიღებულია ვაჭრობის მიერ, განსხვავებენ ცხრა ეკონომიკურ სექტორს, ესენია: სოფლის მეურნეობა, მომსახურება და გადაამუშავება (იხიანი, როგორც წესი აწარმოებენ ექსპორტირებად საქონელს); მშენებლობა, ტრანსპორტი, მომსახურების სფერო (ძირითადად, ხასიათდება არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებით; მაგრამ არსებობს მრავალჯერადი გამოხალისიც), მალაღმა სატრანსპორტო დანახარჯებმა და ხელშეწყობმა ბარიერებმა გამოიწვიეს ის, რომ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო ფაქტორები საქონელი არაექსპორტირებადი გახდა. კავშირგაბმულობის სფეროში ბოლო მიღწევებმა, პირქით, განაპირობეს ის, რომ მრავალი სახის ფინანსური მომსახურების რეალობაცია შესაძლებელი გახდა მსოფლიო ბაზარზე.

ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის თეორიული მოდელი გულისხმობს, რომ ქვეყანა აწარმოებს და მოიხმობს როგორც ექსპორტირებად, ასევე არაექსპორტირებად საქონელს განვსაზღვრავთ რა ორივე კატეგორიის საქონლისთვის საწარმოო უწყვეტობა და წარმოების ფაქტორთა საჭირო მოცულობას, შეიძლება განვსაზღვროთ *საწარმოო შესაძლებლობათა საზღვარი* ექსპორტირებად და არაექსპორტირებად საქონელს შორის (PPF). ის გვიჩვენებს ერთი სახის საქონლის წარმოების მაქსიმალურ მოცულობას მეორე სახის საქონლის მოცემული წარმოების პირობებში. PPF-ის დახრილობის კუთხე ნებისმიერ წერტილში ტოლია ორი ტიპის საქონლის შეფარდებით ფასზე. ამ მოდელში ექსპორტირებადი საქონლის შეფარდებით ფასს, რომელიც გამოხატულია არაექსპორტირებადი საქონლის ერთეულით, ეწოდება *რეალური ეკვლითი კურსი*.

TNT მოდელში საერთო მოთხოვნა ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის ერთობლივი მოხმარების ტოლია. მოდელის ძირითადი დაშვება გამოხატება იმაში, რომ არაექსპორტირებადი საქონლის შიდა მოხმარება ტოლი უნდა იყოს მათი წარმოების მოცულობის, რამდენადაც ასეთი საქონლის ექსპორტი და იმპორტი არ არსებობს. საავტორო ბაღანის ტოლია ექსპორტირებადი საქონლის წარმოების მოცულობის გადაამტკებინა მის შიდა მოხმარებაზე. წონასწორობა განისაზღვრება პროფუნენციების დაფიქსირებით საწარმოო შესაძლებლობის საზღვარზე.

TNT მოდელი სასარგებლო საგარეო დავალიანების გარკვეული მაქროეკონომიკური ასპექტების ანალიზის დროს. თუკი ქვეყანა უფლს სესხულობს საზღვარგარეთ, რათა მოხმარებამ გადააჭარბოს სამამულო შემოსავლის დონეს (ე.ი. საავტორო ბაღანის დაიყვანება დეფიციტამდე, მაშინ ქვეყნის საგარეო ვალი იზრდება. ბიუჯეტური შეზღუდვის ძალით ზოგიერთ წარტილში გეომორფია კვლავ უნდა აღმოჩნდეს იმ მდგომარეობაში, რომელიც ხასიათდება საავტორო ბაღანის დადებითი სალდოში, რათა გაიანგვის შესაძლებლობა საგარეო ვალის მომსახურებისათვის. ასეთი გადასვლა მოითხოვს საერთო მოთხოვნის (დაჟარების) შემცირებას წარმოებასთან მიმართებაში, რაც ამცირებს მოთხოვნას არაექსპორტირებად საქონელზე. მიუხედავად შიდა მოთხოვნის შემცირებისა, ფარმები, რომლებიც დაკავებულინი არიან ექსპორტირებადი საქონლის წარმოების სექტორში, გაზრდის წარმოების მოცულობას, რამდენადაც შეძლებენ პროდუქციის რეალობაციას მსოფლიო ბაზარზე. ამგვარად, სესხის აღებითან დაიბნის მომსახურებაზე გადასვლა მოითხოვს შესაბამის ცვლილებებს შიდა წარმოების სტრუქტურაში.

შეგუბის პროცესი შეიძლება თანდაყოლილი იყოს წარმოების მოცულობისა და დასაქმების მოკლებიანი შემცირებით. სოციალური დანახარჯების მინიმალაციის მიზნით მთავრობა ცალკეულ შემთხვევებში დეკორის შესაბამის დონისთვის პაკეტს, რომელიც ასტიმულირებს წარმოების ფაქტორთა გადაადინებას ეკონომიკის ერთი სექტორიდან მეორე სექტორში: დონისთვისათა ასეთ პაკეტს ეწოდება *სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამა*. პროგრამები ჩვეულებისამებრ მოიცავენ სახელმწიფო სექტორის რეფორმას, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ეკონომიკური ინსტიტუტების გაძლიერებას, მკაცრ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. გასული საუკუნის 80-იანი წლების განმავლობაში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები ეხმარებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებს ამაგარი პროგრამების შემუშავებაში, მხარს უჭერდნენ აუცილებელი ფინანსური საშუალებების შეთავაზებით, ზოგიერთ შემთხვევებში, საავალი ტერიტორიის შემცირების ხარჯზე.

ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებაში ძვრები შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე ქვეყნის სიმდიდრის მნიშვნელოვანი ცვლილებებით სასარგებლო წიაღისეულზე ფასების ცვლილების შემთხვევაში. ამ დროს, სიმდიდრის ზრდა შეიძლება შთაბეჭდილი იყოს, როგორც მაგალითად, ნორვეგიაში, როდესაც აღმოჩენილი იქნა ნავთობის უსხვიელის მარაგები ჩრდილოეთის ზღვაში, ან ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების შემთხვევაში 70-იან წლებში ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდის დროს. ამ შემთხვევებში არაექსპორტირებადი საქონლის წარმოებაში აღინიშნება ბუმი, ხოლო ტრადიციული ექსპორტის წარმოება, ნედლეულის მოპოვების გამოკლებით, პირქით, შეიძლება შემცირდეს, რამდენადაც წარმოების ფაქტორები დაიწყებს გადმო-

დინებას არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების სასარგებლოდ. ამ მოვლენამ მიიღო „ჰოლანდიური დააჯერების“ სახელწოდება. მაგრამ რესურსების გადანაწილების ყველა შემთხვევა, რომელიც განაპირობებდა წარმოების ბუმი, როდი უკავშირდება ნაყოფს. მაგალითად, კოლუმბიამ განიცადა „ჰოლანდიური დააჯერება“ 70-იანი წლების მეორე ნახევარში ყავასთან დაკავშირებული ბუმის გამო.

ცხოვრების ღირებულება მიიღო ქვეყნებში უფრო მაღალი, ვიდრე ღარიბებში, ხოლო ფასებში სხვაობა ყველაზე მეტად შესაძრველი არაექსპორტირებადი საქონლისათვის. TNT მოდელი გეიჰარტმა ამ მოვლენის ახსნაში. ერთ ქვეყანაში ცხოვრება უფრო ძვირი, ვიდრე მეორეში, რამდენადაც ფასები არაექსპორტირებადი საქონელზე მიიღო ქვეყანაში უფრო მაღალი, ვიდრე სასაღვარეო გარე. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპორტირებადი საქონლის წარმოების სექტორში მწარმოებელთა არაექსპორტირებადი საქონლის მწარმოებელ სექტორთან შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე საზღვარგარეთ. ქვეყნის განვითარების კვალობაზე, მწარმოებლობის ზრდის ტემპები უფრო მაღალი ხდება ექსპორტირებადი საქონლის სექტორში, ვიდრე არაექსპორტირებადში. აი არტომა, რომ მიიღო ქვეყნებში ცხოვრება უფრო ძვირი, ვიდრე ღარიბებში.

ცხოვრების დონების შორის საერთაშორისო შედარებების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არაექსპორტირებადი საქონელზე ფასებში სხვაობები. იმისათვის, რომ შედარებები კორექტული იყოს, ქვეყნებში შემოსავლები აუცილებლად უნდა გაიზომოს ერთიან ელემენტში, მაგრამ ფასების დონეში განსხვავებათა გათვალისწინებით. როდესაც ასეთი შეწორებები გაკეთებულია, აშკარა ხდება, რომ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მართი შედარება (როდესაც თითოეული ქვეყნის შემოსავალი გამოიხატება დოლარებში ოფიციალური გაცემული კურსის მიხედვით), როგორც წესი, აზიადებს მიღწერ და ღარიბ ქვეყნებში რეალური შემოსავლების დონეები სხვაობებს. ეს აისახება იმით, რომ ფასების საერთო დონე მიიღო ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე ღარიბებში.

თუკი ორივე სახის პროდუქციის წარმოებაში გამოიყენება შრომაც და კაპიტალიც, მაშინ PPF უფრო ამოხსნელი ფორმისა და არა სწორხაზოვანი (როგორც ისეთ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ერთადერთი ფაქტორი შრომაა). მაშინ, რესურსების გადანაწილება ორ სექტორს შორის თანდაყოლილი უნდა იყოს შეფარდებითი ფასების ცვლილებებით. კერძოდ, საეაგრო ბალანსის დეფიციტიდან დადებით სადღესაც გადასვლა, რომელიც მოითხოვს შემოსავლების მიმართ სავსო მოთხოვნის შემცირებას და არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების ტრანსფორმირებას ექსპორტირებადი საქონლის სასარგებლოდ, მოითხოვს აგრეთვე რეალური გაცემული კურსის შემცირებას (ე.ი. ექსპორტირებადი საქონლის ფასების ზრდას არაექსპორტირებადი საქონელთან შედარებით).

იმ პირობებში, როდესაც ფასებიც და ხელფასიც ფიქსირებულია ამ მოუქნელია, ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის სექტორებს შორის რესურსების გადანაწილების აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას უმუშევრობა. ფიქსირებული ნომინალური გაცემითი კურსისა და არაექსპორტირებადი პროდუქციაც მოუქნელი ფასების დროს P_T -ც და P_H -ც ფიქსირებული იქნება. ახლა, შიდა საერთო მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში ექსპორტირებადი საქონლის ფასების ზრდა არაექსპორტირებადთან შედარებით (P_T/P_H) არასაკმარისი იქნება რესურსების გადანაწილების უზრუნველსაყოფად არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების სექტორიდან ექსპორტირებადი საქონლის წარმოების სექტორში. არაექსპორტირებადი საქონლის წარმოების შედეგად შემცირდება საერთო მოთხოვნა ექსპორტირებადი საქონლის წარმოების მაკომპენსირებელი ზრდის არარსებობის შედეგად. ამგვარად, დაიწყება უმუშევრობის ზრდა, ხოლო წარმოება ამორჩნდება საწარმოო შესაძლებლობათა საზღვრის მიღმა. ამ შემთხვევაში, *დეველუაციის* ხარჯზე შეიძლება მიღწეული იქნას P_T/P_H თანაფარდობის აუცილებელი სიდიდე, მაგრამ არა P_H -ის შემცირების, არამედ P_T -ს ზრდის ხარჯზე. ეს არგუმენტი მეტყველებს დეველუაციის სასარგებლოდ, როდესაც რესურსები უნდა გადანაწილდეს ექსპორტირებადი და არაექსპორტირებადი საქონლის მწარმოებელ სექტორებს შორის.

მაგრამ *სტრუქტურალისტები* თვლიან, რომ დეველუაცია იწვევს წარმოების მეკეთ ვარდნას. ისინი ვარაუდობენ, რომ წარმოების სტრუქტურა მოკლებულია კერიოდში სკამოდ ხისტი და არ უშვებს სწრაფი ცვლილების შესაძლებლობებს, თუნდაც რომ იცვლებოდეს შეფარდებითი ფასები. მათ მიერ მოყვანილი დასკვნებიან ერთ-ერთი მდგომარეობის იმაში, რომ ექსპორტირებადი საქონლის სექტორში წარმოების მოცულობა შეიძლება შესაძლებელი იყოს არსებული საწარმოო სიმძლავრეებით და რომ არსებობენ ტექნოლოგიური ლაკები, ამიტომ ექსპორტირებადი საქონლის წარმოების სწრაფი ზრდა შეუძლებელია. გარდა ამისა, ისინი მიუთითებენ მოთხოვნაზე დეველუაციის გავლენის გარკვეულ შედეგებზე: მაგალითად, რეალური ფულადი მარაგების შემცირებაზე. მუშებთან კაპიტალისტების სასარგებლოდ შემოსავლების გადანაწილებაზე. ფაქტორი მონაცემები ადასტურებს, რომ დეველუაცია განაპირობებს მოთხოვნის შემცირებას მოკლებულიან პერიოდში, მაგრამ არა გრძელვადიანში.